ქართული

ლამოსაილებელი
ლიტერატურული ალმანახი

1

2012

ამ დღეს ველოდი, მოვესწარ!
ვიყინი, ალარ ვსტირი მე!..

ალალი

გათენდა! შეერთდით, შეერთდით, შეერთდით!
დროშები, დროშები... დროშები ჩქარა!

გურესკლიანი

◉ ◉ ◉

პროექტის ავტორი,
გამომცემელი და
მთავარი რედაქტორი

ვ ა ჟ ა ჩ ო რ დ ე ლ ი

◉ ◉ ◉

სარედაქციო საბჭო

ზ ა ა ლ ბ ო ტ კ ო ვ ე ლ ი
ჯ ე მ ა ლ დ ა ვ ლ ი ა ნ ი ძ ე
ზ უ რ ა ბ თ ო რ ი ა
დ ა ვ ი თ კ ა ხ ა ბ ე რ ი
გ უ ლ ო კ ო ბ ი ა შ ვ ი ლ ი
ბ ო ბ ი-ბ ი ო რ ბ ი მ ა მ ა ც ა შ ვ ი ლ ი
ლ ე ლ ა მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი
(პასუხისმგებელი მდივანი)
ბ რ ი ბ ო ლ რ უ ხ ა ი ა
ა ვ თ ა ნ დ ი ლ ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე
თ ე მ უ რ შ ა ვ ლ ა ძ ე
ჯ ე მ ა ლ ჭ ე ლ ი ძ ე

◉ ◉ ◉

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
დამკაბადონებელი –
თეონა ბუჩუკური

გარეკანის დიზაინი –
ივანე ბუჩუკური
ბიორბი ვარდანიძე

ტექსტის აკრეფაში მონაწილეობდა –
მაია კვანტალიანი

ალმანახი დაიბეჭდა საქართველოს
მწერალთა კავშირის გამომცემლობა
"მერანის" სტამბაში

ქართული მარტო ენაა?!
ქართული ქართველთ რწმენაა!
ღმერთია! წედისნერაა!
ზღვა როა! – იმოდენაა!

მურმან მაკაცარიანი

ალმანახი

ერი,
ბერი,
ქართული მწერლობა,
საზღვარგარეთის
ლიტერატურა,
ხელოვნება,
და სხვა...

ლ ა მ ო ფ ა ი ლ ე ბ ე ლ ი
ლ ი ტ ე რ ა ტ ო რ ო ფ ლ ი ი ა ლ მ ა ნ ა ხ ი

1

2012

ალმანახი მომავალი წლიდან
(ჟურნალის სტატუსით)
გამოვა ორ თვეში ერთხელ

მისამართი: მხატვრის ქუჩა, №4
ტელ.: 2 32 73 62; 2 60 23 40; 5 93 32 47 12

რედაქტორის ოთოდენ სიტყვა...

დიდება უფალს! საქართველომ გაიღვიძა!

დიდი ილიას სიტყვები ახდა: "აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია"-ო!.. ჭეშმარიტად! მომავალი საქართველოსია! მომავალი ჩვენი შვილებისა და შვილთაშვილებისაა! იდღეგრძელე ამერ-იმერო!..

სათქმელი ხმამაღლა უნდა ითქვას!..

"გასრულდა მათი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისაო"-ო, – ამბობდა რუსთაველი რვა საუკუნის წინ და, ალბათ, ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისს გულისხმობდა!

ვის არ გვინახავს ფერადი სიზმრები, კოშმარულიც ბევრი გვინახავს, მაგრამ ასეთი საშინელი სიზმარი, რომელიც თითქმის ცხრა წელი გაგრძელდა, ყველანაირ ზღვარს გასცდა!..

"უბედურება რა გინდა მეტი?!. ვახტანგის ადგილს იჭერს ხეჩუა, გვეცლება ქართლი თვალდახელშუა!" – კარგა ხნით ადრე წერდა ბატონი მუხრანი და, ალბათ, ისიც საქართველოს ცხრა წლიან "ეპოქას" გულისხმობდა.

ლამის არის, ერი აღიგავა პირისაგან მიწისა!

ლამის არის, გადავგვარდით, გადავშენდით და მოვისრეთ!

დიდი კონსტანტინე გამსახურდია ბრძანებდა: "ხელისუფალი, რომელიც მწერალს არ უსმენს, მისი ბედი ჩანასახშივე მკვდარიაო!" ასე დაემართა ცხრა წლის წინ მოსულ "იმპერატორს", რომელმაც ტახტზე ასვლის დღიდანვე შეიძულა ჭეშმარიტი მწერალი, მხატვარი, კომპოზიტორი, რეჟისორი, მსახიობი, არქიტექტორი, ჟურნალისტი და, საერთოდ, ყველანაირი შემოქმედი! მოსრა და მოაბალასინა შემოქმედთა "თავშესაფარები!" სახსარი შეუწყვიტა ყველასა და ყველაფერს, რის გამოც დაიხურა ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთები, გამომცემლობები!.. ამან კი, რა დასამალია, კინაღამ მათხოვრებად აქცია ერის სათაყვანებელი მწერლები!

ყოფილი ხელისუფლება გაჰყვიროდა: მეოცნებეები ქვეყანას უკან დააბრუნებენო! მათივე სიტყვებს გავიმეორებ: ნურას უკაცრავად... ვერ მოგართვით!

გიხაროდენ! შემოქმედთა ოცნება ახდენილია! ახალი ეპოქის დასაწყისის პირველი მერცხალი, ჟურნალი "ამერ-იმერი", უკვე თქვენს ხელთაა!

ვაჟა ჩორდელი.



ძლევამოსილსა, საკვირველმოქმედსა, ბოროტის დამთრგუნველსა, დიდსა მოწამესა, წმიდასა ნათელსა **გიორგის**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II

მ ო კ რ ძ ა ლ ე ბ უ ლ ი თ ხ ო ვ ნ ა

ტყვეთა განმათავისუფლებელო, ტანჯულთა შემწეო, უძლურთა მკურნალო და მწუხარეთა ნუგეშისმცემელო, ქართველთა დიდო იმედო, ძლევამოსილო წმიდა გიორგი, მე, მსასოებელი შენი, ილია II, წყალობითა და განგებითა ღვთისათა კათოლიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოსი, გევედრები, აწ და მარადის იყავ წინამძღვარ ქართველი ერისა და მფარველ ეკლესიისა ჩვენისა.

შენ ბრძანდები ოდითგანვე ერისმთავარი ჩვენი; ნუ დაივიწყებ ერსა შეცოდებულსა; მეოხ გვყავ, რათა უფალმან შეგვინდოს და განკურნოს უძლურებანი სულთა ჩვენთანი; გვიხსნას: ურწმუნოებისა, ამპარტავნებისა და შურისაგან, ღვარძლისა, მტრობისა და ცილისწამებისაგან, ვერცხლისმოყვარეობისა, ურთიერთშუღლისა და წყევისაგან, სიძვისა, პატივმოყვარეობისა და სხვათა ქონების მითვისებისაგან და მოგვიტეოს უმეცრებანი ჩვენნი: ეკლესია-მონასტერთა ნგრევა, კერპთთაყვანისმცემლობა, ცრუმორწმუნეობა...

შესთხოვე უფალსა, რათა მოგვმადლოს ჭეშმარიტი მართლმადიდებელი სარწმუნოება, სასოება და სიყვარული, მოგვანიჭოს გრძნობები წმიდა და სული წრფელი; გაგვიხსნას გულისყური შეწევნად ქვრივთა, ობოლთა, მწირთა და ყოველთა გაჭირვებულთა, განამრავლოს ურთიერთშორის სათნოებანი და საქმენი კეთილნი.

დიდმოწამეო გიორგი, განგვინათლე გონება, რომ ვცნათ უფალი, ვითარცა გზა,

ჭეშმარიტება და სიცოცხლე; აღგვავსე ღვთაებრივითა სიბრძნითა, რათა ყოვლითა არსებითა შევიყვაროთ შემოქმედი, მოყვასი, მამული და ენა ჩვენი; ჰყავ გულნი ჩვენნი ლმობიერ და ურთიერთ ცოდვათა მიმტევებელ; მოგვიძიე და შეგვკრიბე ქრისტეს წმიდა ეკლესიაში.

სასოებით შეგვედრებ ხალხსა ჩემსა, ქრისტეს გვირგვინოსანო მხედარო გიორგი; წმიდითა მახვილითა შენითა მარად დაგვიცევ და დაგვიფარე ბოროტთაგან და ყოველთა ძვირთა საქმეთა მათთაგან; ხოლო ჟამსა განკითხვისასა შუამდგომელ გვეყავ წინაშე უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა, რათა ღირს ვიქმნეთ მოპოვებად საუკუნოისა ცხოვრებისა.

მხურვალითა გულითა შეგთხოვ, შეეწიე საუკუნითგან გარდაცვალებულთა მამათა, დედათა და ყოველთა წინაპართა ჩვენთა და დასჯილნი სულნი სატანჯველთაგან იხსენ.

მუხლმოდრეკილი გევედრები, წმიდაო გიორგი, ნუ უგულებელყოფ ვედრებასა ჩემსა, აკურთხე ერი ქართველთა და წმიდა ეკლესია მისი; მოიღე წყალობა ჩემ ცოდვილთასა ზედა, რამეთუ მძიმეა ჯვარი ჩემი; შემეწიე და დამიცევ მადლითა შენითა, უძლეველო.

ჩვენთან არს ღმერთი!

შენი სულიერი შვილი, ძალისაებრ ჩემისა
აღმსრულებელი ნებისა შენისა,
მდაბალი ი ლ ი ა II

“ცუდას რად უნდა მტერობა,
კარგია მუდამ მტრიანი”...

ვაჟა-ფშაველა – ეროვნული გენია

“თანამედროვე ქართველ პოეტებს შორის ვაჟა-ფშაველა ყველაზე იდუმალი და, ამავე დროს, ყველაზე თვითმყოფადი მოვლენაა. იგი ყოველგვარი ლიტერატურული სკოლებისა და მიმართულებების გარეშე დგას... ძნელად დასაჯერებელია, რომ იგი – მითოლოგიური წარსულის მკვდრეთით აღმდგარი შვილი – ჩვენი თანამედროვეა”.

გრიგოლ რობაქიძე

“მტერს უნდა მტრულად მოექცე,
თვითონ უფალმა ბრძანაო!”

...ოქროს კოდეგს...

ქ ა რ თ ლ ს

ქართლო, დარდების ამშლელო,
გულ-მაგარ ძეთა მხარეო!
რო გნახე, გული აძგერდა,
ფიქრი მეწვია მწარეო.
არა ვსთქვა, ისა სჯობია,
გულშივე დარჩეს ბარეო.
დავჯე, დავიწყე ტირილი,
ცხარე ცრემლები ვღვარეო.
ათას დარდებში გამხვიე,
ლამაზო არემარეო!..
ტირილით რაღას ვუშველი,
ფიალაც გამოვცალეო.
შენგან აღძრულსა ფიქრებსა
ვეთაყვან-ვენაცვალეო.
გაღმით რო გორიჯვარია,
საოცნებოა რამეო.
გორის თავს გალავანია,
დიდს მთის კლდეს შევადარეო;
ბევრი უნახავს ვაება,
ცრემლი და ომი ცხარეო;
რა დამავიწყებს იმ წამსა,
როს დაჰნათოის მთვარეო!
ეამბნა ჩემთვის რაცა მკლავს,
ლიახვსაც ვემუდარეო,
მტკვართან აქვს მტკიცე კავშირი,
ურყევი, დაუმცდარეო;
მათ ზიარი აქვთ სიცოცხლე
ერთი-სხვის გასახარეო,
რა ვნახე იმათ ძმობაი,
ცრემლები გადმოვღვარეო.
ტირილით ვეღარ ავავსებ,
ფიალა გამოვცალეო.
შენგან აღძრულსა ფიქრებსა,
ვეთაყვან-ვენაცვალეო!

(დეკემბერი, 1912წ.)

ე ლ ე გ ი ა

როგორღაც ვხედავ სიზმრებსა,
გულო, დარჩები ტიალად,
ლამის რომ შენი ნაგრძნობი
შენვე დაგაჩნდეს ზიანად.
დაბნელდეს მაშინ სამყარო
თავის მთვარით და მზიანად.
ვაჰმე, რა ძნელი იქნება
მაშინ სიცოცხლე ჩემთვინა:
მემრის დღეებთან დავსწყევლი,
რაც მიცოცხლია დღემდინა.
რად მინდა, რადა სიცოცხლე
მოწამლულისა გულითა,
ვიცხოვრო ქვეყანაშია
გადაგდებულის რჯულითა?!

მოდით, დამკალით მაშინა,
თავი მომჭერით ცულითა!
სადა ხარ მამა-პაპურო
ანდერძო ჯავშნიანაო,
გამოდექ სამარის კარსა,
აჩრდილო მკლავიანაო,
ჩამბერე სული მაგარი,
სამშობლოვ მწვანიანაო!
ვერ მომკლავ, ჟამო ბედკრულო,
ხელში მიპყრია დანაო,
თუ გავსტყდე, შხამად შამერგოს
დედის ძუძუ და ნანაო;
იცოცხლე, გულო შენ ჩემო,
ტანჯულო ქალმნიანაო.

ნოემბერი. 1892წ.

ი მ ე რ ე თ ს

ერთხანად ჩემო მძრახაო,
ლიხს აქათურო დედაო!
გხედავ, რომ შამრიგებიხარ,
მით შენთან სალამს ვბედაო.
შაერთებულად შენშია
ქართლსა და კახეთს ვხედაო,
ფარ-ხმალო საქართველოსავ,
სხვაცა გბაძავდეს, ნეტაო!
ის მომწონს, თავის ქვეყნისა
კარებს რო მაგრა ჰკეტაო.
ვნება ნუ ასცდეს, სავნებლად
ვინაც შენ გაგიმეტაო!

მარტი. 1913წ.

ა რ წ ი ვ ი

არწივი ვნახე დაჭრილი,
ყვავ-ყორნებს ეომებოდა,
ეწადა ბეჩავს ადგომა,
მაგრამ ვეღარა დგებოდა,
ცალს მხარს მიწაზე მიითრევს,
გულის პირს სისხლი სცხებოდა.
ვაჰ, დედას თქვენსა, ყოვებო,
ცუდ დროს ჩაგიგდავთ ხელადა,
თორო ვნახავდი თქვენს ბუმბულს
გაშლილს, გაფანტულს ველადა!

ᲥᲝᲠᲬᲘᲚᲘ



ᲛᲣᲮᲠᲘᲐᲜ ᲛᲐᲥᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ

ᲐᲛᲔᲠ-ᲘᲛᲔᲠᲘ

ამერ-იმერი –
სიმხდალეში უსაზღვროდ ძუნწი.
ამერ-იმერი –
ზღვიდან ზღვამდე გაშლილი უწინ.
ამერ-იმერი –
არასოდეს მორჩილი ბედის.
ამერ-იმერი –
სიცოცხლეზე სიცოცხლით მეტი.

ამერ-იმერი –
უძველესი ქვეყანა ღვინის,
ამერ-იმერი –
დედამიწის ლამაზი შვილი,–
წყალწითელათი,
ყვირილათი,
ჭოროხით,
ივრით:
– ნუ გათათრდები! –
თავისობას ჰქუხდა და ყვირის!

ამერ-იმერი –
სიმხდალეში უსაზღვროდ ძუნწი.
ამერ-იმერი –
ზღვიდან ზღვამდე გაშლილი უწინ!

ᲥᲔᲑᲐᲘ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲔᲑᲐᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡᲐ ᲔᲜᲘᲡᲐᲘ

**"...ყოველი საიდუმლო ამასა ენასა შინა
დამარხულ არს..."**
იოანე ზოსიმე

ენა ისეთი,– ქართული როა! –
მიწაში კია, მაგრამ მიწაზე?!.
ღირსი თვით შოთა ჰა და ჰა თუა
განხსნად საბელთა ხამლთა მისთასა.

ენა რომ არა, ისიც ასეთი,
როგორც იტყვიან: ყალმით ნახატი!..
შენი თვით შოთა რასაც დაწერდა,–
ერთი იმასაც ვნახავდი!

***

შენ –
სისხლო ჩემო – სად არ დაღვრილო...
შენ –
სად არ გხვრეპდა შავი ყორანი...
ვინ გაგაკვირვოს,
რამ გაგაკვირვოს,–
ნადიდგორალი,
ნაშამქორალი.

შენ –
სისხლო ჩემო –
შენი ღვაწლია,
რამაც აქამდეც კი მოაღწია:
სვეტიცხოველი...
ხანძთა...
ვარძია
და ისიც,–
რაც მტერს წარუტაცნია.

შენ –
სისხლო ჩემო –
შენი დინება
ვეფხისტყაოსნით ხშირად მიგრძვნია.
სიტყვა,
რომელიც გეჩოთირება –
ვცდილობ – გაშორო,–
რაც შემიძლია.

შენ –
სისხლო ჩემო –
სისხლო ხნიერო,
დაუცხრომელო და უცნაურო...
საბედნიეროდ,
საბედნიეროდ,–
ჰაი, ჰაი, რომ
კიდევ ხმაურობ!..

უბედურება რა გინდა მეტი?!

უბედურება რა გინდა მეტი?!
რომ დაიძახო:
– ქურდს ქუდი ეწვის!..
არ მეგულება მაძღრებში ერთიც,
რომ არ იტაცოს
მეის ქუდზე ხელი!

უბედურება რა გინდა მეტი?!

სიტყვა თქმული ბიძინა ამილახორის მიერ მაშავრის პირას – ჭერმიჭალაში

ახალი მთვარე – მოხუცის წარბი,
ერთი შეხედვით: ღიმილი ყალბი,
წარბი საბასი, თუ ფარნავაზის,
დაღონებული ზის გალავანზე:
ვახტანგის ადგილს იჭერს ხეჩუა! –
გვეცლება ქართლი თვალდახელშუა!..

რუკიანე სამოსაცვლი

125-190 წ.წ.

თარგმნა
გურამ გოგიაშვილმა

ქებათა ქება სამშობლოს

ეს მცირე პირველსათქმელიც და ქვემორე თარგმანიც, ჩემო კარგო მკითხველო, შენთვის ერთმა არცთუ დიდმნიშვნელოვანმა ამბავმა შემომათავაზებინა. სულ ახლახან რუსულ „ლიტერატურნაია გაზეტაში", რომელიც ამჟამად კანტიკუნტად აღწევს თბილისამდე, ფრიად სახელგანთქმული ტელეჟურნალისტის, ვლადიმერ პოზნერის ინტერვიუ წავიკითხე („რას კითხულობენ ტელევარსკვლავები"). ეს აგრერიგად „საჯარო ფიგურა", როგორც თავისთავს თვითონ უწოდებს (ტერმინ „ტელევარსკვლავს" იუმორითა და სკეფსისით ვუყურებო), კორესპონდენტის კითხვას, რომელ მწერალს კითხულობო, ჯერ უპასუხებს, გოგოლსო და მერე იქავე დასძენს, რაბლეს ვაღმერთებო, თავაუღებლად შემიძლია, რომ დილიდან საღამომდე ვიკითხოო.

ასეთ შემთხვევაში, როცა მოსაუბრე იმისთანა რასმე ამბობს და თანაც ისე, რომ შენს გულისთქმას სიტყვასიტყვით იმეორებს, ვიტყვით ხოლმე, ეს კაცი ისე ლაპარაკობს, თითქოს ჩემს გულში იჯდესო...

„წიგნთან მწერლად ყოფნის" ამ მძიმე ჟამს სწორედ ასე დამემართა: ერთ-ერთი მართლა კარგი მკითხველი კაცისგან გოგოლისა და რაბლეს ერთად კეთილად ხსენებისას სასიამოვნოდ აშლილმა ფიქრმა კვალად მიმახედა ცის ქვეშეთში ყველაზე ფილოსოფიურად მხიარული „გარგანტუასა და პანტაგრუელისკენ", რომლის ქართულად გადმოენებასაც არა ერთი და ორი წელიწადი მივათვალე. ვინც საქმეში ჩახედულია, იცის, რომ გოგოლის სიყვარული იგივე რაბლეს სიყვარულია, რადგან გოგოლის სათავე (მწერლები მდინარეებივით არიან) რაბლეა და არა მარტო გოგოლისა, ჩვენი ილია ჭავჭავაძეც კარგა გვარიანი რაბლელია (კაციაო? ადამიანიო? – დიახაც რაბლურად ოთხში იღებს საწყალ ლუარსაბს). თვითონ რაბლე თუკი ვინმესგან არის „შექმნილი", ერთ-ერთი ძველი ბრძენკაცი ლუკიანეა. სირიაში დაბადებული, ქალაქ სამოსატაში, მერმე ფრიად სახელგანთქმული ბრძენი მწერალი გახდა, სატირისა და სარკაზმის დიდოსტატი (თუ საჭიროება მოიტანდა, თავად ოლიმპის ღმერთებსაც არ ინდობდა, სუყველას განურჩევლად სისხლს უშრობდა), თითქმის სამოცდაათი წლისა ელინისტურ ეგვიპტეში აღესრულა პირველი ათასწლეულის დაახლოებით 190 წელს.

ეს ყველაფერი კი იმად მოგახსენე, კარგო მკითხველო, რომ თვითონ ფრანგი რაბლეც, რუსი გოგოლიც, ჩვენი ქა-

რთველი ჭავჭავაძეც და ძველი ბერძენი ლუკიანეც თავიანთ დიდ სათქმელს ისეთნაირად ამბობენ, თითქოს ერთიც, მეორეც, მესამეც, მეოთხეც მართლა ჩემს გულში იჯდეს. ჩემს გულს რომ ვამბობ, ცხადია, შენს გულსაც ვგულისხმობ, ჩემო მკითხველო და, ლიტონი სიტყვა რომ არ გამომივიდეს, ამჯერად ლუკიანეს მოვიშველიებ, უფრო სწორად კი, ლუკიანეს ერთ მომცრო თხზულებას („ქებათა ქება სამშობლოს") და თავად დარწმუნდები ჩემი ნათქვამის სიმართლეში.

„გარგანტუასა და პანტაგრუელის" გადმოენებისას ხშირად მიხდებოდა ლუკიანეში ჩახედვა და ყოველთვის ვგრძნობდი, რომ, რაბლესთან ერთად, ის თითქოს ჩემს გულში იჯდა. ქვემორე ჩემეულ თარგმანსაც ამიტომ გთავაზობ. გულდაგულ წაიკითხე და ის შენს გულში აღმოჩნდება. თუ ვტყუი, გამამტყუნე.

თანაც კიდევ, როცა ჩვენი მრავალტანჯული სამშობლო ასეთ შავ დღეში ჩააგდო შინაურმა და გარეულმა მტერმა, ლუკიანეს სიტყვა დღეს მართლაც მრავლისმთქმელად გაისმის.

გურამ გოგიაშვილი

1. ძველი ჭეშმარიტებაა, რომ „არცრაა მამულზე უტკბესი". მართლაც, განა არის სადმე რამე არა მარტოდენ უფრორე ტკბილი, არამედ უფრორე უწმინდესი, უფრორე ამაღლებული, ვინემ სამშობლოა? რაც კი რამ ადამიანიშვილთ წმიდათაწმიდად და უმთავრეს დედააზრად უჩანთ, ყველაყა დასტურ სამშობლოსგან უსწავლიათ, რამეთუ ყოველ კაცთაგანს სამშობლო სძღვნის სიცოცხლეს, სამშობლო ასაზრდოებს და ზრდის. რა ვუყოთ, თუ ბევრნი დასტრფიან უცხო ქალაქთა შემძლებლობასა და დიდმშვენიერებას, შენებულობა-ნაგებობათა საჩინოებას, სამაგიეროდ სუყველას გულზე ახატია მამულის ხატება. ბევრი დამტკბარა – და ძალიან ხშირადაც – უცხო მხარეთა შინა ურიცხვი სასწაულის ჭვრეტით, მაგრამ არცვინ ისეგვარად არ მოუხიბლავს იმ სასწაულთა უხვებას, რომ სამშობლო გადევიწყებინოს.

2. ჩემის ფიქრით, ვინცავინ იმით ამაყობს, მდიდარი ქალაქის მოქალაქე ვარო, მამულის სიყვარულისა ჭეშმარიტი აზრი არა უწყის: აშკარაა, ესეგვარი კაცი ფრიად იმჭმუნვარებდა, უკეთუ წილად უფრორე ნაკლებად უჭირველი სამშობლო ერგებოდა. მე კი თავად სიტყვა „მამულის" პატივდება მგვრის სიამოვნებას. ვინაც ადგება და სხვადასხვა ქალაქსა ერთმანეთს შეადრის, საზომად სიდიდესა და სილამაზეს უნდა მიმართოს, აგრეთვე ამა ქალაქსა შინა საქონლისა სიუხვესაც უნდა გაუწიოს ანგარიში. ქალაქთა ერთმანეთისათვის შემდარებელი კაცი იგი ღმერთებს უმალ იმას შეევედრება, ჩემი სამშობლო სიმდიდრით იმა ქალაქთ გამითანაბრეო. არჩევით კი ოდენ თავის სამშობლოს აირჩევს, სულერთია, რანაირიც არ უნდა იყოს ის სამშობლო.

3. ესეგვარიადვე იქცევიან კეთილნი ძენი და გულმართალნი, პირუთვნელმიუფერებელნი მამანი, ხატკეთილი და აზნა, ანუ კეთილშობილი ჭაბუკი შემქმნელ მამასა არცროდის დაამჯობინებს სხვა ვინმე კაცსა; სწორედ მართალი, ანუ ჭეშმარიტი მამა კი არცროდის იმზომ არ შეიყვარებს სხვა ვინმე ყრმასა, თავისი ღვიძლი შვილი რომ დაივიწყოს. რომელი მამანიც თავიანთი შვილების სიყვარულით არიან გულსავსენი, ისინი სხვა მრავალთა შორის მიწყივ გამორჩეულად ხედავენ საკუთარ სისხლსა და ხორცსა და ეჩვენებათ, ძეთა ჩვენთა ნახვასა არა სჯობია რაო, ყოვლის უფრორე ლამაზნი და ლომგულნი არიანო, ყოვლის უფრორე უხინჯონიო. ვგონებ, ვინაც სხვარიგად სჯის თავისი ძისა გამო, ის საკუთარ ნაშიერს მამის თვალით არ უყურებს.

4. არცრა სიტყვაა უფრო ახლობელი და ძვირფასი, ვინემ სიტყვა „მამულია", როგორც არცრაა ჩვენთვის მამაზედ მე-

ტად ძვირფასი. უკეთუ ჭაბუკი მამისა მიმართ ჯეროვანი პატივდებით გულსავსეა (ესეგვარია კანონისა და ბუნების ნება), განა ის ამით სამშობლოსაც არ მიაგებს პატივსა? მერედა,მამამისიც ხომ ნაწილია სამშობლოსი, აგრეთვე მამისა მამაც, იგივე პაპა, და ყოველი წინაპარი, პეპერად ხმობილი, და მამა-პაპათა ჩვენთა ღმერთნიც, რომელთ სახელთაც თანდათან მივიტანთ, თაობიდან თაობამდე აღმასვლით.

5. თავად ღმერთებსაც უყვართ თავიანთი სამშობლო: ვითარ შეჰფერით, ისერიგად ადევნებენ ისინი თვალყურს ძეხორციელთა საქმეს, რამეთუ ყოველი მიწა და ზღვა თავიანთ საბრძანებლად უჩანთ, მაგრამ თითოეული უკვდავთაგანი ყოველთა ქალაქთა შორის ყოვლის უმეტესად იმას მიაგებს პატივსა, სადაც ამა ქვეყანას მოევლინა.

ცხადია, სუყოველი ქალაქი, სადაც ღმერთნი შობილან, საკუთრად და განსხვავებით წმინდა ადგილია, კურთხეულია აგრეთვე სუყოველი კუნძული, სადაც ღმერთების დაბადებას დღესასწაულობენ. ის კი არა, ღმერთის სამშობლოში მისული კაცის მიერ შეწირული მსხვერპლიც სასურველად მიითვლება ზეცისა მკვიდრთაგან და, უკეთუ მამულისა სახელი თავად ღმერთებისთვისაც ძვირფასია, კაცნი რა, ვითომ უფრორე მეტად არ უნდა უფრთხილდებოდნენ სამშობლოდ სახელდებულ მიწა-წყალსა?

6. მზეც ხომ სუყოველმა კაცმა პირველად სამშობლოში დაინახა. თუმცაღა მზე ყოველთა კაცთა საერთო ღმერთია, მაგრამ სუყველას თავის მამაპაპისეულად მიაჩნია, რადგანაც პირველად თავისი მშობლიური წყალ-ჭალიდან ჰკიდა თვალი და ენაც აკი სუყოველმა მამაპაპისეულ მხარეში ამოიდგა; ყოვლის უადრე მშობლიურ ენაზედ აქ აღუღუნდა და აქვე შეიცნო ღმერთნიც.

უკეთუ კაცსა წილად ისეთი სამშობლო ხვდა, საიდანაც დიდ ცოდნისა შესაძენად სხვაგან, უცხო მხარეში უხდება წასვლა, მაინც მადლიერი უნდა იყოს თავის მამულისა, თუნდაც სულ მცირე რამის სწავლებისთვის: სხვას თავი დავანებოთ, სიტყვა „ქალაქიც" კი არ ეცოდინებოდა, უკეთუ სამშობლოში არ შეიტყობდა, რომ ქვეყნად ქალაქები არსებობენ.

7. ვგონებ, სუყოველ ჩვევას, სუყოველ ცოდნას კაცნი იმად მოინაგრებენ, რათა მეტი არგონ სამშობლო ქვეყანას. სიმდიდრესაც მოკვდავთ პატივმოყვარეობა ახვეჭინებს, რა არი მერმე მამულისა კეთილდღეობას დაახარჯონ. ჩემის ფიქრით, მართალნიც არიან: ოდეს დიდ სიკეთეს მოუყრი თავს, უმადურობა არღა ეგების. უკეთუ ჟამისად ერთი კაცის მადლიერნი ვართ, ვინაც კეთილსა გვწია (სამართლიანობა აგრე ითხოვს), სამშობლოს მით უფრორე მეტი უნდა გადავუხადოთ, საკადრისი სიყვარულით შევმოსოთ.

– თითქმის არ არის ქალაქი, კანონი რომ არა ჰქონდეს, რომელიც დაუსჯელსა არც ვის უშვებს, დედ-მამასა ვინაც უღირსად, უკეთურად ეპყრობა. სამშობლო კი ჩვენთა საყოველთაო დედად უნდა გვიჩნდეს და ყველაგვარ სიკეთესა ვუძღვნიდეთ იმისდა მადლიერების ნიშნად, რომ მან, მაწოვნებელმან ჩვენმან, დაგვზარდა, დაგვაფრთიანა, არაცრა დაუკლია რა და, რჯულ-კანონთ თუ ვცნობთ, ესეც იმისი ნასწავლია.

8. ჯერჯერობით არცვის უნახავს სამშობლოზედ ისეგვარად გულაყრილი კაცი, უცხო მხარეში თავისი საგაზრდილოზედ ერთხელ მაინც არ აშლოდეს ფიქრი. სხვათა ქვეყანაში გადახვეწილთაგან, ვისაც საქმე მაინცდამაინც დამში ვერ მოუყვანია და ხელი არ ემართება, სუყველანი ერთხმად გაიძახიან, სამშობლო ყოვლის უფრორე დიდი მადლიაო. ის კი არა, რომელნიც წარმატებულან და ფეხზედ წელგამართულად დგანან, ისინიც ჩივიან, ფუფუნებას რა ხელსა ვყრით, მთავარი რამ გვაკლიაო. უცხო ქვეყანა ვერ გვსამშობლოობსო. შენი მიწა-წყლის გარეთ ცხოვრება, სხვა არა იყოს რა, ცოტა შეურაცხმყოფელიც კია, და აკი ხშირადაც ვხდებით იმის მოწმენი, რომ მრავალთაგან, ვინაც სხვა ქვეყანაში ცხოვრობს, რარიგ გაითქვა მავანმა და

მავანმა სახელი, რარიგ გამდიდრდა და გაპარპაშდა, ანდა რარიგ დიდი პატივი და საყოველთაო აღიარება მოიხვეჭა თავისი უტყუარი ვაუკაცობისა თუ დიდი განსწავლულობის გამო, მაგრამ ის მაინც სამშობლოსკენ ილტვის, იმის სული და გული სამშობლოშია, თითქოსდა უცხო მხარეში ღირსეული შემფასებელი და დამფასებელი ვერ ეპოვნოს და, რაც მეტ სახელ-დიდებას აღწევს კაცი სხვა ქვეყანაში, მით უფრორე ძლიერად მიიწევს სამშობლოს გულში ჩასახუტებლად.

9. – სამშობლო სანუკვარი რამ არის ყმაწვილკაცთათვის, მაგრამ ბერიკაცთ იმზომ ძალუმ მიუწევთ სამშობლოსკენ გული, რაზომაც ისინი ახალგაზრდებზე მეტად ბრძენკაცნი არიან. სუყოველი ხანმრავალი კაცი იქ ილტვის და იქა ცდილობს სიცოცხლის დასრულებას, სადაც არსებობა დაიწყო, რათა ნეშტად ქცეული მშობლიურ მიწას მიებაროს და თავისი ადგილი მიიჩნიოს მამა-პაპათა ძვალთშესალაგში.

10. – კაცსა ოდენ მკვიდრ მსახლობელთა კვალობაზეც შეგიძლია განსჯა. რა მოწიწებითაც ექცევიან სამშობლოს ნამდვილნი შვილნი, ვინაც კი იქ დაბადებულა, ხოლო გამრიელნი და გარმიანელნი, ანუ უცხონი, ჩამოხენცილნი, როგორაც უკანონო-უხსნიერნი თუ ნაბუშარ-ნაბიჭვარნი, გულარხეინად მიდიმოდიან, როცა უნდათ, მაშინ აიყრებიან, სიტყვა „მამული" ან სულ არ უწყიან, ან სულაც არ ეძვირფასებათ, პასუხიც აკი მიწყივ მზადა აქვთ, ჩვენს წილ სარჩოს მზისქვეშე ყოველგან მოვიშოვებთო. ისინი კეთილდღეობას კუჭის მხიარულებით ზომავენ. ვისთვისაც მამული იგივ დედაა, ძვირფასია ის მიწა-წყალიც, სადაც ისინი შობილან და დავაუკაცებულან. მერე რა, თუ მიწა-წყალი ისე არ არის ვრცელი, "ხირხატია და არ ეთქმის მოსავლიანი" და თუგინდ საქებარი მიზეზი ამა მიწა-წყლისა ძნელი საპოვნელიც იყოს, ერთგულნი ძენი მაინც იპოვიან და სამშობლო ქვეყნის აზმა-ქებით არდა დაშვრებიან. ხოლო ყურში თუ ჩასწვდებათ სხვაგნებურთა კვეხნა, ჩვენი ველმინდვრებიც თვალუწვდენელია და ხოდაბუნებიცაო, მთა უხვად ტყიანი გვაქვს, ბარი ხეხილიანი, ისინი არც მაშინ დააყოვნებენ თავიანთი სამშობლოს აზმაიფარს, ანუ საქებარ სიტყვას, სულაც არად ჩააგდებენ ბედაურთა მხარეს, კვალად "კარგ მოყმეთა აღმზრდელ" ქვეყანას ეტყვიან ქება-დიდებას.

11. – სუყოველი კაცი სამშობლოს მიელტვის: თუნდაც ის კუნძულელი იყოს, და უკეთუ უცხო მხარე მარადიულ ნეტარებას ჰპირდება, ის არც დაფიქრდება, ხელსა ჰკრავს სხვაგან შეძლეულ ამ უკვდავებას, რადგანაც მშობლიურ მიწაში დამარხვას ამჯობინებს. და შინ მიბრუნებულს სამშობლოს კვამლი უცხო ცეცხლზედ უფრორე ნათელი მოეჩვენება.

12. – ჩანს, მამული სუყოველი კაცისთვის ისერიგად ძვირფასია, რომ კანონმდებელთაგან უდიდეს დანაშაულთათვის სასჯელის უმაღლეს საწყაულად ყოველგან მოკვეთა, თემიდან განდევნაა დაწესებული. და არა მარტო სჯულმდებელნი, ამავე აზრისანი არიან მხედართუფროსნიც, ვისაც ლაშქრის გაგულოვნება ევალებათ: ბრძოლის ველზე მწყობრში მდგომთათვის ყოვლის მეტად გულის შემძვრელი ხომ მამულისთვის თავდადების მოწოდებაა და ვინაც ამა მოწოდება-საძახელს ყურთ შეატყობინებს, არცვინ ისურვებს უღირსებო კაცად გამოჩენას, რამეთუ სიტყვა "სამშობლო" მხდალსაც აჩაუქებს.

ზოგი მცირე რამ განმარტება

„არცრაა მამულზე უტკბესი" – "ოდისეა" (სე-9.34)
"ხირხატია და არ ეთქმის მოსავლიანი" – "ოდისეა" (მე-4.605)

"თუნდაც ის კუნძულელი იყოს" – იგულისხმება ოდისევსი, კუნძულ ითაკეს მეფე, გზად იყო გადებული, ძველ მსოფლიოში ქვეყანა არ დარჩენია მოუვლელი.

• • •

თარგმანი
ზურაბ აბაშიძისა

ჩვენ ნაწილი ვართ დედა-მიწისა!..

სიეტლის დუვამიშელთა ტომის ბელადის სიტყვა წარმოთქმული აშშ პრეზიდენტთან შეხვედრაზე

დუვამიშელები, ამერიკელ აბორიგენთა ტომი, აშშ-ის ამჟამინდელი ვაშინგტონის შტატის ტერიტორიაზე მოსახლეობდა. დუვამიშელები თავს მიიჩნევდნენ ბუნების ნაწილად, თაყვანს სცემდნენ ბუნების ძალებს და შეხმატკბილებულად ცხოვრობდნენ ბუნებასთან.

1855 წელს აშშ პრეზიდენტმა, ფრანკლინ პირსმა წინადადება მისცა დუვამიშელებს, თეთრკანიანი კოლონისტებისათვის მიეყიდათ თავიანთი მიწა და თავად რეზერვაციაში გადასახლებულიყვნენ.

ინდიელებმა ეს ვერ გაიგეს, როგორ შეიძლება მიწის ყიდვა-გაყიდვა? მათი რწმენით, არ შეიძლება მიწის ფლობა, ისევე, როგორც შეუძლებელია დაეუფლო ცაზე გაკრთომილ იალკიალს, ზეცაში ჰაერის ლივლივს ანდა წყლის კრთომას!

დუვამიშელთა ტომის ბელადმა საპასუხო სიტყვით მიმართა „თეთრკანიანთა მოდგმის დიდ ბელადს" და მისი ბრძნული სიტყვა, შეიძლება ითქვას, რომ დღესდღეობით უფრო აქტუალურია, ვიდრე იმჟამად, საუკუნენახევრის წინათ, აქტუალურია, სხვა გასაჭირთან ერთად, ეკოლოგიური პრობლემებით დამძიმებული ჩვენი პატარა ქვეყნისა და მთელი მსოფლიოსათვის.

ჩემი სიტყვები, ვით ვარსკვლავები, არასოდეს გახუნდებიანო, ბრძანა მაშინ დუვამიშელთა ტომის ბრძენმა ბელადმა.

მისი სიტყვა არავინ შეისმინა, დუვამიშელთა ტომი ადიგავა პირისაგან მიწისა.

ახლა ჩვენი თაობის ჯერია, ან ჯეროვან დასკვნებს გავაკეთებთ, ანდა გავიზიარებთ დუვამიშელთა ტომის ბედს.

***

თეთრკანიანთა დიდ ბელადს ვაშინგტონიდან შემოუთვლია, მსურს თქვენი მიწა შევისყიდოო.

დიდი ბელადი გვიდასტურებს მეგობრობასა და კეთილგანწყობას და ამრიგად გამოხატავს ჩვენდამი თავის პატივისცემას. თუმცა ჩვენ კარგად მოგვეხსენება, რომ მას ჩვენი მეგობრობა არა სჭირდება, მაგრამ ჩვენ უთუოდ ავწონ-დავწონით მის წინადადებას. ვიცით, თუ არ გავყიდით, მაშინ ალბათ მოგვეჭრება თოფიანი თეთრკანიანი და წაგვართმევს მიწას. დიახ, ბატონო, მაგრამ განა შეიძლება, იყიდო ან გაყიდო ზეცა, ანდა სითბო მიწისა? ჩვენთვის უცხოა ეს ამბავი!

თუკი ჩვენი არ არის სიგრილე ჰაერისა ან კრთომა წყლისა, როგორ გსურთ მათი შესყიდვა ჩვენგან?

ჩვენ ვიმსჯელებთ და მივიღებთ გადაწყვეტილებას.

სიეტლის ბელადის სიტყვა ნაღდია და დიდ ბელადს ვაშინგტონში შეუძლია ირწმუნოს მისი ნათქვამი, ისე, როგორც ჩვენი თეთრკანიანი ძმაა დარწმუნებული, რომ გაზაფხულს უთუოდ მოჰყვება ზაფხული.

ჩემი სიტყვები, ვით ვარსკვლავები არასოდეს გახუნდებიან. წმიდათა წმიდაა ჩვენთვის ყოველი კუთხე-კუნჭული დედა-მიწისა, ყოველი კრიალა წიწვი ნაძვის ხისა, ყოველი კენჭი ზღვისპირეთისა, უღრანი ტყის თავზე

დავანებული ყოველი ნისლი, ტყეში გაკაფული ყოველი ახო და ყოველი მწერი.

წვენს, ხის ტანში მიმოქცეულს ახსოვს წითელკანიანი ადამიანი.

ოდეს თეთრკანიანი ადამიანი აღესრულება და გზას გაუდგება ვარსკვლავეთში სამოგზაუროდ, სულს მისას ავიწყდება მამულ-დედული.

ჩვენი მიცვალებული კი არასოდეს დაივიწყებს ამ გასაოცარ დედა-მიწას, რამეთუ იგი ნაწილია ჩვენი სხეულის. სურნელოვანი ყვავილები დებია ჩვენი, ხოლო ქურციკი, ცხენი და დიდი არწივი – ჩვენი ძმები.

ერთმანეთთან წილნაყარია კლდოვანი მწვერვალები, მწვანე კორდები, პონის და კაცის სხეულის სითბო.

დიახ, ვაშინგტონელი დიდი ბელადი რომ ბრძანებს, თქვენი მიწის შესყიდვა გვსურსო, ამით ფრიად საძნელო მოთხოვნას გვიყენებს ჩვენ.

დიდი ბელადი გვპირდება, რომ გამოგვიყოფს ადგილს, სადაც ჩვენ ჩვენთვის, ლაღად ვიცხოვრებთ, იგი მამა იქნება ჩვენი, ხოლო ჩვენ – მისი შვილები. ჰო, მაგრამ როგორ? ღმერთი წყალობს თქვენს ხალხს, ხოლო ჩვენზე, წითელკანიან შვილებზე მან სულმთლად აიღო ხელი. თეთრკანიან ადამიანს მან მანქანები მოუვლინა შრომის შესამსუბუქებლად და დიდი სოფლები აუშენა. თქვენს ხალხს უფალმა წყალობის კალთა დააბერტყა. თქვენ მალე ნიადვარივით მოედებით ამ ქვეყანას, თავსხმა წვიმით შობილი ულოდნელი ნიადვარივით, ხეობაში რომ ჩაედინება.

არა, ჩვენ განსხვავებული ჯიშისა და ჯილაგისანი ვართ. ჩვენი და თქვენი შვილები ერთმანეთთან არ თამაშობენ და ჩვენი და თქვენი მოხუცები სხვა და სხვა ამბებს ჰყვებიან. ღმერთი თქვენთან არს, ჩვენ კი მისგან მიტოვებული ობლები ვართ.

ჩვენ ვიფიქრებთ თქვენს წინადადებაზე. ეს არ იქნება ადვილი საქმე, – ეს მიწა ჩვენთვის წმიდათა წმიდაა.

ჩვენ სიხარულს გვანიჭებენ ეს ტყეები.

ჩვენი ცხოვრების ნირი სხვანაირია, თქვენისაგან განსხვავებული.

კრიალა წყალი, ჩვენს მდინარეებსა და ნაკადულებში ჩამდინარი, განა მარტო წყალია, იგი სისხლია ჩვენი წინაპრებისა. თუ მოგყიდით მიწას, თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ იგი წმინდათა წმინდაა და უნდა ასწავლოთ თქვენს შვილებს, რომ იგი წმიდათა წმიდაა და რომ კამკამა წყალი ჩვენი ტბებისა მათ უამრავ ამბავს მოუყვება ჩემი ხალხისა. წყლის დუდუნი ხმა არის ჩვენი პაპების და პეპერების. მდინარეები ჩვენი ძმებია, ისინი ხომ წყურვილს გვიკლავენ. მდინარეები ანანავებენ ჩვენს კანოებს და ასაზრდოებენ ჩვენს შვილებს.

თუ მოგყიდეთ მიწა, – დაიმახსოვრეთ და თქვენს შვილებსაც აუწყეთ: მდინარეები ჩვენი ძმები არიან და ისინი ამიერიდან თქვენც გიძმობენ, ოღონდ გულის სითბო უნდა გაუზიაროთ, როგორც ღვიძლ ძმებს. თეთრ კანიანთა შემოტევისთანვე წითელკანიანი მუდამ უკან იხევდა, ისე, როგორც მზე გაფანტავს ხოლმე ნისლს, დილაუამ მთის ფერდობზე დაფენილს. მაგრამ ჩვენთვის წმინდაა ჩვენი მამების ფერფლი, ღვთივკურთხეული მათი საფლავი და ეს ბორცვებიც, ეს ხეებიც, ეს კუნჭულიც დედა-მიწისა – ღვთივკურთხეული.

ვიცით, თეთრკანიან კაცს ჩვენი არ ესმის. მისთვის მიწის ერთი ნაკვეთი იმგვარივეა, როგორც მეორე. იმიტომ, რომ იგი უცხოა, მოდგება და მიწისგან აიღებს, რაც მოეპრიანება. იგი არ ეძმო ამ მიწას, მტრად მოეკიდა, დაიპყრო და ახლა სხვა მიწას მიჰყო ხელი. მიატოვა მამათა საფლავები და სულაც აღარ ადარდებს ისინი. ის საკუთარ შვილებსაც წაართმევს მიწას და წარბს არ შეიხრის. პატივს არა სცემს მამათა საფლავებსა და ღვთით ბოძებულ უფლებებს ღვიძლი შვილებისა. მშობელ დედას, დედა-მიწას, ძმას – ზეცას ძარცვავს, ცხვარივით ჰყიდის, იმეტებს გასაყიდათ, ვით ბჭყვიალა რიოშ მარგალიტებს. მისი უძღები მუცელი მთელ დედამიწას მოინელებს, გაატიალებს, უდაბნოდ აქცევს.

არ ვიცი, ჩვენი ხასიათი თქვენთაგან ალბათ განსხვავებული ნიშატით გამოირჩევა. წითელკანიან კაცს თვალი ასტკივდება ხოლმე თქვენი ქალაქების დანახვაზე. წითელკანიანი ხომ ველურია, და ამიტომაც არ ესმის ალბათ.

თეთრკანიანთა ქალაქები მოკლებულია მყუდროებას. იქ გაზაფხულზე ვერცერთ ქალაქში დააყურადებ კვირტების გაშლა-გასკდომას და მწერის ფრთების გაფაჩუნებას.

ველური ვარ და ამიტომაც ალბათ არ მესმის. ხმაური მხოლოდ შეურაცხყოფს ჩვენს ყურთასმენას. რაღაა იგი სიცოცხლე, თუკი ვერ გაიგონებ რძის-მტე ჩიტის მოძახილს, ანდა ღამეულ ტბაში ბატების გნიასს? მე, წითელკანიან ადამიანს, უამისოდ არ

შემიძლია. ინდიელის გულს ეფონება სიოს შრიალი, ოდეს იგი ტბის ზედაპირს ეფოფინება, ანდა შუადღის თქეშში განბანილი ქარის სურნელი, ფიჭვის ამბრთან შეზავებული. წითელკანიან ადამიანს ჰაერი ეძვირფასება, რამეთუ იმავ ჰაერით სუნთქვას თანა ეზიარნენ ცხოველები, ხეები, და ადამიანებიც. ეტყობა თეთრკანიანი კაცი ვერც კი ამჩნევს იმ ჰაერს, რითაც სუნთქავს, ისე როგორც მომაკვდავი ადამიანი, – სიმყრალეს. ჰოდა, თუ მოგყიდით მიწას, არ დაგავიწყდეთ, რომ ჰაერი ჩვენთვის ძვირფასია, ჰაერმა აკი სული ჩაუდგა ყოველ ცოცხალ არსებას. ქარმა შთაბერა ჩვენს მამებს სული და თან გაიყოლა მათი უკანასკნელი ამოსუნთქვა. იმავე ქარმა უნდა შთაბეროს სული მის შვილებს.

თუ მოგყიდით მიწას, უნდა გახსოვდეთ, რომ იგი დალოცვილი რამაა, თეთრკანიანმაც უნდა შეიგრძნოს ქარით მობერილი ამო სურნელი მინდვრის ყვავილებისა.

– ჩვენ ალბათ განვიხილავთ წინადადებას თქვენთვის მიწის მოყიდვის თაობაზე და მხოლოდ ერთი პირობით დაგყაბულდებით, - ჩვენი მიწა-წყლის ცხოველებს თეთრი კაცი ისე უნდა მოექცეს, როგორც საკუთარ დედამამიშვილებს.

მე ველური ვარ და ამ ამბის სხვა გაგება არ გამაჩნია. მე მინახავს თეთრკანიანი კაცის ხელით დახოცილი ათასობით კამეჩის გახრწნილი მძორი, საცოდავები გაქანებული მატარებლის ფანჯრიდან იყვნენ დაცხრილული. მე, ველურ ადამიანს არ მესმის, რად გირჩევნიათ ცეცხლისმფრქვეველი რკინის ცხენი კამეჩს, რომელსაც ჩვენ მხოლოდ თავის გადასარჩენად თუ დავკლავთ ხოლმე. რა იქნებოდა ადამიანი ცხოველთა გარეშე? ცხოველები თუ გადაშენდნენ, ადამიანს მარტო-სულობის უსაშველო განცდა შეიპყრობს და მოკვდება. რაც ცხოველებს სჭირთ, მალე იგივე ადამიანებსაც დაემართებათ. ყველაფერი ერთმანეთთან არის დაკავშირებული.

რაც დედამიწას დაემართება, იგივე მოუვა შვილს მიწისა. უნდა შეაგნებინოთ თქვენს შვილებს, რომ მიწა მათ ფერხთა ქვეშ ფერფლია ჩვენი პაპებისა, რომ იქაა დავანებული სულები ჩვენი წინაპრებისა. შთააგონეთ მათ მოწიწება მიწის წინაშე, რამეთუ მიწა დედაა ჩვენი. რაც დედამიწას დაემართება, იგივე მოუვა შვილს მიწისა. თუ მიწას დააფურთხებ, ფურთხის ღირსი იქნები თავად. რამეთუ ჩვენ შეგნებული გვაქვს, რომ მიწა არ ეკუთვნის ადამიანს, ადამიანი ეკუთვნის მიწას, ეს ვიცით და გვჯერა! ურთიერთკავშირშია ყველაფერი, ვით სისხლი ერთი ოჯახის წევრებისა. ურთიერთკავშირშია ყველაფერი. რაც დედამიწას დაემართება, იგივე მოუვა შვილს მიწისა. ადამიანს არ შეუქმნია აღნაქვსი სიცოცხლისა, ადამიანი თავად წარმოადგენს ერთ უჯრედს ამ აღნაქვსისა. რასაც დამართებთ ხსენებულ აღნაქვსს, იმასვე მოსწევთ საკუთარ თავს. არა, ბატონებო, დღესა თუ ღამეს არ შეუძლიათ ერთად ყოფნა! ჩვენი მიცვალებულების სიცოცხლე გრძელდება დედამიწის მდინარეთა ჩქერებში და გაზაფხულის წყნარი ნაბიჯები მათი სულების მობრუნებას გვაუწყებენ, ქარსშერთული მათი სულები ჭავლებად ვარცხნიან ტბების ზედაპირს.

თეთრი კაცის წინადადებას მიწის ყიდვის თაობაზე ჩვენ ავწონ-დავწონით. ჰო, მაგრამ ჩვენი ხალხი კითხულობს, რას აპირებს თეთრკანიანი? განა შეიძლება ყიდვა ზეცის, მიწის სითბოსი, ან ანტილოპის ცქაფი ნახტომის? აბა როგორ მოგყიდოთ, ან თქვენ როგორ აპირებთ შეისყიდოთ ესე ყოველი? თუ წითელკანიანი კაცი ხელს მოაწერს ფარატინა ქაღალდზე და გადმოგცემთ თქვენ, ნუთუ ამის მერე თქვენ დედამიწას ისე მოეპყრობით, როგორც მოგეპრიანებათ? ჩვენ ხომ არ გვეკუთვნის ჰაერის სიგრილე და წყლის ციმციმი და აბა როგორ მოგყიდოთ? როგორ გინდათ კამეჩები გამოისყიდოთ, მას შემდეგ, რაც უკანასკნელს მოუღებთ ბოლოს?

ჩვენ ავწონ-დავწონით თქვენს წინადადებას... ისიც ვიცით, თუ არ დაგყაბულდებით, მოგვეჭრება იარაღასხმული თეთრკანიანი და წაგვართმევს მიწას! მაგრამ ჩვენ ხომ ველურები ვართ. რაკი თეთრკანიანმა ადამიანმა დროებით ხელთ იგდო ძალაუფლება, ნუთუ მან თავი წარმოიდგინა ღმერთად, ვისაც ეკუთვნის დედამიწა?

ჩვენ ავწონ-დავწონით თქვენს წინადადებას მიწის გაყიდვის თაობაზე. დღესა და ღამეს არ შეუძლიათ ერთად ყოფნა! - ჩვენ განვიხილავთ თქვენს წინადადებას რეზერვაციაში გადასახლების შესახებ. კი ბატონო, ჩვენ განვდგებით განზე და ვიქნებით ჩვენთვის. სულ ერთია, სად გავატარებთ ჩვენი სიცოცხლის ბოლო დღეებს. ჩვენი შვილები გახდნენ მოწმენი მამათა დამარცხებისა და დამცირებისა. ჩვენი მეომრები შეურაცხყვეს. მათ დამარცხება იწვნიეს და სასოწარკვეთილნი მაგარ სასმელსა და თრიაქს

მიეძალნენ. ჩვენი დღეები დათვლილია და რა ბედენაა, სად მოგვადგება აღსასრული. სულ ცოტაც, ორიოდ ზამთარიც და აღარ დარჩება ოდესღაც ამ დიდი ქვეყნის ბინადარი ინდიელთა დიდი ტომების ნატამალი. ისინი ახლა ტყე-ღრეში დაეხეტებიან. მალე ჭირისუფალი აღარ დარჩება იმ ხალხის საფლავებზე მოტირალი, ხალხისა, ოდესღაც ისევე ძლიერი და იმედით აღსავსე რომ იყო როგორიც დღესაა თქვენი ხალხი.

თუმცა, აბა რატომ ვიდარდო აღსასრული ჩვენი ხალხისა, ხალხი აკი ოდენ ადამიანებისაგან შედგება, სხვა არაფრისგან. ადამიანები მოდიან და მიდიან ისე, როგორც ტალღები ზღვისა. თვით თეთრკანიანი ადამიანიც, ვისი ღმერთიც მას ახლა თანა სდევს და ესაუბრება, ვით მეგობარს მეგობარი, თვით თეთრკანიანიც ვერ აიცდენს განგების ჯერჩინებას. ვინ იცის, იქნებ ძმები ვართ ჩვენ და თეთრკანიანები. ვნახოთ.

ერთი რამ კი ცხადია ჩვენთვის, ერთი ჭეშმარიტება, რომელსაც ოდესმე ალბათ თეთრი კაციც ირწმუნებს, – ჩვენი ღმერთი იგივე ღმერთია.

იქნებ გგონიათ, რომ თქვენ იგი განისაკუთრეთ, ისე როგორც გწადიათ ჩვენი მიწა დაისაკუთროთ, მაგრამ ვერა, ვერ შეძლებთ ამას! უზენაესი ყველას ღმერთია, წითლისა და თეთრ კაცისაც. ეს ქვეყანა ღმერთს ეძვირფასება და მიწის მოწყლვა წარმოადგენს არად ჩაგდებას მისი შესაქმისა.

თეთრკანიანებიც ოდესმე წავლენ, გადაშენდებიან, იქნებ სხვა ტომებზე უფრო ადრეც კი. განაგრძეთ თქვენი სარეცელის მოწამვლა და ერთ მშვენიერ ღამეს თქვენ დაიხრჩობით საკუთარ ნაგავში.

როდესაც აღესრულებით, თეთრი შუქით შეიმოსებით, თქვენი ღმერთის განგებით, ვინც განაგო ჩვენს ქვეყანაში თქვენი მოსვლა და წითელკანიანი ადამიანის დამორჩილება. ეს განგება ჩვენთვის გამოცანას წარმოადგენს. როცა სულს გააფრთხობინებთ ყველა კამეჩს, გახედნით ველურ ცხენს, წაბილწავთ ტყის ყოველ კუთხეს, კოხტა გორაკებს მოლაპარაკე მავთულებით დაამახინჯებთ, მაშინ სადღა იქნება უღრანი ტყე, ფრთამალი არწივი და მაშინ დაემშვიდობებით ფეხმარდ პონის და ნადირობას.

სიცოცხლის დასასრული და დასაბამი გადარჩენისა. ღმერთმა თქვენ გიბოძათ ბატონობა ცხოველთა, ტყეთა და წითელკანიან კაცთა ზედა საგანგებო მიზეზის გამო და ეს მიზეზი ჩვენთვის იყო და არის გამოცანა. იქნებ მაშინ შევძლოთ ამის მიზეზი გავარკვიოთ, თუ ჩავწვდებით თეთრკანიანი კაცის გულის ნადებს და გავიგებთ, რას პირდება იგი ზამთრის გრძელ ღამეებში თავის შვილებს და როგორ უხატავს ხვალინდელ დღეს, აქვს თუ არა უნარი მომავლის განჭვრეტისა. მაგრამ ჩვენ, ველურებს აბა სად შეგვიძლია ჩავწვდეთ თეთრი კაცის გულის ნადებს. ჰოდა, რაკი ვერ ჩავწვდით, ჩვენ ჩვენი, საკუთარი გზით უნდა ვიაროთ. იმიტომ, რომ, უპირველეს ყოვლისა, ჩვენ პატივს ვცემთ უფლებას თითოეული ადამიანისა, იცხოვროს ისე, როგორც თავად სურს, რაოდენ განსხვავებულიც არ უნდა იყოს იგი თავის თანამოძმეთაგან.

ჩვენ და თქვენ საერთო ბევრი არაფერი გაგვაჩნია.

ჩვენ ვიფიქრებთ თქვენს მიერ შემოთავაზებულ წინადადებაზე. თუ დაგთანხმდით, დაგთანხმდებით მხოლოდ იმ პირობით, რომ ნაღდად მივიღებთ თქვენს მიერ შემოთავაზებულ რეზერვაციას. იქნებ იქ შევძლოთ ჩვენებურად გავატაროთ დარჩენილი დღეები ჩვენი ხანმოკლე სიცოცხლისა.

ოდეს დედამიწაზე დარჩენილი უკანასკნელი წითელი კაცი წავა იმ ქვეყნად, ხსოვნა ჩვენი იცოცხლებს ოდენ ვით პრერიის თავზე მოფარფატე ღრუბლის აჩრდილი და სული ჩვენი მამებისა იცოცხლებს ამ მდინარეებსა და ტყეებში. იმიტომ, რომ მათ უყვარდათ ეს დედამიწა, ვით ახალშობილს – გულის ცემა თავისი დედისა.

თუ მოგყიდით მიწას, შეიყვარეთ იგი ისე, როგორც ჩვენ გვიყვარდა და იზრუნეთ მასზე, როგორც ჩვენა ვზრუნავდით და გახსოვდეთ, როგორი იყო ეს მიწა, როცა თქვენ გადმოგეცით, და მოუარეთ მას და შეუნახეთ იგი შვილებს, შეიყვარეთ ისე, როგორც ვუყვარვართ ღმერთს ჩვენ ყველანი.

იმიტომ, რომ ერთი რამ გვწამს და გვჯერა, - ერთია ღმერთი, – ჩვენიც და თქვენიც. დედა-მიწა წმინდაა მისთვის. თვით თეთრკანიანიც ვერ გაექცევა ღვთის განგებას.

იქნებ მართლა ძმები ვართ. ვნახოთ!

ვედრება საქართველოს ვადარჩენისათვის

აკაკი სიხარულიძე

"ასე ელაპარაკა მოსე ხალხს: საბრძოლოდ დარაზმეთ თქვენი ხალხი". (რიცხვნი 31, 1-3)

"უთხრა უფალმა იესოს (ნავესეს ძეს): ნუ შეგეშინდება და ნუ შედრკები; თან წაიყვანე მთელი მეომარი ხალხი, ადექი და დაეცი ჰალაის". (იესო ნავესძე 8,1)

„არა რაი არს ესრეთ ტკბილი, ვითარცა სიყვარული მამულისა." (გაიოზ რექტორი).

"სახელითა მამისაითა და ძისაითა და სულისა წმინდისაითა.

ამინ!

დიდებაი შენდა, ღმერთო ჩუენო, დიდებაი შენდა!

მეუფეო ზეციოთაო, ნუგეშინისმცემელო, სულო ჭეშმარიტებისაო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველსავე ადავსებ მადლითა შენითა, საუნჯეო კეთილთაო და მომნიჭებელო ცხოვრებისაო, მოვედ და დაემკვიდრე ჩუენ შორის და წმიდა მყვენ ჩუენ ყოვლისაგან ბიწისა და აცხოვნენ, სახიერო, სულნი ჩუენნი.

წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდაო, შეგვიწყალენ ჩუენ;

წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შეგვიწყალენ ჩუენ;

წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდაო, შეგვიწყალენ ჩუენ.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ!" *(დაუჯდომელი საგალობელი ყოვლად წმიდისა სამებისა).*

"შამაო ჩვენო,

რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა... ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან.

ამინ!" *(დილის ლოცვა).*

"შვიდ გზისა დღესა შინა გაქებდე შენ, უფალო!!!" *(სახარება.)*

„დიდი ხარ შენ უფალო და საკვირველ არიან საქმენი შენნი" *(დავით წინასწარმეტყველი).*

"...აცხოვნე, უფალო, ერი შენი, და აკურთხე სამკვიდრებელი შენი. ძლევა ჯვარითა ბარბაროზთა ზედა ღმრთივდაცულსა ერსა ჩვენსა მოანიჭე და საფარველსა ქუეშე მისსა დაიცევ, რათა ვიტყოდეთ: უფალო, დიდება შენდა.

ამინ!

დიდება შენდა უფალო, გადაარჩინე და გაამთლიანე საქართველო" *(ფსალმუნი 22).*

"მთათა შინა წმინდათასა, განვიცდით ჩვენ ამაღლებასა შენსა, ქრისტე ღმერთო ნათელო და ბრწყინვალებაო დიდებისა მამულისაო, მივჰხედავთ ჩუენ ხატსა შენსა საკვირველსა, ელვარესა, და განუცდელთა თუალთა მიერ, თაყვანის-ვცემთ შენთა ცხოველსმყოფელთა ვნებათა, და ვადიდებთ საფლავით აღდგომასა შენსა დიდებულსა და პატივს-ვჰსცემთ ყოვლადდიდებულსა და ღვთივბრწყინვალესა დიდებით ამაღლებასა შენსა. შეგვიწყალენ ჩვენ ყოვლადძლიერო მეუფეო შენნი მადიდებელნი" *(მე-3 დასდებელი).*

„შობამან შენმან ქრისტე ღმერთო, აღმოუბრწყინვა სოფელსა ნათელი მეცნიერებისა, რამეთუ, რომელნი ვარსკულავსა მსახურებენ. ვარსკვლავისაგან ისწავლეს თაყუანისცემა შენი, მზეო სიმართლისაო, რომელი აღმობრწყინდი მაღლით აღმოსავალთად, უფალო დიდება შენდა!“ *(ტროპარი).*

„დაგვიცავ ჩვენ, ქრისტე, საფარველითა ჯვარისა ჩვენისაითა“.

„... ძეო მხოლოდშობილო! აჩვენე, უძლეველო, ღმრთეებისა ძალი, აღთქუმაი აღასრულე, აღდგომითა საფლავით არცხვინე მოძულეთა, და ადიდენ, რომელნი ღირსად გადიდებენ შენ!...“ *(გიორგი მერჩულე).*

უფალო, „...დიდი არს ზეშთა ცათა წყალობაი შენი და ღრუბელთამდე არს ჭეშმარიტებაი შენი...“ *(ფსალმუნი).*

უფალო, საქართველო ხომ მუდამჟამს „არა ქვეყნიურსა, არამედ ზეცისასა ზრახავდა“ (ჰოლ. 3,2).

“უფალო, შეისმინე ლოცვისა ჩემისაი, ყურადიღე ვედრებაი ჩემი ჭეშმარიტებითა შენითა... რამეთუ დევნა მტერმან სული ჩემი და დაამდაბლა ქვეყნად ცხოვრებაი ჩემი, დამსუა მე ბნელსა შინა... ნუ გარემიიქცევ პირთა შენსა ჩემგან, და ვემსგავსო მათ, რომელნი შთავლენან მდვიმესა. მასმინე მე განთიად წყალობაი შენი, რამეთუ მე შენ გესავ; მაუწყე მე, უფალო გზაი, რომელსაც ვიდოდი, რამეთუ შენდამი აღვიღე სული ჩემი. მიხსენ მე მტერთა ჩემთაგან, უფალო, რამეთუ შენ შეგევედრე. მასწავე მე, რაითა ვყო ნებაი შენი, რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩემი; სული შენი სახიერი მიძღოდეს მე ქვეყანასა წრფელსა... წყალობითა შენითა მოსრნე მტერნი ჩემნი და წარსწყმიდნე ყოველნი მაჭირვებელნი სულისა ჩემისანი”... *(“პარაკლისი ყოვლადწმინდისა სამებისა”)*

უფალო,

„... შთამნთქა უწყალოდ მხეცმან სულთა მომსრველმან, და აწ შენდა მოვივლტი, ქრისტე, ცხოვრებისა სასოო, – მოყავ ხელი შეწევნისაი, მიხსენ, ვითარ იონა ვეშაპისაგან და პეტრე დანთქმისაგან...“ *(მიქელ მოდრეკილი).*

ძეო ღვთისაო, უფალო იესო ქრისტე, თანაარსო და თანასწორო მამისაო, სიტყვაო მამისაგან მხოლოდშობილო, ჩვენთვის განკაცებულო, ჯვარცმულო, მკვდრეთით აღდგომილო და ამაღლებულო! მეორედ მოსვლისას წყალობით განმკითხველო და შემწყნარებელო მონანულთაო, დიდება შენდა! გევედრები, აღვიდგინო და გააერთიანო სრულიად საქართველო!

სულო წმინდაო, უფალო, მამისაგან გამომავალო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველსავე აღავსებ მადლითა შენითა, უძლურთა მკურნალო და ნაკლულევანთა აღმავსებულო, უფალო, დიდება შენდა!

გევედრები, აღვიდგინე და გააერთიანე სრულიად საქართველო!

ყოვლაწმინდაო სამებაო, ერთარსებაო, განუყოფელო, ერთღვთაებით თაყვანისცემულო, არსისა გამგებელო, დიდება შენდა!

“ჩვენ, მორწმუნე ქართველთა მოგუეცი სიბრძნეი და აღვიარებთ დღეს სამგუამოვანსა ღმერთსა, ბუნებით გამოუკვლეველსა და ანგელოსთა თანა თაყუანის – ვჰსცეთ მამასა, ძესა და სულსა წმიდასა, სამებასა უღაღადებთ ერთარსებასა განუყოფელად, ღმერთსა და უფალსა საუკუნეთასა. სამებაო წმიდაო, დამბადებელო დაბადებულთაო, უშრომელად მოქმედო და მაცხოვარო მართმადიდებელთაო, არცხვინე მხდომთა მათ ჩუენთა მწვალებელთა და ჩუენ ხმა ვყოთ, კურთხეულ ხარ შენ. სამგუამოვნებით ცნობილო, მამაო ღმერთო მშობელო, ძეო შობილო და სულო განმაცხოველებელო, გუაცხოვნე მოწმუნენი შენნი. ერთობით ვადიდებთ სულსა ყოვლადწმიდასა თანასწორსა მამისა და ძისასა. დიდებაი შენდა, სამებაო, ყოვლად წმიდაო, ერთარსებით, ბუნებით განუყოფელო, გვიხსენ ჭირისაგან, რომელნი გალობით გადიდებთ შენ. ჰოი, ყოვლად წმიდაო სამებაო, რომელმან დიდითა კაცთმოყვარეობითა შენითა პირველსა მას საუკუნესა მოიხსენე ერიცა ჩუენი ქართუელთაი, დედისა ღმრთისა წილხვედომილად ჰყავ იგი და წმიდათა მიერ მოციქულთა ანდრეა პირველწოდებულისა, სვიმონ კანანელისა და მატათასითა შრომითა და მოღუაწებითა მოიმუშაკე იგი. გევედრებით სახიერო უფალო, გარდამოიხილე ზეცით და იხილე და მოხედე ვენახსა ამას – სამკვიდრებელსა ქართველთა და მკვიდრსა მას ზედა ერსა ჩუენსა, მრავალგზის კუეთებულსა და შეჭირვებულსა მძლავრებისაგან ბოროტისათა და განამტკიცე იგი, მადლითა სულისა წმიდისაითა და ლოცვითა და მოღუაწებითა მათითა კეთილად წარუმართე სლუაი ერსა ჩვენსა გზასა ზედა ცხონებისასა.” *(“პარაკლისი ყოვლადწმინდისა სამებისა”)*

გევედრები, აღგვიდგინო და გაართიანო სრულიად საქართველო!

ძეო ღვთისაო, სულო წმინდაო, ყოვლადწმინდაო სამებაო, მუხლის მოდრეკით გევედრები, გააერთიანო სრულიად საქართველო!

„შობამან შენმან, **ღმრთისშობელო ქალწულო,** სიხარული აუწყა ყოველსა სოფელსა, რამეთუ შენგან აღმოგვიბრწყინდა მზე სიმართლისა, ქრისტე ღმერთი ჩუენი დახსნა წყევა, და მოგუმადლა კურთხევა და განაქარვა სიკუდილი, და მოგვანიჭა ჩუენ ცხოვრება საუკუნო“ *(ტროპარი).*

“...ღვთისმშობელო ქალწულო, გიხაროდენ! მიმადლებულო მარიამ, უფალი შენ თანა! კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა, რამეთუ მაცხოვარი გვიშევ სულთა ჩვენთა“.*(“პარაკლისი ყოვლადწმინდისა სამებისა”)*

ღვთისშობელო, შენს კალთებს ვენაცვალე!

ამინ!

“სამართლად კადნიერებით მოვილტვით მოწყალისა ხატისა შენისა მომართ, ღმრთისმშობელო და ლმობიერებითა ვხმობთ მისდა მომართ: გარდამომივლინენ მდიდარნი წყალობანი შენნი: განამტკიცე ეკლესია ჩუენი, კეთილდღეობანი კაცთანი დაიცევ და იხსენ ქუეყანა ჩუენი ყოვლისაგან გარემოდგომილებისა, ერსა ამას მშვი-

დობა მოჰმადლე და აცხოვნენ სულნი ჩუენნი“ *(ვედრება ღვთისმშობლისადმი).*

„ნუ დაგვივიწყებ, სანატრელო, უძლურებასა და დახსნილობასა შინა მყოფსა ერსა შენსა და წმიდითა ლოცვითა შენითა გვიხსენ განსაცდელთაგან, აღგვიდგინე ერთობა მამულისა, მტერისა მიერ დარღვეული“ *(გრიგოლ ხანძთელი).*

ჰოი, ყოვლად მოწყალეო ღვთისმშობელო, მოწყალებითა შენითა აცხოვნე და შეიწყალე ღვთივდაცული ერი ჩვენი და მეუფება მისი.

“სიტყვისა ღვთისა მსახურთა თანამოსაგრეო და ანდრიას ქადაგებისა წარმართებაო, ქართველთა განმანათლებელო და სულისა წმინდისა ქნარო, **დედაო ნინო,** ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის“ *(ტროპარი).*

“ქართველთა დედათა მწუხარებისა ცრემლთა დამშრეტელო; ბნელთა ეშმაკთა წყლულებით და გვემით განმხდელო ძალო; ვაზო საღმრთოსა სიტკბოებისა მადინებელო ჩვენდა; საღმრთოო ტარიგო და მწყემსო; მრავალხმოვანო საგალობელო ქნარო; რომელმან სამოთხისა და ცათა საშვებელისა სამეფოსა კარნი განმიხვენ ჩვენ; რომელი მარადის გვიწყალოებ ზეციერსა მადლსა საღმრთოსა; ყოველთა ნათესავთა ქართლოსიანთა საუკუნოდ მხიარულებად წინამძღომელო; არმაზებრივისა კერპოვნებისა სიმრავლესა დაფარულსა ზაკვასა მათსა საჩინოდ მამხილებელო; ხეო ფრიად შვენიერო, რომელი გამოიღებ მარადის უკვდავებისა ნაყოფსა; რომელმან განგვიღე და განგვიმზადე ზეცათა იგი საშვებელი; ქუხილო სულთა ბოროტთა შემაძრწუნებელო; ყოვლად წმიდა ხვთისმშობლის მიერ ვაზის ჯვრით განბრწყინებულო და ღვთისა მიერ შემწირველო; ყოვლისა შემძლებელითა ლოცვითა შენითა და ვაზისა ჯვრითა შენითა, დაიცევ ღვთივ დაცული მართლმადიდებელი ერი ჩვენი. აღადგინე და გააერთიანე საქართველო.

წმიდაო ნინო, „... აღზდექ ზენაითა მით ძლიერითა შეწევნითა შენითა მტერთა ჩვენთა ჩვენზედა აღდგომილთა და შეჰმუსრენ მკლავნი მათნი ბარბაროზებრივნი მრავალ ღონებით ჩვენზედა განმარტებულნი და მოუღენ ძალი და ძლიერება მათი ყოვლად ძლიერითა ქრისტეს მეუფისა ჩვენისა უძლეველისა ძალისათა! და სრულიად უკუნ აქცევდა დედაო ტკბილო სანატრელო... დღითი დღედ მომავალთა მომსრველთა სიმრავლეთა წარმართთასა და წარტყვენვად ჩვენ ზედა აღჭურვილთა და ვიდრე აღსრულებადმდე და აღკრებადმდე სოფლისა ამის ამაოებისა ჰგიებდე ჩვენთანა განუშორებელად...“ *(ლოცვა წმინდა ნინოს მიმართ, სათქმელი მუხლთ მოდრეკით).*

“წმინდა ნინო, მოციქულთა სწორო, დაო და დედაო, ღვთისმშობლის დობილო, შენზედ ვართ მონდობილნი და შენი შენდობით არ გადავშენდებით“ *(გრიგოლ რობაქიძე).*

“ტყუეთა განმათავისუფლებელო და გლახაკთა ხელისაღმპყრობელო, სნეულთა მკურნალო და მეფეთა უძლეველო, წინამბრძოლო, ღვაწლით შემოსილო, **წმინდაო დიდო მოწამეო გიორგი,** ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის.“

წმინდაო გიორგი, შენ ხომ შენს თეორ ცხენზე შემოისვი უცხო ქვეყანაში გატაცებული ქართველი ბავშვი და საქართველოში თავის დედ-მამას ჩამოუყვანე, ასეთი რამდენი გაგიკეთებია. წმინდაო გიორგი, ძალზედ დიდია შენი მეოხების იმედი, იმდენად დიდი, რომ თორმეტმა ქართველმა მეფემ გიორგი დაირქვა სახელად. შენი მუხლისა და შენი სახელის ჭირიმე, წმინდაო გიორგი, გევედრები, ლოცვითა შენითა, გააერთიანო და აღადგინო სრულიად საქართველო.

„ქრისტეშობიდან 41 წელს ნაწამებო პონტოს ლაზეთში მცხოვრებნო და-ძმანნო, ბერძნებად მიჩნეულო ძირძველნო ქართველებო: **მაქსიმეო, თეოდოტენო, ასიქიოსო** და **ასკლეპიოდოტეო:** „დაუსაბამოისა სულის ხატებით, ქრისტეს რწმენისა მადიდებელნო წმინდანო მოწამენო, მძვინვარი ზეადმატებული ტანჯვა-წამებანი დაითმინეთ და ტირანთა მიმძლავრებაი არარად შერაცხეთ. არამედ შეურყევლად და მოუწყვლელად ქრისტიანობაი დაიმარხეთ, ხოლო ჩვენი კადნიერად გევედრებით ღმრთის წინაშე მდგომნო მოწამენო, მოგვმადლეთ დიდი წყალობაი!“ *(“დაუჯდომელი საგალობელი ლაზეთში მცხოვრებ და-ძმათთვის”)* და გადაგვირჩინე საქართველო!!

„სვეტო, ღმთივ-ამადლებულო, თაყვანის-გცემთ, კვართო საუფლოო და მირონო წმიდაო, ჯვარო ქრისტეს ღმრთისაო, თაყვანის-გცემთ, რათა მოსცე ძლევა ღვთივ დაცულსა ერსა ჩვენსა, შენ მიერ უხვებით გვირგვინოსანსა“ *(ვედრება სვეტიცხოვლისადმი).*

ჯვარო პატიოსანო, ცხოველმყოფელო, თაყვანისცემით გევედრებით: გაგვიმთლიანე სრულიად საქართველო. ჩვენც ხომ, მაცხოვრის მსგავსად, ჯვარცმასა და ტანჯვას ვტვირთულობთ და მოვაკვდინებთ ხორცსა ჩვენსა. წინ მიგვიძღვი და მხიარულგვყოფ გულითა, გვამხნევებ სასოებითა და ნუგეშინისგვცემ. სნეულებანი უსჯულოებათა ჩვენთანი განდევნე და მარადის შეგვეწიე ღმერთის ძალით. განამტკიცე ერი ჩვენი, რათა მზად ვიყოთ მეუფის მისაღებად და ბრწყინვალე ქება მივაგოთ მას გამარჯვებისთვის!

ჯვარია ჩვენს გულში და ჯვარია ჩვენი დიდება!

ჯვრის წინაშე ხომ ძრწის ყოველივე! მაშ, ჯვარო პატიოსანო: გაგვიერთიანე და გაგვიმთლიანე სრულიად საქართველო!

საქართველოს ჯვარი ხომ მუდამ ყველაზე მძიმე იყო – დღესაც ხომ ასეა უფალო, რადგან დარღვეულია საქართველოს ერთიანობა.

ჯვრის ძალამ გვაცხოვნოს ჩვენ, აღგვიყვანოს მიწიდან ზეცამდე!

“ვაზის ჯუარო, სამგზის სანატრელო, ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისა წმიდათა ხელთა მიერ შეკრულო, ჯუარო ვაზისაო, მადლითა ღმრთისაითა ქუეყანისა ჩუენისა განმაბრწყინვებელო; მადლითა მით გულთა ჩუენთა აღმავსებელო; ვაზისა ჯუარო

ყოვლად საგალობელო, რამეთუ ლიტონიობდენ წინაშე შენსა მამანნი ჩუენნი; ჯუარო ვაზისაო, უმანკოისა ყრმისა, წმიდისა ნინოისა თმითა შეკრულო, მოძღუარო სულთა და ხორცთა სიწმინდისა და მარხვისაო; ვაზისა ჯუარო ყოვლადსადიდებელო, წინამძღოლო და მფარველო ქართველთა ნათესავისა მძიმესა და მრავალვნებულსა გზასა ზედა მისსა; ნუგეშინისმცემელო და აღმადგინებელო ჩუენო; ჯვარო ვაზისაო, ექმენ ზღუდედ და ფარად მამულსა ჩუენსა; მოანიჭე ერსა ჩუენსა ძლევაი ყოველთა მტერთა და საცთურთა ზედა სადიდებლად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე." *("ქებაი შესხმისაი ვაზისა ჯუარისი")*

ჯვარო პატიოსანო, გაგვიერთიანე და გაგვიმთლიანე სრულიად საქართველო!!!

ხელთუქმნელო ხატო უფლისაო – ანჩისხატად წოდებულო, უდიდესო სიწმინდეო ქართველი ერისაო, „იხარებ დღეს, იხარებ ქართველთა სამეუფოო, ერთმორწმუნეთაო, რამეთუ არასადა უმრწემეს გყო შენ ქრისტემან, არამედ მოგცა ხატი თვისი დიდებული, რომელი თვით მან დაჰბეჭდა პირითა თვისითა უცვალებელი სახე განკაცებისა თვისისაი გარდამოცემული პირმშოისა მისგან" *(წმ. არსენ კათოლიკოსი).*

"ნეტარ არს ერი იგი, რომელმან იცის გალობაი და დიდებაი და შესხმაი შენი, ხატო არსთა, ხსნად განკაცებულისა ძისა ღმრთისაო, მეოხო მარადის მოსავთა შენთაო. ნეტარ არიან მოსავნი და მადიდებელნი შენნი და თაყვანისმცემელნი მაცხოვრისა, ხატო საშინელო, რამეთუ მადიდებელთა და თაყუანისმცემელთა ადიდებ და მავედრებულთა მისცემ თხოვასა და აღუსრულებ. მოვილტვით შენდა მომართ და ვითხოვთ მოწყალებით შეგვიწყალენ, ანჩისხატო საშინელო. ტკბილი, სახიერი და მოწყალე პირი შენი დაატკბე ჩემზედა, ხატო საშინელო, რამეთუ შენ ხარ შუებაი და სიხარული და ნუგეშინისმცემელი და ხელის აღმპყრობელი. გუამოვნებით სამო, ბუნებით ერთო, მხოლოო მარტო უცვალებელო ხატო მამაო და ძეო და სულო წმიდაო, გვიხსენ ყოველთა განსაცდელთაგან. გვიხსენ ჭირთაგან მოსავნი შენნი და მგალობელნი და თაყუანის-მცემელნი სახესა ჩუენთვის განკაცებულისა ხატისა შენისა წმიდისასა. დღე და ღამე ერი მგალობელი შენი და მადიდებელი შენი იხსენ, რაითა მადლობით ვიტყოდეთ, ხატო საშინელო, დიდებაი წყალობათა შენთა. ჩუენთვის განკაცებულო, ღმერთო, სიტყუაო მამისაო, ქრისტე, გვიხსნენ ყოველთა ჭირთა და განსაცდელთაგან მოსავნი ესე შენნი და თაყვანისმცემელნი ხატისა შენისანი, მოწყალეო, წყალობანი შენნი მოგუანიჭენ. მოვედ და დაემკვიდრე ჩუენ შორის. შენს ზეციერ ფრთებქვეშ სიყვარულით შეგვკრიბე და დაგვიფარე შვილნი შენნი, რომელნიცა კუალადცა გიხმობთ აწ ხელთუქმნელად ხატზე გადასულსა და ამ ხატიდან შენი მცნობელი და თაყუანისმცემელი ერის ცხოვლად შემსმენელსა. ხატო არსთა ხსნად განკაცებულისა ძისა ღვთისაო, ხსნად ივერიელთა სამეფოისათვის მობრძანებულო, ქრისტეანეთა ხატთა დასაბამო: ანჩისხატო – სასწაულითა საშინელო და ზეხატად წოდებულო, შიშითა და კრძალვით გევედრებით აწ არა ორი და სამი, არამედ სრულიად მართლმადიდებელნი ივერიელნი, მამულისა და სარწმუნოებისათვის შენზედ ერთობით მლოცველნი: მოგვმადლე ძალა ერთობისა და ლოცვისა, რაითა მოწვდენილ იყოს ხმაი ერისა შენამდე. ივერიელნი შეგვიწყალენ, ყოველთა ურჯულოებათაგან გამოგვიხსენ და გუაცხოვნენ ჩუენ მაცხოვრისა ხატო საშინელო. წმიდისა ამა ხატისაგან, რომლისა პატივი პირმშოისა სახისად აღიწევის, ძეო ღმრთისაო, აღგვისრულე ვედრებაი ერსა შენსა და წაგვიმართე მომავალი ნებისაებრ შენისა, რათა გააერთიანო და გადაარჩინო საქართველო." *("პარაკლისი წმიდისა ანჩისხატისა").*

წმიდანო მთავარანგელოზნო უფლისაო, გვაშორე მაცდური ბოროტი სულნი, სძლიეთ და შემუსრეთ ხილული და უხილავი მტერნი საქართველოისი და ევედრეთ ყოვლისამპყრობელ უფალს, გვიხსნას და დაგვიფაროს ჩვენ ყოველი ურვისაგან. მორწმუნეთათვის ღვთის წინაშე მეოხნო, ევედრეთ მის სახიერებას, რათა გვიხსნას ყოველი უბედურებისაგან და აღადგინოს და გააერთიანოს საქართველო.

"უფლისა იესო ქრისტეს პირველ წოდებულო, **წმიდაო დიდებულო ანდრია,** მოციქულთა დასაბამო, დაუსაბამოისა სიტყვისა პირველ მზრახველო, სიყრმით შენითგან უფლისა მაძიებელო, რომელმან პირველმან უწოდე ქრისტეს მესია; ცისა და ქვეყნისა შემოქმედმან უწინარეს საუკუნეთაი ინება ცხადად გეხილა უფალი, ყურთა შენთა ესმინა სიტყვანი მისნი, ხელთა მისთაგან მოგედო საზრდელი, შენზედა გარდმოევლინა ნიჭი სულიწმიდისაი და დასასრულ მისებრ გევნო ჯუარსა ზედა. გიგალობთ და გადიდებთ იმა საქმეთათვის, რისთვისაც დაშუერ, წმიდაო მოციქულო. ივერთა პირველო მახარობელო და წმიდა ნინოსათვის გზათა გამკვალაო; ქართველთა სიქადულო და კადნიერებაო; დაუვალი მზის ნათელსა შინა პირველო მოციაგე ვარსკვლაო; ხარობს ტომი ქართველთაი, რამეთუ მიჰგვარენ მათდა სანუგეშოდ ხელუქმნელი ხატი ღვთისმშობლისაი; ივერთა მოდგმის სასოებაო და სიქადულო; დასაბამო მოციქულთაო; ლოცვითა შენითა დაგვიცვენ ხილულ და უხილავ მტერთაგან და განგვარიდენ შიდა და გარე შფოთთაგან; ევედრე უფალსა ღმერთსა საქართველოს აღდგენა და გამთლიანება!" *(დაუჯდომელი საგალობელი წმინდისა და ყოვლად ქებულისა მოციქულისა ანდრია პირველწოდებულისა".)*

"მოციქულო ქრისტესაგან აღრჩეულო და მახარებელო, სათხეველითა საღმრთოისა ქადაგებისა შენისათა სულთა მრავალთა ხსნად აღმომყვანებელო და კერპოვანების სიბნელითა გონებადაბნეულთა ქრისტესად მომაქცეველო, **ნეტარო სვიმონ კანანელო!** ღმერთკაცის კეთილი ნებით და მობრძანებით მადლშემოსილსა, ვითარცა ღვთისმხ-

ილველსა და მის რჩეულ მოწაფეს, ლმობიერად გიგალობთ; ერთგულო მსახურო განკაცებულისა სიტყვისა ღვთისაო; ქვეყნიერების კიდეთა დამამშვიდებელო მშვიდობითა ამითაო; აღვირმსხმელო კერპთმსახურების ძველთა მტრობათაო; თვითმხილველო და საქვეყნოდ განმაცხადებელო ქრისტეს ჭეშმარიტი აღდგომისაო; მსმენელო ღვთაებრივისა და სიხარულევან ხმისა მისისაო; ახალ ნოედ, ქრისტეს მაცხოვნებელი რწმენის კიდობნის წინამძღვრად იბერიასა შინა აღგიარებთ შენ, სვიმონ ღვთისმღაღადებელო და ვითარცა იბერიის ეკლესიის ფუძის დამდებსა, პატივს მოგაგებთ შენ; სიცოცხლის საწყისის – ყოვლადწმიდისა სამებისა ერთგულო მსახურო; მოციქულთა საფუძველო და შვენებაო; რწმენითა და სიყვარულით გევედრებით ღვთივგაბრძნობილო; ლოცვითა შენითა დაგვიცევ და დაგვიფარე; გამოგვითხოვე მაღლით შეწევნაი ჟამსა უიმედობისა და უმწეობისა ჩუენისასა; და არა შეგვაბრკოლოს კლდემ საცდურისამ, არამედ შეურყეველად ვსდგეთ ქრისტეს მცნებათა მხსნელ გზაზედ. მადლი და წყალობა გამოგვითხოვე ღვთისაგან, მოციქულო მხსნელისაო, სვიმონ ღმერთშემოსილო, ვითარცა გაქვს კადნიერება წინაშე ღვთისა, ევედრე მის სახიერებას, რათა გაამთლიანოს და გააძლიეროს საქართველო!" *("სვიმონ კანანელის დაუჯდომელი საგალობელი").*

"კაცთა შორის საკვირველო მეფეო და დიდებულო მოღუაწეო, **წმიდაო ვახტანგ გორგასალო!**

საგალობელ არს ყოვლად წმიდაი ღუაწლი შენი, და სახელი შენი დიდ-საქებელი. უძლეველსა, ქებით შეგამკობთ მორწმუნენი და შეგასხამთ სამადლობელსა გალობასა. გზაი უცდომელი, ზეცად აღმყუანებელი გუასწავე მგალობელთა შენთა. სამშობლოისა ქუეყანაისა სიყუარულითა აღგზებულო. თარგამოსიანთა მეფეთა წინამძღურად და მამად წოდებულო. ჯუარისა ქრისტეისისა ბეჭთა შენთა ზედა მტვირთველო. ბოროტისა განმზრახველთა და ქუეყნისა მაოხართა ზარდამცემო. გმირო იალბუზისაო, გოლიათო, მთისა კავკასიონისა მომდრეკელო. უძლეველო, დარიალანისა კარისა დამხშველო. ოვსთა და ხაზართა ქედმაღლობისა და კადნიერებისა დამამდაბლებელო. განლაღებულთა მათ ბარბაროზთა ღონისა შემმუსრველო. ერისა შენისა მრავალთა წყლულებათა განმკურნელო. მეფეთ შორის უძლეველო, – გორგასლან, ხოლო „ვახტანგიან – გორგასლიანი" ეწოდა დროშასა ქართლოსიანთასა, ამისთვის სიხარულით აღვივსებით და საღმრთოსა ამას გალობასა შევსწირავთ ღმერთსა. მტერთა და მბრძოლთა შენთა მოყუარედ მომაქცევალო. მოყუასთა შემაერთებელო და მტერთა დამლახვრელო. კაცთა მამულად სამსახურებელად და წესიერებად მომყვანებელო. მახვილო ორლესულო, განმკვეთელო ბოროტმსახურებისაო. ანდერძად ამცნე სახლეულსა შენსა და ერსა: სიყვარული რაითამცა მტკიცედ დგენ სარწმუნოებასა ზედა და ეძიებდენ ქრისტესთვის სიკუდილსა. ღვაწლითა შენითა მამულისა წყუდიადისა განმაცისკრებელო. სულიერისა მღვიძარებისა ზარისა დამარისხებელო. ყოველთა ბოროტთა ზნე-ჩვეულებათა აღმკვეთელო. მწყემსო კეთილო, განბნეულთა ცხოვართა შემკრებელო და ჭეშმარიტისა ღმრთისა მიმყუანებელო. ფარნავაზისა ბრწყინვალეთა ძლევათა აღმადგინებელო.

წმიდაო ვახტანგ გორგასალო! აწ შეგვეწიე და ყოველნი ქალაქნი და სოფელნი ივერიისანი უცხო თესლთა ზედა მოსვლისაგან დაიცევ. აწ იხილე ურიცხუთა მტერთა საფრთხენი განფენილად ბოროტად ნათესავსა ამას ჩუენსა ზედა და გვიხსენ ურთიერთმძლავრებისა და შინაგანცემისაგან, რამეთუ განძლიერებაი ერისაი ითხოეს ერთობასა, რაითა სიყუარულითა ღმრთისა და მამულისაითა ერთ ზრახვად შეკრულნი მარადის გაქებდეთ შენ, ჭეშმარიტად საქებელსა, აწ გვიოხე ქრისტეს მიმართ და გვითხოვე, გარე წარაქციოს რისხვაი აღდგომილი ჩუენ ზედა, და ლაზარესაებრ აღვიდგინოს მამული ჩუენი – საქართველო – პირველსავე დიდებასა, რაითა არა დასათრგუნველ ვიქმნეთ მარბიელთა უცხოთა ტომთა და ნათესავთაგან, და წმიდათა არსითა და ალილუიათი დაუბრკოლებლად შევამკობდეთ სამებასა განუყოფელსა და შეურყვნელსა.

ჰოი, საღმრთოთა მადლითა განბრწყინვებულო, წმიდაო მეფეო ვახტანგ გორგასალო! კეთილმსახურებრითა კადნიერებითა ევედრე ქრისტესა ღმერთსა, რაითა დაიცვას მამული ჩუენი მტრისა საფრთხისაგან და ძმათა მტრობისაგან, და წყალობითა მოხედოს დედისა თვისისა წილხვდომილსა ერსა ჩუენსა.

წმინდა მეფეო, ვახტანგ გორგასალო, უბადლო მხედართმთავარო, სასოებითა ქრისტესითა და წინამძღვრობითა ჯვარისათა, კვლავ წარუძეხი ქართველ ერს და დაიცავ საქართველო. ლოცვითა მით შენითა წმიდითა მამულისა წყდიადისა განმაცისკრებელო, ქრისტესათვის სიკუდილისა მეძიებელო, ერისა შენისა მაკურთხეველო, მირულებულთა და მთვლემარეთა უდებებისა განმაფრთხობელო, ბოროტისა განმზრახველთა და ქუეყანისა მაოხართა ზარდამცემო. თარგამოსიანთა ნათესავისა ერთზრახვად, ერთ-სულად და ერთ-ნებად შემკვრელო, ერთმორწმუნეთა შორის შუღლისა და მტრობის სიყუარულითა და მშვიდობით შემცვალებელო, მტერთა და მბრძოლთა შენთა მოყუარედ მომაქცეველო, კლარჯეთისა და აფხაზეთის შემომტკიცებელო კუალად ქუეყანასა შენსა და საზღვრისა იბერიისა განავრცელებელო, სატანისა მახეთაგან და უცხო თესლთა ზედა მოსლვისაგან დამცველო, ძალაო და დიდებაო იბერიისაო, მწყემსო კეთილო, განბნეულთა ცხოვართა შემკრებელო, გერწმუნა რაი საყდარი ფარნავაზისი და სკიპტრაი მირიანისი, მეფობდი კეთილგონიერად და აღამაღლებდი ჯუარსა საღმრთოისა ძლევისასა. გარნა აწ მტერნი იგი ჭეშმარიტებისანი იღუწიან, რაითა ერი შენი, წმიდაი და საზეპუროი, გამოაჩინეს ერად ბნელისა, ხოლო შენ დააცხრვე განსაცდელთა ღელვაი

განძვინებული და დაგვიცავ წვალებისაგან და სჯულისაგან უცხოისა. შენცა მძლე ექმენ სხუათა უმეტეს ბუმბერაზთა, ოვსთა – თარხანსა და ბაყათარსა, შემდგომ აღუზახე სპათა თვისთა და ბრძოლათა შინა უსასტიკესთა სძლე რაი ოვსთა და ხაზართა. წარხუედ ბრძოლად ბერძენთა ზედა, რამეთუ სიმამაცითა ფრიადითა ეძიებდი მათ მიერ წარტყუენილსა ეგრისსა და აფხაზეთსა. მაზდაენთა საკერპენი დაამხუე მცხეთას, ხოლო ყოველნი ბოროტად მადიდებელნი, ვითარცა მგელნი განიოტენ და სამწყსოი შენი განუხრწნელად დაიცევ და ერსა ჩუენსა მშვიდობაი მოჰმადლე. გვიხსენ ურთიერთმძლავრებისა და შინაგანცემისაგან, რამეთუ განძლიერებაი ერისაი ითხოვს ერთობასა.

წმიდაო ვახტანგ გორგასალო, კეთილმსახურებითა კადნიერებითა ევედრე ქრისტესა ღმერთსა, რაითა დაიცვას მამული ჩუენი მტრისა საფრთხისაგან და ძმათა მტერობისაგან, და წყალობითა მოხედოს დედისა თვისისა წილხვდომილსა ერსა ჩუენსა, მტვირთველსა საუფლოისა ჯუარისაისა და გააერთიანე სრულიად საქართველო." ("დაუჯდომელი წმიდა მეფისა ვახტანგ გორგასალისა).

"საკვირველება, რომელი ქმენ უფალო, წმიდისა შენისა შორის კეთილმსახურისა მეფისა **დავით აღმშენებლისა,** ზესთა აღხდების გონებასა სიტყვის მოქმედთასა რამეთუ ადიდე იგი სახელისათვის შენისა, ვიდრე დახსნამდე სარკინოზთა ბრწყინვალეთა მიერ ძლევათა ყოვლად საკვირველთა, ხოლო, შემდგომად დახსნისა სარკინოზთასა დიდებულ ჰყავ ნიშთა მიერ საკვირველთა, რომლისა ოხითა მოეც საქართველოს დიდი წყალობა. წმიდაო დიდო კეთილმსახურო მეფეო დავით აღმაშენებელო, მეოხ გუეყავნ ჩვენ, ერი შენნი და კვლავ აღვიდგინე და გაგვიმთლიანე საქართველო!" ("დაუჯდომელი წმიდა მეფისა დავით აღმაშენებლისა").

ღმრთივსათნოთა მეფობითა და საქმითა მოღუაწებისაითა განბრწყინებულო, **წმიდაო თამარ!** ზესთამბრძოლო ქართველთაო და სიქადულო დედათაო, სიმტკიცეო და ძალო სარწმუნოებითა შენდამი მოლტოლვილთაო! წმიდათა შორის დიდებულო და დედათა შორის კეთილმსახურებითა განბრწყინვებულო. იესოს ნერგო, მორჩო დავითისაო, ხატო დედათა კდემამოსილებისაო, აღმოყუავილებულო რტოო სიწმიდისაო, დიდებაო ქვეყანისაო, სამართოო საყვირო მართლმადიდებლობისაო,ძალაო და დიდებაო მეფეთა სკიპტრისაო,საცნაურო მზეო,მნათობო ივერიისაო,მამულისა ვენახისა კურთხეულისა მუშაკო დაუცხრომელო და უფლისა მიერ სუეამაღლებულო, თარგამოსიანთა მეფედ და წინამძღურად წოდებულო, მდვიძარე მწყემსად გამოუჩნდი ერსა შენსა, მეფეთა შორის ღუაწლისა მძლეო თამარ! გარეგან ცხოვართაითა მოსილთა და შინაგან მგელღმრთისმსახურთა დამამხობელო და განმთხეველო, განძვინებულთა მხეცთა გულებისა მომალბობელო, სირცხვილითა აღავსენ ორგულნი ერისანი და ყოვლითა უპატიოებითა, ეგრეთცა კადნიერებაი მათი შეჰმუსრე, დიდებაო და ძლიერებაო მამულისა ჩვენისაო, მიურულებელო მცველო და განმაძლიერებელო ივერიისაო, ერისა შენისა ღირსებისა დამცველო, ივერიელთა მტერობისათვის ყოველთა შემაძრწუნებელო და დამამდაბლებელო, ურჯულოთათვის შიშის ზარისა დამცემელო, ისმაიტელთა ქედმაღლობისა დამამცირებელო, „ტრაპიზუნტის იმპერიის" დაფუძნებითა სამზღუართა ქუეყანისა შენისაითა დამცველო, დედობრივისა შენისა გულმოწყალებითა შეგვაწყნარენ შენ მიერ შეყვარებულსა ტკბილსა იესუს, ღმერთსა ჩუენსა, რაითა უსაზღვროითა მოწყალებითა თვისითა მოხედოს დედისა თვისისა წილხვდომილსა ერსა ჩუენსა, დაიცვას მტერისა საფრთხისაგან და ძმათა მტრობისაგან, აღგვიდგინოს ცხებული ძირისაგან დავითისა, რომელი ძალითა ჯუარისაითა მოჰკრძალავს ზოგად ყოველთა საზღუართა საქართველოისასა და აღამაღლებს და აღადგენს სიმაღლესა და ძლიერებასა ჩუენსა.

წმიდათა შორისა საკვირველო კეთილმორწმუნეო მეფეო თამარ, რომელმან კლდესა ზედა მაღალთა აღაშენენ საყდარნი სავედრებლად ღმრთისა, ლოცვითა შენითა განაძლიერე მხედრობანი ქრისტეს მოყვარისა ქართველისა ერისანი, ხოლო მარჯვენითა შენითა დაამხვენ სპანი აგარიანთანი.

ჰოი, გვირგვინოსანო თამარ, დიდებულო! კუალად აღიპყრენ ღუაწლით შემმოსილნი ხელნი შენნი ზეცათა მეუფისა მიმართ, რომლისა წინაშე ღმრთივ-ბრწყინვალითა გვირგვინითა დიდებულ – ხარ, სანატრელო, და გვითხოვე, რაითა მოჰმადლოს საქართველოს დიდებაი!" ("წმინდა თამარ მეფის დაუჯდომელი").

"დიდმოწამეობისა საკუმეველო და ცათა შინა განფენილო სულნელო ღმრთეებრივო, **წმიდაო დედოფალო ქეთევან!** დავითისა ქნარისა ხმოვანებაო, მძვინვარისა ბელიარისა მძლეველო, ქრისტესა სიყვარულისათვის ტანჯვისა სასუმელისა მსმეველო, უშჯულოთაგან ხორცითა განრეკილო, მგლოვარისა მის გულისა ცრემლითა დალტობილო, რომელმან ფრიადისა ტანჯვისა საკვირველითა მით დათმენითა შენითა ჩვენნი გონებითნი საცნობელნი მოიხელოვნე, კდემულებისა ხატო ბრწყინვალეო, ჩვენთა გულთა და გონებათა მომზავებელო, ხორციელითა მით ტანჯვითა შენითა სულისა მარადისისა სიხარულისა მენიშეო, პატიოსნისა ცრემლისა ხატო, რომლისაგან ნუგეშინისცემულ – ვიქმნებით ქრისტეანენი, განცოფებულისა მის მუჰამედისა შჯულისა უარისმყოფელო და ქრისტესა წარუვალსა სიყვარულსა ზედა დადგრომილო, წამებულითა მით ხორცითა შენითა წმიდასა სანაწილესა მიმთხვეულო, მოწამეო განსაკრთომელო, რომელმან ქრისტესათვის გვემისა ჯერჩინებითა მაცხოვარისა ჯვარცმისა ხატებაი განგვიახლე, მხურვალითა მით შანთითა განრღვეულო, ცეცხლოანთა მათ სამსჭვალთაგან განხვრეტილო, ქრისტეს მიერსა სამსხვერპლოსა ზედა ტარიგისაებრ აღსრულებულო, მზორვეთა მათ წარწყმედულთა გამაწბილებელო, გვემულე-

ბასა შინა დედოფლობისა პატივისა დამმარხველო, წუთისოფლისა პატივისაგან განძარცულო, ზეშთასოფლისა დიდებითა შემოსილო, მსოფლიოისა ზრუნვისა დამტევებელო, ღმერთშემოსილთა მამათა მიერ კურთხეულო, სამღდელოისა კვართისა უბიწოებაო, ქრისტეს მიერისა საწყაულითა აღწონილო, ღმრთისა სიტყვითა გამოხურვებულო, ჩვენთა დაბრმობილთა თვალთა აღმხილველო, მწუხარებასა ზედა სიხარულისა მჩენო, კურთხეულო ზეთო საცხებელო. წმიდაო დედოფალო ქეთევან, წმიდათა მათ მოწამეთა თანა მემწყობრემან გვიოხე წინაშე ღმრთისა, რაითა ყოვლადსახიერმან შემოქმედმან ჩვენმან აცხოვნოს და შეიწყალოს ღმრთივდაცული ერი ჩვენი და მეუფება მისი, ევედრე ქრისტესა ღმერთსა და გაგვიმთლიანე საქართველო. *("პარაკლისი წმიდისა მოწამისა ქეთევან დედოფლისა").*

"ჰოი, ყოვლადდიდებულო, ღმრთივუგვირგვინოსანო, მოწამეო, **დედუფალო შუშანიკ,** ანგელოზთა თანა შეერთებულო, მოციქულთა თანა პატივცემულო, მოწამეთა სრულებაო, მამათა დიდებაო, ქალწულთა შუენიერებაო, მვედრებულთა შენთა მსწრაფლშემწეო, თხოვათა აღმასრულებელო და წყალობისა მომნიჭებელო. ღუაწლთა შენთა სიმრავლისა მაქებელნი ვითხოვთ ქრისტესგან, მეოხებითა შენითა სოფლისათვი მშვიდობასა და დიდსა წყალობასა. ჰო, ყოვლად ბრწყინვალეო, ქრისტეს მოწამეო, დედუფალო შუშანიკ, ბრწყინვალებითა ელვარებისა სიწმიდისა შენისათა განაბრწყინვე ღმრთივ-დაცული ერი ჩუენი, ევედრე ღმერთსა ჩვენთვის, რათა აღსდგეს და გაგვიერთიანოს საქართველო." *("პარაკლისი წმინდისა შუშანიკისა")*

წმიდაო მოწამეო აბო!

"ტომისაგან სარკინოზთაისა გამოსრულო, ჭეშმარიტებისა მეძიებლობითა აღტრფობილმან და ქრისტესა ღმერთსა ჩვენსა შემეცნებულმან იგალობე ცათა მიმართ: ალილუია. უმეცრებისა წყდიადსა განშორებულო; აგარიანთა მძლავრებისა შემმუსვრელო, რომელი განსაცდელთა შინა ერსა ჩვენსა მოწამეობისა ვარსკვლავად აღმოუბრწყინდი; მაცხოვნებელითა სიტყვითა აღორძინებულო; სულიერსა ტრაპეზსა ზედა პურო დაგებულო; მართლისა სარწმუნოებისა მაგზებელო; ღვთისა სიხარულისა შინა შთასრულო და შჯულისმეცნიერთა მიერ წმიდითა წერილითა განბრძნობილო; ღმრთისა სადიდებლად აღმსთობილო; მაცხოვარისა სიტყვაო განღვივებულო; ცისკარო სულიერო; ჰოი, ქვეყანასა ზედა კეთილმოღვაწეო და აწ ცათა შინა გვირგვინოსანქმნილო, წმოდაო მოწამეო აბო, ყოვლადშემძლებელითა ლოცვითა შენითა განანათლე ღმთივდაცული ერი ჩვენ და მეუფებაი მისი; ილოცე საქართველოს გაერთიანებისათვის!" *("დაუჯდომელი საგალობელი წმიდისა მოწამისა აბო თბილელისა").*

წმიდაო მეფეო, დიდო ერეკლე ბატონო, საქართველოს გამაერთიანებელო და გადამრჩენელო, ქართული ხმლის ჯვარდამწერო, მაკურთხებელო და დამამშვენებელო. აზიაში უბადლო მხედართმთავრად აღიარებულო, ქრისტიანულ სარწმუნოების მადიდებელო, ურჯულო მტერთა შემმუსვრელო, ბრძენო, ღვთით კურთხეულო, მწყემსო კეთილო, ჭეშმარიტებისა მოწამეო, ქრისტესა და მამულისათვის სისხლდათხეულო, ერეკლეო,– ევედრე ლოცვითა ქრისტესა ღმერთსა, რათა დაიცვას მამული ჩვენი მტრისაგან, წყალობითა მოხედოს ქვეყანასა ივერისასა, გააერთიანოს და განაძლიეროს ერი ჩვენი ღვთივ კურთხეული.

"ვითარცა კრავნი წმიდანი და ვერძნი სიტყვიერნი ნებსით დაკლულნი და უწყალოდ დაჭრილნი, მოწამენო, ტარიგისა ყოვლად წმიდისა შეიწირენით, ხოლო დათხეულმან მან სისხლმან თქვენმან წმიდაო ჰყო ქალაქი ჩვენი და უფროის ალაგნი მეტეხისანი, და მორწყნა სულნი ქრისტეს მოყვარეთანი. **100 000 მოწამენო,** ხვარაზმელთაგან თბილისში ხატთა თაყვანისცემისთვის წამებულნო, ილოცეთ საქართველოს გადარჩენისათვის!

"აღმსარებელმან შენმან, უფალო, **ცოტნე დადიანმა,** რომელმან ერთგულებითა და სიმტკიცითა თვისითა განაცვიფრა მტერი ქართველთა და იხსნა ერი თვისი განსაცდელთაგან, რამეთუ აქ უნდა მას შენმიერი ძალი, მისითა მეოხებითა, ქრისტე ღმერთო, მოუსპე მტერნი საქართველოს, აღადგინე და გააერთიანე საქართველო!" *("ფსალმუნნი და ლოცვანი").*

"ბრძოლითა შინა უძლეველნო მხედარნო ბრწყინვალენო და ჭირთა შინა ურცხვენელნო ხელის აღმპყრობელნო, **ძმებო, დავით და კონსტანტინე მხეიძეებო,** ყოვლად ქებულნო მოწამენო! ევედრენით ქრისტესა მეუფესა ჩვენსა გვიხსნნეს ბოროტთა და უძლურებათაგან და განსაცდელთა, რათა განვერნეთ მწარეთა სატანჯველთა. მხედრობითისა ვაჟკაცობისა მასწავლელნო; მწვალებელთა ხელოვნებათა დაამრღვეველნო; მოყუასთა შემაერთებელნო და მტერთა დამცემელნო, ყოვლისა კეთილისა და ღმრთივსათნოისა დამნერგველნო. ჰოი, მოწამეთა და მოღუაწეთა შუენიერებანო, მეუფისა მრავლნაყოფიერნო ნამუშაკევნო, დავით დიდო მნათობო სოფლისაო და კონსტანტინე ჭურო სიმხნისაო! ვითარცა გაქუთ ძლიერებაო ღმრთივმონიჭებული, იმეოხეთ წინაშე ღმრთისა, რაითა მოჰმადლოს საქართველოს სიმშვიდე, ძლევა მტერთაი და გაამთლიანოს საქართველო!" *("დაუჯდომელი წმინდა მოწამეთა დავით და კონსტანტინესი.")*

"წმინდანო დიდნო მოწამენო, **ბიძინა, ელისბარ და შალვა,** ევედრენით ღმერთსა ჩვენთვის. ჰოი ყოვლადბრწყინვალენო, ქრისტეს დიდნო მოწამენო, ბრწყინვალებითა ელვარებისა სიწმიდისა თქუენისაითა განაბრწყინვალე ერი ჩუენი, ყოვლადგანათლებულითა ლოცვითა თქვენითა გადაარჩინე და გაამთლიანე სრულიად საქართველო!" *("პარაკლისი, წმიდათა და დიდთა მოწამეთა ბიძინასი, ელისბარისა და შალვასი").*

"საუნჯენი ერისა შენისანი კბილთაგან მხეცთაისა განარისხენ, და ექსორიობასა შინა ჭირნი მრავალნი დაითმინენ მამულისა სალმობათა

მკურნალო, **ღმრთისკაცო ექვთიმე თაყაიშვილო,** ევედრე ქრისტესა ღმერთსა და გაამთლიანე და გადაარჩინე საქართველო!" *("ფსალმუნნი და ლოცვანი").*

"ღვაწლითა და სისხლითა შენითა უდაბნო იგი სოფლისა მოიმუშაკე და გონებითა ღმრთივუბრწყინვალითა დაცემული კუალად აღგვადგინენ, ჭეშმარიტება სთესე და გვირგვინი უკუდავებისა მოიპოვე, სიმართლისათვის დაითმინე და ზესთა სოფელი დიდებისა დაიმკვიდრე, ძეო ქართველთა ერისაო, ერისათვის წამებულო, **წმიდაო ილია ჭავჭავაძევ მართალო**, ყოვლადდიდებულო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა ძმათა შენთათვის, საქართველოსადმი, გაართიანე ჩვენი მამული!" *("ფსალმუნნი და ლოცვანი").*

„არ გეცხუვნებით შენ, ჩვენო სიწმიდით მშობელო წმიდა კათოლიკე ეკლესია, არცა გაგცემთ შენ ჩვენო სიამაყევ – მართლმადიდებლობავ, რომლისათვისაც არასოდეს გვიღალატია, რაც მისი შეცნობის ღირსნი გავხდით, და რისი მოწმეც ჭეშმარიტებაა" *("დიდი სჯულისკანონი").*

"ესე არს სარწმუნოებაი მართალი ნათესავისა ჩუენისაი, და რაჟამს ერთგზის გვცნობიეს, არღარა მიდრეკილ ვართ მარცხლ, გინ მარჯულ და არა მივდრკებით" *(გიორგი მთაწმინდელი).*

„ჩვენ მიერ ცნობილ ერთა შორის ყველაზე უფრო ერთგული ქრისტიანები იბერიელები არიან" *(პროკოფი კესარიელი, VI ს.).*

"არცა სიმდიდრეთა, არცა სპათა ჩემთა სიმრავლესა, არცა რას სხუასა კაცობრივსა საქმესა მინდობელ ვარ, არამედ ძალსა ღმრთისა ყოვლისა მყრობელისასა და შეწევნასა ქრისტეს ჯვარისასა" *(თამარ მეფე).*

ქართველთა რწმენის, მართლმადიდემლური სარწმუნოებაზე მტკიცედ დგომას, თვით მართლმადიდებლობის დაუძინებელი მტერი, ნადირ შაჰიც კი ადასტურებს: „ნუ განარისხებთ ქართველებს სამხედრო ნიჭით და დიდებით განთქმულთა, გამოვლილთ იმნაირ სამხედრო ქარიშხალთაგან, რომელიც არყევდა მათ სახელმწიფოს და არა მათს სარწმუნოებას."

უფალო!

ვიცავთ: ადამიანობას, კაცთმოყვარეობას, სიწმინდეს, როგორც გვასწავლე. შევიკედლეთ უამრავი უწიგნური და დაბეჩავებული უცხო ტომთაგანი. დავაპურეთ, სასმელი ვასმიეთ, ფუძე დავუმკვიდრეთ, ჭერი ავუმაღლეთ.

უფალო, მიმტევლებობა, კაცთმოყვარეობა და შემწყნარებლობა ხომ ქართველი ხალხის, ქათველი ერის, დამახასიათებელი თვისებაა. თვისება მეტად ღვთიური და საკაცობრიო. მაგალითისთვის მოვიტან: თბილისში, ერთ პატარა, ხელისგულისოდენა ადგილზე ჩვენი მართლმადიდებლური ეკლესიების გვერდიგვერდ დგას კათოლიკური, გრიგორიანული ეკლესიები, მეჩეთი და სინაგოგა. უფრო მეტიც: მათ საერთო სასაფლაო აქვთ – ქართველებთან ერთად.

სიკეთის საპასუხოდ, ზოგიერთნი უმადურნი, მორიელივით შემოგვიბრუნდნენ, გველივით გამოგვსისინდნენ. მათი საქციელი და ნამოქმედარი "ჯოჯოხეთია მოსათხრობლად"!

„... აღილესეს ენაი მათი, ვითარცა გველისაი, და გესლი ასპიტიაი ბაგეთა მათთა..." *(ფსალმუნი).*

უფალო, მტერნი „მაჭირვებლად შემოგვსევიან ოთხივ კუთხით და ძალისძალად ჩვენს წინაპართ სისხლით მორწყულ მიწაწყალს, მთა-ბარს, ტყე-ღრეს გვტაცებენ ხელითგან... მარად სახსოვარ ნაშთებს ციხე-კოშთ, ეკლესიებს გვირღვევენ და გვიქცევენ, მონასტრებს გვაცლიან ხელითგან, ხატებს გვიძარცვავენ, ძვირფას ნივთებს აფორიაქებენ და სასახელო და სასარგებლო რამეებს აღარ გვარჩენენ... ჩვენი ქვეყნის ნაყოფით გამდიდრებულნი ჩვენს მტრობაში და სისხლის სმაში არიან... ვგლოვობ, ვტირი მწარედ, წელი მწყდება, მუხლებს ვიტყეტ, თავში ვიცემ..." *(ივანე გვარანაძე, საეკლესიო მოღვაწე, მწერალი, პუბლიცისტი, ეთნოგრაფი, XIX ს).*

„ცანი და ქვეყანაი წარხდნენ". ცხვრის ქურქში გადაცმული მგლები დაძუნძულებენ დედამიწაზე. იღუპება სულები. „ეკრძალენით ცრუ წინასწარმეტყველთაგან, რომელნი მოვიდოდიან თქუენდა სამოსლითა ცხოვართაითა ხოლო შინაგან იყვნენ მგელ მტაცებელ" *(სახარება).*

უძველესი და უკეთილშობილესი ერის განადგურება სურთ ბოროტებსა და კაცთმოძულეთ. იმ ერისა, რომელიც არის: ნიჭიერებით განთქმული, ფიზიკურად ულამაზესი, სულიერად მაღალი, ზნეობით უმშვენიერესი, კაცთმოყვარეობით სანიმუშო...

"ხოლო ანაგებით არიან კაცნი და ქალნი შუენიერნი, ჰაეროვანნი, შავ თუალ-წარბ-თმოსანნი, თეთრყირმიზნი; წერწეტნი, იშვიათ სქელნი, მხნენი მუშაკნი, ჭირთა მომთმენნი, მკვირცხლნი, მსწრაფლნი; სალაშქროთა შინა ახოვანნი, ამაყნი, ლაღნი, სახელის მაძიებელნი ესრეთ, სტუმართა და უცხოთ მოყუარენი; მხიარულნი, უკეთუ ორნი ანუ სამნი არიან, არარაი შეიჭირვიან; უხუნი, არცა თვისსა და არცა სხვისას კრძალვენ; გონიერნი, მსწრაფლმიმხვდომნი, სწავლის მოყვარენი; სიკეთის დამსწავლელნი და მიმგებელნი, სირცხვილის მდევარნი" *(ვახუშტი ბაგრატიონი).*

ფრანგი პედაგოგისა და ლექსიკოგრაფის პ. ლარუსის მიერ გამოცემულ უნივერსალურ ენციკლოპედიაში ვკითხულობთ: "ქართველები ყველაზე ლამაზი რასაა ადამიანებისა, რომელიც არსებობს ქვეყანაზე"...

„ჯერ კიდევ უძველეს დროიდან მოყოლებული ქართველი ჭაბუკები და ქართველი ქალწულები უცხოელებს მიჰყავდათ საჯიშედ, და თავიანთი ერის გასაკეთილშობილებლად" *(ჰეროდოტე, ძვ. წ. 485-424, ისტორიის მამად წოდებული).*

"სპარსელებს თავიანთი წარჩინებულების სისხლის (მემკვიდრეობის) გასაუმჯობესებლად საქართველოდან მიჰყავდათ ულამაზესი ქალები და თუ სპარსთა შორის ვინმე ხეირიანი აღმოჩნდებოდა, მას უეჭველად დედა ან ბებია ქართველი ჰყავდა" *(ჩარლზ დარვინი, 1809-1882, უდიდესი ბი-*

ოლოგი, "ადამიანის წარმოშობა და სქესობრივი შერჩევა").

"საქართველო მზეთუნახავ ქალთა ორანჟერეაა" *(ემანუელ კანტი, მსოფლიოს უდიდესი ფილოსოფოსი).*

"ამჟამადაც ხომ არსებობს ხალხი დედამიწის რომელიმე კუთხეში, სადაც, რაკიდა ყველა ლამაზია, ამიტომ სილამაზე უპირატესობად არ მიიჩნევა. მოგზაურები ერთხმად ამბობენ ამას ქართველებზე... ამ მოსაზრებას სავსებით ადასტურებს ლამაზი ადამიანების ქვეყანა საქართველო" *(იოჰან ვინკელმანი, 1717-1768, გერმანელი არქეოლოგი).*

"ქართველები იდეალურ რასას წარმოადგენენ" *(უილიამ რიპლეი, რასების სუკეთესო მცოდნე).*

რუსეთის მეფეს, თათარ მურზას შთამომავალს, ბორის გოდუნოვს (XVI ს.) ურჩევდნენ: თათრული ჯიშის გასაუმჯობესებლად, თავისი ქალისა და ვაჟისათვის ქართველთაგან შეერჩია თანამეცხედრე, სახელდობრ, დავით მეფის ულამაზესი შვილები – ელენე და თეიმურაზი. ბორის გოდუნოვმა ყურად იღო რჩევა, მაგრამ არ გაუმართლდა, რადგან ქართველებმა სასტიკი უარი სტკიცეს. მიზეზი: დიდი ირანის დიდმა ბრძანებელმა, მრისხანე შაჰ-აბასმაც, ამავ დროს გამოგზავნა ელჩები საქართველოში და ისიც, თავისი გენის გასაკეთილშობილებლად, ელენეს და თეიმურაზს ითხოვდა რძლად და სიძედ. უმშვენიერესი ელენე და თეიმურაზი რძლად და სიძედ შაჰ-აბაზს დარჩა. თვითონ შაჰ-აბაზსაც ხომ ქართული სისხლი უჩქეფთა ძარღვებში. მისი ბებია დიდებული ქართველი ქალი გახლდათ.

განა ქართველი არ იყო, რუსეთის ამაღორძინებელი, რუსეთის იმპერიის შემქმნელი, იმპერატორი, პეტრე დიდი, პეტრე I, პეტრე ერეკლეს-ძე ბაგრატიონი?!!! თეიმურაზ I-ის შვილიშვილი.

"ქართველები მთელს აღმოსავლეთში და შეიძლება ითქვას, მთელ მსოფლიოში, საუკეთესო ჯიშის ხალხია. ამ ქვეყანაში მე არ შემხვედრია არც ერთი უშნო ადამიანი, კაცი იქნება ეს თუ ქალი, ვხვდებოდი მხოლოდ და მხოლოდ ანგელოზისებრ სახეებს. ქალების უმრავლესობა ბუნებას ისეთი სინატიფით დაუჯილდოებია, როგორსაც ვერსად შეხვდებით. ვფიქრობ, შეუძლებელია მათ თვალი მოჰკრა და არ შეგიყვარდეს..." *(ჟან შარდენი, ფრანგი მოგზაური, XVII ს).*

"ქართველები ერთ-ერთი ულამაზესი ხალხია მსოფლიოში... დიდრონი ლამაზი მოყვანილობის თვალები აქ გაცილებით ხშირად გვხვდება, ვიდრე სხვა რომელიმე ხალხებთან. ამაოდ მოძებნი ისეთ მაღალ მშვენიერებას, სადაც გული, გონი და სული თვალებში გამოიხატებოდეს. ასეთ უმაღლეს მშვენიერებას მხოლოდ კულტურის მაღალ საფეხურზე მდგომ ხალხებთან იპოვნი" *(ფრიდრიხ ბოდენშტედტი, 1819-1892, გერმანელი მწერალი).*

"საქართველო კაცობრიობისათვის წამებული ამირანის განთქმული მითოლოგიური მხარეა. აქ ანთებულმა კოცონმა გააშუქა მთელი ქვეყნიერება. მადლობა მას. ჩვენ ამ მშვენიერი ქვეყნიდან გაცილებით მეტი სინათლე მივიღეთ, ვიდრე მათ ჩვენგან მიიღეს" *(შარლ ჟიდი, ფრანგი პროფესორი).*

"ქართველებო, თქვენ აზრზე არა ხართ, ვინ იყვნენ თქვენი წინაპრები! მე ვიცი, რომ თქვენი წინაპრებია შუმერები, პარალელური სამყაროდან გადმოვიდნენ ჩვენსაში. ქართველები შეიძლება ვერ გრძნობთ, მაგრამ თქვენ პირდაპირ გაჟღენთილები ხართ კოსმოსურ ენერგიით.

მე არ მწამს უცხოპლანეტელების. თქვენი წინაპრები პარალელური სამყაროდან მოვიდნენ და მრავალი რამ ასწავლეს ადამიანებს... თქვენ გახასიათებთ ლტოლვა ზეადამიანურობისკენ, რაც უცხოა დედამიწის სხვა ერებისათვის" *(ჯეიმს გრინი, ამერიკელი მეტაფიზიკოსი)..*

"ქართველები არიან დიდი აზროვნების, თუ გნებავთ, გენიალურიც... ამ ქვეყანაში მარტო მშვენიერება კი არ არის მარადიული, არამედ აგრეთვე გულკეთილობა, მამაცობა, პატიოსნება, სადაც ბრწყინავს გულიდან ამოსროლილი ქართველთა კეთილშობილი სტუმართმოყვარეობა" *(ბარონ დე ბაი, ფრანგი).*

"საქართველო არის ქვეყანა სიყვარულისა" *(ლევ ტოლსტოი).*

საქართველო არის ქვეყანა, სადაც მეგობრისთვის თავს სწირავენ და სადაც მეზობელი ოჯახის წევრად არის მიჩნეული; სადაც ნათელ-მირონობა და ძმადნაფიცობა სისხლისმიერ ნათესაობაზე მეტია. ქართველი კაცი მოწყალებას ნებისმიერი ადამიანებისათვის გაიღებს.

"ქართველს ახარებს: რომ არის, არის საერთოდ. ეს სიხარული ჩვენში ისეა გამჯდარი, რომ ჩვენ ხშირად ყვავილზე თუ საერთოდ მცენარეზე მაგიერ ამისა: "იზრდება", ვამბობთ: "ხარობს". თანაც სიხარული ჩვენი არაა "გენ-ზღუდული. პირიქით: მცხადებელი "შენ"-ისა "შენ"-ში ორფოსი – საქართველოში ყოველდღე იბადება. არსად ისე არ ცხადდება ეს, როგორც ნადიმზე, რომელიც "ქეიფი" კი არა, "კულტია" ნამდვილი. ყოველ ადამიანს – იყოს იგი თუგინდ კუზიანი, და ეს არა მარტო ფიზიურ – აქვს ისეთი რამ, რაიცა მარტო მას აქვს: "ერთხელური", ფასეული, ღირსეული. ქართულ სუფრაზე ამ "რამეს" ვინმე ოსტატურად ამზეურებს: და: "კუზიანი" გახარებით მხრებში იმართება. მოვჭრათ ერთი სიტყვით: გაახარე - გაიხარე, აი ფესვეული თაური ქართველობისა. ვისაც ეს უნარი არ გააჩნია, იგი ქართველთათვის არის, მოვკვეთოთ ერთი სიტყვით: უბადური (უბედური). კიდევ უფრო ხარობს ქართველი, როცა „შენ" უცხოა (იმჩნიეთ – "საუცხოვო" ქართველში "უცხო"-საგან გამომდინარე)! აქეთგან: ჩვენი ფანტასტიური სტუმართმოყვარეობა. დიახ, ხალისი ყოფისადმი ქართველთა არის ჭეშმარიტად: "გენიუს ლოცი(ა)" მათი მიზისა" *(გრიგოლ რობაქიძე).*

აი, როგორია ქართველი კაცი, აი, როგორია ქართველი კაცის ბუნება. ჩვენ კაცობრიობას ვჭირდებით, ჩვენი უზომოდ კაცთმოყვარული კეთილი გულით!

კაცობაში, კაცურობაში, კაცთმოყვარეობაში, საკაცობრიო საქმოანობაში მსოფლიოს ვჭირდებით! "გაახარე-გაიხარე" გენეტიკური კოდია, ქართველ კაცში ჩადებული, უხსოვარი ჟამიდან-მოაქჟამამდე!

ქართველისათვის დამახასიათებელი თვისებაა სიხარული, ქართველი მუდამ სულიერად ხარობს! ქართველი ყველგან ხედავს უფალს!!!

უფალო!

ქართველი ერი, მისი უძველესი კულტურა, მისი გასაოცარი ანბანი, მისი უანალოგიო დამწერლობა, მისი უბადლო პოეზია, მისი განუმეორებელი მრავალხმიანი მუსიკა, მისი საგალობლები, მისი ფერწერა და განუმეორებელი ხატწერა, მისი ფანტასტიკური "როკვა, სივრცეში განფენილი", უმშვენიერესი და უდიადესი, მისი უძველესი და უმდიდრესი ისტორია – საჭიროა მსოფლიო ცივილიზაციისათვის, საჭიროა მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიის აღსადგენად, საჭიროა მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიის შესწავლისათვის.

"ქართული ანბანი ყველაზე სრულყოფილია არსებულ ალფაბეტებს შორის. ყველა ბგერა აღინიშნება განსაკუთრებული ნიშნით, ხოლო ყოველი ნიშანი გამოხატავს ერთსა და იმავე ბგერას. ყველა ევროპულ ენაში დიდ დაბრკოლებას ქმნის ორთოგრაფია. ქართველისათვის, მისი ალფაბეტის სრულყოფილების მეოხებით ეს დაბრკოლება არ არსებობს. ქართული ანბანი მარტივია. მართლწერა ქართულისა ისეა გაადვილებული, რომ სხვა ეგეთი ანბან-სრული ენა ქვეყანაზე არ მეგულება" *(პეტრე უსლარი, 1816-1875, რუსი ენათმეცნიერი).*

ქართული დამწერლობა ერთადერთი ფონეტიკური დამწერლობაა მსოფლიოში!

ჩვენ გარდა, ფონეტიკური დამწერლობა მსოფლიოს ვერც ერთმა ერმა შექმნა!

„ქართული ენა მეტად უმნიშვნელოდ იცვლება (თითქმის არ იცვლება). ქართული ენა ძალზე უძველესი ხანიდან არის დადუღებული და ჩამოყალიბებული. ქართულს საუკუნეთა მანძილზე საყრდენი დიალექტი არ შეუცვლია. გრამატიკა თითქმის უცვლელია და ძალზედ განვითარებული. ქართული ლიტერატურული ენა მდიდარი და მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონეა, ამიტომ მისი წარმოთქმითი მხარე დამუშავებული და დახვეწილია. ძველი ცივილიზაციის ბევრი ერი დღეს უკვე აღარ ლაპარაკობს იმ ენაზე, რომელიც მას ადრეულ ეპოქაში ჰქონდა. მაგალითად, დღევანდელი ბერძნებისათვის უცხოა ძველ-ბერძნული ენა, იტალიელებისათვის – ლათინური. ევროპული ხალხების ენებმაც ძირფესვიანი გადახალისება განიცადეს... მათგან განსხვავებით, ქართული ენა უძველესი დროიდან დღემდე არსებითად უცვლელი დარჩა და თანამედროვე მკითხველს მშვენიერად ესმის იაკობ ხუცესის, გიორგი მერჩულის და რუსთაველის ენა. ქართული საეკლესიო ენა და დამწერლობა საეროსაგან მკვეთრად არ გამიჯნულა" *(აკაკი სურგულაძე).*

"Грузинским языком выражается все, что только можно выразить любым языком земного шара... Грузинский язык настолько богат, что по своим внутренным свойством он является языком мирового значения...

Грузинский язык высокохудожественно воплощает всякую мысль и не искажая и не извращая, передает её не одним лишь общими, отвлеченными понятиями...

დღეს იქნება თუ ხვალ, ქართული ენის შეუსწავლელად, მის გაუცნობიერებლად ვერც ერთი საკაცობრიო სიძველეთა საკითხი ვერ გადაიჭრება... ქართულ ენას ფართოდ გაუღებენ კარებს მსოფლიოს ყოველ უნივერსიტეტში, სადაც კი იკვლევენ ან კაცობრიობის უძველეს ისტორიას, ან საბერძნეთისა და რომის ისტორიას, ან შუმერულ, ან ლურსმულ წარწერებს, ან ძველ აღთქმის პირველი წიგნების თავგადასავალს, ან საზოგადოდ საყოველთაო ენათმეცნიერებას. ქართულსა და მის მონათესავე ენებს (მეგრულს, სვანურს), ჩემთვის ეჭვგარეშეა, ფრიად პატივისცემა და ჩვენთვის ახლა წარმოუდგენელი დიდება მოელის მსოფლიო მეცნიერებაში.

შოთა რუსთაველის ენა არათუ ადგილობრივი არ არის, არამედ იგი უკვე მსოფლიო ენაა" *(ნიკო ბარი).*

ძველი მსოფლიოს საიდუმლოებანი ქართული ენის საშუალებით უნდა ამოიხსნას და იხსნება კიდეც. მაგალითი: იტალიელმა არქეოლოგმა, ვირჯილიო კორბომ, გათხრები აწარმოა პალესტინაში, ბეთლემის მახლობლად. მან გათხარა V საუკუნის მონასტრის ნანგრევები. ამ მონასტრის იატაკზე აღმოჩნდა ოთხი მოზაიკური წარწერა. ვირჯილიო კორბო ვერასგზით ვერ გაერკვა ამ წარწერათა საიდუმლოებაში, რაზედაც დიდხანს იმტვრია თავი უშედეგოდ, სანამ არ უთხრეს, რომ ეს: წარწერები ქართულია!!!

აი, კიდევ ერთი ბრწყინვალე მაგალითი იმისა, რომ ქართველი ერის გარეშე, ქართული ენის გარეშე, მსოფლიო ცივილიზაციის ანუ კაცობრიობის ისტორიის აღდგენა და შესწავლა წარმოუდგენელია:

1908 წელს, საბერძნეთის კუნძულ კრეტაზე, ქალაქ ფესტოში, არქეოლოგმა ლუიჯი ჰერნიემ აღმოაჩინა წარწერიანი თიხის ფირფიტა, რომელსაც "ფესტოსის დისკო" უწოდეს და რომელიც თარიღდება ძველი წელთაღრიცხვის 1850-1600 წლებით. მსოფლიო მეცნიერები: ბერძნები, ინგლისელები, ფრანგები, გერმანელები და მრავალი სხვანი, მთელი ასი წლის განმავლობაში თავს იმტვრევდნენ დისკოს გაშიფვრისათვის, მაგრამ ამაოდ. როგორ უნდა გაეშიფრათ, როდესაც ვერ მიხვდნენ, რომ ეს წარწერა ძველი კოლხური, პროტოქართულია, თუმცა იმას კი მიხვდნენ, რომ ეს დამწერლობა ეკუთვნის იმ ხალხს, რომელმაც შექმნა წინაბერძნული ცივილიზაცია, წინაბერძნული უდიდესი კულტურა. დადგინდა: ის დამწერლობა, რომელიც "ფესტოსის დისკოზეა" გამოსახული, ეკუთვნის იმ ხალხს, რომელმაც შექმნა წინაბერძნული უდიდესი ცივილიზაცია – პელაზგებს. პელაზგები – ქართველთა ძალზედ შორეული წინაპრები! ქართველები!!!

1988 წელს, ბუდაპეშტში, ეირენეს კომიტეტის XVIII საერთაშორისო კონგრესზე, ავსტრიელმა მეცნიერმა ჰერბერტ ძებიშმა განაცხადა: "ფესტოსის დისკოს" წარწერის ენა პროტოქართული, – კოლხურია. წინაბერძნული მოსახლეობის ენა, კერძოდ, "პელაზგური, ქართველურ ენათა დედაა." ეს თეორია აგრეთვე მოცემულია ჰერბერტ ძებიშის წიგნებში: "იბერიული – ღმერთების ენაა" (არც ერთ უცხოელს, მსოფლიოს არც ერთი სხვა ენისათვის არ უწოდებია "ღმერთების ენა", გარდა ქართულისა). ("პელაზგური – იბერიული ენა" და "პელაზგები" *(ისტორია და კულტურა მათი დროის წერილობითი ნიმუშებიდან). (ჰერბერტ ძებიში).*

დისკოს ტექსტი წარმოადგენს საგალობელს – "ნენანას", რომელიც ეძღვნება ნაყოფიერების დიდ დედაღვთაებას ნანას – რეა-კიბელეს.

"საბერძნეთში, ათონის წმიდა მთაზე, ივერთა მონასტრის ბერძენი ბერები, წირვისას, ღვთისმშობლის მოსახსენებლად გალობდნენ "ნენანა"-ს ანუ "იავნანას", რომელსაც ღვთისმშობელი უგალობდა აკვანთან თავის ღვთაებრივ ყრმას. როგორც ბერძენი მგალობლებისთვის, ასევე ყველასათვისაც, მისამღერში ჩართული სიტყვები, მათ შორის "ნენანა" ("იავნანა"), სრულიად გაუგებარი იყო" *(არქიმანდრიტი პორფილი, "მოგზაურობა ათონის მონასტრებსა და სკიტებში," ნაწ. I, გვ. 71).* "ნენანას" ("იავნანას") მხოლოდ ქართველი დედა უმღერის აკვანთან თავის ჩვილს. ქართული სიტყვები, რომლებიც ჩართულია საგალობელში და რომლებიც გაუგებარი ყოფილა როგორც მგალობელ ბერებისათვის, ასევე ყველასათვის, გასაგები ყოფილა თვით ღვთისმშობლისათვის. "ახალშობილ იესოს მოსაგონებლად, საუკუნეთა მანძილზე, ივერთა მონასტრის ბერების საგალობელში ქართული "იავნანა" გაისმოდა" *(გიორგი გოზალიშვილი, "მთრიდატე პონტოელი," გვ. 186).*

"ფესტოსის დისკო" მსოფლიოში პირველი ბეჭდური რელიგიურ-ლიტერატურული ნაწარმოებია. იგი ლექს-საგალობელია, ჩაწერილი ძველი წელთაღრიცხვის XX-XIX საუკუნეებში. თუ მანამდე არა, ამ საუკუნეებიდან მაინც "უნდა დავიწყოთ ქართული დამწერლობის, ქართული პოეტური ფოლკლორის, ქართული მითოპოეზიის, თუნდაც ქართული მწერლობის ისტორია" *(გიზო ჭელიძე).*

„ღმერთმა საქართველო, ალბათ, იმიტომ გააჩინა, რომ პოეზიას სამშობლო ჰქონოდა." *(ბერნარ უტიე, ქართველოლოგი, ფრანგი).*

ასე რომ, "ქართული ასომთავრული ანბანი შექმნილია საქართველოს გაქრისტიანებამდე მრავალი საუკუნით ადრე, როდესაც გაბატონებული იყო მზის კულტი... ბერძნულ-რომაულ საისტორიო წყაროებში აღინიშნება, რომ კოლხებს უძველესი დროიდან ჰქონდა საკუთარი დამწერლობა. ეს დადასტურდა იმის შემდეგ, რაც კრეტა-მინოსური კულტურის ხელოვნების შედევრებთან ერთად აღმოჩენილი იქნა ეიროგლიფური, "ფესტოსის დისკო" და – ხაზოვანი სისტემების წარწერები პროტოქართულ ენაზე... ქართულ ასომთავრულ ანბანში, როგორც რამაზ პატარიძემ აღნიშნა, მზის კალენდარული სისტემაა დაფიქსირებული. ეს ანბანი ელინისტური ეპოქის ქართული ცივილიზაციის საკაცობრიო მნიშვნელობის შედეგია, რადგან მასში მოიპოვება ენციკლოპედიური ხასიათის ცნობები ასტრონომიის, მათემატიკის, ქრონოლოგიისა და თეოლოგიის დარგებში და ამდენად ის მართლაც ქართული მწიგნობრობის უბადლო ნიმუშია" *(რაულ გვეტაძე, დავით გვეტაძე).*

ცალკე საუბრის საგანია ქართული მრავალხმიანი გალობა. ის ხომ მსოფლიო მუსიკალური აზროვნების ბეჭედია, ქრისტიანული სიხარულის მომტანია. ამ საგალობლებს მოაქვს ზეციური ცხოვრების სიდიადე. როცა ქართველები ქართულ საგალობლებს გალობენ, ვერ გაგიგია, ანგელოზები გალობენ თუ ადამიანები. ქართულ საგალობლებს მივყავართ ღმერთამდე.

"თქვენი პოლიფონიით აღტაცებული ვარ. ამ მუსიკით ქართველი ხალხი უახლოვდება ღმერთს. თქვენ ვალდებული ხართ, მსხვერპლის ფასადაც კი დაიცვათ იგი" ***(რეთინასა და ავროპოტამოს მიტროპოლიტი ანთიმოზი).***

"ქართული გალობა უნიკალურია, მას ცოცხალ ღვთისმსახურებასთან ერთად ადამიანის ცხოვრებაში ისეთი ამაღლებული ადგილი უკავია, რაც არც ერთ მუსიკას არ შეუძლია" *(იულიანე რაბიუსი, ტაძრის მგალობელი).*

"ძველი ქართული გალობა არის საეკლესიო ტრადიციის წმიდად დამცველი, შეურყვნელი, უძველესი და ამასთან... მართლმადიდებელ ეკლესიათა საგალობლებს შორის ერთადერთი მრავალხმიანი, ანალოგის არმქონე, რაც მის უნიკალურობას განაპირობებს" **(ილია II, უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი).**

"ევროპული პოლიფონია საქართველოდან უნდა მოდიოდეს" *(ზიგვრიდ ნადელი).*

ქართული მრავალხმიანობის ფესვები ჩვენს წ.აღრიცხვამდე III ათასწლეულის მიჯნაზეა, – თუ იქით არა!

"საქართველო მსოფლიოს ფოლკლორული მუსიკის დედაქალაქია" *(ალან ლომაკსი, მსოფლიოში ფოლკლორული კოლექციის ყველაზე დიდი შემგროვებელი, ამერიკელი).*

უფალო, იუნესკომ ხომ ქართული მრავალხმიანი სიმღერა მსოფლიოს სულიერი მემკვიდრეობის შედევრად აღიარა.

უფალო, ქართველების გარდა, არც ერთ ერს გამოუსახავს მაცხოვარი, ღვთისმშობელი და წმინდანები "დიდრონი ლამაზი მოყვანილობის თვალებით."

"ამაოდ მოძებნით ისეთ მაღალ მშვენიერებას, ქართველის გარდა, სადაც, გული, გონი და სული დიდრონ ლამაზი მოყვანილობის თვალებში გამოიხატებოდეს" *(ფრიდრიხ ბოდენშტადტი, გერმანელი მწერალი).*

ფერწერასთან მიმართებაში ისიც აღსანიშნავია, რომ "ყინწვისის ანგელოზი" წარმოდგენილია დინამიკაში, მოძრაობაში, და ეს მხატვრობა

ორი საუკუნით მაინც უსწრებს ლეონარდოსა და მიქელანჯელოს მხატვრობას.

აი, ასეთი ერის განადგურება სურთ, უფალო, ოცდამეერთე საუკუნის ბარბაროსებს.

ამდენად, ბრძოლა ქართველთჭამიების წინააღმდეგ არის არა მარტო ქართველთა მოვალეობა, არამედ: მსოფლიოს წესიერ და ცივილიზირებულ ხალხთა უპირველესი მოვალეობა!

"შევიდნენ ეშმაკეულნი და მოღალატენი სამკვიდრებელსა შენსა და შეაგინეს წმიდა ტაძარი შენი. ანგრევენ და ანადგურებენ შენს სახლს, შენს ეკლესიებს. მათ არ იციან, რომ: „ვინც ღმერთის ტაძარს დააქცევს, დააქცევს მას ღმერთი" *(წმინდა წერილი, თ3. 16-17).*

მოსკვარამდა დედის ქვეყანა, ია აღარ ხარობს.

„ქვეყანა ბოროტსა ზედა ძევს" *(პავლე მოციქული).*

აღივსო ქვეყანა უსამართლობით. "და იხილა უფალმან ღმერთმან ქვეყანა და იყო გახრწნილ, რამეთუ გახრწნა ყოველმან ხორციელმან გზაი თვისი ქვეყანასა ზედა." (დაბად. 6;12)

ტარაბუა დაესხა დედამიწას!

იგესლება: გარესკნელი, ზესკნელი, ქვესკნელი.

გარესკნელში, – მგელი და აფთარი,

ზესკნელში, – შავი ყორანი,

ქვესკნელში, – ქვეწარმავალი, გველი, გველ-ვეშაპი, მორიელი და ჯარბი (უსაშინელესი ყოველთა ქვემძრომთა). ნაძირალა ალენ დალესი ამბობს: "ჩვენ დავთესავთ ქაოსს, შეუმჩნევლად შევცვლით ზნეობრივ ფასეულობებს და ვაიძულებთ მოსახლეობას ირწმუნოს ყალბი ფასეულობები. ლიტერატურიდან ხელოვნებიდან ჩვენ ამოვძირკვავთ ეროვნულ-სოციალურ არსს. შემოქმედებით ინტელიგენციას დავუკარგავთ ხალისს, გამოიკვლიონ და სწორად ასახონ მასების სიღრმეში მიმდინარე პროცესები. ლიტერატურამ, თეატრმა, კინომ, პრესამ უნდა ასახოს და განადიდოს ადამიანთა ქვენა გრძნობები, ჩვენ ყოველნაირად ხელს შევუწყობთ იმ შემოქმედებით ინტელიგენციას, რომელიც ადამიანის შეგნებაში შეიტანს სექსის, ძალადობის, ღალატის ბეზღების კულტს" *(ალენ დალესის დოქტრინიდან).* ნაძირალა! სხვაც ბევრია ალენ დალესის მსგავსი ნაძირალები! როგორ უბედავენ დედამიწას!!! ნადგურდება და ანადგურებენ კაცობრიობის უმდუდრეს მატერიალურ და სულიერ საუნჯეს. ამიტომაც გვსჯის უფალი! ყველგან სტიქია, ყველგან ქაოსი, ყველგან უბედურება, ყველგან გმინვა და ოხვრა! საით ბრუნავ შენ, საცოდავო დედამიწავ?! როცა ქვეყანაზე დააბოტებენ დალეს – მალესელები, არ შეიძლება არ გაგახსენდეს: ჰომეროსი იყო ბრმა, ბეთჰოვენი ყრუ, ამირანი კავკასიის ქედზე მიჯაჭვული! აფსუს, სამართლიანობავ! როდემდის!!! როდემდის!!! როდემდის!!!

სადა ხარ დედაააა... ღვთისმშობელო მარიამ!

„მფარველნო ანგელოზნო, გარდაჰქმენით აიას (კოლხეთის სამეფოსა და მისი დედაქალაქის სახელწოდება. ა.ს.) სიცოცხლე ყოველნაირად. შუადამის მთვარით განათებულნო, დედის ქვეყანა მუდამ დაფარეთო, დაასხით, ხელნი, ბრუნვა-ფარვა, სხივოსანო მფარავნო... ოჯახის ფუძის ჯიშის სვლა-ბრუნვის გამწმენდელნო... ხანგრძელ ჰყავ დედის ტაძარი." *(წარწერა ქართულ „ფესტოსის დისკოზე" – კოლხური ოქროდამწურლობით, დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის XIX ს.).*

* * *

უფალო!

"ქრისტე ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადავუდეთ მკერდი და ამ მკერდზედ, როგორც კლდეზედ, დავუდგით ქრისტიანობას საყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი. და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი. გავწყდით, გავიულიტენით, თავი გავიწირეთ, ცოლ-შვილნი გავწირეთ, უსწორო ომი ვასწორეთ, ხორცი მივეცით სულისათვის და ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შევინახეთ, არ გავაქრეთ ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მამულს – სამართლიანის თავმოწონებით ვეძახით" *(ილია ჭავჭავაძე).*

უფალო!

"ქრისტიანობისათვის ჩვენმა ერმა ყველაზე მეტი მსხვერპლი გაიღო, ყველაზე მეტად ეწამა. ამის დასტურია ქრისტიანული მოდგმის ხალხთა ისტორიანი... ქართველი ერის მისია იყო და არის ქრისტიანობის დაცვა, ბრძოლა მისი შენარჩუნებისათვის უსასტიკეს პირობებში... ვინ მოთვლის ერის და სჯულის დასაცავად განწირულ ჩვენს დიდებულ წინაპრებს, წმინდა ზვარაკად შეწირულ წამებულთა სახელებს!.. უსახელოდ დარჩენილ წამებულებს სათვალავი არ ეყოფა" *(შუშანა ფუტკარაძე).*

„რა არ გადაგვხდენია თავს, რა მტრები არ მოგვსევიან, რა ვაი-ვაგლახი, რა სისხლის ღვრა, რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ყველას გავუძელით, ყველას გავუმაგრდით, შევინახეთ ჩვენი თავი, შევირჩინეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი. ლანგთემურებმა ჩვენს საკუთარს სისხლში გვაბანავეს და მაინც დავრჩით და გამოვცოცხლდით. შაჰ-აბაზებმა ჩვენის კბილით გვაგლეჯინეს ჩვენი წვრილშვილნი და მაინც გამოვბრუნდით, მოვსულიერდით. აღა-მაჰმადხანებმა პირქვე დაგვამხეს, ქვა-ქვაზედ არ დაგვიყენეს, მოგვსრნეს, მოგვულიტეს და მაინც ფეხზედ წამოვდექით, მოვშენდით, წელში გავსწორდით. გავუძელით საბერძნეთს, რომსა, მონღოლებს, არაბებს, ოსმალთურქებს, სპარსელებს, რჯულიანსა და ურჯულოს და დროშა ქართველობისა, შუბის წვერით, ისრით და ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შევირჩინეთ, არავის წავაღებინეთ, არავის დავანებეთ, არავის შევაგინებინეთ...

ეს ერთი მუჭა ხალხი რამ შეგვინახა?

ხმალმა და გუთანმა.

ჩვენ რომ დღეს ბინა გვაქვს, ადგილზე რომ ფეხმოკიდებულები ვართ, სხვებსავით რომ არ დავიქსაქსენით, არ გადავცვივდით აქეთ-იქით, ჩვენ

რომ ამდენს დაუძინებელს მტერს გავუძელით და გადავრჩით, ჩვენი ერი რომ დედამიწას შერჩა და დედამიწა ერსა, – ეგ იმიტომ – რომ ერთ ხელში ხმალი გვეჭირა და მეორეში გუთანი დასაბამიდგანვე დღემდე“ *(ილია ჭავჭავაძე).*

უფალო!

“საქართველოს ერმა გადიხსნა გული, შიგ განიბნივა იგი ჯვარი პატიოსანი ჯვარცმულის ღმერთისა და თვითონაც ჯვარს ეცვა და არავისკი არ შეარყევინა არც თავისი გული და არც გულში ღრმად და მკვიდრად გაბნეული ჯვარი. მას აქეთ თხუთმეტი საუკუნეა და მთელი ეს თხუთმეტი საუკუნე გულში ჯვარით და ხელში ხმალით იბრძოდა, იღვწოდა, სისხლსა ჰღვრიდა ქართველი კაცი და ნათელი ბნელზედ ვერავინ შეაცვლევინა.

ამ კაცთმოყვარე ღმერთისათვის იწამა ჩვენი ქვეყანა, ამას ანაცვალა, მას შესწირა ყოველივე, რაცკი ადამიანს საბედნიეროდ აქვს მონიჭებული, ეკლის გვირგვინი დაიდგა თავზედ, თხუთმეტი საუკუნე გულ-გაუდრეკლად ატარა თავპირ-დასისხლიანებულმა, ჩვენს დრომდე შეუმწიკვლელად მოიტანა და ტანჯულმა და წამებულმა ჩვენ – შვილებს გადმოგვცა, ეხლა თქვენ იცითო.

ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ჰნიშნავდა მთელის საქართველოს მიწა-წყალს, ჰნიშნავდა ქართველობას. დღესაც მთელს ამიერ კავკასიაში ქართველი და ქრისტიანი ერთისა და იმავე მნიშვნელობის სიტყვები არიან. გაქრისტიანების მაგიერ გეტყვიან, – გაქართველდაო“ *(ილია ჭავჭავაძე).*

უფალო!

ქრისტიანობა ეროვნულ სარწმუნოებად გადაიქცა საქართველოში. ქრისტიანობისა და ეროვნების გაიგივება არსად არ მომხდარა, გარდა საქართველოსი.

უფალო!

ბევრჯერ ვიმარჯვებდით შენი თანადგომით!

მთელმა მართლმადიდებელმა სამყარომ უნდა იცოდეს:

ჩვენ რომ დიდგორის ბრძოლა წაგვეგო, ჩვენ რომ შამქორის ბრძოლა წაგვეგო, ჩვენ რომ ბასიანის ბრძოლა წაგვეგო, ჩვენ რომ მონაწილეობა არ მიგვეღო თურქ-სელჩუკებთან ბრძოლაში, ჯვაროსნულ მოძრაობაში, რომელშიც ევროპა ქართველობას მძლავრ დასაყრდენ ძალად მიიჩნევდა, ჩვენ რომ არ გვყოლოდა უდიდესი წმინდანები, ჩვენ რომ არ ვყოფილიყავით ქრისტიანული სარწმუნოების მძლავრი იდეოლოგები – ქრისტიანობა საორჭოფო გახდებოდა არა მარტო საქართველოში, არამედ დღევანდელ მსოფლიოშიც კი. ამას დღეს მსოფლიოს ყველა მეცნიერი აღიარებს, ვინც კი ამ საკითხს შეხებია: “ქართველები ქრისტიანობის ბურჯი, საუკუნეთა მანძილზე ურწმუნოთა თავდამსხმელი ურდოების წინააღმდეგ, ერთადერთი ქვეყანა, რომლის შვილებს ნება ჰქონდათ გაშლილი ბაირაღებით შესულიყვნენ იერუსალიმს“ *(ბელ კოლბი კარინგტონი, ინგლისი).*

“ევროპა და განსაკუთრებით რუსეთი დღემდე ძალიან მცირე ანგარიშს უწევენ იმას, თუ რა მნიშვნელოვანი ისტორიული მისია შეასრულა საქართველომ ევროპული ქრისტიანობის წინაშე, თავისი საუკუნოვანი ტანჯვითა და მოუღლელი ბრძოლით.

ქართველი ერი – ეს ჭეშმარიტად ჯვრის მტვირთველი ერია, მსგავსად ჯვრის მტვირთველი რაინდისა, ამ ერის მთელი სიცოცხლე ლოცვასა და ისლამთან სისხლიან ბრძოლას შორის იყოფოდა. ათასწლეულზე მეტ ხანს არ გაუგდია მას ხელიდან ხმალი, და თუ ქრისტიანული ჯვარი მისი მანტიის მხრებზე არ იყო ამოქარგული, სამაგიეროდ, იგი წარუხოცელად იყო ჩაბეჭდილი შიგ ამ ხალხის გულში...

საქართველო ამგვარად ისლამის წინააღმდეგ ქრისტიანული თავდაცვის მოწინავე სანგრად გადაიქცა. ევროპის ამ უნებლიე მოკავშირემ მას უდიდესი ისტორიული სამსახური გაუწია...

აღმოსავლეთის ძლევამოსილმა მუსულმანობამ თავისი ენერგია და ფანატიზმი პატარა საქართველოს შეურყეველ მკერდზე დაამსხვრია...“ *(ე. მარკოვი, რუსი ისტორიკოსი, 1913 წ.).*

“საქართველო და თბილისი რომ არ ყოფილიყო, შესაძლოა ვენაში, ტაძრის ნაცვლად, მეჩეთი მდგარიყო, რადგან თბილისის ციტადელს ეხეთქებოდნენ საუკუნეების განმავლობაში ჯალალედინები, ჩინგიზხანები და აღმოსავლეთის სულთანები და შახები.

თბილისი იდგა, როგორც ევროპის ციხესიმაგრე, სადაც მთელი საქრისტიანოს მტრები სისხლისგან დაცლილნი და დასუსტებულნი ვეღარ აღწევდნენ ევროპამდე!“ *(ჰუგო ჰუპერტი, 1902-1982, ავსტრიელი პოეტი).*

ქართველებმა ევროპა, ევროპელები და მართლმადიდებლობა გადავარჩინეთ მსოფლიოში!!

ეს უნდა იცოდეს ევროპამ და მთელმა მსოფლიომაც!!

დღეს მთელი ევროპა გამაჰმადიანობის წინაშე დგას, აშკარად!!

უფალო!

ღვთიური ქართული ზარი ხომ შექმნა და ხომ მოგიძღვნა უდიდესმა ქართველმა მართლმადიდებელმა ნოდარ მამისაშვილმა – დიდმა მაესტრომ.

წმინდა სამების ტაძრის ცხრა ღვთიური ზარი აგებულია ქართულ რიტუალებზე და ქართულ სამგალობლო ჰარმონიის ბაზაზე, რადგანაც სამგალობლო ჰარმონიაში ცხრა ბგერაა ძირითადი. ზარში უღერს ჰარმონია, რომელზეც იგება მთლიანად საგალობელი. სამების ზარი გუმბათისებურია და თითქოს გადაძახილშია ტაძრის გუმბათთან. ცხრა ზარი! ცხრა ტონის კატეგორია! განუმეორებელი მსოფლიო საოცრება! და, ეს ხელთუქმნელი ქართული ზარი მთელი მართლმადიდებელი სამყაროსათვის მაშინაც რეკავს, როცა სდუმს! ზარის ბგერადობა, სირბილე და შინაგანი მშვენიერი ხმა, – ოქროს წონაშია მოქცეული, რომლის საიდუმლოებას მხოლოდ ბატონი ნოდარ

მამისაშვილი ფლობს. და,– დღეს – ეს სასწაულმოქმედი ზარი უფლის სადიდებულად რეკავს! მაშ საიდან ამდენი მტერი და ორგული,– უფალო?!

საქართველოში ინახება უამრავი სიწმიდე.

საქართველოს ჰყავს უამრავი უდიდესი წმინდანი.

პროკოფი კესარიელი (VI ს.) ხომ ამბობდა: „იბერები ქრისტიანები არიან და ამ სარწმუნოების წესებს ყველა იმათზე უკეთ იცავენ, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ“.

კირიონ კათალიკოსი (VII ს). ამბობდა: „ქართველ ხალხს მის დრომდე და მის დროსაც აქვს ის სარწმუნოება, რომელიც მოციქულებმა იქადაგეს და რომელსაც იერუსალიმის სარწმუნოება ეწოდება, რადგანაც ნათქვამია, სჯული სიონიდან გამოვა.“

წმინდა გიორგი მთაწმინდელი (XI ს.) წერდა: „წმინდათა მოციქულთა განათლებულნი ვართ და რადგანაც ერთი ღმერთი გვიცნობიეს არღარა უარ – გვიყვიეს და არცა ოდეს წვალებისა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავი ჩვენი... ამას საფუძველსა ზედა მართლმადიდებლობისას და მცნებათა და ქადაგებათა ზედა წმიდათა მათ მოციქულთა მტკიცე ვართ.“

უფალო!

ჩვენ ხომ შვიდივე მსოფლიო საეკლესიო კრების აქტიური მონაწილენი ვართ! მონაწილენი ვართ აგრეთვე 1438 წლის ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებისა.

ქართველებმა ხომ უარვყავით ალექსანდრიელი მღვდელის არიოზის ცრუ სწავლებანი, რომელიც მწვალებლად აღიარეს.

ქართველები ხომ იბრძოდნენ ნესტორიანელთა წინააღმდეგ.

ხატმებრძოლეობა ხომ საქართველოს ეკლესიაში არასოდეს შემოსულა.

მსოფლიო კრებამ ხომ ქართული ეკლესია აღიარა საპატრიარქო ეკლესიად.

როგორც რომის პაპები, ასევე მსოფლიო (კონსტანტინეპოლის) პატრიარქის, ისე, აღმოსავლეთის ოთხი პატრიარქი, აგრეთვე ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრება სცნობდნენ იბერიის ეკლესიას, დიპტიხის მიხედვით, მეექვსე ადგილზე: რომის, კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის შემდეგ, ხოლო მართმადიდებელ ეკლესიაში კი – მე-5 ადგილზე.

ფერარა-ფლორენციის „მსოფლიო“ საეკლესიო კრებას თანაბარი უფლებით ესწრებოდა იბერიის მიტროპოლიტი. „იბერიის მიტროპოლიტი იჯდა მართლმადიდებელთა მხარეს მეხუთე ადგილზე: კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის და იერუსალიმის წარმომადგენელთა შემდეგ. ავტოკეფალურ ეკლესიად მიიჩნეოდა მხოლოდ ხუთი ეკლესია. კონსტანტინეპოლოს, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმისა და იბერიისა. ამ ავტოკეფალურ ეკლესიათა წარმომადგენლებს ამ კრებაზე ეჭირათ სხვებისაგან განსაკუთრებული სკამები კრების მონაწილეთა პირველ რიგში; ხოლო იბერიის მეფის ელჩი, რომელსაც აგრეთვე ტრაპეზუნტის იმპერატორის მანდატი ჰქონდა, პაპის თანმხლები პირის პირდაპირ იჯდა“ *(ი. ტაბაღუა).*

უფალო!

ჩვენ ხომ ჯვარი ვაზისაგან გავაკეთეთ, ვაზის ჯვარი, ჯვარი – ვაზისა. სახლსა შენსა, საყდარსა შენსა ვაზი ავიყვანეთ, ვაზის ჩუქურთმიანი პერანგი ჩავაცვით და „შენ ხარ ვენახი“ გიგალობეთ – “ახლად აყვავებული.“

ჯვარი ვაზისა ხომ დღესაც საფიცარია საქართველოში!!!

სული ჩვენი აღვზარდეთ და გავზარდეთ ჩვენივე სხეულის საგვემად; თაყვანისცემად შენდა, თავ-ყანის ცემად,– როგორც იტყოდნენ წინაპარნი ჩვენნი.

ქართველმა ერმა, სახელოვანი მეფეების წინამძღოლობით, შეძლო იერუსალიმისა და ქრისტეს საფლავის განთავისუფლება, უწმინდურთაგან და, მოიპოვეს უფლის საფლავის მცველის საპატიო წოდება.

ქართველი მეფენი ხომ “მესიის მახვილად“ იწოდებოდნენ!

უფალო!

საქართველო ხომ მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. „...და ჩუენებით ეჩუენა მას ძე უფალი ჩუენი, და რქუა, “დედაო ჩემო, არა უგულებელვყო ერი იგი საზეპურო უფროს ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათთვის. ხოლო შენ წარავლინე პირველწოდებული ანდრია ნაწილსა მას შენდა ხუედრებულსა, და თანა წარატანე ხატი შენი ვითარცა პირსა შენსა დადებითა გამოისახოს, და შენ წილ ხატი იგი შენი მკვიდრობდეს მცუელად მათდა უკუნისამდე ჟამთა“.

მარიამ ღვთისმშობელმა ხომ აასრულა უფლისა ჩვენისა იესოს ნდობა-სურვილი. ხომ გამოგზავნა ანდრია მოციქული საქართველოში, ხომ უბრძანეა მისი ხატის წაღება მისსავე წილხვერდ ქვეყანაში, – “რათა მე ვიყო განმგებელი ცხოვრებისა მათისა, ხელი აღუპყრა და შევეწიო მათ, და არავინ მტერთაგანი მძლე ექმნას მათ“. საქართველოში ხომ ინახება ქრისტეს “ფერკხთა ფიცარი“, რომელიც თვით ბერძნებსაც კი არ მოეპოვებათ. ჩვენთან ხომ ინახება ის ფიცარი, რომელიც სახეზე დაიდო ღვთისმშობელმა და ზედ ზუსტად ამოკვეთა ხატი თავისი. ყველაზე მეტმა მოციქულმა ხომ საქართველოში იქადაგა, ანდრია პირველწოდებულისა, მატათასა და სვიმონ კანანელის ჩათვლით, რაც არც ერთ ქვეყანაში არ მომხდარა! არც ერთი ქვეყნის ისტორიაში არ მოიპოვება მაგალითი იმისა, რომ 100 ათასი ჩვეულებრივი მოქალაქე სიკვდილით დაესაჯოთ მხოლოდ იმისათვის, რომ ყოველმა მათგანმა სათითაოდ უარი თქვა წმიდა ხატებისათვის ფეხი დაებიჯებინა.

საქართველოს მიწაში გმირები წვანან!!!

ჩვენ ხომ არავისთვის არაფერი წაგვირთმევია!!!

“არასადმე ვიხილავთ დიდთა შენებულთა და ეკლესია-მონასტერთა ანუ ხატთა და ჯუართა ძვირფასთა, რომელთა ზედა იყოს სხუათა მეფეთა

სახელნი, თვინიერ: "ჩუენ მეფემან საქართველოსამან ანუ ქართლისამან ანუ აფხაზეთისამან", რომელთა ზედა წერილ არიან ქუათა, ხატთა და ჯუართა ზედა" *(ვახუშტი ბატონიშვილი).*

"საქართველო არის ქართველი ერის მიწა-წყალი, სადაც მას უწარმოებია თავისი ისტორია, და რომლის ყოველი მიდამო მოფენილია ქართული მრავალფეროვანი კულტურის მონუმენტებით. აქ არ არის მითვლილი არც ერთი ნაჭერი მიწა, რომელიც დაპყრობით ან სხვა გზით ყოფილიყვეს შემოერთებული.

საქართველოს ტერიტორია კლასიკურად დამთავრებულს მთლიანს წარმოადგენს – ისტორიულად, გეოგრაფიულად, ეკონომიკურად და ეთნოგრაფიულად... შეკავშირებული მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი და კულტურული ერთობით" *(პავლე ინგოროყვა).*

"ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაც შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების" (გიორგი მერჩულე).

უფალო!

ჩვენ არა მარტო ვეწამეთ და გადავარჩინეთ ქრისტიანობა, არამედ ქრისტიანული სარწმუნოების მძლავრი იდეოლოგები ვიყავით ჩვენ, ქართველები – მთელ ქრისტიანულ სამყაროში, მთელ ქრისტიანეთში.

საქართველოს უძველეს ქალაქ მცხეთაში ხომ წმინდა მირონი გადმოედინება იმ ხიდან, რომელიც იესო ქრისტეს მიწაში დაფლულ კვართზე იყო ამოსული. საქართველოს ხომ უძველესი ხანიდან აქვს მინიჭებული მირონის კურთხევის უფლება, რომელიც სვეტიცხოველში ხორციელდება. დიდი, ხელთუქმნელი სვეტიცხოველიც ხომ ამ ადგილას ავაგეთ, შენდა სადიდებლად. აი, რა განსაკუთრებულია სვეტიცხოველი ყველა შენს წმინდა სახლთა შორის, ვისაც კი შენდა სადიდებლად ვინმე სხვას აუგია, ანუ აუშენებია.

ყოვლადუწმინდესი მსოფლიო პატრიარქი – ბართლომეოს I ხომ გვიდასტურებს, რომ საქართველო წმიდა მიწაა და უამრავ წმინდანთა სამშობლოა, რომ "უკერველი კვართი ქართველ ხალხს აჩუქა უფალმა ჩვენმა, ვითარცა ჩვენდამი სიყვარულის მარადიული ძეგლი... რომ ქართველებს გადაშენება არ უწერია:

"თორმეტი მოციქულის ამ დიდებულ ტაძარში, სვეტიცხოველში, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს უკერველი კვართი ინახება... დღევანდელი დღესასწაული მხოლოდ საქართველოს ეკლესიის დღესასწაული არ არის, რადგანაც მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენელთა მონაწილეობით აღევლინა წირვა უფლის კვართის ტაძარში. ეს ფაქტი კიდევ უფრო მეტი შარავანდედით მოსავს ამ დღეს, რომელიც უმნიშვნელოვანეს სადღესასწაულო დღეთაგანია ქართველი ერის ისტორიაში, იმ ერის ისტორიაში, რომელმაც ადრიდანვე შეისმინა სახარების სიბრძნე, იმ ხალხისა, რომელიც მოწოდების სიმაღლეზე დადგა და პატივი მიაგო უფლის სახელს. ხალხისა, რომელმაც თავის ეკლესიას და სრულიად მართლმადიდებლობას ათასობით წმინდანი, მოწამე, აღმსარებელი, ღირსი მამა, ასკეტნი, მღვდელმთავრები, კაცნი მართალნი, მორწმუნე ქალები და ბავშვები შესძინა. ხალხისა, რომელსაც მიუხედავად დევნისა და მოწამეობისა, თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, და სულ ახლო წარსულშიც კი, არ უღალატია ქრისტიანული მეობისათვის, სამუდამოდ მართლმადიდებელი დარჩა...

ამ ღმერთის მიერ გამორჩეულ და კურთხეულ ადგილზე, სადაც ეს ტაძარი აშენდა, დაფლულია კვართი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ეს კვართი ემოსა განკაცებულ ღმერთს ჩვენსას. ამასთან ერთად ვზეიმობთ მირონმდინარე ცხოველი სვეტის დღესასწაულს... უკერველი კვართი ქართველ ხალხს აჩუქა უფალმა ჩვენმა, ვითარცა ჩვენდამი სიყვარულის მარადიული ძეგლი, რათა კვართი უფლისა სამარადჟამოდ ამ ქვეყნის საკუთრება გამხდარიყო. ის უნდა გამხდარიყო ნიშანი უფლისა დიდი წყალობისა, მისი თქვენთან ყოფნისა და, ამასთანავე, მთელი მსოფლიოს ქრისტიანებისათვის უნდა შეეხსენებინა განკაცება თავისი და ვნებანი მისნი, რომლებიც ჩვენდა საცხოვნებლად გადაიტანა... 2007 წელი იოანე ოქროსპირის წლად გვქონდა გამოცხადებული. იოანე ოქროპირი კი აქ, საქართველოში აღსრულდა. მადლობის მეტი რა გვეთქმის საქართველოს წმიდა მიწისა და მისი მორწმუნე ხალხის მიმართ, რომელმაც იოანე ოქროპირის სარკოფაგი და წმიდა ვასილისკოს საფლავი შემოგვინახა. ნუ დაივიწყებთ იმას, რომ საქართველოს სიმდიდრე მისი წმინდანების სიმრავლეა. ისინი იქნებიან მუდამ ქართველი ხალხის დასაყრდენი და მანუგეშებელნი. ისინი მოწმობენ, რომ ამ ერს გადაშენება არ უწერია, რადგან ამ წმინდანებმა დაამტკიცეს, რომ ქართველ ხალხს არ ეშინია განსაცდელის, არ ეშინია ჯვარცმის... ღვთისმშობელი, რომლის წილხვედრიც არის საქართველო, ურიცხვი წმინდანი და მოწამე დაიცავს და დაიფარავს!" *(ყოვლადუწმინდესი მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოს I, "სიტყვა წარმოთქმული სვეტიცხოველში", 12 ოქტომბერი, 2007 წელი).*

უფალო! გადიდებთ წრფელი გულითა და "თვინიერ" ქართულისა ენითა. იმ ენით, რომელიც არის "შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაითა"... რომელი არს "უმეტეის სხვათა ენათა", "რამეთუ ყოველი საიდუმლოი ამას ენისა შინა დამარხულ არს". ეს ენა, უფალო, შენი წყალობით შევინახეთ "დღემდე მეორედ მოსვლისა მესიისა საწამებლად, რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა".

უფალო!

ღვთის წინაშე ჭეშმარიტად გამოცდა რომ არ ჩაგვებარებინა, განა მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა გავხდებოდით?! მაშინ, უფალი როგორ მოგვცემდა დასაცავად ორ სამსჭვალს იმ ოთხიდან, რომლებითაც ქრისტე ჯვარს აცვეს?! მაშინ, ვინ მოგვცემდა დასაცავად კვართს უფლისა

ჩვენისა იესო ქრისტესი? მაშინ, ვინ მოგვცემდა ქრისტეს ფერხთა ფიცარს?

325 წელს, ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრებაზე ქართული ეკლესიის წარმომადგენელს, ბიჭვინთის საეპისკოპოსო კათედრის მმართველს, ეპისკოპოს სტრატოფილეს ორი საარჩევნო ხმის უფლება ჰქონდა, რაც აღარასოდეს განმეორებულა.

ჩვენმა ეკლესიამ ავტოკეფალია ვახტანგ გორგასლის დროს მიიღო. მანვე საქართველოში დააარსა 12 საეპისკოპოსო კათედრა.

ქრისტეშობიდან 34-ე წელს ანდრია პირველწოდებულმა საქართველოში ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი დააფუძნა, ეპისკოპოსი და მღვდლები ხელდასმით აკურთხა.

საქართველოში არ არსებობს ბორცვი და გორა, სადაც ტაძრები, მონასტრები და სალოცავები არ იყოს გაშენებული. „ფშავსა და მთის სხვა კუთხეებში თითოეულ თემს ჰყავს საკუთარი ხატი, გარდა საზოგადო ხატისა“ *(ვაჟა-ფშაველა).* ასევე არის საქართველოს ყველა კუთხესა და კუნჭულში!

ჩვენი ტაძრები და მონასტრები მარტო ტაძრები და მონასტრები არ იყო. ისინი ციხე-ბურჯებად იყო გადაქცეული. ჩვენი დამხმარე და მშველელი არავინ იყო. პირიქით, ჩვენ შემოგვყურებდნენ, ჩვენს იმედად და ჩვენს იმედზე იყვნენ. რაოდენ ვეწამეთ, რამდენი წამებულის სახელი შერაცხე, უფალო, წმინდანად. უფალო!

1453 წელს თურქ-ოსმალების მიერ ბიზანტიის დაპყრობის შემდეგ, მაჰმადიანურ გარემოცვაში სრულიად მარტონი აღმოვჩნდით. მარტონი ვიბრძოდით მართლმადიდებლობის შესანარჩუნებლად. ხომ ღირსეულად ვიდექით!

ევროპა იდგა და გვიყურებდა!

რუსეთი იდგა და გვიყურებდა!

მაგრამ “ქართველნი ვართ ნათესავნი მხნენი და მხედრობითა აღზრდილნი და მარადის ჭირვეულსა ცხოვრებასა ჩვეულნი“ (გრიგოლ ბაკურიანის-ძე, XI ს.).

“ქართველი ერი ძველი და მრავალთა ჭირთა და შევიწროებათა მნახველი, ადვილად მიიღებდა მწუხარებასა და ადვილად განიკურნებდა თავსა, ვითარცა ჭირნახადი განვლილი ცეცხლისა, ვითარცა ბრძმედსა შინა ოქრო, იყო ნათლად და წმინდად საჩვენებელი... ვერ ერეოდეს ვერც შინაგანი, ვერც გარეგანი მწუხარება. გაღელებული თავისუფლებითა და განლაღებული მთებითა ეცინოდა ბედსა და უბედობასაცა“ (პლატონ იოსელიანი).

“ქართველი, ბუნებით სადაგნი და მარტივნი და გონებით წრფელნი, სიმართლისა ცხოვრებისასა უმანკოებისასა მზიდველნი, მხოლოდ ღმრთისა ოდენ და მკლავისა თვისისა მოსავნი“ *(ნიკოლოზ გულაბერიძე, XII ს.)*

უფალო! შენის შემწეობით ივერია მალე გაბრწყინდება და ახდება ის უდიდესი წინასწარმეტყველება, რომელიც ათონის წმინდა მთაზეა გავრცელებული. ყოვლადწმინდა სასწაულმოქმედი ღვთისმშობლის ივერიის ხატი, რომელიც ათონის მცველად წმინდა მთაზეა დავანებული, უფლის მეორედ მოსვლის წინ, თავის პირვანდელ სამყოფელს – ივერიას, ანუ საქართველოს დაუბრუნდება.

ამაზე ხომ თვით რუსი წმინდანებიც მიუთითებენ:

“ივერიის ქვეყანაში ეშმაკი ვერ დაჯდება, ივერია მწვალებლურ დევნას გადაურჩება, რამეთუ დედა ღმრთისა, ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელი იცავს ამ მხარეს“ *(წმ. ლავრენტი ჩერნიგოველი).*

სხვაგან წმიდა ლავრენტი ჩერნიგოველი ამბობს: „რუსები ბოლო ჟამს მოინანიებენ სასიკვდილე ცოდვებს: ებრაელ-მასონთა უსჯულოება რომ დაუშვეს და არ დაიცვეს ღვთის ცხებული მეფე, ეკლესია-მონასტრები და სხვა სიწმინდეები. რომ მოიძაგეს ღვთისმოსაობა და შეიყვარეს საეშმაკო უკეთურება... რუსეთში მოვა საშინელი მსაჯული განსჯად ცოცხალთა და მკვდართა... ღმრთისმშობლის წილხვედრ ივერიაშიც იქნება დევნა, მაგრამ მცირე ხნით, როგორც ასეთი, ანტიქრისტე იქ ვერ გამეფდება, საყდარს ვერ განიმტკიცებს.

რუსეთში... ბოლო ჟამს ადამიანები დემონებით აივსებიან და ისინი არც ილოცებენ და არც პირჯვარს გამოისახავენ, მხოლოდ ერთმანეთის დახოცვა ედებათ გულში. დემონები ეცდებიან, რაც შეიძლება მეტი ადამიანი იყოს შეპყრობილი კაცისკვლის ჟინით, თვით სატანა კი, ამოვა რა ტარტაროზიდან, თორმეტი წლის ბიჭუნაში შევა, რომელიც შემდგომში ანტიქრისტე იქნება და მთავარი სულთამხუთავი“.

“მრავალი ერი აღიხოცება პირისაგან მიწისა მაგრამ იბერია, ვითარცა ღვთისმშობლის წილხვდომილი, იარსებებს ქვეყნის დასასრულამდე და გადაარჩენს მსოფლიოს“ *(წმ. სერაფიმე საროველი).*

„Придут худщие времена и если Россия к тому времени останется, то будет ползти в Иберию на колене, чтобы просить прощения за все грехи, которое Россия сделает против него“ *(წმ. ლავრენტი მურომელი).*

საქართველო ურღვევია, როგორც კვართი უფლისა!

თითოეული ჩვენგანი ატარებს მას!

* * *

ჩვენს მტრებს ავიწყდებათ “ძველი აღთქმის“ ერთი შეგონება: “ცასა და მიწას ვიმოწმებ თქვენს წინაშე, რომ მალე გადაშენდებით იმ ქვეყნიდან, რომლის დასამკვიდრებლადაც გადადიხართ იორდანეს. დიდხანს ვერ დაჰყოფთ იქ, უეჭველად განადგურდებით“ *(“მეორე რჯული“, IV(26)).*

ერთი, ქართველთა ქრისტიანული წესისა და მორალის მაჩვენებელი მაგალითიც გავიხსენოთ: როდესაც სახელგანთქმული ილარიონ ქართველი გარდაიცვალა თესალონიკეში, იმპერატორმა ბასილმა, დაიბარა ილარიონ ქართველის მოწაფეები და დიდი პატივით მიიღო. მათ უთხრა: „ჰე, პატიოსანნო მამანო, გამოირჩიენ ღირსებამან თქუენმან მონასტერი, სადაცა გენების თქვენთ-

ვის და ნათესავისა თქუენისათვის“. ილარიონის მოწაფეებმა ეს წინადადება არ მიიღეს, სხვათა აშენებულ მონასტრის მითვისებაზე უარი განაცხადეს და მიუგეს: “არა შესაძლებელ არს ესე ჩუენ მიერ, რაითამცა სხვათა აღაშენებული ჩვეუნ დავიპყრათ უცხოთა კაცთა და იგიმცა განვასხენით, რომელთა აღუშენებიეს... უკუე თუ გნებავს, განვიდეთ ადგილსა უდაბნოსა და ვიძიოთ ადგილი მყუდროო, სადაც ჯერ-იყოს აღშენება მონასტრისა“.

ქართველებმა არ იკადრეს და არც იკადრებდნენ სხვისი აშენებულის თუნდაც საჩუქრად მიღებას, თუნდაც იმპერატორისაგან.

იმპერატორმა დააკმაყოფილა ილარიონ ქართველის მოწაფეების თხოვნა და ასე აშენდა რომანას (ჰრომანას) ქართველთა მონასტერი 876 წელს, კონსტანტინეპოლის ახლოს.

* * *

“დიდება შენდა, ღმერთო მაღალო, ცათა სწორო, ხმელეთის ბადალო, დასწერე ჯვარი ანთებულ სანთელსა ქართველთა, დაჭვრეტილ სეფს, დადგმულ ჭიქა ბარძიმსა, დადგმულ ზედაშესა. შენდამი ხვეწნა-მუდარა სასიხარულოდ გაგვიხადე.“

უფალო!

მშვიდობა დაუმკვიდრე საქართველოს!

“მშიერი დააპურე, ბოროტი გააკეთილშობილე, მიუსაფარს ბინა მიუჩინე, მოყვასს მოყვასი შეაცნობინე, ერთმანეთის სიყვარული და გატანა ასწავლე. ხანძთა დამიბრუნე, უფალო, ოშკში ლოცვად მიმაახლე, ხახულში მაგალობე, სარწმუნოება გამიმყარე, ერი გამიძლიერე, სამშობლო გამიმთლიანე ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, ჩემს მშობლიურ ანგელოზის ენას ღვთიური სიწმინდე შეუნარჩუნე. ჰო, მართლა, დატყვევებულ ზღვას მწუხრის ჩადრი გადახადე და თეთრი აფრებით დაუფარჩე წამებული სული. ფრონეს ხეობის ბანი მომასმენინე, არაგვის ღრიალს მიმაყურადე, ვაჟას დაჭრილი არწივი ფრთებშესხმული მაჩვენე, ორბის ფრთებით დაისრული ზეცა მახილვინე, ფიფქდათოვლილი მყინვარწვერიდან ფერეიდნელი ქართველის გულში ჩამახედე... ვაუკაცს მხნეობა დაუბრუნე, დიაცს 9 ძის აკვანი დაარწევინე. საიალაღო ველმინდვრებს უცხოთა სათარეშოდ ნუ გამიხდი, ჩემივ სამშობლოში ბორკილებშებმულ მონად ნუ მაქცევ. შეეწიე ჩემს მამულს და შენივე მადლით ხელდასმული პატრონი მოუვლინე. ეს ქვეყანა შენი წილხვედრია და მეკვლე მოჰგვარე ფეხბედნიერი“ *(თამარ ბურნაძე).*

“ყოვლად-წმიდაო სამებაო, განგვაძლიერენ ჩუენ; ყოვლად-წმიდაო სამებაო, არცხვინე მაჭირვებელთა ჩუენთა; წინამძღუარო, შენთა სიტყვიერთა ცხოვართაო, ქმნულნი ხელთა ჩვენთანი წარგვიმართენი“ *(მღვდელი მიქაელ გალდავა).*

უფალო!

მტერი “გარე-მომადგეს და მომიცავეს მე და სახელითა უფლისაითა ვერეოდე მათ“ *(ფსალმ. 117.11).*

“ძლიერებაო სვეტისა ცხოველისაო და ზეგარდამოქსოვილო კვართო უფლისაო, დაგვიცევ და დაგვიფარე ჩვენ“. *(ზოსიმე (შოშვილი), მთავარეპისკოპოსი).*

უფალო!

“სარწმუნოებით ვხმობთ შენდამი: გარდამოიხილე ერსა შენსა ზედა და ყოველნი მწუხარებანი და ვნებანი ჩუენნი დაშრიტენ, დანერგე ნუგეშისცემანი კეთილნი გულთა შინა ჩუენთა და ცხორებაჲ საუკუნო იოხე სულთა ჩუენთათვის.

დამწყესე შენი კვერთხით შენი ერი, შენი სამკვიდრო ფარა“ *(მიქ. 7,4).*

უფალო!

შენის ძალითა: “გაბნეულნი შეკრიბენ, ჭეშმარიტების გზასა შეცდომილნი განამტკიცენ, მოწყლულნი განკურნენ, მოხუცებულნი აღადგინენ, ყრმანი აღზარდენ და ჭაბუკნი განაბრძვენ!“

მოციქულნო, ღმერთთან ახლოს მყოფნო, ჩვენო შემწევნნო, მეოხნო წინაშე ღვთისა, – გევედრებით: აროდეს გვიღალატნია გორგასლის ფარზე წაწერილი სიბრძნისათვის: “ეძიებდით ქრისტესთვის სიკვდილსა”-ო და ჩვენც ვეძიებდით.

უფალო!

“ადიდე შენ, ქრისტე, ქართლი (საქართველო) სამითა დიდებითა: ჯვარითა მით შენითა, ხელთა შენთა სამსჭვალითა, ფერხთა შენთა ფიცრითა... შენ ხარ მოძღვარ ქართლისაი, სვეტი ნათლისაი, ცვარი ღრუბლისაი, მზრდელი სულისაი, მასწავლებელი სიხარულისაი” *(უცნობი ავტორი, IX ს.).*

„შენ გევედრები, უფალო, და შენთა კართა ზედა ვირეკ, სახიერო! უტყუარია შენი აღთქმა”... *(წმიდა ეფრემ ასური).*

“შეგვეწიენ, წმიდაო მეუფეო, და გვიხსენ დიდისა ჭირისაგან და განგვათავისუფლენ კაცთაგან ამაოთა და უცხოთა თესლთა!” *(გიორგი მცირე, XI ს.).*

მამულო ჩემო: “თუალო ყოვლისა სოფლისაო... რომელი-ეგე ჰაეროვან ხარ, ვითარცა სამყაროი ხილულისა სოფლისა შორის, საჩინო, ვითარცა მზე ვარსკვლავთა შორის, ბრწყინვალე, ვითარცა ეთერი ნივთთა შორის, ნათლისფერ, ვითარცა ელვაი ღრუბელთა შორის, ცისკროვან ვითარცა აღმოსავალი კერძოთა შორის, ტკბილ, ვითარცა არე ჟამთა შორის, ღმრთის სახე ვითარცა სიყვარული სათნოებათა შორის, გულის სათქუმელ, ვითარცა ოქროი მიწათა შორის, ელვარე, ვითარცა ვიაკინთი ქვათა შორის, მადალ, ვითარცა ფინიკი ნერგთა შორის, შვენიერ, ვითარცა ვარდი ყვავილთა შორის, აღმატებულ, ვითარცა სამოთხე ქვეყანისა შორის, ძლიერ, ვითარცა ლომი მხეცთა შორის, მტკიცე, ვითარცა ანდამატი განუკვეთელთა შორის, სახელგანთქმულ, ვითარცა ნებროთ გმირთა შორის, ახოვან, ვითარცა ისო წინამბრძოლთა შორის, მოშურნე (კეთილის გადმომღები), ვითარცა ფინეზ მღვდელთა შორის, მხნე, ვითარცა სამფსონ მსაჯულთა შორის, უბრძოლელ ვითარცა აქილევ ელლენთა შორის, ბრძენ, ვითარცა სოლომონ მეფეთა შორის, მშვიდ, ვითარცა დავით ცხებულთა შორის, ... უზარო, ვითარცა მაკედონელი მფლობელთა

3. “ამერ-იმერი.”

შორის, განმადიდებელ ფლობისა, ვითარცა ავღვისტოს კეისართა შორის, კაცთმოყვარე, ვითარცა ჩემი იესუ ღმერთთა შორის, ბუნებით ღმერთი მადლით ღმერთქმნულთა შორის, მხურვალე, ვითარცა პეტრე მოწაფეთა შორის, საყვარელ ვითარცა იოანე მეგობართა შორის, მკვირცხლ ვითარცა პავლე მოციქულთა შორის, სახის დასაბამ უცთომელისა ქრისტეანობისა, ვითარცა დიდი კოსტანტინე თვითმპყრობელთა შორის, სიმტკიცე კეთილად მსახურებისა, ვითარცა თევდოსი სკიპტრის მპყრობელთა შორის“ *(არსენ იყალთოელი, “ძეგლისწერა”, XI-XII სს.).*

მამულო ჩვენო: “ღმერთმა დაგლოცოს, გაგახაროს, გაგაძლიეროს,” “უფალმა არ მოგაკლოს თვისი წყალობა და მშვიდობა” „ღმერთს ებარებოდე”, “უფალმა დალოცოს მთელი საქართველო და მკვიდრნი მას შინა”, “მაცხოვარმა დაგლოცოს და მტერი მოყვრად გიქციოს”, “წყალობა, მშვიდობა, სიყვარული, და სიხარული სუფევდეს შენ თანა”.

“ღმერთო ძლიერო, უმრავლე საქართველოს, ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას, იავნანათი გაზრდილი თაობა!

ღმერთო ძლიერო, მრავალმოწყალეო, მამაო, ძეო და სულო წმინდაო, სამებაო, ერთარსებაო და განუყოფელო უფალო, დიდება და მადლობა შენდა!

გევედრები, შეისმინე ლოცვისა ჩემისა და მოანიჭე მადლი და ძალა შენი ჩვენს ხალხს; შეცვალე მწუხარება ქართველთა ერისა სიხარულად, შფოთი და მტრობა – მშვიდობად და სიყვარულად.

სნეულნი განკურნე, უცხოეთში მყოფი თანამემამულენი მშვიდობით დააბრუნე, დალოცე და გააძლიერე მხედრობა ჩვენი, ერი და ეკლესია შენი და მოგვანიჭე მტკიცე და ჭეშმარიტი სარწმუნოება, სიყვარული და იმედი, შეგვმოსე შენი მადლით და წარსდევნე ჩვენგან და ჩვენი ქვეყნიდან ყოველი მტერი და მბრძოლი ჩვენი და აცხოვნე სული ჩვენი, ვითარცა სახიერ ხარ და კაცთმოყვარე.

ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის წილხვედრო მამულო ჩვენო, უფლის კვართის მადლით სვეტად ცხოველად გამოჩინებულო.

ჰე, ერო ჩემო, ანდრია პირველწოდებულის, სვიმონ კანანელისა, მატათასა, ბათლომესა, თადეოზისა და სხვა მრავალთა მოციქულთა მიერ კურთხეულო და წმინდა ნინოს ქადაგებითა და ვაზის ჯვრის ძალით მოქცეულო და მადლმოსილო.

მრავალტანჯულო საქართველოვ, ურიცხვ მოწამეთა ცრემლით და სისხლით განბანილო.

გმირთა სამკვიდროვ, მამულს მოწყვეტილნი შვილننი შენნი ხმობენ ფერეიდანიდან, ტაო-კლარჯეთიდან, ლაზეთიდან, ჰერეთიდან და ქვეყნის სხვა კიდითგან, მონატრებულნი ერთიანი საქართველოს ხილვისა.

უფალო, საკვირველად მწყალობელო ჩვენო, შენ გვაძლევ ძალას, რომ დანგრეული კვლავ აღვადგინოთ, უიმედოს ნუგეში ვსცეთ, მტირალს ცრემლი მოვსწმინდოთ, არ დავემონოთ ბოროტს და ათას საცდურთა. მხოლოდ შენა ხარ „გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე”.

ჰე, უფალო, გევედრებით, შენია ცანი და ქვეყანა, შენა ხარ ანი და ჰოე, დასაწყისი და დასასრული ყოვლისა. შეგივრდებით და გთხოვთ, გაგვხადე ღირსი შენი მეუფებისა, რათა ერთგულნი მადიდებელნი შენნი მარად ვიყოთ ღვთაებრივი სიყვარულით გარემოცულნი“ *(ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი).*

“ღმერთო ძლიერო, სიტყვაო, უწინარეს ყოველთა საუკუნეთა მამისაგან შობილო და ქალწულისაგან მარიამისა ხორცშესხმულო, მოიხილე მაღლით ერსა ზედა წილხვედრსა დედისა შენისასა და ისმინე მუხლმოდრეკით თხოვნა ესე: გევედრებით, გვიხსენ ცოდვათაგან და ბოროტთა განზრახვათაგან ჩვენთა, გული განგვისპეტაკე, გონება განგვინათლე, სული განგვიწმიდე, შეცდომილნი მოგვაქციენ, სულიერნი და ხორციელნი სნეულებანი ჩვენნი განკურნენ და შეგვზღუდენ საღმრთოითა შჯულითა შენითა; მოიხილე ჩვენზედა, სახიერო, და სიყვარულითა შენითა უოხჭნოითა დაცემულნი კვალად აღგვადგინენ და ტაძრად სულისა წმიდისა გამოგვაჩინე, რათა ვიყოთ ჭეშმარიტნი მსახურნი მოყვასისა, მამულისა და ღმრთისა.

სახელისა შენისათვის, აღდეგ, უფალო, შეწევნად ჩუენდა და დააყენე კუერთხი უშჯულოთა; გარეწარაქციე ყოველნი მტერნი და მაჭირვებელნი ჩუენნი, რომელთა განიგდეს წილი სამკვიდრებელსა შენსა ზედა. მოიხსენე ვედრება დედისა შენისა და ყოველთა წინაპართა ჩუენთა, რომელთა იღუაწეს სახელისა შენისათვის და დასთხიეს სისხლი თვისი; მათითა ლოცვითა აღადგინე მამული ჩვენი – საქართველო – პირველსავე დიდებასა და დაიცევ საზღვარნი მისნი უცხოთესლთა ზედა მოსვლისაგან.

ჰე, უფალო, იხილე და მოხედე ვენახსა ამას და განამტკიცე ესე, რომელი დაასხა მარჯუენამან შენმა, რათა ჩუენცა ყოველნი, მკვიდრნი ღმრთივკურთხეულისა ივერიისა და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებნი ქართველნი, შენს ზეციურ ნათელს და საღმრთო სიყვარულს ზიარებულნი, ვგალობდეთ:

“დიდება მადალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“ *(ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი).*

უფალო!

“განგვიმრავლე, ქველისმოქმედ, განძი ესე სულიერი, მოცემული შენმიერი“ *(იოანე-ზოსიმე, საბაწმიდელ-სინელი).*

უფალო!

აადორძინე საქართველო და გაამრავლე ქართველნი, რათა აავსონ ქვეყანა და დაეპატრონონ! იხარონ ორთავ სოფელსა შინა!

ქართველნო: „ადიდეთ უფალი, რადგან კეთილია, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი. ადიდეთ ღმერთი ღმერთებისა, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი. ადიდეთ უფალი უფალთა, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი. მარტოდმარტო მოქმედი

დიდი საოცრებათა, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი. მარტოდმარტო მოქმედი დიდ საოცრებათა, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი. ცათა შემქმნელი გონიერებითა, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი. დედამიწის განმვრცობი წყლებზე, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი. შემქმნელი დიდი მნათობებისა,რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი. მზისა – სამართავად დღისით, რადგან უკუნისანდეა წყალობა მისი... ადიდეთ ცათა ღმერთი, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი" *(ფსალმუნი 135 (136) (1-9,26)).*

"ჯვარსა შენსა თაყუანის-ვსცეთ, მეუფეო და წმიდას აღდგომა შენსა ვუგალობთ და ვადიდებთ", "რამეთუ სიტყვაი იგი ჯვარისაი წარწყმედილთა მათთვის სიცოფე არს, ხოლო ჩვენ ცხონებულთა ამათთვის ძალა ღმრთისა" *(1 კორ. 1,18).*

ქართველნო! "ინაყოფიერეთ, აღორძინდით და გამრავლდით და აავსეთ ქვეყანა და დაეუფლეთ მას და იმთავრეთ... მთელ ქვეყანაზე..." *(დაბადება, 26-28).*

„აღორძინდით და განმრავლდით. და აღავსეთ ქუეყანაი და ეუფლენით მას. და მთავრობდით თევზთა ზღვისათა, და მფრინველთა ცისათა, და ყოველთა პირუტყუთა, და ყოველსა ქვეყანასა და ყოველთა ქუეწარმავალთა, მავალთა ქვეყანასა ზედა" *(დაბად. 1:28).*

"პატარაა საქართველო, მაგრამ იმასაც კი შევსება უნდა" *(ივანე ჯავახიშვილი).*

ქართველნო! "არა უწყითა, რამეთუ ტაძარნი ღმრთისანი ხართ, და სული ღმრთისაი დამკვიდრებულ არს თქვენ შორის... თქუენ ტაძარნი ღმრთისა ცხოველისანი ხართ, ვითარცა თქუა ღმერთმან: დავიმკვიდრო და ვიქცეოდი მათ შორის და ვიყო მე მათდა. ღმერთ და იგინი იყვნეს ჩემდა ერად... და ვიყო მე თქვენდა მამა, და თქუენ იყვნეთ ჩემდა ძეებ და ასულებ, იტყვის უფალი ყოვლისა მპყრობელი" *(1, კორინთ. 3,16.2, კორინთ. 6,16).*

"ტაძარი ღმრთისაი წმინდა არს; რომელ ეგე ხართ თქუენ" – ქართველნო!

ღმერთო დიდებულო!

"ბედნიერად ამყოფე სრულიად საქართველო, საზღვრითი საზღვრამდე. ოთხივ კუთხით მშვიდობა დაუმკვიდრე, ავი თვალისა და ავის გულისა დაულაგმე. გაუმარჯვე საქართველოს ანგელოზთ! მაღალო ღმერთო! – დაეხმარე ერთიან საქართველოს და ხელი მოუმართე საქართველოს დამხმარე და შემწე კაცს! უმრავლე და გააძლიერე ქართველნი. დაგვილოცე სრულიად საქართველო, იმისი დაკლება და გათავება ნუ იქნება! ღმერთო უშველე ქუდოსანსა და მანდილოსანსა: დიაცსა, კაცსა, ყმაწვილსა! შენ უშველე მეომარსა, მეცხვარესა, გუთნის მიმყოლსა, მეზვრესა, შენ გაუმარჯვე მტერზედა!" *(თ. ბურკაძე)*

უფალო!

საქართველოს მტერთა დანდობა არს მტრობა ღმრთისა, მტრობა მსოფლიოს კაცთა!

რა ვქნათ იმ შემთხვევაში, როცა ჩვენს ქვეყანას მტრები შემოესევიან, ან როცა ყაჩაღები გვესხმიან თავს? ამის შესახებ **იოანე ოქროპირი ამბობს:** "მხოლოდ ტყუილი რისხვა აგვიკრძალა უფალმა... ხშირად აუცილებელიცაა დროული განრისხება. ნახეთ, როგორ გადაურჩნენ სულის წარწყმედას კორინთელნი და გალატელნი პავლე მოციქულის შერისხვით... თუ ჩვენი მრისხანების მიზეზი ქრისტესმცნებების დაუცველობაა, სხვათა ცოდვები და უწესობაა და არა ჩვენი პირადი სიძულვილი მოყვასის მიმართ, მაშინ ვალდებულნი ვართ გამოვხატოთ ჩვენი რისხვა!"

გაბრიელი ეპისკოპოსი ამბობს: "როდესაც რაიმე ცუდსა და საძაგელს ხედავ, როცა კაცი მძლავრი და უსინდისო საწყალსა და უბედურს ახრჩობს, როცა მზაკვარი და ცბიერი კაცი მარადის ქვეყანას ატყუებს და ფარისევლობს, შენს გარშემო სიცრუე, უსამართლობა და გარყვნილებაა, შენ კი ყოველივე ამას ხედავ და გული მაინც გრილი გაქვს, არ გიწყრება და არაფერზე ზრუნავ – მეშინის, რომ ვაი თუ შენში ყოველი კეთილი გრძნობა და სათნოების სიყვარული მკვდარი იყოს. ყოველი ასეთი შემთხვევის დროს გულისწყრომა კანონიერი და კეთილია, მაგრამ იგი იმ სურვილით უნდა იყოს შეზავებული, რომ, ქვეყნად ყოველი ბოროტება და სიცრუე შეავიწროვო, ხოლო სიმართლე და პატიოსნება განაძლიერო... როცა კაცი ღმერთის გმობას, სარწმუნოების დაცინვას ან სხვა მსგავს რამეს გაიგონებს; როცა კაცი ხედავს, რომ ვიღაც გარყვნილი თვითონაც უგზოუკვლოდ ცხოვრობს და სხვებსაც აფუჭებს; როცა ვინმე ბოროტსა და უსამართლო კაცს ხედავს, რომელიც თავის მოყვასს ტანჯავს, ან ღმრთისა და ყოველგვარ სჯულს არღვევს, ასეთ შემთხვევათა და გარემოებათა დროს მრისხანება კაცისა არათუ დასაძრახისი, არამედ პატიოსანი და სათნოა საქმეა, იმიტომ, რომ ასეთი მრისხანება წმიდა წყაროსაგან მომდინარეობს, იგი სიმართლის სიყვარულითა და საღმრთო შურითაა აღძრული".

უფალო!

ღმერთი და მისი ჭეშმარიტი მსახურნი ხომ არასოდეს დგებიან მოღალატეთა მხარეს!

XX საუკუნეში ძალზედ შეჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა სერბეთის მართლმადიდებლობა. მთავარეპისკოპოსმა შეაჩვენა და დაწყევლა მოღალატე მთავრობა. ჭეშმარიტმა საღმრთო მოშურნეობამ იხსნა სერბეთის ერი ღვთის განდგომისაგან.

წმიდა მამა პაისი ათონელი ამბობს: „ახლა ომია, სულიერი ომი! მე წინა ხაზზე უნდა ვიყო, უამრავი მარქსისტი, უამრავი მასონი, უამრავი სექტანტი და სხვა დანარჩენია ირგვლივ. რომ წავიდე, ჩავთვლი, რომ წინა ხაზიდან წავედი, რომ უკან დავიხიო, ამას მოღალატეობად მივიჩნევ, საკუთარი თავისთვის თბილი ადგილის მოწყობას არ უნდა ცდილობდე... თუ ეკლესია დუმს, რომ სახელმწიფოსთან კონფლიქტში არ ჩაებას, თუ მიტროპოლიტები დუმილს ამჯობინებენ, რათა ყველასთან კარგ ურთიერთობაში იყვნენ, მაშინ ვინ უნდა ილაპარაკოს?"

წმინდა მამა იუსტინე ამბობს: „როცა ადამიანე-

ბი ღვთისა და საღვთო სჯულის წინააღმდეგ ილაშქრებენ, მაშინ ეკლესია მათ უნდა დაუპირისპირდეს და, თუ ასე არ მოიქცევა, მაშინ, როგორ დარჩება ის ეკლესიად ანდა მისი წარმომადგენლები მოციქულთა მემკვიდრეებად? ასეთ დროს ე.წ. საეკლესიო იკონომიით (შემწყნარებლობით) თავის მართლება სხვა არაფერია, თუ არა ღვთისა და ეკლესიის ფარული გაცემა. ამგვარი იკონომია მხოლოდ და მხოლოდ ქრისტეს ეკლესიის ღალატია."

„ხელისუფლება არის ღმთისაგან, მაგრამ ხელისუფალთა მორჩილება მანამ გვმართებს, სანამ ისინი ქვეყნად ღვთაებრივ წესრიგს იცავენ... როდესაც ხელისუფლება საღვთო სიკეთის მდევნელი ხდება, მაშინ ასეთი ხელისუფლების არც მორჩილება და არც ყურისგდება არ შეიძლება. ასეთ ხელისუფლებას ქრისტიანი უდა ებრძოდეს სახარებისეული საშუალებებით" *(რომ. 13. 1-6).*

ღმერთშემოსილი მამები და მოციქულები გვასწავლიან: „მოდალეტენი ამხილე, შერისხე, შეაგონე მთელი სულგრძელობითა და სწავლებით" *(2 ტიმ. 3.16; 4,2).*

ეკლესია მოვალეა, ანათემას გადასცეს სამშობლოს მტერნი და ორგულნი.

"ღმერთმა ხომ იცის, ჩვენ არც ერთი ერისთვის ცუდი არა გვსურს, მაგრამ როცა შენი სახლიდან სტუმარი გაგდებას დაგიპირებს, ჩვენა გვგონია, რომ არავის არ ესიამოვნება ასეთი თავხედობა. საქართველოს სრული ზნეობრივი და იურიდიულ-ისტორიული უფლება აქვს, ამხილოს მის მიწა-წყალზე შემოხიზნული და ქართველი ერისაგან დაპურებული უცხონი, მოსთხოვოს მათ – მადლისათვის მატლებს ნუ გვახვევენ, ხელს ნუ გვიშლიან, როცა ჩვენსავე სახლში ადამიანური ცხოვრების მოწყობა გვსურს, გაიხსენონ სომხებმაც, ბერძნებმაც, რუსებმაც, აფსუებმა და ოსებმაც, როგორი მათხოვრები, როგორი მშივრები და დაბეჩავებულები იყვნენ, როცა საქართველოში მოვიდნენ. გაიხსენონ ის სიკეთეც, რაც მათ საქართველომ გაუწია და სიკეთისთვის ბოროტად ნუ ირჯებიან! განახლებული საქართველო, აღმდგარი მკვრეთით არა იმ ხალხების "ინტერნაციონალისტობის" გამო, არამედ აღმდგარა მკვდრეთით ისტორიულის აუცილებლობით, შემდეგშიაც ადამიანურად მოექცევა თავის ქვეშევრდომთ. ისინი კი, ვინც სამარეს უმზადებენ საქართველოს, უმალ, თვითონ ჩაწვებიან სამარეში" *(ზურაბ მჭედლიშვილი).*

„კურთხეულ არს დიდი და მოწყალე ღმერთი, რომელმა არ დაანება ჩვენი ტომი შთანთქმად თათრებთ და ყიზილბაშებთა, და, აგრეთვე სხვა წყეულთ და შეჩვენებულთა. იმათ ეგოდენი სტანჯეს, აწვალეს და გარყვნეს ჩვენი უბედური მამები, რომ შემენდობა მათი დაწყევლა" *(გაბრიელ, ეპისკოპოსი იმერეთისა, 1825-1896).*

განა მოსე არ მოუწოდებს: "საბრძოლოდ დარაზმეთ თქვენი ხალხი" *(რიცხვნი 31, 1-3).*

განა უფალი არ მოუწოდებს იესოს (ნავეს ძეს): „ნუ შეგეშინდება და ნუ შედრკები; თან წაიყვანე მთელი მეომარი ხალხი, ადექი და დაეცი ჰაღაის" *(იესო ნავეს ძე, 8,1).*

„კარგი კაცის დალოცვა მადლია, მაგრამ ცუდი კაცის დაწყევლაც არ არის ცოდვა" *(აკაკი წერეთელი).*

განა ვაჟა-ფშაველა არ მოგვიწოდებს: "მიტომ გაგვზარდა დედამა, მისთვის გვეტყოდა ნანასა, – ტანზე აბჯარი ავისხათ, მუდამ ვლესავდეთ დანასა, რომ შიშს ვუგდებდეთ გულშია მეზობელს მეტიჩარასა, არ ვაქელინოთ სამშობლო მეტოქეს ათას-გვარასა...

ვისაც ჩვენ არ ვებრალებით, ჩვენ შევიბრალოდ რისადა? სიკვდილი თვითონ უფალსა გაუჩენია მტრისადა!"

„კაცი ცრუ და მოღალატე ხამს ლახვრითა დასაჭრელად" **(რუსთაველი).**

ადამიანის სიტყვა, მტრისა და მოღალატის მიმართ, შეიძლება განბასრულ იქნას ვითარცა მახვილი და მაშინ ის მოსწყლავს და კლავს მას.

მოსწყლავს და კლავს მას!

უფალო!

აკურთხე საქართველოს მაკურთხებელი და დასწყევლე მისი დამაწყევარი, წარწყმიდე საქართველოს მტრები და ორგულნი!

უფალო!

და, რაი გინდ გვარის კაცი გამოჩნდეს საქართველოს მოღალატე, ქართველი, გინდ არაქართველი, შეჰრისხდი და გამოაჩინე სასწაული მას ზედა!

უფალო!

გულის-წყრომით შენითა ამხილენ ავაზაკნი და მტერნი ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნისა. წარადგინე სამსჯავროს წინაშე. მოასომგორე ორგული საქართველოსი!

ამინ!

ჩვენთან არს ღმერთი!

ქოლგისა

ბალითურ ანაბული

მგლების წერილი ძაღლებს

"მგელი არ მოშლის მგლობასა, ვაჟკაცი ვაჟკაცობასა..."
ხალხური.

ჩვენა ვართ მგლები, ველურ და საშიშ
ცხოვრებისათვის ცოტანი ვიშვით
და ორლულიან თოფების ხმაში
ილევა ჩვენი მოდგმა და ჯიში...

და მოვდიოდით დარში, ავდარში,
მთელი სამყარო მოვითარეშეთ,
მაინც მოვედით, მაინც გადავრჩით,
თუმცა ისევ ვართ კანონგარეშე...

ჩვენ ცოტანი ვართ, რადგან ვართ მგლები,–
ტყეს შეფარულნი უცხო ჩრდილებად,
ჩვენც ძაღლები ვართ – თქვენი გაგებით,
მაგრამ არ ძალგვიძს ჩვენ მორჩილება...

თქვენ – სალაფავი წვნიანი თეფშით,
ჩვენ – შიმშილობით ავი წრიალი,–
თოვლით დაფარულ მინდვრებში, მთებში
საჭმელის ძებნა და ხეტიალი...

თქვენ – ნებივრობა გამთბარ ქოხებში
და მშვიდი ყოფნა ნებით განგების,
ჩვენ კი – გზები და ბედი ოხერი,–
სავსე ტყვიებით და ხაფანგებით...

თქვენ – მონობისთვის ამრავლებთ ნაგრამს,
ჩვენ – ტყეში ვყმუით და ვრჩებით მგლებად;
თქვენც ჩვენნაირი მგლები ხართ, მაგრამ
თქვენ უღალატეთ თავისუფლებას!..

თქვენც გულადები იყავით უწინ,
ერთმანეთისგან ვერვინ გვარჩევდა,
მაგრამ ცდუნებას ვერ გაუძელით
და დახურდავდით თქვენ დარაჯებად...

პურის ქერქისთვის მონობის სურვილს
პირფერობა და ლაჩრობაც ერთვის,
ამიტომ ჯაჭვი და საყელური
შესაფერისი ჯილდოა თქვენთვის...

თქვენ – თბილი ქოხი გერგუნათ ბედად,
ჩვენზე კი – მუდამ თოფები ჰქუხან
და მგლებს ამ ქვეყნად ყველაზე მეტად
მონადქცეული ძაღლები გვძულხართ!..

მე დღეს სამშობლო არ გამაჩნია!..

"ყველა ყრუა, ყველა ცრუა..."
ილია.
"ეს არ არის საქართველო..."
გალაკტიონი.

კარს მოგვდგომია მტერი მრავალი
და ყოველ მხრიდან მამულს გვაჭრიან,
აღარც აწმყო და არც მომავალი,–
მე დღეს სამშობლო არ გამაჩნია!..

მინდვრებს კვლავ სისხლის ასდის ალმური,
კვლავ სევდა აწევს კრწანისს, გაჩიანს;
"სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული",–
მე დღეს სამშობლო არ გამაჩნია!..

ყველგან დახლი და ყველგან ბაზარი,–
შხამს და სამსალას განგებ გვაჩრიან,
ხასად ქცეულა უკვე ქალ-რძალიც,–
მე დღეს სამშობლო არ გამაჩნია!..

მორღვეულია ყველა სამანი,
საზღვარიც ქვეყნის არსად აჩნია,
აღარც მეფე და არც სპასალარი,–
მე დღეს სამშობლო არ გამაჩნია!..

მხოლოდ საკუთარ ჯამს ჩამხედვარი,
ყველა ცრუა და ყველა ჩარჩია,
აღარც ხმალი და აღარც მხედარი,–
მე დღეს სამშობლო არ გამაჩნია!..

ყველა ორგული და გამყიდველი,
ყველა ჯაყო და ყველა კვაჭია;
ჩამქრალა შუქი ერის დიდების,–
მე დღეს სამშობლო არ გამაჩნია!..

...

...ჯერ არც მზის სხივი გამოკრთის მთებზე,
არც გრიგალის ხმა მოჰყვება ნიავს;
ჩემს სამშობლოში სამშობლოს ვეძებ,–
მე დღეს სამშობლო არ გამაჩნია!..

თ ო რ ღ ვ ა

ციკლიდან – "ხევსურული ანდრეზები"...

... ჩოლოყაშვილნ წარმოშობით
ხევსურნ ყოფილან...
მაგათ პაპას ჩოლოყა ხქმევივ,
შეთეკაურთ ამბობენ გვარად...

მუცოშიით ახმეტაში ჩასახლებულან,
მემრე კი, რა ვი,
თავადებიც გამხდარან კახეთ...
ჰოდა, ამაგათ
შთამომავალ ყოფილ ქაქუცა,
რუსების ჯარს რო შაღბრძოლებივ:
- აქ რა გინდათავ?
ჩემს მამულში რას აკეთებთავ?
- როგორ, რა გვინდავ?
თქვენ ქვეყანაიც ჩვენ გვეკუთვნისავ,
თქვენი ქალ-რძალივ,
საქონ-ნაქონივ ახლა ჩვენიავ...

კაი ვაუკაც ყოფილ ქაქუცა,
არ მაუთმენავ რუსებისად,
ან რას მაუთმენდ?
ამტყდარას ბრძოლა,
ბევრნ დასევიან ის სულძაღლნი,
მაღრევიან მარტო ქაქუცას,
ამხანაგებსაც უღალატებავ...
გამაქცეულ ხევსურეთისკე,-
ჩემიანებ დამიცავენავ -
და თორღვასთან გაჩერებულას...
იმას კი ქისტეთ კაც გაუგზავნავ:
- არიქავ, ჩქარა მაგვეშველეთავ,
თორემ რუსის ჯარ მაგვერევავ,
უთქვენოდავ ვერას ვიზამთავ... -
ქისტებს ამაზე უარ უთქვამ:
- ჩვენ სისხლ გმართებსთავ,
დახმარებას როგორ ითხოვთავ?
(ხევსურთ იმათად კაც
ჰყოლიას ადრე მაკლული).
თორღვას თავის შვილ გაუგზავნავის:
- მაკალითავ და გავსწორდებითავ,
ოღონდავ მტერსთან ახლა სირცხვილს
ნუ შაგვაჭმევთავ...

ქისტებს არ უქნავ კაცის მაკვლა:
- ეგეთ რამე სად გაგონილავ? -
და თორღვაის შვილთან ერთად
გადმოსულან დასახმარებლად...

ისრ ჩაუხოცავთ რუსების ჯარი,
ამბის მიმტან არ დარჩენილას...

პროზა

სამი ნოველა

ირაკლი მიშველაძე

პრეზიდენტის დამხობის ოსტატები

მე, გითხრა სიმართლე, ახალი ვარ ამ საქმეში.

თბილისში ჭიჭია კვარაკვახიძემ ჩამომიყვანა.

თბილისში ნამყოფი რავა არ ვიყავი, მარა ამ საქმეზე – არა.

ჭიჭიას, რომ იტყვიან, ჭიპი აქვს მოჭრილი პრეზიდენტების გადმოგდებაში.

ორი პრეზიდენტი ნაღდად ჰყავს დამხობილი და ახლა მესამეზე მუშაობს.

ამ მესამეზე, ქე იცით, ცოტა არ იყოს, ხელი მოგვეცარა.

უფრო მაგარი კაკალი აღმოჩნდა ე ოჯახქორი, ვიდრე ჩანდაო, ამბობს ჭიჭია, მარა იმედს არ კარგავს.

მოკლედ რო გითხრა, ოცდასამ აპრილს, ხუთშაბათს ჩამევედით და პირდაპირ რუსთაველზე, შტაბში გამოვცხადდით.

ცხრას აღარაფერი აკლდა. ღრუბლიან–სუსხიანი დღე იყო, რავარც თბილისმა იცის.

ამ დროს ჩვენთან ტყემლის ყვავილობა გათავებულია.

თბილისში კი, ეს რა ვნახე, გაზაფხული თურმე მაისის ბოლოს იწყება.

სამ მეხანძრისკურტკიან ბიჭს მაგიდაზე ფეხშეწყობილებს ეძინა. თავები უკან გადაედოთ და ერთმანეთში თითებშეყოფილი ხელები მუცლებზე ედოთ.

ქუთაისიდან გახლავართო, სამი გამდვიძებელი დახველების მერე აუწყა მასპინძლებს ჭიჭიამ.

გისმენთო, ერთმა.

თავები, რომ არ მოგატყუო, არ აუწევიათ.

ჩანდა, დაღლილები იყვნენ.

ჩვენ თვითონ გისმენთო, ჭიჭიამ.

ამ საქმეზე ვართ ჩამოსული და რა გავაკეთოთ, რავა იქნება ჩვენი საქმე, საით ვქნათ პირი, რას დაგვავალებთო.

გამომდგარი რო იქნება კაცი. მაინც რას ნიშნავს გამოცდილება. მარტო რო ვყოფილიყავი, ჯერ ერთი, ვერ გავბედავდი ამგენის გაღვიძებას და მეორეც... დევიწყებდი ლუღლუღს და მიდებ–მოდებას, რავარც ვიცი საერთოდ.

მე, ჭიჭია ვარ კვარაკვახიძეო, მეტი დამაჯერებლობისთვის დასძინა ჭიჭიამ.

სამეულმა ერთმანეთს შეხედა. ცნობით, რასაკვირველია, ვერ იცვნეს, (რევოლუციის საქმეში ან ეგენი იყვნენ ძალიან ახლები, ან ჭიჭია იყო ძალიან ძველი), მაგრამ სამივემ მოიბოდიშა, გვაპატიეთ, გამოცვლილხართ და ვერ გიცანითო.

ეს კაცი იუზა სანდუხაძეა, ჩემი მეზობელი, ჩვენნაირათ მომართული კაციაო, გააცნო ჩემი თავი ჭიჭიამ მთავარბანაკის მორიგეებს, რომლებიც, როგორც შევატყვე, არც ჭიჭიას იცნობდნენ და მე – მითუმეტეს.

"მომართულს" ფიქრით გავეკიდე. რა ჩემი საქმე იყო ჯანყობია და მიტინგობია. როის იყო, პრეზიდენტებს, ჭიჭიასავით, ქვით რო დავსდევდი, მარა გაცხარებული ცხვარივით მომივიდა.

მეტის მოთმენა ვეღარ შევძელი,

საპნის ფაბრიკაში ვმუშაობდი, მაქანა, გოჭოურაზე. ორ საპონს და ას ლარს მაძლევდნენ თვეში.

ერთ უბედურ დღეს გამოგვიცხადეს: დეიხურა ფაბრიკა, წაით სახლებშიო.

ვინ დახურა, ასე რანაირათ, სა წევიდეთ, რა ვაჭამო სამ ბადანას-მეთქი?

შენ ჭურში ხვარ გძინავსო, მიპასუხეს, საპნის ფაბრიკა კი არა, ავტოზავოდი, აბრეშუმკობინატი და სტეკლოტარა დახურეს ამგენმაო.

კი მარა, ე სამი ბოვში რო შიმშილით მომიკვდეს, ვის მოვთხოვო პასუხი-მეთქი.

ვის და საკაშვილსო.

აი ეს იყო სულ ჩემი გადარევის მიზეზი.

წელიწადი ვითმინე, მივდექ-მოვდექი, მარა რამდენი ჩემნაირი დაბორიალობს და დეისაწაყლება ქუთაისში.

სადაა საქმე, სადაა სამუშაო... ამევიდა ყელში ამდენი ტყუილი... ტელევიზორში ტყუილი, პარლამენტში ტყუილი, საკრებულოში ტყუილი, მერიაში ტყუილი...

ვეღარ გოვუძელი და გამოვყევი ჭიჭიას პრეზიდენტის გადმოსაგდებად.

რუსთაველზე ცელოფანშემოკრული, ახალთახალი მშვენიერი საკანი დაგვიდგეს მე და ჭიჭიას.

ორფა ლეიბები ზედ ასფალტზე დაგვიწყვეს და კარავს "დომსვიაზის" მხარეს დიდი, წითელი ასოებით დააწერეს "19".

მთელი ღამის ნამგზავრები მივეყარეთ და ქე მიგვძინებოდა.

შუადღისას დინამიკების ღრიალმა წამოგვყარა. ზედ ჩვენი კარვის გვერდზე დაეღო პირი "გამაძლიერებელს" და რუსთაველს აყრუებდა.

ჭიჭია რადიო-მანქანასთან მივიდა.

რადიოს თხაწვერა ბიჭმა ყური პირთან მიუტანა.

– დოუწიე ცოტა,– სთხოვა ჭიჭიამ.

– ვერ გავიგე? – ყურის მიკროფონი მოიხსნა თხაწვერამ.

– დოუწიე ცოტა, ღმერთი არ გწამს? – შეევედრა ჭიჭია.

– ბატონო, თქვენ ხომ თქვენს საქმეს აკეთებთ, ასე ვაკეთებ მე ჩემ საქმეს,– აუხსნა დინამიკების "სპეციალისტმა".

– ცოტა რო დოუწიო, რა იქნება, ხალხი ვართ აქანა, დაგვისკდა ყურები, –შერბილებული კატეგორიულობით უთხრა ჭიჭიამ.

თხაწვერამ თავი დაუქნია და ზურგი შეაქცია.

დინამიკებს კი ხმა თუ მოუმატა, თორემ მოკლებით ნამდვილად არ მოუკლია.

ყოველდღე ორიდან გვიან საღამომდე გრიალებდა მიტინგი.

ზღვა ხალხი იდგა რუსთაველზე.

ჩვენი მომარაგების საქმე ასეთი იყო: თავიდან დღეში ორჯერ მოქონდათ "სუხოი პაიოკი" (პური, იაფიანი ძეხვი, მოხარშული კვერცხი, სამი ვაშლი...) და ათი ლარი ფულათ ფული თითო კაცზე. მერე და მერე დღეში ერთხელ დეიწყეს "სუხოი პაიოკის" მოტანა და ბოლოს მთლად შეგვიწყვიტეს. ათ ლარს გვირიგებდნენ და უნდა გვყოფნოდა.

გაგვქონდა თავი, რავარცხა იყო.

ჯერ ერთი, საკნებში ხალხი რო შეთხელდა (ჩვენს გასწვრივ ექვსი საკანი ცარიელი იყო), ფულის დამრიგებლებს არ ვუმხელდით: "ახლა აქ იყო, ალბათ პერერივზე გევიდა, დაგვიტოვეთ და ჩვენ გადავცემთ",– ვეუბნებოდით ფულის დამრიგებელს. ტყუვდებოდნენ თუ თავს იტყუებდნენ, ქე გვიტოვებდნენ ხანდახან სამი-ოთხი საკნის ფულს და მეტი არც გვინდოდა. საჭმელი თავს არ გადაგვდიოდა, მარა არც საწუწუნოდ გვქონდა საქმე.

ო, რა ცეცხლს ანთებდნენ ჩვენი "ლიდერები".

ტყუილია, ჩვენ რომ მიტინგის საქმე ვიცით, ვერავინ დედამიწაზე ვერ შეგვედრება.

ისე ომახიანად, ჟრუანტელისმომგვრელად ლაპარაკობდა ყოველი მოქადაგე, რომ მინდოდა მივსულიყავი და მეთქვა: ცოდოა სააკაშვილი, ცოტა შეიბრალე. ამ შენი გამოსვლის მერე გადადგომით ხომ უეჭველად გადადგება. მეშინია, თავი არ მოიკლას-მეთქი.

რვაზე მიტინგი რო შეწყდებოდა და ყურები დაისვენებდა, სულს მოვითქვამდით.

მიტინგის მერე იწყებოდა დიდი სახალხო სეირნობა:

“გამარჯვებული ხალხი” სეირნობდა რუსთაველზე.

იყო ერთი სემიჩკ-ნაყინობია და ჩურჩხელა-კამფეტობია.

ვინ იცის, რა ხნის უნახავები ხვდებოდნენ ერთმანეთს.

ყოველ ფეხის ნაბიჯზე გაიგონებდი: “ეს ერთი კაი მაინც გააკეთა გადარეულმა სააკაშვილმა, შენს თავს შემახვედრაო”.

მისალმება-მოკითხვის მერე ჩასაკნებულებს ჩამოგვივლიდნენ.

ისე გვათვალიერებდნენ, როგორც გალიის ლომებს; შიშით და აღტაცებით.

ხალხის თვალში ჭეშმარიტ გმირებად ვჩანდით.

გვამხნევებდნენ, გვეფერებოდნენ, მარა ჩვენ გვერდით ცარიელ საკნებში ღამის გათევაზე თავს იკავებდნენ.

“ცნობადი სახეები” (ეს ტერმინი აქანა ვისწავლე) გამოჩნდებოდნენ ხანდახან. უკან ტელეგოგუები და აპარატიანი ბიჭები მოჰყვებოდნენ. ჩვენ ბოდიშის მოხდით საკნიდან გამოგვიყვანდნენ. თვითონ შევიდოდნენ, სააკაშვილის მიმართ გუშინ ნათქვამ წყევლა-კრულვას ერთ-ორ წყევლა-კრულვას მიუმატებდნენ და წავიდოდნენ.

ერთი თვის მერე მიტინგები შეთხელდა, მარა შეთხელებული ადგილები საკნებით შეავსეს.

თბილისის ცენტრი საკნებით გეივსო.

ან საკანს სად ამზადებდნენ ასე თათარიახნად ან ამდენ ცელოფანს სად შოულობდნენ.

ღამის თორმეტი საათის მერე საკნების ახლომახლო ლოთები და ბოზები დაჩნდებოდენ. დაბარებულებივით მიადგებოდნენ იმ საკნებს, ვისაც სად ელოდებოდნენ.

მე და ჭიჭია თავს მევიმძინარებდით და პირველ ხანებში ვიგერიებდით “დოუპატიჟებელ სტუმრებს”, მარა მერედამერე კაცები ვართ და ქე გევიარეთ ღამის გოგუებში (რომელი ცარიელი საკნები არ იყო ირგვლივ, ან ხელს შეგიშლიდა ვინმე). ერთი მაინც იმნაირი ლამაზი იყო და ისე საყვარლად სუნთქავდა (რავარც ახალნამშობიარევი უშობელი), რო მევიძვრე ი დასაწვავი რეზინა და მევისროლე – რად მინდა, გოგო, შენთან პრეზერვატივი, ღორის გრიპიც რო დემემართოს შენგან, არ ვინაღვლებ, იმნაირი კაი ხარ–მეთქი. მე შენი მეშინია, თვარა ჩემი იმედი გქონდესო, ერთი თვე არ იქნება, რაც ეს საქმე დევიწყეო... რა მოსაყოლი ეს იყო, მარა კაცები ვართ და ყველაფერი ხდებათქვა ზეით გითხარი. მართლაც, აშენდა მისი ოჯახი, სუფთა გოგო აღმოჩნდა.

ორი თვე რო გევიდა, ცოტა არ იყოს, შევფიქრიანდით მეც და ჭიჭიაც.

“რაცხა არ გამოდის ისთე, რავარც გვქონდა ჩაფიქრებულიო”, ამოიხვნეშებდა ხანდახან, “ბოლო პრეზიდენტის ჩამოგდებაზე სად იყო კარვობია და საკნობია, ორ დღეში გათავდა ყველაფერიო”.

“კი მარა, ჩვენ აქანა საკნებში გვძინავს და ის რაფერ გადადგება იქანა-მეთქი”, ჩავილაპარაკებდი ჩემთვის.

“გადადგება, გადადგება, შენ ასწავლი ხაინდრავას? მეტი კი არაფერი უკეთებია. ჩვენდენი ცოდნა ერთ “ნეკა თითში აქვსო”, მეტყოდა ჭიჭია და “დამამშვიდებდა”, თუმცა ბოლო დღეებში თვითონაც არ სჯეროდა, რომ ხაინდრავას (ან სხვა, ნებისმიერ ლიდერს) ჩვენზე მეტი ჭკუა ცალ ნეკა თითში ეტეოდა.

ჭიჭიას მობილური ჰქონდა და ათ დღეში ერთხელ მარეკიებდა ცოლთან.

ჩამოვწერე ნათესავ-ნაცნობების სახელები და ვაგზავნიდი ფულის სასესხებლად. რამეფრად გეიტანეთ თავი ნასესხები ფულით, ბევრი აღარ დარჩა, მალე გავათავებთ ამ საქმეს და ჩამოვალ გამარჯვებული–მეთქი, ვაიმედებდი თანამეცხედრეს.

ბოლო დარეკვები სასოწარკვეთილებაში მაგდებდა.

ყურმილში გააფთრებული ცოლის ღრიალი კი არა, ხრიალი მესმოდა: “არ ჩამოგიყვანა გამჩენმა მაქიდან! შე უსაქმურო, შე სალახანა! ეს ბოვშები ჩემია მარტო?! პოლიციაში უნდა მივიდე ხვალ და პატრულს უნდა ჩამოვათრევიო შენი თავი! გაკოჭვის ღირსი ხართ ორივე, შენ და მაგ ლოთი ჭიჭია!”

“ქალო, მე საქმე მაქ აქანა, კი არ ვგლახაობ, მიხარია ორი თვე საკანში ჯდომა?!” – ვიყვირებდი ჩემდათავად, მაგრამ ცოლი ყურმილს გაცილებით უფრო ადრე დაახეთქებდა და ჩემი საბუთიანი მიზეზი, როგორც ჩანს, არ ესმოდა.

ჩემი გამობრძმედილი თანამებრძოლი – ჭიჭიაც ნელნელა მეცლებოდა ხელიდან.

რაც ოპოზიციის ბელადებზე გული გაუტყდა, ჭიჭია გულჩათხრობილი გახდა და, ვიღას დავუმალო, სმას მიეძალა.

წავიდოდა, მოიტანდა ერთ ბოთლ არაყს,

რაკი მე "საბუტილნიკად" ვერ გამოვადგებოდი (არაყს არ ვსვამ), ამოიღლიავებდა და სხვა საკანს მიადგებოდა.

ნაშუადამევს ბრუნდებოდა მთვრალი. მიეგდებოდა და დილამდე თავდადმა ეძინა.

ლოთები საერთოდ დილით ადრე დგებიან და სერიოზული სახეებით გარბიან თავიანთ ლოთურ საქმეებზე.

18 ივლისს რყევამ "გამომაძღვიძა". წამოვხტი. ჭიჭია წასულია "პახმელიაზე" გამოსასვლელად.

გამოვვარდი გარეთ.

ჩვენს საკანს ოთხი გადაუცმელი პატრული დატაკებია და ეჯაჯგურება.

გულმა რეჩხი მიყო.

აქამდე სულ გადაცმული პატრული ჩანდა ჩვენს სიახლოვეს და ახლა რაკი ასე ღიად მოგვვარდნენ, რადაცაშია საქმე მეთქი.

ამასობაში ამოაძვრეს ასფალტზე პოლის ლურსმნებით ჩამაგრებული ჩემი საკანი და პირველი გიმნაზიის ჩასახვევისკენ მიახრიგინებენ.

მივიხედ–მევიხედე, ასეთ დღეშია სხვა საკნებიც.

რა წყალს ვეცე.

ჭიჭია მაინც ეგდოს აქანა. მე მევერევი პატრულს?

რას შობით! სა მიგაქვთ ე საკანი! ვინ მოგცათ ნება! ჩვენ მშვიდობიანი მესაკნეები ვართ მეთქი, ვიყვირე მეც, რავარც სხვები ყვიროდენ.

უნდა გადავწიოთო, მიპასუხეს.

რატო უნდა გადაწიოთ, გლახათ იდგა აქანა-მეთქი?

სტუმარი ჩამოდის და თვალში მოხვდებაო.

მეიცათ, მეიცათ! ეს საკანი ჩემი კარაა, რა პასუხი გავცე, ვინც ჩაგვაბარა, ვინც დაგვიდგა-მეთქი.

ჩვენთან გამოუშვიო.

– კი მარა, ასე გესმით, ბიჭო, თქვენ დემოკრატია? არ გრცხვენიათ–მეთქი? – ვეცადე ნამუსში ჩამეგდო პატრული.

– ჩვენ ასე გვიბრძანეს, თვარა კი არ გვეხალისება ამ სიცხეში თქვენი ჭუჭყიანი ლეიბების თრევაო.

– რო წავა სტუმარი, ისევ დაგვიდგამთ ამ კარვებს თავის ადგილზე-მეთქი? – წყალწაღებულივით ხავსს ჩავებღაუჭე.

– წადი, წადი, ბიძია, საქმე ნახეო.

რას ჰქვია საქმე ვნახო, აპა, რას ვაკეთებ აქანა სამი თვეა-მეთქი, ვითომ თავი მევისაწყლე.

შენ ლოთიანად, კრუხის თავი ხომ არ გიჭამია. ჩაგსვამ ახლა მანქანაში და გაწრუწუნებ თაგვივით განყოფილებაში. ერთ–ორ გემოიან ჟაჟს გამოგიწერ და გახეხიებ 30 დღეს პარაშკასო, დამემუქრა მხარბეჭიანი პატრული და თვალებში ეტყობოდა, რაც თქვა, იმის გამკეთებელი იყო.

მოვშორდი.

რა მექნა?

თავს ზეით ძალა არ იყო.

... იმ საღამოსვე მე და ჭიჭია ქუთაისში დავბრუნდით.

ჰო, დამავიწყდა; წამოსვლის დროს შტაბში შევიარეთ იღბლად, იმ სამიდან ერთი, ბობრი მორიგე დაგვხვდა.

ახლა ასთეა საჭიროვო. ასეთი ტაქტიკა და სტრატეგია შევიმუშავეთო. სექტემბერში ისევ დაგიძახებთო.

ჭიჭიასი არ ვიცი და მე, ჩემდათავად, აქეთ ამ საქმეზე პირს აღარ ვიზამ.

ისე, ჩვენს შორის დარჩეს და, არც ეგენი არიან დამძახებლები, ისე შევატყვე ლაპარაკში.

აგვისტო, 2009წ.
თბილისი

იმპერატორი საქართველოში

1837 წლის 23 სექტემბერს სამეგრელოს მთავრის ლევან დადიანის რეზიდენციას ოთხი ცხენოსანი მიადგა.

ზუგდიდს ღრმა ძილით ეძინა.

აღმოსავლური სტილით ნაგებ, კოწოლებიან სასახლეს მთვარის ვერცხლისფერი ათინათი მოჰფენოდა.

– ღამე მშვიდობისა, ბატონი ლევანის სტუმრები ვართ, – ჭიშკართან ახლოს მისწია ჩოხოსანმა ცხენი და თითქმის ყურში ჩაულაპარაკა კარის მცველს.

კარისკაცმა უკან დაიწია, ე მანდ ფარსაგი რამ არ იყოსო.

ცხენები ოფლისა და ორთქლის ოხშივარს

აყენებდნენ ირგლივ. ფრუტუნებდნენ და ლაგამიან თავ-დრუნჩს მიდამო აქანავებდნენ. ცხენებს ნაბდები უნაგირის ბოლოზე ჰქონდათ დაკრული.

– სძინავს, ბატონო.

– გააღვიძეთ და უთხარით; თბილისიდან თავადი ზორბა მაღალაშვილი გეახლათ-თქო.

– ახლავე, ბატონო.

დარაჯმა ალაყაფის ურდული ყოველი შემთხვევისთვის გადასწია და კიბე აირბინა.

ხუთიოდე წუთში სასახლეში ალაგ-ალაგ სინათლე დაჩნდა.

ბიჭებმა სტუმრებს ცხენები ჩამოართვეს და წინკარში შეიპატიჟეს, ზორბა მაღალაშვილს კი მასპინძელი კიბეზე შეეგება.

...ნავახშმევს თბილისელი სტუმარი და სამეგრელოს მთავარი სასაუბროდ დასხდნენ.

– გილოცავთ, თავადო, ჩვენი მფარველი იმპერატორი პირველ ვიზიტად თქვენს კიბეებს ამოივლის.

– დიდი პატივია, შენ ნუ მომიკვდები.

ორივეს ჩაეცინა.

– ოცდაშვიდ სექტემბერს ყულევში ხვდებით ხომ?

– როზენი დახვდება. მე დამხვედრთა საპატიო. სიაში არ აღმოვჩნდი.

–?!

– ამას რა მიხვედრა უნდა, ბარონი კორპუსის სარდალია და იმპერატორს იმ ცნობებს მიაწვდის, რასაც ჩემი თანდასწრებით ვერ ეტყოდა.

– არ გენდობიან?

– ერთი ქართველი მითხარი, ვისაც ენდობიან.

– ეგ ცუდი არ არის. მამა უცხონდათ, სინით მივართმევთ ჩვენს სიყვარულს კრწანისის მერე, სამეფო ტახტის და ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების მერე...

– რაღა შორს მიდიხარ; ოცდათორმეტის მერე... შეთქმულთა ერთი ნაწილი ახლაც გადასახლებაში იტანჯება.

– ბედდამწვარი სოლომონ დოდაშვილის ამბავს, ალბათ, გაიგებდი.

– აბა, აბა... რას ამბობენ დედაქალაქში?

– რას და მოკვლაზე კატეგორიული უარია. საქართველოს წაღმა-უკუღმა დატკეპნიანო, მაგრამ გამწარებით კი უნდა გავამწაროთო. ისე უნდა მოვუქციოთ საქმე, საქართველოში მეორედ ჩამოსვლის სურვილი აღარ გაუჩნდესო...

ორი კვირა დაჰყო ნიკოლოზ პირველმა საქართველოში.

ამ ორი კვირის განმავლობაში ოთხი ისეთი ამბავი შეემთხვა, რომ 16 ოქტომბერს პეტერბურგში ჩასულმა გრაფ აქსელბურგის შეკითხვას – ხომ კმაყოფილი ხართ თქვენი იმპერატორობით უდიდებულესობავ, სამხრეთში მოგზაურობითო, ზიზღით უპასუხა: ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ გადავრჩი. ველურ ბუნებაზე უფრო ველური თურმე ქართველები გახლავან, მოწყალეო ხელმწიფევ. მსგავს სისულელეს ჩემს სიცოცხლეში აღარ ჩავიდენ.

შემთხვევა პირველი

– როგორ მიდის თქვენი სამსახური? – ჰკითხა ბარონ როზენს იმპერატორმა, როცა სალამ-ქალამისა და ჩაის სმის შემეგ ეტლში ჩასხდნენ და ზუგდიდისკენ გაეშურნენ.

– ვემსახურები იმპერიას, – თავი ასწია ბარონმა.

– როგორი განრიგი გაქვთ?

– ამაღამ სამეგრელოს მთავარი გიმასპინძლებთ, ღამეს იქვე, ზუგდიდში გაათევთ. ხვალ ქუთაისს ეწვევით, ზეგ...

– სომხეთის მხარესთან ხომ შეთანხმდით? – სიტყვა გააწყვეტინა იმპერატორმა.

– რასაკვირველია, თქვენი ვიზიტის ყოველი საათი გაწერილია.

– ხალხი დაშოშმინდა?

– მეტნაკლებად.

– კიდევ ცოტა ხანიც და მოჯდებიან თავის ადგილზე. მაგათ ჯერ კიდევ ბოლომდე არ იციან რუსული მათრახის ძალა.

სამეფო ამალა ოთხი ეტლისა და თერთმეტი ცხენოსნისაგან შედგებოდა. ექვსცხენიანი ეტლები მთვარის შუქზე მიწკარუნებდნენ. კოფოზე იქეთ-აქეთ ფანრები ენთოთ.

ჭაქვინჯის გადასახვევთან თავყაბალახიანი, ნაბდოსანი ცხენოსნები იდგნენ გზის გარდიგარდმო.

– რა ხდება? – გაიკვირვა იმპერატორმა.

წამში მხედრები ჩამოქვეითდნენ, ყაბალახები იშვლიპეს და პირველივე ეტლს გარსშემოეწყვნენ.

– ნაბიჯი არ გადმოდგათ, თორემ გესვრით!

ბარონმა მკაცრად გააფრთხილა დამხვდურნი.

დაცვამ დამბაჩები შემართა.

– საიდუმლო ჟანდარმერიის ხალხი ვართ, ბატონო, მივესალმებით იმპერატორს, ნაბრძანები გვაქვს, მოკლე გზით მიგიყვანოთ ზუგდიდამდე. ეს საგანგებო ღონისძიება ჩვენმა უფროსობამ ერთი საათის წინ შეიმუშავა. ჩვენ წინ გაგიძღვებით.

ამალა დაიძრა.

რაც უფრო წინ მიიწევდნენ, მით უფრო უასკეცდებოდა ეჭვი ბარონ როზენს, მახე არავინ დაგვიგოსო და უკან მიმყოლნი გააფრთხილა, ჩახმახზე გეჭიროთო დამბაჩები.

ასე ოთხიოდე საათის მგზავრობის შემდეგ მეგზურნი შემობრუნდნენ და ბარონს აცნობეს; ზუგდიდამდე ორიოდე ვერსი დარჩა, ხელმარცხნივ იარეთ, ჩვენ დაგემშვიდობებით, ნაბრძანები გვაქვს, კაზარმაში დავბრუნდეთო.

ცხენებს დეზი ჰკრეს და ტყეს შეერივნენ.

დარჩა იმპერატორის ამალა შუაგულ ტყეში.

გზის ბოლო მზვერავი რომ დაბრუნდა და განაცხადა, ახლომახლო არა თუ ზუგდიდი, მწყემსის კარავიც არსად ჩანსო, მაშინღა მიხვდა ბარონი როზენი, რომ მოატყუეს.

– რას ჰგავს ეს, კორპუსის სარდალო?!

იმპერატორს დაღლილი, გაწამებული ხმა ჰქონდა.

„უსათუოდ მომხსნის!“ – რეკავდა ბარონ როზენის ყურებში.

შემთხვევა მეორე

ქუთაისში აღარ დარჩა ღამის გასათევად იმპერატორი. განრიგი მოულოდნელად შეცვალა და ახალქალაქში გაემგზავრა. იქედან სომხეთში გადავიდა, ერევნიდან კი 7 ოქტომბერს თბილისისკენ აიღო გეზი.

ერევანში საჩუქრებით აავსეს და გუნება თანდათან გამოუკეთდა, მაგრამ ყულევთან მომხდარი მარცხი ძაღლის ნაკბენივით ახსოვდა.

– ყველაზე ტკბილი ლუკმა – თბილისი ბოლოსთვის შემოვინახეო, ეუბნებოდა გრაფ ორლოვს. – თბილისი, რაც არ უნდა იყოს, ევროპული ქალაქია და ერთი სული მაქვს, სანამ ამ მტვერჭუჭყისგან გოგირდის აბანოებში განვიბანებოდეთო.

ბარონი როზენი იმპერატორის ნებართვით დაწინაურდა; ერთი დღით ადრე ჩავალ თბილისში და უმაღლესი დონის შეხვედრისთვის ქალაქს მოვამზადებო.

იმპერატორმა ღამე თბილისთან ახლოს, სოფელ კოდაში გაათია.

თბილისამდე სულ რაღაც ოცდახუთიოდე ვერსი რჩებოდა.

დილით ადრე ამალა თბილისისაკენ დაეშვა, იმ ვარაუდით, რომ გზას ერთ საათში გაივლიდნენ; საუზმე ისნის სასახლეში, ხოლო სადილი ორთაჭალის ბაღებში იყო დანიშნული.

დაღლილ, შთაბეჭდილებებით განაწამებ იმპერატორს სულ რაღაც თხუთმეტიოდე წუთით ჩაეძინა და რაკი ეტლი აღარ ჯაყჯაყებდა, ეგონა უკვე თბილისში ჩამოვედითო. მუნდირის ღილი შეიკრა და კივერი დაიხურა. ეტლის საეჭვო რწევამ მარჯვნივ გაახედა და ელდა ეცა; ცხენებიანად ტალახში ჩაფლულ სამეფო ეტლს პოლიცმეისტერ – დრაგუნებიანად ყველანი ამაოდ აწვებოდნენ.

– აქ როგორ აღმოვჩნდით?! – იკითხა იმპერატორმა.

– ეტლი გაუვალ ლაფში ჩავარდა, თქვენო იმპერატორობით უმაღლესობავ, – უპასუხა ერთერთმა მიმწოლმა, რომელსაც მუნდირის ბოლოები ტალახზე ლოტოსის ფოთლებივით გადაეფინა.

– კი მაგრამ, ირგვლივ გზაზე ტალახი არსად ჩანს და ეს ლამიანი ხრამი სად მოძებნა ამ ოჯახქორმა!?

იმპერატორს სასოწარკვეთილი ხმა ჰქონდა.

მზე კარგა ხნის ჩასული იყო შავნაბადას გაღმა, როცა საიმპერატორო ეკიპაჟი თბილისში ჩავიდა.

ორთაჭალის ბაღებში გაშლილ სუფრასთან სტუმრებს, მიმტანებს და მზარეულებს ხელისგულებზე ეძინათ. ვიღას ჰქონდა ჭამის და ქეიფის თავი.

– არ შეჩერდე, პირდაპირ გოგირდის აბანოებისკენ! – უბრძანა ნიკოლოზ პირველმა მეეტლეს.

შემთხვევა მესამე

9 ოქტომბერს იმპერატორი და მისი ამალა საქართველოს ეგზარქოსმა, არქიეპისკოპოსმა ევგენიმ სიონის საკათედრო ტაძარში მიიწვია.

შეხვედრა სამ საათზე იყო დანიშნული.

თბილისის სამხედრო გუბერნატორი ბრაიკო 12 საათზე ეწვია ეგზარქოსს და კიდევ ერთხელ შეათანხმა მასთან იმპერატორის ვიზიტის ყოველი დეტალი.

თვით ეგზარქოსი და სამღვდელოების მთელი უმაღლესი კრებული ტაძრის მთავარ შესასვლელთან დახვდებოდნენ უმაღლეს სტუმარს, არქიეპისკოპოსი ევგენი ლოცვას აღავლენდა იმის გამო, რომ ღვთის ნებით თვით ნიკოლოზ პირველი მობრძანდა სიონის ტაძარში და ამით გააბედნიერა ქართველი ერი. მერე მგალობელთა გუნდი იგალობებდა „სლავა ცარია ნაშემუს“ და ყველანი ერთად შევიდოდნენ ტაძარში, სადაც არქიეპისკოპოსი მეფისა და რუსეთისათვის თავდადებულთა პარაკლისს გადაიხდიდა.

ზუსტად სამ საათზე საიმპერატორო პროცესია მიადგა სიონის ტაძარს, მაგრამ შესასვლელთან არც მეუფე ევგენი ჩანდა და არც მგალობელთა გუნდი.

შეცბუნებული იმპერატორი ეტლიდან ჩამოხტა, კიბე ჩაირბინა და ტაძრის კარებს მიაწვა, მერე ხელჯოხით რამდენჯერმე დააკაკუნა, მაგრამ კარი არავინ გაუღო.

– ჩტო ზა ბეზაბრაზიე?! – მრისხანედ შეხედა ხელმწიფემ მის უკან მდგომ ბარონ როზენს, სამხედრო გუბერნატორ ბრაიკოს და თბილისის სამოქალაქო გუბერნატორ ფალავანდოვს.

– პანიატიე ნე იმეუ, – მხრები აიჩეჩა როზენმა.

ფრჩხილებიანად შეშინებული სამეული გამოტრიალდა და სიონის ტაძრის უკანა მხრიდან პატარა კარში შეცვივდა.

გვერდით სენაკში მეკელაპტრე ბერი თვლემდა.

– სად არის ეგზარქოსი?!

სამივემ ერთად შეჰყვირა.

ბერი წამოხტა და კანკალი აუვარდა.

– აქ არ არის...

ამასობაში ტაძრის ვიწრო კარიდან თვით იმპერატორი და მისი თანმხლები პირნი შევიდნენ ტაძარში.

– სად არის ეგზარქოსი?! – ახლა უკვე ხმის მოგუდვით ცდილობდა ბარონი როზენი წყენის დაოკებას.

– ამ დროს, ტრაპეზის შემდეგ ყოველთვის ისვენებს ხოლმე, ახლა ეგზარქოს ევგენის თავის სამყოფლოში სძინავს... ახლა მისი გაღვიძების უფლება არავისა აქვს, – ლუღლუღებდა ბერი და ცოტაღა აკლდა, რომ ატირებულიყო.

ზურგზეხელებდაწყობილმა იმპერატორმა საკურთხევლის წინ გაიარ-გამოიარა, შეჩერდა,

უცებ შემოტრიალდა:

– და ნუ ვას ვსეხ! – ჩაილაპარაკა და გასასვლელისკენ ჩქარი ნაბიჯით გაემართა.

მეორე დღეს იმპერატორმა გუბერნიის სამხედრო და სამოქალაქო ხელმძღვანელობის შეკრება ბრძანა.

ერევნის მოედანზე სამასამდე კაცი მოგროვდა. ჩინოვნიკების გარდა იყვნენ ვაჭრები და გიმნაზისტები.

იმპერატორმა გამოსათხოვარი სიტყვით მიმართა საქართველოს საერთოდ და კერძოდ თბილისს.

მეო, საშუალება მქონდა ამ ორი კვირის განმავლობაში დავრწმუნებულიყავი, რა სიკეთე უყო დედარუსეთმა სამხრეთ კავკასიასო. ჯერ კიდევ ბევრი გაკლიათ რუსულ შეგნება-განათლებამდე, მაგრამ ყველაფერი კარგად იქნებაო.

სამადლობელი ერთი სიტყვაც არ უთქვამს.

ბოლოს, პატარა ორგანიზაციული გადაწყვეტილება უნდა გამოგიცხადოთ, მე, როგორც თქვენმა მფარველმა იმპერატორმაო.

„ვბრძანებ, კარაბინერთა პოლკის მეთაურობიდან გათავისუფლდეს პოლკოვნიკი ალექსანდრე დადიანი (ბარონ როზენის სიძე), ახლავე ჩამოეხსნას ექსელბანტები და სამი წლით მიესაჯოს პატიმრობა ბობრუისკის ციხეში მოხდით“.

„გადავრჩი“, – გაიფიქრა როზენმა, მაგრამ იმპერატორი ამით არ ამთავრებდა: „ვბრძანებ, როგორც თანამდებობისთვის შეუფერებელი მოიხსნას კორპუსის სარდალი ბარონი გრიგორი როზენი და მის ადგილას დაინიშნოს გენერალი ევგენი გოლოვინი!“

ეს უკვე ღვთის რისხვაზე მეტი იყო.

ბარონი როზენი ასეთ მკაცრ განაჩენს არ ელოდა.

მან იქვე ჩააბარა გოლოვინს კორპუსის სარდლის ბეჭედი და ისე გაბრაზდა, რომ საღამოს იმპერატორის გამოსათხოვარ ვახშამზე არ გამოჩენილა.

შემთხვევა მეოთხე

12 ოქტომბერს იმპერატორ ნიკოლოზ პირველის ამალა სახელმწიფო კანცელარიის სასტუმროდან გავიდა.

მხსნელ „ბატკა იმპერატორს“, „მამას და მარჩენალს“ თბილისელები აივნიდან ყვავილებს ესროდნენ და გულისამაჩუყებელი შეძახილებით ეფერებოდნენ.

პროცესია სოფელ ვერეს გავლით მცხეთაში უნდა ჩასულიყო, იქ კიდევ ერთ გამოსათხოვარ მეჯლისს გაუმართავდნენ ხელმწიფეს და ამალა საქართველოს სამხედრო გზის გავლით ვლადიკავკაზის გზას გაუდგებოდა.

მდინარე ვერესთან სანამ ჩაივაკებდნენ, იმპერატორის ეტლმა (მცხეთამდე ეტლი ქართველ მეეტლეს უნდა წაეყვანა, ასეთი იყო შეთანხმება) მკვეთრ მოსახვევთან წონასწორობა დაკარგა. როგორც ჩანს, მეეტლე დიდი სიჩქარით შევიდა მოსახვევში და როცა აღვირი მოღრიჯა, უკვე გვიან იყო, ცხენები ვეღარ დაიმორჩილა. ეტლი აყირავდა, რკინის სადგარზე გადატყდა და მდინარეში გადაეშვა.

იმპერატორმა, მისდაიღბლად თუ ჩვენდაიღბლად, გადახტომა მოასწრო და უვნებლად გადარჩა.

ასეთი გახლდათ ოფიციალური ვერსია, რაც ნიკოლოზ პირველის პირადმა მწერალმა – გრაფმა ადლერბერგმა იმპერიის მთავარ პროკურორს აახლა.

სინამდვილეში კი რაც მოხდა, ჩემი ჭკვიანი მკითხველი ადვილად მიხვდება.

18. I. 2012 წ.

როდის კვდება ადამიანი

სულელი უნდა ვიყო, ექიმის და ექიმობის რომ არ მწამდეს, თვითონ შევსწრებივარ მილიონ მაგალითს, როგორ გამოგლიჯა ექიმმა სიკვდილს ხელიდან საიმქვეყნოდ გამზადებულ-გახაზირებული კაცი, მარა ისეთი შემთხვევაც ცოტი როდი ვიცი, ექიმმა რომ ხელი ჩაიქნია; ამას აღარაფერი უშველის, მიქელ-გაბრიელის განკარგულებაშია გადასულიო. ოჯახის ყველა წევრი რომ შეამზადა მედიცინის წარმომადგენელმა და ბოლო საეჭვო ნუგეშიანი სიტყვა რომ დაუგდო, „რას ვიზამთ, ყველანი სიკვდილის შვილები ვართო“.

ცელიან სიკვდილს რომ შეატოვა ხელში კაკალი კაცი...

და სასწაული რომ მოხდა:

ფეხზე ცხვარგამობმულმა ავადმყოფმა რომ მოიხედა. მოიხედა კი არა, საბოლოოდ განიკურნა და კითხვის ნიშანივით რომ დაუტოვა თავისი მორჩენა ყველა მჩხიბავ–მეწამლეს და მეკომპიუტერე–მერებუსეს.

რაღა შორს წავიდე, ჩემს ამბავს მოგიყვები:

კლოუნი ვარ მე.

ორმოცი წელია, ჩემს ქალაქ სამწყერიაში ცირკში ვმუშაობ.

მქონდა, როგორ არ მქონდა შემოთავაზებები თბილისიდან. ცხონებული ბორია წიფურია (მაშინ თბილისის ცირკის დირექტორი იყო) სამჯერ ჩამოვიდა, წამოდი, დედაქალაქის ცირკის კლოუნობა, ხომ იცი, მაინც სხვა დონეა, პრესტიჟის საქმეაო. აქ რო გაქვს, სამჯერ მეტ ხელფასს დაგინიშნავო, მარა არ ვქენი.

სამწყერიაში, რასაკვირველია, პატარა ცირკია. წარმოდგენა მარტო შაბათ-კვირას გვაქვს. სამ თვეში ერთხელ რეპერტუარს რამე ახალი თუ არ დავუმატე, ერთხელ ნანახის სანახავად ორჯერ მოვა მაყურებელი და მესამეჯერ – არა.

ჩემ ცირკში ხან რეჟისორად დამნიშნეს, ხან დირექტორ-განმკარგულებლად, ერთხანს მთავარი ადმინისტრატორიც ვიყავი, მარა მანეჟს არ მოვშორებივარ.

ერთი-ორჯერ ჩამოვიყვანეთ კულტსასწავლებელდამთავრებული ახალგაზრდა კლოუნი, ამოვიყენე გვერდით, ცას ხომ არ შევაბერდები, გავზრდი ამას ჩემს შემცვლელად-მეთქი, თუმცა შენ არ მომიკვდე, ხუთექვს თვეზე მეტი ვერ გაძლო ახალმა. დაკრა ფეხი და თბილისს მიუბრუნდა.

ჯერჯერობით ვუძლებ და მერე ვნახოთ, რა იქნება.

ჩემი ნომრებისთვის სიტყვებსაც მე თვითონ ვწერ. ხანდახან იმნაირ რამეს ჩავურტყამ წარმოდგენის დროს ჩვენი ქალაქის ცხოვრებიდან, რომ კვდება ხალხი სიცილით.

მტერი ჩავარდა ჩემ ყბაში.

ყოფილი გამგებლის, მერის თუ გუბერნატორის იმნაირ პაროდიებს ვაკეთებ, შენც რო მოგეწონება. ძირითადად, სატირის ხაზით, ყოფილ ჩინოსნებზე ვმუშაობ. მიხვდები რატომაც. სკამზე მჯდომს რომ მივდგე, ვის აღადავებ შენო და ჩემს გაგდებას ვინ ჩივის, ცირკს მიახურავს.

თავი რომ არ შეგაწყინო, სარცხვინელს ქვემოთ, ბონას რო ეძახიან, მუხლიდან მტკაველნახევარზე მეჭეჭი გამომივიდა. ჩვეულებრივი, თავიანი მეჭეჭი იყო, ჯერ ყურადღება არ მივაქციე, მარა მანეჟზე რო დავრბოდი და დავხტუნაობდი, ერთი–ორჯერ ხელი შემიშალა, ბარძაყების ერთმანეთზე ხახუნის დროს ღიზიანდებოდა და სისხლიანდებოდა. ავდექი და ლეიკოპლასტირი მივიკარი. ლეიკოპლასტირს ყოველდღე ვიცვლიდი. დუშის მიღების დროს მაინც ჩამოირეცხებოდა. თურმე არ უნდა მომეხსნა. მოხსნის დროს მეჭეჭის თავკანი ძვრებოდა.

ბოლოს, ძალიან რომ შემაწუხა, მივედი, უქიმერიონზე რომ ონკოლოგიურია.

საავადმყოფოში ჩემი გამოჩენა ქე იცი, რა არი.

ვზივარ ლომჯარიას მოსაცდელში.

ატყდა ფაციფუცი და გაქცევ-გამოქცევა.

სამ-სამად გამოდიან ექიმები და ექთნები, სანიტრები და ავადმყოფები თავიანთი ოთახებიდან.

ჩაივლიან, ვითომც არაფერი, ჩვენ ჩვენს საქმეზე მივდივართო, სამ ნაბიჯზე გაშორებულები მოიხედავენ და იცინიან.

ჩემ დანახვაზე სიცილი არ მიკვირს, რამდენჯერ მქონია შემთხვევა, პანაშვიდზე მივსულვარ ოჯახში, ჩამომირთმევია ხელი, მონაწილე ვარ-მეთქი, მითქვამს ჭირისუფლისთვის. „მონაწილე ვარო“ და წასკდომია ჭირისუფალს სიცილი.

რა უნდა ვქნა მე.

ხომ არ ავყვები სიცილში იმ უბედურნახევარს.

ვსწორდები წელში და უფრო სერიოზული სახით მივდივარ კარებისკენ. ზურგს უკან მესმის და ვგრძნობ მოგუდულ სიცილს.

ჭირისუფლის გარდა, სხვებიც, სამძიმრის რიგში მდგომი მოქალაქეებიც იცინიან.

საავადმყოფოში ერთი-ორი ნაცნობიც გამომიჩნდა.

რამ შეგაწუხათ, ბატონო იპოლიტეო, მეკითხებიან.

არაფერი, ისე, უბრალო საქმეზე ვარ, ლომჯარიას ველოდები-მეთქი, ვპასუხობ.

ჩვენ ხომ არაფერი შეგვიძლიაო.

დიდი მადლობა, ნუ წუხდებით-მეთქი.

ისევ გრძელდება ცნობისმოყვარეთა პარადი ჩემს წინ დერეფანში.

როგორც იქნა, მოვიდა ლომჯარია.

ხონელი ბიჭია. მე და ცხონებული მამამისი გვერდიგვერდ ვცხოვრობდით ხონში. ბავშვობა ერთად გავატარეთ.

რა გაგჭირვებია, იპოლიტე ბიძიაო, კაბინეტში შემიძღვა, კარი მიხურა, ხალათს იცვამს და იღიმება.

რა აცინებს ამ ოჯახაშენებულს.

ამიტომ არ მიყვარს საავადმყოფოში მოსვლა.

ასე და ასეა ჩემი საქმე-მეთქი.

რა ადგილზეაო, დაინტერესდა, ბუნებრივია.

კვერცხებიდან ერთ ციდაზე-მეთქი.

„კვერცხებიო“, ისევ იღიმება.

აბა რა უნდა მეთქვა?

მაჩვენე აბაო.

ჩავიხედე შარვალი და ვაჩვენე.

სერიოზული არაფერიაო, იღიმება. არ შეშინდეო.

არასერიოზული უძახე შენ, მანეჟზე გამოსვლაში ხელს მიშლის-მეთქი.

ვნახოთ, მაინც დავთესოთ, რაკი მოსული ხარო, იღიმება.

ამიღეს, ნაცხი თუ რაღაცას ეძახიან.

დამიბარა ათი დღის მერე ლომჯარიამ.

მივედი.

ცოტა ცდამ კიდევ მომიწია, მაგრამ ვატყობ, იმდენი სიცილ-ძიგძიგი და გასვლა-გამოსვლა აღარ არის, ჩემი დანახვის დროს.

შევედი ლომჯარიას კაბინეტში.

იპოლიტე ბიძიაო, პირდაპირ საქმეზე გადავიდა, ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ვერაფრით გაგახარებო.

მითხარი შვილო, პატარა ხომ აღარ ვარ–მეთქი. არაფერი დამიმალო-მეთქი.

ასეთ შემთხვევაში ასიდან ოთხმოცდაცხრამეტი ჩვეულებრივი უმტკივნეულო ხალ-მეჭეჭია, ჩვენ პაპილომას ვეძახით. რაღა თქვენთან ამოითესა მაინცდამაინც, დადებითი, მიკვირს ძალიანო. ამას ჩვეულებრივ ენაზე კანის კიბოს ეძახიანო.

რა საშველი არსებობს-მეთქი, წყალწაღებულივით ხავსს ჩავებღაუჭე.

სამწუხაროდ, ქარჩაულის სითხის, ან მოყინვის პროცედურა დაგვიანებულია. ქირურგიული ჩარევა კი პროცესს კიდევ უფრო დააჩქარებს და არ გირჩევთო.

გადამიწურა წყალი ლომჯარიამ. რას ვერჩი, რა მისი ბრალია, კაცმა სიმართლე მითხრა.

რავა ვქნა ახლა, რას მირჩევ, დავანებო მუშაობას ხვალიდან თავი-მეთქი? ვკითხე ანგარიშმიუცემლად.

რა გითხრა, მე ვერაფერს გირჩევ, იპოლიტე ბიძიაო. ჯერჯერობით დაიწეპე ისევ ლეიკოპლასტირი და განაგრძე ჩვეულებრივი ცხოვრება. შენი, ხალხისთვის საყვარელი არტისტის მანეჟიდან წასვლა დაზაფრავს ქალაქს.

მე შენს ადგილას, სანამ შევძლებდი, ვიქნებოდი ცირკში, საერთოდ კი შენი საქმე შენ იციო, ლომჯარიამ.

გულმკვდარი, დაღრეჯილი, ელდაცემული დავბრუნდი ცირკში. ჩემს საგრიმიორო ოთახში დავჯექი სარკის წინ და ჩემს თავს მივაჩერდი.

თვალებში, გამოხედვაში, ძალად ღიმილში ვეძებ სიკვდილის აჩრდილს; არ ჩანს.

დავყურებ თითქმის თანაშეზრდილ ნახევარმეტრიან, წვერმოგრეხილ კლოუნის წაღებს, ბურთულის ცხვირს, შვიდფეროვან ჩაჩს. რა კლოუნადაა ცხოვრება. თანაც ტრაგიკული კლოუნადა. ეს ყველაფერი დარჩება, მე კი აღარ ვიქნები.

„დაგვიანებულია“... „დაგვიანებულია“... „დაგვიანებულია“...

რეკავს ყურებში ლომჯარიას განაჩენი.

კარებში ადმინისტრატორმა ყურშავაძემ შემოყო თავი.

ბატონო იპოლიტე, რა ვქნა, არ ვიცი, ცხრაჯერ გოვუსწორეყენ სტამბაში, მარა ისევ შეცდომით დოუბეჭდიათ აფიშა, „სამწყერიას“ მაგივრად კიდევ „სამყვერია“ წერიაო.

ხმა არ გავეცი.

რა ვქნათ ახლაო. არ წამემედო ქე მაინცო.

გაასწორეთ ტუშით და გააკარით, რავარც მაშინ-მეთქი. აფიშის თავი მაქვს ახლა მე-მეთქი?

რავაო?

რავა და კიბო დამიდგინეს ახლა ა, ერთი საათის წინ-მეთქი.

სხვას რო ეთქვა, არ დავიჯერებდი; ე ჩემი კიბოს ამბავი ყურშავაძემ ერთ ყურში შეუშვა და მეორეში გამოუშვა. არ ვიცი, ვერ გაიგო, არ ვიცი, არ დაიჯერა ან უბრალოდ, ხუმრობად ჩათვალა.

წავალ ახლაო, თუ დაკეტილი არ დამხვდა სტამბა, ახლიდან დავაბეჭდიებ აფიშასო, თლათ ეიგდეს თავი მაგენმაო, რავა შეიძლება სამწყერიას მაგივრად „საყვერიას“ დაბეჭდვა, კიდო ეგ უნდა ჩვენს გამგებელს? იღრინება მაინცო.

გაიხურა კარი ყურშავაძემ და ჩემი გარე ბიძაშვილი ზაურ ხვიჩია გამომეცხადა. ზაურს წინა კვირას ტექმომარაგების საწყობში მივყევი; 500 ცალი ბურთულ-საკისარი უნდოდა. იპოლიტეს ხათრით ჩიტის რძეს გაგიჩენო, საწყობის გამგემ.

ახლაც იქედან მოვდივარო, ზაურმა, დოურეკე ერთი, თუ მაძლევენ, მომცენ, თვარა და მითხრან ვარიო. ხუთჯერ მივედი და მემალება მე მგონია, კურკუტიაო. მაგას ვინ ვგონივარ მეო.

ჩემო ზაურ-მეთქი, სარკიდან შევცქერი ჩემ ბიძაშვილს, რო იცოდე, რა დღეში ვარ, დღე-დღეზე სიკვდილის ველოდები, ონკოლოგიურში ვიყავი დღეს და კანის კიბო დამიდგინეს-მეთქი.

შენ როგორ ფიქრობ, შეიცხადა ჩემმა ზაურმა ეს ამბავი? ეს რა მითხარიო, რა უნდა შენთან კიბოს, შენი იმედი გვაქვს ცხოვრებაში, ან არ იქნება ეგ დიაგნოზი მართალი, გულს ნუ გაიტეხ, ხშირად ცდებიან ექიმებიო, ან რაღაც ამის მსგავსი მითხრა ზაურ ხვიჩიამ?

შენ არ მომიკვდე.

ისევ თავის სათხოვარს დაუბრუნდა.

დაურეკე ერთი და გაჯორე კარგადო. უთხარი, ეს ერთი ბიძაშვილი მყავს საპატრონო და არ მიწყენიოთ, თვარა ჩემთან გექნებათ საქმე-თქვა. რავა ი პაჩენიკები თავისთვის კი არ უნდა, საქვეყნო სამსახურში დგას ზაურიც თქვა.

...ამ ამბიდან ერთი კვირის თავზე ტელევიზორში მოვკარი ყური „კანის კიბო დამარცხებულიაო“. ნიუ-იორკის 127-ე კლინიკაში (კენედის ავენიუ) წარმატებით მკურნალობენ კანის კიბოს, ოღონდ მკურნალობა ჯერჯერობით საკმაოდ ძვირი ჯდებაო.

ნეტავ არ მომესმინა. მოსვენება დავკარგე. კი, მართალია, სიცოცხლე ტკბილია და ცოტა ხანს კიდევ მინდოდა მეცქირა ამ ქვეყნისთვის, მარა „ძვირადღირებულმა“ წელში გამტეხა. ჩამომიწერა ცირკის დირექტორმა ბიზნესმენების სია, მითხრა: დარეკვით როგორ არ დავრეკავ, მაგრამ ფულიანი კაცები ტელეფონს არ იღებენ და რომც აიღონ, ვიცი რაკიღა შუამავალი ვარ, აუცილებლად უარს მეტყვიანო. ყველაფერს აჯობებს, შენ თვითონ ჩამოუარე, არ შეიძლება 15-დან ერთმაორმა მაინც არ გაგიწიოს სპონსორობაო.

ვზივარ და ვფიქრობ ღირს ბებერი კლოუნის სიცოცხლის სულ რაღაც 5 წლით (უკეთეს შემთხვევაში) გაგრძელება ამდენ დამცირებად, მათხოვრად ქცევად, მუდარით სავსე გამომეტყველების ძალად მიღებად?.. თანაც, იმ ხალხის წინაშე თავის გამაიმუნებად, ვისაც ვერაფრით დაარწმუნებ, თუ რატომ უნდა იარსებო კიდევ ხუთი წელი და ისიც მის მიერ გაღებული ფულის ხარჯზე?

საერთოდ, რატომ უნდა აღვუდგე წინ იმ საოცარ კოსმიურ გათვლას, თუ ღმერთის ნების გამოხატულებას, რომლის ძალითაც შენ მოგეცა ამდენი წლის სიცოცხლე – არც მეტი, არც ნაკლები.

და მე უარი ვთქვი ჩამოსპონსორ-ჩამომათხოვრებაზე. უარი ვთქვი მკურნალობაზეც საერთოდ. გადავწყვიტე ბოლო ამოსუნთქვამდე დავრჩე მანეჟზე და ბოლოს ღონემიხდილი მანეჟზევე დავეცე. კლოუნის სიკვდილი ასე უფრო ლამაზი იქნება.

... 2006 წლის 14 სექტემბერს გახლდით პირველად ლომჯარიასთან.

გთხოვთ, კიდევ ერთხელ დაუბრუნდე, მკითხველო, ამ ნოველის დასაწყისს.

ორი წლის თავზე ჩემი ხალ-მეჭეჭი უკვალოდ გაქრა.

ახლა 2010 წლის 5 ივლისია და მე, საღსალამათი, ისევ მანეჟზე ვარ.

იცი, როდის კვდება ავადმყოფობით ადამიანი? როცა დაიჯერებს, რომ კვდება და მის ირგვლივ მყოფნიც ირწმუნებენ, რომ უნდა მოკვდეს.

ივლისი, 2010
თბილისი

ქოლგის

მარი მიქარი

გ ა მ ხ ე ლ ა

გაზაფხულს დაუსკდა დვრილები,
წლიდან წლის მოაქვს სასწაული,
მთას აქეთ მახარებს თრთვილები,
მთას იქით – ჩემი ნანდაური.
ფეხქვეშ ბალახს სძინავს ლორთქოს და
მასაც აქვს რამ სავედრებელი,
თოვლს ისე ეკრობა, როგორაც
დაგლეჯილ გულს საკერებელი.
თვალებში ცრემლი რომ გგონია,
წყარია, ხიდს ელის ბონდისას,
ვერ შევებრძოლები გოლიათ
სიყვარულს, ასე რომ მჯობნის და
ბუდეს ავიშენებ ვარდებით,
იყოს სალადო და სალხინო,
იქ ვყავდეთ ერთმანეთს, ბარტყებიც
იქ ვაფრთიანოთ და ვაფრინოთ.
დღეები წლებს ისევ კეცავენ,
რა დროს ლოდინია, ნუ მიწყენ!
ახლავ სჯობს ტკივილი კვნესამდე,
სისხლს რომ დაარუებს გულისკენ.
ახლავ სჯობს ნამალის გამხელა –
შენა ხარ ამ გულის მიზანი,
მე – შენი თვალების გახელა
და შენი მკლავების ხიზანი!

ამ ახალ წელსაც

მოვედი...
არსად აღარ მივდივარ,
შენს გულისცემას ვაბჯენ გულისყურს
და შენი მკერდის ასე ციმციმი
ჩემს სამუდამო ყოფნას გულისხმობს.
მოვედი –
ისევ შენთან ვარ ახლა,
უკვე არასდროს დაგტოვებ მარტო.
თან უსაშველო წარსული მახლავს
და... გაურკვეველ მომავალს განდობ.
ამ ახალ წელსაც
ახლიდან მოვრთავ
ძველი ნატვრებით ნაძვის ხის ტოტებს –
განმავლობაში წელთა და დროთა
წელთა და დროთა სიმრავლე გქონდეს!
ჩემს მკერდქვეშ ისევ სიცოცხლე
ფეთქავს:
ახალი ყლორტის გაშლას შეჰხარის
ორივე გული –
მფეთქავი ერთად,
ერთად შეკრული ორი ლებანი.
მოვედი...

რ ა ფ ს ო დ ი ა

თვალებს დავხუჭავ სარკის წინ და ღრუბლების წიაღ
ვიღაცას ბაგე უთრთოლდება გრძნობამორეულს,
შუქი ენთება და ექნება თვალები ღია
გალაქტიკაში მომლოდინე სულის ორეულს.
ადრე სიყვარულს ვკითხულობდი სტრიქონებს შორის,
ახლა კი გრძნობა, როგორც ვალი გასტუმრებული,
მხოლოდ შვებაა ცარიელი ან შვების კლონი,
ანდა წერილი – სამწერტილით დასრულებული.
ფაქიზი ბროლის გასცვეთია კონკიას ქოში,
ათას კრისტალად მოცრიატე შუშის ცრემლი და
სულია ჩემი, დაკარგული ფერსა და დროში,
ამ სამყაროში მოფანტული ფერფლი პეპლიდან.
ყალყზე შემდგარი ფაშატივით კლდის ქიმზე ვდგავარ,
ჩემს სათრევ ჭაპანს ისევ მარტო მე თუ გავათრევ
და წვრილმანებში ათქვეფილი ვიპოვი მთავარს,
რასაც ვერც მთხოვ და ვეღარც ძალით ვეღარ წამართმევ.
და, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რა ადვილია
მიხვდე, რომ შენი გაორება საზღვარს გადასცდა,
შენც გაუღიმო სახეს ნათელს და ღიმილიანს
და მეგობრებთან გახალისდე ფინჯან ყავასთან,
ამოისუნთქო ფილტვებიდან ეს მწარე ბოლი,
ქუჩაში უცნობს საუბარი ტკბილი გაუბა,
ან სულ უბრალოდ, დღევანდელს და გუშინდელს შორის
იპოვო ათი მსგავსება და ათი სხვაობა.
ცხოვრების ყველა წვრილმანით რომ ისწავლო ტკბობა,
ხელის აქნევით ფიქრებიდან დარდი განდევნო
და წვიმის შემდეგ მღვრიე გუბის ნელ-ნელა შრობას,
დრო დაივიწყო, უშფოთველად თვალი ადევნო...
ყველა გამვლელის ყველა მზერა რაღაცას ნიშნავს,
ხვდები, ცხოვრება ცხოვრებისთვის – არის ცდუნება
და ამის მერე ცრემლით დასმულ ძახილის ნიშანს
დაეკარგება პირვანდელი დანიშნულება.
შენც ამ სამყაროს ჩემნაირად თუკი ხედავდი,
ალბათ, გესმოდა ჩემნაირად ყოველი სიტყვა,
მე გეტყვი მხოლოდ – ძნელი იყო მოსვლა შენამდე,
დანარჩენ სათქმელს ჩემს თვალებში ამოიკითხავ.
დროს ვერასოდეს მოიყირჭებ – შენთვის განკუთვნილს,
ვერც გაჩუმდები, თუნდაც არვინ აღარ გისმენდეს,
ჰგავხარ მსახიობს, ფორტუნა რომ გვერდით ჩაუვლის,
მაინც ჯიუტად ელოდება აპლოდისმენტებს.
ვეცადე, მაგრამ სასურველი მაინც ვეღარ ვთქვი,
თუმცა სიტყვების შესაფერისს ვარჩევ რაციონს.
როდესაც წასვლა ეპილოგი არის სპექტაკლის,
სცენაზე რჩება უსარგებლო დეკორაცია.
იმ დროში ვცხოვრობ, უფლისაგან რა დროც მომეცა,
ვცხოვრობ, რადგანაც ოცნება და ფიქრი მადროვეს,
და სიხარულით ვეშორები ტკივილს, რომელსაც
მზისკენ ლივლივით განფენილი სული დატოვებს.

* * *

ცეცხლს, ნაკვერჩხლებში მინავლულს,
ეფიცხე სითბოს ნაჩვევი.
ვეღარ ივიწყებ სიყვარულს –
ენგურს გადაღმა დარჩენილს.
ზღვის ტალღა თუ არ გილოკავს,
სხვა არაფერი არ შველის
ნატკენი გულის ჭრილობას –
მწიფე ლეღვივით დაფჩენილს.
გაყუჩდი და გაიღიმე,
იშუშე გული ნატკენი...
არც პირველი ხარ, ჭირიმე
და აღარც უკანასკნელი!

ხ ი ნ კ ა ლ ო

მზიან ბორჯღალად მოხვეულო
ფშაურო, თუშურო, მოხევურო
ქალაის თითებით ნაფერებო,
ნაოჭებასხმულო ბროწეულო,
კადაჩლის ნისლივით ოხშივარი
შენით დახუნძლული ხონჩის არი,
მოფშავლებულზე სასურველო,
სწორედ რომ სულზე მოგვისწარი!

ჰო ი, ჰ ე ლ ე ს ა!

(მინაწერი მიხო მოსულიშვილის წიგნზე „ჰელესა“)

ცოდვილ მიწაზე რა გამოლევს დღეებს ნაკიანს,
თუმც, ღვთის შეწევნით, ველოდებით ძმობის დღეებსაც.
მკლავებს ძალა და ხელებს სითბო ხომ არ აკლიათ,
ჰოი, ჰელესა?!

ლაზი წინაპრის მოძახილი ფუქირობისას,
ერთნაირად რომ ეხსომება ზღვას და ხმელეთსაც,
ყოველ ცისმარე ზღვის ფსკერიდან მზეს ამოზიდავს,
ჰოი, ჰელესა!

გამოგვიფხიზლებს უძღებ შვილებს, ცოდვილ ასულებს,
ოდით მათ სისხლში მიმობნეულს უპირველესად
ამ ცის და მიწის სიყვარულსაც დაგვიდასტურებს,
ჰოი, ჰელესა!

ნეტავ, შეეძლოს... გაღმა მხრიდან ხმას მოგვაწვდიდა,
რომ წინაპრების დარდი გვეთქვა ან გაგველექსა.
წარსულს ვამხნევებთ მოძახილით ჩვენ მომავლიდან,
ჰოი, ჰელესა!!!

დ ღ ე

დღე – წუთით და საათით ნაკოწიწები,
დღე – დაღლილი მილიარდი წამისგან
სრულდება და ლოდინის მოწიწებით
დრო ციფერბლატს მიაბრძანებს ღამისკენ.
გათენდეს და შენსკენ გამოვენთები,
ღმერთმა მხოლოდ ეს ერთი დღე მაკმაროს,
სანამ ისევ, ისევ შევეფეთები
მაგ თვალების უსაყვარლეს სამყაროს.

როცა წლები გადიან...

როცა შეძლებ გაექცე
გრძნობის მელანქოლიას,
მიხვდები, რომ მას ეძებ,
ვინც სულ გვერდით გყოლია.
თუ მიხვდები გვიან, რომ
ძველი სენით ხარ ავად
და გაბედავ იარო
გრძნობადაუფარავად –
შეეშვები ოცნების
მიუწვდომელ მირაჟებს
და წუწუნს არ მოჰყვები
შენი ბედის წინაშე...
ჰო, სიდინჯის საათია
ბედისწერის დაფაზე –
როცა წლები გადიან,
წუთებს უფრო აფასებ!

გამიცანით!

(Facebook-ელებს)

...ახლა ინტერნეტს შეხიზნულნი ვირთობთ მოწყენას,
ვთამაშობთ, თითქოს ყველაფერზე გული შეგვტკივა
და ინტერესით ვაფიქსირებთ ყველა მოვლენას...
ერთმანეთს ვიცნობთ? გამიცანით, მე ასეთი ვარ:
მადლობელი ვარ, რომ გამიხდა მეგობრად მტერი,
მადლობელი ვარ იმ გზის გამოც, რაც გავიარე.
თუმცა ღალატის გემოც ვიცი... გემოც და ფერიც...
დღემდე ვენდობი გაღიმებულ ადამიანებს;
საკუთარ თავზე ხშირად მწარე მომსვლია ბრაზი,
რომ მაგიჟებდა სულელური, ბინძური ჭორი...
ვარ სამყაროში დაკარგული პატარა ხაზი –
ზოგჯერ ჩაწერაც ავიწყდებათ ტყუპ სიტყვას შორის;
გამომიცდია, რასაც ცრემლის გაშრობა ჰქვია,
(თუ დამიჯერებთ, უგულობას სულაც არ ნიშნავს)...
და რომ იმსხვერპლა, თურმე, ვიღაც წუხელის ტყვიამ,
იყო მხოლოდღა სამწუხარო ფაქტის აღნიშვნა;
ვნებასაც ვიცნობ ბალახებზე მცოცავი ნამის,
მიწამ რომ უნდა შეისრუტოს ხარბად... და კიდევ,
როდესაც მიყვარს, სამყაროზე დიდი ვარ ლამის –
წარსულის ყველა დავიწყებულ სიხარულს ვიტევ;
რას უფრო მეტი აქვს სიღრმე და აქვს სილამაზე –
ქართულ ზეცას, თუ ქართულ ფესვებს, თუ ქართულ ბგერას?
რაც გვაქვს და გვიყვარს, უფრო მეტად თუ დავაფასებთ,
ვფიქრობ (თუ მჯერა), არ დავკარგავთ... მინდა და... მჯერა!
სამწუხაროა, დრო ისეთი სისწრაფით გარბის,
ვერ ვასწრებთ ხელი გავუწოდოთ და სითბო გავცეთ...
როცა ხვალისთვის გონებაში ვამზადებ სადილს,
მაშინღა ვხვდები, დღე გასულა და დავიქანცე;
მე ასეთი ვარ! ბევრი რამე, ალბათ, დავმალე,
ბევრ რამეს თვითონ მიხვდებოდით, ბევრიც გამომრჩა...
და მაპატიეთ, თუ აქამდე ჩემით დაგღალეთ,
ახლა თქვენ უნდა ამომივსოთ სიტყვებით ხონჩა.
ხან „სმაილს“ გზავნით, ხან სურათებს „დამილაიქებთ“,
ხან წერილს მომწერთ, ხან ლექსებით მიქმნით განწყობას,
მაგრამ არ მიცნობთ... ჩამომართვით ხელი, გაიგებთ –
მართლა ძალიან მიხარია თქვენი გაცნობა!

ქართული

ორი მოთხრობა

ირინ ბერეგვაძე-ჯანიანი

ე ლ ვ ი რ ა

მესიზმრა ერთხელ, რომ ზღვის ნაპირს, უფალთან ერთად, მივუყვებოდი და ლაჟვარდ ცაზე, როგორც ეკრანზე, ვხედავდი ჩემი გარდასული ცხოვრების დღეებს. დღე დღეს მისდევდა და ქვიშაზე აშკარად ჩანდა ნაკვალევის ორი წყვილი – ჩემი და უფლის. მაგრამ აქა-იქ უცებ შევნიშნე ეული კვალი და გამახსენდა განსაცდელნი გარდასულ დღეთა. მაშინ წარმოვთქვი: "უფალო ჩემო, მე ხომ გიწამე და დაგპირდი, რომ ვიცხოვრებდი შენთან და შენთვის, შენ კი დამპირდი, რომ არასდროს მიმატოვებდი. რად არ იყავი ჩემთან სწორედ მძიმე წუთებში?" მან მიპასუხა: "შენ ხომ იცი, როგორ მიყვარხარ და რომ არასდროს დამიგდიხარ მე შენ ეულად. თუკი ქვიშაზე მხოლოდ ერთის ნაკვალევია, ეს ის დღე იყო, როცა ხელით დაგატარებდი".

"კვალი ქვიშაზე"
(ლათინური წესის ქრისტიანთა ლოცვებიდან)

ეჰ, ვის გააკვირვებ, უსამართლობის მსხვერპლი გავხდიო. მაგრამ ასეთი მძაფრი განცდა იშვიათად გამჩენია. მგონია, რომ გამაუპატიურეს. გამომცემელმა, აქამდე დამსაქმებლად რომ მივიჩნევდი, ნაცვლად იმისა, დაეფასებინა ჩემი შრომა, არც მეტი, არც ნაკლები, დამაყაჩადა, უცერემონიოდ "მომიტეხა" გასამრჯელოს ერთი მესამედი. ამჯერად ნამეტანი ქნა, თორემ კი ვხვდებოდი, რა ხვითოც იყო, მას არც ჩემი პროფესიონალიზმი ეუბნება რამეს, არც მადლიერების გრძნობა გააჩნია, როდესაც ნახევარფაბრიკატებისგან სრულყოფილ პროდუქტს ვუქმნი და თან სამუშაოს შესრულების შეკვეცილ ვადებზეც არ ვწუწუნებ. ეს რა კარგი სულელი ვიშოვნეო, ფიქრობს ალბათ, როდესაც გამომცდელად მიცქერს დაჭყეტილი, ინტელექტნაკლული თვალებით, შიგ ეშმაკუნები რომ დაურბიან და მწვანე დოლარებს საზეიმო დროშებივით უფრიალებენ. პროფესიონალი, თან სულელი...

სიმართლე რომ ითქვას, არ მაინტერესებს მისი ხედვა, რადგან ისიც საკმარისია, მე რას ვფიქრობ მასზე. როცა ვშორდებოდი, თვალებით ვუთხარი, ღირსი არა ხარ, ჭინჭრის ტოტით გაგიუვეროს კაცმა კანჭები და სულ "ჩეჩოტკა" გაცეკვოს-მეთქი? აბა, ასეთს იმას ხომ არ ვუამბობ, კარგი დროების ხანაში რას ვგრძნობდი გემბანზე გადამდგარი, როდესაც ორი შეყვარებული ვეშაპის თამაშსა და შადრევანთა ფრქვევას ვუცქერდი; ან იმ მშვენიერი მაისის დღეებზე, როდესაც პარიზის ქუჩებში წაბლი ყვაოდა; იმასაც, რომის ერთ პატარა ეკლესიაში, მიქელანჯელოს "მოსეს" წინ რომ ვმდგარვარ მსხვილი ჯაჭვის ბარიერთან და გენიოსის ეროსგან ჩაჭეჭყილ მუხლისთავს მხოლოდ ერთი ხელის გაწვდენა მაშორებდა და ვრწმუნდებოდი, სამყარო ნამდვილად შენში რომაა, თავად ხარ მთელი სამყარო, ოღონდ შეძელი და იწამე... და იყავი მადლიერი. არა, ეს მასთან სასაუბრო ენა არაა.

ამიტომაც ამეკვიატა ფრაზა კი არა, ფრაზის დასაწყისი, ჩემს უცეცხლოდ წვას რომ უწყობდა ხელს და ხმაურიან ქუჩაზე გეზდაკარგული მივყავდი.

" ერთხელაც იქნება და..."

ჩვეულებრივი, უწყინარი სიტყვები ალესილი მახვილებივით ამომზიდოდნენ სულში, შესაფერისი კონტექსტის სხვა სიტყვებს უხმობდნენ. მეც გაფაციცებით დავიწყე მათი ძებნა, რათა

გამერკვია, რა იქნება ამ ერთხელაც, ასეთს რას მოვიმოქმედებ.

როგორმე უნდა მოვიხელთო დასრულებული აზრი, არ უნდა გამისხლტეს, არ დამეკარგოს, ქარაშოტივით კი არ გადამიქროლოს, არამედ შევძლო, ვაქციო ხორცშესხმულ მიზნად... ეს მაგიური "ერთხელაც იქნება და..." მერე? მერე? აი, როგორი შეჯიბრია საკუთარ თავთან!.. საკუთარი ღირსების დასაცავად, სწორი არჩევანისთვის. საკადრისის მისაგებლად ასე მაშინაც არ მიმტვრევია თავი, როდესაც სუროგატმა მდვდელმა ჩემი მიცვალებულებისთვის, დიდმარხვისას მოსახარში ხორბლის კურთხევაზე მითხრა უარი და უფალს უღალატა. ეჰ, ანდრია, ანდრია! პირველწოდებულის სახელი მაინც არ ერქვას! მაგრამ, აბა მე ვინ დამნიშნა იმ უბადრუკის ცოდვათა განმკითხავად; არც ჩემი პროფესიული სამყაროდან, სხვაგვარად რომ ვთქვა, დარღვეული ეგრეგორიდან ამოგესლილი ქალი-ავაზაკის უგვანობების საპასუხოდ გავრჯილვარ დიდად, ვისაც თავის დროზე ვუწინასწარმეტყველე, ბარაბას გზა ღმერთთან რომ არ მიდიოდა, თანაც ისეთი ზუსტი გამოვდექი, თავადაც მიკვირს. მართლაც ბარაბას იმიჯით ცხოვრება ხვდა წილად, რადგან ვერ ძლია სიხარბეს – უმდაბლეს ცთუნებას. გაზეთები აჭრელდა სამარცხვინო სტატიებით. მის ფოტოებზე ქვეყანამ იხილა ნამდვილი სახე, უნიღბო და შეულამაზებელი, თხელ, გაწელილ ტუჩებზე, ჩვეულებისამებრ, გადღაბნილი მაამებლური ღიმილის გარეშე.

ფოტოებიდან უმეტესობა მაგონებდა ფინია ძაღლის სახეს, ჩემი მოთხრობის მთარგმნელის სახლში სტუმრად მისული რომ დამკბინა. სწორედ მის ბოროტ კბილთა ღრჭენას ვხედავდი საგაზეთო ფოტოებში. მაინც ვინ ახერხებდა, ასე ოსტატურად დაეჭირა ქალი-ავაზაკის დაღრეჯილ პირში ავადმჩინარ კბილთა გაალმასებული სივერაგე?.. საკუთარ ბოროტებაზე მძვინვარებდა პატივცემული თავმჯდომარე, თუ იმაზე, სხვებმაც რომ შეიტყვეს? სულით ხორცამდე შემძვრელი იყო, გეცქირა მისთვის, იმდენად, გულში უნებლიეთ ვფიქრობდი, ნეტა, ღამით რანაირად სძინავს, ნეტა, მიწა რად არ ეწვის ფეხქვეშ-მეთქი.

მაგრამ ეს "ერთხელაც იქნება და..." სულ სხვა რანგის ტკივილმა დაბადა. გაგრძელებაც ისეთი უნდა ჰქონდეს, მისი მოსმენისას ხელები აიფაროთ სახეზე და წამიერად შეიჩეროთ სუნთქვა. დიახ, ასეთი, რადგან იგი საკუთარ თავს მინდა მივართვა საჩუქრად. საკუთარი ღისების ფარად გავხადო.

გზას ვადგავარ უცნობ ადამიანთა ნაკადს შერეული. ტყემალი ყვავილობს – გადათეთრებულია ქუჩის გადაღმა გორა. ნეტა ისე მომაწყობინა, შემძლოს ვიარო და ბუნების მშვენიერებას ვუძღვნა დღეები, აზრი მივადევნო მის საოცრებას, თუნდაც ერთი ბროწეულის ხის ცხოვრებას. მაგრამ ამისათვის მეორე სიცოცხლეა საჭირო. მე კი მხოლოდ ერთი მაქვს და იმასაც არსებობისთვის ბრძოლას ვანდომებ. ამიტომ არ შემიძლია ჩავწვდე არსს იმისას, რაც გარშემო, ჩემს გარეშე ხდება და რასაც შეეჩვია თვალი.

უი, ელვირას ვხედავ! პოლიეთილენის გატენილ პარკს მოათრევს. მოკლე, ჩქარ-ჩქარი ნაბიჯებით გადაუხვია გზიდან, ძველი სკვერის ნარჩენში შევიდა, რომელიც, დროის მოთხოვნილებისამებრ, იყიდე-გაყიდეს ვნებას აყოლილ წვრილ-წვრილი სუპერმარკეტების მფლობელებს ჯერჯერობით გადარჩენოდა.

ჟანგისფერდადებულ ფიჭვის ხეს მიადგა. პარკი ხის ძირას დადო. ერთხანს გაშტერებით უცქირა ხეს, გეგონებოდა ლოცულობსო, მერე ზროზე დააწყო ხელისგულები, გაირინდა.

რამდენი ხანია, აღარსად შემხვედრია, უნდა დაველაპარაკო! მეგონა, წავიდა ესპანეთში, რომელზეც ასერიგად ოცნებობდა. არა, თურმე, ისევ აქ წვალობს. ვიცი მისი ისტორია, თავად მიამბო.

სამშობლო კარგა ხნის წინ დატოვა მუსულმან ქმართან ერთად, შუა აზიას მიაშურა. ისრაელში გოგონები სამხედრო ვალდებულები არიანო, ჩემს რებეკას კი ჯარში ვერ გავუშვებდი, ხომ იცი, იქ სულ ომებიაო.

უცებ გამახსენდა თითქმის უხმარი, მეუღლის სამხედრო "დუბლიონკა", რომლის შიგნითა ბეწვს ისევ ასდის ცხვრის სუნი. აივანზე გვიკიდია, ოკუპაციის მუზეუმს გვინდა მივცეთ. ამჯერად კი გავიფიქრე, ელვირას ვაჩუქებ, გამოიყენებს-მეთქი.

ამ ქალმა პირველი ნახვისთანავე მოახდინა ჩემზე შთაბეჭდილება. გაწონასწორებული ადამიანია. ერთთავად საკუთარ პრობლემებზე ლაპარაკობს, მაგრამ ამას ახერხებს მშვიდად, გაბოროტების გარეშე, ისე, რომ არ გამძიმებს, ინტერესითაც კი უსმენ. "იცით, ესპანეთში წასვლა იმიტომ გადავწყვიტე, გავიგე იქ მუსიკის მასწავლებლები სჭირდებათო". თურმე მუსიკოსი ყოფილა. ამიტომაც, თუმც ერთი შეხედვით, იქნებ ცოტათი შერეკილად ჩაგეთვალა, მაინც ინტელიგენტის შთაბეჭდილებას ტოვებდა. სრულებით არ ახასიათებდა ფამილარობა, თავის გაჭირვებაზე ისე გიამბობდა, ოდნავ გაბოროტებას ვერ შეატყობდი. წვრილ, მაყვალივით შავ, ეშხმიმქრალ თვალებში ენით გამოუთქმელი მიმტევებლობა ედგა ყველაფრისადმი. ბავშვური გაოცებით შემოგყურებდნენ ეს თვალები და გაიძულებდნენ, გაგეზიარებინა ჩუმი ტკივილი ადამიანისა, ცხოვრებამ ვეება ტალღასავით რომ გადაუარა, კენჭივით ჩაფლა ფსკერზე. თხოვნით არაფერს გთხოვდა, მხოლოდ სურდა, შენც გცოდნოდა მისი ამბავი. მეტი არაფერი. დაუსრულებლად გამოხატავდა გაოცებას ადამიანთა სისასტიკის გამო, იმის გამო, თუ ამოდენა ცისქვეშეთში რით ვერ გამოინახა მისთვის თავშესაფარი. "ჩვენს კარზე სულ აკაკუნებენ, სულ გასახლებით გვემუქრებიან, რადგან ქირას ვერ ვიხდით. ხან სად ვიხიზნებით მორიგ გასახლებამდე, ხან სად. თანაც ბევრნი არიან. საშინელებაა ეს კაკუნი, ერთ სიკვდილს ვათავებ."

– ვინ არიან? – ვკითხე მაშინ.

– როგორ გითხრათ, არ ვიცი... პირზე ერთი და იგივე აკერიათ – წადითო! მერედა, სად წავიდეთ? სიამოვნებით წავიდოდი ესპანეთში, – გაზეპირებულივით იმეორებს იმავეს, – საბუთების მოსამზადებლად ბევრი ფულია საჭირო. სადა მაქვს! ეკლესიას მივმართე, მასესხეთ, იქიდან გამოგიგზავნით-მეთქი. მოძღვარმა, სადა მაქვსო! თანაც წირვებზეც არ დადიხარო. ვიყავი ხოლმე. უკან ვიდექი, მაგრამ რა!.. ოდონდ ფულს ნურავის უხსენებ... არადა ნათქვამი მაქვს, ქრისტე რომ გამომეცხადა. მერე ქრისტიანულად რომ მომნათლეს იქ, ყაზახეთში. სინაგოგაშიც ვცადე... იქაც, რა ფული, რის ფული, აი, თევზი გვაქვს ზედმეტიო (ეს ხაზგასმით თქვა), აიღე, წადი და მეტი აღარ მოხვიდეო.

– რატომ? - გავიკვირვე.

– ქრისტიანი თუ ხარ, აქ რა გესაქმებაო?

– მართლა ხარ ქრისტიანი, ელვირა?

ტუჩებს წინ ბურცავს, ოდნავ ჩაფიქრდება:

– ქრისტიანები დამეხმარნენ, როცა ვითხოვე, მიშველეთ, აქ ჩემს რებეკას ძალიან უჭირს, ღამ-ღამობით ძილში ყვირის, აქაური ჰავა არ უხდებამეთქი. ერთი კვირაც არ გასულიყო, მოდის ვიღაც "სორა", ტანზანიელი ზანგი. ოფისში წადი, უთხარი ლორეტამ გამომგზავნაო. ქაღალდებს მოგცემენ და თბილისის ჯგუფში ჩაეწერები, სამ დღეში წახვალო.

რა გგონიათ? ზუსტად ასე მოხდა. ჩაგვსხეს რაღაც ჯაბახანა თვითმფრინავში. რებეკა დედაჩემს ჰყავდა ჩახუტებული. ექვსი თუ შვიდი საათი ვიფრინეთ და აქ დაგვსვეს. უჰ, რამდენი ხალხი იყო! მშივრები, ყველას "ჰუმანიტარკა" ეჭირა და ჭამდნენ.

– რა "ჰუმანიტარკა?"

– ყუთები, მუყაოსი. ზედ "პრიატნოგო აპეტიტა" ეწერა.

– რა, რუსები გვეხმარებოდნენ?

– არა, არა, გერმანელებისა იყო, ავსტრიელების, უფრო სწორად, მაგრამ ჩვენთვის, პოსტსაბჭოელებისთვის განკუთვნილი. მაშინ ფარულად უტევდნენ ამ მონსტრს.

– რომელ მონსტრს?

– იმპერიალისტურს. ვერ მიხვდით? რუსების იმპერიალისტებს. ამბობდნენ, რუსეთი რომ არ გაცოფდეს, არ უნდა შიოდესო.

– და თქვენ გაჭმევდნენ, საქართველოსკენ მომავალთ?

– აბა! იმდენი ხალხი იყო... იმ-დე-ნი... ზღვა ხალხი... ნეტა ახლა ასე ესპანეთში გამამგზავრონ!..

– ქართული როგორ ისწავლე, ელვირა?

– ძალიან მოვინდომე. მამაჩემს ჰქონდა ენებისადმი მიდრეკილება. მას ვგავარ. იცით, რა ღირსეული კაცი იყო? პატიოსანი. ახლა ასეთები აღარ არიან. სადაც ვცხოვრობ, იქ ჩემისთანები ბევრია, მამაჩემისთანა – არც ერთი.

– ვხედავ, სულ საქმიანად მიდი-მოდიხარ, სულ ჩქარობ, – შევცვალე საუბრის თემა, – რას აკეთებ ასეთს?

– რას უნდა ვაკეთებდე, – მომიგო მშვიდად, – ჰობო ვარ. ჰეუბეუ. ასე ამერიკელები ამბობენ. ნიშნავს მოხეტიალე მუშას. თუ გინდა, მაწანწალა, – აჰასპერი... მოკლედ, რა ვიცი... ცოტა-ცოტა შავ სამუშაოს ვშოულობ. ენას ვიკავებ. მთავარია, ენა შეიკავო და გენდობიან. დღის ბოლოს ბაზარში ბოსტნეულის ნარჩენებს მაძლევენ.

ეს ყველაფერი ელვის უსწრაფესად აღმიდგა მეხსიერებაში. ვუცქერდი ადამიანს, რომელიც ჩიტივით ცხოვრობს მიწაზე.

შემამჩნია, როგორც კი მისკენ გავემართე. სიხარულს ვერ მალავს, გაახარა ჩემმა დანახვამ. ადგილზე გაშეშდა, იცდის სახეანთებული, თითქოს რაღაც დიდ ნობათს ელოდეს. მივესალმე, როგორ ხარ-მეთქი, გულწრფელად მოვიკითხე, თან მოვემზადე უკვე მრავალგზის მოსმენილი მისი პრობლემების კვლავ სასმენად, თუ როგორ უკაკუნებენ კარზე, როგორ მოითხოვენ, წადითო. და მთელი რიგი ტირადები იმაზე, არავის გულთან რომ არ მიაქვს მისი გაჭირვება, სირთულეები ესპანეთში გამგზავრების შესახებ.

მაგრამ ელვირას მსგავსი რამ თავში არ მოსვლია. მხოლოდ ხელი აიშვირა ფიჭვის ხისკენ და დანანებით თქვა:

– ხედავთ, რა დღეშია? ხმება.

– ჰო, არ უჩანს კარგი პირი. – შევიცხადე მეც.

– ხშირად მოვდივარ და ვაკვირდები, ვამხნევებ. მაგრამ სულ უფრო და უფრო ყვითლდება. შარშანდელი გვალვების შემდეგ ცუდად წავიდა ფიჭვების საქმე. – ისე თქვა, ლამის გული ამოიგლიჯა. – ზემოთაც ასეა, ძველი ხეივნის გაყოლებაზე. დასანანია, რომ კვდებიან, მე კი არაფრით შემიძლია ვუშველო.

წუხდა და გამიხარდა, ჩვენი წუხილი ერთმანეთს რომ ემთხვეოდა.

– აბა, რითი შეიძლება შველა?! – ვუთხარი დასამშვიდებლად თუ თანაგრძნობისთვის.

– ჰო, სამწუხაროდ... ამიტომ იმასღა ვცდილობ, მოვიდე, ცოტა მოვეფერო. – თქვა ელვირამ.

ჩემს ადგილას სხვას, შესაძლოა, ჭკუადამთხვეულად ჩაეთვალა ეს გასაცოდავებული, ხელ-ფეხშეშუპებული პატარა ქალი, თხელი პალტო რომ დაპატარავებოდა, ღილები აწყვეტაზე ჰქონდა. მაგრამ კარგად ვიცნობდი მას და გულწრფელმა წუხილმა მისადმი უფრო მეტი პატივისცემით განმაწყო.

– ოჯახში როგორა ხართ, ელვირა? – ვკითხე.

გამოცოცხლდა, სიამაყეშერეული სიხარული მოედო სახეზე.

– იცით, შვილიშვილი მყავს. ჩემი რებეკა დედაა უკვე. ჩაყლაპავ, ისეთი გოგო გააჩინა. ლამაზი... ლამაზი. ჭკვიანი თვალებით... თავიდანვე გონიერი იყო. გაგიკვირდებოდა, იფიქრებდი, დაბრძენებული ადამიანი დაპატარავებულაო. თვალებით გელაპარაკებოდა, თან ყველაფერს გაგებინებდა. არ ტიროდა, სრულებით არ გვაწუხებდა, თითქოს

ხვდებოდა, ისედაც არ გვაკლდა პრობლემები. წარმოიდგინეთ, ესმოდა ჩვენი მდგომარეობა.

– ბავშვები წინა ცხოვრებიდან მოდიან, ამიტომ მეხსიერებას აქვს გამოცდილება. – ვთქვი და მაშინვე ვინანე, ზედმეტი მომივიდა-მეთქი. ჯერ ერთი, ასეთი მსჯელობის ადგილი და ვითარება ნამდვილად არ იყო, მით უმეტეს, ასეთთან, როგორიც ჩემი მოსაუბრეა. მაგრამ ელვირამ არათუ გაიოცა ნათქვამი, პირიქით, თავიც დამიქნია, დამიდასტურა:

– ნამდვილად მასეა. ბავშვები ბევრ რამეში ერკვევიან, ოღონდ მერე ავიწყდებათ თანდათან. ყოველი დღე რადაცას შლის მათი მეხსიერებიდან.

– ეს საიდან იცი, ელვირა?

– წიგნები წავიკითხე რეინკარნაციის შესახებ.

რეინკარნაციის შესახებო... აჰა, ესეც შენი ელვირა!

სკვერის მიმდებარე ქუჩიდან მანქანების გუგუნი ტალღებივით მოდის. შეძრულია ეკოლოგია, მოსვენება არა აქვს. უნდა წავიდე ჩემი გზით, ჩემი საფიქრალი განვაგრძო, რადგანაც არ მეშვება ის ადევნებული "ერთხელაც იქნება და..." ამას კი საშუალება მივცე მომაკვდავ ფიჭვთან განმარტოებისა, არ შევუშალო ხელი. მაგრამ მაინც ვეკითხები ესპანეთის – მისი ოცნების შესახებ.

– არაფერი გამოდის ჯერჯერობით. პასპორტებიც ვერ გაგვიკეთებია, არ გვაძლევენ, მუდმივი საცხოვრებელი არა გაქვთო. გაგვირთულდა ყველაფერი, ვისთან არ ვიყავი, მოსმენა არავის სურს.

აბა, რა უნდა ვუთხრა... იმასღა ვახერხებ, რომ დამშვიდობების ფორმას ვძებნი ასეთს:

– შვილიშვილს ჩემს მაგივრად აკოცე.

ამით ვაგრძნობინებ, მაინც ბედნიერი ხარ, ეგ სიხარული რომ გაქვს-მეთქი.

ელვირას კი სახე ეცვლება, თითქოს ცივი წყალი გადასხმოდეს. შეკრთა, შეურვებული მზერა მომაგება.

– ეჰ, რომ შემეძლოს... – ამოთქვა მწუხარედ. – ჩემი პატარას ნახვა რომ შემეძლოს... – დაუმატა. – მოგვტაცა იმ ნადირმა. სადღაც სამეგრელოში გადაგვიმალა.

– ვინ მოგტაცათ, რას ამბობ! – გავიკვირვე.

– გიამ, მამამისმა. გაიზრდება და მაშინ ნახავთო, შემოგვითვალა, ძებნა არ გაბედოთო. რებეკა დარდით აღარაა.

ყველაფერს ვხვდები. მისმა თოჯინასავით რებეკამ, საკუთარი ხელით შეკერილ, პეპელასავით კაბებს რომ იცვამდა ხოლმე, ბავშვი ქორწინების გარეშე გააჩინა. შეკითხვებით აღარ უნდა შევაღონო ეს საბრალო, დროა ვეწიო გზას.

ის იყო საბოლოოდ დავაპირე გამომშვიდობება, რომ ელვირამ იყვირა:

– დიტო! დიტო! – ხელი დაუქნია ზემოთ მიმავალ გრძელთმიან ყმაწვილს, რომელმაც ერთი კი მოხედა, მერე უცბადვე მიბრუნდა და გაუტია.

ელვირა წაეტანა ფიჭვის ძირას მდგარ პოლიეთილენის გაბერილ პარკს, ნაჩქარევად ამიხსნა, გიას ამხანაგია ის ბიჭი, უნდა დავეწიო, იქნებ ბავშვის შესახებ რამე შევიტყოო. ხელი გამომიწოდა, ისე ჩამომართვა, უზომო მადლობა მითხრა უსიტყვოდ და, თავისი მოკლე, ჩქარი ნაბიჯებით, უკან გამოუდგა გრძელთმიან ბიჭს.

ერთხანს მკლავი ჰაერში დამრჩა. ხელისგულზე ისევ ვგრძნობდი ელვირას სუფთა, ხავერდოვანი ენერგეტიკის სითბოს. განა ამ ენერგეტიკათა გადაცემისა და მონაცვლეობის წყალობით არ იქმნება ადამიანური ურთიერთობები? შეხება, მზერა, ფიქრი გზაა ენერგეტიკული წყაროების გადადინების. და უცებ მივხვდი იმას, რაც მტანჯავდა და მაწვალებდა. მივხვდი, როგორი უნდა ყოფილიყო დასასრული ფრაზისა, რომელიც ასე იწყებოდა: "ერთხელაც იქნება და..." მე რეალური ქმედებით დავასრულებდი მას, როდესაც ხელს ჩამოვართმევდი ჩემს ხარბ დამსაქმებელს, მაგრად, მაგრად მოვუჭერდი, როგორც კი შემიძლია, უსიტყვოდ, განმარტებების გარეშე, ისე, რომ დიდხანს ხსომებოდა ჩემი ხელი, რომელიც ბოლომდე ეუბნებოდა ყველაფერს, რასაც იმსახურებდა. და ეს იქნებოდა ამ წუთის, ანუ ელვირას წყალობით, რომელიც ახლა ბოლო ძალებს იკრებდა, კვლავ მისდევდა გრძელთმიან ყმაწვილს.

ვიდექი. ვუყურებდი. ვიდექი მანამ, ვიდრე ჩვენ შორის მანძილი იმდენად გაიზარდა, რომ მგზავრთა წყვეტილ-წყვეტილმა ნაკადებმა ამოავსო. "არა, ის ესპანეთში წამსვლელი არაა, ამ მიწას ეშვილა სამუდამოდ".

ნეტავი დაეწეოდეს!.. ნეტავი...

დღეს ქვიშას, ზღვისპირის გასწვრივ, ეული კვალი მიჰყვებოდა. მე მას ვხედავდი.

ყავა ირლანდიურად

მე ლედა მქვია. სოროს ცხოველებზე მონადირე ფოქსტერიერი ძუ ძაღლი ვარ. ორი საუკუნის მიჯნაზე მომიწია ცხოვრებამ. კომუნისტების დროც ვნახე და ამ ახალგამომცხვარ დემოკრატებსაც შევესწარ. აქაური ძაღლის კვალობაზე მივსდევ წუთისოფელს. ვიცი, ყველაფრის ამტანობა მმართებს, ამიტომაც მუდამ გამძლე და მდგრადი ხასიათის შეძენას ვცდილობდი. სხვაგვარად რა გამოვიდოდა? განა იაპონიაში გავჩნდი, რომ მაფუფუნონ – საგანგებოდ მიცხონ ნაირ-ნაირი ნუგბარი და კიმონოში გამომპრანჭონ. დიახ, ბატონო, ასეა. ჩემთვის ერთხელაც არ დაუხურავთ მარმაშიანი ჩაჩი, არც სურნელოვანი აბაზანისა და აკუპუნქტურით მკურნალობის პატივი მრგებია. დაბადების დღის გადახდა კი ზღაპარს უფრო წააგავს. აბა, თავში ვის მოუვა მიმღეროს ტკ-

ბილზე ტკბილი სიტყვები: ხეფი ბეთცდეი თუ იუ... ხეფი ბეთცდეი თუ იუ... მიუხედავად ამისა, მაწანწალა არავის გეგონოთ. ახლა ქუჩაში იმიტომ ვყურყუტებ ასეთ ცრიატ სადამოს, რომ ვალმარას ვუცდი, ჩემი პატრონი ბესოს დედას, – ცხოვრების დაღმართზე კატასტროფა რომ დაატყდა თავს და რეტიანს დაამსგავსა.

ბოლო ხანს შინ გვიან დაბრუნებას უხშირა, თითქოს სახლის გზას ვეღარ იგნებდეს, ან აღარც მოუწევდეს გული. მომიკრავს ყური, – ცხოვრება დასასრულს როცა უახლოვდება, სული განვლილი გამოცდილებებით მტკიცდება და ნაკლებადღა ემორჩილება შინაგან რყევებსო. თუმც, ეტყობა, სხვანაირადაც ხდება. აგერ, ახლა, კატასტროფა რომ ვახსენე, უბედური საგზაო შემთხვევა კი არ მიგულისხმია, არც მსგავსი უსიამოვნება, არამედ ის, რისთვისაც რუსებს მოხდენილად უწოდებიათ "ბაბიე ლეტო".

დიახ, ხანდაზმულ ქალში ილუზიური ჯეელობა გაიფურჩქნა ალუბლის კვირტივით, ანუ ეწვია მოულოდნელი სიყვარული, რის მისახვედრად მარტო ჩემი ძაღლური ალღო კი არ დამეხმარა, არამედ საკუთარი ყურით ვისმინე, ვალმარა როგორ უშლიდა გულს, თან იმ ჩემთვის უცნობი კაცის ფოტოებს მორიგეობით ათვალიერებინებდა სტუმრად მოსულ წვრილთვალება დაქალს. მგონი, ასე არასდროს არავინ მყვარებიაო, ეს განგების ჯილდოცაა და სასჯელიცო. ის უსიტყვოდ უსმენდა. განცვიფრება ეხატა სახეზე. აცქერდებოდა ფოტოს, თან აქეთ-იქით ნელა აქანავებდა თავს.

არ ვიცი, მართლა ვერ მოეძებნა პასუხი, თუ აზრის გამოთქმაზე განგებ შეიკავა თავი. ვალმარას შეკითხვაზე – გგონია, გავგიჟდი, სრულ ჭკუაზე აღარ ვარო? – ცხვირი აიბზუა, ხელი უდიერად მომაშვირა და თქვა:

– თუ ღმერთი გწამს, ვეღარ ვისუნთქე, გაიყვანე ეს ძაღლი აქედან! - მოკლედ, იოლი გამოსავალი მოძებნა. მეც შესაძლებლობა მომისპო მოსმენის, მაგრამ მოვასწარი, მთავარი გავიგე.

დღემდე მეგონა, მხოლოდ მე ვიცოდი ამის შესახებ. ახლა კი მჯერა, შინაურებმაც იყნოსეს რაღაც. ვალმარას დანახვისას, ეჭვგარეული ღიმილით, უსიტყვოდ ცქერა დაუწყეს ერთიმეორეს. ამ სადამოს შინიდან გასულმა ვალმარამ ჩვენი ოთხსაფეხურიანი, ჭიაშემჯდარი ხის კიბე რომ ჩაიარა, გავიგონე, ბესოს ზედმეტად შავგვრემანმა ცოლმა ცალ ბიბილოზე პირსინგგაყრილ თავის სტუდენტ ვაუს ჰკითხა, ასე გვიანობით ნეტა სად დაბრძანდება ბებიაშენი, არ გიფიქრია, რომ ვიღაცას ხვდებაო? მან კი არც აცია, არც აცხელა, თავისი ფალცეტით ბრძანა, წავიყვან და ბაბუაჩემის საფლავს დავაკლავო. დამიჯერეთ, ასე იყო, განა მომეყურა, მაგრამ რა ვიღონო, არაფერი შემიძლია იმის გარდა, რომ დედა-შვილს მათი სახელებით მოხსენიების პატივი ავყარო. ამიერიდან ერთს საყურიანად, მეორეს შავგვრემნად მოვიხსენიებ. რა ვქნა, გინდაც გამამტყუნეთ, ორივეს ქრისტიანობაზე აქვს პრეტენზია, ყელზე გამოჩინებულად, სამშვენისებივით ჰკიდიათ ოქროს ჯვრები, გულმოწყალებაზე კი მწყრალად გახლავან.

სხვა დროსაც ბევრი რამ მომხდარა ისეთი, რაც ვალმარასადმი მხოლოდ კრიტიკულ დამოკიდებულებას კი არა, მისი, როგორც ოჯახის სრულუფლებიანი წევრის აშკარა უგულებელყოფაზე მიანიშნებს. ყველა-ყველა და, სასადილო მაგიდაზე ეს შავგვრემანი ქალბატონი სამად სამ თეფშს რომ დააწყობს – თავისთვის, ბესოსთვის და ვაჟიშვილისთვის – გულში ვამბობ, ამ სახლში ძაღლის ლუკმის მიღებაც არ ღირს-მეთქი.

ვალმარა ასეთებს ყურადღებას არ აქცევს. შეიკეტება თავის სანახევროდ ბნელ ოთახში, სულ წიგნებით რომ აქვს სავსე და ზამთარ-ზაფხულ ნესტის სუნი ტრიალებს. იქ სძინავს, გარკვეულ საათებში იქვე იღებს მოსწავლეებს, მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში ამეცადინებს. ხშირად მეც მათ მივეკედლები, შევძვრები ოთხკუთხედი, ძველი მაგიდის ქვეშ და ვთვლემ. ნანასავითაა წლების მანძილზე მოსმენილი ერთი და იგივე. იმდენჯერ, იმდენჯერ, ლამის დავიზეპირო. ვალმარა რიგიანი პედაგოგია. მშვენივრად ახერხებს ახალგაზრდების გულის დატყვევებას. ალბათ, ჯერაც ამიტომ არ გაუშვეს პენსიაზე.

მოკლედ, ბესოს ცოლმა ვალმარას აშკარა ომი გამოუცხადა. იმ ქალმა, წამდაუწუმ რომ გარბოდა დედამისთან. ქმართან წვრილმანი წაკინკლავება და თვეობით აღარ ჩანდა. თავზარი დამეცა, მაგრამ გავისუსე, ვცქვიტე ყურები. მერე საყურიანმაც ის საშინელება თქვა პასუხად, თანაც ისე, კომპიუტერის მონიტორისთვის თვალი არ მოუშორებია. ნამდვილად დავრწმუნდი, ცუდად იყო საქმე. გული ბრაზით ამევსო. ვალმარა უმწიფარი გოგო ხომ არაა, გააკონტროლონ-მეთქი. საზიზღარი ინტრიგის სუნი მეცა და ავწრიალდი. საყურიანმა ვაუბატონმა მუქარა გამოგესლა და დადუმდა, სიტყვა აღარ დაუმატებია. ამან კიდევ უფრო შემაწუხა. ადგილი ვეღარ მოვძებნე და ქუჩას მოვაშურე, თითქოს ამით ვალმარას დაბრუნებას დავაჩქარებდი, ან მცირედი თანადგომის გამოხატვას მაინც შევეცდებოდი. თავისუფალი არსება ვარ, სრულიად დამოუკიდებელი, არავისიც არ მეშინია. ყურებზე ხახვსაც ვერავინ დამაჭრის, თუ, რასაკვირველია, ეს რაიმეს ნიშნავს ჩემს მდგომარეობაში მყოფი, თითქმის გადაშენების გზაზე მდგარი, წითელ წიგნში შესატანი იშვიათი ჯიშის ძაღლისთვის.

მთელ ჩემს დღესა და მოსწრებას ადამიანების გვერდით ვატარებ. მათსას უკვე მხოლოდ სიტყვებს კი არა, გულისნადებსაც ვხვდები. რა ვუყოთ, თუ პირუტყვად დავიბადე. უფრო გასაგებად რომ ვთქვა, ვერ ვმეტყველებ. მე ჩემი ენა მაქვს და ამით ვკმაყოფილდები. მეტიც, მათგან განსხვავებით, ურთიერთობისათვის სულაც არ მჭირდება სიტყვები, რაც, ზოგჯერ, აბსოლუტური უპირატესობა მგონია. მაგრამ ისიც ვიცი, არცთუ ბევრი მაქვს სატრაბახო. სხვა რომ არაფერი, ბესოს წყალობით, ყავლგასული გავხდი.

ოხ, თმახუჭუჭა ბესო, ჩემო პატრონო და მეგობარო, შენს გადამკიდეს, რახანია, ერთი სო-

როც აღარ დამილაშქრავს. უკვე დაბეჯითებით შემიძლია დავასკვნა, წვეთი სისხლი არ გიჩქეფს მონადირის. ტყუილად დაიბრალე, ფეხის ხმას აჭევი და ეგაა. რას დამამსგავსე, ბესო, ძაღლადაც აღარ ვვარგივარ! ადამიანად ხომ ვერ გადავიქცევი და ვერა. კარგად იცი, შენიანებს ჩემთან ერთად ერთ ჭერქვეშ ყოფნა როგორ აიძულე. მაგარი ხარ, უბატონოდ ხმას ვერ მცემენ.

თუმც რად ვიმუნათებ თავს, ახლანდელი კანონების მიხედვით, ისეთი შეზღუდვები დაწესდა, ნადირობა აღარც ღირს. მხოლოდ ოცი მწყერის, ათი გარეული მტრედის, ხუთი ჩიბუხასა და ათი გვრიტის მოკვლაა ნებადართული. ჩვენს ტყეებს უცხოელები ეპატრონებიან, ყოველ ნაბიჯზე, შეიძლება ჩინელს გადაეყარო.

უმადურად არ ჩამთვალო. ვაღიარებ, მშვენივრად ვცხოვრობ. შენც მონადირის იმიჯს ინარჩუნებ. მთავარი ეგაა, თორემ ჩემგან რაღა გამოდნება? მკბენარდასეულს გაქუცული და ქეციანიღა მეთქმის. ლაჯებშუა ქავილი მტანჯავს, ლამის კბილით მოვიგლიჯო ხორცი. ბოლო ნადირობებს თუ გავიხსენებ, თითზე ჩამოსათვლელად გვიშოვია გარეული იხვი ან მწყერი, ერთი-ორი კურდღელიც ყოფილა. ის მელა კი, ქათქათა ალბინოსი, შენში მონადირის სიამაყე რომ აღძრა, ჩემი ნადავლი არ ყოფილა, სიყვარულის სანაცვლოდ მერგო. ეს არ იცი და არც უნდა იცოდე. იგი წარსულის ლამაზი საიდუმლოა, ჩემს ცხოვრებას ოაზისი რომ შეუქმნა. ვერაგ მგლებსა და სოროს სხვა მობინადრეებზე დაგეშვის ნაცვლად, დავსეირნობ ახლა ოთახიდან ოთახში, ოდნავ მიცურავს ფეხი აპრიალებულ პარკეტზე. ის ფაქტი, რომ ადამიანთა მიმართ თვინიერებით გამოვირჩევი, ათას სიკეთედ მიბრუნდება. გარანტირებული მაქვს თავშესაფარი. აზრად არავის მოსდის, მომიშოროს.

წამიღო ფიქრმა! ვალმარას მოლოდინში ათასი აზრი მიტრიალებს. სწორად ვიქცევი გზაჯვარედინზე რომ ვდგავარ. საიდანაც გინდა მოვიდეს, არ ამცდება. ჩვენ ერთად ჩავივლით ბნელ, ამიაკის სუნით აქოთებულ კიბეს, დავადგებით რიყის ქვით მოკირწყლულ "საქანელას დაღმართს", უფრო ჩიხს რომ მოგაგონებს, უკაცრიელს, შემზარავს, რომლის კიდეშიც გაველურებული, ვეება უნაყოფო ლეღვის ხე აყუდია, მერე კედლები, პირველი სართულის საცხოვრებელთა ნესტით გამოჭმული ყრუ კედლები... უფრო და უფრო უკაცრიელი ხდება აქაურობა. საერთო ეზოც დადუმდა, აღარ გვაწუხებს ხმაური. მაინც რა ზრიალი იდგა! ყოველწამიერი გადაძახილები. ზედა სართულის შუშაბანდის ფანჯარას მომდგარი, სარკეში მაცქერალი ჭაბუკი, შიზოფრენიას რომ შეეპყრო, მთელი დღე საკუთარ თავს უდიმოდა. შიგადაშიგ ჩხუბები, ღრეობა, წყევლა-კრულვა...

გაილალნენ მეზობლები, სადღაც-სადღაც გადასახლდნენ. რიგის მოლოდინში აღარ ზრიალებენ საერთო ონკანთან. უცხოელმა ინვესტორმა ყველა ბინა უნდა შეისყიდოს, ვეება სასტუმრო ააშენოსო. თურმე პრესტიჟულ უბანში გვიცხოვრია. ასეთები მთელ ქალაქში უმეტესად სასტუმროებით, ბანკებითა და სამორინეებით ივსება. თუმც, ფეხზე მკიდია. რაშიც ვერ ვერკვევი, ვერ ვერკვევი. ჯობს, ამაზე ჩემმა პატრონებმა იფიქრონ.

ვალმარა, მგონი, არ იჭყლეტს ტვინს ყოფით თავსამტვრევებზე. არც მოეთხოვება, რადგან სამოცდაათს გადაცილებული ქალი საკუთარი პრობლემებითაა დაკავებული.

ჩემთვის ხომ არ სცალია და არა. არ მანებივრებს, არც არასდროს ყოფილა ჩემით აღფრთოვანებული. განა ვსაყვედურობ, საყვედური რა უფლებით მეთქმის? მის გამკილავ სიტყვებში, – ლედა, როგორ ყარხარო, – თანაგრძნობანარევი შენდობაც ისმის.

ვალმარას გულდაუბერებელი შევარქვი. რომ გაიგოს, წარმომიდგენია, რა ირონიით ჩაიღიმებს სქელ ტუჩებში, ოდნავ გვერდულად. ასაკმა შეცვალა. დაუთხელდა მუქწაბლისფრად შეღებილი, აბზინებული თმა. თავის კანი შიგადაშიგ ამოუშიშვლდა. მიხრა-მოხრა, ენთუზიაზმი და ხალისი კი ძველებური შერჩა. მეუღლე კარგა ხანია გამოიგლოვა, მართალი რომ ვთქვა, ღირსეულად. ისევ შეიძინა სიცოცხლის ძლიერი მუხტი. თურმე, ყველაფერი შესაძლებელი ყოფილა. ეგაა მხოლოდ, მუცელი ჩამოეკიდა ულაზათოდ, რითაც, ვიცი, უკმაყოფილოა. კედლის მოგრძო სარკის წინ ტრიალისას, ხელისგულს ხშირად ნერვულად იტყაპუნებს ჭიპისთავზე. მე კი იქვე, ზოლიან ფარდაგზე მოკალათებული, გაფაციცებით ვიჭერ მის ფიქრებს. რას იზამ, დროს ვერ დააბრუნებ. ვერც ნელსაცხებლით წაშლი თვალთა ჭრილის გასწვრივ ჩაწოლილ ცხოვრების ნაკვალევს.

თხელია ნისლი, დამის ნათურებიდან გაცრეცილი შუქის იდუმალად ნაზი სფუმატო იღვრება. მანქანები ყველა მხრიდან მოსრიალებენ. არ წყდება გუგუნისა თუ უცნაური შიშინის ხმა. მივსუნსულებ და მოვსუნსულებ ფეხით სავალზე. აქეთ-იქით ვაცეცებ თვალებს. ხან ვის შევეჩეხები, ხან ვის, ვაფრთხობ საცოდავებს. იმ მონაკვეთს ვტკეპნი, სადაც გასულ შობას მეალილოეთა მსვლელობას შევესწარი – შთამბეჭდავ სანახაობას. ჭრელჭრულად ჩაცმული ბავშვები მოკოპწიავებულ, გორგოლაჭებზე შესკუპებულ ძარას მიაგორებდნენ და მღეროდნენ, – ჩვენ მათხოვრები არ ვართ, ქრისტეს მახარობლები ვართო.

ვალმარა, მოდი! მოდი, ვალმარა!

გზაჯვარედინს მიღმა მყუდრო სკვერია, შიგ – მოცეკვავე შადრევანი. მინახავს, კაშკაშა დღეს მის ალმასივით მბზინავ ჭავლთა ცრიალში მზე როგორ აბამს პაწია ცისარტყელებს. ეს მოგონება დილით მოსმენილ მელოდიასთან მაბრუნებს. ვალმარა განუწყვეტლივ უკრავდა ერთადერთ აუდიოფირს. კაცი და გიტარა ერთნაირ ცრემლნარევ ხმას გამოსცემდა. "ასი წლის შემდეგ... ასი წლის შემდეგ..." ლამაზია სევდა, ლამაზად კვნესის ყოფნა-არყოფნაზე. უცნაურად იქცევა ვალმარა, აჩრდილივით უხმოდ მოძრაობს, სმენას ძაბავს დროდადრო, აშტერებს აწყლიანებულ თვალებს. შინაგანი განცდა სახეზე გამოფენია და ძნელად გაარკვევ, მუსიკა მის სულს შვებას ჰგვრის თუ

ტკივილს. ძლიერ შეყვარებულია ჩემი ქალბატონი. მე მითქვამს. ვინც არ დაიჯერებს, მისი საქმეა. ძაღლი კი ვარ, მაგრამ რაღაცებს ვხვდები.

თვალებში შევციცინებ, ვცდილობ, მის ფიქრებს თანავუგრძნო. ის კი არაფრად მაგდებს. ისე უჭირავს თავი, გეგონება, შამანობსო. ამივლის და ჩამივლის უკანა მხარეს დაქანებული, გამჭვირვალე კაბის რხევით.

ტელევიზორიც არ ჩაურთავს. ვერც ერთი საინფორმაციო გამოშვების მოსმენა ვერ შევძელი. არადა, რამდენი რამ მოხდებოდა... რუსები არ გვასვენებენ, თავხედურად გვირღვევენ საჰაერო სივრცეს. ახალგაზრდა პრეზიდენტი, წითელ პერანგში გამოწყობილი, ორიგინალურად ემუქრება გარეშე მტერს: ჩვენი სახელმწიფო პოლიტიკა დისკოთეკების პოლიტიკაა. თუ დაგვბომბავენ, ჩვენ ამ დაბომბვას დისკოთეკების გახსნით ვუპასუხებთო. ყველაფერს ვფიცავ, არ ვიგონებ, ნამდვილად ასე ბრძანა. პოლიცია კი დარბევებს აგრძელებს... ისე, მართლა ვერ გამიგია, პოლიციელებს ძაღლებს რად ეძახიან? გული მტკივა მათთან რომ გვაიგივებენ. დავიჯერო, ავიწყდებათ ადამიანის მეგობრები რომ ვართ? ხშირად გვექცევიან უსამართლოდ. მაინც რას ფიქრობენ, როდესაც არა მხოლოდ ჩვენი ჯილაგის ლაფდასხმის მიზნით, უფრორე ერთმანეთის სამტროდ, უმოწყალოდ ისვრიან ღვარძლით სავსე სიტყვებს, – ჩაძაღლდაო, მამაძაღლიო, ძაღლივით ყეფსო, აძაღლებულიო, ძაღლის გაგდებულიო, ძაღლი მიაკვდაო, ძაღლის ყბა გამოიბაო და კიდევ ბევრი სხვა გამოთქმა მოიგონეს. ჩვენს გამოყენებას ცდილობენ ერთმანეთის დასამცირებლად. რას იზამ, მაინც მათზე ვართ მიჯაჭვულნი. ვესაუბრებით ნიშნებით. ასე მაგალითად, თუ ძაღლი ფეხებზე ქანაობს, პატრონი გზაზე წავა. ძაღლი ბალახს ჭამს, წვიმას უნდა ელოდო. ჩვენი ყმუილი რისი მაუწყებელიცაა, ყველას მოეხსენება. ვისაც კრუნჩხვის დამართვა არ სურს, ძაღლს წიხლი არ უნდა მოუქნიოს. ხედავთ, არ ვყოფილვართ ხელწამოსაკრავნი. თუმც, ახლახან, ვინმე შვედმა ლარს ვილქსმა მთლად გაგვათახსირა. ძაღლს წინასწარმეტყველი მუჰამედის თავი მიახატა და ჩვენი მოდგმა სამარცხვინო კონფლიქტის საბაბად აქცია.

ოხ, რამდენ რამეზე მწყდება გული!.. ყველაზე მეტად კი იმაზე, ჩემი საცოდავი შვილები აქეთიქით რომ მომიფანტეს, ვიღაცებს აჩუქეს, დამიკარგეს სამუდამოდ.

მათი მამა – კუპრივით შავი ხვადი, ვერ ვიტყვი, როგორი მონადირე იყო, მაგრამ სანაშენედ ნამდვილად ვარგოდა. ქალაქგარეთ ცხოვრობდა, ატმის ბაღებით გარშემორტყმულ პატარა სახლში, რომლის უკანა ეზოში მივყავდი ხოლმე ბესოს და ერთხანს იქ მტოვებდა. მშვენივრად ვერთობოდით მე და ის შავტუხა. თუმც მასთან ბუღრაობის ყველა ეპიზოდი ახლოსაც ვერ მოვიდოდა ლომასთან განცდილ იმ ერთ ნეტარებასთან, რამაც ბედნიერი შეხვედრის ფასი მასწავლა, საკუთარი არჩევანის ფასი. ჰოდა, ეგებ, ამიტომაც თანავუგრძნობ ვალმარას. არჩევანი ხომ, თუნდაც წარუმატებელი, ძვირფასია და პატივსაცემი.

წლები ძნელად აბერებს გრძნობას. წარსულს სიამოვნებით ვიხსენებ, როცა პირველმინდვრა ვიყავი, გამოუცდელი თოფქვეშა, მოღმუვლაც არ შემეძლო ხეირიანად. სწორედ მაშინ გავიცანი ლომა – ზეალღიანი ორფერა ხვადი – ტანზე პეწიანად რომ ადგა ოდნავ ნამშემჯდარი ბეწვი. ალმასისებრ აკვესებდა ვნებიან თვალებს. შეხედავდი თუ არა, საბრძოლველად შემართულს, მიხვდებოდი, მისთვის არსებობის მთავარი აზრი ნადირზე გამარჯვება იყო. საველე დიპლომის მქონეს, მდუმარესა და ნაშემოდგომარს, თავისუფლად შეეძლო ეამაყა თვალმახვილობით. ყველა ღირსების შეძენა მოესწრო, რაც ნამდვილ პროფესიონალს სჭირდებოდა.

ერთად მუშაობა გვიხდებოდა ხოლმე. გამოვტყდები, აჩრდილიც არ ვიყავი მისი. მოხედვას ვერ ვასწრებდი, რომ ჯაჭვი აღმოჩენილი ჰქონდა. მისი პატრონი – ძუნწსიტყვა სოზარი – ბობრი ჯეელი გახლდათ. ბესოსთან ერთად უსწავლია სკოლაში თუ სადღაც კოლეჯში. ადრიანად შეუპყრია ნადირობის ჟინს და კარგი მონადირე დამდგარა. მას ვუმადლი, ბედმა ლომას რომ შემახვედრა. ო, მაშინ გამდიდრდა ჩემი ამქვეყნიური ყოფა. ნადირობიდან ნადირობამდე სულ მასზე ვფიქრობდი, ერთი სული მქონდა, მენახა.

ჩვენ აყრილი სოფლის გადაღმა ვტოვებდით წყლისფერ, დანჯღრეულ "ნივას", რომლის კარს ბესო საგულდაგულოდ კეტავდა. მერე ფეხაჩქარებით გადავივლიდით ქვიშის გაუქმებულ კარიერს და ისინიც იქვე იდგნენ, დათქმულ ალაგას. ადრე მოდიოდნენ და გვიცდიდნენ.

მიახლოებისთანავე შევაშტერდებოდი ლომას სხივმოკიაფე თვალებს, რომელთაც იგი უმალვე მიაბრუნებდა. ვიცი, არ მოვწონდი, არაფრად მაგდებდა. მე კი საშინლად მსურდა მისი გულის მონადირება. ვცდილობდი, საქმეში ფხა გამომეჩინა, ნადირზე დაგეშვაში დავხმარებოდი, მაგრამ ბევრი არაფერი გამომდიოდა. ის საქმეს უჩემოდაც კარგად ართმევდა თავს.

ერთხელ, ნანადირევით რომ ბრუნდებოდა დაღლილი და ამაყი, მე კი ველოდი ანწლის ბუჩქთან, ხასხასა ველობზე, საიდანაც კავკასიონის მთათა გრეხილი მოჩანდა (მშვიდი და ფიქრების აღმძვრელი), საოცარი რამ ჩაიდინა. აქვე უნდა ვთქვა მთავარი. სწორედ იმ დილით უპასუხა მან ჩემს სიყვარულს. ეს მოხდა ჩიტების ჭიკჭიკით სავსე ვერხვის ტევრში, სადაც ვერ გვწვდებოდა პატრონთა თვალი.

მიწის სურნელი ეპკურებოდა ჩვენს ცხელ სუნთქვას. ტევრი მტლად დაედო საკუთარ სილამაზეს, რომელსაც მარად შეინახავდა მღელვარე გულის ხსოვნა. ტყის რინდმა კი მეფური გასროლა იზეიმა.

ჰოდა, ვიდექი-მეთქი ანწლის ბუჩქთან ტყისპირა ველობზე. დავინახე ნადავლით მომავალი ლომა, ჩემკენ მოიწევდა აჩქარებული. ახალგაზრდა მელა მოეგუდა, ქათქათა ალბინოსი. არ ვიცი – სოროში, არ ვიცი – გარეთ. და უხმოდ მოათრევდა. მოიტანა, ფეხებთან დამიდო, მერე გვერდზე გადგა, გაბმული ყეფა ატეხა. იყეფა, ვიდრე ჩვენი პატრონები არ მოცვივდნენ. ჯერ სოზარმა მოირბინა

თავისი ძაღლის ხმაზე. ბესომ ოდნავ დაახანა.

ორივე გაშტერდა ნანახით. ყეფით ლომა ყეფდა, ნადავლი კი მე მედო ცხვირწინ. სიტუაციაში გასარკვევად, ანუ მენადავლის დასადგენად, პირველმა სოზარმა გასცა აპორტის ბრძანება. წესისამებრ, გამარჯვებულს თავისი პატრონისთვის უნდა მიეწოდებინა მსხვერპლი.

ურუანტელმა დამიარა, რადგან ვიგუმანე, რაც უნდა მომხდარიყო. ლომა არ განძრეულა. თავი ჩაეხარა, შეგნებულად აწბილებდა პატრონს. დავიბენი, უხერხულობა ვიგრძენი. როცა შემდეგი აპორტი ბესოს ხმამ გასცა, ლომამ თავი ასწია და თვალებით მითხრა: "მიდი! მიდი!"

ალბინოსს დაუფიქრებლად ჩავავლე პირი და ბესოსკენ გავქანდი გაორებული განცდით, – სიხარულსა და გაოგნებას ერთდროულად რომ გულისხმობდა. სინდისი მქენჯნიდა, თუმც გულში სიამოვნებაც შემომეპარა. ლომამ უშურველად მაჩუქა თავისი გაწეული შრომა, რომლის შედეგი არ მიიღწევა იოლი ბრძოლით. მაჩუქა, ჩემი, როგორც მდედრის, იდუმალი და გამოუთქმელი გრძნობის გამო, იმ ნაზი სულგრძელობით, მუდამ რომ ამკობს მამრს და იოლად შეაძლებინებს, გასცეს მეწყვილისათვის. მე კი მივიღე. სხვა არაფერი, მხოლოდ მიღება შემეძლო, და კიდეც გავაკეთე დაუფიქრებლად, თუნდაც ეს მადლიერება არათუ სიყვარულისა, სიბრალულის ტოლფასად მჩვენებოდა, იძულებით ხარკად.

როგორც გინდა, თქვი, მაგრამ ჩემმა ძაღლურმა ბუნებამ მადლმოსილ წყალობად მიითვალა ყოველივე. დაუყოვნებლივ გავითამაშე წარმატების იმიტაცია. ღია ლილისფერი მთების შორეული სიწარმტაცის თანდასწრებით, მართლაც მშვენიერი აღმოჩნდა ილუზიური გამარჯვების განცდა, რამაც, მერე და მერე, აღარ მომასვენა, თითქმის ტანჯვად მექცა. მაგრამ იმასაც მივხვდი, სიყვარულს ყოველთვის აქვს რაღაც პასუხი, და ეს პასუხი გადასწონის თუნდაც ყველაზე მძიმე ტანჯვას, დროთა განმავლობაში განუმეორებელ დღეთა სისავსის აღქმად რომ მოგევლინება.

ვაგლახ, რომ მალე გაიყარა ჩვენი გზები. ქვეყანა აირია. ბესომ სამსახური დაკარგა, ლუკმაპურის საშოვნელად რაღაც სხვა სამუშაოზე მოეწყო. ისეა დაკავებული, ნადირობისთვის კი არა, თავის მოსაფხანადაც აღარ სცალია. ჰოდა, მეც ვიქეცი ერთ უბადრუკ, ფუნქციადაკარგულ ცხოველად. ჩემნაირების დრო წავიდა. ახლა მხოლოდ მდიდართა ძაღლები ძაღლობენ.

რაც არის, არის. რახან ვარსებობ, კიდეც უნდა ვიმოქმედო. ვალმარას მხარდაჭერა ჩემს მოვალეობად მიმაჩნია. ამ ნისლში ტყუილად კი არ ველაპავ ამდენი უმაყუჩო მანქანის ბინძურ გამონაბოლქვს. ვალდებულად ვთვლი თავს, არ მოვიცვალო ფეხი, ველოდო მოთმინებით... ის კი, აგერ, შეუმჩნევლად დაბრუნებულა. დგას და მიყურებს. მერე თანმხლებ კაფანდარა კაცს მხიარულად ეუბნება:

– ერთი ამას დამიხედე! ჩემს შესახვედრად გამოსულა.

კაცი ჩუმადაა. ვერ გაიგებ, რას ფიქრობს. მოკლედ, საჭიროდ არ თვლის ჩემი მისამართით სიტყვების წარმოთქმას. ვიცი, ერთმანეთს უნდა დაემშვიდობონ, ეგებ, კოცნით. დავწინაურდი, ხელი რომ არ შევუშალო, უადგილო ეკლად არ ვიქცე.

ფეხათრევით მივძუნძულებ. უკან მესმის ვალმარას ენერგიული ფეხის ხმა. ვგრძნობ, ქალი ხალისითაა სავსე. მიხარია, უზომოდ მიხარია. ასე დაწინაურებულმა ვიარე ბოლომდე. შინაც პირველი მივედი. კარი რომ შემოაღო, ჩემს ფარდაგზე დასკუპებული დავხვდი.

ისინი ყავასა და ოჯახურ ნამცხვარს მისხდომიან. შავგვრემან დიასახლისს ირლანდიურად მომზადებული ყავით მოაქვს თავი. ბესოც მათთანაა, სანაპიროს მხრიდან ამოდის ხოლმე მანქანით. სხედან მდუმარედ, თითქოს გაბუტულები ყოფილიყვნენ, ან ეს-ესაა რაღაც თავზარდამცემი ამბავი გაეგოთ. ყავა ირლანდიურად... მართლა კარგად ჟღერს, მაგრამ დიდი არაფერი გეგონოთ. შავი ყავა, ორი-სამი კვნიტი შაქარი, ცოტაოდენი არაყი და არაჟანი, სულ ეგაა.

ვალმარამ, სასადილოს ღია კართან ჩავლისას, მათ თაიგულივით შეუგდო, საღამო მშვიდობისაო. დავინახე, პასუხად მხოლოდ ბესომ დაუქნია თავი, ხოლო დედა-შვილმა მზერა შეთქმულებივით გაუყარეს ერთმანეთს. მალევე კი, როცა ვალმარამ თავისი ოთახის ჭრიალა კარი მიხურა, ჩვენი შავგვრემანის ხმამ დაარღვია უხერხული სიჩუმე:

– ნეტა, ფეხები თუ მაინც გაიწმინდა წესიერად!.. – ნაძალადევი სიმშვიდით თქვა, თან ყავის ფინჯანი ტუჩთან შეიჩერა.

ტვინი ამემღვრა ბრაზით. რაღაც შეუცნობმა ძალამ მიბიძგა. ადგილს მოვწყდი, ვისკუპე მაგიდაზე და რაც ზედ ელაგა, ყველაფერი ძირს გადმოვუშვი.

სამივენი ფეხზე წამოცვივდნენ. შავგვრემანმა კივილი მორთო: "გაცოფდა! ძაღლი გაცოფდა!" - ხმის ჩახლეჩამდე ყვიროდა.

ბესომ მიცქირა, მერე უხმოდ გავიდა. მაშინვე ვიგუმანე, გაუთვალისწინებელი რამ ჩაიფიქრა. გავირინდე, დავნებდი ბედს. რაც მოსახდენია, უნდა მოხდეს. სტატუეტივით ვდგავარ მაგიდაზე, ნამდვილად ვიცი, კარგი არაფერი მელის, თან, რაც მთავარია, წინააღმდეგობის სურვილი არ მაქვს.

მოლოდინი გამიმართლდა. ჩემი პატრონი რაღაც წამებში დაბრუნდა უკან. ხელში უჭირავს თავისი სანადირო თოფი, მუდამ გამართული რომ აყუდია ხოლმე კედლის კუთხეში – ტანსაცმლის კარადას მოფარებული. თვალებში ვუყურებ, ვრწმუნდები, არ ხუმრობს. ისე ახლოს მოდის, თოფის ლულა ზედ შუბლზე მეხება. გაფიქრებას ვასწრებ: – მიბრჯნით სროლა მონადირის საკადრისი საქმე როდია, კილერის ხელწერას ჰგავს, ხუჭუჭა ბესო-მეთქი, – თან თვალებს დაბლა ვუშვებ, რადგან, მას შემდეგ, რაც საჩვენებელი თითი დიდი ხნის მძინარე ჩახმახს აამოქმედებს, ჩემი გაოცებული მზერა სიზმარ-ცხადში არ ჩაუსახლდეს ხელმოცარულ მონადირეს და სინდისი არ შეუშფოთოს.



ᲘᲠᲒᲚᲘ ᲚᲔᲑᲐᲜᲘᲫᲔ

ვიცნობთ ფიროსმანს?

სწორედ ისეთი ცა არის დღესაც,
ფიროსმანმა რომ გადმოგვიხატა...

ვუძღვნი ჩემს შვილს –
შორენა ლებანიძეს,
ფიროსმანზე მშვენიერი
წიგნის ავტორს.

Უ კ ვ დ ა ვ ე ბ ა შ ი გ ა დ ა ხ ვ ე წ ი ლ ი

საუკუნეა, თვალს მიეფარა,
წყენით, იმედით, თმენით, კირთებით,
არადა, ახლა უფრო გვჭირდება,
ალბათ იმასაც ისევ ვჭირდებით...

ბნელი დუქნების ლანდი ეული,
ედავებოდა დარდის ქარსალას
და ქრისტესავით უარყოფილი,
ფერებში ხვევდა შხამს და სამსალას...

ღვარა ვაების ცრემლი უშქარი
და სიკვდილები გაითავისა,
სამადლო არყით ეშხზე მოსულმა
ყველა ჯურღმული აიმაისა!

დიდება, უფლის ზეგარდმო ძალო,
ქართლის ცამ ჯანღი გადაიკარა –
შენი ნებით და ლოცვა-კურთხევით
ისევ გაბრწყინდა ნიჭით ნიკალა!

ხან ნუკრის თვალით მოგველანდება,
ხან – მოფართქალე თეთრი მტრედებით,
ქართლის მზესავით მწველს და თაკარას,
მაინც ჯიუტად ვეიმედებით...

ბორგავს და ზეობს სამყარო ვრცელი,
ღვთიურ ფერებით გადამეწყრილი,
ციდან გვიღიმის ჩვენი ნიკალა,
უკვდავებაში გადახვეწილი!..

„ნიკოს დანახვაზე გული მზიანდება!“

აღდგომის ზეიმია – ზეობს გაზაფხული,
ქუჩებს მოსდებია ფერი არნახული!

ირგვლივ ჰაერია, –
თითქოს სანთელია,
ქრისტეს აღდგომაა,
ქრისტეს ნათელია!

იქით ორთაჭალა, აქეთ – ისანია,
ყველგან აშუღი და ქვეყნის მისანია!

ზუზუნებს ზურნა და ზავთობს საზანდარი,
ლხინის ბეჭედი და ლხენის აზამბარი!

რა დროს დარდია და
რა დროს ნაღველია,
ყელი – საღვინეა,
დილა – სამღერია!

ნიკალაც გამოჩნდა – მაღალი, აღნაგი,
დინჯად ჩაიარა მეტეხის დაღმართი.

სამოსი – ქალაქური,
ჩექმები – გალაქული,
საფულე – ფულიანი,
საგულე – გულიანი!

– ნიკო მოდის, ჩვენი პირის ზიარება,
მაგის დანახვაზე გული მზიანდება!

არის დაძახილი, წვევა, პატიჟება,
ნიკო იღიმის და ღირსებით ირჯება!

ცა ლურჯია, კრიალა,
გულში – სანთელია,
ქრისტეს აღდგომაა,
ქრისტეს ნათელია!..

აქტრისა ჩამობრძანდა!

თბილისს ჩამოვიდა უცხო შანსონეტი,
ცოტა აგდებული, ცოტაც – არეული,
ნახა ნიკალამ და დაესხა თავს რეტი,
დადის დღე და ღამე, როგორც მთვარეული.
ჭორმა გადაჭამა ჭრელი ქალაქი:
„მალიარ ნიკალას აქტრისა ნაყვარება“,
აქტრისა ნორჩია და ერთობ სალუქი,
მაგრამ სულაც არა – უკარება!
ჯანდაბას დუქანი – „დიმიტრას იმპერია“,
ნიკალას სხვა ცეცხლით ჭკუა ეკეტება,
აქტრისა მარგარიტა პირზე აკერია,
თვალს მოჰკრავს თუ არა, მუხლი ეკვეთება...
აღარ დააცადა გრძნობას დაღვინება,–
ეშმაკსაც წაუღია ფული და ქონება,
მთელ ქვეყნად უღირს აქტრისას გაღიმება,
ცეცხლოვან ბაგეზე დაკონება...

... თბილისს ჩამოვიდა უცხო შანსონეტი,
ნახა ნიკალამ და დაესხა თავს რეტი...

მილიონი ვარდის ზღაპარი

დიღმელმა დიღმელს ახარა,
„კოჭი ალჩუზე დაგვიჯდა,–
ერთი ხუშტურის წყალობით
ყელამდე ფულის გაგვიჩნდა:

ტრფობამ არია ნიკალა,
აქტრისას ეშხით ივსება,
სურს მისი ქუჩაბანდების
ვარდებით ამაისება!

ჩვენი ურმები საჩქაროდ,
ავავსოთ კოკობ ვარდითა,
მივართვათ მამლის ყიულზე,
ხასხასა ფოთოლ-ბარდითა!“

შემოვლეს მთელი სოფელი,
ქარსაც ამოსდეს ლაგამი,
შეაბეს ლაბა ხარები,
ქედგავსებული, ბაბამი.[1]

გზას დააყარეს ბარაქა,
მზეს არ აცალეს ამოსვლა,
როს ზეცამ გულისპირიდან,
მთვარე მტრედივით გამოსვა.

1. ბაბამი – ღონიერი, ძლიერი.

ფიროსმანის მონოლოგი

რას აღარ წერენ... და მომაწერენ,
მონაგონსა თუ ცრუსა და მართალს,
სულ ჩემი ადლით ვზომავდი, ვჭრიდი,
ღვთისგან ბოძებულ ნიჭსა და ფართალს.

ბნელი დუქნების მდგმური ვიყავი,
მაგრამ ვეტრფოდი მზიან აისებს,
ახლაც შევხარი თბილისის ზეცას,
როცა მაისის ფერებს დაისევს.

მიტომ მივდევდი იმედს ვნებიანს,
და ავამღერე ეს ყველა ფერი,
ჩემო ტანჯულო დედულ-მამულო,
შენთვის მინდოდა მე ყველაფერი...

წყენა? ტკივილი? რამდენიც გინდა,
მეც ჩემი ქვეყნის ვიყავ სხეული...
მახსოვს დღეები და ღამეები,
თეთრი ლანდებით გადამსხვრეული.

სიყვარულისაც მწვავდა სახმილი,
ბანგმორეული მახსოვს სიამე,
აკი ამბობენ, მთელი ქონება,
ამურის გამო გავანიავე...

ყველა ტკივილი წარსულს ჩაბარდა,
გულს მისვენია მშობლის ხატება,
შემაჟრიალებს, თუ მის დიდებას,
ჩემი სახელიც მიემატება.

ელდამ დაზაფრა აქტრისა

თბილისს ჯერ ისევ ეძინა,
დრო იდგა ჩუმი ნატვრისა,
ქანცმილეული შფოთავდა,
ღამენათევი აქტრისა.

ეს „აზიატი“ მხატვარი,
დაჰყვება, როგორც ევთია,
ამბობენ, ფუნჯის მისანი,
ფერთა ნამდვილი ღმერთია!

ქალი დაღალა ამდენმა,
გრძნობათა მიმორხევამა,
უნდა ნებაზე იცხოვროს,
ისე, ვით სცენის მხევალმა...

კარზე კაკუნი გაისმა,
არ დააყენეს საშველი,
ადგა, პერანგის ამარას,
უჩანდა ყველა სამშვენი.

კართან მსახური იცდიდა,
ძილიც რომ აღარ აცალა!
ვნებით ავსილმა ჭაბუკმა
მთვრალივით შეიბანცალა...

„გადაიხედეთ ქუჩაში,
ანთია ცეცხლის ღადარი,–
ვარდების ნოხი მოგართვეს,
თქვენი მშვენების სადარი!“

„ღმერთო, ეს თუა სიზმარი,
მაშინ, რაღაა ზღაპარი?“ –
ალმოკიდებულ ვარდებში
მორჩილად იდგა მხატვარი...

აქტრისას გაუჩინარება

„უცნაურია ნიკოლი,
თითქოს უბიწო ბავშვია:
ვერ მიუხვდები, რა უნდა,
რა სურვილები აშლია!
ეს სიყვარული კი არა,
სიცოცხლის დიდი ღველფია,
ნიკოლი... თვითონ სიცოცხლე,
და ტრფიალების ღმერთია!
მე კი... ვინა ვარ, ვითომდა
აქტრისა თავაწყვეტილი...

ვიდრე ჭკუიდან შევშლილვარ,
აქ უნდა დავსვა წერტილი...
არას მარგია ამდენი
უაზრო ალაყ-მალაყი,
უნდა ავდგე და საჩქაროდ,
დავტოვო თბილის-ქალაქი!..“
მოხიკა ხაბაკხუბაკი,
პარიზში გაიჩქარაო,
და თავდაკარგულ ნიკალას,
პირს გამოავლო ჩალაო...

ერთხელაც გაბედე, საბედო!..

ჩემმა სიჭაბუკემ „პესკზე“ გაიარა,
მერე მტვერი ვყლაპე სიონის უბნისა,
სულში უცნაურმა ჟრჟოლამ დამიარა,
როცა მოვიხილე ტაძარი უფლისა...
ეს – ჩაძინებული ძველი უბანია,
და სულ სხვანაირი დარდი და სენია:
სადაც ჩაკარგული ბნელი დუქანია,
ყველგან ფიროსმანის გული ასვენია...

ალუდიშვილებთან ცხოვრობდა ნიკალა,
ჰქონდათ სავაჭრო და ერთი ანგარიში,
მერე... ფიროსმანმა რაღაც ვერ იკმარა,
და მიუსაფარი ჩაწვა სამარეში...
ავალიშვილების ასულო საბედო,
დიმიტრას ცხოვრების რჩეულო და ბედო,
უნდა შეგეღმერთო, ერთხელაც გაბედო,
ნიკალა მოძებნო, ჩვენკენ მოახედო!

ნუ დაეძებთ!

გზად ჭაბუკი შემეფეთა,
მოსხლეტილი „მოყმე, ვინმე“,
შევაჩერე, ფიროსმანზე,
ორი სიტყვა ვათქმევინე.
რაიც მითხრა, დაგმანული
გულს სარქველი ამიხადა:
„ეს ცა ისევ ისეთია,
ნიკალამ რომ დაგვიხატა...
უბედობა დაებედა,
მისი ბედი რა ბედია,
სხვებისთვის რაც ტალ-კვესია,
მისთვის მხოლოდ აბედია.
ტკივილს სისხლით შეეფიცა
არც ტანჯვისთვის იყო ხამი,
სადაც შარბათს მოელოდა,
დაახვედრეს დარიშხანი...
საფლავს ეძებთ? აღარ უნდა,
არც ვარდი და არც სოსანი,
ხალხმა გულში ჩაისვენა,–
იქ მარხია ფიროსმანი!“

დუღდა ფიროსმანით ნატიფი პარიზი...

ამ სალონებისთვის შეუდარებია,
გაბრწყინებები და დროთა მიმოსვლანი,
დღეს ლუვრის დარბაზებს შეუფარებია
ცოტა უცნაური გვარი – „ფიროსმანი“.

ეს არც ვან გოგი და არც პოლ გოგენია,
და არც მოდილიანს მოჰგავს რაიმეთი,
მისი ჯადოსნობა ფერებს მოსდებია,
ულამაზესია, როგორც განიმედი.

... იდგა ქალბატონი ფერად ზმანებებთან,
ძველი მოგონებით გულზე დაღდასმული,
ფიქრის დარდუბალა თავს არ ანებებდა,
როგორც დიდება ან მწარე აღსასრული.

... კოჯრიდან დაჰბერა ნიავმა დილისამ,
ცოტა ბუზღუნამ და ცოტა შარიანმა,
თვალწინ გაიელვა ბებერმა თბილისმა
რიყე-სეიდაბად-ორთაჭალიანა...

დუღდა ფიროსმანით ნატიფი პარიზი:
„რატომ ვერ გავუგეთ ნიკოლს სულელებმა!“
დასთმო მარგარიტამ ბოლოს ასპარეზი,
იდგა საოცარი ვარდის სურნელება...

უკვდავება

მზის და მთვარის ათინათი
ქართლის ზეცას მიჰკვალავს
და თბილისის სანახებში
ეძებს მხატვარ ნიკალას...
დღე და ღამე ამერია,
ჯიგარს ჭვარტლი მიკალავს:
ეზო-ეზო, უბან-უბან,
მეც დავეძებ ნიკალას...
ხან აქ, ხან იქ არეული
ლანდი მზერას მიფარავს,
მინდა, ერთი ჭიქა „მწარე“
შევაწიო ნიკალას...
თვალმახარა შანსონეტი
ვარდის ზღაპარს იპარავს,–
მერე ლუვრის სალონებში
ფეხქვეშ უფენს ნიკალას...
ფიროსმანის ლურჯო ცაო
მიმაახლე იმ კარავს,
სადაც ფუნჯის ერთი მოსმა
მაპოვნინებს ნიკალას...
გული ყელში მებჯინება,
მწუხრი ნაბიჯს მირკალავს:
მე კი არა, საუკუნემ,
ვერ მიაგნო ნიკალას...
შემომღიმა ქართლის დილამ,
ჯანღი გადამიკარა:
– რა ხანია, უკვდავებამ,
ჩაისუნთქა ნიკალა!

თებერვალი, 2012.

ქრონიკა

ზღვის თამადა

ჯემალ დავლიანიძე

გამთენიისას ძახილმა გამაღვიძა!

ვიღაც აშკარად და უსასრულოდ მეკითხება – რას ფიქრობ? რას ფიქრობ? რას ფიქრობ?

ბიჭოს... ვფიქრობ, აბა, ისე როგორ იქნება! რაო, ქართველ კაცს საფიქრალი გამოელევა?.. თანაც 13 აგვისტოა. ოცდამეერთე საუკუნეა. ჩემი აფხაზეთი და სამაჩაბლო წართმეულია, ვარ ყოფილი და კანონიერი, ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენელი... ამის გამო შინაური თუ გარეული ეჭვის თვალით მიცქერს.. მით უმეტეს, უშიშროება და მისი სხვადასხვა კუდი, მარადჟამს მითვალთვალებს! თან, ინტერნეტში, სახელმწიფო ე.წ. საბაზისო მონაცემებში მოვიხსენიები როგორც უკიდურესად არასაიმედო ელემენტი და ა.შ.

მაშ, მაშ, რა გეგონა შემკითხველო, არაფერს არ ვიფიქრებ და დაუფიქრებლად ვიბოგინებ მარადიულად უმუშევარი, უპურო და უპოვარი? უფრო უარესს გეტყვი – 2007 წელს ხელისუფლების კუთვნილმა სასამართლომ მომანიჭა პოლიტიკური რეპრესირებულის სტატუსი... დედულეთი ოსტატურად წამართვეს, უსოფლოდ დამტოვეს, ამომწერეს იმ სახლიდან, სადაც დავიბადე, გამომიცვალეს პირადობის მოწმობა და მისამართის ადგილზე სიტყვა-სიტყვით ჩამიწერეს: უმისამართო!

რადიო – „თავისუფლებას“ ვუსმენ. ინტერნეტ-სივრცის მიმოხილვაა. ყმაწვილი ისეთ სიტყვებს ხმარობს, ათიდან მხოლოდ ორს ვიგებ... ამას დღევანდელი ლექსიკონებიც ვეღარაფერს უშველის... ჟურნალისტებმა თურმე იციან, მე კი... თითქმის ძველმოდური ავეჯს წარმოვადგენ... ჩამოვრჩი... ესენი ალბათ მსოფლიოს დაქცევას მოესწრებიან და ამიტომაც სოდომ-გომორისკენ ნებაყოფლობით მიილტვიან!

ეჰეი! ნახეთ რას ამბობს ინტერნეტსივრცისმიმომხილველი (ეს სიტყვები ერთად სპეციალურად წარმოვთქვი, რადგან ნოვაციების საუფლოში ვნებივრობ!):

– ინტერნეტში დიდი ამბავი დატრიალდა ერთი სენსაციის გამო – ლაგუნა-ვერაზე გოგონა გატიტვლდა გასარუჯად! ბევრმა გამოთქვა საკუთარი ინტერნეტ-აზრი, რომელთაგანაც ერთ-ერთი ასე ჟღერდა:

– ძლივს არ შემოვიდა საქართველოში ცივილიზაცია?!

საცოდავი ორი მამა – ერთი ტიტველა გოგონასი და მეორე – ინტერნეტ-მოაზროვნისა, რომ ადგნენ და შვილები გაჯოხონ, ვითომ არ დააბრალებენ არადემოკრატიულობას და ხულიგნობის მუხლს არ მიუყენებენ?

კიდობანის აგების ძლიერი ხმაური მესმის და ჩამჩურჩულებს თბილი ნიავი: გიჟი მუდამ თავისუფალია!

კიდევ კარგი, კუბოებს აღარ ლურსმავენ, თორემ...

ვიფიქრო?

ხომ მითხრეს – იფიქრეო?

ნეტავ – თხოვნა იყო თუ ბრძანება?

5. “ამერ-იმერი.”

კითხვა კი უკვე ბურღივით დამტრიალებს:

– რას ფიქრობ?

ვაჰ! მხოლოდ ახლადა ჩავფიქრდი – ნეტავ ვინ არის ამ მოუსვენარი კითხვის დამსმელი? ნეტავ ადამიანია თუ უფრო ზემოთა სივრციდანაა... ვითომ მამაზეციერის წარმოგზავნილია? ვითომ დავიმსახურე მისი ზემადალი ყურადღება? ვითომ რაიმე მეშველება?

კრაზანასავით ბზუის კითხვა:

– რას ფიქრობ?

ჰმ! ვფიქრობ სამშობლოზე... მრავალი მტერია... თავს გვესხმოდნენ. იყო კი ომი? ამას ხომ ორივე მხრიდან ბრძოლა ესაჭიროება... ისტორიკოსების ალმაცერი ღიმილი გამაღიზიანებელია... ავღანეთი, მთელი თავისი დღენი და მოსწრება, თავს იცავს. მთელი მსოფლიო ყველა დროისა, განუწყვეტლად აოხრებდა. თავდამსხმელები თითქოს კიდეც მიეჩვივნენ ავღანეთისკენ მახვილით სწრაფვას. ამის საპასუხოდ, ავღანელებმა თავდამცავი ბრძოლა გაამარადიულეს. ასე იყო უწინ, ასეა – დღესაც და ამიტომ სპორტისთვის, ოლიმპიადებისთვის თუ მსოფლიო ჩემპიონატებისთვის, ამ შეუდრეკელ ხალხს, დრო და მოცლა არ გააჩნია! სამაგიეროდ ვიცი ამბები ქვეყნების შესახებ... მარადიულად ლაჩრები როგორ ცეკვავენ და თამაშობენ! მუსიკით, სპორტის ნაირ-ნაირი სახეობით იწონებენ თავს... ისტორიულ მიწაწყალს, გეგმაზომიერად, ნებაყოფლობით ჰკარგავენ, ჰყიდიან... მუდამ ბეჩავნი, შეგინებულები, შეურაცხყოფილები, გაუპატიურებულები იყვნენ, მაგრამ... კულტურას და სპორტს, ცეკვას, სიმღერას, ქეიფს, ლხინს, დროსტარებას ომახიანად, მჭექარედ მისდევდნენ! ოჰოჰოჰო! ერთი წარმატება, ერთი გამარჯვება, სცენაზე თუ სტადიონზე და... მთელ მსოფლიოს ზემოდან უწყებენ ცქერას... ავღანელები კი ვაჟკაცობას მხოლოდ თავიანთი სახელმწიფოს დასაცავად გამართულ, მრავალწლიან ომებში იჩენდნენ. ამიტომ, ამ მრუდე, ბეც, უსამართლო მსოფლიოში, ბოლოს და ბოლოს, შეძლეს ტერიტორიების შენარჩუნება...

საოცარია, რომ სულაც არ მიკვირს ამგვარი ფიქრი!..

მართლაც 13 აგვისტოა, ბილეთი თვითმფრინავისა, რომ იტყვიან – გულის ჯიბეში მაქვს. 1969 წლის შემდგომ არ მიფრენია... მე კი არა... თვითმფრინავით არ მიფრენია. ჟურნალისტები წამდაუწუმ კი ჟღურტულებენ, რომ ამა თუ იმ ქვეყნის პრეზიდენტი, სახელმწიფო მდივანი, ქალი და კაციც – გაფრინდა-მოფრინდა-ჩაფრინდა-ჩამოფრინდაო, მაგრამ... აქ აუცილებლად თვითმფრინავი იგულისხმება... 1969 წლის 7 ნოემბერს, რომელიც დღევანდელი ყმაწვილისთვის უკვე ქვის ხანად ითვლება, სოხუმიდან „ან-24“ მარკის თვითმფრინავით ქალაქ ტამბოვში მივეშურებოდი ანუ მივფრინავდი. აფრენისას, უკვე ზღვის თავზე, ტურბინას ცეცხლი წაეკიდა. შიში ვჭამეთ ისეთი, დღესაც დანაყრებული გახლავართ... გადავრჩით. კვლავ სოხუმში დაგვაბრუნეს... ახლა იძულებული ვარ, ორმოცი წლის შემდეგ, კვლავ გავფრინდე, რადგან საქართველო-რუსეთს შორის საქმე არეულ-დარეულია. პირდაპირ ვერ ვახერხებ გამგზავრებას. ამიტომ ჯერ უკრაინაში, ხარკოვში უნდა ჩავსრიალდე... უამისოდ, მოსკოვში მხოლოდ ერევნიდანაა გზა... ხარკოვში ჩემი ვაჟიშვილები ვარაზი და ვოვა დამხვდებიან და ავტომანქანით ბელგოროდ-ვორონეჟის გავლით ჩავალთ ტამბოვს, სადაც 1970-1974 წლებში ვცხოვრობდი...

ისევ მეკითხებიან;

– რას ფიქრობ?

რას უნდა ვფიქრობდე, ჩემო ბატონო, ვფიქრობ მგზავრობის სიძნელეებზე და პარალელურად დღევანდელობაზეც ანუ პოლიტიკურ სახაშლამე ქვაბზეც! აი, კვლავ დასჭირდათ ნობელის პრემია, რომელსაც ევროამერიკელი პოლიტიკოსები უკვე კარგა ხანია პოლიტიკური მიზნებისათვის ძალიან მარჯვედ იყენებენ. ამჟამად, თურმე, „საჭიროებამ მოითხოვა“ ნობელის პრემია მიენიჭებინათ მშვიდობისათვის მებრძოლი ჩინელი დისიდენტისათვის, რომელიც ციხეშია, მისჯილი აქვს თერთმეტი წელიწადი პატიმრობა ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობისათვის... თქვეს! თქვეს და ჩანაფიქრი კიდეც აღასრულეს – სულ რამდენიმე, მეტად საიდუმლო წუთში – დემოკრატიისათვის მებრძოლ, კიდევ ერთ შეუპოვარ კაცს ნობელის პრემია არგუნეს...

უნდა ვთქვა პირდაპირ, რომ არ ვარ კრეტინი და ამ დღევანდელი, ყბადაღებული დემოკრატიისა არ მჯერა! ხარხარი ამიტყდება ხოლმე და ღონე მეცლება... არადა, ეს დალოცვილი, ჩვენთვის ოდესღაც სანუკვარი, თავისუფლების სააკვნე – ამერიკის შეერთებული შტატები, „მტკიცედ აპროტესტებდა“ ხსენებული ჩინელის, დისიდენტის დაპატიმრებას, რომელსაც, ნუ გაგეცინებათ, მხოლოდ დატუსაღებამ გაუთქვა სახელი...

ვაგრძელებ ფიქრს და ჩინეთის დიდ, უშველებელ კედელზე ასკინკილით მივქრი... ეს საკმაოდ ვრცელი ქვეყანა ნაღდად ყველაზე მშვიდობიანია მსოფლიოში... ეკონომიკური წინსვლით მართლაც გამოირჩევა. იქ, მოსახლეობა ჩინებულად ანუ ჩინურად ცხოვრობს და... ამ ცოტა ხნის წინ, ჩინეთმა განცხადებით

მიმართა ნორვეგიას – არ მიეცათ დამნაშავისათვის ნობელის პრემია, მაგრამ... ჩინელმა, აწ უკვე დისიდენტმა, რაღაც „ხრიკ-მანქანებით“ აჯობა ნობელის პრემიაზე წარდგენილ ცნობილ გლობალისტებს: ჰელმუტ კოლს, ბილ კლინტონს, ტონი ბლერს... მათ განიცადეს ელვისებური მარცხი, რომელსაც თვითონვე აღფრთოვანებით შეხვდნენ...

ხომ არ შემშურდა ნობელის პრემია ჩინელი დისიდენტისათვის? არა! ნაღდად არ მშურს, რადგან – სად საქართველო... სად ქართველი! სად მე და სად ნობელის პრემია! რუსთაველის პრემიაზე ნამდვილად მაქვს უარი ნათქვამი... უფრო სწორად – როცა ამ პრემიის ავან-ჩავანმა, ერთმა დიდმა პოეტმა, თავის დროზე შემომთავაზა – წიგნი წარმოადგინე რუსთაველის პრემიაზეო, უარი ვუთხარი – მე ამხელა ჯილდოს ღირსი წიგნი ჯერ არ დამიწერია-მეთქი. იქ მყოფი ერთ-ერთი მაშინდელი თანამშრომელი და ცნობილი პოეტი, ამის გამო სახტად დარჩა და... მე, როცა ამ რამდენიმე წლის წინ კატაფალკის მძღოლად ვმუშაობდი, მწარედ მეცინებოდა ამ ისტორიის გახსენებაზე... დიახ, ოცნებითაც არ მიოცნებია ნობელზე, რადგან დემონურ სამყაროს ისევე არ ვჭირდები, როგორც მე არ მჭირდება იგი!

აჰა! ვფიქრობ თუ არა?

მაშასადამე, აეროპორტში არაყი დავლიე და ფრენას შევუბედე! საათსა და ორმოც წუთში ხარკოვში ამოვყავი თავი... ოჰო! გამარჯობათ უკრაინელო მებაჟეებო! გაინტერესებთ რამდენი ბოთლი ღვინო მიმაქვს? ათი, ათი! მერე, ჩვენ რაღაო? ჭრელთვალა ქალი ჯერ ერთ ბოთლს მცანცლის, მერე მეორეს და ზედ აყოლებს მესამესაც! უფროსი მისი, ისიც ჭროღათვალება, ვგონებ მამაკაცი, თავს აკანტურებს და ჩემი ბარგი თავისუფლად გაატარეს.

შვილებს გადავეხვიე. გაბრაზდნენ ჩვენს მეგობარ უკრაინელებზე, მაგრამ... დავიძარით რუსეთ-უკრაინის საზღვრისაკენ. ავტომანქანა ირწევა და ჩინელი დისიდენტი ისევ ჩემთანაა... იგი, უკვე ნობელის პრემიით აღჭურვილი, ნაციხარი, სულ ადვილად შეიძლება სათავეში მოექცეს მილიარდიან სახელმწიფოს, იგივე ჩინეთს... დღეს ეს კაცი ადამიანის უფლებათა უდიადეს დამცველთა რიგშია და ცხვება ლავაში გენსეკისა, ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელისა ამერიკულ თონეში... ახლა, როცა პრემია მინიჭებულია, დღეს თუ არა ხვალ, ამ დისიდენტს, ციხიდან გაათავისუფლებენ და იგი აუცილებლად გაიქცევა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც მიეცემა პოლიტიკური თავშესაფარი. მერე გაშლის ფართო ბრძოლას ჩინეთის ხელისუფლების ანუ საკუთარი სახელმწიფოს წინააღმდეგ და... ვინ იცის, ადრე თუ გვიან, დაბრუნდება სამშობლოში, სადაც იბრძოლებს დემოკრატიული არჩევნებისათვის და იყრის კენჭს პრეზიდენტის პოსტის დასაკავებლად... თუ ყოველივე ამგვარად წარიმართა, ერთი რამ მჯერა, ამ სუპერსახელმწიფოს ბედიღბალი გაცილებით მძიმე იქნება, ვიდრე საქართველოსი...

ვუახლოვდებით რუსეთ-უკრაინის საზღვარს. პოლიტიკური მდგომარეობა აქაც დაძაბულია. რუსეთი ჩვენკენ! რუსეთი უკრაინისკენ! მოდის რუსეთი, როგორც ასფალტის სატკეპნი ტრაქტორი!

აი, ბატონებო – უკრაინა-რუსეთის საბაჟო! ისევ იქ ვართ, სადაც რამდენიმე საათის წინ ვარაზმა და ვოვამ გამოიარეს. ვის არ უყვარს დოლარები? პასპორტებს უკირკიტეს. რუსეთის მოქალაქეები არიან! ვერაფერს ვერ იტყვიან. ჩემი პასპორტი კი გაიტანეს და გამოიტანეს! აბრუნეს და აბზრიალეს! გახედეს და გამოხედეს. კომპიუტერში ეძებეს და ეძებეს. ტელეფონით ვიღაცას ესაუბრნენ. რაღაც ფურცლები შემავსებინეს და როცა გაიგეს – მწერალიაო, მაინც პატივი მცეს! მოკრძალებით მითხრეს – თავისუფალი ხართ, მიბრძანდითო! ნახე ძმაოსან! მწერლობა საქართველოშია ჩაწიხლული სახელმწიფოს მესვეურთაგან... რუსეთში, ამხელა ქვეყანაში, თურმე, ისევ პატივს მიაგებენ. ისევ გასჭრა მწერლობამ. ჩემს ქვეყანაში ამრეზით მიცქერენ! მწერლებს სასახლეც კი წაგვართვეს! ახლა საქმეს არ დასჭირდა, თორემ... ჩანთაში 1986 წელს გამოცემული „საბჭოთა კავშირის მწერლების ცნობარი“-ც მომეძევება. აქ მრავალ მწერალთან ერთად, ჩემი ვინაობაცაა. თუმც მოკრძალებული, მაგრამ... ასე წერია: „პროზაიკოსი, ქ. თბილისი, ლეჩხუმის ქ. №48“ და მეტი არაფერი... 1991-1992 წლებში მომხდარი სამხედრო გადატრიალების დროს, დევნა დამიწყეს ჩემი პოლიტიკური მრწამსის გამო და 1984 წელს, მწერალთა კავშირის მიერ მოცემული სამოთახიანი ბინა გვარდიელ-მხედრიონელებმა 1800 დოლარად წამგლიჯეს. დღეს ისევ ლეჩხუმის ქუჩაზე ვცხოვრობ. ჩემს სახლს ფეხი რომ მიჰკრა, კედელი გადავარდება, მაგრამ...

იფიქრე, იფიქრეო, – მაძალებენ და მეც, რა გაეწყობა, ვფიქრობ და ვპასუხობ!

შუადამისას ერთ მომცრო კაფეში ვივახშმეთ და მანქანაში მოვისვენეთ.

14 აგვისტო უნდა გათენდეს.

ახლა ის დროა, როცა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ამერიკის შეერთებულ შტატებშია. ქალბატონი ჰილარი კლინტონი ჩვეულ სტიქიაშია! პაწაწინა მუშტებს იქნევს, ბობო-

ქრობს,გამოხატავს თავისი ე.წ. ზესახელმწიფოს ნებას და... სიტყვიერად გვიბრუნებენ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს... ქართული ტელეკომპანიები კი ეკრან-ეკრან, კვლავაც ეომებიან რუსეთს და, თქვენ წარმოიდგინეთ, კიდევ ამარცხებენ! უფრო მეტიც – ომს აგრძელებენ, თავდამცავ ომს აწარმოებენ, მაგრამ... მთავარია, რომ ომში ჯარასავით ტრიალებენ, თუმც უჯაროდ, არმიის გარეშე და ათავისუფლებენ აფხაზეთსა და ცხინვალს... გგონიათ ამ საქმეზე ჩერდებიან? არა და არა! ვგონებ ოდესღაც გასახლებულ ჩერქეზებსაც უკან აბრუნებენ. კამათობენ! იბრძვიან! აინტერესებთ სოჭის ოლიმპიადის „შუქ-ჩრდილები“. აღშფოთებას ვერ მალავენ, რომ აფხაზეთში ხრეში, ხე-ტყე მთლიანად „ამოიწურა“... ამ დროს, თითქმის აღარ ახსოვთ, რომ საქართველოში მთელი ოცი წელიწადია თვითონ უმოწყალოდ ჩეხეს და ჰყიდეს ტყე, გაზიდეს მასალა, ზოგიერთ რაიონში ნახევარი მეტრის სიღრმეზე აახლიწეს, აადღლიზეს მიწის ნოყიერი ფენა, დოლარებად აქციეს, გაანადგურეს ათეულ-ათასობით ჰექტარი სავარგული! საქმე ისე მისჭირდა, შარდით შეწუხებულ, ბუჩქებში შემძვრალ ქართველს, ჩინელი მესაკუთრე, უკვე ბატონ-პატრონი მიწისა, კეტით დასდევს – ჩემს სამყოფელს, ჩემს საკუთრებას რატომ ბილწავ შე გათახსირებულოო...

14 აგვისტოს დილა მართლაც მხნეობითაა სავსე. ვივარჯიშეთ, ვისაუზმეთ და ტამბოვის გზას დავადექით. გავიარეთ ლიპეცკის, ვორონეჟის ოლქები... გზები გაუმშვენიერებიათ და გზისპირა მაცხოვრებელთა გულის მოსაგებად ხმაურის დამჭერი დიდი ზღუდეები აუგიათ! ჩვენ პენსიას ვნატრობთ, ესენი კი ზედმეტი ხმაურისაგან იცავენ მოსახლეობას! რას იზამ! დიდი ქვეყანაა რუსეთი და ფული თუ რესურსიც მეტი გააჩნია... საღამოს ჩავაღწიეთ ტამბოვს. ვოვამ ე.წ. „დაჩაზე“ წაგვიყვანა, სადაც სახლი წამოუჭიმია. როცა ეს მიწის ფართობი მოგვცეს საბოსტნედ, მეც ტამბოვში ვცხოვრობდი. მე და ჩემმა სიმამრმა შევღობეთ და ერთი პატარა ფიცრული ჩავდგით, ხეხილი ჩავყარეთ. ხილ-ბოსტნეული ბლომად გვქონდა. მაშინ ტამბოვი გაცილებით პატარა ქალაქი გახლდათ. ახლა კი აქეთ გამოწეულა და ჩვენი „აგაროდიც“ თითქმის ქალაქში მოქცეულა...

დაღლილმა სუნთქვითი ვარჯიში შევასრულე და დაძინება ვცადე, მაგრამ ქალბატონმა კლინტონმა ტელეეკრანის მეოხებით საშველი არ მომცა... საკმაოდ გაბრაზებული, თვალთა ბრიალით და დამარცვლით, აქცენტებით აცხადებს, რომ საქართველო არის განუყრელი მეგობარი ამერიკის შეერთებული შტატებისა! ჯორჯია, ჯორჯია, ჯორჯია, – უსასრულოდ და ამაყად გაიძახის... ვიცი, რომ ამგვარი წივილ-კივილი არც პირველია, არც უკანასკნელი! სიტყვით ჩვენთან არიან. სიტყვით გვეხმარებიან, თუმც... მუქარა მუქარად რჩება და რუსეთი, თუ თავისი სურვილი არ იქნება, ამერიკის დაკრულზე არ იცეკვებს! ვიცი, განა არ ვიცი – ფუჭი ლაპარაკი მეტად აუცილებელია პოლიტიკაში. მთავარია, ქართველებს იმედი გვქონდეს, რომ ამერიკელები აუცილებლად გვეხმარებიან.. თურმე, რუსეთი ჯიუტობს! იგი ვერასგზით ვერ დაიყოლიეს.... კაცო, პოღოსამ რომ რაიმე ნივთი წამართვას და ვიღაც ტაჯიკს ვექაჩებოდე, – დამიბრუნე-მეთქი, არ ვიქნები სულელი? ეს ევროამერიკელები, ჩვენის მეოხებით, რუსეთს კიდეც ამუნათებენ, შიგადაშიგ ლანძღავენ... ჩვენ კი ჭკუას გვარიგებენ – თქვენ ხმა არ გასცეთ რუსებს, არ დაელაპარაკოთ, ლანძღეთ, აგინეთ, ცხვირწინ მუშტი უტრიალეთ, დანარჩენი ჩვენ ვიციოთ...

ვიარეთ, ვიარეთ და 2008 წლის აგვისტომდე მოვედით...

ადრე გამეღვიძა. დილის ხუთ საათზე რუსეთში მუდამ თენდება ზაფხულობით და ახლაც კარგად მოსინათლებულა... სახლს შემოვუარე. ჩემს მიერ ოდესღაც ჩაყრილი ხეხილი აშოლტილა. ქვეყნის ხილია: მსხალი, ვაშლი, ქლიავი... ჩემს ბიჭებს კოინდარი დაუთესიათ და როგორც დასავლეთ საქართველოში, ისეთი მშვენიერი მოლითაა მოქარგული მიდამო. გარაჟში ორი ავტომობილი ეტევა. აქეთ მაყალია, იქით – სარწყავი ჭა. ვინღა იცნობს ჩვენს ყოფილ „აგაროდს“.

ვიწყებ ვარჯიშს. შვილებს სძინავთ. ბევრი უბედურება ნახეს. 1993 წლამდე საქართველოში მყავდა. მერე დევნა რომ დამიწყეს, – ზვიად გამსახურდიასთან რატომ იდექიო, ბავშვებს ვუთხარი – თუ აქედან დროზე არ გაიხვეწეთ, დაგხოცავენ და სულს გაგვიმწარებენ-მეთქი. ტამბოვისკენ გავამგზავრე. დარიალში, თერგის ციხესთან რომ რესტორანი იყო, ჩემმა მეგობარმა შალვამ იქ გააშლევინა სუფრა. თითო ჭიქა დავლიეთ. ვხედავ – ვოვას ცრემლები დაასხდა თვალებზე. შვილო, რა იყო? – ვეკითხები. ხმადაბლა მითხრა: მამა, არ მინდა საქართველოდან წასვლა! ავაიმე, შვილო, რა დღეშია მამაშენი – თქვენ სამშობლოდან წასვლა არ გინდათ, მე კი აქედან წადით-მეთქი, – გაძალებთ... ვოვას მაშინდელი ცრემლები სულ მამაძაღლი ეძიკას ბრალია და კიდევ იმათი, ვინც იგი მოგვივლინა საქართველოში...

მას შემდეგ ცხოვრობენ ჩემი ვაჟიშვილები რუსეთში. დარჩნენ და დარჩნენ. ჩვენში ცხოვრება საქართველოს მტრების ხელშია და რომ ჩამოვიდნენ, შიმშილით ამოწყდებიან. აქ,

რუსეთში, ისინი მრავალჯერ დაიჭირეს, ბევრჯერ ურტყეს, ყურებიდან, თირკმელებიდან სისხლი ადინეს, გვარი გამოიცვალეთო, – ურჩიეს, მაგრამ გაჯიუტნენ, იქით შეუტიეს – ბევრი „პალაჩი“ სამუდამოდ დაამახინჯეს, ბევრს დაალეწეს თავ-ყება...

როცა ვარაზმა და ვოვამ გაიღვიძეს, ჩემი ჩამოტანილი ღვინო გავსინჯეთ, ჩვენია, თბილისში, ჩვენს ეზოში მოყვანილი ყურძნისაა...

აბა ნახეთ, ვფიქრობ და მერე როგორი გაცხარებით, გამალებით... ფიქრი ფიქრს რომ მივათვალე, სიშტერემდე მივალ მალე?.. ვიცი, ეს სტრიქონები შოთა ჩანტლაძის და გიგლა სარიშვილის ექსპრომტია... ძველია... ახლა, ეს ჩემი ორი მეგობარი იმ ქვეყნად არიან...

ფიქრი კი...

ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტმა ბარაქ-ობამამ მთელი მსოფლიოს წინაშე აღიარა თავისი ქვეყნის მიერ კიდევ ერთი, საიდუმლოდ ჩადენილი დანაშაული... თურმე, ზუსტად სამოცი წლის უკან, ამერიკელი სპეციალისტების, სპეცადამიანების, ასევე სპეცსამსახურების მითითებით, გვატემალაში შვიდასი ადამიანისათვის გონორეა და სიფილისი წინასწარი განზრახვით, შეგნებულად „აუკიდიათ“ ანუ შეუყრიათ... გულღიად აღიარეს, რომ ეს საშინელი, ამაზრზენი სპეცოპერაცია ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საექსპერიმენტოდ ჩაატარა, რათა პენიცილინის ვაქცინის ზემოქმედება გამოეცადა! იმდენი კი ვიცი, რომ სიფილისი იმ დროს უკურნებელ ავადმყოფობად ითვლებოდა და... აშშ-ი კი ამ დროს პირუთვნელად ითვლება მსოფლიო დემოკრატიის არა მხოლოდ საძირკვლად, არამედ მწვერვალადაც...

დიახ! ეს გახლავთ საყოველთაო ბოდიში სამოცი წლის შემდეგ.. ვერც გეტყვით, რამდენად შეიძლება შეფასდეს გვატემალელთა ზარალი, მაგრამ... ჩემთვის ამოუცნობია – გვიანდელი სიმორცხვე, დარცხვენა, სინანული, და ბოდიში უშველის იაპონელებს, რომლებმაც ამერიკული ატომური ბომბის საშინელება იწვნიეს? ნეტავ უპატიებელია ამგვარი ცოდვა?

ეჰ, სულ დამავიწყდა, რომ დღეს დემოკრატიის ქარიშხლებში ვცხოვრობ და... აგერ, მეგობარო, შენს ცხვირწინაა ბოდიში, თუნდაც ნაგვიანები! და, რაოდენ დიდია რიცხვი გაუმჟღავნებელ ცოდვათა! ისე, რას ერჩი, ჩინებული გამოსავალია – შენი წინამორბედის მიერ ჩადენილი ცოდვების საუკუნეების შემდგომ აღიარება! განა სულ ურარაობას არ სჯობს?

ვოვამ და ვარაზმა ძლივს მომაგლიჯეს ტელევიზორს. ვთხოვე: ქალაქ რასსკაზოვოში და კოტოვსკში წამიყვანეთ, ძველი ნაცნობები იქნებ მოვნახო-მეთქი. ნეტავ ცოცხლები არიან? ვინ იცის...

ჯერ კოტოვსკში ჩავედით. ვარაზმა და ვოვამ თავიანთი მეგობრები ნახეს. მე კი ვეღარავინ ვიპოვნე... იმ საღამოს „სამაგონი“ დავლიეთ. კიბორჩხალები მოხარშეს, სუფრა გააწითლეს და მორშანსკის ლუდი ვსვით უსასრულოდ!

კი ბატონო, საჭმელმა კაცი არ უნდა მოაღოროს და... მეც აზროვნებას არ ვკარგავ. პარალელურად ვფიქრობ, რომ ვიღაცამ მწარედ, მხოლოდ მე კი არა, არამედ მთელი გასაგისი ადამიანებისა მოგვატყუა და ამჟამადაც გვატყუებს... აბა, ძმებო, დავფიქრდეთ – რატომ მივისწრაფვით გამრავლებისკენ? სექსუალური ტკბობა რომ არ მოეგონა იმ ზეჭკვიანს, სასიამოვნო რომ არ იყოს, ცხვირში თითის ტაკებასავით რომ იყოს... ვთქვა ყველაფერი? ვითომ ვერ მიმიხვდით? ქალთან კავშირს უდიდესი სიამოვნება რომ არ ახლდეს, კაცობრიობა გამრავლდებოდა?

კითხვა კითხვად დავტოვოთ და „სამაგონს“ დავაბრალოთ... ამჟამად რუსეთში გახლავართ და დანარჩენ მსოფლიოზე ვფიქრობ... აი, სხვაგან რომ ვიყო, რუსეთზე რას ვიფიქრებდი – ვერ გეტყვით..

ჩვიდმეტი აგვისტო გათენდა. მივდივართ სათევზაოდ. ბორის ფხვნილი აზილეს პურის გულში, მოცომეს, პატარ-პატარა ბურთულებად ააგორეს და მდინარეში გადაყარეს. ბიჭებო, ამითი რა თევზი უნდა დაიჭიროთ, გაგიჟდით? დამამშვიდეს – მცირე ხნით მოთმინება იქონიეთო.. როგორც ჩანს რუსული ხერხია... არ დამითვლია, არ ვიცი რამდენი წუთი გავიდა და.. დავინახე, როგორ ამოტივტივდნენ თევზები და „საჩოკით“ ამოყარეს. თურმე, ბორის ფხვნილი აბრუებს და თევზი, თუ ვერ დაიჭირე, ფხიზლდება და ისევ მიდის. ახლა ვინმე ევროამერიკელი დაიჯერებს, რომ რუსეთში ამგვარი ნაღდი დემოკრატი მეთევზეები სულდგმულობენ? ყოჩაღ თქვენ ტამბოველებო!

„სამაგონი“ გატკბა! ვსვამთ უსასრულოდ. ღმერთო, როგორ უხდება რუსეთს არაყი და არყის ხეები! არის გიტარა, მანდოლინა, ბალალაიკა და რუსული „ჩიკა-ჩიკა“! მე ამისი დედა ვატირე, ეს ხალხი – რუსები, ისევ ისეთები არიან, როგორებსაც ვიცნობდი ორმოცი წლის წინათ. პოლიტიკის შესახებ საერთოდ არაფერს ამბობენ, მეფერებიან და მხოლოდ ვქეიფობთ! აბა, თევზი! აბა – „აკროშკა“! აბა – „უხა“... აქ მხოლოდ მე მაგონდება, რომ მსოფლიოს მტრებმა სისხლიანი ომი გააჩაღეს ერაყში, პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი ჩამოახრჩვეს, მთელი ქვეყანა ცეცხლში გაჰხვიეს, ჰხოცეს დიდი თუ პატარა, არივ-დარიეს იქაური პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება, ერთმანეთს გადაჰკიდეს

მოსახლეობა, უსასრულოდ ზიდეს ნავთობი, ავლა-დიდება, ყველაფერი გააჩანაგეს, ისეთი დღე დააყენეს, არავინ იცის, საშველი საერთოდ იქნება თუ არა... ბაქტერიული და ატომური იარაღი კი ვერსად იპოვნეს... სამაგიეროდ სივრცეში დარჩა ბღავილი, რომ დემოკრატიის სახელით მყარდება ახალი წესრიგი... ასეა ავღანეთში, კორეაში, პაკისტანში, ლიბიაში, სირიაში... კადაფს ჯოხი შეთხარეს უკანალში და სარკოზმა, საფრანგეთის პრეზიდენტმა, ამითი სექსუალური შვებაც მოიპოვა... ჩამონათვალში კავკასიაცაა! აქაც არეულ-დარეულობაა, რომელიც ჯერ კულმინაციამდე არ არის მისული! რაღაცა ბნელს კი გვიპირებენ... ვინ მოგვიხდის ბოდიშს თავს დატეხილი უბედურებათა გამო? აგერ ფაქტი – უცნობილესი კინომსახიობი მარლონ ბრანდო... მისი უკანასკნელი წლები... პოლიტიკოსებმა გაამწარეს! ოფიციოზმაც და საზოგადოებამაც, მცირეოდენის გამოკლებით, ლანძღა და რა ლანძღა! ვინ იცის, სპეცსამსახურებმა იქნებ დააჩქარეს კიდეც მისი სიკვდილი.. ვიცი, გამიგია, რომ მარლონ ბრანდო, თავისი საყვარელი, სისხლისმიერი წინაპრების, ნათესავების, მშობლიური ტომის – ინდიელთა წარსულს იკვლევდა და კიდეც მოუპოვებია ცნობები, რომ ამერიკის კონტინენტზე ყაჩაღურად შეჭრილ ევროპელებს ანუ დღევანდელი ამერიკის შეერთებული შტატების წინაპრებს, ოც მილიონამდე, ვიმეორებ – 20 მილიონამდე ინდიელი გაუსტუმრებიათ იმ ქვეყნისკენ... იმედი გამაჩნია, რომ საამისო „ბოდიშიც“ მზადდება ე.წ. ნაგვიანები, მაგრამ ღრმად დემოკრატიული... ბოდიში!

დღეს ფერიცვალებაა! მაშადამე – 19 აგვისტოა. ასეა აქ, რუსეთში და ასევე იქ – საქართველოში! შვილებს ვთხოვე, თქვენი აქაური ბებია-ბაბუის სასაფლაოზე წავიდეთ, ხილი წავიღოთ-მეთქი. უთხრეს დედასაც და ყველა გავედით სასაფლაოზე... ჩემი ცოლყოფილის მშობლები კარგი ხალხი იყვნენ. მეუღლეს კი გავცილდი, მაგრამ... ბავშვებთან როცა ჩავიდოდი, კარგად მღებულობდნენ. ღმერთმა აცხონოს მათი სულები...

უნდა ვაღიაროთ, რომ ბრწყინვალე ხერხს მიაგნო ადამიანმა: დღეს ჩაიდენს საშინელ დანაშაულს, გაასაიდუმლოებს, შემდგომ, საუკუნეების ანდა ათეული წლების დასასრულს, მემკვიდრეები მოინანიებენ! მონანიების ინსტიტუტიც კი არსებობს და ბრუნავს ცოდვათა მარადიული ბორბალი... ხომ არ დაინერგა ამგვარი პროცესი, თუნდაც ხერხი?.. სიფილისი შეჰყარეს 60 წლის წინ! დანაშაული ჩაიდინეს... დღეს უკვე გვარწმუნებენ: რომ არა დემოკრატია, ამგვარ ქმედებას, ძე-ხორციელი ვერ გაიგებდაო... და, ასეთი ქვეყნები არიან ე.წ. წამყვანნი და მსოფლიოს საჭეთმპყრობელნი... კაცო, ბიჭო, ძმაო, ამხანაგო, მეგობარო, თანადედამიწელო!.. მე ქართველს, კავკასიელს, ამგვარი ქვეყნების მონობა რომ არ მსურდეს, ველურად და არადემოკრატად უნდა ჩამთვალონ?

ასეთი ფიქრებით დამძიმებული მივაბიჯებ ქალაქ ტამბოვის ქუჩებში! ვეძებ ვალოდია ფეოდოროვს და სანდრო ოვაკიმოვს. ერთი რუსია, მეორე – სომეხი. როცა აქ ვცხოვრობდი, ვძმაკაცობდით! ვერ ვიპოვნე. ერთმა ქალმა მითხრა – ვალოდია გარდაიცვალა კარგა ხანია, სომეხი სანდრო კი საით გადაიკარგა, თურმე აღარავინ იცის. იქნებ ამერიკაშია? იქ ხომ ბლომად არიან სომხები? აუჰ! რამხელა მხარდაჭერა გააჩნიათ! სომხები, ვგონებ, ყველგან არიან და სამწუხაროდ, ყველგან არც უყვართ, მაგრამ... მაინც ჩინებულად იდგამენ ფესვებს! მე კითხვა მღრღნის – რა ეშველება მესხეთ-ჯავახეთს? არც აფხაზეთი მავიწყდება! იქაც გაგვიმეტეს! თუმც... რაოდენ დიდი შეცდომებია და რაოდენ ბევრი ღალატია!

საქართველოში სამი საბედისწერო ავტონომია გამოიგონეს! ამის გამო უშველებელი გინებაა საბჭოეთის მისამართით! ვინ აღარ ილანძღება: მწერალი, ჟურნალისტი, ფსიქოლოგი, რექტორი, აკადემიკოსი, პროფესორი, ექიმი, პედაგოგი, პოლიციელი, ექსპერტი, ინჟინერი, არქიტექტორი, რეჟისორი, მხატვარი, მომღერალი, მსახიობი და, რაღა თქმა უნდა, სტუდენტი... ამას მივუმატოთ უმუშევართა არმია ანუ სამსახურის მგლურად მაძიებელი: მეეზოვე, მენაგვე, თოქ-შოუს მესვეური, ყასაბი, მექათმე, ვაჭარი... ყველა ერთხმად აგინებს საბჭოთა კავშირს, კომუნისტურ წყობას, სტალინს... რატომ და რისთვის ჩამოაყალიბეს საქართველოში სამი ავტონომია? რატომ ეს ხანგრძლივი მოქმედების ბომბები? მართლაც საინტერესოა ამ სამი ავტონომიის ბედი... მართლაც მოგვიტანა ამ სამეულმა მრავალი ჭირი? მოგვიტანა, მაშ არ მოგვიტანა? ოღონდ – სამივე ავტონომიამ თუ მხოლოდ ორმა? აჭარა რაღა შუაშია? და, თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა კომუნისტების და სტალინის მიერ ჩადებული ნაღმია, რატომ არსებობს და უფრო მეტიც – რატომ „ჰყვავის“ დღესაც? ხომ არ შევაბრუნო კითხვა? ასე მაგალითად: რატომაა ქართველთა უბედურება ორი ავტონომია, ხოლო მესამე კი აღმშენებლობითი ბედნიერება? რატომ არ გააუვნებელჰყვეს მესამე ბომბი? იქნებ სჭირდებათ? თუ ასეა და ისეა, რატომ არ ვაუქმებთ? აბა, ბიჭი ხარ და ამგვარი კითხვა დაუსვი ცხვირწინ ანდა, ტუჩებთან მაინც, ჩვენს „ტროცკისტულ“ ხელისუფლებას... აფხაზეთის და ოსეთის ავტონომიებმა, ვითომ მხოლოდ რუსეთი

ასარგებლა? ევროამერიკამ სულ არაფერი იხეირა? რა ეშველებოდა მათ ზრახვებს რომ არა სოხუმი და ცხინვალი?

ამასობაში ტამბოვიდან მივემგზავრებით პატარა ქალაქ რასსკაზოვოში! აქ ცხოვრობს სლავა ანდრეევი – ძველი ძმაკაცი. 1996 წელს ვარაზმა და ვოვამ თბილისში მასტუმრეს. სად აღარ მყავდა: გორში, კასპში, რაჭაში, სენაკში, ქუთაისში... კარგი ბიჭია... სოფელ ქვახვრელში, როცა უფლისციხისკენ გავახედე და ქართველთა უბედური დღეები გავახსენე, კაცი – სლავა ანდრეევი ცუდად შეიქნა. ვიფიქრე – ამდენმა ღვინის სმამ დაჯაბნა-მეთქი... არადა, მერე გავარკვიე, რომ ჩემი მონათხრობი გაიაზრა და ამიტომაც წაუვიდა ფერი-ფური. წყალი შევასხით და ძლივს მოვასულიერეთ...

სლავამ ინდაური დაკლა. ჩინებული სუფრა გააწყო. წითელი ხიზილალაც მოიტანა. მთელი ღამე მეზობლებს მოუთხრობდა საქართველოში თავისი მოგზაურობის შესახებ. ლაზათიანად შევთვერი, მაგრამ მუდამ მახსოვს ჩემი აჭარა და ვიცი, – იქ მუდამაა რაღაც უბედურების მოლოდინი. აუჰ, ჩემო მიწაწყლელო, დიდო გენერალო, გიორგი მაზნიაშვილო, როგორ არ დამაცადეს პუტჩისტებმა კასპის რაიონში შენთვის ძეგლი დამედგა!.. ბნელა და ჩემი ცრემლები ეწვეთება.. რას, რას, ნეტავ რას ეწვეთება? რას დასდის ცრემლები და...

ჩვენი ჟამთააღმწერელის ტკივილს... მთლად ჩავიძირე საუკუნეთა ღველფში, ნაღველში, წუხილში, დარდში:

„ქვეყანა საქართველოისა მიეცა განუსარყვნელად ამის ძალითა, რამეთუ დაუტოვეს მეფეთა და მთავართა სამართალი, მოწყალება, სიყვარული, სიწრფოება, სიმართლე და ამის წილ მოიპოვეს ამპარტავნება, ზაკვი, შური, სიძვანი, უწესობანი“.

ბიჭებო და გოგოებო, დღეს როგორ არის ჩვენი საქმე, ვეჟო? რას გვეტყოდა დღეს ილია და ვაჟა? კიდევ მოვიხმო ვინმე დიდი წინაპარი? შევაწუხო თუ ვიგლოვო? დღევანდელ ხელისუფალს რეზიდენციაში ილია მართლის დიდი პორტრეტი აქვს.. ნეტავ მარტოდ, პირისპირ თუ ბედავს მასთან დარჩენას? და თუ რჩება ნეტავ...

არა! უნდა დავიძახო სიტყვა – „სდექ“!

ვგონებ ძირითად გეზს ავცდი... მაინც, რა არის ეშმაკი, როგორ ოინბაზობს, განა ილია მართალთან ამ ხელისუფლებიდან, თუნდაც ერთი ადამიანის სახელი შეიძლება გაახმიანო? არადა, ჩინებულად მახსოვს – დიდ ილია მართალს რომ უთქვამს:

„თავისუფლების მშოვნელი,
ამ ქვეყნად მარტოდ თოფია,
შინ უღლით გაქნილ მშვიდობას
ომში სისხლის ღვრა სჯობია!“

ხომ არ მიახლოვდება ხიფათი ამგვარი აზროვნების გამო? მე შენ გეტყვი, ვერ მომიყენებენ ამ ერთი სტროფის გამო – ამბოხის მცდელობის მუხლსა? საქმეს აღძრავენ შემდეგი მოტივით: ილია ჭავჭავაძის მიერ დაწერილი ლექსის გამოყენება ტერორისტული აქტების მომზადებისა და ხელისუფლების დამხობის მიზნით...

მანამ ჩემს წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეს „შეკერავენ“, უფრო წინ წავდგეთ და იქნებ კიდევ რაიმეს თქმაც მოვასწრო...

კიდევ კარგი ისევ ტამბოვში ვარ! კოინდარზე ვგორაობთ მე და ჩემი შვილიშვილი მირანდა. სახელი მე შევურჩიე... ჯერ „გვანცა“ მსურდა... მაინც რაჭულია... პატარაობისას, როცა ამგვარი სახელი არც კი გამეგო, ბებიაჩემი ეფროსინე, ცელქობისას დაგვიყვირებდა ხოლმე: უი, ბეჩა, ვაჰ, რავა უშნოდ იგვანცებითო...

მალე ვარაზის და ვოვას მეგობრები გვეწვივნენ. ყველა მათგანი ნამყოფია თბილისში... ბლომად ღორის ხორცი მოიტანეს. მაყალს არ მიმაკარეს. ჩემი ჩატანილი ჭაჭა ვსვით შუაღამემდე...

თბილისში, ნანოს ვესაუბრე. დედამისი ცუდადაა. ვატყობ – მიმალავს. ვერ მიბედავს მითხრას – მალე ჩამოდიო... არადა, დღეს უკვე მოსკოვისკენ მივეშურებით. მატარებლით ვაპირებ სოჭში ჩასვლას, რომ იქიდან ბათუმში „კომეტით“ წავიდე. ფული ჭირს, სოჭამდე მატარებლის ბილეთი 70 დოლარია, „კომეტით“ მგზავრობა კი 100 დოლარია. თვითმფრინავი ძვირია და არც მინდა იქ ჩაჯდომა...

ვოვას ავტომანქანით მოსკოვისკენ მივქრით. დღის ორ საათზე ჩავედით... გზად ჩემი შვილების ბედ-იღბალზე ვდარდობ! რეგვენ ადამიანებს წინ წაწევის ძალუმი მარიფათი გააჩნიათ! შვილებს გზას უხსნიან, ამდიდრებენ და ხელისუფლებაში მოჰყავთ! წესიერი ადამიანები, უმთავრესად, სიღატაკეში იხრჩობიან... ამიტომ მათი შთამომავლები წინ ვერ მიიწევენ და მარად იტანჯებიან! ასე მოაწყვეს საქმე პოლიტიკოსებმა! დღევანდელ საქართველოში რუსეთს და კომუნისტებს აგინებს ის ხალხი, ვინც წარსულში კომპარტიის მანდატის მეოხებით ფულები მოიხვეჭა. გამოიყენა წყობილება, მერე კი... კომპარტიის წიგნაკები გადაყარეს, სახალხოდაც კი დაწვეს და გმირობასთან ერთად ეროვნულობასაც გამოჰკრეს ხელი... ნაშოვნი სიმდიდრით შვილები საზღვარგარეთ გააგზავნეს სასწავლებლად და მერე ამერიკული ვარდების რევოლუციით კისერზე დაგვასხდნენ... მე და ჩემი მეგობრები კი დავრჩით ცარიელზე, მხოლოდ სინდის-ნამუსის ამარა...

შორიდან ჩამესმის ჩამოძახილი: წადი შე ლაყე და უმარიფათო!..

თბილისში დროზე უნდა წავიდე. სიდედრი ცუდადაა... მოსკოვიდან მატარებლით ვაპირებ სოჭში ჩასვლას, რომ იქიდან ბათუმში ჩავიდე... ფიქრები მეორდებიან. გული სამხრეთისკენ მიიწევს.

მოსკოვში ვესტუმრეთ ნანოს დეიდას, კლარას. ჩაი მივირთვით და მერე რკინიგზის ბილეთი ავიღეთ... 26 აგვისტოს სოჭში უნდა ვიყო. შვილებმა მისაყვედურეს – ჩვენთან გული აღარ გიჩერდება, წამოსულიყავი ტამბოვში, ერთი თვე დაგესვენაო... ძნელია რუსეთში გაძლება. ჩემს შვილებს რუსეთის მოქალაქეობა აქვთ, მაგრამ მაინც საშიშია. ავტომანქანის გარეშე ფეხით სიარული უფრო სახიფათოა, რადგან მილიცია გაჩერებს, ფულს გძალავს. სულ ფეხზე ჰკიდიათ – ტერორისტი ხარ თუ მშვიდობიანი მოქალაქე, შენ ფული დაყაჭე... თუ არა და, დაწვრილებით ჩაგეძევებიან – რატომ ჩამოხვედი? რამდენი დღეა მოსკოვში რომ ხარ? რატომ ხარ ქართველი? ბოლოს კი – ვინა ხართ ქართველები? თავისუფლად ვერ ივლი თუ „კურნოსა“ და ქერა არა ხარ... იმ წამსვე მოგახლიან – შავტრაკიანოო... ვითომ თეთრად მოქათქათე უკანალი რაიმეთი სჯობდეს შავი ფერისას... კაცია და გუნება... შენ რუსები უძახე და ყოველ გამოსვლას ე.წ. ჰომოსექსუალისტებისას, მუშტებით და წიხლებით ხვდებიან! ამ მხრივ ჩვენში მხოლოდ სამღვდელოება იბრძვის და მოქალაქეთა რამდენიმე პროცენტი...

კვლავაც ვიფიქრო?

ისევ მეკითხებით – რას ფიქრობო?

კი ბატონო... აგერ ვარ და ვფიქრობ...

დღისით - მზისით გვაძალებენ: დემოკრატია ევრო-ამერიკიდან ჩამოფრენილმა ინგლისურის პედაგოგებმა უნდა გასწავლონო!

რა ხერხით, როგორ უნდა მასწავლოს დემოკრატია იმ სახელმწიფოს წარმომადგენელმა, სადაც ქალი შეიძლება მოწველონ?

ვიცინოთ თუ ვიტიროთ?

ხუმრობაში ჩავუთვალოთ თუ გავბრაზდეთ?

არადა, ფაქტი ასეთია: 2010 წლის 11 მარტს (ქალთა საერთაშორისო დღესასწაულიდან სულ რამდენიმე დღეში!) საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის საინფორმაციომ გვამცნო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ ოჯახში მოწველეს ქალი და რძისგან ყველიც ამოიყვანეს!

ვინ ჰქნა ამგვარი რამ?

რა თქმა უნდა – ქმარმა!

ერთ მშვენიერ დღეს ადგა ამერიკელი მამა, ოჯახის უფროსი –უთუოდ ტოლერანტი – დემოკრატი, ადამიანის უფლებათა დიდი დამცველი, სრულიად თავისუფალი და საკუთარი მეუღლე, შვილების დედა, როგორც საქონელი – ძროხა, კამეჩი, თხა, ცხენი და ვირი, ისე ჩამოწველა!

თან იმ მართლა სულ-ხორცით ლიბერალური ღირებულებებით აღვსებულ, მომავალი მსოფლიოს მოქალაქეს, რძის ხარისხიც შეუმოწმებია, დაუსკვნია – ყველი უგემრიელესი გამოვაო და ბიზნესისთვის მოუკიდია ხელი!

სადაც ქალებს წველიან, იქ ხომ კაცს კაცი მოჰყავს ცოლად. თქვენ წარმოიდგინეთ, სათანადო სულიერი მამანიც ჯვარს სწერენ და რაღაც მანქანებით, შვილებსაც აჩენენო!

შფოთავთ თუ არა?

სად არის „თავისუფლების ინსტიტუტი“?

სად არის ათასი ჯურის არასამთავრობო ორგანიზაცია?

პლაცკარტით ვმგზავრობ. რამდენიმე ქალია რუსისა. ერთიც შაოსანი დედაკაცი – ან სომეხია, ან ქართველი, ან კიდევ გვარგადაკეთებული უცხო ჯილაგი, რომელიც ჩემზე მეტად ქართველობს. განუწყვეტლივ ოხრავს და ამბობს – საბჭოთა კავშირის დროს მართლაც კომუნიზმში გვიცხოვრიაო. ჰყვება და ჰყვება, რომ მაშინდელზე უკეთესი ცხოვრება ვერაფრით ვერ მოვიპოვეთ... თვლის და თვლის წარმატებებს და თითქოს მეკითხება – რატომ არ მეთანხმები ამ ხნის კაცი? განა არ გახსოვს? ჩვეულებისამებრ მუშაობდა ყველა ფაბრიკა-ქარხანა, მძლავრად იდგა სოფლის მეურნეობა, მზადდებოდა ღვინო, ჩაი, ციტრუსი... მუშაობდნენ საკონსერვო ქარხნები. მოსახლეობას გააჩნდა პირადი ავლა-დიდება, სახლი, კარი, ბაღი, დასამუშავებელი მიწა, თითქმის ყველას გააჩნდა სოფელი, აგარაკი... ქვეყანა მძლავრად იდგა ფეხზე, რადგან საბჭოთა კავშირის დროს, რამდენიც არ უნდა აგინონ დღევანდელმა ბიჭბუჭობამ, ადამიანებს ჰქონდათ სამსახური, ხელფასი, ბინა, გათბობა... ძალიან იაფობდა ბენზინი, დიზელის საწვავი, ნავთი... ვიღა მიდიოდა ტყის გასაჩეხად, როცა თვით სოფლებშიც კი ინდივიდუალური გათბობა ჰქონდათ გაკეთებული... რუსეთიდან თვითონვე ჩამოდიოდნენ ვაშლის, ციტრუსოვანი კულტურის შემსყიდველნი, ვეებერთელა სატვირთო ავტომანქანებით, სოფელ-სოფელ დაიარებოდნენ და ყიდულობდნენ, რაც სურდათ! თუ შენ თვითონ დაუმზადებდი, უფრო ძვირს ართმევდი, თვითონ თუ გაირჯებოდა – იაფად წაიღებდა... ქართველები ვაშლს, მანდარინს, ფორთოხალს ინახავდნენ გაზაფხულამდე, მერე კი რუსეთის შორეულ ბაზრებისკენ მიჰქონდათ... რას არ ნახავდი: თხილი, ნიგოზი, ქართული ყურძენი, ღვინო, კონიაკი, დაფნის

ფოთოლი... სოფლის მაცხოვრებელნი ტყეში გადიოდნენ, კრეფდნენ მაყვალს, პანტას, მაუალო ვაშლს, ტყემალს, შინდს და აბარებდნენ სპეციალურ მიმღებ პუნქტებს. მაღაზიები სავსე იყო სურსათ-სანოვაგით. ას ორმოცი მანეთი ხელფასით ოჯახს ინახავდი კაცი... რამდენი მანეთი ღირდა მატარებლით, ავტობუსით მგზავრობა! მოსკოვამდე თვითმფრინავის ბილეთი 37 მანეთი ღირდა. სტუდენტი, რომელსაც ორმოცი მანეთი სტიპენდია ჰქონდა, ნახევარ ფასად მოსკოვში წავიდოდა და კიდეც ჩამოვიდოდა... იაფად იყიდებოდა ხორცი, კარაქი, თევზი, შაქარი, რძე და რძის პროდუქტები.. პენსია იმდენივე გენიშნებოდა, რამდენი ხელფასიც გქონდა უკანასკნელ წელიწადში. თითქმის ყველა დაწესებულებაში რიგითობით აძლევდნენ ბინას, ავტომანქანას, სააგარაკო მიწას. სოფლებში სწრაფზე სწრაფად შენდებოდა ორსართულიანი ბინები. ქართველ კაცს ჯიბეში მუდამ გააჩნდა იმდენი ფული, რომ შეეძლო რესტორანში დაეპატიჟებინე. ქართველი კაცი არ ემალებოდა სტუმარს, რადგან შინ საჭმელსასმელი უხვად ჰქონდა! სკოლები თბებოდა ცენტრალური გათბობით. სასკოლო ინვენტარი კაპიკებად იყიდებოდა! სამუშაო ადგილები მრავლად მოიძებნებოდა. უფასოდ ისწავლიდი! უფასოდ იმკურნალებდი! პროფკავშირები ნახევარ ფასად გაგზავნიდა სანატორიუმში, სადაც ოთხჯერადი კვება ჰქონდათ! სინათლის, წყლის, ნაგვის, გაზის გადასახადი იმდენად მცირე იყო, რომ ადამიანის ჯიბე ვერც კი გრძნობდა... ყოველივე, რა თქმა უნდა, დამოუკიდებელ საქართველოში დარჩა! იმ დროს, 1991 წელს, ბანკები სავსე გახლდათ ფულით, მეურნეობებს სრულყოფილად ჰქონდათ ტექნიკა: მანქანა-ტრაქტორები, კომბაინები, საწყობები, ვენახები, ხილის ბაღები, საკონსერვო ქარხნები, ღვინის ქარხნები, ბლომად გაგვაჩნდა მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, ღორი, ცხვარი, ქათმის ვეებერთელა ფერმები, ცემენტის, ბლოკის, აგურის ქარხნები, კარიერები, ხილის მიმღები პუნქტები... ყველგან მსახურობდნენ ადამიანები და ამავ დროს ხელფასის გარდა, ამუშავებდნენ საკუთარ ბაღვენახს, ჰყავდათ პირუტყვი, ქათმები, ინდაურები... ყოველივე იძლეოდა საშუალებას გვეცხოვრა დამოუკიდებლად, მაგრამ... ქართველი ხალხი მონობისთვის გაგვწირეს!

სიმართლის ნატამალი მართლაც იყო ამ უცნაური ქალბატონის მონათხრობში... საშინელი პირობების გამო, კაცი მართლაც ინატრებ იმ დროებას და იმ „მონობას“, როცა თვითონ ბატონად გრძნობდი თავს...

ქალებმა ჯერ მოკრძალებით წაიხემსეს, მერე რაღაც უცნაური არაყი გამოაძვრეს ჩანთიდან და დამანამუსეს: ნუთუ ქალებს უარს გვეტყვი დალევაზეო?

შუადამემდე ვსვით. დილით კინაღამ გული წამივიდა. როგორც ჩანს, ოდეკოლონის მსგავსი ნაყენით გავიხეთქე გულ-მუცელი. ბოლოს, მისამართები მაინც გავცვალეთ და სოჭიც გამოჩნდა...

ბაქანზე ჩინელი დავლანდე... დემონური გეგმით მავანი დემოკრატები რუსეთის სახელით გვინგრევენ სახელმწიფოებრიობას და ამავ დროს, პარალელურად, ესწრაფვიან მართლმადიდებლობის ამოძირკვას.... მათი ხარბი მზერა მიმართულია რუსეთის ენერგორესურსების ათვისებისაკენ, მითვისებისაკენ, რაც ამ ქვეყნის დაშლა-დაქუცმაცების გარეშე შეუძლებელია... საამისოდ ისინი არავის ინდობენ ვოქვათ, მოინელეს რუსეთი, მერე? რას ფიქრობენ ამ დროს ჩინელები!.. მათი ჯერიც ხომ დადგება?

სოჭის რკინიგზის სადგურმა ჩემი ჭაბუკობა გამახსენა და სწორედ იმ ადგილზე დადგმულ ძელსკამზე ჩამოვჯექი, რომელზედაც 1967 წელს ვიჯექით მე და ჩემი მომავალი მეუღლე... ის უსაქმური ჩინელი მომიახლოვდა და ხელი გამომიწოდა. ვგონებ ფული მთხოვა, მე კი რიხიანად მივესალმე და ამან დააბნია ჯერ ის, მერე კი თავად დავაბჩინე პირი... ნუთუ ეს ნახევრად მძინარე ჩინელი სოჭის ტყეების ყიდვასაც აპირებს? ნახე, ნახე, – ყოფილ ქართულ მიწა-წყალსაც არ უშვებენ ხელიდან! რუსულად შექების ღირსები არიან: „მალადეც!“

რამხელა ქვეყანაა რუსეთი. ვის აღარ შეხვდები ამ მიწაზე და რაოდენ უზარმაზარი ლანძღვა-გინებას იტანს... მე მართლაც უამრავი კითხვა დამიგროვდა ევროამერიკელებისადმი. ვეკითხები და მარადიულად არაადეკვატურ პასუხებს ვღებულობ:

– ვინ ააოხრა საქართველო თემურ-ლენგის დროს?

– რა თქმა უნდა, რუსეთმა!

– ვინ დაამხო ხელისუფლება საქართველოში 1992 წელს?

– მხოლოდ ქართველებმა და რუსებმა!

– ვინ წაგვართვა აფხაზეთი და სამაჩაბლო?

– ისევ და ისევ რუსეთმა!

– ვინ გააძვირა ენერგორესურსები?

– რუსეთმა!

– ვინ გააძვირა ტრანსპორტის საფასური?

– რუსეთმა!

– ვინ დასვა ხელისუფლად შევარდნაძე?

– რუსეთმა!

– ვინ გამოზარდა სააკაშვილი?

– რუსეთმა!

– ვინ დაამშია საქართველო?

– რუსეთმა!
– ვინ შემოზიდა გენმოდიფიცირებული პროდუქტი?
– რუსეთმა!
– ვინ მოჰკლა ზვიად გამსახურდია?
– რუსეთმა!
– ვინ ამრავლა მსოფლიოში პედერასტები, ჰომოსექსუალიზმი და ყოველგვარი გარყვნილება?
– რუსეთმა!
– ვინ გამოიწვია გლობალური დათბობა?
– რუსეთმა!
– ვინ ჩამოაგდო ატომური ბომბი იაპონიაში?
– რუსეთმა!
– ვინ ააოხრა ავღანეთი, ერაყი, ეგვიპტე, სირია?
– რუსეთმა!
– ვინ დაშალა იუგოსლავია?
– რუსეთმა!
– ვინ აღიარა კოსოვო?
– რუსეთმა!
– ვინ გაჰყო შუაზე კორეა?
– რუსეთმა!
– ვინ ჩაძირა ატლანტიდა?
– რუსეთმა!
– ვინ იყო ეროვნებით მსოფლიოში პირველი ტერორისტი – ატილა?
– რუსი!
– ვინ დააქცია კონსტანტინოპოლი?
– რუსეთმა!
– ვისი ბრალია ვულკანების ამოფრქვევა და მიწისძვრები?
– რუსეთისა!
– ვინ არის მსოფლიო ჯაშუში?
– მხოლოდ რუსეთი!
– ვისი ბრალია 1991 წლის გაზაფხულის მიწისძვრა რაჭაში?
– რუსისა!
– ვინ ჩადგა თბილისში, დიღომში უზარმაზარი საელჩო?
– რუსეთმა!
– ვისი ბრალია, რომ იძირებიან ხომალდები?
– რუსეთისა!
– ვინ არიან სომალელი მეკობრეები?
– რუსები!
– ვინ დაიწყო 2008 წლის 8 აგვისტოს ომი?
– რუსეთმა!
– ვინ შექმნა ნატო?
– რუსეთმა!
– ვინ შექმნა ვარშავის ხელშეკრულება?
– რუსეთმა!
– ვინ იყო მაკედონელი?
– რუსი!
– ვინ იყო ჰანიბალი?
– რუსი!
– ვინ იყო მითრიდატე?
– რუსი!
– ვინ იყო ნაპოლეონი?
– რუსი!
– ვინ იყო სტალინი?
– რუსი!
– ვინ იყო თემურ-ლენგი?
– რუსი!
– ვინ იყო შაჰ-აბასი?
– რუსი!
– ვინ იყო ტროცკი?
– რუსი!
– ვინ დაიწყო მეორე მსოფლიო ომი?
– რუსეთმა!
– ვინ დაიწყო პირველი მსოფლიო ომი?
– რუსეთმა!
– ვინ მოიგო მეორე მსოფლიო ომი?
– ამერიკამ!
– ვინ არის დემოკრატიის ბუდე?
– ამერიკა!
– ვინ დაგვიბრუნებს აფხაზეთსა და სამაჩაბლოს?
– ამერიკა!

ვითომ ვხუმრობ ახლა და სასაცილოა ყოველივე?

არა ძმაო, არა! სოჭში ვარ, ჩემს მიწაზე ვარ და მაინც სხვაგან ვარ...

სოჭში ჩემი ბიძაშვილი თამარია გათხოვილი. მას ჰყავდა ქმარი – ბაბუნაშვილი ვალოდია, რომელიც ქალაქ სოჭის გამწვანების განყოფილების უფროსი იყო. რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა. თამარი უნდა ვნახო აუცილებლად. ჯერ „კომეტის“ ბილეთს ავიღებ და მერე ბიძაშვილს მოვინახულებ!

სოჭი სავსეა ნახევრად შიშველი ადამიანებით! შევცქერი ქალებს, რომლებიც ქუჩაშივე მზად არიან სექსისთვის. უცბად შეიძლება გეძგეროს, ბუჩქებში დაგითრიოს და ზედ შეგაფრინდეს. მით უმეტეს, დღეს უკვე ქალის და კაცის თანასწორობის პროპაგანდის კულმინაციაა! ოცდაათი წლის წინ ერთ-ერთ მოთხრობაში თუ რომანში დავწერე, რომ დედამიწას, ადრე თუ გვიან, ქალები, აღვირახსნილობით, აუცილებლად დაღუპავენ-მეთქი. ქალებს ქალობას ართმევენ და კაცობას აძლევენ! რატომ უნდა მოვუარო ბავშვებს? – ღრიალებს ჰენდერული თანასწორობით შეპყრობილი, დაავადებული ქალბატონი! უფრო მეტიც – მას სულაც აღარ სურს ძუძუ ამოიღოს და რძით კვებოს შვილი! იჩაგრება და განა კაცს არ შეუძლია შეეხიდოს? რაღაცა ძალა მუშაობს მსოფლიოში და ქალებს აიძულებს – ქალურობა, ქალობა დააკარგვინოს! წინათ მხოლოდ ქალიშვილობას ჰკარგავდნენ, ახლა კი მთლად სურთ დედაკაცობა თავიდან მოიშორონ... აგერ კლინიკაც!

აი, ექიმი-სპეციალისტი... გადაიხადე სათანადო თანხა შედი საოპერაციოში, მსწრაფლ აგართმევენ ქალობას და ლაჯებში თუ ბაყვებში, ბოქვენის ქვეშ, დაგკიდებენ ისეთი ზომის ასოს, როგორსაც, რამხელასაც ინატრებ! აი, მერე კი იყრი ჯავრს კაცებზე...

აკვანი, ცოცხი, სარეცხი, სამზარეულო – ეს ყოველივე რა ქალის საქმეა? რატომ გვართმევენ თავისუფლებას, რატომ გვჩაგრავენ? ამიტომაც, უნდა მიხვიდე ქალთა უფლებათა დაცვის ასოციაციაში და იბრძოლო! ყური მიუგდე სასიყვარულო ძახილს! ათი შვილიც რომ გყავდეს, მონად არ იქცე! ახლად ნაპოვნი სიყვარული ძუძუებს შორის გაიჩხირე და თავისუფლების ბილიკს დაადექი...

სიბრიყვე მარადიუილად თანამდევია... აგერ, მშვენიერი თუ არა, ლამაზი თუ არა, ეშხიანი თუ არა, გაჭირვებაში, უკაცრიელ კუნძულზე მეტად გამოსადეგი ქალბატონი მოსეირნობს. ჰა და ჰა – შიშველია,კაბის კალთასა და სარცხვინელს შორის მხოლოდ სამი თითის დადებაა... გავა-თეძოებს სპეციალურად მიაქანავებს. მიიხლართება მხოლოდ იმიტომ, რომ მამაკაცებს ნდომა გაუღვიძოს და ულაყივით ააჭიხვინოს! ახლა, რომ შეეცადო და ამ დედაკაცს აუხსნა: შენი დუნდულები, ბარძაყები, კანჭები მეტი არაფერია, თუ არა მენჯის, ბარძაყწვივის დამცავი ხორცი და საშუალება – რა თქმა უნდა, მთლად არ შეიშლება, მაგრამ გიჟად კი შეგრაცხავს. არც იმას დაგიჯერებს რომ უთხრა: დუმები მხოლოდ იმიტომ მოგანიჭა შემქმნელმა – ბუნებრივი სკამი რომ თან ატარო და დაჯდომისას ძვლები არ დაგემტვრეს, ძუძუები მხოლოდ ბავშვის საკვები ინსტრუმენტია, ხოლო ტუჩები – ლუკმა-ნამცეცი რომ არ დაგეპნესო...

ახლა უკვე მე გეკითხებით:

– რა მოხდება მაშინ? ეს ნახევრად ულამაზო მანდილოსანი რას მოიმოქმედებს?

ვითომ იარაღს გამოიყენებს?

ვითომ მესვრის?

იქნებ სპიცი მაძგეროს ყანყრატოში?

ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ... ნაღადად მწამს, რომ სატყუარა, რომელიც ჩვენს ტვინში ჩადგეს, ძალუმად მუშაობს! დაინახავს ამნაირ ქალს და კაცი მახვილს ლესავს, საიერიშოდ ემზადება! საჭირო და აუცილებელია ქალის სხეულისკენ გაშლიგინდე, ჟინით პირი აიქაფო, თვალები დაკარკლო, ბზიკად იქცე, ანუ აბზიკდე – აზუზუნდე და მოცემული სივრცე გაანაყოფიერო, ნაყოფი ჩასახო...

ცხოვრება სხვაგვარად რომ იყოს, მაშინ კაცობრიობა ერთხელ მაინც შეძლებდა მოეწყო ყველაზე დიდი, საყოველთაო გაფიცვა და ადამიანებს ერთი წლით უარი ეთქვათ სექსუალურ კავშირზე... შედეგი? უზარმაზარი! შობადობა მთლიანად შეწყდებოდა და... იქნებ მაშინ მაინც მოექცია ჩვენთვის ყურადღება კოსმოსელ პატრონს? განა ამ საქციელით ანუ გაფიცვით, საიდუმლო გეგმას არ ჩავშლიდით? განა ვინმეს დასჭირდებოდა ეკლესიასტეს შეგონებანი?

ნეტავ ეს ჰომოსექსუალისტები, პედერასტები, კაცის კაცზე ქორწინებანი, ამ მზაკვრული ჩანაფიქრისათვის ხომ არ არის მოგონილი?

და, ყოველივე ამგვარი გამრუდებანი, როგორ შეიძლება ღმერთისგან მომდინარეობდეს? ყოველივე ხომ აშკარად მიგვითითებს ეშმაკის არსებობაზე, რომელიც უფრო ახლოა, ვიდრე ჩვენ გვგონია?

ვითომ ამ წამს, ამგვარ ამბებს რომ მოგითხრობთ, თვალებს ვერ დავაჭყეტინებ ვიღაც მომწერლო და მოადამიანო ელემენტებს, რომლებიც საკუთარი დედისკენ და მამისკენ სექსუალური ჟინის დასაკმაყოფილებლად მიიწევენ? ეს ვირისთავთა თაობა, იმის გამო – საზოგადოებამ რაიმე ყურადღება მიაქციოს, საკუთარი მშობლების ლოგინებისაკენ მიიწევენ და ჯოჯოხეთის ბილეთებს ნებაყოფლობით იღებენ სატანის მიერ ჩამწკრივებულ სალაროებში!

აბა, ნახეთ, თავისუფლება როგორ აქციეს სატყუარად... ოჯახებს ანგრევენ. მისი მოსპობა უნდათ! სიტყვა „სექსუალური“ დამკვიდრდა! მოდაშია! ამისდა მიხედვით: სექსუალური შეიძლება იყოს: ცხვირი, სიცილი, გამოხედვა, მუხლი, მკერდი, კაბა, ყური, ტუჩი, კისერი, თეძოები, კანჭები, თმა, ყელ-ყური, თვალები, ქუსლები, კუნთები, ხერხემალი, ძვლები, კანი, კბილები, ენა, ნესტოები, თითები, ფრჩხილები, ტერფები, კეფა, საფეთქელი, იდაყვები, მაჯები, ხელისგულები, ნაწლავები, ბალანი, ღვიძლი, ელენთა, ჭიპი... დიდი ბოდიში და – პროჭიც!

გარყვნილება ადამიანის თანამდევია! ამაზე მიუთითებს ბიბლია და იქ მოცემული მკაცრი წესები... მრავალი ცერცეტა ადამიანი წამდაუწუმ პირჯვარს რომ იწერს ფარისევლურად, სინამდვილეში ცხოველივით ცხოვრობს! ძალიან კარგად ვიცი, რას ეუბნება უფალი მოსეს:

„ელაპარაკა უფალი მოსეს და უთხრა:

ვინც თავის დედას და მამას შეურაცხყოფს, უნდა მოკვდეს.

ვინც გათხოვილ ქალთან იმრუშებს, ვინც თავისი ახლობლის ცოლთან იმრუშებს, უნდა მოკვდეს როგორც მემრუშე კაცი, ისე მემრუშე ქალი.

ვინც მამის ცოლთან დაწვება, ორივენი უნდა მოკვდნენ.

ვინც თავის რძალთან დაწვება, ორივენი უნდა მოკვდნენ. სისაძაგლე აქვთ ჩადენილი.

ვინც მამაკაცთან დაწვება ისე როგორც ქალთან წვებიან, სიბილწეს ჩაიდენენ ორივენი, უნდა მოკვდნენ.

ვინც ცოლად ითხოვს ქალიშვილს და მის დედას, ეს გარყვნილება იქნება. ცეცხლში უნდა დაიწვან კაციც და ქალებიც, რომ არ იყოს გარყვნილება თქვენს შორის.

ვინც საქონელთან დაიჭერს კავშირს, უნდა მოკვდეს და საქონელიც უნდა მოკლათ.

თუ ქალი საქონელთან მივა დასაწოლად, სამაკინტლოდ, მოკალით ქალიც და საქონელიც.

ნუ ჩაიცვამს მამაკაცის ტანსაცმელს ქალი და ნუ შეიმოსება ქალის სამოსელით მამაკაცი, რადგან საძაგელია უფლისათვის.

თუ ვინმე ცოლს ითხოვს, შევა მასთან... და ყმაწვილი ქალი ქალწული არ აღმოჩნდა:

გამოიყვანონ ყმაწვილი ქალი მამამისის სახლის კართან და ჩაქოლონ ქალაქის კაცებმა. მოკვდეს, რადგან სააუგო საქმე ჩაიდინა. იმრუშა მამისეულ სახლში.

თუ კაცს გათხოვილ ქალთან მწოლარეს წაუსწრეს, ორივე უნდა მოიკლას – ქალთან მწოლარე კაციცა და ქალიც.

თუ კაცზე დანიშნულ ყმაწვილ ქალს, ქალწულს, ქალაქში ვინმე შეხვდა და დაწვა მასთან;

გაიყვანონ ორივენი ქალაქის კარიბჭესთან და ჩაქოლონ სასიკვდილოდ – ყმაწვილი ქალი იმის გამო, ხმა არ გაიღო ქალაქში, კაცი კი იმის გამო, რომ ძალა იხმარა მოყვასის ცოლზე.

თუ მინდორში შეხვდება კაცი დანიშნულ ყმაწვილ ქალს, დაიჭერს მას და დაწვება მასთან, უნდა მოიკლას მხოლოდ კაცი, რომელიც ქალთან დაწვა.

ყმაწვილ ქალს არაფერი დაუშავო,რადგან ეს იმგვარი საქმეა, გინდა კაცი დასხმოდეს თავის მოყვასს და მოეკლას.

რადგან მინდორში შეხვდა მას, და თუნდაც ეყვირა, არავინ იქნებოდა ქალის მშველელი.

არავინ ითხოვოს თავისი მამის ცოლი და არ გადაუწიოს კალთა თავის მამას".

მკაცრია, ბატონებო, უფალი? აბა, მაშ, ცხოველისგან როგორღა უნდა განგვასხვავონ?

დღეს მთელი საქართველოს უმრავლესი ახალგაზრდობა, გოგო-ბიჭები – სიტყვიერად რომ დედ-მამას უგორდებიან ლოგინში, ამაზე რაღას იტყვით?

იგორა ამან, იგორა და აგერ ახლად გამომცხვარი, წვინტლიანი და ცინგლიანი მომწერლო ელემენტები ამაყად წერენ – დედაჩემი სექსუალურად მაღიზიანებსო და ა.შ.

წეღან რომ ამრიკელი მწველავი ვახსენე, ცოლს რომ ჯიქანს უწვალებს, იმითი იყო სახიფათო, რომ... ამას წინათ, ე.წ. გუდიაშვილის სკვერ-ბაღში ერთმა ქართველმა გოგონამ სახალხოდ ძუძუ „გააძრო", მოიწველა ანუ ავტოჩამოწველა ჰქმნა და იქ მყოფ სექსუალურად აღგზნებულ ყმაწვილებს დააგემოვნებინა...

ვიბოღმები, ვბრაზობ და ვწუხვარ... სიცრუე ადამიანისთვის აუცილებლობად ქცეულა. ყელამდე ვართ ჩაძირული. ცრუობს ყველა... იგი საყოველთაოა. სხვა არსებებს, ვგონებ ეს არ ძალუძთ!

ზეციისკენ ამირბის თვალი. ვითომ ვცოდავ, ამ საკითხს რომ ვუკირკიტებ? განა არ შეიძლება სიცრუის მთქმელს ელვისებურად ცეცხლი ეკიდებოდეს ანდა, სულ უბრალოდ – ყინულივით დნებოდეს? განა არ შეიძლება ბოზობა და კახპობა, – იგივე სექსუალური თავისუფლება აღიკვეთოს?

მეღიმება და ერთი ქართლელი მეტყვევე მაგონდება, არყის სმისას ინატრა – მე რომ ვიყო, ჩათლახობას ერთი ხერხით მოვსპობდი – ქალს იმ მცხუნვარე ნაპრალში, ჩვენ რომ ვიცით, კბილებს ჩავუმონტაჟებდი და ქმრის გარდა, ვინც იქ ცხვირს შეჰყოფდა, უცბადვე წავაჭმევინებდი! აბა, მერე თუ სადმე გაიგონებდით ცოლ-ქმრულ ღალატს, იმასაც გაიგებდითო!

„მე რომ ვიყო", – ვერაფრით ვერ გავიგე რას ნიშნავდა, დანარჩენმა, გიყვარდეს ამახარხარა და ის დღე დამამახსოვრებინა!

ოჰ, ეს ფიქრები!

სოჭშიც არ მასვენებენ!

სოჭი, დღეს, ყველა აქ მყოფს იმდენად ჰგონიათ თავიანთი, რომ... თუ ეტყვი, ჩემია, ქართველებისააო, აუცილებლად ჩაგქოლავენ, შეიძლება დაგაპატიმრონ და პროკურორს გადაგცენ!

აფხაზეთისკენ ვიცქირები. ვიცი საითაც არის, მაგრამ იქ აღარ მიშვებენ. ბოღმისგან ყელი მეძაგრება... ღმერთო, რამდენი ხალხი ისვენებს სოჭში! მეღძვრის კითხვა – ნეტავ ქართველ კაცს ოდესმე ეღირსება დასვენება?

ჩემი ბიძაშვილი, თამარი, ჩემს დანახვაზე, გაოცებისგან შეხტა! ოცდაათი წელიწადია არ მინახავს! ღამე გავათენეთ. მოვიგონეთ უამრავი რამ. ბევრი ვიცინეთ, ცრემლიც გადმოვღვარეთ. გავიხსენეთ ახალგაზრდობა, კისლოვოდსკი, სადაც ჩვენი წინაპრები ცხოვრობდნენ...

დილიდან „მორვაგზალში" ვარ. ასიოდე ქართველია. სამშობლოში ვაპირებთ დაბრუნებას! საბაჟო იხსნება და ბიჭოს – ახალგაზრდა ჭაბუკი რისხვით მეუბნება: მოქალაქე, თქვენ დაარღვიეთ რუსეთის ფედერაციის კანონი – რეგისტრაციის რეჟიმი აღრეულია, ოთხი დოლ-

არი დაინანეთ და ახლა სამშობლოში გარბიხართ? არა და ვერა! არ გაგივათ!.. ყველა გაატარეს. მე დამტოვეს! ვიღაც გულშემატკივარი ჩურჩულით მეუბნება – აიღე 500 მანეთი და მიეციო! რუსული ფული აღარ მაქვს. ოცი დოლარი? კი ბატონო, მაგრამ არა! გაიგეს – მწერალიაო და ქრთამის აღებისა შეეშინდათ! გემში ჩატვირთული ჩანთა უკან მომიტანეს, ახლა უკვე 5000 რუბლს ანუ 200 დოლარს ჯარიმას გადაიხდი და ემიგრაციული სამსახურის მუშაკები მერე გაგიშვებენო... შეადგინეს აქტი. გააფორმეს. ბილეთის ფული დამიბრუნეს და ორი დღის შემდეგ შეგიძლიათ გაემგზავროთ... თუ არა, დეპორტაციას აგკიდებთ, სასამართლოსაც გადაგცემთო! დავიყვირე – არ მინდა სასამართლო, მის გაგონებაზე ელეთ-მელეთი მომდის! მოსამართლეს რომ ვუცქერ, მეშინია, ფეხები მიკანკალებს...

ბიძაშვილმა გადამარჩინა. ნაცნობებს შეატყობინა. სასაზღვრო სამსახური დავამშვიდეთ და ბილეთი 28 აგვისტოსთვის ავიღე! წყენამ აღარ გამიარა! რუსმა „ძმებმა“ ძალიან მაწყენინეს. ბნელი ჩანაფიქრი ჰქონდათ. მიგრაციული სამსახურის უფროსმა ყვირილით ჩამძახა: ჩვენ რა ვიცით რას აკეთებდი რუსეთში, იქნებ ტერორისტული ჯგუფის წევრი ხარო... მწერალთა კავშირის წიგნაკმა მიშველა. ეტყობა იფიქრეს – ქართველები მთელ მსოფლიოს მოსდებენ ამ ამბავსო...

სოჭში ცხელა. აქ მობორიალე ადამიანებიდან უკვე არც ერთმა აღარ იცის, რომ „სოჭი“, თვით სიტყვა, წმინდა ქართულია და წიწვოვანი მცენარის სახელია... აქვეა საკმაოდ დიდი მდინარე სახელად „მზიმთა“. იგი კავკასიონიდან მოედინება, სადაც ერთი დიდი მთაა, უფრო აღმოსავლეთის მხრიდან! აქედან მზე ამოდის. ესეც შენი ქართული სახელწოდება მზის მთა, მზისმთა.. მერე კი, ასო „ს“ დაკარგულა და დარჩენილა „მზიმთა“... ახლა, ამ ნახევრად და მთლად ტიტლიკანა გოგო-ბიჭებს რომ ვუთხრა: მე-20 საუკუნის დასაწყისში სოჭი საქართველოს ეკუთვნოდა და მდინარე მზიმთაც საქართველოშია-მეთქი, ხელში რაც მოხვდებათ, იმითი ჩამიმტვრევენ ნეკნებს... ოფიციალური ხელისუფლება კი, ყალბი ინფორმაციის გავრცელების გამო, რაღაც სასჯელს გამომინახავს.

თვით, ჩემმა ბიძაშვილმა თამარმა, სოჭის შესახებ როცა ჩამოვარდა საუბარი და ავუხსენი საქმის რაობა, გაიოცა – არასოდეს ამისი მსგავსი არ გამიგიაო. არადა, მამამისი, ჩემი ბიძა – მაკარი, 25 წელიწადი იჯდა ციხეში ორგანიზაცია „ქეთოს“ წევრობის გამო... როგორც ჩანს შვილს ვეღარ ასწავლა ვეღარაფერი და ამას, „ქეთომ“ – ქართველი ერის თავისუფლების ორგანიზაციამ, ვერაფერი უშველა!..

მარიამობა დღე გათენდა. ჩინებული დღეა. „კომეტა“ თავისუფლად ივლის ბათუმამდე. როცა ღელვაა, თურმე 10-12 საათს უნდება გზას. ვლოცულობ და ვემზადები რუსეთის საბაჟოსკენ წასასვლელად. უკვე მეორე ცდაა, ვგონებ, დღეს მაინც გამიშვებენ. სახლი მენატრება. ვიცი, ჩავალ, ტელევიზორი უმალ შემომბღავლებს – რუსმა ოკუპანტებმა ვიღაცა გალახეს, ძროხები მოიპარეს, ტანკი დაქოქეს, მესერი გადაქელეს, წამდაუწუმ ისვრიანო...

ერთი კითხვაა მთავარი – ქართველები როდემდე შევეგუებით ისტორიული მიწა-წყლის განკარგვა-გასხვისებას და როდემდე ვიქნებით იმედით, რომ ჩვენ მომავალში აუცილებლად დავიბრუნებთ? განა ერთი მტკაველი მაინც, ოდესღაც წაგლეჯილ-წართმეული, დაგვიბრუნა ვინმემ? დღეს, დარიალში, მამისონზე, პირიქითა, ხევსურეთში, მესხეთ-ჯავახეთში, ქვემო ქართლში იმდენი პრობლემაა, რომ ჭეშმარიტი ქართველი შეიძლება ჭკუიდან შეიშალოს... მაინც, რომელია რიგში? სამხრეთი თუ დასავლეთი? ჯავახეთი თუ სამეგრელო?

განა ზვიად გამსახურდიამ ჯერ კიდევ კომუნისტების ეპოქაში არ დასვა რამდენიმე საკითხი? გავიხსენო?... „ოსთა საკითხი“, „აფხაზთა საკითხი“, „სამეგრელოს საკითხი“... აქვეა აჭარა და ახლა უახლოესი „დიდი ძმა“ თურქეთი... თვალი მსახვრალი ჩვენს მიწებზეა მობჯენილი. იმედოვნებენ, რომ საქართველო მაინც განწირულია და თითო ნაჭერი იქნებ ჩვენც დავითრიოთო! დიდი იმპერიები დიდ ნაწილებს გვართმევენ, პატარ-პატარა ქვეყნები და ნარჩენებს ელოდებიან! მტერ-მოყვარეს ვეღარ ვარჩევთ და მხოლოდ წმინდა მარიამის იმედზეღა ვართ... ამ ორი კვირის მანძილზე, ჩემდამი, როგორც კავკასიელისადმი, კვლავაც ვიგრძენი უღრმესი სიძულვილი... ხმადაბალი დაფარული ანტიპათია, მაგრამ... ჩინებულად ვგრძნობ, სისხლითაც, სულითაც, საკუთარ მიწაზე სიკვდილი სჯობს და სანატრელიცაა...

„კომეტა“ მიაპობს ტალღებს. ზღვას ნაპირ-ნაპირ მიუყვება. კარგად ვცნობ დასახლებულ პუნქტებს. ბოგურაზე ვდგავარ და გავცქერი აფხაზეთს. მაგონდება გალაკტონის ცნობილი ლექსი. ბრუნავს და ბრუნავს: „გამარჯობა აფხაზეთო შენი!“ წყნარად, ჩუმად, უპრეტენზიოდ ჩამომდის ცრემლი... ვიღაცა ხელით მეხება – ძმაო, შემოდი, ჩვენც ქართველები ვართ, ბუფეტში მცირე სუფრა გავშალეთ, თითო ჭიქა ავწიოთო... ძალაუნებურად დავყევი მის ნებას. რუსეთიდან მომავალი ბიჭები არიან! ჩუმად მიცქერენ. უკვე ყველამ იცის, რომ მგლოვიარე ვარ და თამადა წყნარად

მეკითხება – გვითხარი ძმაო, გაგვიზიარე შენი უბედურება, ჭიქა წავუქციოთ, ახლობელი გარდაგეცვალა როგორც ჩანს... თავს ვუქნევ, ვეთანხმები, რომ მართლაც ჭირისუფალი ვარ... არაყმა უფრო გამათბო... მასპინძლები ვედარ მიბედავენ, მკითხონ – მაინც ვინ მომიკვდა და რამდენიმე სადღეგრძელო ჩვენი წასულებისა ხმიანდება! არადა, არ იციან, ნამდვილად არ იციან, რომ მათ მაგიერაც მე ვარ მგლოვიარე... თუმც, რომ ვუთხრა, მიწა-წყალს დავტირი-მეთქი, ყველაფერი აყირავდება, შეიცვლება და იქნებ გიჟადაც ჩამთვალონ! იყოს ასე, როგორც არის, დაე ეგონოთ, რომ მე ახლობელი ადამიანი მომიკვდა...

კვლავაც ბოგურაზე გამოვედი. ზღვის სანაპირო, მაშასადამე აფხაზეთი, აღარ მოჩანს, ახლა მხოლოდ იგულისხმება... კი, რა თქმა უნდა, ვარ ჭირისუფალი, მაგრამ არ მავიწყდება, რომ ჩვენს მამა-პაპას, ტრადიციულად – კარმიდამოს შემოვლებულ ღობეში, იმდენი ჭიშკარი ჰქონდა, რამდენი მეზობელიც ჰყავდა!

უცნაურმა, განუზომელმა დარდმა უცბად მაქცია „კომეტაზე“ სიტყვით გამოსულ ორატორად და იმ მიწა-წყლისკენ, მე რომ მენატრება, სადღეგრძელო მივმართე! ამაღლებულია ჩემი განწყობა და სიტყვებიც ომახიანია!

დიახ, ბატონებო! მეზობლებთან დამდურების შემდეგაც არ შეიძლებოდა სამეზობლო ჭიშკრის ამოქოლვა, აჭედვა, გაუქმება, რადგან იცოდნენ – ადრე თუ გვიან, შერიგდებოდნენ და იგი ისევ დასჭირდებოდათ!

დღეს საქართველო ოცდამეერთე საუკუნის სამყაროს წინაშე დგას და კაცობრიობის დიდ ოჯახში კუთვნილ ადგილს ითხოვს!

ჩვენმა ქვეყანამ უმძიმესი გზა გამოიარა და მრავალჭირნახული ცხოვრებით, თავისი მარტვილობით, უფლის უზენაესი ყურადღება დაიმსახურა!

ქართველი ხალხი, უპირველესად, თვითგანწმენდის ბილიკებით არსთაგანმრიგის სიმშვენიერეებისკენ მიემართება!

ამისი ბრწყინვალე დადასტურებაა – კასპის რაიონში მდებარე ერთი, ოდესღაც მოქმედი ეკლესია, სადაც უცნობ ქართველ ხატმქმნელს წმინდა გიორგის ფრესკა გამოუსახავს!

მისი სახელწოდებაა გველდეზის წმინდა გიორგი!

აქ, ერთ-ერთ კედელზე გამოხატული წმინდა გიორგი, ბედაურზე არ გახლავთ ამხედრებული – რაც პირველივე დანახვისას დიდ გაოცებას იწვევს!

აქ, წმინდა გიორგის არ უკავია შუბი – რაც მეორე გაოცებაა!

აქ, არ ჩანს მიწაზე განრთხმული, განგმირული გველეშაპი – რაც უკვე მესამე საკვირველებაა!

წმინდა გიორგი დგას მიწაზე, მარჯვენა ხელის მტევნიდან ჩამოცურებულა მსხვილი, დიდრონი გველი, მოკეცილა დაბლა და მხედარი დეზასხმული ფეხებით თავს უჭყლეტს ქვეწარმავალს!

სწორედ აქედან მომდინარეობს ეკლესიის სახელწოდებაც: გველი და დეზი, გველდეზის წმინდა გიორგი!

საინტერესოა – რა ჩაიფიქრა, რა გვიქარაგმა გამბედავმა ხელოვანმა – მან ხომ უმიზეზოდ არ დაარღვია წმინდა გიორგის ფრესკის კლასიკური, დამკვიდრებული სახე, ფორმა და შინაარსი?

მაინც, რა გამოცანა დაგვიტოვა ჩვენთვის უცნობმა მხატვარმა?

პასუხი ამ კითხვებისა, ერთდროულად, განსაცვიფრებელია, ამაღლებულია და აღმატებულია!

აშკარად, თვალნათლივ გვეუბნება გველდეზის წმინდა გიორგი, რომ ადამიანმა, უპირველესად, საკუთარი თავიდან, საკუთარი არსებიდან, საკუთარი წიაღიდან უნდა გამოდევნოს ადამიანური ყოველი ცოდვა! უნდა შეებრძოლოს! უნდა გაუსწორდეს! უნდა გაიმარჯვოს! უნდა ამაღლდეს!

და, მხოლოდ ამის შემდგომ მიეცემა ღვთისგან მომადლებული უფლება – სხვათა დარიგებისა! სხვათა სწავლისა!

განწმენდილი ადამიანის გზა კი დანახვისის უდიდესი მადლითაა ცხებული!

რაო, ძმებო, მოგეწონათ ჩემს მიერ წარმოთქმული სადღეგრძელო? რაო, ცუდი თამადა ვარ ამხელა ზღვაში? როგორ ჟღერს გამოთქმა – „ზღვის თამადა“? მთელს შავ ზღვაზე ამ წამს ხომ ვარ ქართველი და ხომ ვთამადობ ძველებურად?

აი, ჩემი მოკრძალებული, სათამადო პასუხი იმისადმი, ვინც დილაადრიანად ჩამომძახა და კითხვა დამისვა – რას ფიქრობო!

ვფიქრობ, ბატონო ვფიქრობ და... განა მხოლოდ მე ვფიქრობ? აბა, ნახეთ, მთელი ჩემი ქვეყანა როგორ ბორგავს და თავის კუთვნილს ითხოვს უსასრულოდ!

ვფიქრობთ! ვფიქრობთ უსასრულოდ...

და მტერსაც არ ვუსურვებ იმას, რასაც სინამდვილეში ვფიქრობ...

ᲚᲘᲠᲘᲝᲜ

ᲚᲘᲠᲘᲝᲜ ᲛᲔᲪᲠᲔᲕᲚᲘ

* * *

შეხე, მზე უკვე ნამქერებს ალხობს,
შეხე, იღვიძებს მთელი ქვეყანა!
მიტოვებულო ბავშვობის სახლო,
ეს გაზაფხული მოვა შენთანაც

და აივანზე სხივი დამდგარი
ათინათს მოჰფენს კიბის ხვეულებს,
შენ კი არ გახსნი კარს და ფანჯარას,
არც წითელ საბნებს გაამზეურებ...

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲣᲤᲚᲘᲡᲬᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲝᲚᲝᲒᲘ

რა ამოძირკვავს ამდენ ბაობაბს,–
ყველგან გაიდგეს უკვე ფესვები...
კანით კი არა, ამ ჩემს პლანეტას
ღია ჭრილობით თითქოს ვეხები

და მაინც ვტოვებ: გამიწყრა ვარდი,
სხვაგან კი იქნებ ბედსაც ვეწიო,
იქნებ მოვძებნო უცხო პლანეტა,
ამაზე უკეთ რომ დავეტიო.

დავდივარ, ვხვდები: შინა სჯობს ყოფნა,
არც იდილია არსებობს სრული...
ვიმეტებ სხეულს, გიტოვებთ სხეულს,
რომ ისევ ვარდთან გაფრინდეს სული.

* * *

“ხმა არ გავიდეს!” – გული ჩავრაზე.
ნერვებს ეხება ტკივილის ხემი.
ასე მგონია, ამ ქვეყანაზე
აღარაფერი არ არის ჩემი.

არც რამ საქმე და არც რამ საუნჯე,
არც სიხარულის ლამაზი ელდა,
მხოლოდ სამშობლო, რომელსაც უკვე
აღარაფერი არ უნდა ჩემგან.

ცოლის პასუხი

("შემომეყარა ყივჩაღის" მიხედვით)

შემოგვეყარა ყივჩაღი,
ჩემზედ მოგიხდათ ცილობა...
ეს მერამდენედ დაგღუპა
ქართულმა ზნეკეთილობამ.
პური მოგთხოვა – აჭმიე,
ღვინო მოგთხოვა – შეასვი,
მანაც თავისად იგულა
შენი ყანა და ვენახი.
ხელ წამატანა ურცხვადა,
მეც მიმიჩნია თავისად.
ხმალი იშიშვლე – დაგასწრო,
იქვე შენი მზეც ჩავიდა.
მაინც მოასწარ, უწვდინე,
სისხლი ჩანჩქერად დიოდა,
მიწა მოფხოჭნა ყივჩაღმა,
ცხრაგან ჭრილობა სტკიოდა.
ორივემ სული დალიეთ,
ცრემლი მილტობდა წამწამებს...
მე არავისთან წავსულვარ,
ცილი ტყუილად დამწამე.
სახე – მზიანი, სამზეო –
შავი მანდილით ვიფარე,
ათასი წელი გიგლოვე,
მაინც ვერ გადაგიყვარე.
ათასი წელი გეძახდი,
ცაში ლეგენდად წასულო,
ახლა კი ეჭვი შემიჩნდა,
რაღაც ცუდ სიზმრებს ვნახულობ:
შემოგვეყარა ყივჩაღი,
საცაა, გამინაპირებს...
შენ კი სიკვდილის გეშინის,
ხმლის მოქნევას არ აპირებ.

მრავალი ქართველის ნაცვლად

შენ გეუბნები,
მომისმინე, ჩემო ქვეყანავ:
ხან ჯავარდნების ელვარებავ,
ხან – მგლის არჩივო,
ხან – მოკამკამევ,
ხან – ავდარში ზღვის მღელვარებავ,
შენ – ერთადერთო
სიყვარულო ჩემო ცალმხრივო!

შენ გეუბნები,
მომისმინე, შენი შვილი ვარ,
ნდობით რომ გიცქერ,
გამიმართლე ერთხელ იმედი,
როცა შენ გაწვიმს,
მეც ისეთი მოწყენილი ვარ...
გასრესილი ვარ
შენი ხვედრით, ასე მძიმეთი.

წარსულში მყავდი?
მომავალში ისევ იქნები?
აღარა მჯერა, –
უიმედოდ რაღამ მაცხოვროს?
შენი აწმყო ვარ, –
სიყვარულზე უარს ნუ მეტყვი,
მე ახლა ვარ და
ახლა მინდა, მქონდეს სამშობლო.

* * *

ქარი არ ქროდა. არ ირხეოდა
შეუფოთლავი ბუჩქების ფარდა.
იის მშვიდი და ლურჯი ნათება
დაგვიანებულ სიყვარულს ჰგავდა,
რადგან ორივეს წილად ხანმოკლე
და მშვენიერი სიცოცხლე ერგო.
არა ჰყვაოდა უკვე ენძელა,
არც ყოჩივარდა შვენოდა ფერდობს.
ეს – მე ვდარდობდი იების ბედზე,
მე მივტიროდი წამებს ჩავლილებს,
თორემ ფერდობი წინასწარ გრძნობდა
მკერდზე ამოსულ სულ სხვა ყვავილებს.

გულუბრყვილო ფიქრები საქართველოზე

რა სულ ზღაპრები მახსენდება
შენზე ფიქრისას...
რა ვქნა, ის ჩიტი მგონიხარ ახლა,
მელა რომ დასდევს,
ერთი ბარტყი გადმომიგდეო.
შენც უყრი ბარტყებს სათითაოდ,
აჭარბებ კიდეც –
მელას უგდებ ბუდის ნაგლეჯსაც
(ზედ კუდიც კი არ დაეტევა,
რაში სჭირდება?!).
ორი ნაგლეჯი, ბარტყებითურთ,
სულაც ჩემ თვალწინ,
აგერ ახლახან გადაუყარე:
აფხაზეთი, ცხინვალის მხარე...
თუ გიფიქრია,
რა დაგრჩება, რადა დაგრჩება?!
... ...
ხანაც მგონია,
შეეცვალა ფაბულა ზღაპარს –
შენ სწავლობ
ბარტყის გადაგდებას
უფრო "ლამაზად"
(მასშტაბი სხვაა და სინდისიც
ნაკლებად გქენჯნის):
ბარტყები დედას
უკვე სხვაგან ეძებენ თვითონ
(ან ეშინიათ, ანდა აღარ/არ გენდობიან!).
ნაწილიც თვითონ გადაყარე
იქვე, ხის ძირში
(როგორც გგონია,
უფრო ნორჩთა გამოსაკვებად).
თუ გიფიქრია,
ვინ დაგრჩება, ვინღა დაგრჩება?!
... ...
შეკითხვები მაქვს – პასუხს ვერ მცემ,
გზას ვერც მე ვხედავ.
მაინც შეკითხვით დავამთავრებ:
– იქნება იცი,
"ცხოვრობდნენ დიდხანს, ბედნიერად"
როდის იქნება?

"კაცი ბჭობდა და..."

შენ იცინოდი,
დედაჩემმა რომ გამაჩინა
და რომ ეგონა,
ჩიტის რძეც არ
მომაკლდებოდა:
ათას განსაცდელს
გადავყრიო,
ამბობდი გულში.
შენ იცინოდი,
როცა მართლა
ყველა მიყვარდა:
ადამიანებს გაგაცნობო,
ამბობდი გულში.
შენ იცინოდი,
როცა ლექსებს
ვიზეპირებდი:
ლექსით ცხოვრებას
განანებო,
ამბობდი გულში.
შენ იცინოდი...
მე ვცხოვრობდი
და არ ვნანობდი,
რადგან სიყვარულს,
ლექსს, განსაცდელს
მოვყავდი შენთან.

* * *

ღამით გაანდობ საბანს და გობანს,
რა უკუღმართი არის სოფელი,
გაკრთება გულში შიშველი გრძნობა,
სიტყვის ტანსაცმლით შეუმოსელი.
დილით კი, რაკი პოეტი გქვია,
ამოუმშრალებ ცრემლიან თვალებს,
ნაწნავს დაუწნავ, კაბას ჩააცვამ,
გამოპრანჭავ და გაუშვებ გარეთ.

ᲚᲝᲪᲕᲐ ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲔᲡᲗᲐᲜ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡᲐᲡ

შენ დაიფარე, ღმერთო, ეს გოგო,
მზე ჩამოჰკიდე ყელზე თილისმად...
ჩვენს თამაშებში ეკატერინეს
ყოველთვის ჩემზე მეტი შვილი ჰყავს.

შენ შეეწიე, ქართველია და
მძიმე ცხოვრება ერგო ისედაც...
ჩვენს თამაშებში ეკატერინე
აუცილებლად არის პრინცესა.

გზა გაუკვალე, სხვა თაობების
შეცდომებს ნუდარ გაიმეორებს...
ჩვენს თამაშებში ეკატერინე
სულ პირველია, მე ვარ მეორე.

შენ დაეხმარე, შეაძლებინე,
არ გადაცვალოს ოქრო ჩალაზე...
ჩვენს თამაშებში ეკატერინე
მუდამ იმარჯვებს ბოროტ ძალაზე.

შენ დაიფარე, ღმერთო, ეს გოგო...

ᲐᲠᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲡᲝᲜᲔᲢᲘ ᲒᲣᲚᲡ

ისე ფეთქავდი, რომ სხეული მექცა აირად
და სიყვარული მიმოფანტა ქცევის კოდექსად...
მოვა სიბერე და გავხდები სულ სხვანაირი,
გამიკვირდება, რა მინდოდა შენგან ოდესღაც.

ხოლო შუაში – აწმყო დროში – რას ფიქრობ, გულო,
რით მოგეშველო, რა გიწამლო, რა გისალბუნო?!
არ მეტკინო-თქო, გიფრთხილდები და არ კი გისმენ...

ნუ დაუჯერებ გონების ხმას, მოდას აყოლილს
და საკუთარი თავისაკენ გზები გამიხსენ,
უწინდებურად გახდი ჩემი ბატონ-პატრონი!

ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲐ

ერთგულ მსმენელად მაინც გამიხდი
და შემოდგომის გიამბობ ამბავს:
ეჭვის და ვნების სამოსს გავიხდი,
მშვიდი სინაზის ჩავიცვამ კაბას;

არც სიცხით დაგწვავ, არც შეგაცივებ,
გამოგარიდებ ქარს, გულის მმუსრავს;
ჭრელი ფოთლების ფარდაგს დაგიგებ,
მწიფე ნაყოფით აგივსებ სუფრას;

კუნელის ბუჩქებს ცეცხლად აგინთებ,
თრიმლის ფოთლების დაგადგამ გვირგვინს,
ჩაგკიდებ ხელს და დაისის მზისკენ
ჰორიზონტამდე შენ გვერდით ვივლი.

...მაინც ზუზუნებს ფიქრი ისრებად:
ვიცი, ოდესმე დადგები, წამო,
როს ჩემი ოქრო ვერცხლად იქცევა
ჩასაფრებული დეკემბრის გამო.

კორბოულის გვირილები

თითქოს მიწაზე ათასობით დავარდა ხომლი,
თეთრად მბრწყინავი სისუფთავის სუნი ტრიალებს,
გზად მოფენილი გვირილები – ივნისის თოვლი,
ახლოს თუ მიხვალ, ყვითელ მზეებს ააბრიალებს.

მწვანე მინდორზე უამრავი სანთლის ნათელი –
ქარს აყოლილი გვირილების თეთრი ფანტელი.

დედოფლის მონოლოგი

მე სულ მეგონა, იმისათვის გაჩენილი ვარ,
ცად ვიფრინო და მერცხალივით შევკრა კამარა.
... გამადედოფლეს და ამქვეყნად დარჩენილი ვარ
ხან ჭკვიანი და ხან უჭკუო მეფის ამარა.

კარის პოეტთა მე ვარ მუზა და შთაგონება,
გარს მეხვევიან რაინდები, სეფექალები,
გულს მაინც მაწევს კაეშანი და მაგონდება
ჩემი რჩეულის ღამესავით შავი თვალები.

დედოფალი და ბედნიერი? – არ დაიჯეროთ,
ოქროს გვირგვინქვეშ იფერფლება ჩემი სინაზე,
სხვებს შეუძლიათ, სიყვარულით გული იჯერონ,
მე – ვალი მადევს სამშობლოს და მეფის წინაშე.

ირგვლივ ირევა უამრავი ცრუ და ორპირი,
თავს ვიიმედებ, რომ იქნება ბოლო კეთილი,
ზოგჯერ სიცოცხლეს ვეთხოვები უარყოფილი
და მიყრუებულ მონასტერში გამოკეტილი.

აქ, სასახლეში, დაუნდობლად იღვრება სისხლი,
სანატრელია გამოწვდილი ხელი მეგობრის,
ქვეყნად დედოფლის გვირგვინისკენ მრავალი ილტვის
და ცოტამ იცის, რა მძიმეა ტვირთი დედოფლის.

შ ო შ ო ფ ს

"შოშოფი[1] მწყერისფერია" (ბებიაჩემისგან გაგონილი ანდაზა).

არა და აღარ მომცილდი,
გაიჯეჯილე, გალაღდი,
როგორ მწყერისფრად მოფრინდი
ამ ჩემი პურის ყანაში.
როგორ გაყუჩდი მწყერივით,
როგორ ამრავლე ჩოჩრები,
მთელი სიცოცხლე ჩაივლის,
სანამ შენზე ფიქრს მოვრჩები.
შოშოფო, ხეზეც არ ჯდები,
რომ დაგინახო წინასწარ...
ფეხქვეშ სად ამიფრინდები,
სადა ხარ, რა ხარ, ვინა ხარ?!

[1]უეცარი ფათერაკი (რაჭ.)

* * *

გამივლია გაუკვალავ გზაზე,
კაბის კალთას მოსდებია ეკალი,
სიყვარული სასოებით ვზარდე,
უპასუხოდ ნეტა არ მოგეკალი.

ვუსეტყვივარ ყვავილების სეტყვას,
თოვლის ფიფქთა დამიგია ზეწარი,
მიცოცხლია, რათა შენთვის მეთქვა,
რომ ხარ ჩემი უფსკრულიც და ზეკარიც.

გავლუმპულვარ გაზაფხულის წვიმით,
მთის ბილიკებს გავყოლივარ გვიმრიანს
და, შიგ გულში მოცახცახე სიმით,
შენი სევდის ლაბირინთში მივლია.

დამეწევა შეღამება გზაზე,
შიშველ ხელებს დამიკაწრავს ეკალი,
რაც მე შენთვის ია-ვარდი ვზარდე,
მარტოობით ნეტა არ მოგეკალი.

ტირიფი და მდინარე

შენ აქა დგახარ, ის კი მოდის, ახალი მარად,
იმდენი რამე უნახავს და იმდენი იცის,
რომ არაერთი სიცოცხლისთვის საგზალად კმარა...
ხან იქუფრება, ხანაც გაფრქვევს კენჭების სიცილს.

გელამუნება ხან ფესვებზე მისი შხეფები, –
თითქოს ჩიტები ჭიკჭიკებენ გულის კარებთან,
შეგეშინდება ხანაც ცივი ტალღის შეხების,
ატირდები და ელოდები გამოდარებას.

"ერთ მდინარეში ორჯერ შესვლა არ შეიძლება",
წავა, სხვა ხეებს შეახვედრებს ჟამი ფრთამალი,
შენ მაინც გიყვარს, რადგან მასში აირეკლება,
რა ლამაზია ჩამოშლილი შენი დალალი.

* * *

– ვაი თებერვლის ბრალიო, –
მარტს უკვე გულში უდევს,
ხის ძირას რილო-ჭრილოა,
ხეზე – შოშიას ბუდე.

ცოტაც და, დედა შოშია
თავს დასტრიალებს, ვხედავ,
უსუსურ ბარტყებს ბუდეში.
მეც ცოცხალი მყავს დედა.
ჰო, იმ შორეულ ზღაპარში
მეც ცოცხალი მყავს დედა.

* * *

ვინ დაუჯერებს ლექსებს და ლოცვებს, –
ცხადში ერთმანეთს შეგვაჯერებენ...
სიტყვებით ვხატავ საკუთარ პორტრეტს
და შენა გჩუქნი მერამდენეჯერ,
რომ მიხვდე: მე არც მტრედი ვყოფილვარ,
არც განაბული ყანაში მწყერი,
მე აწეწილი სულის ქრონიკას
არ ვალამაზებ და იმ დღეს ველი,

როს მტრედი წერილს დაკარგავს გზაში,
გაგიფრინდება მწყერი მწყაზარი, –
მე გზას გავიკვლევ ნისლიან ცაშიც
და მეყვარება შენი ზამთარი.
რომ არ დამესხას შიმშილით რეტი,
საკენკს დამიყრი კვლავინდებურად,
გაგახსენდება ჩემი პორტრეტი
და მიმამსგავსებ ერთგულ ბეღურას.

ზამთრის დაისი

1

ახლა დაისი ზღვას ისე შვენის,
ვით აპრილს – ია, ქორწილს – მაყრები.
ბილიკზე დაყრილ გამხმარ წიწვებში
მივაბიჯებ და შენ მენატრები.
მახსოვს, წლების წინ ჩამავალ მზითაც
იმედის ძაფი მსურდა დამერთო...
მაშინდელ ზაფხულს, ახლანდელ ზამთარს
უშენობა აქვთ მხოლოდ საერთო.

2

ცასა და ზღვას შორის საზღვარი
აღარ ჩანს. ზღვა ერწყმის ცის ფერებს.
ღრუბლებში ოქროა დამდნარი.
ბატები ორ მწკრივად მიფრენენ.
დღე-ღამის შეყრის დრო დამდგარა.
დაისი დგას გულის წამღები.
მარმაშის არშიის მაგვარად
ნაპირს ეხლებიან ტალღები.
ხმაური არასდროს მორჩება
ტალღების. ხოლო მზე უტყვია.
ერთ ლექსში ასახლებს ოცნება
ამ ორ პერიოდულ ფუნქციას.

3

აღმოსავლეთით კუნძულებად ჩანან ღრუბლები,
დასავლეთისკენ – ცეცხლის ენებს აბრიალებენ,
თანდათანობით იძირება ბინდბუნდში კონცხი,
თავს თოლიები უნუგეშოდ დასტრიალებენ.
უზარმაზარი კუს ბაკანს ჰგავს ლოდი ყურეში,
ზღვას გარდიგარდმო მზის ბილიკი ატყვია დამღად,
ისევ მიქცევა-მოქცევის ხმა მესმის ყურებში
და ბალერინას კაბის ბოლოდ იშლება ტალღა.
ნაპირზე რჩება კვალი სველი და ოკრო-ბოკრო.
ბათუმის მიღმა კვლავ იფრქვევა ცეცხლი და ოქრო.

4

ზებრა – ოღონდაც ყვითელი და
რუხი ზოლებით,
ანდა ორფერა ცისარტყელა.
შოლტები ცეცხლის,
დაყოფილი ტიხარით ვერცხლის
დავარქვათ თუნდაც
სურათს ცაზე შებინდებისას.
მას არაფერი გაეგება ჩვენი ვნებისა.
დაიხატება და გაქრება კვლავ უსახელოდ...
მეც მეტი რა ვქნა,–
ლექსი უნდა წამოვაშველო.

* * *

ევედრებოდი, ამ კარ-მიდამოს
ნუ მიიჩნევდა მხოლოდ ფართობად...
კუნელის ბუჩქთან ერთად ეზოში
ამოიძირკვა შენი ბავშვობა.

ევედრებოდი და არწმუნებდი:
გამხმარი ტოტი არ იყო შეშა
და რომ ეს ტოტი მაშინდელ ფოთოლს,
მაშინდელ ყვავილს ისხამდა დღესაც.

ევედრებოდი... მაგრამ – უსულომ –
არ ისმინა და არ გაიგონა
და კუდიანებს ვერ აფრთხობს უკვე
იმდროინდელი ჭიაკოკონა.

სიყვარულის გზაზე

ბევრი ეკალი, ძეძვი და ბარდი
და გული, სიყვარულისთვის ღია...
ჰო, არ არსებობს უეკლო ვარდი,
მაგრამ არსებობს უეკლო ია.

ყველაფერს ბედსაც ნუ დააბრალებ,–
ცად ღრუბელმა რომ გადაიკაროს,
იქნებ უეკლო იას დასჯერდე,
მორცხვი სილურჯის ფლობა იკმარო.

* * *

როცა რაიმე არ იცი,
უხერხულობას ისე საყვარლად გამოხატავ,
დარწმუნებული ვარ,
თავის დროზე ვერც ერთი მასწავლებელი
ორიანისათვის ვერ გაგიმეტებდა.

სიყვარულს

მზე ეფერება მწიფე თავთუხებს...
მე შენზე ვფიქრობ:
– საით მიდიხარ?
რომ აღარა ხარ, ეს არ მაწუხებს,
იმას ვდარდობ, რომ აღარ მინდიხარ.

* * *

არც კი ვიცოდი, რა იყო დაღლა,
ვიხლიჩებოდი სურვილებს შორის,
ღმერთი კი იყო ძალიან მაღლა,
ღმერთი კი იყო ძალიან შორი.

...და ვერსად ვპოვე თავშესაფარი,
თავი მგონია ყველგან ხიზანი.
იქნებ მანიშნო, ღმერთო, რა არის
ჩემი ამქვეყნად მოსვლის მიზანი.

მოთხრობა

სიკო, მთავარი ფრონტის ჯერჯერობით რიგითი

გულო კობიაშვილი

ვახტანგი, ბებერ, მართალია, გამხდარს, ბუმბულშემოძარცულს, მაგრამ მაინც, არწივს ჰგავს; ყარამანი, ყარამანის გარდა ყველაფერს, უფრო ზუსტად, გაქუცულ ძერას წააგავს, სიკოს თვალებიდან კი პირწავარდნილი ეშმაკი ვირთხა იყურება გაფაციცებით.

სამივე სადილობს.

ვახტანგი მამაა ყარამანის, სიკო – ძე ყარამანისა.

ბებერი არწივი ორიოდ ლუკმით კმაყოფილდება, თვალს არიდებს მწირ სუფრას და ისევ ტელეეკრანზე გადააქვს მზერა. სიკო და ყარამანი ისეთი გააფთრებით ატრიალებენ ყბებს, გეგონება, ერთმანეთი შეჯიბრში ჰყავდეთ გამოწვეული. ფინიშთან სიკო მიდის პირველი, ბოლო ლუკმასაც ის ეუფლება და ტრაპეზიც მთავრდება.

ეკრანზე ომს უჩვენებენ. ღმუილით დაჰქრიან ცაში უახლესი ტიპის ამერიკული ბომბდამშენები, ცეცხლი და კვამლი ასდის დაჭრილ და დაზაფრულ მიწას.

ვახტანგი გმინავს, ახსენდება მეორე მსოფლიო ომი, რომლის მონაწილეც თვითონაა. ლევანი ახსენდება, ოციოდე წლის თვალებმერცხალა შვილი, მამის დაბრუნებას რომ არ დაუცადა და ისე გავარდა თვითონაც ფაშიზმის წინააღმდეგ საომრად. სულხანი ახსენდება, უნიჭიერესი შვილიშვილი, ისიც ბიძასავით უკვე მარად ოცი წლის, აგერ, სულ ახლახანს რომ დაეცა ტამიშთან საყვარელი სამშობლოსათვის.

– არ გევასება ჩემი ნაშოვნი მაყუთით ნაყიდი კაი თოხლი და იცმუცნე აბა თაგვივით, ასე. შენ იკითხე, თორემ, მე კი დავგაზავ ისედაც აქედანვე რესტორანში, – ესისინება მხოლოდშობილი ძე ყარამანს, – შენ კიდე, აღარ მოგწყინდა ამ ბათქა-ბუთქის ყურება, ტო?! ახლებურად შეხედე ცხოვრებას, დატკბი, რა, დატკბი, სანამ კიდევ გაქვს დრო: კინო, მუსიკა, რამე... დაიწყნარე, რა, ნერვები! – თავზე ადგება ვახტანგს და ტელევიზორს უბოდიშოდ რთავს რომელიღაც არხზე, შიშველი ქალი და კაცი მრუშობენ კვნესა-გმინვით როკმუსიკის ფონზე, – აი, ეს მესმის, ჯობია, რამე ამის ცქერას?! გამოდი, რა, გამოიბერტყე ყურები, რომელი საუკუნეა, ჩემი! ყარამანს, ერთ დროს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების თავგადაკლულ დამცველს, რომელიც დემონსტრაციებისა თუ დროშის ფრიალისგან მოცლილობის ჟამს აღტაცებით უყურებდა ხოლმე უცხოეთიდან მოზღვავებულ ფილმებში გადმოფრქვეულ თავისუფალი ცხოვრების ამბებს, ამჟამად ჭირისდღესავით სძულს არა მარტო ასეთი ფილმები, არამედ მთლიანად ტელევიზორიც მის ეკრანზე გამობღენძილ თავისუფლად მოაზროვნე პოლიტიკოსებიანად

და აქვს კიდევაც საამისო მიზეზი: საკუთარ თავზე გამოსცადა დემოკრატიისა და ადამიანისათვის მინიჭებული უსაზღვრო უფლებების ძალა. ქმრის იდეებით ფრთაშესხმულმა ცოლმან ყარამანისამ, ფილმებიდანაც და ჟურნალ-გაზეთებიდანაც კარგად შეისისხლხორცა თანამედროვე ცხოვრების ანი და ჰოე და ერთ, თავისთვის ჯერ-ჯერობით დიახაც რომ მშვენიერ, ყარამანისთვის კი ძალიანაც არამშვენიერ დღეს, ცოლად დაუჯდა თავისზე სულ რაღაც ოცდახუთიოდე წლით უმცროს, საუნა «პანდორას» მეპატრონე ვინმე ჰარი ხირიმაშვილს. ხოლო ჰარიმ, დაბადების მოწმობით გოჩა რომ გახლდათ, იმის მაგიერ,ოდნავ მაინც ეგრძნო სინდისის ქენჯნა, დასტურ, არა მარტო დაიცვა თავისი უფლება,ყარამანის ფეხიც ზედ მიაყოლა შენაძენს. ფეხი,რაღა თქმა უნდა, თან არ წაუღია,პატრონსვე დაუმაგრეს ექიმებმა თაბაშირით, მაგრამ ამას საყარამანო სხვა უბედურებაც დაერთო თან. გუდამშიერი სიკო, აქაოდა, გოიმი კი არა, თანამედროვე ახალგაზრდა ვაარ, ახალი იდეებით აღზრდილიო, მეორე დღესვე ეწვია ფულით სავსე თანატოლ მამინაცვალს, სიხარულით გაეცნო და ისეთი ჟინით შეუდგა მეგობრობის გაჩაღებას მასთან ერთადერთი სიმდიდრით, ვერცხლის ცალი საყურით, ყარამანი კი არა, ახლა უკვე მთავარი მოქმედი გმირი, დედა მირაშკაც შეჩქვიფდა და თანაც კარგა გვარიანად.

სამზარეულოდან მისაღებ ოთახში გასულ, ტელევიზორს განრიდებულ ვახტანგს არც შეუხედავს, რომელ ტალღაზე იყო მაჩვენებელი დაყენებული, ისე ჩართო რადიო და მოულოდნელობისგან გაშეშდა. ენით უთქმელ, უწმაწურ, ბილწ და ლირწ სიტყვებს სეტყვასავით აფრქვევდა ვიღაც კაცუნა... წუთში, ღორივით და თანაც ქილიკ-ქილიკით გადაუარ-გადმოუარა ყველაფერ ქართულს, ყველაფერ ტრადიციულს და უცებ აკისკისდა, ატკარცალდა, ათქართქარდა, აქსუტუნდა, ჩაბჟირდა შეურაცხადივით. ის იყო, ვახტანგმა გაიფიქრა, ალბათ მომეჩვენა, როგორ შეიძლება ასეთი რამე რეალურად ხდებოდეს და ამას ნორმალური საზოგადოება ეგუებოდესო, რომ ვიღაც მეორემ დასჭექა საზეიმოდ და ხაზგასმით: «მეგობრობის რადიო! სიყვარულის რადიო! თქვენი ოჯახის რადიო! ანტიოცნებების რადიო! ჩემი ჩუმი ჩათლახური ჩანაფიქრის რადიო! რადიო 606» და ამჯერად უკვე ერთი კი არა, რამდენიმე კაცუნა აკისკისდ-ატკარცალდ ათქართქარდ-აქსუტუნდ-ჩაბჟირდა ერთდროულად!

ვახტანგმა პირჯვარი გადაისახა, ახლოს აღარ მისულა, შორიდან ხელის კანკალით გამორთო რადიო და ჰაერის გასაწმენდად ფანჯარა გამოაღო.

ყარამანი ჯოხს დაყრდნობილი წამოდგა და ცალი ხელით წამოკრეფილი თეფშები ცალი ხელითვე მიაჩხარუნა ნიჟარასთან.

ეკრანზე ქალისა და კაცის ეროტიკული ოფლისღვრა დამთავრდა, ზედიზედ რამდენიმე რეკლამაც მიჰყვა ერთმანეთს: საქორწინო კაბების, ბალზამირების, ლიტერატურული კონკურსის, ფეხის ფრჩხილების სოკოვანი დაავადების საწინააღმდეგო მალამოს შესახებ და სამზარეულოში შემობრუნებული, ჯერ ისევ დაზაფრული ვახტანგი, ღვაწლმოსილი მეცნიერ-აკადემიკოსი კვლავ ტელევიზორს მიუჯდა. მორიგი გადაცემა დაიწყო, – თეფშების რეცხვით გართული ყარამანის გულის გასახეთქად,ისევ ადამიანის,ამჯერად მწერლის, ხელოვანის უფლებებზე.

თანამედროვე, თითქოსდა ჯადოსნური ჯოხის ერთი აქნევით უცებ სახელგანთქმული ახალგაზრდა მწერალი ტანჯული სახით, გულისმომკვლელი ხმით ჩიოდა: თქვენ გგონიათ, მხოლოდ კომუნისტების დროს იყო ცენზურაო? არაო, მწარედ ცდებითო, – მე რომ ქართველი ერისგან წმიდანად შერაცხილი მეფე ქალის გარეგნობა და ინტიმური ამბები აღვწერე ჩემს რომანში, უნდა გენახათ, ამ გაქანებული დემოკრატიის დროსაც კი, რა რეაქცია მოჰყვა ძველი მენტალიტეტით აღზრდილ ზნეობის დამცველთაგან და ეკლესიისგანო. იქამდე მიმიყვანეს, კინაღამ უდიდესი უბედურება დამემართა, კინაღამ თვითონ ჩემს სულში დაიბადა შინაგანი ცენზორი, რომელიც რამეზე ან ვინმეზე, რაც მომესურვება, იმის დაწერას ამიკრძალავდაო. ამ საშიშროებას კი თავი იმით დავაღწიე, რომ ავდექი და გაბრაზებულმა, ახალი მოთხრობა სულ უწმაწური და უხამსი სიტყვებით გავავსეო! ეს, დემოკრატიისგან ნაჩუქარი ჩემი უფლებაა და ამისი წართმევის ნებას არავის მივცემო!

– ფუი, ეშმაკს, ფუი, ეშმაკს! მწერლობაზე თავს დებ და შინაგან ცენზორს სინდისი რომ ჰქვია, ისიც კი არ იცი, იქედნეს ნაშობო?! რას მიედ-მოედები, შე უდღეურო არარაობავ, რას?! ველურები რომ იყვნენ, ველურები, იმათ მოიფიქრეს ტაბუ. ისინი მიხვდნენ, რომ ყველა თემაზე არ შეიძლებოდა ხმამაღლა რატრატი და იქიდან ჩაეყარა კიდევაც, სწორედ, საფუძველი ჯოგის საზოგადოებად გარდაქმნას! – თავისთვის გააფთრდა ბებერი არწივი. თავისთვის, იმიტომ, რომ არც შვილს და არც შვილიშვილს ხმას არ სცემდა. ცხოვრობდა ასე, დიდი ხანია, ჩუმად, გეგონება, გამოქვაბულივით საკუთარ დაფანჩულ წარბებს

შეფარებული, – თუმცა რა, მტერსაც ეგ არ უნდა სწორედ? ეს უდიდესი კულტურის ერი ჯოგად აქციოს ისევ, ყველაფერი, ყველაფერი წაართვას, რაც კი უფლისგან აქვს მომადლებული, მორალურად მოსპოს და გაანადგუროს! ღმერთო, ამას ხომ ფიზიკური მოსპობა სჯობდა ასწილ... რა ხდება, ვინ არიან ეს ახალი დროის ვითომ მწერლები, ვითომ პოეტები, ვითომ მხატვრები, ვითომ ტელე და რადიო მუშაკები, ვითომ მუსიკოსები, ვითომ ჟურნალისტები, ვითომ რეჟისორები, ვითომ მსახიობები, – უბრალოდ, რატომღაც ერთდროულად მოზღვავებული, ავადმყოფობა კოპროლალიით შეპყრობილნი თუ სატანასთან წილნაყარი და ვერცხლზე სულგაყიდული შინაურივე მტრები, რომელთაც კარგად აქვთ გაცნობიერებული, ასე ამძუვნებულნი და სარცხვენელგადმოყრილნი რატომაც მიერეკებიან ერს ჭაობისაკენ. ვინ არიან, დავიჯერო, ადამიანის, ქალის გაჩენილები? და ღმერთო, მაპატიე, თუ ვცოდავ, ნუთუ იმ ქალებს, მათ დედებს თვითონვე არ ეშინიათ ამ გატიტვლებული ურჩხულების?! არა, არა, ალბათ ავადმყოფები არიან, თორემ როგორ შეიძლება, ჭკუათმყოფელი ადამიანი ასე იყოს ნამუსგარეცხილი?!

სიკოს ბენდენის წასაკრავად აწეული ხელები გაშეშებოდა და რაღაც უცნაური გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს ეკრანს. ერთმანეთს ცვლიდნენ საძაგელ მორალისტთაგან თუ ესთეტთაგან დაჩაგრული თანამედროვე, ნაწვიმარ თუ ნამეხარ ველზე გაურკვეველი ჯიშის სოკოებივით უცებ ამოსული და ასევე უცებ სახელგანთქმული მხატვრები, მწერლები, პოეტები, რეჟისორები, მსახიობები... ყვებოდნენ, ჩიოდნენ და ლამის ფიცს დებდნენ მაყურებელთა წინაშე, რომ არ დაუთმობდნენ მოწინააღმდეგეს, რომ ლამის სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებდნენ თავიანთი განუსაზღვრელი უფლებების დასაცავად!

უხილავი წამყვანი დასკვნას აკეთებდა თითოეულის გამოსვლაზე, დასცინოდა მოძველებული ღირებულებების დამცველთ, თანაუგრძნობდა, ამხნევებდა დაჩაგრულთ, აქეზებდა და მოუწოდებდა, მტკიცედ დაეცვათ დემოკრატიის ეს უძვირფასესი საჩუქარი.

– ჩემი დედა...! – უცებ ისე იღრიალა სიკომ, ყარამანს ჯოხი გაუვარდა ხელიდან, ისედაც შეშინებული ვახტანგი კი უფრო ღრმად შეიყუჟა თავის გამოქვაბულში – ჩემი დე... აქამდე როგორ ვერ მოვტვინე?! – ჯიბიდან ჰარის ნაჩუქარი მობილური ტელეფონი დააძრო და გიჟივით შევარდა საძინებელში.

ტახტზე ფეხსაცმლიანად წამოკოტრიალებულმა სიკომ წვეტიანი კბილი ქვედა ტუჩს დაასო, ჰარის ნომერი აკრიფა და თვალები ჭერს გაუშტერა.

– გისმენ, სიკო, – როდის-როდის უპასუხა ჰარიმ.

– ჰაი, ჰარი!

– ჰო, – მოკლედ შეეხმიანა ჰარი.

– პონტია, დაეცემი! – მღელვარებისგან ხმა აუთრთოლდა სიკოს.

– რაზეა ბაზარი? – რატომღაც უინტერესოდ იკითხა ჰარიმ.

– პროექტიაა... კრისტალი!

– იასნია, მაყუთი გჭირდება!

– რა მაყუთი, ტო, ამ პროექტით იმდენს დავიადებ, იქით ჩაგსვამ ყელამდე, ბაქსში.

– შენ თვითონ ჩაჯექი, მეყოფა მე, რაც ჩამსვეს ყელამდე, ყველაფერში!

– დამიჯერე, ასიანია! აუუ, მე ცნობილი გავხდებიი, ტელევიზიაში, რადიოში, ვაფშე მასმედიაში დავიჩითებიი... მე შენ ზაგრანპაეზტკებში გაგჩითაავ... მოვივლით ამერიკას, გერმანიას, ინგლისს, ამსტერდამს...

– მოკეტე, შენი... არ გარეკაა... – გაცეცხლდა ჰარი, – ზაგრანპაეზდკები არა! ჰმ, თანაც შენთან ერთად! ისე, ორი თვის წინაც გქონდა შენ ეგეთი პროექტი, შენ რა, მე დამიჯდა.

– დამიჯერე, ამას ბეზ პრაბლემ დავარეგულირებ. არც კი უნდა ჩალიჩი, მეხანიზმი უნდა იცოდე, პროსტა!

– კაროჩე.

– მწერლობა და პოეტობა უნდა დავიწყო და ლიტერატურულ კონკურსში ვიმონაწილო!

– რას ბლატაობ, რა დაუკრეფავში გადადიხარ, მე შენი დედის... – უცებ ისე იღრიალა ჰარიმ, სიკოს კინაღამ მობილური გაუვარდა ხელიდან, – თავი ხომ არ მიგირტყია რამეზე, ტვარო, ატან აზრს, რასაც ახლა რატრატებ?!

– რა გაგიჟებს, ტო, მომისმინე, გგონია ტრუხა ბაზარია?! – შეეშინდა სიკოს.

– აუ, შენი... – ხელახლა გადაირია ჰარი, – შენ რა, კაიფში ხარ? გარეკე? რომელი ვაჟა-ფშაველა შენ მყავხარ, რომელი ილია და რომელი გალაკტიონი?! ეს წაქცეული ქვეყანა შენ გინდა გაამხნევო, შენ გინდა, წამოაყენო ფეხზე და შენ გინდა, დაანახო კიდევ რაღაცა ნათელი?! ერის მამობა მომინდომე, ღმერთთან ლაპარაკი მომინდომე, ტვარო?! შეენ?! შეენ?!

– რომელი საუკუნიდან მებაზრები, ტო?! – ალალად განცვიფრდა სიკო, – რაღა დროს ერის მამობაა, რაღა დროს პოეზიით აღზრდა და ტკბობა, შენ რა, ტყემალზე ზიხარ? ვიღას სჭირდება ეხლა შენი «შვლის ნუკრი,» «ჩემო კარგო ქვეყანავ» და «დედაო ღვთისავ»... აზრზე ხარ, რა კარგად მხსომებია სკოლაში ნასწავლი სათაურები? – რატომღაც თვი-

თონვე გაუკვირდა და რატომღაც გაეხარდა კიდევაც.

– სათაურებიც რომ ვერ დაგიმახსოვრებია ზუსტად? იმიტომაცაა ახლა შენი საქმე ეგრე საკაიფოდ. – დასცინა ჰარიმ.

– სათაურებზე მეტიც რო ისწავლე, წითელი დიპლომიც რო დაიადე და აფხაზეთსაც კინაღამ შეაკვდი, შენ რა, რო?!

– იმის ნამუსი მაინც შემრჩა, დაუკრეფავში არ გადავიდე, ნებაყოფლობითი ბოზებით ვაკეთებ ბიზნესს. ვითომ ლექსებითა და ვითომ მოთხრობებით ვიკადრებ ჩალიჩსა და ბოზობას? არ შეგრცხვება მაინც, იმ მწერლების, ვისთანაც კონკურსში გახვალ?!

– აბა, შენა ყოფილხარ, აი! ლომკაში ხო არა ხარ, რა მწერლები, რის მწერლები. ნამდვილებთან კი არ გავდივარ, რაღა დროს ნამდვილებია, ვიღას სჭირდება ეხლა ეგენი, მორჩა მაგათი პესნა. ეს სულ სხვა პონტია, ახალი,დემოკრატიული, უკუღმა ხდება ყველაფერი, იმენა, სწორედ იმაზე უნდა იღადავო, რაზეც ეგენი, ცოცხლებიც და უკვე წასულებიც, ცრემლს აფრქვევენ, იმენა, ის უნდა გააფეტიშო, რაც მაგათ არ ევასებათ და რასაც ეგენი ებრძვიან. თან, რა ადვილია, იცი? როგორც ახალ მუსიკაში, არც ნიჭი რომ არ გჭირდება, არც სმენა, არც ხმა,არც კულტურა და არც ნამუსი, ეგეთი ბაზარია რა, აქაც, არც ნიჭი გინდა, არც განათლება, არც გრამატიკა, არც კულტურა და არც ნამუსი. ნიჭი კიდევ შეიძლება, ჰა და ჰა, მაგრამ აი, კულტურა და სინდისიც თუ გაგაჩნია, მაშინ მორჩა, არ სჭირდები დღეს არავის. შენ, რა, არ უყურებ, რა მასტები გამოჰყავთ ტელევიზიით, ვის უკეთებენ რეკლამებსა და საინფორმაციო მხარდაჭერებს და რაებზე და ვისზე აღადავებენ? აუ, ჩემი, ამ წუთს მომივიდა თავში და ახლავე გეტყვი ზეპირად, უფრო საკაიფოდ რომ გაიგო: – უკვე მორჩა ვარდის პონტი, შემოვიდა ნაგვის ტორტი! ვაუ! ვაუ! – გიჟივით აყვირდა სიკო,– და შენ მეუბნები, რა მწერლობას აპირებ, თავი რამისთვის ხო არ მიგირტყამსო? არაფრისთვისაც არ მიმირტყამს, პროსტა კარგად დავთირე, კარგადაც მოვტვინე, რაც ხდება და იმიტომაც გადავწყვიტე. მივხვდი, როგორებიც ევასებათ იმათ, ვინც სიტუაციას აკონტროლებს. კაროჩე, მორჩა ის პესნა, ლექსს ხმლის ვადაზე რომ აწერდნენ, უფრო გმირულად რომ ებრძოლათ სამშობლოსათვის, მორჩა,ჩარჩოში რომ სვამდნენ და მისი კითხვისას ჩვენი ბაბუშკა-პაპუშკები წმინდა ცრემლს აღვარღვარებდნენ, ლექსმა ხმლის ვადიდან და მოჩუქრუთმებული ჩარჩოდან უკვე ნაგვის ყუთზე ამოყო თავი და გგონია, შემთხვევით? და იცი, რამდენი გადაუხადეს ამისათვის ტიიპს?! კაიფი არ აკლია, ბაქსი და ზაგრანპაეზდკა. შენ რა, მართლა არ გინახავს ნაგავზე წაწერილი ჟორიკას ლექსები? აუ, ჩემი, რა ხოხმა «ნაგვემოგვე მოგვინაგვე» ტომეულებია, იცი?

– ფუჰ, უპოვია, როგორც იქნა, თავისი ადგილი. – რატომღაც ჩუმად და ყრუდ ჩაილაპარაკა გოჩამ, ჰარის აღარ ჰგავდა, ის გაახსენდა, შეყვარებული თვითონაც რომ აფრქვევდა ხოლმე ცრემლს ლექსის კითხვისას... ის გაახსენდა, აფხაზეთში წასვლის წინ, განთიადამდე როგორ კითხულობდა ქართულ ხალხურ პოეზიას, როგორ მოეძალა სიყვარული, როგორ დაწერა სამშობლოზე ლექსი თვითონაც და როგორ დახია გასვლის წინ ის ლექსი, – ბრძოლის ველზე რომ დავეცე, ჩემს სირცხვილად დარჩება ეს, მართალია, გულიდან ამოხეთქილი, მაგრამ, მაინც ვითომ პოეზიაო... ის გაახსენდა, მტერს ვინ ჩივის, მამულის სიყვარულისთვის ზურგიდანაც რომ ესროლეს, ის გაახსენდა, მტრისგანაც და მოყვრისგანაც დაჭრილს, ჭირდა თუ არ ჭირდა, როგორ მიაძალეს საავადმყოფოში ექიმებმა მორფინი და როგორ «შესვეს ნემსზე»... გაახსენდა, საავადმყოფოდან გამოსულს როგორ დასწამა პოლიციამ ყაჩაღობა, როგორ სცემეს და როგორ დაიჭირეს... როგორ გაასამართლა მაინცდამაინც ყოფილი შეყვარებულის, მართალია, ქაჩალმა, მაგრამ მდიდარმა ქმარმა, რომელიც რუკაზეც კი ვერ გიჩვენებდა აფხაზეთს და როგორ გამოთქვა «კომპეტენტური აზრი», რომ «ბრალდებული იქაც სამარადიოროდ ბრძანდებოდა».... გაახსენდა, როგორ მიაკითხა ციხეში ყოფილმა შეყვარებულმა და როგორ ურცხვად შესთავაზა «თავისუფლება, ბაქსი და ბაითი», საყვარლობის სანაცვლოდ... გაახსენდა, როგორ მოუნდა უცებ იმ ქალის მოკვლა, რომელიც ისევ სიგიჟემდე უყვარდა იმ წუთებამდე... ის გაახსენდა, როგორ მოინახულა რიგით მეოთხედ და ამჯერადაც ისევ არაოფიციალურად გათხოვილმა დედამ შანსიან, ფულით სავსე მამინაცვალთან ერთად ციხეში და ბრალი სწორედ პოეზიას დასდო ყველაფერში: «ახლა მაინც გამოიბერტყე ყურები, შეხედე, რა თბილად და რბილად მოეწყვნენ შენი თანატოლები, სანამ შენ, შენი კი არა, მათი ქვეყნისთვის იბრძოდიო!...» გაახსენდა, როგორ გაიტანა ცხოვრებამ თავისი და როგორ მიიღო პარლამენტარი მამინაცვლისგან თავისუფლებაც და საუნა «სამოთხეც», რომელიც მერე თვითონვე გადანათლა «პანდორად»... ის გაახსენდა, როგორ ამარაგებდა «წამლით» ნატაშკა, რომელმაც გააცნო მირაშკა. გაახსენდა, როგორ შეარქვა მირკამ რატომ-

ღაც ჰარი და თვითონაც, – ანკი რაღა აზრი აქვს, რა მერქმევა უკვეო, და...

– შენ რა, არ მისმენ? – კარგა ხნით გოჩას დადუმებამ დააეჭვა და ხმას აუწია სიკომ, – შენ თათრიაშვილის თუ ლეკიაშვილის ლექსები წაგიკითხავს, მთვარეს რომ ეღადავება, ტრ...-ზე მაკოცეო? აუუ, ეგ სატრფოზე წეერს, ჩემი! ბაყაყს, მატლს, რაღაც საზიზღრობას არ აკადრებ ეგეთ პახაბნი რამეს, არა თუ ქალს და, მით უმეტეს, შეყვარებულს, მაგრამ რა, – იმიტომაც ვერ გაირტყა სწორედ მინისტრის მოადგილეობა და თანაც რისი მინისტრის, გარეკავ! განათლების მინისტრის! აბა, ერთი იმის ის წაიკითხე, რა გვარია... ჰო, ბათო გონჯიძის. მთელი ნაწარმოები რაა, იცი? «ამან მოტ..ნა ეს, იმან მოტ..ნა ის.» სახელებია სხვადასხვა მარტო, აქეთ-იქიდან დართული მაგ სიტყვაზე და მაგას ჰქვია მოთხრობა. ნამდვილი მწერლების გაზეთმა არ დაუბეჭდა და ამას ბოი მოყვაა! იმისთანა ქალმა გაუკეთა კრიშა და თვითონ ის ქალიც, რისი აღარ დამწერი, ისეა დაკრიშულიიი. ყველას რა ჩამოთვლის, მთელი ჯოგია უკვე, ახალგაზრდები კი არა, გააფრენ, ისეთი ბერიკაცების დაწერილი წავიკითხე ამასწინათ. პაპაჩემი რაღაცას ფხრეწდა დარეხვილივით, დავინტერესდი და აუ, მიშაა, აუ ჭანტურიკაა, ან ქალს არ გაუჩენიხართ, ან ცოლები არ გყავთ, ან და, ან ქალიშვილი?! ზატო სულ ის ბებრებია გამოჩხირული ყველგან, რადიო გინდა, გაზეთი თუ ტელევიზორი. შენ რადიო 606-ისთვის მოგისმენია? ნორმალურს კი არა, პაპუასს გადაიყვანენ ჭკუიდან თავისი სიბინძურით და ბანძი, ვითომცდა ხუმრობებით. დედას აგინებენ მთელ საქართველოს და ყველაფერს მშობლიურს, მაყუთის გულისთვის. არა, ბიჭო და შენსავით აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვით არიან დღემდე დაშოკილები. ტვარებს, არც გაუგიათ, მე მგონი, ეგეთი რამე თუ მოხდა, თორემ მაგაზეც კარგად იშაყირებდნენ და მოქაფავდნენ. კი ბატონო, არ არიან კაცები, არ არიან ადამიანები, ზატო ხო არიან თბილად და ტკბილად ჩაბუჟბუჟებულ-მოყუჩებულები? კაროჩე, რაა იცი, არაფერი არაა იმაზე ადვილი, დღეს ცნობილი გახდე და მაყუთიც ოხრად დაიადო. ნამუსი არ უნდა გქონდეს პროსტა!

– შენი დედაც და მაგ ახვარი მანიაკებისაც. ავითხარე ნერვებზე, კაროჩე, ჩემგან რა გინდა?!

– «მერსედესი» დამიადე ორი დღით. დროში ვიწვები.

– მაგ ბანძების კოლტთან გადიხარ კონკურსში თუ შუმახერთან, შენი, რად გინდა მანქანა.

– ტუალეტები უნდა დავიარო, ჩემი არ მყოფნის.

– რა არ გყოფნის...?

– არა, ტო, სიტყვები, პახაბნი. რაც შეიძლება გარყვნილი უნდა იყოს, რაც შეიძლება მურტალი, დედის რძე რომ აღებინოს კულტურულს პირიდან, ეგეთი. ტუალეტებში რო გინახავს, რა, საზოგადოებრივში, ეგეთი რამე ევასებათ. კაროჩე, რამე ბილწი, მანიაკური, სექსითა და ტუალეტის მასალით კარგად ჩაჯაფსანდალებული. ყველა ტუალეტი უნდა დავიარო, ბაზრების, სადგურების! ვაუ, სასწავლებლების იქნება და განსაკუთრებით კომერციულებიის... კაროჩე, როგორც შენ ტყვიები გჭირდებოდა, ისე გვჭირდება მეც და ჩემი მასტის შემოქმედებსაც სიტყვები, რაც შეიძლება ბინძური, რაც შეიძლება საზიზღარი, რაც შეიძლება ლირწი!

– მე მტერს ვესროდი, თქვენ თქვენივე ერს ესვრით?!

– მაიცა, რა, რაღა დროს «ჩვენი ერი» და ტოროლაა, ტყუილად გელაპარაკები ამდენს? აქამდე ვერ მოტვინე, რაც გიქნეს, რის გამოც გიქნეს? ტვარებმა, გაყიდეს ყველა და ყველაფერი და შეხედე სად და როგორ დაიჩითნენ. რაღა დარჩა სხვა, გასაყიდი. თანაც ჩვენ რა, ვკლაავთ?

– ცოცხლად ალპობთ, ახვრებო! მე კაცს კაცურად მაინც ვკლავდი, თანაც მტერს. თქვენ ცოცხლად გინდათ გახრწნათ და დაალპოთ, – სილამაზეს ესვრით, სიყვარულს ესვრით, ღმერთს ესვრით და ახალგაზრდობის სულს ალპობთ ამით. სულსაც და სხეულსაც! ჭეშმარიტ პოეზიას ესვრით, ჭეშმარიტი ლიტერატურის მოკვლა გინდათ, რომ ამით ერი ბოლომდე გადააგვაროთ, მაგრამ არ გამოგივათ, ტვარებო, არა, ნუ გავიწყდებათ, ვინ ვართ, რა კულტურის ერი!

– სტოპ, სტოპ, ჰარი! – უცებ შეაწყვეტინა სიკომ – შენ რა...

– ჰარი აღარ დამიძახო, თორემ... – მოულოდნელად სახელთან დაკავშირებით გაგიჟდა გოჩა, – კეთილი ინებე და ის დამიძახე, რაც მქვია, რა პუტანკა დედაშენივით მელაილავები, შე... ჰარი არა, ძია სემი, სტივი, ჯოი და ჯეი, სულ არ გარეკეს, მე ამათი... ჰო, რა გინდოდა კიდევ გეთქვა? მიდი, მიდი, ძალიან ბევრი გავიგე შენგან, აბა ჰე, კიდევ რითი დამგრუზავ... მართლა დებილი ვყოფილვარ, ამის დედა... რა დაუნი მეგონე და ამ დროს რა მოცვეთილი ყოფილხარ, ვირთხასავით!

– ვაახ, ჩემი! – ამოიოხრა სიკომ, – რა,

გოჩა და, რომ ამბობ, არაფერი გამოგივათო, გამოსულია და ეგაა. მარტო ერთი პროგრამა კი არ მუშაობს. ვინც ჩანს, მარტო ის კი არაა. მარტო ლექსზე და მოთხრობაზე კი არაა აქ რეჩი... კაროჩე, რა ეპოქაა ეხლა და რას ემყარება ვაფშე ეს წყობა? საბაზრო ეკონომიკას, ხო? არსებობს შემკვეთი, არსებობს შემსრულებელი და არსებობს მომხმარებელი. შემკვეთი შორიდან თირავს ჯერ, ვინ რა მასტია და ვინ რისი მკისრებელი. იასნია, ეკაიფება, შროშანი დაჭკნეს და ნაგავი აყვავდეს. იასნია, ევასება, პოეტი, ხელოვანი, ეხლა მენაგვეს ერქვას, მუზა კი რაღაც ბინძურ, მანიაკ ახვარს, რომელიც დაზვერვის აგენტივით ჩუმად დასდევს ქალს და როგორც კი ის წაიკუზება, ან ფეხებს გაჩაჩხავს, გახარებული, მყრალი ხითხითით კარნახობს მენაგვეს ლექსს, მოთხრობას, ნახატს, მუსიკას, სპექტაკლს, ფილმს, შოუს, ცეკვას, სიმღერას და რა ვიცი მე, კიდევ რას აღარ. აი, ეგეთებს უხდის შემკვეთი დღეს მაყუთს ოხრად. გრანტები შემოდიის...

– შენ რა, მომხმარებელი დარეხვილი გგონია?

– რომელი მომხმარებელი, ტო, ვარდ-ბულბულიანზე გაზრდილი, უკვე ნევროზიანი გოიმი, ტო?! შემკვეთმა ის უკვე კარგა ხანია თავის საყვარელ ლიტერატურასთან ერთად ჩასვა იმ ექსპრესში, რომლის რელსებიც სადღაც უფსკრულის პირას წყდება. ახალ მომხმარებელს კი, ძველის შთამომავალსაც და სხვა თინეიჯერსაც, თვითონვე ზრდის, – ნახევრადშიმშილით, სხვისი გამონაცვალი ძონძებით, ახალი სასკოლო პროგრამებით, ახალი, მურტალი მუსიკით, ახალი სიმღერებით, სადაც სულ გახდაზეა ბაზარი... ახალი ეროტიკულ-მანიაკური სპექტაკლებითა თუ ფილმებით, ახალი, ნაირნაირი თავისუფლების ინსტიტუტებით, ბილწი ლაი-ლაით, კომპიუტერების პორნოსაიტებით, რუსთაველზე, ილიაზე, ვაჟაზე, ტატოზე, წმიდანებზე, მეფეებზე ღადავით და მენაგვეებსა და მათ ნაგავზე გაკეთებული რეკლამებითა თუ საინფორმაციო მხარდაჭერებით, პოლიტიკოსების საჯიბო ომებით და მასმედიით მერე მათზე გადმოფრქვეული პიარით, რომ თითოეული ეს პოლიტიკოსი იმიტომ ცხოვრობს სასახლეში და იმიტომაა მილიონერი, რომ რომელიღაც უცხო ქვეყნის აგენტია თავისივე სამშობლოში... მომხმარებელი იზრდება. იზრდება კია არა, უკვე გაიზარდა დევიზით, რომ «სირცხვილი დღეს მხოლოდ ისაა, როცა რაღაცის გრცხვენია!» მან აღარც კი იცის, რა არის სამშობლო, მან აღარც კი იცის, რა არის წმინდა, რას ჰქვია სიყვარული და რა სურნელი ასდის ვარდს, რომლისთვისაც ბულბული ასე იკლავს თავს. მისთვის მარტო ნაგვის სუნია ტკბილი და მისაღები, ბაქსია მარტო ღმერთი, რომლის გულისთვისაც ყველას და ყველაფერს გაყიდის... ტრუპია უკვე შენი კლასიკური ლიტერატურა, ეგეთს კიდევაც რო მიუსაჯო და წააკითხო, გაიგებს, რო?!

– დონე ხაარ... – ჩაიცინა გოჩამ,– გეტყობა, ფილოსოფიური რომ დაამთავრე და პაპის ნიჭიც რომ გამოგყვა, ოღონდ...

– ხო, არა?! – არ აცადა გახარებულმა სიკომ, – რეალნად ეგრეა, რა, რაც გებაზრე. ეხლა სტატისტიკას გადახედე: დიდი ნაწილი სამოქალაქო ომსა და აფხაზეთ-სამაჩაბლოში გაწყდა გაუმრავლებლად, ნუ, ეს ძირითადად ძველი მომხმარებელი; თითქმის ნახევარი ქართველობა თავის ნაშიერითურთ უცხოეთში დაათრევს ღამის ქოთნებს, რომ ლუკმა-პური იშოვოს როგორმე, ან დაბრუნდება, ან აღარა და თუ დაბრუნდა, წერა-კითხვაც აღარ ეცოდინება, – ესეც დაკარგული მომხმარებელი... ქვეყნის გამყიდველ სავსე სტომაქებს შვილები საზღვარგარეთ ჰყავთ სასწავლებლად და საბაირამოდ და თუ დაბრუნდებიან, სწორედ ნაგვის მწარმოებლებად და არა მომხმარებლებად... აქ დარჩენილი ქართველობის საკმაო პროცენტი დიდიან-პატარიანად მათხოვრობს, მაწანწალობს, ქურდობს, ყაჩაღობს, ლოთობს, ნარკომანობს, ბოზობს, დილიდან საღამომდე კაპიკებზე ვაჭრობს, გრუზს ეზიდება... ვაახ, ჩემი, აზრზე ხარ, რა ცოტა გამოდის მომხმარებელი ვაფშე? ჰო, რა, ძაან ცოტა გამოდის, მაგრამ ის ცოტაც ამ ახლის მომხმარებელია და მამტყუნებ, ტო, რომ დახლი ამ ბაზარში მეც მინდა? მეც მინდა რეკლამა, ბაქსი, ბომონდსა თუ მასმედიაში გაჩითვა?! თორემ... მე რა, მე ვინ ვარ ჯერ, პროსტა დამწყები, რა, ჯერჯერობით რიგითი...

– რისი რიგითი,– მთავარი ფრონტის?! – ყრუდ ჩაიცინა გოჩამ,– აი, ლომკა, თუ გინდაა... აუ, შენი... მთავარი ფრონტი აქ არ ყოფილა?!... რა გვაჭამეეს... რა გვიქნეს, ბიჭებო! რა გვინდოდა აფხაზეთში, ვიღასთვის გვინდოდა სამაჩაბლო, ამ სულჩაკლული, მანქურთებზე უფრო უარესი საბრალო თინეიჯერებისთვის, უფრო კარგად რომ დამტკბარიყვნენ ნაგვის ჭამით? მთავარი ფრონტი აქ არ ყოფილა, ძმებო, და თანაც როგორი?! აი, თურმე, რატომ ესროდნენ ჩვენს «ძველმომხმარებლურ» პროცენტს ჩვენივე მასტის და სისხლის დაპროგრამებული ახვრები, აი, რატომ გვწამებდნენ ცილს, რატომ გვყრიდნენ ციხეებში და რატომ გვსვამდნენ ნემსზე იმათაც კი, ვისაც ეს არ გვინდოდა,.. აი,

რატომ უჩუქნიათ ჩვენთვის ქვეყნის ეგრეთწოდებული დამოუკიდებლობა! ერთი წამოგაყენათ ფეხზე, ძმებო, გადმოგახედათ, ვის დარჩენია ბურთი და მოედანი, ჩვენი სულით, სისხლით და ხორცით დასუქებულ-დალაღებული ვირთხებითაა ქვეყანა სავსე. უკვე სავსეა და რაღა გინდა, რომ ქნა, კიდეც რომ შეგეძლოს. ამათი ტანკი ხომ მასმედიაა, ამათი ტყვია კი სიბინძურე და ბაქსიც, ოხრად, – ჯილდოდ საკუთარი ერის განადგურებისათვის!

– მოტვინე, ხომ, რაც ხდება ბოლო-ბოლო, – მთქნარებით შეაწყვეტინა გოჩას სიკომ,– გაგიგონია ანდაზა, «სახლი როცა გეწვის, ხელი მაინც მოითბეო?» ეგრე რა, ტო. დამიჯერე, ხო იცი, როგორ მევასები, შენ ვერც ხვდები, როგორ მევასები... ვაფშე, თორემ... ნუ ამაზე ბაზარი მერე... – რატომღაც დაიბნა სიკო, – კაროჩე, ეხლა მაინც მოდი აზრზე და პრაგმატულად შეხედე ცხოვრებას. ერთიც ვნახოთ და დედაშენს პანღური ამოჰკრა იმ ახვარმა პარლამენტარმა, სად მიდიხარ მერე, გგონია დაგიტოვებს მაგ საუნას? აგახევს ეგრევე. რამდენიმე პროექტი მზად მაქვს უკვე ტვინში, დავწერ და დავბეჭდავ თუ არა, ეგრევე დაინტერესდებიან კინოშნიკებიც და თეატრის რეჟისორებიც. გრანტი და პრიზი თუ უნდათ, ეგრეა და... პირველი რაზე იქნება, იცი? ჩემზე, შენზე და მირკაზე. ოღონდ იმ მოთხრობაში მე და შენ უფრო ინტიმნი ის გვექნება, ვიდრე შენ და მირკას და ვაფშე, მერე მე და შენ ვტოვებთ მირკას და მივდივართ ჰოლანდიაში... პროგრამაში შენც ჩაგრთავ, ვიდრე მე ტუალეტებს დავივლი, შენ წმიდანებისა და ყველაზე მაგარი მეფეების სია გამიჩალიჩე და მოკლე ბიოგრაფიებიც. – ბოლო წინადადება კაჭკაჭივით სწრაფად ჩაარაკრაკა სიკომ,– შენ რა, არ მისმენ, გოჩა?

– შენი დედის... შენი დედის... – როდისროდის ამოიდგა ენა ჭკუიდან ლამის გადასულმა გოჩამ, – თან მახვევ, თან ისიც გინდა, ყველა შენსავით გადაგვარდეს, არა? მე ისედაც მეყოფა ჩემი, მე არაფერში გამრიო, თორემ... და ვაფშე დაახვიე ჩემი ცხოვრებიდან, გაიგე? იმ პუტანკასაც, მარიშკაა თუ მარტიშკა, დღესვე მოგაყოლებ უკან თავის... -ად! შენივე ...-ს ჩაგთხრი პირში და დედაშენისასაც ზედ დაგაყოლებინებ, შე ტვარო, ან გიხსენებია, ან შეგიხია შენი ბილწი კალამი მარტო ჩემთვის კი არა, რომელიმე პატრიოტი მეფის ან წმიდანისათვის, ღორივით გამოგჭრი ყელს, ძუკნავ! პიდარასტებო, ტყუილად გგონიათ, რომ მორჩა, ტყუილად გგონიათ, რომ ბოლომდე დაწვით და ხელებს ითბობთ, მთავარი გავიწყდებათ, ვინც ყველაზე მთავარია, ის გავიწყდებათ და ამიტომაც ვერ ქაჩავთ, საით მიექანებით თქვენ თვითონ – რა თუხთუხებს იმ უფსკრულში, რომლის თავზეც უცებ შეწყდება თქვენი ექსპრესის რელსები. ხომ არ გგონიათ, კუპრი თუხთუხებს, ტვარო, არა, კუპრიც კი ცოდოა თქვენთვის, ყველაზე მეტად რაც გევასებათ, იმით გაძღებით, როცა და როგორც იქნება! ... არ აფურთხებენ მთელ ერს სულში, მე ამათი დედის... მოიცათ, თქვენ, მოიცათ...

– წადი, შენი! – წამოიძახა ნირწამხდარმა და შეშინებულმა სიკომ, როგორც კი გოჩას გააფთრებული ხმა შეწყდა და მობილური გაითიშა, – «ძუკნა!» ვინაა შენი ძუკნა, ქაჯო, გოიმო, რომელი საუკუნეა, არაფერს კითხულობ, არაფერს უსმენ, არაფერს უყურებ?! ჰმ, მირკასაც მომაყოლებს თურმე, საწყალი მირკა, ვეღარ უშოვია შენნაირი მაყუთიანი კაიფარიკი, მე შენ გითხრა, ვიაგრა დასჭირდება წლოვანების გამო... ფუ, შენი... როგორ მაგინებდაა, უნდა ჩავიწერო, გამომადგება, ზუსტად მაგნაირისთვის ვაგინებინებ ჩემნაირს მერე მოთხრობაში მაგ სიტყვებით... ერთი მაგის,რაში მჭირდება მაგის მანქანა,ტუალეტებს ტაქსითაც კარგად დავივლი, მე შენ გითხრა და ვერ მოვუტეხე კარგად ბაქსი, – ჩაიცინა სიკომ და ტანზე შემოტმასნული აბრეშუმის ულტრამოდური შარვლის ჯიბიდან გოჩასთვის წაცანცლულ-მოპარული, ფაქიზად დაკეცილი ასდოლარიანები დააძრო. – ბოლობოლო რა დამიჯდება, ჰო, პირველ რიგში ბაზრების და სადგურების... აფსუს, პოტერის ცოცხიი...

სიკომ უკანვე ჩაილაგა ასდოლარიანების დასტა, წამით ჩაფიქრდა, მერე კი უცებ გიჟივით შეხტა, შემოტრიალდა და აღფრთოვანებით დასცხო ტაში.

– ვაუ! დაგლიჯა, ჩემი! რა პროექტია?! მოთხრობებსა და ლექსებში გამოყენების შემდეგ ცალკეც უნდა გამოვცე, მთავარია, არავინ დამასწროს, მთელი ჯოგია, მე მაგათი... «საპირფარეშოებში შეგროვილი სიტყვიერება!» ვაუ, მე ცნობილი გავხდებიი, მე ბომონდში დავიჩითებიი... მოიცა, მოიცა, ზუსტად რა დავარქვა, «ტუალეტური პოეზია!» არა, არა, არ მომწონს, მოიცა, საერთაშორისო სიტყვა ხომ არ ჯობია, გლობალიზაციაა მაინც, ეს უფრო დაევასებათ, ჰო, როგორაა ინგლისურად ტუალეტი ... ინგლისური უნდა ვისწავლო, ეგრე უფრო მალე გავქაჩავ... ჰო «ქლოუზეთ ლირიქს». აუ, ჩემი, დაგლიჯა! აქამდე სად ვიყავი, აქამდე როგორ ვერ მოვტვინე! მაგრამ არა უშავს, ეხლა იწყება, პრინციპში, რაც იწყება, არც ეხლაა გვიან... ჰო, მართლა ფოტოაპარატის წაღება არ

დამავიწყდეს, ტუალეტების კედლის მხატვრობის გადასაღებად. ნახატებით უნდა იყოს გაფორმებული... გოიმები! სუპერქაჯები! ტყუილია, მართლა და მართლა? რაღა დროს ვარდი და იაა, რაღა დროს ქრისტე და სამშობლო, რაღა დროს კლასიკა და არისტოკრატია, წმიდანები და პატრიოტი მეფეები!! რაზედაც მინდა, იმაზე დავწერ, ვისზეც მინდა, იმაზე ვიღადავებ! ეს, დემოკრატიისგან ნაჩუქარი ჩემი უფლებაა და თუ გამიჭირდება, მე შენ გითხრა და არ გამომიჩნდებიან დამცველები, რა უცხოეთიდან, რა აქედან, რა მასმედიით და რა ტრანსპარანტებით:

– ხელები შორს თავისუფალი შემოქმედისგან! მერე კი უკვე ცნობილი, კენჭსაც ვიყრი პარლამენტში! ჰმ, ყელს ღორივით გამომჭრის თურმე, ნახავ შენ, ნახავ, ვინ ვის გამოსჭრის!

სიკომ საძინებლის კარგი გამოიხურა და ის იყო, აწკრიალდა კიდევაც წიგნის თაროზე შემოდებული ძველმოდური ტელეფონი.

– როგორ ხართ, ხომ მშვიდობაა? – თბილად მოიკითხა სიკო სოფლელმა მამიდაშვილმა ირაკლიმ, – პაპას მინდა დაველაპარაკო საირიგაციო საკითხებზე და თუ არ შეწუხდება, მოვიდეს ტელეფონთან.

– ირიგაცია რაღა ჩემი ფეხებია, ტო?! – გულწრფელად დაინტერესდა მომავალი დიდებით სასიამოვნოდ გაბრუებული სიკო.

– არხი გამომყავს ვენახისაკენ,– მოკლედ აუხსნა ირაკლიმ, – რაღაც ვერ დავიანგარიშე სწორად და რჩევა მინდა ვკითხო.

– რა არხი, ტო, რაღა დროს არხი, ნამგალი და თოხია, – ქედმაღლურად გაიცინა სიკომ,– რომელი საუკუნიდან მებაზრები?!

– მარადიულიდან, პეპელა! – არც ირაკლი დარჩა ვალში, – დროზე, დროზე, დედა, ცოლ-შვილი და ძმაკაცები მელოდებიან ვენახში. როგორ ფიქრობ, მცალია მე შენი ტლიკინისთვის?!

«შენიი», – ირაკლის ფუთიანი მუშტი გაახსენდა და ჩუმად ჩაისისინა სიკომ, – შენიი! – გაიმეორე უკვე ხმამაღლა, როგორც კი ყურმილი გადადო და ვახტანგის დასაძახებლად გაემართა, – მაშ, პეპელა ვარ, არა? დაიცა, დაიცა, ტელევიზიით უფრო კარგად გაიგებ ცოტა ხანში, ვინც ვარ და რაც ვარ. დაიცა, დაიცა...

თავის გამოქვაბულში შეყუჟული ვახტანგი იჯდა და იდაყვდაყრდნობილი, თავჩაქინდრული არიდებდა თვალს ეკრანს, რომელზედაც ნაირნაირი ფორმით და რაკურსით უჩვენებდნენ ქალის ჰიგიენურ პაკეტებს. სიკომ კარი შეაღო თუ არა, კადრი შეიცვალა და მამაკაცის თავმომწონე, გამარჯვებული მეომარივით ომახიანმა ხმამ საზეიმოდ ამცნო ამის შესახებ, როგორც მხცოვან აკადემიკოსს, ისე მთელ მაყურებელ საზოგადოებას:

– ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალება, პრეზერვატივი სიკო!

პოეზია

მიტროპოლიტი თადეოზი

(მირიან იორამაშვილი)

ღვთივკურთხეულო ვენახო

უშენოდ ყოფნა მეშინის,
ვკოცნი შენს წმინდა ჭრილობას,
მეამაყება მე შენი
ლამაზი დედა-შვილობა.
შენი ცისკრების ჭირიმე,
ღვთის წინ მავალო მართლადა,
როს დამიდგება ჯერი მე
დაგადნე წმინდა სანთლადა.
სიცოცხლე შენით იწყება,
თვით უკვდავებაც შენა ხარ,–
სიკვდილის გადავიწყებავ,
ღვთივკურთხეულო ვენახო.
იკურთხოს შენი ცა-მიწა,
ყველა ყვავილი, ყველა ხე...
ცრემლი გაშოროს უფალმა,
სულ სიხარულში გვენახე.

* * *

შენი შვილი ვარ, საწყალი,
ამ ცრუ სოფელში მყოფელი,
შენ დაგვიფარე, უფალო,
შენა ხარ ტკბილი მშობელი.

მე შენ მიყვარდე, ღირს ვიყო
სხვა მარგალიტის მფლობელი,
შენ გაგვახარე, უფალო,
შენა ხარ ტკბილი მშობელი.

ვინ შესძლებს, ღირსად გადიდოს,
თქვას ღირსი სამადლობელი?!
შენ შეგვიწყალე, უფალო,
შენა ხარ ტკბილი მშობელი.

არ იკარგება სანთელი,
არც საკმელ-საგალობელი,
მადლი მოგვფინე, უფალო,
შენა ხარ ტკბილი მშობელი.

გ ა რ ე ჯ ი

უტეხი სული, სიმხნე და სიბრძნე,
და კიდევ რაღაც, სხვა, უფრო მეტი...
მათ ზესამყაროს მიწვევა იგრძნეს,
გაბრწყინდნენ, როგორც სინათლის სვეტნი.

გმირები რწმენის, სინათლის მაღლის,
გაუღუნავი ბურჯები ერის,
მეჩუქურთმენი საუფლო სახლის,
ტკბილად მღერალნი ღვთაებრივ ენით...
ყაყაჩოდ ანთებს იმათ სისხლს დაღვრილს,
სამშობლო მიწა – მამული ჩვენი.

თეთრი ყვავილი

დაეკარგება ცას ლურჯი ფერი,
შავი ღრუბელი ვიდრე გადივლის
და, როგორც ბედზე ხმელი წიფელი,
ამოიკვნესებს თეთრი ყვავილი.

და მოლოდინში რაღაცა ავის
შესაბრალისად დახუჭავს თვალებს...
მალე გადივლის ღრუბელი შავი
და გაშუქდება ისევე მალე.

და უნებურად ჩამომწყდარ ცრემლებს
კეთილი სხივი მოავარაყებს...
კვალავ გაიცინებს ყვავილი მერე
და მზის ენაზე ილაპარაკებს.

სად უწმინდესი ილოცავს

სად უწმინდესი ილოცავს –
იქ დიდი მადლი ტრიალებს...
სამშობლოს ერთგულს ახარებს –
ორგულებს გაატიალებს...
უკუღმა მბრუნავ ჩარხ-ბორბალს
მზისაკენ შეატრიალებს...
საფიცარ ხატად შერჩება
მომავლის დიდ მატიანეს.

ქართვლის დედა

ქართვლის მთაზე ქართვლის დედა,
მახვილით და თასით ხელში,
მოყვასს მოყვრულ ეგებება,
მტერს გადისვრის უკუნეთში.
გონი ერჩის... ძალა ერჩის...
მახვილით და თასით ხელში...
მისთვის უდგას ლომებს გვერდში
გამარჯვება განსაცდელში...
მატიანეს რაც მზედ შერჩა,
სულ სხივებით უწერია...
იმის მადლს და იმის ლეჩაქს
შერცხვენა არ უწერია.

* * *

სახელო – შენთვის სიცოცხლე –
სუყველაფერი ყოფილა...
მამულო – შენთვის სიკვდილი –
სუყველაფერი ყოფილა...
სინდისო – შენთვის სიფრთხილე –
სუყველაფერი ყოფილა...
სიცოცხლევ, შენი ციმციმი –
აქ რა ხანმოკლე ყოფილა...
წკვარამსა წუთისოფელსა
ანათებს სხივი ფოფინა...
ნეტავი ერთხელ ყოველი
წვრილ-წვრილად მაამბობინა...
ხილული ესე ყოფილა, –
თითქოს არცარა ყოფილა,
ნეტა მას, ვინაც არყოფნას –
ყოფნის ნათელი მოჰფინა.

პ ო ე ტ ი

შენ სულ სხვაგვარად ხედავ სამყაროს,
ცაში ვარსკვლავებს ეალერსები,
ეჩურჩულები ყვავილებს, წყაროს,
იწვი ოცნებით, იწვი ლექსებით.
შენ დედამიწის დუმილი გიკვირს,
როდესაც ღამის ბინდი შემოსავს,
შენ დედამიწის ხმაური გიყვარს
და გაზაფხულის მწვანედ შემოსვლა.
რტოებზე ნაზად აკინძულ კვირტებს
ხელით ეხები და ეფერები,
შენი არსება ზღვის სიღრმეს იტევს,
სიყვარულს ჰგავხარ, დაუბერებელს.
მგრძნობიარე ხარ, როგორც მიმოზა
და უცნაური, როგორც თქმულება.
შენი არსებით მზე შეგიმოსავს,
შენში სიცოცხლედ ჰყვავის ბუნება.
მოედინები უწყვეტ მდინარედ,
სიცილის ტალღებს ესვრი ნაპირებს,
ჯერ დადინჯდები და კვლავ მცინარი
შორ სივრცეებში ფრენას აპირებ.
და გაფრინდები, გსურს, სივრცეს ეძმო,
როგორც ყვავილებს, ვარსკვლავებს ისევ,
ცდილობ, სამყაროს ამოხსნა შეძლო
და სიხარულად დაბრუნდე ისევ.

* * *

ნეტარნო მამანო,
ნეტარნო დედანო,
დიდნო წინაპარნო,
მეუფის მხედარნო,
მარად ზე მსწრაფველნო,
არ ქვეგამხედვარნო,
სულის დიდ-მსახურნო,
დიდების მხედარნო;
დიდი სილამაზის
მჭვრეტელნო, მხედველნო,
შველას გევედრებით
ერი წამებული;
ზეცა გაგვინათეთ
ჩამოღამებული,
ლოცვით აღგვადგინეთ
და წინ გაგვიძეხით
დიდი სიყვარულის
კვლავ გამოღვიძებით...
ციური მამული
აქედან იწყება...
სამშობლო, სამშობლო
ნუ დაგვავიწყდება.
ვიდრე ჩვენს მამულში
მტრის ხმა არ მიწყდება,
სულ მთლად არ ჩაკვდება
და არ დამიწდება,
უწმინდეს ვალისა
არ ხამს დავიწყება.
თორემ ცოდვა დაგვსჯის,
ზეცა გაგვიწყრება.
ღირს გადარჩენისთვის
თავის დავიწყება,
რადგან უკვდავება
აქედან იწყება...
ვისმინოთ მამულის
გმინვა და გოდება.
სად შურისძიების
წყურვილი ბორგდება,
ვინც ღმერთის შვილია,
ყველა გამოდგება.
სიცოცხლის მსახური
არასდროს მოკვდება.

* * *

ტკბილი სიცოცხლის დიდი თასიდან
შენი ცხელი მზის ნექტარი შევსვი,
თუ სულს ოდესმე მაღლა ავზიდავ,
შენს თბილ მიწაში მედგმება ფესვი.
ნეტარ ოცნებებს ცხადი აზრი ცვლის,
ადიდე, ვინაც იქცა ტიტანად,
მადლობა უფალს, დიდი ტაძრისთვის
თუ შეიძელი კენჭის მიტანა.

მოთხრობა



მონანიების სახლ-კარი

ზურაბ თორია

ქალაქის გარეუბნის სიმყუდროვე საღამოპირზე ცეცხლსასროლი იარაღის ხუთჯერ გასროლამ დაარღვია. ქალის სულისშემძვრელ კივილს მოგვიანებით გაბმული ვალალი მოჰყვა. ეს გოდება თანდათან მიწყდა და გარეუბნის განაპირა სახლ-კარი გარინდებამ მოიცვა. ისე დაღამდა, ეზოში სულიერი არ გაჭაჭანებულა. გასროლიდან დაახლოებით ორ საათში სახლის ფანჯრებში სინათლემ იელვა, რამდენიმე ხნის შემდეგ ჩაქრა და იქაურობა წყვდიადში ჩაინთქა.

რომ არა ქალის კივილი და გაბმული ვალალი, ეს გასროლა, ალბათ, ყურადღებას არც არაფრით მიიპყრობდა, რადგან, როგორც კი ამინდები აირეოდა და გარეუბნის მომიჯნავე უსიერ ტყეს ზამთრის კვნესა შემოუტევდა, განაპირა ეზოებს დროდადრო ნადირი შემოესეოდა და მათ დასაფრთხობად არამცთუ კაცები, უწვერული ბიჭებიც კი ცეცხლსასროლ იარაღს წარამარა აქუხებდნენ.

მეორე დილით ამ ეზო-კარს საშუალო ასაკს მიტანებული სამძებრო განყოფილების უფროსი და ახალგაზრდა სტაჟიორი „ნივით“ მიადგნენ, მანქანიდან გადმოვიდნენ, კარგა ხანს იდგნენ ჭიშკართან და ყურადღებით ათვალიერებდნენ გარემოს. შემდეგ გამომძიებელმა რამდენიმეჯერ ხმამაღლა უხმო მასპინძელს. როცა სახლიდან არავინ გამოიხედა და ის იყო, წასვლა დააპირეს, პალატის კარი ჭრიალით გაიღო და მათკენ ქუდის სწორებითა და ხველებ-ხველებით ოცდაათ წელს გადაცილებული მაღალი, ნაცრისფერ თბილ ქურთუკსა და რეზინის მაღალყელიან ჩექმებში გამოწყობილი ოდნავ ჩაფსკვნილი კაცი გამოემართა, რამდენიმე ნაბიჯში შედგა, ჭიშკართან მყოფნი გულდასმით შეათვალიერა, დაიძრა, ჭიშკარს მიეახლა, შეაღო, დაუპატიჟებელ სტუმრებს თავი დაუქნია და კითხვის ნიშნად მიაჩერდა.

– წუხელ თქვენს ეზოში ხუთჯერ გაისროლეს. – არ დაახანა გამომძიებელმა და მასპინძელს ყურადღებით დააკვირდა.

მის ოდნავ ფერმკრთალ სახეს აღელვების ან დაძაბულობის რამე ნიშან-წყალი არ დასტყობია. ცივი, გამჭოლი მზერა გამომძიებლის მჭლე, ჩამოგრძელებული სახიდან და ცნობისმოყვარედ მიჩერებული მარჩხი თვალებიდან, სტაჟიორის სიყმაწვილის ასაკიდან ჯერ კიდევ გამოუსვლელ, პუტკუნა სახეზე გადაიტანა, რომელსაც ოდნავ გამხდარი რომ ყოფილიყო, წაბლისფერი, კოხტად შეკრეჭილი წვერ-ულვაში მეტ მოხდენილობასა და ვაჟკაცურ იერს მიანიჭებდა.

მასპინძელმა ღრმად ჩაისუნთქა, უადგილოდ გაიღიმა, შემდეგ უხერხულობის დასაფარად ქუდი მოიშვლიპა, გზაზე დინჯად მიმავალ ვიღაც მოხუცს თვალი გააყოლა და ჭიშკართან გავლა ადროვა.

– აქ დგომას შინ შემოსვლა და თბილ ბუხართან საქმის დამშვიდებით გარკვევა არ გაწყენდათ, – პირდაპირ პასუხს თავი აარიდა, ხელით, ვითომ, ნახეთ რა სუსხიაო, მიდამო შემოხაზა , მაგრამ გამომძიებელი მის სახეს თვალს არ აც-

ილებდა და არც ადგილიდან იძვროდა.

თქვენსას შემოსვლა, როგორც ჩანს, უეჭველად მოგვიწევს, მაგრამ ბუხართან საყურყუტოდ არა... გასროლის მიზეზის დადგენას ვეშურებით. – დამარცვლა მოგვიანებით გამომძიებელმა.

– ნუგზარ, ამგვარი ტონი რაში გჭირდება არ ვიცი? გეგონება, ქვეყნის დამქცევი ვიყო...

– განგიმარტავ, ამჯერად უბრალოდ ნუგზარი კი არა, მილიციის სამძებრო განყოფილების უფროსი, მაიორი ნუგზარ უგრეხელიძე გახლავარ, ეს ახალგაზრდა კი, კრიმინალისტი რამაზ ნემსაძეა. – ხაზგასმული სიმკაცრით მიმართა გამომძიებელმა მასპინძელს.

– მოვარდნილი ნადირისთვის თოფის სროლა როის შემდეგ აკრძალეს?..

– რამდენჯერ?

– რა რამდენჯერ?! – გაკვირვებით ჩაეკითხა მასპინძელი.

– რამდენჯერ ესროლე-თქვა.

– ხუთჯერ.

– სანადირო თოფიდან?

– აბა, მე სხვა იარაღი არ მაქ და...

– ალბათ, გაქვს, რადგან ასე მიჯრით მხოლოდ საბრძოლო იარაღით ან რევოლვერით ისვრიან და აქ ნადირი აღარაფერ შუაშია. ყველამ მშვენივრად იცის, რევოლვერით მგლებზე არ ნადირობენ...

– ვინ ნადირობდა რო? ყმუილით აიკლეს აქაურობა და დავაფრთხე.

– ეგეც ტყუილია, მგლის ყმუილში ქალის კივილი და მოთქმა-გოდება არავის აერეოდა...

– ეგ კიდე საიდან მოიტანეს?! – გაიკვირვა შემცბარმა დამხვდურმა.

– ამ სახლში რა უბედურება დატრიალდა არ ვიცი, მაგრამ იმედია, ყველაფერს ნათელი მოეფინება.

– რა უბედურება, რის უბედურება!..

– რაღაცის მიჩქმალვას ცდილობ და არ გეკადრება.

– ღმერთი, რჯული, არაფრის მიჩქმალვას არ ვცდილობ, პირიქით, შინ შევიდეთ-მეთქი, მაგრამ თვითონ არ ისურვე, იქ უფრო დალაგებულად ვისაუბრებდით...

– მგონი გასაგებად ვთქვი, ჩვენ აქ ბუხართან საყურყუტოდ არ მოვსულვართ. აი, ჩხრეკის ორდერი, მაგრამ ჩხრეკამდე შენგან პირნათელ აღიარებას ველოდი. – გამომძიებლის ხმაში უკმაყოფილება გაჟღერდა, მერე საქღალდედან ჩხრეკის ორდერი ამოიღო და დამხვდურს გაუწოდა, მაგრამ მან ორდერს თვალი აარიდა.

– რაც არ ყოფილა, რანაირად ვაღიარო, არ ვიცი!

– რა გაეწყობა... მაშინ მოვალეობას შევუდგებით. იმედია, წინააღმდეგი არ იქნები.

– რაზეა საუბარი! – გაიოცა დამხვდურმა და ისინი ეზოში შეიწვია.

* * *

„ბატონო პროფესორო, მოგესალმებით. იმედია, ჯანმრთელობას არ უჩივით და მხნედ ბრძანდებით.

სატელეფონო საუბრებისას და იმ ხანმოკლე ურთიერთობებისას, როცა თქვენს სანახავად დედაქალაქში ორჯერ ვიმყოფებოდი, ვერ მოვახერხე სრულად გადმომეცა ის შთაბეჭდილებები და მოსაზრებები, რაც აქ ყოფნის განმავლობაში დამიგროვდა. ამჯერად მსურს ეს ხარვეზი გამოვასწორო და ნაწილობრივ მაინც საქმის კურსში ჩაგაყენოთ.

თქვენი რჩევისამებრ, მთელი ამ ხნის განმავლობაში უბის წიგნაკში ვინიშნავდი ყოველდღიურ მოვლენებსა და ფაქტებს, განწყობას საერთოდ და ყოველ საყურადღებო დეტალს, რაც ჩემს საქმიანობასთანაა დაკავშირებული და გადავწყვიტე, ეს ჩანაწერები დათარიღების გარეშე გაგაცნოთ. მაპატიეთ, თუ ჩემს დაკვირვებებში ლირიულობისკენ გადახრას აღმოაჩენთ, მაგრამ როგორც ამ ჩანაწერიდან შეიტყობთ, ფაქტების მშრალი ანალიზი არ მეხერხება და ჩემს გადახვევებს იმედია, მომიტევებთ...

ამ პატარა ქალაქში შვიდი თვე ხდება, რაც ვიმყოფები. თითქოს ქვეყნიერებასაა მოწყვეტილი. გეგონებათ, დრო ერთ ადგილას ისეა გაყინული, არაფერი მნიშვნელოვანი აქ არ ხდება და არც შეიძლება მოხდეს. არ მიწყინოთ და, თავიდან თქვენზე ვბრაზობდი კიდეც, რაღა ამ მიყრუებულ, უღიმღამო მხარეში გადმომხვეწა, სადაც თანამედროვე კრიმინალისტიკის მიღწევების სრულყოფაზე ფიქრი კი არა, რაც შემითვისებია, იმის ადვილად დავიწყებაცაა შესაძლებელი-მეთქი, მაგრამ ვითვალისწინებდი რა თქვენს გამოცდილებას და კეთილგონივრულ რჩევებს, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივები მაინცდამაინც დიდი ხალისით არ შემხვედრიან და თავიდან ისე მიყურებდნენ, როგორც მათ ქალაქში ჩამოხეტებულ მორიგ მაძიებელს, რომელიც გარკვეული ვადით აქ ყოფნას უეჭველად დასაწინაურებლად გამოიყენებდა და ბუნებრივია, ახლო მომავალში თავის გზას გაუდგებოდა, შევეცადე მთელ რიგ საკითხებს სიღრმისეულად მივდგომოდი. პირველ რიგში კეთილი ურთიერთობა დავამყარე უფროს კოლეგებთან, რომელთა მუშაობის სტილი თავიდან მოძველებულად მომეჩვენა, მაგრამ თანდათანობით გავარკვიე, რომ ისინი მთელ რიგ მოვლენებს საკმაოდ კვალიფიცირებულად უდგებიან და რამდენიმე გაუხსნელ საქმეს თუ არ ჩავთვლით, სათანადო სიმაღლეზეც დგანან.

მოგეხსენებათ, დედაქალაქის მკვიდრი გახლავართ და ჩვეული იმ რიტმს, რაც დიდი ქალაქებისთვისაა დამახასიათებელი. თავიდან ჩემში გაღიზიანებას იწვევდა აქ გაბატონებული პასტორალური სიმყუდროვე, რაღაც გარინდულობა, თუმცა ადგილობრივებთან ყოველდღიურმა ურთიერთობამ დამარწმუნა, რომ ეს პატარა ქალაქი მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანი მოვ-

ლენების ეპიცენტრში არ იმყოფება, სისხლსავსე ცხოვრებას ეწევა.

ეს, რაც შეეხება ჩემს განწყობას და დამოკიდებულებას აქაურობასთან.

გვმოძღვრავდით, სადაც მიგვავლენდით, უპირველეს ყოვლისა, უნივერსიტეტისა და თქვენი სახელი არ შეგვებღალა, მიუხედავად სიძნელეებისა, შევთვისებოდით იქაურობას, გაგვეთავისებინა იქ არსებული პრობლემები და, რაც მთავარია, ღირსეულად მოვქცეულიყავით და ა.შ...

ყოველნაირად ვცდილობდი, ერთგული ვყოფილიყავი ამ პრინციპებისა, მაგრამ უნდა შევნიშნო, რომ აქ ამ მხრივ მაინცდამაინც დიდი წინააღმდეგობა არ შემხვედრია. არ ვიცი, ეს ჩემმა მონდომებამ განაპირობა თუ ჩემდამი ადგილობრივთა საოცარმა თბილმა განწყობამ, მაგრამ საუკეთესო ურთიერთობები ავაწყვე. ასე რომ, მათ მიმართ მადლობის მეტი აღარაფერი მეთქმის...

ახლა კი, როგორც თქვენ ბრძანებდითხოლმე, მოდით, პირველსავე სიტყვას მოვიდეთ:

ორი თვის წინათ ქალაქის განაპირას საღამოს ექვსის ნახევრიდან ექვს საათამდე ხუთი გასროლა გაისმა. არე-მიდამო, საიდანც გაისროლეს, ზედ ტყის პირას მდებარეობს და იმის გამო, რომ დამშეული ნადირი სწორედ ტყის შორიახლო მდებარე ეზოებს ხშირად ეტანებახოლმე და სახლ-კარის მეპატრონენი იძულებული ხდებიან მტაცებლები ცეცხლსასროლი იარაღით მოიგერიონ, თითქოს ეს გასროლები ყურადღების ღირსი არც ჩანდა, მაგრამ მეორე დილითვე ამ მოსახლის მეზობლისგან შემოვიდა ცნობა, რომ რაღაც კრიმინალს ჰქონია ადგილი, უფრო ზუსტად, სროლებს თურმე, ქალის შემზარავი კივილი და მოთქმა-გოდება ახლდა.

სამძებრო განყოფილების უფროსმა უგრეხელიძემ, საკმაოდ გამოცდილმა შუა ხნის კაცმა, ამ სიგნალზე დროული რეაგირება მოახდინა და მითითებული ადგილისკენ გავემართეთ.

საქმის გარშემო სრული წარმოდგენა რომ შეგექმნათ, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ეჭვმიტანილის კარ-მიდამო ტყეს ისეა მიკრული, გამოცდლი კაციც კი ერთმანეთზე გადახლართულ ბრეწეულის ნარგავებს ტყისა და ეზოს მიჯნად ძლივს თუ გაარჩევს. საკმაოდ ვრცელი, ხეხილით დაჩრდილული ბაღჩის მიღმა, საგანგებოდ შემოკავებული საქონლის რამდენიმე სადგომი მაღალ ხეებსაა შეფარებული.

თვით წლების წინ აგურით ნაგები ორსართულიანი შენობა მეზობელთა სახლებისგან თითქოს არაფრით გამოირჩევა, მაგრამ ერთადერთი მასიური კარით, ვიწრო ფანჯრებითა და მკაცრი ფორმებით, უკარება სიმაგრეს უფრო ამსგავსებს, ვიდრე საცხოვრებლად განკუთვნილს.

სხვაფრივ, ამ კარმიდამოს გამრჯე ხელი ატყვია: კოხტად შეკრეჭილ, ტრიფოლიატით შემოკავებულ წინა ეზოში ყურადღებას რამდენიმე ძირი შეფუთული პალმა, უცხო ჯიშის ყვავილები და სხვადასხვა დეკორატიული ნარგაობა იქცევდა. ეტყობა, ამ ოჯახში ვიღაცას სილამაზისკენ განსაკუთრებული სწრაფვა ჰქონია. გაზაფხულობითა და ზაფხულობით ამ ეზოს ნახვას არაფერი ემჯობინება...

ეზო-გარემოს დათვალიერების შემდეგ, გამომძიებელმა უგრეხელიძემ მასპინძელს რამდენიმეჯერ დაუძახა. კარგა ხანს არავინ გამოეხმაურა და ის იყო, მეზობლებთან გადასვლა დავაპირეთ, რომ ქვედა სართულის მასიური კარი ჭრიალით გაიღო, ტანბრგე, ნაცრისფერ ქურთუკში გამოწყობილმა კაცმა გამოგვხედა, დაიძრა, გზად შეყოვნდა, ორჭოფულად აგვათვალ-ჩაგვათალიერა, შემდეგ დაიძრა, ჭიშკარს მოუახლოვდა, თავი უხმოდ დაგვიქნია, ჭიშკარი შეაღო და კითხვის ნიშნად მოგვაჩერდა. სახეზე სიმშვიდე აღბეჭდოდა, მაგრამ იგრძნობოდა, შინაგან დაძაბულობას ძლივს უმკლავდებოდა, ხოლო როცა გამომძიებელმა გასროლების შესახებ კითხვა მიუკიბ-მოუკიბავად დაუსვა, ჩვენზე დაკვირვებას თავი ანება, თითქოს შვებით ამოისუნთქა, რატომღაც გაიღიმა, ქუდი მოიხადა, გზაზე მიმავალ მოხუცს გახედა, შემდეგ მოგვიბრუნდა და გამომძიებელს სახლში შეყოლა და ბუხრის პირას საქმის მშვიდ გარემოში გარკვევა შესთავაზა. გამომძიებელმა, თქვენთან შემოსვლა აუცილებლად მოგვიწევს, მაგრამ არა მხოლოდ თბილ ბუხართან საყურეუტოდო. პასუხად მასპინძელმა გამომძიებელს სახელით მიმართა, ამგვარი ტონი რაში გჭირდება, გეგონება ქვეყნის დამქცევი ვიყოო. ამ ფამილარობაზე გამომძიებელმა მასპინძელს უმალვე ადგილი მიუჩინა, მე ახლა ჩვეულებრივი ნაცნობი კი არა, რაიონის სამძებრო განყოფილების უფროსი, მაიორი ნუგზარ უგრეხელიძე ვარ, ხოლო ჩემზე – სტაჟიორ-კრიმინალისტიაო, მიუთითა. ეჭვმიტანილი მაინც შეეცადა თავისი გაეტანა და ნადირზე სროლა როდის აქეთ აკრძალესო, – გაიოცა. რაზეც, გამომძიებელმა, რამდენჯერ გაისროლეო, მიუკიბ-მოუკიბავად ჰკითხა. დამხვდური დაიბნა და დაყოვნებით, ხუთჯერო. სანადირო თოფიდანო? – ჩაეძია გამომძიებელი. იმან დაუდასტურა, აბა, მე სხვა იარაღი არა მაქვსო. გეტყობა, გაქვს, რადგან ასე მიჯრით მხოლოდ საბრძოლო იარაღიდან ან რევოლვერიდან ისვრიან, ხოლო რევოლვერით, როგორც ცნობილია, მგლებზე არ ნადირობენო, – გამომძიებელმა. ვინ ნადირობდა, ყმუილით აიკლეს აქაურობა და დავაფრთხეო, – თავის მართლება სცადა ეჭვმიტანილმა. სიცრუეა, ნადირის ყმუილისთვის ყური არავის მოუკრავს, სამაგიეროდ, ქალის კივილი და მოთქმა-გოდება გარკვევით გაიგონესო, – მიიღო პასუხად.

მოკლედ, გამომძიებელმა არ დააყოვნა, ელვისებურად შეუტია, მაგრამ ეჭვმიტანილი თავს ოსტატურად იცავდა და როგორც კი გამომძიებელმა ჩხრეკის ორდერი ახსენა, თითქოს სრული სიმშვიდით აღიჭურვა და გადაჭარბებულად თავაზიანი გახდა, რითაც შენიღბვას და ჩვენი ყურადღების მოდუნებას ცდილობდა (ჩემი აზრით, თავიდანვე შინ რომ შეგვიპატიჟა, სწორედ ამისთვის

იყო გამიზნული).

აქ ერთი წუთით უნდა გადავუხვიო და ჭიშკართან ამ სახელდახელო დაკითხვაზე საკუთარი აზრი უნდა მოგახსენოთ: ჩემი შეხედულებით ამგვარი დაკითხვა უმართებულია. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ასე, უცხო თვალისა და მსმენელთა გარემოცვაში (მეზობლები გვითვალთვალებდნენ და გვისმენდნენ), ირღვეოდა მოქალაქის უდანაშაულობის პრეზუმპცია, მაგრამ გამომძიებელი ინფორმატორისგან იმდენად გახლდათ შეგულიანებული, პირველივე ფრაზით ნატყუარ ალიბს ხელი ჩაავლო. ამას ეჭვმიტანილიც მიხვდა. უჭკუო კაცი არ ჩანდა, მაგრამ ეტყობა, აფექტის დროს შეუფერებელი რაღაც ჩაედინა და ამის მიჩქმალვას მონდომებით ცდილობდა.

სანადირო თოფის დათვალიერებამ შედეგი ვერ მოგვცა. როგორც გამომძიებელი ვარაუდობდა, ამ იარაღით არამცთუ წინა საღამოს, ალბათ, ახლო ხანებში არც ყოფილა ნასროლი, მაგრამ ეჭვმიტანილი ჯიუტად იმეორებდა, ამ თოფიდან მგლების დასაფრთხობად გავისროლე, რევოლვერი არასოდეს მქონია და არც გამომიყენებიაო.

ის იყო, ეჭვმიტანილის დაკითხვას ვამთავრებდით, როცა პალატში თეორმანმა, საუცხოო გარეგნობის ახალგაზრდა ქალმა ჩვილით ხელში შემოაბიჯა, მოგვესალმა და რიდით მოგვაჩერდა. მის დანახვაზე ეჭვმიტანილი აიმღვრა, სახის ნაკვთები გაუმკაცრდა, ქალს პალატიდან გასვლა უბრძანა. ქალმაც მისი ბრძანების უსიტყვოდ შესრულება განიზრახა, მორჩილად მიტრიალდა, მაგრამ იგი გამომძიებელმა შეაჩერა.

– მაგას თავი გაანებეთ, არც არაფერი უნახია და არც არაფერი გაუგია... ერთი ზედმეტი დაძაბულობა და ძუძუ დაუშრება! – შესძახა ეჭვმიტანილმა და მისკენ გაიწია, მაგრამ გამომძიებელმა მკვეთრი მოძრაობით სკამს მიაჯაჭვა.

– შესაძლოა, არ გინახავთ, მაგრამ იარაღის ხმას მაინც გაიგონებდით, – დაუყვავა ქალს გამომძიებელმა.

იგი გაიტრუნა. საქციელწამხდარ ქმარს მიაჩერდა. კარგა ხანს მერყეობდა, მაგრამ ბოლოს, ეტყობა, თავს მაინც მოერია და გადაწყვეტილება მიიღო.

– ეს ყველაფერი ისე უეცრად მოხდა, თავი სიზმარში მეგონა, – გულისმიერი ხმით წარმოთქვა, მერე კი ეჭვმიტანილს მიუბრუნდა, – სიმართლეს რატომ არ ამბობ... აკი აცდაო?!.

ეჭვმიტანილისკენ რომ გავიხედე, თვალზე ხელები აეფარებინა, თავი ჩაეხარა და ისე ირწეოდა, სკამს მისი სხეულის სიმძიმისგან ჭრიალი გაუდიოდა.

– მგელს? – ჰკითხა გამომძიებელმა.

ქალი ისევ ებრძოდა თავს, მაგრამ ამჯერად გადაწყვეტილების მიღება სახეზე უფრო მალე შეეტყო.

– არა, ბებოს. – ძლივს ამოთქვა და თავი ჩაკიდა.

– თეო! – დაიღრიალა ეჭვმიტანილმა, წამოიჭრა და ქალისკენ გეზის აღებას აპირებდა, მაგრამ გამომძიებელმა მკლავზე ხელი ჩაავლო და სკამს დაუბრუნა.

გამომძიებელს თავაზიანობისთვის არ უღალატია, ქალს დაჯდომა შესთავაზა, თუმცა იმან იუარა და ფეხზე დარჩა.

– იქნება უფრო დაწვრილებით მოგვიყვეთ.

– მათ, როგორც ჩანს, იკამათეს... ბებომ ეზოდან დამიძახა. ფანჯარა შევაღე და რა იყოთქო, კითხვა დავაპირე, რომ თვალი მისკენ სირბილით მიმავალ გუჯის მოვკარი. ბებოსგან შორიახლოს შედგა, ჩახლეჩილი ხმით რაღაც მიაძახა, უეცრად ქურთუკის უბიდან რევოლვერი ამოიღო და ბებოს მიმართულებით რამდენიმეჯერ გაისროლა. ეზოში რომ გამოვიჭერი, ბებო იმავე ადგილზე, უვნებლად იდგა. გუჯი შემეგება, ვიხუმრეო, მომაძახა, ამიტაცა და სახლში ძალით შემომიყვანა...

– თუ იცით, დაზარალებული ახლა სად იმყოფება ან რა მდგომარეობაშია.

– პატარას რომ ვაჭამე და დავაძინე, მის კვალს გავყევი. ქოხში, სადაც ის ხშირად საქმიანობს-ხოლმე, არ დამხვდა. ეზოს გარეთ საქონლის სადგომები მოვჩხრიკე, მთელი შემოგარენიც. უფრო იქით ტყეა, შემეშინდა და შინ დავბრუნდი.

– თქვენი მეუღლე მისი ბედით არც დაინტერესებულა?

ქალმა ქმარს გახედა, მაგრამ იგი იატაკს იყო დაჩერებული და დუმდა.

– მისთვის არცკი გამიმხელია, მარტოკა ვეძებდი.

აშკარად ჩანდა, ქალი სათქმელს ბოლომდე არ ამბობდა. გამომძიებელი ელოდა, რომ კიდევ რაღაცას დაამატებდა, მაგრამ იგი ჯიუტად დუმდა.

– რა გაეწყობა... ეს მაინც მითხარით, ამ სახლში თქვენს გარდა კიდევ ვინ ცხოვრობს? – გამომძიებელს იმედგაცრუება შეეტყო.

– მამაჩემი და ჩემი შვილები...

– ამ ფაქტის გარშემო ისინიც უნდა დავკითხოთ.

– ბავშვებს არაფერი დაუნახიათ, მამა კი მეტყევეა და შინ მოსვლას კვირაში ან ორ კვირაში ერთხელ ძლივსღა ახერხებს.

– კეთილი... მაშინ ბებიათქვენის გარეგნობა ამიწერეთ. რა ასაკისაა, რა დამახასიათებელი ნიშნები აქვს.

– როგორ გითხრათ... ოთხმოც წელს მიტანებული, გახდარი, საშუალო ტანის შავგვრემანი მოხუცია... რამე ისეთი განსაკუთრებული ნიშნები არცა აქვს... – უცებ შეყოვნდა და გამომძიებელს გაუბედავი მზერა მიაპყრო, – თქვენ გგონიათ, გუჯიმ ბებოს მართლა მოსაკლავად ესროლა?.. დარწმუნებული ვარ, უბრალოდ, დასაშინებლად. – თქვა ქალმა, ქმარს გახედა და შემკრთალი ხმით ჰკითხა, – ხომ ასეა გუჯი?

ეჭვმიტანილი უსიცოცხლო სახით ისევ იატაკს დასჩერებოდა და ხმას არ იღებდა.

– ამიხსენით, რას ნიშნავს ეს „დასაშინებლად?" – ჰკითხა გამომძიებელმა.

ქალი შეწრიალდა, ქმარს გახედა, მაგრამ როცა მიხვდა, რომ იგი სიტყვის ამომდები არ იყო, თითქმის ამოიკვნესა:

– ხშირად კიკნკლაობდნენ, მაგრამ ასეთი რამ პირველად მოხდა.

– რევოლვერი რა უყავით? – გამომძიებელი ეჭვმიტანილს მიუბრუნდა

იგი დუმდა.

– ალბათ, ზევითაა, ახლავე ავალ და ვნახავ, – უპასუხა ქალმა, პალატიდან გავიდა, რამდენიმე ხანში შემობრუნდა და „ტტ“-ს ტიპის უბუდო რევოლვერი გამომძიებელს გაუწოდა.

იარაღი ყურადღებით დავათვალიერეთ.

– ტარების უფლება თუ გაქვთ? – ჰკითხა გამომძიებელმა ეჭვმიტანილს.

მას თავი არ აუწევია.

– იარაღი მამაჩემისაა, საბუთი შენახული ექნება. – უპასუხა ქალმა.

გამომძიებელმა ეზოს მოკვლევა რომ განიზრახა და ახალგაზრდა დიასახლისს გაყოლა სთხოვა, ეჭვმიტანილი აიმრიზა, ბავშვი გაცივებულია, ამ სისხამ დილით მისი ეზოში ტარება არაფრით შეიძლება, დედა-შვილი სახლში დარჩენო, მაგრამ ქალმა ჩვილი მკერდზე მიიკრა, ჯიუტად გაიწია და ეზოსკენ წაგვიძღვა.

სახლის მხარმარჯვნივ, დანაშაულის ადგილზე გავედით. ეჭმიტანილმა სროლის ფაქტი დაადასტურა. იმ ადგილას, სადაც მოხუცი მდგარა, სისხლის კვალი შეინიშნებოდა. კვალმა ქოხამდე მიგვიყვანა, სადაც ყველაფერი დალეწილი და ერთმანეთში იყო ალუფხული. ქოხიდან ბროწეულების ცოცხალ ღობეებამდე ჩავედით და ტყეში გასასვლელ, შენიღბულ კუტიკარს მივადექით. ჩანდა, ამ უცხო თვალისთვის შეუმჩნეველ კარს ოჯახის წევრები ან ის მოხუცი გზის შესამოკლებლად იყენებდა. შემდეგ ეზოდან გავედით, მთელი შემოგარენი ყურადღებით დავათვალიერეთ. როცა საგულისხმოს ვერაფერს წავაწყდით, დავბრუნდით ეზოში და ის იყო, ჭიშკრისკენ უნდა წავსულიყავით, რომ გამომძიებელმა უეცრად გეზი ეზოს მარცხენა ნაწილისკენ აიღო. ეჭვმიტანილს რაღაც ჯიბრი შეეტყო, გაჯგიმული მოგვყვებოდა, ხოლო ჩვილატატებულ ქალს ჩანდა, ეზოს ამ ნაწილისკენ გადახვევა რატომღაც არ სურდა. მოუსვენრად აწრიალდა, სახეზე ფერ-ფურმა გადაჰკრა, მერე კი ერთიანად მოიღვენთა.

სახლისგან მოშორებით, ბაღჩის ბოლოში, გამოცალკევებულ ხელოვნურ ტერასას უშველებელი რცხილა გადმოჰყურებდა. ამ რცხილის ქვეშ, ტერასაზე, ორი მომცრო და ერთიც დიდი, შეყვითლებული დეკორატიული ხვიარა ბალახით დაფარული ბორცვაკები მოჩანდა. გამომძიებელი იქითკენ გაემართა, შედგა და რატომღაც მათ მიმართ განსაკუთრებული დაინტერესება გამოიჩინა, რაც პირადად სრულიად ზედმეტად მომეჩვენა.

– ეს საფლავები ნეტა ვისებია?! – გამომძიებლის ცნობისწადილით აღსავსე ხმა მომესმა.

მისი ხმის ინტონაციამ ძალაუნებურად ბორცვაკებისკენ მეც მიმახედა. მართლაც რომ, უცნაურად გამოიყურებოდა ერთმანეთთან ახლო-მახლო განლაგებული, აქეთ-იქით თითო მომცრო და შუაში მოზრდილი საფლავი. შუაში მდებარე საფლავზე ხის სადა ჯვარიღა იყო აღმართული.

– დედაჩემის და ჩემი მცირეწლოვანი და-ძმის, – გაისმა ეჭვმიტანილის ცოლის დათრგუნული ხმა.

ქალს გავხედე. მას თავი დაეხარა და რცხილის ძირას განმარტოებულ ბორცვაკებს მწუხარე გამომეტყველებით დაჰყურებდა. მის მკერდზე აკრულმა ჩვილმა თითქოს დედის გულის კვნესა იგრძნო, წამოიტირა. ქალი შუბლზე ტუჩით შეეხო და ნაზი ხმით დაუყვავა, მაგრამ ჩვილმა ტირილს უმატა.

– თეო, ბავშვი მოაცილე აქედან! – დაუღრინა ქალს ეჭვმიტანილმა.

– კიდევ ერთი კითხვა და თავისუფალი ბრძანდებით, – მიმართა გამომძიებელმა ქალს.

– მაგას თავი დაანებე, ყველაფერზე თვითონ გიპასუხებ, – მიუბრუნდა ეჭვმიტანილი გამომძიებელს.

– ეგრე იყოს, – დაეთანხმა გამომძიებელი.

ქალმა რამდენიმე ხნის უძრავად დგომის შემდეგ თავი ასწია, მრავლისმეტყველი მზერა ჯერ ეჭვმიტანილს დაადგა, მერე გამომძიებელს გამოხედა, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ეტყობა, ბოლო წუთში გადაიფიქრა, უღონო ნაბიჯით დაიძრა, რცხილის ძირას მდგარი ძელსკამისკენ გაემართა, ზედ დაეშვა და ჩვილის დაშოშმინებას შეუდგა.

– ახლა, რაც გინდა, მკითხე! – ხმამაღლა თქვა აფორიაქებულმა ეჭვმიტანილმა.

– გადავიფიქრე, სხვა დროისთვის იყოს, – ხაზგასმული სიმშვიდით უპასუხა გამომძიებელმა, ერთხელ კიდევ ყურადღებით თვალი მოავლო საფლავებს, ეჭვმიტანილს წაუძღვა და სახლის შემოსავლელ ბილიკს დავადექით.

სახლს რომ შემოვუარეთ, გეზი ჭიშკრისკენ ავიღეთ. ეჭვმიტანილი უეცრად შედგა და სახლს გახედა. კარის წინ სამი, დედის ალიკვალი ბიჭი ატუზულიყო. უფროსი დაახლოებით შვიდი-რვა წლის იქნებოდა, მომდევნოები კი ექვსის და ოთხის.

– ერთ რამესღა გთხოვთ, ბალღები არ დამიშინოთ!.. – მუდარით წამოიწყო ეჭვმიტანილმა, მაგრამ უეცრად, უფროსმა ბიჭმა გააწყვეტინა.

– მამი, დედიკო სადღაა?!

– დიდ რცხილასთან დავტოვეთ! – გასძახა მან.

– შენ საით, მამი?! – დაუძახა ისევ უფროსმა.

– აგერ, ამ ბიძიებს მივყვები და როცა იქნება, დავბრუნდები.

– ძალიან ნუ დააგვიანებ! – მოაძახა ბიჭმა და სამივენი უკანა ეზოსკენ გაეშურნენ.

ჭიშკარში რომ გავდიოდით, ბავშვების ხმები მოგვწვდა. მივიხედეთ. დედა და შვილები თავგამეტებით მორბოდნენ. შევყოვნდით. ქალმა

ბავშვებს გამოუსწრო და მოგვეჭრა.

– სად მიგყავთ, სად, მაგას ხომ ბებოს დაშინებადა უნდოდა! – მოგვაძახა და ეჭვმიტანილს მივარდა, – უთხარი, რომ ასე იყო, რას გაჩუმებულხარ, შენ ხომ ბებო სასიკვდილოდ არ გაგიმეტებია! – უყვირა ეჭმიტანილს.

კაცი ერთხანად ქალს გაქვავებულივით შესცქეროდა.

– კი გავიმეტე, მაგრამ ხო დაინახე, ის ჯოჯოხეთის მაშხალა მაინც გადარჩა! – ღვარძლი ამოანთხია ბოლოს.

ქალი შებარბაცდა, ლამის ჩვილი გაუვარდა ხელიდან, მაგრამ ბავშვებმა მკლავები შემოხვიეს, ძირს დაჯდომაში უშველეს. უფროსმა ჩვილი გამოართვა, უმცროსები კი მთელი ტანით მიეკრნენ.

– რატომ... ასე სატიკად რატომ გაიმეტე! – განწირულივით დაიკვნესა ქალმა.

– უარესიც ეკუთვნოდა... მაგრამ დახე, ბედი ჰქონია... თუმცა რა დიდი დღე მაგას დარჩენია, რომ!.. – ისევ ღვარძლიანად დაამატა ეჭვმიტანილმა.

ქალს გული შეუღონდა. ამასობაში, შორიდან მოთვალთვალე მეზობლემაც იკადრეს გამოჩენა, ქალის გონზე მოყვანას და დამშვიდებას მოჰყვნენ. ვინც საქმის ვითარებაში ვერ ერკვეოდა, ჩვენგან ახსნა-განმარტებას ითხოვდა. გამომძიებელი მათ ბუნდოვანი ფრაზებით პასუხობდა, ბოლოს, ყველაფერს გავარკვევთ და ეჭვმიტანილს ამ საღამოსვე შინ დავაბრუნებთო, დააიმედა.

ქალი გამომძიებლის სიტყვებმა ოდნავ დააშოშმინა. ეჭვმიტანილი მანქანაში ჩავსვით და კომენდატურისკენ გავემართეთ.

* * *

მომდევნო დღეებში ეჭვმიტანილს ჩვენება არ შეუცვლია. ჩანდა, რაღაცის მოლოდინში იყო, თუმცა ვერც იმას დავიჩემებ, რომ მის ზრახვებს ბოლომდე ჩავწვდი. მოწმეები კი დაიკითხა, მაგრამ სიმართლე რომ ითქვას, გამომძიებელს თავი მაინცდამაინც არ გამოუდვია, რადგან ორი კვირა ისე გავიდა, მოხუცი ქალის კვალს ვერაფრით მიაგნეს, ხოლო მის გარეშე საქმე წინ ვერც წაიწევდა. რაც შეეხება ეჭვმიტანილის სიმამრს (მაპატიეთ ჩემი არათანმიმდევრულობა, მგონი დაგაბნიეთ... ეჭვმიტანილი იმ ოჯახში ჩასიძებულია და ჩანს, აქედან გამომდინარე, თავისებურად დაკომპლექსებულიც), ერთი მსმელი, გამოფიტული და უხიაგი კაცი გამოდგა. ჩემი აზრით, საქმის გარშემო განზრახ არაფერი საგულისხმო არ დაასახელა. ეს იყო, ეგ ნაძირალა, ამ ნატანჯ, ღვთისნიერ ქალს რას ერჩოდა, სიკეთის წილ სასიკვდილოდ როგორ გაიმეტაო?! – დაიღრინა, სიძეს ბილწად აგინა და გაჩუმდა. ისე, იარაღი ნამდვილად მისი ყოფილა, დიდი ხნის წინათ სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე გადაუციათ, მერე როგორც ჩანს, მიზეზთა გამო მივიწყებიათ და ამგვარად შერჩენია. შენახვისა და გამოყენების წესი აქამდე რომ დაერღვია, ვინ დაუტოვებდა...

ეჭვმიტანილს ერთადერთხელ დედაბერი კუდიანი და ოჯახის ამრევიაო, წამოსცდა. გამომძიებელმა როგორც კი დეტალების დაკონკრეტება მოსთხოვა, ხმა გაკმინდა და კითხვებს შეგნებულად თავი აარიდა. ეტყობა, ადვოკატის რჩევით დუმილის უფლებას იყენებდა.

მეორე კვირის თავზე დილის საათებში „დედაბერი“ მოულოდნელად გამოგვეცხადა. საშუალო ტანის, ცოცხალთვალება, ოდნავ სრულ, გახუნებულ მუქ დრაფის პალტოში გამოწყობილი და მუქთავშალმოხვეული, ალბათ, ოთხმოც წელს მიტანებული, მაგრამ ჯერ კიდევ ჯან-ღონით სავსე, სანდომიანი მოხუცი აღმოჩნდა. გამომძიებლის ოთახში რიდით შემოაბიჯა, მითითებულ ადგილზე, გამომძიებლის პირდაპირ სკამზე დაჯდა, შრომისგან დახეშეშებული ხელები გულმკერდზე დაიკრიბა და კითხვების მოლოდინში იატაკს დააჩერდა.

– თქვენი სახელი და გვარი, ქალბატონო? – ჰკითხა გამომძიებელმა.

მოხუცმა თავი ასწია და კითხვის დამსმელს გაოცებით მიაჩერდა. მოგვიანებით მის თვალებში სათნო ღიმილმა იელვა, გულმკერდზე დაკრებილი ხელები ჩამოუშვა, ვითომ, ეს რა საკითხავიაო, მარჯვენა ჩაიქნია და ისევ გაიტრუნა.

– წესია ასეთი, თუ თქვენს ვინაობას არ დაასახელებთ...

– ვიცი, მაგრამ... ჩემი ვინაობა რა სახსენებელია, ან ვის რაში ენაღვლება, ჩემო ბატონო... მე აქ ერთი რამისთვის მოვედი... თუ შეიძლება კალამი და ქაღალდი მომეცით, სათქმელს დავწერ და მერე თქვენ როგორც გენებოთ, იმგვარად განსაჯეთ! – ისეთი ხმით თქვა, გამომძიებელმა ქაღალდის რამდენიმე ფურცელი და კალამი თავაზიანად გაუწოდა და მოხუცს უხერხულობა რომ არ ეგრძნო, მის შემოსვლამდე დაწყებული რაღაც საქმის ფურცვლა განაგრძო.

მოხუცი ერთხანად გაშეშებული იჯდა და ფანჯარაში იყურებოდა, მაგრამ ეტყობოდა, ვერც მის თვალწინ გადაშლილ საუცხოო ხედს ამჩნევდა და არც ქუჩაში ხალისიანად მოჟღურტულე მოზარდთა ხმები ესმოდა. იგი აქედან სადღაც შორს იყო და ალბათ, წარმოსახვაში რაღაც მოვლენებსა და ფაქტებს აცოცხლებდა.

უეცრად ქაღალდზე დაიხარა და წერას შეუდგა.

რამდენიმე ხანში სამი ფურცელი გაავსო, წერტილი დაუსვა, ხელი მოაწერა და გამომძიებელს გაუწოდა.

გამომძიებელმა ნაწერი ზანტი მოძრაობით გამოართვა და თვალი უხალისოდ გადაავლო, მაგრამ უეცრად, სახე გამოუცოცხლდა, მოხუცს გაოცებანარევი, პატივისცემით აღსავსე მზერა შეავლო და კითხვას შეუდგა.

– ამ ჩვენების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ,

ბევრ საკითხში საკმაოდ გათვითცნობიერებული ბრძანებულხართ ქალბატონო ნატო და ზუსტად ამის გამო არაფრით არ შეგვიძლია თქვენი მტკიცებულებები მართლჩვენებად მივიღოთ და პოტენციური დამნაშავე უდანაშაულოდ ვცნოთ... იცით თუ არა, რომ სახეზე გვაქვს სისხლის სამართლის დანაშაული, რაც კანონით მკაცრად ისჯება... ჩვიდმეტი ნოემბრის საღამოს შვილიშვილის მეუღლემ ცეცხლსასროლი იარაღით ხუთჯერ გესროლათ. შემთხვევის ადგილის მოკვლევამ დაადასტურა, რომ დაგჭრათ. ქოხისკენ მიმავალ ბილიკს, სავარაუდოდ თქვენი სისხლის კვალი აჩნდა...

– მას ჩემთვის დამიზნებით არ უსროლია და რანაირად დამჭრიდა, ამის მოფიქრება თავში ნეტა ვის მოუვიდა!.. რაც მოხდა, ნამდვილად ჩემი ბრალი იყო, თორემ ეგ კაცი აგრერიგად არ გამწარდებოდა... ასე რომ, სასჯელს მე ვიმსახურებ და არა ის...

– სიძემ ნამდვილად დაგჭრათ თუ არა, ამისი დამტკიცება ახლავე შეგვიძლია, თქვენს ეზოში მოპოვებული სისხლის ანალიზს თქვენსას შევუდარებთ და ეს საკითხიც გაირკვევა... ჩემი მოვალეობა დასჯა როდი გახლავთ ქალბატონო... თქვენმა შვილიშვილმა პირველსავე ჩვენებაზე აღიარა, რომ მისმა მეუღლემ დამიზნებით გესროლათ. საქმეში ნივთიერი მტკიცებულებებიცაა. ყველაფერს თავი რომ გავანებოთ, თავდასხმის ფაქტი თვით სიძემაც აღიარა და მოწმეებმაც დაადასტურეს...

მანდილოსანმა გამომძიებელს მუდარით სავსე მზერა მიაპყრო.

– მაპატიეთ, შვილები თუ გყავთ? – ჰკითხა უეცრად.

გამომძიებელი წუთით დაიბნა.

– რატომ... თუმცა... ბიჭისა და გოგონას მამა გახლავართ.

– ჰოდა, თქვენი ნაფერები ქალიშვილი რომ გაგიბედნიერდებათ, ღმერთმა არ ქნას და, ერთ უკუღმართ დღეს თქვენსა და სიძეს შორის გაუგებრობის გამო მსგავსი რამ რომ დატრიალდეს, ოჯახს დასანგრევად თუ გაიმეტებდით?

გამომძიებელი ერთხანად დუმდა და ფანჯარაში იცქირებოდა.

– თქვენ აქ წერთ, რომ მორწმუნე ბრძანდებით და მონასტერში ყოფნისას სულიერ მამას აღსარება ჩააბარეთ... – წამოიწყო მოგვიანებით, მანდილოსანს მიუბრუნდა, თვალი გაუსწორა, ოდნავ შეყოვნდა და გააგრძელა, – დარწმუნებული ვარ, მოძღვართან სიცრუის თქმას არ იკადრებდით. მაპატიეთ და, რატომ გგონიათ, რომ იგივე სიმართლის გამხელა ჩვენთან არ შეიძლება?.. თქვენ დამნაშავისთვის პასუხისმგებლობის მოხსნას ცდილობთ, რაც ადრე თუ გვიან, მაინც გაირკვევა და სასჯელი არ ასცდება... რა იცით, რომ ღვთიური სამართალი სახელმწიფოს სახელით გამოტანილ განაჩენზე უფრო მკაცრი არ იქნება?.. როგორც ჩანს, თქვენ ამ საკითხს ჭეშმარიტი მორწმუნის პოზიციიდან ვერ უდგებით, თორემ მსგავსი რამ არცკი გაგიელვებდათ... ნუთუ იმაზე არ გიფიქრიათ, რომ ამ ოჯახის შესაკოწიწებლად ამხელა თავგამოდება იქნებ არცაა საჭირო. პირიქით, თქვენი სიძე რომ გადარჩეს, იქნებ მისი იზოლირებაა უფრო საშური?.. როგორც მოწმეთა ჩვენებებიდან ირკვევა, ჩვიდმეტი ნოემბრის შემთხვევა ოჯახში ერთადერთი როდი ყოფილა, ხომ შეიძლება სხვა დროს ყველაფერი ტრაგიკულად დასრულდეს და ოჯახის სხვა, სრულიად უდანაშაულო წევრი თქვენი სიძის გამოხდომებს ემსხვერპლოს.

მოხუცი დაიბნა. თავი ჩაკიდა, რამდენიმე ხანს სიცოცხლის ნიშანწყალს არ ამჟღავნებდა.

– მე კი იმედი მქონდა, რომ ჯერ კიდევ რაღაცის გამოსწორება შეიძლებოდა! – მოგვიანებით თითქოს თავისთვის დაიჩურჩულა, – პალტოს ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ჭირის ოფლით შეცვარულ სახეზე მოისვა.

– ქალბატონო, დანაშაული სახეზეა. მთავარია, ეს ყველაფერი არ უნდა მომხდარიყო. თუმცა... თქვენ ეჭვმიტანილისთვის სასჯელის შემსუბუქება ჯერ კიდევ შეგიძლიათ...

– მართლა? რაა ამისთვის საჭირო, ჩქარა მითხარით! – მოუთმენლად წამოიძახა სახეგაცისკროვნებულმა მოხუცმა.

– გიმეორებთ: სრული სიმართლის აღიარება.

მოხუცს უმალ სახე ჩაუქრა, თავი დახარა და გაიტრუნა.

– რა გაეწყობა... მაგრამ სანამ ამას გადავწყვეტდე, იქნებ სიძესთან შემახვედროთ, – ითხოვა მოგვიანებით.

– ვეცდები, – უპასუხა გამომძიებელმა და ოთახი რამდენიმე წუთით დატოვა.

დაახლოებით ნახევარ საათში ეჭვმიტანილი შემოიყვანეს. გამომძიებელმა კართან გახირულს მაგიდასთან მისვლა და დაჯდომა შესთავაზა, მაგრამ იგი ფეხს არ იცვლიდა. გამომძიებელმა მაგიდასთან მისვლა შეახსენა. ფერდაკარგულმა და შესამჩნევად შეფერთხილმა ეჭვმიტანილმა რამდენიმე ნაბიჯი ბორძიკით, თავაუწევლად გაიარა, გამომძიებლის წინ სკამზე მოწყვეტით დაეხეთქა, ერთხანად გაშეშებული იჯდა, ნელ-ნელა თავი ასწია, მიიხედ-მოიხედა და მზერა მოხუცზე შეაჩერა. მის სახეზე ჯერ გაოცებამ, მერე სევდიანმა ღიმილმა იელვა, თავი უხმოდ დაიქნია და მოხუცს თვალი მოარიდა.

– მოქალაქე ნატო მუსერიაძე ნებაყოფლობით გამოცხადდა და ახსნა-განმარტებაში უარყო თქვენს მიმართ წაყენებული ბრალდება. იგი ამტკიცებს, რომ ამა წლის ჩვიდმეტი ნოემბრის საღამოს ექვსის ნახევრიდან ექვს საათამდე „ტტ“-ს ტიპის 7,62 კალიბრიანი ცეცხლსასროლი იარაღიდან ნომრით: 701081, მისი მიმართულებით ხუთჯერ არ გისროლიათ და არ დაგიჭრიათ. ამგვარად, მოქალაქე მუსერიაძე თქვენი მხრიდან თავდასხმის ფაქტს უარყოფს. ასევე ირწმუნება, რომ იმ ორი კვირის განმავლობაში, რომელშიაც მას სამართალდამცველები ეძებდნენ, ერთ-ერთ მონასტერში სა-

ლოცავად იმყოფებოდა და აქედან გამომდინარე, იმ პასუხისმგებლობისათვის, რასაც გამოძიებასთან თანამშრომლობა ავალდებულებს, თავი არ აურიდებია. მან ნებაყოფლობით შემოგვთავაზა აღიარებითი ჩვენება, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ თქვენი მხრიდან მოქალაქე მუსერიაძეზე განხორციელებული თავდასხმა დადასტურებულია ფაქტებით, სახეზეა ნივთმტკიცება „ტტ"-ს ტიპის 7,62 კალიბრიანი ცეცხლსასროლი იარაღი ნომრით, 701081, სისხლის სამართლის ექსპერტიზის შესაბამისი დასკვნები და მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ თქვენ ამა წლის ჩვიდმეტი ნოემბრის საღამოს ექვსის ნახევრიდან ექვს საათამდე აღელვების ნიადაგზე მოქალაქე ნატო მუსერიაძის მიმართულებით ნამდვილად ხუთჯერ გაისროლეთ დასახელებული ცეცხლსასროლი იარაღიდან და მარჯვენა მკლავის არეში მიაყენეთ გამავალი ჭრილობა, რაც კვალიფიცირდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 113-ე მუხლით „სხეულის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში", რასაც შეეფარდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით თავისუფლების აღკვეთა ორ წლამდე ან გამოსასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დანაშაულის დამამძიმებელი მტკიცებულებები დამატებით გამოვლინდა, გარემოებებიდან გამომდინარე, სასჯელის ზომაც ასევე სათანადო მუხლით იქნება კვალიფიცირებული.

გამომძიებელი უეცრად დადუმდა, იქვე მჯდომ ორ თავჩაქინდრულ ადამიანს თვალი მოავლო და მოსმენილის გააზრების დრო მისცა.

– თქვენ კი, მოქალაქე მუსერიაძე, ვითვალისწინებთ რა თქვენს ასაკს და იმ არატიპიურ სიტუაციას, რომელშიაც აღმოჩნდით, ამჯერად ყურადღებას არ ვამახვილებთ თქვენ მიერ მოწოდებულ ახსნა-განმარტებაზე, თუ როგორც გნებავთ ისე უწოდეთ, რომელიც არაფრით შეიძლება მართლჩვენებად ჩაითვალოს, რადგან თქვენი მტკიცებულებებით მოწმეთა ჩვენებებს უპირისპირდებით და საქმის მართებულად წარმართვისთვის გირჩევთ, მოგვცეთ სწორი აღიარებითი ჩვენება. უკიდურეს შემთხვევაში, გამოძიების შეცდომაში შეყვანისთვის აღმკვეთ ღონისძიებას ვერც თქვენ ასცდებით. – დაასრულა გამომძიებელმა.

რამდენიმე ხნით დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა. ეჭვმიტანილმა როგორც იქნა, თავი ასწია და ცოცხალ-მკვდარ მოხუცს თვალი უსწორა.

– ნათქვამია, კაცმა მალა, მაგრამ ჭირმა თავი არ დამალაო... ხომ გეუბნებოდით, ადრე თუ გვიან, ოჯახის ძველი და ახალი ცოდვები მაინც გამჟღავნდებოდა. დარწმუნებული ვარ, რძლის წამქეზებელი იყავით და წლების განმავლობაში მონდომებით ინიღბებოდით, ხოლო მერე...

– ჩემი, და მით უმეტეს, გარდაცვლილის ამგვარად ხსენების უფლება ნეტა ვინ მოგცა, იმან თავის ცოდვებზე უფლის წინაშე, ალბათ, პასუხი თვითონვე აგო!.. – გააწყვეტინა მოხუცმა, თავი დახარა და ერთხანად გატრუნული იჯდა, ხოლო, როცა თავი ასწია, დაამატა, – ნეტა, ის ტყვიები უკლებლივ შიგ გულში მომხვედროდა და სირცხვილს, შენი აღიარების შემდეგ ჩემ ოჯახს რომ მოელის, ხომ გადავურჩებოდი!.. სწორედ ამიტომაც არ გაგექეცი მაშინ... თუმცა შენ ხომ ტყვია შეგნებულად ამაცდინე... კი დამემუქრე, ეგეც, თქვენი მონანიების საზღაურიო, მაგრამ ჩანს, ბოლომდე მაინც ვერ გამიმეტე, ხელი აგიკანკალდა და ტყვიამ მარჯვენა მკლავზე შემთხვევით გამკრა.

– ასე გგონიათ?! – ნიშნისმოგებით ჩაეკითხა ეჭვმიტანილი.

– ვცდები?! – დაიკვნესა მოხუცმა.

– კი გაგიმეტეთ, მაგრამ სამწუხაროდ, ერთის გარდა, ყველა ტყვია აგცდათ.

მოხუცისთვის თითქოს თავში რაღაც მძიმე საგანი ჩაერტყათ, შექანდა. რამდენიმე ხანს ჩუმად იჯდა, როგორღაც ძალა მოიკრიბა და ამოთქვა:

– რატომ, ასეთი რა დაგიშავე!

– თავს ნუ ისულელებთ, გაიხსენეთ, თქვენთვის ყველაფერი პირში მაქვს ნათქვამი.

– იცოდე, არ ხარ მართალი. არ შეიძლება ჩემი ხნის ადამიანს ისეთი რამ დააბრალო, რაც არასოდეს თავში არ მოსვლია, პირიქით...

– რა არ მოგსვლიათ, რა პირიქით!.. თქვენი კუდიანობის საბუთი ეგერ, თქვენი ეზოს სასაფლაოზე მოიკითხეთ... დარწმუნებული ვარ, ხელი რომ არ შემეშალა, ჩემს ცოლსაც უბედურებას შეამთხვევდით!

– ცილისწამება უდიდესი ცოდვაა შვილო, და არ მესმის, ამ ცოდვის კერძი შენი ნებით რატომ უნდა გახდე!

– რასაც ვამბობ, სრული სიმართლეა და ყველა ცოდვის სამაგიერო უნდა მოგეზღოთ!..

– ამ კაცთან უკვე სალაპარაკო აღარაფერი მაქვს! – შეიცხადა მოხუცმა და გამომძიებელს მიუბრუნდა, – ეს ისეთ რაღაცაში მადანაშაულებს, რის გამოც ვინ იცის, რამდენი ვაება გადამიტანია... ჩემი დანაშაული ისაა, ცოცხალი თავით ისეთი რამის სააშკარაოზე გამოტანა არ მინდოდა, რაც ჩემს ოჯახს ჩირქს მოსცხებდა და ძალაუნებურად, თავი სამუდამო გეენისთვის გავწირე... მაგრამ სხვისი ახირებული საქციელის დაბრალება ჩემთვის რომ უნდათ, ამას მეტად ვერ მოვითმენ!

აღშფოთებულმა მოხუცმა გამომძიებელს ბოდიში მოუხადა, წამოდგა, ოთახში მიხედ-მოიხედა და თითქოს რამე გადამდებ სენს ერიდებოდა, ეჭვმიტანილისგან მოშორებით, კუთხეში მდგარი სკამისკენ გაემართა, დაჯდა და გაკერპებული სახით იატაკს დააჩერდა.

მოხუცის სიტყვებმა და საქციელმა ეჭვმიტანილი გააშეშა. არამცთუ შეპასუხება, ხმის გაღებაც ვერ მოახერხა.

გამომძიებელმა მორიგე გამოიძახა და მისი გაყვანა უბრძანა.

ეჭვმიტანილი გამომძიებლის ოთახიდან ისე გავიდა, მოხუცისკენ არც გაუხედავს.

სასაფლაოს ხსენებაზე ყური ვცქვიტე. თვალწინ რცხილის ძირას ორი მცირე და ერთიც სრული, დეკორატიული ხვიარა ბალახებით დაფარული ბორცვაკები და მის დანახვაზე გამომძიებლის გაფაციცებული სახე წარმომიდგა. ამ საფლავებით მისმა დაინტერესებამ სიმართლე რომ გითხრათ, მაშინ გამაღიზიანა და გავიფიქრე კიდეც, ეს კაცი რას მიედ-მოედება-მეთქი, მაგრამ ერთი შეხედვით სრულიად დაშორებულ მოვლენებს შორის ისეთი კავშირი დაამყარა, პირადად ჩემთვის ძნელი წარმოსადგენი იყო. მაგრამ ჩემგან განსხვავებით, იგი ადგილობრივთა ცხოვრების წესს კარგად იცნობდა და, როგორც შემდეგ დღეებში მისგან შევიტყვე, მთელი რიგი მოკვლევები ჩაუტარებია, რაც გამოსაძიები ფაქტის ირგვლივ ლოგიკური დასკვნის გამოტანის საშუალებას აძლევდა. მას იმთავითვე ყურადღება იმისთვის მიუქცევია, რომ, როცა ეზოს მარცხენა მხარეზე შევუხვიეთ, ეჭვმიტანილის ცოლს მღელვარება აშკარად შეეტყო და როგორც კი ბორცვაკები გამოჩნდა, ერთიანად მოეშვა. გამომძიებლის შეკითხვაზე, თუ ვისი იყო ეს საფლავები, შემკრთალმა კი უპასუხა, დედაჩემის და და-ძმისო, მაგრამ დაბნეულობის დაფარვას მონდომებით ცდილობდა.

შემდგომ დღეებში გამომძიებელს გადაუმოწმებია დაბადებისა და გარდაცვალების აქტები. გაურკვევია, რომ მმაჩის ბიუროში გარდაცვლილ მცირეწლოვანთა დაბადება და გარდაცვალება არც ყოფილა გატარებული, რაც საფუძვლიან ეჭვებს ბადებდა, ერთ-ერთ არგუმენტად კი შემდეგს ასახელებდა: სოფლელთა უმრავლესობას და ამ ოჯახსაც საგვარეულო სასაფლაო ჰქონდა და იმის მაგივრად, რომ ეჭვმიტანილის სიდედრი და მისი მცირეწლოვანი შვილები იქ დაეკრძალათ, რაღაც მიზეზით, შერისხულებივით, თვალსმოფარებულ ადგილას დაუსაფლავებიათ...

ეს ყველაფერი გასრულასთან რა კავშირშია-მეთქი, დავინტერესდი, ეჭვმიტანილისა და მიმალვაში მყოფი მოხუცი ქალის დაპირისპირებისას უსათუოდ გაირკვევაო, დამაიმედა. და აი, ეჭვმიტანილმა სასაფლაო, სიდედრი და მათთან კავშირში თავისი ცოლიც ახსენა, თუმცა მხედველობაში რა ჰქონდა, ბოლომდე არ გაამხილა. გამომძიებელმა დროის ამბავია, მალე ეს კვანძიც გაიხსნებაო.

ამის საფუძველს რა აძლევდა, ვერც დაგიზუსტებთ, მაგრამ მისი ენთუზიაზმი და გამოცდილება მაიმედებდა.

და აი, მივადექი მთავარს: შემეძლო თქვენთვის ამ შესავალის გარეშეც გამომეგზავნა ორი ჩვენება, რომლებიც იმ ოჯახის სიძემ (აწ უკვე ბრალდებულმა) და მოწმემ – ბებიამ დროგამოშვებით წარუდგინეს გამოძიებას. დარწმუნებული ვარ, ამ ჩვენებებზე დაყრდნობით სათანადო დასკვნებს გამოიტანთ, მაგრამ მინდა ამ საქმის მიმართ ჩემი მყარი პოზიცია მოგახსენოთ: ამ საქმეში მთავარი დამნაშავე არ მონაწილეობდა, რადგან იგი იმ დროისათვის, როცა ის ხუთი გასრულა განხორციელდა, უკვე ოცდასამი წლის გარდაცვლილი ყოფილა, თუმცა აქვე იმასაც დავამატებდი, რომ საბოლოო ჯამში, ჩემი აზრით, მთავარი დამნაშავე არც ის გახლდათ. როგორც ირკვევა, მანიაკალური გადახრებით შეპყრობილი სნეული ყოფილა და თავის ქმედებებზე პასუხს ვერ აგებდა, რადგან მხოლოდ საკუთარ ინსტინქტებსა და ვნებებზე იყო დამოკიდებული და ეს ამბავი მისმა გარემოცვამ გულთან არ მიიტანა, განკითხვასღა დასჯერდა და ვერ გააცნობიერა, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ იმ ქალის და იმ ოჯახის პირადი საქმე როდი ყოფილა. მის შესაჩერებლად ვიღაცას დაუყოვნებლივ უსათუოდ რაღაც უნდა ედონა, მაგრამ უსულგულობის გამო ახლობლებმა ეს ადამიანები ამ ტრაგედიას პირისპირ შეატოვეს. როგორც მოვლენების განვითარებამ გვიჩვენა, ამ ამბების პირველი მსხვერპლი ოჯახის უფროსი ანუ იმ ქალის ქმარი აღმოჩნდა და იგი ერთ-ერთი მთავარი მოწმის სახით დაიკითხა, მაგრამ ალკოჰოლით გამოთაყვანებულისგან გამოძიება დამაკმაყოფილებელ ჩვენებას ვერაფრით ედირსა.

ჩემს ჩანაწერებთან ერთად გიგზავნით ორ ჩვენებას, რომლებიც მეტად საყურადღებოა და უფრო აღსარებებს ჰგვანან (განსაკუთრებით ბებიის, ნატო მუსერიაძის, რომელიც მთელი კვირა ებრძოდა თავს, ეღიარებინა თუ არა სიმართლე. ბოლოს, როცა გამომძიებელი დაპირდა, რომ სასამართლო დახურული წესით გაიმართებოდა, ძლივს დაყაბულდა), და რომლებზე დაყრდნობითაც დანაშაულის კვალიფიცირება მოხდა, რასაც კატეგორიულად არ ვეთანხმები.

ჩემი მთავარი მიზანი ის კი არ არის, რომ თქვენს წინაშე მომგებიანი პოზიცია დავიკავო ან ჩემი საზრიანობით თავი მოგაწონოთ, არამედ ვისაუბრო იმ ძირითად პოსტულატებზე (რაზეც მყარად უნდა იდგეს კანონი), რომელთა შორის უმთავრესი სამართლიანობა და მიუკერძოებლობაა, თუმცა სამწუხაროდ, ჩვენი სასამართლო სისტემა აშკარაა, დღესდღეობით ამ პრინციპებისგან შორს დგას და საქმის გაიოლების მიზნით, ძირითადად სუბიექტურ მოსაზრებათა აპელირებითაა დაკავებული, რის გამოც იგი უსულგულო პროკრუსტეს უფრო ჰგავს, ვიდრე თემიდას და სანამ მოსამართლეები ამ უპრინციპობით იხელმძღვანელებენ, სამართლიანობა ვერასოდეს იზეიმებს.

როცა ამ ორ ჩვენებას გაეცნობით, ალბათ, კიდევ ერთხელ საცნაური გახდება, რომ ცხოვრება ისეთი მარტივი როდია, როგორც სინამდვილეში ჩანს და მავანთ ჰგონიათ. მათი მიდგომით ყველა მოვლენასა და ფაქტს შესაძლოა, თურმე ლოგიკური დასაწყისი, განვითარება და დასასრული მოეძებნოს, ხოლო ამავე ლოგიკით განსასჯელის ბედი საერთოდ არ იქნეს გათვალისწინებული და დავიწყებას მიეცეს, რომ ჭეშმარიტება ერთადერთია.

მაპატიეთ, თქვენი ყურადღება ასე რომ გადავტვირთე, მაგრამ სხვანაირად არ შემეძლო. იმედია, ჩემს მოსაზრებებს კადნიერებად არ ჩამითვ-

ლით. თქვენ სულაც არა ხართ ვალდებული სხვის მაგივრად თავი იმართლოთ, მაგრამ ერთ რამეს გთხოვდით: იქნებ ამ საქმეს უზენაეს სასამართლოში თვალი მიადევნოთ და როგორმე მართებული გადაწყვეტილების გამოტანას მიაღწიოთ. ეს ჩვენი მოვალეობაა.

ნახვამდის. ჩემი დიდი მოკითხვა ქალბატონ მარის და თქვენს უმშვენიერეს ქალიშვილს – ლანას“.

ღრმა პატივისცემითა და საუკეთესო
სურვილებით – რამაზ ნემსაძე

ჩვენება პირველი

მე, გუჯა ქაიხოსროს ძე ძაგანიძე, დაბადებული 1970 წელს, უმაღლესი განათლებით, პროფესიით ინჟინერ-ტექნოლოგი, დროებით მცხოვრები გარეუბნის 13-ში, საქმის გარშემო შემდეგს მოგახსენებთ:

ცხრა წლის წინათ დიპლომის ხელმძღვანელის რეკომენდაციით ამ რაიონში ჩამოვედი და ადგილობრივ ღვინის ქარხანაში ინჟინერ ტექნოლოგად დავიწყე მუშაობა. როგორც გაირკვა, ქარხანას საცხოვრებელი ფართობი არ გააჩნდა და ადმინისტრაციამ მირჩია ბინა დამექირავებინა, ქირის გადახდას კი ქარხნის ანგარიშიდან შემპირდნენ. თანამშრომელმა რამდენიმე ბინა შემომთავაზა, მაგრამ თვალში არც ერთი არ მომივიდა. ბოლოს და ბოლოს არჩევანი ქალაქის გარეუბნის განაპირა სახლზე შევაჩერე. პირველივე დათვალიერებისთანავე მომეწონა სახლის მდებარეობა, სიმყუდროვე, მეორე სართულზე წინა ეზოში გამავალფანჯრებიანი, გამოცალკევებული მზიანი ოთახი და მომაჯადოებელი სილამაზის გოგონა, რომლის კარში გამოჩენისთანავე ოჯახის დიასახლისი, ამ გოგონას ბებია გაწიწმატდა და ახლავე შინ შედიო, დაუტატანა. შემკრთალი გოგონა დიდი, ცისფერი თვალებით მომაჩერდა, მერე მოხუცს მიმტევებლურად გაუღიმა, ტანის გრაციოზული რხევით ჩაგვიარა და ჭიშკრისკენ გაემართა.

– გადამრევს ეს გოგო, სად მიდიხარ ახლა! – ისევ დაუტატანა გოგონას მოხუცმა.

– არსად, ქუჩას მინდა გავხედო, – თამამად მიუგო გოგონამ, მაგრამ ადვილი მისახვედრი იყო, ჩემი ყურადღების მიპყრობა უფრო უნდოდა, ვიდრე ქუჩაში გახედვა.

– ახლავე შედი შინ! – მოხუცმა ხმაში სიმკაცრე გაურია, რაზეც გოგონა უსიტყვოდ დაემორჩილა, სახლის ქვედა სართულის მძიმე კარი შეაღო და შევიდა, მაგრამ მისმა მომნუსხველმა სახემ მალე ღია ფანჯარაში იელვა.

მოხუცს გოგონათი ჩემი დაინტერესებისთვის მგონი ყურადღება არც მიუპყრია. ოთახის საფასურის მაზანდის აწევით უფრო იყო გართული. მეც ამით ვისარგებლე და ფანჯარასთან მდგომის სილამაზით ვტკბებოდი. მოხუცი არა და არ ცხრებოდა, ბინას ქება-დიდებას ასხამდა და როცა მისთვის სასურველ ფასზე შევუთანხმდი, ოთახს მივალაგებთ და გადმოსვლა ხვალვე შეგიძლიაო. ამაზე ადვილი არაფერია, საბან-გობანი მე არ გამაჩნია და ავეჯი, ჩემი მწირი ავლა-დიდებით საღამოსვე გეახლებით-მეთქი, რაზეც ორივეს გაგვეცინა. ამით ჩვენს შორის სათქმელი თითქოს ამოიწურა, მაგრამ ეზოში ვიდექი და წასვლაზე არც ვფიქრობდი. მოხუცმა ზრდილობის გამო სახლში შემიწვია. მისდა გასაოცრად, შემთხვევა ხელიდან არ გავუშვი და რამდენიმე წუთში, მძიმე კარებს მიღმა, ვრცელ პალატში აღმოვჩნდი.

– თეო, სადა ხარ, მოდი აქ, ჩვენი მდგმური უნდა გაგაცნო! – დაიძახა დედაბერმა.

სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ გოგონა ჩვენს წინ გაჩნდა. თავით ფეხებამდე თამამად შემათვალიერა, მერე თავი დახარა და მორჩილად გაილურსა.

თავბრუდამხვევი თვალ-ტანადობის იყო. ცისფრად დაჩითული ფრიალა კაბითა და ღია წაბლისფერი, მხრებზე ჩამოშლილი თმით რომელიღაც ველურ ყვავილს უფრო მაგონებდა, ვიდრე ხორცშესხმულ არსებას.

– ჩემი დედით ობოლი, ჩემი მარგალიტის თვალი, ამას ენაცვალოს ბებო, ჯერ თექვსმეტისაც არაა და დახე, როგორ ზრდასრული ქალივით გამოიყურება, – მიესიყვარულა შვილიშვილს მოხუცი, მერე მომიბრუნდა და მკითხა, – დაოჯახებული თუ ხართ?.. თუმცა ამას ჩვენთვის რა მნიშვნელობა აქვს! – მკაცრად დაამატა მოგვიანებით. უმალვე ვუპასუხე, რომ უცოლო ვიყავი, ოცდასამის ვხდებოდი და ქარხნის ჩემი მთავარი ტექნოლოგობა მაინცდამაინც დიდს არაფერს ნიშნავდა. მაგრამ, როგორც შემდგომში გაირკვა, ამ მოხუცს ეს თანამდებობა ჩემდამი კრძალვით განაწყობდა და საერთოდ,ჩემ შესახებ ყველაფერი აინტერესებდა.

თეო წარამარა ცმუკავდა. ბებია მისი მისამართით შენიშვნებს არ იშურებდა, თუმცა, როცა სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან მიმიწვიეს, გოგონა ჩემს პირდაპირ დაჯდა, სიდინჯით შეიმოსა და ღირსეული მასპინძლობა გამიწია.

საუბარში გაირკვა, რომ ამ უზარმაზარ სახლში სამად სამ სულს უცხოვრია. მესამე პირი, თეოს მამა, კვირიდან კვირამდე თუ გამოჩნდებოდა, მეტყევე ყოფილა და მათი თქმით, საქმეს იყო გადაგებული. მეზობელ ქალაქში გათხოვილი, ოჯახის საქმეებით დატვირთული თეოს უფროსი და მშობლიურ სახლს იშვიათად სტუმრობდა, ხოლო შუათანა, ტყუპ ძმებს რაც რუსეთში გადახვეწილან, ერთხელაც პირი არ უქნიათ აქეთკენ. მდგმურად ჩემი აყვანა მათთვის ახლობელს ურჩევია, შემოსავალიც გაგიჩნდებათ და თქვენც ცოტათი გახალისდებით, აბა, ასე გამოყრუებულებივით როდემდე იქნებითო...

იმ სახლში მდგმურის უფლებით თითქმის მთელი წელი ვიცხოვრე. სამსახურის გადამკიდე იმდენად მოუცლელი ვიყავი, შინ მხოლოდ გვიან ღამით ვბრუნდებოდი. თეო თურმე, მთელი დღეები ფანჯარასთან წრიალებდა და ქუჩას გაჰყურებდა. რანაირი დარიც არ ყოფილიყო, გამომეგებებოდა, პალატში შემიძღვებოდა და გულუხვად მმასპინძლობდა. დედაბერს თავი განზე ეჭირა და თითქოს ჩვენს ურთიერთობაში არ ერეოდა, მაგრამ ვგრძნობდი, თეოზე დიდ ზეგავლენას ახდენდა და შესაძლებლობისდაგვარად, თვალსაც არ გვაცილებდა. მიუხედავად იმისა, რომ თეოს სიახლოვით თავბრუდახვეული ვიყავი, უდიდესი ძალისხმევის ფასად თავშეკავებას ვიჩენდი. ჩემგან განსხვავებით თეო თამამად ირჯებოდა, ბებიის შენიშვნებს არაფრად აგდებდა, ერთთავად კუდში დამდევდა, დაუსრულებლად რაღაცას მეტიტინებოდა და საალერსოდ მიწვევდა. ამან თავისი შედეგი გამოიღო, ჩემი თავშეკავება მისდამი დაუცხრომელ ლტოლვაში გადაიზარდა.

ჩვენი ურთიერთობა საბოლოოდ ქორწინებით დასრულდა. წლების შემდეგ რომ ვაანალიზებ, ვხვდები, ჩვენს შეუღლებაში მოხუცმა უდიდესი როლი ითამაშა, თუმცა, როგორც კი ვიწრო წრეში საქორწინო სუფრა გადავიხადეთ, მან შვილისა და შვილიშვილის უჩუმრად სხვაგან გადასვლა მირჩია. ამ საკითხში ჩვენი აზრები დაემთხვა, მაგრამ თეო წინ აღგვიდგა და სანამ თავისას არ მიაღწია, არ დაშოშმინდა.

საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ ასე დავრჩი ზედსიძედ ამ სახლში. ქორწინების პირველ თვეებში თავი უბედნიერეს ადამიანად მიმაჩნდა. თუმცა ამ ნეტარ მდგომარეობას დროგამოშვებით დედაბრის გაფრთხილება არღვევდა, თეოს ხელი ჩაჰკიდე და წადით, წადით აქედანო. ეს გაფრთხილებები მის აკვიატებად მიმაჩნდა და ძირისძირობამდე არასოდეს ჩავძიებივარ, მაგრამ ჩვენი ურთიერთობა თანდათან ჩუმ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

აქ უსათუოდ ოჯახის სხვა წევრებს, თეოს მამას, უფროს დას და შუათანა ტყუპ ძმებს უნდა მივუბრუნდე: მამა ერთი წყალწაღებული, მოთავებული ლოთია. ეს კაცი საკუთარი სახლიდან გამუდმებით გარბის. დროდადრო გამოჩნდება, მაგრამ ორ-სამ დღეზე მეტად ვეღარ ძლებს (ღამის კოშმარებს ებრძვის, მისი ოთახიდან ხშირად რაღაცის უარყოფა და მუქარა ისმის), უეცრად თავის ნივთებს ხელს დაავლებს და ტყეში გადაიკარგება. რაც შეეხებათ დასა და ძმებს: უფროს დას, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ოჯახთან ურთიერთობა თითქმის გაწყვეტილი აქვს, ბებია და თეო მასთან სტუმრად მიდიოდნენ-ხოლმე, იტყოდნენ, ერთი კვირა მაინც დავრჩებითო, მაგრამ მეორე დღესვე ბრუნდებოდნენ და გამოგონილ მიზეზთა ჩამოთვლას ვერ აუდიოდნენ. საქმე ტყუპებზე რომ მიდგებოდა, არც აქ იბნეოდნენ. თუმცა ცხადი იყო, ბიჭები ამ სახლიდან რაღაცას გაქცეოდნენ და მიუხედავად შენიღბვისა და გასაიდუმლოებისა, ჩემში გარკვეულ ეჭვებს აღძრავდნენ.

ეს ეჭვები მას შემდეგ უფრო განმიმტკიცდა, რაც თეოს ყოველდღიურ საქმიანობას დავუკვირდი. იგი ყვავილებზე ირეოდა. ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ეზოს დასტრიალებდა. სადღაც შოულობდა ნაირ-ნაირი ყვავილების ნერგებს, მათ გადარგვა-გადმორგვასა და მორწყვას არავის ანებებდა. სხვები მხოლოდ ამ სილამაზით უნდა დამტკბარიყვნენ. სილამაზისადმი მის სწრაფვას გაოცებაში მოვყავდი, მაგრამ თანდათან შევნიშნე, რომ მთელი მისი დაუღალავი რუდუნი რაღაცისგან გაქცევას უფრო ჰგავდა და ამაში მით უფრო დავრწმუნდი, როცა მას ხშირად სახლიდან მოშორებით მდგომი რცხილის ქვეშ მიყუჟულ, დედამისისა და პატარა და-ძმის საფლავებთან განმარტოებულს ვაწყდებოდი. ერთხელ, მათი გარდაცვალების მიზეზთა გარკვევა ვცადე. მან თვალი ცას შეავლო, უფალმა წაიყვანაო, მოკლედ მომიგო და თავის თავში ჩაიკეტა. ამის შემდეგ ამ თემაზე მასთან არ მისაუბრია. ვატყობდი, ამ საფლავებთან ყოფნისას ხელს ვუშლიდი და ვცდილობდი მისთვის სულის სიმყუდროვე იმ იმედით არ დამერღვია, რომ მშობიარობის შემდეგ განმარტოების სურვილი გაუვლიდა და ქორწინებამდელივით ალერსიანი და მოსიყვარულე გახდებოდა.

დედაბერთან ამ საფლავების უცხო თვალისგან გადამალვის მიზეზის გარკვევა რამდენიმეჯერ ვცადე (ბაღჩის ბოლოში ყვავილებით მორთული ბორცვაკების არსებობას სხვანაირად ვერც ახსნიდი). იგი ბუნდოვან ფრაზას დამაჯერებდა და ისევ მირჩევდა, თეოსთვის ხელი ჩამევლო და ამ სახლს მოვშორებოდი. საბაბს რომ ვკითხავდი, თქვენთვის ასე სჯობსო, მომიჭრიდა, მაგრამ იმასაც ვხედავდი, ბებია-შვილიშვილი ერთმანეთს ვერ ელეოდნენ და ეს მოხუცი სახლიდან რომ გვითხოვდა, მით უფრო მაკვირვებდა

პირველი ვაჟიშვილზე თეომ მშვიდობიანად მოილოგინა. როგორც ველოდი, პატარაზე ზრუნვამ მის ხასიათსა და ქცევაში ბევრი რამ შეცვალა. რცხილის ძირას საფლავებთან ჯდომას თავი ანება და ერთთავად ჩვილის ყოველ ჩქამს იყო მიყურადებული. ერთი ხანობა ყვავილნარიც კი გადაავიწყდა, მაგრამ დროებით აქ მე შევენაცვლე.

ცხოვრება სასურველ კვალში ჩადგა. პატარა იზრდებოდა. საზრუნავიც გვემატებოდა. ქორწინებიდან მესამე წელს მეორე ვაჟიშვილი შეგვეძინა. თეო რაც დრო გადიოდა, უფრო მშვენდებოდა და თითქოს მისი უცნაურობები დავიწყებას მიეცა და გული საგულეში ჩამიდგა, თუმცა ერთი რამ მუდმივად მაშფოთებდა: მიუხედავად იმისა, რომ ეს ოჯახი ხელმოკლეობას არ უჩიოდა, კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა, მეზობელი იქნებოდა თუ ნათესავი, ამ სახლში სტუმრობას გაურბოდა. თავიდან ამას ოჯახის უფროსის უკმეხ ხასიათს მივაწერდი. მეგონა გამუდმებით ტყეში ყოფნისა და ნადირის დევნისგან თითქმის გაველურებულს ახლობლების მისამართით გადმონთხეული უადგილო სარკაზმის გამო ერიდებოდნენ, მაგრამ

ერთხელ ნასვამ მეზობელს წამოსცდა, თეოს დასა და ძმებს შინიდან ფეხი რომ აქვთ ამოკვეთილი, ნუთუ არაფერზე მიგანიშნებსო. რომ ჩავეძიე, რაღა ჩემგან, მიზეზი თითქმის ყველა მეზობელმა იცის, კითხე და რომელიმე უსათუოდ გიპასუხებსო.

ამ დროიდან მეზობლებში გამოკითხვა დაიწყე. პასუხი თავშეკავებული, მაგრამ შემზარავი იყო: მათ თითო, მრავალტევადი ფრაზით რცხილის ძირას შეფარებულ საფლავებზე მიმანიშნეს...

თეოს დედას ოთხი შვილის გაჩენის შემდეგ კიდევ ორჯერ უმშობიარია. ორივე დაბადებიდან ერთ თვეში ან თვენახევარში დაღუპულა და რცხილის ძირას დაუკრძალიათ. ამბობდნენ, ჩვილები საღ-სალამათები იბადებოდნენ, მაგრამ უეცრად ცივდებოდნენ და კვდებოდნენ, დედა ნაბოლარას დარდს გადაჰყვაო... ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ ისინი სათქმელს ბოლომდე არ ამბობდნენ, თუმცა იქვე მიმანიშნებდნენ, ჩვილების უეცარ სიკვდილში თეოს ბებიას უდავოდ რაღაც ბრალი მიუძღვისო. ისინი ამ ფაქტს ვერ ამტკიცებდნენ, მაგრამ ის რომ, ქალაქში არსებობდა სამშობიარო სახლი საკმაოდ გამოცდილი მეანგინეკოლოგებით, ხოლო ამ დროს რძალს შინაურ პირობებში დედამთილი ამშობიარებდა, გარკვეული ხნის შემდეგ კი სრულიად ჯანმრთელი ახალშობილები უეცრად კვდებოდნენ, დაეჭვების საბაბს ნამდვილად იძლეოდა.

რამდენიმეჯერ სიმართლის გარკვევა მოხუცთანაც ვცადე. უნდა გენახათ, საიდუმლოს რა გააფთრებით იცავდა და საბოლოოდ დავრწმუნდი, იმ ბნელით მოცულ ამბებში ნამდვილად რაღაც წილი ედო.

ამ დროიდან ავითვალწუნე. მგონია, იმანაც შემიძულა. კუდიანსა და როკაპს ვეძახდი და ამის საფუძველს თვით მისი საქმიანობა და სათაკილო ურთიერთობები მაძლევდა: ნაირ-ნაირ ბალახ-ბულახს აგროვებდა, ნაყავდა, ხარშავდა, ვიღაცებს ატანდა და გამუდმებით ერთ ფაციფუცში იყო.

თეო სამი თუ ოთხი წლის შერთული მყავდა. ერთხელ, ნამთვრალევს, პალატის ფანჯარასთან მიდგმულ სავარძელში ჩამძინებოდა. შუა ღამე გადასული იქნებოდა, როცა რაღაცის ჭრიალმა და ქალის ვედრებამ ძილი დამიფრთხო. ვხედავ, დედაბერს მკრთალი სანთლის შუქზე სამფეხა, მომცრო მრგვალი მაგიდის თავზე მარჯვენა ხელი აღუმართავს და წრიულად ამოძრავებს, მაგიდა მისი ხელის მოძრაობისდა მიმართულებით ტრიალებს და უცნაური ჭრიალის თანხლებით თანდათან ძალას იკრებს, რასაც დედაბრის მიმართვა ერთვის: დიადო სულო, შენი სახელის ჭირიმე, მაპატიე, რომ მყუდროება დაგირღვიე და ჩემი გასაჭირის გამო გაწუხებ, მაგრამ სხვა ჩარა არ მაქ... ოჯახის მარჩენალი მეწველი ფური უგზო-უკვლოდ დამეკარგა და გემუდარები, თუ თეოფილეს ღრანტეშია გადაჩეხილი, ორი დაკაკუნებით მიმანიშნო, თუ ვერანას ჩირგვნარშია გახერილი, სამით, და თუ ტყე-ღრეში ნადირის დაგლეჯილი გდია, ოთხით...

მაგიდა გასაოცარი სისწრაფით დაბზრიალდა, მერე უეცრად, თითქოს ვიღაცამ ხელით უბიძგაო, გვერდზე გადაიზნიქა, ცალი ფეხით იატაკზე ორჯერ, მკაფიო ხმით დააკაკუნა, ბზრიალს თანდათან უკლო და გაჩერდა.

ამგვარ რამეებზე რომ ყვებოდნენ, სასაცილოდ არ მყოფნიდა, მაგრამ დედაბერმა თითქოს ჯადოქრობის გაკვეთილი ჩამიტარა და ამ საკითხში ჩემს ურწმუნობას საფუძველი გამოაცალა.

– ყველაფერთან ერთად თურმე, მჩხიბავიც ყოფილხართ! – აღშფოთებული თავს დავატყდი.

– უი, შენა ხარ?!. – გაიკვირვა შემკრთალმა, – მე კიდე მეგონა, მარტო ვიყავი! – დაამატა, შემდეგ მიმოიხედა, უცნაურად გაიღიმა და ვითომც არაფერი, – მჩხიბავი არა, კიდევ რაღაც მოიგონე. რას მომჩერებიხარ, თქვენი უნდილობა ადამიანს რას არ ჩაადენინებს... საქონელს მთელი კვირა უგზო-უკვლოდ რომ დაეძებთ, თურმე, ეგერ, თეოფილეს ღრანტეშია გადაჩეხილი და შველა ჭირდება! – გასაოცარი თავდაჯერებით მიპასუხა, ჩემი აღშფოთება არაფრად ჩააგდო, „დიად სულს“ მადლობა გადაუხადა, თავის დაკვრითა და უცნაური ჟესტებით დაემშვიდობა, სანთელს სული შეუბერა და ჩაწკვარამებულ პალატში მარტო დამტოვა.

მისმა საქციელმა მეტად შემაცბუნა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ მაინც მძლია. უთენიაზე ორ მეზობელთან ერთად ეგრეთწოდებული თეოფილეს ღრანტესკენ გავემართე. მართლაც, საქონელი დედაბრის მიერ მითითებულ ღრანტეში პირქვე იყო ჩამხობილი და სულს ღაფავდა. ფეხზე თოკი ჩავაბით და დიდი ვაი-ვაგლახით ამოვათრიეთ. დედაბერმა იმდენი უაქიმა და უარა, კიდევაც გადაარჩინა.

ამით იმისი თქმა მინდა, რომ იგი, ერთი შეხედვით, უბრალო ვიღაცა ჩანს, მაგრამ სინამდვილეში, საშიში დედაკაცია, სულ რაღაც გახუნებულ, ყდაშემოგლეჯილ, მითაჟამინდელ წიგნებში იქექება, ხელს გამუდმებით სხვის სულში აფათურებს. დარწმუნებული ვარ, გასაოცარ მაგიურ ძალებს ფლობს და თუ დასჭირდა, ვიღაცის დასათრგუნად აუცილებლად გამოიყენებს.

გარდაცვლილ რძალს თავის ნებაზე დაატარებდა და რაღაც სისაძაგლეებისკენ უბიძგებდაო, რომ ამბობდნენ, ეტყობა, სიმართლეა.

როგორც კი ვიგრძენი, რომ თეოზეც რაღაც ზემოქმედებას ახდენდა, ავიწყვიტე, ცოლ-შვილს ხელი დავავლე და სახლიდან გავიქეცი. რამდენიმე ხნის შემდეგ უკან თეოს მუდარამ დამაბრუნა. იგი სხვაგან ვერ ძლებდა, მე კი, როგორც აღმოჩნდა, უიმისობა არ შემეძლო. თვითონ მოხუცს თავი ისე ეჭირა, თითქოს ამ სახლში არაფერი უცნაურობა არ მომხდარიყო და ჩემ ეჭვებსაც საფუძველი არ ჰქონოდა. ამ ეჭვების გასაბათილებლად გამუდმებით შრომობდა. როდის იძინებდა ან როდის იღვიძებდა, ვერ გაიგებდი. მშრომელ ადამიანს უდიდეს პატივს ვცემ და ეს მაკავებდა, თორემ მის დანახვას ვერ ვიტანდი. თეოსთან ოთახში შესვლა

და ბავშვებთან მიკარება ავუკრძალე. იგი დუმდა, უკმაყოფილება ერთხელაც არ გამოუხატავს. როცა ვსაყვედურობდი, თავს ჩახრიდა და მისმენდა, არც თავის მართლებას ცდილობდა და არც რამე. მერე გამეცლებოდა და ჩვეულ საქმიანობას აგრძელებდა.

ხშირად მიფიქრია, იქნება ვცოდავ და ამ უდანაშაულო ადამიანს არარსებულ რაღაცებს ვაბრალებ-მეთქი. თვალს ვადევნებდი, რა გულმოდგინედ და ალბათ, დიდი სიყვარულით აკეთებდა სრულიად მოსაწყენ საქმეს, რომელსაც მის გარდა გულს სხვა ვერავინ დაუდებდა. თუ არა სიყვარული, რა რჯიდა ამ ხანდაზმულ ადამიანს მთელი ოჯახის ტვირთი თითქმის მარტოს ისე ეზიდა, ერთხელ საყვედურიც არ დასცდენოდა, მაგრამ იქვე ერთი აზრი მიყალიბდებოდა: ყველაფერს ღონობდა, საკუთარი უნიათობა თვალნათლივ დაენახვებინა შვილისთვის, ახლობლების თქმით ცხოვრებას მცონარობაში რომ ატარებდა და ვალდებულებების ასაცდენად სადღაც ტყე-ღრეში იყო ერთთავად გადაკარგული, და ასევე ჩემთვისაც, ვინც მისი ფიქრით ფეხი ვერსად მოიკიდა, სხვის ნაშრომზე მოხერხებულად იყო მოკალათებული, და მეორე რამეც: ამით იგი მიგვანიშნებდა, რომ ამ სახლ-კარის ერეთადერთი, კანონიერი პატრონი თვითონ იყო და მუდამ იქნება და მხოლოდ იმის ჯიბრი ამოძრავებდა, ეს ჩვენთვის ყოველ ნაბიჯზე ემტკიცებინა და ამ ყველაფერს ისე შეფარულად ახერხებდა, მის ზრახვებს მავანი ვერც ჩასწვდებოდა. აშკარად ვგრძნობდი, ამ სახლში ზედმეტი ვიყავი და საუკუნეც რომ დამეყო, მხოლოდ და მხოლოდ ზედსიძედ ან მდგმურად დავრჩებოდი, რაც სრულიად უბრალო რამეში ვლინდებოდა: მოხუცი ჩემ მიერ გულმოდგინედ მომთავრებულ ყოველ საქმეს მიადგებოდა, თავის ჭკუაზე გადააკეთებდა და ვფიქრობ, ამით სურდა, ხაზი გაესვა უმთავრესისთვის: ამ სახლში, ვინც არ უნდა ყოფილიყო, ყოველდღიურ ჭაპანს მისნაირი პასუხისმგებლობით, უცხო თვალისთვის შეუმჩნევლად, ყოველგვარი ძალდატანებისა და მადლიერების მიგებების გარეშე მის გარდა ვერავინ ზიდავდა. მიკვირდა-ხოლმე, საიდან ჰქონდა იმდენი ძალა და მოთმინება, მუდმივად ჯარასავით მოტრიალეს ქანცგაწყვეტის გამო უბრალო დაჩივლებაც არ წამოსცდენოდა. ხშირად ვფიქრობდი, ეს ქალი უცვეთი რკინისგან არის გამოჭედილი, ყველას მოგვინელებს და ალბათ, ათასი წლის შემდეგ საფლავში ისე ჩავა, პირიდან ერთი კვნესაც არ დასცდება-მეთქი...

მესამე ბიჭი რომ გვეყოლა, დედაბერი ჩემთან ურთიერთობაში უფრო ფრთხილი გახდა. ჩემს არყოფნისას რა ხდებოდა, არ ვიცი, მაგრამ საღამოობით სადღაც ისე გაიძურწებოდა, ზოგჯერ ეჭვიც კი მეპარებოდა, რომ ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობდით, თუმცა, როცა მეოთხე შვილი, გოგონა გვეყოლა, შესამჩნევად გამოცოცხლდა და სწორედ ამ დროიდან ჩვენს შორის ღია დაპირისპირება დაიწყო.

საქმე ისაა, მიუხედავად იმისა, რომ ამის საჭიროება სულაც არ იყო, თეო ამჯერად დედაბერმა შინ მოალოგინა. თეო მიხსნიდა, ტკივილები ისე უეცრად დამეწყო, ბებია იძულებული გახდა, ხელი გამოედოო. მის სიტყვებს დამაჯერებლობა აკლდა, მაგრამ აყალმაყალის ატეხვას მოვერიდე. სამი ვაუიშვილის შემდეგ გოგონას შეძენამ უდიდესი სიხარული განმაცდევინა და დედაბერთან დაპირისპირება დროებით მეორეხარისხოვანი გახადა, თუმცა რამდენიმე ხანში მოხუცმა აფრები იმდენად აუშვა, ლამის თეოსა და ბავშვების ოთახში დაიბუდა (თეო მშობიარობის შემდეგ ბავშვებთან განმარტოვდებოდა ხოლმე და ეს ჩემში გაღიზიანებას არც იწვევდა, პირიქით, მათ გარემოცვაში უფრო მშვიდი, მოსიყვარულე და გაწონასწორებული ხდებოდა და მალე ჩვენს ურთიერთობაში სიამტკბილობის ახალი ეტაპი დგებოდა). ბებია და შვილიშვილი ისე ირჯებოდნენ, თითქოს ჩემს იქ ყოფნას ვერც ამჩნევდნენ. ახსნა-განმარტება რომ მოვითხოვე, არარსებულის მტკიცებას ცალ-ცალკე, მიკიბულ-მოკიბულად მოჰყვნენ.

გაგრძელება მიმძიმს, მაგრამ სხვა გზა არა ჩანს...

იმ საღამოს, როცა დედაბერს ვესროლე, სამსახურიდან დაბრუნებულმა პალატში ძმებთან თამაშში გართულ უფროს ბიჭს ერთი წუთით დედას დაუძახე-მეთქი. პაწია გოგო აბანავა და ახლა, ალბათ, ძუძუს აწოვებსო, მიპასუხა. შენ იქ რატომ არა ხარ, იქნება, წყლის მიწოდება ან რამე ჭირდებოდა-მეთქი. ბებო იქ იყო და აგერ, ახლახან საქონლის მისახედად გავიდაო. მისმა არხეინმა კილომ და უმცროსების მხიარულმა სახეებმა მათ მიმართ განსაკუთრებული სითბოთი განმაწყო. უმცროსები ჰაერში ვაბურთავე, ჩავკოცნე, ხოლო უფროსი უცხოსავით განზე იდგა და რიდით მომჩერებოდა. მოვიხმე და ჩავიხუტე. ერთხანად ასე ვიდექით. უეცრად გამიელვა, ამათ მაღლა ავიყვან და ყველანი ერთად გავიხარებთ-მეთქი, და ბავშვებს ზევით ავალ და ცოტა ხანში დაგიძახებთო, დავუბარე. მომდიმარენი და ოდნავ გაოცებულები დავტოვე, რადგან ბოლო ხანებში ცალკე სამსახურში აწეწილი საქმეების და ცალკე დედაბერთან გამუდმებულ უთანხმოებათა გამო მათთვის ვერ ვიცლიდი და ამ მხრივ რაღაცის შეცვლის სურვილით ანთებული, მეორე სართულისკენ ამავალ შიდა კიბის საფეხურებს ავუყევი.

ბავშვების ოთახი დერეფნის ბოლოსაა. კარი შიგნიდან ჩაკეტილი დამხვდა. ფრთხილად დავაკაკუნე. ოთახიდან ჩვილის სუსტი ჭუჭყუნი შემომესმა. მეორედ ხამაღლა დავაკაკუნე და თეოს ვუხმე. პასუხი არ გამცა. მივაყურადე. შიგნიდან სულიერის ხმა არ ისმოდა. გულგახეთქილი კარს მთელი ძალით მივაწექი. ძვრა ვერ ვუყავი. ისღა დამრჩენოდა, რამდენიმე ნაბიჯით უკან დამეხია, კარს მთელი ძალით დავტაკებოდი და ოთახში შევჭრილიყავი.

თეო ფეხზე მდგომი რომ დავინახე, შვებით

ამოვისუნთქე, მაგრამ პირველი არასასიამოვნო შეგრძნება ის იყო, ოთახში ეზოს სუსხი იდგა, მეორე კი, ღია ფანჯარასთან მდგომი თეო ფანჯრის რაფაზე მწოლი შიშველი ჩვილის საფენებში გახვევას ცდილობდა. როგორც იქნა, საშველი დააყენა, ხელში აიყვანა, მკერდზე მიიკრა და ზანტად შემოტრიალდა. მთვარეულივით მიბნედილი გამომეტყველება ჰქონდა. მივუახლოვდი და ჩვილს დავხედე. სახეზე მკვდრის ფერი ედო.

– ხომ არ გადაირიე, ასეთ სუსხიან ამინდში ახლახან ნაბანავებ ბავშვს ღია ფანჯარაში როგორ აჩერებ! – ვუყვირე თეოს და ბავშვი ხელიდან ავართვი.

სახეზე ნაკვთიც არ შერხევია, ტიკინასავით ხელებგაშლილი იდგა და უაზროდ მომჩერებოდა. ფანჯარა უმალ მივხურე და ჩვილს სახვევი ოდნავ შევუხსენი. ტანზეც გათოშილი იყო, სიცივისგან კანკალებდა და უღონოდ კრუსუნებდა.

– გოგო, ეს რა გიქნია, ხომ შეიძლება ბავშვს რაღაც საშინელება მოუვიდეს! – ისევ ვუყვირე.

– არც არაფერი, დედაჩემიც ასე აკეთებდა,– გულგრილად მიპასუხა.

– რას მიედ-მოედები!

– ფანჯარას დააღებდა და შიშველს რაფაზე აწვენდა, მერე კი... – უეცრად, სიტყვა გაუწყდა.

დედის ხსენებამ, მისი სახის გამომეტყველებამ და ხმამ მეზობლის მინიშნება, თეოს დედას შვილები ჯანსაღები უჩნდებოდნენ, მაგრამ ჩვილობისას რაღაც მოსდიოდათ და მალე იხოცებოდნენო, გამახსენა და იმდენად შევძრწუნდი, ქალს სილა შემოვარტყი. თითქოს საღათას ძილიდან გამოერკვა, მიხედ-მოიხედა, გაოგნებული გამომეტყველებით ფანჯრისკენ მიტრიალდა, რაღაცას მიაჩერდა, მერე ჩემკენ მობრუნდა და როგორც კი ჩვილი ჩემს მკლავებში შენიშნა, მზერა აზრიანი გაუხდა.

– ჩემი თეკლა ასე გაღეღილი რატომ გიჭირავს?! – მკითხა შეშფოთებულმა.

– ხომ არ გაითოშა-მეთქი და დავხედე, – იყო ჩემი პასუხი.

თვალი დახუჭა. რამდენიმე ხანს გარინდული იდგა. თვალი რომ გაახილა, შიგ ჩემდამი უნდობლობა ედგა. ჩვილი მომაწოდეო, ჟესტით მანიშნა. მორჩილად გავუწოდე. დაიხარა და ჩვილს შუბლზე ტუჩით შეეხო.

– უი, შენს დედიკოს, ჩემო სიხარულო, როგორ გაყინულხარ! – შეიცხადა, ჩაიხუტა, სახე დაუკოცნა, ლოგინის თბილ გადასაფარებელს ხელი დაავლო, შემოახვია და ოთახში წინ და უკან წრიალს მოჰყვა. მერე უცებ შედგა.

– რას უდგახარ, მიდი, ღუმელი გაახურე, ვერ ხედავ, ბავშვი ლამის გაყინულა! – დამნაშავესავით დამტუქსა და ისევ გააგრძელა წრიალი.

დავტრიალდი, ღუმელში ნაკვერჩხალი გავაღვივე და შეშა შევუკეთე. ოთახში მალე დათბა. თეომ წრიალს თავი ანება, საწოლზე ჩამოჯდა და ჩვილს ძუძუ მისცა. თავიდან პატარას ძუძუს კერტი პირიდან უცურდებოდა. თეო უწრუპუნებდა, საჩვენებელ თითს უმარჯვებდა, უყვავებდა, საალერსო სიტყვებს არ იშურებდა. მისმა ალერსმა და სითბომ პატარას თითქოს ძალა შეჰმატა, კერტი ტუჩებს შორის მოიქცია და ღონივრად ჩაბღუჯა.

გაოგნებული დავყურებდი დედა-შვილს და ამ სცენას რამდენიმე წუთის წინ მომხდართან და განცდილთან ვერაფრით ვაკავშირებდი.

„რა იყო ეს?“ – გამიელვა და ამ ორ უსაყვარლეს არსებაზე ფიქრს შევყევი, რომელთაგან ერთი მაცოცხლებელ რძეს ხარბად ეწაფებოდა, მეორე კი ამ წყაროს უშურველად აწოვებდა და თითოეულის სწრაფვა იმდენად ბუნებრივი იყო, ეს წონასწორობა რომ დარღვეულიყო, ჩემთვის, ალბათ, ცის ჩამოქცევის ტოლფასი იქნებოდა...

„რა იყო ეს... ამ ნაბიჯისკენ ვინ ან რამ უბიძგა. აშკარაა, რადაც გარეშე ძალის ზემოქმედებით, თორემ თავისით ასეთ რამეს არავითარ შემთხვევაში არ ჩაიდენდა“. – ვფიქრობდი და თეოს სახეს ვაკვირდებოდი, რომელზეც ხან შეშფოთება, ხან კიდევ ძუძუზე ჩვილის ბაგის შეხებით მინიჭებული ნეტარება მონაცვლეობდა.

ჩვილი დანაყრდა და თვალი მილულა. ხანდახან უეცრად გააჟრჟოლებდა, თვალს ოდნავ გაახელდა, ვიღაც უჩინარს გაუღიმებდა, თვალს ისევ მინაბავდა და რიტმულ სუნთქვას აგრძელებდა.

– ნეტა, ეს ბებო სად დაიკარგა, როცა საჭირო არაა, სულ აქ ტრიალებს, ამოსულიყო და თეკლასთვის შეელოცა! – საყვედური დასცდა თეოს.

ამ სიტყვებმა თითქოს გონება გამინათა. „აი, ბოროტების სათავე, რომელსაც ამ ოჯახისთვის უბედურებაზე-უბედურება მოაქვს!“ – გამიელვა, წამოვიჭერი და არ მახსოვს გადაწყვეტილება რა წუთში მივიღე, ან სიმამრის რევოლვერი ჩემს ხელში როგორ აღმოჩნდა.

სანამ ვესროდი, დედაბერი ფეხებში მივარდებოდა და უდანაშაულო ვარო, მარწმუნებდა, მაგრამ მისი ხვეწნა-მუდარა არაფრად ჩავაგდე, რადგან მჯეროდა, ოჯახში დატრიალებული ყველა უბედურება მის კისერზეა. ესაა, ჩემი თავისთვის ერთი რამ ვერ მიპატიებია: გამომრჩა, რომ ჩვეულებრივი, რიგითი მოკვდავი ვარ და დედაბრის გასამართლებისა და დასჯის უფლება ჩემთვის არავის მოუცია.

ჩვენება მეორე

მე, ნატო ვასილის ასული მუსერიაძე, დაბადებული 1922 წელს, უმაღლესი განათლებით, ბიბლიოთეკათმცოდნე, ასევე ერთწლიანი სამეანო კურსდამთავრებული. სამი წელი ქალაქის ბიბლიოთეკაში, ხოლო ოცდაორი წელი ქალაქის სამშობიაროში ბებიაქალად ნამუშევარი. ამჟამად პენსიონერი, მცხოვრები გარეუბნის ქუჩის 13 ნომერში.

საქმის ირგვლივ შემდეგს მოგახსენებთ:

ოცი წლის ასაკში გოჩა მუსერიაძეზე გავთხოვდი, ჩემი ქალიშვილობის გვარი მარაგველაძეა. გოჩა გამრჯე და ზნეკეთილი კაცი გამოდგა. მრავალ ჭირსა და ავბედობას ერთად ვუმკლავდებოდით. ქალაქის გაერეუბანში, ტყის პირას, ჩვენი ხელითა და წვალებით წლების მანძილზე ვაშენებდით სახლს და როგორც იქნა, მის მოწყობას საშველი დავაყენეთ. გვეყოლა ერთადერთი ვაჟიშვილი ლეო, ცოცხალი ბუნების, შრომისმოყვარე, ჩვენი და ახლობლების მოყვარული ბიჭი. ლეო სწავლისადმი დიდი მისწრაფებით არ გამოირჩეოდა, მაგრამ სატყეო ტექნიკუმის დამთავრება მაინც მოახერხა, მოიხადა სამხედრო სამსახური და ოცდასამი წლის ასაკში სატყეო მეურნეობაში მოეწყო. სწორედ ამ დროიდან შევუდექით სარძლოს ძებნა, მაგრამ ლეომ დაგვასწრო, მოულოდნელად კარზე არნახული სილამაზის გოგონა მოგვაყენა და გამოგვიცხადა, მიიღეთ და შეიყვარეთო. ეს გოგონა უდედმამოთა სახლში გაზრდილი, აშკარად, უთვისტომო ვინმე ჩანდა, ნაკვთებიც უცხო ჰქონდა და სიმართლე გითხრათ, არ გვეჭაშნიკა. ჩვენ ოჯახის ქალზე განსხვავებული წარმოდგენა გვქონდა, არც ეგეთი ნაჩქარევი ქორწინების მომხრე ვიყავით, მაგრამ შვილმა არჩევანის გზა რომ არ დაგვიტოვა, რა გვექნა, თავს მოვერიეთ, მის მიმართ ჩვენი დამოკიდებულება არ გავამუღავნეთ, გულში ჩავიკარით, დავლოცეთ, გავამხნევეთ, შევმოსეთ, ქორწილი გადავუხადეთ და ცხოვრებას შევუდექით.

თეო კეთილი ბუნების გოგო აღმოჩნდა. ჩემი ლეო იმდენად აღმერთებდა, ერთ-ერთ ქალიშვილს მისი სახელი დაარქვა. თავიდან გოგონა ეყოლათ, მერე ტყუპი ბიჭები, მერე თეო. ლეომ რამდენიმე წელიწადში სახლ-კარი ხვავით აავსო. რძალიც გამრჯე და სიცოცხლისუნარიანი გამოდგა. ჯერ იყო და, სახლის წინ ისეთი ყვავილნარი გააშენა, ამვლელ-ჩამვლელი ჩვენს ეზოს შენატროდა, შემდეგ კი, მთელი უბნის ქალები თავს მისი შეკერილი სამოსით იწონებდნენ და მალე სახელი ისე გაითქვა, შემკვეთები ქალაქის მეორე ბოლოდანაც კი აკითხავდნენ.

ოჯახური ბედნიერებისთვის თითქოს არაფერი გვაკლდა, სტუმარიც გამოულევლად გვყავდა და კეთილის მსურველიც, მაგრამ ჩვენი სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა...

ეს ისეთი ამბავია, მიჭირს ამაზე საუბარი, თანაც ვშიშობ,ჩვენს ოჯახს სრულიად უცხო ადამიანთა რისხვა არ დაატყდეს. მიუხედავად იმისა, რომ გამომძიებელი მაიმედებს, არ გავახმაურებთო, არა მგონია, ამ ამბებმა შეუმჩნევლად ჩაიაროს, რადგან დღეს საიდუმლოს შენახვა ისე ჭირს, როგორც არასდროს, ხოლო ადამიანთა უმრავლესობა დაუნდობელი გახდა და იმის გარკვევას არავინ შეეცდება, რომ მე ამ ამბავში უდანაშაულო ვიყავი. ბოლო ხანებში ყველაფერი ისე აირდაირია, ასე მგონია, საზოგადოებას მსხვერპლი უფრო ჭირდება, ვიდრე მტყუან-მართლის გარჩევა.

მთავარ სათქმელს ავცდი, მაგრამ ეს ყველაფერი ჩემი ცხოვრების დეტალებია, ხოლო ამ დეტალების გარეშე ასე მგონია, მთლიანი სურათი ვერ დაიხატება...

მეხუთე ბავშვზე რომ დაფეხმძიმდა, რძალი უეცრად შეიცვალა. ამ ბავშვის გაჩენა არ შემიძლია, ვგრძნობ, უეჭველად რაღაც საშინელება დამატყდებაო, დაიჩემა. მუცლის მოშლის კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი ყოველთვის, მაგრამ რახან ასეა, იქნება, ექიმს მიმართო-მეთქი. კონსულტაციაზე მეც ვახლდი. საერთო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ნერვიულობის არავითარი საბაბი არა გაქვთო, შეეცადა გინეკოლოგი მის დამშვიდებას, მაგრამ რძალმა, ვგრძნობ, ამ მშობიარობას გადავყვები და ბავშვი უნდა მოვიცილოო. ექიმმა ორი დღის შემდეგ ისევ დაიბარა, ანალიზის პასუხებს გაეცნო, თვითონაც და განყოფილების გამგემაც ყურადღებით გასინჯეს და შეეცადნენ მისთვის დამაჯერებლად აეხსნათ, რომ ორსულობა ნორმის ფარგლებში მიმდინარეობდა. მიუხედავად ამისა,იგი ვერაფრით დააშოშმინეს და დაძაბული მოლაპარაკების შემდეგ, ნერვიული აშლილობის გათვალისწინებით, საოპერაციოში დაიტოვეს.

ეზოში ველოდებოდი. ძველი თანამშრომელი მამხნევებდა, მშვიდად იყავი, არაფერს გაუჭირვებენო. თვითონაც ვიცოდი, რომ ექიმების მხრიდან მდელვარების საფუძველი არ მქონდა, მაგრამ ეს ოხერი გული რაღაც ცუდს მიგრძნობდა. ათი წუთიც არ იყო გასული, რომ შენობიდან ნახევრადშიშველი თეო სისხლის გამყინავი კივილით გამოვარდა, უკან ექთანი და გინეკოლოგები მოსდევდნენ. როგორც კი თვალი მომკრა, ჩემკენ გამოეშურა, ამ საყასბოდან წამიყვანე, ამათ ჩემი მოკვლა უნდათო, აიკლო იქაურობა, სახტად დარჩენილი ექიმები და ექთანი ახლოს არ გაიკარა. დავამშვიდე, დავუყვავე, არ გინდა და ნუ გინდა-მეთქი და წამოვიყვანე.

ეგ იყო და ეგ. სამშობიაროსა და კერძოდ აბორტის მიმართ იმდენად ავადმყოფური შიში დასჩემდა, ვერც უხსენებდი.

ეს ამბავი იმთავითვე ქმარ-შვილისთვის უნდა გამემხილა, მაგრამ რძალი შემეცოდა და ძალაუნებურად, მთელი პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე ავიღე.

ამ ხნიდან რძალი ჩამემკვლელა, წუთითაც არ მცილდებოდა. ქმარზე გული აიცრუაო, ვერ ვიტყვი, მაგრამ მათ შორის უწინდებური თბილი დამოკიდებულება თანდათან უკვალოდ გაქრა. ლეომ სმას მოუხშირა, რამდენიმეჯერ აყალ-მაყალიც აუტეხა. ეს ჩემი თბილი, სიკეთით სავსე ბიჭი თვალსა და ხელს შუა იცვლებოდა. იცვლებოდა რძალიც. პრეტენზიული გახდა, დამკვეთები შემოეფანტა, შვილებს უგულისყუროდ ეპყრობოდა, ზაფხულში მთელი დღეები ღია ფანჯარასთან იჯდა და უაზრო სახით ხან გზას, ხან კი ტყის შემოგარენს გაჰყურებდა. შემოდგომის დად-

გომისთანავე კი, ბუხართან მოიკალათა და ნაცარში ქექვას მოჰყვა.

მეხუთე ბავშვზე ზამთარში, ყოველგვარი გართულების გარეშე მოვალოგინე. ჩემს ქმარ-შვილს უკვირდა რძალი სამშობიაროში წაყვანაზე ვერაფრით რომ ვერ დაითანხმეს, მაგრამ ასე ჯობია-მეთქი, როგორდაც დავარწმუნე ისინი და ეს საკითხი მეტად არც უხსენებიათ.

მთვარესავით სახენათელი, ჯანმრთელი გოგონა შეგვემატა. რძალმა თითქოს გული საგულეში ჩაიბრუნა, ჩემი ბიჭიც სიმშვიდით აივსო და ამას რომ ვხედავდი, იმედი მესახებოდა, თუმცა მალე რაღაც აუხსნელის შიშმა მოსვენება დამიკარგა და დღეში ვინ იცის, რამდენჯერ, საქმეს შუა გზაზე მივატოვებდი და რძლისა და ახალშობილის დასახედად მივეშურებოდი. როგორც კი მათ საღ-სალამათებს დავინახავდი, დროებით ვმშვიდდებოდი.

ავი წინაგრძნობა ორ თვეში ამიხდა: სრულიად ჯანმრთელ ჩვილს მოწმენდილ ცაზე მეხი რომ გავარდნილიყო იმგვარად, ფილტვების ანთება დაემართა, რამდენიმე დღეში დაილია და აღესრულა კიდეც.

თითქოს ჩაქრა და დაიშრიტა ჩვენი ოჯახი. ჩემმა ბიჭმა ჩვილის დაღუპვა მძიმედ განიცადა. პირველი საფლავი რცხილის ძირას იმ ანგელოზს თვითონ გაუთხარა და დაკრძალა. ერთ ციდა საფლავთან საათობით იყო ჩამუხლული და ქალივით ხმამაღლა დაჰქვითინებდა. ამ დროს რძალი ოთახის ფანჯარასთან იჯდა და ტყის შემოგარენს უაზრო გამომეტყველებით გასცქეროდა. თვალსა და ხელს შუა დადნა, სილამაზის ნასახი არ შერჩა. ბავშვები უყურადღებოდ მიუშვა და შედეგმაც არ დააყოვნა. სკოლიდან წარამარა გვითვლიდნენ, სწავლაზე გული აიცრუეს და როგორმე მიხედეთო. უფროს გოგონას რაღაც მოვუხერხე, მაგრამ ტყუპები ოჩანებივით ირჯებოდნენ: არც ჩვენი და არც მასწავლებლების შეგონებები ეყურებოდათ. ასე, სკოლასა და ყანას, კერასა და ბაღჩას შორის ვიყავი გაბმული და არ ვიცოდი, რამდენი რამისთვის მომევლო. ჩემი ბერიკაცი ამას რომ ხედავდა, მთლად წახდა და ისიც მოსავლელი გამიხდა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, რძლის საქციელის გამო მეზობლების ნართაულმა შენიშვნებმა დამზაფრეს. რომც არ მდომოდა, ძალაუნებურად დავიწყე ფიქრი იმაზე, თუ რა მოხდა იმ დღეებში, როდის მოასწრო ახალშობილმა ისე გაცივება, რომ ფილტვების ანთება დამართნოდა, ან როგორ გამომეპარა ის მომენტი. მე ხომ დღეში ათჯერ მაინც ავდიოდი რძლის ოთახში და ავი წინაგრძნობით შეძრული, მის ყოველ მოძრაობას თვალ-ყურს ვადევნებდი. დროზე რომ შემეტყო, ჩვილს გვერდებს ჩემი მალამოებით დავუზელდი, ვუწამლებდი და მოვაშუშებდი. ესაა საქმე? რამდენი ვინმე გადამირჩენია, რამდენი ვინმესთვის სული ჩამიდგამს, საკუთარ ჯილაგს კი ვერაფერი ვარგე-მეთქი, ჩემ თავს წარამარა ვსაყვედურობდი.

ერთხელ, ამგვარი რამ პირდაპირობით ცნობილ მეზობლის ქალთან წამომცდა. იმან არ დააყოვნა და მიუკიბ-მოუკიბავად მომიგო, ქუჩიდან რამდენიმეჯერ შეუნიშნავთ, შენი რძალი ოთახის ფანჯრებს დააღებდა, იმ სიცივეში შიშველ ჩვილს რაფაზე დააწვენდა, ბავშვი ტირილით რომ ჩაბჟირდებოდა, ფანჯრების დახურვას ძლივს ინებებდაო...

მისმა სიტყვებმა თავზარი დამცა, მაგრამ მაინც ჩემი იყო და რძლის გამართლება ვცადე. იმან დაეჭვებით შემომხედა და, უი, რაღა ვქნა, ეგეთი რამ შენ ხომ არ გისწავლებიაო, გამკენწლა. გაკენწვლა ეგრე არ უნდა-მეთქი და კუდით ქვა ვასროლინე, მაგრამ ამით რა გამოვიდა, მეზობელი რძლის გამო მოვიმდურე. მე ის ქალი არა ვარ, რომ ჩემი ოჯახის წევრზე მტერ-მოყვარესთან უთავბოლოდ ვიყბედო, არც სხვების გამო დამიღლია ოდესმე ყბა და სწორედ ამან გამამწარა, ეგეთი რამ ჩემს უმწიკვლო ოჯახს როგორ აკადრა-მეთქი.

გვიან მივხვდი, ყველაფრის თავი და ბოლო საკუთარ ღირსებაზე ცრუ წარმოდგენა და ამპარტავნობა რომაა. მაშინ იმ მეზობლისთვის გულისყურით რომ მომესმინა, იქნება, ჩემი ოჯახის საქმე ასე უკუღმართულად არ წასულიყო. ხომ ვახსენე, რძლის უცნაური საქციელის გამო რა ეჭვებიც მქონდა და ავი წინაგრძნობით ატანილი, როგორ ვაკითხავდი დღეში ვინ იცის, რამდენჯერ, მაგრამ საქმე-საქმეზე რომ მიდგა, მეზობლის ნათქვამი მაინც მოშურნეთა ნაჭარტალევად მივიღე და რძალს მთელი ძალით გადავეფოფრე, რადგან სიკვდილს ვიფიქრებდი და მსგავს რამეს ჩემს ჭერქვეშ მცხოვრები ადამიანისგან არაფრით ველოდი. ან მეზობლის ქალმა რაც გამიმხილა, როგორი დასაჯერებელი იყო!

ამ ეჭვს არაფრით ახლოს არ ვიკარებდი და იმ დღიდან რაღაც არნახულ ჭიდილში გადავეშვი. თავიდან ეს გამოწვევას ჰგავდა, მაგრამ წლების შემდეგ მივხვდი, რომ ყველაფერი საკუთარ თავზე უარის თქმის, საკუთარი თავის დათრგუნვის ხარჯზე მოვიმოქმედე. ამ წლების მანძილზე ვიყავი დიასახლისიც, მიწის მუშაც, მწყემსიც, მეწამლეც და რა ვიცი კიდევ რა არა.

მეზობლები ვითომ, სხვათა შორის მაგონებდნენ, კუდიანიაო. თავიდან მწყინდა, მაგრამ მერე ყურადღებას არც ვაქცევდი. რას იზამ, ყველას მოსაწონი ქვეყნად არავინ გაჩენილა და ასეთი რაღა მე ვიქნებოდი-მეთქი, თავს ვიმშვიდებდი. მხართეძოზე წამოწოლის დრო არასოდეს მქონდა და ასე მგონია, ამგვარი ფიქრის უფლება ჩემ თავს თვითონვე აღვუკვეთე, რადგან ერთხელ მაინც რომ შევფერხებულიყავი, ერთხელ მაინც გამეფიქრა, რაღა ვქნა, დავიქანცე, იქნება ეს ტვირთი ვინმემ გადაინაწილოს და ერთობლივად ვზიდოთ-თქო, შესაძლოა, ძალა დამშრეტოდა და საბოლოოდ ყველაფერზე ხელი ჩამექნია. ალბათ, ამის გამოც არაფერს ვეპუებოდი. ხვეწნაც რომ დამეწყო, ჩემი ქმარ-შვილი კაცების საქმეს შეებან და ამ მოვალეობებისაგან გამომათავისუფლონ-

თქო, ტყუილი იყო...

ჩემი ქმარი და ვაჟიშვილი ურწმუნოები იყვნენ. არც მე გახლდით დიდად მორწმუნე, უფრო ღვთის მოშიში მეთქმოდა. ამ მოშიშეობამ ტაძარში მიმიყვანა და მოძღვრის ჩაგონებით ლოცვები დავიწყე. უფალმა ჩემი ვედრება შეისმინა. თვეების შემდეგ რძალმა ცოტათი მოიკეთა, თანდათან ისევ გაიფურჩქნა და სიცოცხლის ხალისი დაუბრუნდა. საოჯახო საქმეებში მეხიდებოდა, ბავშვებს თავს ევლებოდა. ჩემმა ვაჟიშვილმა სახლში დაიბუდა, ქალს ნაბიჯითაც არ სცილდებოდა და ერთთავად თვალში შესციცინებდა. უფალს მადლობას ვწირავდი, რომ ოჯახის დანგრევა აგვაცდინა და საბოლოოდ მტერ-მოყვრის დასაცინი არ გავხდით. მეზობლებმა ირწმუნეს, რძლის გარშემო დარხეული ხმები მონაჭორიაო და როგორც გვიან შევიტყვე, იმ ამბის გამავრცელებლისთვის თურმე, შავი დღე უყრიათ.

ისევ აყვავდა ჩვენი ეზო-ყურე. რძალმა მთელი წინა ეზო ნაირფერი ვარდებითა და უცხო მცენარეთა ნარგავებით წალკოტს დაამსგავსა. პატარა თეო ერთთავად კუდში დასდევდა და თავის ჭკუაში, ვითომ ყვავილების გადარგვა-გადმორგვასა და მორწყვაში ეხმარებოდა. ხშირად ვფიქრობდი-ხოლმე, ის ყველაფერი ავი სიზმარი ხომ არ იყო-მეთქი. რძლისთვის განცდილის შეხსენება არც მიცდია. ვერ გეტყვით, ჩემმა ლეომ და მან მომხდარის გარკვევა საერთოდ სცადეს თუ არა. ამ საკითხზე მათთან საუბარს სიკვდილივით ვერიდებოდი, მაგრამ ვგრძნობდი, იგი შეუხორცებელ, ღია ჭრილობასავით დარჩა და აზრი გამკრავდა-ხოლმე, შეუძლებელია, ჭრილობა დიდხანს დარჩეს მოუშუშებლი და თავისი უარყოფითი შედეგები არ გამოავლინოს-მეთქი.

წელიწადზე მეტ ხანს ოჯახი სრულ სიამტკბილობაში ცხოვრობდა. მთელი დღეები შინ ბავშვებისა და რძლის მხიარული ხმები გაისმოდა. ხშირად მეჩვენებოდა, ბავშვების არა, მაგრამ მისი მხიარულება თითქოს გადაჭარბებული იყო და ამით რაღაცის მიჩქმალვას ცდილობდა, თუმცა ისე ჩანდა, რომ იგი ამას ვერ ამჩნევდა, ან ვინ იცის, საგანგებოდ არ იმჩნევდა. ჩემი ლეოც მხარს უბამდა, ერთი ხანობა სამსახურიდან კინაღამ ფეხი ამოიკვეთა. წარამარა უთვლიდნენ, დაბრუნდეს, კეთილი ინებოს და თავისი მოვალეობა შეასრულოს, თორემ გავათავისუფლებთო. ლეო ცოლ-შვილს ძლივს ელეოდა, მის დაბრუნებას კი უნდა გენახათ, რძალი რა ალერსითა და დაუფარავი აღტაცებით ხვდებოდა. ზოგჯერ უხერხულობისგან სად წავსულიყავი, არც ვიცოდი. ერთხელაც, ამ სცენის შემსწრე მეზობლის ქალმა გაოცებით შენიშნა, ბეჩა, ცოლ-ქმრის შეხვედრის მეტი რა მინახავს, მაგრამ ეს არც ერთს არა ჰგავს, აშკარად ეტყობათ, ერთმანეთის დაკარგვის შიში ზაფრავთო...

იმ მეზობლის ქალს მაშინ ანგელოზები დავუფეთე, რაებს მიედ-მოედები-მეთქი, მაგრამ რამდენიმე ხანში მისი სიტყვები მწარედ გამახსენდა და გავოცდი, იმ უბრალო ქალს როგორი ალღო ჰქონია-თქო. თუმცა ამის შემჩნევას რა ისეთი განსაკუთრებული უნარი ჭირდებოდა, ყველაფერი თვალნათელი იყო, ოღონდ ჩვენი ოჯახისთვის ასე ახლოდან ან შიგნიდან კი არა, ცოტა შორიდან უნდა შემეხედა. გამიგია, დიდი საგნები და ამბები შორიდან უფრო გამოკვეთილად ჩანსო და ამ შორიდან სხვებმა, როგორც გაირკვა, აშკარად იგძნეს ან დაინახეს, ჩვენს თავს მორიგი უბედურება რომ მწიფდებოდა.

ერთ საღამოს იგივე მეზობლის ქალი გვესტუმრა. ხილი ვიხილეთ, საუბარში ამ მთისას და იმ ბარისას გადავწვდით და ის იყო, სტუმარმა წასვლა დააპირა, რომ ჩემი რძალი სახლიდან წყლით სავსე მომცრო სათლითურთ გამოვიდა და გეზი ყვავილნარისკენ აიღო, მაგრამ, როგორც კი მეზობელი შენიშნა, შედგა, გულთბილად მიესალმა, მოიკითხა და ნარგავების მორწყვას შეუდგა. მეზობლის ქალი მის ვარდივით გაფურჩქნილ, მშვენიერ სახეს ერთხანად თვალს ვერ წყვეტდა, მერე მომიბრუნდა და ყოველგვარი პირფერობის გარეშე მეუბნება, როგორ მიხარია, რომ თეო გამოკეთდა და ისევ დამშვენდა, ალბათ, ამაში მისმა ორსულობამ განსაკუთრებული როლი ითამაშაო.

მოულოდნელობისგან გავშრი. მოგვიანებით თეოს ტანს და მოძრაობას ყურადღებით დავაკვირდი. მაინცდამაინც ისეთი ვერაფერი შევატყვე. ცდები-მეთქი, ვუპასუხე მეზობელს. ის კიდევ, უეშმაკო ღიმილით მეუბნება, მიკვირს, ასეთმა გამოცდილმა ქალმა ეს როგორ ვერ შეამჩნიე, აი, ახლა გახედეო, და სარეველას მოსათხრელად დახრილ რძალზე მიმითითა. იგი სუნთქვას ძლივს იბრუნებდა. როცა წელში გაიმართა, შვებით ამოისუნთქა, მუცელზე დაიხედა და თითქოს მის წიაღში მყოფ უჩინარ მოკავშირეს ნაზად გაუღიმა.

ყველაფერი ნათელი იყო, მხოლოდ იმან ჩამაფიქრა, ეს მომენტი როდის გამომეპარა და თუ თვითონ იცოდა, რატომ არ გამიმხილა-მეთქი.

მეზობელი გავისტუმრე თუ არა, ყვავილნარში შევაბიჯე, რძალს სათლი გამოვართვი, წყლით გავავსე და როცა მომეციო, ხელი გამომიწოდა, არა, შენთვის სიმძიმის აწევა არ შეიძლება-მეთქი და მორწყვას თვითონ შევუდექი. სახეშეფაკლული იდგა და ერთხანად ჩემი ხელის მოძრაობას თვალს ადევნებდა, მერე მკითხა,– „როდის გაიგე?“, „იმან მიმახვედრა“ – ახლახან მყოფ მეზობლის ქალზე მივანიშნე. „გასაოცარია, შენ ხომ ასეთი რამ არ გამოგეპარებოდა!“ – გაიკვირვა. „მართლაც, მაგრამ ამდენ საზრუნავში გახვეულს, ეტყობა, ყურადღება მომიდუნდა“, – მივუგე. „გიხარია?“ – მკითხა იმან და ისე მომაჩერდა, ვიგრძენი, ჩემს პასუხზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. არ დავაყოვნე: „ძალიან!“ „შარშანდელი ამბების მიუხედავად?!“– ეჭვი გაუჟღერდა მის ხმაში. „ყველაფერი უფლის ნებაა“,– იყო ჩემი პასუხი. იგი ჩაფიქრდა და დამარცვლა: „უფლის ნება?!..“ მერე ცას ახედა და ისე მიაჩერდა, თითქოს დასტურს იქიდან ელოდა.

ის რა დასტურს ელოდა არ ვიცი, მაგრამ მე რომ თავგზა ამებნა, ცხადია. თუმცა ისიც საკითხავია, რატომ უნდა ვყოფილიყავი იმაში დარწმუნებული, რომ ეს ახალგაზრდა, ჯანდრონით სავსე, მშვენიერი ქალი უქმად გაჩერდებოდა, ისევ არ მიიზიდავდა ქმარს და არ დაფეხმძიმდებოდა. ჩემი შვილი ვაუკაცობაზე დებდა თავს და შვილიერებაც ხომ მავანთა თვალში ვაუკაცობის გამოხატულებაა. ბავშვებით სავსე ოჯახს რა ჯობია. თვითონ დედისერთას ამარა რომ დავრჩი, მწარედ განვიცდიდი და ძალიან მინდოდა ჩემს ლეოს ბევრი ბავშვი ჰყოლოდა, მაგრამ წინა წლის ზაფრა რომ გამახსენდებოდა, რაღაც საშინელებებს წარმოვიდგენდი და ერთთავად ბედის ცდაში ვიყავი.

მაშინ იყო, მოძღვრის ქადაგებები და შეგონებები ლიტონ სიტყვად მივიჩნიე და თეოს სახელზე სარკეში ჩავიხედე (ანუ ვამკითხვინე). შეიძლება ვიღაცამ გამამტყუნოს, სად ეკლესია და სად სარკეში ჩახედვა ან კარტის გაშლაო, მაგრამ გამოსავლის ძიებაში უამრავი კითხვა მიჩნდებოდა და პასუხის მისაღებად ათას რამეს მივედ-მოვედებოდი. როგორც გვიან შევიტყვე, ჭეშმარიტ მორწმუნეობამდე ჯერ კიდევ ბევრი მიკლდა და სანამ ამას საფუძვლიანად გავარკვევდი, ვინ იცის, რამდენჯერ შევცოდე.

...სარკე გამუდმებით ბურუსით იფარებოდა. ის იყო, უნდა შევშვებოდი, რომ ბურუსი გაიფანტა და გარკვევით, მაღალი, გაფოთლილი ხე და მის ძირას ორი პატარა და ერთიც დიდი საფლავი გამოიკვეთა. ეს რა დოზანაა-თქო, გული გადამიქანდა, მაგრამ, გარეგნულად არ შევიმჩნიე. ამ თქვენს სარკეს არაფერი სცოდნია-მეთქი, ვითომ ხუმრობით ვუსაყვედურე მასპინძელს და მოძღვართან გავეშურე. მან ჩემი საქციელი დაგმო, მერე სხივების გარდატეხასა თუ რაღაც ოპტიკურ ცთომილებებზე მესაუბრა და დარიგებებით ამავსო, მაგრამ არ ვიცი რატომ, მის სიტყვებს დამაჯერებლობა აკლდა. ჩემი აზრით, ამ მოვლენას სულ სხვა ახსნა აქვს. თუმცა მისმა დალოცვამ და მგალობლების ანგელოზებრივმა ხმებმა ჩემზე გასაოცარი ზემოქმედება მოახდინეს, აფორიაქებამ ნელ-ნელა გამიარა და ბედს მივენდე.

რძლის მშობიარობა ისე მოახლოვდა, ოჯახში სიმყუდროვე და ურთიერთთანხმობა არაფრით დარღვეულა. ეს იყო, როცა ტკივილები დაეწყო, მისი გადაწყვეტილება, ისევ მე მომელოგინებინა, არ მეჭაშნიკა. მუდარა დავუწყე, ბედს ნუ ცდი, მეშინია, ჩემი მიზეზით გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდეს-მეთქი. თავის სიტყვაზე ჯიუტად იდგა, აუტანელ ტკივილებს უხმოდ იტანდა და ბოლო წუთებში ხელის გამოღების გარდა, სხვა გზა არ დამიტოვა.

ოქროსთმიანი, სადი აგებულებისა და ძლიერი ფილტვების მქონე ბიჭი შეგვეძინა. მისმა ომახიანმა ხმამ ყოველგვარი განსაცდელი და მიეთ-მოეთები დამავიწყა. ჩემი ლეო სიხარულისგან მეცხრე ცას ეწია. აივანზე გავარდა და იარაღით ქვეყანას პატარა ვაუკაცის დაბადება ახარა.

მთელი კვირა მოსალოცად მოსულებს ვერ ავუდიოდით. ეს იყო, თვით თეოს ვერ შეატყობდი, კიდევ ერთი შვილის შეძენა უხაროდა თუ სწყინდა და იმედი დავკარგე, რომ ჩვენს ჭერქვეშ სიმშვიდე მომავალში მაინც დაიბუდებდა.

თეო თავდაპირველად აკვანთან გატრუნული იჯდა და გამუდმებით რაღაცას იყო მიყურადებული. ორი კვირის შემდეგ შევატყვე, რომ ჩემი ზრუნვა და მასთან წარამარა სიარული აღიზიანებდა. ერთ დილას კი კარი შიგნიდან ჩაკეტილი დამიხვდა. დიდი ხნის კაკუნისა და მუდარის შემდეგ ძლივს გამიღო. არაფერი უკითხავს. გულგრილი გამომეტყველებით თვალი შემავლო და ლანდივით აკვნისკენ წაფარფატდა. დაეჭვებულს თვალი ფანჯრისკენ გამექცა. საიმედოდ კი ჩანდა ჩაკეტილი, მაგრამ გამჭვირვალე ფარდა შუამდე გადაწეული და ცალ მხარეზე იყო ჩამოკონწიალებული. მივედი, ფარდა გავასწორე, მერე აკვანს მივუახლოვდი და ჩვილს დავხედე. მას მშვიდად ეძინა. თეომ ამომხედა. ჩვენი მზერა ერთმანეთს შეეფეთა. მის თვალებში შიში და დაუძლეველი განგაში ამოვიკითხე.

– მითხარი, რა გაშფოთებს, როგორც საკუთარ დედას, ისე გამენდე. ხომ იცი, ჩემი ერთადერთი რძალიც და საყვარელი ქალიშვილიც შენა ხარ! – მივმართე აღელვებულმა.

ხმა არ გამცა. თავი დახარა.

– გიფრთხილდებოდი, შენთან ჩემს ეჭვებზე არასოდეს მისაუბრია, მაგრამ ახლა უნდა გაგიმხილო: ისე იქცევი, არ ვიცი, რა გზას ვეწიო... იქნება, დახმარება გჭირდება, იქნება, ექიმს გამოვუძახოთ...

– ექიმი არ მიხსენო!.. და საერთოდ, რას ნიშნავს ამდენი თვალთვალი და ვითომ ჩემზე ზრუნვის მომიზეზებით ამ ოთახში ტრიალი, ბარემ აქ დასახლდი, შენს ხელში სიმშვიდეს ვერაფრით ვეღირსე და ვხედავ, ვერც ვერასოდეს ვეღირსები! – შემომიტია უეცრად.

წამის წინ საბრალოდ მოღვენთილს და დათრგუნულს სახე უჩვეულოდ გამოუცოცხლდა, თვალებში ისეთი ცეცხლი ჩაუდგა, იფიქრებდი, საცაა ყველაფერს გადაბუგავსო.

– სიტყვას რომ გავყვეთ, შორს წავალთ... მე მარტო ის მაშფოთებს, ამდენი მღელვარებისგან ძუძუ არ დაგიშრეს... კი ბატონო, ნება შენია, აწი აქ ფეხს არ შემოვადგამ, კეთილი ინებე და თავს თვითონ მიხედე! – მივუგე და მისი საქციელითა და სიტყვებით შეურაცყოფილმა კარისკენ გავიწიე.

– მაპატიე!.. – შესძახა, უეცრად მომეჭრა, ჩემი მარჯვენა ჩაბღუჯა და კოცნა დაუწყო.

რა თმა უნდა, მაშინვე ყველაფერი ვაპატიე. ჩავიხუტე, დავუყვავე, მაგრამ მისი საეჭვო დუმილი, შემდეგ უეცარი კატეგორიული ტონი, ხასიათის თუ გამომეტყველების ელვისებური მონაცვლეობა, რაღაც უფრო ღრმაზე მეტყველებდა, ვიდრე გარეგნულად გამოვლენილზე, რასაც აუცილებლად შველა ჭირდებოდა. ამას ჩემი გა-

მოცდილებით ვგრძნობდი, მაგრამ სიმართლე რომ ვთქვა, დავიბენი. თუ არა დაბნეულობა, მაშ რამ დამავიწყა შიშის, ავი ზნისა თუ სხვა სნეულებათა განმკურნებელი უებარი შელოცვები. ვინ იცის, რამდენი ვინმესთვის შემილოცია, მიწამლია და განსაცდელი ამიცდენია, აქ კი, ჩემს სახლში, მოვლენათა უცნაური თანხვედრისა თუ დაბნეულობის გამო სასიკეთოდ ვერც ერთი საშუალება ვერ გამოვიყენე.

ოჯახის საქმეებს წერაატანილივით ვიყავი შებმული, დრო და დრო ვაკითხავდი რძალს, ჩვილს დავხედავდი და საქმის გასაგრძელებლად გავრბოდი. ყველაზე აუტანელი ის იყო, ჩემს ეჭვებსა და შიშს ვერავის ვუზიარებდი. ქმარი წლებმა იმდენად არა, როგორც სნეულებებმა დააუძლურეს და ჯანშერყეული მესაიდუმლედ და გამამხნევებლად ვერ გამოდგებოდა; ჩემს ლეოს ხასიათი იმდენად გაუფუჭდა, ცნობა მიჭირდა, ერთთავად თავის მონადირე ძაღლებსა და ტყეს ისე იყო გადაგებული, თითქოს ოჯახში საზრუნავის ნაკლებობას განიცდიდა. სმას შეეჩვია, სახეგამოლენჩებულს როყიო მიეთ-მოეთი და ბაქი-ბუქი დასჩემდა და ის იქით იყო მისახედი; უყურადღებოდ მიშვებული ბავშვები კი თავის ნებაზე ირჯებოდნენ, წარამარა მატყობინებდნენ, ტყუპებმა სკოლა აიკლეს და თუ ოჯახი დროზე არ მიხედავს, გამოგდება არ ასცდებათო...

ამ გაწამაწიაში, ერთ საღამოს რძლისა და ჩვილის დასახედად ავედი. შიგნიდან ჩაკეტილ კარს რამდენიმეჯერ დაკაკუნების მერე ოდნავ რომ მივაწექი, საკეტმა გაიჩხაკუნა, კარი ჭრიალით გაიღო და შემდეგ სურათს გადავაწყდი: თეო ფანჯარასთან მიმდგარიყო და გამჭვირვალე ფარდებს ჩქარი მოძრაობით ასწორებდა, ხოლო ცივ ოთახში ლოგინზე მიგდებული, სახვევშემოღეღილი პატარა ხელ-ფეხს ასხმარტალებდა და უძლურად ჭყლოპინებდა, უფრო სწორად, ძლივს ქოშინებდა.

ლამის შევიშალე, მაგრამ როგორღაც თავს მოვერიე, ბავშვთან გავჩნდი, თბილ საფენებში გავახვიე და ჩავიხუტე. თებერვლის სუსხით ერთიანად გაყინული, შოშიასავით პირდაფჩენილი ჩვილი კანკალს აეტანა.

თეო ფანჯარასთან გაშეშდა, უაზრო სახით მოგვაჩერდა, მერე დაიძრა და მოგვიახლოვდა.

– გოგო, ამ ყინვაში ჩვილის გაშიშვლება ვის გაუგია! – აღშფოთება ვერ დავფარე.

პასუხად, უაზროდ გაიღიმა და ბავშვის გამოსართმევად ხელი გამომიწოდა. ზურგი შევაქციე და გასასვლელისკენ გავემართე. მან გზა მომიჭრა.

– სად მიგყავს?

– პალატში, ბუხართან უნდა გავათბო და მოვასულიერო.

– ტყუილად შფოთავ, არაფერი მოუვა.

– რა იცი?

– სუფთა ჰაერზე პირველად კი არ ვამყოფებ.

– ამ ყინვაში, თანაც შიშველს?! ასეთი რამ ნეტა სად დაინახე! – უფრო აღვშფოთდი.

–ბავშვთა სახლში...

ამ სახლის ხსენებაზე ვიგრძენი, რომ ფეხი მეკვეთებოდა. ჩვილი ხელიდან რომ არ გამვარდნოდა, ძალა მოვიკრიბე, თეო გზიდან ჩამოვიცილე და კიბეზე დავეშვი. იქით უკვე თვოთონ არ გამომყვა, რადგან ჩემი დაუძლურებული ქმარი, ვაჟიშვილი და შვილიშვილები ბუხართან თავშეყრილები ეგულებოდა და ეტყობა, მათი მოერიდა ან შეეშინდა.

ბუხრის პირას მსხდომნი ჩვენს გამოჩენას მხიარული შეძახილებით შეხვდნენ, მაგრამ როგორც კი დამაკვირდნენ და აკანკალებულ ჩვილს თვალი შეავლეს, შეშფოთებულები წამოცვივდნენ, ადგილი გაგვითავისუფლეს და შეკითხვები დამაყარეს. ხმა ვერ დამაცდენინეს. სამაგიეროდ, ხელები პატარას სხეულზე თითქოს ჩემგან დამოუკიდებლად მოძრაობდნენ, მერე როგორღაც გონება გამინათდა და შინაური წამლები მოვიძიე, გვერდები დავუზილე, ჩავათბუნე და რამდენიმე ხანში კიდევაც ჩაეძინა.

ლეო ჩამეძია, რა იყო, ადამიანის ფერი რომ არ გადევს, რა მოხდა იქ, თვითონ თეო სად არის, ბავშვს რატომ არ ჩამოჰყვაო. ერთი პირობა სიმართლის გამხელა გადავწყვიტე, მაგრამ გამახსენდა, რომ სიმართლე ყოველთვის როდია თვალის სინათლე და ცუდად შეიქნა-მეთქი, ვუპასუხე.

ბავშვებმა არ დააყოვნეს, მამას დაასწრეს და აცვივდნენ დედასათან. რამდენიმე ხანში გულდაარხეინებულები ჩამოვიდნენ. უფროსმა შვილიშვილმა – მეგიმ მისაყვედურა კიდეც, ყველაფრის გაზვიადება როგორ გეხერხება, დედა მშვენივრად გამოიყურებაო..

„გამოიყურება და გამოიყურებოდეს, მაგრამ ამ ბავშვს აწი არ ვანდობ, ყველაფერს მივატოვებ, სულაც თხის რძეზე და სიმინდის მოხალულ ფქვილზე გადავიყვან და თვითონ გავზრდი“, – შიშნაჭამი ვბჭობდი ჩემთვის.

ღამით პატარას მთელ სხეულზე თაკარა მოედო. რაც კი რამ ვიცოდი და შემეძლო, არაფერი დამიკლია, მაგრამ მდგომარეობა თვალდათვალ უარესდებოდა. მეორე დღეს ექიმი რომ მოიყვანეს, უკვე უიმედოდ იყო.

პატარა ისე დავკრძალეთ, რძალს მისთვის არც დაუხედავს.

ჩემი ქმარ-შვილი გაოგნებას თავს ვერ აღწევდა. ლეომ რამდენჯერმე მუდარით მკითხა, მითხარი, ეს საღსალამათი ბავშვი ასე უეცრად რის გამო გამოგვეცალა, მაშინ იმ ოთახში ისეთი რა ნახე, რომ სახე შეშლილს გიგავდაო. მაინც ვერ გავუმხილე სიმართლე.

რძალი ბავშვის დაკრძალვის მერე ჩაიკეტა. ლეო მიდიოდა, კარზე აბრახუნებდა, ემუდარებოდა, ხან ემუქრებოდა, შემომიშვი ან თვითონ გამოდი, თორემ ამას ვიზამ და იმასო, მაგრამ იქიდან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. რძალმა საკვების მიღება ხომ საერთოდ აღიკვეთა.

მთელი თვე ჩვენს სახლს ძილი და მოსვენება არ მიჰკარებია.

ბოლოს, როცა კარი შეამტვრიეს, დალეული,

სიფრიფანა, ჯერ კიდევ მფეთქავი თეო ცარიელ აკვანზე გადამხობილი ნახეს.

რამდენიმეჯერ უღონო, სუსტი ხმით დედა ახსენა და სული განუტევა.

იგი სახლის უკან, თავის შვილებს შორის, რცხილის ძირას დავკრძალეთ.

სანამ მის ცხედარს სამარეში ჩაუშვებდნენ, წესისამებრ ქალები გამოგვარიდეს. ცოცხალმკვდარი, საფლავებისგან ზურგშექცევით ვიდექი და მეზობლების მუდარის მიუხედავად, რატომღაც ფეხს ვერ ვიცვლიდი. როგორც კი საფლავზე მიწა აამაღლეს, დავიძარი. უეცრად, თითქოს ვიღაცამ ხელი მკრა და უკან მიმახედა. ჩემს თვალწინ რამდენიმე ხნის წინათ სარკეში არეკლილი გამოსახულება, მაღალი ხის ძირას ერთი დიდი და ორი პატარა საფლავი გაცოცხლდა. ამ სურათმა ეტყობა იმდენად შემზარა, ადგილს მოვწყდი. ჩემი საქციელით გაკვირვებული მეზობლის ქალები ვიშვიშით გამომეკიდნენ.

კარგა ხანს საფლავებთან მიახლოება მიჭირდა.

ჩვენს სახლში ისევ დუმილმა და მგლოვიარებამ დაისადგურა...

დრო გადიოდა, ცხოვრება თავისი გზით მიჯახირობდა. განსაცდელს ნელ-ნელა, როგორღაც მოვერიეთ, თითქოს ჭრილობაც გვიშუშდებოდა, მაგრამ ოჯახზე დამტყდარმა უბედურებებმა ჩემი ქმარი საბოლოოდ გატეხა და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა.

თითქოსდა ჩვენს თავზე დატეხილი ეს უბედურებები არ იკმარა გამჩენმა. ამ გაწამაწიაში მყოფს შვილიშვილები საერთოდ უყურადღებოდ მყავდა მიტოვებული და შედეგმაც არ დააყოვნა: ერთ დღეს აღმოვაჩინეთ, რომ თოთხეტი წლის ტყუპებს ოჯახის დანაზოგი და რაც კი რამე ძვირფასი გაგვაჩნდა, მამისეულ ზურგჩანთაში გამოუკრავთ და უგზო-უკვლოდ გამქრალან. ლეოს ძალა არ დაუშურია, მაგრამ მათ კვალს ვერაფრით მიაგნო. რამდენიმე თვის შემდეგ თვითონვე შეგვატყობინეს, ცოცხლები და საღ-სალამათები ვართ, ჩვენი ძებნით ტყუილად თავს ნუ შეიწუხებთ, შინ დაბრუნებას აღარ ვაპირებთო. ამ თვეების მანძილზე თითქოსდა ჯოჯოხეთის ცეცხლში ვიწვოდი და როცა შევიტყვე, რომ სადღაც არსებობდნენ, ოდნავი შვება ვიგრძენი.

გულდათუთქულმა ლეომ მაშინ წამოიძახა, ნეტა ვიცოდე, ასე მწარედ ვინ დაგვწყევლაო და ამის შემდეგ ჩემთან მშობლიურ კერამოძულებულ შვილებს იშვიათად ახსენებდა. იქნება, სხვებთან საუბრობდა მათზე. თუმცა ტყეში გადაკარგულს არა მგონია, თავისი მონადირე ძაღლების გარდა, ვინმესთან გულის გადაშლის სურვილი გასჩენოდა.

ასე, ვაინაჩრობით ვიყავით. ამასობაში,უფროსი შვილიშვილი, მეგი, უკვე საკმაოდ მოწიფული გოგო გახდა. ერთ დღეს მეუბნება, ოღონდ ხელს ნუ შემიშლით, არც თქვენი მზითევი მინდა და არც ქორწილი, მეზობელი ქალაქიდან კარგ ოჯახიშვილსა და ტოლებში გამორჩეულ ბიჭს მოვწონვარ და ამ პარასკევის სწორს გაყოლას ვაპირებო.

მიუხედავად იმისა, რომ მისმა საუბრის კილომ და სახის გამომეტყველებამ სიმწრის მეტი არაფერი დამიტოვა (ცხადი იყო, ისიც სახლიდან, როგორც ნაძრახიდან, უკანმოუხედავად გარბოდა), ამ სიტყვებს სიხარულით შევხვდი, გულში ჩავიკარი, დავლოცე, ფრთა შევასხი და თავიც გავიმხნევე, იქნება, მას მაინც ეღირსოს ის სულის სიმშვიდე და ყურადღება, რაც გაუთავებელ გაწამაწიაში გაზრდილსა და დამშვენებულს ჩვენი მხრიდან აკლდა-მეთქი.

მთელი კვირა მუხლი არ ჩამიხრია, ზოგი დანაზოგით, ზოგიც მონასესხებით განვუახლე ტანსაცმელი და თეთრეული, ვუყიდე სამკაულები, ჩავულაგე ჩანთაში და დანიშნულ დღეს სამუშაოდან მის დაბრუნებას მოუთმენლად ველოდი (საქონო დაამთავრა და პოლიკნინიკაში მუშაობდა), მაგრამ არაფრის წაღება არ ისურვა. რაც ზედ ეცვა, იმით გაჰყვა თავის რჩეულს და ჩემი შეძენილი ნივთების ასავალ-დასავალით არც მერე დაინტერესებულა. ერთი წლის შემდეგ, პირველი ბიჭი რომ შეეძინა, დაგვპატიჟა. მე, ლეო და თეო ვესტუმრეთ.

უმშვენიერესი ქალი დამდგარიყო. გარეგნობით ქმარიც შესაფერისი ჰყავს. ოჯახი და მდგომარეობაც ხელს უწყობს. ბედნიერი ჩანდა და ეს იყო ჩემთვის მთავარი. ის რომ, ჩვენი სტუმრობა მეზობლებსაც კი დაუმალეს და სახლში ჭირიანებივით ლამის უკანა კარიდან შეგვაპარეს, მოვითმინე. ამის გამო ლეომ ერთი-ორჯერ მსუბუქად გაკენწლა სიძე, მაგრამ იმან პასუხის გასაცემად თავიც კი არ შეიწუხა და ეს ისე ოსტატურად მოიმოქმედა, აშკარა იყო, მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, ეშმაკობაში გამობრძმედაც მოესწრო. ესეც არაფრად ჩავაგდე, რადგან ჩემთვის მთავარი იყო, ჩემს შვილიშვილს ამ ოჯახში პატივს სცემდნენ და უყვარდათ, დანარჩენს კიდევ მოევლებოდა.

საჩუქრებით აგვავსეს. განსაკუთრებით გაახარეს თეო, თორემ რაღაც ჭინჭებს ჩემთვის რა ხანია, ჩალის ფასი აქვს. მერე მსუბუქ მანქანაში ჩაგვსხეს და სიძის მძღოლმა შინ მიგვაბრძანა.

წელიწადში ერთხელ ან ორჯერ მივემგზავრებოდით. ისინი აქეთ არასოდეს გვწვევიან და არც ჩვენ დაგვიჟინია, გინდა თუ არა, გვინახულეთო. არ მოგვილაპარაკია, მაგრამ ორივე მხარე შეთანხმებულივით ვირჯებოდით.

ამასობაში ამხელა სახლ-კარს მე და პატარა თეოდა შემოვრჩით. თუმცა რადა პატარა, როგორც ზღაპრებში ხდება, ტანი თვალდათვალ აიყარა და ისე დამშვენდა და სილამაზით, მიმოხვრით, სახის უცხო ნაკვთებით და ხმითაც კი დედამისს ისე დაემსგავსა, ხშირად მეგონა, გარდაცვლილ რძალს ვეხმიანებოდი. უნარ-თვისებებიც მისი გამოჰყვა და როცა ლეო შინ იყო ხოლმე, შვილს მონუსხულივით ადევნებდა თვალს.

თეომ დედამისის გაშენებული და მისი გარ-

დაცვალების შემდეგ გაჩანაგებული ყვავილნარი განაახლა. ისევ წალკოტს დაამსგავსა ჩვენი ეზო და უკვე მერამდენედ, იმედებით აღვივსე.

ეს დაუდეგარი, ვერცხლისწყალივით მოძრავი გოგო გამვლელ-გამომვლელს თვალს სტაცებდა, თუმცა იმასაც ვამჩნევდი, ტოლები ერიდებდნენ. ამას თეო თავიდან ვერ ხვდებოდა, მაგრამ თანდათან, ალბათ, თავისით ჩასწვდა და სანამ რამეს ავუხსნიდი, ერთ საღამოს კარგა ხნის ძებნის შემდეგ, დედამისისა და პატარა და-ძმის საფლავებთან ნამტირალევი და დათრგუნილი რომ ვიპოვე, გული გადამიქანდა.

მოვეფერე, დავუყვავე, კითხვებს, რომლებიც ჩანდა, დიდხანს აწვალებდა, ასე თუ ისე, ვუპასუხე. თვალს არ მაცილებდა, რამდენიმეჯერ ჩამეძია, ხომ სიმართლეს მეუბნებიო. მერე უეცრად მკითხა, თუ იცი, დედაჩემის დედა ვინ იყოო.

მიუხედავად იმისა, რომ ამ კითხვას შიშით ყოველთვის ველოდი, საგონებელში ჩამაგდო. გამახსენდა მომაკვდავი რძლის უღონო, სუსტი ხმით დედის რამდენიმეჯერ ხსენება და შემდგომ დღეებში მეზობლების დაინტერესება რძლის მშობლებითა და ახლობლებით. მაშინ ამაზე დაფიქრების დრო არც მქონია, დატეხილი უბედურების გამო გაოგნებას თავს ვერ ვაღწევდი. იმხანად თითქოს სიტყვებმა ჩემთვის მნიშვნელობა დაკარგეს და გამოსავალს მხოლოდ მოქმედებასა და მოძრაობაში ვპოულობდი, დავწრიალებდი, წუთით მუხლი არ ჩამიხრია და მგონი ამან უფრო გადამარჩინა, ვიდრე მტერ-მოყვრის შეგონებებმა და გნიასმა.

ვხედავდი, შვილიშვილი პასუხს მოუთმენლად ელოდა. ლეოს ფრთხილად გამოვკითხე, სად გაიცნო საცოლე, იცოდა თუა არა ვინ იყვნენ რძლის მშობლები. მისმა აბდაუბდამ უფრო მეტად დამაბნია. გაუკვირდა, ამდენი ხნის შემდეგ რძლის წარსულითა და მშობლებით რატომ დავინტერესდი, მაგრამ იმდენად იყო გამოფიტული, მაინცდამაინც არ ჩამძიებია.

უდედმამოთა სახლს კითხვა-კითხვით მივაგენი. ძველ თანამშრომელთაგან უკვე იქ აღარავის უმუშავია ან არ იყო ცოცხალი. საბუთები მოიძიეს. ჩემი ეჭვი თეოს უთვისტომობის შესახებ სამწუხაროდ, დადასტურდა. ექვსიოდე თვის ჩვილი ქუჩაში ყოფილა ნაპოვნი, მის პირად საქმეში ეროვნების გრაფა ცარიელი აღმოჩნდა. გვარი და სახელი როგორც გაირკვა, აღმზრდელებს მიუციათ.

ამ ცნობამ ერთხელ კიდევ ამაფორიაქა. ლეოს ქალი ისე შეურთავს, მის წარმოშობასა და საერთოდ, ვინაობაზე წარმოდგენა არც ჰქონია. არადა, ამას ჩვენს ოჯახებში ყოველთვის ითვალისწინებდნენ. ჩვენმა ახლობლებმა თავიანთ შორეულ წინაპართა სახელები იცოდნენ, მათ ზნეზე, ჩვევებსა თუ ტრადიციებზე ნათელი თუ არა, მიახლოებითი წარმოდგენა მაინც ჰქონდათ, ამაყობდნენ მათით და გათხოვებისა თუ ცოლის შერთვისას ნათესაურ კავშირებსა და წარმოშობას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

ვინ იყო ის ქალი, ვისაც სულის ამოსვლამდე მოუწოდებდა რძალი. რა აკავშირებდა იმ უცნობ ადამიანთან, რომელმაც ჩვილობისას, იმ დროს, როცა მშობელი ყველაზე მეტად ჭირდებოდა, გულიდან მოიწყვიტა, მისი ნახვა ერთხელაც არ ისურვა და მისთვის დედობრივი ალერსი არ გაიმეტა... მაგრამ მიუხედავად ამისა, მას მაინც ახსოვდა თურმე, თავისი უარმყოფელი დედა, რადგან იგი უხილავი ჭიპლარით ან რაღაც ძაფით მასთან იყო დაკავშირებული და იმ რამდენიმე თვეში, როცა მის ძუძუს წოვდა, ვინ იცის, რა თვისებები გადაეცა: იქნებ სიძულვილი მისთვის არასასურველი ნაშობისა, იქნებ საერთოდ უარყოფა შვილიერებისა... და ვინ იცის, ეს უარყოფა ან სიძულვილი საიდან მოდიოდა...

შინ ამგვარი დამთრგუნველი ფიქრებით შეძრული მივბრუნდი. ჭიშკართან მჯდომ, ლოდინით თვალებამოღამებულ თეოს ხელი ჩავკიდე, სახლში შევედით და რაოდენი სამძიმოც არ ყოფილიყო, სიმართლე მოვუყევი. ჩემი მონათხრობი გასაოცარი სიმშვიდით მოისმინა. ეს ანცი და სიცოცხლით სავსე გოგონა თითქოს ჩემს თვალწინ, რამდენიმე წუთში დაბრძენდა. ზედმეტი ახსნა-განმარტების გარეშე ჩასწვდა მთავარს და ეს მთავარი, ალბათ, დედამისის უთვისტომობისა და მშობლის მხრიდან მისი უარყოფის მწარე განცდა იყო.

ტირილი და ვიშვიში არ დაუწყია. მდუმარედ შემომყურებდა. მერე უეცრად, ჩემს ხელებს დასწვდა, დამიკოცნა, ჩაიხუტა და საოცარი რამ მითხრა:

– თუ ეგრეა, შენ იყავი მისი დედა.

თეოს სიტყვებმა ისე იმოქმედა, ვიწამე კიდეც, რომ თვითონ ვიყავი ჩემი რძლის მშობელი დედა და მისი ახლობლების ძებნა მეტად აღარც იყო საჭირო.

ამიერიდან თეო და მე განუყოფლები გავხდით. ოჯახის საქმეებიც განაწილებული გვქონდა და ლეოს იშვიათ შემოხეტებასა და უთავბოლო ღრიანცელს თუ არ ჩათვლიდი, ცხოვრება თითქოს მშვიდად მიედინებოდა.

ალბათ, მანამ ვიქნებოდით ჩვენს ეზო-კარში ჩაკეტილი იმის ქადილით, თუ სხვებს არ ვჭირდებით, ჩვენც ვეყოფით ერთმანეთსო, სანამ მეზობლის ქალი არ შემოგვიჩნდა, ასეთ უღიმღამო ყოფას, მდგმურის აყვანა გერჩიოთ, თქვენს კარ-მიდამოს გამოაცოცხლებს და გარკვეულ შემოსავალსაც გაგიჩენთო.

ეს მდგმური თვალ-ტანადი ახალგაზრდა კაცი აღმოჩნდა. მისი სახლში შემოშვების მომხრე პირადად არ ვიყავი, მაგრამ როგორც კი თეომ თვალი მოჰკრა, უარით არ გაისტუმრო, თორემ აქედან გადავიკარგებიო, ვითომ იხუმრა, თუმცა აშკარად მაგრძნობინა, რომ მის ნათქვამში სიმართლე მუქარის სახით თვლემდა. შვილიშვილების მაგალითით დაშინებულმა შევეცადე ამ ახალგაზრდა კაცისთვის ოთახის ქირა ერთიორად გამეზარდა და სიძვირის გამო უარი თვითონ ეთქვა, მაგრამ

იმის შემდეგ, რაც იმან თეოს თვალი მოჰკრა, დიდი ყურადღება არც ჩემი სიტყვაუხვობისა და მიეთ-მოეთისთვის და არც ოთახის სიძვირისთვის მიუქცევია, ეგრევე დამყაბულდა, თავაზიანობის ნიშნად მიპატიუებაზეც სიხარულით დამთანხმდა და პალატში ერთ მაგიდასთან აღმოვჩნდით.

მაშინ აშკარად დავინახე, რომ თეო მართლაც თვალსა და ხელს შუა დაქალებულიყო, როგორც იტყვიან, კანში არ ეტეოდა. ბუნების წინააღმდეგ ვერაფერს გავაწყობდი, მაგრამ არ მინდოდა ეს გამოუცდელი გოგო შემთხვევით შემოხეტებულ უცნობს ხელის დაქნევისთანავე ჩავარდნოდა. ჩვენი ოჯახზე დატეხილი უბედურებები რომ არა, მას უსათუოდ მიეცემოდა არჩევანის შესაძლებლობა. დაე, ყოფილიყო გარეგნობით მასზე ნაკლები, თუნდაც უბირი ვინმე, მაგრამ ახლოს გაეცნო, ნამდვილი გრძნობით შეჰყვარებოდა და არა კაცის უნახაობით ჩინდაკარგული, პირველსავე შემხვედრს მკლავებგაშლილი ჩაბარებოდა.

მდგმურს ჩემი დასაწუნი არც არაფერი სჭირდა. პირიქით, მის სიძეობას ბევრი ინატრებდა, სამსახურშიც თურმე, ქებით იხსენიებდნენ, სულ მოკლე ხანში თანამშრომლების სიყვარული და პატივისცემა დაუმსახურებია, მაგრამ თვალწინ რძლის მაგალითი მედგა და შევეცადე, მისი მშობლების ვინაობა და წარმომავლობა საფუძვლიანად გამომერკვია; მათ გრძნობათა ჭეშმარიტებაში რომ დავრწმუნებულიყავი, სხვადასხვა მიზეზითა და ხრიკით ქორწინება მთელი წლით გადავავადე. ეს ჩემი მხრიდან ცეცხლთან თამაშს უფრო ჰგავდა, რადგან თეო ვაუისადმი სიყვარულს ყოველ ნაბიჯზე, დაუფარავად ავლენდა და ათასი თვალი და ყური უნდა გამომება, რომ წმინდა ურთიერთობის ზღვარისთვის არ გადაებიჯათ. და როცა შევატყვე, რომ უკვე მეტის გადადება შეუძლებელი იყო, ქორწილზე დავთანხმდი. თუმცა რა ქორწილი იყო, სამმა მეზობელმა, ოთხმა ნათესავმა, ნეფე-პატარძალმა თავიანთი ხელისმომკიდეებით, მე და ლეომ მაგიდა ძლივს შევავსეთ. ლეო სუფრის წევრად არც ჩაითვლებოდა, რადგან ორ ჭიქაში გამოტყვრა, აყალ-მაყალი ატეხა, მეზობლებმა თავის ოთახში ძლივს აიყვანეს და რამდენიმე წუთში ყინწიც მოსწყდა.

ისე, ლეო არ ტყუოდა. სტუმრების თანდასწრებით უხერხული იყო, თორემ მის ადგილზე, ალბათ, ნებისმიერი მამა ყვირილით აიკლებდა იქაურობას, რადგან მეგიმ და მისმა ქმარმა ქორწილში მობრძანება არ ისურვეს, ტყუპების ასავალ-დასავალი კი არც ვიცოდით და აბა, რანაირად შევატყობინებდით. მეზობლებმა პალატიდან რომ გაიყვანეს, გასაცოდავებულმა ჩემმა შვილმა უმწეოდ წამოიძახა, ნეტა, ისე ვინ დამთარსა, ოჯახს, რომელსაც ამდენი პატრონი ჰყავს, ზედსიძე შემოჰყავსო...

ეს სიტყვები მაშინ სუფრაზე არ გაუგიათ, მაგრამ ჩემთვის თეოსთან განშორება რაოდენი მტკივნეულიც არ ყოფილიყო, სიძეს ცოტა ვადროვე და დაველაპარაკე: კი ბატონო, ერთხანად იცხოვრეთ, მაგრამ ისევ თქვენი კეთილდღეობისთვის გირჩევნიათ აქედან გადახვიდეთ-მეთქი. თქვენ რომ არ გეთქვათ, ამ მდგომარეობას დიდხანს ვერც მე შევეგუები და უახლოეს ხანებში უეჭველად რაღაცას მოვიფიქრებო, დამაიმედა იმან, მაგრამ თეოსთან ვერაფერი გავაწყვე. ერთთავად თვალცრემლიანი დაიარებოდა და თავი ისე მომაბეზრა, ძმები როცა არ უნდა მოგადგეთ, სახლის დატოვებას უსათუოდ მოგთხოვენ, ამ უხერხულობის აცდენა მინდოდა, მაგრამ შენსას თუ არ იშლი, რა გაეწყობა, დარჩით-მეთქი.

ტყუპებს ვასახელებდი, თორემ, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ამისი არავითარი საბაბი არ მქონდა, რაღაც გაურკვევლის შიში გამუდმებით მიფორიაქებდა სულს. გვიან მივხვდი, ამ შიშს ჩემში თეოსა და დედამისის გასაოცარი მსგავსება აღძრავდა, რასაც იგი ქმრის გადაჭარბებულ მოფერებასა და ზრუნვაშიც ავლენდა. დროდადრო საფრთხე მავიწყდებოდა, მაგრამ საკმარისი იყო მათი მოურიდებელი ალერსისთვის თვალი ისევ მომეკრა, რომ დედამისისა და ლეოს ურთიერთობა თვალწინ დამდგომოდა და გულის გაბმულ კვნესას შემოეტია.

თეომ სამი ბიჭი ისე გააჩინა, შიშის გრძნობა არადა არ მტოვებდა.

ამ შინაგანმა კვნესამ მაიძულა სიძისთვის სხვაგან გადასვლა ისევ მომეთხოვა. ჩემი დაჟინება აკვირვებდა, თუმცა არ უკითხავს, მის გადასვლას რა მიზეზით ვითხოვდი. კი, აუცილებლად გადავალთო, დამაიმედა, მაგრამ ხელი არც გაუტოკებია. მის უმოქმედობას შემდეგ ახსნას ვუძებნიდი: მიუხედავად იმისა, რომ კეთილი ბუნების ახალგაზრდა ჩანდა, თანდათან გაზარმაცდა და შეეჩვია უზრუნველ ცხოვრებას; მას აქ არც საქონლის საბალახოდ გარეკვა ევალებოდა და არც მიწის დამუშავება, დილაუთენია კოხტად გამოწკეპილი ჭიშკარს რომ გაიკეტავდა, სახლის საზრუნავს იქვე ტოვებდა, საღამოობით კი უმშვენიერესი ცოლის ყურადღებითა და ზრუნვით გარემოსილს, მზამზარეული ლუკმა დამსახურებულ მონაპოვრად ესახებოდა, ახალ ადგილზე გადასულს კი, ვინ იცის, რამდენ რამეზე მკლავის დაკაპიწება და ოფლის ღვრა მოუწევდა...

იგი პირველ ორ შემთხვევაში ჩემს მოთხოვნას თითქოს გაგებით მოეკიდა, მაგრამ როგორც კი გადასვლა მესამეჯერ შევახსენე, სიტყვა გამაწყვეტინა და გაღიზიანებულმა, ასე რატომ გძულვართო, შემომიტია. საიდან მოიტანე-მეთქი. ამაზე ყოველი თქვენი მოქმედება მოწმობს, არც ის გამომპარვია, თეოს ნაბიჯზე რომ არ სცილდებით და გამუდმებით ჩემთან გაყრაზე ეჩიჩინებითო. ჩემთვის ამისი დაბრალება მართლაც რომ, მეტისმეტი იყო. ნეტა საიდან მოიტანა ან ვინ დაარწმუნა ამაში. მე ხომ მათთვის სიკეთის მეტი არაფერი მინდოდა. მოგვიანებით მივხვდი, ეს უფრო თავდაცვას ჰგავდა და, როგორც კი ეს ვიგრძენი, შევეშვი და გადავწყვიტე, რაც არ უნდა მომხდარიყო, ამის შესახებ ხმა არ დამეძრა, მა-

გრამ უკვე გვიან იყო, სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადამეკიდა. სახლში თუ იმყოფებოდა, თეოს ჩემს სიახლოვეს არ აჭაჭანებდა. კუდიანო და თარსოო, ვითომ სხვათა შორის მაგონებდა და ისე გათავხედდა, ლამის სახლიდან გავქცეულიყავი. თეო ყველაფერ ამას მძიმედ განიცდიდა, ჩემ გამო რამდენიმეჯერ ცხარე შეხლა-შემოხლაც კი ჰქონდათ. თეო თავგამოდებით მიცავდა. შენ ნუ ჩაგვერევი, ყველაფერზე პასუხს თავად მოვთხოვო, მაიმედებდა. კიდევ კარგი, თორემ სიძეს რომ ავყოლოდი, თავს მომაკვლევინებდა.

მაინც რა უნდოდა, არ ვიცი. ჩვენგან არცთუ ისე შორეულ ქალაქში აქვს საკუთარი სახლკარი, ჰყავს დედ-მამა, ერთი ძმაც. მაგათთან ნამყოფი არა ვარ, მაგრამ ამბობენ, წელმაგარი ოჯახი აქვთო. ვერც იმას ვხვდები, იქაურობა ისე რამ შეაძულა (აბა სხვა რა დავარქვა, როცა კაცს თავისი მშობლიური სახლი, მშობლები და ერთადერთი ძმა ჩვენთან არასოდეს უხსენებია), რომ ჩვენს ოჯახს ასე წყალწაღებულივით შემოეკედლა. მისი ჯან-ღონის კაცი ამდენ ხანში სრასასახლეს დაიდგამდა. თუ მაინცდამაინც არაფრის ამგები არ იყო, თავისას დასჯერდებოდა და ასეთ დამამცირებელ მდგომარეობაში თავს არ ჩაიყენებდა. ვერ გავიგე, ჩემი და ჩემი ქმრის ხელით აშენებულ, ჩემივე ხელით მოვლილსა და დამშვენებულ სახლში რატომ არ მაყენებდა, რას მედიდგულებოდა. ისე იქცეოდა, თითქოს მისი ვალი მქონოდა. გახვრეტილი გროში რაა, არ მახსოვს მისგან. ასეთ რამეზე რომ ვსაუბრობ, სირცხვილით ვიწვი, მაგრამ უადგილო მეტიჩრობითა და ბღენძიობით გამამწარა. ექიმბაში და მჩხიბავი ხარო, დამიჩემა. შენ კიდევ, დოყლაპია და სხვისი ხელის შემყურე-მეთქი, გამწარებულს დამცდა ერთხელ. მაშინ იყო, ცოლ-შვილს ხელი დაავლო და რამდენიმე თვე ახლოს არ მაკარებდა. მიუხედავად იმისა, რომ თეოსა და შვილიშვილების შორს ყოფნას მტკივნეულად განვიცდიდი, თავს მოვერიე და მათ სანახავად სირბილი არ დამიწყია. მადლობა ღმერთს, საქმე მუდამ თავზე საყრელად მაქვს და მიეთ-მოეთისთვის დრო არ მრჩებოდა. ეს იყო, ხმის გამცემი იშვიათად თუ მყავდა ვინმე და თეო და ბავშვები მენატრებოდა. შვიდი თვის შემდეგ სიძემ უფროსი შვილიშვილი დატვირთული ჩანთებითურთ ჭიშკარზე მომაყენა, თვითონ შემოსვლა არ ისურვა. ცოტა ხნის გამოშვებით, მეორე დატოვა, ბოლოს, თეოს და მესამე ბიჭს თვითონაც ისე მოჰყვა და ისე დარჩა, თითქოს ჩემთვის არც არაფერი დაეშავებინოს და ერთთავად სიამტკბილობაში ვყოფილიყავით.

ბავშვები მადლობა უფალს, ჯანსაღები, წესიერები და გარეგნობით ერთიმეორეზე უკეთესები არიან. მათში უფროსი იმდენად მგრძნობიარეა და მოსიყვარულე, უფლის საჩუქარს ვეძახდი. ნაბიჯზე არ მცილდებოდა. როგორც კი დაღონებულს დამინახავდა, კითხვებით ამავსებდა და თვითონაც მოიწყენდა.

ერთხელ სიძეს მივუსწარი, ამ გადაღძუებულ კუდიანს ასე პირდაფჩენილები რომ მისჩერებიხართ, ყველაფერი როდი დაეჯერებაო, ეჩიჩინებოდა ბავშვებს. უფროსმა ბიჭმა, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ შვიდი წლისაც არ იყო, კუდიანი კი არა, ჩემი საყვარელი ბებუკაააო, შეუსწორა. სიძე ჯერ გაშრა, მერე მაგიდაზე მუშტების ბრახუნი ატეხა და ეს ბავშვებიც გადამიგვარაო, აძრახდა.

ბავშვების გადაგვარებას რას ეძახდა, არ ვიცი. პირიქით, ყურადღებასა და ზრუნვას არ ვაკლებდი და ასეთი რამის ჩემთვის დაბრალება ნამდვილად ცოდვა იყო, მაგრამ როგორ შევწინააღმდეგებოდი, არ ვიცოდი. ამიერიდან მათ ჩემთან მოკარება აუკრძალა და სრულიად უმნიშვნელო რამეზე აყალ-მაყალს ტეხდა.

ამასობაში თეო მეოთხეჯერ დაფეხმძიმდა. ჩემში მიჩუმათებულმა შიშმა თავი ისევ შემახსენა. ეჭვებს შვილიშვილის უეცარი გარინდებები და გულჩათხრობილობა მიძლიერებდა. ხშირად დედის და და-ძმის საფლავებთან დამწუხრებული გამომეტყველებით განმარტოებულს ვაწყდებოდი. მის წუხილის მიზეზთა გარკვევას შევეცადე, მაგრამ ახლოს ვერ ვეკარებოდი, რადგან სიძე გაფაციცებით გვადევნებდა თვალს და ჩემი გაკილვის შემთხვევას ხელიდან არ უშვებდა.

თეო მეცხრე თვეში ისე გადადგა, სიძემ ექიმთან წაყვანაზე ვერაფრით დაიყოლია. ალბათ, ბებიაშენმა წაგაქეზა, თავისი კუდიანობით კიდევ რაღაც უნდა დაატრიალოს და დედაშენივით გაგაუბედუროსო, მიაძახა ერთხელ კამათისას და პირველად მაშინ შევიტყვე, სიდედრის ამბავი გაგებული ჰქონია და ისიც, რომ ვინაც ის ამბავი მოუყვა, დამნაშავედ მე გამოვუყვანივარ და მაშინ გასაგები გახდა, ჩემდამი სიძის უნდობლობა და სიძულვილი საიდან მოდიოდა.

შესაძლოა, ადამიანს რაღაცა დააბრალონ, დროთა განმავლობაში ეს ეჭვი გაიფანტოს და დადანაშაულებულმა რაღაც შვება იგრძნოს, მაგრამ ამჯერად აუტანელ მდგომარეობაში აღმოჩნდი, რადგან დროს ჩემთვის არამკითხე მოამბეთა მიერ მოკერებული დანაშაული არამცთუ გაუბათილებია, პირიქით, იმდენად დაუმძიმებია, ზვავივით ჩამოშვავებასა და მის ქვეშ გასრესას მიქადდა.

იმ დღიდან გამოსავლის ძებნა დავიწყე. საკუთარი შიშისა და განცდების შესახებ ჩემი აზრით, სანდო და გამოცდილ ახლობელ ქალს გავენდე და, როცა მეგონა, იგი საგულისხმო რამეს მირჩევდა და გვერდით დამიდგებოდა, აშკარაა, თავიდანვე ყველაფერი შენი ბრალია, შენი სიკერპის გამო სახლიდან ყველა უკანმოუხედავად გარბის და მათ დასაბრუნებლად არაფერი გიღონიაო, – აქეთ დამადანაშაულა.

ასე რომ, გაურკვევლობის პირისპირ სრულიად მარტო აღმოჩნდი, ჩინდაკარგულივით ვაწყდებოდი ყრუ კედელს და ისე ჩანდა, ამ მდგომარეობას თავს ვერაფრით დავაღწევდი.

ბოლოს მაინც, თვითონ თეოს მივადექი. ფრთხილად გამოვკითხე, რა ხდება შენს თავს,

სამშობიაროში დაწოლა რატომ არ გინდა-მეთქი. თავიდან დუმდა. ქმრისგან თავგაბეზრებულს ამ საკითხზე საუბარი საერთოდ არ სურდა, მაგრამ ჯიუტად არ ვეშვებოდი და როცა შემატყო, რომ ჩემი თვალის ახვევა არც ისე იოლი იყო, სიტყვა საავადმყოფოსთან დაკავშირებულ უცნაურ სიზმრებზე ჩამომიგდო. ამ სიზმრების გამო შინ თავს უშიშრად ვგრძნობ და საავადმყოფოს მეორეჯერ ნუ მიხსენებო, შემეხვეწა. მოგვიანებით მოტირალი ქალისა და ბავშვების ხმები ახსენა, რომლებიც თურმე, ძილად ყოფნისას, სახლის უკან მდებარე სასაფლაოდან უხმობდნენ...

შევშფოთდი, მაგრამ არაფერი ვაგრძნობინე. შინაური მიქსტურები ვასვი, შიშისა შევულოცე, მერე ბავშვებს დედათქვენთან ამოდითმეთქი. ბიჭები შემოეხვივნენ დედას, უმცროსები საყვარლად ეტიკტიკებოდნენ, უფროსი ერთხანად დადარდიანებული გამომეტყველებით შეჰყურებდა, ცოტაც და, დარდი გადაიყარა და ისიც მხიარულ ბაასში ჩაება.

მომდევნო დღეებში თეოს ისევ შევულოცე, ნაყენებიც საკმაოდ ვასვი. ნელ-ნელა საფლავებზე სიარულს უკლო, დრო ბიჭებთან საუბრებსა და მათზე ზრუნვაში გაჰყავდა. სიძე არაფერში ერეოდა. ვატყობდი, როგორ სიამოვნებდა მათი მხიარული საუბრები და სიცილი, როგორღაც დატკბა და თითქოს ჩემდამიც ლმობიერი გახდა.

როცა მოლოგინების დრო მოახლოვდა, სიძე გაიტრუნა, გვერდზე გადგა და როგორც კი მთელი დღის მანძილზე მშობიარობის აუტანელი ტკივილებით გასავათებულ ჩემს შვილიშვილს ახალშობილი გოგონა გვერდით მივუწვინე და ორივემ ის ის იყო, ჩასთვლიმა, ფეხაკრეფით ოთახიდან გასულს, კიბის თავზე დამხვდა, თავი დახარა და სამადლობელი სიტყვების დუდღუნი არ დაასრულა. მისი გადაჭარბებული თავაზიანობა არ მეჭაშნიკა, უცხო რომ ყოფილიყო, კიდევ გასაგებია, მაგრამ ჩემი სისხლხორცის გამო ამდენი სიტყვაუხვობა ზედმეტად ჩავთვალე. ცხადი იყო, ამით დადგენილ ზღვარს არ გადახვიდეო, ადგილი შემომიხაზა და მეც ამ ზღვარის დარღვევას არ ვცდილობდი. სამწუხაროდ, დრომ დაამტკიცა, რომ სწორი ვიყავი. ისე კი, ძალიან მინდოდა შევმცდარიყავი და ჩვენს სახლში საბოლოოდ თანხმობა დაბუდებულიყო, მაგრამ ჩანდა, ასეთი რამ არ გვეწერა.

გოგონას შეძენა სიძეს ვაჟების დაბადებისგან განსხვავებით განსაკუთრებულად არ აღუნიშნავს. თეოსაც მაინცდამაინც თავი არ გამოუდია. მათი ოთახიდან ხშირად ბავშვების ჟივილ-ხივილი და სიძისა და თეოს ალერსიანი ხმები ისმოდა.

სიძემ თეო ისევ გამინაპირა. რამდენიმე ხნით პალატში რომ ჩამოვიდოდა ან ეზოში გაივლიდა, მასთან მიახლოების საშუალებას არ მაძლევდა და იძულებულს მხდიდა ჩემი გაზრდილისთვის შორიდან მეცქირა.

მოგვიანებით ვიგრძენი, სიძის მონდომებამ თეოს და ბავშვებს ჩემს მიმართ გული გაუცივა. მათ არჩევანი როდის გააკეთეს ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ როგორც კი შევნიშნე, თავშეკავებული გავხდი და ჩემს მიხვედრას არაფრით ვამჟღავნებდი. ოღონდ თვითონ კარგად იყვნენ და ამასაც როგორმე ავიტან-მეთქი, ვფიქრობდი და ვცდილობდი ისინი არაფრით გამეღიზიანებინა. ის კი არა, ჩვენს კარგად ყოფნას შენი გაქრობაღა თუ უშველისო, რომ ებრძანებინათ, ეგრევე გადავიკარგებოდი და მაინც მათი ბედნიერებისთვის ვილოცებდი...

გოგონა თვენახევრის იქნებოდა, როცა ერთ საღამოს ბუხრის პირას წუთით ჩამუხლულს, ზემო სართულზე კარის ბრახა-ბრუხი, შემდეგ კი სიძის პირით ვიღაცის მისამართით შეურაცხმყოფელი სიტყვები შემომესმა. უფროს შვილიშვილს ვკითხე, ხომ არ იცი, რა ხდება-მეთქი. იმან უარის ნიშნად თავი გააქნია და გაიტრუნა. ერთი პირობა გავიფიქრე, ავალ და გავიგებ რა ხდება-თქო, მაგრამ გულმა მიგრძნო, ეტყობა ჩემ წინააღმდეგ ისევ რაღაცას ხლართავს და ჯობია მოვერიდო-მეთქი. უმალ წამოვდექი, კარი გავიხურე და ქოხისკენ გავემართე, სადაც შუაცეცხლს ვაჩაღებდი, ვქსოვდი, ბავშვებისთვის მურაბებსა და წვენებს ვხარშავდი, ბალახებისაგან შინაურ წამლებს ვამზადებდი და საერთოდ, მყუდროდ ვგრძნობდი თავს.

ის იყო, კერიაზე ნადვერდალი გავადვივე და ხმელი ფიჩხი აბრიალდა, რომ გარეთ, ჭირხლზე, ვიღაცის აჩქარებული ნაბიჯი შემომესმა. ცოტაც და, იმ ვიღაცამ ქოხის კარი ფეხით შემოგლიჯა და სანამ ადგომას მოვისაზრებდი, სიკვდილის მაცნესავით თავზე სიძე დამადგა.

ერთხანად გახევებული იდგა. მერე შეიშმუშნა და ავი მზერა კედლების გასწვრივ ჩამწკრივებულ თაროებს მოავლო, რომლებზეც სხვადასხვა ზომისა და შეფერილობის ქილები და წამლის ბოთლები მქონდა შემოწყობილი. სიძის იერსა და გამოხედვაზე მივხვდი, რისხვის მარტოოდენ სიტყვიერად გადმოფრქვევას როდი დასჯერდებოდა. თუმცა მან არ იცოდა, რომ მე ყოველგვარი განსაცდელისთვის ვიყავი მზად. თითქმის ყველასგან განაპირებულს, გარდაცვალება ნანატრ ბედნიერებად მიმაჩნდა... მიუხედავად ამისა, მაინტერესებდა, რაში მადანაშაულებდა და თუ მართლაც ღირსი ვიყავი, მისი ხელიდან სიკვდილს ნანატრ უკვდავებასავით მივიღებდი.

– გგონიათ, რომ კუდიანობით თქვენსას მიაღწევთ?.. მაგრამ გაფრთხილებთ, არაფერი გამოგივათ! – წამოიწყო მუქარით.

– შენი ფიქრით, რის მიღწევას ვცდილობ? – ვკითხე.

სიძულვილით სავსე მზერა მომაპყრო.

– ვითომ არ იცით... ადამიანებს თქვენს ნებაზე დაატარებთ და ალბათ, ეს უდიდეს სიამოვნებას განიჭებთ!

მის სიტყვებზე გამეღიმა.

– იღიმით?..

– სხვა რაღა დამრჩენია, როცა ისეთ რამეს მაბრალებ, რაზეც არასდროს მიფიქრია...

– ჯერ რძალი შეშალეთ, ახლა კი თეოს

მიადექით...

– ამისთანა სისულელე ვინ მოიგონა, არ ვიცი! – გავიოცე.

– არავისაც არ მოუგონია... პაწია გოგო ხომ აბანავეთ ერთად?

– ვაბანავეთ. შემდეგ ტანი შინაურული მალამოებით დავუზილე, თეომ სახვევებში გაახვია, მე კი საქონლის დასაბინავებლად გავეშურე.

– კი მაგრამ, ვინ გთხოვათ, რომ თქვენი მავნებელი წამლებით დაგეზილათ. რამდენჯერ გაგაფრთხილეთ, ბავშვს არ მიეკაროთ და თეოს რაღაც ბალახ-ბულახების ნაყენებით ნუ ჭყიპავთ-მეთქი...

– მაგ შინაურულ მისტურებს თეოს მშობიარობამდეც ვასმევდი, მაგრამ მაშინ რატომღაც წინააღმდეგი არ ყოფილხარ... ეს ხომ ნაწყენისა და საყმაწვილოს უებარი საშუალებებია და სხვა არაფერი.

– კი, როგორ არა, სხვა არაფერი! – ნიშნისმოგებით წამოიძახა და ხელი ხიშტივით მომაშვირა,– მაგ თქვენი ეგრეთ წოდებული მიქსტურებით გადარიეთ თეოს დედა, ახლა თეოს უტრიალებთ და ჩემს სიმართლეს ახლავე დაგიმტკიცებთ...

თქვენი წასვლის შემდეგ თეოსთან ავედი, მაგრამ ოთახის კარი შიგნიდან დამხვდა ჩაკეტილი. ჯერ ვაკაკუნე, მერე ხმამაღლა ვუძახე. პასუხი არ მაღირსა. კარგა ხნის ჯაჯგურის შემდეგ კარი ძლივს შევგლიჯე, და იცით რას გადავაწყდი?!. თეო სიჩქარეში ფანჯრის რაფაზე დაგორებული შიშველი ბავშვის საფენებში გახვევას ცდილობდა. ეს რა გიქნია, ახალი ნაბანავები ბავშვი ამ სუსხში როგორ გაგიშიშვლებია-მეთქი, – ვუყვირე. მონუსხულივით მომაჩერდა. ლოყაზე სილა რომ შემოვარტყი, ოდნავ გამოცოცხლდა და გამეორებით კითხვაზე იცით, რა მიპასუხა?.. დედაჩემი ასე იქცეოდაო!..

მისმა სიტყვებმა ლამის გული გამიჩერა.

სიძე მემუქრებოდა, რაღაცას მიყვიროდა, მაგრამ არაფერი მეყურებოდა. თვალწინ წლების წინ ფანჯარასთან უაზრო სახით გაშეშებული თეოს დედა და ერთიანად გათოშილი ჩვილი დამიდგა. როგორც ჩანდა, თეო თითქმის მსგავს მდგომარეობაში უნახავს თავის ქმარს. ბოლომდე ჩემს თავსაც არ ვუმხელდი, თორემ სწორედ ამისი მეშინოდა, წლების მანძილზე ეს სურათი თანმდევდა ხოლმე გამუდმებით და ამაზე ფიქრი მტანჯავდა.

საიდან მოიტანა, ან იმ ქალს თავისი ნამშობის სუსხიან ამინდში აგრერიგად გაშიშვლებისკენ რა უბიძგებდა... ვინ ან რა ძალა ჩააგონებდა, ან ამდენი წლის შემდეგ მსგავსმა სწრაფვამ მის ქალიშვილში თავი რა გზით იჩინა!..

რძალი რომ გარდაიცვალა, თეო ჯერ კიდევ იმდენად მცირეწლოვანი იყო, შეუძლებელია, ეს ამბავი დამახსოვრებოდა, უფრო მეტიც, დარწმუნებული ვარ, მას ამ სურათისთვის თვალი არასოდეს მოუკრავს და არა მგონია, ვინმეს მისთვის მოეთხრო.

„საიდან?!.. საიდან?!“ – სასოწარკვეთილი ვფიქრობდი ჩემთვის.

– მეზობლებმა მიმანიშნეს, შენს სიდედრს ამას დედამთილი ჩააგონებდაო! – ჩამესმა სიძის ხმა.

– სიცრუეა. მის მიმართ ერთადერთი სიკეთე მამოძრავებდა, მაგრამ როგორც ჩანს, ტყუილად ვირჯებოდი.

– კუდიანები და ჯადოქრები უმიზეზოდ არასოდეს ირჯებიან, ეს საკითხი საკმაოდ საფუძვლიანად გამოვიძიე და...

– ერთი ისეთი შემთხვევა მაინც დამისახელონ, ჩემს მალამოებსა და მიქსტურებს ვინმესთვის ევნო. სხვაფრივ ოცდაორი წელი საავადმყოფოში ვინ გამაჩერებდა....

– მაგიდის ტრიალსა და სულების გამოძახებაზე რას იტყვით?

– ეგ ხომ უმეცრებით მომდიოდა, ყველაფერი მოძღვართან მოვინანიე და კარგა ხანია, მსგავს რაღაცებს არ ვეკარები.

– მოინანიეთ?! – სიცილი დამაყარა, – მე თქვენ გიჩვენებთ, როგორ უნდა მონანიება! – დამემუქრა და ქურთუკის უბეზე ხელი მოისვა, მაგრამ მზერა კარის კუთხეში მიყუდებული ბარისკენ გაექცა, უეცრად ხელი დაავლო და თაროებზე შემოწყობილ ქოთნებს, ბოთლებსა და წამლის შუშებს ღრიალითა და მხეცური გახელებით ეკვეთა.

მის მძვინვარებას ერთხანად ენაჩავარდნილი ვადევნებდი თვალს, მაგრამ რაღაც მომენტში გამოვფხიზლდი, უდანაშაულობის გრძნობა ცეცხლივით მომედო და ლამის დამფერფლა. „რას მემართლება?.. დახე, მას ჩემი სიმართლე არც აინტერესებს.... ან ასეთი უმძიმესი დანაშაული რა უფლებით ამკიდა!“ – სიმწრით გამიელვა. დრო ვიხელთე, ქოხიდან გამოვაღწიე და სახლის იმ ფანჯრისკენ დავიძარი, სადაც თეო იმყოფებოდა. რამდენიმეჯერ დავუძახე. ვერ გავაგონე. ქოხიდან ლაწა-ლუწისა და ნგრევის ხმა ისევ ისმოდა. კენჭს დავწვდი და ფანჯარას ვესროლე. თეომ არ დააყოვნა, ფარდა გადაწია, გადმომხედა, ფანჯარა შეაღო და ის იყო, ჩემი გასაჭირის შეჩივლება დავაპირე, რომ სიძე ქოხიდან გარეთ გამოიჭრა და ეზოს თვალიერებას მოჰყვა. ბავშვების ოთახის ფანჯრის ქვეშ მდგომს თვალი რომ მკიდა, ფეთიანივით გამოქანდა, ჩემგან რამდენიმე ნაბიჯზე შედგა, ქურთუკის უბეში ხელი ჩაიყო, იარაღი ამოიღო, „ესეც, შენი მონანიების საზღაურიო!“ – მომაძახა და ერთმანეთის მიყოლებით მესროლა.

თეომ სისხლის გამყინავი ხმით ცა ჩამოიღო.

იარაღის ბათქით გაყრუებულს, აზრის მოკრება გამიჭირდა. სიძე ერთხანად უძრავად იდგა და გაწბილებული გამომეტყველებით შემომყურებდა, მაგრამ როგორც კი ხმამაღალი მოთქმითა და ტირილით მომავალ თეოს თვალი ჰკიდა, შეირხა.

– ასეც ვიცოდი, კუდიანებს ტყვიაც არ ეკარება! – გამოსცრა, ზურგი შემაქცია და თეოს

შესახვედრად გაეშურა.

ისინი შუა გზაზე შეეჩეხნენ ერთიმეორეს. თეო მიეჭრა, მკერდსა და სახეზე მუშტები დაუშინა, შემდეგ ჩემკენ გამოიწია, მაგრამ სიძე ძერასავით დააცხრა, მკლავებში მოიქცია, მხარზე შეიგდო და სახლისკენ გააქანა. შინ შეყვანამდე თეოს მწარე მოთქმა გარკვევით ისმოდა, ხოლო როცა კარები ჩაკეტეს, მისი მწუხარე ხმა მიწყდა.

ეს ყველაფერი იმდენად უეცრად დატრიალდა, მეგონა, რომ სხვას გადახდა და ამ კადრებს შორიდან ვუყურებდი. არ მახსოვს, გაშეშებული ერთ ადგილას რამდენ ხანს ვიდექი. ველოდი, იქნება თეოს ან ვინმე სულიერს გამოეხედა. მაგრამ, როცა დადამდა და ყველა იმედი გადამეწურა, მთელ ტანში სისუსტემ, ხოლო მარჯვენა მკლავზე აუტანელმა ტკივილმა შემომიტია, ძალა მოვიკრიბე და ქოხისკენ დავიძარი. კერიაზე დახვავებული თიხისა და შუშის ნამსხვრევები რაღაც ბრტყელი საგნით მივწი-მოვწიე, მხრჩოლავ ნაკვერჩხლებს ფიჩხი დავაყარე და ჯორკოზე მივჯექი. ცეცხლის ალმა ქოხი რომ გაანათა, სიძის ნამოქმედარი მთელი სიცხადით გამოჩნდა: წლების განმავლობაში ნაგროვები წამლის შუშები, ქოთნები და ჭურჭელი მთელი არ დაეტოვებინა და ეს ყველაფერი ერთმანეთში ისე იყო არეული, მათ პირვანდელ დანიშნულებას ვერც მიხვდებოდი.

მკლავზე ღია ჭრილობა აღმომაჩნდა. დიდი ვაივაგლახით მოვიბანე. გადაყირავებული და დაჩეხილი განჯინის უჯრის ნამტვრევებში ბედად გადარჩენილ მალამოს მივაკვლიე, ჭრილობა დავიმუშავე, სისხლდენა შევიჩერე, ზედ ბალახები დავიფინე, ხალათის ჩამონახევით შევიხვიე, კერიას წყალი მოვასხურე, ქოხის კარი გამოვიხურე და ბილიკ-ბილიკ ეზოს უკანა გასასვლელისკენ გავემართე.

ის ღამე მეზობლის ქოხში გავატარე, მეორე დილით კი უთენიაზე, მონასტრის გზას დავადექი.

აი, ეს არის სულ. შესაძლოა, რაღაც გამომრჩა, მაგრამ არაფერი დამიმატებია...

ახლა ჩემი ფიქრები გამუდმებით თეოს და მის შვილებს დასტრიალებს: რა ეშველებათ მათ, ამ ამბების შემდეგ რანაირად უნდა იარსებონ. ძალიან მეშინია, თეომ თავს რამე უბედურება არ აუტეხოს. ის ჯერ კიდევ იმდენად ახალგაზრდაა და უმწეო, მეეჭვება ცხოვრებას მარტოკა გაუძღვეს... ყველაფრის მიუხედავად, მერჩივნა სიძე და ის ერთად ყოფილიყვნენ, რადგან ახლა ისინი როგორც არასდროს, ჭირდებიან ერთმანეთს.

სიძე ასე რომ მომექცა, სულაც არ ნიშნავს, რომ იგი საბოლოოდ დაღუპული ადამიანია. ახლადა ვხვდები, მის წინაშე მთლად პირნათელი არც მე ვიყავი, ერთთავად კრიჭაში ვედექი და ჩემი კაპუეტობით, ჩანს, მოთმინებიდან გამოვიყვანე.

ნეტა, იმ ტყვიებიდან ერთი მაინც შიგ გულში მომხვედროდა და გავეთავებინე!..

იმ საღამოს სურათს რომ აღვიდგენ (რაც დაუსრულებლად თვალწინ მიტრიალებს), ვხვდები, მაინც ვერ გამიმეტა, უკანასკნელ წუთში დამინდო, თორემ კარგად ვიცი, ორმოცდაათ ნაბიჯზე ტყვიას ტყვიაში აჯენს.

რაც კი რამ დაუშავებია, ყველაფერი მიპატიებია. მოსამართლეს კი უმორჩილესად ვთხოვ, მის მიმართ ლმობიერება გამოიჩინოს და სასჯელი შეუმსუბუქოს, რადგან იგი თავის ცოლ-შვილს ძალიან ჭირდება. რაც შემეხება მე, უკვე წამავალი ვარ და არ ღირს ჩემ გამო ვინმე მკაცრად დაისაჯოს.

* * *

P.S.

ბატონო პროფესორო,

ჩვენებებში ამ მეტად სამწუხარო ფაქტების ირგვლივ თიქმის ყველაფერია ნათქვამი და მეგონა, რომ ვინმეს კომენტარი ზედმეტი იქნებოდა, მაგრამ, როცა თქვენთვის გადმოსაგზავნ მასალას ვარჩევდი, ამ ჩვენებების უკანა გვერდებზე გამომძიებლის გაკრული ხელით თეიმურაზ პირველის ლექსიდან ერთი და იგივე ნაწყვეტის ცხრა მინაწერი შემხვდა. ყურადღებას პუნქტუაციათა მონაცვლეობა იპყრობდა, რაც, როგორც ჩანს, გამომძიებელს აზრის გამოსაკვეთად დასჭირდა, რადგან პუნქტუაციის ყოველი გადანაცვლებისას ლექსი განსხვავებულ აზრობრივ დატვირთვას იძენდა.

აი, ამ ლექსის ნაწყვეტი:

„... რად, სოფელო, სხვა არ დასწვი,
ჩემებრ, მე მქენ დასადაგე?!
გლახ, ლახვარი სასიკვდინე
ყველა მე მკარ, დასად აგე!!
დამიკარგე ძე, ასული,
ძმა არ ვიცი, და სად აგე?
სხვა ნაყოფი მათებრ ტურფა
რა აშენე და სად აგე?..“

გამომძიებელი ამ ოჯახის ტრაგედიას, მიუხედავად იმისა, რომ უამრავი ჩახლართული საქმის გახსნა უხდება, ადამიანურად შეუშფოთებია და მასში ღრმა თანაგრძნობა აღუძრავს. მოგეხსენებათ, გამომძიებლების უმრავლესობას ამგვარი რამ იშვიათად მოსდით, რადგან დროთა განმავლობაში, ყოველდღიური რუტინა ფიტავთ და გულგრილობის დაღს ასვამთ.

საინტერესოა, რატომ მაინცდამაინც თეიმურაზ პირველის ამ ლექსს მიმართა მან. თქვენ მეტყვით, იქნებ თვითონ მისთვის გეკითხათო, მაგრამ ამ უკადრის საქციელს ვერ ჩავიდენ, რადგან ეს საკუთარ თავთან განმარტოებული ადამიანის მიყურადების ტოლფასია.

იქნებ ჩასწვდეთ, რატომ უტრიალებდა იგი ამ სტრიქონებს? თქვენ ხომ ურთულესი ქარაგმები, ვინ იცის, რამდენჯერ ამოგიხსნიათ.

ქოდი

თამარ გაბრიშვილი

დაბრუნება

თვალებში ვიჭერთ ცოცხალ კალმახებს,
მდინარის პირას გავშალეთ სუფრა,
უერთმანეთოდ რაც კი რამ ვნახეთ,
უნდა დავსხდეთ და ერთმანეთს ვუთხრათ.

როგორ გავძელით აქამდე უწყლოდ,
სად, ანდა რატომ ვიყავით წინათ,
კოკორს კვირტიდან რა ძალა უხმობს,
გარეთ მზეა თუ შხაპუნა წვიმა.

სისრულისაკენ ყველა მიილტვის
და თევზაობა ჩვენი ხვედრია,
დღეს სიყვარული ზეცას მიწისთვის
გუბეებშიც კი გაუმხელია.

შევჩერდეთ წუთით, მაინც წინ წავა,
ჩვენი სიცოცხლის ლურჯი დინება,
ბონდის ხიდივით დაქნეულ წამწამს
შენკენ მოვყვები და მეღიმება.

თვალებში ვიჭერთ ცოცხალ კალმახებს,
მდელოზე ისევ გავშალეთ სუფრა,
უერთმანეთოდ თუ რამე ვნახეთ,
დროა, დავსხდეთ და ერთმანეთს ვუთხრათ.

სიცოცხლის ხე

ასრულდება
ღვთის ნება:
ამ ხეს სული ფოთლებად
როცა გაუფრინდება,
მეც თბილ ქვეყნად წავალ,
– სანამ სული ტოტებზე
ახლად დამეკვირტება.

თრთვლისა

მოდი, გულზე მიმიკარი,
დღეს მომარჩენს შენი სუნთქვა;
როგორც დამზრალს მზის სხივები,
უშენობა ისე მთუთქავს.

რა დილაა, თუ ჩემს მკერდში
არა გალობს შენი გული,
თუ თვალების სილურჯეში
არა მყავხარ ჩაქარგული...

გაკვირტულა გაზაფხული,
ერთგულება მარადისი;
გეძებ, ბაღში სიჩუმეა
და შენი ხმა ისევ ისმის.

მოდი, მკერდში ჩამიკარი,
მიწილადე შენი სუნთქვა,
როგორც დამზრალს მზის სხივები,
უშენობა ისე მთუთქავს.

* * *

ალვის ხევ, შენთან ღამე ვათიე,
თუმც ქარი ქროდა ძალიან მწარე.
ამ ქარის ხელით შენს ნორჩ ფოთლებზე
სულ პაწაწინა ლექსები ვწერე.
არ დამაცალეს შენთან ალერსი,
ჩამოსკდა ნისლი და წვიმის თქეში
და ჩემი სუნთქვა – ფთილა ფოთლები,
ჩამოიცრემლა და ჩაკვდა ქვებში.

ცრემლიადა

ზვავად ჩამოწვა სული სხეულში,
ჩამოეზნიქათ ფიქრებს კვირტები;
ო, უსაშველოდ ამაღლდა თოვლი,
უკვე ვეღარსად დავეხეტები.

მეგობრად, ალბათ, აღარც მიმიღებ,
რადგან ხანძარი აქრობს ყველაფერს,
და ჩემს სიყვარულს ეს დაზამთრება
თვალებზე ახლა ნაცრად დამაფენს.

ან სინანულით ჩავლილ ცხოვრებას,
მზესთან საერთო რა უნდა ჰქონდეს;
ისევ ყინული და თეთრი ლექსი
აიღებს ჩემგან ბოლო აკორდებს.

ნისლების ქარავანი

გაღვივებულან გზაზე ნისლები,
ფიჭვის სურნელით დამთვრალა მთვარე;
და ახლა ღამე, ჩემსავით გრილი,
შენს თბილ უბეში იელმებს თვალებს.

ამოუხეთქავს წყაროს საგულე,
დასწაფებია ანცი გვირილა;
ალვის ხისათვის პირველი ბუდე
ჩიტებს დაუდგამთ თავზე გვირგვინად.

მთებს საალერსოდ შემოხვევია
ტალღებქოჩორა შმაგი რიონი:
აღარავისთვის არ მემეტება
შენი ტუჩების ტკბილი მირონი.

წ ა რ ღ ვ ნ ა

ისევ წამოვა თვალცრემლა წვიმა,
წამომეწევი ნაწამებს სადმე;
მერე რა, თუკი სადღაცას მიწას
ბროწეულების ელფერი ადევს...

აცახცახებულ, ნამცეცა გულსაც,
ვით ჩიტნაცარას, გაფრენა უნდა;
და მოსახდენი მოხდება, თუნდაც
მთელი სამყარო დაგედოს ხუნდად.

არავინ იცის, დიდ შარაგზაზე
ვინ საით, ანდა, ვინ როდის წავა,
და სიყვარულის კოცონის გიზგიზს
როდის ჩააქრობს ცრემლების წარღვნა.

დ ა მ შ ვ ი დ ო ბ ე ბ ა

უკვე აღარას ვდაობ,
მორჩა ტკივილიც, რისხვაც;
მწარე ტკივილი, დაო,
უმწიფარ ნაყოფს ისხამს.

შარაც სრულდება ბოლოს,
მტვერსაც გახვეტავს ქარი,
და სულით მუდამ ობოლს
მეყოფა კვერი მთვარის.

რაც მოსაძებნი მრჩება,
ხვალ სხვამ იპოვოს იქნებ,
ცრემლებს გიგზავნი ელჩად
და ცისარტყელას გიქნევ.

* * *

არვინ გეტყვის: – ძვირფასო,
წამო, ჯოჯოხეთიდან,
– დარჩი ამ სამოთხეში.
აქ ყველაფერს შენ ირჩევ
სულის მეხამრიდებით
და უკუნი სიმართლე
გზაა ღმერთთან სწორების...
აქ ყველაფერს შენ ირჩევ;
ან ვინ გეტყვის: – ძვირფასო,
დარჩი, ამ სამოთხეში!

თა – თუთა

მე – შინიდან,
თეთრი თუთა – გარედან,
საკენკს ვუყრით ჩიტუნიებს,
მოფრენილებს მთვარიდან.
ისინი კი,
მისხალ-მისხალ,
გუბე-ღრუბელ,
ცა-რიალ,
მე – შინიდან,
თა-თუთებს კი გარედან,
სულ ჭიკჭიკით
გვთარგმნიან...

მ ი ყ ვ ა რ ხ ა რ

– მიყვარხარ! –
საუწყებელი –
კიდევ ერთ ლექსი შემომეწერა –
კიდევ ერთი ბუმბული გამომეცალა,
რომელიც ფრენისას მამძიმებდა...
ვფიქრობდი,
ბოლოს შიშველი დავრჩები-მეთქი,
მაგრამ ხელახლა ვიმოსები
და ჩემს ზეციურ წონასწორობას
სიმძიმილი
ლექსებად ისევ
სცვივა და სცვივა,
– ეს ფრენის შეწევნაა
და სამყაროში გაბნეული,
მისხალ-მისხალ ამოსაკრები
სიტყვის მისტერია –
მ ი ყ ვ ა რ ხ ა რ ! –
ეს ერთი ბუმბული მაინც შეინახე.

ე ქ ო

ამ გაზაფხულზეც მომენატრები,
რადგან მექნება მიზეზი თრობის:
აფეთქდებიან ჩვენი ატმები,
მწვერვალებიდან ჩამოვა თოვლი.
ჩამოგვადნება სხეულზე ექო
და თმას დამიწნავ ისევ ახლიდან,
რომ ნაწნავების სიგრძით გაიგო
რა დრო გასულა ბოლო ნახვიდან.

მოთხრობა

მიარე, ჩემო მიარე...

ვალერ ჩორდული

დილის "გამამხნევებელი" ვარჯიშიდან დაბრუნებულმა აპოლონ მარგალიტაძემ (სამსახურში, შემტევი და აგრესიული ხასიათის გამო, ნაპოლეონს ეძახდნენ, ცოლი კი სახლში, მოფერებით, ნაპოს ეძახდა) ძაღლის ლეკვთან ერთად შეაღო სახლის კარი.

– აქეთ მოდი, აქეთ მოიხედე, ოჯახის შინაგან საქმეთა მინისტრს, (არადა, საგარეო საქმეებშიც მაგრად არის "გასული" და ამიტომ, ხშირად, ამ სამსახურითაც არის დაკავებული!) ქალბატონ ქსენანოს გაგაცნობ! ისე, რომ იცოდე, მაგას რაჭაში ქსენია ერქვა, ქსენოსაც ეძახდნენ, თბილისში კი ქსენანო გახდა!.. რა მაგის პასუხია და უძვირფასესი დიასახლისია, კარგი დახვედრა და მასპინძლობა იცის, სტუმარი და სტუმრიანობა უყვარს, მაგრამ შენ როგორი და რანაირი თვალით შემოგხედავს, აა, ახლა გამოჩნდება მისი ქალობა!.. რა დასამალია და ისიც უნდა იცოდე – ძაღლი არასდროს გვყოლია სახლში! თუმცა შენ სხვა სტატუსი გექნება ამ ჭერქვეშ – დღეიდან ხომ ოჯახის სრულუფლებიანი წევრი ხდები! – შემოდგომის რკოსფერ ლეკვს დაალაპარაკა ნაპოლეონმა, მერე მისაღებ ოთახს მიმოატარა თვალი, იქეთ-იქეთაც ჩაიწია და სანამ საძინებელში შეიჭვრეტდა, საუბარი გააგრძელა,– ეს სახლი ჩემი "პატარა სახელმწიფოა",გადაჭიმულია ნიკოფსიიდან დარუბანდამდე! ნახე, როგორ მაქვს შემოღობილ-შემოგისოსებული, აპა!.. კიდევ ისა, შენა ხარ ჩემი ბატონი, რომ იცოდე, სხვა მინისტრებიც მყავს: კულტურის სამინისტრო ერთ შვილიშვილს ვუბოძე, კონსერვატორიას ხვალ-ზეგ ამთავრებს, ძალიან მაგრად უკრავს, წიგნი და მწერალი უყვარს, მხატვარი უყვარს, ხელოვნების შუაგულშია, და სხვას, ვიღაც მეხრეს ხომ არ დავნიშნავდი ამ თანამდებობაზე, ისე ხომ არ მოვიქცეოდი, აი, ჩვენი მთავრობის შეფი რომ იქცევა, მინისტრად ისეთ ვინმეს "გამოისვრის", მიკარებას რომ არ არის მისი განათლება იმ სკამსა და სავარძელს!.. სხვათაშორის, რაჭაშიც მოუვიდათ ასეთი რამ, მაგრამ იმას მთლად "იაღლიშს" ვერ დაარქმევდი, ცოტათი მაინც იყო ერთმანეთთან შეხებაში, გეტყვი ამასაც: ჩორდის კოლმეურნეობაში ტრაქტორი მიიღეს, მარა ტრაქტორისტი არ ყავდათ! რა ვქნათო, ბევრი იბჭეს და რაჟიკო გავაგზავნოთო, თქვა ვიღაცამ! რაჟიკო რა შუაშიაო, ახმაურდნენ აქეთ-იქედან! რა შუაშია და ნალების მჭედელია, რკინასთან ახლოს არის და მაგ საქმეს ეგ გაართმევს თავსო!.. ჯაჭვის ხიდამდე, ქუთაისში ხდება ეს ამბავი, თურმე გამცილებელი ტრაქტორისტი მოყოლია რაჟიკოს, მერე აღარც რაჟიკო უნახავს არავის და აღარც ტრაქტორი – ხევში გადაიჩეხნენ და რიონმა ჩაყლაპა ორივე!.. არ გაგიკვირდეს და ახლაც ეძებენ რაჭველები ტრაქტორს (რაჟიკოს არა!), ჯართში ჩასაბარებლად!..

"მიარე – გამომიდარე, გამომიზაფხულე,
გული განმიმხიარულე, გული განმიკურნე"...
ლექსიკონი თეიმურაზ ბაბრატიონისა.

– რა მალე მოხვედი, რა ხდება, ნაპო, ცუდად ხომ არ გახდი?!. როდის უკანია, საკუთარ თავთან ხმამაღლა დაიწყე ლაპარაკი... გეჩიჩინები, მეტისმეტს ნუ ვარჯიშობ, მაგდენი დატვირთვა არაა საჭირო-თქვა და არ გესმის!.. მაგ უხეირო ძუნძულში გული რომ გაგისკდეს, შენს თავს დააბრალე, რა ვქნა, ჩემი არა გეჟურება რა! – ისე გამოილაპარაკა ქსენანომ ლოგინიდან, თვალი არცკი გაუხელია.

– მალე კი არა, ორი საათით გვიან მოვედი!.. ვალიკოსთან ვიყავი!.. მოკლედ რომ ვთქვა, გუშინ დამპატიჟა ცეილონურ ჩაიზე და ამ დილით ვეახლე!.. როგორც არ უნდა გაგიკვირდეს, პოლიტიკაზე და ამ უხეიროებზე სიტყვა არ დაგვცდენია, თუმცა ერთი-ორი კბილი კულტურის მინისტრის მოადგილეს მაინც გაკრა წუხანდელ ლაპარაკსა და ბაქიბუქებზე, ცოტა საგარეო საქმეთა მინისტრიც "წამოიბურთავა", მერე და მერე "ლამაზად" შემომაპარა, აღმზრდელობით საქმიანობას რომ არ მოვწყდე, ოთხ კედელ შუა რომ არ ჩავიკეტო და ჩავიხუთო, ახალი "საქმე" გამოვიგონე და მისი სისრულეში მოყვანა გადავწყვიტე კიდეცო... რა ისეთი სასწრაფო იყო, რა გადაწყვიტე ამნაირი-თქვა, შევაჭერი ენაზე სალაპარაკო!.. მაცალეო, მითხრა და უფრო შემართებით გააგრძელა – ხომ გაგიგონია, უძაღლო ქვეყანაში კატებს აყეფებდნენო!.. ჰოოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, კატებსა და მათ პატრონებს დედა რომ ვუტირო, მეძაღლეობა უნდა დავიწყოო!.. უფრო სწორად, უკვე დაწყებული მაქვს და ეგ არისო!.. ამ წამოწყებას ჭკვიანი კაცის წარსული უდევსო – ცოლისიანია, დღემოსწრება სიცოცხლისა, მეძაღლეობით ცხოვრობსო, ერთი არ გაუხედავს სახელმწიფო სამსახურისკენო!.. ადრინდელი პარტმუშაკები, პროფკავშირები და ცეკა ხომ ფეხებზე ეკიდა, ეს დღევანდელი ნაცები კიდევ უარეს ადგილზე კიდიაო!.. ცხოვრობს სოვდაგარივითო!.. უფრო მეტი რომ იშოვოს, ბოლო ათი წელია, მსოფლიოში უიშვიათესი და ძვირადღირებული "ბოქსიორის" ჯიშით არის გატაცებულიო!.. უმალ ვუთხარი, "ბოქსიორი" რომელია-თქვა!.. ლამაზი პირისახე რომ არა აქვსო, მითხრა და იქვე დააყოლა, ჩვენ რომ გვგონია იქეთა აზიელები თვალმოჭუჭკულები და ულამაზოები არიან, ახლა იმათ კითხე ჩვენზეო!.. თვალებ გადმოკარკლულებს რომ გვეძახიან, არ იციო?!. არ მითხრა სხვაო, მაგაშიც რომ რაღაც სილამაზეა ჩადებული, ეჭვიც არ მეპარებაო!.. რაღაცის თქმა მინდოდა, მაგრამ არ მაცალა, თვითონ გაუტია... იმ ნათესავმა მითხრა, რას ასკდები ნერვებს, მეორედ თუ გგონია მოხვალ ამ ქვეყანაზე, ძალიანაც შემცდარხარო! ვერ გაიგეთ, ჭკვიანი კაცი ნაცებს არაფერში რომ არ ჭირდებაო?!. სამაგიეროდ ძაღლებისთვის ზედგამოჭრილი დამრიგებელ-მასწავლებელი იქნებიო!.. ეგ ისეთი ჯიშია, ამაგი არ დაგეკარგებაო!.. დედალ ლეკვს გაჩუქებ, მიხედე, მოეფერე, მზრუნველობა არ მოაკლო და ცოტა ხანში იქეთ მოგხედავსო!.. ერთ წელს რომ გადაცდება, მერე იწყებს მაკეობასო!.. კარგი იქნება, თუ პირველ მაკეობას არ დახარბდები და ლეკვს დაძაღლებას აცდიო, წამლობენ მაგაზეო... ისე, რომ იცოდე, ექვსიდან თორმეტ ლეკვამდე ყრის, წელიწადში ხანდახან სამჯერ მაკეობსო!.. ლიტერატურასაც მოგცემო, პროფესორი კაცი ხარ და წერა-კითხვა შენ რომ იცი, ისე სხვამ ვინ იცისო, უმალ აითვისებ "ხელობასო", მერე წამოწექი მხარ-თეძოზე და შორიდან უქნიე საჩვენებელი თითი მთავრობაში მოკალათებულ შენს გაზრდილ დასაპანღურებლებსო!.. პირდაღებული ვუსმენდი ვალიკოს... ამომშრალი ენა რომ მოვიძიე და რაღაცის თქმა დავაპირე, ტუჩზე თითი მომადო და მითხრა: ჭკვიანი კაცი რომ ვარ, ხომ იციო? დამიჯერე, ამიბი მხარი და ერთად ვწიოთ მეძაღლეობის ჭაპანიო!.. ჩემი რა გესწავლებაო, შენაც კარგად იცი, ამ მთავრობაში მოსულები და მათი მამები ჩვენი გაზრდილები არ არიანო?.. მაგრამ, ეტყობა, ისინი ისე ვერ გავზარდეთ, ერს რომ ეკადრებოდაო, ახლა თავები რომ ჩამოვიკიდოთ ბაწარზე, ან "გამზრდელის" ჰაჯი-უსუბისა არ იყოს, დამბაჩა რომ ვირეხვოთ საფეთქელში, ამით საქმეს ვერ ვუშველითო, საპირისპირო საქმე ვაკეთოთ, ლეკვები ისე გავზარდოთ, ამ ცხვირმოუხოცავებს ათი თავით თუ არა, ერთი თავით მაინც რომ ჯობდნენო... იმათი არ გამოგვივიდა, ამათი საქმე ნაღდად გამოგვივაო, სული მოგვეფონებაო!.. თუ ახლავე გადაწყვეტ, შენთვის ძუ ლეკვი პრობლემა არ იქნებაო, მე ვალიკო ვარო, შენი ხმალი და ჩემი კისერიო... და მერე, ცნობილი მეძაღლე რომ გახდები, თითო ლეკვს, იცი, როგორ გაყიდიო? მეტი არ მითხრაო, ამათ მიერ ცოდვით მოცემულ პენსიას აღარც კი მიაკითხავო...

...ქსენანომ ჯერ კეფა მოიქექა, მერე კი ცხვირზე ჩამოისვა ხელი.

– მისმენ, ქალო? თუ ტყუილად ვლაპარაკობ და ვირჯები ამდენს!..

– გისმენ, აპა, რას ვშვრები! მაინცა და მაინც თვალებში უნდა გიყურო? – ისევ მოიფხანა ქსენანომ თავი.

– რას ამბობ, კაცო, ამ ასაკში, პროფესორმა

კაცმა, მეძაღლეობა დავიწყო-თქვა? – გულმოსულად ვუთხარი ვალერიან ბატონს.

– სწორედაც პროფესორის ხელი რომ ჭირდება ძაღლების აღზრდას, ამაში ეჭვი გეპარებაო?.. ჯერ ლეკვების დედა უნდა გავზარდოთ, ისეთი რამე უნდა ვასწავლოთ, ისეთი კოდი უნდა ჩავუმონტაჟოთ თავში, მსოფლიო თუ არა, ჩვენი ბედკრული ქვეყანა მაინც დარჩეს გაკვირვებულიო!.. მერე, ამ დღენაკლულ ნაცებს, ჩვენი რომ არაფერი სწამთ და სჯერათ, ეგება ძაღლისა და მისი ლეკვების საქციელის მაინც შერცხვეთო!.. აქედან გამომდინარე, მეძაღლეობაში რას ხედავ არასაკადრისსა და დასაცინსო!.. ხომ არა გგონია, შენზე ნაკლები პროფესორი ვიყავიო!.. რა, ერთნაირად არ ჩაგვწერეს ჩარეცხილთა სიებშიო?.. ერთნაირად არ დაგვიხურეს სპორტის აკადემიაო?.. ჯერ სადა ხარ, ესენი კიდევ ბევრს დაანგრევენ და გააფუჭებენო!.. პარადოქსი არ არიო? ამათ, ბიჭო, ჰიმნი უნდათ, ჰიმნის დამწერი კი არაო!.. ტყუილს ვამბობ? რანაირი ტყუილია ესო, მწერლებს სახლი წაართვეს, ილია ჭავჭავაძის დროინდელი და მისი გამოცემული და დაარსებული ჟურნალები დახურეს და კიდევ ტყუილს ვამბობ? ჰო, კიდე ისაო, თუ რომელიმე სახეობის სპორტსმენმა ღვთის წყალობით გაიფაჩუნა, ის კი უნდათო, მაგრამ მას რომ მწვრთნელი და მასწავლებელი ჭირდება, იმის გაგონება არ უნდათო!.. კაცო, მეტს გეტყვიო, ფეხბურთელები უნდათ, მათი დამრიგებლები არაო!.. მაგათ მარტო ფედერაციის ლამაზი შენობა უნდათო, აი, იმ ფედერაციის, ამის წინეების ხელმძღვანელობამ კვანტი რომ დაუდო სახელმწიფო ბიუჯეტს, ორმოცდაათ მილიონზე მეტი რომ "დახარჯა" თუ "შეჭამა", ღმერთმა უწყისო და საქართველოს ნაკრები სამტრედიას რომ ვერ გაცდაო!.. ქვეყანა ნახავსო, ამ ძაღლსა და მის ლეკვებს, ჩემი სახსრებით, ისე გავზრდი, სამტრედიას კი არა, "ამსტერდამიასაც" კი ისე ამაყად ჩაუვლიან გვერდს, ცხრა მთას იქეთ ჩასაფრებულ მტერსაც კი დაევსება თვალიო!..

– ნაპო, ძვირფასო, მოიცა, მოიცა!.. ისეთი რიხით და ენერგიით ყვები რაღაცებს, დავიბენი, რისი თქმა გინდა, ვერ ვხვდები!.. აზრი ვერ დავატანე, რა კავშირშია ერთმანეთთან ჰიმნი, აკადემია, ფეხბურთის ფედერაცია, მწერლების სახლი და ძაღლები!.. აა, შენ გინდა, მითხრა, რომ ვალიკომ მეძაღლეობა დაიწყო, ხომ? – თვალგაუხელელად ამოილაპარაკა ქსენანომ.

– ვალიკომ ხომ დაიწყო და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ამ საქმის გაგრძელება, მეც დამაწყებინა... თავიდან კი ვიყავი მაგარ უარზე, მარა, იმდენი და იმსიგრძე "ანოტაცია-მონოლოგ-რეზულტატები" წამიკითხა მეძაღლეობაზე, კი დამიჯდა ჭკუაში!.. კი, ასეა!.. დღეიდან ვიწყებ ახალ საქმიანობას ჩემს ცხოვრებაში – მეძაღლეობას!.. დავიჯერო, ამხელა ერუდირებული კაცისგან, რიგითი მეძაღლე-პროფესორ-მასწავლებელიც ვერ გამოვა?.. რავა, მართლა ისეთი ჩარეცხილი ვარ, ნარეცხიც აღარ დარჩა ჩემგან?.. არა მგონია, არა, ვერ მოგართვით!.. მუნჯის ენა დედამ იცისო – ისეთ მოლაპარაკე "ბოქსიორებს" დავზრდი, ხალხისა და ქვეყნის ისეთ მოყვარულებს, ნაცის დედები ისევ ნაცში შეაბრუნებენ თავის ნაცებს მეორადი გაჩენისათვის!.. ჰოოდაა...

– მოიცა, ნაპო, მოიცა!.. დღეს, მე მგონი, შენ ჰაერში ხარ გამოკიდებული, სადღაც სივრცეში და მიწისკენ აღარ იხედები! შორს ნუ გაგექცა გონება, აქეთ მათხოვე ყური! რაო, რა თქვი, კაცო? მართლა აპირებ მეძაღლეობის დაწყებას? – ქსენანომ გრძელ მონოლოგს მოწყვიტა აპოლონი.

– ვაპირებ კი არა, უკვე დავიწყე-თქვა, ხომ გითხარი!.. თავის ახლობელთან წამიყვანა ვალიკომ, გამაცნო ის პატიოსანი მეძაღლე-ბიზნესმენი, აქეთური უთხრა, იქეთური მოუყვა, იმ კაცმაც, აიყვანა და ისეთივე ლეკვი მაჩუქა, როგორიც ვალიკოს ყავს! ასეთი სიტყვაც მოაყოლა ზედ – ლეკვები დაბადებამდე მყავს გაყიდული, მარა, თქვენ, პროფესორ კაცს, რაღაი ამ საქმეს იწყებთ, ლეკვს როგორ დაგიკავებო!.. ჰოოდა, ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯებაო, ხომ გაგიგონია! კიი, ხომ? ჰოდა, ერთიც დაიმახსოვრე, თურმე არც ნაჩუქარ ძაღლს გაესინჯება კბილი! კი, ასეა ჩემო დედოფალო და ლეკვიც აგერაა და მეც!..

– უკვე მოიყვანე? როგორ თუ მოიყვანე, ამ სახლში მარტო შენ ცხოვრობ? – წამოჯდა საწოლზე ქსენანო.

– დღეიდან: მე, შენ და ძაღლი!.. არ მითხრა მეტი!.. ეს ლეკვი სამ თვეს ამთავრებს ზეგ!.. შვილობილი, რა თქმა უნდა, ძუ გახლავთ!.. ნახე, ნახე ერთი, რა საყვარელი რამეა!.. თანაც ბოქსიორია, ნამდვილი ბოქსიორი და მთავარზე მთავარი – ამათ გამზრდელისა და პატრონის უზადო ერთგულება იციან, ადამიანის სიყვარული იციან და ეს პატარა საქმეა? სხვა რომ არაფერი, რომ გაიზრდება, ჩარეცხილი ხარო, ამას მაინც არ დამაყეფებს ზევიდან!..

– ნაპო, კაცო, ნაპო...

– მაცალე, ქალო, გაგაცნობიერო ბოლომდე! – სათქმელი ენის წვერზე მიაკვნიტა ნაპომ ცოლს, – ამ ძაღლს ისეთი მშობლები ყავს, ბაგრატიონ-მუხრანსკები და ამილახვარ-და-

დიანები ვერ დაუდგება გვერდზე!.. ამ ლეკვის ბებია წარმოშობით გერმანელია, ყოფილი კანცლერის ოჯახში აქვს "რეზიდენცია" და საცხოვრისი, ბაბუა კიდევ მექსიკელი "პრინცი" ბრძანდება აცტეკიდან! მეტყვი ახლა, ერთი ალთას რომ ყოფილა და მეორე ბალთას, რანაირად ჯვარდებოდნენო! სწორედ მაგაშია მთელი არსი და მუღამი – ძაღლების შეჯვარების დრო რომ ჩამოჰკრავდა თურმე, ხან ბებია ჩაყავდათ იქეთ, ხანაც ბაბუას ქონდა აქეთ საპატიო ვიზიტი!.. ეს ჩვენი ლეკვი მათი ნაგრამის ახალი თაობაა! არ გაგიკვირდეს, ჩემო ქსენანო და ამ ციცქნა ლეკვს პასპორტიც აქვს და პირადობის მოწმობაც!.. მეტიც, ძალიან მეტიც, ძაღლს "დოკუმენტში", ჩვენი საცოდავი პასპორტისაგან განსხვავებით, ეროვნება და მშობლების სახელი და გვარიც კი უწერია!.. მავანთა გასაგონად ვამბობ, ძაღლს პასპორტში ეროვნებაც კი უწერია!.. აფსუსი არაა, ქართველ კაცს ძაღლის ბედი შეგშურდეს?.. ვაი, ჩვენს პატრონს უბედურს!.. ვაი, შენ ჩემო დაბეჩავებულო და განადგურებულო ერო!..

– ნაპო, მისმინე, ნაპო...

– ჩავიდე ბოლომდე და შეკითხვები მერე, – ხელი აიქნია ნაპოლეონმა და გააგრძელა, – ჰო, იმას ვამბობდი, უფრო სწორად, უნდა მეთქვა, ამ ლეკვს რომ ოფიციალურად გადმოგვაშვილებენ, მშვილებელის სახელი და გვარიც დაემატება სათანადო გრაფაში, ანუ, აპოლონ მარგალიტაძეს მიაგვირისტებენ ქვემოთ!.. სხვათაშორის, თქვენი სახელი და გვარიც დაფიქსირდება, ქალბატონო ქსენანო!..

– რა სისულელეებს იგონებ და ლაპარაკობ, რას!.. ძაღლის პასპორტები, დედობა და ბებიობა მაკლდა, აი! შენ ვინ ყოფილხარ, შე მართლა ჩარეცხილო, შენა, უყურე ამას?! – "გაფიცხებული" ქსენანო საწოლზე მუხლებით დადგა.

– მე ვინ ვყოფილვარ და ვინ ვარ, ეს ქვეყანამ იცის, ამათ არ იციან, ამ ბიჭბუჭებმა თორემ... – ლეკვი იატაკზე დასვა ნაპომ, კეფა მოიქექა და გააგრძელა, – ამ პატივცემულს როცა გადმოვიშვილებ, სახელიც სხვა უნდა დავარქვა!.. ინგლისური კი არა, ქართული სახელი!..

– ნაპო, კაცო, ნაპო! ნაპოლეონი ხომ ხარ, თუ სხვას ველაპარაკები? – ხელები დაიკრიფა ქსენანომ.

– მაცალე, ქალო, აზროვნება! რა ენა იშოვე ამ დილიდან! – ისევ გაიქნია ხელი აპოლონმა და ოდნავ მოშვებული ტონით გააგრძელა, – გზად რომ მოვდიოდი, ფილოლოგიის დოქტორი შემხვდა, ღლონტი რომ არის, ფელიქსი, იცნობ იმ პიროვნებას შენ, იმან მითხრა, რაღაი ასეთი კარგი საქმისთვის მიგიგნია და ხელი მოგიკიდებია, ამ ლეკვს "მიარე" დაარქვი სახელადო, ძირძველი ქართულია, გული განმიკურნეს ნიშნავსო... იმ წუთსავე ჭკუაში დამიჯდა პროფესორის რჩევა, მე შენ გეტყვი, გული არ მტკივა, გასკდომაზე არ მაქვს და მკურნალობას არ საჭიროებს, აი!.. ჰო, ისა, მთავარი არ მითქვამს! ერთი სისხლის ანუ დედმამიშვილებისა და დეიდაშვილ-მამიდაშვილების, შეჯვარება არ შეიძლება თურმე!.. გესმის, ქალო, რა დონემდეა აყვანილი ამ ჯიშის ძაღლების ამბავი და საქმე?!. ჩვენთან კიდევ, სახალხოდ კაცო, ვიღაც ვიღაცოსანი, დეიდაშვილ-მამიდაშვილები ქორწინდებიან ერთმანეთში!.. ესაა კაცობა?.. ესაა ქალობა? მეტი მაგათი დედა რა ვთქვი ტრაკში, მეტად რომ არ გამრავლდნენ!.. – წამით შეჩერდა ნაპოლეონი, ნერწყვი ჩაყლაპა, კეფა ისევ მოიქექა, მერე პირი გააღო, რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ მეუღლემ დაასწრო და ენა "იშიშვლა":

– ნაპო, ახლა არ შემაწყვეტინო, თორემ გადავირევი, ჭერს ჩამოვიქცევ თავზე!.. კაცო, რაც მოყევი, ყველაფერი კარგია!.. მოგისმინე და დაგიჯერე!.. გვარის და სახელის წარმოჩინება მოგიწონე! ეროვნულობა, რა თქმა უნდა! ქართველი კაცის ღირსება ხომ მის ეროვნულობაშია! იმათ, დეიდაშვილ-მამიდაშვილებს, სისხლის აღრევა და სასირცხვილოდ ლოგინში ერთად კოტრიალი დავუწუნე, გულში დავწყევლე კიდეც, მარა, ეს არ შველის ჩვენს საქმეს!.. ამ პატივცემულ ლეკვს, პრინცებისა და კანცლერების ოჯახიდან რომ არის თურმე გამოსული, დიდი ფუფუნება თუ არა, სპეცსაჭმელები რომ უნდა, ზოოვეტერინარული მომსახურება რომ უნდა, აცრები რომ უნდა, ანალიზები რომ უნდა, შენ წარმოიდგინე, ტილების წამლებიც რომ უნდა, სად გვაქვს მაგის თავი ჩვენ!.. შვილებს თავისი გაჭირვებიათ და ვერაფერში გვეხმარებიან, ჩვენი პენსია კიდევ, აღებიდან აღებამდე, კარგა გვარიანად გასახრული და ნაცემი ჯორივით რომ გარბის, ამას გონება და თვალი ჭირდება?!. სანათესაოში უფულობის გამო რომ ვერ დავდივართ, ვერ გრძნობ ამას? ჭირსა თუ ლხინში, ნათესაობას რომ ველარ ვეკარებით მისატანის გარეშე, ვერ ხედავ, კაცო? შენ კიდევ ახალი პრობლემა შემოიტანე სახლში – ძაღლი!.. რა ძაღლი, რის ძაღლი! არ დამანახვო თვალით, ახლავე მოაშორე აქაურობას, საიდანაც მოიყვანე, ისევ იქ მიაბრძანე!.. ძაღლი მიაკვდა მათ მამა-პაპას სულში, ვინამაც ასეთ დღეში

ჩაგაგდო! – ამრეზით ყურება და ხმამაღალი ლაპარაკი არ დააკლო ქმარს ქსენანომ, ხელებიც ისე ატრიალა აქეთ-იქეთ, ჟესტიკულაცია ასეც კი წაიკითხებოდა – ამას რას მოვესწარიო...

– შენი აღელვება და ვიშ-ვიში მიღებულია! მაგრამ საქმის კურსში კარგად რომ გაერკვევი, აქეთ მოექცევი! ჭკვიანი ქმარი მყავსო, იტყვი! თავშივე უნდა იცოდე, ამ ძაღლის ჯიში ბუნების უიშვიათესობაა და ამიტომაცაა ძვირადღირებული!.. ამათი ჯიშის ლეკვების შეძენა დიდ დროსაც მოითხოვს და თანხასაც! მე არც ერთი დამჭირვებია და არც – მეორე!.. ჰოდა, ცხრა თვეში ერთი წლის გახდება ჩვენი შვილობილი, მერე მძუნაობის დრო ჩამოკრავს, შევაჯვარებ უძვირფასეს პარტნიორთან, შეგვეძინება ლეკვები, გავყიდით, უფრო სწორად, გაყიდიან, მონკავშირის ფილიალებსა და ძაღლების სპეცსაშენ ადგილებში რიგებია ჩამოწერილი... ერთი სიტყვით, ეს პროფესორი კაცი, სერიოზულად დავსაქმდები, გულს მაინც აღარ გავიხეთქავ ამ ქარტყანიების "საქმიანობის" ყურებით, ვიქნები ჩემთვის და ლეკვები რომ წამომეწევიან, ნათესავებთანაც მივალ და ცოტა იქეთაც, აპა! – ლეკვი ისევ აიყვანა ხელში ნაპოლეონმა, ცოლის დასანახად, მკერდზე მიიხუტა, მერე შეატრიალ-შემოატრიალა და ისევ იატაკს დაუბრუნა.

– "სპალნაში", შვილიშვილები რომ წვანან ხოლმე, იქ მიუჩინე ადგილი, პრინცების შთამომავალია და სხვა ადგილი ეკადრება? – ტუჩებს ისევ მოუყარა თავი ქსენანომ, მერე ოთახიდან გასვლა დააპირა, მაგრამ კისერი ერთხელაც მიაბრუნა და ქმარზე საკუთარი აზრების მოხვევა კიდევ სცადა, – სანამ ჩვენს სანათესაოს, სამეზობლოს, ამვლელსა თუ ჩამვლელს, შენი ახალი სისულელე არ გაუგია, სანამ თავი არ მოგჭრია ბოლომდე – ეს კაცი მეძაღლეაო, ლეკვი დღესვე მოაშორე აქაურობას! ესღა აკლდა ამ პატარა "იტალიურ" ეზოს საჭორაოდ და სამასხარაოდ, აი... და, საერთოდ, ჩვენს ოჯახს!..

– ქალბატონო ქსენია! ჯერ ის, რომ ლეკვს მართლაც იქ მოვათავსებ, სადაც შვილიშვილები იძინებენ ხოლმე, მერე მეორე, სულ ფეხებზე მკიდია, ვინ რას იტყვის ჩემზე!.. ანდა, მეტი რაღა უნდა თქვან, ჩარეცხილიაოს კი მეძახიან და!.. არადა, ეს შობელძაღლები, ჩვენი გაზრდილები არ არიან? მეტი ენა არ უნდა კაცს, მაგარი ნათქვამია, ობოლო, რომ გაიზრდები, რას იზამო და გამზრდელს ასე და ისეო... ძველი სიბრძნე ამათზეა მოჭრილი – ნაცებო რომ გაიზრდებით, რას იზამთო და გამზრდელებს დედის ნაწყლში შევაძვრენთო! ჰოდა, შეგვაძვრინეს კიდეც!.. სხვისი არ ვიცი და აგერ მე მეძაღლეობა დამაწყებინეს!.. ახია ჩვენზე, ახი!

– მიდი, მიდი, აბურთავე ენა! ეგეთი უწმაწური სიტყვებიღა გაკლდა, აი!.. ისე, ჩემი სიმართლე თუ გინდა, ერთხელ მაინც ირწმუნო, ყური მათხოვე აქეთ!.. ნაცებს ძაღლების მოშენებითა და მათი ყეფა-ყმუილით კი არა, იარაღით უნდა ებრძოლოთ, თქვენს მიერ დღემდე ხალხში დათესილი და აწ დასათესი სიყვარულისა და ნდობის იარაღით! ჰოდა, მოიყარეთ თავი მთელმა პროფესურამ, აქეთურმა და იქეთურმა, შექმენით ისეთი ზეეროვნული სამუშაო მანქანა, რომელიც ქვეყნისა და ხალხის ჭეშმარიტ სიყვარულსა და ერთგულებაზე იმუშავებს და თვითონ ნახავთ, ეს ნაცები ვის ნაცში აღმოჩნდებიან!.. ჩვენი მწერლები ბევრს წერენ ერისა და ბერის გადარჩენაზე, მაგრამ უშედეგოდ, ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდისო, ხომ გაგიგონია, კაცო!.. ჰოოდა, ისა, ცოტა გაღმა თუ გავიხედავთ და კოლუმბიელი მწერლის, გაბრიელ მარკესის "მარტოობის ას წელიწადს" თუ კარგად წავიკითხავთ, მივხვდებით, რომ "მწერლის ჰუმანიზმი ბრძოლისკენ მოწოდებაა! მან იცის, თუ ადამიანი (ან საზოგადოება) მხდალია, ივიწყებს წარსულს და ქედს უხრის ბოროტებას, მაშინ მას აღარაფერი ეშველება – სამუდამოდ განწირულს ან წითელი ჭიანჭველები შეჭამენ ცოცხლად ან სხვა რამ უწმინდური მოუღებს ბოლოსო!" ერთი სიტყვით, ჩემო ნაპოლეონ, შენ – იყივლებ, მე – ვიყეფებ და ნახე, სოფელი როგორ აშენდესო, ეგ ზღაპარი დაივიწყეთ! – "დააგდო" ქსენანომ აზრებით "დახუნძლული" გრძელი მონოლოგი, მერე ფეხი მოინაცვლა კარისკენ, მაგრამ უმალ შეჩერდა, ქმრის პასუხს დაელოდა.

– ქსენანო ბებიას ყოველთვის უჭირდა, არასოდეს არ ქონდა საკმარისი საკუთარი ჭკუა და ამ სიბერეში რაღა უნდა მოეკითხებოდეს, თუმცა, აღფრთოვანებას ვერ დავმალავ, ბოლო სიტყვები და წინადადებები ისეთები თქვა, სოლომონ ბრძენიც კი მოიწონებდა ამ აზრებით თავს!.. ეტყობა, ქსენანოს თავში, გონიერების ვულკანმა გაიღვიძა! ყოჩაღ ბებია, შენს ნათქვამებს მე კი არ დავიწერ, შენი სახელით მოვახსენებ მეგობრებს, მაგრამ ახლა, ჯერ სხვა, პატარა საქმე გვაქვს მე და შენ! მოდი, ჩემთან მოდი, გასწავლი, სად უნდა მოისვენო, სად უნდა დაწვე, სად უნდა ნახო ლამაზი სიზმრები, სად უნდა ისწავლო კაცური ქცევები და უენო ლაპარაკი!.. – აპოლონმა ისევ აიყვანა "ბოქსიორი", მკერდზე მიიხუტა და

9. "ამერ-იმერი."

ზურგზეც ორი-სამჯერ გადაუსვა ხელი.

– რატომ არ გამეცი პასუხი? რატომ აპირებ ჩემი ნათქვამის ბანზე აგდებას? ტკბილი და მურაბა აზრები რომ გითხარი, იმიტომ? თუ, გაგიკვირდა, ქსენანოს რეებზე ქონია ნაფიქრი და აქამდე ხმას რომ არ იღებდა, რას უყურებდაო! იმას ვუყურებდი, რომ ქმრის წინ ვერ წავხტენი, თორემ... თორემ, შეიძლება, ჟანა დარკის მანტიაც კი შემოვიცვა!.. მანამდე, კიდევ უფრო რომ "გამოგაფხიზლო", მწარეზე მწარეს გეტყვი!..

...ცოლის მოულოდნელმა "გამოსვლამ" აპოლონი გაკვირვებად აქცია.

– რა იყო, ნაპო, რავა გამოგიცივდა თვალები, რა გჭირს?

– არაფერი ისეთი, არაფერი! – თვალები დააფახულა კაცმა.

– რაცხა, არ მომწონხარ, მაგრამ მაინც გეტყვი! კამოს ისტორია ხომ გაქვს წაკითხული, ტერ-პეტროსიანი რომ იყო, ქურდი და მამაძაღლი, თავიდან "კარმანჩიკი", მერე ფოსტებსა და ბანკებს რომ ცარცავდა, ბოლშევიკებს გზის, იარაღის, ჭამის და ბოზებში "გულაობის" ფული რომ ქონოდათ!.. ერთი სიტყვით, იმ მამაძაღლზე გელაპარაკები, სახლიდან გამოგდებულ-გამოვარდნილი, ობოლი თუ ნაბიჭვარი ბიჭების მამა და მარჩენალი რომ იყო!.. და ისიც ხომ იცი, იმ ნაბიჭვრებიდან რამდენი ჩამოყალიბდა ბელადად! იცი, ხომ?!. ესე იგი, მისი ბიოგრაფიიდან ისიც იცი, კატორღიდან რომ გამოეშვათ, ძღნერი რომ შეჭამა, აქაოდა, გიჟი ვარო!.. და ისიც კარგად იცი, რა ვითარებაში, სად, როდის და როგორ "გააგორებინა" ბელადმა ყოვლის მცოდნე კამო ისევ "მისიანებს"... "გადასარევ" ფინალს შესანიშნავი ეპიტაფია დაუწერა ქართველმა პოეტმა – "ბელადმა უთხრა კაამოს, რაც რომ მიირთვი – გაამოს!.." აი, ასე დამთავრდა მათი "მამა-შვილობა" და ეს,რატომ მოვყევი, ხვდები? ვერა? გაგიშიფრავ, ბატონო!.. დროს თუ აქეთ გადმოვიტანთ, ეს ფრაზები თქვენ გეკუთვნით ახალი თაობის ეგრერიგად გაზრდისათვის! დიახ, თქვენ გეკუთვნით, პატივცემულ ჩარეცხილებზეა ზედგამოჭრილი! თქვენი უმეტესობა კამოები ხართ, ჰოდა, გაამოთ ეს ნაცები!.. აქვე ვიტყვი, ღმერთმა გაუმარჯოს მაგ ბიჭებს! როგორც გაზარდეთ, ისე იქცევიან!.. – ქსენანომ მათრახივით გადაჰკრა და გადაუჭირა ქმარს კაი-კაი ნათქვამები, გვარიანად აუჭრელა ტვინიცა და სხეულიც, მერე ზურგი აქცია და ოთახიდან გავიდა.

პირდაღებულმა აპოლონმა ძლივს მოუყარა ტუჩებს თავი, მერე ლეკვს დახედა და წაილუღლუღა:

– წამო, წამო ჩემო მიარე!.. სანამ ქსენანო მთლად არ გადარეულა და ჩვენთვის თეფშით ფუნა არ მოურთმევია, აქედან გავიდეთ!.. თუმცა, კიდევ უნდა ვაღიარო, აღფრთოვანებული ვარ მისი დღევანდელი გამოსვლით!.. სიბერეში საღმა იდეებმა რომ შეგაწუხოს, თურმე სულ არ ყოფილა მოულოდნელი! – ყურში ჩასჩურჩულა აპოლონმა "ბოქსიორს", მერე საძილე ოთახში შევიდა, ლეკვი ლოგინზე დასვა, თვალი კუთხე-კუნჭულს მოატარა, წარბი მაღლა ასწია და, რატომდაც, თავისი თავის გასაგონად, მძიმედ გაიმეორა – "ბელადმა უთხრა კამოსო"...

•

იმ დღის მერე, მიარე ოჯახის ნამდვილი წევრი რომ გახდა, აპოლონმა საკუთარი კალენდარი და შინაგანაწესი საკმაოზე მეტად შეცვალა!.. ახალმა საქმემ და საქნარმა მოითხოვა ასე!.. ჯერ იყო,ლიტერატურა მოიძია და შეიძინა სხვადასხვა ჯიშის ძაღლთმცოდნეობებზე, ბროშურები და მცირე გამოკვლევები იშოვნა ლეკვების "აღზრდა-განათლებისა" და მოვლა-პატრონობის შესახებ!.. ცოდნის გასაღრმავებლად, ენციკლოპედიებშიც კარგა ხანს იქექა!.. ძაღლების ჩხუბებზეც კი წავიდა სამი-ოთხჯერ!.. მონადირეებთანაც ქონდა რამდენიმე ვიზიტი!.. ეს ყველაფერი იქეთ დარჩა, აქეთ, ახლად განათლებული ჭკუა-გონება, "ბოქსიორის" სპეცკვებას, მოვლას, "სწავლა-განათლებასა" და სამედიცინო ზედამხედველობას უნდა მოხმარებოდა!.. ერთი სიტყვით, ლეკვი ისე უნდა გაზრდილიყო და დაძაღლებულიყო, ცივი ნიავის მიკარება რა სიტყვაზე მოსატანია, ავ თვალსაც კი არ უნდა შეეხედა მისთვის...

...ასე იყო თუ ისე, ქსენანოც მოექცა, მალევე შეეგუა ქმრის ახალ "სამსახურს", ის კი არა, რამდენჯერმე ისიც კი თქვა, ეგება ასეც ჯობდეს მისთვის, ჭარმაგობა ისე შემოეჭმება ხელზე, სიბერეს აინუნშიაც არ ჩააგდებსო... არც შვილებს უთქვამთ რაიმე მამის უცნაურ "წამოწყებაზე", შვილიშვილებმა, რაზეა ლაპარაკი, უმალ აიტაცეს ბაბუის "საქმიანობა" და დღე-მოყვანიდან, ლეკვს თავზე დაფოფინებდნენ... გასაკვირი კიდევ ის იყო, კაცო, რომ მიარესაც მოსწონდა "ხედმეტი" მზრუნველობა და "იპრანჭებოდა" კიდეც... აქვე უნდა ითქვას, რომ "ბოქსიორის" განსაკუთრებულ სიყვარულს პატარა მარგალიტაძე, შვიდიოდე წლის ნაპოლეონი იჩენდა (ბაბუის

წინასწარმეტყველებას თუ დავეყრდნობით, ბიჭი ძაღლთა გაერთიანებული ასოციაციების პრეზიდენტი თუ არა, საქართველოს პრეზიდენტი მაინც გახდება!), რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ, მოიყვანდნენ თუ არა აქეთ, იმ წუთიდან მოყოლებული, მთელ დღეს ლეკვთან ატარებდა, მასთან თამაში ყველანაირ ზიზილ-პიპილო გასართობებს ერჩივნა... იქეთ წაყვანის დრო რომ დადგებოდა, პატარა ქიჩმაჩი, ტაკოზე ტყეპა და ყურების აწითლება უწევდა ბიჭს... მიარესაც არ მოწონდა "გაყრის" მომენტი – გაბუტული და ქვედა ტუჩჩამოგდებული, კუთხეში მიდგებოდა და სევდაჩამდგარი თვალებით გასასვლელ კარს დაუწყებდა ცქერას... და ამ დროს, ნაპოსაც უჩნდებოდა წუხილი – ბიჭიც ენანებოდა და ძაღლიც...

...ამასობაში დღეები აილია და ჩაილია – კვირეებად იქცა, თვეებად იქცა... მიარემაც აიყარა ტანი, ამ დროში კინაღამ საკმაოზე მეტი "განათლებაც" მიიღო, ორჯერ "სილამაზის" კონკურსზეც მიიწვიეს, ჟიურის უფროსმა რაღაც ხარისხის მედალიც კი ჩამოკიდა კისერზე ნაპოს "ბოქსიორს", ერთი სიტყვით... ჰო, ისა, ტელევიზორში მოხვედრის დიდი შანსი ჰქონდათ კონკურსანტებს, მაგრამ აპოლონმა უარი თქვა ტელეობიექტივზე, თავისი პროფესორობისა და სამეცნიერო ხარისხების პატრონს, ჯერ კიდევ ენანებოდა თავი, ახალ ამპლუაში, ძაღლმცოდნედ წარსდგენოდა ფართო აუდიტორიას, თუმცა ამაშიც ვერ ხედავდა კატასტროფას, ის კი არა, სამომავლოდ, ძაღლებზე სამეცნიერო ხარისხის წიგნის დაწერაც კი მოინიშნა უბის წიგნაკში...

...აქეთურ-იქეთურობაში, ნაკიანი წელიწადის თორმეტი თვეც ჩამოთავდა – ქვეყნიერების წისქვილში დღე-ღამეებით სავსე ხვიმირაც გამოიფქვა... წიგნების მიხედვით, ძაღლის მძუნაობის დაწყება, ხვალ-ზევით, შეიძლება ფაქტი გამხდარიყო, რისთვისაც, ბატონი პროფესორი, კარგა ხნის უკან, საგულდაგულოდ მოემზადა, რაშიც პრეზიდენტობის მომავალი კანდიდატი, ციცქნა შვილიშვილი დაეხმარა!.. ბიჭმა კომპიუტერის მეშვეობით (აპოლონი ამ თანამედროვე აპარატურასთან ნამეტანი მწყრალად იყო!), აქვე, თურქეთში, ერთ სოვდაგარის ოჯახში, სხვა შტოს, სისხლის და ჯიშის (ამ ჯიშის ძაღლებში დეიდაშვილ-მამიდაშვილების დაწყვილება სისხლის "გაწყალების", ანუ, აღრევის გამოა დაუშვებელი!) ახალგაზრდა "ბოქსიორის" ხვადი აღმოაჩინა, რომელსაც ისეთი წარჩინებული წინაპრები ჰყავდა, თურქეთის სულთანს თავის წარმომავლობაზე ეჭვიც კი გაუჩნდებოდა. (სხვათაშორის, კომპიუტერმა კიდევ "ამოაგდო" სამი ხვადი – ორი იტალიიდან, ერთი ესპანეთის სამეფო კარიდან!), მაგრამ აპოლონმა ახლო მეზობელი არჩია! მერე, არც აცია, არც აცხელა, თურქ სოვდაგარს, ბატონ მუსტაფას, მოკრძალებული, მაგრამ "გრძელი" წერილი მისწერა (თარგმანი პირველი კატეგორიის თურქოლოგს შეასრულებინა!), სულ თითებზე ჩამოუთვალა თავისი ყოფაცხოვრების გასაჭირები, თუმცა მხატვრული "ჩართვაც" არ დააკლო ბარათს ძაღლების უზადო ერთგულებასა და მათ დიდ სიყვარულების ისტორიებზე. წერილს ძაღლის სხვა და სხვა რაკურსით გადაღებული ფოტოებიც ერთვოდა!.. წერილმა ისე აუჩუყა გული სოვდაგარს, ათი დღის თავზე, საპატიო მიწვევა და სოლიდური თანხაც კი გამოუგზავნა ძაღლით "მდიდარ", მაგრამ ჯიბეგამოფხეკილ და ხელგაშვერილ პროფესორს... "დიდად მადლობელი ვარ შემოთავაზებისთვისო! თქვენ შეიძლება ვერც კი წარმოიდგინოთ, რამოდენა აღუწერელი სიხარული დამეუფლება, როცა ჩემს პრინცს, "მუხტარს", ქართველი დედოფალი ეყოლება გვერდითო", იწერებოდა მუსტაფა... წერილის ბოლო ფრაზებმა ნამეტანი წაუხდინა ხასიათი აპოლონს, (აქამდე გული იმითაც ჰქონდა გახეთქილი და ყური გახელებული, ასობით მოენე და მნახველი რომ ლაპარაკობდა, თურქეთში მოსიარულე ქალების უმეტესობა ბოზობით აკეთებენ ფულს და იმით ინახავენ ბეყეყა ქმრებსო!), მაგრამ იმ მომენტისთვის უკეთესი გამოსავალი არ იყო, ამიტომაც, საკუთარი თავის საქციელი საპატიებელ ხალხურ სიბრძნეს მიანდო – გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო...

...დროის გაჩერება ვის შეუძლია და არავის, მიდის თავის გზაზე ისე, რომ არც კი ეკითხება ვინმეს, თვით ზეციურ განმგებელსაც კი!..

...ასე იყო მარგალიტაძეების ოჯახშიც!

...ჰოდა, ერთ დღესაც, ქსესანომ მორიდებით მოახსენა ნაპოს, თუ არ მეშლება, ჩვენს მიარეს მგონი მძუნაობა ეწყებაო, რაღაც უცნაური მოუსვენრობა და უჩვეულო ქმედებები დაეწყოო, მეზობლის კუდნაჭია ძაღლის ყეფაზეც კი კარზეა მიყურადებულიო, ესაო და ისაო...

...აპოლონმა ცოლს "სიფხიზლე" მოუწონა და იმ წუთიდანვე სახლში მკაცრი კონტროლისა და თვალყურის შემოღება ბრძანა...

...ბრძანების გამოცემა იყო და პირველს, შინაგან საქმეთა მინისტრს, ქსენანოს დაუფართოვდა თვალები და გაუდიდდა ყურები!

– შვილიშვილები რომ მოვლენ, კარი ისე უნდა გავუღოთ, ძალმა თავი გარეთ არ უნდა

გაყოს! – გააგრძელა სამოქმედო "გეგმაზე" საუბარი ნაპომ, – თვალი, ყველაზე მეტად რძალზე უნდა გვეჭიროს, იმან იცის ხოლმე კარებების ჩამოფტელვა, ფეხებზე კიდია, ვინ შევა და ვინ გამოვა ღია კარში!.. ამას იმიტომ ვამბობ, – ნაპომ ძაღლს ზურგზე სამჯერ გადაუსვა ხელი, – არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ყურადღების მოდუნება, თორემ თუ გაგვეპარა, ეზოში გავიდა და ქუჩის ძარაპუნტა ძაღლებს შეერია, იმათ გაუყადრა თავი, წასულია ჩვენი საქმე, "დვარნიაშკები" გვეყოლება ორი თვის თავზე და მერე ვის ენდომება, ვინ იყიდის სისხლარეულ და ჯიშნაკლე ლეკვებს, არავინ!.. ამას რომ თავი დავანებოთ, სოვდაგარს რა თვალით შევხედო, მის გამოგზავნილ და უკვე დახარჯულ ფულს რა ვუყო?.. რა წყალში ჩავვარდე მერე?.. გამოგიტყდები, ჩემო დედოფალო, და "ცოცხალი" სია მიდევს ჯიბეში! ის კი არა, ორი ნაღდი მყიდველი და ფულიანი კლიენტი უნდა ამოვაგდო ჩამონათვალიდან და მომდევნო მაკეობის სიას მივაწერო!.. როგორმე უნდა დავარწმუნო ისინი, რომ პირველი ყოლა ლეკვებისა ცოტა ისეთები გამოდიან-თქვა... მეორე მუცლობას დაელოდე, ჯობია-თქვა... ამას იმიტომ გეუბნები, რომ სხვა გზა არა მაქვს!.. შენ რომ არ მოელი, ისე გამოგეცხადება ვიღაც!.. პროფესორ ცქვიტინიძეს ვუნახივარ ძაღლების გამოფენაზე!.. იქ, რა თქმა უნდა, არ გამოჩენილა, ახლოს არ მომკარებია, მოერიდა, ალბათ, ჩემი, ეტყობა, ვერ წარმოიდგინა, აპოლონ მარგალიტაძე, მარგალიტებივით ტიტულებისა და ხარისხებ-გამოკვლევების პატრონი, მეძაღლეობას მოვკიდებდი ხელს!.. გამოფენიდან ერთი კვირის თავზე შემხვდა და მოკრძალებულად მითხრა, ჩვენი ძველი ძმობა თუ კიდევ რამეს ნიშნავს ამ ავად სახსენებელ დროშიო, ლეკვის რიგში არ დამაყენოო, უფულოდ კი არ მინდა, ღირებულებას, როგორც სხვა, მეც ისე გადავიხდიო... როგორ გეკადრება ფულის შემოძლევა-მეთქი, არ მითხრა ეგეთები მეორედ-თქვა, აპა, რისი და რანაირი კოლეგები ვართ-მეთქი, ენა და ხელები ერთად გავასავსავე და ლეკვს პირველი იმას დავპირდი!..

– გისმენდი, ნაპო, გულით გისმენდი!.. კარგად მოქცეულხარ, ცვიტინიძე რომ არ გააწბილე!.. ისე, სხვა დროს, მაინცდამაინც ნუ გაშლი ხელს, ბიზნესს ხელმომჭირნეობა უყვარს!.. ჰო, ეგ საქმე უკვე ჩავლილია, გასაცემი უნდა გაიცეს!.. ეს არაფერი, ლეკვები იმდენი და იმდენჯერ გვეყოლება, შეიძლება ვერც კი აუვიდეთ მათ რეალიზებას!.. დღეს, აქეთ გვიჭირს ახლა! დღეწინაც გითხარი, ძაღლს ბუნება შეეცვალა-მეთქი! ნახე, ნახე, რამხელაზე გაუდიდდა საშო! ის კი არა, ხშირი შარდვაც დაეწყო და, თუ არ მეშლება, რაღაც სპეციფიური სუნიც იგრძნობა ოთახში!.. – ქსენანომ ახალი "დახასიათება" დაუწერა ძაღლს.

– მგონი, მეძაღლეობა, ჩემზე უკეთ შეისწავლე ქალბატონო თამაშემწევ, ყოჩაღ! – ღიმილით უთხრა ნაპომ ცოლს და ძაღლი თვითონაც "მკაცრად" დაათვალიერა.

...ასე იყო თუ ისე, ფეხად ამდგარმა ნაპოლეონმა, მეორე დღეს მანქანის პრობლემაც მოაგვარა – ერთი ჰოოპ იყო დარჩენილი და დილას წასული პროფესორი, საღამოს, თურქეთში, სოვდაგარის კარზე იქნებოდა!

...მარგალიტაძეების შთამომავალი მძიმე ნაბიჯით უახლოვდებოდა სახლს, თან ფიქრს თითის ტარივით, აქეთ-იქეთ ატრიალებდა:

" – შოფერმა მგონი ხუთჯერ გამიმეორა, ზეგ დილას, ექვს საათზე მოგაკითხავ და მზად დამხვდიო, ისიც კი მეხუმრა, ძაღლის წაყვანა არ დაგვავიწყდესო! კი, ასე მითხრა, ზეგ დილასო! მანამდე ჩემი მიარეც მოიცდის, სხვა რა გზა აქვს! ისე, დავხვდები რომელია, რავა არ დავხვდები, მთელ ღამეს არ დავიძინებ!.. ჩავალთ იმ ოხერ თურქეთში, აპა, არ ჩავალთ?!. მარა, ვაი, იმ ჩასვლას!.. ჩემი ქალწული, დედოფალი მიარე, ძალიანაც არ მინდა იმ თურქმა "მუხტარმა" დააგემოვნოს, მარა, რა ვქნა, უსახსრობის გამო, ესპანეთსა და იტალიაში მე ვერ წავალ, ისინი კიდევ აქეთ, თავიანთ ხვადებს, ან ჩამოიყვანენ ან არა!.. გამჩინებამ ისევ თურქეთი მარჩევინა! თანაც, სოვდაგარმა "სამოწყალოდ", გვარიანად დამაფინანსა კიდეც!.. ეჰ, სიღარიბევ, შენ რა გითხარი, შენ, თორემ, ჩემი ფეხით როგორ მივგვრიდი იმ თურქის ოჯახს ჩემს სახლში გაზრდილსა და ნაფერავებს!.. ეჰ, სიღარიბევ, შე ოხერო, შენა!.."

...ნაპოლეონს ზარი არც დაურეკავს (ქსენანო შინ არ ეგულებოდა, ერთად გავიდნენ დილიდან), გასაღები გააჩხაკუნა, კარი შეაღო და ძაღლი რომ არ შემოეგება, გაკვირვებად ქცეულს, წუთის წინა წუხილი, ზედ ზღურბლზე "დაუვარდა"!

...არსაიდან ხმა! არსაიდან ჩამი-ჩუმი!..

– რა ხდება? – ხმამაღლა ჰკითხა თავის თავს ნაპომ, მერე ცელოფანის პარკებიანად სამზარეულოში შევარდა და ელდა ეცა – ჩამომსხვრეული მინები ფეხსაცმლის ქვეშ აუხრაშახრუშდა, უმალ უკან გამობრუნდა, მისაღებ ოთახში შეალაჯა და აქ უფრო გადაუქანდა გული – სამივე ფანჯრის შუშები მიმომტვრეულად ეყარა ძირს.

...დაბნეულობამ კუდი მოიქნია!..

– რა ხდება?! ღმერთო, მითხარი, რა ხდება აქ?! – ხელებშემართული აპოლონი ახლა მიარეს ოთახს მიადგა და... ჩამომსხვრეულ მინებს იქეთ ღია გისოსი რომ დაინახა, გული გაექცა, წაიფორხილა და რომ არ დაცემულიყო, სკამზე ჩამოჯდა.

– ვაი და ვუი ჩემს თავს! – ამოიგმინა აპოლონმა მაშინ, როცა ვალიდოლის ორი აბი ამოიდო ენის ქვეშ და გააგრძელა, – რა მეშველება ახლა!.. რა უნდა ვქნა ახლა!.. რა გზას უნდა დავადგე!.. რომელ ზღვას მივცე თავი? რომელ მეწყერს დავეტაკო?!. საბოზაოდ წასულ ძაღლს სად ვიპოვი ამხელა ქალაქში, ჰა! მეტი არაა ჩემი მტერი!.. ისე, ხედავ, აპოლონ, რა ძალა აქვს ვნებას?!. დაუოკებელი და დაუმარცხებელი!.. ჰო, კი, ეს კია ასე, მარა... მარა ის, რომ, მაინცა და მაინც, რაღა ახლა დაგვრჩა ეს ოხერი გისოსი ჩაურაზავი!.. არც მეტი, არც ნაკლები, რძალი დამიტოვებდა ღიას!.. ამას წინ, რაღაცას ფერთხავდა, ვითომდა დედამთილს ეხმარებოდა, მეტი მაგის დედაც... თუმცა ახლა ამის დრო არ არის, ეგებ აქვე, რომელიმე ეზოში იყოს, ვინმეს სადარბაზოში... თუ ვიპოვე, კიდევ შეიძლება გადარჩენა, ერთ ძაღლს როგორმე ავიტანთ!.. შვიდი ძაღლი უნდა მოიაროსო, წერია ზოგიერთ წიგნში, მარა, ვიპოვნი?!. ვაა, კაცო, ეს რა დაგვემართა, ეს რა რისხვა დაგვატყდა!.. მომეჭრა თავი, ეს ნაფერავები ძაღლი, თვალსა და ხელს შუა გამიბოზდა, რა პირით შევხვდე იმ პატიოსან სოვდაგარს, რა ვუთხრა, რა მოვიგონო? თავში ქვა უნდა ვიცე და მუცელში სამართებელი!.. თანაც უკვე შევატყობინე, ზეგ საღამოს გველოდება!..

აპოლონი გარეთ გავარდა, ეზო მოათვალიერა, სარდაფების ჩასასვლელებში ჩაიჭვრიტა, მერე სხვა სადარბაზოებიც მოირბინა, იქეთა ქუჩაზეც გადავიდა, პარალელურსაც გაადია თვალი, მაგრამ, ბაფუუ, მიარე არსად ჩანდა...

...ამ სირბილ-სირბილში ნაპოს გული ამოუჯდა.

“ – სახლში რომ შევიდე, ცარიელ კედლებში რა ვაკეთო!.. ვივლი ასე-ისე ქუჩიდან ქუჩაში!.. არა, არა, მოდი, სახლში შევალ, ქსენანოს დავურეკავ, შვილებთან იქნება, რომელიმესთან, სხვაგან სად ჯანდაბაში წავიდოდა!.. მარა, არ გინდა ახლა, ცოლს უთხრა, მიარე დაიკარგა-თქვა?.. თავიდან ლეკვის დანახვა და გაგონება არ უნდოდა, მერე ისე შეუყვარდა, მე გამასწრო მის მოვლა-პატრონობაში, ჰოდა, დაიკარგა-თქვა, რო გაიგებს, აუჰ, მერე თქვი შენ!.. ისე, რა ამის პასუხია და ვნება მაგარი რამე ყოფილა!.. ხედავ, კაცო? ძაღლმა ფანჯრები “გაიტანა” და გაიქცა!..” – ფიქრებთან დუელ-დუელობაში, სახლს დაუბრუნდა ნაპო, ტელეფონის აპარატს “დაეცა” და ჩხაკა-ჩხუკი აუტეხა.

...ნახევარ საათში ტაქსით მოვარდა ქსენანო, კიბის საფეხურები ერთი ამოსუნთქვით აიარა და ოთახში დაზაფრული სახით წარუდგა ქმარს.

– დავიღუპეთ, ჩემო დედოფალო, დავიღუპეთ!.. მიარემ მთელი გეგმები და იმედები ადიდებულ მდინარეში ჩაგვიყარა და ზღვისკენ გაუყენა გზას!.. ჯანდაბა ყველაფერს, ჯანდაბა, მაგრამ იმ პატიოსან სოვდაგარს რა ვუთხრა? რა პირზე შევხედო?!. ამდენი ფული გამომიგზავნა, ამდენი პატივი დამდო და... მე ვერ ვივარგე, ძაღლი პატიოსნად ვერ ჩავგვარე აგერ აა, ორ ნაბიჯზე! რა ვქნა ახლა? არ იტყვის ის კაცი, ეგ პროფესორი კი არა, თხლე ყოფილაო!.. უფრო მეტსაც იტყვის, აფერისტი და თაღლითი ყოფილა, ძაღლის ტრაკით ფულის შოვნა მოინდომაო! იშოვნა კიდეც და მერე “გადამაგდოო!..” – წუხილს, ლაპარაკთან ერთად, ხელებითაც გამოხატავდა ნაპოლეონი.

– არც მეტი, არც ნაკლები! ტელევიზიაში გავიქცევი ახლავე და განცხადებას გავაკეთებ! ვიღაცა რავა არ იპოვის! ვიღაცის ძაღლთან რომ მივა, ის ვიღაცაც ხომ ეძებს თავის ძაღლს!.. მაინცა და მაინც, პირდაპირ “დვარნიაშკებს” გადაეყრებოდა? – ქსენანომ მაგიდის უჯრა მოქექა, მიარეს დიდი, ფერადი სურათი ამოიღო, საქაღალდეში ჩადო და, ქმარი სანამ რამეს იტყოდა, კიბე ჩაიარა უკვე.

...პროფესორი ტყავში ვერ ეტეოდა – ხან ერთ ფანჯარას მიადგებოდა, ხან – მეორეს, მაგრამ იმ ოთახში, საიდანაც ძაღლი გაიპარა, საერთოდ არ შეუხედავს... ეზოშიც ჩავიდა ისევ, ქუჩაც გადაკვეთა, აქეთ-იქეთ იყურა, მერე ისევ სახლში იქცია ზურგი, ტელეფონების რვეული გადაშალა და ვინც კი მანქანიანი, შორეული თუ ახლო ნათესავ-ნაცნობ-მეგობარი იპოვა სიაში, ყველასთან დარეკვა გადაწყვიტა იმ იმედით, რომ რომელიმე როგორ არ გადაეყრებოდა ძაღლს ამ ქუჩაზე თუ არა, ქალაქის რომელიღაც კუთხეში მაინც...

...ქსენანო ერთ საათში დაბრუნდა უკან!

– რა ქენი, როგორ მიგიღეს?

– სხვათაშორის, მკითხეს, რომელ პარტიაში ხარო და მეც ეგრევე ვუთხარი, რაზეა ლაპარაკი, ნაცი ვარ-მეთქი! მთელი ტელემეურნეობა ფეხზე დადგა! ყოველი ინფორმაციის ბოლოს ჩვენს ძაღლს აჩვენებენ დიდი “პლანით!” – გამარჯვებულის იერ-სახით ლაპარაკობდა ქსენანო...

აპოლონი ოთახში შევიდა და ტელევიზორი ჩართო...

...საღამოს მთელი სანათესაო შეიკრიბა მარგალიტაძეების ოჯახში – პანაშვიდი ეგონებოდა კაცს!

...შვილიშვილებიც ძალიან აქტიურობდნენ სატელეფონო ხაზზე, ახლობელი, მეგობარი თუ გზადგაცნობილიც კი არ დაუტოვებიათ, რომ არ ეთქვათ, "ბოქსიორის" მსგავსი ტიპის ძაღლმა თუ სადმე გაიჭაჭანოს, უმალ დაგვირეკეთო.

...წუხილი, რა თქმა უნდა, იტალიურ პატარა ეზოსაც გადაედო, ყველას აქეთ ქონდა ყური, თვალი კიდევ – იქეთ!

...იმ ღამემ, სხვებისა რა მოგახსენოთ, ქსენანოსა და აპოლონივით, თეთრად გაათენა... არც წნევის აპარატს მიუტოვებია თავისებური "ქშენა" – ოჯახის დიასახლისი ყოველ ნახევარ საათში ამოწმებდა, გული არსად გამეპაროსო.

...ნაპოს დანა კბილს არ უხსნიდა! ძაღლის გაბახება ხომ უკლავდა გულს, უფრო მეტს სოვდაგარზე დარდობდა, რა ვუთხრა იმ პატიოსან კაცსო...

...ინფორმაციის ვაკუუმმა მთელ დღეს გასტანა!

...როგორც იქნა, საღამოს ვიღაც "ჭირისუფალმა" დარეკა, პეტრიაშვილისა და გოგებაშვილის ქუჩის გადაკვეთაზე, ტელევიზორში ნანახი სურათის მიხედვით, ზუსტად ისეთი "ბოქსიორი" ხუთიოდე ძაღლის გარემოცვაშიაო.

აპოლონი და მისი შვილიშვილი კიბეზე ერთმანეთს ასწრებდნენ, არიქა, არ დაგვაგვიანდეს, საქმეს მივხედოთო... ოცი წუთი არც იქნებოდა გასული, რომ მაძებრებმა ძაღლები იპოვეს, ძუ "ბოქსიორიც" ერია მათში, მაგრამ რად გინდა, მიარე არ იყო...

...ყურებჩამოყრილი, ნირწამხდარი ბაბუა და შვილიშვილი უკან დაბრუნდნენ.

...ის იყო, მესამე დღე ილეოდა, რომ "რადიოდან" დარეკეს, თქვენი ძაღლი ჩიკვილაძის შვიდ ნომერში ყავთ დაჭერილიო! ხუმრობით ისიც კი უთხრეს ქსენანოს, ძაღლმა თუ პატრონი იცნო, ესე იგი, თქვენი ყოფილა, თუ ვერ გიცნოთ, ჩვენ ნუ დაგვაბრალებთ, ეგენი, აზიელებისა არ იყოს, ერთმანეთს ტყუპისცალებივით გვანანო.

ქსენანოს წამით არ დაუყოვნებია, კარში თოფნაკრავივით გავარდა და "მოქნილი" ტაქსისტის წყალობით, ნახევარ საათში, ადრესატს თავზე დაადგა... ქალი და ძაღლი კარგა ხანს იდგნენ ერთმანეთის პირისპირ!.. "ბოქსიორმა" ერთხელაც კი არ შეხედა ქსენანოს, ის კი არა, შეიძლება გულში იმასაც კი ამბობდა, ვინა ხარ და საიდან მოსულხარო...

...გაწბილებული ქსენანო ლასლასით ავიდა კიბეზე, ოთახი გაიარა, სამზარეულოში შევიდა, წნევის აპარატისთვის არც კი შეუხედავს, ისე გადაყლაპა ორი აბი.

...მოგვიანებით აპოლონიც დაბრუნდა შინ. მერე შვილიშვილებიც მოვიდნენ.

– მუსტაფას შეტყობინება გავუგზავნე, გულის მოულოდნელი შეტევების გამო ვერ ჩამოვდივარ-მეთქი! – ცოლის გასაგონად თქვა ნაპომ და ფანჯრის იქეთა "სამყაროს" უიმედო თვალი ერთხელ კიდევ მოატარა.

– კარგად მოქცეულხარ! კი, კარგად, მაგრამ დაგიჯერებს? თუმცა, ისეთი "სასიყვარულო" წერილი გაქვს გაგზავნილი, რომ არ გირწმუნოს, დაუჯერებელი ის იქნება!

– მეც მაგის იმედი მაქვს! – ჩაილაპარაკა აპოლონმა, მერე კი ტელევიზორს მიუჯდა, ეგება რაიმე ახალი შევიტყოო...

... ჰა-ჰა, ძაღლის დაკარგვიდან მეხუთე დღის სამხრობა იქნებოდა, რომ იტალიურ ეზოში ხმაური ატყდა. ყველაზე მეტს სამ ქმარ გამოცვლილი ელეონორა ლაპარაკობდა.

გააჩუმე ეგ საოხრე ენა, რა უხამსურებს და კიდევ ისეთებს და ასეთებს აბრახუნებო, ქალების თუ არა, კაცების მაინც უნდა გრცხვენოდესო, უთხრა ელეონორას რომელიღაც მეზობელმა... რას მიქვია, გავაჩუმოო, სიმართლეს რომ ვამბობ, იმიტომო? სანამ ნაპო, მიარეს აღელვებული და მოწოლილი ვნებების დასაცხრომად, თურქეთში ვიღაც მუსტაფას "მუხტარს" სახლში მიუბრძანებს, რა ქნას მანამდე ძაღლმაო! გინდა არ გინდა, ბუნება თავისას ითხოვსო, მისი კანონი მართლა კანონიაო, ეს სიაში "ჩამომწკრივებული" ჩვენი პარლამენტარების მიღებული კანონი კი არ არის, ერთი თუ ორი ვიღაცის ყვერების მოფხანაზე, დილიდან მეორე საღამომდე, ბარე სამჯერ რომ იცვლებაო!.. დედალს მამალი რომ ჭირდება, ამას რად უნდა მეტი ლაპარაკი და კანონიო! სულელი ხომ არ გგონივართ, სამი ქმარი რომ გამოვიცვალეო!.. მიარე ზუსტად ისე მოიქცა, როგორც ბუნების კანონი ითხოვდაო – ჩამოიცვა სახლი და თავს უშველაო!

...კიდევ რაღაცებს ლაპარაკობდნენ აქეთ-იქედან, მაგრამ მეორე ამოსუნთქვაც ვერ დაასწრო ვერავინ ელეონორას, ისე მოაღო პირი:

– ნაპოლეონ!.. აპოლონ! – ისეთი ხმა ამოუშვა ელეონორამ, იქვე ოჯახში კი არა, მთაწმინდის პლატოზეც კი გაიგონებდა ნახევრადყრუ ადამიანი.

აპოლონი კარში გავიდა, ქსენანოც მიჰყვა ქმარს.

– პატივცემულო აპოლონ, გაიხარე, თავისით დაუბრუნდა სახლს თქვენი მიარე! მარტოც არ მოსულა, მაყრებმა და სიძემ აქამდე მოაცილეს, დიდი პატივი დასდეს დედოფალს!.. გაიხარე, აპოლონ, გაიხარე!..

– გაბახებული ძაღლი, თანაც ჯიშიანი, გინდა გყოლია და გინდა არა! ისე, საკითხავია, იყო კი ჯიშიანი?!. მეტი რა ვუთხრა მაგას, მარა თუ ასე იყო, ახლა, ეს რომ ლეკვებს დაყრის და ნაბიჭვარი "ბოქსიორებით" აივსება ეზო, მოგვეწყობა ხელი! – მესამე სართულის დალილა მაღლაკელიძემ მომავალ "ნაბიჭვრებს" მაზოლიან თათზე დააბიჯა ფეხი.

...ძაღლი ჩაცუცქული იჯდა.

– თაფლობის კვირა დაუმთავრდა და მობრძანდა ქალბატონი, მოისპე შენ, მოისპე! – ჩაისისინა იქეთა სადარბაზოს ერთ-ერთმა მოენემ.

...აპოლონი კიბის საფეხურებზე მძიმე-მძიმედ ჩავიდა.

– მოგვილოცავს, მოგვილოცავს ძაღლის დაბრუნება! იმდენჯერ პარლამენტის აქტიური სპიკერიც კი არ უჩვენებიათ ეკრანზე, შენი მიარე რომ გამოჭიმეს! – პეტრეს ქვრივმა, ქალბატონმა სილვამ, ხელიც კი აუწია ნაპოს.

მარგალიტაძე ძაღლისკენ მიითრევდა ფეხს...

...ხუთიოდე დღე-ღამე ქუჩაში ნაგდები, შიმშილითა და წყურვილით თვალში სინათლემინავლული, ტანზე ერთობ შეფერთხილი, ნეკნებ ამოყრილი მიარე ახლა უკვე პატრონს უყურებდა.

ნაპომ ძაღლს ყელსაბმურზე ხელი მოკიდა და სახლში წასაყოლად წამოდგომა უბრძანა...

მიარემ მძიმედ აითრია წელი.

..."ზალაში" დაბრუნებულმა ძაღლმა თათებში ჩარგო თავი და თვალები მილულა.

– რა ვქნათ ახლა? – დანამ კბილი გაუხსნა ქსენანოს, – რა გზას დავადგეთ?.. მაინც რა იბოზა ასეთი, ძაღლის მეტს ყველაფერს გავს, ეს უპატრონო, ესა! ბევრი გამჩინება არაა საჭირო, გავუძახოთ კარში და თავიდან მოვიცილოთ! არც მაგის ბოქსიორობა მინდა და არც მაგისი ფეხბურთის თამაში!..

– ძალიან ჩქარობ, ქსენანო, მოიცა! ჯერ დავბანოთ, ვაჭამოთ, მერე...

– დავბანოთ?!. დავბანოთ, კი! ფრანგული შამპუნიც არ დაგვავიწყდეს! – გაშალა ხელები ქსენანომ, – რა უნდა დავბანოთ!.. გაბახებული და ათი ძაღლის ნახმარი, სადგურის ბოზს დამსგავსებული მიარე რაღაში გვინდა, გააღე კარი და გაუძახე გარეთ!.. დავბანოთ არა, ისა! – ისეთი გულამოვარდნით ლაპარაკობდა ქსენანო, მოულოდნელი სულაც არ იქნებოდა, ორივე თუ არა, ერთი ყბა მაინც რომ მოქცეოდა გვერდზე.

...მიარემ თვალქვეშიდან ახედა ქსენანოს, მძიმედ ამოიხვნეშა, მერე კი თვალები ისევ მილულა.

ლაპარაკს რძალი შემოესწრო...

– დამირეკეს, ძაღლი პატრონს დაუბრუნდაო და მაშინვე გამოვიქეცი! – რძალმა ძაღლს ამრეზით გადახედა.

– კი, თავისით მოვიდა! – დასტურად თავიც დააქნია დედამთილმა.

– მოვიდა, მარა, ვაი, მაგისთანა მოსვლას! ნათრევი და გაბახებული! ეგ, აწი, გინდა გყოლიათ, გინდა – არა! ჯობია, არ გყავდეთ! რომ გეუბნებოდი, – მამამთილს მიუბრუნდა რძალი, – თქვენი დრო წავიდა-თქვა, გწყინდა, აქეთ მიტევდი, შენც იმათთან ხარ, ნაცშიო! თქვენს საქმეს ეტყობა ახლა, ვინ ვის ნაცშია!.. ერთ ძაღლს ვერ მოუარეთ და თქვენ, ახლა, ამ თავიდან იმ ბოლომდე "გადაჭიმულ" ნაცს მოუვლით? ანდა, რა ჭირს თქვენი მოსავლელი? მოსავლელები თქვენ რომ ხართ, იმიტომ ირჯებიან ისინი ასე!.. პირში ნათქვამი არავის არ მოსწონს!.. ჩარეცხილებში შეიძლება თქვენ არ უნდა მოხვედრილიყავით, მაგრამ ბევრი კი იყო და არის დღესაც ამის ღირსი!.. გაიგეთ, დრომ ნახტომი გააკეთა! სხვა განზომილებაში ვართ! – ხელებითაც კი ლაპარაკობდა რძალი.

ნაპოს ხმა არ ამოუღია...

დედამთილმა კოპები შეყარა და რძალს შეუტია:

– რა დრო მოვიდა ისეთი, რა! ტერიტორიების დაკარგვის, სულელურად ომის დაწყების და მერე გრანდიოზული ცეკვა-თამაშების გამართვის, ხომ? მიწა-წყლის გაყიდვის დრო მოვიდა, ხომ! ბოზებისა და ცვედნების აღორძინების დრო მოვიდა, ხომ?.. უკანასკნელად გაფრთხილებ, როცა მამამთილის მისამართით დაიწყებ ლაპარაკს, პირი კარგად გამოირეცხე! მის ღვაწლს ეცი პატივი, თორემ საიდანაც მოხვედი, იქეთ მოგიწევს წასვლა!.. ხომ არ დაგავიწყდა, როგორეთიდან მოგიყვანეთ! – დედამთილმა წარსულიც შეახსენა რძალს.

...რძალმა ერთ ყურშიც კი არ შეუშვა დედამთილის ვაი-ვაშები, თორემ მეორე ყურში გატარებას ვინ დაეძებდა.

...ძაღლი, ვინც ხმას ამოიღებდა, იმას უყურებდა.

– საჭმელი და წყალი მოუტანე! – უთხრა ნაპომ ცოლს, მერე ძაღლთან მივიდა, ხელი თავზე გადაუსვა და ხმადაბლა დაალაპარაკა, – რა ქენი, გოგო, ეს!.. მომჭერი თავი, ხომ?! საქართველოში ხომ მომჭერი და მომჭერი, თურქეთშიც კი არ გამომეყოფა თავი!.. რა იყო ისეთი, მოგეთმინა ერთი დღეც და ჩავიდოდით იმ სოვდაგართან, იცხოვრებდი ნამდვილი დედოფალივით!.. რა ვქნათ ახლა, რა გზას დავადგეთ?! თავი არც მე გამომეყოფა და არც – შენ!.. ვაი, ჩვენს მოსწრებას!..

...ძაღლს თავი არ აუწევია.

...ქსენანომ სალაფავი მოუტანა მიარეს.

– ჭამე, ჭამე! რაც არის, ეგ არის! მეორედ აღარ დაუშვა ეგეთი შეცდომა! – ნაპომ ისევ გადაუსვა ძაღლს ხელი.

– გამოსავალს გასწავლით, – წასასვლელად გამზადებულმა რძალმა ბიჭს მაჯაში ჩაკიდა ხელი, – აბორტი გაუკეთეთ, ა-ბ-ო-რ-ტ-ი! არა ვხუმრობ, ასეთი ამბავი ჩემი კლასელის მამასაც დაემართა, ბატონ ნუგზარ ქეცბას, ინფარქტიც კი აიკიდა, თუ გინდათ, ტელეფონს მოგცემთ, სახლში მიწერია, დაურეკეთ და გზაზე დაგაყენებთ!..

– დაგვცინი კიდეც?! – სულ გადაირია დედამთილი, – ვის გაუგონია, ქალო, ძაღლის აბორტი!

– ვის გაუგონია და მე! სახლში რომ მივალ, ტელეფონის ნომერს მოგაწვდით! – "დააგდო" რძალმა სანუგეშო სიტყვები და კარი გაიხურა.

...დღემოსვლიდან ძაღლს საჭმელისთვის პირი არ დაუკარებია. აღარც ოჯახის წევრებს შეუწუხებიათ თავი დიდად მიარეს მოვლა-პატრონობისათვის. ის კი არა, პრეზიდენტობის მომავალ კანდიდატს, რომელიც ამისთვის რჩებოდა ხოლმე ბაბუასთან, ერთიც აღარ შეუხედავს ძაღლისთვის.

...გავლა-გამოვლაზე ერთსა და იმავეს იმეორებდა აპოლონი: რა ქენი ეს, ჰა! რა მიქენი ეს, ჰა! შეგირცხვა ნამუსი, შეგირცხვა ძაღლობა, შე მართლა ძაღლოო.

...სახლში მოდიოდნენ და მიდიოდნენ, მაგრამ ძაღლს ისე აღარ უყურებდნენ, როგორც ადრე.

...მიარეს დაბრუნებიდან მეოთხე დღემ სადილობა რომ მოითავა, ნაპოლეონი მაშინ გავიდა სახლიდან, ისე გაილალა, ძაღლისთვის თვალიც კი არ შეუვლია. უფროსმა შვილიშვილმაც უხმოდ დატოვა ოთახი.

...ძაღლი პატრონს ვერ ცნობსო, ვერ იტყოდით მარგალიტაძეების ოჯახში, მიარე კარგად ცნობდა ყურებჩამოყრილ პატრონებს, მაგრამ ამით არაფერი იცვლებოდა.

...ამ სახლში არავის აღარ ვუნდივარო, ალბათ, მაშინ მიხვდა ძაღლი საბოლოოდ, როცა სარეცხების გასაფენად კარში მიმავალ-მომავალმა ქსენანომ, ორი-სამჯერ, ფეხი უხეშად რომ გადაალაჯა!.. მარტო ეს არ იყოს, დიასახლისმა ერთხელ კუდზეც კი დაადგა ფეხი!..

ღია კარს იქეთ იტალიური პატარა ეზო მოჩანდა...

...მიარე ფეხზე წამოდგა, კედელ-ყურეს თვალი მოატარა, მერე გარეთ გავიდა, კიბე ჩაიარა, ეზოში შედგა, თავი მაღლა ასწია და ისეთი შემაძრწუნებელი, გრძელი ხმით დაიყმუვლა, რომ ძაღლის ცოდვით, ცამ ქუდი მოიხადა, დედამიწამ კიდევ ფეხი წამოიკრა.

...ქსენანოს, ძაღლის ქმედებაზე, სარეცხით სავსე "ტაშტი" ხელიდან გაუვარდა.

...მიარემ ერთხელ კიდევ იბრუნა ცრემლიანი თვალი სახლისკენ, მერე თავი ჩაიღო და იქაურობას ძუნძულით გაერიდა.

...მხოლოდ ზესკნელისა და ქვესკნელის გამრიგემ უწყიდა, ძაღლი მარგალიტაძეების "პატარა სახელმწიფოდან", სირცხვილმა გააქცია თუ ჩადენილმა "დანაშაულმა"...

“საინტერესოა ქართველობა –
ძალზედ საინტერესო”

(ᲐᲕᲢᲝᲠᲘ)

თემურ შავლაძე

ᲘᲡᲔᲕ ᲓᲐ ᲘᲡᲔᲕ ᲡᲘᲜᲓᲘᲡᲘᲡ ᲥᲕᲐᲡᲗᲐᲜ...

არის ეს ერი რაიმეს ღირსი?
არის ეს ერი ღირსი რამესი?
ქარის მესერი ასირმებს სინდისს.
ჯვარის შემცქერი ცით ჰქრის ნამზევსი...
მაგრამ არ არის ეს საქართველო –
ის საქართველო – ჩვენ რომ გვგონია.
წარღვნა-(წკ)ვარამით შესვამ სამრთეველოს –
გზის სამქარველოდ ჰგვრემობ გონთ-მკიაფს...
მაგრამ არ თვრები, ანდა ვერ თვრები,
იქნებ ვერც რჩები მარად ფხიზელი;
განგან-ნაფრთები საყდარს ეფრთ(ვ)ები,
იწყებ ვედრებით მზმართა მზირველი –
ლოცვას-დარჩენის და გადარჩენის,
თან გელულვება თვალი ახლილი –
მოცვთა სამშვენი და წარბთ-ნაშენი,
მთაზე-მრულებთა ალით ალვლილი...
და ყოველივე ქარია, ქარი –
ქარში კარგად ჩანს სახე სარკმლების.
და ჰყოფს ველი ველს ვარდით და კვართით –
დარდში-სადაც მტკვარს ჩაენარკ(ვ)ლები...
მაგრამ აქ ყველა ფლიდია, ფლიდი –
ზოგი რას ჰყიდის, ზოგი რას და რას!
რაც რჩა გზათ-მცველთა ბინდიდან შინდი –
ქროლვით ნარინდი-მგოსნის მსარ(მ)სრავად...
ახლა, საჭირო არის ეს ერი?
შენც გეკითხები – არის საჭირო?
რაც გვკრავს მსამპირობთ მგზავრნით ქვემცქერნით –
მგვრემთ შეგვყრის მწყემსის ბაგის სამზიროდ...
იცი, მერე წინ თუ რა მოგველის?
იცით, რაიმე, ერთმა თუ ყველამ?

ფიცით მწევრებს (ვ)წვრთნი(თ)-უგვანთ მოთელვილთ,
ცით ვცრი(თ) შაირებს ენა-მღრუბელად...
აი, მაშრიყელ-მაღრიბ მღერელი –
ველი-ამშრალი ელვის ლოდინად.
ქარით ნამწირველ მადლის-მსწრებელი –
წელი-მსწრაფალი მწერლის ხსოვნიდან...
აი, ნამდვილი სახე-მსახვრობის!
შენ რაღას ელი ამ გზა – გზებიდან?
წადილს ცხრა წყვილის – მახეს მზაკვრობის –
შეძრავს ფერთ-მწყვდიად სამარხებიდან –
ის – ვინც არ ელის ბედნიერებას,
ის – ვინც გარეთ დგას ბედნიერების,
მირქმის ნათელით მშვენიერდება –
ცისკრის აღებს კარს ელვის მხედრებით...
გაქცევს შენც მისი სახის მნაკვთებად,
როცა არ ელი მერნის გელვებას.
დაგრჩეს მერმისის მთვარის ნამსხვრევად
ხელმომცარველი ქვეყნიერება...
მერე მოდი და მკითხე წარსული –
რად უყვითლდება აწმყოს ფოთლებად,
წერე ბოდვით და ჰკიცხე ნავსული –
გზა – უფლის ცრემლთა ამოგოდებად...
და მერე მკითხე, არის ეს ერი –
რაიმედ ღირსი რამ(თ) სიამესი?
წარწერებს კლდისებრს-ქარის მესერით –
წარიღებს ჯიბრის ბრაზით რამზესი...
და მიმოაფრქვევს ქვეყნიერებას –
როგორც მტვერს ანდა ქვიშის ხვიარებს.
ქარს მიმოარწევს ბედის (ბ)გერებად –
როგორმერნამდვლად ზიმ-ზიმ-მზიარებს:
შენზე, ჩემზე და კიდევ გზით მზრალზე,
გვერდს რომ აუვლის ქარის ქადილი.
მენდე, ბედზე მდარდს ისევ იმწყრალებს –
ძველთ მონარმული ქნარის წადილი...
წაშლილა სარკე წლების მ(ბ)ზარავი.
სულს არ სჭირდება წარღვნის ხსენება.
ქარს სწირავს სათქმელს სევდის-მკარავი
მწუხრად მწირვებთა ღამიერება...
და თუ ათენებს ღამეს პოეტი,
ანდა აღამებს დღეს დაქანცული,
ქართულს ამწევნებს მზამთ მწეს მომწყვლედი
დარდთა ნაღმართებს მზედ აღმართული –
ენით მარხული მზერა ქართული –
ენად მარხული რწმენა ქართული...

2006 წელი, მაისი

ჩანაცვლება

დაატოლე ფრთა ფრთით ნაფიქრს,
ანდა, რაც გვღირსს, თქვი, უბრალოდ;
ალვათ-მტოლებს ცა სცრის ნარცისს
და დაბალი ხმით უგალობს...
ხმით უგალობს მშვიდზე მშვიდით –
უფალს, უფლის ნებით მნანობთ.
მიუმწყალობს გვრიტზედ მგვრიტი –
გულმწყრალ(თ) სურვილთ მქებნით მქანობს...
ქებით-მქანობ სურვილს – გულწრფელს,
გვრიტნით, მტრედნით უძღვნის მზე ცას.
ვერც-ვინ არც-როს, ნურც – ვის(თ) ნულთწელს –
მიიელმვის ურვილ(თ) მერცხალს...
ასე მიდის წუთისოფლის –
გზა-მგზავრების ვერცხლით-მცერი!
მთვარე ბინდის ღრუბლით მოღლილს –
ჰგავს და ელვის წერილს ელის...
ელის ელვის წერილს მწარეს –
და დაბალი ხმით უგალობს.
ბედის მლექსი შეიბრალე,
ანდა, რაც სჭირს, თქვი, უფალო...
თქვი, უფალო, რაც გვჭირს, ანდა,
შეგვიწყალე მლექსნი-ბედის!
მიუვალო, რაგინდ-რა-რად,
გვებრწყინვალე მწყემსი-მტრედის...
დაგვატოლე ფრთად ღვთით ნაფიქრს,
ან რად ვინ ვართ, გვთქვი, უფალო!
ალვათ-მტოლებს(თ) ცარცით გვანმცვრი,
მრაცრაცთ-მცინართ ფრთით-უმფალობ...
მრაცრაცთ-მცინართ მიუმცდარობთ –
ალვათ-მტოლებს გვნამცვრი ცარცით!
ან რაც ვინ-ვართ, გვთქვი, უფალო,
დაგვატოლე ფრთად ღვთით ნაფიქრს...

ლურჯი მარჯანი

და მე ვიხსენებ ქალაქს, რომელიც,
მუდამ მტანჯავდა ცივი ცვალებით;
ჩავთვლემ გზის მერე მარტთან მოღელვილ
ლურჯ ზღვად გადავა ბინდი ქალების...
ქალების მწკრივი გადავა ლურჯ ზმნად,
ფერისცვალების შემდგომ შობილნით.
წვალების წრფივით წამწამთა მწუხარს
ველი ვალებით ერთ-დროს ცნობილი...
სველი თვალებით ერთს დროს ბრმობილი
ავიკრეფ დღეებს-ნათელს (მ)ღრუბლები(თ).
მზეს მოაქვს წლები წეროდ-წყობილი

ღამით-მღერ მწყემსებრთ მთვარედ-მსრულები...
მაგრამ არავინ ჩნდება არასდროს,
რომელსაც ელი დარდთა მდევნელი;
მთა-კაცთ კარავი ედგათ სამარცვლოდ –
რომელსაელის მდართა მძებნელი(ს)...
რომელსაელის მდართა მძევნელის
მთა(თ)-მკრავთ კარავი ედგათ სანაღვლოდ.
რომელსაც ელი აზრთა მტევნელი
არსად არც-არვინ ჩნდება სანაცვლოდ...
და შენც იხსენებ ქალაქს, რომელიც,
მუდამ გტანჯავდა მთვალთა-რვალებით;
დაეიელმებ ნატვრას მოცელილს
ლურჯთა-მარჯანთა გარდაცვალებით...
ლურჯთა მარჯანთა გარდამცვალებლის –
დაეიელმებ ნატვრას მოცელილს.
მუდამ გტანჯავს ზღვა მთვალთა-თვალების,
და შენც იხსენებ ქალაქს, რომელიც
არც-როს გიყვარდა, მაგრამ, ელტვოდი –
სახლებს, რომლებიც გელოდნენ გულით.
მზამთრობს მიხვალ ზღვად სასამრეკლოთი
და წლებს მოვერცხლილთ შენდობებს უთვლი...
შენდობას უთვლი იმ წლებს მოვერცხლილთ,
სასამრეკლოთი ზღვად მიხვალ მზამთრობს.
შენობას უვლი რძისფერს-მოცრეცილს,
სადაც ძევს ლოდი კარს მიღმა მაღლობს...
სადაც წევს ლოთი და მიღმა სახლობს
(ის კი წასულა, გადაკარგულა!).
ან რას ელოდი, რა გინდა, რას სთხოვ,
ცირკის ქალწულთა ნახატს ნავსულად...
არც არვინ მიდის, არც მოდის არვინ.
არც ვინმე წავა, არც ვინმე მოვა.
გადარბის ხიდი, გადმორბის ქარი,
თარიღებს-წკვარამს წარიღებს თოვა...
ვიხსენებ ქალაქს, რომელიც, ერთ-დროს,
ხომ შეიძლება მიყვარდა კიდეც;
ვინც ლექსებს გაჰყვა, მოელის შემნდობს –
დროს-შენით შემცბარს-იავარდთ კიბედ...
და საით მიდის ეს გზა, არ(ც) ვიცი,
ან-თუ საერთოდ მიდის, სადამდე?
გზად არც-ვინ იცდის, ფერსაც არ იცვლის,
სამუმთ-სამსხვერპლო სიდიადამდე...
სამუმთ-სამსხვერპლო სიდიადამდე
თარიღებს-წკვარამს წარიღებს თოვა.
ან-თუ საერთოდ მიდის სადამდე –
არც-ვინმე წავა, არც-ინმე მოვა...
შევა მდინარით შვება(დ)-მცინარი,
რწმენით ნალესი მძინართ-მღვიძარი!
შენთა-მჩინარი ენა-მჭვინვარი,
გვემით ნაგლესი ზენამზინარი...

...
ვინც ლექსებს გაჰყვა, მოელის შემცნობს –
დროს-შენით შემცბარს-იავარდთ კიბედ.
ვიხსენებ ქალაქს, რომელიც ერთს დროს,
ხომ შეიძლება მიყვარდა კიდეც...
...
ხომ შეიძლება მიყვარდა კიდეც.
ხომ შეიძლება მიყვარდა კიდეც...

2010 წ. ოქტომბერი

მწყემსნი ზარმაცნი

ეს სილამაზე თვალს არ იზიდავს.
სევდისმომგვრელი მოჩანს სოფელი.
მზეს ვიალმასებ ვაზთა სიზმრიდან,
მეც მიმომელის მორჩთა მომსთვლელი...
მეც მიმომელმის ხომლთა მომრწყველი,
მზეს ვიალმასებ მგზავრთა გზის მხრიდან,
სევდის მგორგვლელი ბორგავს მომსვლელი,
მწყემსთ სიზარმაცე მზარდთ აირზიდავს...
მწყემსთ სიზარმაცე მზართ აიზიდავს –
გზას მიირინდავს ქართა ქნარად მდნობს.
ელვით ანაზებს ალმასთ მიმბზინდავს,
არც-ვინ იხრის თავს, არც-ვინ კამათობს...
არც-ვინ ამაყობს არც-რით, არც რამით,
ქარვით გადაღლილთ ქნარი დაათრობს;
ღამით-მთამადობთ დასცდის წკვარამი,
(თ)ალხით თვალ(თ)ახრილთ ქარნი განაფრთობს...
ქვაბნი გააკრთობს ღამის თვალთა ჩრდილთ,
მზმარნით განაწყრომთ დასცდის(თ) ვარამი;
ვალნით მვალთ დაღლილთ მტკბარნი დაალმობს –
არც-რით ამად-მყობს არც დღით, არც ღამით...
გამოსცდის ქვაბი მშვიდი ნეტარით –
ჩვილი ვარსკვლავით მბრწყინზე მბრწყინვალით,
და მოსცლის მანძილს შვიდი მხედარი –
შლილნი ზღვასავით მყივნზე მწინარნი...
მყივნზე მწინარი შლილი ზღვასავით
ჩამოდის იგი მშვიდნი დედანით.
ვინც შენს წინ არის იგი აღჰყავი
წყაროს მთით მმზივი შვიდი ქედანით...
... შვიდი ქედანი აისვრის სივრცეს,
მზის ზვრებს დაისთვლის შვიდ(თ)-ცით მზენარნი.
ვინც ვის ედარვის, აიცრის სიცხეს,
წინ-ცხვრებს დაი(თ)ვლის მშვილდი-მერანი...
და უხვევს ეს გზა მარცხნიდან-მმარცხნივ,
მარჯვნიდან-მმარჯვნივ მიდის ნეტარი.
ბრმა-მუნჯებს ნექტრავს ცხრა ხნიდან ცაცხვი,
ჯავრიან აბჯრით მიჰქრის მხედარი...
მაგრამ, ვერც ერთი ვერ მიდის ვერსად,
ვერც-სად ვერ მიჰქრის ვერც ერთი, მაგრამ –
დარჩა შემხვედრი ფერმიხდილ ვერხვთან,

ფერთან ფერს ითვლის შემვედრი ცასთან...
ფერთან ფერს იცვლის შემვედრი ცასთან,
ჯაჭვიან აბჯრით მიჰქრის მერანი;
ვერსად ვერ მიდის ვერც ერთი, მაგრამ,
მარჯნის თვალს ჰბარჯნის შვიდი ქედანი...
გადახრილია ცახცახით ცაცხვი.
მოქუფრულია ქარი-ქურანი.
დარდს ჩაივლიან გამხმარი ვარდით –
შორს უფსკრულს ქვიანს ნაღვლით მცურავნი...
შორს-უფსკრულიანს ნაღვლით მდუღრავნი
დარდს აითვლიან ვარდით გამხმარით,
მოქუფრულია ქარ(ნ)ით მქუხარნი,
გადახრილია ცაცხვი ცახცახით...
და სილამაზე ჰქრება უჰიმნოდ,
რაც არის-იყოს! იყოს-რაც არის!
ქვას სილა-ლამზე ჰღებავს უჩინო –
თავზარის მიმქობს იმქრობს ნაცარი...
სულით მწუხარი ლამაზი სახის
განსყიდვას სამჯერ გან(ჰ)ზრავს მამალი.
შურით მრუმ-მშარნი დაღმარცვლის ძახილს
და ხილს ახამებს ლანდთა ტრამალი...
შესაქმეს თან ჰხლავს უსაქმურობა –
(მეშვიდე დღე(ს) თუ ღამეს მეათე(ს).).
ბედს არწევს თალხად უქმთა მდგმურობა –
ერიდე (მ)ლექსს თუ რამე შეატყვე...
ერიდე ლექსს თუ რამე შეარტყეს,
ბნელს გასწევს ფარდად მდუმრთა სტუმრობა;
მეშვიდე დღეს თუ ღამეს მეათეს –
შენს სათქმელს განსხლავს უმადურობა...
მებადურები ისვრიან ბადეს
ნაპირთან კი(!) დგას თევზის მომკრები.
მე(ც) ცას ვუწმენდდი ნისლიან სარკეს
და ფიქრთა კიანთს ლექს(ვ)ით მოვსდევდი...
და ჰა, ნაპირი! ნავი, ნიავი –
ლექსნი(თ) მბარბაცნი-შვიდ(თ)გზის ნეტარნი!
გაშრა აპრილი ბადის ღიავით,
მწყემსნით-ზარმაცნით ჩვილ-მზით ზე მხარნით...
...
მწყემსნით მხარმმაღლნით ჩვილ-მზით ზემნარნით,
გაშრა აპრილი მთვარის წიავით.
ლექსნით-მბარბაცნით, შვიდგზის ნეტარნით,
აჰა, ნაპირი! ნავი! ნიავი...

2010 წ. სექტემბერი

ქრონიკა

ჩემი იერუსალიმი

გიორგი შეროზია

ოპერაცია "ღვთაებრივი ცეცხლი"

როდესაც კაცი სანახევროდ რწმენაშია, ყოველთვის იწყებს ადვილი გამოსავალის ძებნას და მეც სწორედ ასე დამემართა. იმის მაგივრად რომ, როგორც სხვა დანარჩენნი, ავმდგარიყავი დილის სამ საათზე და მივსულიყავი ძველი ქალაქის შესასვლელთან, ადვილი გზა ავირჩიე და ფული გადავიხადე. ფული კი იმაში გადავიხადე, რომ მე და ჩემი მეუღლე, ვიღაც უჯიშო არაბს მთელი ღამით დავემალეთ. დიახ, რიგში დგომას უსახურ სასადილოში ჯდომა ვამჯობინე. ძალზედ აფსურდულად ჟღერს ეს ყველაფერი, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, მაცხოვრის საფლავზე ცეცხლის გადმოსვლისას დასწრების სურვილს, მაშინ მერწმუნეთ, რომ ცდად ყველაფერი ღირდა.

მოკლედ, ტურისტთა, თუ მომლოცველთა ჩვენი ჯგუფის ხელმძღვანელმა, ჯვარცმის პარასკევს გვამცნო, რომ შაბათ დღეს, ძველი ქალაქი მთლიანად იხურებოდა. იქაური ძალოვანი სტრუქტურები მკაცრად აკონტროლებდნენ ტურისტთა გადაადგილებას და ამიტომაც, განსაკუთრებული უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე, მთელ ძველ ქალაქში რჩებოდა მხოლოდ ერთადერთი გახსნილი ჭუჩა, რომლიდანაც შესაძლებელი იყო მთავარ საყდარში მოხვედრა. ანუ ძველ ქალაქში რომც მოხვედრილიყავი, მაცხოვრის ტაძარში ისე ვერ აღმოჩნდებოდი, ის ერთი ჭუჩა რომ არ გაგევლო. ამას ემატებოდა, ათიოდე გამშვები პუნქტი და გიჟური სრბოლა „ა" წერტილიდან „ბ" წერტილამდე. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ცეცხლის გადმოსვლაზე დასასწრებადა და საყდარში მოსახვედრად, რამდენიმე საშუალება არსებობდა. პირველი: დგებოდი დილის სამ საათზე და ოთხისთვის უკვე ძველი იერუსალიმის ერთ-ერთ კარიბჭესთან იყავი. მერე მთელი ღამე ელოდებოდი, როდის გახსნიდნენ კარს და შეგიშვებდნენ ძველ ქალაქში. თუმცა, არავინ იცოდა ზუსტად, საერთოდაც თუ გახსნიდნენ იმ კარს, რომელთანაც შენ იდექი, რადგან ასეთი კარიბჭე კიდევ შვიდი იყო და თანაც, გასათვალისწინებელი იყო ის ფაქტი, რომ რელიგიურად აუტირებული ბრბო "სტიქიურობის" თვალსაზრისით, არაფრით ჩამოუვარდებოდა დამფრთხალ ცხენთა რემას. არსებობდა აგრეთვე მეორე საშუალება და ეს გახლდათ ოფიციალური საშვი, ანუ მოსაწვევი, რომელიც მხოლოდ სამდვდელო პირებს ჰქონდა ანდა იმ რჩეულთ, რომელთაც ბედის დავთარში ეწერათ, ცეცხლის გადმოსვლაზე საშვით დასწრება. რაღა თქმა უნდა, ასეთნი ძალზედ ცოტანი აღმოჩნდნენ და იმათ ნახევარს კიდევ, ამ საშვის ფერადი ქსერო ასლი აღმოაჩნდა. და იყო კიდევ მესამე გზა: იქვე, მთავარ საყდართან ახლოს, მდებარეობდა არაბული უბანი, თავისი პატარა, მოკირწყლული ქუჩებით, ჭრელი მაღაზიებითა და უკბილო მოხუცებით გამოტენილი საჩაიე-სასადილოებით. სწორედ ეს ყოჩაღი არაბები, უკბილონიც და დაკბილულნიც, უცხოელ სტუმრებს სთავაზობდნენ ფრიად ორიგინალურ სერვისსა და სურვილის ახდენის საშუალებას. ანუ გარკვეული თანხის სანაცვლოდ, ისინი მთელი ღამით გტოვებდნენ თავიანთ ამ საკვებ-სამეწარმეო წერტებში დილამდე, მერე კი გამთენიისას კარს გიხსნიდნენ და შენც ყოველგვარი ჭყლე-

ტისა და ქუჩაში ღამის თევის გარეშე, მაცხოვრის საყდარში ხვდებოდი. აქედან გამომდინარე, ვისაც ჰქონდა საკმარისი ძალაუფლება, ჩალიჩობდა საშვს, ვისაც ჰქონდა საკმარისი ფული, ესწრაფოდა დაუვიწყარ ღამეს არაბის "საპურმარილოში" და ვინც რწმენით იყო აღვსილი, იგდა კარიბჭესთან და ისევე ნატრულობდა ცეცხლის გადმოსვლაზე მოხვედრას, როგორც სხვა დანარჩენნი. ჰოდა, ყველა თავის გზას ირჩევდა და ჩვენც, ღამის ათ საათზე აღმოსავლეთის ჭიშკართან შეხვედრა დავუთქვით ჩვენს არაბ მოკავშირეს.

ზუსტად დათქმულ დროსა და ადგილზე, ღამის წყვდიადი წყვილმა მანათობელმა თვალმა გაანათა. ეს ჩენი მოკავშირე და "კუნაპეტ" ღამეზე შავი არაბი გახლდათ. ისე მოგვიახლოვდა და გვანიშნა მომყევითო, რომ სალამის მოსაცემადაც არ შეჩერებულა. ჩვენც, თავგადასავლების მაძიებელნი, ძუნძულით მივყევით აგენტს კოდური სახელწოდებით "ჯეკი" და საიდუმლო მისიაც დაიწყო. თავბრუსდამხვევი სისწრაფით მიგვარბენინებდა ძველი ქალაქის საფეხურებიან, ვიწროსა და ჭრელ ქუჩებში. მერე სწორედ იმ ერთადერთი კონსპირაციული სადგომის კართან შეჩერდა, სადაც ღამე უნდა გაგვეთია და შედარებით თეთრი ხელისგულით გვანიშნა, აქ გაჩერდითო. თუნუქის გისოსებში ჩასმული კარი ხმაურით გამოაღო და ისე ოპერატიულად შეგვყარა ოთახში, ნახვამდის თქმაც ვერ მოვასწარით. კარი ღრჭიალით მიიხურა, გასაღები რამდენიმეჯერ გადატრიალდა გულანაში და მისტიკურმა ხმამ გვამცნო, რომ დილის რვა საათამდე, გარე სამყარო ჩვენგან კიდევ უფრო შორს იყო, ვიდრე კარს მიღმა. ჩაგვკეტეს და თან მკაცრად გაგვაფრთხილეს, თუ იხმაურებთ, ღამის დარაჯნი უეჭველი გიპოვიან და კლიტის გატეხვაც რომ დასჭირდეთ, მაინც ყველას გარეთ გაგყრიანო. რაღაცნაირად დავნაღვლიანდი და უნებურად მზერა კარიდან ოთახისკენ გადავიტანე და ჰოი, საოცრებავ? ერთი იმდენი ხალხი უკვე იქ გველოდა. თურმე, ეს ჩვენი არაბი, ორმაგი აგენტი ყოფილა და ჩვენ გარდა, სხვა ქვეყნებთანაც აწარმოებდა მოლაპარაკებებს. მართალია, ძირითადად ერთმორწმუნე და პოსტსაბჭოურ ერებთან, მაგრამ მაინც განსხვავებულებთან.

საშუალო ზომის და დაბალჭერიანი ოთახი სავსე იყო გრძელი მაგიდებითა და ასევე გრძელი სკამებით. ამ სკამებსა და მაგიდებთან კი მოკალათებულნი იყვნენ ჩვენი მომავალი მეზობლები, რომელნიც გაფართოვებული თვალებით მოგვჩერებოდნენ და გულში ფიქრობდნენ, "ო, ბლინ, აპიატ გრუზინი". ჩვენ კიდევ ყოველგვარი ცერომონიისა და რიტუალების გარეშე, უხმოდ მოვთავსდით თავისუფალ ადგილებზე და უხილავი, ცივი ომის კანონებიც უმალ ამოქმედდა. ფაქტიურად ყველანი შინაურები ვიყავით, დამხვდურთა ჩათვლით, რადგან ყველას ჯერ კიდევ ნაკერპალი ნამგალი და ურო გვაერთიანებდა. და ალბათ, ამიტომაც, მორიდება არავის წაუფარებია თავზე ლეჩაქივით. ყველა ჩუმად ადუდუნდა და სასადილოც გაცოცხლდა. ზოგი დამხდვურთ გამოელაპარაკა, ზოგი კი გვერდზე მჯდომს და მიუხედავად იმისა, გაფრთხილებული ვიყავით, ხმა არ ამოიღოთ, თორემ ყველას გაგყრიანო, მაინც გვარიანად ავყაყანდით. და ბრძოლებიც დაიწო. ბრძოლა კიდევ იქ ხომ მეტი იყო, სადაც რომ სიწმინდე ჭარბობდა?! სიწმინდე კიდევ, იქ რომ იყო, სხვაგან მაგდენი ვერ მოიძებნებოდა. თუმცა კი, ადამიანი ყველგან მაინც მანკიერ არსებად რჩებოდა.

– "ვი შტო, ნე მოუეტე ზატკნუტსა?!" - ვიღაცამ დაგვჩხავლა თავზე და მხოლოდ მაშინ აღმოვაჩინე, რომ ოთახს გვერდზე პატარა კიბე აუდიოდა მეორე სართულისკენ. კიდევ აღმოვაჩინე, რომ ამ საცოდავ სასადილოს დარბაზი სამზარეულოსგან ბარის "სტოიკით" ჰქონდა გამიჯნული და ფეხსალაგი კიდევ კიბის ქვეშ მდებარეობდა.

– "იგორ,ტუტ ოჩენ შუმნა,დავაი ბირი სიტუაციო პოდ კონტროლ. ტი ზდეს ბუდეშ ზა გლავნავა." – ზორბა ქალის ნახევარსხეული ისევე გაუფრთხილებლად გაუჩინარდა ციცაბო კიბიდან, როგორც გამოჩნდა. სულ ერთი წუთით ყველა დადუმდა და მერე, თითქოს რაღაც ძალზედ მნიშვნელოვანი გაახსენდათო, უფრო ხმამაღლა დაიწყეს საუბარი. ნაღდი "წადი შენი..." - ს ვარიანტი იყო, ოღონდ ცხოველური, აი, ისეთი რა, შარდით რომ საკუთარ ტერიტორიას ნიშნავენ. საწყალი იგორა კიდევ მუდარით აღსავსე მზერით მოგვჩერებოდა და წარამარა კიბისკენ აპარებდა თვალს.

დამხდურებმა მალევე დათმეს დაკავებული პოზიციები და ქართველთა ურდომაც გაშალა ფლანგები. ყველგან დაიკავა ადგილი, იქაც კი, სადაც ცალი ფეხის ჩაყოფა მაინც იყო შესაძლებელი. ზოგი წამოწვა, ზოგიც ჩამოჯდა და ზოგმა კიდევ უდარდელი ხვრინვაც ამოუშვა. ხოლო ჯგუფის ყველაზე კრეატიული ნაწილი კი მომდევნო დილას საყდარში მოხვედრის გეგმის შემუშავებას შეუდგა. დიახ, გეგმის, რადგან დანამდვილებით რა, სად და როგორ არავინ იცოდა, მით უმეტეს, რომ უმეტესობა საერთოდაც პირველად იყო ძველ ქალაქში. შეიქმნა ერთგვარი შტაბი, რომელიც პასუხისმგებელი უნდა ყოფილიყო სტრატეგიასა და გადაჯგუფებებზე. რაღა თქმა უნდა, მასში უმალ გაწევრიანდა ყველა, ვისაც არ ეზარებოდა. ნომინალური ლიდერებიც უმალ გამოიკვეთნენ და ფაქტიურად, თხუთმეტი კაცის ბედი აღმოჩნდა ორი ადამინის ხელში. ერთი მამაკაცი, ჩასუქებული და მელოტი, ფრანცისკანელი ბერივით. ოღონდ, რატომღაც, სამოქალაქო ტანისამოსში ჩაცმული და არა ჩვეულ ყავისფერ ჯვალოს კაბაში შემოსილი და წელზე სქელი ბაწრის ფსკვნილით დამშვენებული. და მეორეც, ქალი, აშკარად მზვერავის პროფესიონალური უნარ-ჩვევებითა და იდეებისადმი უსაზღვრო ერთუგულების ნიჭით დაჯილდოებული. ისიც ადეკვატურად ჩაცმული მაღალძირიან ბოტასებსა და ძველი გოლკიპერივით თავზე კეპჩამოფხატული. როგორც გაირკვა, სწორედ ეს ორი იცნობდა ძველ ქალაქს მეტ-ნაკლებად უკეთ სხვა

დანარჩენზე და ქადალდის ხელსახოცზე გავლებულმა ხაზებმაც მყისვე ტოპოგრაფიული შინაარსი შეიძინა. ხაზეს და შალეს, ჭმუჭნეს და ასწორეს, წამებშიც კი გათვალეს ქარის სიჩქარე და ბოლოს, როგორც ყველა საიდუმლო ორგანიზაციის საძმოს წევრებს შეეფერებათ, ფიცი დადეს ერთგულებაზე, ხოლო ხელსახოც-იდუმალ-დოკუმენტი თანაბრად გაინაწილეს და შეჭამეს. შეთანხმდნენ კი იმაზე, რომ არაბს ფულს მანამ არ გადაუხდიდნენ, სანამ ეს უკანასკნელი საყდრამდე არ მიიყვანდა ოპერაცია "ღვთაებრივი ცეცხლის" უკლებლივ ყველა მონაწილეს.

ამ ხმაურსა და ორომტრიალში, ყველაზე ხმამაღლა ისმოდა სიტყვები "ჩუმად" და "გაჩუმდი", მაგრამ იდეალური სიჩუმე სწორედ მაშინ ჩამოვარდა, როდესაც სრულიად მოულოდნელად, კარი კიდევ ერთხელ გაიღო ხმაურით.

– მგონი, აგვყარეს?! – ჩაილაპარაკა მზვერავმა ქალმა, სახელად შორენა და პატარა მუშტები გამოცდილი მოკრივესავით აიფარა სახეზე. – ცოცხლად არ დაგნებდებით.

– დაწყნარდით, ჩვენი არაბები არიან. – ხალხის მღელვარება ფრანცისკანელმა ბერმა განმუხტა, რითაც გუნება წაუხდინა მზვერავ ქალ შორენას, რომელიც აშკარად არ თვლიდა მაგ შავ ხალხს თავისიანებად და დიდი სიამოვნებით ჩააბეტონებდა ყველას ერთად, რომელიმე მშენებარე მაღლივის ფუნდამენტში.

არაბებმა კი არალეგალების ახალი "პარტია" მოასხეს და კარი ისე გაიხურეს, რომ ჩვენგან გასროლილი კომენტარები, იქვე ზღურბლზე ჩამოიღვენთა. რაოდენობრივი სტატისტიკა აშკარად სლავურენოვანების სასარგებლოდ შეიცვალა. თხუთმეტამდე რუსს ამდენივე უკრაინელი დაემატა და მათ ერთობლივ მზერაში მკაფიოდ იკითხებოდა იმ ყოჩაღ ქართველთა ნაამაგარი, რომელთაც სხვადასხვა დროსა და ადგილებში მრავალგზის შეერცხვინათ თავი და თანაც საჯაროდ. ისინი უფრო ხალისობდნენ ჩვენზე, ვიდრე ვუყვარდით, ჩვენ კიდევ პირიქით და თან უკიდურესად. ათწუთიანი ჩოჩქოლის შემდეგ, ისე აღმოჩნდა, რომ თხუთმეტი ქართველი განთავსდა შენობის მეორე სართულზე და ოცდაათი სხვა დანარჩენი კი პირველზე. სამაგიეროდ, ყავის აპარატი და საპირფარეშო აღმოჩნდა პირველსართულელების მხარეს, თუმცა, ჩვენი დაუზარელი "მეცადინეობის" შედეგად, მათ ამ ორი სტრატეგიული ობიექტიდან, ვერც ერთის ჯეროვნად დაკავება ვერ შეძლეს. ხუთ წუთში ერთხელ საპირფარეშოს სიგარეტის კვამლით ვბუღავდით და ისინი კიდევ არამწეველები იყვნენ. ხოლო ყავას, ცოცხალი ჯაჭვის მეშვეობით, ხელიდან ხელში, მეორე სართულისაკენ ისე ვექაჩებოდით, რომ იმათ ცხელი წყალიღა რჩებოდათ.

თუმცა, სლავურენოვანები, იმაზე უფრო მორწმუნენი და დამთმენნი აღმოჩდნენ, ვიდრე ჩვენ გვეგონა, რაღა თქმა უნდა, იმ ზორბა ქალის გამოკლებით, რომელიც სულ გაიძახოდა "პოტიშე"-სა და "დიშატ ნეჩემ"-ს. საყვედურების მაგიერ, ადგნენ, ჯგუფებად დაიყვნენ და ფსალმუნების კითხვა დაიწყეს. გასაოცარი კი ის იყო, რომ თითო ჯგუფში სულ მცირე ერთი თორმეტწლამდე ასაკის ბავშვი მაინც ერია. ჩვენ კი გაოცებულები მივჩერებოდით ამ საუცხოო სანახაობას და ტოლერანტობის გრძნობით გამსჭვალულნი, სიგარეტს ახლა უკვე მარტო მეორე სართულზე ვეწეოდით. მე დავმარცხდი, როდესაც გავიაზრე ჩვენს შორის არსებული სხვაობა. ისინი ცეცხლის გადმოსვლისთვის, უდიდესი ხილული სასწაულისთვისა და უფლისგან არ მიტოვებისთვის ლოცულობდნენ, ხოლო ჩვენი ერთადერთი საზრუნავი, მათ ნალოც ცეცხლის გადმოსვლაზე მოხვედრა იყო.

ღამე გაიწელა. ხალხი როგორც იქნა მიჩუმდა და სწორედ ამ სიჩუმემ განმაცდევინა ის, რასაც მექსიკელი არალეგალები განიცდიდენ, როდესაც აშშ-ს, საზღვრებს კვეთავდნენ მსუბუქი ავტომობილების სავარძლებში ჩაკერებულნი. მთელი ღამე ვინმე "პედროსავით" ვიტანჯე და გარედან შემოსულ ყოველ გაურკვეველ ხმაზე მეგონა, რომ ჩვენ შესაპყრობად ირაზმებოდა იარაღასხმული მტარვალი. ამ ტანჯვა-წამებაში ირიურაჟა კიდეც. როგორც იქნა, დილის შვიდ საათზე, მოვიდნენ მოკავშირე არაბები. ბეჯიდათ გადაგვთვალეს და ფული მოითხოვეს. დილის ცხრა საათზე, გვარიანი შეხლა-შემოხლის შემდეგ, მოგვაწოდეს მიღება-ჩაბარების აქტი დაკისრებულ ვალდებულებათა ჯეროვნად შესრულებაზე. გაირკვა, რომ მათ მოვალეობაში შედიოდა, მხოლოდ ერთი დამით თავშესაფრის უზრუნველყოფა და არანაირი გარანტია საყდარში მოხვედრაზე. ამიტომაც, დილის ათ საათზე სასადილოს კარი გაიღო და ოპერაცია სახელწოდებით "ღვთაებრივი ცეცხლი" დამაგვირგვინებელ ფაზაში გადავიდა.

არაბებმა თქვეს, ორ-ორს გაგაპარებთ და ხალხის ნაკადს თქვენ თვითონ შეერიეთო. ჩვენ კიდევ, აქაც მცირეოდენი ვიჭიდავეთ და სამ-სამზე დავიყოლიეთ. აბა, გარეთ ისევ ერთად შეკრება, იქ მყოფი ხალხის მასაში, ფაქტიურად შეუძლებელი იყო და ჩვენ კიდევ, ყველა ერთმანეთის ახლობელი აღმოვჩნდით, როგორც გვჩვევია ხოლმე. ამის მერე კი ვინღა ისურვებდა საყდარში მარტო დადგომას?! არც არავინ. ამიტომაც, არაბმა მე, ჩემი მეუღლე და კიდევ ვიღაც ქალი, ერთად გაგვიყვანა სასადილოდან. ორი მოსახვევის შემდეგ საჩაიეს წინ მდგარ სკამებზე დაგვსხა და გაუჩინარდა. მერე ვიღაც სხვა არაბი მოვიდა და თითო კაცზე დამატებითი თანხა გვთხოვა, რათა იმ ქუჩაზე გავეყვანეთ საიდანაც საყდარში შესვლა იყო შესაძლებელი. წინააღმდეგობის გაწევას აზრი აღარ ჰქონდა და ჩვენც დავნებდით. ამ სხვა არაბმა, კიდევ ორი მოსახვევი გაგვატარა, ათამდე პოლიციელს გამოელაპარაკა, ვითომცდა, საპირფარეშოს გზას გვანახებდა და შემდეგ რაღაც "სკვაზნოი" მაღაზიაში შეგვიყვანა, საიდანაც რიგში მდგომ ხალხს დაუბრკოლებლივ შევერიეთ. პირდაპირ ერთ-ერთ "ბლოკ-პოსტთან" აღმოვჩნდით. იარაღასხმული

ებრაელი თინეიჯერი სამხედროები გასაქანს არავის აძლევდნენ. აჟიტირებული ხალხი კი გამეტებით აწვებოდა ერთმანეთს და აგრესია ჯებირის ორივე მხარეს ჰყვაოდა.

– კაცო, პირდაპირ საყდართან არ უნდა გავეყვანეთ? – ვკითხე ჩემს მეუღლეს.

– აბა, მე რა ვიცი? შენ არ ელაპარაკებოდი? – არც ის დაიბნა.

– რა საყდარი, ნახე წინ კიდევ სამი ესეთი რეიდი აქვთ მოწყობილი და იქაც ერთი ამდენი ხალხი დგას. ეტყობა, რიგრიგობითა და ჯგუფებად ატარებენ ხალხს?! – სიმართლე ვთქვი.

– ესე იგი, სხვაგან გამოგვიყვანა. – არც ის ჩამომრჩა.

– ალბათ, მალევე გაგვატარებენ რა, ორ წუთში იქა ხართო, ეგრე მითხრა და... – დავაიმედე მე.

– წყალი მომაწოდე, ცუდად ვარ, სული მეხუთება. – დამაიმედა იმანაც.

სამწუხაროდ, ჩემმა მეუღლემ ვერც წყალი გამომართვა და ვედარც ძირს დავარდა, როგორც ეს გულწასულებს ჩვევიათ ხოლმე, რადგან ისეთი ჭყლეტვა იყო, ხალხი რომ დაძრულიყო, მიწაზე ფეხშეუხებლადაც შეძლებდი გადაადგილებას. თინეიჯერმა სამხედროებმა მხოლოდ ჩემს მეუღლეს დართეს ნება, რომ ბარიერს მიღმა გასულიყო და სკამზე დამჯდარიყო. მე კიდევ ჯებირის მეორე მხრიდან წყალს ვასხამდი და როცა მივხვდი, რომ ასე არაფერი გამოვიდოდა, გააჩერეთ დედამიწა, ჩავდივარ-თქო დავიძახე. არადა, მე მგონი, მთელი დედამიწა ისედაც უკვე გაჩერებული იყო და დაძაბული ელოდა ცეცხლის გადმოსვლას, რათა კიდევ ერთხელ დარწმუნებულიყო, რომ ის წელი ნამდვილად იარსებებდა. იმათმაც გახსნეს გვერდზე ქუჩაზე გამავალი ბარიერი და ჩვენც ავტომატურად ყველაფერი იმის მიღმა ავღმოჩნდით, რაც იქ ხდებოდა. ერთობ შოკისმომგვრელი გახლდათ იმის გააზრება, რომ ყველაფერი ეს გაიარე იმისთვის, რათა ვერ დაესწო იმას, რისთვისაც ჩამოხვედი.

როგორც იქნა, მოვასულიერე მეუღლე და ახლა იმან დაიჩემა, წამო, მივბრუნდეთ და კიდევ ვცადოთო.

– გეხვეწები, წამო და მივბრუნდეთ. – არ იშლიდა ის.

– კარგი რა, სად უნდა მივბრუნდეთ, ხომ ხედავ, რა ამბავია? – მეც ჩემსაზე ვიდექი.

– გთხოვ, ვცადოთ. რატომ უნდა გამოაკლდე ამ ყველაფერს ჩემი გულისთვის? – ისევ ის.

– არა უშავს, ეტყობა, ბრძოლებია დიდი! – ისევ მე.

– ეგ რა შუაშია, უბრალოდ, ცუდად გავხვდი, რა?! მაშინ, მე დავრჩები და შენ წადი. – გაჯიუტდა ის.

– რა სისულელეა, ალბათ, ღირსნი არა ვართ, ცეცხლის გადმოსვლაზე დასწრების. – დავითრგუნე მე.

თუმცა, რა ვიცოდით, რომ ღვთაებრივ ცეცხლს სასწაულის გარდა დიდი მადლი მოჰყვებოდა და მადლი კიდევ სრულიად საქრისტიანოზე ვრცელდებოდა, თორემ მეორედ ნამდვილად აღარ მოვინდომებდით იმ ჭყლეტვაში დგომას? არ ცოდნა, არ ცოდვა სულაც არ არისო და ჩვენც კიდევ ერთხელ ვცადეთ. მივედით იქ, სადაც იყო სათავე ამ გაუთავებელი ბარიერებისა, ანუ ადგილი საიდანაც იწყებოდა საყდრისკენ მიმავალი ერთადერთი გზა. და ჰოი, საოცრებავ, ავღმოჩნდით ზუსტად იქ, სადაც თავიდანვე ვიდექით.

– აუ, აზრზე ხარ, სად მოვხვდით?

– ჰო, წედანაც აქ არ ვიდექით?

– გადაგვაგდო, იმ არაბმა? აქ ხომ ჩვენითაც მოვხვდებოდით და აბა, მეორედ ფული რაღაში აიღო, მე რომ მაგისი...?!

– არა უშავს, მთავარია, რომ აქ აღმოვჩნდით და თან აღდგომას. დამიჯერე, ისედაც ძალიან დიდი მადლია და უკვე ამითი უნდა იყო უბედნიერესი.

ცეცხლის გადმოსვლას ტელევიზორში ვუყურეთ, რომელიღაც კაფეში ვისხედით და ცრემლებს შევექცეოდით. მიუხედავად თავის დარწმუნებისა, მთავარია იერუსალიმში მოხვედრაო, იქაური მლაშე ყავა მაინც უფრო სინანულს მგვრიდა, ვიდრე განცდას სიხარულისა. ალბათ, სიწმინდეს არასდროს უნდა გაუთამამდე, რაგინდ ახლოს მიგიშვას და არც კრძალვა უნდა დაკარგო როდესმე, თორემ ყოველთვის ისე დაგემართება, როგორც ზღვასთან მისულს და შიგ ვერ ჩასულს.

იორდანე და პეტრეს თევზი

დღის ბოლოს გიდმა გვახარა, ახლა ჩვენ მდინარე იორდანეს ნაპირთან მივალთ და ეს სწორედ ის ადგილია, სადაც მაცხოვარი იოანე ნათლისმცემელმა წყლით მონათლაო. ჯგუფის წევრები აშკარად გამოცოცხლდნენ, რადგან მგზავრობით გადაღლილთ, თითქოს ხალისი დაკარგვოდათ. ისე კი, ეს ხალისის დაკარგვაც უხეში ნათქვამი გახლავთ, რადგან ეს უფრო განზომილების შეცვლას ჰგავს. ალბათ, დაზაფრული გონება ვედარ იტევდა ამდენ ინფორმაციას, რადგან ავტობუსის თითოეული გაჩერება, პირდაპირ უკავშირდებოდა სახარებაში მრავალგზის ამოკითხულ მოვლენასა და გონებაში წარმოსახულ ხატებას. ოღონდ იქ, სახარებაში კითხვისას, ეს ალაგები მისტიკურნი და არარსებულნი ჩანდნენ, აქ კი, მიკროსკოპულადაც შეიძლებოდა მათი შესწავლა, ხელით შეხებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. თითოეულ ჯერზე თვალწინ ცოცხლდებოდა ოთხთავში ამოკითხული ამბავი და აღარ იყო საჭირო ფანტაზია თუ ხატოვანება ბუნებისა. ყველაფერი იმდენად ნაღდი და რეალური იყო, რომ ჟანგბადის სუნთქვაც კი განცდათა მორევში გვითრევდა.

– ჩემი კვართი წამოიღე?

– კი, ზემოთა თაროზე დევს.

– ბავშვების ჯვრები მომეცი, ხელში დავიჭერ და ისე ჩავალ.

– ფრთხილად ქენი, არ დაგეკარგოს. მაგ ხის ჯვარზე დაამაგრე და ისე ჩადი.

როგორც ყველა მოსალოცსა თუ მოსანახულებელ ადგილას, რაღა თქმა უნდა, გარდა ეკლესია-მონასტრებისა, აქაც შესვლა ფასიანი გახლდათ. ისე, ამდენი ადგილის მონახულების შემდეგ, ხანდახან უცნაური აზრი გამკრავდა ხოლმე თავში, რომ მკვიდრი მოსახლენი, უფრო მეტ პატივს სცემდნენ იმ ადგილებს, რომელთაც ჩვენ ვეთაყვანებოდით, რადგან მათთვის ეს შემოსავლის წყარო იყო. ხოლო ჩვენ, უფრო მეტად გვიყვარდა ის ალაგნი, რადგან ჩვენთვის ისინი შთაგონების ზღვას წარმოადგენდნენ.

თეორ კვართებში შემოსილი და ხის ჯვრებით ხელდამშვენებული ქართველები ჩინებული სანახავნი გახლდნენ, ხოლო როდესაც "ქრისტე აღსდგა მკვრეთით" შემოსძახეს, ყოველმან შემსწრემ ამ მოვლენისა, თავის ენაზე წარმოსათქვა სიტყვა საქართველო, რადგან ეტყობა სხვისგან რაღაცით გამოვირჩედოთ და თანაც ადვილად საცნობნიც გახლდით. იორდანეს კომპლექსი მაღალი კედლით იყო შემოსაზღვრული გარე სამყაროსგან და ერთობ საინტერესო ადგილს წარმოადგენდა. ამ ტერიტორიაზე "ერთიანდებოდა" პატარა სავაჭრო ცენტრი, რესტორანი, მოსასვენებელ-გასართობი ადგილი და კიდევ სუვენირებით დახუნძლული უამრავი ჯიხური. მოკლედ რომ ვთქვა, იქვე შეიძენდი კვართს, საცურაო აღჭურვილობას, იქირავებდი პირსახოცსა და ვიდეოგადამღებიან ოპერატორს, მშვენივრად ისადილებდი რესტორანში და მოისვენებდი კიდეც ულამაზესს ხეობაში მშვიდი მუსიკის ჰანგებით თრობილი. წყალში, თვით წყალში კი იმდენი და იმხელა ზომის თევზები, თახვები და მომლოცველნი ფართხალებდნენ, რომ სრულიად დაგავიწყდებოდა, ამ ქვეყნის ტერიტორიის ნახევარზე მეტი ხრიოკი უდაბნო რომ იყო.

– მოიცადეთ შვილებო, ჯერ მე ჩავალ. – შეგვაჩერა მამაომ და საკმაოდ დროულადაც, რადგან მავანნი წყალში თავით გადაშვებას, "ბატერფლაით" ცურვასა და თავიანთი ფარული სპორტული მონაცემების გამომჟღავნებას გეგმავდნენ. – ჯერ „მამაო ჩვენო" ვთქვათ და მერე განვიბანოთ.

საოცარია, მაგრამ ქართველები რიგში ჩადგნენ, რადგან წყალში ჩასასვლელ ფართო კიბეებს გარს ჯებირები ერტყა და მდინარის სიღრმეში შესვლაც მხოლოდ სათითაოდ იყო შესაძლებელი. ჯერ ლოცვა ითქვა და შემდეგ ზემოთხსენებული გალობა. საოცარი შეგრძნებაა, როდესაც წელამდე მდინარეში დგახარ და წყლის პირველი სუსხისგან "აბუსუსებული", სუნთქვის შეკავებით წარმოთქვამ ვედრების სიტყვებს. მერე კი, მამაოს ოდნავ ღრმაში შეჰყევხარ, თავზე ხელს გადებს და სწრაფი მოძრაობებით წყალში სამჯერ "გაყურყუმალავებს". დანარჩენნი, კი მორჩილად დგანან ბედნიერებისგან სახეალეწილნი, გალობენ გულიდან ამოსული ხმით და მოუთმენლად ელიან იოანე ნათლისმცემელისა და მაცხოვრის პირველ შეხვედრას.

მამაომ უკლებლივ ყველა განბანა და მერე თვითონაც სამჯერ ჩაყვინთა წყალში. ხალისიანი შეძახილები და წყლის დგაფუნის ხმა, რაღაცნაირ ბავშვურ სიხალვასესა და უბიწობას სძენდნენ ამ ცერემონიას. არადა, ცოდვილი ქალ-კაცნი განიბანებოდნენ და დიდება უფალს, რამდენს განშორდა მხრებიდან ტვირთი სიმძიმისა, ისე რომ, ვერც კი შეიგრძნო?!

წყლიდან ამოსულთ და პირმომღიმართ, მამაომ კიდევ ერთი გასახარი ამბავი გვამცნო, უწმინდესის კურთხევა ყოფილა, ვინც წმიდა მიწაზე მოხვდებოდა დიდ ხუთშაბთს, პეტრეს თევზის ჭამა შეეძლო. ეს პეტრეს თევზი კი გარეგნულად, რაღა თქმა უნდა, არა „იხტიოლოგებისთვის", ერთი ჩვეულებრივი თევზი იყო, რომელსაც არაჩვეულებრივი მხოლოდ მრგვალი, თეორი, თითის ანაბეჭდის მსგავსი ლაქები ჰქონდა. ამიტომაც, შეურქმევიათ მოციქულის სახელი, რადგან მებადური სწორედ ამ თევზს იჭერდა თავისი ხელით.

აი, სიხარული იქ უნდა გენახათ, როდესაც წყლისგან მოთენთილთ, მოშიებულთა და დიდმარხვა ნამარხულევთ უზარმაზარ ლანგრებზე მოგვართვეს შემწვარი პეტრეს თევზი. ცხოვრებაში თევზის თავი არ მიჭამია, მაგრამ იქ რომ ბოლოს თეფშს დავხედე, მარტო სავარცხელი დამხვდა და ისიც მბზინვარე. რაც ვერ ვჭამეთ ტანზე წავისვით, რადგან ქართველთ ერთი თავისებურება გვაქს, უკიდურესობა ვიცით და სადმე თუ სიტყვა "კურთხევა" გამოერია, მაშინ ხომ საერთოდ სასწაულებს ჩავდივართ?!

ეს ჭამა, სმა და განბანვა, ნამდვილად მშვენიერი რამ გახლდათ, მაგრამ სულიერებას მოვლაც უნდოდა. ძნელი იყო სიახლოვე უფლისა, რადგან ჩემს თავში მოდუნებას უფრო მეტს ვგრძნობდი, ვიდრე შემართებას. თითქოს მინდობილიც ვიყავი, მაგრამ არა ტანით. ტანი სულ სხვა ფიქრს ფიქრობდა და ალბათ, ამიტომაც იყო რომ სრულიად, იქ, წმინდა მიწაზე ყოფნისას, მსდევდა მძაფრი შეგრძნება არასრულყოფილებისა და უღირსობისა. და სწორედ ეს იყო სისუსტისა და ბრძოლის სათავე. არ ვიცი რაზე, მაგრამ მთელი უკანა გზა, სასტუმროსკენ, მე და ჩემი ცოლი რაღაცაზე ვჩხუბობდით. ხან ვმარცხდებოდით – ხანაც პირიქით, თუმცა ერთი თავის აწევაც საკმარისი იყო იმის შესამჩნევად, რომ წინააღმდეგობასა და ბრძოლაში იყო ყველა ყველასთან.

წესი და ადათი

პარასკევისა და შაბათის ღამე ფაქტიურად არ გვძინებია და მხოლოდ კვირას, აღდგომის დილას, მოვხუჭეთ თვალი რამდენიმე საათით. შემდეგ ისევ ავტობუსში ჩავსხედით და ის საოცარი სურთებიც, რასაც თვალს ვადევნებდით ამ დღეების განმავლობაში, უკვე საბოლოოდ, ერთ დიდ ნახატად იქცა. პირადად ჩემთვის, აღარ არსებობდა ცალ-ცალკე წმინდა საბა განწმენდილისა და წმინდა გიორგი ქოზიფელის ბრწყინვალე სამონასტრო კომპლექსები; კაპერნაუმი და გალილეის ზღვა; თაბორი და კანას გალილეა; ბეთანია და იერიქონი; ბეთლემი და ლოდი. აღარც მაცხოვრის

შობისა და ჯვარცმის ადგილები იყო სივრცეში გაშლილი, მიუხედავად იმისა, რომ ერთი პალესტინის ტერიტორიაზე მდებარეობდა და მეორე კიდევ ისრაელში. მოკლედ, "ყველა ფერი" უწყვეტი ჯაჭვით გადაება ერთმანეთს და შთაბეჭდილებათა დინება ამოსუნთქვის საშუალებასაც აღარ გვაძლევდა. მაგრამ რაც ყველაზე ცალკე მდგომად დამამახსოვრდა, ეს იყო, "თვალის ლაღი მიდევნებით" ავტობუსის საქარე მინიდან დანახული, ქვაზე აღმოცენებული ტროპიკული ხილისა და ზეთისხილის პლანტაციები.

ქართველი კაცი მიწადმოქმედი იყო ბუნებითო და ამიტომაც, უცხო ტომნი ჩვენი ქვეყნის სახელწოდებასაც მის ცხოვრების წესთან აიგივებდნენ. შესაძლებელია, ეს ადრე ასეც იყო, მაგრამ ჩემ დღევანდელ ყოფაში, შამბნარსა და სარეველაში აბურდული მდელო უფრო მეტი მახსოვს, ვიდრე მსხმოიარე ხე და აბიბინებული პურის ყანა. ხოლო იქ კი, წმინდა მიწაზე, სადაც სიწმინდის გარდა იყო მკვიდრი მოსახლე და ყოველდღიური ჭიდილი გადარჩენისთვის, ვიხილე ქვასა და ხრიოკზე გაშენებული უზარმაზარი ბაღები და ტროპიკული ხილის პლანტაციები. რაღა თქმა უნდა, ამას ცალსახად, წმინდა მიწის მადლს ვერ მიაწერდი, რადგან დაუღალავი შრომისა და სიყვარულის შედეგი უფრო იყო. თორემ ისე, მადლი ღვთისმშობელისა ჩვენს ქვეყანასაც მრავალად ეფინება, თუმცა ეტყობა განა რამე, ედმის ბაღისა?! იქაურნი იმდენს ახერხებდნენ, რომ ცვარს აგროვებდნენ და იმითი რწყავდნენ ბაღსა და მდელოს. და თითქოს თვით მწვანე საფარიც მათ წესს ემორჩილებოდა და ანგარიშს უწევდა დაღვრილი ოფლის თითოეულ წვეთს. ხეები დაბლები იზრდებოდნენ და ბუჩქს უფრო წააგავდნენ, ვიდრე აშოტილ გოლიათებს, თუმცა ნაყოფს ისხამდნენ იმდენს, რომ თავადაც ჰყოფნიდათ და სხვა ქვეყნებშიც გაჰქონდათ გასაყიდად. ხელოვნურ ტყეებს აშენებდნენ, ოღონდ ხელოვნურს პოლიეთილენის მნიშვნელობით კი არა, არამედ მოყვანის წესით. იქ, ალბათ, თავისთავად მიწიდან ბალახიც კი არ იწვერებოდა და გაშენებულ ტყეს კი ათწლეულების შრომა მოსდგამდა უკან. ქვიშას რეცხავდნენ მკვდარ ზღვაში და სამმაგ მოსავალს იღებდნენ წელიწადში სამჯერ. ეტყობა, ძალიან უყვარდათ თავისი სამშობლო, თორემ ამხელა მონურ შრომად, განა ღირდა ის მსხმოიარე ზეთისხილი?! ეჰ, მაგათმა ჭინჭრის ფხლის გემო არ იცოდნენ, თორემ მიუშვებდნენ იქაურობას, დაიკრეფდნენ გულზე ხელს და უშრომელადაც გავიდოდნენ "იოლას". ერთი პირობა, მინდოდა მერჩია, ასე ქენით-თქო, მაგრამ არ გავთქვი საიდუმლო ჩვენი ერის ცხოვრების წესისა და ისევ შვილებს შემოვუნახე ნაანდერძალი.

საღამო ხანს, გიდმა გოდების კედელთან მისვლა შემოგვთავაზა. ნაწილი "გაიფხორა", ჩვენ იქ რა გვესაქმებაო, ხოლო მეორე ნაწილმა, ვნახოთ, განა რა უნდა იყოს, რჯულის შეცვლას ხომ არ გვთხოვენო?! ჰოდა, წავედით. გავიარეთ მიმღები, გამშვები და შემშვები პუნქტები და საბოლოოდ, გაშლილ მოედანზე აღმოვჩნდით, რომლის ბოლოსაც აღმართული იყო გოდების კედელი. ისე, კედელი კი არა, უფრო გალავანი იყო. უფრო სწორედ კი, გალავნის ერთი ნაწილი, რადგან ასეთივე გალავანი, გარს ერტყა მთელს ძველ ქალაქს. უბრალოდ, ეს ადგილი ყველაზე ახლოს მდებარეობდა იმ დაკარგულ საუნჯესთან, რომელსაც ასე გულითადად დასტიროდა მთელი ებრაელი ერი.

– ეჰ, აბა, მაშინ ჩვენ რაღა უნდა ვთქვათ, განა ყოველი კედელი გოდებისა არ არის ჩვენს მიწაწყალზე. – იხუმრასავით ვიღაცამ.

– აგრე კედლებზე თუ მიდგა ჯერი, არ იქნება ეგ კარგი მაგალითი. ხომ ნახეთ, მთელს ამათ ქვეყანას კედლები გასდევს. კედლით მიჯნავენ ეგენი თავისიანსა და სხვას. ჩვენც რომ იგივე ვქნათ ჩვენთან, აყროლდება ქვეყანა. – "გაიმეტაფორა" მეორემ.

– რატო აყროლდება? – მეამიტად იკითხა ვიღაცამ.

– რატომ, ჩემო ბატონო და ქართველ კაცს ერთი მავნე ჩვევა აქვს. ნასმავზე აუცილებლად უნდა მიაფსას კედელს და აბა, შენ თვითონ წარმოიდგინე, გენაცვალე, რა ამბავი დაგვემართება, იმხელა კედელს რომ გახედავ და ყოველ ორ მეტრში იდაყვმიყრდნობილ მობარბაცე ყაზილარს რომ დაინახავ. ნამდვილად წახდება ქვეყანა, გეუბნებით მე თქვენ. – ახარხარდა ისევ ის და სხვა დანარჩენნიც.

მართალია, გიდმა ქართული არ იცოდა, მაგრამ გუმანით მიხვდა, რომ მთლად საამაყოდ არ ჰქონდა საქმე და იწყინასავით. ჯგუფის წევრებმა ჯერ იყო და ზემოთხსენებულ კედელზე იხალისეს მრავალი, მერე ორთოდოქსი ებრაელების ჩაცმულობაზე და სულ ბოლოს კი ორივეზე ერთად, ანუ გოდების კედელთან მოქანავე ორთოდოქს ებრაელებზე. არ იყო ეს ჩვენგან თავმოსაწონი საქციელი, მაგრამ რას იზამ, ასეთები ვართ და სტუმრადაც კი მასპინძლებად ვრჩებით.

– ნუ იცინით, ისენი მართლა კი არ ეჯახებიან თავებით კედელს?! უბრალოდ ლოცვისას ქანაობენ და ასე ჩანს, თორემ ახლოდან რომ დააკვირდეთ, საერთოდაც არ ეხებიან. – გიდი რუსულად.

– აბა, მაშინ მაგ წეროს ბუდის მსგავსი ქუდები რად აფარიათ? ვითომ, დარტყმის ძალას აჩერებს? – ჩვენ ქართულად.

– ეს კედელი არის ის ადგილი, რომელიც ყველაზე ახლოს მდებარეობს ომარის მეჩეთთან. ხოლო ამ ომარის მეჩეთში განთავსებულია ქვეყნიერების "დასაბამის სამკუთხედი ქვა". როდესაც ღმერთმა შექნმა სამყარო, ჯერ სწორედ ეს სამკუთხედი ქვა დადო და შემდეგ უკვე შეიქმნა სხვა დავარჩენი. ეს ქვა წმინდაა, როგოც მუსულმანებისთვის, ასევე ებრაელებისთვის. მათი თქმით, ყოველი ლოცვის შემდეგ, მუჰამედი სწორედ ამ ქვიდან აღევლინება ზეცაში და ჩვენი თქმით კიდევ, სწორედ ამ ქვაზე უნდა აღსდგეს სოლომონის ტაძარი. – გიდმა ნათლად აგვიხსნა, რა სხვაობა

იყო ამ ორ მოქიშპე ერს შორის, თუმცა კი უმეტესობას აზრი შეექმნა, რომ ორივე მხარე უბრალოდ შარზე იყო.

– ამ მუსულმანებს კიდევ რა გადარევა სჭირთ ამ ქვებზე. რა თავში სახლელად უნდათ ამდენი ქვები? მაგას სჯობია, ამათსავით მიხედონ სოფლის მეურნეობას და ის ერთი, შავი ქვაც ეყოფათ. – მხარი დავუჭირეთ გიდს და ტაშიც კი შემოვკარით.

– სწორედ ამ ქვას მისტირის ებრაელი ხალხი, რადგან ჯვაროსნებამდე ის ჩვენს მხარეს იყო, ხოლო შემდეგ, როდესაც ქალაქი ორად გაიყო, ის მუსლიმანების მხარეს აღმოჩნდა. ამიტომაც მოდის ყოველი ებრაელი გოდების კედელთან და მხურვალედ ლოცულობს დაკარგულის დაბრუნებაზე. – გიდს თვალები დაენამა.

– ეგ ყველაფერი გავიგეთ, ქალბატონო გიდო, მაგრამ ეს ხალხი რატომ დადის ესე უცნაურად ჩაცმული და თეთრ წინდებში რატომ აქვთ ჩატნეული შარვლის ტოტები? აი, თუ შეიძლება ამ კითხვაზეც გაგვეცით პასუხი? ვოტ. – ცხვირსახოცი მივაწოდეთ გულაჩუყებულ გიდს და დახმარებასაც შევპირდით.

– ესენი, ყველანი, არიან მორწმუნე ებრაელები და მისდევენ თავისებური ცხოვრების წესს. და ეს ყველაფერი, რასაც თქვენ ხედავთ და გეუცხოვებათ, არის მათი ჩვეული ცხოვრების წესი და ადათი, რომელსაც ისინი ყოველდღიურად ასრულებენ. ზოგს ახურია უცნაური ქუდი და ზოგიც, თეთრ წინდებში იტანებს შარვლის ტოტებს. – გაიღიმა გიდმა.

– შეხედე?! მე კიდევ ყველანი ეგენი, მაგათი მღვდლები მეგონა და ჩოხოსნები არ ყოფილან, კაცო?! – გავიღიმეთ ჩვენც.

– ახლა კი შეგიძლიათ მიხვიდეთ გოდების კედელთან და ახლოდან დაათვალიეროთ. ოღონდ იცოდეთ, ქალები და კაცები ჩვენთან, ერთად არ ლოცულობენ, ამიტომაც კედლის მიმდებარე ტერიტორია გაყოფილია ორად. მანდილოსნები მიდიან მარჯვენა მხარეს, ხოლო მამაკაცები მარცხნივ. მამაკაცებს, აგრეთვე, შეგიძლიათ, ნახოთ პირველი სინაგოგის ნანგრევები და სოლომონ მეფის საფლავი, რომელიც მდებარეობს ამ კედლის ქვეშ და შესასვლელი აქვს მარცხენა უკიდურესი კუთხიდან. ფაქტიურად, მთელი ეს აკლდამა-ქალაქი, მდებარეობს ომარის მეჩეთის ქვეშ და ალბათ, ამიტომაც არის, რომ პალესტინელები სულ იმას ჩივიან, ებრაელები ძირს გვითხრიანო. – იხუმრა გიდმა.

– ესე იგი, მიწა ხომ გაყვეს და ახლა მიწისქვეშეთზე ვეღარ რიგდებიან?! გადაგრევს ეს ხალხი. ვერაფერი ვერ გავიგე ამ აღმოსავლეთის. ადგნენ ბარემ და ქვესკნელშიც კედლები ააშენონ. – გავიხუმრეთ ჩვენც.

– კედელთან რომ მიხვალთ, შესაძლებლობა გექნებათ, აქაური წესისა და რწმენისამებრ, ფურცელზე დაწეროთ სურვილი და შემდეგ მოათავსოთ კედლის ღრიჭოში. მინდა გითხრათ, რომ მრავალს ახდენია კიდეც ჩათქმული სურვილი. მთავარია, გჯეროდეთ და ისეთი რამე ჩაუთქვათ, რაც რეალობასთან ახლოსაა და ის აუცილებლად ასრულდება. მამაკაცებმა გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ გოდების კედელთან მისასვლელად, აუცილებელია, თავზე გეფაროთ აქაური პატარა ქუდი, რომელსაც შესასვლელში დაგირიგებენ. – გიდმა დაამთავრა მიმოხილვა, თხუთმეტი წუთი გამოგვიყო ექსკურსიისთვის და ავტობუსისკენ წავიდა.

– მეტი არ იყოს ჩემი მტერი, მე რომ მაგ კუტი კვერს დავიკრავ თავზე. სატირალი სახლშიც ბევრი მაქვს და ეხლა აქ რომ არ ავზლუქუნდე, არაფერი დაშავდება. გამატარე ერთი თუ კაცი ხარ, დღეს დილაზე ვეზიარე და მთელს მადლს ამ კედლის ღრიჭოში ნუ შემატენინებთ. – ჯგუფის დიდმა ნაწილმა ავტომატურად ზურგი აქცია იქაურობას და შეუფერებელი ხორხოცით დაიძრა გასასვლელისკენ. თუმცა ზოგნი დარჩნენ, კედელთანაც მივიდნენ და სურვილებიც დატოვეს. პირადად მე, ამ ყველაფერს გამოვაკლდი, თუმცა მგონია, რომ პატარა, ერთჯერადი ქაღალდის ქუდის თავზე დახურვითა და სოლომონის საფლავის მონახულებით, არანაირ დიდ დანაშაულს არ ჩავიდენდი.

აღდგომას, ჩაქაფულსა და ღორის მწვადს, იქ რომ არავინ გვაჭმევდა, ეგ თავიდანვე მშვენივრად ვიცოდით, მაგრამ ერთი ჭიქა ღვინით დალოცვაც თუ გაგვიჭირდებოდა, ამას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდით. იმ საღამოს გვიან მივედით სასტუმროში. ნომერში ასვლა და დასვენება არავის უფიქრია, რადგან აღდგომის დღე იყო და ჯერ ხორცი არავის ეჭამა. დამპყრობლებივით შევესიეთ სასადილოს და რომ გვთხოვეს, ქართველები პირველ ორ რიგში დასხედითო, რაღაცნაირად მოვახერხეთ და მთელი დარბაზი დავიკავეთ. ნოყიერ საჭმელს დანატრებულნი, ერთმანეთს არ ვაცლიდით კერძის გადაღებას. გზადაგზა, თეფშიდანვე გეახლებოდით და მერე დაუყვედრებელ გასტრონომიულ რჩევებს ვაძლევდით უკანმდგომთ. ჭამით ნამდვილად კარგად ვჭამეთ. ვგონებ, გაოცებული მიმტანები, ერთმანეთს ეკითხებოდნენ, რა სჭირთ ამ უბადრუკებს, სამი დღეა პამიდვრის მეტი არაფერი უჭამიათ და ახლა კიდევ საქონელს ქათამს ატანენო. ჭამა მადაში მოდისო და სასმელიც მოგვინდა. თან მიზეზიც გვქონდა, საბაბიც და თბილისიდან ჩამოტანილი კაცზე ორი ბოთლი ღვინოც. აბა, გააერთიანეთ მაგიდები და ჩამოიტანეთ ნომრებიდან ღვინოებიო, დაიძახა ვიღაცამ და ყველანი აფუსფუსდნენ, თუმცა კი ნურას უკაცრავად. მაინცდამაინც, იმ დღეს დაემთხვა ებრაელთა პასექი, თუ რაღაც დღესასწაული და ქეიფზე უარი გვითხრეს. ჩვენ ვუთხარით, კაცო, ქეიფი კი არა, პატარა პურის ჭამა გვინდა-თქო, და მაგაზე კიდევ საერთოდ გადაირივნენ. რა პური, რის პურიო?! თურმე, პასექის კვირა რომ იწყებოდა, გამოჰქონდათ სახლებიდან რაც კი პური ჰქონდათ და წვავდნენ. ამ დღესასწაულის განმავლობაში,

პურს ჭამდნენ კი არადა, საერთოდ, არ აცხობდნენ და მთელი ებრაული სამყარო მაცას მიირთმევდა პურის მაგიერ. რაც ყველაზე გასაოცარია, ჩვენც, სტუმრებსაც, მშვენივრად გვაიძულებდნენ, პატივი გვეცა მათი ადათ-წესისთვის და გარეთ, არაბებთან ნაყიდ პურს, სასტუმროშიც კი არ გვაჭმევდნენ.

და აბა, ჩვენ იქ ღვინოს ვინღა დაგვალევინებდა?

არადა, სასტუმრო პოლიტიკა, ზოგადად, მთელს მსოფლიოში, ყოველთვის ორიენტირებულია სტუმარზე და მაქსიმალურად ცდილობს, მომხმარებლის ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილოს, ხოლო აქ ყველაფერი პირიქით გამოდიოდა. მისაღებში ღვინოს მოვწრუპავთ-თქო და არაო. მთავარი რაბინი აქ იმყოფება და შეიცხადებსო. მაშინ ოთახში შევუკვეთავთ რამეს და იქ გეახლებითთქო და ამაზეც ვერაო, რადგან დღესასწაულთან დაკავშირებით რესტორანი დაკეტილია და ოთახების მომსახურება არ მუშაობსო. ბოლოს, პიცას გამოძახება და საბნის ქვეშ მალულად ჭამა, ხომ შეიძლება-თქო და იმათმა, კი ბატონოო, ოღონდ პიცას დაცვა არ შემოგატანინებთ სასტუმროში, რადგან ახლა ქაშერია და აქ რომ პურის ნაწარმი შემოიტანოთ, წაგვიხდება მთელი საიდუმლოებაო. რაღა გაეწყობოდა?! დავნებდით და ნირწამხდარები შევიყუჟეთ ჩვენს ოთახებში. ყველასგან ფარულად და მოგუდულად ვიქეიფეთ თბილისიდან წამოღებულ პასკასა და ღვინოზე. არც სიმღერა გვითქვია, არც ხელი გაგვიშლია და აბა, მეტი რითი უნდა მოგვეხიბლა იქაურნი. დავრჩით ასე აუღიარებელნი და იმათ ვათქმევინეთ, "ჩვენი ორშაბათიც შაბათიაო". და ეგენი კიდევ, შაბათ დღეს ისეთ პატივს მიაგებდნენ, რომ მაგ დღეს საერთოდაც არ შრომობენ და სასტუმროშიც კი, ლიფტი თავისთავად დადიოდა აღმა-დაღმა და ყველა სართულზე აჩერებდა, რათა ამ უკანასკნელთ, ღილაკზე თითის დაჭერის საჭიროება არ გასჩენოდათ.

ჯვრის მონასტერი

აწ უკვე ბერძნების საკუთრებაში მყოფ ჯვრის მონასტერზე მოსმენილი მართლაც ბევრი მქონდა, თუმცა ნანახი ძალზედ მწირე. ისიც, ტელევიზიით, სულ რაღაც ერთი ფრესკა შოთა რუსთაველისა და თან ძალზედ დაზიანებული. მიუხედავად ბუნდოვანი წარმოსახვისა ამ ადგილზე, სულ სხვა, რაღაცნაირი, ამაღლებული შეგრძნება დამეუფლა, როდესაც მონასტრის კარის ზღურბლს გადავაბიჯე და აღმოვჩნდი იმ წიაღში, სადაც წლების წინ და კიდევ უფრო მეტი წლების განმავლობაში ქართველი ბერები იღწვოდნენ. თითქოს ქართული, ჩვენებური და რაღაცით მშობლიურს მიმსგავსებული სული ტრიალებდა იქაურ კედლებში. აი ისე, თითქოს თან შენი იყო და თან ვეღარ ცნობდი. იმდენი ხნის წინ დაგეკარგა, რომ ახლა გეეჭვებოდა კიდეც, ნუთუ ეს ჩემი იყოო?

მონასტერს საკმაოდ მოზრდილი ტერიტორია ეკევა, რაც, რაღა თქმა უნდა, წმინდა მიწაზე დიდ სიმდიდრეს წარმოადგენდა, იქაური მწირემიწიანობის გათვალისწინებით. თეთრი ქვით ნაშენ კომპლექს გარს მავთულბადის ღობე ეკრა და ვგონებ, ერთი თვალის შევლებით, მთლიანი სივრცის შემოხაზვა გაჭირდებოდა კიდეც. მონასტრის გოროზი კედლები, თვალსაც კი სწყვეტდნენ გარე სამყაროს, სულისა რომ აღარაფერი ვთქვათ. თუმცა კი, ჩემი ყურადღება სულ სხვა რაღაცამ მიიქცია. თავი იმდენად შინაურულად ვიგრძენი, მივხვდი, ქართული სულის გარდა, აქ, სხვა რამ ნაცნობიც სუფევდა. და არც შევმცდარვარ. მონასტრის გარშემო მდებარე ტერიტორია შამბნარსა და ეკალბარდში იყო გახვეული. იქაურობას თითქოს ეძინა. ეძინა კი სწორედ იმ ძილით ჩვენს მშობლიურ მიწას, მოუვლელსა და კაცის ხელს დანატრებულს, რომ სძინავს; მწვანეში ჩაფლულს, ტოტებჩამოყრილსა და გაზარმაცებული გლეხივით მიწაზე წამოწოლილს. და გასაოცარი ის კი არ იყო, რომ ამ ქართველთა ძველთაძველ ნავსაყუდელში, ბალახიც კი უდარდელად იზრდებოდა, არამედ ის, რომ იქაური მკვიდრნი მიწას ასე უქმად აცდენდნენ. დიახ, იქ, წმინდა მიწაზე, ნაყოფიერი მიწის ფლობა და არ მოხმარება, წარმოუდგენელი გახლდათ. აკი, ზემოთ ვახსენე კიდეც, იქ მცხოვრებნი ქვასაც კი ახარებენ-მეთქი და დალხენისგან კი არა, არამედ გაჭირვებისგან. გასაოცარია, მაგრამ ჩვენთვის, ყველაზე გასახარი სწორედ ეს გარემოება აღმოჩნდა, რადგან იქ არსებული რეალობიდან და შესაბამისი ლოგიკიდან გამომდინარე, მიწის ფლობა და არ დამუშავება, იმას ნიშნავდა, რომ მიწა არ გეკუთვნოდა. დიახ, არავინ მოინდომებდა სხვისთვის აყვავებული ბაღისა და გამართული წისქვილის ჩაბარებას. და ისინიც თითქოს რაღაცას ელოდნენ.

ამ ამბით გულმოცემული და აღტკინებული, თამამად შევედი საყდარში მოსალოცად. რიგით, ალბათ, ორმოცდამეათე მოსახსენებელი დავტოვე მესანთლესთან და ჩვენი დიდი მგოსანის ერთადერთი გამოსახულების სანახავად გავეშურე. ფრესკა აღდგენილი დაგხვდა და თითქოს სალაპარაკოც ნაკლები იყო, რომ არა თვითონ ჯვრის მონასტერი. ქართული და ბერძნული ხატწერის სკოლა ძალზედ მსგავსი გახლდათ და ალბათ, ყოველთვის, ჩვენ უფრო განვიცდიდით მათ ზეგავლენას, ვიდრე ისინი ჩვენსას, მაგრამ დაკვირვებული თვალი მაინც გამოარჩევდა საკუთარს სხვისგან. როგორ? როგორ და ძალიან მარტივად. გინდა თუ არა, წმინდანთა სახეებს რატომღაც ყველა თავისი წარმოსახვის მიხედვით ხატავს და ისეთს კიდევ ვერაფერს წარმოიდგენ, რაც შენი თვალისთვის უცხოა. ჰოდა, ალბათ ამიტომაც არის, ქართველების მიერ გამოსახულ წმინდანებს უფრო მეტად ქართული იერი დაჰკრავს, ხოლო სხვა ერების წმინდანთა სახეებს კი მათი მოდგმის მსგავსი. მივჩერებოდი სანდომიან სახეებში იმ მრავალ წმინდანთა გამოსახულებებს, რომელთა

სახელებიც კი არ ვიცოდი მე უგუნურმა და გული სიამაყით მევსებოდა. თითქოს ჩემი იყო ის ყველა, ჩემიანი და თითქოს ჩემს სახლში ვიდექი, ჩემი ხატების კუთხესთან.

მთავარ საყდარს, მარჯვენა მხარეს, პატარა ნიშა ჰქონდა, რომლითაც ვიწრო და რკალისებურ დერეფანში გადიოდი, რომლის ბოლოსაც მდებარეობდა ის ადგილი, სადაც მაცხოვრის ჯვრის ნაწილი ინახებოდა. მამაომ, პარაკლისის გადახდა სწორედ იქ გადაწყვიტა და სიმართლე ითქვას, არც ბერძნები გაგვძალიანებიან დიდად. ეტყობა, კარგი თვალით შემოგვხედეს და მალევე დაგვტოვეს მარტო, თუმცა გაგონილი მქონდა, რომ ქართველებს ისევე არ სწყალობდნენ, როგორც "მერცხლის ბუდეში ჩასახლებული აბლაბუდა გაზაფხულს". რადაცნაირი „ჯიგრით" ვილოცეთ და იქ ნათქვამი საგალობელი – ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი – უფრო ლაღი და ჟღერადი იყო, ვიდრე სხვაგან ნამღერი. საოცარი ბედნიერების მომგვრელი გახლდათ თვით შემეცნება აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის შინაარსისა და თან ამ განცდის ერთგვარ ფორმაში მოქცევა, სწორედ წმინდა მიწაზე არსებულ ქართველთა სახელს დაკავშირებულ კუთხეში.

მამაომ ლოცვა დაასრულა და კანდელს დაუწყო ძებნა, რათა ზეთი გვეცხო. ბერძნების ზედმეტად შეწუხება და მათი მოთმინების გამოცდა, ნამდვილად არ ღირდა, ამიტომ ჯერი ისევ იმ ერთადერთ კანდელზე მიდგა, რომელიც იმდენად მაღლა ეკიდა, რომ მხოლოდ კიბეზე შემდგარი თუ მიწვდებოდი. აქ კი, ისევ ქართველთა გამჭრიახობამ იჩინა თავი და ისე მარდად შევადექით ერთმანეთს მხრებზე, რომ გამოცდილ აკრობატთა საცირკო დასსაც კი შეშურდებოდა. კანდელს შევწვდით და მამაომ ზეთიც გვცხო, თუმცა ერთი უხერხული სიტუაცია მაინც შეიქმნა. ბერძნები, ეტყობა, ბოლომდე მაინც არ გვენდნენ და ვიღაც კაცი გამოგზავნეს, დახედე ერთი მაგათ, რამეს ხომ არ აფუჭებენო და თვითონვე წარმოიდგინეთ, რა უცნაურ სურათს შეესწრო ეს ჩვენი მსტოვარი: გაუნძრევლად დგას ორმოცდაათი სახეალეწილი ქართველი, მაღლა, ჭერში ქანაობს ჯაჭვზე დამაგრებული ცარიელი სადგამი და მოდი გამოიცანი, ვინ მალავს ზურგს უკან კანდელს?! ის კაცი სულ ძალით წააბრძანეს, გინდა თუ არა, წამოდი და გვანახე შესაწირი სად არისო. ამასობაში ზეთიც ვიცხეთ და კანდელიც დავაბრუნეთ თავის ადგილზე. ეტყობა, არც ის მსტოვარი იყო გულქვა, რადგან ბერძნებმა არა იწყინეს რა და ჭიქებიც კი გამოგვიტანეს, რათა ჯვრის მონასტერში, საქართველოდან წაღებული წითელი ღვინით დავლოცვილიყავით და კიდევ ერთხელ გვეთქვა:

– ქრისტე აღსდგა!

– ჭეშმარიტად აღსდგა!

ის დღე და შობის ტაძარი

წმინდა მიწაზე ყველაფერი იმდენად გაკვირვებს და ისეთ დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ შეგრძნება გიჩნდება, თითქოს იქამდე საერთოდაც არაფერი გენახოს ამქვეყნად. იმ დღეს საკმაოდ დატვირთული პროგრამა გვქონდა. გიდმა წინა საღამოსვე გაგვაფრთხილა, რომ მომდევნო დღეს, ვიხილავდით გეთსამანიის ბაღს, მთის რუსულ მონასტერს სახელად ეინ-ქარემი, მაცხოვრის შობის ტაძარსა და კიდევ მრავალ იმ ადგილს, რომელიც ჩემს წარმოსახვაში ერთ მთლიანად იქცა. გეთსამანიის ბაღის თემა ჩემში ყოველთვის მძლავრსა და მისტიკურ შეგრძნებებს ბადებდა, რუსული სამონასტრო ყოფა, რომელ მართმადიდებელს არ დააინტერესებდა, როდესაც მათ წიაღში ამდენი წმინდანი იშვა და მაცხოვრის შობის ადგილი კი, მრავალჯერ ვცადე გონებაში წარმომედგინა, თუმცა სულ ტყუილად, რადგან ცოდნა არ მეყო.

გეთსამანიის ბაღი პროტესტანტი კათოლიკების მიერ შესყიდულ ტერიტორიაზე მდებარეობა. პრინციპში, ასე იყო მოწყობილი მთელი იერუსალიმიცა და წმინდა მიწაც. გამოსყიდვის გზით, მრავალი სხვადასხვა კონფესიის მფლობელობაში აღმოჩნდა ის წმინდა ადგილები, ლოცვებშიც კი რომ შეჭნატროდნენ მართლმადიდებელნი. ეგ კი არადა, სხვადასხვა მიმდინარეობები ერთსა და იგივე მოვლენის ამსახველ ადგილადაც კი განსხვავებულ ტერიტორიას ასახელებდნენ. მაგალითად, წმინდა მიწაზე იყო რამდენიმე ხარების, ფერიცვალებისა და ამაღლების ადგილი. ერთნი თვლიდნენ, რომ კონკრეტული მოვლენა აქ მოხდა, მეორენი კი სხვა ალაგს ასახელებდნენ და მესამეთათვის, თქვენ წარმოიდგინეთ, თვით მაცხოვრის საფლავიც, ცოტათი მარცხნივ მდებარეობდა, ვიდრე სხვა დანარჩენთ მიაჩნდათ. ყველა კონფესია საყდარს აგებდა ზუსტად იმ ადგილზე, სადაც მიაჩნდა სწორედ, ჩვენთვის კიდევ, მართლმადიდებელთათვის, წმინდა ელენეს, კონატანტინე დიდის დედის მიერ იყო დაწესებული თითოეული წმინდა ადგილის ზუსტი მდებარეობა.

მაცხოვრის გაცემა ოთხშაბათს მოხდა, ჯვარცმა პარასკევს და ჩვენი "ხილული" ზიარება ყოველივე მომხდართან კი ორშაბათს. მარხვა დამთავრებულიყო, თითქოს განსაცდელსაც გაევლო და მშფოთვარე სულსაც ნუგეში მიეღო. საუკუნოვანი ზეთისხილის ხეები მარადისობას უფრო გამოხატავდნენ, ვიდრე ისტორიას. ისინი მომსწრენი იყვნენ ჩვენი რწმენის დასაბამისა და ძველი მსოფლმხედველობის დასასრულისა. თვით დასრულებულის დასაწყისისა და ერთიც იმდენი უკან. მათში კრძალვა იმდენი ერია, რომ ცნობიერება კრთოდა და შფოთავდა. და სწორედ ამ სიმძაფრეში გაიპარა ერთი ალიყური, თუ წკიპურტი. ვიღაც "დალოცვილმა" ჯერ ბაღის კარი გააღო, მერე შიგ შევიდა და ბოლოს კი საუკუ-

ნოვან ზეთის ხეს ტოტი შეატეხა. იქ ამბავი ატყდა, რომ პროტესტანტები საერთოდ "გაწინააღმდეგნენ" და ქართულად დაგვიწყეს ლანძღვა, ხოლო ჩვენ სულაც არ დავიბენით და უმალ შევუერთდით საკუთარის გაკიცხვაში.

– ერთი ამას დამიხედე, რა დღეშია ეს გოიმი და რაებს აკეთებს?

– კაცო, გაგიგია, რომ გეთსამანიის ბაღში ტოტები ამტვრიო? ტარზანი ხომ არა ხარ, მამაძალი?

– ეხლა ამაი, თავ-ყბა არ უნდა გაუსიო? დამპალი ესა...

– ქაჯია რა, ნაღდი ქაჯი. ამას ბაბუამისის ბოსტანში ჰგონია თავი. მივიდა ჯიგარი და დაკრიფა ოხრახუში.

– საწყალი, რამხელა ცოდვას სჩადის და არც კი ეშინია რისხვისა?!

მოკლედ, იმდენი ქნეს, იმდენი ილაპარაკეს, რომ საჭორაოდ სამი დღე ეყოთ და აგერ, დღეს, მეც გიამბობთ ამ ამბავს. ჯერ ქმარს ეჩხუბნენ, მერე ცოლს. ჯერ თავი გამოიდეს, მერე სხვა ნაწილები. მდულარეც ასხეს და ყინულივით ცივი წყალიც. ვერა და ვერ მოინელეს და ლამის, ცოლიცა და ქმარიც იქ დატოვეს, იმ ერთი ტოტის სანაცვლოთა და საკუთარი რწმენის სწორხაზოვნების თვალსაჩინოებისთვის. ჭირი იქა, ლხინი აქა და ის კი არავის უკითხავს, ნეტა ის ტოტი რაში დასჭირდაო?! იქნებდა მისი იყო. ჰო, დიახაც, მისი იყო და მას უფრო სჭირდებოდა ვიდრე, იმ მრავალსაუკუნოვან ზეთის ხესა და სხვა დანარჩენთ. და განა ყოველი ჩვენი საქციელი ის ჩარჩოა, რომელსაც რწმენა ქადაგებს? არა. და იქნებ ზმანება ჰქონდა, იმ ტოტის ფოთოლო ეჭამა, რათა უშვილობის "ნავსი გაეტეხა" და პატარა მარიამი ეშვა. არ ვიცი, თუმცა ეს ის ადგილი იყო, სადაც ერთმა გასცა და მეორემ კი მიიღო. მიიღო იმიტომ, რომ წინასწარვე იცოდა აღსრულებისა და განგების ჩანაფიქრისა.

შემდეგი გაჩერება იყო მთის რუსული სამონასტრო კომპლექსი სახელად ეინ-ქარემი, რომელიც თვალსაჩინო ადგილას, ქალაქის თავზე მდებარე ფერდობზე იყო აშენებული. მონასტერს საკმაოდ დიდი ტერიტორია ეკავა და მისმა ოქროსფრად მოელვარე გუმბათებმა, თვალი შორიდანვე, ჯერ კიდევ გზაში მოგვჭრა. იდეალურ სისუფთავესა და მწვანეში ჩაფლული, ყოფისგან მოშორებით მყოფი ეს პატარა სამოთხე, ქალის პეწით სუნთქავდა. დიახ, დედათა მონასტერი იყო და ის მადლი რაც ქალშია ღვთისგან ჩადებული, იქ თვითოეულ ფოთოლშიც კი იკითხებოდა. მოკლედ, ვიხილეთ საოცრად ლამაზი სამონასტრო კომპლექსი და მოვილოცეთ რამდენიმე სხვადასხვა წინდანის სახელობის ტაძარში. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი აღმოჩნდა ერთი შედარებით პატარა საყდარი, რომელიც იმ ადგილზე იყო აგებული, სადაც ღვთისმშობელი და წმინდა ელისაბედი შეხვდნენ ერთმანეთს და მუცლადმყოფმა იოანემ ამოიცნო მარიამი, როგორც დედა ღვთისა და მისი ნაყოფი კი, როგორც ძე ღვთისა. სწორედ ამ შეხვედრის ამსახველი გახლდათ, ის მთავარი ხატი, რომელასაც ყველა მომლოცველი რუდუნებით ეამბორებოდა. ერთმანეთზე ჩახუტებული ღვთისმშობელი და წმინდა ელისაბედი, გახარებული სახეებითა და ყმაწვილური ბედნიერებისთვის ჩვეული ნაპერწკალით მზერაში. და ალბათ, მაშინ არც ერთმა იცოდა, რომ ორთავეს მუცლის ნოყოფს წინ ელოდა კაცობრიობის სიბნელიდან გამოხსნა და მოწამებრივი სიკვდილი.

ამ ადგილებიდან კიდევ მრავალი რამ გაგვყვა გასახსენებელ-მოსაგონარი, თუმცა კი, დარწმუნებული ვარ, რუს დედაოებსაც საკმარისად დარჩათ წარუშლელი შთაბეჭდილები ჩვენი იქ სტუმრობის შემდეგ. საქმე იმაში გახლდათ, რომ სამონასტრო კომპლექსში შედიოდა ერთი პატარა საეკლესიო ნივთების მაღაზია, რომელშიც საკმაოდ ფართო არჩევანი და დაბალი ფასი იყო ეგრეთ წოდებულ აკიმოვის ნაკეთობებზე. ჯგუფის ხელმძღვანელმა თავიდანვე გაგვაფრთხილა, რომ ვისაც სურდა ასეთი ჯვრებისა და მედალიონების შეძენა, სწორედ მთის სამონასტრო კომპლექსამდე შემოენახა თავი. და თქვენ წარმოიდგინეთ, ქართველებმა მართლაც ისმინეს მისი რჩევა, მიუხედავად იმისა, რომ სხვა დროს მის მუდარასაც კი აინუნში არ აგდებდნენ. ჰოდა, იმ მაღაზიაში შესვლა და გაცხოველებული ვაჭრობის დაწყება ერთი იყო. სამწუხაროდ, ვიტრინა, რომელშიც ეს მოოქროვილი ვერცხლის ნაკეთობები გამოეფინათ ერთი იყო. ასევე ერთი იყო გამყიდველი მონაზონიც და ჩვენ კი ვიყავით მრავალნი, წინასწარ გაფრთხილებულ-აჟიტირებულნი და დანაზოგ-თავშემონახულნი. ისეთი ჭიდაობა, ერთმანეთის ჭკუის სწავლება და დოლარების ფრიალი გაიმართა, რომ საწყალ მონაზონს ლამის ტირილი აუტყდა. ვიღაცა ვიღაცას აგრესიულად უყვიროდა და ვიტრინასთან, პირველ ხაზში, შეძრომას ცდილობდა. ვიღაც მეორე, ზეთებითა და ხატებით სავსე თაროს შეასკდა და ძირს გადმოაპირქვავა სრულიად ყველაფერი. ვიღაც მესამემ კი, რაც ხელში მოხვდა ბოხჩაში გამონასკვა, საორიენტაციო თანხა სადღაც შეკუჭა და ხმაურით გავიდა მაღაზიიდან. მოკლედ, კომპლექსი ისე დავტოვეთ და კარი ისეთი ხმაურით მოგვიხურეს, ფეხი რომ მოგყოლოდა და ორი დღე გეყვირა, არა მგონია, ვინმეს გაერისკა და ჭიშკარი ერთხელაც გამოეღო. ასეთი გაცხოველება რწმენაში რომ გვქონოდა, როგორც მომხვეჭველობა-აღებ-მიცემობაში, ალბათ, გაბრწყინებულ ივერიაში ჯერ კიდევ ჩვენი შორეული წინაპრები იცხოვრებდნენ.

პირადად ჩემთვის, მაცხოვრის შობის ტაძარი, ისეთივე უცნაური და მისტიკური ადგილი იყო, როგორც ქრისტეს საფლავი, ოღონდ ცოტათი ფორმითა და შინაარსითაც განსხვავებული. თვითონ შობის ადგილი, სადღაც დაბლა, მიწისქვეშ, ერთგვარ მღვიმეში მდებარეობდა და არა ღია სადგომში, როგორც მე წარმომედგინა. ეტყობა, დროსა და მცოცავ ქვიშას განედი ეცვალა და ის რაც ადრე ხილული იყო, ახლა თვალს ემალებოდა. თავად საყდარი საკმაოდ მოზრდილსა და მაღალჭერიან ნაგებობას წარმოადგენდა. ტაძარში შესვლისას ყველაზე მეტად თვალში საცემი იყო კედლის ფერწერა, მაღალი სვეტები და არატიპიური ჭერი. ჩვეული კედლის მხატვრობის მაგიერ, საყდარი ჩამქრალი ოქროსფერი მოზაიკით იყო გაწყობილი

და მზის სხივების მოხვედრისას წმინდანთა სახეები საუცხოოდ ანათებდნენ. თვითონ ეკლესიის იატაკი ქვის დიდი ფილებით იყო გაწყობილი და რუხი თეთრიც მეტ სისადავეს მატებდა ტაძარს. ხოლო მაღალი სვეტები, რომლებიც ტაძრის ორივე მხარეს ერთმანეთისგან ყოველ სამ მეტრში იყვნენ განთავსებულნი, ერთგვარი ფლიგელების შთაბეჭდილებას ქმნიდნენ, რომლის შუაშიც დიდი დარბაზი მდებარეობდა. თავად ჭერი კი, სხვა ეკლესიებისგან განსხვავებით, არა გუმბათოვანი და ან ბაზილიკური ტიპის იყო, არამედ, უბრალოდ დიდი, მთელს სიგანეზე გადებული, ხის კოჭებით გაწყობილი გახლდათ. არც აგური და არც ქვა. არც ვარსკვლავები და არც სხვა. მხოლოდ და მხოლოდ ნალესი და ყავისფერი ხის კოჭები. ისეთი განცდა გეუფლებოდა, თითქოს დიდში პატარა და ამ პატარაში კიდევ, უფრო პატარაზე დიდი იყო.

საყდარი მართმადიდებლური გახლდათ და როდესაც შევედით, ბერძნები მწუხრის ლოცვას კითხულობდნენ. მრევლი კანტიკუნტად იყო და უფრო მომლოცველნი ჭარბობდნენ, რომელნიც შობის ადგილის სანახავად რიგში იდგნენ და თავის ჯერს ელოდნენ. ხალხი ძირითად ამ სვეტებისგან წარმოქმნილ მარჯვენა ფლიგელში იდგა, რომლის ბოლოშიც მდებარეობდა მაცხოვრის შობის ადგილას ჩასასვლელი ნიშა. ტაძრის შუაგული დარბაზი ფაქტიურად ცარიელი იყო და ის მცირეოდენი მრევლიც კი, რომელიც მწუხრს ესწრებოდა, საკურთხევლის წინ მდებარე უფრო მომცრო დარბაზში მდგომ სკამებზე იჯდა. ჩვენც იმავ რიგში ჩავდექით და უკვე ჩვევად ქცეული მოლოდინი და გულის ფანცქალი "მოვირგეთ ტანზე". დაღლამ იმძლავრა. ზოგი სვეტს მიეყრდნო, ზოგმა ჩაიცუცქა და ზოგს კიდევ სრულიად გასაოცარი უნარი აღმოაჩნდა იმისა, რომ გააკვირვა ყველა ერიცა და იქ მყოფი ბერიც.

– ვა, ვალიკო ძია, ლუდსა სვამ?

– ჰო, აბა, რა ვქნა, თავი ხომ უნდა გავირთო რამით?

– და ლუდის სმით კაცო და თან ტაძარში?

– მა რა, განა ვინმემ აკრძალა ლუდის დალევა ეკლესიაში?

– შენ რა არ იცი? ყველაფერი კი არ ითქმის, მაგრამ სინამდვილეში კიდევ სულ სხვანაირად ხდება?!

– კაცო, ჩემი ცოლი ყოველდღე მიწაში მდებს და მერე დილით უკან ამოვყავარ, წადი იმუშავეო და განა ყველაფერი ეგრე ხდება?!

– ცივი თუა ეგ ლუდი.

– კი, ჩაგიციებდა ვინმე?! ეს, ჯერ კიდევ პალესტინის ტერიტორიაზე ვიყიდე და თან წყალივითაა.

– აბა, ეგ მაშინ უალკოჰოლო იქნება. მანდ მუსულმანები ცხოვრობენ და ალკოჰოლი მაგათ რწმენით ეკრძალებათ.

– მართალს მეუბნები? ფუ, აბა, მეც არა ვთქვი, მთელი დღეა ამითი ვიჭყიპები და გრადუსი კიდევ საერთოდ არა აქვს.

– მერე არაყსაც ხომ აყოლებ ხოლმე?

– შენ ჩემს მხარეზე ხარ თუ ჩემი ცოლის? ის არ მეყოფა მოსამართლედ, ახლა შენ რომ შემიჩნდი. წადი ბიძია და თუ გინდა, სიკეთე ქნა, მიყიდი ერთი ქილა ალკოჰოლიანი ლუდი.

– ეჰ, უხერხულია მაინც საყდარში ლუდის სმა და ასე რიგში "ტუბორგის" ქილით დგომა.

– ეჰ, შვილო, უხერხულია დანაკარგს რომ ვერ ინაზღაურებ, თორემ დანარჩენი დეტალებია და თან სულ უხეირო.

ვალიკო ძიას, ასე ეძახდნენ მას, ერთადერთი შვილი ჰყავდა გარდაცვლილი. პირველად რომ დავინახე, ლუდს როგორი სიმწრითა და ამავდროულად ნეტარებით სვამდა, მივხვდი, რომ დიდ სევდას ატარებდა გულში. ან კი რა მიხვედრა უნდოდა? კაცი იერუსალიმში იყო, იქაურობის ინტერესით დიდად არ იწვოდა და ერთადერთი რაც სიამოვნებას ანიჭებდა, ეს იყო ხარბათ, გაშმაგებით ლუდის სმა და მათარიდან არაყის წრუპვა. ორივეს, ცოლ-ქმარს, შავ ფერებში ეცვა და მათ ამ მოგზაურობას, უფრო საკუთარი სიამოვნებისა და შთაბეჭდილებათა მიღების ელფერი კი არადა, სხვისთვის მისაგები პატივის ტონები დაკრავდა. ცოლი, აშკარად ლოცვა ახალნასწავლი და ახალბედა იყო მორწმუნე დედათა შორის. ქმარი კიდევ, საერთოდ, გაღმა ნაპირის მკვიდრი, რომელიც სვამდა არა თრობისთვის, არამედ ხიდის გადებისთვის გამოღმა ნაპირთან. ეჰ, ღმერთმა ყველას აშოროს ის სიმწარე, რაც მათ მზერას დასდევდა და იმათ შვილსაც დაუმკვიდროს ადგილი, სადაც მართალნი განისვენებენ.

ჩვენი ჯერიც დადგა. და ვიხილეთ ადგილნი მაცხოვრის შობისა და ბაგაში ჩაწვენისა. მუხლმოყრილებმა შემოვიარეთ იქაური მდვიმე და სიმართლე გითხრათ, ნახევარზე მეტი, აღარც კი მახსოვს, რადგან იმდენად დიდი იყო განცდა ზიარებისა უწმინდეს ადგილებთან, რომ მგონი, ტვინიც კი სხვანაირად მუშაობდა იმ ალაგებში. ერთადერთი, რასაც ყველაზე მკაფიოდ ვარჩევდი, ეს იყო ჭერში კანდელების სიუხვე და ბაგეზე სიტყვის სიმცირე. ზემოთ კაშკაშა მანათობლები და ტუჩზე კიდევ ორად ორი სიტყვა: "უფალო შემიწყალე". ნაღდი, შიშველი სული და ნაღდი, შიშველი გრძნობები.

აღდგომა

„ვია დოლოროსა" ეს არის გზა და მარშრუტი, რომლითაც ყოველი მომლოცველი, თუ ტურისტი შეჰყავთ ძველ იერუსალიმში. ეს არის გზა, რომელიც მაცხოვარმა გაიარა განაჩენის გამოტანიდან, მის აღსრულებამდე. პილატეს სასახლიდან გოლგოთამდე. უამრავი ადამიანი ირევა ამ მონაკვეთში და ყველა ცდილობს, რომ დასაწყისშივე შეიგრძნოს ის მისტიციზმი, რაც ამ ქალაქში სუფევს. თითქოს მხედველობა, სმენა და ყნოსვა, ანუ მოწინავე შემეცნების უნარები უკან იხევს და ხელით შეხება ხდება ყველაზე ეფექტური რეცეპტორი იქაური სამყაროს აღთქმაში. ეფექტური, რადგან იქ არის ადგილი, სადაც მაცხოვარი პირველად შეჩერდა; ადგილი სადაც მაცხოვარმა პირველად ჩაიმუხლა; ადგილი სადაც მაცხოვარმა სახე შეიმშრალა; ადგილი სადაც მაცხოვარმა შეისვენა და ხელით მიეყრდო კედელს; ადგილი სადაც მაცხოვარმა გაირა... და ეს უკვე სრულიად საკმარისია, რომ საბოლოოდ აიჭრა. ადგილი, ხელი, შეხება

და შემეცნება. სწორედ ეს უწყვეტი ციკლი არის „ვია დოლოროსა", რომელიც შედგება თოთხმეტი გაჩერებისგან და თოთხმეტი მძიმე ამოსუნთქვისგან. ყველაფერს ჩვილი ბავშვივით ხელით ეხები, ეამბორები დახეთქილი ტუჩებით და ტირილს იწყებ უხეირო საქციელზე წასწრებულივით. ყველაფერი თავდაყირა დგება. რაც მიუწვდომელი გეგონა, იქმნა ხელშესახები, რაც შორეულად მიგაჩნდა, აღმოჩნდა სულ ახლოს და რაც სხვისი იყო, თურმე შენიც ყოფილა. ეს ყველაფერი გადადის დიდსა და უსასრულო აღქმის ჯაჭვში, რომლის თავიცა და ბოლოც ხელში გადნება. და ალბათ, მაშინ გრძნობ ყველაზე კარგად, რომ ხარ მთლიანის ნაწილი და არა „ეგოგანსაკუთრებული".

ლომების ჭიშკრიდან შევედით იერუსალიმში და ისე გავიარე მთელი „ვია დოლოროსა"-ს გზა, რომ უკან, მგონი, ნაკვალევიც კი არ დამიტოვებია. თითქოს, ბუმბული ვიყავი და ქარი მიმაქროლებდა იქაურ ვიწრო ქუჩებში. ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ იმის ღირსი ვიქნებოდი, იერუსალიმში მოვხვედრილიყავი და იგივე გზა განმევლო, რაც მაცხოვარმა განვლო. მართალია, ფოტოაპარატითა და გაოგნებული სახით, მაგრამ მაინც.... არადა, ბევრს სწორედ ის მიაჩნდა მადლად, რომ მხარზე გადებული ჯვრით გაევლო მთელი ეს გზა. ამიტომაც, ქირაობდნენ უზარმაზარ ჯვრებს და ასე მხარზეჯვარგადებულნი, ნელი სვლით მიიწევდნენ გოლგოთისკენ. ჩემთვის ეს ყველაფერი, სახარბიელოც იყო და სასაცილოც. რა ვიცი, განა მარტო ჯვრის ზიდვა იყო მაცხოვრის ხვედრი?! თუმცა კი, ალბათ, მთავარია გჯეროდეს, გინდოდეს, განიცდიდე და არამგონი, რამე დასაძრახი იყოს ასეთ საქციელში.

და მერე იყო ბოლო გაჩერება. ბოლო რადგან გოლგოთა, გარდმოხსნის ადგილი და მაცხოვრის საფლავი ერთ ტაძარში არის. ისე ბოლო გაჩერება უხეში ნათქვამია, რადგან სწორედ აქ, ერთი გზა დასრულდა და მეორე კი დაიწყო. და ეს იყო სრული შოკი. ასეთი სიდიდის, არქიტექტურისა და სულიერების მომცველი საყდარი ცხოვრებაში არასდროს მენახა. არა, აშკარაა, რომ ეს ტაძარი დროსა და სივრცეში, ეპოქის მიხედვით იზრდებოდა და იძენდა ახლებურ სახეს, თუმცა რეალობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მოვკვდი და გავცოცხლდიო, ალბათ, სწორედ იქ თქვა ვიღაცამ პირველად?! ეს არ იყო ჩვეული ეკლესია, რომელშიც ჩვენ წირვასა თუ ლოცვას ვესწრებოდით. ეს იყო დასაბამი ჩვენი რწმენის განსაკუთრებულობისა და განსხვავებულობისა. ერთ საყდარში ერთდროულად რამოდენიმე ეკელსია მდებარეობდა და არა მარტო ტერიტორიული განლაგების სხვაობით, არამედ ჯიშისა და მოდგმის მრავალფეროვნებითაც. ერთი კუთხე იყო ბერძნების, მეორე სომხების, მესამე კათოლიკეების, მეოთხე კოპტების და მეტს მე ვერ გავწვდი, თუმცა კი ერთი ვირწმუნე, რომ დღეს იქ ქართველებს არაფერი გვეკუთნოდა.

იმ დღეს, მაცხოვრის საფლავი დაკეტილი დაგვხვდა. ეტყობა, აღდგომისთვის ემზადებოდნენ და სიწმინდეს მოძალებული მნახველისგან იცავდნენ. იმდენი ხალხი ირეოდა, რომ გადაადგილება ჭირდა. უმეტესი სიწმინდეების ნახვა და ხელით შეხება მაინც შევძელით. ავედით გოლგოთაზე და ვიხილეთ, მაცხოვრის ჯვარცმის ადგილი. შემდეგ უკან ჩამოვედით და მუხლი მოვიყარეთ ქრისტეს გარდმოხსნის ადგილზე, სადაც მირონმდინარი ქვა იყო განთავსებული. და კიდევ ბევრ რაღაც მნიშვნელოვანს ვეზიარეთ, თუმცა ჩემი გონება ამდენს ვეღარ გაწვდა. ასვლა და ჩასვლა, სიბნელე და სინათლე, ფერები და ერთი ტონი, თვალუწვდენელი გუმბათი და ვიწრო მდვიმეები, მოკლედ ყოველივე ეს, ტვინის ხვეულებში ერთ დიდ მოგონებათა ლაბირინთად იხვეოდა და სადღაც ფსკერზე ილექებოდა.

სამაგიეროდ, მეორე დღეს ვიხილეთ მაცხოვრის საფლავი. და ეს იყო განცდა, რომელიც, თითქოს, მთელი სიმძაფრით ვერ შევიგრძენი. მეგონა, რომ უფრო, თუმცა კი, არ ვიცი... რატომღაც ჩემი ახლობლებიდან, მხოლოდ მე შევამჩნიე, რა უცნაური ქრისტეს გამოსახულებიანი ხატი ეკიდა საფლავის თავზე, ხოლო დანარჩენთ თავიც კი არ აუწევიათ ზევით, იმდენად მძიმე ცრემლები მოსდგომოდათ თვალზე. მეწყინასავით, თუმცა ვერავინ დავადანაშაულე. და განა იმიტომ, რომ მე რაღაც განსაკუთრებული ვარ? არა, უბრალოდ მე უფრო სხვა...

მაცხოვრის საფლავთან მისასვლელი ჯებირებით იყო შემოფარგლული, რათა მომლოცველთა ქაოტური ნაკადი, ერთგვარ კალაპოტში მოექციათ. ეს რიგი კი, არც ისე ვიწრო იყო, რომ ხუთი მხარდამხარ მდგომი კაცი ვერ დაეტია, თუმცა აგზნებული ხალხი მაინც გამუდმებით ერთმანეთსა აწყდებოდა და შესაბამისად ჯებირებსაც, რომლებიც წარამარა იქცეოდა. რიგის ბოლოს კი იყო პატარა, ორ ბოძს შორის გასაძრომი ადგილი, რომლითაც გადიოდი აკლდამის ტიპის მომცრო სამლოცველოსთან, რომლის შიგნითაც მდებარეობდა მაცხოვრის საფლავი. ჰოდა, სწორედ ამ პატარა გასაძრომში გაძრომისთვის ისეთი ამბავი ხდებოდა, რომ მუჯლუგუნების რტყმასა და უცხო ენაზე მოყენებულ შეურაცყოფას არავინ ჩიოდა, ოღონდ იქ გამძვრალიყო?! საფლავის შესასვლელში კი იჯდა ბერძენი მოძღვარი თუ ბერი, რომელიც რბილად რომ ვთქვათ, არეგულირებდა სამლოცველოში შესვლის პროცესს. ჰოდა, სწორედ ამ ადამიანს, ისეთი მძლავრი ქარიზმა და მარჯვენა ჰქონდა, რომ მის ერთ გამოხედვაზე ასობით კაცი ადგილზე ხევდებოდა, ხოლო ხელის ერთ აწევაზე ორასობით ძირს ერთხმოდა. მისი ეს თავისებურება ხასიათისა, პირველად მაშინ შევნიშნე, როდესაც აღნიშნული პიროვნება, რაღაცაზე ძალზედ გაჯავრდა და დაბლა დავარდნილ ჯებირებს დაეძგერა. დაუნდობლად დაეჯაჯგურა ფოლადის ამ ნაკეთობას და მერე ისეთი ძალით მოაწვა რიგში მდგომთ ამავე ჯებირებით, რომ წეროსავით ცალ ფეხზე მდგომი დამტოვა. შემდეგ, ვიღაც რუსის ბიჭთან მიიჭრა, რომელმაც ხმადაბლა მოგვიბოდიშა, უკაცრავად რომ გაწვებით, უბრალოდ, მეც მაწვებიანო და ისე ოსტატურად მოისროლა რიგიდან, რომ იმ უკანასკნელს თავი ბოლომდე რიგში ეგონა. ბრაზი ყელში მომადგა, თუმცა კი რას ვიზამდი? ის კაცი კი, არც ამას დასჯერდა და ერთ გოგოს, რომელმაც მისი ეს ქმედება გააპროტესტასავით, ისეთი მუჯლუგუნი გაჰკრა, რომ საწყალი ძირს გა-

ცურდა და დაბერილი ტუჩები ნიკაპზე ჩამოეწელა. სულ ბოლოს, ინგლუსურადაც გაგვლანძდა უკლებლივ ყველა და ბაყბაყდევივით "თავზე მოექცა შესასვლელს". იჯდა ასე განრისხებული და სრულიად თავისი სუბიექტური შეხედულებებისამებრ უშვებდა ხალხს მოსალოცად. გაანჩხლებული სკოლის მასწავლებელივით ხან ვის გაისტუმრებდა გარეთ და ხან ვის. ერთის თმის ფერი არ მოსწონდა და მეორესი კიდევ წვერის სიგრძე. მართალია, თავიდან, ვერ გავიგე, რატომ იყო ეს ყველაფერი ასე მოწყობილი, თუმცა კი ერთს გუმანით მივხვდი, რომ შემთხვევით არაფერი ხვდება და ალბათ, ამ კონკრეტულ ადგილას, სწორედ ასეთი კაცი იყო საჭირო, რათა რელიგიურ ექსტაზში მყოფ ხალხს, პატარა კენჭებად არ დაეშალა იქაურობა და სუვენირად არ წაეღო სახლში.

და დადგა ჩვენი ჯერიც. ოთხნი შევედით აკლდამაში. მე, ჩემი მეუღლე, ჩემი დეიდაშვილი და ერთიც, ვიღაც უცნობი. ჯერ მოვხვდით რაღაც პატარა სამლოცველოში, შემდეგ გავძვერით პატარავე ნიშაში და იქ კი ფეხზე მდგომი, მე მგონი, არც არავინ ყოფილა ოდესმე. "მუხლიჩოქა" მივუახლოვდით საფლავს და ისე დავემხეთ ზედ, რომ თვალი არავის გაუხელია. ქალებს ისტერიული ტირილი აუტყდათ. საკუთარი სისხლივით დასტიროდნენ უფლის ძეს და მეც ძალიან მომინდა, მეტირა, მაგრამ არ გამომივიდა. ვიდექი ასე მუხლმოყრილი, მექანიკურად ვკოცნიდი საფლავის ქვას და გაზუთხულივით ვიმეორებდი "უფალო შემიწყალე"-ს. სწორედ მაშინ ვიგრძენი, რომ ქვა ქალებისთვის უნდა დამეთმო. სწორედ მაშინ ვიგრძენი, რომ ისინი გოდებდნენ და მე კიდევ უღირსად ვიდექი. და სწორედ მაშინ წამოვიწიე და ვიხილე ის უცხო ხატი მაცხოვრისა, რომელმაც ძალზედ დამთრგუნა და დამაბნია. სახეში მიყურებდა მკაცრი გამომეტყველების, ასაკოვანი და ჭაღარაშერეული კაცი. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეჩვენა და ის, სულაც არ იყო ის ქრისტე, რომელსაც მე შევაჩვიე თვალი. ელვასავით დამკრა თავში, რომ ეს იყო საფლავი და საფლავი კიდევ ვერასდროს იქნებოდა ისეთი, როგორიც სიცოცხლე არის. "დიდება შენდა ღმერთო", აღმომხვდა უნებურად და საშინელმა სინანულის გრძნობამ მშთანთქა. თურმე რა ყოფილა და მე კიდევ რას ველოდი-მეთქი?! აქ ჯერ სიკვდილი იყო და მერე კი ხორციელად აღდგომა. მე კიდევ, ვგონებ, პირიქით მეგონა. ერთხელაც ვემთხვიე იმ ადგილს, სადაც მაცხოვრის ცხედარი დაკრძალეს და ვალმოხდილი გამოვედი „საკუთარი თავიდან". ისეთი გრძნობა მქონდა, ენითაღუწერელი და მე კიდევ დავწერე, იქ ყველა იმას პოულობს, რასაც ეძებს-თქო?!

აღდგომის ღამეს პირველად ვნახე ხმა და ცრემლი ერთ ფორმაში. იქ ვიგრძენი, რომ ცრემლსაც ხმა ჰქონდა და თანაც ხორხისმიერი. მაცხოვრის საყდარში ტევა არ იყო. სადაც ლიტურგია მიმდინარეობდა, იქიდან მხოლოდ გულწასულები გამოჰყავდათ აქეთ, თორემ შიგნით შესული მე არავინ მინახავს. ეს შიგნით და გარეთ კიდევ, პირობითი სიტყვები იყო, რადგან რეალურად, ერთი საყდრიდან გამოდიოდი და უკვე მეორეში იყავი. მე და ჩემი მეუღლე მაცხოვრის საფლავთან მდებარე მარჯვენა დარბაზში აღმოვჩნდით. მართმადიდებლების საკურთხეველი საფლავთან მდებარე პატარა სამლოცველოში მდებარეობდა, კოპტებისა ამ აკლდამის უკანა კედელზე მიდგმულ ასევე მომცრო ფარდულში და გრიგორიანელები კიდევ თავისთვის, ცალკე, სწირავდნენ. მართალია, ხედვით ბევრს ვერაფერს ვხდავდით, თუმცა კი სმენით, ყველაფერი მშვენივრად გვესმოდა. და ალბათ, იმ წუთში, როდესაც იერუსალიმის პატრიარქმა სრულიად საქრისტიანოს მიულოცა აღდგომა, იქ გულისყურით შესაგრძნობი უფრო მეტი იყო, ვიდრე თვალით დასანახი. ყველა ერი თავის ენაზე გაჰყვიროდა ქრისტე აღსდგას და ეს იყო ჭეშმარიტი სულის ძახილი. სწორედ ეს იყო ცრემლის ხმა, რომელიც მანამ ამოდიოდა პირიდან, სანამ მლაშე წვეთი ხორხს გასცდებოდა.

ერთი ვინმე ყოჩაღი დაიყვირებდა ქრისტე აღსდგაო და დანარჩენნი, თავისენოვანნი ბანს აძლევდნენ ჭეშმარიტად აღსდგაო. და ეს იყო სრული საოცრება. სუნი, ხმა, ლანდი... მაცხოვრის საფლავზე აგებულ პატარა სამლოცველოს გარს ხარაჩოსმაგვარი ლითონის კონსტრუქცია ერტყა, ეტყობა გამაგრების თვალსაზრისით. სწორედ ამ სარტყელზე იყვნენ ამძვრალნი ყველაზე მარდნი და იქიდან ახარებდნენ დანარჩენთ ამ ბრწყინვალე დღესასწაულის დადგომას. დაიძახებდა ერთი "ხრისტოს ვასკრეს" და აჰყვებოდა სხვა დანარჩენი "ვაისწინუ ვასკრეს"-ო. მერე მეორე, ოღონდ უფრო ხმამაღლა და თან თავის ენაზედ: "ხრისტოს ამბიას" და დანარჩენნი - "ადელავანტე ამბიას". ასეთი გულისამაჩქროლებელი კიდევ მრავალი სიტყვა ითქვა იქ და აღარ უჩანდა ბოლო ჟინის დაცხრომას. საოცარი მუსიკა ერთიანობისა და ერთსულოვნებისა სიმფონიურ ორკესტრში აჟღერებული სხვადასხვა საკრავის ერთხმოვანებისამებრ ერწყმოდა ერთმანეთს, თუმცა კი ჩემთვის, ჩვენი ქრისტე აღსდგა, ყველაზე ნაღდი გამოდგა. მე და ჩემი მეუღლე ისე ვიდექით, რომ ქართველთაგან ვერავის ვხედავდით. უაზროდ ვაწყდებოდით ხან ერთსა და ხანაც მეორე მხარეს, რათა ეიფორია მოძრაობაში გადაგვეყვანა. ხან ერთ საყდარში ვცდილობდით შესვლას და ხანაც კი მეორეში. სხეული მღელვარებას ვეღარ იტევდა და სწორედ ამ დროს ვიღაც მადლიანმა სულ სხვა მუსიკა დაუკრა. ქართულად დასჭექეს "ქრისტე აღსდგა"-ო და თურმე ჩვენც ბევრნი ვყოფილვართ. "ჭეშმარიტად აღსდგა"-ო, ისეთი ხმითა და სულისკვეთებით იხუვლა დანარჩენმა, რომ უფრო მეტნი გამოვჩნდით, ვიდრე სინამდვილეში ვიყავით. მეცა და ჩემი ცოლიც, უაზროდ მოვწყდით იმ ადგილს სადაც ვიდექით და იქით გავიკვლიეთ გზა საიდანაც ხმა ისმოდა. თითქოსდა, ვიღაც გვეძახდა და სწორედ იქ ხდებოდა რაღაც ძალზედ მნიშვნელოვანი. კიდევ ერთხელ დასჭექეს და კიდევ ერთხელ შეაგებეს. ახლა მეორე მხარეს გავიბრძოლეთ, თითქოს უჩვენოდ რამე საქმე გაფუჭდებოდა და აუცილებლად იქ უნდა ვყოფილიყავით, სადაც სხვა დანარჩენნი. მერე მესამედ, მეოთხედ, მეხუთედ დაიძახეს და მივხვდი, რომ ისევ იმ ადგილზე ვიდექით, სადაც უწინ, უბრალოდ ჩვენი სული ხარობდა და ეხეთქებოდა საყდრის კედლებს, თორემ სიხარულის ცრემლით "დაცვარული" სხეული არც კი

განძრეულა.

დაიწყო ლიტონიობა. ჩაქრა შუქი და აკიაფდა კელაპტრები. ჯერ რაღაც უცხო, ყრუ და უხეშმა ხმამ გააპო ვედრებით დამუხტული ჰაერი. ხმას ბგერები მოჰყვა და ბგერებს კიდევ თეთრქუდიანი კოპტები. მსვლელობას წინ ორი ცილინდრისებურქუდიანი მამაკაცი მოუძღვებოდა, რომელთაც ხელში რკინის დიდი ჯოხები ეპყროთ და ყოველი ნაბიჯის გადადგმისას მძლავრად ურტყამდნენ ქვის იატაკს. ისეთი მჭახე ხმა წარმოიქმნებოდა, რომ უნებურად გზას უთმობდი და სწორედ ამ დროს, ჰაეროვნად ჩაგივლიდა გვერდით ათიოდე გულშიხატებჩაკრული კოპტი. მოდიოდნენ უდრტვინველად და გალობდნენ მარტივად, თუმცა კი ამ სიმარტივეშიც იყო ღვთის უსაზღვრო სიყვარული და განსაკუთრებული მისტიკა. და ალბათ, რთული თვით ღმერთიც არ იყო, რადა თქმა უნდა, ჩვენ თუ არ მოვისაზრებდით მას ასეთად.

მერე ბერძნებმა დაიწყეს მსვლელობა და სომხებმაც უმალ მხარი აუბეს. საერთოდ, იქ, როგორც მე დავინახე, არაფერი არ ხდებოდა უერთმანეთოდ. ანუ, ბერძნები იწყებდნენ, სომხები იტაცებდნენ და სომხები რომ იკვეხნიდნენ, ბერძნები იმასაც ჩემულობდნენ. თითქოს უხილავი, თუმცა კი საასკარაოზე გამოტანილი პაექრობა დაუსრულებელ ჭიდილში გადასულიყო. თითქოს ქრისტეს სიყვარულში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, თუმცა კი უფრო ხორცს იყოფდნენ ერთმანეთში. ერთის წირვის გასრულებისასაც კი, ყველა სხვა დანარჩენი კონფესის წარმომადგენელი გამოდიოდა და თავის კუთვნილ ადგილას დგებოდა საყდარში, რათა სხვა დანარჩენებისათვის კიდევ ერთხელ შეეხსენებინა თავისი ყოველწუთიერი არსებობა და უფლება. ესეც ადამიანი იყო და ისიც. ორივეს უყვარდა ღმერთი, თუმცა კი, სამწუხაროდ, არ გიჟდებოდნენ ერთმანეთზე. ლიტონიობისას ყველამ რიგრიგობით დაარტყა წრე იმ ადგილებს, რომელიც მას ეკუთვნოდა და შემდეგ ყველამ თავისი წირვა გააგრძელა. ოღონდ, რაღა თქმა უნდა, თავის ენაზე და ერთდროულად. საოცარი იყო ყოველივე ამის ხილვა და სიტყვა კი არა, სრულად ყველაფრის შეგრძნებაც კი ჭირდა.

ზიარების დრომაც მოატანა და ყველა იქ მყოფმა უკეთ მოირგო მხრებზე თავისი უხილავი ჯვარი. გაშალეს ცოდვით სავსე კალთები და მუდარით აღსავსე მზერა მიაპყრეს ჯვარცმულ მაცხოვარს, რათა მას კიდევ ერთხელ, ერთი ხელის მოსმით დაეფერთხა ისინი. დრო გაიწელა. კალთები დამძიმდა. ჯვრებმა ბეჭები გადაქლითა. მადლის მომლოდინე ხალხი აზვირთდა და რომ არა ბარძიმის შიში და კრთომა, ალბათ, მოძღვრებსაც გადათელავდნენ. ყველას რომელიღაც კონკრეტული ღვთის მსახურისგან უნდოდა ზიარების მიღება და ამიტომაც, ხალხის ეს ზვირთი ნაპირს შეჯახებული და უკან დახეული ტალღასავით ქაფთებოდა. მე და ჩემმა მეუღლემაც იქით მივაშურეთ, სადაც ქართველები შეკრებილიყვნენ და სადაც ქართველსავე მოძღვარს უნდა ეზიარებინა ისინი. გოლგოთაზე ავედით, თუმცა კი დანარჩენ თანამოძმეთაებრ უსაშველო რიგში ჩადგომის მაგიერ, იქით გადავინაცვლეთ, სადაც შედარებით ნაკლები ხალხი იდგა. რუსი ღვთისმსახურის ხელისგან მივიღეთ საკურნებელი სისხლი და ხორცი და იმ დღეს იქ, უზიარებელი ვგონებ, არავინ დაუტოვებიათ. ყველაზე ცოდვილ შვილთაც კი, მათ შორის ალბათ მეც, კურთხევა ჰქონდათ, ზიარებისა წმინდა მიწაზე, აღდგომის დღესასწაულსა და მაცხოვრის საყდარში. თქვენ წარმოიდგინეთ, ერთი ისეთი ჩვენებურიც კი ვნახე, რომელიც საერთოდ პირველად ეზიარა ცხოვრებაში და რომ ჰკითხეს, აღსარება სად ჩააბარეო, იმან უპასუხა, გოლგოთაზე კედელთანო. ეგ როგორო, მხრები აიჩეჩეს და იმან კიდევ, მე ეგრე მასწავლეს, გოლგოთაზე კედელთან აღსარება თქვი და ყველაფერი მოგეტევებაო. ღმერთმაც შეგინდოსო, გაეღიმათ დანარჩენთ და მხარზე ხელი დაჰკრეს.

დადგა აღდგომა და ჟინიც დაცხრა. თითქოს "ბრძოლებმაც გაიშვა" და სულმაც დროებითი ნავსაყუდელი იპოვა. საყდარი ნელ-ნელა დაცარიელდა და იქაურობა ბრძოლის ველს უფრო ჰგავდა, ვიდრე ნეტარებისას. გამოჩნდა ძირი, ჭერი, ფილა და ქვა. გამოანათეს ხატებმა და სურნელი გამოაფრქვიეს მირონმდინარე სიწმინდეებმა. თურმე როგორი სადა, უბრალო და ამავდროულად მდიდარი ყოფილა გარშემო ყველაფერი?! ცხოვრებასავით იყო. ფარდა ახდილ, ტანისამოს გაძარცვულსა და ნიღაბმოხდილ ცხოვრებასავით.

და უეცრად ხვდები, რომ იქაურობა არის შენი, მათი და იმათიც კი, ვისაც ჯერ იქ ფეხიც არ დაუდგამს. საოცრად სწრაფად გიყვარდება ის გარემო და პირველივე შეხებიდან გრძნობ, რომ უსაზღვროდ მოგენატრება აღდგომა იერუსალიმში. მერე გამოდიხარ საყდრიდან და სინანულით უცქერ შუაზე გადამსკდარ სვეტს, რომელმაც კიდევ ერთხელ დაუმტკიცა მორწმუნეთ, რომ ღვთაებრივი ცეცხლი მხოლოდ მართმადიდებელი მოძღვარის თანდასწრებით გადმოდის. დგეხარ სანახევროდ ბინდით მოცულ ეკლესიის ეზოში და გიკვირს, რომ გარეთ ხარ და შეგრძნება კი ისევ ისეთია, თითქოს კვლავ საყდარ-ქალაქში იმყოფებოდე. ეს ეზოც იგივე ამბის ნაწილია, რომელმაც რწმენა გაჩუქა და შენ კი მისხალის ოდენა სიყვარული დაუბრუნე უკან. მაღალი კედლებითა და გალავნებით გარშემორტყმული ღია ცის ქვეშ მყოფი მიწის ეს მომცრო მონაკვეთი, კიდევ უფრო მეტი შთაგონების წყაროს გაძლევს, ვიდრე იგივე წერტილიდან დანახული ვარსკვლავებით მოჭედილი ცა. და გიხარია, რომ ბედნიერი ხარ და იერუსალიმში შეხვდი აღდგომას. და მერე რა რომ ეს განცდები არის დროებითი?! სამაგიეროდ, მოგონებები რჩება თვალის უკანასკნელ მოხუჭვამდე და ვგონებ, ვინც აქ ერთხელ მაინც მოხვედრილა ცხოვრებაში, სულ ბოლოს, სანამ ამქვეყნიურ თვალს მოხუჭავდეს სამარადისოდ, სწორედ ამ საოცრად ლამაზ ეზოს ხედავს, ნახევრად განათებულს, ოდნავ დაღლილსა და უსაზღვროდ ძლიერს. ეზოს საიდანაც შედიხარ უწველი ცეცხლით გაცისრკოვნებულ მაცხოვრის სასუფეველში.

ღმერთო შეგვაძლებინე...

პოეზია

ვასილ ბოსტაშვილი

* * *

წახვალ და ისევ დავრჩები მარტო,
ლოდინისფერად ცრემლმორეული..
ქარიშხლისფრთიან წუთებზე ვდარდობ,
შენი სურნელით სავსე რვეული..

მონატრებული მუსიკა მესმის,
ფოთლის შრიალი, შემორეული...
მელანი ღამის სარკეში შევსვი
და საკუთარ თავს ვებრძვი ეული...

მძარცვავს ქარივით ბედი ტიალი,
მტაცებელივით შემოჩვეული...
სოფელს აბრუებს ჟამის ტრიალი,
ყელზე თოკი მაქვს შემოხვეული...

მზარავს სიკვდილის ავი ღრიალი,
და ფურცლებს ვითვლი ცრემლმორეული...
გული ზეცაში ამიფრიალეს,
ყდა ბოლომდეა შემოხეული...

ელის სიხარულს სიცარიელე,
მტვრად გადიქცევა მძიმე სხეული..
ჭურჭელს სიკვდილი მიცარიელებს
და უშენობით მე ვარ სნეული...

წახვალ და ისევ დავრჩები მარტო,
ლოდინისფერად ცრემლმორეული...
ქარიშხლისფრთიან წუთებზე ვდარდობ,
შენი სურნელით სავსე რვეული...

* * *

მეფოთლება მოგონების ჯარი,
ტაძართან რომ უსინათლო მღერის...
გათელილი მხვდება ყვავილნარი,
მზე ითვრება მეწამული ფერის...

ხმის სიწმიდე ყრუ ჯოჯოხეთს ათბობს,
სამარეთი სიმძიმეა ლოდის...
ნაწამები სიყმაწვილე ამბობს,
რომ ტკივილით ცხრა აპრილი მოდის...

ზარს შემორჩა სიყვარულის განცდა,
ფიქრს იმედის მეოცნებე თვალი...
სილამაზე გახუნდა და გაცვდა,
სულს სინათლის დაუტოვა ვალი...

ქარი არხევს მოფარფატე სხეულს,
თუ ყვავილნარს ბედისწერა არბევს...
ესიზმრება უმზეობით სნეულს
და ჯოჯოხეთს ჩუმ სამოთხეს არქმევს...

ფორიაქით მოფენილა ქუჩა,
როგორც მტვერით, ვრცელი ბრძოლის ველი,
მწუხარებით დავსილ თვალებს ვხუჭავ
და სიმშვიდით სხვა სიმღერას ველი...

მივატოვებ მალე ჭადრის შრიალს,
მზე იღვრება მეწამული ფერის...
მაგონდება ცხრა აპრილი ტიალს,
როცა ტკბილად უსინათლო მღერის...

* * *

ჩამომიჩრდილე მზეცა და მთვარეც
და ამითრთოლე სევდა - ტიალი!..
მითხრი, რატომ ვერ შემიყვარე,
ქართან ვარჩიე დღეს ხეტიალი...

კლავიშებივით ვეხები ზარებს,
ლანდი დარდებში მოხეტიალე...
მონატრებისფერ
ცას ვაზანზარებ,
დედამიწასთან ერთად ვტრიალებ...

ყვავილთა ზღვაში დამასამარეს, –
ფორტეპიანოს ხმაზე ვღრიალებ...
ჩამომიჩრდილე მზეცა და მთვარეც
და ამითრთოლე სევდა - ტიალი...

* * *

ლურჯი ფოთლების შრიალს ვშორდები
და შენც გშორდები სიზმარეული...
შორით მიმყვება ცის აკორდები,
სული დაგეძებს ვით მთვარეული.

ვგრძნობ, მონატრების ზღვად აგორდები,
ისევ დამზაფრავს ცეცხლი გრძნეული...
ვშიშობ ცრემლივით რომ გაორდები
და შემოვრჩები ნაპირს ეული...

დამრჩება ძველი ნატურმორტები,
მოგონებათა სხვა ტკბილეული...
დახავსებული მძიმე ლოდები
და თვალთა ცაში გზა მილეული...

მიტოვებული ფიქრთა ოდები,
ციხე უჩუმარ სევდით ძლეული...
ულამაზესი მომაგონდები
და ათრთოლდება თეთრი რვეული...

* * *

დაფლეთილი მაქვს
გული დარდებით,
ჩამავალი მზე
ზღვაში ვმთავრდები...
განვლილი წლები,
როგორც ლანდები,
შორს მოვიტოვე
ეკალ-ბარდებით...

გულის სისხლივით
უცბად ვჩქარდები
და უჩვეულოდ
კრთიან ძარღვები...
შენ მოგიძღვენი
თეთრი ვარდები,
ვიცი რომ
აღარ შეგიყვარდები...

* * *

მძიმეა სული, სხეულზე მძიმე,
ისეთი მძიმე, მიჭირს ტარება...
სხეული მოჰგავს მეწამულ მღვიმეს,
მზის უკვდავება რომ ეფარება...

ძნელია როგორ ვიარო მარტომ,
შეჰხავსებია ფიქრი უკუნეთს...
დროს მოუპყრია თვალები ფართო,
ჩამოლეული დუმს საუკუნე...

შემომეშველე, მძიმეა სული,
შემომანათე თვალთა სანთელი...

გამოიმეტე მზის სიქალწულე,
რომ ჩანჩქერივით ჩქეფდეს ნათელი...

რომ ღიმილივით გადმოეფინოს,
ულამაზესი თოვლის ხატება
და სიყვარული ცად მოეფინოს,
ფერისცვალებად თუ დაბადებად...

მიჭირს სიცოცხლე უსიყვარულოდ,
მძიმეა სული, სხეულზე მძიმე...
მოკლეა ჟამი უსიხარულო,
როცა სხეული ჩამოჰგავს მღვიმეს...

ქრონიკა

ორი მოთხრობა

სამარის ქვითინი

ზაურ იმიერი

ჩვენი დაბადება წინასწარ
გლოვობს ჩვენსავე აღსასრულს

რაინდობისკენ მიილტვოდა, უფრო სწორად, დონ-კიხოტობისკენ, მთელი ჩემი არსება. ქვეცნობიერად, თუ საღი გონებით, მუდამ ვცდილობდი, რომ შიშის ნამცეციც კი გამქრალიყო ჩემს სულში. სულხორციანად პატივსა ვცემდი იმ მეომართა ვაჟკაცობას, ღირსების გადასარჩენად საკუთარი სიცოცხლე რომ დაუთმეს სიკვდილს. უთვალავი ფათერაკებით ვნებააშლილი ხშირად ვეშვებოდი მეგობრებთან ერთად თავაწყვეტილ ღრეობათა უფსკრულში. ჭეშმარიტების ძიებაში დაქანცული უკვე მერამდენედ ვრჩებოდი მოტყუებული ღვინისგან. გონებადაბინდულ, ლეშადქცეულ სხეულს ვხედავდი მხოლოდ ასეთი დროსტარებისგან თავდაღწეული.

კვლავ იწყებოდა მშფოთვარე დღენი. დაუღალავი მიზანსწრაფულობით მივილტვოდი მძაფრი განცდების სამყაროსაკენ. იქ, სადაც ჩვეული ცხოვრებით არ მიედინებოდა წუთისოფელი. გაორმაგებული ცხოველური ინსტინქტით ვაღწევდი თავს სიკვდილის კლანჭებს და სწორედ ეს იყო ხშირად მიზეზი ჩემი შეუპოვრობის.

სიმართლე მახლდა მეგზურად თან. სიცოცხლეზე მაღლა ვაყენებდი ღირსების ძალას. ასე გადავიტანე ომი. მან დამიტოვა სწორედ სახსოვრად ცივი გონება და ქვის გული, რომელიც იშვიათად თუ გალღვებოდა ან აძგერდებოდა შიშისგან.

ყველგან ვებრძოდი შიშს. მაშინაც კი, კლდეთა ქარაფებს შორის რომ გადავეშვებოდი თავაწყვეტილი და ჯიხვების არვეს დავყურებდი ზევიდან.

ნისლიან ღრუბლებში გახვეულმა ვერსად ვიხილე ღმერთი. ვერც მოთოვლილ მწვერვალებზე გადმომდგარმა დავინახე მისი სიდიადე. თუმცა კი ქვეცნობიერად ვგრძნობდი მის ძალას, თითქოს თან მახლდა მუდამ, მაგრამ მიწიერი მძლავრობდა ჩემს არსებაში უფრო, რამეთუ ცხოვრებისეული სისასტიკის ნაწილად ვიყავი ქცეული.

ასეთი ძალისხმევით მივიწევდი წინ. თითქმის დავამარცხე შიში. ის აღვასრულე, რისთვისაც ვიბრძოდი, ალბათ. ცხოვრების გამოცდილებამ სიფრთხილის გრძნობა გამიძლიერა მხოლოდ.

დღის მცხუნვარება შემობურვოდა თბილისის ქუჩებს. მზისგან დადაღულ-შევიწროებული ნიავის დენა მცირეოდნავდა თუ აღწევდა ფართოდ დაღებულ დარაბებს მიღმა.

ერთ წყნარ უბანში ვქეიფობდი მეგობრის სახლში. იქ ყველა იყო, ვისთანაც ძმობაში მქონდა ნაყარი წილი. მაგრამ არ ვსვამდი, ფხიზელი გონით მინდოდა მოლხენა მათთან. და სწორედ მაშინ კიდევ ერთხელ გადავწყვიტე გამოცდა თავის.

ქუხილივით დამიარა უცხოდმავალმა გრძნობამ. ახალი, იდუმალი სამყაროსკენ გამაჭენეს დღენიადაგ აშლილმა ფიქრებმა. ხარბად ავიტაცე მეგობართა იდეა სასაფლაოს ტყვე გავმხდარიყავი იმ ღამით. შეუცნობელი ჩემთვის, სრულიად უხილავი საუფლო გიგანტური მაგნიტივით მიზიდავ-

და თავისკენ. უკვე მესმოდა მარადიული ძახილი ღამის. ხილვად მომევლინა თითქოს ავის მომასწავებელი დუმილით სუნთქვაგაყინული სასაფლაო. შინაგანი ფორიაქი, სულის წიაღში ჩაბუდებული ბუნდი ვიგრძენი მე.

უსიამო განცდებით ფიქრებაშლილი ნელა გავემართე იქ. მხარდამხარ მივყვებოდი უაზრო ფუქსავატობისგან დაცლილ-დაქანცულ მეგობრებს. მწუხრის ჟამს გორაკებს შორის გარინდული გამოჩნდა ის, შეთავსებული მრავალჭირნახულ, ხავსმოდებულ გალავანს. ალაყაფს მივადექით, ჟანგისგან შეჭმულს. სასაფლაოს ძველი, პირვანდელი შესასვლელი ყოფილა თურმე. დრო-ჟამისაგან დაქანცული, კვნესით გაიხსნა ჭიშკარი. უცნაური, ზეციური გრძნობა დამეუფლა, როგორც კი გადავლახე ზღუდე სიკვდილ-სიცოცხლისა. არასდროს განცდილი მანამდე, თვალუჩინარი სიმძიმილი დამაწვა გულს. სანთლის შუქივით ბუუტავდა სინათლე დღის და მეც ვექცეოდი თანდათან მოშავბნელებული სამყაროს ტყვეობაში. მწუხრის აჩრდილში ილეოდა მზე. ხვავრიელად გადაეფერფლა ძილისპირს ცადამაღლებული ნათება მთვარისა. გორაკებიდან მოფარფატე სიოს დაურვებოდა სულის შემხუთველი ხორშაკი.

უცებ ძალუმად დაუბერა ნიავმა. მეგობრების ხმამ შემმატა მხნეობა. ნიავის დინებას მოჰყვაო თითქოს, – დათქმულ დროს მპირდებოდნენ ქეიფის გაგრძელებას.

ასე შევერიე მწუხრის საუფლოს მიცვალებულთა საბრძანებელში. ჭრიალი ჭიშკრის გულშემზარავად გაისმა უცებ და გამიღვიძა მიძინებული შიშის აჩრდილი. და როცა უმალ დაიხურა სასაფლაოს მძიმე კარები, ზათქით, ხმაურით დაარღვია მდუმარება საფლავის ქვების, გული ძალუმად ამიძგერდა, როგორც არასდროს. მაშინ ვიგრძენი, უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ქვისგან ნათალი კაცი კი არა, კაცუნა ვიყავ, საკუთარ შიშთან დამარცხებული.

მაგრამ დროებით მოხდა ჩემი გრძნობათა რღვევა. შიშთან ჭიდილში გაიმარჯვა ღირსების ძალამ. უცებ აღმიდგა ყოველივე, რაც მქონდა სულში ჩაბუდებული. უშიშარობამ იმძლავრა ისევ და შემრცხვა ჩემი უღონობის, ცოტა ხნის წინ რომ ამითრთოლა მუხლები ძლიერ.

არა, არ ვიტყვი, რომ მიმატოვა შიშმა ეული, როგორც ოდესღაც. ის ჩემთან იყო, ვგრძნობდი მე ამას, მაგრამ ამჟამად მკვდარი კი არა, მიძინებული. ასე ვიდექი საფლავებს შორის მოხეტიალე დონ-კიხოტივით, თითქოს რაინდის როლს ვთამაშობდი, სავსე მთვარის დროს განათებულ მიცვალებულთა ამფითეატრში.

შუქ-სხივთა ბრდღვიალს უფრო ჰგავდა, ვიდრე ნათებას. მთვარე ებრძოდა ღრუბელთა ჯარს, აფთრებივით რომ შემობურვოდნენ ღამის დედოფალს. ქართა დინება მწყემსავდა ღრუბლებს. და ასე ჩანდა და ქრებოდა შემზარაობა სასაფლაოსი.

იდუმალება და სიჩუმე მძლავრობდა ირგვლივ. საფლავის ქვაზე ჩამოვჯექი ძილმორეული. ყური მივუგდე მდუმარებას უსასრულობის. უჩინარობას უხილავ ძალის შემოექუფრა გონება ჩემი და აგრერიგად გაყურსული, თავჩაქინდრული ძლივსღა ვებრძოდი ძილის მეუფის მაცდურ ფერებას.

ანაზდად გაქრა ყოველივე, რაც იყო ირგვლივ. ჯადოსნურ ზღაპრად მომევლინა სიზმართა ქროლა და მეც დავქროდი ჩაძირული სიზმარეულში, ფრენაშემდგარი ოცნების ფრთებით, როგორც დემონი.

უცებ შევქანდი საფლავის ქვაზე ძილის საბანში გამოხვეული. მიბნედილ მზერით მივაცქერდი მწვანე ბალახზე ოდნავ არეკლილ სხივთა ოხშივარს და ავაყოლე სინათლეს თვალი. ჯერ ვერ დავშორდი ბურანს სიზმრისას. თითქოს ანგელოზს წარეტაცა გონება ჩემი. უცხოდ ვიგრძენი წყვდიდში თავი. მხოლოდ ნათელის ლივლივი მცირე, ჯეჯილივით რომ შემობურვოდა ბნელეთის ყანას, საცნაურს ხდიდა იქაურობას. აქ დამიბრუნდა უეცრად გონი, ნაკვერჩხალივით გამიღვივდა ცნობიერება. უკვე ვიცოდი, სადაც ვიყავი. უცებ გამოჩნდა ის, რამაც შემძრა. შემომცქეროდა სხივფენილი, მცინარი სახით ქალი ლამაზი. ჩემს გაღვიძებას ელოდა თითქოს და სწორედ მაშინ, როცა დაიწყო გულმა ძაგძაგი, უმალ შევიცან მის ნაკვთებში სიცივის ძალა. საფლავის ქვაზე ამოტვიფრულ მშვენიერებას შევყურებდი თურმე. ჩამქრალი კელაპტარივით გაფერმკრთალდა სინათლე მნათობის, ძლივსდა ბჟუტავდა, ღრუბლების მძლავრობას მოასწავებდა ეს.

ისევ აელვარდა სხივიერი გამოკრთომა ღამის დედოფლის, ნიავქართან მოთამაშე სანთლის შუქივით, საფლავის ლოდებს აეტოტა სხივცისკროვანი ნათელი მთვარისა, ზეცით აიჭრა მაღლა, სინათლე მოჰფინა მოქუფრულ მდუმარებას მიცვალებულთა ნავსაყუდელის. ნათლივ გამოჩნდა სასაფლაოს შორეული კიდენი. თითქოს იქ მიმალულიყო, ხავსმოდებულ კედელთა ნაპრალებში, სიკვდილის თვალები. იქ, სადაც ჯერ კიდევ ვერ შეეღწია ნათელს. კვლავ გაბრწყინვალდა, უფრო ძალუმად, არე-მიდამო სევდადქცეული. არამიწიერ ნათებას გავდა ეს, ღვთიური საკმეველით მოფენილს. მთვარის შარავანდედით გაცისკროვნებულ ამ მდუმარების სიმფონიას, ოდნავ რომ არღვევდა ფოთოლთა შრიალი, ფრთხილი შემზარაო-

ბით შეერია ქვითინი ქალისა. გულის მომწყვლელი კაეშანი გადაეფინა უცებ საფლავებს.

ძილბურანგაფანტული ზეზე წამოვიჭერი წამის უსწრაფესად, თითქოს სამარის ცივი ხელები შემეხო მჯდომარეს ქვაზე. ელდადქცეულს საკუთარი გულის სიშლეგე ჩამესმოდა მხოლოდ ყურში. მნათობმა შთანთქაო თითქოს ხმა უცნაური და შესაზარი. შავი ფიქრებით მოსილი, ძრწოლაშემდგარი შევყურებდი სევდით მონისლულ მწუხარების საუფლოს. ალესილი დანის პირივით მოჩანდა მარმარილოს კიდენი სინათლის ბრკიალზე. სიკვდილის მთოველი საფლავები შემომცქეროდნენ მე. ნერვებთან ჭიდილში ფიქრებაშლილმა ძილის ოხუნჯობას მივაწერე ის იდუმალი გოდება ღამისა და როცა დაწყნარდა გული, მაშინ გაისმა კვლავ შემზარავად, უფრო ძალუმად, ქვითინი ქალისა. ამ ხმას ელოდაო თითქოს, გულის გამყინავმა კივილმა შესძრა უცებ სასაფლაო. უმალ ვიგრძენი, როგორ ლამობდა ელდა შიშისა ჩემი გრძნობების გათელვას, ჯოჯოხეთის მოციქულ, ძლევამოსილი ხარივით.

ისევ დუმილი შეერია სევდის წყვდიადში. ჩქამი არ ისმოდა ერთ წამს. შემდეგ შრიალი ფრთებისა ხის ტოტზე გაისმა იქვე. ჩრდილი შევიცანი ბუკიოტისა ფოთოლთა შორის ლანდად ქცეული. ოდნავ მომეშვა გულს, მის კივილს დაეთრგუნა გონება ჩემი. კოშმარულ შიშისგან თავდაღწეული კაცის ღიმილი ვიგრძენი ბაგეზე. თუმცა ველოდი რაღაც უცნაურს, შეუცნობელი წინათგრძნობა მიღრღნიდა გულს. იქ ვიღაც იყო, ვგრძნობდი მე იმწამს. თვალუჩინარი ძალა ბუდობდა თითქოს ჩემს გვერდით. ჩემივე სულიერი აშლილობის გამო დამეუფლა ეს გრძნობა, ალბათ. სიზმარეულ განცდებში ჩაძირული უცხოდ აშლილი ფიქრებით ნელა დავიძარი წინ. ახლადფეხადგმული ბავშვივით მივიკვლევდი გზას წყვდიადში. არც კი შემინიშნავს, ისე გამქრალა ნათელი მთვარისა. ერთ წამს არ მიფიქრია იქაურობას გავცლოდი, ეს ხომ ჩემი სახელის დასამარება იქნებოდა სამუდამოდ.

ძილის ხმით ჩქამობდა ჩემს ფეხქვეშ ბალახი, ღამის ნიავისგან ნაზად ნავარცხნი. ბოლისფერი ფარდა გამოიკვეთა უცებ ნისლის, ოდნავ შესამჩნევი, სიკვდილივით ფერმკრთალი შეერია მწუხარების საუფლოს, საფლავებს გადაეფერფლა, როგორც სალბუნი ღვთისა. იმათი სევდის გასაქარვებლად, ალბათ. და ამ ჯადოქმნილ თეატრიონში სულისდამთრგუნველად მიახლოვდებოდა საფლავებს ზემოვლებული ქვითინი ქალისა.

თრთოლა დავიწყე ძალუმად. შლეგმორეული მივიკვლევდი გზას მნათობის იმედად მყოფი. და, როცა მეგონა, ვიხილავდი უკვე მიზეზს ჩემი თავზარდაცემისა, მაშინ გაჰქრებოდა ხმა და შორეთის კუნჭულებიდან ამოსჩქეფდა ხოლმე კვლავ სამარისეული ჟღერადობა მისი. ასე დაჰყვებოდა ნიავის დინებას სევდადფრქვეული საფლავებს შორის. ხან მაღლით აიტაცებდა სინაზე სიოსი და ხეთა აჩრდილებს შეფარებული გულისმომწყვლელად გადაჰფენოდა ჩრდილების შრიალს. ამ ხმას დამორჩილებოდა თითქოს ექოდქცეული საუფლო სიკვდილის, მდუმარე სევდით თავდახრილი.

სუნთქვაშეკრული, უჩქამო მდუმარებით მივიწევდი მთრთოლავი ხმისკენ, ყოველ წამს რომ იცვლიდა ადგილს. ჯიუტად, ულევი ძალისხმევით მივილტვოდი ვნებააშლილი, საკუთარი უღონობა მიკლავდა გულს მხოლოდ. ჯიქურ, ბორგნეული უშიშარობით ვესხმოდი თავს ქვითინს, ხელშესახებად რომ ვხედავდი თითქოს მის აჩრდილს, უცხოს, დაჩოქილს საფლავის ქვასთან.

და აჰა, მეგონა თითქმის ერთი ნახტომით შევიპყრობდი მის მწუხარებას, მაგრამ ამაოდ, წყვდიადის ცივი, სამარისეული ალერსიღა შემრჩებოდა ხოლმე ხელში.

და უკვე იქით, სადღაც შორეთში, მოისმოდა მიმქრალი გოდება ღამისა. ასე ინაცვლებდა ეს უჩინარი ხმიანობა ადგილს ამოუცნობი იდუმალებით მოსილი. ძალმილეული, თავბრუდამხვევი ბორიალით უკან დავსდევდი კვალაბნეული.

საფლავის ქვაზე მივესვენე სიზმარეული გრძნობებით გონშეძრული. თავჩაქინდრული დავყურებდი სინათლის ბრკიალს, ღრუბლების ჯარისგან რომ დაეღწია თავი.

უცებ ვიგრძენი ვიღაცის ყოფნა, ზედ თავზე მადგა თითქოს უცნობი. სიცივის ტალღამ დამიარა სხეულში ძლიერ და ამითრთოლა მუხლები ოდნავ. კვლავ შიშმა სძლია გამბედაობას, უკვე ველოდი ცივი ხელების შეხებას მხრებზე. თავის აწევა მიმძიმდა ძალზე. თუმცა, მინდოდა შემეხედა მისთვის თვალებში. სწორედ ეს იყო ყველაზე ძნელი. დროც კი შეჩერდა და საკუთარი გულის ფეთქვა მესმოდა მხოლოდ.

და, როგორც იქნა, შევხედე უცებ ფართოდგახელილ თვალებით უცხოს. აჩრდილი გაჰქრა ჩემს თვალწინ უმალ და მივხვდი მაშინ, საკუთარი შიშის აჩრდილი ყოფილა უცნობი თურმე.

თვალი შევავლე ჩემს წინ აზიდულ, წყვდიადისაგან მოშავბნელებულ, მოქუფრულ კედელს. დრო-ჟამისაგან ფერდებშელეწილი გამოჩნდა ოდნავ მკრთალ უკუნეთში, ვით ზღუდე სიკვდილ-სიცოცხლის გასაყარზე.

უეცრად იქვე, ზედ კედლის ძირში, როცა

იმძლავრა მთვარის ნათელმა, კვლავ გაძლიერდა ქვითინი ქალის და შევამჩნიე, თუმცა კი ოდნავ, მაგრამ აშკარად, გადაქცეული სამარის ქვები. სარეველები მოსდებოდნენ მიგდებულ საფლავს. თითქოს ახრჩობდნენ ბალახები ამ ხმას გულსაკლავს, როგორც ურჩხულნი და მეყსეულად შთანთქა წყვდიადმა ნათელი მთვარის.

ამოუცნობი გახდა უმალ ფარდაახდილი.

გაუსაძლისი მწუხარება მიღრღნიდა გონს. მონად შევეპყარ თითქოს გულშემზარავ, იდუმალ ძალას. საფლავის ქვასავით სევდიანი აზიდულა ჩემს წინ კედელი და იმის იქით ის სამყარო სულ წარეხოცა ჩემს არსებაში იდუმალებას. და მხოლოდ აქეთ, სადაც წყვდიადში აღარა ჩანდა დროის დინება, აქეთ ვიყავი ჩაძირული ფიქრის ტალღებში და ბობოქარმა ქარიშხალმა ძალისძალად დამიტრიალა თითქოს გონება. იქ მთვარის შუქზე ამობრწყინდა ამაოება გამოულევლად უსასრულო, როგორც სინათლე. ქვიშისფერი გახდა თანდათან წყვდიადი, შემდეგ მონაცრისფრო-მეწამული შეერია მკრთალუკუნეთის. ოდნავ აჩქამდა სისხამის ხმები, მამლის დაყივლებამდე რომ იცის ხოლმე მოდენა ციდან. უკვე ისმოდა ღამის აჩრდილთა სულთმობრძაობა. ხვავრიელად გადაეფინა საფლავებს ათინათი, თუმცა კი მკრთალი, გაუბედავი, როგორც ცისნამი. ჯერ ვერ ათბობდნენ სხივები მიწას, სუსხი მძლავრობდა, მზეს ჯერ ეძინა.

დიდხანს ვიჯექი მონუსხული, უცხოდმავალი გრძნობებისგან დატყვევებული, სევდის მორევში ჩაძირული, გრძნობამიხდილი, მე დავყურებდი სამარის კიდეს, რომლის ქვითინიც შერეოდა უკვე ნათებას. მიუსაფარი, ეული და უპატრონოდ მიგდებული სამარის ქვითინი წყვდიადთან ერთად გაუჩინარდა, როგორც ოცნება.

25. 02. 00

ო ვ ა ლ ე ბ ი

(ნამდვილი ამბავი)

ივლისის ბუღი იდგა. სიცხისგან იხუთებოდა თბილისი. ვერსაით გაექცეოდი აუტანელ მცხუნვარებას მზისას. ვარაზისხევს მივყვებოდი თავქვე. ცირკის მხარეს გადავჭერი ქუჩა, ხეთა ჩრდილებში რომ შემეფარებინა თავი. ასე მივდიოდი ჩაფიქრებული ნელა და ხარბადა ვნთქავდი გრილი ნიავის დინებას, დროდადრო რომ დაუბერავდა ხის ფოთლებიდან ნაზად. უკვე მივუახლოვდი პარკს, ერთი კონა თაიგულივით რომ არის მოკალათებული ფიქრის გორის ძირას. უცებ შევდექი ქვეცნობიერად, თითქოს მოქმედებამ გაასწრო გონებას წამით. გონშეძრულმა მთელი არსებით შევიცანი წამის უსწრაფესად ის წუხილი და ტანჯვა, პატარა ცუგოს რომ დასტყდომოდა თავს.

მარცხენა წინა ფეხი თითქმის არ ჰქონდა ძაღლს, ხორცის ნაგლეჯი ეკიდა მხოლოდ. დამსხვრეული ნაწილი ძვლის ოდნავ მოუჩანდა სხეულიდან. კანაფივით შემოხვეოდა ძარღვები ძვალს. ეს უგვანო, მცირედი მასა ხორცისა საშინლად ყარდა, ათობით ბუზი დასეოდა ზედ და ცოცხლადა ჭამდნენ ცუგოს. სიკვდილის სუნი აღიზიანებდათ მკბენარებს, შლეგური სისწრაფით ესხმოდნენ თავს მსხვერპლს. სასოწარკვეთილს შემზარავი წკავწკავიღა დარჩენოდა ნუგეშად; სულზე მივუსწარი თითქოს განწირულს, როდესაც გრძნობდა უკვე იმ იდუმალი საშიშროების მოახლოებას, ასე რომ გვზარავს ყველას, მაგრამ შევშინდი, საკუთარმა უღონობამ დამაფრთხო, უკან დავიხიე. სულით ხორცამდე შემძრა ნანახმა, ეშმაკის გამოგზავნილს რომ ჰგავდა კოშმარული სიზმრის დროს.

უცებ მოვარიდე თვალი. შორეთში გადაიკარგა ჩემი მზერა უაზროდ. გრძნობაამღვრეული დავიძარი, შლეგიანივით შევერიე პარკს, თითქმის გავრბოდი. გადასასვლელს რომ მივაღწიე, ბეტონის ფილაზე ჩამოვჯექი. უფრო ძალუმად მივუშვირე თავი მზის მცხუნვარებას. ალმური ამდიოდა ისედაც გაოფლილ სახეზე. ასე ჩავფიქრდი თავჩაქინდრული, თითქოს მეძინა. ცხოვრება, სასტიკი და ულმობელი, ახალ გამოცდას მიმზადებდა ალბათ.

ცოტა ხანს ვებრძოდი თავს. სულის წიაღში ჩაბუდებულ სიბრალულს ვერა მოვუხერხე რა. ვერც კვნესა ტანჯული არსების ვერ ამოვიგდე გონიდან. ფეხზე წამოვდექი, ერთ წამს ვიდექი გახევებული და შემოვბრუნდი. უკან გამომიწია გულმა.

მალე მივადექი ბეჩავს. არ ვიცი, როგორ

შემოღოდდა პარკში. ამაღლებულზე იწვა უღონოდ. უიმედოდ იგერიებდა ბუზების ჯარს ღონემიხდილი.

მივუახლოვდი, ჩავიმუხლე, რომ არ ეკბინა, ფრთხილად გადავუსვი ხელი თავზე. მომენდო, წამით შემომხედა მადლიერი თვალებით, მაგრამ უსასოობამ შეცვალა ისევ მისი მზერა. კვლავ დაეძგერა კვნესა-წკავწკავით ხორცის ნაჭერს, ბუზებისგან რომ არ ჩანდა, მაგრამ ამაოდ.

ხელის აქნევით მოვაშორე სატანჯველი და უსწრაფესად, როგორც კი შემეძლო, ცხვირსახოცი შემოვახვიე ფრთხილად იარას. შემდეგ თითების ნელი მოძრაობით გამოვდევნე უკანასკნელი მკბენარი ჭრილობიდან. შვება იგრძნო. ჭკვიანი, უცოდველი თვალებით მომაცქერდა, ნაზად ამილოკა ხელისგული. ქვეცნობიერად შევიცანი, დედალი უნდა ყოფილიყო. მისმა სინაზემ მაგრძნობინა ეს. არ შევმცდარვარ. კარგად გავსინჯე, კიდევ ხომ არ ჰქონდა დაშავებული რამე. გვერდით მივუჯექი. ასე ვიყავით გაყურსული ორივე ერთხანს.

მძიმე ფიქრებად ამშლოდა სატანჯველი. ძაღლის სევდა შერწყმოდა ჩემს არსებას. შვებით ამოიოხრა თითქოს უბადრუკმა და უმწეო გვამმა, პატრონად მიგულა ალბათ.

დაღონებული გავყურებდი ქუჩისპირს. უსიამო განცდებით დამძიმებული ვფიქრობდი, თუ როგორ დამეღწია თავი კოშმარისგან. კიდევ უფრო ნაღვლიანი ვემორჩილებოდი ბედის განაჩენს უმწეოდ. ვეღარა ვგრძნობდი დროის დინებას. ეშმას შეეჩერებინა თითქოს ჩემი სულის დასათრგუნად დრო.

ნელა მოვედი გონს. თუმცა ჯერ კიდევ სტანჯავდა ქვეცნობიერი ცნობიერს. ფრთხილი ალერსით შევმატე მხნეობა ჩუმი ხმით მტირალს. ტკბილი სიტყვებით მივუალერსე: – მე დავბრუნდები, ცუგო, მალე დავბრუნდები. – შემდეგ კიდევ ერთხელ ჩავხედე ტანჯულ თვალებში, ოდნავ შესამჩნევი იმედით რომ მიცქერდნენ მე.

ჩქარი ნაბიჯით გადავჭერი ქუჩა. ზურგსუკან ვიგრძენი მისი მზერა, კარგა მანძილზე რომ გამაყოლა თან.

დადუმებული მივადექი ცხოველთა კლუბს, სამხეცეს ტერიტორიას რომ შერწყმია უგვანო, მახინჯი სოკოსავით.

სწრაფი ნაბიჯებით, თითქმის სირბილით მომყვებოდა გვერდით ივანე, კლუბის ექიმი. გურჯაანიდან ყოფილა თურმე ჩამოსული. საკმაოდ გულჩვილი გამოდგა. ქოშინით გადავირბინეთ ქუჩა. მორჩილად იწვა იქვე ძაღლი, ტკივილჩამდგარი თვალებით მელოდა.

გულმოდგინედ დაათვალიერა ივანემ ჭრილობა, თავზე ხელი გადაუსვა ცუგოს და მითხრა:

– დიდი ხანი არ არის, რაც ეს შეემთხვა საცოდავს. უბრალოდ, ასეთ სიცხეში მალე ყროლდება ხორცი, განგრენაა დაწყებული. სასწრაფოდ სჭირდება ამპუტაცია, სულ ძირში, აგერ აქ – და მიჩვენა, სად უნდა მოკვეთილიყო ფეხის ნარჩენი.

– მაგრამ შემდეგ... – თვალი გამისწორა ივანემ. – ორი დღე უნდა, რომ გონს მოვიდეს, სიმშვიდე სჭირდება. ერთი კვირა მაინც, თუ მეტი არა, ვერ შეძლებს თვითონ ირჩინოს თავი, დაიღუპება. თან წინა ფეხი არა აქვს. შენ უნდა კვებო, სახლში. ოპერაცია საკმაოდ რთული იქნება.

– გადარჩება?

– გადარჩება, იცოცხლებს, ოღონდ მოვლა უნდა, ძალა რომ აღიდგინოს.

– ოპერაციის ფულს მე გადავიხდი!

– ფულზე არც მითქვამს რამე... შეძლებ, რომ დაიტოვო შინ? მე თვითონ ნაქირავებში ვარ. – მომიბოდიშა თითქოს.

– ეზო რომ მქონდეს, დავიტოვებდი. – ჩავილუღლუღე ჩემთვის.

– დავაძინოთ? – მკითხა ივანემ.

ამ ხმასთან ერთად ვიგრძენი ძაღლის მზერა. მორჩილად ელოდა თავის განაჩენს. ჩემს მაჯაზე ედო თავი, დროდადრო გვერდულად თუ გახედავდა ივანეს ჭკვიანი თვალებით.

– ძალიან არ მინდა, მაგრამ ასე დატოვებას, ჯობია დავაძინოთ. – ძლივს გასაგონად თქვა ივანემ.

საუკუნედ მეჩვენა წამები, მე უნდა გადამეწყვიტა ძაღლის ბედი.

– დავაძინოთ!.. – უცხოდ ჩამესმა საკუთარი ხმა.

მორჩილად დამიქნია თავი. ამხანაგს მოვიყვანო, მითხრა.

– მე არ შემიძლია ამის გაკეთება, მე მხოლოდ ვარჩენ.

ჩაფიქრებული გამშორდა ივანე, მხრებში ოდნავ მოხრილი, მძიმე ნაბიჯებით მიდიოდა.

მალე დაბრუნდა. გამხდარი ბიჭი მოყვებოდა გვერდით. სწორედ მას უნდა მოეყვანა სისრულეში ჩემ მიერ გამოტანილი განაჩენი.

პარკის სიღრმეში შევიყვანე ძაღლი, უკაცრიელში, მშვიდად რომ განესვენა. რა ვიცოდი, რა საშინელი წამება ელოდა წინ, თორემ

არასდროს გადავდგამდი ამ ნაბიჯს.

მორჩილად მიენდო ჩემს მკლავებს. ძლიერად შევბოჭე ძაღლის სხეული. ცახცახით მომეკრო მკერდზე, როდესაც ვაიექიმმა კუნთის მოძებნა დაუწყო ბარძაყზე, მაგრამ იქ ვერ მოახერხა ნემსის გაკეთება და ნეკნებშუა ჩაურჭო მთელი ძალით ძაღლს.

საზარელმა წივილმა შეძრა მთელი პარკი. ყვითელმა სითხემ შეიტანა სიკვდილი ცუგოს სხეულში. როდესაც ხელი გავუშვი, საშინლად დაიგრიხა, ხის მერქანს ჩაავლო კბილები სიმწრისგან. შემდეგ იქვე დაიწყო ტრიალი და ბორგვა. აგონიაში მყოფი შემზარავ ხმებს გამოსცემდა, წყვეტილი ხავილითა და ხველებით უახლოვდებოდა სიკვდილს. ბოლოს მუცელზე დაწვა და მიყუჩდა. ოდნავდა სუნთქავდა, ძლივს შესამჩნევად. სადღაც შორეთიდან ისმოდა მისი ქშენა. თითქოს დამშვიდდა. მაგრამ თვალები... ისევ იბრძოდნენ ტკივილჩამდგარი თვალები.

მარტონი ვიყავით უკვე ამ დროს. ხელისგულზე მედო მისი დრუნჩი. სიცოცხლის თრთოლა ვიგრძენი ოდნავ. ისიც ხომ გრძნობდა, რომ იქ ვიყავი ბოლომდე მასთან. მის თვალებში შევნიშნე ეს მე. მას კიდევ სჯეროდა, ალბათ, ჩემი და ისევ ჰქონდა იმედი.

ასე გაშორდა სიცოცხლეს.

ლასლასით მივედი შინ. გონება დაბინდული გავყურებდი სავსე მთვარეს აივნიდან. უპატრონოდ მიგდებულ სხეულზე ვფიქრობდი მხოლოდ. სინდისის ქენჯნა მძიმე ბოღმად დამაწვა გულზე. ორი დღე არ მასვენებდა ძაღლის თვალები, ორი ღამე მექცა საშინელ კოშმარად. მესამე დღეს, დილით, წერაქვს დავავლე ხელი და პარკისაკენ გავუყევი გზას.

მძორის სუნი მეცა პარკში შესულს. როდესაც მივადექი საწყალს, ჯერ ვერ გავარჩიე მკვეთრად. ბუჩქებს შორის, ჩრდილმოქცეულ ალაგას იწვა, იქვე, სადაც დავტოვე. თითქოს ეძინა.

სულ ახლოს დამჭირდა მისვლა, ხეთა აჩრდილებს შორის რომ ამომეცნო.

უცებ შევდექი მეხნაკრავივით. ქვეცნობიერად ამომხდა გულის სიღრმიდან:

– ღმერთო!

სულით ხორცამდე შემძრა ნანახმა. სატანას შეეძლო მხოლოდ დაეხატა სურათი ამგვარი თავისი უძღები, შავბნელი ფუნჯით.

გვერდზე არაბუნებრივად მოქცეოდა თავი გვამს. ერთიანად ჩაშლოდა სხეულზე ბეწვი. სახის ნაწილი თითქმის ამოეჭამათ ჯოჯოხეთის სანიტრებს. თვალები დაეტოვათ მხოლოდ, უპეებიდან ამოყრილი. სხივჩამქრალი, სიკვდილნასვამი თვალები შემომცქეროდნენ მე.

შლეგური კვნესით შემოვტრიალდი. მიწას ვეძგერე. ზებუნებრივი ძალით ვურტყამდი წერაქვს ქვაყრილს. ხელისგულები დამისკდა, სისხლმა შეფერა წერაქვის ტარი, მაგრამ ტკივილი მხოლოდ გულს მიამებდა. უფრო გაშმაგებით შევუტიე მიწას. მინდოდა გავქცეოდი დროის უსწრაფესად იდუმალ, ჭკვიან, საზარელ თვალებს.

არ მიღალატა წერაქვმა. გააფთრებული რაინდივით ამსხვრევდა ქვებს, ცეცხლებს აფრქვევდა ფოლადი. ასე მივედი ბოლომდე და მხოლოდ მაშინ დავეშვი ძირს, როცა მზად იყო საფლავი.

როდესაც ვმარხავდი, მისი თვალები მე მიყურებდნენ, ისე დაიფარნენ თანდათან მიწით, თითქოს სიკვდილის ურჩხულმა შთანთქაო მიწისქვეშეთში.

პოეზია

სპარსულიდან თარგმნა

ნომადი ბართაიამ

რუდაქი (860-941)

* * *

ამქვეყნის დიდებულები
იყო და არა რა იყო,
ბოლოს სამარის კარები
ხომ ყველასათვის გაიღო.
სად გადაკარგა საწუთრომ
ვინც საგანძურთა ზღვა იყო,
რა იყო მათი ცხოვრება,
მათი სიცოცხლე რა იყო,
ვინც ქვეყნის ურიცხვ მადლისგან
ბოლოს სუდარა წაიღო.
ჭკუით მოიქცა, ვინ ალღო
ამა ცხოვრების აიღო –
ჩაიცვა, იმხიარულა,
ჭამა, სხვისთვისაც გაიღო.

ბაბა თაჰერ ყერიანი (XI)

* * *

გული მაქვს შენი სიყვარულით გიჟი და ხელი,
თვალები კიდევ – სისხლიანი ცრემლებით სველი.
შეყვარებულის გული არის, ვით სველი ჯოხი,
ერთ მხარეს იწვის, მეორედან – ცრემლი სდის ცხელი.

ომარ ხაიამი (1040-1123)

* * *

საზრუნავს ჩვენსას
აღარ უჩანს თავი და ბოლო,
გვაკლდება შვება,
გვემატება ტკივილი მხოლოდ,
დიდება უფალს,
არასოდეს დარდი და ურვა
არა გვქონია
არავისგან ჩვენ სამათხოვრო.

* * *

ფრთხილად იყავ,
საწუთრო რადგან არის მზაკვარი,
ეცადე, ბედისწერით,
არ დაგებნეს გზა-კვალი.
ეს საწუთრო ასეა,
პირში ჰალვას ჩაგიდებს,
მაგრამ შხამსაც გაურევს,
სიტკბო მისცეს სხვაგვარი.

* * *

არა ხამს, გულში მწუხარებამ დაიდოს ბინა,
სამხიარულო შენ დაიდე წიგნები წინა.
დალიე ღვინო, აისრულე წადილი გულის,
ამქვეყნად დიდხანს არ დაგარჩენს –
ვინც გაგაჩინა.

* * *

ბედისწერასთან
კაციშვილი ვერაფერს გახდა,
ვერ გაძღა მიწა,
საოცნებო მისი ვერ ახდა.
ნუ მოგაქვს თავი, რომ არსებობ,
სულ მალე მტერი
თავს დაგადგება შესამუსრად,
დარჩები სახტად.

* * *

ვიცი, რას ნიშნავს რაობა და არარაობა,
ვიცი ქვესკნელი და
ზესკნელი, მათი სხვაობა.
და, ამავე დროს, ისიც ვიცი,
რომ, თრობის, გარდა
არის ამქვეყნად ყველაფერი საცოდაობა.

* * *

სამყაროს რწმენა და მიზანი –
ჩვენა ვართ მხოლოდ,
გონიერების წყაროს წყალი –
ჩვენა ვართ მხოლოდ.
ეს წრე დიადი სამყაროსი ბეჭედია და
უძვირფასესი მისი თვალი –
ჩვენა ვართ მხოლოდ.

* * *

შეხედე,
როგორ დაგვმხობია ცარგვალი რისხვით,
მისგან ვერც ერთი გონიერი
თავს ვეღარ იხსნის.
აი, მე მესმის
მეგობრობა დოქის და ჯამის,
მათ ბაგეთ შორის
მიმოქცევა ნიადაგ სისხლის.

* * *

ხვალინდელ დღეზე
ნუ შეგაკრთობს დარდი და სევდა,
ამ თვითგვემაში
სანუგეშოს ნეტავ რას ხედავ.
ილაღე, ძმაო,
დასაწყისში რადგანაც საქმის
მგონი არავის
არ ჰქონია თათბირი შენთან.

* * *

მარადისია ეს სამყარო –
ჩვენ არ ვართ მყარი.
სვი ღვინო ამო,
გვერდით გყავდეს ლამაზი ქალი.
თუკი მოვკვდები, მეგობარო,
სამყარო მაშინ
გინდა ყოფილა მარადისი,
გინდ – წარმავალი.

* * *

როდესაც ვინმე თავს წამოჰყოფს,
იტყვის – ეს მე ვარ!
ოქრო და ვერცხლით იამაყებს,
იტყვის – ეს მე ვარ!
როცა მთლიანად
მისი საქმე აეწყო თითქოს –
მოვა სიკვდილი,
მიამიტად იტყვის – ეს მე ვარ!

* * *

რადგან არაფრად
არ სჭირდება გონება არვის,
რადგან ბურთი და მოედანი
დღეს ბრიყვის არის,
მომეცი იგი,
განმაშორებს რაიც გონებას,
იქნებ საწუთრომ
მოწყალების მომხედოს თვალით.

* * *

ხაიამ, ღვინით თუ ხარ მთვრალი,
ბედს ნუ ემდური,
თუ გვერდით გიზის ტურფა ქალი,
ბედს ნუ ემდური.
წარმოიდგინე ეს რაობა
არარაობად,
სული რომ გიდგას, გაიხარე,
ბედს ნუ ემდური.

ხაყანი შირვანელი (1120-1191)

* * *

ტოტი ქვეყნისა, ხაყანის აზრით,
ნაყოფს ისხამდეს, არა ღირს იმად.

ტკბილეულობით გაშლილი სუფრა
ბუზს რომ უქშევდე, არა ღირს იმად.

ხოტბას ასხამდე მბრძანებელს შენსას,
ოქრო და ვერცხლი არა ღირს იმად.

* * *

ბევრ ქვაზე გადავიანკარე,
როგორც მდინარემ,
ბევრი წავლეკე ნარ-ეკალი,
როგორც მდინარემ.
როგორც მდინარემ,
მშობლიური დავტოვე მხარე,
და ვერ ვიქციე პირი უკან,
როგორც მდინარემ.

* * *

ო, რა უდროოდ გავჭაღარავდი,
ო, რა უდროოდ მეცვალა ფერი.
უძვირფასესი მეგობართ შორის
უსასტიკესი გამიხდა მტერი.

* * *

არაფერია, ჩვენი ყოფა, არაფერია,
ლამაზ ნოხებით სახლის მორთვა არაფერია.
ახალგაზრდობა – ერთადერთი არის ნუგეში,
ახალგაზრდობაც, რომ დაფიქრდე, არაფერია.

* * *

ნუ გაუწყრები ამ სამყაროს, მისმინე, ძმაო,
როგორიც არის, კმაყოფილი იყავი იმით.
ღამე თუ იგი
შენ გასხურებს ვარსკვლავთა წვიმას,
ქვეყნიერების მანათობელს
გიგზავნის დღისით.

* * *

ოი, ხაყანი, იგლოვო უნდა,
კაცი არ არის დღეს შენებრ ცოდვა.
მტვერზე მეტი ჩანს შენს ირგვლივ მტერი,
მეგობარი კი – ოქროზე ცოტა.

* * *

ვაი, როგორ მოკვდა გული,
დამრჩა მზერა წყლიანი.
ვის დაინდობს ეს საწუთრო,
ანუ ბედის ტრიალი.
ყველაფერი, რაც გავსინჯე
წუთისოფლის ტაბლაზე,
ან მთლად უმარილო იყო,
ან მთლად მარილიანი.

ჯალალ ედ-დინ რუმი (1207-1273)

* * *

მომხედე, შენმა სიყვარულმა ხელად მაქცია,
ქალაქი ვიყავ, უკაცრიელ ველად მაქცია.

შენზე ოცნებამ განმაშორა სახლსა და ნივთებს,
დარდების თანამოსახლედ და მხევლად მაქცია.

ნუ იტყვი იმას, დავრდომილი ვიყავი ვითარ,
შენმა დანახვამ რაინდად და ქველად მაქცია.

შენმა არსებამ, შევიცანი როდესაც ჩემში,
მოყვასთა შორის უცხოელად გარდამაქცია.

მე სიყვარულზე დღე და ღამე ზღაპრების თხრობამ
თვითონ ზღაპრად და სიყვარულის ენად მაქცია.

რაბია ბალხელი
(IX-Xს-თა პოეტი ქალი)

* * *

მე სიყვარულის ტყვეობაში ვარ ისევ,
არა მაქვს შველა, დავკარგე სიხალისე.
გაუხედნავი ცხენივით ვქაჩავ ქამანდს,
ქამანდი უფრო დაიჭიმა და მიჭერს.
ო, სიყვარულო, შენ უნაპირო ზღვა ხარ,
საით გავცურო, თვალი ვერ სწვდება სივრცეს.
გზა ერთადერთი არსებობს დასახსნელად –
გული ტანჯვას და წამებას უნდა მისცე.
ჭმუნვა და ურვა წყალობად მიიჩნიე,
შხამი მოგართვან? – თაფლივით შესვი მყისვე.

* * *

ჩუმად წავედი, ჩემი სული ცას გაერია,
არ ვიყავ ალი, არც დემონი და არც ფერია.

თოვლი ვიყავ და დედამიწამ დამლია ჩუმად,
ტყვე გავიპარე, აწ საშიში არფერია.

მე არ ვეკუთვნი წარმავალთა, სული ვარ ოდეს,
ჩემი სული ხომ მარადიულ სულის ფერია.

ვინც არ მელოდა, მე მივედი იმასთან სწორედ,
გული მივართვი უთვისტომოდ განათელია.

გული მივართვი, გარდავიქეც კაცი მიწადა,
გლოვად ვიქეცი და ცრემლები შემომელია.

ბაგეთა მისთა მე მაჩუქეს ათასი გული,
მაგრამ უენოს ერთი სიტყვაც არ დამცდენია.

უგონოდ გდებულს მომახლა სტრფო და მითხრა–
ნუთუ გამხელა სიყვარულის ასე ძნელია?!

ო, ამ სიტყვებით უდიდესი მიჯნური გავხდი,
მოვშორდი ყველას და საგზალიც შემომელია.

* * *

ბაღში ვიყავ, მოვწყვიტე ვარდი ალისფერია,
დავინახე მებაღე, გული გადამელია.
– რა მოხდაო, დამშვიდდი – ასე მითხრა მებაღემ,
ბაღს მოგართმევ მთლიანად, ვარდი რა სათქმელია!

* * *

მან გამაჩინა,
მან მომაპყრო წყალობის თვალი,
მან შემიკერა ეს სამოსი
ძარღვით და ძვალით.
ტანი ძონძია,
ხოლო გული არის დერვიში,
ის შეიხია,
სამყარო კი ხანაგა არის.

* * *

იყავი სუფთა,
უმწიკველი, სათნო და ნაღდი,
მხოლოდ და მხოლოდ
იმ არსების იცოდე ყადრი.
თუნდაც ათასი
შენ გეახლოს დარდი ყოველ წამს,
უნდა ინატრო,
კვლავ გეწვიოს ახალი დარდი.

* * *

ეს სიმარტოვე
ათას სულზე უფრო ტკბილია,
თავისუფლება –
სამყაროზე უფრო ტკბილია.
ღმერთთან იგრძენი,
თუნდაც წამით, არსება შენი,
სხვა ყველაფერი ქვეყანაზე
მოგონილია!

საადი შირაზელი (1203-1292)

* * *

თუ სასახლში არავის იცნობ,
ნუ მიადგები სასახლის კარებს.

თორემ ან ძაღლი, ან კარისკაცი,
უმალვე, როგორც შეგავლებს თვალებს,

ერთი ფეხებში გეცემა, ხოლო
მეორე გისვრის კინწისკვრით გარეთ.

* * *

ვნახე, შუადღე, ულმობელ მტარვალს
ძილისთვის ტკბილად მიეცა თავი.

ვთქვი, რომ ეს კაცი კარგია მაშინ,
როცა მკვდარივით მძინარე არის.

ის, ვინც კარგია მძინარე მხოლოდ,
უმჯობესია, რომ იყოს მკვდარი.

* * *

შენ შეგიძლია, უბრალო ქვითაც
რომ დაამსხვრიო თვით ოქროს თასი,

თუმც ამით ოქროს
არაფერი არ დააკლდება,
არც მოიმატებს ამით ქვის ფასი.

* * *

თუ მეფემ
სისხლი საკუთარი აღარ დაღვარა,
მისი სამეფო
დაიცლება სისხლისგან მაშინ.
უნდა ყოველდღე
ერთი მაინც მოიკლას მგელი,
რომ მის ღრიალზე
დანარჩენი შეძვრეს ბუნაგში.

* * *

მე ვარ ნაწყენი მეგობრებისგან –
წარმოაჩენენ ჩემს ცუდს რომ კარგად.

სიგლახე ჩემი რომ მოსწონთ ჩემში,
რომ მიიჩნევენ ჩემს ეკალს ვარდად.

სად არის ნეტავ, ბინძური მტერი,
ჩემს თვალში ჩემს თავს ახადოს ფარდა.

* * *

შენ, ჰე, რომელიც
სხვას ასწავლი, არიგებ ვითომ,
რასაც ჰქადაგებ,
შეისმინო ის უნდა თვითონ.

თუ თვით არ იცი,
როგორ უნდა გეჭიროს თავი,
მაშინ სხვის ნაკლზე
ხმა გაკმინდე, დახუჭე თვალი.

სახე გიჩანსო,
ერთი კაცი ჰკიცხავდა მეძავს,
თვითონ კი უკან
გარღვეული შარვალი ეცვა.

* * *

უმჯობესია, მოთმინებით დალიო სული,
ვიდრე უღირსის
წყალობისკენ გეჭიროს თვალი,
უმჯობესია,
უდაბნოში წყურვილით მოკვდე,
ვიდრე ბინძურის
გამოწვდილი დალიო წყალი.

* * *

თუ ვინმე მოვა,
ღამე ძალით ჩაგიქრობს სანთელს,
გამოასალმე ყველას თვალწინ
იგი დღის ნათელს;

თუ კი გეწვია პირმცინარი,
ლამაზი სატრფო,
გულში ჩაიკარ,
თვით ჩააქრე სანთელი ამ დროს.

* * *

იმ სახლს, რომელსაც
მეზობელი ჰყავს შენისთანა,
ათი დირემი თუ ექნება მხოლოდღა ფასი,
მაგრამ იმედი ვიქონიოთ, მოკვდები როცა
ის ეღირება უსათუოდ – ასი ათასი.

* * *

თუკი დასჭირდა მეგობარს შენსას,
გაყიდე მამის ეზო და კარი.

მეგობრის ქვაბის ასადუღებლად
შენი ავეჯი ალალი არის.

სიკეთე უყავ მოსურნეს ავის,
ძაღლს პირს შეუკრავს პატარა ძვალი.

* * *

საჭმელი უნდა იმდენი ჭამო,
რომ იარსებო, ბოლოს და ბოლოს.

შენ კი იმიტომ არსებობ მხოლოდ,
ამოიყორო მუცელი მხოლოდ.

* * *

კაცი საწყალი და უქონელი
მსუბუქად მივა სიკვდილის კართან,

მაგრამ მდიდარი იხილო უნდა,
როს გაეცლება წყალობის კალთა...

ბატონისათვის ბორკილს ჰგავს ეს და
მონისთვის კი ჰგავს ბორკილის აყრას.

* * *

აღარ მიხვიდე
მეგობართან მწუხარე სახით,
არ გაუფუჭდეს
ხასიათი მას შენი ნახვით.

მეგობარს მუდამ
ეახელი ღიმილის მჩენი,
რომ გაუხარდეს
მას ორწილად დანახვა შენი.

* * *

ათასი ცუდი ჩაიდინოს
დერვიშმა თუნდაც,
ამის შესახებ
მეგობრებშიც არარა ისმის.

მაგრამ,
თუ მეფემ გაიხუმრა, საკმარისია –
უმალ ქვეყანას
შემოირბენს ნათქვამი მისი.

* * *

უკვე რამდენი გავიდა წელი,
რაც არ გინახავს საფლავი მამის.
რაც შენ მიაგე სიკეთე მშობელს,
შვილი მოგაგებს – დადგება ჟამი.

* * *

თუ აღარ ძალგიძს
მოაშორო დარდიანს სევდა,
იმას უფრორე
დააღონებს შეხვედრა შენთან.
ათასი ტკბილი
შარბათი და ნუგბარი ხილი
მოწამლულს ისე არ აამებს,
ვით სიტყვა ტკბილი.
დერვიშმა ერთხელ
თუ გაბედა კაკუნი კარზე,
კარი ბევრია ქვეყანაზე და ივლის ასე.
გულით მიგენდოს,
არ მიენდო, ძვირფასო, იმას,
ვინც ერთს გაანდო სატკივარი,
გაანდობს სხვასაც.

* * *

ძაღლები ნახე,
როს საჭმელი არაფერი აქვთ,
რარიგ არიან,
ერთმანეთი ან როგორ უყვართ.
მაგრამ, უკანალს დააგლეჯენ ერთიმეორეს,
საკმარისია, გადაუგდო მათ ერთი ლუკმა.

სეიდ ჰასან ლაზნელი (XII)

* * *

მზის გვირგვინზე ძვირფასია,
შენი ფეხის მტვერი,
სჯობს სიცოცხლეს მარადიულს
შენზე დარდი მწველი.
მადლობა ღმერთს,
მირჩევნია ასი ათას იმედს,
რომ არა მაქვს ამა ქვეყნად
მე იმედი შენი.

ხ ა ლ ხ უ რ ი

ვარდი ხარ გაზაფხულისა,
ლხენა ხარ ჩემი გულისა.
ღვინო გაქვს, რატომ არ მოგაქვს,
დამატკბობელი სულისა.

ღვინო, ვით ქარვა ციმციმა,
ვით გაზაფხულის ღრუბელი,
ბაღნარში რატომ არ მოგაქვს,
რატომ არ მიკლავ წყურვილსა.

ქართა

კოლხი ვოვონა

გუგული ცოგონიძე

კოლხეთს ბერძნები შემოესივნენ. მოსახლეობამ ფაზისი დატოვა და მთაზე აღმართულ ციხესიმაგრეში შეიხიზნა. მტერი დროდადრო ციხეს მოადგებოდა და მის კედლებს ოთხთვლიანი მანქანებით უზარმაზარ ქვებს უშენდა. ციხის კედლები იბზარებოდა, შეხიზნულები დანგრეულ კედელს ისევ ამაგრებდნენ, ერთმანეთს ამხნევებდნენ, მტერს არ ეპუებოდნენ. მოალყეები იძულებული ხდებოდნენ უკან, ბანაკისაკენ დაეხიათ.

ღამით ქონგურებიანი კოშკიდან სევდით სავსე კოლხური სიმღერები მოისმოდა. ქარი ანაკუწებდა სიმღერას, ფხრეწდა და აქეთ-იქით ფანტავდა, გამეფებული პირქუში მდუმარება ქედს ხრიდა. ნაომარი და ნარბევი ციხე იდუმალების შარავანდედით იმოსებოდა.

გალავანის შიგნით, ეზოში, ბრძოლით მოქანცული, დაღვრემილი კოლხი მეომრები აჩრდილებივით მიმოდიოდნენ. სქელი სელის პერანგები მუხლებამდე სწვდებოდათ. ტყავის მრავალი ფენით შემოსილი ფარები მკერდზე მიეკრათ, ფოლადისპირიანი შუბები ხელში მაგრად ჩაებღაუჯათ, თავზეც ფოლადის მუზარადები ეხურათ.

ციხის პატარა სალოცავში ისმოდა დაჭრილთა კვნესა, ბავშვების წამოტირება და ქალების ჩუმი, მავედრებელი ლოცვა.

ერთი თვე იწურებოდა, რაც მტრის ლაშქრით იყო გარშემორტყმული ციხესიმაგრე. შეხიზნულებს სურსათი შემოელიათ, შიმშილით გასავათებულებს ხმის ამოღების თავი აღარ ჰქონდათ. შიდაციხის სურსათის საცავში პურის ერთი მოზრდილი კიდობანი-ღა დარჩენილიყო. ბავშვებსა და დაჭრილებს უზოგავდნენ, მაგრამ კიდობანი თვალსა და ხელს შუა ცარიელდებოდა. შეფიქრიანდნენ კაცები, ნაღველი გაუდიდდათ. ქალებს ბალღებზე დარდით გული გახეთქვაზე ჰქონდათ. უჭირდათ, ითმენდნენ. იცოდნენ, თავისუფლების დაკარგვა სიკვდილსა და ტყვეობას რომ ნიშნავდა. ამის გაფიქრება თავზარს სცემდათ. რწმენა ასულდგმულებდათ, გარეთ დარჩენილების, მეზობელ თემში გახიზნული თავისიანების იმედიღა ჰქონდათ. გაუსაძლისი და სულის შემძვრელი იყო ეს ლოდინი. შიშითა და იმედით ელოდნენ იდუმალებით მოცული ყოველი დღის გათენებას. ბავშვები თვინიერი თვალებით შესცქეროდნენ შეშფოთებულ მშობლებს.

ერთგან, კუთხეში, მოხუც კაცს ბრინჯაოს კერპის წინ მუხლი მოეყარა და შეხიზნულების გადარჩენას ევედრებოდა. იქვე, ჩალაბულაში ჩამჯდარ მუხლგადაყვლეფილ ბიჭს შიმშილით გასავათებული დედაბრის მკერდზე თავი მიედო და ვერ გაიგებდი, ეძინა თუ თვლემდა. ერთხანს ასე იყო, მერე წამოიწია და წაიჩურჩულა:

– ბებო, მშია.

დედაბერს გული შეეკუმშა, ენა ვერ დაძრა, თითქოს გაქვავდა. ბიჭი მიხვდა, რომ ნამცეცსაც ვერ მისცემდნენ და ჩაჩუმდა. იქვე მდგარ დოქს ხელი წაატანა და წყალი მოსვა. ის ის იყო, ძირს უნდა დაედგა, რომ ხელი გაუშეშდა, მისგან ოდნავ მოშორებით, ასე, თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ნარნარათავსაბურავიან გოგონას მოჰკრა თვალი. კაბის გადაკეცილი კალთიდან მალულად ხელისგულისოდენა ხმიადის ნატეხი ამოიღო და პირთან მიიტანა. ბიჭს თვალები გაუფართოვდა. შიმშილისაგან მოთმინებადაკარგულმა წამოიძახა:

– მეტი აღარ გაქვს!?.

გოგონა გაწითლდა, ლუკმა ყელში გაეჩხირა. ცარიელი მუჭი ძირს დაუშვა. სახეზე უსაზღვრო მწუხარება დაეტყო. ბიჭის მზერას გაექცა, გვერდზე გაიხედა. ბიჭი ყველაფერს მიხვდა. გულდამძიმებულს ურჟოლვისმომგვრელი სიმღერა შემოესმა და თავი მუხლზე ჩამოდო. ციხის ქონგურებთან მეციხოვნენი მღეროდნენ, დაირღვა ჩამოწოლილი, გამთანგველი სიჩუმე.

დიდი მწუხარება სიმღერას ბადებსო, – ბაგიდან-ბაგეზე გადაინაცვლა იმედის ჰიმნმა. სიმღერა მონავარდე ფრინველივით ზეცაში აიჭრა, ციხეს გარშემოუარა. მარტო ყურს კი არა, გულებსაც მისწვდა. ეს სიმღერა მარადიული ლოცვაც იყო, სიცოცხლის საგალობელიც. აამღერა შეხიზნულების გმირული სულიც და დაუჯერებლის დაჯერების სურვილი ალივით მოედო ყველას, იმედის ცეცხლი შემოენთოთ ხვალინდელის შიშით გათანგულებს.

ეზოში თივა-ჩალაზე მიწოლილი ქალები წამოიშალნენ, მთვარის შუქზე მორიალე კაცებს შეაჩერდნენ. დაჭრილები მოჰყავდათ. ეზოში ყველანი ერთად დააწვინეს. მერე ხელი-ხელს ჩაჰკიდეს, მათ გარშემო წრე შეკრეს და ფერხული წამოიწყეს. გაიხსენეს მამა-პაპისგან ნასწავლი მაგიური წრე... რომ წრე მზის ენერგიით ივსება, დაჭრილებს თუ ამ წრეში მოათავსებ და მათ გარშემო ფერხულს სიმღერით დაუვლი, მაგიურ წრეში მყოფთ ჭრილობა ადვილად შეუხორცდებათ. წრე, არამც და არამც, არ უნდა დაირღვეს. წრიული ცეკვები უდიდესი ენერგიის მატარებელია, თითოეული მოძრაობა გარკვეული რაღაცის მიმანიშნებელია. მოცეკვავეები დაჭრილებს მზისა და მთვარის ენერგიას ცეკვითა და სიმღერით გადასცემდნენ. ყოველივე ეს ძლიერ სწამდათ დაჭრილებსაც და მოცეკვავეებსაც, ამიტომ ვერ ერეოდათ ვერავითარი მწუხარება და ტკივილი. სიმღერით დასცინოდნენ ყოველგვარ უბედობას. წინაპრების ცოდნის გახსენება ცრემლს, აღტაცებას, გაკვირვებას და უდიდეს სიამაყის გრძნობას ჰგვრიდათ.

სხვა ბევრი საიდუმლოც იცოდნენ კოლხებმა...

დაჭრილს თუ ავადმყოფს ბებერი ალვის ხის ძირში დააწვენდნენ ან დასვამდნენ. გამოცდილებით იცოდნენ, სხეულიდან ჩირქს სწოვსო ალვა, მერე მუხის ძირას გადაიყვანდნენ, მზის ენერგია აქვსო მუხას, ავადმყოფს ძალას ჰმატებსო.

... დაჭრილების გარშემო სიმღერით ფერხულს უვლიდნენ კაცები. კაცსა თუ ქალს, დიდსა თუ პატარას ძარღვებში მეამბოხე სისხლმა დაუარა, წელში გაიმართნენ, დასევდიანებულებს შუბლი გაეხსნათ, სახეზე ათინათმა გადაურბინათ და გულში იმედი აუციმციმდათ.

ნარნარათავსაბურიანი გოგონა ერთხანს ღიღინით აჰყვა სიმღერას, მერე მამისკენ გაუწია გულმა. მთვარის შუქზე ადვილად მონახა. ზემოთ, სათვალთვალო კოშკთან იდგა ახოვანი, ოქროს მუზარადიანი, ტანთ სელის ქსოვილის ტუნიკა, მოკლე, უსახელო სამოსი ეცვა, მკერდთან ოქრომკედით ნაქარგი ბორჯღალით.

ციხისთავს ესაუბრებოდა. გოგონამ ნაბიჯი შეანელა.

– დილით იერიშზე გადმოვლენ, – მოესმა მამის ხმა, – ხომ იცი, ოდითგანვე წესად გვაქვს, ზღვაზე კატასტროფაგანცდილი ხომალდების გადარჩენილ უცხო მგზავრებს ვშველითხოლმე. თუ მოისურვეს, ხელს ვუმართავთ და სამშობლოში ვაბრუნებთ. მტერს კი...

შეღამებისას, დაღლილ-დაქანცული გოგონა სასთუმალზე მიწვა. რა დააძინებდა. დარდმა და ფიქრმა წაიღო. უეცრად მამამისის მონათხრობი გაახსენდა... კოლხებმა შქერის მათრობელა თაფლით ზღვით მოსული მტერი რომ დაამარცხეს. ამ თაფლის უზომოდ მიღება თურმე ადამიანს გონს უკარგავს...

მაშინ მდინარე ფაზისზე უამრავი ხიდი ყოფილა გადებული. ყოველ ხიდთან, მდინარის პირას, მგზავრთა მოსასვენებელი, ავდრისგან თავშესაფარებელი ჯარგვალები აეგოთ... როგორც კი შეიტყვეს, მტერი მოდისო, ჯარგვლებში დოქებით შქერის თაფლი დატოვეს. მოსულებმა გასინჯეს თაფლი, მოეწონათ... დათვრნენ და უბრძოლველად დამარცხდნენ...

„ეს თაფლი ჩვენცა გვაქვს, ჩემი მოსასვენებლის შორიახლო სენაკშია, დოქებით დგას, მაგრამ რომ ვერ ვიყენებთ?..“ – გაუელვა გოგონას.

მამასთან მისვლა დააპირა, მაგრამ კაბაზე ხელის შეხება იგრძნო და შემოტრიალდა. ჩალაზე რომ იჯდა, ის პატარა ბიჭი იყო. გაუბედავად შემოსცქეროდა.

– ცოტა ხმიადი ხომ არა გაქვს? – ამოღერღა.

გოგონას თითქოს გულში სატევარი გაუყარესო, გახევდა. მოაგონდა როგორ მალულად გადაყლაპა ძლივძლივობით გადანახული პაწაწა ნატეხი. შეებრალა თავიც და ბიჭიც. სახეზე ცეცხლი მოედო, ენა ვერ დაძრა,

ახლა ის ლუკმა თითქოს ყელზე დაადგა და ახრჩობდა. უარის ნიშნად ხელები გაასავსავა. ბიჭმა თავი ჩაკიდა და უკან გაბრუნდა. გოგონამ მისკენ გაიწია, მაგრამ ფეხი რაღაცას წამოჰკრა, რომ არ წაქცეულიყო, კედელს მიეყრდნო, მერე იქვე ძელსკამზე ჩამოჯდა და მწარედ ჩაფიქრდა. თავში მამის სიტყვები აუწრიალდა: „დილით იერიშზე გადმოვლენ... გავუძლებთ კი? თუ ვერა, დაგვხოცავენ ან ტყვედ წაგვასხამენ...“ – ტყვეობა ცეცხლივით საშიში იყო, სიკვდილზე უარესი... – „მათრობელ თაფლიო?.. ჯერ ვერ გამოიყენეს... ნეტავ, აწი არ შეიძლება?.. მაგრამ, როგორ?..“

„შქერის თაფლი... შქერის თაფლი...“ – ეს ფრაზა თითქოს ენის წვერზე ეკიდა და არ ასვენებდა, ფიქრობდა. მერე ერთბაშად გონებაში ელვასავით გაკვესა რაღაც მოსაზრებამ: „მე რომ წავიღო?!. როგორ?.. რანაირად?..“

მის გულში სასოწარკვეთა და უმედობა მონაცვლეობდა. ათასჯერ დაიპყრო გონებამ გული. ბოლოს გულმა აჯობა. ადგა, შორიახლო სენაკისკენ უჩუმრად გაემართა, კარი შეაღო, დოქი მონახა, ხელი დაავლო და უჩუმრადვე გამოვიდა. ეზო ლანდივით გაიარა, დასავლეთისკენ გაეშურა. გალავანთან ძეძვით დაფარული გვირაბი ეგულებოდა... ეკლიანი ტოტები რის ვაი-ვაგლახით მისწი-მოსწია და გვირაბში შეაბიჯა. დაღმართს ფრთხილად, ხელისცეცებით მიუყვებოდა. არ გამიტყდესო, დოქს უფრთხილდებოდა. როგორც იქნა, გვირაბის ბოლოს მიაღწია და გარეთ ველზე გავიდა. აქ კი შეჩქვიფდა. შიშით მიმოიხედა, გულმა ბაგა-ბუგი დაუწყო, ირგვლივ ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. „ღამე დამიფარავსო“, – გაიფიქრა და ოდნავ დამშვიდდა. ფიქრის დრო აღარ იყო, წინ უნდა ევლო. ნაბიჯი გადადგა, ფეხი ქვას წამოჰკრა, ქვაზე ლითონის თხელმა ფეხსამოსმა გაიწკრიალა. უჩუმრად რომ ევლო, გაიძრო და გზას ფეხშიშველი გაუყვა. ქვაღორღიან გზაზე ფეხისგულები დაესერა, ნაფეხურებზე ტერფებიდან გამონაჟონი სისხლი წვეთავდა. სისხლის წვეთებზე წითელი ყვავილები ამოდიოდნენ (ამ ყვავილებს ხალხი დღესაც თავსისხლას ეძახის). სიბნელეში ყვავილებს ვერ ხედავდა გოგონა. მტკივან ფეხზე ხელს ისვამდა. დოქიც აღარ ემორჩილებოდა. საოცარი იყო... როგორც კი უიმედობა გულს შემოასკდებოდა და ხელის ჩაქნევას გაიფიქრებდა, თვალწინ ციხე-კოშკში შეხიზნულები დაუდგებოდნენ. მათი აჩრდილები მასთან მოდიოდნენ, ხელს ჰკიდებდნენ, გზაზე აყენებდნენ და შველოდნენ.

„ესეც ბექობი!“ – გაიხარა,– „გზაში მოწოლილ მტანჯველ ფიქრებს თავს დავაღწევ, ამ ბექობს ჩავივლი და მტრის ბანაკსაც მივადგებიო“, – გაიფიქრა თუ არა, ფაჩუნი შემოესმა. დაფრთხა, ბუჩქბში შეიმალა და გაილურსა. შიშისმომგვრელმა მარტოობამ მოიცვა. კარგა ხანს იყო დამალული, მერე სამალავიდან ნელნელა გამოძვრა, ის იყო, თავქვე უნდა დაშვებულიყო, რომ მხარზე შეხება იგრძნო და შეკრთა. მიიხედა. მის წინ უცხოდ ჩაცმული მამაკაცი იდგა.

„ზღვიდან მოსული?!“ – შიშმა გათანგა. უცხოც მიხვდა, ხელთ ტყვე რომ იგდო: გახარებულს ისღა უკვირდა, მარტოდმარტო აქ რამ მოიყვანა, აქ როგორ გაჩნდაო. გონზე მოსვლა არ აცალა, დოქი ჩამოართვა, გულშეღონებული ზეაიტაცა, მხარ-მკერდზე მიისვენა და მძიმე ნაბიჯით ბანაკისაკენ გაემართა.

კარავში ბრწყინვალე სამოსელში გამოწყობილი მხედარმთავრის ფეხთაქვეშ გაშლილ ხალიჩაზე დააწვინა.

– გორაკთან ვნახე, მარტო იყო! – მოკლედ თქვა და უკან გადგა.

გონზე მოსული გოგონა ხალიჩიდან ზეწამოიჭრა. დამფრთხალი ნუკრივით შეშფოთებულმა მიმოიხედა. ველის ყვავილივით თრთოდა.

მხედართმთავარი მონუსხულივით მიაშტერდა ახლად აკოკრილ ნორჩ ასულს. მისი სილამაზით ისე მოიხიბლა, ენა ვეღარ დაძრა. მხოლოდ გაიფიქრა: „ბრძენთაგან გაგონილი მქონდა, კოლხები მზის ღმერთის, ჰელიოსის შთამომავალნი არიან, – მზესავით მწველ სხივებს აფრქვევენო მათი თვალები. მართალი ყოფილა. საიდან მოვიდა, ან საით მიდიოდა, აქ საიდან გაჩნდა?!“ – აუწრიალდნენ ფიქრები, – სამოსზე ეტყობა, დიდგვაროვანია. თუმცა აქაური მდაბიონიც ჩინებულად იმოსებიანო. ჩვენში ამათ სამშობლოს სიმდიდრით განთქმულ ოქრომრავალ ქვეყანად მოიხსენიებენ, ამისთვის გადმოვლახეთ ზღვა. ქალაქ ფაზისს რომ მივადექით, გაკვირვებამ შეგვიპყრო. მდინარის შესართავთან, მის მარცხენა მხარეს საოცრება ვიხილეთ. ღმერთქალის, დიდი ედა ნანას ოქროს ქანდაკება... მის შორიახლოს დავბანაკდით, ჯერჯერობით მისთვის ხელი არ გვიხლია. ოქროს ტახტზე რიდეჩამოშვებული, წელგამართული ზის, გალაღებული თავისუფლებით და გარს შემოჯარული ამაყი მთებით. ხელთ სიმებიანი საკრავი, წინწილა უჭირავს. ტახტის წინ, მის ფერხთით ოქროს ლომები წვანან....“ – ფიქრში ჩაძირული სარდა-

ლი კვნესამ გამოაფხიზლა. გოგონა იყო. ზეზე მდგარს მტკივანი ფეხებისთვის ვერ გაეძლო და ხალიჩაზე ჩაკეცილიყო. სისხლით დაცვარულ ფეხს ხელმანდილით იწმენდდა. სარდალმა სიბრალული იგრძნო, მაგრამ ეს ტყვის მიმართ დათმობას სულაც არ ნიშნავდა: „ის შენიანი არ არის, დასაპყრობად მოხვედი!“ – ჩასძახა უცხო ხმამ მზაკვრულად. სხვა ხმა კი საპირისპიროს უმტკიცებდა: „რანაირად შეიძლება ასეთმა ნორჩმა, ნაზმა და თვალწარმტაცმა ასულმა ვინმეს ზიანი მიაყენოს?!“

სარდალმა ფიქრებს თავი დააღწია და გოგონას ჰკითხა:

– ვინ ხარ, საიდან მოდიხარ ან სად მიდიოდი?!

ჩვენს ენაზე ლაპარაკობსო, გული გაიმხნევა ტყვემ, გონს მოუხმო და წინასწარ მოფიქრებული ნააზრევი ამოსიტყვა:

– დოქში ტკბილი სასმელია, ყოველთვის, წელიწადის ამ დროს ჩვენს ხალხს შესაწირად მოაქვს ქალღმერთთან, დიდ დედა ნანასთან.

ტკბილი სასმელი ყოფილაო, და მხედრები დოქს წაეტანენ. მოეწონათ. სათითაოდ შესვეს, მხედართმთავარსაც მიართვეს ფიალით.

სასწაულებრივად დოქი არა და არ იცლებოდა, სასმელი სწრაფად ეკიდებოდათ, მალე გონმიხდილი და ძალაგამოცლილი ზოგი სად მიწვა და ზოგი სად.

გოგონა კარავიდან გამოიჭრა. ტკივილს ვერ გრძნობდა, დიდ ნანასთან, ქალღმერთთან მიიჭრა, მის წინ მუხლებზე დაემხო, შველა შესთხოვა, მერე თრთოლვით წამოდგა, მიეახლა, შიშითა და რიდით საკრავის სიმებს ხელი ჩამოჰკრა და ააჟღერა... უცებ იჭექა, იელვა, თითქოს ზეცაში ცეცხლი დაანთესო. მერე ირგვლივ ყველაფერს თვალისმომჭრელი ნათელი მოეფინა.

ძლიერმა ნათებამ ციხესიმაგრეში შეხიზნულების ყურადღება მიიპყრო. „ზეცა რაღაცას გვანიშნებსო“, – გაიფიქრეს და ყველანი წამოიშალნენ, მათ ყურთასმენას მხიარული ჰანგი მისწვდა. ქვემოდან, მდინარის შესართავიდან მოისმოდა. ყველაზე მეტად ოქროსმუზარადიანი აფორიაქდა. სიმღერის ჰანგი მისი შეთხზული იყო. მხოლოდ თავისი გოგონასთვის მოესწრო მისი განდობა. ბრძანა, ჩემი ასული მომგვარეთო.

ვერსად მიაგნეს.

„მოიტაცეს?!. მაგრამ ციხესიმაგრიდან ასე უჩუმრად?“ – გულს შემზარავი ფიქრი შემოასკდა, – ჩემი ასული იქ როგორ გაჩნდა?“

ხელი ხელს შემოჰკრა, თავისი მხედრებიდან ყველაზე მამაცები იხმო და ბრძანა:

– შეიტყვეთ, რა ხდება ქვემოთ. ფხიზლად იარეთ, როგორც კი რამეს გაიგებთ, მანიშნეთ და თქვენთან გავჩნდები!

წუთი საუკუნედ ეჩვენებოდა. როგორც კი სანიშნო კოცონის ალი ავარდა, მხედრების თანხლებით გალავანს გარეთ გავიდა, სამალავში დაბმულ ცხენებს მოახტნენ და ქვემოთ დაეშვნენ. იქ უცნაური სურათი გადაეშალათ: ბერძნების მთელ მხედრობას ღრმა ძილით ეძინა. ოქროსმუზარადიანმა, როცა შვილი უვნებელი დაინახა, გაიხარა, ჩამოქვეითდა, გულში ჩაიკრა და თრთოლვით ჰკითხა:

– რა მოხდა, შვილო?!

გოგონამ მამას გაუბედავად ახედა და ყველაფერი კრძალვით მოუყვა. მისმა მონათხრობმა კოლხები გააოგნა. ასეთ საფრთხეში თავი როგორ ჩაიგდეო, უსაყვედურა მამამ, თუმცა ეს საყვედური უფრო სიყვარულით იყო გაჯერებული. აოცებდა შვილის საქციელი, უკვირდა და თან მისი სულის სიძლიერის გამო გული სიამაყით ევსებოდა. ენაჩავარდნილი იდგა, ვერ გაეგო, ყველაფერი ეს სიზმარი იყო თუ ცხადი.

– მამი, – შვილის ხმა ჩაესმა გაოგნებულს, – ნუ დახოცავ ბერძნებს, გთხოვ... აქედან გააძევე და სიცოცხლე აჩუქე. სიკვდილი საშინელებაა. შენგან არაერთხელ გამიგია, არსებობს ღირსეული დამარცხება და უღირსი გამარჯვებაო. მე ისინი მომენდნენ და ამ ნდობის გამო დამარცხდნენ და თუ ახლა მათ დავსჯით, ეს უღირსი გამარჯვება იქნება.

მამა ერთხელ კიდევ გააოცა შვილმა. ჩაფიქრდა. მერე შუბლი გახსნა და შვილს მიუგო:

– გაუგონარი მამაცობისთვის ჯილდო გეკუთვნის, იყოს ნება შენი!

და ბრძანა:

– თუ ყველაფერი არაჩვეულებრივი ჩვენში, ადამიანებში, აღტაცებას იწვევს, მაშ, რატომ უნდა ვიყოთ გულგრილები ქველობისა და სიკეთის მიმართ? დაე, ვიყოთ შემწყნარებლები!

დაამთავრა თუ არა სათქმელი, მოულოდნელად იჭექა, იელვა და განათდა ცარგვალი. უცნაურმა ნათებამ იქაურობა გააცისკროვნა.

ზეცა გალობდა, სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვებას ზეიმობდა. ნარნარათავსაბურავიანის ნაფეხურებზე ამოსულ თავსისხლა ყვავილებს ცრემლი ჩამოუგორდათ.

კოლხებმა გოგონას ტერფები განბანეს და ამირანის სისხლის წვეთებზე ამოსული ყვავილის – სისხლაბალახას მალამო დაადეს.

ლოგოსი

არქიმანდრიტი შიო

(შავნაბადას წმიდა გიორგის მამათა მონასტრის წინამძღვარი)

I

ხმა ზეგარდამო!

...ახლა ბერობა ხანძთელის უნდა,
არა სილაჩრის, არა სიშიშვლის,
არა მდვიმეში მოკალათების,
ან რუდუნებით დაცდა სიკვდილის,
არამედ მისვლა პატრონად ერის,
მამად, მომვლელად თავის ჯილაგის,
ახლა ბერებად ლომები გვინდა,
რომ ხიდი დადონ ციდან მიწამდის!

დიდება უფალს!

სუფთა ხელებით იწყება ახლა
ჩემში ბერის და კაცის ცხოვრება,
ის, რაც ვიცხოვრე, სამაგალითოდ,
ვხედავ, ნამდვილად, არ გამოდგება!
მაგრამ მასალად ახლის შენების, –
წარსულის ბევრი მონაპოვარი, –
უნდა დაედოს ფუძედ სასახლეს,
რომლის აგება, თუ მოვასწარი!..
– დიდება უფალს!
– თუ ისე მოხდა...
რომ ჩანაფიქრი, ვერ გავასრულე...
ვიცი, რომ ბევრი გაჰყვება ჩვენს გზას
ჩვენს წილ გზა-სავალს, ის გაასრულებს!
და იტყვის სიტყვას ჩვენ რომ გვინდოდა,
იტყვის მჭექარედ, იტყვის საზრიანს
და შესძახებენ მრავალჟამიერ!
დიდება უფალს და ჩვენს პატრიარქს!
რამდენ ავთან და რამდენ მაცდურთან,
რამდენ მგელთან და რამდენ ასპიტთან,
და ბეწვის ხიდზე რამდენჯერ მდგარა,
მაგრამ ლოცვის მადლს გაუმარჯვნია!
ჩვენც მის მაგალითს ვიყენებთ თვალწინ
და ვეგებებით მისებრ განთიადს,
რამდენს უენოდ და რამდენს ენით,
ვხედავ, თუ როგორ დაუხანჯლიათ!
ჩვენც დახანჯლისთვის ვიწყებთ ცხოვრებას,
თუმცა წარსულში ეს არ გვაკლია
და ვიწყებთ ერის გამოღვიძებას,
ვდგებით იქ, სადაც მადლი ანთია!
არ ვეპუებით მწიხვნელთა რაზმებს,
არ ვეპუებით მტერს და მოყვარეს,
ჩვენ, ჩვენი ჯვარი უნდა ავიღოთ,
ისე ვეახლოთ ღმერთს გოლგოთაზე!
კმარა ამდენი გაურკვევლობა,
ამდენი კვლა და დანის ტრიალი,
ამდენი ცდა და უნამუსობა, –
გამოიფიტა ადამიანი!
ცხოვრებას უნდა ახალი გეზი,
ახალი სისხლი, ახალი ხორცი, –
და არ უნდიხარ, არსად არავის,
თუ ხარ გულბოღმა, ან თუ ხარ მორცხვი!
არც თავხედობა, არც თავნებობა,
გადაგვიყრია სუყველა წყალში
და რაც ენაზე სიტყვა მოდგება,
ჯერ ავწონოთ და მერე ვთქვათ ხალხში!..

ზღვა ცაა ქართველთა სალარო

პატრიარქს

ზღაპარი დავწერო! – მიბრძანე,
მიბრძანე – ზღაპარი მიზანი...
ზღვა დავხნა, დავთესო, მოვიმკო –
ბრძენთათვის საზრდელი მითხარი!
ზღვას დავხნავ, დავთესავ, მოვიმკი...
ზღვა ცაა ქართველთა სალარო,
გინდა, რომ შვილები გამრავლდნენ,
აავსონ იმედით სამყარო!..
ზღვას დავხნავ, დავთესავ, მოვიმკი,
მოსავალს ზღვად ვაქცევ, გამაგრდი!
დღესაა, თუ იყო ოდესმე,
ქართველი კლდესავით მაგარი!..
ქართული ბარძიმით, ფეშხუმით, –
უფალმა ბეთლემით ინება!
– მსოფლიოს ქართველად მოქცევა
იწყება!
იწყება!
იწყება!
იწყება, ცხოვრება იწყება!
მთავრდება ბავშვური თამაში!
ქართველი იღვიძებს, იღვიძებს!
თენდება! ესაა მთავარი!

ქართველები ვართ – ბერები გვქვია!

თუმც პოეზიით მოხიბლულ ვიყავ
და მომღერალნიც მიყვარდნენ გულით,
მაინც ვერ გავხდი ვერც მომღერალი
და ვერც პოეტად გავწვართე სული...

მე ერთი ვინმე მწირი ბერი ვარ
და გულით დამაქვს ღვთის საიდუმლო,
შთამომავლობად დავზრდით არწივებს
და ავიცილებთ ბნელს საუკუნოდ!

ჭეშმარიტებას ვემთხვევით დიადს,
ჭეშმარიტებით დავცემთ ფარაონთ,
არ გვავიწყდება, რომ ქართველობა
უფლის შვილობა არის ამავდროს...

ქართველი მართალ დიდებას ნიშნავს
– ქრისტიანობის წმიდა სავანეს,
ქართველთა არის კვართი უფლისა
და ჯვარცმულ უფალს გულით ვატარებთ!

ამიტომ გვინდა, ან თუ არ გვინდა,
ჩვენ ვერ გავივლით ხელის ცეცებით...
ქართველები ვართ – ბერები გვქვია,
ვცხონდებით, როგორც ქრისტეს მხედრები!

გვახარებს ის, რომ

ქართველ კაცს უნდა ახსოვდეს, რომ
ქართველი ქალი
არის იმისი შთამომავლის დამბადებელი...
ქართველმა ქალმა უნდა მცნებად
შეისისხლხორცოს,
რომ ქართველისგან იბადება
მხოლოდ ქართველი...
ჩვენ უნდა მივცეთ შაბათი ხალხს,
არა პირიქით,
ჩვენ უნდა მივცეთ თავი უფალს
და არა კანონს,
კანონის მონად ჩემი ერი
არასდროს მდგარა,
არც მომავალში არ გახდება
მონა არასდროს...
კანონზე მაღლა უნდა იდგეს ადამიანი,
კანონი მხოლოდ მონებისთვის
არის საზღვარი,
უფალი თავის მონობასაც
კი არ გვაკადრებს,
მისთვის შვილი და მეგობარი
არის მთავარი...
უნდა კანონი ემსახუროს
ქართველის თემას,
ქართველმა უფლის დიდება კი
ცამდე აწიოს,
უნდა ქართველმა დაამკვიდროს
სიმართლე ქვეყნად,
ჭეშმარიტება გზად და ხიდად გადააქციოს...
გვახარებს ქართვლის გაქანება
და სიდიადე,
გვახარებს ის, რომ დღეს სიმართლე
სადღაც ითქმება,
გვახარებს ის, რომ
ქართველები დაზრდიან გმირებს,
რომელთა რწმენის მახვილები
ყველგან მისწვდება...
ყველგან მისწვდება
დახავსებულს
კერპებს, ბომონებს,
შეიმუსრება შუქშენიღბვა
რწმენის სახელით,
ქართველი მოვა ბოროტთათვის
მეორედ მოსვლად!
და აინთება მსოფლიოში
რწმენის სანთელი!

ქრონიკა

• • •

ესპანურიდან თარგმნა

ელზა ახვლედიანმა

არტურო პერეს-რევერტე

ლიისების საქმე

ესპანეთის სამეფო აკადემიის წევრი არტურო პერეს-რევერტე ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მწერალია სამშობლოში, მას ძალზე საინტერესო ბიოგრაფია აქვს. დაიბადა 1951 წლის 25 ნოემბერს კარტახენაში. 1971 წლიდან ოც წელზე მეტხანს გაზეთ „პუებლოს“ სამხედრო რეპორტიორი იყო კვიპროსზე, ლიბიაში, ანგოლაში, მოზამბიკში, დასავლეთ საჰარაში, იუგოსლავიაში. იგი ორჯერ გამოაცხადეს დაკარგულად. ავტორია ოცზე მეტი წიგნისა, მათი უმრავლესობა ეკრანიზებულია (მათ შორის – წინამდებარე მოთხრობაც).

ქართველი მკითხველი ამ მოთხრობით პირველად გაიცნობს ესპანელ მწერალს არტურო პერეს-რევერტეს.

I

პორტუგალიელის საროსკიპო

ის იყო ყველაზე ლამაზი კონკია, ვისაც კი ოდესმე შევხვედრივარ. როგორც ზღაპრებშია, დედინაცვლის გულბოროტმა ქალიშვილმა მისი უმანკოება ერთ პორტუგალიელ კაცს, გვარად ალმეიდას, მიანდო, ამ პორტუგალიელმა კი სამშენებლო კომპანიისა და დამკრძალავი ბიუროს მეპარტონეს დონ მაქსიმო ლარეტას მიჰყიდა, უფრო სწორად, გაურიგდა, მოგყიდიო და ფულიც წინასწარ გამოართვა.

– ოდესმე მეც ვნახავ ზღვას,– ამბობდა გოგონა (ესეც – როგორც ზღაპრებშია) და გამალებული რეცხავდა საროსკიპოს იატაკს. ის ოცნებობდა ცალფეხა კოკზე, კუნძულსა და თუთიყუშზე, რომელიც ლამის მთელი დღე ჩხაოდა რაღაც მონეტებსა და ათას სხვა სისულელეზე.

– ჰო, დაელოდე, მოვა შენი მზეჭაბუკი უფლისწული და თავისი იახტით წაგიყვანს აქედან, – დასცინოდა გულბოროტი ნატი,– არ გადავარდა ოცნებებში?!

მზეჭაბუკი უფლისწული მე ვარ, ოღონდ ეს ჯერ არავინ იცის, არც მე. იახტა კი ჩემი ორმოცტონიანი „ვოლვო-800 მაგნუმია“, რომელსაც თქვენი მონა-მორჩილი ამ წუთებში 435-ე გზატკეცილზე მიაქროლებს ხერეს დე ლოს კაბალიეროსისკენ.

ნება მომეცით, გაგეცნოთ: მანოლო ხარალეს კამპოსი, ოცდაშვიდი წლის, ვმსახურობდი სეუტაში,[1] რეგულარულ ჯარში, შემდეგ წელიწად-ნახევარი გისოსებს მიღმა გავატარე – მაროკოდან ისეთი რამე გამოვიყოლე, რაც არ უნდა გამომეყოლებინა, ჰოდა, გამომიჭირეს კიდეც. სამშობლოს სამსახურში გატარებული წლების მოსაგონებლად ჩამტვრეული კბილი შემომრჩა მხოლოდ (ერთმა ახვარმა სერჟანტმა ჩამაზილა მუშტი), ელ პუერტო დე სანტა მარიას ციხის სახსოვრად კი გამრუდებული ცხვირი და ორი სვირინგი: ერთი – მარჯვენა მკლავზე, მხარს ქვემოთ, გული და სიტყვა „ციცქნა“,[2] მეორე კი მარცხენაზე – „მე დავიბადე შენდა საცუხრად“. ეს „ც“ ჩემი ძმაკაცის პაკოექვსთითას დამსახურებაა, მაგრამ გადაკრულში იყო, ასე რომ, ვფიქრობ, ყველაფერი გასაგებია. დღეს შესრულდა სამი თვე, რაც ციხიდან გამოვედი. ესეც პირელი სამსახურია, რომლის შოვნაც მოვახერხე. მართალი გითხრათ, კმაყოფილი ვარ. ვზივარ ახლა ჩემთვის „ვოლვოს“ საჭესთან, ვუსმენ „ლოს ჩუნგიტოსს“ და ფიქრებში უკვე პორტუგალიელ ალმეიდასთან ვარ, უფრო სწორად, ნატისთან – „გადასართველად“. აბა, რა ვიცოდი, რა შარში გავეხვეოდი იქ...

მოკლედ, იმ დღეს, კარგად მახსოვს, ფატიმის წმინდა ქალწულის დღეს, – პორტუგალიელი ალმეიდა ხომ თავგადაკლული მორწმუნე იყო, საროსკიპოს კარზე ხატი ეკიდა, ხატის თავზე კი

1. სეუტა – ესპანური ანკლავი ჩრდ. აფრიკაში.

2. ესპ. Cachiro – პატარა ნატეხი, ნაჭერი, ნაწილი. თექვსმეტი წლის გოგონას ზედმეტსახელად არც ერთი არ გამოდგება, ხოლო რაკი ეს ჩამონათვალი მოცულობით პატარასთან ასოცირდება, ითარგმნა როგორც კნინობითი სახელი „ციცქნა“ (მთარგმნ.).

ფარანი, – ნასადილევს ჩემი სატვირთო გავაჩერე, მაისურის სახელოში „უინსტონის“ კოლოფი შევიჩურთე და კაბინიდან გადმოვხტი სულის მოსათქმელად და ბარში ლუდის დასალევად.

– სალამი, ლამაზო, – შემომეგება ნატი.

ის ასე ესალმებოდა ყველას: „სალამი, ლამაზო“. ასე რომ, სხვა არაფერი იფიქროთ... ეს ნატი მაგარი ქალი იყო და ჩვენც, შორეული რეისების მძღოლები, რადიოგადამცემის საშუალებით ერთმანეთს ვურჩევდით მასთან სტუმრობას. რადიოგადამცემი ძალიან გვეხმარება რეისებში. მიდიხარ, მიდიხარ, უცბად გესმის კოლეგის ხმა და გრძნობ, რომ მარტო არ ხარ. გასაჭირშიც, თუ ასეთი რამ მოხდა, ერთმანეთს ვეშველებით ხოლმე.

ალმეიდას თავის დაწესებულებაში სხვა გოგოებიც ჰყავდა – სამი-ოთხი დომინიკელი და ერთიც პოლონელი, მაგრამ მე ყოველთვის ნატის ვირჩევდი. საერთოდ კი, უნდა ითქვას, ნატი პორტუგალიელმა ალმეიდამ პირდაპირ ქუჩიდან მოიყვანა და მარტო მისი ქალი კი არა, ნდობით აღჭურვილი პირიც იყო, სალაროსაც განაგებდა და საროსკიპოსაც მართავდა, მაგრამ ეს კახპა თვითონაც ემსახურებოდა კაცებს, არაკაც ალმეიდას კი, როცა ფულზე მიდგებოდა საქმე, ეჭვიანობისთვის არა სცხელოდა.

– ნატი, საუიმაოდ მოვედი, თუ, რა თქმა უნდა, წინააღმდეგი არ იქნები.

– კარგი რა, ლამაზო, ვითომ არ იცი, რომ წინააღმდეგი არასოდეს ვარ. ხუთი ნატეხი, ხომ იცი...

ვერ ვიტყვი, კახპები სხვა კაცებზე მეტად მაინტერესებს-მეთქი, მაგრამ შორეულ რეისებში ისე მარტოსულად გრძნობ თავს, ისე მძიმედ გადის დღეები, ბოლოს და ბოლოს გახსენდება, რომ ოცდაშვიდი წლის მამაკაცი ხარ და შენსას ითხოვ; ის არ გეყოფა, ვირის აბანოში წელიწად-ნახევარი რომ იმარხულე?!

მართალია, ზედმეტი ფული იშვიათად მაქვს, მაგრამ ორ-სამ კვირაში ერთხელ მაინც ვცდილობ, პატარა სიამოვნება ვაჩუქო საკუთარ თავს, თუნდაც რამდენიმე წუთით დავივიწყო უსიამო ამბები, გადათხრილი გზები, ჟანდარმები... ამათ ხომ ტვინი წაიღეს, გაგაჩერებენ და სულ პატარა რაღაცაზე შარს მოგდებენ. იმის მაგივრად, რომ მანიაკებს, ბანკირებს და ტელეწამყვანებს სდიონ, – ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, სწორედ ამათ მოაქვთ საზოგადოებისთვის ყველაზე დიდი ზიანი, – დაბალი ღობე გვნახეს, მოგვადგებიან და: ეს – საბუთიო, ეს – საგზურიო, ისაო, ესაო, – ტვინს გვიბურღავენ.

ჯანდაბას მათი თავი! მოკლედ, შევყევი ნატის ოთახში, შევუვსე ბანკი, მერე კმაყოფილი და შემსუბუქებული გამოვედი და მანქანაში ჩაჯდომამდე ლუდის დასალევად ბარისკენ გავემართე, თან მაისურს ვიტანდი ჯინსში და სწორედ ამ დროს დავინახე ის.

როდესაც ცხოვრებაში დგება მნიშვნელოვანი წუთი, ცუდია, – ან იქნებ სულაც კარგია, – რომ თითქმის ვერასოდეს ვხვდებით მის მნიშვნელობას. არ გეგონოთ, ზარები ააგუგუნეს ან მუსიკამ დაატკბო ყურთასმენა, როგორც ფილმებშია; დავინახე დიდი შავი თვალები, რომლებიც ოდნავ გამოღებული კარიდან შემომცქეროდნენ, დავინახე მშვენიერი სახე, ზუსტად ისეთი, პატარა ანგელოზებს რომ აქვთ და ეს თვალები, ეს ანგელოზური სახე ისე შეეფერებოდა საროსკიპოს მთელ ამ ანტურაჟს, როგორც ქრისტეს – შაშხანა და პისტოლეტები. „ეს გოგონა მეძავი არ არის, ეს გოგონა არც არასოდეს გახდება მეძავი“, – გავიფიქრე ბარისკენ მიმავალმა. უცბად გავჩერდი, მოვბრუნდი, რათა კიდევ ერთხელ შემევლო თვალი ამ მშვენიერებისთვის და დავინახე, რომ ისევ იქ იდგა, ოდნავ გამოღებულ კართან.

– გამარჯობა, – მივესალმე მე.

– გამარჯობა.

– აქ რას აკეთებ?

– მე ნატის და ვარ.

ო, ამას კი ნამდვილად არ ველოდი. ნატის და ვარო. ორიოდე წამი ვიდექი, თავით ფეხებამდე შევათვალიერე. ვგრძნობდი, სახეზე ხან ალმური ამდიოდა, ხან ფერფური მიმდიოდა. მოკლე, თხელი კაბა ეცვა, შავ ფონზე წვრილ-წვრილი ყვავილებით მოჩითული. გულისპირზე ორი ღილი ასწყდომოდა, შავი თმა და შავგვრემანი სახე ჰქონდა. სინაზის განსახიერება იყო. თხუთმეტი წლის საოცრება იდგა ჩემ წინ. იმათ ჰგავდა, სატელევიზიო რეკლამებში რომ გამოდიან. მოკლედ, როგორც ელ პუერტოში ვამბობდით, ნამდვილი კანფეტი იყო, უფრო უკეთესი – მარმელადი.

– რა გქვია? – ისე მკითხა, ჩემი სვირინგებისთვის თვალი არ მოუშორებია.

– მანოლო.

– მე – მარია.

„მარია. დალახვროს ეშმაკმა. წადი, მანოლო, წადი, ძმაო, რაც შეიძლება სწრაფად გაეცალე აქაურობას!“ – შევუძახე საკუთარ თავს.

– რას საქმიანობ? – მკითხა გოგონამ.

– სატვირთო მანქანის მძღოლი ვარ, – რაღაც ხომ უნდა მეთქვა.

– საით მიდიხარ?

– სამხრეთისკენ, ფარში. ეს პორტუგალიაშია, ზღვასთან.

ჩემმა ნაცხარმა, უღალატო გუმანმა მიკარნახა, დროზე გავცლოდი აქაურობას და თითქოს ამის დასტურად, დერეფნის ბოლოში გამოჩნდა ბარკალი, ნამდვილი კარადა – ზომით ორი ორზე (მეტრი). დღისით კატაფალკის მძღოლად მუშაობდა დამკრძალავ ბიუროში, რომელსაც „შეხვედრამდე“ ერქვა, სადამოობით კი პორტუგალიელ ალმეიდას საროსკიპოში – მოჩხუბართა გამშველებლად და გარეთ გამაბრძანებლად. თავისი კატაფალკით მოდიოდა – ხომ შეიძლება, ვინმეს დასჭირდესო. ჯანიანი, ქონიანი, მუწუკებიანი ახმახი – აი, ასეთი იყო ბარკალი.

– აქ რას აკეთებ?

– მივდივარ, ძმაო, უკვე მივდივარ.

კარისკენ ერთხელ კიდევ გავიხედე. გოგონა

იქ აღარ იდგა. ბარკალს დავემშვიდობე, კარგად მენახე-მეთქი. პასუხად რაღაც ჩაიბურდღუნა, ვერ გავიგონე. ბარში ლუდი და ფინჯანი ყავა დავლიე, პოლონელ დიაცს უკანალზე ხელი შევავლე, საპირფარეშოშიც შევიარე დასაცლელად და მერე ჩემი მანქანისკენ გავემართე.

შემხვედრი მანქანების ფარების შუქში ისევ და ისევ იმ გოგონას სახეს ვხედავდი. შუადამისას გადავწყვიტე, აღარ მეფიქრა მასზე. კასეტა ჩავრთე, „ლოს ჩუნგიტოსი“ მღეროდა „რკინის მუშტებს“.

„დღისით ვერ ვხარობ,
ღამით არ მძინააავს...“

სარკმლის მინა ჩავწიე. მშვიდი ამინდი იდგა, სასიამოვნოდ გრილოდა.

„ციხის კედლები
მახრჩობს და მძირააავს...“

ათიოდე კილომეტრის გავლის შემდეგ, ფრეხენალ დე ლა სიერაში, ის იყო კასეტის შეცვლა მოვინდომე, რომ ჩემ უკან რაღაცა საეჭვოდ გაფაჩუნდა, თითქოს თაგვს გადაერბინოს ნარზე. ერთი-ორჯერ წავუყრუე, ვიფიქრე, მომეჩვენა-მეთქი, მესამედ კი ვეღარ მოვითმინე. გაჩერების ფარები ჩავრთე, მანქანა დავამუხრუჭე და გზის პირზე მივაყენე.

– ვინ არის აქ?

აქ გოგონა იყო. წრუწუნასავით წამოყო თავი. ისეთი სინორჩე და სინაზე შემომაფრქვია, რომ ვიგრძენი, როგორ მომეღვენთა მთელი სხეული, მაგრამ ისიც ვიგრძენი, როგორ დამემხო თავზე მთელი სამყარო. ეშმაკმა დალახვროს, ამას ხომ ადამიანის გატაცებას ეძახიან?! უცებ თვალწინ დამიდგნენ ნატი, პორტუგალიელი ალმეიდა. ბარკალი, საროსკიპოს წინ აყუდებული კატაფალკი და შუბლი ცივმა ოფლმა დამიცვარა. მივხვდი, მახეში გავები. ესღა მაკლდა!..

– შენი აზრით, სად მიდიხარ, ლამაზო?

– სადაც შენ,– ძალიან მშვიდად მიპასუხა მან, – ზღვა უნდა ვნახო.

ხელში წიგნი ჰქონდა ჩაბღუჯული, ზურგზე ჩანთა მოეკიდებინა. შემხვედრი მანქანების ფარების შუქი წამიერად უნათებდა სახეს, ხან კი მისი თვალების სხივი კვეთდა სიბნელეს და მე ყეყეჩივით შევცქეროდი ამ მოულოდნელად გამოცხადებულ მშვენიერებას.

II
ცალფეხა და თუთიყუში

ჩემი მანქანა კვლავ გზის პირას იდგა. ცისფერი ციმციმათი ჩაგვიქროლა ჟანდარმერიის მანქანამ. ჩემდა გასაკვირად, არ გაჩერებულა. კიდევ კარგი, თორემ რა გაუძლებდა მაგათ „მაჩვენე საბუთებს, მაჩვენე ტვირთს“... როგორც მოგვიანებით გავიგე, აქედან რამდენიმე კილომეტრზე ვიღაც საცოდავი დამტვრეულიყო და ჟანდარმერიაც იქით გარბოდა.

– წამოვალ რა შენთან ერთად,– მთხოვა გოგონამ.

– არც იოცნებო,– ვუპასუხე მე.

– ზღვა მინდა ვნახო,– თქვა მან.

– შედი კინოში და ნახავ. თუ მაინცდამაინც, ავტობუსით წადი.

არ გაბუტულა, არც წარბები შეუჭმუხნია, მშვიდად მომაცქერდა:

– იმათ უნდათ მეძავი გავხდე.

– უარესიც ხდება.

მზერას რომ შეეძლოს, ნელი და აუჩქარებელი იყოს, ვიტყოდი, აი, სწორედ ახლა გავხდი ამის მხილველი-მეთქი; მან ძალიან ნელა შემომხედა, ძალიან ნელა:

– იმათ უნდათ, მეძავი გავხდე ნატივით,– თქვა მან.

საპირისპირო მხრიდან მომავალ მანქანას შორი ფარები ჰქონდა ჩართული. რა უსინდისო ვიღაცაა! დამაბრმავებელმა სინათლემ აავსო კაბინა. წამიერად გაკრთა წიგნი გოგონას ხელში და ზურგზე მოკიდებული ჩანთა. აი, აქ კი ნამდვილად რაღაც მომაწვა ყელში და მარტოობისა და ნაღველის უცნაური შეგრძნება დამეუფლა. ბავშვობა გამახსენდა, პატარა ბიჭი გულის ამოვარდნამდე რომ გავრბოდი სკოლაში და რის ვაი-ვაგლახით მივათრევდი ჩანთას. ნერწყვი გადამცდა:

– ეგ ჩემი საქმე არ არის.

ფარების შუქზე მოვასწარი მისი სახის, მისი დიდი შავი თვალების შეთვალიერება:

– მე ჯერ კიდევ ქალიშვილი ვარ.

– ძალიან კარგი. ახლა კი გადადი მანქანიდან.

– ნატიმ და პორტუგალიელმა ალმეიდამ ჩემი სიქალწულე ორმოცი ათას დუროდ მიჰყიდეს დონ მაქსიმო ლარეტას. ხვალ მომაკითხავს წასაყვანად.

აი, თურმე რა ყოფილა! ნელა, აუღელვებლად გადავხარშე თავში ეს ახალი ამბავი: დონ მაქსიმო ლარეტა მარტო სამშენებლო კომპანიასა და დამკრძალავ ბიუროს კი არა, ლამის ნახევარ ხერეს დე ლოს კაბალიეროსს ფლობდა და ყველგან ნაცნობები ჰყავდა. რაც შეეხება მანოლო ხარალეს კამპოსს, ანუ მე, ერთი უბრალო მძღოლი ვიყავი, ეს „ვოლვო“ ჩემი საკუთრება არ ყოფილა, მაგრამ ჩემი პირველი სამსახური კი ნამდვილად იყო ციხიდან გამოსვლის შემდეგ. ერთი პატარა შეცდომა და გამოსასწორებელი სამსახურის სამინისტრო კვლავ დაინტერესდებოდა ჩემი პერსონით.

– გადადი.

– არ მინდა.

– მაშინ შენს თავს დააბრალე.

ჩავრთე ძრავა და მანქანა მოვატრიალე პორტუგალიელ ალმეიდას საროსკიპოში დასაბრუნებლად.

გოგონა მთელი თხუთმეტი წუთი ჩუმად იჯდა, არც შერხეულა. ზურგზე ჩანთა ეკიდა, მკერდზე წიგნი მიეხუტებინა და მზერა გზატკეცილისთვის მიეპყრო. დროდადრო გვერდულად გავხედავდი, უხერხულობას ვგრძნობდი, მრცხვენოდა, მაგრამ ჩემს მდგომარეობაში მყოფი სხვანაირად როგორ უნდა მოვქცეულიყავი?!

– საწყენია,– ჩუმად ჩავილაპარაკე მე.

გოგონამ არაფერი მიპასუხა და მეც უფრო უარესად ვიგრძენი თავი. ამ არამზადა დონ მაქსიმო ლარეტამ მიწების ყიდვა-გაყიდვით, სამშენებლო ბიზნესით და ათასგვარი მაქინაციით გაისქელა ჯიბე და ასე ჰგონია, ფულით ყველასა და ყველაფრის ყიდვა შეუძლია: ქალის, ყოფილი პატიმრის და თხუთმეტი წლის უმანკო, უცოდველი გოგონასიც კი.

მოსახვევში განათებული საროსკიპო გამოჩნდა. მალე ყველაფერი თავის ადგილზე დადგება, ძველებურად ვიქნებით ერთად მე, გზა და „ლოს ჩუნგიტოსი“.

ბენზინის გასამართავი სადგურის შუქზე ერთხელ კიდევ შევავლე თვალი გოგონას. მორჩილად იჯდა მკერდზე წიგნმიდებული. უმშვენიერესი პროფილი ჰქონდა, დახვეწილი და ნაზი. ნამდვილი მარმელადია. „დაწყევლილი ორმოცი ათასი დურო,– ვფიქრობდი გუნებაში,– ნეხვითაა სავსე ეს ქვეყანა“.

მანქანა საროსკიპოს წინ მოედანზე გავაჩერე და ჩემს მგზავრს ცერად გავხედე. ის კვლავ ჯიუტად იყურებოდა წინ, ლოყაზე მსხვილი, კამკამა ცრემლი მანამდე მოუგორავდა, სანამ ნიკაპზე არ დაეკიდა.

საროსკიპოში, ეტყობა, უკვე შეემჩნიათ გოგონას არყოფნა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ კართან ბარკალი აისვეტა. მას ნატი მოჰყვა, ოღონდ ის კართანვე დარჩა დოინჯშემოყრილი. მალე პორტუგალიელი ალმეიდაც გამოჩნდა. ეს ბაკებხუჭუჭა, ოქროსკბილიანი და ავად მოღიმარი შავტუხა ჯუჯა ლისაბონელ სუტენიორს ჰგავდა. იგი მძიმე ნაბიჯებით მოუახლოვდა მანქანას. ბარკალი – ერთგული მცველი – ფეხდაფეხ მოსდევდა უკან.

– მანქანით გასეირნება მოინდომა,– ვთქვი მე.

ბარკალი თავის ბოსს შეჰყურებდა. ბოსი მე მიყურებდა. ნატი შორიდან გვიყურებდა ყველას, გოგონა კი არავის უყურებდა.

– არ მიყვარს ჭკვიანები, – ალმეიდამ ხმაში მუქარა გაურია.

მხრები ავიჩეჩე, თავის შეკავება ვარჩიე:

– მიმიფურთხებია, შენ რა გიყვარს და რა არა. გოგონა მანქანაში ჩაჯდა, მეც ცოტა გავატარე და აი, მოგიყვანეთ.

ბარკალმა წინ გადმოდგა ნაბიჯი. ხელები მართლაც ბარკლებს მიუგავდა, ოდნავ გაშლილი და განზე გაწეული. მზად იყო. ბოსის პატარა ნიშანი და – აამუშავებდა.

მაგრამ პორტუგალიელმა ალმეიდამ მდუმარედ შემომხედა, შემდეგ კი ღიმილი გაედღაბნა სახეზე:

– შენ ხომ კარგი ყმაწვილი ხარ? ხომ ასეა? ნატი ამბობს, კარგი ბიჭიაო.

არაფერი ვუპასუხე. ძალიან საშიში ხალხია, მაგრამ ციხე აბა რის ციხეა, ყველაზე გამოუცდელ გოიმსაც თუ არ ასწავლა რამე. ჰოდა, მეც, ისე, რომ არავის შეემჩნია, ერთი მოზრდილი სახრახნისი მოვიწიე ჩემკენ, ისე, ყოველი შემთხვევისთვის,– რა იცი, რა ხდება. მაგრამ, ეტყობა, პორტუგალიელი ალმეიდა არ იყო ამ საღამოს ჩხუბის ხასიათზე, თანაც – ჩემთან.

– უთხარი, გადმოვიდეს, – ალმეიდას ოქროს კბილი აუელვარდა პირში.

ამგვარად, ჩემი საკითხი მოიხსნა. კარის გასაღებად გოგონას მუხლებზე გადავიხარე და შემთხვევით მომიხვდა იდაყვი მის რბილ, ნაზსა და მტრედებივით ათრთოლებულ ძუძუებზე.

– გადადი,– ვუთხარი მე.

გოგონა არც შერხეულა. მაშინ პორტუგალიელმა ალმეიდამ იდაყვში ჩაავლო ხელი და ისე ძლიერად მოქაჩა თავისკენ, რომ გოგონა კაბინიდან პირდაპირ ქვაფენილზე დაეცა თავის ზურგჩანთიანად.

– საზიზღარო გომბიო! – ალმეიდამ სწორედ მაშინ შემოჰკრა სახეში ხელი, როცა ის წამოდგა, მერე კიდევ მომესმა „ტკაც“... ამის ცქერა აღარ შემეძლო. თვალი ავარიდე. როცა მოვბრუნდი, გოგონა მე შემომცქეროდა. ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა. მის თვალებში ისეთი სასოწარკვეთილება და ზიზღი ჩაბუდებულიყო, რომ კარი მაგრად მოვიხურე, თეჯირივით ავიფარე, რომ აღარაფერი დამენახა. სირცხვილისგან ყურებაწითლებულმა ჩავრთე ძრავა და შლეგიანივით გავვარდი გზატკეცილზე.

ოციოდე კილომეტრის გავლის შემდეგ ტექნიკურ მოედანზე შევჩერდი და საჭეს მუშტები დავუშინე. მანამდე ვურტყი, სანამ ხელები არ დამიბუჟდა ტკივილისაგან. სიგარეტი მომინდა, სავარძელზე ხელი მოვაფათურე და სიგარეტის ნაცვლად წიგნს წავაწყდი. კაბინაში შუქი ჩავრთე, ნეტავ რა წიგნია-მეთქი. „განძის კუნძული“ ერქვა წიგნს, რომელიც ვიღაც რ. ლ. სტივენსონს დაეწერა. ყდაზე რომელიღაც კუნძულის რუკა იყო დახატული, შიდა ფურცლებზე კი – ორი სურათი. ერთზე იალქნიანი გემი ეხატა, მეორეზე – ცალფეხა კაცი, რომელსაც მხარზე თუთიყუში ეჯდა და, რაც მთავარია, ორივე სურათზე იყო ზღვა.

ორი სიგარეტი მოვწიე ზედიზედ, მერე კაბინის სარკეში შევათვალიერე საკუთარი ფიზიონომია: ელ პუერტო დე სანტა მარიას ციხეში გამრუდებული ცხვირი და სეუტას ყაზარმაში ჩამტვრეული კბილი. „რას აკეთებ, მანოლო კამპოს, დიდ რისკზე მიდიხარ, ძმაო, – ვდუღდი, ვბორგავდი მე, – თავს დაიღუპავ. იცოდე, სამსახურსაც დაკარგავ და თავისუფლებასაც!“ მაგრამ როგორც კი გამახსენდებოდა მაქსიმო ლარეტას ორმოცი ათასი ლურო, პორტუგალიელი ალმეიდას მზაკვრული ღიმილი და გოგონას ნიკაპზე დაკიდებული მსხვილი, კამკამა ცრემლი, გონებაამღვრეული ადგილს ვეღარ ვპოულობდი.

ცოტა რომ დავშოშმინდი, ცალი ხელი წიგნს დავადე, მეორით კი პირჯვარი გადავიწერე. რამდენი ხანია, პირჯვარი არ გადამიწერია, ჩემს ბებრუხანას ალბათ როგორ გაუხარდებოდა, ეს რომ დაენახა. ერთი ღრმად ამოვისუნთქე, მანქანის გასაღები გადავატრიალე და როცა „ვოლვო“ ჩემს ხელფეხქვეშ აძიგძიგდა, გავვარდი გზატკეცილზე, რათა ამ საღამოს მეორედ ვწვეოდი ხერეს დე ლოს კაბალიეროსს. როდესაც შორს ჩემთვის კარგად ნაცნობი განათებული სახლი გამოჩნდა, „ლოს ჩუნგიტოსის“ კასეტა ჩავრთე გასამხნევებლად.

III
გაქცევა სამხრეთში

არ ვიცი, როგორ, მაგრამ ეს მაინც გავაკეთე. მახსოვს, რომ ვიდრე კაბინის კარს გავაღებდი, ჰაერით ერთი კარგად ამოვივსე გულმკერდი – როგორც მყვინთავებმა იციან ხოლმე – და შევედი კიდეც ალმეიდას დაწესებულებაში. ხოლო იქიდან, რაც მერე მოხდა, მხოლოდ ნატის თვალებგადმოქაჩული სახე დამამახსოვრა, როცა იქ დაბრუნებული დამინახა და კიდევ – ბარკალის დაგრეხილი ქონიანი სხეული, როცა მუხლი ვატაკე ფეხებს შუა. დანარჩენი ბუნდოვნად მახსოვს: ქალების კივილი, გაავებული ნატი, რომელიც ზედ სახესთან მიტრიალებდა შაშხის საჭრელ დანას და გრძელი დერეფანი, გრძელზე გრძელი, როგორც უსიგარეტოდ გატარებული დღე. ლამის ყველა კარი ჩამოვიღე მუშტების ბრახუნით. უცებ ერთი მათგანი იღება და პორტუგალიელი ალმეიდას ქამრის ბალთა პირდაპირ სახეში მხვდება. მის მხარს უკან, ოთახში, საწოლზე გაშხლართულ გოგონას ვხედავ.

– შენ აქ რას აკეთებ, პირუტყვო?

წარმოგიდგენიათ, ეს მე მომმართავს! გოგონას ქამრის კვალი აჩნია სახეზე. ამ მართლა პირუტყვის ოქროს კბილის ბრჭყვიალმა ლამის გამაცოფოს. ხელი დავტაცე მაგიდაზე დადგმულ ბოთლს, კედელზე მივამსხვრიე და ხელში რაც შემრჩა, იმით შევუტიე პორტუგალიელს, პირდაპირ ყელში, საძილე არტერიაში დავუმიზნე. ალმეიდამ იატაკზე მოადინა ზღართანი, თვალებზე მატყობს, რომ ამ წუთში ყველაფერზე ვარ წამსვლელი, რომ შემიძლია, მართლა მოვკლა.

– მივდივართ, გოგონი!

გოგონა სწრაფად წამოხტა, სწრაფადვე დასტაცა ხელი იატაკზე დაგდებულ თავის ზურგჩანთას და ტყვიასავით გასხლტა ჩემს ხელქვეშ, რომლითაც პორტუგალიელის ყელს ვიყავი ჩაფრენილი. მეც, მის დაბერილ ვენაზე ბოთლის ნამსხვრევმიბჯენილი, დერეფანში ნელ-ნელა ვიხევ უკან. ნატი თუმცა შეშინებულია, არ იმჩნევს და ბართან მიახლოებისას მიყვირის:

– ამას არ შეგარჩენ, იცოდე!

ფეხებშუა ხელებმიჭერილი ბარკალი იატაკზე იგრიხება, ეტყობა, სიმწრისგან თვალთ დაუბნელდა და აზრზე არ არის, ირგვლივ რა ხდება. ჩემს მკლავებში მომწყვდეული საცოდავი ალმეიდა კი სიძულვილისა და შიშისაგან წებოვანი, მუავე ოფლის სუნად ყარს. დარბაზიდან რამდენიმე მუშტარმა სცადა ჩხუბში ჩარევა, მაგრამ, ეტყობა, ჩემი ბებრუხანა ჩემთვის ლოცულობს იქ, ზეცაში, კეთილი მოხუცების საუფლოში, რადგან, ჩემს ბედად, დარბაზში აღმოჩნდა ჩემი ორი ნაცნობი მძღოლი, ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდები, რომლებმაც გზა გადაუღობეს არამკითხეებს: „რაც თქვენი საქმე არ არის, იქ ნუ ეჩრებით, ბიჭებო; ორი ჩხუბობს, მესამე განზე დგას“. იმათაც – კართან იყო მომდგარი. ნატი შეშლილივით ხაოდა, ჩემს ხელებში მომწყვდეული ალმეიდა კი ოფლად იღვრებოდა.

– კაბინაში ადი, გოგონი!

არც გამამეორებინა, წამში აძვრა. მე კი, სანამ წინ მიიწევდი ბარკალის კატაფალკასა და ჩემს „ვოლვოს“ შორის, რათა საჭის მხრიდან მივდგომოდი ჩემს მანქანას, მანამდე არ გამიშვია ხელი ნადავლისთვის, მხოლოდ უკანასკნელ წამს ჩავყვირე ყურში”:

– ეს გოგონა თუ გჭირდება, ჟანდარმერიაში მიაკითხე!

ეს რა მაგარი ბლეფი დაურტყი, მანოლიტო, ძმაო! რა მექნა, სხვა არაფერი მომაფიქრდა. მერე ხელები ოდნავ შევასუსტე და ბოთლის ნატეხი შორს მოვისროლე, ხოლო როცა პორტუგალიელმა მობრუნება დააპირა, ფერდში ვაძგერე მუხლი, როგორც ელ პუერტოში ვიცოდით და ისიც მიწაზე გაიშხლართა, თავისი ოქროს კბილი ააელვარა. ამასობაში ძრავა ჩავრთე და ჩვენ – გოგონა და მე – სრული სიჩქარით გავვარდით გზატკეცილზე, თუმცა მანამდე ცალი ფრთა და ბორბალი მივუჭეჭყე პორტუგალიელის „ოპელ-კალიბრს“ და გზიდანაც გადავაგდე.

შუაღამე გადასული იყო, მანქანები იშვიათად გვხვდებოდა, იშვიათად გვჭრიდა თვალს შემხვედრი შუქფარები. „ლოს ჩუნგიტოსმა“ კასეტის ორივე მხარე ჩაათავა. სავარძელზე ხელი მოვაფათურე, სიგარეტის მაგივრად ისევ წიგნს წავაწყდი და გოგონას მივაწოდე.

– გმადლობ.

„ნეტავ რისთვის მიხდის მადლობას, წიგნისთვის თუ იმისთვის, ხერეს დე ლოს კაბალიეროსიდან რომ გამოვიტაცე?“ – გავიფიქრე მე. ამასობაში უხიფათოდ ჩამოვიტოვეთ უკან ფრეხენალ დელა სიერაც. სარკისკენ ხშირად გამირბოდა თვალი, ხომ არ მოგვდევენ-მეთქი, მაგრამ თითქოს საეჭვო არაფერი ჩანდა და მეც ცოტა დავმშვიდდი.

– ახლა რას იზამ? – ვკითხე გოგონას.

მაშინვე არ მიპასუხა, ნახევრად სიბნელეში თვალი შევავლე მის უძრავ პროფილს და გზისკენ დაჟინებულ მზერას.

– შენ ხომ თქვი, პორტუგალიაში მივდივარო, ზღვასთანო. მე კი ზღვა არასოდეს მინახავს, – თქვა მან.

– კინოში ხომ გინახავს... იქ გემებია, ტალღებია, – ვუთხარი იმისთვის, რომ რაღაც მეთქვა.

ერთ ნაცნობ მძღოლს გავუსწარი, ისიც შორეულ რეისებში მუშაობდა. ჩემი მანქანა იცნო და მოსალმების ნიშნად შუქფარებით პირდაპირ ფეიერვერკი გამიმართა. სარკისკენ ისევ გავაპარე მზერა. არავინ ჩანდა. პორტუგალიელი ალმეიდას ქამარი გამახსენდა და ხელი გავიწვდინე გოგონას სახისკენ. არ დამანება, კუთხეში მიიყუჟა.

– გტკივა?

– არა.

კაბინა წამით გავანათე. სახეზე ოდნავ აჩნდა ქამრის ნაკვალევი.

– ძაღლის შვილი, – ხმამაღლა წარმოვთქვი, – რამდენი წლის ხარ, გოგონი?

– აგვისტოში ჩვიდმეტი შემისრულდება. ასე რომ, გოგონის ნუ მეძახი.

– პასპორტი გაქვს? შეიძლება საზღვარზე დაგვჭირდეს.

– ნატიმ გამიკეთა ერთი თვის წინ, – ცოტა ხანს დადუმდა, – მეძავად რომ იმუშაო, პასპორტი უნდა გქონდესო.

ხაბუგოში ყავის დასალევად შევჩერდით. გოგონამ ფორთოხლის ფანტა მთხოვა. ბარის კართან ჟანდარმერიის მანქანა იდგა, ამიტომ გოგონას მარტო დატოვება დიდხანს არ შეიძლებოდა. სწრაფად შევვარდი საპირფარეშოში, თავი წყალს შევუშვირე, ადრენალინისგან რომ გავთავისუფლებულიყავი და სწრაფადვე დავბრუნდი ბარში. მაისური მთლად სველი მქონდა, თმიდანაც წურწურით ჩამომდიოდა წვეთები. გოგონა დიდხანს შემომცქეროდა, მერე სვირინგებზე გადაიტანა მზერა. მე ყავა დავლიე და ჭიქა კონიაკი „მანგო“ შევუკვეთე.

– „ციცქნა“ ვინ არის? – მოულოდნელად მკითხა მან.

– არის რა, ერთი ქალი, – აუჩქარებლად მოვსვი კონიაკი.

– ვინ ქალი?

ბარის კედელზე რაღა არ იყო დახატული: ხორცი, ძეხვი, ღვინით სასე რუმბები... ტორეადორების სურათებიც ეკიდა.

– ჯერ არ ვიცი, ვეძებ.

– არ იცი და სახელი კი გაწერია ხელზე?

– ჰო, ეგრეა.

გოგონამ ლერწმის ღერი მოურია ფანტას.

– შერეკილი ხარ. ვთქვათ და, ვერ იპოვე ასეთი სახელის ქალიშვილი...

– ვიპოვი, – გამეცინა, – იქნებ შენ ხარ...

– მე? კარგი რა, – შემომხედა, მე ისევ ვიცინოდი, – იდიოტიც.

მუქარის ნიშნად თითი დავუქნიე:

– აღარ გაბედო, იდიოტიც დამიძახო, თორემ მანქანაში აღარ ჩაგსვამ.

მან ისევ შემომხედა, ამჯერად – დაკვირვებით.

– იდიოტო, – ფანტა მოსვა.

– ლამაზო.

სახე აუჭარხლდა ცხვირიან-პირიანად. აი, ახლა კი მართლა შემიყვარდა ციცქნა.

– რატომ შემოიჭერი ჩემს მანქანაში, ვინ დაგპატიჟა?

არ მიპასუხა. თავისი ლერწმის საწრუპავი გაკვანძა, წვრილ-წვრილი ყვავილებით მოჩითული თხელი კაბის ქვეშ დამალული მშვენიერი მხრები აიჩეჩა:

– რატომღაც მომეწონე. მე მგონი, კარგი ადამიანი ხარ.

უხერხულად შევტოკდი სკამზე:

– სულაც არ ვარ კარგი ადამიანი, რომ იცოდე, ვირის აბანოში მახეხინეს ნარები.

– ვირის აბანოში?

– ჰო, ციხეში რა. სასჯელი მოვიხადე. აბა, რას იტყვი, ახლაც მოინდომებ ჩემთან ერთად პორტუგალიაში წამოსვლას?

მან ჯერ სვირინგს შეხედა, მერე სახეში ისე დაჟინებით შემომაცქერდა, თითქოს პირველად მხედავდა. ბოლოს აგდებულად გახსნა და ისევ გაკვანძა ლერწმის საწრუპავი:

– მერე ეგ რა შუაშია?

უცებ დავინახე, ჟანდარმერიის მანქანა ბარის მოედნიდან გავიდა და მივხვდი, სულის მოთქმა დამთავრდა. რამდენიმე მონეტა დავყარე დახლზე და გოგონას მივუბრუნდი:

– უნდა წავიდეთ.

კართან ჩემს კოლეგას ტრიანას შევეჩეხე. ის-ის იყო თავისი ტრაილერი ბარის მოედანზე დაეყენებინა. მითხრა, თქვენი და პორტუგალიელი ალმეიდას ამბავი რაციით გადმოსცესო. ცნობილი ადამიანები გავხდით. 435-ე გზატკეცილზე ყველამ იცოდა, რაც თავს გადაგვხდა და თვალს ადევნებდნენ მოვლენათა განვითარებას.

IV
„მხიარული ოხვი“

მოკლედ, იმ ჩემს ნაცნობ ახალგაზრდა მძღოლებს, პორტუგალიელის საროსკიპოში რომ დამეხმარნენ, რაც მოხდა, ყველასათვის მოუდვიათ და ახლა 435-ე გზატკეცილზე მოძრავმა ყველა მძღოლმა იცოდა ჩვენი ამბავი.

კაბინაში ასვლისთანავე ჩავრთე რადიოგადამცემი. „ამბობენ, მაგარი გოგოაო, არაფერი დაუკარგავსო, – ისმოდა კომენტარები, – მაგარი ვარიკააო რა, მაგრა გაუმართლა ჩვენს ძმას მანოლოს“.

გაუმართლაო. ეს თუ გამართლებაა! წარამარა სარკისკენ გამირბის თვალი, ოფლად ვიღვრები.

მჭლე არწივი ამბობს, ხეობელი მარტოხელა ნამდვილ მაჩოსავით მოქცეულა, იმ დამპალ ბუნაგში ყველაფერი თავდაყირა დაუყენებიაო.

„ხეობელი მარტოხელა“ მე ვარ. ერთი-ორმა მძღოლმა გამისწრო და შუქფარების კორიანტელი დააყენეს, ერთმა კი სალამის ნიშნად ხანგრძლივად დაასიგნალა. „დაგინახე, მარტოხელავ, წარმატებას გისურვებ“, – გაისმა რადიოგადამცემშიც.

კაბინის კართან მიკუნჭული გოგონა შემომაცქერდა.

– ჩვენზე ლაპარაკობენ?

– არა, როსიო ხურადოსა და ორტეგა კანოზე[3], – ვითომ ვიხუმრე. სინამდვილეში სასოწარკვეთილმა ღიმილმა დამიმანჭა სახე.

– ხუმრობ, ხომ?

რა მეხუმრება. გადავწყვიტე, მძღოლებისთვის ერთი-ორი სიტყვით მიმემართა:

– ხეობელი მარტოხელა მოგმართავთ ყველას.

3. მომღერალი და მსახიობი როსიო ხურადო (1944-2006) და ტორეადორი ხოსე ორტეგა კანო (დ.1953) – მთელს ესპანეთში ცნობილი ოჯახური წყვილი.

მადლობელი ვარ, რომ გულთან მიგაქვთ ჩვენი ამბავი, მაგრამ მტერს ალბათ არ სძინავს, თქვენ კი მე უდანოდ მანაკუწებთ.

ერთბაშად მოვარდა კეთილი სურვილების კასკადი, რის შემდეგაც ასევე ერთბაშად დაისადგურა სიჩუმემ. შორეული რეისების მძღოლები, მართალია, უხეში და კახპების მოყვარული ხალხია, მაგრამ გულითადები, ერთგულები და საიმედონი არიან. ვიდრე სიჩუმე დაისადგურებდა, ცხარე წიწაკამ და რემბო-15-მა მაცნობეს, შენი მტრები კატაფალკით მოგდევენო,– აბა, სხვა რით წამოვიდოდნენ, მე ხომ პორტუგალიელი ალმეიდას „ოპელ-კალიბრა“ ჯანდაბაში გავგზავნე, – ტაბლადის პორტთან სულ ახლახან დავინახეთ სამივე:

მათთვის გზა-კვალი რომ ამერია, რიო ტინტამდე მისულმა მარჯვნივ, რეგიონალ 421-ე გზატკეცილზე გადავუხვიე, რათა იქიდან კვლავ 435-ზე დავბრუნებულიყავი ვალვერდე დელ კამინოს გავლით. ამავე დროს ყური რადიოგადაძახილებისკენაც მეჭირა, მაგრამ კოლეგები, როგორც ვითარება მოითხოვდა, ისე იქცეოდნენ: დუმდნენ, თუ არ ჩავთვლით ხანდახან ნართაულად ჩართულ სიტყვებს ან ჩემთვის საინტერესო რაიმე ინფორმაციას, ასე ვთქვათ, ორმაგფსკერიანს. შერეკილმა მაწანწალამ მოკლედ გადმომცა, რამდენიმე წუთის წინ კატაფალკით გამისწრეს სალამეას ბენზინგასამართავ სადგურთანო. სიყვარულმა კუბოს კარამდე და ცხარე წიწაკამაც იგივე მითხრეს უკომენტაროდ. ცოტა ხნის მერე რიოხელმა სექს-მანქანამ მძღოლების ჟარგონზე გადმოსცა გაფრთხილება, ელ პოსუელოს გზატკეცილზე ჟანდარმერიის საკონტროლო პოსტიაო და მარტოხელას წარმატება უსურვა.

– რატომ გეძახიან ხეობელ მარტოხელას? – მკითხა გოგონამ.

გზა ოღროჩოღრო იყო და მანქანა ნელა, ფრთხილად მიმყავდა.

– წარმოშობით ალბასეტეს ხეობიდან ვარ და იმიტომ.

– მარტოხელას რაღად გეძახიან?

სიგარეტი ავიღე და სანთებელის ღილაკს ხელი დავაჭირე. როცა ღილაკი გატკაცუნდა, გოგონამ თვითონ მომიტანა ტუჩებთან ანთებული სიგარეტი.

– ალბათ იმიტომ, რომ მარტო ვარ.

– როდიდან ხარ მარტო?

– მთელი ჩემი დაწყევლილი ცხოვრება.

გოგონა ცოტა ხანს გაჩუმდა, თითქოს რაღაცაზე ფიქრობსო, მერე წიგნს ხელი დაავლო და ჩაიხუტა.

– ნატი მეუბნება, შენ წიგნები გაგაგიჟებენო.

– ბევრს კითხულობ?

– არ ვიცი. ეს წიგნი რამდენჯერმე მაქვს წაკითხული.

– რაზეა?

– მეკობრეებზე, მიწაში ჩაფლულ განძზე.

– ასეთი რაღაცა მგონი კინოში მინახავს.

რეგიონალ გზაზე ორმოცტონიანი მანქანის მართვა არ არის ადვილი საქმე, მე ვიტყოდი, მძიმე სამუშაოა, ამიტომ წყლის გადავლება და ცოტა დასვენება არ გვაწყენდა, მით უმეტეს, რომ მთელი ნახევარი საათი ისე გავიდა, შემაშფოთებელი არავის არაფერი გადმოუცია. მანქანა ერთ პატარა გზისპირა სასტუმროსთან გავაჩერე, ორსაწოლიანი ნომერი ავიღე და გოგონას ვუთხარი, რომელზეც გაგეხარდება, იმაზე დაწექი-მეთქი. მერე სააბაზანოში შევედი და ცხელი წყლის შხაპქვეშ დავდექი. მთელი ათი წუთი ვცდილობდი, არაფერზე მეფიქრა, მთლიანად მივენდე წყალს, მაგრამ საიდანღაც მაინც ამოტივტივდა გოგონას სახე და კიდევ სამ წუთს მომიწია შხაპქვეშ დგომა, ამჯერად – ცივი ნაკადის ქვეშ. მხოლოდ ამის შემდეგ შევძელი სააბაზანოდან გამოსვლა. ჯინსის შარვალი სველ, შიშველ ტანზევე ჩავიცვი და დავბრუნდი ნომერში. გოგონა საწოლზე იჯდა და კარისკენ იყურებოდა.

– არ გინდა, ტანი გადაიბანო?

გოგონამ უარის ნიშნად თავი გააქნია. თვალს არ მაშორებდა, აშკარად ეტყობოდა, რაღაცაზე ფიქრობდა.

– შენი ნებაა, – საწოლზე გავიშხლართე და მაღვიძარა ისე მოვმართე, ორ საათში რომ გაველვიძებინე, – ცოტა ხანს თვალს მოვხუჭავ.

მაგიდის ნათურა გამოვრთე. ფარდებში სასტუმროს შესასვლელთან დამონტაჟებული ელექტრონული წარწერის მოთეორო შუქი აღწევდა. ვიგრძენი, გოგონა მოუსვენრად ბორგავდა საწოლზე. წარმოვიდგინე მისი თხელი მოჩითული კაბა, მისი მუქი მხრები, ფეხები, დიდი შავი თვალები... ჩემს ახალ ერექციას შარვლის ელვამ შეუშალა ხელი. ბოლომდე არ იყო შეკრული, მაინც საკმაოდ იგრძნობოდა. მხარი ვიცვალე და თავი ვაიძულე, პორტუგალიელ ალმეიდაზე და, საერთოდ, იმ ყველაფერზე მეფიქრა, რაც თავს გადამხდა. ერექცია მაშინვე გაქრა.

– აქ რა გინდა? რას აკეთებ?

ფარდებიდან შემოღწეულ ბინდბუნდში გოგონა ისე შემომცქეროდა, თითქოს სწავლობდა ჩემს სახეს, გამომეტყველებას, იერს... თვალები ფიქრიანი ჰქონდა და მეტისმეტად უბრწყინავდა.

– იცი რა?.. ვიფიქრე... სულერთია, ადრე თუ გვიან, მაინც მომძებნიან-მეთქი...

ეს სიტყვები ისეთი გზნებით დაიჩურჩულა, რომ ცოტა გაწყდა, არ ვაკოცე. მაგრამ თავი მოვთოკე. რა დროს ეს არის!

– შეიძლება ასეც მოხდეს, – ვთქვი მე, – თუმცა ყველანაირად ვეცდები, რომ არ მოხდეს.

– პორტუგალიელმა ალმეიდამ ჩემი სიქალწულის სანაცვლოდ ფული აიღო. პირობა კი პირობაა...

შუბლი შევიჭმუხნე და ფიქრს მივყევი:

– რა ვიცი, იქნებ ორმოცი ათასი დურო ვიშოვო სადმე.

– ტყუილად ეცდები, არაფერი გამოვა. პორტუგალიელი ალმეიდა, მართალია, არაკაცი და უსინდისოა, მაგრამ მიცემულ სიტყვას არასოდეს ტეხს, მან თქვა, დონ მაქსიმო ლარეტასთვის მიცემული პირობის შესრულება ღირსების საქმეაო.

– ღირსების, – გავიმეორე მე, გუნებაში კი ეს ძაღლიშვილები მათი საკადრისი სიტყვებით შევამკე. მეტის ღირსებიც იყვნენ ის პირუტყვი პორტუგალიელი, კახპა ნატი, რომელმაც გოგონას ღირსება გაყიდა და ყეყეჩი ბარკალი, რომელიც ახლა თავის კატაფალკს დააქროლებს და ჩემს სატვირთოს ეძებს, რათა გაქცეული ნადავლი უკან დააბრუნოს.

მხრები ავიჩეჩე:

– გამოდის, ცუდადაა საქმე. მაგრამ იმედს ნუ გადავიწურავთ, ჩვენ ჩვენი ვცადოთ, რომ არ დაგვიჭირონ.

გოგონას არაფერი უთქვამს, თუმცა კვლავ დაჟინებით მიცქერდა, თხელი გულისპირის ქვეშ ძუძუები უთრთოდა. ელვაშესაკრავი კვლავ ჩამეჭიდა თავისი კბილანებით.

– რაღაც მოვიფიქრე, – თქვა მან.

გეფიცებით, მე ამას უფრო ადრე მივხვდი, ვიდრე გოგონა მეტყოდა. თმა ყალყზე დამიდგა. მან შიშველ მკერდზე დამადო ხელი. არც შევრხეულვარ.

– არც გაიფიქრო, – ამოვილუღლუღე.

– თუ ქალიშვილი აღარ ვიქნები, პორტუგალიელი ალმეიდა იძულებული გახდება, დაარღვიოს თავისი პირობა...

– ამით რა გინდა თქვა? – შევაწყვეტინე სიტყვა, არადა, ყელი ისე გამიშრა, ნერწყვი აღარ გადამდიოდა, – ხომ არ გინდა მითხრა, რომ მე და შენ ის უნდა გავაკეთოთ... ის საქმე... მე და შენ რა...

გოგონამ ხელისგული დამისვა მკერდზე, მერე ქვემოთ ჩააცურა და ჭიპში თითი ჩამიყო:

– მე ჯერ არავისთან ვყოფილვარ...

– ეშმაკმა დალახვროს, – საწოლიდან წამოვდექი. ისიც წამოდგა, ოდონდ ძალიან ნელა. აი, რას ნიშნავს ქალი. ამ წუთებში ის თექვსმეტი წლის უმანკო გოგოს კი არა, ოცდაათი წლის გამოცდილ ქალს ჰგავდა, ხმაც კი შეცვლოდა თითქოს.

კედელს მივეყრდენი.

– მე არავისთან ვყოფილვარ... – გაიმეორა მან.

– მოხარული ვარ, – ჩავილაპარაკე დაბნეულმა.

– მართლა მოხარული ხარ?

– ისა... მინდოდა მეთქვა... ჰმ... შენ გამო თუ შენ მაგივრად...

მაშინ მან ხელები გადაჯვარედინა, კაბის კალთას დასწვდა, თავს ზემოთ ასწია და გაიხადა. ჩემ წინ იდგა თეთრი ჩითის საცვლის ამარა და ისეთი ლამაზი იყო – ნამდვილი სრულყოფილება, ნორჩი მხურვალე ხორცის ციცქნა ნაჭერი.

მე კი ისეთ დღეში ჩავვარდი, ენით რომ არ ითქმის: ელვაშესაკრავმა ლამის ცოცხლად გამაძრო კანი.

V
და აი, ისიც, ბოროტი სული

წყნარი, მშვიდი ღამე იდგა, ხეზე ერთი ფოთოლიც არ იძვროდა. ფანჯრიდან შემოსული შუქი ჩვენს სილუეტებს ხატავდა ზეწარზე, რომელზეც დაწოლასაც ვეღარ ვბედავდი. ვინმე შორიდან მაცქერალი ალბათ იფიქრებდა, ეს შორი რეისების მძღოლი, მით უმეტეს, ციხესა და სამხედრო სამსახურში გამოჯეკილი და თანაც ახალგაზრდა კაცი, ნეტავ ასე რამ დააბნიაო და მართალიც იქნებოდა. ეს ციცქნა ნაჭერი თბილი და შიშველი ხორცისა, რომელიც ახალგაღვიძებული ჩვილის სურნელს აფრქვევდა ირგვლივ, მისი დიდი მუქი თვალები სულ რაღაც ერთი მტკაველით იყო დაშორებული ჩემი სახიდან და მშვენიერ სიზმარს თუ ფრთაშესხმულ ოცნებას ჰგავდა. რადიოში მანოლო ტენა მღეროდა თუთიყუშზე, რომელიც აღარ ლაპარაკობდა, საათზე, რომელსაც რაღაც გაუფუჭდა და აღარ მუშაობდა. რაც შემეხება მე, იმ ღამეს ყველაფერი საათივით მიმუშავებდა, ყველაფერი, გარდა გონებისა.

როგორც იქნა, ნერწყვი გადავყლაპე, თვალებს აქეთ-იქით აღარ ვაცეცებდი. „შენ უკვე მზად ხარ, კოლეგა, – ვუთხარი საკუთარ თავს, – ყველაფრისთვის მზად“.

– შენ მართლა ქალიშვილი ხარ?

მან ისე შემომხედა, როგორც მხოლოდ ქალებს სჩვევიათ შემოხედვა; ირონია და დაღლილი სიბრძნე ჩაუდგა თვალებში. ნეტავ როგორ ახერხებენ ასე შემოხედვას, ასაკი აქ ნამდვილად არაფერ შუაშია, ეს არის სიბრძნე, რომელიც დაბადებიდანვე სისხლში აქვთ გამჯდარი.

– შენ მართლა სულელი ხარ? – აი, რა პასუხი გამცა მან. შემდეგ ხელი ისე დამადო მხარზე, თითქოს დიდი ხნის უნახავი მეგობრები შევხვდით ერთმანეთს და კუთხეში მოყუჩებულები ტკბილად ვსაუბრობდით. მერე ხელი ნელ-ნელა ჩააცურა მკერდზე, მუცელზე, სანამ არ ჩააფრინდა შარვლის ქამარს ზუსტად ლითონის ღილთან, რომელზეც „ლევი'ს“ ეწერა, ქამარში ხელჩაჭიდებულს მიბიძგა საწოლისკენ, თან ისეთი ყურადღებით, ისეთი ცნობისმოყვარეობით შემომცქეროდა, თითქოს ერთობაო, იმ პატარა ცელქ გოგოს ჰგავდა, რომელმაც იცის, რაღაცას რომ აშავებს.

– სად ისწავლე, საიდან იცი ეს ყველაფერი? – ვკითხე გაოცებულმა.

– ტელევიზორიდან.

უცებ სიცილი აუტყდა, მეც გამეცინა და ასე ახარხარებულები და ერთმანეთს ჩახვეულები დავგორდით საწოლზე... ალბათ თავად ხვდებით, მერე რაც მოხდებოდა. მე ყველაფერს ვაკეთებდი ნელა, ფრთხილად, ვცდილობდი, სიამოვნება ეგრძნო, ვხედავდი მის ფართოდ გახელილ თვალებს და ვხვდებოდი, ჩემზე მეტად მას ეშინოდა. ერთხელ წამით ისე ჩამეჭიდა, თითქოს ჩემ მეტი ამქვეყნად არავინ ჰყავდა. ასეც იყო და ვიგრძენი თუ არა ეს, მთელ სხეულში ჩამეღვარა სითბო. გულში მაგრად ჩავიკარი და როგორც შემეძლო, ნაზად ვკოცნიდი და ვეფერებოდი, ვფრთხილობდი, რომ არაფერი სტკენოდა. მასავით რბილი და ტკბილი ტუჩები არც ერთ ქალს არ ჰქონია. „ჩემი დედაბერი რომ მიყურებდეს ზეციდან, სადაც ამჟამად იმყოფება, ალბათ არ გამიჯავრდებოდა“, – გავიფიქრე პირველად ცხოვრებაში.

– ციცქნა, – ვთქვი და გულიც ამოვაყოლე.

მისმა ტუჩებმა ჩემს ტუჩებში გაიღიმა. ნახევრად სიბნელეში კვლავ დაუინებით შემომცქეროდნენ დიდი შავი თვალები. არ ვიცი, რამ გამახსენა: ერთხელ სეუტაში, ჩვენს ყაზარმაში, სასწავლო ხელყუმბარა აფეთქდა და გადავრჩი; ელ პუერტოს ციხეში ცემით მიმასიკვდილეს იმის გამო, რომ გავბედე და უარი ვთქვი, უკანალი მიმეცა ერთი მაგარი ბიჭისათვის; ერთხელაც საჭესთან ჩამთვლიმა, მაგრამ როგორღაც გადავურჩი უეჭველ სიკვდილს. ეს ყველაფერი რომ გავიხსენე, გავიფიქრე; „მაგრა გაგიმართლა, მანოლო, ძმაო, მაგრა გაგიმართლა, რომ ცოცხალი ხარ, რომ ახლა შენთან არის შენი გრძნობები და ხორცი შენი და ძარღვებში მოჩუხჩუხე სისხლი შენი, გაგიმართლა-მეთქი, იმიტომ გეუბნები, რომ სხვანაირად ვერ გამოსცდიდი იმას, რასაც ახლა განიცდი, რასაც ახლა გრძნობ. ახლა უკვე ვეღარავინ წაგართმევს და არც შენ დაუთმობ ვინმეს ამ გრძნობას“. ირგვლივ ყველაფერი გახდა ნაზი და ნოტიო, და ცხელი... ფიქრებში წასული გამოსაფხიზლებლად სულ ერთსა და იმავეს ვიმეორებდი და ვიმეორებდი: „აქედან მანამდე უნდა გავიდე, სანამ ზამბარა არ გამწყვეტია და გოგონა ცუდს არაფერს გადაჰკიდებია ჩემ გამო“, – მაგრამ ამ დროს კართან რაღაც გაბრახუნდა, შუქი აინთო და ზედ ჩემ წინ დავინახე პორტუგალიელი ალმეიდას ღიმილისმაგვარი რაღაც და პირდაპირ ჩემი თავისკენ გამოფრენილი ბარკალის უზარმაზარი მუშტი.

გრძნობაზე რომ მოვედი, იატაკზე ვეგდე სრულიად შიშველი (ასევე დამბეგვეს). საფეთქლები კარგი სტერეოდანადგარივით მიგუგუნებდა. ცალი თვალი ნელა გავახილე და პირველი რაც დავინახე, ნატის ქვედა კაბა იყო და საცვალიც, – რა თქმა უნდა, წითელი. სკამზე იჯდა და სიგარეტს ქაჩავდა. გვერდით ალმეიდა ედგა ჯიბეში ხელებჩაწყობილი – როგორც ფილმებში აჩვენებენ ხოლმე არამზადებს – და უშნოდ გაღიმებულს ოქროს კბილი მთელი ელვარებით უჩანდა. საწოლთან ბარკალი იდგა დარაჯად, გოგონასთვის მუხლი დაებჯინა. გოგონას ძუძუები უთრთოდა, თვალებში უსაზღვრო შიში ჩასდგომოდა. ასეთი იყო ჩემ მიერ დანახული სურათი. რაზე ილაპარაკეს, სანამ გათიშული ვიყავი, არ ვიცი, მაგრამ ის, რაც ახლა გამოფხიზლებულმა გავიგონე, სუსტი ნერვების პატრონის გასაგონად არ იყო ნათქვამი.

– შენ მე თავი მომჭერი, შემარცხვინე, – რისხვას ვერ მალავდა პორტუგალიელი ალმეიდა, – მე ღირსება გამაჩნია, შენ კი რა გამიკეთე, სიტყვა გამატეხინე. რა ვუთხრა დონ მაქსიმო ლარეტას, როგორ მოვიქცე?!

გოგონა დუმდა, ცდილობდა, ცალი ხელით მოშიშვლებული მკერდი დაეფარა, მეორეთი – სხვა დანარჩენი.

– როგორ მოვიქცე-მეთქი, გეკითხები! – გაავებულმა ალმეიდამ საწოლისკენ გადადგა ნაბიჯი, გოგონამ უგანა, მაგრამ ბარკალმა თმაში ჩაავლო ხელი და შეაჩერა. თუმცა, უნდა ითქვას, მაგრად არ მოუქაჩავს, უბრალოდ, ჩაავლო, ეტყობოდა, უხერხულობას გრძნობდა გოგონას სიშიშვლის გამო, თვალს არიდებდა.

– იქნებ ლარეტა ვერაფერს მიხვდეს, – წამოიწყო ნატიმ, – შემიძლია, ამ წყეულ გომბიოს ვასწავლო, როგორ მოიქცეს.

პორტუგალიელმა თავი გააქნია:

– დონ მაქსიმო შენ სულელი ხომ არ გგონია? და ისედაც, შეხედე ერთი ამ გომბიოს!

თუმცა ბარკალს ისევ თმით ეჭირა გოგო, რომლის ფართოდ გახელილი თვალებიდან შიში იმზირებოდა, გოგონამ მაინც ისე გააქნია თავი, თითქოს „არას“ ამბობდა.

ნატი, რა თქმა უნდა, ცნობილი დიაცი იყო, მაგრამ ბოროტების განსახიერება გახლდათ ზღაპრების დედინაცვალივით. გოგონას სიჯიუტემ გააცოფა და ერთი ისეთი შეიგინა, შორი რეისების ყველა მძღოლს რომ შეშურდებოდა.

– ძალიან გავიდა თავს ეს ძუკნა, – შხამივით გადმოანთხია ნატიმ, მერე ადგა, თავისი მოკლე კაბა შეისწორა, საწოლთან მივიდა და გოგონას ხელი ისე მაგრად შემოჰკრა სახეში, რომ ბარკალმა თავისდა უნებურად გაუშვა ხელი გოგონას თმას, – გველი, საზიზღარი, – სისინებდა ნატი, – ცამეტი წლისა რომ იყო, მაშინ უნდა მომეყვანა და გაგეჟიმათ...

– ეს საქმეს არ შველის, – ამოღერღა დაბოღმილმა ალმეიდამ, – დონ მაქსიმო ლარეტამ ფული წინასწარ გადამიხადა, მე კი თავი შევირცხვინე, – სასოწარკვეთილი პორტუგალიელი დაფანჩულ წარბებს ჭმუხნიდა, ოქროს კბილს აელვარებდა. ბარკალი თავისი ფეხსაცმლის ჭვინტს დაშტერებოდა, ალბათ განიცდიდა თავისი ბოსის გაბითურებას.

– მე ის კაცი ვარ, ვისაც ღირსების გრძნობა გააჩნია, – პორტუგალიელი ალმეიდა ისეთი საცოდავი ჩანდა, რომ წამით გავიფიქრე, ხომ არ წამოვდგე და გასამხნევებლად მხარზე ხელი ხომ არ მოვუთათუნო-მეთქი, – რა ვქნა ახლა, როგორ მოვიქცე?

– როგორ და, დაასაჭურისე ეს ძაღლისშვილი. კასტრირება იქნება მაგისი სასჯელი, – დამოძღვრა პატრონი ნატი-კეთილმა სულმა. რა თქმა უნდა, ეს კახპა მე მგულისხმობდა და მეც მაშინვე გამიქრა ვინმესთვის მხარზე ხელის მოთათუნების სურვილი.

„იფიქრე, მანოლო, ძმაო, – შევუძახე საკუთარ თავს, – იფიქრე, როგორ დაუძვრე ხელიდან ამ ავაზაკებს, თორემ შენს კვერცხებს გასაღებების ასხმაზე ჩამოკიდება არ ასცდება!“ მაგრამ უბედურება ის არის, რომ გონივრულს ვერაფერს მოიფიქრებს იატაკზე პირქვე დაგდებული შიშველი კაცი.

პორტუგალიელმა ალმეიდამ ჯიბიდან ამოიღო მარჯვენა ხელი, რომელშიც დანა ეჭირა. თანაც რა დანა! ზამბარიანი, ღილაკიანი, პირგალესილი, ლამის ნახევარმეტრიანი. ასეთი დანის მარტო დანახვაზეც კი – თუნდაც დაკეცილისა – სული კოჭებში წაუვა კაცს.

– ჯერ ამ ძუკნას დავადებ ნიშანს, – თქვა პორტუგალიელმა.

სიჩუმე ჩამოდგა. ბარკალმა უხერულად მოიქექა კეფა.

– ნიშანს დავადებო?! – ნატის ლამის თვალები გადმოუცვივდა ბუდიდან.

– ჰო, სიფათს გავულამაზებ, – ოქროს კბილი დამცინავად უელავდა პორტუგალიელს, – ერთხელ გადავუსვამ და მორჩა. მერე დონ მაქსიმოსთან მივიყვან, ფულს დავუბრუნებ და ვეტყვი: მან მე შემარცხვინა, თქვენთვის მოცემული სიტყვა გამატეხინა და ამიტომაც დავსაჯე. ახლა თუ მოისურვებთ, შეგიძლიათ, უფასოდ გაუიმოთ-თქო.

– შენ რა, სულ გააფრინე?! – გაცხარდა ნატი, – საქონლის გაფუჭება გინდა? თუ ლარეტას არა, სხვას ხომ გამოადგება? ამ გომბიოს პირისახე ხომ ჩვენი ყველაზე სარფიანი კაპიტალია!

პორტუგალიელმა ალმეიდამ ღირსებაშელახული კაცის თვალები დაუბრიალა ნატის:

– შენ რა გესმის, ქალო! რამდენჯერ უნდა გავიმეორო, მე ვიცი, რას ნიშნავს ღირსების საქმე, მე ღირსეული კაცი ვარ!

– შენ ბრიყვი ხარ და მეტი არაფერი! ამას დანა დაუსვა, ეს ნიშნავს ფული ქარს გაატანო!

პორტუგალიელმა ალმეიდამ ჯერ კიდევ დაკეცილი დანა აღმართა და ნატისკენ გადადგა ნაბიჯი:

– მოკეტე-მეთქი, გაიგე, ენა დაიმოკლე, თუ არ გინდა მე დაგიმოკლო! – ოქროს კბილი ახლა მუქარით უელავდა.

ნატიმ ჯერ დანას შეავლო თვალი, მერე თავისი ცხოვრების თანამგზავრს და ალღომ, რომელიც აქვს ქალების უმეტესობას და მით უმეტეს მეძავებს, უკარნახა, რომ ჯობდა, მართლა დაემოკლებინა ენა. მხრები აიჩეჩა, სკამზე ჩამოჯდა და სიგარეტი გააბოლა. ალმეიდამ კი დანა საწოლზე დააგდო და ბარკალს მიუბრუნდა:

– მიდი, სახეზე ნიშანი დაადე გოგოს! მერე ამ იდიოტს მოვაჭრი კვერცხებს.

VI
ალბასეტე, ინოკსი

ბარკალი – ეს უზარმაზარი ქონიანი მასა – დანას დაშტერებია და ვერ გადაუწყვეტია, აიღოს თუ არა.

– ნიშანი დაადე! – გაუმეორა ალმეიდამ.

ბარკალმა ხელი გაიწვდინა დანის ასაღებად, მაგრამ შეჩერდა. დანა მომლოდინე შავი ასპიტივით გართხმულიყო თეთრ ზეწარზე.

– ნიშანი დაადე-მეთქი, გითხარი! – ხმას აუმაღლა ალმეიდამ, – მარცხენა ლოყაზე დაუსვი ზემოდან ქვემოთ.

ბარკალმა უზარმაზარი ტორი ჩამოისვა დამუწუკებულ სახეზე. ჯერ დანას დააშტერდა, მერე გოგოს გადახედა. გოგონა უკან-უკან მიჩოჩავდა, სანამ საწოლის თავს არ მიაწვა ზურგით. უზომო შიში ჩასდგომოდა თვალებში, და უცებ ბარკალმა თავი გააქნია:

– არ შემიძლია, ბოს.

ის ჰგავდა სპილოს, რომელსაც უცბად დაეუფლა სირცხვილის გრძნობა. ღორივით სიფათი აუჭარხლდა. იქნებ სულაც ცხოვრებაში პირველად სადღაც სულის სიღრმეში სინდისი აუფუთფუთდა. „მოდი და ამის შემდეგ ენდე გარეგნობას, – გავიფიქრე მე, – თურმე ამ ხორცის უზარმაზარ ნაჭერშიც ფეთქავს რაღაც ადამიანური“.

– რა თქვი? არ შემიძლიაო?

– არ შემიძლია და რა ვქნა. შეხედეთ, ბოს, ის ხომ სულ პატარაა.

ალმეიდას ოქროს კბილს დაბნეულობა დაეტყო:

– ახლავე გააკეთე, რასაც გეუბნები! – ამოიქშინა პორტუგალიელმა.

მაგრამ ბარკალი მოშორდა საწოლს და დანას:

– მართლა მეცოდება, ბოს, მაპატიეთ, ბოს. ამ გოგონას ვერ დავუსერავ სახეს...

– ბინძურო დოყლაპია, შენც იტყვი რა, კაცი ვარო, – ზიზღით გამოცრა ნატიმ. ის ხომ მუდამ მზად იყო ვითარების განსამუხტავად.

ალმეიდა მდუმარედ ისვამდა ხელს ხუჭუჭა ბაკენბარდებზე. ეტყობოდა, ფიქრობდა, როგორ მოქცეულიყო. ხან თავის მცველს შეხედავდა, ხან – გოგონას.

– მართლაც რომ დოყლაპია ხარ, ბარკალო! – როგორც იქნა, ხმა ამოიღო ალმეიდამ.

– როგორც იტყვით, ბოს, – ჩაილუღლუღა ახმახმა.

– ლაჩარი ხარ! ჩემი ფეხების ქილერი ხარ! შენი ადგილი დისკოთეკაზეა კარისკაცად, თუმცა იქაც ვერ ივარგებ!

ბარკალი გაიფხორა, თავი ჩაკიდა:

– ჰო, დიახ, ასეა, კარგი, დიახ... მადლობა ღმერთს...

მაშინ პორტუგალიელი ალმეიდა თვითონ დაიძრა საწოლისკენ. მე ერთი ღრმად ჩავისუნთქე, ძალიან ღრმად, და საკუთარ თავს ვუთხარი; „ამაღამ მომკლავენ თუ ხვალ, რა მნიშვნელობა აქვს, ესენი თავს არასოდეს დამანებებენ... არის წუთები, როდესაც ადამიანი თავად ირჩევს სიკვდილს“. ჰოდა, მეც მივაფურთხე ყველაფერს, ეგრევე დედიშობილა წამოვხტი, ალმეიდას გზა გადავუღობე და ერთი მაგრად ჩავცხე სიფათში, თან ისე ყოჩაღად, რომ კედელიც გაინგრეოდა, მაგრამ ალმეიდამ მაინც შეიკავა თავი, თუმცა ფეხები ერთმანეთში აებლანდა. ნატი აკაკანდა. ბარკალი დაიბნა. მე დანა ჩავბღუჯე და ოთახში დატრიალდა, მაგრამ რა დატრიალდა!.. მგონი, ცასაც კი მოედო ცეცხლი.

– მოკალით, მოკალით! – ხაოდა ნატი.

მე დანის ღილაკს თითი დავაჭირე და და-

ნაც ტკაცანით გაიხსნა, რაც მე მუსიკად ჩამესმა. ბარკალი ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რომ ჩხუბში უნდა ჩაბმულიყო და ის იყო უნდა მძგერებოდა, რომ დანა თვალებს შუა ვატაკე. მახსოვს, რატომღაც თვალში მეცა დანის ტარზე გაკეთებული წარწერა: „ალბასეტე, ინოკსი“. ბარკალი შეჩერდა, თითქოს კედელს შეეჯახაო, მე კი დრო ვიხელთე და ამ ბოლო რვა საათის განმავლობაში უკვე მეორედ ისე ამოვარტყი მუხლი იმავე ადგილას, რომ ის უბედური იატაკს დაასკდა. ნაწყენი კაცივით აწირპლებული ისე შემომცქეროდა, თითქოს მამუნათებდა, რას გადამეკიდე, ძალიან შემაჩვიე ხელიო.

– ჩქარა გაიქეცი! მანქანაში ჩაჯექი! – დავიყვირე მე.

ზუსტად არ ვიცი, გოგონამ დამიჯერა თუ არა, – ვერ დავინახე, რადგან ერთი მხრიდან დაბურბუსალებული პორტუგალიელი მიტევდა, მეორე მხრიდან – გაცეცხლებული ნატი, რომელიც თავის წვრილქუსლიან ფეხსაცმელს (ლურსმანს რომ ეძახიან) მიმიზნებდა, ერთი ამაცდინა, მეორე კი მთელი ძალით ჩამესო მკლავში მხარს ქემოთ. ძალიან მეტკინა, უფრო მეტად მეტკინა, ვიდრე პორტუგალიელის მუშტი ყურში. არ ვიცი, როგორ, მაგრამ ამ ორომტრიალში დანის წვერი როგორღაც მოახლოებული ნატის მხარეს მიტრიალდა და სახე გაუსერა.

– დამჭრა, ამ არაკაცმა დამჭრა, დამამახინჯა! – აკივლდა ნატი. სახეზე სისხლი სდიოდა და მასთან ერთად – სხვა დანარჩენიც: პუდრი, პომადა და სხვა ამისთანები. მუხლებზე დაეცა, ისედაც მოკლე კაბა ახლა სულ წამოეხადა, ღრმად ამოჭრილი გულისპირიდან ძუძუები გადმოუცვივდა, ერთი სიტყვით, ნამდვილი ცირკი იყო. ამასობაში პორტუგალიელმა მუშტი გამომიქანა კბილებში, მაგრამ ავიცდინე; მერე დანიან ხელში მწვდა და კბენა დამიწყო, მე კი ყურში ჩავაფრინდი კბილებით და თავს იქამდე ვუქანავებდი თავის ყურიანად, ვიდრე სიმწრისგან არ აღრიალდა და ხელი არ გამიშვა. დანა მაინც მოვუქნიე, მაგრამ ავაცდინე. როგორღაც მოვახერხე, ადგილიდან მოვწყდი და პირდაპირ ცხვირ-პირში ვაგერე თავი. ამჯერად ოქროს კბილი სადღაც ჯანდაბაში გაფრინდა და მისი გამწარებული მფლობელი ზედ დაასკდა ნატის, რომელიც თავისი სისხლიანი ხელების შემხედვარე შლეგიანივით ხაოდა:

– ძაღლიშვილო, გათახსირებულო!

მე ისევ დედიშობილა ვიყავი. თავი მიგუგუნებდა. ირგვლივ ყველაფერი ტრიალებდა. ამგვარ ვითარებაში, რა დასამალია და, უხერხულად გრძნობ თავს. დავინახე, გოგონას უკვე ჩაეცვა, ზურგჩანთა ხელში ჩაებღუჯა და ტყვიასავით გარბოდა კარისკენ. მეც გადავახტი ამ უძვირფასეს წყვილს და რაკი ბარკალი მათ მისაშველებლად იყო დახრილი, ხელი დავტაცე იმ სკამს, რომელზეც ნატი იჯდა და თავზე გადავამტვრიე იმ უბედურს. მერე კი, რაკი სკამის ზურგი შემრჩა ხელში, ნატისაც მივეფერე, ტაფასავით გავუქანე. წყეული ქალი! მიუხედავად ყველაფრისა, ეტყობა, იმ ორზე უკეთ უჭრიდა გონება. დრო რომ არ დამეკარგა ამ შესანიშნავი სანახაობით ტკბობის გამო, ელვის უსწრაფესად ამოვიცვი შარვალი, ხელი დავტაცე ჩემს ფეხსაცმელებსა და მაისურს და რაც ძალი და ღონე მქონდა, გავვარდი მანქანისკენ. სწრაფად გამოვაღე კარი, გოგონაც სწრაფად შემოფრთხიალდა და აქოშინებული მოკალათდა ჩემ გვერდით. ჩავრთე ძრავა და ჯიქურ შევხედე, თვალები უბრწყინავდა.

– ციცქნა.

ჩავრთე პირველი სიჩქარე და „ვოლვო“ გზატკეცილზე გავიყვანე. სისხლი კი პატარა ღრმულიდან, ნატიმ რომ მიბოძა თავისი ფეხსაცმლის ლურსმანივით ქუსლით, დასდის და დასდის სვირინგს. გოგონა ჩემკენ გადმოიხარა, წელზე ხელი შემომხვია და ჭრილობას კოცნა დაუწყო. მე „ლოს ჩუნგიტოსის“ კასეტა დავატრიალე. ასფალტზე გაწოლილი მანქანის ჩრდილი ჩვენ წინ მიქროდა საზღვრისკენ, ზღვისკენ.

„დღისით ვერ ვხარობ,

ღამით არ მძინაავს...“

დილა ნელ-ნელა გვეპარებოდა. მე უკვე ყურებამდე ვიყავი შეყვარებული. დროდადრო მანქანების ფარებსა და რადიოს მოჰქონდა ჩვენამდე ჩემი კოლეგების სალამი.

„კარმონელი ნინა გაცნობებთ: ამბობენ, „მხიარულ იხვში“ მაგარი შუხური აწეულა, მაგრამ ხეობელ მარტოხელას უმარჯვია და ხელიდან დასხლტომია ალმეიდას და მის ხალხს. მარტოხელას წარმატებას ვუსურვებთ“.

„ხინეს-კარტახენელი: ყველას, ყველას, ვინც ახლა მე მისმენს. ეს-ეს არის ჩამიქროლა ჩვენმა წყვილმა, როგორც ჩანს, ყველაფერი რიგზეა“.

„სარკეში გხედავ, მარტოხელავ, და გზას გითმობ. ჰო, ყოჩაღ, მართლა მარმელადი ჩაგიგდია ხელში. იქნებ ჩვენ, საწყლებსაც გვიწილადო რამე, ა?“

– შენზე ლაპარაკობენ, – ვუთხარი გოგონას.

– ვიცი.

– ზუსტად ისეა, როგორც ტელესერიალებში. ყველანი ჩვენზე წუხან, ჩვენც უკვე გზაში ვართ. უფრო სწორად, როგორც ამერიკულ ფილმებშია, – საჭე მკვეთრი მოსახვევის მიმართულებით დავატრიალე.

– ასეთ ფილმებს ღოად მოვიეს-ს ეძახიან.

– ღოად რას?

– ღოად მოვიეს-ს, რაც „საგზაო კინოს“ ნიშნავს.

სარკეს გავხედე, ხომ არავინ მოგვდევს-მეთქი. არავინ ჩანდა.

იქნებ თავი დაგვანებეს? მაგრამ პორტუგალიელი ალმეიდას ოქროს კბილი და ნატის ხავილი რომ გამახსენდა, არა მგონია, ასე უბრალოდ მოგვეშვან-მეთქი, გავიფიქრე. ალბათ კიდევ კარგა ხანს მომიწევს თვალღიას ძილი.

– რაც მე თავს გადამხდა, მართლაც კინოა, – ვთქვი მე. წარმოდგენა არ მქონდა, ბედი რას გვიმზადებდა მე და გოგონას, მაგრამ მიმიფურთხებია ყველაფრისთვის...

გოგონამ ჭრილობაზე რამდენჯერმე მაკოცა, მერე თავსაფრით მოიწმინდა ტუჩზე შერჩენილი ჩემი სისხლი და ამ თავსაფრითვე შემიხვია ჭრილობა.

– საცოლე გყავს? – მოულოდნელად მკითხა მან.

გაოცებულმა შევხედე:

– საცოლე? არ მყავს, რატომ მკითხე?

გოგონამ მხრები აიჩეჩა. გზისთვის თვალი არ მოუშორებია, თითქოს ჩემი პასუხი სულაც არ აინტერესებდა. გვერდულად გამომხედა და კვლავ მაკოცა მკლავზე, თავსაფრის ზემოთ, მერე თავსაფარი მაგრად მომიჭირა.

– ეს მეკობრეების თავსაფარია, – მრავალმნიშვნელოვნად თქვა მან, თითქოს რაც თავს გადაგვხდა, იმ ყველაფრის გამართლება სურდა. მერე წამოწვა, თავი მუხლზე დამადო და ჩაიძინა. მე მივაქროლებდი მანქანას, შევცქეროდი სიბნელეში დროდადრო გაელვებული კილომეტრების აღმნიშვნელ ბოძებს და ვფიქრობდი: ყველაფერს დავთმობდი ამქვეყნად, ჯანსაც და თავისუფლებასაც, ოღონდ აი, ასე მატარა რომელიმე უკაცრიელ კუნძულამდე, თუნდაც ქვეყნის დასალიერამდე.

VII
უკანასკნელი ნაპირი

– ზღვა! – ციცქნა ლამის თვალებით ყლაპავდა ჰორიზონტის ნაცრისფერ ზოლს.

მაგრამ ეს არ იყო ზღვა, ეს იყო მდინარეები ტინტო და ოდიელი. აიამონტეშიც ტყუილად გაუხარდა – ამჯერადაც მდინარე იყო, გუადიანა. მოკლედ, როდესაც მართლა გამოჩნდა ზღვა, გოგონა უკვე ბრაზობდა და არცთუ უსაფუძვლოდ. ცხოვრებაშიც ასეა: ოცნებობ, ოცნებობ რაღაცაზე და როდესაც ეს ოცნება აგიხდება, აღმოჩნდება, რომ ყველაფერი ისე არ არის, როგორც წარმოგედგინა და სიბრაზეც შენდა უნებურად მაშინვე გიპყრობს.

– ჩემი აზრით, ეს ზღვა კი არა, ნეხვია, – ბუზღუნებდა გოგონა, – რ. ლ. სტივენსონია თუ ვიღაცაა, ძალიან აჭარბებს. ფილმებშიც აჭარბებენ.

– ციცქნა, ეს ზღვა არ არის, მდინარეა.

ის კი წარბებს ჭმუხნიდა გაჯიუტებული ბავშვივით:

– სულერთია, მაინც ნეხვია.

ამგვარად, ვიარეთ მდინარიდან მდინარემდე, მივაღწიეთ საზღვრამდე, მშვიდობიანად გადავკვეთეთ იგი ვილა-რეალი-დი-სანტე-ანტონიუსში – სწორედ აქ დაინახა მან ნამდვილი ზღვა და მკითხა, ეს რა მდინარეაო – და დავადექით ტავირას გზას. იქ, უსასრულო ქვიშიან ნაპირზე – ასეთი ადგილი ბევრია სამხრეთში – მანქანა გავაჩერე და გოგონას მხარზე შევახე ხელი:

– აი, ისიც.

უცებ შემიპყრო სურვილმა, იგი სწორედ ისეთი ჩამბეჭვდოდა მეხსიერებაში, როგორიც ახლა იყო აქ, ჩემი „ვოლვო-800 მაგნუმის“ კაბინაში: დიდ, ჩამუქებულ თვალებს არ აშორებდა ქარისგან მიმოფანტულ დიუნებს და ქაფით მოხუჭუჭებულ ტალღებს.

– მგონი, შემიყვარდი, – მითხრა ისე, რომ ზღვისთვის თვალი არ მოუშორებია.

– კარგი ერთი, – ამოვილუღლუღე მე. სხვა ვერაფერი მოვიფიქრე. მაგრამ ტირილი მომინდა, მის თბილ ყელში სახის ჩაკარგვა მომინდა, ყველაფრის დავიწყება მომინდა, საკუთარი ჩრდილისაც კი. თვალწინ ჩამიქროლა მთელმა ჩემმა ცხოვრებამ ამ წუთამდე, თუ ეს ცხოვრებაა – მარტოდმარტო მიდი-მოდი შორეულ რეისებში, ბენზინგასამართავი სადგურებიდან მარტოდმარტო შესვლა სასაუზმეებში, სამხედრო სამსახური, სადაც მარტოსულად გრძნობ თავს, ციხის ამხანაგების მარტოობა, რომელიც მთელი წელიწად-ნახევარი ჩემი მარტოობაც იყო, რომელი ერთი ჩამოვთვალო. დაწყევლილი მარტოობა და დაწყევლილზე დაწყევლილი ცხოვრება იყო ჩემი თანამგზავრი... და კვლავ ვიგრძენი ის, რამაც სადღაც შიგნით ყველაფერი მომიდუნა, როგორც ბავშვობაშია ხოლმე: დედა გკოცნის, შენ კი ისე კარგად, ისე თბილად და ტკბილად გრძნობ თავს, აზრადაც არ მოგდის, რომ ეს ყველაფერი შეიძლება იყოს მხოლოდ სულის მოთქმა მოსალოდნელი სიცივისა და საფრთხის წინ.

– მოდი ჩემთან.

ჯერ ისევ მისი თავსაფრით შეხვეული ხელი გავიწვდინე, ყელზე შემოვხვიე და მივიზიდე. ისეთი პატარა და ნაზი იყო, ისეთი სურნელი ასდიოდა ახალგაღვიძებული ჩვილისა, რომ, თუმცა უკვე ვთქვი, ერთი გაუთლელი, ხეპრე კაცი ვარ და გრძნობებისა არაფერი გამეგება-მეთქი, მაგრამ ახლაღა მივხვდი, რომ ეს სურნელი – ან სულაც მოგონება ამ სურნელისა, რომელიც ეს-ეს არის მოულოდნელად მეწვია – არის სწორედ ჩემი სამშობლო და ჩემი მოგონება, ერთადერთი ადგილი დედამიწაზე, სადაც მსურს დაბრუნება და სამარადჟამოდ დარჩენა.

– ახლა სად მივდივართ ჩვენ? – მკითხა გოგონამ.

სულს მოეგონა ეს „ჩვენ“. ჩვენ მივდივართ. კარგა ხანია, ჩემთვის არავის მოუმართავს ასე, მრავლობით რიცხვში.

– ჩვენ მივდივართ?

– ჰო, მე და შენ.

რ. ლ. სტივენსონის წიგნი მის ფეხთით ეგდო. გოგონა მივიზიდე და ვაკოცე დიდ, ჩამუქებულ თვალებს შორის, რომლებიც ახლა ზღვას კი არა,

მე შემომცქეროდნენ.

– ციცქნა, – ვთქვი მე.

რადიოში ისმოდა ჩემი ესპანელი და პორტუგალიელი ამხანაგების ხმები, ზოგი სალამს გვითვლიდა „მარტოხელას და მის მარმელადს“, ზოგსაც აინტერესებდა, ახალი ხომ არაფერი მომხდარა.

გზების ჭექა-ქუხილმა, ფარუელმა კოლეგამ, ტავირასთან გავლისას ჩემი „ვოლვო“ იცნო და ისე მოგვესალმა, თითქოს ტელესერიალის გმირები ვყოფილიყავით.

რადიო გამოვრთე.

ნაცრისფერი დღე იყო. ტალღები ზედ ევლებოდა ქვიშიან ნაპირს. მანქანიდან გადმოვედით და დიუნებს გავუყევით ზღვისკენ. უამრავი თოლია ირეოდა ნაპირზეც და ტალღების თავზეც. გოგონა მოჯადოებულივით შესცქეროდა ახმაურებულ ფრინველებს – მას ხომ არასოდეს ენახა ისინი.

– მომწონს, – თქვა მან.

– მე – არა. ვერაგები არიან... წარმოიდგინე, გადარჩება კაცი ხომალდის ჩაძირვისას, გასაბერი ნავით დაცურავს ზღვის ტალღებს მინდობილი, ჩაეძინება, ეს საზიზღრები კი დააცხრებიან და თვალებს ამოკორტნიან.

– კარგი ერთი.

– გეფიცები, ასეა.

გოგონამ სანდლები გაიძრო. ტალღა მის ფეხთით დაიმსხვრა ბრჭყვიალა შხეფებად. ბედნიერებით აღსავსემ გადაიკისკისა, სველი კაბა თეძოებზე მიეკრა, სახესა და ყელზე პეშვით შეისხა წყალი და წამწამებზეც წვეთები აუციმციმდა.

– მიყვარხარ, – ვთქვი მე ბოლოს და ბოლოს, მაგრამ ქარმა,რომელსაც ჩვენამდე მოჰქონდა ქაფი და მარილი, სამაგიეროდ ჩემი სიტყვები წაიღო.

– რა თქვი? – მკითხა მან.

– არაფერი, – გავუღიმე მე.

მაღალი ტალღა ორივეს მოგვწვდა და ჩვენც, თავით ფეხებამდე გალუმპულები, ერთმანეთს ჩავეხვიეთ. ის ისეთი თბილი იყო სველი კაბის ქვეშ, მაგრამ მაინც კანკალებდა ჩემს მკერდთან მომწყვდეული. „ჩემი სამშობლო, – კვლავ გავიფიქრე მე, – ჩემი სამშობლო მყავს გულში ჩაკრული“. ფიქრებში ამომიტივტივდნენ ის ამხანაგები, ახლა რომ სწორკუთხედ ცას შესცქეროდნენ ელ პუერტოს ციხის თავზე. თვალწინ წარმომიდგა აჩოს გორაკზე, კოშკურაზე მდგარი ყარაული. დგას და დასცქერის შაშხანის სასხლეტს, როგორც ცდუნებას. რომლებსაც ყველგან და ყოველთვის თან ახლავთ საჭის მარჯვნივ თუ მარცხნივ გაკრული ჟურნალებიდან ამოჭრილი ლამაზმანების სურათები. და მე წარმოვთქვი გუნებაში: „ამ ხარს თქვენ გიძღვნით, კოლეგებო“[1]. მერე მოვბრუნდი, გზისთვის რომ შემევლო თვალი და უცებ ჩემი „ვოლვოს“ გვერდით დავინახე შავი მანქანა, კუბოსავით გრძელი და ავის მომასწავებელი.

რამდენიმე წამს ვაკვირდებოდი ცარიელ კატაფალკს, უკვე ვედარაფერს ვგრძნობდი უცებ მოვარდნილი, ჩასქელებული და მორჩილი დაღლილობის გარდა. გოგონა კვლავ ჩახუტებული მყავდა. ღრმად შევისუნთქე ჰაერი, რომელსაც ჩვენამდე მოჰქონდა ქაფი და მარილი. ვგრძნობდი, როგორ თრთოდა ჩემს სხეულს მოკრული მისი სველი, მაგრამ მხურვალე ტანი. ძარღვებში მდორედ მიფეთქავდა სისხლი: დუმ-დუმ, დუმ-დუმ.

– ციცქნა, – ვთქვი უკანასკნელად და ვაკოცე ისე ნელა, ისე აუჩქარებლად, თითქოს პირი თაფლით ჰქონდა სავსე და მეც ნება-ნება ვეწაფებოდი მას. მერე მოვიშორე და მსუბუქად ვუბიძგე წყლისკენ. ჯიბიდან დანა ამოვიღე, – „ალბასეტე, ინოკსი“ – გოგონას ზურგი შევაქციე და ჩავდექი მასა და სამ ფიგურას შორის, რომლებიც გვიახლოვდებოდნენ.

– გამარჯობა, – თქვა პორტუგალიელმა ალმეიდამ. ცხვირი გატეხილი ჰქონდა, ოქროს კბილიც გამქრალიყო. ამის გამო მისი ღიმილი უღიმღამო და უხამსი ჩანდა. უკან ნატი მოჰყვებოდა, თმაგაჩეჩილი და უმაკიაჟო. ქვიშაში მოხერხებულად რომ ევლო, ფეხსაცმელი გაეძრო და ხელით მოჰქონდა. სახე პლასტირითა და ბანდით ჰქონდა მიწებებულ-მოწებებული. მსვლელობას აგვირგვინებდა თავშეხვეული და თვალებჩალურჯებული ბარკალი. სამივენი იმ ყაჩაღებს ჰგავდნენ, მძიმე ღამე რომ გადაიტანეს. სინამდვილეში ასეც იყო, წუხანდელზე უარესი ღამე ცხოვრებაში ალბათ არც ჰქონიათ და, რაღა თქმა უნდა, სამაგიეროს გადახდას ესწრაფოდნენ.

დანის ტარზე ღილაკს თითი დავაჭირე. ლამის ნახევარმეტრიანმა ფოლადმა ცა აირეკლა და ნაცრისფერ ელვასავით გაკრთა. როდესაც ჩემს მარჯვენა ხელში ზამბარამ გაიტკაცუნა, მარცხენათი ჭრილობაზე თავსაფარი შევიხსენი, რათა სვირინგი გამომეჩინა: „ციცქნა“ – იკითხებოდა ჭრილობის ქვემოთ. ზღვის მოქცევა ტალღებს დგაფუნითა და შრიალით ახლიდა ნაპირს. გოგონა ზურგს უკან მედგა ლამის მოწებებული. მარილიანი ქარი თმას უწეწავდა და მისი ბოლოები სახეზე მელაციცებოდა. ეს იყო ჩემი ცხოვრების მთავარი გაელვება – მთელი ჩემი ცხოვრება იდგა აქ, ამ ქვიშიან ნაპირზე, ზღვასთან, და მივხვდი – მთელი ეს წლები, თავისი ავითა და კარგით, მხოლოდ იმისთვის ვიცხოვრე, რომ ამ გაელვებას მოვსწრებოდი, მივხვდი, ადამიანები რატომ იბადებიან და კვდებიან, რატომ არიან ყოველთვის ისეთები, როგორებიც არიან და არასოდეს არიან ისეთები, როგორებიც სურთ იყონ. და კიდევ, ალმეიდას თვალებისა და მის ხელში შავად აპრიალებული პისტოლეტის დანახვაზე მივხვდი, რომ ნებისმიერი ქალი და მასთან ერთად შენც შენი

1. **გადაკრული ნათქვამი. კორიდის საზეიმო გახსნისას ტორეადორი ამ სიტყვებით მიმართავს თავმჯდომარეს, საზოგადოებას ან სასურველ ქალს.**

იმ წილით, რაც უკავშირდება მის თბილ სხეულს, მის თაფლივით ტკბილ ტუჩებს და თეძოებს შორის ადგილს – შენი წარსულია მხოლოდ და გახსენება. მივხვდი, ნებისმიერი მშვენიერი, თუნდაც ციცქნა არსება, რომელსაც ძალუძს, დაგიბრუნოს ბავშვობის დროინდელი გრძნობები, გაგახსენოს ის წუთი, როცა ცხოვრებასთან პირისპირ შეხვედრით გამოწვეულ შიშს დედის თბილ უბეში შეუჭული ემალებოდი – არის ერთადერთი სამშობლო, რომელიც ჭეშმარიტად ღირს იმად, რომ მოკლა მისთვის ან მოკვდე მისთვის.

მეც დანის ტარს მაგრად ჩავჭიდე ხელი და ისე ჯიქურ გავემართე პორტუგალიელ ალმეიდასკენ, როგორც ნამდვილ მამაკაცს შეეფერება.

მთარგმნელის მინაწერი ავტორის მაგიერ

„რაც უფრო მეტად ვუღრმავდებოდი ჩემს მოთხრობას, მით უფრო ნაკლებად წარმომედგინა ბედნიერი დასასრული, მაგრამ იმხანად ეს არცთუ ისე მაღელვებდა: რაკი გადაწყდა, ამ მოთხრობის, ასე ვთქვათ, გასცენარება, ვიფიქრე, ფილმის დასასრულზე სცენარის ავტორმა იზრუნოს-მეთქი. ფინალი კი თავად მე ასე წარმომედგინა: ზღვა, უკაცრიელი სანაპირო, მანოლო, გოგონა, დანა და ის უბედურება, რაშიც ჩემი გმირი გაეხვია. მაგრამ მაინც ვერაფრით გადამეწყვიტა, სად დამესვა საბოლოო წერტილი, რადგან ცოდნით მართლა არ ვიცოდი, რა უნდა მომხდარიყო იქ, სანაპიროზე: მანოლო მოკლავდა პორტუგალიელ ალმეიდას და ისევ ციხეში აღმოჩნდებოდა თუ საბრალო მანოლო დაიღუპებოდა საყვარელი ქალის დაცვისას (თუმცა ის ხომ თვითონ გვიყვება თავის ამბავს? – მთარგმნ.). თანაც როდის? როცა ამ ციცქნა არსების წყალობით შეიძინა აზრი მისმა ცხოვრებამ, როცა შეიცნო საკუთარი თავი! ის იყო, საკვანძო ადგილს ვუახლოვდებოდი, რომ კალამი დავდე და გადაწყვეტილად ვთქვი: „სდექ! შენ უკვე მიხვედი ბოლომდე. მორჩა. სათქმელი აღარაფერი გაქვს. დაე, სცენარის ავტორებმა იზრუნონ ამაზე. ასე იყოს...“

პოეზია



გალტიისპირელი პოეტები თარგმნა

რენე კალანდიამ

სიგიცის გიჟი

ᲨᲐᲡᲛᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲚᲝᲑᲔᲚᲘ

„ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ – ᲖᲓᲕᲐᲐ“.
ᲮᲝᲠᲮᲔ ᲛᲐᲜᲠᲘᲙᲔ

I
თოვლისფერ ზღვაში –
წყლის სუმბული აყვავებულა,– თრთის,
დიდრონ თვალებს აფახულებს –
განცვიფრებული.

ეგ შენი თავი
სადაფისფერ ზღვის სიღრმეებში,
მწუხრის ნათელში
მარადიულ იმედით მიმაქვს.

მე ხშირად მზერით
ვისრუტავდი ძოწისფერ ასკილს,
იგი – ცეცხლია
შენი ტანისა.

აბობოქრებულ ტალღებს აქრობს
წვა და შრიალი.
გულზე მეღვრება
სიმხურვალე შენი თმებისა.

II
მე დიდხანს ვწყვეტდი
ცირცელის ნაყოფს,
როზმარინის ბუჩქს
მოედო ცეცხლი.
ადრე გალურჯდნენ
ჩემი ტუჩები –
რა კაშკაშა და ხასხასაა
ზეცა და ტალღა?

როცა დაჭკნება
ეგ სითეთრე ჩემი სხეულის,
დაე, აყვავდეს
ქვა – უნაყოფო!

ფრთათა ალმა კი
ანარეკლი ისროლოს ზღვაში,
ეწერის გვიმრამ –
ოროვანდულ წყვდიადს მიხედოს!

...აწვართულია კვიპაროსი –
აენთო და ვერცხლისფერია,
ქვა აბრიალდა
და ანათებს ყვავილნარივით...

III
მოიგონებს თუ არა სული
ნაღველით ამდენ
ნათელ და სპეტაკ
ფურცლების ცვენას?

ავსებულია თავის ქალა
ზღვის ქაფიან რძით,
ფართოდ გადიხსნა
მკერდი – ვერცხლი ნიადაგისა.

მთელი სამყარო –
ღვთაებრივი, თრთის,–
ლაინისფერი ნიჟარაა
სხეული ჩემი.

ო, საყვარელო,
მგალობელო ჟასმინ, შენ ძალგიძს
ამ წყვდიადიდან – მომაბრუნო
ალიონისკენ.

ჟამი წასვლისა

არყის ხეები
რჩებიან –
ნუ დაემდურები.

მათი ციცები
უფრო გრძელია,
ვიდრე შორეულ ბავშვობაში.

სიზმარიც რჩება
და ის სიპი ქვაც
მინდვრის შუა,

რომელზედაც
შენ – პატარამ
წაიფორხილე,

ყველაფერი, რასაც კი ახსოვს
და, მაინც სძინავს, –
რჩება.

მინდორში – ქარი,
რადიოში –
ხმა.

ყოველი რჩება.
მე –
ვერ დავრჩები.

აქ – იმიტომ
კი არ მოსულვარ,
რომ თქვენთან დავრჩე.

ჭორფლიანი ზაფხული

ცხენი და ფარცხი,
ცისფერი ღიღილო, –
ჩემს გულს ჯერ კიდევ
ახსოვს ისინი.

წითელი თიხა
და თეთრი ცხენი,
მწუხრის სხივებში მოხეტიალე.

კვირადღეებში –
ჯოჯოები მიმოფანტულან
და თბებიან
ტბა – ვიაისეიასის ახლოს.

აქ – ბალახნარში
ძმათა ჩემთა სადგომებია
უსიერ ტყეში.

როცა რჩებიან ქლიავები
სიმარტოვეში,
უმალ იწყებენ გაველურებას.

მკრთალად ნათობენ
ძველთაძველი ტალღები ტბა –
სნაიგინასის.

პირველი მიწიერი ტაძრები –
სოკოებია –
ზეგარდმო თუმცა არ ჩამოდიან.

ცის წესიერი
პირამიდაა –
ციდამაყვანა.

ალისფერი და ხუჭუჭთმიანი
შროშანებია
ჯვრის ძირაქვასთან.

ძილ-ღვიძილში
შელმა თვალები გაახილა,
როცა გამოჩნდა მზე.

გაქვავებულ ნიჟარას ვხედავ.
და ფართოდ
გამოღებულ ფანჯრებში –
კვლავ იმდაგვარი ძველისძველობაა.

სიმძიმისგან
უმალ ეცემა პომიდორი,
რადგან მისი გზა –
ციცაბო და ცეცხლისფერია.

თუ სამყაროში
კვლავ არსებობს ჭეშმარიტება,
დაე, მასში ფარფატებდეს
თეთრი კოთხუჯი.

მიწას
ღორები ჩააშტერდნენ
სამარადჟამოდ.

მსხალი უნაკლოდ წარმოაჩენს
სრულყოფილებას.
თუმცა მას კვლავ ხრავს
უმწეო ჭია.

აჰ, იშლებიან მიწის წიაღში
აყვავებული ფესვები,
როგორც ნაწნავები ქალიშვილისა.

ცა იღრუბლება, რადგან ობობამ
იქ მოისროლა
უსაზღვრო ბადე.

ბაგენო ჩემნო,
თქვენ იყავით ალისფერები,
როცა ამბობდით სიმართლეს.

საკვირაო სიმღერა

აჰ, როგორც კვირას, ადრიან დილით,
ერთხელ კვირადღეს – დილაადრიან
კენკრის საკრეფად შორეულ ტყეში
მოგროვდნენ ჩემი მეგობრები და ძმაკაცები:
ის – ქერა – მარწყვს კრეფს თავდავიწყებით,
იგი – მდუმარე – მისდევს ჭრელ ფრინველს,
და მხოლოდ ერთ-ერთს – სევდა მორეულს,
რატომღაც არსად არ უნდა წასვლა.

ადრე კი, როცა
ჩვენც ვიყავით ახალგაზრდები,
როცა ხმატკბილი
სიმღერები ვიცოდით უხვად,
შეგვეძლო გულის მოტყუება –
თვითგაბრიყვება
ქარაფშუტული ანწლის არაყით.
რა დაგვრჩა, ნეტავ, ახლა, რა შეგვრჩა:
მოდის აპრილის ვრცელ ყანაში ბაბუაჩემი –
ჭადარა, ანდა პაპისპაპა – მარადიული
და მხარზე სელის თოფრა ჰკიდია.

ნეტავი, რაა სელის თოფრაში,
რა იმალება პაპის თოფრაში,
რა საოცრებას ინახავს თოფრა,
და თუ მომწიფდა ამდენი ხანი?
მითხარით, ძმებო, რა არის მასში:
იქნებ ალუბლის ნათელი სიტკბო,
ან მიწა – ნაზი და სათუთი, ვინემ...

რა დამწიფდა იქ – სელის თოფრაში,
მითხარით, ძმებო,
ჩემო მოყვასნო, –
სახელოვანო თუ უსახელო ძმებო,
გიცდით, მითხარით რამე?!.

● ● ●

ვიტალუტა ლუდენსი

დედა ენა

დედაო ენავ,
შენი სიტყვების საფეხურებით
მე ავაღწიე ჩემს ერამდე.
ო, ლატვიურო ენავ,
შენი სიტყვების
ცრემლისფერი საფეხურებით
ადის ერი მაღლა-მაღლა და
სიცოცხლის მინდვრებში გადის.

ოფლის და ოქროს საფეხურები,
ცრემლის და ვერცხლის საფეხურები,
დაღვრილი სისხლის საფეხურები! –
დაე, ყოველი სულდგმული და
ამაყი სული გრძნობდეს მარად,
რომ იგი უკვე მზესთან ახლოა,
ანუ მზემდე
ერთი საწუთრო დარჩა.

* * *

როგორც ძროხა სათიბში
ან ცხენი ჭალაში,
იბერება სახურავი:
ფისი დნება, წვეთავს...
ხოლო ყავრის ფართო ფურცლებს
ნეკერჩხლებთან გადაშლილთ,
ესალმება ფიჭვი და
მოწკრიალე ზეცაც.

ვერცხლისფერი ლურსმანი
იჟანგება წვეთებით
და გულმძიმე ღრუბელი
ყავარს ეხახუნება,
კრთიან სახურავები –
ბნელში – თავგამეტებით...

საგულისხმო საათში
წუთების დაფეთებით
გაიქროლეს უკუნში
მწვანე ტყის კაცუნებმა...

● ● ●

ალექსანდრეს ჩაკი

ქ უ რ დ ი

...ქება-დიდება იმ ქურდს,
რომელიც
მსოფლიო მტრობას
მოიპარავს და გადამალავს...

მე და მთვარე

მთვარევ,
ეს შენ ხარ ერთიანად
ყვითელი სიმბოლო ვნებათა,
რომელთაც ღამე აფრქვევს უხვად –
უდასასრულოდ.

ო, როგორი უსირცხვილო ხარ:
დაეხეტები ველ-მინდვრებში,
დაეთრევი ქალაქებს ზემოთ, –
მრგვალი და თანაც შიშველი,
როგორც მოხუცის კეფა.

უზრდელო:
შარვალი მაინც ჩაგეცვა,
როცა მიდიხარ
სხვადასხვა სახლში
უწვევ სტუმრად –
საჭორიკნოდ, ანდა სულაც
ფანჯრებში ურცხვად შესაჭვრეტად...
ავხორცო,
ბილწო,
ყიამყრალო,
ინტრიგანო ბერბიჭავ და
ციურო შერლოკ ჰოლმსო.

უჰ, როგორ მძულხარ,
შენ – მოთვალთვალე,
შენ – ყვითელი,
შენ – მქირდავი...
შენ,
ლაჟვარდის მარადიულო
მეფისტოფელო, –
მძულხარ!
თუნდაც იმის გამო,
რომ კარგად იცი,
თუ რა ცუდი ვარ,
რა საძაგელი,
და რანაირ საზიზღარ
ვნებების ჭურჭელს
წარმოადგენს სული ჩემი –
მავანისთვის უმიზეზოდ
მოწრიალე და
მოუსვენარი,

ეჰ, რომ შემეძლოს
შენი მოწყვეტა
ცის სიმაღლიდან.
შე ეშმაკო,
ჩემი სიმწრის გამღვიძებელო;
რა დაგიშავე,
რატომ მაწამებ ნეტავ?..
დამეკარგე,
არ დამენახო,
ან მიხსენი და გადამარჩინე –
ამაშორე ავ მისწრაფებებს,
ტანჯვა-წვალებას,
რომლებიც ფლეთენ ჩემს
დაღლილ სხეულს...
ოღონდ თვალებში ნუ მიყურებ
ქედმაღლური დიდსულოვნებით,
ვით საყვედური, ჩუმი დატუქსვა,
ნუ მიყურებ თვალებში, როცა
ჩვენ ირგვლივ მხოლოდ ღამეა.

მთვარევ,
ეს შენ ხარ ერთიანად
ყვითელი სიმბოლო ვნებათა,
რომელთაც ღამე აფრქვევს უხვად –
უდასასრულოდ.

წაუკითხეთ პატარებს!..

ალმასრ ესპრთია

მეგზური

ლაშა მამის გვერდით იდგა. მშობლის მარჯვენას ჩაბღაუჭებული თავს ისე გრძნობდა, როგორც ახალშებუმბლული მართვე არწივის ფრთებქვეშ. იდგა ოცნებებსა და ფიქრებს ადევნებული... მადალი, მხარბეჭიანი ირაკლი ტოტებგაბარჯღულ მუხასავით წამოსდგომოდა თავზე.

– ქოლგასავით მეფარები, – შეჰღიმა ბიჭმა.

ირგვლივ მოჯარული ხალხი პირჯვარს იწერდა, ლოცულობდა და პატრიარქს მოწიწებით შესცქეროდა. ბიჭი ფიქრებიდან მაშინ გამოერკვა, როცა მამა-შვილის წინ შავანაფორიანი, ტანთხელი ბერი შეჩერდა.

– ძალიან ახლოს დგახართ, პატრიარქს თვალს არ აცილებთ, არ შეიძლება!

– მხატვარი ვარ, უნდა დავხატო...

– მაინც უკან უნდა დაიხიოთ.

მამამ თანხმობის ნიშნად ბერს თავი დაუქნია და სარკმლისკენ გადაინაცვლა. ლაშასთვის სულ ერთი იყო, საით წაიყვანდა მამა. ირგვლივ ყველაფერს გამჭვირვალე, ნათელი ფერები ედო. თბილი, მოტკბო, მომთენთავი სურნელებით გაჟღენთილი ჰაერი და მოციალე სანთლების შუქი, ჭერიდან მზეს გამოქცეული სხივი სქელ, ოქროსფერ ნისლად ქცეულიყო. ყველაფერი იმ სიზმარეთსა ჰგავდა, ბიჭი ოცნებებით ხშირად რომ სტუმრობდა ხოლმე.

შინ დაბრუნებული მამა-შვილი თავ-თავიანთ საფიქრალ-საკეთებელს უბრუნდება. ირაკლი სახელოსნოში ზის და ხატავს, ბიჭი კი გაკვეთილებს უდმავდება. საღამო ხანს ფანჯარას გამოაღებს და მერხის მეგობარს ეზოში სათამაშოდ იხმობს. გიორგი ვიწრო გზის გადაღმა, მოპირდაპირე კორპუსში ცხოვრობს. ბიჭების ფანჯრები ერთმანეთს გასცქერის. ლაშა და გიორგი თავისუფალ დროს სათამაშოდ აქედან ეპატიჟებიან ერთმანეთს.

ირაკლი პატრიარქს ხატავდა. კოლეგები პორტრეტის ჯადოქარს ეძახდნენ. მხატვარი კი ბრაზობდა:

– გაჩერდით, ღვთის გულისათვის, გაჩერდით! ვერ ხედავთ, ამჯერადაც არაფერი გამომივიდა...

– რატომ გგონია ასე?

– ილია მეორეს სულ სხვანაირი გამოხედვა აქვს. თქვენ იშვიათად დადიხართ ეკლესიაში და, ალბათ არასოდეს ჩაგიხედავთ მის თვალებში. ყოველთვის პატრიარქის წინ ვდგები და ვგრძნობ, ამ ადამიანს გულში თითქოს ათასი სანთელი უნთია. მათი ელვარება თვალებიდან ირეკლება. უფრო მეტიც: თვალის გუგებში ვარსკვლავები ჩასახლებია. მას მრევლამდე მიაქვს ეს სინათლე თუ ღვთისგან მომადლებული კიდევ რაღაც... არ გინახავთ, მრევლი როგორი მძიმე ნაბიჯებით შემოდის ეკლესიაში, იქიდან კი ისე მსუბუქად გამოდის, თითქოს მთელი დარდი და ვარამი ერთბაშად ჩამოიბერტყაო. ჩემს ნახატში სწორედ ეს ჯადოსნური ხიბლი და ქვეყანაზე მოფიქრალი ღვთის მსახურის ზრუნვა უნდა ჩანდეს. მინდა, ადამიანებმა მასში უტყუარი გზამკვლევი და ჭირის გულწრფელი მოზიარე დაინახონ. ამიტომ,

ვიდრე მიზანს არ მივაღწევ, უნდა ვხატო და ვხატო!

იჯდა და ხატავდა... ხშირად დადიოდა ტაძარში, უსმენდა პატრიარქს, თვალს არ აცილებდა და აყურადებდა მისი სულის მოძრაობას. მერე შუადამემდე იჯდა და ნანახ-განცდილი ტილოზე გადაჰქონდა. თვითონაც სულ სხვანაირი სხივით იყო განათებული და შთაგონებული.

ჯერ თითქოს ყველაფერი რიგიანად მიდიოდა. მაგრამ... ბოლო მონასმს გააკეთებდა და... ფუნჯს უკმაყოფილოდ დააგდებდა: ეს არა და არ იყო ის, საითკენაც უხილავი კოსმიური ძალა მიაქანებდა. მაშინ დამშვიდდებოდა, როცა ნახატს საგულდაგულოდ დაანაკუწებდა და ურნაში გადაუძახებდა. ეგონა, ამევსო მოთმინების ფიალა, მოლბერტთან აღარასოდეს მივალო. ჩაჰკიდებდა შვილს ხელს და ტაძარში მიდიოდა.

გაივლიდა მცირე ხანი და ყველაფერი თავიდან იწყებოდა...

ერთხელ სწორედ მამა-შვილის წინ ჩაიარა ილია მეორემ. ბიჭს თავზე ხელი დაადო. ლაშას გაგონილი ჰქონდა, უწმინდესისა და უნეტარესის ხელის შეხება უდიდესი ენერგეტიკის მომტანიაო.. პატრიარქმა ირაკლისაც თბილად გაუღიმა და მარჯვენაზე შეეხო.

– მამა, ნახავ, ყველაფერი კარგად იქნება! ეს შემთხვევით არ მომხდარა, თვით უფალს სურს, რომ ღირსეული პორტრეტის შესაქმნელად ძალა მოგცეს! – აღტაცებას ვერ მალავდა ბიჭი, რომელიც ხედავდა, რამდენს წვალობდა მამა, რამდენი ღამე გაათენა თეთრად...

დადგა აგვისტო. ახლა ბიჭები უმეტეს დროს ეზოში ატარებდნენ. ხან გორგოლაჭებით, ხან ველოსიპედებით დაჯირითობდნენ. შუადღისით, როცა ხვატი ასფალტსაც ადნობდა, ჩრდილს შეფარებულები წაკითხულ წიგნებზე საუბრობდნენ. მერე... მერე ომი დაიწყო და უზრუნველ ყოველდღიურობას სახე შეუცვალა. ბიჭები თითქოს ერთბაშად დაკაცდნენ – ქვეყნის დარდმა მათ გულებშიც შეაღწია და შიგ დაიბუდა.

– მამა ცხინვალშია, – ამოიოხრა გიორგიმ. – მთელი კვირაა, თვალი არ მომიკრავს. შუადამისას მოდიოდა და მისი კოცნა მაღვიძებდა ხოლმე. ახლა კი აღარ მოდის...

– ფეხი რომ არ სტკიოდეს, მამაჩემიც იქ იქნებოდა, – დამნაშავესავით თავი ჩაჰკიდა ლაშამ.

– მამაშენი ხო მხატვარია...

– ჰო. ახლაც ილია მეორის პორტრეტს ხატავს. არც კი ვიცი, მერამდენეა... თუ გინდა, წამოდი და გაჩვენებ.

ბიჭები ფეხაკრეფით შევიდნენ სახელოსნოში. ოთახის შუაგულში მოლბერტი იდგა და რამდენიმე კაცი შემოხვეოდა. ცხარედ კამათობდნენ და ბიჭები ვერ შეამჩნიეს. „მგონი, ახლა კი გამომივიდა“, – ამბობდა ირაკლი.

ოთახი სავსე იყო სინათლით. ტილოზე გამოსახული პატრიარქი სანთლით ხელში მიუძღოდა მრევლს. „მეგზური“ – ასე დაესათაურებინა ტილო ავტორს.

აგვისტოს ერთ თაკარა დღეს ლაშა ამაოდ მოუხმობდა მეგობარს. ფანჯარა ღია იყო, გიორგი კი არსად ჩანდა.

ოთახში ლაშას დედა შემოვიდა. მანანა ნამტირალევი იყო.

– რა მოხდა, დედა? – პასუხის მოლოდინში ბიჭი ადგილზე ვერ ჩერდებოდა.

– გიორგის მამა დაიღუპა...

ბიჭს თავზარი დაეცა, სუნთქვა შეეკრა. დედა ისევ ტიროდა.

ლაშა მეგობრის სანახავად გაიქცა. გიორგის თავი ბალიშში ჩაერგო და გამტკნარებული ჩუმად იწვა.

– მოულოდნელი ელდისგან არის დაზაფრული, ისევ მოულოდნელი სიხარული გამოიყვანს მდგომარეობიდან, – ეუბნებოდა ექიმი შინაურებს.

ლაშა კისრისტეხით დაეშვა კიბეზე. „მე ვიცი, როგორ უნდა გადავარჩინო გიორგი, ოღონდ მამა არ დამხვდებოდეს შინ!“

... საღამოს მამის სახელოსნოში ქურდივით შეიჭურწა. ალმოდებულ სახეზე თონეში ჩაკიდებულივით ოფლი ხვითქად გადასდიოდა.

მამა ზამთრისპირის ტყესავით გაძარცვული ჩანდა და ცარიელ მოლბერტს დასცქეროდა.

– მამა, ნახატი მე ავიღე, – წაიჩურჩულა. – გიორგის მივუტანე. გულზე მიიხუტა და მშვიდად დაიძინა. მერი ბებია მოსთქვამდა, იმ წყეულებმა როგორ წაგართვეს სიცოცხლე, შენ ხომ გიორგისთვის მეგზურობა უნდა გაგეწიაო... შენს ნახატს ხომ „მეგზური“ აწერია...

ბიჭს დიდრონ თვალებში ბავშვური გულწრფელობა ჩასახლებოდა. ახლაღა მიხვდა: მეგობარს კი დაეხმარა, მაგრამ თავისდაუნებურად, მამას წაართვა ის ძვირფასი რამ, რასაც არაერთი დღე და ღამე შეალია.

მაგრამ მამაც მიხვდა: ეს მისი გამარჯვების ყველაზე უტყუარი დასტური იყო.

დასჯის მოლოდინი უსაშველოდ გაიწელა. უცებ ირაკლი შვილის გვერდით გაჩნდა, მოეხვია და განიერ მკერდში მაგრად ჩაიკრა.

იდგა და გულში ცრემლჩაბრუნებული უხმოდ ტიროდა.

ახლენილი სიზმარი

სკოლიდან დაბრუნებულ ბექას ღია აივანზე ახალი მეზობელი დახვდა. ეტლში ჩაყუჟული პატარა ბიჭი სევდიანი თვალებით გასცქეროდა ეზოს, სადაც ონავართა ჟრიამულს ცა ჩამოჰქონდა.

ბექა ბავშვს მიუცუცქდა.

– რა გქვია?

– სანდრო.

– მე კი ბექა ვარ. – ფეხი გტკივა?

– არა.

– აბა, რა მოგივიდა?

– არ ვიცი, ვერ დავდივარ...

იმ დამეს ბექამ უცნაური სიზმარი ნახა. ეზო სიმყუდროვეში გატრუნულიყო. ეძინა ქალაქს. ეტლში განაბული სანდრო ისევ ვარსკვლავებ მომრავლებულ ცას გასცქეროდა. უცებ აივანზე ნარნარად დაეშვა ცისფერი ფერია და ლამაზი, მარაოსავით გაშლილი ჰაეროვანი ფრთები ააფართქუნა.

– სანდრო, მოდი ჩემთან, მოდი, ნუ გეშინია!

– არ შემიძლია...

– აბა წამოიწიე, სცადე, მომენდე! – არ მოეშვა ბავშვს ფაფუკი თოვლივით კამკამა თოლია.

სანდრო ნელ-ნელა ამაღლდა, მერე ეტლიდან გადმოვიდა და ფერიასკენ ბანცალ-ბანცალით წავიდა.

– აუ, რა კარგია, სანდრო დადის, სანდრო დადის! – აყვირდა ბექა.

– რა იყო, შვილო? – ბიჭს თავზე დაადგნენ დედა და ბებო.

– სიზმარი ყოფილა... – უკმაყოფილო ბექამ თვალები მოიფშვნიტა, დედასა და ბებოს ყველაფერი უამბო.

– კარგი სიზმარია, ღმერთმა გისმინოს, ჩემო ანგელოზო! იქნებ დიდმა სიხარულმა მართლაც წამოაყენოს ფეხზე, ყველაფერი ხომ ღვთის ნებით ხდება! – ბებია სასოებით გასცქეროდა მეზობლის ფანჯარას და დანაოჭებულ ლოყაზე ჩამოგორებულ ცერის სიმსხო ცრემლს თავსაფრის ბოლოთი იწმენდდა.

ბექას ფიქრები აეკვიატა. ვერა და ვერ აეხსნა საბრალო მეზობლის დახეიბრების მიზეზი. მისი ცოდვით გული ეთუთქებოდა. ძალიან უნდოდა, დახმარებოდა და ფეხზე წამოეყენებინა, მასთან ერთად ეთამაშა ბურთი და უბნის შემოგარენიც ეჩვენებინა. ქუჩის ანაბანაც ხომ უნდა სცოდნოდა!

ერთხელ ბექამ ყური მოჰკრა დედების საუბარს.

– მერცხალივით ბიჭი იყო, მხიარული, ხითხითელა. სამი წლისა რომ გახდა, მეზობლის ბიჭებს აედევნებოდა, მეც მათამაშეთო. სულ გზისკენ იცქირებოდა. ხიფათს არ გადაეყაროს-მეთქი და ვარიგებდი. ხან ძაღლით ვაშინებდი, ხან მგელით. ახლა ვგრძნობ, რომ გადავაჭარბე – მის გულში შიშმა დაიბუდა. ერთხელ, საუბედუროდ, ჭიშკარი ღია დაგვრჩენოდა. თვალი შევასწარ, ბიჭი გზაზე როგორ გაბაჯბაჯდა. უცებ საიდანღაც ყეფით გამოვარდა ძაღლი. ბავშვმა იკივლა და მუხლებში ჩაიკრიფა. მას შემდეგ სულ ექიმებთან დავდივართ, მაგრამ ხსნის გზა არა ჩანს...

ქალები ატირდნენ. რაღაცას ბუტბუტებდნენ, დედობრივსა და გულითადს. მაინც იმედიანი თვალებით შესცქეროდნენ ერთმანეთს, ღვთის სასწაულებრივი წყალობის იმედით.

დღე დღეს მისდევდა, მაგრამ ეტლში განმარტოებული ბიჭის ცხოვრებაში არაფერი იცვლებოდა. ფრთებშეკვეცილი ოცნებაც დამფრთხალი ჩიტივით ცის სილურჯეში უჩინარდებოდა...

ზოგჯერ ბექაც აურიამულებულ თანატოლებს შეუერთდებოდა, საღამოთი კი მოკუნტული და დამნაშავის იერით ბრუნდებოდა შინ. მეგობარს გული რომ არ სტკენოდა, უჩუმრად, ფეხაკრეფით გაივლიდა დერეფანს, ბურთს კი ქურთუკის უკან მალავდა. ძილის წინ მაინც სანდროს მიუცუცქდებოდა და ვიდრე ის თვალს არ მილულავდა, ათას საინტერესო ამბავს უამბობდა, ხან კურდღელივით ცმუკავდა, ხანაც ბურდღუნა დათვს დასცინოდა.

ზამთარი გაიწელა, ისევ სუსხი მოჰქონდა და გაზაფხულისთვის ასპარეზის დათმობას არ ჩქარობდა. თოვდა და თოვდა. ერთხელ ბექამ სანდროს უთხრა:

– ციდან მოფარფატე თოვლის ფთილებს რომ ვუყურებ, ასე მგონია, თითქოს ჩვენთან შესახვედრად მოეშურებიან და სითეთრის ზეიმზე გვიწვევენ. იტყვიან ხოლმე, იანვარია და თოვსო. მე კი სხვანაირად ვფიქრობ...

– მაინც, როგორ ფიქრობ?

– ფიფქები ცასა და დედამიწას შორის გადებული ხიდია. იქიდან უფალი ფიქრებს გვიგზავნის...

– მაინც, რას გვეუბნება?

– მასწავლებელმა თქვა, გააჩნია, უფლის ფიქრებს ვინ როგორ ჩასწვდებაო. ფიფქების რიალში სილამაზე უნდა დაინახო, ის ხომ მშვენიერებისა და სიკეთის გრძნობას ბადებსო.

სანდროს ფანჯრიდან მთის კალთები მოჩანდა. იქ საღამოობით ნათურები ერთმანეთის მიყოლებით აბრწყინდებოდნენ ხოლმე. თითქოს ზეციდან ჩამოსული ვარსკვლავები ჯარისკაცებივით ერთ ხაზზე მოეწყვნენო. დედამ თქვა, როგორც წესი, სოფლები ვრცელ ადგილზეა გაშლილი, აქ კი სახლები დედოფლის მძივივით ერთმანეთს მიბმიანო.

– ნეტავ იმ გორაკზე ამიყვანა! – ინატრა სანდრომ.

– ახვალ, უსათუოდ ახვალ!

– როგორ, მე ხომ ვერ დავდივარ...

– ერთად ავალთ! აი, ნახავ, თუ არ ავალთ!

– ეჰ, ეგ როდის იქნება... ნეტავი ერთი მანქანა მომცა, აი, პულტით რომ იმართება. დედას ვთხოვე, მაგრამ ჯერ ფული არა აქვს....

ერთხელ ბექამ სკოლაში ფსიქოლოგის საუბარი მოისმინა და სანდროზე უამრავი კითხვაც დაუსვა. შინ დაფიქრებული დაბრუნდა. იმ ფსიქოლოგის ნაუბრიდან ბევრი რამ დაამახსოვრდა. ახლა მეზობელს ძილის წინ გმირების, უშიშარი რაინდების თავგადასავლებს უამბობდა. აი,

პატარა დაჩი შუადამისას სახლიდან გაიპარა, ულრან ტყეში შევიდა და ვეფხვი მოკლა. ცხრა მთა, ცხრა ზღვა გადაიარა, დევს ხანჯლით თავი წააცალა და მზეთუნახავი გამოიხსნაო.

– ნახავ, შენც ასეთი უშიშარი გახდები! ძალას მე მოგცემ!

– შენც ხომ გჭირდება?

– მალე გაზაფხული მოვა და ყველას ახალი ძალით აგვავსებს. ხომ ხედავ, ერთმანეთს როგორ ეხლებიან შიშველი ხეები. სცივათ და იმიტომ. როცა დათბება, ფესვებიდან წამოსული ენერგია ფოთლებით შემოსავს, სიცოცხლით აავსებს. ასე გვიყვება ხოლმე ბუნების მასწავლებელი. ჩვენც ხომ ახალ-ახალი ენერგიით ვივსებით! სექტემბერში შენც წახვალ სკოლაში და რაც გიამბე, მასწავლებლებისგან საკუთარი ყურით მოისმენ...

... როდის-როდის გაზაფხულდა. სანდრო ისევ ღია აივანს დაუბრუნდა. სითბო ერთბაშად მოვარდა, მზეს სიცხოველე მოემატა, ყვავილებით დაიბურა ხეხილი და ეზო თავბრუდამხვევი სურნელებით აივსო. სკოლიდან დაბრუნებულმა ბექამ სათამაშოები, საუზმისთვის მიცემული ფულის დანაზოგით რომ ყიდულობდა, ყუთში ჩაალაგა და ეტლში ჩამყუდროებულ მეგობარს მიუახლოვდა:

– ეს შენ ჩემგან საჩუქრად!

სანდროს გაოცება და აღტაცება ერთად ეწვია: სათამაშოებში ზუსტად ისეთი მანქანა ერია, ამდენ ხანს რომ ოცნებობდა. თვალები გაუბრწყინდა, თითქოს ჯადოსნური სანთლებით გაანათესო. მერე ეს გაოცება და აღტაცება ერთ ძლიერ ენერგიად გადაიქცა, უნებურად სავარძლიდან წამოიწია და...

ბექას თვალწინ ელვისებური სისწრაფით დატრიალდა სამყარო.

– სიზმარი ამიხდა, სიზმარი! – ყვიროდა ბექა და ქუდს ჭერში ისროდა. სანდრო სანუკვარ სათამაშოებს სათითაოდ იღებდა და გულში იხუტებდა

ძველებური ეზოს აივნებზე გამოფენილი, თვალებად ქცეული მეზობლები გახარებული დაჰყურებდნენ ბიჭებს.

აღსარება

მამა ზისიმე ნიკას სენაკში შეუძღვა, სკამზე დასვა და გულახდილ საუბარში გამოწვევას შეეცადა.

– შვილო, შენ ხომ აღსარების სათქმელად მოხვედი?

ბიჭმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, მაგრამ ხმის ამოღება ვერ შეძლო. საქვეყნო ცოდვა აკიდებულივით ამოიოხრა და მხრები აუცახცახდა. არა და, ვიდრე საყდარში ფეხს შემოდგამდა, ეგონა, სათქმელს უმალვე მოვუყრი თავს, მღვდელს გულს გადავუშლი და მძიმე ტვირთისგან გავთავისუფლდებიო. მაგრამ, ჰოი, საოცრებავ, ყველაფერი უკუღმა შეტრიალდა. სწორედ მაშინ, როცა ღვთის მსახური მისგან გულმართალ საუბარს მოელოდა, უცებ დამუნჯდა, სიტყვები სადღაც ონავარი ბავშვების მიერ დამფრთხალი ჩიტებივით გაუფრინდა. თითქოს მხარზე შემოდებული ტვირთიც უფრო დაუმძიმდა... იფიქრა, ალბათ წამაქცევს და ქვეშ მომიყოლებსო.

ნიკა სკამზე ისე ქანაობდა, როგორც შეყვითლებული ფოთოლი შემოდგომის ქარიან ამინდში. მამა ზოსიმემ გრძელ, კუნაპეტივით შავ წვერზე ხელი ჩამოისვა, სიმშვიდითა და რაღაც სხვანაირი ძალით გასხივოსნებულ თვალებში ღიმილი ჩაუდგა. ბიჭს თითქოს შორიდან მოესმა მშობლიური, მკერდისმიერი ხმა:

– ჰო-და, გისმენ, შვილო. განა რას დააშავებდი, ჯერ ხომ თხუთმეტისაც ძლივსა ხარ. დიდიდიდი გოგონას თმები ჩამოაწიწკნე, ან მეგობარს ბურთი გადაუგდე მდინარეში. ასე არ არის?

– არა, მამაო, უარესი ამბავი გადამხდა...

– აბა, გისმენ...

– მე... მე... მამა მომიკლეს ცხინვალში. მალე დედაც გარდამეცვალა. ამ დღეებში პაპაბებოც დავკარგე...

სენაკში სამარისებური სიჩუმე გამეფდა. მამა ზოსიმე ლოცულობდა, ბიჭი კი ხან ქვითინებდა, ხან არეულ-დარეულად ლაპარაკობდა. თანაგრძნობას, ნუგეშს ელოდა. თითქოს მდინარის ნაპირზე იდგა და ძლიერ მარჯვენას აქაფებულ ტალღებზე ციმციმ უნდა გადაეტარებინა.

ნიკა თვალსა და ხელს შუა საცერში გატარებული წყალივით დაიცალა იმედისაგან, მაჯლაჯუნამ ნუგეშის ოდნავი გაჭიატებაც კი ქვიშის კარიერივით მოუშალა. უცნაური, ოდნავი სიხარულის წამლეკავი სიცარიელე თუ ბურუსში ჩაძირული ხვალინდელი დღის შიში ყელში მარყუჟივით უჭერდა.

აგვისტოს ცხელი დღეები იდგა. შემზარავი ამბები ყოველი კუთხე-კუნჭულიდან მოჟონავდა. ტყეილი და მართალი, გამოგონილი და რეალური ერთმანეთს გადაჯაჭვოდა და ასე გადადიოდა ეზოდან ეზოში, სახლიდან სახლში. ბედს მინდობილი ადამიანები ტელეეკრანებიდან ელოდნენ „ცის გახსნას“. მაგიდის კუთხეში მიყუჟული ნამტირალევი, სახეაფორეჯებული ნიკა მამის სურათს შესცქეროდა. თხუთმეტიოდე წლის ბიჭს განგებამ მოულოდნელად უსაშველოდ მძიმე ტვირთი წამოჭკიდა მხრებზე. ფიქრებს აყოლილი ობოლი ამ გაუსაძლის სიმძიმეს ახლა მთელი არსებით გრძნობდა. „ვაიმე, დედა?“ – გაივლებდა გულში, როცა საწოლზე მისვენებული გულის მანკიანი დედის ჩუმი ოხვრა მისწვდებოდა. ქალი ახლა ავადმყოფობასა და დარდს ერთად ებრძოდა, მაგრამ ეყოფოდა კი ძალა ლოგინიდან წამოდგომისათვის, რათა მოზარდს გზის გაკ-

ვალვაში მიხმარებოდა? დროდადრო, როცა დედა გაფართოებული თვალებით მიაჩერდებოდა, ნიკა საწოლთან ჩაიმუხლებდა და ოფლიან შუბლს უკოცნიდა. წყალწაღებულივით ხავსს ეჭიდებოდა, თავს ინუგეშებდა. ექიმმა თქვა, მეუღლის დაღუპვამ ელდა დასცა, ყურადღებას არ მოვაკლებ და მდგომარეობიდან გამოვიყვანო. ბიჭმაც ირწმუნა, დედა ამ გასაჭირში არ მიატოვებდა. გონებაში ახალი თავსატეხიც წამოუტივტივდებოდა: რა ეშველება ბებოსა და პაპას? დამთრგუნველი კითხვები არა და არ ასვენებდა.

ნიკამ ფიქრებით შემოიარა შიდა ქართლი, მისი სანახები და ისევ პაპა-ბებოს დამჭკნარი სახე დაუდგა თვალწინ. იმ ღამეს ვერა და ვერ დაიძინა. როგორც მოხუცები იტყოდნენ ხოლმე, ძილი სათოფეზეც არ მიეკარა. „ვინ იცის, იქნებ დაატყვევეს და დახოცეს კიდეც? მაგრამ მე ხომ აქა ვარ! პატარაც აღარ მეთქმის. ვიცი, ასეთ დროს რაც მევალება“. პაპა-ბებოს ნაამბობიდან გონებაში დალექილ სიტყვებს საკუთარი საქციელის გასამართლებლად უფრო იყენებდა.

უცებ საიდანღაც მოვარდა ის სითბო, რასაც მოხუცების გულში ჩახუტებული ბიჭი გრძნობდა ხოლმე. ამ სითბოში იყო რაღაც ბოლომდე შეუცნობელი, ლამაზი, გულისკენ მიმავალი, მამის მონატრებით გაზავებული და ძლიერი. სისხლის ყივილმა მდინარის ტალღებივით გადაუარა მთელს სხეულზე და გონებაც გაუნათდა. წამოხტა...

ოთახში ფანჯრიდან შემოჭრილი მოიისფრო შუქი წვრილ-წვრილ ზოლებად დაეფინა ნიკას საწოლს. თბილისური, ხმაურიანი ხმებით სავსე დილა თენდებოდა. ბიჭი საწოლიდან წამოხტა, სასწრაფოდ ჩაიცვა და ფეხაკრეფით გაიპარა შინიდან. დედასა და დეიდას ჩქამიც არ გაუგონიათ. ეზოში არავის გადაჰყრია. ცოტა მოშორებით ყვითლად შემოსილი ქალი გრძელტარიანი ცოცხით ქუჩასა ჰგვიდა.

ბიჭმა ორი გაჩერება ფეხით გაიარა. მერე ავტობუსი წამოეწია.

*

ქსნის ხეობას გუშინდელი „უფროსი ძმები“ შესეოდნენ და ქვას ქვაზე აღარ ტოვებდნენ. ისევ ბოლავდა სოფლები, ფერად-ფერადი ველ-მინდვრები. თითქოს მრისხანედ ბუბუნებდნენ მუხები. ბებო-პაპის ეზოს გადავლილი ქარაშოტის კვალი ჯერაც ემჩნეოდა. შუაზე გახლეჩილი ვაშლის ხე მიწას ჩასჭიდებოდა. ირგვლივ შემოუსვლელი ნაყოფი მოფენილიყო. კედლებმორღვეული სახლის აივანზე მკერდშებოლილი მერცხლები ეყარნენ. ჩემონგრეულიყო დიდი ვაინაჩრობით ნაგები ბუდე...

ჯოხს დაყრდნობილი, დარდისგან დაჩიავებული პაპა შვილიშვილს შეკავებული ცრემლით შეეგება. „მაშ, ჩემმა გურამმა დაგაობლა, შვილო? მე უბედურმა, როგორ დავიჯერო, ჩემი ლომგულა ბიჭის სიკვდილი?“ ერთმანეთს ჩახუტებული პაპა და შვილიშვილი უხმოდ, მამაკაცურად ტიროდა. მერე მოხუცმა ღრმად ამოიოხრა, ძალა მოიკრიბა, თავი მაღლა ასწია: „ბებოც რო აღარა გყავს, შვილო?“ – სიტყვებს გულიც თან ამოაყოლა. ლოცვაში მუხლებ გადატყავებულს შვილის დაღუპვამდე ერთი დღით ადრე მიებარებინა სული უფლისათვის. „მატყლის საბანში გავახვიე და ჩემი ხელით მივაბარე მიწას“, – პაპამ ხელი ღობისკენ გაიშვირა. ნიკა ახალ მიწამიყრილ სამარესთან მივიდა და ჩაიმუხლა. გული ამოუჯდა. ახლა უკვე აღარ რცხვენოდა და ცრემლებს გზა მისცა.

– რატომ წამოხვედი ამ ხიფათიან გზაზე? ის ჭირი არ მეყოფოდა, რაც თავს დაგვატყდა? – უსაყვედურასავით ბიჭს.

– გორამდე ავტობუსით ვიმგზავრე. ბევრი ვიწრიალე დანგრეულ ქუჩებში. ჩემთვის არავის ეცალა, ყველა საკუთარ ვარამს წაეღო. არ ვიცოდი, გზა როგორ გამომეკვლია. ზუსტად ისე ვიყავი, ზღაპარში რომ – „აქეთ წახვალ, დაიღუპები, იქით წახვალ და მაინც დაიღუპები“. ცალკე შიმშილმა და ცალკე დაღლილობამ არაქათი გამომაცალა. ფეხებს ძლივს მოვათრევდი. ბოლოს ძველისძველი „ჟიგული“ გამიჩერეს. ხანდაზმული კაცი უჯდა საჭეს. იმან მომიყვანა აქამდე...

– ღმერთო, შენ დალოცე ყველა კეთილი ადამიანი! – პაპამ ორივე ხელი აღაპყრო. – მაინც ვერ დავმშვიდდი, დედაშენმა როგო გამოგიშვა, ჰა?

– გამოვეპარე...

– გამოეპარე? ხო გადაირია საცოდავი! ესღა უნდა?

– აბა რა მექნა, ასე უპატრონოდ დამეყარეთ?

– გენაცვალოს პაპა, აქ ყოველ ნაბიჯზე ათასნაირი დარდუბალა და დოზანაა ჩასაფრებული. რამეს რო გადაეყარო, რა გვეშველება. მამაშენის მეგობრებს ველოდები. ისინი მოგხედავენ და შინ დაგაბრუნებენ.

– მაშინ შენც ჩემთან ერთად წამოხვალ. უშენოდ ფეხსაც არ მოვიცვლი!

– აბა, როგო შეიძლება, აქაურობას, ბებოშენის საფლავს როგო მივატოვებ? კაი ჯეილი ჩანხარ, კაი კაცი დადგები... სუ მამაშენი მიდგა თვალწინ, იმისი ბალღობა მახსენდება... არ იფიქრო, დაბერდა და ჭკუა გამოელიაო. „ჰეი, არაგველო!“ – ვეტყოდი ხოლმე და ეამაყებოდა. კუნთებს ისინჯავდა. ქსანმა და არაგმა ყველაფერი თან გაიყოლეს...

ბებოს საფლავთან ისხდნენ და იგონებდნენ... იგონებდნენ, ვიდრე...

ღობეს ბანცალ-ბანცალით მოადგა სასმელისგან გონებაარეული გადამთიელი. ავტომატის უეცარმა ჯერმა ბიჭის თვალწინ მთელი სამყარო შეატორტმანა. პაპამ ამოიკვნესა და ხის მოჭრილი ტოტივით ცოლის საფლავზე დაეცა. მთვრალმა იარაღი ახლა ნიკასკენ შემოაბრუნა, მაგრამ ტყვია არ გავარდნილა. მერე ყველაფერი თავისთავად მოხდა: ნიკას რაღაც ძალამ უბიძგა,

ფეხზე წამოიჭრა და ღობეზე მიყუდებულ ბარს დასტაცა ხელი. მოიქნია და პირით მომხვდურს შუბლში ლეწა... მიწაზე გართხმული ელოდა, როდის გადმოხტებოდა მკვლელი ღობეზე, მაგრამ სიჩუმეს მხოლოდ ფოთლების შრიალიღა არღვევდა.

... სარდაფში მიყუჟული ნიკა უცნაურ სიცარიელეს გრძნობდა. „ალბათ ტყვია გაუთავდა, თორემ, როგორ დავასწრებდი. ბარიც რომ მარჯვედ მომხვდა ხელში“.

ცხადია, რაღაც მოხდა, რაღაც დაიწყო თუ დასრულდა. ახლა სულ სხვანაირი, განსხვავებული რამ უნდა დაწყებულიყო, მაგრამ, რანაირი იქნებოდა იგი? „ეს მე კი არა, ვიღაც სხვამ ჩაიდინა... საბრალო პაპა“ – ნიკა აბურდულ-დაბურდულ ფიქრებში დაცურავდა და ვიწრო სარკმელს გასცქეროდა. მერე ვიღაცამ ფრთხილად დააკაკუნა. „ალბათ მამას მეგობრები არიან, აკი პაპამ თქვა, ველოდებიო...“ ბიჭმა კარი გააღო. მაშინვე იცნო ისინი. მათ შემზარავი ამბავი არ გაჰკვირვებიათ. ნიკას ბეჭებზე ხელი მოსვიეს, უსიტყვოდ ანუგეშეს. მერე გარეთ გავიდნენ, გადამთიელი სასწრაფოდ მიწაში ჩაფლეს.

პაპას ბებოს გვერდით მიუჩინეს ბინა. ნიკა მანქანაში ჩაისვეს და ქალაქისკენ გამოსწიეს.

... უკან დარჩა ქსანიც და არაგვიც, დარბეულ სახლებში გალიის ფრინველივით შეყუჟული სევდა და ვარამი, პეპელასავით ხანმოკლე სიხარულით სავსე უცხო მუმლის ღრიანცელი. სამშვიდობოს რომ გავიდნენ, მამის მეგობრებმა ახლაღა თქვეს: „გურამის შვილი სხვანაირად ვერ მოიქცეოდა“. მგონი, სწორედ ეს იყო ის საზომი, რომლითაც ბიჭს ამის შემდეგ უნდა ეცხოვრა...

ნიკა შინ უჩუმრა შეიძურწა. უმალვე დედის საწოლისკენ გააპარა მზერა. დეიდამ მის დანახვაზე შეჰკივლა. ბიჭი მეხდაცემულივით შეტორტმანდა. „არა, ოდონდ ეს არა, ღმერთო, არა!“ – ღრიალებდა თავზარდაცემული.

მერე გაყინული დედის წინ ჩაიკეცა.

*

ბიჭი განაჩენის მოლოდინში დადუმდა. მამა ზოსიმესთვის თვალებში შეხედვას ვერ ბედავდა. ყველაფერი გულწრფელად აღიარა, ღვთის მსახურს გაანდო ნაქმნარიც და ნაფიქრალიც. სწორად მოიქცა? იქნებ შესცოდა? რაც არ უნდა იყოს, ცოდვა დაიდო... მაგრამ მან ხომ მხოლოდ შური იძია! შური იძია იმათზე, ვინც მის ქვეყანაში ერთბაშად ამდენი უბედურება დაატრიალა.

მამა ზოსიმე ერთხანს დუმდა. ხატის წინ იდგა და პირჯვარს იწერდა. მერე შებრუნდა, თაროდან „სახარება“ გადმოიღო, გადაშალა და აღმსარებელს რამდენიმე აბზაცი წაუკითხა. ნიკა ყურადღებით უსმენდა. როგორც მოძღვარმა დაარიგა, ხატის წინ დაიჩოქა და მხურვალე ლოცვას შეუდგა.

მოგვიანებით ნიკამ პირჯვრის წერით დატოვა საყდარი. მამა ზოსიმე ლოცვით მიაცილებდა, ვიდრე თვალს არ მიეფარა და ქუჩის მოსახვევში არ გაუჩინარდა. ეჩვენებოდა, რომ ბიჭმა რამდენიმე საათში დროს გაუსწრო. რაღაც იდუმალმა ძალამ იგი ათიოდე წლით წინ წასწია და მომავალში გადაასახლა...

ᲙᲝᲠᲬᲘᲡ

ᲜᲝᲜᲐ
ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ

***

რად ავიკვიატე შენი სიყვარული,
რად ავიკვიატე...
მერე რად ვუამბე
მინდვრებს და ყვავილებს,
რად გავაზვიადე...
ლექსებს რად ჩავუდგი
სუნთქვად და საგულედ
და კრძალულ ოცნებად...
ან რისთვის გავგზავნე იქ,
სადაც მართალთა
თვალები მოწმდება...
თუ ავიკვიატე, რად აღარ ჩავჭიდე
გამოწვდილს ხელები...
ასე რად გავწირე, ასე რად უარვყავ,
რად არ ვეფერები...
ან რად მივუხურე,
ნატრულს და გათოშილს,
უგულოდ კარები...
ან, ამ სიყვარულის მცველი და პატრონი,
რად არ მებრალები?!
ვერაფერს გაუგებ ქალს,
თანაც ჩემნაირს,
გაფრენილს რითმებად...
მე მიწა არ მიყვარს,
მე მაღლა ფრენა და
ლივლივი მჭირდება...
შენ კი,
შენ აქ ცხოვრობ და დედამიწური
ფიქრი გაქვს ვეება...
შენ ცდილობ,
დევთა და მრუდთა და ავსულთა
ქარავანს შეება...
და ვნანობ ამიტომ,
გულს ვიწყვეტ ამიტომ,
რად აგიკვიატე,
შენ, ჩემო მწუხარე, მწუხარე რაინდო
და მეგანთიადევ...
შემინდე,
რომ ქარში მარტოკა გაგიშვი,
დაღლილი ფიქრებით...
რომ მხოლოდ ლექსისთვის და
გულის თამამი
ფეთქვისთვის მჭირდები...
მშვიდობით... თუ შეძლებ...
ამ წუთში არა გთხოვ...
ოდესმე, ოდესმე,
მიწაზე ჩამოსულს მაგ გულის ძალუმი
ფრთხიალი მომესმას...

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ

პატარა გოგო – მთვარეზე დადის,
პატარა გოგო – მთვარეულია.
პატარა გოგო – მსხვერპლია მარტის,
პატარა გოგო – არეულია.
პატარა გოგოს – პატარა გულით
მზის სიყვარული მთვარეზე მიაქვს,
არ ეკარება მის თვალებს რული,
ღამეებს უთევს ავადმყოფ იას.
პატარა გოგო სანთლისფერ სულში,
ვინ იცის, რამდენ სათქმელს ინახავს,
პატარა გოგოვ – ამ ღრუბლის გზებზე
პატარა ბიჭი ხომ არ გინახავს?!
... ...
ეჰ, რა დროს შენი სიყვარულია,
ჯერ ხომ ასეთი პაწაწინა ხარ???

პ ო ე ტ ი

როგორ ვარ?!
რას ვიზამ?!
ამ საუკუნეშიც – ცას მივჩერებივარ
და მუხის რტოებში ბავშვობაჩარჩენილს,
ვაკვნესებ ფლეიტას...
მიწაზე არსებულ, აბზაცებდაყოფილ
ცხოვრებას ვერ ვიტან...
როგორ ვარ?!
რას ვიზამ?!
ამ საუკუნეშიც მთვარე მყავს გადიად...
ამ საუკუნეშიც
მას ვატან ბარათებს – ცივსა და დარდიანს.
ამ საუკუნეშიც იმ საუკუნეთა
დარდები მბარდნიან...
ამ საუკუნეშიც
მზისფერი ციცხვი მაქვს, მზისფერი ბადია.
ამ საუკუნეშიც
სამშობლოს უტკბესი რამ არ მაბადია...
როგორ ვარ...
რას ვიზამ...

***

შენს კოცნებს და ალერსს
ხელიდან დავუსხლტი...
შენ... საით მიჰყვები მარათონს...
იცოდე, ამ ღრუბლებს თუ გზაში დაუხვდი...
სხვა დარდი – სხვა ფიქრი დაგათოვს.

ხელიდან გასხლტომის...
ფიქრიდან გასხლტომის...
მიწიდან გასხლტომის სანაცვლოდ...
გულო, დარბეულო დიდი ტკივილებით...
კვლავ ახალ სიყვარულს რადა მთხოვ?!

***

სიცოცხლევ, ნანდაურს რად მართმევ,
ნაფლეთო ჭირთა და მაცილთა,
სული ლოცვასავით ამომხდა
და ცისფერ სანახებს ასცილდა.

სიცოცხლევ, ნანდაურს რად მართმევ,
საბძელო ჭირთა და მაცილთა?!

ა ნ ა - მ ა რ ი ა ს

(ჩემს დისშვილს)

ანანო, ანანო,
ა ნ ა ნ უ რ ა !
სიზმრებში თუ შეხვდე სალამურას,
ბრდღვიალა თვალები არ აჩვენო,
არც ეგ მზისფერი დალალები,
თორემ ადგება და... შეგიყვარებს,
ლექსებსაც მოგიძღვნის დარდიანი!
რა დროს ამეებზე ფიქრებია?!
ჯერ ყოველივე ადრე არის.
უბრალოდ, ის მინდა, პაწაწინავ,
სიზმრებიც არ გქონდეს ავდრიანი.

ძ ა ხ ი ლ ი

ვიცი, ლოცვად ეწირები ლოდინს,
შენი ცრემლით განბანილი კორდი ვარ...
შენ თვალებით მევედრები: "მოდი!"
მეც თვალებით განუგეშებ: "მოვდივარ!"

***

შენთან შეხვედრა ახლოვდება, –
ალბათ სიკვდილიც...
დაღლილ დღეებზე ალმოდება
გარდაუვალი...
გარდაუვალი სიკვდილივით –
ეს სიყვარულიც,
აუხდენელი, ამიტომაც გულსამდურავიც.
ნუღა დამწყდები –
გულო ჩემო! ნუღა დამწყდები!
ნება შენია
და თუ მიწის თვალებს შეჰხარი...
დარჩები მიწას...
ზეცისაკენ თვალებგაწვდილი,
დედამიწური
და ღამეებს ცრემლადშემხმარი.
არა! ასწიე ფრთები შენი –
დაღლილი ცოდვით...
და ვიდრე იგი...
აკრძალული...
აყოვნებს გზაში...
მოხვიე ხელი
ღვინობისთვეს, რითმებად შეშლილს
და სავსემ... მზით და ოცნებებით...
გასწიე ცაში.

***

საით დამეკარგე, სუნთქვავ ჩემო,
რომელს მიაშურე ნაპირებს,
ჩემი სიყვარული
თრიაქით მთვრალია და
გამოფხიზლებას არ აპირებს.
ჩვენი სიყვარულის რიტუალის,
ვიცი, შეშურდებათ წარმართებს,
რატომ გააღვიძე ჩემში ქალი,
ასე უგონოდ რად დამათვრე...
ნუ დამეკარგები, სუნთქვავ ჩემო,
ფერს ნუ გაუხუნებ აპრილებს...
ჩემი სიყვარული
თრიაქით მთვრალია და...
გამოფხიზლებას არ აპირებს.

***

თმენა.
მოთმინება
თუ ავი სურვილი...
შმაგბუნებიანო, რა განცდებს იმარხავ?
გაგხადე, შე ურჩო,
ამ სუნთქვის მეგზური?
გაგხადე ამ გულის ერთგული შინაყმა?
შენ რომ ჩემს სიყვარულს
ითმენ და ითმენდი...
მსგავსი – არაფერი მინახავს.

***

რატომ დაბრუნდი...
მიტოვებული სახლი მერქვა და
ქარი მიფრიალებდა ყავარს...
რატომ დაბრუნდი...
შენ ხომ უჩუმრად წადი,
შენ ხომ სიჩუმეს
სწირავ იმედებს მთავარს.

რატომ დაბრუნდი...
ზეცა ტკივილებს ამხელს...
შენ ძველებურად დუმხარ,
არ ამბობ მთავარს...
ახლა მე წავალ...
მიტოვებული სახლი
დაგერქმევა და
წვიმა დაგილბობს ყავარს.

***

ადექი,
ერთხელაც გარისკე...
გარისკე...
დატოვე მიწა და
გაფრინდი მთვარისკენ...
სხეული –
ვეება სიზიფე –
აზიდე...
სამყაროს ისედაც
ლექსები აზიდებს...
ლიტ-ხრიკებს...
ლიტ-ფანდებს...
ლიტ-ბანდებს...
ლიტ-ბინდებს...
დაუსხლტი...
სხივივით
გაქანდი მთვარისკენ...
ცხოვრება რისკია.
ადექი, გარისკე...
ვინც რისკავს, მისია
მინდიც და სამინდეც...
ეს გული მიწაზე ცოდოა,
დაინდე,
იღბალს და იღბლიანს
ნუ ელი ამინდებს...
ადექი,
სიცოცხლეც ლექსივით გარითმე
და სიყვარულივით
გაფრინდი მთვარისკენ.

ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი

დგახარ ქარში. ვეღარა გრძნობ,
ქარია თუ ქარწვიმა.
დგახარ, თავზე ოცნებათა
ფანტელები გაცვივა.

დ ა ს ა ფ ლ ა ვ ე ბ ა

ზეცის ნაჭერი დამაფარეთ,
მესხური ზეცის... და, თრიმლის,
მეწამული ტოტებით მოჩითული, –
ჩამომატარეთ ღვინობისთვის
ოქროსფერ ორღობეში...

შ ე მ ო დ გ ო მ ა

მე ვარ შემოდგომა, ჭრელი მოზაიკა... უხვად მოხატული ფერთა გალერეა, ღრუბელთ სინოტივე სულში ლოცვად მიკრავს, თუკი, რა თქმა უნდა, გზა არ ამერია.

მე ვარ შემოდგომა, მტევნის გაფიცხება, სისხლის ადუღება ბადაგ-შარბათებით, ვიწყებ ენკენისთვით, მერე სიცივით და მერე წვიმებით და ზამთრით გავთავდები.

მე ვარ შემოდგომა, უხმო გაშიშვლება, უხმო გადაჭკნობა, ფოთოლთ სინანული, ქარში ყვავილების სუნთქვა გაიშლება ბოლო სიმძაფრით და ბოლო სიყვარულით.

მე ვარ შემოდგომა, მე ვარ ფოთოლცვენა, შუქი გაქრობის და ფერფლად მინავლების, ერთ დროს დამდაგველი მწველი მხურვალება, ბოლოს ფიფქებით და სევდით ვიმალები.

მე ვარ შემოდგომა, მე ვარ განშორება, მე ვარ მონატრება, მე ვარ სიმარტოვე, ხეებს ფოთლები და მინდვრებს ყვავილები, სივრცეს მერცხლები და შენ მე მიგატოვებ.

მე ვარ შემოდგომა, მე ვარ გარინდება, მე ვარ ჩავლილი და მე ვარ ნაწარსული, მე ვარ მოფერება, მე ვარ დაბინდება, მე ვარ ანარეკლი ყველა გაზაფხულის.

მე ვარ შემოდგომა, უცხო სიმბოლიკა, კვნესაგარეული ხიბლი ამინდების, მე ვარ ოქროსფერი ფერის გაგიჟება, მე ვერ დავდუმდები, მე ვერ დავმშვიდდები.

მე ვარ შემოდგომა, მე ვარ გადაღლილი, მზერაგამცვდარი და თრობამორეული, მე ვარ აუხსნელი, მე ვარ ასახსნელი, მე ვარ ახლობელი, მე ვარ შორეული.

მე ვარ შემოდგომა, მე ვარ გაფითრება, მე ვარ სასწაულის მკვეთრი ნაბიჯები, მე ის სიკეთე ვარ, რომ არ გაითვლება, მე ის ბავშვობა ვარ, რომ არ დავდინჯდები.

მე ვარ შემოდგომა, მე ვარ ღვინობისთვე, მე ვარ ამურისგან ტერფებდამსხვრეული, მე ვარ გატაცება, უხმო გატაცება, მე ის ყვავილი ვარ, მტვერში წაქცეული.

მე ვარ შემოდგომა, მე ვარ გადაფრენა, ჯებირმორღვეული სივრცე ტკივილების, მე ვარ თვითმკვლელობის არსის გამართლება, თუმცა ულაზათოდ მე არ მივილევი.

მე ვარ შემოდგომა, მე ვარ მოძახილი, მე ვარ გახსენება, ძარღვში მოვარდნილი, მე ვარ მოდარდება, მე ვარ მოლანდება – ალი, დამღუპველი ყველა მონადირის.

მე ვარ შემოდგომა, მე ვარ გადაბნევა, მე ვარ გადანერგვა სხივთა პალიტრების, მე ვარ სიცოცხლე და მე ვარ სიკვდილი და მე ვარ მოლოდინი დიდი დაფიქრების.

მე ვარ შემოდგომა, ფერთა მოზაიკა, ფერთა ჯადოსნური ხილვის გალერეა, თითქოს მომიყვანეს სულ სხვა სამყაროდან და ამ სამყაროში გზები ამერია... არის შემოდგომა... დენთი – ღვინობისთვე და ეს ღვინობისთვე ჩემი მფარველია.

წყთისოფლის მორევი...

ფრაგმენტები

ცისანა ანდაშელია

"ღრუ და მუხთალი სოფელი
მინყივ ავისა მქმნელია".
რუსთაველი

თავი I

ს ა ზ ღ ვ ა რ ი

ერთი საათით ადრე მივედი დათქმულ ადგილზე. ჰოდა, ვზივარ ახლა ღია ფარდულში, გრძელ მერხზე და ველოდები ჩემს ენგურგადადმელ დამხვდურებს ანუ ჩემს მეზობლებს (ყოფილს, რასაკვირველია!). 14 წლის შემდეგ პირველად მიწევს საზღვრის გადალახვა – ენგურს აქეთა სახელმწიფოდან – ენგურს იქითა „სახელმწიფოში" ანუ აფხაზეთში.

მიკროავტობუსი პუნქტუალურად, ყოველ 15-წუთში მიდი-მოდის ენგურის ხიდზე გამშვებ პუნქტამდე და დაჰყავს იქიდან გადმოსულები და აქედან გადამსვლელები – ყველა ასაკის ქალები, ბავშვები და დროული მამაკაცები. თითქმის ყველა მათგანს დიდი, დატენილი ჩანთა უჭირავს ხელში. თვალში საცემია ის გარემოებაც, რომ ახალგაზრდა მამაკაცები თითქმის არ ჩანან მგზავრთა შორის.

2007 წლის ივლისია (ერთი წელიწადი და რამდენიმე დღეა თურმე დარჩენილი მორიგ ტრაგედიამდე ანუ 2008 წლის 8 აგვისტომდე, მაგრამ ახლა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, 2007 წლის ივლისია). დილაა. ივლისის ხვატის მიუხედავად, წამსვლელ-მომსვლელები ჩვეულებრივ ყოფაცხოვრებით პრობლემებზე საუბრობენ ერთმანეთში, – მშვიდი, წყნარი ხმით და საქმიანი იერით. მეც გარეგნულად მშვიდად ვათვალიერებ გარემოს, გაღმა-გამოღმა მიმსვლელ-მომსვლელებს ანუ... – ანუ, არაჩვეულებრივი თითქოს არაფერი ხდება.

მაშ, რატომ ვარ შინაგანად ასე დაძაბული, აწრიალებულ-აფორიაქებული? ბედურასავით მოკუნტულ-მობუზულად რატომ ვგრძნობ თავს?

„დაბრკოლებათა ათასგვარ საგანს, შეურაცყოფის სუსხსაც ავიტან, ოღონდ ვხედავდე სიცოცხლის საგანს, ჩემი სამშობლოს სანახავიდან. მარტოობასაც ავიტან მწარეს, უმეგობრობას ავიტან მძიმეს, ჩემი სამშობლოს სანახავიდან, ოღონდ ვხედავდე შუქს მოციმციმეს"... – რატომ ამეკვიატა გალაკტიონის ეს სტროფი? და შემდეგ: „საქართველოში წინად მავალი, ისტორიულად არწარმავალი, ვიდოდა მტრობა, გესლით მავალი და სისინებდა ქვეწარმავალი"...

„მოსისინე ქვეწარმავალი?"

და როგორც ყოველთვის, ექსტრემალურ შემთხვევაში, მეცხადება ჩემი მეორე „მე" ანუ, ჩემი ორეული, ინკვიზიტორს რომ ვეძახი ხოლმე ხანდახან,(ხოლო ექსტრემალური რატომაა სიტუაცია, ამას მკითხველი მოგვიანებით შეიტყობს, თუ რასაკვირველია, მკითხველი ეყოლება ჩემს ნაცოდვილარს, ვინაიდან... როგორი სამწუხაროც უნდა იყოს – მსოფლიო ლიტერატურის შედევრებს არ კითხულობენ დღეს და ჩემი ნაწერისთვის აბა, ვინ მოიცლის ამ კომპიუტერულ-ინტერნეტულ ეპოქაში!).

ჰოო... იმას ვამბობდი – ჩემი ორეული, როგორც სჩვევია, გვერდით მომისკუპდა და ჩვეული გამქირდავი კილოთი და ირონიული ღიმილით – სასოწარკვეთილებაში რომ მაგდებს ხოლმე ხშირად – მეკითხება თვალებმოწკურული: „როგორ გუნებაზე ხარ, ძვირფასო, მშობლიური

სანახების ხილვისას?“

„როგორზე ვიქნები“... – ვიზდარბები იქ, შიგნით, გულში, თუმცა... გარეგნულად ვცდილობ, არაფერი დავიმჩნიო, თან ვცდილობ, ძალები მოვიკრიბო ორთაბრძოლისთვის!

„ორად გაყოფილ სარფის შუა გულში რომ იდექი ამ სამიოდე ათეული წლის წინათ და გულში ვალალებდი საუკუნეების წინ დაკარგულ მიწა-წყალზე და დავიწყებულ თანამოძმეებზე – ტაო-კლარჯეთის არ იყოს, – მაშინ თუ წარმოიდგენდი „ამას“?

„არა, ნამდვილად არა... მაშინ ორად გახლეჩილი სოფლის დანახვამ შემზარა! ძველი ჭრილობა გამახსენა და ჩვენმა ბედის უკუღმართობამ ცხარე ცრემლები მაღვრევინა...”

„ახლა? – ამ ახალ ჭრილობაზე რას იტყვი? ახლა არ გეთუთქება გული? რატომ სდუმხარ?”

„ამას ვერ წარმოვიდგენდი-მეთქი, ვერა... გაოგნებაც არ ეთქმის. – ამას!”

„კი მაგრამ, რატომ ვერ წარმოიდგენდი? რა იყო ეგზომ მოულოდნელი? განა საამისო პირობები იმთავითვე არ ჩანდა? შენ ხომ აქაური მკვიდრი ბრძანდები? მართალია, თითქმის ორმოცი წელია, წამოსული ხარ აქედან და დედაქალაქში ცხოვრობ, მაგრამ... განა შენს თვალწინ არ მიმდინარეობდა ეს პროცესები?“

„კი მაგრამ...“

„რატომ შეჩერდი?.. „რად ასე მწუხარებ, სულო ჩემო, რად ასე მწუხარებ“ – ო, სადღაც გიწერია მგონი, ხომ მართალია?“ – ჩაიქირქილა უცებ ორეულმა, ბაგეზე ხელაფარებულმა.

„ვერაგობასა და ცბიერობას საზღვარი არა აქვს თურმე! ჩვენს ეპოქაში... დღევანდელობაში ვეღარ წარმოვიდგენდი ამგვარ მუხთლობას... თუმცა... მძლავრი მოგვერია, და ეგაა! ძალა აღმართსა ხნავსო, აკი ნათქვამია...“

„მოიცა... მოიცა... ყველაფერს რომ სხვებს ვაბრალებთ ხოლმე, გარეშე ძალებს... მტერი იმის მტერია, რომ მტრობა გიყოს, მით უმეტეს – მოყვარე მტერი ყველაზე საშიში და სახიფათოა. მაგრამ იქნებ საკუთარ გულშიც ჩაგვეხედა, მიგვეჩხრიკ-მოგვეჩხრიკა – შენს წიაღში ამდენი ეშმაკზე სულმიყიდული რომ იბადება, ამდენი შინაგამცემი და იუდა ისკარიოტელი რომ გყავს შეფარული თუ შეუფარავი, საკუთარი კეთილდღეობისთვის რომ სწირავს სამშობლოს? ამაზე რას იტყვი?“

„კი... მართალია ეს!.. არიან ასეთებიც და საკმაოდ ბლომადაც: ზოგი ფულს დახარბებული, ზოგი თანამდებობას, მაგრამ...

საქართველოს გაბედითება დღეს არ დაწყებულა... თითქმის ყველა ეპოქაში – სისინებდა ქვეწარმავალი, ამიტომაც „დავდივარ, ვწუხვარ და მენანება“! იქნებ: „გალხვეს ყინული, ღრმა მწუხარებით შემორკინული“...

ჯერ კიდევ 83 წელს დავწერე „მონოლოგი საქართველოს რუკასთან“, სადაც დაჩეხილ-დაქუცმაცებულ, უცხო გვარ-ტომელებით საგანგებოდ აჭრელებულ და საკუთარი შვილებისაგან თუ... შვილობილებისაგან განწირულ საქართველოზე ვყვებოდი. წერილს მაშინ ვინ დამიბეჭდავდა! და მაინც...”

„მწუხარებდი, არა? წარსულზე გულს იოხებდი, არა?”

„კი, შენი ირონიის მიუხედავად, მართლაც ვმწუხარებდი, თუმცა, მაშინ ჯერ კიდევ აფხაზეთი დაკარგული არ იყო, ყოველ შემთხვევაში, ასე გვეგონა და...“

„მოიცა... მოიცა... ჯერ ერთი – ვის რაში სჭირდებოდა შენი დიალოგი თუ მონოლოგი საქართველოს რუკასთან? ვის დაკარგვიხარ? ვინ გკითხავს შენ და შენისთანა უჩინო-ურანგოსნებს ქვეყნის სვე-ბედს?.. გაიხსენე, ამის წინეებზე რაღაც პეტიციაზე ხელის მოწერას აგროვებდნენ... იმან, ვინც მოთავეობდა ამ საქმეს, გკითხა: რა ტიტული მოვაწერო შენს სახელს და გვარსო? (იგულისხმე: აკადემიკოსი, პროფესორი, დოცენტი, სხვადასხვა პრემიების ლაურეატი და ა.შ.).“

„მახსოვს. ჰოდა, მეც ავდექი და მივაწერე – მწერალი-მეთქი“.

„ჰა, ჰა, ჰა, – უცებ სარკასტულად აკისკისდა ჩემი ორეული – ჩემო კარგო... – მერე დამრიგებლური კილოთი მომმართა: – ჯერ ერთი, მწერალს ფართო საზოგადოება უნდა იცნობდეს, მით უმეტეს, შენს ასაკში – ტელეჟურნალისტივით თუ არა, ისე მაინც! მერე... როგორც პუბლიცისტსაც, ერთობ მცირე მკითხველი გყავდა – დავაბრალოთ ეს თუ გინდა შენს დისიდენტობას! ეგ სულ ერთია... პოპულარობა ყველგან, მით უმეტეს – ჩვენს სნობისტურ გარემოებაში – უცილობელი პირობაა ყურადღების მისაქცევად ამა თუ იმ პრობლემისადმი! ანუ ჩვენ უჩინონი... ჩვენ უჩინონი და ა.შ. რაში აინტერესებს-მეთქი შენისთანების აზრი გინდა ხელისუფლებას და თუ გინდა – ფართო საზოგადოებრიობას? რა მნიშვნელობა აქვს მათთვის, მოდური გამოთქმა რომ ვიხმაროთ, არაცნობადის, ჩვეულებრივი ადამიანის ჭირისუფლობას-მეთქი? გახსოვს, ერთხელ კიდევ, კაი ხნის წინ, ახალბედა, მაგრამ თავდაჯერებულმა პოეტმა გოგონამ, „ცისკრის“ რედაქციაში შენი და შენი მეგობრის პატრიოტულ აღტკინებაზე, ირონიულად მოგახალათ: აბა, თქვენ იცით, იჭირისუფლეთ... იჭირისუფლეთ-ო“...

„კი. მახსოვს. მაგრამ... რო მტკივა? უსაშველოდ, გაუსაძლისად?“

“ანუ: მე რომ სიკვდილი მჭირს, ხომ შენგნით, ჩემო ედემოო, არა?“

„დიახ. ასეა ეს და... რა უნდა ქნა მაშინ? გეკითხები: რა უნდა ქნა, თუკი გტკივა, თუკი გედარდება შენი ქვეყნის ბედ-იღბალი?“

„თავში ქვა იეც და ისა ჰქენიო, – გითხრეს გარკვევით, გასაგებად!“

„ეგ პასუხი არ არის!.. როცა ადრეულ სიყმაწვილიდან დაავადდები ამ სენით და... საერთოდ,

იცი რას გეტყვი? სიყვარულმა არ იცის რანგები, წოდებები, ჯილდოები. სიყვარული არ არჩევს – რა და რატომ, რისთვის გიყვარს! მით უმეტეს, როცა დაჩაგრულად მიგაჩნია შენი სამშობლო. დიახ, სიყვარული შენდაუნებურად იბადება, შენდა უნებურად იპყრობს მთელ შენს არსებას. აქ უნდა – არ უნდა – გამორიცხულია. გული არ გკითხავს შენ, გიყვარდეს თუ არ გიყვარდეს! ეს გრძნობა თავისით მოდის-მეთქი“.

„მაგრამ... როგორც მოვა, ისე წავა, წავა თავისთავადაო!“

„დიახ, ასეა ეს! მაგრამ მე მინდა ისევ საქართველოს რუკას დავუბრუნდე... თითქმის ორი ათეული წლის წინ, ოთხმოციანი წლების დასაწყისში გიორგიევსკის ტრაქტათან დაკავშირებით დაიწერა ჩემი მონოლოგი. მოგვიანებით, გრიგოლ აბაშიძემ, თავის ბოლო ლექსში ასე გამოთქვა „ჩემეული“ აზრი: „შენს რუკას – შენი ბრძოლების სარკეს, წეწდა და გლეჯდა ბედი წყეული, ძონძებს ჰგავს შენი მიწა-წყლის თარგი, დაფლეთილია შენი სხეული. ბაღვენახიანს, ციხეტაძრიანს, შენს სამხრეთს ხურავს ცა გაუხსნელი, მავანს და მავანს მიუტაცნია, სხვათა და სხვათა ადგას უღელი. რაც დღემდის მოგჰყვა, რაც შეგრჩენია, კოდორიანი, ალაზნიანი, თუმც შენი ჰქვია, რაღა შენია, ისიც გამხდარა სხვათა ზიარი. მუხას წააქცევს, ლერწამს კი არა, პირალესილი ამდენი ცული. რა მოგიშუშებს ამდენ იარას, რამ მოგირჩინოს ამდენი წყლული? და რომ გეხვევა ღრუბელი ბნელი, შორიდან როგორ გიყურო მშვიდად, ნუთუ დამხობა ჩვენს დროში გელის, დაუდევრობით შენთავე შვილთა?“

„შთამბეჭდავია, კი ბატონო, გეთანხმები... უტყუარი დიაგნოზია დასმული: მაგრამ... „ჯვარს ეცვი, თუ გინდა, საშველი არ არის, არ არის, არ არისო!“

„მაგრამ... გრიგოლ აბაშიძე ასე ამთავრებს, ასე ვთქვათ, თავის მოთქმა-გოდებას: „არა. შენ წელში ისევ სწორდები, რომ კვლავ წამოდგე ბუკით, ნაღარით. ისევ იწევენ მზისკენ ყლორტები, შენს ძველ ფესვებზე უხვად ნაყარი. დიდება ამ დღეს, დიდება ამ დღეს, ბორკილი ეგდოს ძირს დამსხვრეული, ლაზარესავით ხვალ ისევ აღდგეს, დღეს დაფლეთილი შენი სხეული!“

„ნეტარ არიან მორწმუნენი!“ – ჩაიქირქილა ისევ ორეულმა და ისევე უცებ გაქრა, როგორც მომევლინა!

თავი II

მკვდართა ქალაქი

„და ჩემთვის ძვირფას აჩრდილებზე
ვიწყებ გოდებას!“
შექსპირი

დიახ. ვიწყებ გოდებას: წარმოსახვაში, ძილღვიძილში, თუ... რეალობაში?

...შუა ხიდზე შევჩერდი – გასაშვებ პუნქტამდე კაი გვარიანი მანძილია დარჩენილი. ვეღარ მოვითმინე და... რატომღაც ფეხით სიარული ვარჩიე – ავტობუსს!

წავიდე წინ თუ... გამოვბრუნდე?

ჭოჭმანს ვიწყებ.

ისე, კაცმა რომ თქვას, რამდენი საბაბი თუ მიზეზი მაქვს საიმისოდ, რომ... გამოვტრიალდე, საერთოდ აღარ გავაგრძელო გზა!

აკი მთელი 14 წელიწადი ასე იქმოდი კიდეც სხვადასხვა გარემოებათა გამო – ზოგი მართებული რომ იყო და ზოგიც – გამოგონილი, მაგრამ... უმთავრესი, რის გამოც თავს იკავებდი წასვლაზე – ახალი, უფრო ძლიერი ტრამვის მიღების საშიშროებას გაურბოდი ქვეცნობიერად. საკუთარ გულს უფრთხილდებოდი თურმე! ანუ: უფრო ზუსტად: არ გინდოდა შენი თვალით გენახა შენი მშობლიური, პატარა ქალაქის, შენი კოპწია სახლ-კარის გაოხრებისა და გავერანების სურათი, რაც მხოლოდ მონათხრობით იცოდი! არ გინდოდა მოუვლელი, უპატრონოდ დარჩენილი მშობლების საფლავების ხილვა. ანუ: გაურბოდი სატანჯველს, სიმწარის ხელახლა განცდის შეგრძნებას.

ჰოდა, იქნებ აიცილო ახლაც ეს უზომო, უნაპირო, წრესგადასული ტკივილების წყება, შენში რომ უჩინრად დაბუდებულა და დროდადრო უჩუმრად გულს გიღრღნის და გიწიწკნის. აკი საკმარისზე მეტად იწვნიე ცხოვრების გზაზე ტკივილები – მუხთალმა წუფისოფელმა რომ გაგიმზადა, განსაკუთრებით კი ამ ბოლო ათეულ წლებში.

მაშ, შეჩერდი! ჯერ კიდევ დრო გაქვს, რომ გადაიფიქრო წასვლა! ნუ მიდიხარ... იქ! იქ, სადაც ისევ გაგეხსნება თითქოს ოდნავ მოშუშებული იარები!

ანაზდად... ჩემ წინ – სად იყო და სად არა – აღიმართა ხელებგაწვდილი აჩრდილების მთელი ლეგიონი!

„მოდი. გვნახე. ჩვენც ხომ ვიყავით? ჩვენც ხომ ვცოცხლობდით და ახლა – აღარა ვართ! ჩვენც – ავად თუ კარგად, ვეწეოდით ცხოვრების ჭაპანს – თქვენსავით, ცოცხლად დარჩენილებივით! ჩვენც ხომ გვიყვარდა, გული შეგვტკიოდა ჩვენს კუთხეზე, მთელს ქვეყანაზე... მტერს ვებრძოდით, როგორც შეგვეძლო. ახლა აღარა ვართ, მაგრამ... ხომ ვიყავით?.. გაგვიხსენეთ... მოგვიგონეთ“.

...მიცვალებულთა მთელი ლაშქარი მოიწევს ჩემსკენ – ხელებგამოშვერილი, დაკრუნჩხული თითებით: გადმოდი! გვნახე! მოგვიგონე!

ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! ნუთუ ამდენია წასული ამ სამზეოდან? ზოგი – ხანმოთეული, ზოგი – ახალგაზრდა, ზოგი ჩემი ხნისა, ზოგიც – ჩემზე უფროსი! ოჰ! რამდენია თურმე!

შეძრწუნებულს, დარეტიანებულს თითქოს ფეხქვეშ გამომეცალა მიწა...

არა. უნდა გავიქცე, უკანმოუხედავად მოვკურცხლო აქედან, მაგრამ... აქეთაც... გამოღმა ყურესთანაც ანაზდეულად უშქი ჯარი რომ შეკრებილა

მიცვალებულთა სულებისა?

„ჩვენც – ვიყავით!.. ჩვენც... თქვენსავით ვსულდგმულობდით ამ ქვეყნად! ახლა – აღარა ვართ! გამოვეთხოვეთ სააქაოს და საიქიოში დავიდეთ ბინა. ნუთუ... აღარავის გახსოვართ? ნუთუ დაგვივიწყეთ ყველამ? აღარ გედარდებათ ჩვენი არაფერი?“

ღმერთო დიდებულო! აქეთაც რამდენი განშორებია წუთისოფელს! რამდენი ახლობელი, ნათესავი, ნაცნობი თუ... უცნობი?

სად გაიქცევი?.. სად დაემალები ამ აჩრდილებს, გარს რომ შემოგრტყმიან და თავს გახსენებენ და თანაგრძნობას და შენდობას რომ ელიან შენგან!

როგორ დაიხშობ ყურებს, როგორ დაიბრმავებ თვალებს?

არა. წინ უნდა გავწიო. უნდა გავიდე ენგურს გაღმა. ჯერ იქაურები უნდა მოვინახულო – ცოცხლები და მკვდრებიც, ჯერ იქაურები უნდა გამოვიხმო ხსოვნის ფსკერიდან, სანამ ისევ უკუნში ჩაინთქმებიან, სანამ მეც გავუდგები იმ გზაწვრილს, საიდანაც აღარ ბრუნდებიან უკან – ამ ცისქვეშეთში! უნდა დავიტირო და ვიწყო გოდება იმ დასაფიცარ სახელებზე, მიწამ რომ წაიღო, აკი ოდესმე – მეც არ ვიქნები! იქნებ სულ მალე დადგება ეს ჟამი? ვინ უწყის!

ჰოდა, იჩქარე! გასწი წინ. მწარე სევდიანობა და უზომო უიმედობა – განიშორე! – თუნდაც დროებით! რადგან ახლა, ამ წუთას ასეა საჭირო. რადგან ამ წუთას: „ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი!“.

ნუთუ მართლა?!

– ჰა, ჰა, ჰა – იქ, სულის სიღრმეში ისევ გადაიკისკისა ჩემმა მეორე ორეულმა – მრავალთა შორის – ერთ-ერთმა – ყველაზე მზაკვარი და მაკვარანცხი რომაა, მის დღეში რომ მაქილიკებს, დამცინის, ნიშნს მიგებს და მგესლავს ხოლმე – დროდადრო (სხვათა შორის, ჩემი მიგნება მეგონა, რომ ადამიანს, შეიძლება ერთი კი არა, რამდენიმე ორეული ჰყავდეს. თურმე – ეს ჩემამდე აღმოუჩენიათ! ასე რომ – პლაგიატობა არ გამომივიდა).

...ზმანება იყო თუ... მართლა ვიხილე აჩრდილთა ტყე და მათი გამოშვერილი ხელები? მაგრამ, ასეა თუ ისეა, მომიწევს, მაინც გადავლახო ჩემი პატარა რუბიკონი. მერე რა რომ: „აქ მარტო ვდგავარ – უმეზობლო, ვდგავარ ლიტონი!“

მაშ, წინ! დრო ულმობელია. იგი წუთებს, წამებს, საათებს ითვლის. უნდა მოასწრო. უნდა აღნუსხო. უნდა დააფიქსირო – ყოველივე, თუმცა... ესეც კია: რისთვის, რატომ? ვის რაში სჭირდება ეს შთაბეჭდილებანი უჩინარ, უსახელო ადამიანებზე, ვიღაც “ჭია-ღუებზე,“ კარგა ხნის წინ რომ მიიცვალნენ ან თუნდაც... ცოცხლად დარჩენილებზე? ამაოების შვილებზე, რომელთა ყოფნა-არყოფნა არც ერთ მატიანეში არ აისახება!.. მაშ, რისთვისღა ავაგო „რა ვქნისას ციხე? “რისთვის შევაბა ჯავრი კარადა?” იმის იმედით ხომ არა, რომ მოვა ჟამი და „კარ გაიღების თავადა?“

მოკლედ რომ ვთქვა, თავის ნებაზე მიშვებულმა, ხეტიალა ფიქრებმა თავი აიწყვიტეს და მეც, მეტი რა ჩარაა, უნდა მივყვე, ვსდიო კვალდაკვალ და სამზეოზე გამოვიტანო ნახული და გაგონილი, ოღონდ... მანამდე გული უნდა ჩადგეს საგულეში, ანუ შეწყვიტოს ბორგვა, რადგან ახლა, რაც მასთან კავშირშია, უნდა ჩატკეპნო ხსოვნის უშორეს კუნჭულში, უნდა გადამალო, მიჩქმალო – თუნდაც დროებით და... მხოლოდ გონით იმოქმედო!.. ანუ: კბილები კბილებს დავაჭირო და... გადავკეტო გულისკენ მიმავალი ყოველი არხი!

მაშ ასე, რეალური სურათი: ჩემი დამხვდურები – დედა-შვილი პაატა და კრიმჰილდა აბლოთიები, რომელთა მეშვეობით გამიიოლდა საშვის აღება – მანქანით მივდივართ გალში, ოღონდ ტრასიდან კი არა – შემოვლითი გზით. ქუჩაში ადამიანის ჭაჭანება არ არის – ჩვენი მანქანის გარდა, არ მოძრაობს არც ერთი ტრანსპორტი. ალაგ-ალაგ გადაბუგული სახლები გვხვდება, საერთოდ კი – ვეღარ ვცნობ აქაურობას. ისეთი განცდა მეუფლება, თითქოს სადღაც, უცნობ, უცხო გარემოში მოვხვდი. ჩემი თანამგზავრები ანუ მასპინძლები – გიდობას მიწევენ. რაღაც-რაღაცეებს მიხსნიან, მათვითცნობიერებენ. ხალხის გარკვეული ნაწილი მართლაც დაუბრუნდა თურმე თავის სახლ-კარს, მუდმივი შიშის თუ უსახსრობის მიუხედავად, მაინც აგრძელებენ ცხოვრებას. ეს, რა თქმა უნდა, მაინც კარგია. აქ თითქმის ფრონტის წინა ხაზია და მაინც არ ეპუებიან საფრთხეს. მე რომ მკითხოთ – ეს გმირობის ტოლფასია.

...ქალაქში შევდივართ. მანქანის სარკმლიდან ვიმზირები ფრთხილი, დაკვირვებული თვალებით. დაცარიელებული ქუჩები. მდუმარე სახლები. თუმცა... აგერ, ორსართულიანი სახლის ეზოს ჭიშკართან ქალი დგას, ხელში სათლი უჭირავს და ქუჩის გაღმა, მოპირდაპირე სახლის ეზოში – მეზობელს ელაპარაკება ხმამაღლა. აგერ კიდევ... მოხუცი კაცი და ხნიერი მანდილოსანი ჩვენებურ ფართო, მოვლილ, ამწვანებულ ეზოში რაღაცას საქმიანობენ...

პაატა ქუჩის კუთხეში მანქანას აჩერებს. ჯიხურთან მიდის და სიგარეტს ყიდულობს. მცირე ხანს ის და გამყიდველი ქალი საუბრობენ. მერე ორივენი ჩვენკენ იხედებიან. მე ვერ ვცნობ ქალს, მაგრამ რაკი ჯიხური აქვს და ბედავს და ყიდის რაღაცას – თუნდაც სიგარეტს – მაშასადამე, ეცხოვრება – ასეა თუ ისეა!

ღმერთო დიდებულო! სადა ვარ? რომელ საუკუნეში? ჩვენს საკუთარ მიწა-წყალზე, მამა-პაპის ნაფუძარზე, თურმე უნდა „გეცხოვრებოდეს?“

მისი უდიდებულესობა, რუსეთის იმპერია და მისი დამქაშები ამის ნებართვას აძლევენ თითოოროლა ადამიანს, 400-ათასამდე კი – დევნილი რჩება დანარჩენ საქართველოში.

მთელ მსოფლიოში, თავისი საცხოვრისიდან აყრილ ხალხს უკან აბრუნებენ, გარკვეულ პი-

რობებსაც უქმნიან. ჩვენში კი – აგერ უკვე მე-15 წელია, დაცარიელებულია ქართველებისგან აფხაზეთი, ხიზნად არის ხალხი ქცეული საკუთარ ქვეყანაში და მხოლოდ... გალში, ასეა თუ ისეა, ახერხებს თითო-ოროლა ადამიანი დაუბრუნდეს საკუთარ სახლს. რუსეთის იმპერია, რომელმაც ბოლოს და ბოლოს აისრულა წადილი და ქართველების გაყრა შეძლო აფხაზეთიდან, – უკან დამბრუნებელია? არადა, მედიატორად – სწორედ იგი გვევლინება!

...ეეიცინე, ჯამბაზო!

...ჩემო პატარა, კოხტა, ლამაზო ქალაქო, ოდესდაც გოგიელი რომ გერქვა და საბედიანოს ცენტრი იყავი, შუა საუკუნეებში მურზაყან შარვაშიძის მიერ დადიანის სამფლობელოდან ჩამოგლეჯილო და სამურზაყანოდ წოდებული კუთხის ქალაქო – ახლა ლამის მთელ მსოფლიოში ხარ ცნობილი! თუმცა, რა სიკეთე მოგიტანა ამ ცნობადობამ? შენი მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა-ულეტა და გაუდაბურება, დედასამშობლოდან მოწყვეტა, უამრავ ადამიანთა ტრაგედიები... უსამართლობა და განუკითხაობა კვლავ... – შუასაუკუნეობრივი! სიკვდილი და გადაშენება... – აი, რა გარგუნა ბედმა! თუმცა... ახლა მთავარია ჩემთვის – ავიდე სასაფლაოზე, მოვინახულო ჩემი მშობლების სამუდამო განსასვენებელი, ამდენი ხანი რომ არ მინახავს (რასაკვირველია, ნებაყოფლობით არ ყოფილა ეს „უნახაობა“, მაგრამ ამაზე უკვე ითქვა), თბილისიდან წამოღებული ხის ჯვარი უნდა ჩავასო მიწაში, ღვინო მოვასხა საფლავებს, ლოცვები წავიკითხო (შემდეგში, იქნებ შევძლო და წარწერიანი ფილები ჩამოვიტანო). მოკლედ, წინასწარ, ასე ვთქვათ, დაპროგრამირებულმა, უნდა შევასრულო პუნქტობრივად ის გეგმა, რაც წამოსვლისას დავისახე!

...ვდაგავარ ჩემი მშობლების საფლავზე და თუმცა დათქმული მაქვს – მხოლოდ გეგმის მიხედვით ვიმოქმედო – ემოციებისა და სენტიმენტების გარეშე – ცრემლები ჩემდა დაუკითხავად, მაინც ღვარ-ღვარად ჩამომდის და ძალაუნებურად – მინდა არ მინდა – გონებაში წარმოვიდგენ, რომ ამ მოტკეპნილი მიწის ქვეშ ჩემი მშობლების ცხედრები იხრწნებიან, რომ მატლი და ჭიები დასევია ჩემთვის უძვირფასეს არსებათა სხეულებს...

არ მინდა და მაინც...

...დედაჩემის უბე და მისი სითბო მახსენებს თავს... აი, კალთაში ვუზივარ დედას: „მზეო ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები გორასა”... “სერზე მიდის სამი მგელი, ტუჩმოკლე და კუდაგრძელი”...

დედა მიკითხავს საბავშვო ლექსებს, ხელში ყდამოცვეთილი წიგნი უჭირავს: „ჰაუ, ჰაუ, ქორო, ნუ ფრენ... ამ ეზოში დილ-დილასო, ვერ მომპარავ, ვერ გაგატან, ჩემს პატარა წიწილასო...“

დედა უცებ გულში მიკრავს და რატომღაც იცინის... მე მისი უბის სითბო და ლექსების რიტმი მანანავებს. თვალები მელულება. აუ, რა კარგია ასე ჩახუტებული ჯდომა დედის კალთაში... გარკვევით მესმის მისი გულისფეთქვა. ვგრძნობ, მისი ძუძუების თრთოლვა-ცახცახს...

სტოპ! მოგონებანი სასწრაფოდ უნდა ჩავაბრუნო იმ უხილავ უჯრაში, ხსოვნის ფსკერზე რომ განვათავსე... ახლა არ არის ამის დრო... ახლა პრაქტიკული ქმედებებია საჭირო.

პაატა მეუბნება, აგერ, ერთ ალაგას ღობე ცოტათი გარღვეულიაო და მერე მამშვიდებს: ამას მე შევაკეთებო.

...გალის დაცემიდან სამი თვით ადრე ჩემმა ძმისშვილმა მამუკამ რკინის ღობე თავის ხელით შემოავლო ბებიის და ბაბუის სასაფლაოს... მერე სადამოს, ტელევიზორს რომ ვუსხედით, გამახსენდა: ერთი წლის წინ ასევე გაფაციცებით ვუსმენდით ტელევიზორს ჩემი დაინვალიდებული ძმა, დასნეულებული რძალი, მამაჩემი, მე და მამუკა. უცებ ტელევიზორში აჩვენეს კიტოვანის გვარდიის შესვლა... სოხუმში! წუხელ გაიარესო, ამბობდნენ მეორე დღეს გალელები, ოჩამჩირის რაიონში, სოფელ ოხურეისთან ჩასაფრებულ სეპარატისტებს კი თურმე ცეცხლი გაუხსნიათ მათთვისო.

და, აი, სოხუმში გვარდიელებმა მთავრობის სასახლიდან გადმოაგდეს რუსეთის და ავტონომიური რესპუბლიკის დროშები...

...ერთმანეთს გადავხედეთ. გაგვხარებოდა თუ... რატომ გადაფითრდა მამუკა? ჩემი ძმაც? მეც ცუდად რატომ შემიქანდა გული? რა არ მოგვწონა? რამ შეგვაშფოთა?

თითქოს დასრულდა რუსეთის მიერ გაქეზებული სეპარატისტების პარპაში!.. მაგრამ... რატომ ვდუმვართ სუყველანი? რატომ გვენიშნა ეს ამბავი ცუდად?

ნუთუ... ომი იწყება?!

...სასაფლაოზე წინასწარ დაგეგმილი „პროცედურა“... დამთავრდა. ახლა... სახლს უნდა მივაკითხო... მერე სამძიმრებზე უნდა ვიარო – ვისთანაც მოვასწრებ მისვლას – უნდა მივიდე აუცილებლად.

...აი, ისიც... ჩვენი – სახლ-კარი! ეზო კვლავ მწვანეშია ჩაფლული. ჩემი ძმის მიერ თავის დროზე დარგული ვარდებიც კი ხარობენ! ისედაც კოხტა ეზო – უფრო გაკოხტავებული ჩანს. თვალებს არ ვუჯერებ! ვიცოდი თითქოს ამის შესახებ, მითხრეს და მაინც... მოულოდნელი აღმოჩნდა ეს ყველაფერი!

...რა სიყვარული უნდა გქონდეს გულში, რომ ასე მოუარო სხვის, თუნდაც კარის მეზობლის – საცხოვრისს და მერე... რა დროს?

აკი მეორე მეზობელმა სცადა დასაკუთრება უპატრონო სახლის იმ მოტივით, რომ ორი ძმა ვერ ეტეოდა საკუთარ სახლში! მაგრამ ჰოი, საოცრებავ: ახალგაზრდა ბიჭის მკვლელობაში თანამონაწილეობის გამო ეჭვმიტანილებს სახლში მიუვარდნენ ჭირისუფალნი, ძმების სახლი გადაბუგეს და ძმები იძულებული შეიქნენ,

14. “ამერ-იმერი.”

დედაწულიანად გადახვეწილიყვნენ გალიდან! ადამიანური ბუნების კონტრასტები, სიკეთისა და ბოროტების ოდინდელი სურათი ერთობ თვალში საცემია. გამაოგნებელია.

თავის დროზე, „ბოევიკებმა“ და სეპარატისტებმა ჩვენი სახლ-კარი, როგორც დანარჩენების – საფუძვლიანად გაძარცვეს – არაფერი ღირებული არ დატოვეს – მათ შორის, უმდიდრესი ბიბლიოთეკა, მაგრამ სახლი გადაწვას გადაურჩა, გადარჩა ავეჯი (ნაწილობრივ), კედლები, ფანჯრები, ახლა მოპრიალებულია იატაკები... მოწესრიგებულია ტუალეტი, აბაზანა...

ღმერთო ჩემო! სასწაულია პირდაპირ! რაც ეს ძმები აბლოთიები დაუბრუნდნენ გალს, თავის მიტოვებულ სახლ-კარს, მას მერე განახლდა, ხელახლა აღორძინდა ჩვენი გაოხრებულ-გაპარტახებული ეზო-მიდამოც.

...იმ ოთახში ვუზივართ მაგიდას და ვსაუბრობთ მე და პაატა, სადაც მამაჩემი გარდაიცვალა 1993 წლის 16 მაისს. გალის დაცემიდან სამი თვით ადრე მივაბარეთ მამა მშობლიურ მიწას (მადლობა ღმერთს, თავის თვალით რომ ვერ იხილა გალის აოხრების საზარელი სურათი.). სიკვდილის წინ, კი სამი დღით ადრე – უკვე ლოგინად ჩავარდნილს, მივუსწარი, ხელაპყრობილი როგორ ევედრებოდა უფალს: „ღმერთო, საქართველო გადაარჩინეო“. დიახ, სიკვდილის წინ აღმოხდა მის ბაგე-პირს ეს ღაღადისი! და საერთოდ, მამას ღრმად სწამდა და სჯეროდა, რომ... ღმერთი საქართველოს არ გაწირავდა.

...უნდა ითქვას, რომ მამაჩემი ფრიად კოლორიტული, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება გახლდათ. გალელები მას, სხვათაშორის, სამურზაყანოს (ანუ ყოფილი საბედიანოს) ცოცხალ მემატიანეს ეძახდნენ, ვინაიდან მართლა კარგად იცოდა თავისი კუთხის ისტორია, ამასთან, თვითონაც ბევრი რამის თვითმხილველი და მონაწილეც იყო. რაკი კალამიც უჭრიდა, დროდადრო ადგილობრივ გაზეთში აქვეყნებდა ხოლმე საინტერესო წერილებს, იყო მჭევრმეტყველი თამადაც და ჩინებული მოქართულე. ამავე დროს – შესანიშნავი მომღერალიც გახლდათ: მასზე ამბობდნენ, ჯოტოს ისეთი პირველი ხმა აქვს – ჭერს გაანგრევსო!

თავის თავზე ლაპარაკი არ უყვარდა – ამ მხრივ საოცრად მოკრძალებული, თავმდაბალი ადამიანი იყო, მაგრამ მახსოვს, თავი მოჰქონდა იმით, რომ ყმაწვილობაში ქართულ სიმღერებს – სიმონიშვილი ასწავლიდა! და საერთოდ, მაშინდელი გალის საშუალო სკოლაში დიდი მამულიშვილის – პეტრე ჭარაიას – ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლის – სული ტრიალებდა – ანუ: ქართული ცნობიერება გახლდათ უპირველესი და... გადამწყვეტი!

მამა ოცდაათიან წლებში გალის ფეხბურთის გუნდის უცვლელი გოლკიპერიც ყოფილა – სხარტი, გამჭრიახი, ტანმაღალი, თხელი აგებულების, საიმედო მეკარე იყოო,– გამიგონია ძველებისგან. (სხვათა შორის, მაშინდელი გალის ფეხბურთის გუნდში აიდგა თურმე ფეხი ჩვენმა ახლო ნათესავმა, შემდგომში ცნობილმა ფეხბურთელმა – შოთა შავგულიძემ!..). მოგვიანებით მამა ერთ-ერთი მთავარი მოთავე იყო გალის ეთნოგრაფიული მუზეუმის შექმნისა. მახსოვს,რა გულმოდგინედ და სიყვარულით აგროვებდა ხოლმე ძველ ნივთებს – ხანჯლებს, თასებს, დოქებს, თუ ოქრომჭედლობის სხვადასხვა ნიმუშებს (როგორც ბევრი სხვა რამ – ეს მუზეუმიც ახლა მიწასთან არის გასწორებული!). ამ მხრივ, ჩემი ძმაც, როცა რაიონის კულტურის განყოფილების გამგედ მუშაობდა, არ ჩამოუვარდებოდა მამას – ფიჩორის განთქმული არქეოლოგიური გათხრების დროს – როგორც ამ გათხრების ხელმძღვანელის – მალხაზ ბარამიძისგან ვიცი, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ექსპედიციის მუშაობაში.

...მამა მთელს რაიონში განთქმული მონადირეც იყო. მახსოვს, მასთან ხშირად მოდიოდნენ ხოლმე ახალგაზრდა მონადირეები – ასე ვთქვათ, მონადირეობის “კურსის” გასავლელად და რჩევისთვის! არადა, მამაჩემი და ანთიმოზ სანიკიძე – თავის დროზე მისი მასწავლებელი რომ ყოფილა – მართლაც გამოირჩეოდნენ ჩვენს კუთხეში, როგორც ლეგენდარული მონადირეები. მერე, მოხუცებულობის ჟამს, მამას სინანულით უთქვამს ჩემთვის – ამ ჩემს ხელებს რამდენი ცოდვა აქვს ჩადენილიო, რამდენი სისხლი სცხიაო: აბა, რას ვერჩოდი იმ საცოდავ, უწყინარ ცხოველებს და ფრინველებსო! განსაკუთრებით გული წყდებოდა შვლების, ირმების და ხოხბების გამო – როგორი ლამაზები იყვნენ და ასე როგორ ვიმეტებდითო!

ბავშვობაში მამას მე და ჩემი უფროსი ძმა ხშირად დავყავდით ხოლმე მარულას, ცხენბურთის, ისინდის საყურებლად, მაშინ ხშირად რომ იმართებოდა გალში. ახლაც თვალწინ მიდგას ცხენოსნების გასაოცარი სიმარჯვე და ოსტატობა! (მერე, როცა კასტელის დღიურები წავიკითხე, არ გამკვირვებია მისი აღტაცება, ამ სანახაობით გამოწვეული).

დავყავდი აგრეთვე ხალხური სიმღერებისა და ცეკვების სხვადასხვა ანსამბლის კონცერტებზე (ერთი პერიოდი თვითონაც მონაწილეობდა გალის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში), დავყავდი ფეხბურთზეც, ესოდენ პოპულარული რომ იყო ჩვენს კუთხეში. მერე, მოგვიანებით მივხვდი, რომ ამას გამიზნულად შვრებოდა – ჩვენში, ბავშვებში უნდოდა ტრადიციული სანახაობებისადმი ინტერესი გაეღვიძებინა, რადგან თავად ძველი ქართული ტრადიციების მოტრფიალე იყო და ასეთად დარჩა სიცოცხლის ბოლომდე! (მერე, შვილიშვილი – მამუკაც დაჰყავდა ხოლმე მსგავს ღონისძიებებზე!)

და საერთოდ, ახლა რომ ვიხსენებ, რაღაც განსაკუთრებული სიყვარულით უყვარდა ბავშვები, მოზარდები. საერთოდ, სიტყვაძუნწი იყო ჩვეულებრივ ურთიერთობებში, მაგრამ ბავშვების მიმართ საოცარ გულითადობას იჩენდა. მოხუცე-

ბულობის დროსაც არ ავიწყდებოდა მათთვის რაიმე სასიამოვნო, მოულოდნელი სიურპრიზი გაეკეთებინა – ისეთ რაღაცებს იგონებდა მათ გასახარად, გასართობად, რომ ჩვენ, დიდებიც განცვიფრებული ვრჩებოდით ხოლმე: საიდან, როგორ ახერხებდა ამდენი, ასე ვთქვათ, "ფანდების" გამოგონებას! ამიტომაც იყო ალბათ, ჩვენს სამეზობლოში ბავშვები ჯგროდ დასდევდნენ ჯოტო ბაბუას, რომლისგან ყოველთვის მოელოდნენ რაღაც ზღაპრულ "სასწაულებს". მახსენდება აგრეთვე, რომ მამაჩემს, მეზობლების აზრით, განსაკუთრებულად ბედნიერი ფეხი ჰქონდა, ანუ "დაფერხება" იცოდა, როგორც იტყვიან ხოლმე ჩვენში!

...სკოლას რომ ვამთავრებდი, ერთი-ორჯერ სიტყვა ჩამომიგდო სამედიცინო ინსტიტუტში სწავლის გაგრძელების თაობაზე – თვითონ მესამე კურსიდან იყო გამოსული – ოჯახური პიროებების გამო მაშინ სამედიცინო ინსტიტუტი ვერ დაამთავრა. თუმცა, საოცარი ის იყო – მთელს ჩვენს უბანში, თუ ვინმეს ჯანმრთელობის პრობლემა შეექმნებოდა, ყველა ამ "უდიპლომო ექიმთან" მოდიოდა რჩევის საკითხავად. რამდენჯერ გამიგონია ჩემიანებისა და სხვებისგანაც – მას რომ სამედიცინო დაემთავრებინა, ბრწყინვალე ექიმი იქნებოდაო. (შეიძლება ვინმემ, ყველაფერი ის, რასაც მამაჩემზე ვამბობ – აპოლოგიაში ანუ გადაჭარბებულ ხოტბაში ჩამომართვას, მაგრამ ვინც მამას იცნობდა, დამეთანხმება, რომ გადამეტებულს არაფერს ვამბობ!).

მე და ჩემმა ძმამ მამას ამ მხრივ ვერ გავუმართლეთ – არც ერთს არ გვიზიდავდა ექიმობა!

...მამაჩემისგან ვიცი, როცა თბილისში სწავლობდა, ანუ ოცდაათიან წლებში – საბჭოთა კავშირში უნდა ჩატარებულიყო თურმე მოსახლეობის აღწერა.

აფხაზეთის მაშინდელი საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი – ნესტორ ლაკობა თბილისში აფხაზეთიდან სასწავლებლად ჩამოსულ სტუდენტებს ხვდებოდა და იმ გაჭირვების ჟამს (პურზე კილომეტრიანი რიგები იდგა თურმე!) ტკიცინა ასმანეთიანებს ურიგებდა, რომ ისინი – ეროვნებით აფხაზებად ჩაწერილიყვნენ! (სხვათა შორის, აფხაზობა მაშინ და შემდეგაც – ფრიად მომგებიანი რამ იყო აფხაზეთში მცხოვრებთათვის, თუნდაც – კარიერის გასაკეთებლად!)

შენთან თუ იყო ვინმე მოსული-მეთქი, ვკითხე ერთხელ ყასიდად. კიო, რასაკვირველიაო, თავი დამიქნია. მეტი არაფერი უთქვამს, მაგრამ წარმოვიდგინე, როგორი პასუხით გაისტუმრებდა იგი ასეთ "მოციქულებს"! არადა, მამას დედა აფხაზი ჰყავდა – სოფიო ბებია – ქეცბაიას ქალი გახლდათ – ჩემი დიდი პაპა თელებდან ქეცბა თურქებისაგან გამაჰმადიანებას რომ გადარჩენოდა, ბზიფიდან გადმოხვეწილა და გაუკაცრიელებულ გალში დამკვიდრებულა. ოღონდ ეგაა: ისინი თავს მიიჩნევდნენ ჭეშმარიტ აფხაზებად და არა – აფსუებად – როგორადაც სურდათ მათი წარმოჩენა მაშინაც და შემდეგაც – მავანთ და მავანთ – კრემლის მიერ მოსყიდული ზოგზოგი ისტორიკოსის ჩათვლით (სხვათა შორის, ჩემი დიდი პაპა 137 წლის გარდაცვლილა!)

მამაჩემის ლამის სამაგიდო წიგნი იყო ირაკლი ანთელავას ნარკვევი: "Политическое положение Абхазии XVII-XIII в.в. Сухуми, 1948 г." რომელიც, "რატომღაც" იგნორირებული იყო მაშინაც და... დღესაც! არადა, მასში დოკუმენტურად არის ნაჩვენები, როგორ ხდებოდა ჩრ. კავკასიიდან ადიღეური ტომების ჩამოსახლება თურქებთან და შიდა ომების შედეგად გაპარტახებულ აფხაზეთში ანუ მიმდინარეობდა იგივე პროცესები, რასაც ადგილი ჰქონდა სამხრეთ საქართველოში, ქართლსა და კახეთში და რაც ადგილობრივ მკვიდრთა, განსაკუთრებით გლეხობის დიდი ნაწილის აყრით და გაწყვეტით იყო გამოწვეული, ხოლო მოსახლეობის ერთი ნაწილი, რომ არ გამაჰმადიანებულიყო, შედარებით დაცულ შიდა პროვინციებს აფარებდა ხოლმე თავს. მათ შორის იყვნენ, სხვათა შორის, დედაჩემის წინაპრები – ჩაჩბებიც[1] (შარვაშიძეთა შტოდან), რომლებიც ასევე გამოიხიზნენ ბიჭვინთიდან, თან წამოაბრძანეს საგვარეულო წმინდა გიორგის ხატი და სენაკის რაიონის სოფელ ალერტში დაფუძვნებულებმა ააშენეს მისი სახელობის ეკლესია. ამ ადგილს საჩაჩიბაიოდ მოიხსენიებენ დღესაც!

შემდეგში უკვე რუსეთის იმპერიამ და ბოლშევიკებმა "იზრუნეს" აფხაზეთში აფსუებისა და აფხაზების გაიგივეობისათვის – ზოგიერთი ქართველი "ისტორიკოსის" დასტურით!

... მამაჩემის გასვენებაში თითქმის მთელი გალი მოვიდა, სოფლებიდანაც უამრავი ხალხი ჩამოვიდა, განსაკუთრებით კი – თაგილონიდან – არდაშელიების ძირძველი სამკვიდროდან, სადაც კარგად ახსოვდათ ვარადი არდაშელია, თუმცა იგი დიდი ხნის გარდაცვლილი იყო – მამა ერთი წლის ყოფილა მაშინ! არადა ერთობ მძიმე პერიოდი იყო: 1993 წლის მაისის თვე იდგა. არც ამდენი ყვავილების ზღვა მინახავს სხვა დროს გასვენებაში. მიკვირდა, ამ ძნელბედობის ჟამს, როგორ მოიცალეს შეჭირვებულმა ადამიანებმა მოხუცებული კაცისთვის ასეთი პატივი მიეგოთ-მეთქი. ერთმა დროულმა უცნობმა კაცმა განზე გამიყვანა და მითხრა: შენ იქნებ არც იცი, შვილო, როგორი პატიოსანი მამა გყავდაო! სამუდამოდ ჩამრჩა გონებაში ეს სიტყვები! როგორც ჩანს, არ იკარგება მცირეოდენი სიკეთეც კი!

ალბათ, ღვთისწყალობა იყო ისიც, რომ მამაჩემის ქრისტიანული წესით დაკრძალვაც მოვას-

1. რაც შეეხება გვარის ბა-დაბოლოებას, ბა და ბერე – ლაზურ-მეგრულად ნიშნავს მცირეს, პატარას, ასევეა იგი ქართულში, ბა-ია, ბა-ვშვი და ასე შემდეგ. მეგრული აფხა კი – ბეჯს, ზურგს ნიშნავს ქართულად, ანუ აფხაზები, ასევე სვანები, როგორც ძირძველი კოლხური ტომები – ზურგს ანუ საფარს წარმოადგენდნენ ჩრდილოეთის მხრიდან მტრების შემოსევებისაგან კოლხ-იბერთა ქვეყნის დასაცავად.

წარით – აკი სამიოდე თვეში გალი დაეცა – სოხუმთან ერთად! ხოლო რა უბედურება დატრიალდა მაშინ მთელს აფხაზეთსა და მათ შორის გალშიც – რომ იტყვიან – ენით არ ითქმის და კალმითაც არ აღიწერება!

თუმცა, როგორც ზემოთ ვთქვი, მამაჩემს ყოველთვის სწამდა და სჯეროდა, რომ საქართველო ღვთისაგან გამორჩეული ქვეყანა იყო და ღვთისმშობელი იფარავდა მას: – აკი სიკვდილის წინ, უფალს საქართველოს გადარჩენას ევედრებოდა!

...მე და პაატა თან ვსაუბრობთ და თან ნელ-ნელა ღვინოს ვსვამთ. ჩვენი საუბრის თემა ისევ და ისევ წარსულს დასტრიალებს: გონებიდან ხან რა მოგონება ამოტივტივდება და ხან რა...

შევყურებ ამ გონიერ, განათლებულ, სიკეთით სავსე შუა ხნის კაცს და ერთი და იგივე აზრი მიტრიალებს თავში: მავანს უკითხავს თურმე მისთვის – რას აკლავ თავს ამ არდაშელიების სახლ-კარს, რას გაძლევენ ამისთანასო. როგორ უნდა აუხსნა **ამისთანას**, რომ ბავშვობაში ლუბა ბებიას მიერ მორთმეული კერძის გემო დაუვიწყარია ჩემთვის, რომ ეთერი დეიდა ერთად გვაჭმევდა ხშირად მე და ლელას რძიან ფაფას, რომ ჯოტო ბაბუას მიერ სასწაულებრივად ხის ტოტიდან ჩამოცვენილი კანფეტების გემოს თითქოს ახლაც ვგრძნობ პირში... როგორ უნდა „აუხსნა“ ამისთანას, როგორია ბავშვობის დროს აღქმული სიკეთის ფასი, რომელიც მარად გახსოვს და არ გავიწყდება, რომ მთელი ცხოვრება თან მოგყვება ხოლმე იმ წრფელი სიყვარულის განცდა! ასე, დაახლოებით ასე უპასუხია პაატას იმ ვიგინდარასთვის. მე მის მიერ თითქოს უთქმელ სიტყვებსაც ვისმენ და ვიგებ! ვისაც არ ჰქონია ასეთი წამები ცხოვრებაში, მისთვის მართლაც გაუგებარია მადლიერების გრძნობა, რომელიც შეიძლება ათეული წლების შემდეგაც გამოვლინდეს და სიკეთეს – სიკეთით მიუზღო!

...გაოგნებული, თითო-ოროლა ფრაზის თქმას ვახერხებ, თვალწინ მიდგას გასუფთავებულ-დაკრიალებულ ოთახში ჩემი ძმისშვილის ლელას ბავშვობისდროინდელი სურათი რომ ჰკიდია კედელზე, მამუკას და მისი ბიჭის – აკოს პორტრეტები კი – „ზალაში!“

...ჩემი, ასე ვთქვათ, მაგისტრალური ხაზიდან, გადავყავარ აბეზარ, მოუსვენარ და თან მტანჯველ ფიქრებს, განცდებს, მოგონებებს... კმარა, ეს ყველაფერი. მერმისისთვის იყოს – ვარწმუნებ საკუთარ თავს – ღამეც მეყოფა ფიქრებისა და დარდებისთვის, როცა საწოლში საკუთარ თავთან მარტო დავრჩები.

ახლა კი – უნდა დავიწყო სამძიმარზე სიარული – რასაც მოვასწრებ ერთ დღეში – უფრო სწორედ – დღის მეორე მონაკვეთში. პირადად რამდენი მყავს მოსანახულებელი!.. პირველად მაინც ახალგარდაცვლილი ახალგაზრდის მშობლებს უნდა მივაკითხო: ჩემი ძმის თანაკლასელს, ბავშვობისდროინდელ მეგობარს – ვაჟა ცხაკაიას.

ჰოო... საუბარში, პაატას ასე ვთქვათ, ირიბულ კითხვას ვუსვამ – რატომ არ ირთავს ცოლს აქამდე?

პაუზის შემდეგ მპასუხობს:

– კი... აუცილებლად უნდა მოვიყვანო ცოლი – აქაური, ჩვენებური, მაგრამ... იცი, რა ხდება აქ? ძველი დრო ხომ არ გგონია?.. გოგოები პირდაპირ ღობეს ახტებიან, რომ გაეროს ოფისში შეაღწიონ როგორმე და ნებისმიერ უცხოელს დაუწვნენ – ფულის გულისათვის!.. ფული, ფულია ახლა უმთავრესი მიზანი არსებობისა ანუ ეგრეთ წოდებული კაი ცხოვრებისა, ანუ კეთილდღეობისა, – თუნდაც მეძაობით იყოს იგი მოპოვებული!

ჰოო... ფულის გამო რამდენი პატარა გოგო გავიდა ქუჩაში – თუნდაც თბილისში! რამდენმა უცხოეთში, განსაკუთრებით თურქეთში ჰპოვა ასპარეზი... ტაო-კლარჯეთში ყოფნის დროს ერთმა იქაურმა გურჯმა დამანახა ყბადაღებული სახლი, სადაც თურმე მეტწილად ჩვენებური, ქართველი ქალები – კახპობენ! იმ გურჯი მამაკაცის ხმაში შეფარული სევდა დავიჭირე. ხმა ვერ ამოვიღე საპასუხოდ. გავიტრუნე. ეკონომიკურმა სიდუხჭირემ იცის ხოლმე ქურდობის, მძარცველობისა და მეძავეობის მომრავლება-მოხშირება – ნებისმიერ ქვეყანაში, მაგრამ ჩვენ ჩვენი სატკივარი გვაქვს. უნებურად მაგონდება შარდენის, კასტელის და სხვათა ნაწერები, მე-17 საუკუნის უკიდურესად დაქცეული საქართველოს კუთხეებში, კერძოდ, სამეგრელოში, რა ხდებოდა. რა მასშტაბებს მიაღწია თუნდაც... ტყვეთა სყიდვამ და ესეც – ფულის გულისთვის! ხშირად ნებაყოფლობით ყიდდნენ კიდეც საკუთარ შვილებს: ანუ როგორ იქცა კასტელის თქმით, „ანტიკური სიბრძნის ფუძის ჩამყრელი ქვეყანა ავაზაკების გამოქვაბულად“, – „შეუძლებელია პატიოსნად აზროვნება იქ, სადაც მთელი ფიქრი ადამიანის ლუკმა-პურის მოპოვებას უნდება“. – ამას, მგონი, მონტესკიე ამბობს. რომელიღაც ჟურნალში ამოვიკითხე ერთი მეძავი, ჩვენებური ქალის თავგადასავალი, თურქეთში მისი „მოღვაწეობის“ პერიპეტიები. ბოლოს ვიღაც ძალიან მდიდარმა თურქმა „პატივი“ დასდო და იგი მუდმივ საყვარლად „აიყვანა“ თურმე. ახლა ბლომად აქვსო ფულები, ამასთან, ცხადია, არ იკლებს გართობებს, დროსტარებას, უშურველად ხარჯავს თურმე ფულებს – რა ვქნა, მიყვარს ხელგაშლილი ცხოვრებაო!

ამან, ამ მისმა ბოლო ფრაზამ შემძრა და შემარყია ყველაზე მეტად. ამ მეძავს თურმე ხელგაშლილი ცხოვრება ჰყვარებია! არა მხოლოდ ცინიზმია ეს – მდაბიორის ფსიქიკაც გახლავთ – არა მხოლოდ სხეულის, – ეს საპყარი სულის მრუშობაა! – თუმცა, მადლობა უფალს, ჩვენი ქალების დიდი უმრავლესობა დარჩა ოჯახის ბურჯად, დედა-ბოძად – ამ გაუსაძლის ყოფიერებაშიც კი.

...ძნელი იყო ვაჟასა და მის მეუღლესთან შეხვე-

დრა. ერთადერთი შვილის დამკარგავ მშობლებს რა უნდა უთხრა? რა სიტყვებით მიუსამძიმრო? მაგრამ... ტრადიცია და რაც მთავარია, თანაგრძნობის, თანადგომის გრძნობა გვკარნახობს ხოლმე ასეთ დროს – როგორ გამოხატო შენი გრძნობა... ამასთან, ვაჟას ნახვა სხვა, უფრო ღრმა ემოციებს აღძრავს... ეს მობერებული, სიმპათიური პიროვნება, შორეული წარსულის ფოტონეგატივია თითქოს... ჩემთვის!

... ვაჟა ცხაკაია, ლეო ხაბურზანია, ვანო ქვაჩახია, ღუდა ციკოლია, კარლო ჯეჯეია, ჟორა ცატავა, რუბენ სიჭინავა, ვაჟა და ნოდარ ქეცბაიები, ალიკო (ავთანდილ) არდაშელია – თავის დროზე გამორჩეული ახალგაზრდები იყვნენ და არა მხოლოდ, – გალში! ომისშემდგომი პერიოდის ეს თაობა მართლაც თითით საჩვენებელი გახლდათ ნიჭიერებით, განსწავლულობით, გარეგნულადაც კი. მახსოვს, როგორ სტაცებდნენ ერთმანეთს წიგნებს, ღამეს ათენებდნენ კითხვაში, სწავლობდნენ წარჩინებულად... აწყობდნენ ლიტერატურული პერსონაჟების გასამართლებებს, დაობდნენ, კამათობდნენ, მართავდნენ დისპუტებს. შემდგომში ერთ-ერთი მათგანი – ვანო ქვაჩახია – გალაკტიონის რუსულ ენაზე მთარგმნელად მოგვევლინა...

ლეო ხაბურზანია – მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტდამთავრებული, შესანიშნავი ეკონომისტი დადგა, რუბენ სიჭინავა – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტდამთავრებული – ჩინებული იურისტი იყო და ა.შ... ჩემს ძმაზე ალიკო (ავთანდილ) არდაშელიაზე მისი ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ წერილი გამოვაქვეყნე „ლიტერატურულ საქართველოში“ სათაურით: „დრო ულმობელია“... ვერც ერთმა სიბერეს ვერ მიაღწია – ვაჟას და კარლოს გარდა – ნაადრევად წავიდნენ ამ ქვეყნიდან. ისინი ჩემს ხსოვნაში დარჩნენ როგორც ერთ-ერთი საუკეთესო თაობა! მგზნებარე პატრიოტები, ქართული ლიტერატურის მოთაყვანენი, ერთმანეთის გამტანნი, პატიოსანნი, უფროს-უმცროსობის ტრადიციების დამცველნი... – თითქმის ყველანი ნაადრევად წავიდნენ-მეთქვი ამქვეყნიდან, სამწუხაროდ და... აქა-იქღა, უფრო მათ ოჯახებში – შემორჩა მათი ხსოვნა...

(მახსოვს, პატარა გოგოს მეამაყებოდა, ჩემი უფროსი ძმის მეგობრები ჩემთანაც რომ მეგობრობდნენ! და ასე გაგრძელდა მთელი ცხოვრების მანძილზე!)

ერთმანეთზე უკეთესი გოგო-ბიჭები იყვნენ-მეთქი, აღვნიშნე ზემოთ: – ომის ჭირვარამგამოვლილნი, გაჭირვებაში გაზრდილები და მაინც საოცრად ხალისიანები, ლაღები, სიცოცხლის მოყვარულნი, სწავლის მოყვარულნი, სულით და ხორცით ჯანსაღნი და რაც მთავარია – სამშობლოს უზომოდ თაყვანისმცემელნი.

ამ ჩინებულ ყმაწვილებში მაინც გამოირჩეოდა ჩემი ძმა – ავთანდილ-ალიკო არდაშელია, გამოირჩეოდა გარეგნობითაც: ჩვენი წინაპრების სილამაზე გამოჰყვა დედის-ჩაჩბების მხრიდან, გამოირჩეოდა მრავალმხრივი ნიჭიერებით. უსაზღვროდ უყვარდა პოეზია, ლიტერატურა და, საერთოდ, ხელოვნება. „ვეფხისტყაოსანზე“ ბავშვობიდან იყო შეყვარებული. მახსოვს, როგორი პათოსით, როგორ მგზნებარედ წარმოთქვამდა ხოლმე რუსთაველის უკვდავ სტრიქონებს. დღემდე გონებაში მაქვს ჩაბეჭდილი ის სტროფები პოემიდან. იმდენად იყო შეყვარებული „ვეფხისტყაოსანზე“ – განსაკუთრებით კი პოემის გმირ-ავთანდილზე, რომ პატარა ბიჭმა, სკოლის მოსწავლემ, სახელი გადაირქვა და ყველგან – ალიკოს ნაცვლად – ავთანდილად მოიხსენიებდა თავის თავს.

სოხუმის პედინსტიტუტში, სადაც სწავლობდა, პოემის რამდენიმე თავის ინსცენირება რომ მოაწყვეს თურმე, ყველამ უყოყმანოდ, ერთსულოვნად ავთანდილის როლში ჩემი ძმა აირჩია (ის სურათი, სადაც ავთანდილის როლშია გადაღებული, დღემდე შემოგვრჩა). როგორც თითქმის ყოველი ქართველი, წერდა ლექსებს, ოღონდ თავისთვის. არასოდეს უფიქრია მათი გამოქვეყნება, არ აწუხებდა პატივმოყვარეობა. ამ მხრივ, შესაძლოა, ზედმეტად თავმდაბალი და მოკრძალებული გახლდათ. მე-10 კლასში რომ იყო, მაშინ დაწერა პოემა და თავის თანაკლასელ გოგონას მიუძღვნა. პოემა ხელიდან ხელში გადადიოდა თურმე. დირექტორსაც წაუკითხავს და არ დაიჯერა, რომ პოემა მეათე კლასელის დაწერილი იყო. ეს პოემა და მრავალი მისი ლექსი სამუდამოდ დაიკარგა. ამასთან, ხატავდა კარგად, იმდენად კარგად, რომ თბილისელ სტუმარს, მისი ნახატების გამოფენა რომ უნახავს სკოლაში, იმდენად მოსწონებია, სახლში მოგვაკითხა. ეს ბავშვი თუ თბილისის სამხატვრო სასწავლებელში გააგრძელებს სწავლას, მისგან შესანიშნავი მხატვარი დადგებაო (სხვათა შორის, მხატვრობის ნიჭი გამოჰყვა მის ერთ-ერთ შვილიშვილს – მარიამ არდაშელიას). გალის მე-2 საშუალო სკოლაში მხატვრული საღამოების და ლიტერატურის პერსონაჟების გასამართლების მოთავე ხომ იყო და იყო!

ბუნების ტრფიალი ბავშვობიდან გახლდათ. მამას ხშირად დაჰყავდა იგი სანადიროდ, სათევზაოდ. უსაზღვრო ფანტაზიის მქონე, შემდგომში ისე უყვებოდა თავის შვილებს თუ შვილიშვილებს ზღაპრებს, რომ ჩვენც, დიდებსაც ცოცხლად გვედგა თვალწინ მისი გამოგონილი პერსონაჟები.

შემოქმედის სული იწვოდა მის არსებაში. შემოქმედის ხელი ეტყობოდა ჩვენს კარ-მიდამოს, გამორჩეული რომ იყო მთელს ქალაქში. მებაღე-დეკორატორივით თავს ევლებოდა თითოეულ ბუჩქს, ვარდ-ყვავილებს, კვიპაროსებს, პალმებს. ნაძვს... ტყიდან, ხანაც ზღვის ნაპირიდან მოჰქონდა ხოლმე „მხატვრული“ ჯირკვი თუ ქვა და

თავის ხელით აჩუქურთმებდა და ალამაზებდა ყოველ კუნჭულ-ალაგს, აუზს, სახლის კიბეებს...

დედისგან ჰქონდა უთუოდ გამოყოლილი ეს სიყვარული მცენარეებისადმი, საერთოდ, ბუნებისადმი, თუმცა მამაც ხომ ბუნების ტრფიალი და ქომაგი გვყავდა. თავის დროზე სწორედ მან, პირველმა აღიმაღლა ხმა გალის რაიონის ტყეების დასაცავად, უმოწყალოდ რომ იჩეხებოდა და ნადგურდებოდა მაშინდელი ხელისუფლების მიერ: იგი ბუნების ქომაგის ოქროს მედლითაც კი დააჯილდოვეს შემდგომ.

ზემოთ ბუნების ტრფიალი ვახსენე. მახსოვს, თბილისიდან გალში ჩამოსული, ჩემმა ძმამ დილაუთენია გამაღვიძა და მომასმენინა ჩვენი ეზო-კარის შაშვების – კონცერტი! ალბათ ერთი ოცდაათი შაშვი მაინც გალობდა ერთდროულად! დაუვიწყარი, წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ჩიტების ამ გუნდურმა გალობამ!..

წლების განმავლობაში მუშაობდა ჩემი ძმა პედაგოგად. იყო სასწავლო ნაწილის გამგეც და დირექტორი რაიონის სხვადასხვა სკოლაში. ბოლო 12 წელი რაიონის კულტურის განყოფილების გამგე გახლდათ. მისი თაოსნობით გაიხსნა გალში სამხატვრო სასწავლებელი, ხოლო კულტურის სახლთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი და სახალხო თეატრი ხომ მთელს აფხაზეთში პირველობდა. თბილისშიც ხშირად იწვევდნენ და სიგელებით აჯილდოვებდნენ ხოლმე. ეამაყებოდა, რომ ამ წარმატებებში მისი წვლილიც იყო. მერე,როცა ყველაფერი გაუფასურდა, არავის მოჰგონებია მისი დამსახურება. არც არავის გახსენებია ფუძემოშლილი ხიზანი – საკუთარ ქვეყანაში!

...აფხაზეთის ტრაგედია მისი პირადი ტრაგედიაც იყო. 1989 წელს დაინვალიდებული – თითქოს უფრო მძაფრად, უფრო მტკივნეულად განიცდიდა ყოველ მოვლენას, რაც ქვეყანაში ხდებოდა. სტკიოდა ორად გახლეჩილი საქართველო, წუხილით აღიქვამდა ღალატს, დაუნდობლობას, ზურგში მახვილის ჩაცემას: საქართველოს ისტორიის ჩინებული მცოდნე – ვერა და ვერ შეგუებოდა შადიმანობას...

...წელიწადნახევარი უმკლავდებოდა სოხუმი, ჩემი ძმის საყვარელი ქალაქი, – მტერს! ყოველი დღე, ყოველი საათი მტანჯველი იყო მისთვის. სოხუმი იბომბებაო, ვუმალავდით აკი ლოგინად ჩავარდნილ მამასაც. თანამოაზრენი ვიყავით, მოვლენების შეფასებაში ყოველთვის ერთ პოზიციაზე ვიდექით.

...უჩვეულოდ დაძაბული იყო 1993 წლის გაზაფხულ-ზაფხულის ყოველი დღე. ჯერ მარტის, შემდეგ ტამიშის ტრაგიკული ამბები! სოხუმი კი – იდგა. სოხუმი არ ნებდებოდა. თუმცა, სამწუხაროდ, გალისაგან, ისევე როგორც სხვა რაიონებისგან, არ ჰქონია საკმარისი დახმარება და მხარდაჭერა.

27 სექტემბერს სოხუმი დაეცა – მანამადე ეგრეთ წოდებული თეთრი მანდილის ქალები მშვიდობის მატარებლით ჩავედით ოჩამჩირეში – გალის ვაგზლიდან მოვახერხე ტელეფონით დავლაპარაკებოდი ჩემს ძმას, იგი საშინლად ნერვიულობდა,– ცუდი ამბებია მოსალოდნელიო. ასეც მოხდა! 30-ში გალიც მტრის ხელში აღმოჩნდა. ვეღარ მოვასწარით მისი და მისი ავადმყოფი მეუღლის გამოყვანა ოკუპირებული გალიდან. რაკიღა ვიცოდი ალიკოს ფიცხი ხასიათი და მისი ამაყი ბუნება, ლამის წინასწარ გამოვიგლოვე იგი. ალიკო აღარ შეეპუება მომხვდურებს და თავს შეაკლავს-მეთქი. და მართლაც, როცა კაზაკი „ბოევიკი“ ძარცვის დროს უდიერად მოექცა ახლადგარდაცვლილი მამის სურათს, იგი თურმე წინ აღუდგა მოძალადეს. კაზაკს ცხვირპირში ჩაურტყამს მუშტი და უღრიალია: გაჩუმდი, თორემ ახლავე დაგცხრილავო. “Ну и стреляй! Я и так растрелян!”

უშიშრად უპასუხია. შეხედა თურმე ამ ცალფეხ-ხელ წართმეულ კაცს და... უხმოდ გაეცალა! ეტყობა, სადღაც ნამუსის გრძნობამ გაიღვიძა ამ ავაზაკში.

... სამთვენახევარი გაუძლეს ჯოჯოხეთს ცოლ-ქმარმა, ანუ ყოველივე იმას, რაც გალში და მათ გულში ტრიალებდა. დაგვიხოცეს ახლო მეზობლები, გალის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, ასე ვთქვათ, უბრალო, ჩვეულებრივი, უდანაშაულო ადამიანები მხოლოდ იმის გამო, რომ... ქართველები იყვნენ!

რატომ დაგვატყდა თავს ეს უბედურება? რა დანაშაული მიგვიძღოდა ვინმეს წინაშე ისეთი, რომ ასე ბარბაროსულად, თვით ფაშისტებისთვისაც არგაგონილი სისასტიკით გასწორებოდნენ მშვიდობიან, უიარაღო მოსახლეობას? ვერა, ვერაფრით აგვეხსნა ეს „საიდუმლო“.

ჩემს მიერ ნაჩუქარ, ახალ, ქართველიშვილისეული გამოცემის „ვეფხისტყაოსანზე“, სასწაულებრივად რომ გადაარჩინა, შვილიშვილისთვის ჩემს ძმას ასეთი წარწერა აქვს გაკეთებული იმ ავბედით დღეებში: „...ეს წიგნი ეკუთვნის ალეკოაკო მამუკას-ძე არდაშელიას, რომელიც აჩუქა მისმა ბაბუდამ ციალა არდაშელიამ... მხოლოდ ამ წიგნის გადარჩენა შევძელი ჩვენი ბიბლიოთეკიდან. ირბევა და ნადგურდება გალი – მკვდარი ქალაქი. დღეს 29 ნოემბერია – ჩვენი გენოციდის ორი თვის თავი. მოვა დრო და ეს წიგნი გადაეცემა ადრესატს – ალეკო არდაშელიას... ჩვენი ოჯახის დიდი მეგობრის ალიოშა ქარდავას მეშვეობით (ქარდავების ოჯახში იყვნენ თითქმის სამი თვე თავშეფარებულნი ცოლ-ქმარი). თუ ჩვენ ვერ გადავურჩებით „ბოევიკების“ ტყვიას, შენ გადაუხადე კეთილ ადამიანებს სამაგიერო... მაგრამ მჯერა, რომ ჩვენ აუცილებლად გნახავთ შენ, მარიამს, მამუკას, ლელას, ნიკას და შენს დიდ მამიდას – ციალას, შენს საყვარელ დედიკოს ნინოს და ჩვენ ერთად, ალიოშას ოჯახთან ერ-

თად... ვიზეიმებთ ჩვენს განთავისუფლებას ჩვენი დაუძინებელი მტრისაგან. ღმერთმა აღასრულოს ეს ჩემი ნატვრა... გეხვევი, გკოცნი, ჩემო აკუნია, თუ ცოცხალს ვერ მომისწრებ, ჩემს სამარეში (თუკი მეღირსა დამარხვა) გულში მექნება ჩახუტებული შენი სურათი, რომელიც ტელევიზორის თავზე იდგა.

გაუმარჯოს მთლიან და დამოუკიდებელ საქართველოს, ამინ!

დაპყრობილი და განადგურებული ქალაქი გალი. 1993 წლის 29 ნოემბერი".

ეს წარწერა ერთ-ერთი უტყუარი დოკუმენტური მასალაა იმ ტრაგიკული ვითარებისა, გალში რომ დატრიალდა და რომელიც კომენტარს არც საჭიროებს,.

სამთვენახევრის შემდეგ, როგორღაც მოვახერხეთ თბილისში ავადმყოფი ცოლ-ქმრის გადმოყვანა დაპყრობილი გალიდან. ორ-სამ წელიწადში ორივე თბილისში გარდაიცვალა.

ჩემი ძმის გადარჩენილი ერთი ლექსის სტროფი ასე მთავრდება:

„დრო ულმობელია, დრო ულმობელია, ქარივით მიქრის და მიქრის. ვაი, რამდენი ჩაგყვება საფლავში ლოცვაც, ნატვრაც და ფიქრიც".

და მართლაც, ვინ იცის, რამდენი ნატვრა, ოცნება, ფიქრი და ლოცვა ჩაჰყვა უამრავ დახოცილ ადამიანს იმ ტრაგიკული მოვლენების მსხვერპლნი რომ შეიქმნენ, თუნდაც შემდგომ, 1998 წელს, სიკვდილის დღი რომ გაიმართა იმავე გალში, მის სოფლებში და მათ შორის ჩვენს მამაპაპეულ სოფელ – თაგილონში!

... დარწმუნებული ვარ, ჩემი ძმის სული აქ – თავის მშობლიურ, საყვარელ გალში ტრიალებს. სიკვდილის წინ თავის შვილიშვილს დაუბარა თურმე, როცა შესაძლებლობა გექნება, ჩემი ცხედარი გალში გადაასვენეო!

... სამძიმარი, სამძიმარი... მეტწილად თითქმის ქალებია დარჩენილნი სახლებში, ოჯახის ფუძეს რომ ინახავენ... საფრთხის მოლოდინის და შიშის მიუხედავად – არ ტოვებენ მამა-პაპის ადგილსამყოფელს... კაცები აღარ ჩანან: ბევრი მათგანი დაიღუპა... დახვრიტეს, დაიკარგნენ უგზო-უკვლოდ, ნაწილი ნარკომანი გახდა და თავშესაფარი აქ უპოვიათ: ჩვენი ახალგაზრდების სულიერი განადგურება ხომ მიზანთ-მიზანი გახლავთ ყოველი ჯურის ჩვენი მტრებისთვის.

... დროის სიმცრის გამო ვერ მივედი ჩემი ფიზიკის მასწავლებლის – ხუტა ფირცხალავას ოჯახში: იგი საკუთარი სახლის ჭიშკართან დაცხრილეს „ბოევიკებმა"... მახსოვს, პირველად ჩვენთან, ქალთა სკოლაში, მე-9 კლასში რომ შემოვიდა ახალგაზრდა კაცი – გაკვეთილის ჩასატარებლად – სულ ჭერში იცქირებოდა. ეტყობა, ამდენ უკვე წამოჩიტულ გოგოებს მორცხვობის გამო თვალებს ვერ უსწორებდა. ჩინებული ფიზიკოსი, პატიოსანი, წესიერი პედაგოგი – ასეთად დამამახსოვრად იგი. ვერც ემუხვარებთან მივედი, ჩვენი ისტორიის მასწავლებლის, პლატონ ემუხვარის ძმა – ვახტანგი – I საშუალო სკოლაში ასწავლიდა ისტორიას. მეორე მსოფლიო ომის საშინელ ქარტეხილებს გადარჩენილი – ისიც საკუთარ ეზოში მოკლეს გამხეცებულმა „ბოევიკებმა". ხოლო და-ძმა სიგუების შემზარავი ამბავი დღემდე არ მასვენებს: ორი ასაკოვანი პედაგოგი „ბოევიკებმა" ჯერ ძმის წინ გააუპატიურეს თურმე, მერე ძმაც და დებიც ერთად დახოცეს! ანუ: გაგრის, თუ ახალი დაბის მსგავსი საზარელი მხეცობანი ჩაიდინეს გალში მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ და ეს ხდებოდა მე-20 საუკუნის ბოლოს – დემოკრატიული, პროგრესული მსოფლიოს თვალწინ! თუმცა, მე-20 საუკუნეში იყო აგრეთვე ოსვენციმის ბანაკი, ბოლშევიკური გულაგები, ხიროსიმა და ნაგასაკი! დიახ, მე-20 საუკუნეში მოჭრილი თავებით იბურთავეს გაგრაში, დიახ, ფეხმძიმე ქალებს მუცლებს უფატრავდნენ და ნაყოფს – ანუ "გრუზინსკი უბლიუდოკს" – ნაკუწ-ნაკუწად ჭრიდნენ! მახსენდება ნიურბერგის პროცესზე შეძრწუნებულმა ერთმა ჟურნალისტმა რომ იყვირა თურმე: "ვივა ცივილიზაციავო!" მახსენდება აგრეთვე ფლობერის ცნობილი ფრაზა: "ოჰ, ეს ცივილიზაცია! ეს სანდომიანი, ურცხვი კახპა-ო!" ანუ ამაო ღაღადებად რჩება რუსოსნაირ მოაზროვნეთა მოწოდება: "ადამიანებო, იყავით ადამიანი!"

...ჩვენი ახლო მეზობლების – ბიძინა და ლუსია ოთხოზორიების ტრაგიკული ამბავი ჩემმა ძმამ მომიყვა, თბილისში გადმოსვლის შემდეგ. იმ დღეს, ვითომ გალის საზოგადოების კრება მოიწვიეს მომხვდურებმა – სიტყვით გამოსულა და... სიმართლე ულაპარაკნია! იმ დამეს ჩემს ძმასთან მისულა და უთქვამს დაღონებულს: ვიცი, ამას არ მაპატიებენო. და მართლაც: შუადამეს ოთხოზორიების სახლი გადაწვეს თურმე „ბოევიკებმა" და ცოლ-ქმარი შიგ ამოიბუგნენ. სამოციან წლებში მე და ბიძინა თითქმის ორი წელი ერთად ვმუშაობდით კომკავშირის რაიკომში. ის პირველი მდივანი იყო, სპეციალობით ისტორიკოსი გახლდათ და გამოირჩეოდა თავისი ერუდიციით, პატიოსნებით, თავაზიანობით, ადამიანების მიმართ კეთილგანწყობით. ამიტომაც, საერთო სიმპათიას იმსახურებდა. შემდეგ, წლების მერე, როცა ეროვნული მოძრაობა გაჩაღდა, როცა აფხაზეთში უკიდურესად დაიძაბა ვითარება – როცა ე.წ. „ლიხნის წერილი" ყველასთვის ცნობილი გახდა – მე, თბილისიდან, ოჯახური მდგომარეობის გამო, გალში ჩამოსულმა – შევაგულიანე ბიძინა – პარტიის რაიკომში ინსტრუქტორად რომ მუშაობდა – ჩვენც, აქ, გალში უნდა მოვაწყოთ მიტინგები-მეთქი. დამყაბულდა და ენთუზიაზმით შევუდექით კიდეც სამზადისს. ეს იყო 1989 წლის მარტის ბოლო რიცხვები. და აი, 2 აპრილს, გალში მართლა ჩატარდა მანამდე არნახული, გრანდიოზული მიტინგი. სოხუმიდან ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრებიც ჩამოვიდნენ. ხოლო

მსახიობმა დიმა ჯაიანმა მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა. ბიძინას ბედნიერი, კმაყოფილი სახე არასოდეს ამოიშლება ჩემი მეხსიერებიდან! ეს ჭეშმარიტი პატრიოტი, უსპეტაკესი კაცი შეეწირა რუსების მიერ ინსპირირებულ სეპარატისტების ავანტიურას!..

...ჩემი მასპინძლის, აბლოთიას სახლის წინ, ოთხოზორიების გადაბუგული სახლის ნაშთები მოჩანს, ეზოს კუთხეში კი – დედაჩემის ხელით დარგული ფიჭვის ხე იწონებს თავს: თურმე დედას ახლად დასახლებული ახალგაზრდა ოჯახისთვის უჩუქებია იგი, თავისი ხელით დაურგავს და თანაც დროდადრო თურმე თვითონ უსხამდა წყალს ნერგს – თქვენ ახალგაზრდები ხართ და შეიძლება მორწყვა დაგავიწყდეთო. ეს ამბავი დედაჩემის ორმოცზე თვითონ ბიძინამ მომიყვა – 1991 წლის აპრილში! 1993 წლის სექტემბერში კი – თავად დაიღუპა. ასეთია ხანდახან ცხოვრების პარადოქსები!

...ვერ მოვასწარი აგრეთვე ჩვენი შორეული მეზობლების – ჩქოტუების მონახულება: ცოლქმარი ასევე უმოწყალოდ დახოცეს მომხვდურებმა! და საერთოდ, იმდენი დაღუპული ნაცნობები და ახლობლები აღმოჩნდნენ გალში, რომ ერთი დღე კი არა – ერთი კვირა არ მეყოფოდა ალბათ სამძიმრისთვის... თუმცა სამძიმრები რა სახსენებელია იმ ტრაგედიებთან, რაც გალის მოსახლეობამ და არა მარტო გალის – განიცადა! და მაინც, ჩემი თანაკლასელი ლუიზა ანჩაბაძე არ შემიძლია არ გავიხსენო განსაკუთრებული გულისტკივილით – სოხუმში, თავის ბინის შესასვლელში რომ ჩაცხრილეს სეპარატისტებმა. ჩვენი ახტაჯანა ჯუხუ – ასე ვეძახდით შინაურულად, ნათელი გონებით და სილამაზით რომ იყო გამორჩეული – ნამეტანი ადრე რომ გაგვითხოვდა (მაშინ, 17-18 წლის გოგოს გათხოვება ნაადრევად მიიჩნეოდა). მისი მეუღლე – იგორ ხუბულავა – შესანიშნავი მომღერალი – გალის რაიონის თვითშემოქმედებით კოლექტივში ხშირად გამოდიოდა ხოლმე – უდროოდ გარდაიცვალა. ლუიზა ბავშვებიანად სოხუმში გადასახლდა და აი, ამდენი წლის შემდეგ, როგორც აქტიური ქართველი მანდილოსანი – პოეტ ეთერ ჯღამაძე-სამხარაძესავით – უმოწყალოდ დახვრიტეს!

... ჩვენი ახლო მეზობლის, ქარდავების სახლში, სადაც თავს აფარებდნენ ჩემი ძმა და რძალი, მხოლოდ ქალბატონი ნუცაა დარჩენილი! ბ-ნი ალიოშა კარგახანია ცოცხალი არ არის, ხოლო მისი ვაჟი მღვდლად ეკურთხა და მამა პიმენი ახლა სამების ტაძარში მოღვაწეობს! და საერთოდ, რომელი ერთი გავიხსენო? ჟილინ შონია, გენო ლაკერბაია, შოთა ყოლბაია, ოთარ გოგოხია თუ სხვანი და სხვანი? განსაკუთრებით გულს მიწიწკნის აგრეთვე ჩემი ძმისშვილის მამუკას მეგობრის – კარლო ხუფენიას ხვედრიც: – ეს საოცრად მშვიდი, ნაკითხი, თავაზიანი ბიჭი – რომ იტყვიან, ჭიანჭველას რომ არ დაადგამდა ფეხს – ოკუპირებულ გალში გარდაიცვალა – ვეღარ გაუძლო გულმა და... გაუსკდა! ჩემს ნათესავ ვახტანგ კეკუასთან ერთად თბილისში, მეზობლად ცხოვრობდა ნაქირავებ ბინაში და ხშირად მოდიოდა ჩვენთან. მახსოვს – რა თვალანთებული უსმენდა ხოლმე ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელებს, ჩემთან ბინაში რომ იკრიბებოდნენ ხშირად. უჩუმრად, უხმაუროდ უყვარდა თავისი ქვეყანა და... ვეღარ გაუძლო მისმა გულმა ამდენ სისასტიკეს, მხეცობებს, გაუბედურებული საყვარელი ქალაქის ხილვას და... დებს ჩააკვდა ხელში უეცრად, მოულოდნელად.

...გვიან საღამოს მე და პაატა მისი ორსართულიანი სახლის კიბის საფეხურზე ვისხედით და... დღის შთაბეჭდილებებით დამძიმებული, ვცდილობდი სათქმელისთვის თავი მომეყარა. სიცარიელის, მიტოვებულობის შეგრძნება... აუტანელი გახლდათ.

მთვარიანი ღამე იყო, წყნარი, მშვიდი. არ ცხელოდა, მაგრამ არც გრილოდა. გარშემო უკვე ყველას ეძინა – მათ შორის, ჩემს მასპინძლებსაც – პაატას გარდა, ცხადია; დავინტერესდი – თბილისიდან გადაცემას თუ უყურებენ გალელები-მეთქი. როგორ არა, ვუყურებთო – მიპასუხა. მერე აქეთური-იქეთური და მთავარ სათქმელს მივადექი: რა მდგომარეობაა ქალაქის სკოლებში და კერძოდ, ჩემს მე-2 საშუალო სკოლაში-მეთქი – შენ როგორღაც სხვა გზით წამომიყვანე, ანუ გვერდი ავუარეთ სკოლას-მეთქი? – ვკითხე.

– ვიცოდი, რომ გული გეტკინებოდა, – მპასუხობს იგი ფრთხილი ხმით: – გაპარტახებულია ორივე სკოლა. პირველი და მეორეც... და საერთოდ, ყველა!

– სწავლა ქართულ ენაზე, ცხადია, არ მიმდინარეობს, არა? – ვეკითხება ისევ.

– არა, რასაკვირველია. რუსულ ენაზეა... აქაიქ სოფლის სკოლებში ენთუზიასტი პედაგოგები ცდილობენ ქართულად ასწავლონ ბავშვებს... ყველაფერი გადაჰყავთ რუსულ ენაზე და ე.წ. აფხაზურზე... ამ ე.წ. აფხაზურზე ანუ აფსუურზე კი – მხოლოდ ოთხწლედი აქვთ!..

გულმოკლული ვუსმენ ამ ინფორმაციას... არადა, გალის რაიონი ყოველთვის ქართული კულტურის ციტადელი იყო მთელს აფხაზეთში. ჯერ კიდევ რევოლუციამდე, მეფის რუსეთის დროს მოახერხეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, პეტრე ჭარაიას მეცადინეობით – I სკოლაში ქართული ენის სწავლება შემოეღოთ, აკრძალული რომ იყო მთელს საქართველოში, და რასაკვირველია, აფხაზეთშიც. შემდეგ და შემდეგ კი – სწავლება მხოლოდ ქართულ ენაზე უნდა ყოფილიყო და... ასეც მოხდა!

...როგორც თბილისიდან, ისე ქუთაისიდან გალში ხშირად ჩამოდიოდა სხვადასხვა მხატვრული კოლექტივი, მათ შორის მარჯანიშვილის თეატრი, სუხიშვილების ანსამბლი, ქართული ლიტერატურისა და კულტურის თვალსაჩინო

მოღვაწეები... სოხუმის სახელგანთქმული ქართული თეატრი – ბრწყინვალე მსახიობებით რომ იყო დაკომპლექტებული, თითქმის ყოველ ზაფხულს მართავდა გალში გასტროლებს... ზემოთაც ვთქვი, თავად გალსაც ჰყავდა შესანიშნავი ანსამბლი – მომღერალთა და მოცეკვავეთა, რომლებიც ხშირად რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე საპრიზო ადგილს იკავებდნენ ხოლმე. მახსოვს, რა დიდებული შეხვედრა მოუწყვეს კულტურის სახლში გიორგი ლეონიძეს, კონსტანტინე გამსახურდიას... ნატო ვაჩნაძეს და სხვებს.

...გოგლა ლეონიძის საღამოზე ჩემმა ყოფილმა ქართულის მასწავლებელმა გულნარა ხაბურზანიამ, დევნილობაში რომ გარდაიცვალა, ბრწყინვალე სიტყვა უთხრა პოეტს. ახალგაზრობის სახელით მეც მხვდა პატივი სიტყვით მიმემართა ჩემი საყვარელი პოეტისთვის. აღელვებულმა პოეტმა, სიტყვის დამთავრების შემდეგ, გულში ჩამიკრა და შუბლზე მაკოცა!

შემდეგ, თვალცრემლიანმა განაცხადა – არ მეგონა თუ აქ, გალში, ასეთ ბრწყინვალე მოქართულეებს შევხვდებოდიო.

...ხოლო კონსტანტინე გამსახურდიამ მისთვის ჩვეული ენამახვილობით დაიპყრო აუდიტორია.

...კოხორის მეურნეობაში გამართულ ბანკეტზე კი ასეთი რამ მოხდა: სუფრას თამადობდა აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, რომელიც რუსულ ენაზე წარმოთქვამდა სადღეგრძელოებს.

როცა ბ-ონ კონსტანტინეს მოუწია სამადლობელო სიტყვის თქმა, მან განაცხადა: – მე არ მინდა ამ სუფრაზე რუსულ ენაზე ვილაპარაკო... მაგრამ თქვენ, პატივცემულო, რაკიდა ქართული არ იცით თურმე, ამიტომ მე – ასე ვთქვათ, მაინც კავკასიურ ენაზე, ანუ მეგრულად ვიტყვი სათქმელს. შენ კი, ბიჭო, – მიუბრუნდა გვერდზე მჯდომ შესანიშნავ აფხაზ პოეტს ვანო თარბას: – რასაც ვერ გაიგებს – უთარგმნეო!

ეს იყო თოფის გავარდნასავით – მთელი ხალხი გაისუსა. ბ-ნმა კონსტანტინემ, ვითომ აქ არაფერიაო, მეგრულად წარმოთქვა სამადლობელი სიტყვა (სხვათა შორის, შესანიშნავი მეგრულით, რომლის მსგავსი პირადად მე არასოდეს მომისმენია არავისგან). სიტყვის ბოლოს ბ-მა კონსტანტინემ ბრძანა: ისინი, ვინც აფხაზებსა და ქართველებს შორის მტრობას აღვივებს, ვინც სიძულვილს და შუღლს თესავს ჩვენს შორის – უწინარესად აფხაზების მტერია. და პირადად – ჩემიც! მტერს კი მე ხელში სატევრით შევხვდებიო. დაახლოებით ასე ლაპარაკობდა ბ-ნი კონსტანტინე. აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი კი თავჩაღუნული იჯდა და დარცხვენილი იერით უსმენდა შესანიშნავ ორატორს, რომელიც უწინარესად, სწორედ მის გასაგონად ამბობდა ამ სიტყვებს...

ეს იყო 1963 წელი. სეპარატისტული მოძრაობა უკვე ფეხს იდგამდა აფხაზეთში და ბოლოს, მოსახდენი მოხდა, რასაც, მისდა საბედნიეროდ, ბ-ონი კონსტანტინე არ შესწრებია! და რასაც ალბათ ვერც წარმოიდგენდა მაშინ.

...ვისხედით მე და პაატა და ხან რას ვიხსენებდით, ხან რას და უმთავრესად მაინც ორივეს ის ტენდენცია მიგვაჩნდა საყურადღებოდ, ყველაფრის მიუხედავად, ხალხი ნელ-ნელა რომ უბრუნდებოდა თავის ნაფუძარს. დიახ, მთავარი იყო, ხალხი არ გატეხილიყო, დაძაბუნებულიყო, ერთმანეთში ერთობა და თანადგომის სურვილი ჰქონოდათ და არა უთანხმოებანი. ამასთან, დიდად მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ ყაჩაღების ბანდები არ დასხმოდნენ საკუთარ ხალხს (ესეც ხდებოდა თურმე!) და ა.შ. და ა.შ. პატარა იმედი მაინც კიაფობდა, რომ მრავალჭირგადახდილი გალელები შესძლებდნენ უთანასწორო ბრძოლაში საბოლოოდ არ დაცემულიყვნენ და არ გადაშენებულიყვნენ!

მაგრამ... მაშინ, 2007 წლის ივლისში ვერც მე და ვერც პაატა ვერ ვიფიქრებდით, რომ თურმე უარესი უბედურება გველოდებოდა წინ, ვიდრე ის, რაც გამოვიარეთ: რომ წინ 2008 წლის აგვისტოს მოვლენები გვედო! ანუ: აუხდებოდა ოდინდელი ოცნება რუსეთს და აფხაზეთს საბოლოოდ ჩამოაჭრიდა საქართველოს და არა მხოლოდ აფხაზეთს – სართად მიიღებდა კოდორის ხეობასაც, შიდა ქართლსაც ახალგორითურთ – ანუ ოკუპანტი გორიდან ორ ნაბიჯზე იპარპაშებდა, საიდანაც ყოველ წუთს შეუძლია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შემაერთებელი გზის გაწყვეტა, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ!

ასეთ მძიმე მდგომარეობაში საქართველო თითქმის არასოდეს ყოფილა, თუმცა სისხლიანი საუკუნეების განმავლობაში ბევრი უბედურება დაატყდა თავს! კიდურებმოგლეჯილი, სისხლმდინარე ქვეყანა უკვე მერამდენედ აღმოჩნდა ყორნების საჯიჯგნი. ანუ:

დიახ, 21-ე საუკუნის დასაწყისში ორი „დამოუკიდებელი სახელმწიფო“ შეიქმნა საქართველოში! პერსპექტივაში – კიდევ უნდა დაქუცმაცდეს, ანუ: მეთოდურად, დაჟინებით ხორციელდება პროგრამა – გარედან ნაკარნახევ-დაწერილი: საქართველო – ქართველების გარეშე! ზოგი ჩვენი თანამემამულე, მათ შორის, ზოგიერთი ისტორიკოსიც კი – როგორც წარსულში, ისე დღესაც – განაგრძობენ “მრავალმნიშვნელოვან” დუმილს, ანუ: დამპყრობლის წისქვილზე წყლის დასხმას!

„ასი ათასსა აჯობებს, თუ გამორჩევით მქნელიაო,“ მაგრამ ჩვენს სინამდვილეში თითქმის შეუძლებელია საქმის გამორჩევით ანუ გონივრულად ქმნა, როცა ამდენი შინაგამცემი, ამდენი იუდა ისკარიოტელი გყავს – საკუთარი კეთილდღეობისთვის დაუფიქრებლად რომ შეუძლია ყელი გამოჭრას მშობელ დედას!

2010 წ.

P.S.

ამ რამდენიმე ხნის წინ შემატყობინეს პაატა აბლოთიას გარდაცვალების სამწუხარო ამბავი: ერთი გონიერი, პატრიოტი კაცი უდროოდ დაიღუპა, რაც არა მხოლოდ გალის საზოგადოების დანაკლისია! ერთადერთი ნუგეში ამ ტრაგედიაში ისაა, რომ შვილი დატოვა თავის მემკვიდრედ და, საერთოდ, ოჯახის შექმნა რომ მოასწრო (რისი პირობაც მომცა ამ რამდენიმე წლის წინ) და ამით ოდნავ მაინც შეუმსუბუქა ტკივილი თავის მოხუცებულ დედას, ძმას, ახლობლებს, გალელებს, ასე რომ იგლოვეს მისი ამ ქვეყნიდან უდროოდ წასვლა და რომელმაც ძალიან ბევრი კეთილი და კარგი საქმის გაკეთება შეძლო თავის კუთხისათვის ოკუპირებულ გალში, სადაც ახლა გამალებით მიმდინარეობს სამხედრო ბაზების, რუსული სკოლებისა და რუსული ეკლესიების მშენებლობანი, რათა რუსეთიდან ჩამოსახლებულმა მცხოვრებლებმა უფრო კომფორტულად, უფრო ლაღად იგრძნონ თავი დაპყრობილ ტერიტორიაზე – აფხაზეთის „დამოუკიდებელი“ სახელმწიფო რომ ჰქვია – სხვებისთვის თვალში ნაცრის შესაყრელად!

...აფხაზეთში „აღმშენებლობის“ პარალელურად, დანარჩენ საქართველოშიც “მშენებლობის” ისეთი ბუმია, რომლის მსგავსი მას თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე არ ჰქონია თურმე. თუნდაც რად ღირს ის გარემოება, რომ სოხუმის საპირწონედ ბათუმი უნდა “აღზევდეს,” ანუ წაიშალოს მისი ქართული იერ-სახე, რის გამოც იყო იგი განსაკუთრებულად მომხიბლავი და საყვარელი! უნდა აშენდეს ახალი გრანდიოზული ქალაქი – „ლაზიკა“. ეს იმ დროს, როცა მილიონ ნახევარი ქართველი გახიზნულია და ქვეყნიერების სხვადასხვა კუთხეში მონურ შრომას ეწევა, ხოლო საქართველოს მოსახლეობის თითქმის სამოცდაათი პროცენტი სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა და ა.შ. და ა.შ.

სამაგიეროდ: „სოფლის ჩვენებური აღმშენებლები“ არ „კმაობენ საკმაოთა, ნდომა მათი უზომ, უხვა“. თუმცა, ესეც კია: ეს სულით მდაბიორნი, იგივე ნუვორიშები – უნახავმა რა ნახაოს კასტა: „არ მარადის იშვას, მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით!“ ანუ: „საქმე უსამართლო ღმერთმან ვისმცა შეარჩინა“-ო! საერთოდ, რუსთაველის თქმითვე: „მიმნდონი საწუთროსანი, მისთა ნივთაგან რჩებიან, იშვებენ, მაგრამ უმუხთლოდ ბოლოდ ვერ მოურჩებიან!“

...ერთმა ჩემმა ახლობელმა ამასწინეებზე შემახსენა ძვ.წ.-ამდე მეშვიდე საუკუნეში მცხოვრები ბერძენი პოეტის ჰესიოდეს სიტყვები: ნეტავ, ამ დროს არ მეცხოვრაო! და მართლაც: იყო კი ოდესმე კაცობრიობის ისტორიაში ხანა, როცა პატიოსან, წესიერ, ნიჭიერ და მოაზროვნე ადამიანს ეცხოვრებოდა? ანუ: იყო კი ოდესმე “ოქროს ხანა”, ან თუნდაც ე.წ. ატლანტიდის პერიოდიო? და იქვე, სახელდახელოდ, მოიყვანა ციტატები ორმოცი საუკუნის წინ ეგვიპტის “მკვდართა წიგნიდან” და ლექსებიდან, სადაც გოდებაა და ჩივილი სოფლის უსამართლობაზე, მის ამაოებაზე, რომ არაფერი ვთქვათ “ეკლესიასტეს”, მეფსალმუნე დავით წინასწარმეტყველის თუ სხვათა და სხვათა, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის, მათ შორის, ჩვენი დიდი ქართველი მოაზროვნეების გამონათქვამებზეო! თუნდაც: ქრისტიანულ მრწამსზეო!..

ერთი რამ ცხადია: დღევანდელი კაცობრიობა კატასტროფის ზღვარზეა (უკვე მერამდენედ!), როგორც ზნეობრივი, ისე ფიზიკური არსებობის თვალსაზრისით, ანუ: მორიგი აპოკალიფსისის წინაშე ხომ არ დგას იგიო – კითხულობენ მავანნი და მავანნი. და მართლაც, ისე ხომ არ გამოდის, რომ: “მხოლოდ გონიერი არსებანი ადარ ისწრაფვიან ერთმანეთისკენ, მხოლოდ მათ შორის არ სუფევს ერთსულოვნება”-ო. – ჯერ კიდევ როდის აღნიშნავდა ამ გარემოებას კაცთა შორის უგონიერესი და უკეთილშობილესი პიროვნება – მარკუს ავრელიუსი? და კიდევ: მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის რჩეული შვილები – ადამინთა უგუნურობით შეძრწუნებულნი?

როგორც ამბობენ – სიყვარულის დეფიციტია თურმე ქვეყნიერებაზე! ანუ: კაცთა მოდგმის არსებობის უმთავრესი პირობა – სიყვარული საგანგებოდ ხომ არ გამოაცალეს კაცობრიობას გარკვეულმა ძალებმა, მსოფლიოს რომ განაგებენ დღეს? არადა, აკი: “უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე!” აკი: “თვით უკვდავებაც არ არსებობს უსიყვარულოდ!”

ადამიანთა სიყვარულის გამო ხომ ჯვარს ეცვა... თვით მაცხოვარიც!

... მე კი ისღა დამრჩენია, რომ ისევ უნდა მივმართო ყველა დროის გენიოს უილიამ შექსპირს და მისი სიტყვებით გამოვთქვა ჩემი დარდი და წუხილი ყოველივე იმის გამო, რაც ხდება: „ფიქრთა სამსაჯვრო როს მოუხმობს დღეებს გარდასულს, ყმაწვილკაცობა დაკარგული მომაგონდება, ვიგონებ წუთებს განუქარველ დარდით დაღდასმულს და ჩემთვის ძვირფას აჩრდილებზე ვიწყებ გოდებას. თვალნი დამშრალნი იღვრებიან ცრემლით მდუღარით, მეგობრებს ჩემსას რომ ახურავთ კუბოს ფიცარი – მიწაზე დავრჩი, სიყვარულის ფიქრით მწუხარი, მიწამ წაიღო სახელები დასაფიცარი. და მეც ნაღველი გარდასული ისევ მანაღვლებს, ძველი დარდებით დაკოდილი რამ დამამშვიდოს, სულის ჭრილობებს, მოშუშებულს, ისევ ვანახლებ, საფლავს წასულნი კვლავ გამიხდნენ საპანაშვიდო“.

2012 წელი.

ქოლგის გახსენება...

„აქაც ჯაი ჯაცი იყო,
იქ ნათელი დაადგესა..."

ნოდარ ადეიშვილი

სანთლების ყანა

ისეა, როგორც ვნატრობდით,
ის ერთი ნატვრაც სრულდება,
სამოთხის თეთრი ჩიტები
ფრენენ და
ფრენენ გუნდებად.
სანთლების ყანა ამოდის,
სანთლების ყანა პურდება...
კაი ლოცვით და გალობით,
ვინ თქვა, არ გაზაფხულდება.

სიხარულმა გამიხსენა

ვინატრე და ამოთენდა,
ამომწვანდა, ამობრწყინდა,
ჩვენი ძველისძველი მცხეთა,
ჩემი ძველი ყოვლადწმინდა.
სიხარულმა გამიხსენა,
სიყვარულმა გამიტყუა...
ისევ თეთრი ჩიტის სტვენა
საყდარსა და საყდარს შუა.
ჰოდა, ცა რომ მესინათლა,
იმ მტრედისფერ ცას ვუგალობ...
ალუბალო, მზე შინა და
მზე გარეთა, ალუბალო!

გულამდე ატანს...

როდისღა გერქვა ნეტავ ედემი,
როდისღა გვასხდა მხრებზე მტრედები...
მწარეა ჩვენი გულის სიმღერა,
თხელია ჩვენი ციხის კედელი...
მიდის დავითი, ფეხის ხმა მესმის,
მიდის თამარი, ფეხის ხმა მესმის,
გურამიშვილის ჩამესმის ლექსი,
ბარათაშვილის ჩამესმის ლექსი.

ცრემლის ხმაზე ვცნობ
ყველას, ვინც არი...
თხელია
ჩვენი ციხის კედელი,
გულამდე ატანს ყველა ისარი.

მგზავრები

ყველამ თავისი დროშა გაშალა,
ყველამ თქვა ქება თავის მთა-ბარის...
მეც გამოვაღე ჩემი ფანჯარა,
მეც გადმოვფინე ჩემი ზღაპარი.

და მოვეფერე ჩემს სვეტიცხოველს:
როგორ წმინდაა, როგორ მტკიცეა...
და გული მტკივა,
რომ არ მიცნობენ,
და როგორ მიყვარს, რომ არ იციან.

ექსპრომტი

ვერც რა ია, ვერც რა ვარდი
ვერ გადამყრის გულის დარდებს,
ან საერთოდ რატომ გავჩნდი,
ანდა შენზე ასე ადრე...
მაინც გავშლი,
ან დაგიჭერ,
ან ჩავტოვებ წყალში ბადეს.

გაზაფხულია...

გაზაფხულია, რამე ინატრე,
განა ყოველთვის გაგაწბილებენ,
განა ყოველთვის ცას და სინათლეს
თვალახვეული ანაწილებენ...

ხედავ? იებმა გადაგირბინეს,
შეგაბეს ყელზე ლურჯი ეჟვნები...
აწი საითაც უნდა გაფრინდე,
შენ არავისში არ შემეშლები.

წინაპართა ხმები

მაცალეთ, ხატი გავჭედო,
ხმალი გავჭედო, ვიქროლო,
მოვიმცხეთ-მოვიქაშვეთო,
მოვიქართლ-მოვიდიდგორო...

ყანა – როდემდის მეჩხერი,
ცხენი – როდემდის უნალო...

მერე თქვენ თქვენთვის,
მე – ჩემთვის,
უხმლო, უხინჯო, უვალო.

იმ დროს...

იმ დროს, როდესაც ამსხვრევდნენ რითმას
და ნამსხვრევებში ტიროდა სტვირი,
შენ ისევ იყავ მდიდარი, რითაც
მდიდარი იყო წინაპრის სკივრი.
შენთვის კვლავ ერქვა
მზისფერი – მზისფერს,
მინდორი – მინდორს, გუთანი – გუთანს
და იდექ შენი რიონის პირზე
და წერდი ასე –კარგად თუ ცუდად:
– თუ არც მდიდარი ვინმე ვარ,
აღარც ღარიბი ყმა ვარო,
ციდან რომ წვიმა იბნევა,
ზოგჯერ იმ წვიმას ვგავარო,
მინდა, შენს პეშვზე დავლევ სულს,
მინდა, კვლავ ცაში ავალო.

მკათათვე

ლხინიც ახლავსო ამ დღეებს, მაგრამ,
მითხარ, მოსალხენს რას ყვება ქარი!
აი, ის ლურჯი ყვავილიც ჩაქრა,
ჩაქრობაზეა ის ფიჭვის კვარიც.
ჟონავს სინათლე მკათათვის ღრუბლებს
და წყაროს პირას ვზივარ ეულად,
აქ ამ ჩიტივით მეც მქონდა ბუდე,–
დამდგარა ჟამი
და დანგრეულა.

სანთლები და...

ვხატავ მცხეთის გაზაფხულს
და დროც მაქვს,
ყველა ტოტი ვთქვა: დილის და კვირტის,
მოვეფერო ყვავილების მოსვლას,
თეთრ ყვავილებს,
ჭრელ ყვავილებს მინდვრის,
ვაზის ბწკალზე – ჭიანჭველის ცოცვას,
ღელის პირას – ფეხაკრეფას ნისლის...
ამაღამ რომ
ამნაირად მოჩანს,
რა იქნება
ეს ქვეყანა დღისით?!

მოვა ის დრო...

ეს ვარდებიც წავა თივად,
რაც არ უნდა ვემუდაროთ...
მოვა თოვლი, მოვა წვიმა,
მოვა სევდა, დედუფალო.

უკვე ვუცქერ დაღლილ ედემს,
შიგ მერცხლების შემკრთალ გროვას.
მოვა ის დროც,
რომლის შემდეგ
სიყვარული აღარ მოვა.

მეფის ასული

ქვეყნად რაც უნდა ბედი გწყალობდეს,
რაც უნდა ვარსკვლავს ტყუპისცალობდე,
აქეთ წახვიდე, ვეღარ მობრუნდე,–
მაფრთხილებს ყველა, ამ გზით წასული,
მაგრამ შენ მაინც აქეთ მაქეზებ,
გაუცინარი მეფის ასული.

და მეც ვთვლი გზა-გზა
ვერცხლისფერ ჩიტებს
იმ მაშინდელი სიზმარ-ზღაპრების...

და მეცხრე ცამდე აზიდულ კიბეს
მივუყვები და
მივიზაფრები.

წყაროსთან

რა იქნა სიყრმის წყალობა,–
სურვილი ცაში ქროლვის...
შეყვარებული ვარო და
შაშვი, კაკაბი, გნოლი
დაჰკაკანებდნენ წყაროსთან
თეთრი ვარდების გროვას...
არც მე ვჩქარობდი წამოსვლას,–
მოსწყურდება და მოვა.

წავალ, სანთელს ავანთებ...

წელან ისე დაღამდა,
ალბათ არ გათენდება,
წავალ, სანთელს ავანთებ,
თუმცა სანამ ენთება?

არც მზეს ძალუძს,
არც მთვარეს
ამ ცის გამოკეთება...

ნანობს ჩიტი ჩიორა
გულში შემოფეთებას.

სიმღერა

სოფლის თავს სამი წყაროა,
სამი სარკეა, ლელი,

ერთში შენ ჩანხარ,
ერთში – მე,
ერთშიც – პეპელა ჭრელი.

ვისია ცისკრის ციაგი,
ვარდი – ტურფა და მწველი...

გიყვარვარ – რა უბრალოა,
მიყვარხარ – რარიგ ძნელი.

მხარე, სადაც....

ეს რა მაღალ ღობეს ღობავ,
გული ისეც მეხურება...
გადაფრინდნენ, გადმოფრინდნენ,
ფრთა გაშალონ ბედურებმა.

ჩიტიც
ცოლი არ გეგონოს,
ჩიტს სხვა მხარეც ეგულება,
მხარე, სადაც მის ნებაზე
ეყვარება, ეძულება...
... ...
ქმარი მაღალ ღობეს ღობავს,
ცოლი იღბალს ემდურება.

ალბათ სჯობდა...

ჩემი დარდი სხვა დარდია,–
სხვა თალხების ნარჩენია...
ჯერ ისეც რა მაბადია,
ან რაცა მაქვს, რა ჩემია.
არ ჩამევლო ალბათ სჯობდა,
როცა ვუცქერ ამ გზას ჩავლილს...
ჩემი კვალი ამა სოფლად –
ისე, როგორც
წყალზე კვალი.

დაუსტვინე, ჩიტო!

თეთრი ჩიტი შემჭკნარ იასამანზე
შეფრინდა და
ჩემს სადარდელს უსტვენს...
ქარის ფრთებზე გამიჭერით სამარე,
ია-ია დამაფინეთ გულზე.

დღესაც მე ვარ, თუკი რამეს ვითხოვ,
დღესაც შენ ხარ, თუკი რამეს მპირდები.

დაუსტვინე,
დაუსტვინე, ჩიტო!
ნეტავ უფრო ბევრი იყოთ ჩიტები.

სამი ფერის ნანა

მისდევს შუკას სამი გოგო,
სამი ფერის ნანა,
უცქერის და უმარგლელი
რჩება სამ ბიჭს ყანა.
თავს უშველეთ, გოგონებო,
თავს უშველეთ, თორემ

წაგართმევენ მაგ სახელებს,
დაგარქმევენ ცოლებს....

– ცირა, წყალი!
– ცირა, ღვინო!
– ცირა, ცხელი თონე!

რომ ამ ჩიტივით...

არ ვმალავ,
ან რა დასამალია,
რომ კვლავ მიყვარხარ, როგორც მიყვარდი
და კვლავ გავძახი: – ოქროს ნისკარტი! –
ჩიტს, დილის ზეცა რომ აბარია...

ასე ვაწებებ სტრიქონზე სტრიქონს
და სიმღერებით კარს ვუმტვრევ საკანს,

რომ, ამ ჩიტივით, შენც ცაში იყო
და არასოდეს
სხვასთან და
სხვაგან.

ისევ მოდი...

წუხელ მაინც მთვარის ეტლმა
რა ღვთის მხარეს გამიტყუა,
რანაირად წკრიალებდი
ვარსკვლავსა და ვარსკვლავს შუა...
... ...
საღამოზე
იმ წყაროსთან
ისევ მოვალ, ისევ მოდი...
ნეტავ არ დამძინებოდა,
ნეტავ არ დამსიზმრებოდი.

მივედი და მივეფერე

მიყვარდი და არ გიყვარდი,
თეთრო გოგო, ფოფინაო,
ვარდი ვნახე, ბრიალებდა,
სხვისი ვარდი ყოფილაო.
ჩიტი ვნახე, წკრიალებდა,
სხვისი ჩიტი ყოფილაო,
ღელის პირას ცაცხვი ხმება,
ნისლზე ჩამოყრდნობილაო...
მივედი და
მივეფერე,
თეთრო გოგო,
ფოფინაო.

ბავშვობის სურათთან

გაფრინდი,
შეგრჩა ყველა სიამე,
ყველა ცხადი და ყველა ზღაპარი...
ხანდახან ახლაც ჩაიშრიალებ
ჩემს ღამეებში, მაგრამ სად არის
იმდროინდელი ცა და სიზმარი,–
თეთრი ჩიტები, თეთრი გალია...
მეზობლის გოგო წყევლას გიგზავნის,
შენ ლოცვად გესმის და გიხარია.

და მაინც...

შენს მოლოდინში ბროლის კოშკს ვაგებ,
შენს მოლოდინში მეცხრე ცას ვწვდები
და არაფერი ძალით და განგებ,
სუყველაფერი განგების ნებით.
სუყველაფერი იმ საყდრის ხათრით,
მდინარის პირას რომ დგას და ბრწყინავს...
და წყალზე ისევ მცურავი ხატი
და მკლავზე ისევ ნანატრი წვიმა...
და მაინც, ჩემო ყუმურის წყალო,
შენს ნაპირებთან წყურვილით ვკვდები,
ხანდახან როგორ არაფრის გამო
ყვავიან ხოლმე მამულის მთები!

სულს მოეწყინა...

სულს მოეწყინა თოვლი და თოვა,
თვალს – თეთრი მთა და ველი,
ხომ ვიცი, ამ დროს არავინ მოვა
მე მაინც გიცდი, ლელი!
და ღმერთმა ნუ ქნას,
სულ ასე იყოს,
არ იყოს სადმე მარტიც,
ჟამი, როდესაც
თოვლწაყრილ სტრიქონს
იის სურნელი ასდის.

და დღემდე ასე...

სხვებმა რაც უნდა ის თქვან და წერონ,
შენ ჩემთვის მუდამ იმ ცის იქნები,
ხანდახან ფრთას რომ შემოჰკრავს წერო
და გადმოსცვივა თეთრი ფიფქები.

და შენც ნუ მეტყვი, თუ როსმე იყო
ქვეყნად ცალ-ცალკე ტბა და ლერწმები,

ალაზნის ველზე –
ვაზი და ჭიგო,
ენგურის თავზე – ცა და მერცხლები.

უმთვარო ღამე

როგორ სხვა იყო ეს მხარე წინათ,
როგორ ღვთის იყვნენ მათი ხიზნებიც ...
ვინ მოაბერტყა ფანჯრებს ეს წვიმა,
ვინ მოახვია სვეტებს ნისლები?!
სად არის ახლა ის სიმთა ბრწყინვა,
ან მთვარის ტოტზე ჭრელი ციცრები ...
მე განა ახლა
ძილისთვის მძინავს? –
არამედ მისთვის, რომ ... მესიზმრები!

ჩემო მერცხალო...

ისევ მოფრინდი, ჩემო მერცხალო?
ისევ გაცდუნეს ამ მთა-გორებმა?
ან შენ დედულო, ზამთრით შემკრთალო,
ახლა მოსულო იის კონებად.
ისევ ერთად ვართ? ისევ გიყვარვარ?
ისევ ვერაფერს ვერ გახდა მტერი?..
ჩვენმა სამებამ ისევ იკმარა?
ისევ ასწია გალობამ ჭერი?
ეს დღე, რომელიც ღვთისგან ამენთო,
არ მინდა, ცრემლით რომ დამეცვაროს...
ან ვის რას უშლის შენი სამეფო
ამ აივნიდან, ჩემო მერცხალო!

რამეთუ გჯერა...

რა მოგივიდა,
რა ფერგაცრეცილს
გხატავენ ახლა შენი მხატვრები...
თუმცა, მზე სადაც უნდა გაგექცეს,
ღამეს მაინც ვერ მიემატები,
რამეთუ გჯერა, რომ ვარდის შტო ხარ
და მეორედაც რომ მოხვალ ზეცით...

ოღონდ
დღეს რა ვქნათ მე და ამ ქოხმა,
ციოდეს მაინც, დაგინთოთ ცეცხლი.

ქრონიკა

ადამ და ევას დღიურები

ინგლისურიდან თარგმნა

გია სართანიამ



მარკ ტვენი

(ხელნაწერის ნაწყვეტები თარგმნილია ორიგინალიდან **მარკ ტვენის** მიერ.)

"შენიშვნა – ამ დღიურის ნაწილი რამდენიმე წლის წინ ვთარგმნე. ერთმა ჩემმა მეგობარმა მყრალ ტირაჟით მისი არასრული ტექსტიც კი გამოსცა, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოება მას დღემდე არ იცნობს. ახლახან, კვლავ გავშიფრე ადამის ბატიფეხური და ვფიქრობ, ეს ჩანაწერი ნამდვილად იმსახურებს მკითხველის ყურადღებას" *(თქვენი მარკ ტვენი).*

ადამის დღიური

ორშაბათი

ახალი, გრძელთმიანი არსება მოსვენებას არ მაძლევს, კუდში დამდევს და არ მშორდება. მარტობას ვარ ჩვეული და ეს ამბავი ძალიან არ მომწონს. ნეტავ, სხვა ცხოველებთან რჩებოდეს.

მოღრუბლული დღეა და აღმოსავლეთის ქარი ქრის, ვფიქრობ, იწვიმებს... სად გავიგე ეს სიტყვა?.. ჰო, გამახსენდა – ახალი არსება ხმარობს.

სამშაბათი

დიდი ჩანჩქერის სანახავად ვიყავი წასული. მგონი, ამ მიწაზე ეს ყველაზე კარგი რამაა. ახალი არსება ნიაგარას ეძახის – ნეტავ რატომ? მგონი, არც თვითონ იცის. იძახის, ნიაგარას ჩანჩქერს ჰგავსო. მერე რა? ეგ არაფერს ნიშნავს. ხეპრეა და გონებაჩლუნგი.

ოთხშაბათი

წვიმისგან თავის დასაცავად საფარი ავიშენე, მაგრამ ჩემ გემოზე არც იქ დამაყენა და შემომეჭრა. გაგდება რომ დავუპირე, იმ ხვრელებიდან, საიდანაც ხედავს, წყალი გამოუშვა, თათით შეიმშრალა და ისეთი ყვირილი მორთო, როგორც ცხოველები ყვირიან, როცა უჭირთ.

არ ლაპარაკობდეს მაინც. საერთოდ არ ჩერდება. გამოდის, თითქოს დავცინი და ზემოდან ვუყურებ საბრალოს. სულაც არა. მის გამოჩენამდე კაციშვილის ხმა არ გამიგია და ყოველი უცხო ბგერა, რომელიც ამ განმარტოვებულ, წმინდა და საოცარ სიწყარეში იჭრება, ყურს მჭრის და ყალბი მეჩვენება. მისი ხმა კი სულ ახლოდან მესმის – ხან მხართან, ხან ყურთან, ხან ერთ და ხან მეორე მხარეს. მე კი მხოლოდ ისეთ ხმებსა ვარ ჩვეული, რომლებიც ჩემამდე შორიდან აღწევს.

პარასკევი

სახელების შერქმევა კვლავ უაზროდ გრძელდება. ამას ვერაფერს ვუხერხებ. ადგილისთვის მშვენიერი, ლამაზი და მუსიკალური სახელი მქონდა შერჩეული – ე დ ე მ ი ს ბ ა ღ ი. გულში, ახლაც ასე ვეძახი, ხმამაღლა კი – აღარ. ახალი არსება იძახის, ეს ტყეები და კლდე, ლანდშაფტია და ბაღთან არაფერი აქვს საერთოო. პარკს ჰგავს და სხვა არაფერსო. ბოლოს და ბოლოს, ჩემ დაუკითხავად, ახალი სახელიც მოუგონა – ნ ი ა გ ა რ ა ს ჩ ა ნ ჩ ქ ე რ ი ს პ ა რ კ ი. ვფიქრობ, მისი მხრიდან ეს დიდი ქედმაღლობაა. უკვე წარწერაც გაჩნდა: ბალახზე არ იაროთ! თავს ბედნიერად ვეღარ ვგრძნობ.

შაბათი

ახალი არსება ძალიან ბევრ ხილს ჭამს. ალბათ, მალე მთელი ჩვენი მარაგი ამოგვეწურება. ისევ „ჩვენი“ ვიხმარე, ეს სიტყვა, ამდენი მოსმენისგან, უკვე ჩემიც გახდა.

ნისლიანი დილაა. არ მიყვარს ნისლში სიარული. მას კი – პირიქით. ყოველგვარ ამინდში დაიარება, ტალახიან ნაფეხურებს ტოვებს ხოლმე და გაუჩერებლად ლაპარაკობს.

ო, რა სიწყნარე იყო აქ მის გამოჩენამდე!

კვირა

გადავრჩი.

კვირა დღე სულ უფრო აუტანელი ხდება. ეს დღე დასვენებისთვის გასულ ნოემბერს შეირჩა. იქამდე, ექვსი დასვენების დღე მქონდა.

ახალი არსება დილიდან ქვებს ესროდა აკრძალულ ხეს, ვაშლი რომ ჩამოეგდო.

ორშაბათი

ამბობს, ევა მქვიაო. იყოს ევა, არაფერი მაქვს საწინააღმდეგო. თუ გინდა მოვიდე, ასე დამიძახეო. არ არის-მეთქი საჭირო, ვუთხარი. ამ სიტყვამ, აშკარად, მისი პატივისცემა დაიმსახურა. მართლაც, ლამაზი სიტყვაა და ხშირად უნდა ვიმეორო.

ისევ რაღაცას მიხსნის. არა მგონია, მართალი იყოს, თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს?! ოღონდ მომეშვას და თავისთვის იყოს.

სამშაბათი

აქაურობა საშინელი სახელებით და შეურაცხმყოფელი წარწერებით ააჭრელა: მორევისკენ – აქეთ! თხის კუნძულისკენ – იქით! ქარების გამოქვაბულისკენ!

ამბობს, ეს პარკი კარგი საზაფხულო აგარაკი იქნებოდაო. კიდევ ერთი მისი ხუშტური – სიტყვები, სიტყვები და მარტო უაზრო სიტყვები. ნეტავ, რა არის „საზაფხულო აგარაკი“? ისეთი ცხარე ახსნა უყვარს, სჯობს, არ ვკითხო.

პარასკევი

მთხოვა, ჩანჩქერს ნუ გადაცურავო. ნეტავ, რა უშავდება ამით? თქვა, იქ რომ მიდიხარ, მბურძგლავსო. უცნაურია. ნეტავ, რატომ? ჩანჩქერზე ყოველთვის ვცურავდი. მომწონს ყვინთვა და სიგრილე. ვფიქრობ, ჩანჩქერი სწორედ ამისთვისაა შექმნილი. ეტყობა, სხვა დანიშნულება არც აქვს და რაღაცისთვის ხომ უნდა შეექმნათ?! იძახის, ხედისთვის არისო. ჩანჩქერში კასრით შეევდი და არც ეს მოეწონა. ვარცლით რომ ვცადე შეცურვა, არც ის ეამა, როცა მორევი და წყალვარდნილი ლეღვის ფოთლის საცურაო კოსტუმით გადავცურე, ლეღვის ფოთოლი გავაფუჭე და მისი საშინელი წუწუნის ატანა მომიხდა. ხელფეხშეკრული ვარ და გარემოს გამოცვლა მჭირდება.

კვირა

გასულ სამშაბათს, დამით, გავიპარე და მთელი ორი დღე ვიარე. მერე, ერთ უდაბურ ადგილას ავაშენე საფარი და ჩემი ნაკვალევის წაშლაც კი ვცადე. იქაც მომაგნო. ის მხეცი დაეხმარა, რომელიც მიიჩვია და მგელს ეძახის. როცა მიპოვა, საშინელი ხმა ამოუშვა და იმ ხვრელებიდან, საიდანაც ხედავს, წყალი გამოაფრქვია.

რა უნდა მექნა?! დავბრუნდი, მაგრამ ახლაც გაქცევაზე ვფიქრობ და თუ საშუალება მომეცა, ასე მოვიქცევი.

შაბათი

უამრავ სისულელეზე ფიქრობს. მაგალითად, ძალიან აინტერესებს, რატომ ცხოვრობენ მხეცები, ლომებს და ვეფხვებს რომ ეძახის, ბალახსა და ყვავილებში. მისი თქმით, მათ ისეთი კბილები და კლანჭები აქვთ, რომელთა დანიშნულება ერთმანეთის და სხვა არსებების გლეჯაა. რა სისულელეა! ასე რომ იყოს, ამ მხეცებს სხვა მხეცების მოკვლა მოუხდებოდათ, მოკვლა კი, მგონი „სიკვდილს“ ნიშნავს. სიკვდილი კი ჩვენს პარკში ჯერ არ შემოსულა. თუმცა, ერთის მხრივ, ეს დასანანიც კია.

ორშაბათი

მივხვდი, კვირა რისთვისაა მოგონილი. მგონი, იმისთვის, რომ ამ დღეს დაღლილობისგან დაისვენო. ეს ძალიან კარგი აზრი მგონია...

ისევ ეცადა ვაშლის ხეზე აძრომას, მერე კი ქვებს უშენდა, ნაყოფი რომ ჩამოეგდო. თქვა, მაინც ვერავინ მხედავსო. ეტყობა, კარგი გამართლება ჰგონია. ეს ვუთხარი კიდეც. მგონი, სიტყვა „გამართლება“-მ მისი განცვიფრება და შური გამოიწვია. მართლა კარგი სიტყვაა, მეც მომწონს.

სამშაბათი

დღეს თქვა, შენი ნეკნისგან ვარ გაკეთებულიო. ეჭვი მეპარება. ყველა ნეკნი ადგილზე მაქვს... კაკაჩას ამბავი აღელვებს, ამბობს, ბალახით კვება არ შეუძლია, ბალახს ცუდად აღიქვამსო. ეშინია, რომ მის განკურნებას ვერ შეძლებს. მისი აზრით, კაკაჩა მძორით უნდა იკვებებოდეს. რას იზამს, რაც არის, იმით მოუწევს.

შაბათი

გუშინ ტბაში ჩავარდა, რომელშიც თავის თავს აკვირდებოდა. მუდამ ასე აკეთებს ხოლმე. კინაღამ დაიხრჩო. მერე იძახდა, ძალიან ცუდი იყოო; ამიტომ, წყლის ბინადრები შეეცოდა, ისინი, თევზებს რომ ეძახის. სახელს ისევ ყველაფერს არქმევს, ისეთ არსებასაც კი, რასაც სახელი სულ

არ სჭირდება. ძალიან ჩლუნგია და ეს სულაც არ აღელვებს.

წუხელ, ბევრი თევზი დაიჭირა და ლოგინში ჩამიგდო, თბილად იყვნენო. მთელი დღე მაგ თევზებს ვხედავ და არა მგონია, ჩემ ლოგინში თავი უფრო ბედნიერად ეგრძნოთ, ვიდრე წყალში. იქნებ, ოდნავ მშვიდად და წყნარად გამოიყურებიან. დაღამდება თუ არა, გარეთ მოვისვრი. თევზებთან ძილი არ მინდა. წებოვანი არიან და შიშველ ტანზე მათი შეგრძნება აუტანელია.

კვირა

დრო როგორღაც გავიყვანე.

სამშაბათი

ახლა გველს გადაეკიდა და ამით სხვა ცხოველები გაახარა, რადგან განუწყვეტლივ მათზე ექსპერიმენტებს ატარებს და ყველას თავი მოაბეზრა. მეც მიხარია, რადგან გველმა ლაპარაკი იცის და ეს ცოტა დასვენების საშუალებას მაძლევს.

პარასკევი

თქვა, გველმა მირჩია, ვაშლი გასინჯე და ეს დიდ ცოდნას მოგიტანსო. ვუთხარი, ამით სამყარო სიკვდილს გაიცნობს-მეთქი. ვგრძნობ, ეს არ უნდა მეთქვა. სიფრთხილე უნდა გამომეჩინა. ამან იმ აზრამდე მიიყვანა, რომ კაკაჩას განკურნავდა და დაღვრემილ ვეფხვებს და ლომებს უმი ხორცით გამოკვებავდა. მაინც ვურჩიე, იმ ხეს არ მიკარებოდა. არც ვიფიქრებო, დამპირდა. რაღაც ცუდს მიგრძნობს გული. აქედან უნდა წავიდე.

ოთხშაბათი

დიდი ცვლილებები მოხდა. იმ ღამით ცხენს მოვახტი და გამოვიპარე. ჭენებ-ჭენებით ვიარე, სანამ ცხენი არ დაიქანცა. უსიამოვნების დაწყებამდე მინდოდა გავცლოდი პარკს და სადმე სხვაგან დამედო ბინა. თურმე, ჩემს სურვილს ასრულება არ ეწერა.

მზის ამოსვლისას, ყვავილებით დაფარულ დაბლობს მივუყვებოდი, სადაც ათასობით ცხოველი მშვიდად ძოვდა ბალახს, თვლემდა ან თავს თამაშით ირთობდა. უცებ, ცხოველები დაფეთიანდნენ და წამში იქაურობას უბედურება დაატყდა – ერთმანეთს დაერივნენ. მაშინვე მივხვდი, რაში იყო საქმე – ევამ ვაშლი გასინჯა და ქვეყანას სიკვდილი მოევლინა.

ვეფხვებმა ჩემი ცხენი შესანსლეს და ალბათ მეც მიმაყოლებდნენ, დროზე რომ არ გავცლოდი იქაურობას.

პარკის გარეთ ერთი ადგილი ვიპოვე და რამდენიმე დღით კარგად მოვეწყვე. ევამ იქაც მიპოვა. იმ ადგილს ტონავარა შეარქვა – თქვა, ტონავარას გავსო. უნდა გამოვტყდე, მაინცდამაინც არ დამწყდა გული. იმ ადგილას საკვებად ვარგისი ბევრი ვერაფერი იყო, ევამ კი თან რამდენიმე ვაშლი მოიტანა. იძულებული ვიყავი მეჭამა. სხვა რა გზა მქონდა? მშიოდა. ეს საქციელი ჩემ პრინციპებს ეწინააღმდეგება, თუმცა მივხვდი, თუ მშიერი ხარ, პრინციპები ძალას კარგავენ...

ევა ტოტებით და ფოთლებით შემოსილი მოვიდა. ყველაფერი მოვაშორე და ძირს დავყარე. ვკითხე, ეს უაზრობა რას ნიშნავს-მეთქი, ხითხითს მოჰყვა და გაწითლდა. მანამდე ვინმეს ხითხითი და გაწითლება არ მენახა. დიდ სისულელედ მომეჩვენა ეს ამბავი. ევამ მითხრა, მალე თვითონაც გაიგებ, ეს როგორ ხდებაო და ასეც მოხდა. მოკბეჩილი ვაშლი მიწაზე დავდე თუ არა, ჩამოცვენილი ყლორტებით და ფოთლებით თავის შემოსვა დავიწყე. ამას რომ მოვრჩი, ევას ვუბრძანე, წასულიყო და კიდევ მოეტანა ვაშლი. მოიტანა. მერე, იმ ადგილს მივაშურეთ, სადაც ცოტა ხნის წინ ცხოველებმა დაგლიჯეს ერთმანეთი და ტყავები შევაგროვეთ. იმ ტყავებისგან ევას რამდენიმე ხელი სამოსი გავუკეთე, იმ სამოსით გამოჩენა სირცხვილი არ იქნებოდა. საკმაოდ მოუხერხებელი სამოსი გამოვიდა, თუმცა ძალიან მოდური. ტანსაცმელში კი სწორედ მოდურობაა მთავარი.

ევა კარგი კომპანიონია. ვხვდები, მის გარეშე ჩემი სამფლობელოს დაკარგვის შემდეგ რა მარტოსული და მიუსაფარი ვიქნებოდი. მითხრა, ერთიც არისო ნაბრძანები – მუშაობა მოგვიწევსო. ეს იმას ნიშნავს, რომ ევა იმუშავებს, მე კი ვუხელმძღვანელებ და მითითებებს მივცემ.

ათი დღის შემდეგ

ევა თვლის, რომ ჩვენ თავზე დატრიალებული უბედურების მიზეზი მე ვარ! მგონი, მართლა სჯერა, რომ აკრძალული ხე ვაშლი კი არა, წაბლია. ეს გველმა მითხრაო. უდანაშაულო ვარ-მეთქი, ვუთხარი, რადგან წაბლიც არ მიჭამია. მან კი – „წაბლი“ გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვაა, რომელიც ძველ და გაცვეთილ ხუმრობას ნიშნავსო. ამის გაგონებაზე გავფითრდი.

თავის დროზე, მოწყენილობის გასაფანტად, ბევრს ვხუმრობდი და ზოგი ხუმრობა მართლაც ძველი და გაცვეთილი შეიძლება ყოფილიყო. ცხადია, როცა ჩემ ხუმრობებს ვიგონებდი, ასე არ ვთვლიდი.

ევამ მკითხა, იმ უბედურების დროს რამე ხუმრობა ხომ არ მოგიგონიაო? გამახსენდა, ჩანჩქერს ვუყურებდი და ჩემს თავს ვუთხარი: „კარგი სანახავია, როცა ამდენი წყალი ასე იღვრება!“ მერე კი, უცებ, სხვა აზრმაც გამიელვა თავში და ისიც ხმამაღლა გამოვთქვი: „უკეთესი იქნება, ეს წყალი ქვემოდან ზემოთ რომ ისხმებოდეს!“ როცა ეს გავიფიქრე, სიცილი ამიტყდა და სწორედ მაშინ დატრიალდა ის უბედურება და მეც თავს ვუშველე.

„აი“, გამარჯვებული სახით წარმოსთქვა ევამ, „ამ ხუმრობაშია საქმე. გველმა სწორედ ეს იგულისხმა და შენ ხუმრობას პირველი წაბლი უწოდა. ისიც თქვა, ეს ხუმრობა დედამიწის თანატოლიაო“.

დიახ, დამნაშავე მე ვყოფილვარ. ნეტავ, ეს აზრი არ მომსვლოდა თავში და არ მეოხუნჯა!

შემდეგ წელს

კაენი დავარქვით. ევას ტყეში უპოვია, ჩვენი საფარიდან რამდენიმე მილის დაშორებით, როცა მე ტბის ჩრდილოეთ სანაპიროს შესასწავლად და ხაფანგების დასაგებად ვიყავი წასული. ზუსტად სად დაიჭირა, არც ახსოვს.

რაღაცით ჩვენ ჩამოგვგავს, იქნებ, მონათესავე არსებაც იყოს. ყოველ შემთხვევაში, ევა ასე თვლის.

ჩემი აზრით, ცდება. ამას ზომაში განსხვავება მაფიქრებინებს. რაღაც ახალი ჯიშის ცხოველი უნდა იყოს, იქნებ, თევზიც. წყალში რომ ჩავსვი, ჩაიძირა, ევამ კი ისკუპა და იქამდე ამოიყვანა, სანამ ჩემი ცდა რაიმე დასკვნის გაკეთების საშუალებას მომცემდა. ახლაც თევზი მგონია, თუმცა ევას არ აინტერესებს, რა არის და არც მასზე რამე დაკვირვებების ჩატარების ნებას მაძლევს. ნეტავ, რატომ?

ამ არსების გამოჩენამ, როგორც ჩანს, ევას ბუნება შეცვალა და ყველანაირი ცდის და ექსპერიმენტის ჩატარების სურვილი გაუქრო. ის უფრო მეტად ზრუნავს მასზე, ვიდრე რომელიმე სხვა ცხოველზე, თუმცა, ამის მიზეზის ახსნა არ შეუძლია.

არა. ევას ნამდვილად გონება დაებინდა. ყველაფერი ამაზე მეტყველებს. ზოგჯერ, ეს თევზი მთელი ღამე ხელით დააქვს, როცა წუხს და წყალში გაშვებას ითხოვს. ამ დროს ღრმულებიდან, საიდანაც ხედავს, ევას წყალი გადმოსდის და თევზს ზურგზე ეფერება, პირით კი, მის დასამშვიდებლად, ნაზ ბგერებს გამოსცემს. ყოველმხრივ ცდილობს, თევზს დარდი და მარტოობა შეუმსუბუქოს.

სხვა არსებას ასე არასდროს ექცეოდა და ეს ძალიან მაფიქრებს. მახსენდება, ვეფხვის ბოკვრებიც ასე ხელით დაჭყავდა და იმათაც ეთამაშებოდა, სანამ ჩვენ სამფლობელოს დავკარგავდით, მაგრამ ის მხოლოდ თამაში იყო და მეტი არაფერი. ამ თევზივით კი არც ერთ სხვა არსებას არ ელოლიავებოდა.

კვირა

კვირაობით ევა არ მუშაობს. სულ წევს, ზედ თევზს დაიწვენს და ეთამაშება. მის საამებლად სულელურ ბგერებს გამოსცემს, ხან კი, თითქოს თითს უღეჭავსო და ეს თვითონაც მოსწონს.

მეც შემიყვარდა კვირა დღე. ძალიან მღლის და მადუნებს ექვსდღიანი მბრძანებლობა და მუშაობის თვალყურის დევნება. ნეტავ, უფრო მეტი კვირა დღე იყოს. ძველ დროს, კვირა დღეც აუტანელი იყო, ახლა კი, ნამდვილად სასარგებლოა.

ოთხშაბათი

თევზი არ არის. თუმცა, რა არის, ვერ გამიგია. საშინელ ხმებს გამოსცემს, როცა რაღაც არ მოსწონს და სულ „მიდი-მიდი“-ს კივის, როცა უხარია. ჩვენნაირი ნამდვილად არ არის, რადგან სიარული არ შეუძლია; არც ფრინველია – ფრენა არ შეუძლია; არც ბაყაყი – ვერ ხტის და არც გველი – არ დაცოცავს.

დარწმუნებული ვარ, თევზი არ არის, თუმცა ჯერ ვერ გავარკვიე, ცურვა შეუძლია თუ არა. თითქმის სულ წევს და თათები ზევით აქვს აწეული. აქამდე არც ერთი ცხოველისთვის ასეთი ქცევა არ შემიმჩნევია.

ერთხელ ვთქვი კიდეც, ძალიან უცნაური მწერი ან რაღაც გამოცანაა-მეთქი, მაგრამ ევას მარტო სიტყვა „ძალიან“ მოეწონა ისე, რომ მის მნიშვნელობაშიც არ გარკვეულა. მე კი ეს არსება მართლაც რაღაც გამოცანა ან მწერი მგონია. თუ მოკვდა, ნაწილ-ნაწილ გავსინჯავ და გავარკვევ, როგორაა აგებული. ასე ჯერ არაფერს დავუბნევივარ.

სამი თვის შემდეგ

ჩემი დაბნეულობა მატულობს. თითქმის სულ არ მძინავს. წოლას თავი ანება და უფრო ხშირად ოთხ ფეხზე მიდი-მოდის აქეთ-იქით. სხვა ოთხფეხებისგან ძალიან განსხვავდება. წინა ფეხები მოკლე აქვს. ამიტომ, უკანალი ზემოთ აქვს ხოლმე აბზეკილი და ეს სულაც არ არის კარგი სანახავი.

აგებულებით ჩვენ ჩამოგვგავს, თუმცა, გადაადგილების წესი იმაზე მიუთითებს, რომ სხვა ჯიშისაა.

მოკლე წინა და გრძელი უკანა კიდურები კი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ის კენგურუს ოჯახიდანაა, თუმცა, ამ ჯიშის არც თუ კლასიკური ნიშნები გააჩნია. კენგურუ დახტუნავს, ის კი არა.

მაინც, ძალიან საინტერესო და დღემდე შეუსწავლელი არსებაა.

რადგან მე ადმოვაჩინე, ალბათ, ამ ადმოჩენის დასაკუთრების და მისთვის ჩემი სახელის დარქმევის უფლებაც მქონდა. ამიტომ, „ადამისებური კენგურუ“ დავარქვი... როგორც ჩანს, ევამ რომ დაიჭირა, პატარა იყო, ახლა კი გაიზარდა. ხუთჯერ უფრო დიდი იქნება, ვიდრე თავიდან იყო და ოცჯერ ან ოცდაათჯერ უფრო ხმამაღლა კივის. ძალდატანება მასზე არ ჭრის. საწინააღმდეგო ეფექტსაც კი იძლევა. ამიტომ, შევწყვიტე ძალის გამოყენება. ევა მის შემორიგებას თხოვნით და სხვადასხვა საგნების მიცემით ცდილობს.

როგორც ვთქვი, შინ არ ვიყავი, როცა ჩვენთან პირველად გამოჩნდა. ევამ თქვა, ტყეში ვიპოვეო. უცნაურია, მხოლოდ ერთი რომ იყო, თუმცა, ალბათ, ასეც იქნებოდა.

ჩემი კოლექციის შესავსებად, ან თუნდაც მასთან სათამაშოდ, დიდხანს და ამაოდ ვეძებდი ტყეში მის მსგავს არსებას. ახლაც დარწმუნებული ვარ, ორნი რომ ყოფილიყვნენ, უფრო ჩუმად იქნებოდნენ და მათი გაძლებაც არ იქნებოდა ასე ძნელი. ვერც მსგავსი არსება ვიპოვე, და ვერც მის კვალს წავაწყდი სადმე.

ჩემი ფიქრით, ეს ცხოველი მიწაზე უნდა ცხოვრობდეს და საკმაოდ უსუსურია. ბევრი ხაფანგი დავაგე და ათასობით პატარა ცხოველი დავიჭირე – ისინი ხაფანგში ცნობისმოყვარეობის გამო უფრო ებმებოდნენ, – მაგრამ მისი მსგავსი არაფერი შემხვედრია.

სამი თვის შემდეგ

ევას კენგურუ სულ უფრო იზრდება. ძალიან მაწუხებს ეს ამბავი და თან უცნაურიც მეჩვენება. არაფრისთვის შემიმჩნევია ასეთი ზრდა. ახლა ბეწვიც აქვს თავზე, ისეთი კი არა, როგორც კენგურუს, ჩვენს თმას უფრო წააგავს. სხვაობა იმაშია, რომ მისი თმა უფრო ლამაზი და ნაზია, ფერი კი, შავის ნაცვლად, უფრო მოწითალო აქვს.

ამ უცნაური და არნახული ზოოლოგიური არსების შემყურემ, ლამის გონება დავკარგო, ნეტავ, ერთი მსგავსი არსება მაინც დამაჭერინა! თუმცა, იმედი არა მაქვს. ეს რაღაც ახალი ქვეჯგუფი უნდა იყოს და ისიც, ერთადერთ ეგზემპლარად. ნამდვილი კენგურუ დავიჭირე და იმ ფიქრით წამოვიყვანე, რომ ეს ცხოველი – ასე მარტოსული და გაუბედურებული – სხვა ჯიშის არსებებთან გაერთობოდა, თავს უკეთ იგრძნობდა და დაუმეგობრდებოდა კიდეც.

ჩემი მოლოდინი არ გამართლდა – კენგურუს დანახვაზე ისეთი საშინელი შეტევა მოუვიდა, რომ დავრწმუნდი, კენგურუ არასდროს ენახა. კი მეცოდება, მაგრამ თავი რომ ოდნავ უკეთესად იგრძნოს, არაფერი შემიძლია.

ნეტავ, მისი მოშინაურება შეიძლებოდეს! თუმცა, არც ამას აქვს აზრი – რაც უფრო ვცდილობდი ამის გაკეთებას, მით უფრო აუტანელი ხდებოდა. გული მტკივა, როცა მის ტანჯვა-წამებას ვუყურებ.

ერთი პირობა ვიფიქრე, გავუშვებ-მეთქი, მაგრამ ევას ამის გაგონებაც არ უნდა. ალბათ, სისასტიკე იქნებოდა და ევა მართალი იყო. ხომ შეიძლება, თავის ნებაზე მიშვებულმა, უფრო მარტოსულად და უბედურად იგრძნოს თავი? თუ მე ვერ ვიპოვე მისი მსგავსი არსება, ის როგორღა იპოვიდა?!

ხუთი თვის შემდეგ

კენგურუ ნამდვილად არ არის. შეუძლია ევას თითს მოეკიდოს და რამდენიმე ნაბიჯი უკანა ფეხებზე დამდგარმა გაიაროს, სანამ დავარდება. ახლა უფრო დათვს ჰგავს, მაგრამ არც კუდი აქვს და არც ბალანი, თავზე თუ არაფერს ვიტყვით. ზრდას განაგრძნობს და ესაა ყველაზე უცნაური. ჩვენ თავზე დატრიალებული უბედურების შემდეგ, დათვი ძალიან საშიში ცხოველია და ჩემთვის სასიამოვნო არ იქნება, თუ ასეთი ცხოველი ჩვენი საფარის გარშემო იხეტიალებს.

ევას ვუთხარი, გაუშვი და კენგურუს მოგიყვან-მეთქი, მაგრამ ცივი უარი მითხრა. დარწმუნებული ვარ, ევას ჩვენი საფრთხეში ჩაგდება უნდა.

ორი კვირის შემდეგ

პირი შევუმოწმე. საშიშროება ჯერ არ გვემუქრება, მარტო ერთი კბილი აქვს. კუდიც არ ამოსვლია. უფრო მეტს ხმაურობს, ვიდრე ადრე, განსაკუთრებით ღამე. ლოგინი გარეთ გავიტანე. დილაობით რომ შევალ ხოლმე, სასაუზმოდ, კბილებსაც მაშინ გავუსინჯავ. როცა პირი კბილებით გაევსება, მისი წასვლის დროც დადგება. რა მნიშვნელობა აქვს, ექნება თუ არა კუდი. იმისთვის, რომ საშიში იყოს, დათვს კუდი სულ არ სჭირდება.

ოთხი თვის შემდეგ

მთელი ერთი თვე ნადირობასა და თევზაობაში გავატარე, იმ მხარეში, რომელსაც ევა, რატომდაც, ბუფალოს ეძახის. იქნებ იმიტომ, რომ იქ ვერც ერთ ბიზონს ვერ ნახავ.

ამასობაში, დათვს უკანა ფეხებზე დამოუკიდებლად სიარული უსწავლია და სულ „მამა“–„დედა“-ს გაიძახის. ეჭვი არ არის, რაღაც ახალი სახეობის წარმომადგენელია. სიტყვების მსგავსი ბგერების წარმოთქმა, შესაძლოა, შემთხვევითიც იყოს. ამ ბგერებს ხომ მისთვის არც აზრი აქვთ და არც მნიშვნელობა. ასეც რომ იყოს ყველაფერი, მაინც უცნაურია. დათვი ამას ვერ გააკეთებს. ლაპარაკის იმიტირება, თუ ბალნისა და კუდის არქონას დავამატებთ, იმაზე მეტყველებს, რომ ეს ახალი სახეობის დათვია, რომლის საფუძვლიანი შესწავლა უამრავი საინტერესო აღმოჩენის მომცემი იქნებოდა.

შორეულ ექსპედიციაში წასვლას ვაპირებ, ჩრდილოეთის ტყეებში. იქ დიდხანს დავრჩები და არა მგონია, მის მსგავს ცხოველს სადმე არ გადავაწყდე. ეგეც ნაკლებად საშიში იქნება, თუ მისი ჯიშის მეწყვილე ეყოლება. ახლავე უნდა გავუდგე გზას, თუმცა, იქამდე ამას პირი უნდა ავუკრა ან სხვა რამ მოვიფიქრო, ევას რამე რომ არ ავნოს.

სამი თვის შემდეგ

საშინლად დამღლელი ნადირობა იყო. თანაც, უშედეგო.

ევას კი გაუმართლა. შინიდან გაუსვლელად მოახერხა ამ ჯიშის მეორე ცხოველის დაჭერა. იღბალიც ამას ჰქვია! ასი წელიც რომ გამეტარებინა უღრან ტყეებში, ამას ვერ მოვახერხებდი.

მომდევნო დღე

ახალ ცხოველს ძველს ვადარებდი და დავასკვენი, რომ ორივე ერთ ჯიშს განეკუთვნება. ერთი მათგანის ფიტულის გაკეთება მინდოდა ჩემი კოლექციისთვის, მაგრამ ევა სასტიკი წინააღმდეგია. დავუთმე. ახლაც მჯერა და მწამს, რომ ამ სახეობის უკვალოდ გაქრობა მეცნიერებისთვის დიდი დანაკარგი იქნება.

უფროსი საკმაოდ მოშინაურდა, სიცილი და თუთიყუშივით ლაპარაკი იცის. ეს კი, უეჭველია, თუთიყუშთან დიდი ხნის ყოფნისა და მისი მაღალგანვითარებული იმიტაციური უნარის წყალობით ხდება. არ გამიკვირდება, თუ ახალი სახეობის თუთიყუში აღმოჩნდება, თუმცა, არც სხვა რამ გამაკვირვებს იმის მერე, რაც ეს არსება თევზი მეგონა. მეორეც ისეთი უშნოა, როგორც პირველი იყო თავიდან. მომწვანო-მოყვითალო კანის ფერი და უბალნო თავი აქვს. ევა აბელს ეძახის.

ათი წლის შემდეგ

ბიჭები ყოფილან. კარგა ხანია, ეს აღმოვაჩინეთ. მათმა მოულოდნელმა გამოჩენამ და უცნაურმა გარეგნობამ დაგვაბნია. უჩვეულო იყო და იმიტომ.

ახლა, გოგოებიც გვყავს. აბელი ძალიან კარგი ბიჭია, კაენი კი, ალბათ, სჯობდა, დათვი ყოფილიყო. უფრო მოუხდებოდა.

ამდენი წელი გავიდა და ვიცი, რომ ევაში ძალიან ვცდებოდი. ედემის ბაღში მარტო ცხოვრებას, მის გარეთ ევასთან ცხოვრება მირჩევნია. ადრე თუ ვფიქრობდი, რომ ბევრს ლაპარაკობდა, ახლა მწარედ ვინანებ, თუ დადუმდება და ჩემი ცხოვრებიდან გაქრება. დალოცვილი იყოს ის „წაბლი“, რომელმაც ჩვენ დაგვაახლოვა, მე კი, ევას გულის სითბო და სულის სიკეთე შემაგრძნობინა!

ევას დღიური

შაბათი

უკვე თითქმის ერთი დღის ვარ, გუშინ გავჩნდი. ყოველ შემთხვევაში, ასეთი შეგრძნება მაქვს. ასეც იქნება, თორემ ეს რომ გუშინწინ მომხდარიყო, მემახსოვრებოდა. როცა ეს მოხდა, არ ვიყავი. არა, იქნებ ვიყავი კიდეც და ვერ ვიგრძენი. ძალიან კარგი, თუ ასეა. ახლა უფრო ყურადღებით ვიქნები და თუ გუშინწინ მოხდება რამე, კარგად დავიმახსოვრებ. უკეთესია, თუ რაღაცის გაკეთებას სწორად დაიწყებ და ჩანაწერი არ აირევა, რადგან რაღაც მეუბნება, რომ ამ მოვლენებს ოდესმე ისტორიკოსებისთვის დიდი მნიშვნელობა ექნება. თავს ექსპერიმენტის მონაწილედ ვგრძნობ, რაღაც უცნაური ექსპერიმენტის და ჩემზე მეტად თავს ამ ექსპერიმენტის მონაწილედ ვერავინ იგრძნობდა. ასე რომ, სულ უფრო მეტად ვრწმუნდები, რომ ექსპერიმენტი ვარ, ექსპერიმენტი და სხვა არაფერი.

თუ ექსპერიმენტი ვარ, მხოლოდ მე ვარ ეს ექსპერიმენტი? არა. ასე არ იქნება. ჩემი აზრით, მთავარი ექსპერიმენტი ვარ, სხვა ყველაფერი კი მისი ნაწილი იქნება. არ ვიცი, თავი დავიმშვიდო თუ სიფრთხილე გამოვიჩინო და ყველაფერი ვაკონტროლო? ალბათ, მეორე გზა უნდა ავირჩიო. რაღაც მეუბნება, რომ გამუდმებული სიფრთხილე რჩეულთა ხვედრია (მგონი, ჩემნაირი ახალი არსებისთვის მშვენიერი გამონათქვამია).

დღეს ყველაფერი უკეთესია, ვიდრე გუშინ იყო. მთები უსწორმასწორო და ულამაზო იყო, ზოგი ნაგვით და ნარჩენებით დაფარული დაბლობი კი, – მძიმე სანახავი. დიდებული ხელოვნების ნიმუშის შექმნას სიჩქარე არ უხდება, ეს საოცარი ახალი სამყარო კი ნამდვილად უკეთილშობილესი და უმშვენიერესი ქმნილებაა. თითქმის უნაკლოა და მიუხედავად იმისა, რომ ასე მოკლე დროშია შექმნილი. ზოგ ადგილას ზედმეტად ბევრი ვარსკვლავია, ზოგან კი აკლია. თუმცა, ეჭვი არ მეპარება, ყველაფერს ეშველება. მთვარე ციდან ჩამოგორდა და სქემიდან ამოვარდა – გული მეკუმშება, როცა ამაზე ვფიქრობ, დიდი დანაკარგია. მთვარეს, ცის ორნამენტებსა და მორთულობაში, სილამაზითა და დასრულებულობით, ნამდვილად ვერაფერი შეედრება. ეტყობა, უფრო მკვიდრად უნდა ყოფილიყო დამაგრებული. ნეტავ შეიძლებოდეს მისი უკან დაბრუნება...

ცხადია, არავინ იცის, სად გაქრა. თანაც, ვინც არ უნდა იპოვოს, ნამდვილად გადამალავს; დარწმუნებული ვარ, იმიტომ, რომ მეც რომ ვიპოვო, ასე მოვიქცევი. სხვა შემთხვევაში პატიოსნად მოვიქცეოდი, თუმცა ვხვდები, რომ ჩემი ბუნების არსი მშვენიერების სიყვარულია და ძნელი იქნებოდა ჩემი ნდობა იმ შემთხვევაში, თუ სხვისი კუთვნილი მთვარე ხელში ჩამივარდებოდა და ეს პატრონს არ ეცოდინებოდა. ალბათ, დღისით რომ მეპოვა მთვარე, ხელს არ მოვკიდებდი, ვინმეს რომ არ დავენახე, მაგრამ სიბნელეში რომ მეპოვა, დარწმუნებული ვარ, მიზეზს მოვნახავდი,

ეს ამბავი რომ დამემალა. მთვარეები ძალიან მიყვარს, ძალიან ლამაზი და რომანტიულია. ნეტავ, ხუთი ან ექვსი მთვარე მაინც ყოფილიყო. ღამე არ დავიძინებდი, რბილ ხავსზე ვიწვებოდი და მთვარის ცქერით არ დავიღლებოდი.

ვარსკვლავებიც კარგია. ნეტავ შემეძლოს რამდენიმეს მოწყვეტა და თმაში ჩამაგრება. ალბათ, ამას ვერ შევძლებ. ძალიან გაგიკვირდებათ, თუ გაიგებთ, რა შორსაა. თუმცა, ასე არ ჩანს. პირველად რომ დავინახე, წუხელ, ჭოკით ვცადე რამდენიმე ვარსკვლავის ჩამოგდება, მაგრამ ვერ მოვახერხე. ძალიან გამიკვირდა. მერე თიხის ბელტებს ვესროდი, მაგრამ ვერც ერთი ვერ მივაწვდინე, სანამ არ დავიქანცე. ალბათ, იმიტომ, რომ ცაცია ვარ და მიზანში კარგად ვერ ვისვრი. მაშინაც კი, როცა სხვას ვუმიზნებდი, ბელტი სხვა ვარსკვლავისკენ მიფრინავდა და არაფერი გამომივიდა. რამდენიმე ნასროლი მიზანთან ახლოს იყო, ორმოცჯერ თუ ორმოცდაათჯერ დავინახე კიდეც, რომ ბელტმა ზუსტად ოქროსფერი ნათების შუაგულში შეაღწია, თუმცა მაინც არ მოხვდა. ცდა რომ გამაგრძელებინა, შეიძლება ერთი ვარსკვლავი მაინც ჩამომეგდო.

ცოტა ვიტირე კიდეც, ეს ჩემს ასაკში ბუნებრივია. მერე, რომ დავისვენე, კალათი ავიღე და იმ ადგილისკენ გავწიე, სადაც მიწა თავდებოდა და ვარსკვლავებიც უფრო ახლოს იყო და მათ მოწყვეტას ფრთხილად შევძლებდი ისე, რომ არ დამემსხვრია. თუმცა, ის ადგილი გაცილებით შორს ყოფილა, ვიდრე ვვარაუდობდი და ჩემს განზრახვაზე ხელი ავიღე. ისეთი დაქანცული ვიყავი, რომ ერთი ზედმეტი ნაბიჯის გადადგმაც არ შემეძლო. თანაც, ფეხები დაწყლულებული მქონდა და საშინლად მტკიოდა.

სახლშიც ვერ დავბრუნდი. ძალიან შორს ვიყავი, თანაც, აცივდა. ბედად, რამდენიმე ვეფხვს გადავეყარე, მათ შორის მოვკალათდი და მშვენივრად მოვეწყე. მათი სუნთქვა საამო და მშვენიერი იყო, რადგან ხენდროს ბუჩქნარში ცხოვრობენ და ამ კენკრით იკვებებიან. მანამდე ვეფხვები არ მენახა, მაგრამ წუთში ვიცანი, რადგან ზოლები ჰქონდათ. ასეთი ტყავი რომ მქონოდა, მშვენიერ სამოსს გავიკეთებდი.

დღეს უკეთ გავერკვიე მანძილში. ყველაფრისთვის ხელის ჩავლება მინდოდა, რაც ლამაზად და მოხდენილად მეჩვენებოდა. ზოგჯერ, ეს საგანი ძალზე შორს იყო, ზოგჯერ კი – ახლოს, რამდენიმე დუიმის დაშორებით, თუმცა ეს მანძილი მთელ ფუტადაც კი მეჩვენებოდა. სამწუხაროდ, ეკალბარდში გახვეულმა, ერთი რამ ვისწავლე, ასე ვთქვათ, თავში აქსიომაც კი მოვიგონე – ჩემი პირველი აქსიომა. აი, ასეთი: გაკაწრულ ექსპერიმენტს ეკლის ეშინია. ვფიქრობ, ჩემისთანა ნორჩი არსებისთვის მშვენიერი ნათქვამია.

მეორე ცდაც ჩავატარე, გუშინ, ნაშუადღევს, შორი მანძილიდან. მინდოდა გამერკვია, რისთვის იყო შექმნილი. ვერ მოვახერხე. მგონი, მამაკაცია. მამაკაცი ცხოვრებაში არ მინახავს, მაგრამ ის უნდა იყოს. დარწმუნებული ვარ, რომ ის იქნება. ვგრძნობ, გაცილებით მეტ ცნობისმოყვარეობას აღმიძრავს, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეწარმავალი. ქვეწარმავალი მგონია, რადგან ჭუჭყიანი თმა აქვს, ლურჯი თვალები და ქვეწარმავალივით გამოიყურება. თეძო არა აქვს, ტანი თანდათანობით უვიწროვდება და სტაფილოს მოგაგონებთ. როცა ფეხზე დგას, ორკაპივით იშლება და ამიტომ ვფიქრობ, რომ ქვეწარმავალია, თუმცა, შეიძლება, რაღაც ნაგებობაც კი იყოს.

თავიდან მისი შემეშინდა. როგორც კი გამოჩნდებოდა, გავრბოდი. მეგონა, გამომიდგებოდა, თანდათ ნდობით შევეჩვიე და მივხვდი, რომ ჩემგან შორს გაცლას ცდილობდა. ასე რომ, ამის მერე აღარ ვერიდებოდი და მის დადევნებას ვცდილობდი. საათობით მივდევდი, რამდენიმე იარდის დაშორებით, რაც საშინლად უბედურს ხდიდა. ერთხელ, ისე შეეშინდა, რომ ხეზეც კი აძვრა. რამდენიმე საათს იმ ხის ქვეშ ველოდი, მერე კი მომბეზრდა, ხელი ჩავიქნიე და შინ წავედი.

დღესაც იგივე განმეორდა და ისევ ხეზე აძვრა.

კვირა

ჯერ კიდევ ხეზეა, ეტყობა, ისვენებს. ამაში რაღა ეშმაკობაა: კვირა დასვენების დღე არაა. ამ მიზნით შაბათი დღე შეირჩა. მე მგონი, ყველაზე მეტად დასვენება აინტერესებს. ამდენი დასვენება ნამდვილად დამღლიდა. აქ ჯდომამ და ხის თვალთვალმაც კი დამღალა. ნეტავ, რისთვისაა შექმნილი? არ მინახავს, რომ რამეს აკეთებდეს.

წუხელ მთვარე დააბრუნეს და ძალიან ბედნიერი ვარ. ვფიქრობ, პატიოსნად მოიქცნენ. მთვარე ნელ-ნელა ისევ ჩაეშვა და გაქრა, თუმცა ამას ჩემზე მძიმე შთაბეჭდილება არ მოუხდენია. არ არის წუხილის მიზეზი მაშინ, როცა ასეთი მეზობლები გვყავს. ისევ დააბრუნებენ. ნეტავ რამის გაკეთება შემეძლოს იმისთვის, ჩემი მადლიერება რომ გამოვხატო. რამდენიმე ვარსკვლავსაც კი გავუგზავნიდი. ჩემთვის საკმაოდ ბევრი ვარსკვლავია. ქვეწარმავალს კი ასეთი რამეები არაფრად უღრის.

მდარე გემოვნებისაა და სიკეთეც არა აქვს. გუშინ საღამოს, როცა იქ ჩავედი, დავინახე, როგორ ფორთხავდა და ცდილობდა გუბურაში მოთამაშე პატარა წინწკლებიანი თევზების დაჭერას. იძულებული ვიყავი, დამეფრთხო, რომ თევზებისთვის თავი დაენებებინა და ისევ ხეზე ამძვრალიყო. ნეტავ, ამისთვის გაჩნდა? გული არა აქვს? ეს პატარა არსებები სულ არ ეცოდება? ასეთი უკეთურობისთვისაა შექმნილი? ასე ჩანს. მიწის ბელტებს ვესროდი და ერთი თავში მოხვდა. ლაპარაკი ცოდნია. ამან ამაღელვა. საკუთარი თავის გარდა სხვისი ლაპარაკი არ მსმე-

ნია. სიტყვების მნიშვნელობა ვერ გავიგე, მაგრამ მრავლისმთქმელი მეჩვენა.

როცა გავიგე, რომ ლაპარაკი შეძლებია, მისდამი ინტერესი გამეზარდა, რადგან ძალიან მიყვარს ლაპარაკი. მთელი დღე ვლაპარკობ და ძილშიც კი ამას ვაკეთებ, თანაც, ძალიან საინტერესო მოსაუბრე ვარ. თუმცა, ვინმე მოლაპარაკე რომ მყავდეს, ბევრად უფრო საინტერესო მოსაუბრე გავხდები, რადგან, თუ მომინდა, გაუჩერებლად შემიძლია ვილაპარაკო.

თუ ეს ქვეწარმავალი მამრია, ის ყოფილა. გრამატიკულად უფრო გამართული იქნება. ვფიქრობ, უნდა ითქვას: ის, მას, მისი. ჩავთვლი, რომ მამრია და ასე იქამდე მივმართავ, სანამ სხვა რამ არ გამოდგება. ეს უფრო მოსახერხებელი იქნება, ვიდრე ათასი რამ ვიფიქრო.

მომდევნო კვირადღე

მთელი კვირა დავდიოდი და გაცნობას ვცდილობდი. იძულებული ვიყავი მელაპარაკა, რადგან ძალზე მორცხვობდა. არა უშავს. როგორც ჩანს, მოსწონდა, გვერდით რომ ვიყავი. ურთიერთობის დასათბობად სიტყვა „ჩვენ“-ს ხშირად ვხმარობდი. ალბათ, ამანაც გაახარა, რადგან მასაც ვგულისხმობდი.

ოთხშაბათი

ერთმანეთს სულ უფრო უკეთ ვეცნობით და ვეწყობით. თავს აღარ მარიდებს, რაც კარგია და იმას ნიშნავს, რომ მოსწონს, მასთან რომ ვარ. ეს მსიამოვნებს და ვცდილობ, შეძლებისდაგვარად ყოველმხრივ საჭირო გავხდე მისთვის, რომ მისი პატივისცემა მოვიპოვო. უკანასკნელი ერთი-ორი დღე მისთვის საგნებისთვის სახელების დარქმევის მთელი შრომა ჩემ თავზე ვიტვირთე, რამაც მას დიდი შვება მოგვარა. მას ამის დიდი ნიჭი არ გააჩნია და აშკარად მადლიერია. არც ერთი ნორმალური სახელის მოგონება არ შეუძლია, მე კი ვცდილობ, არ დავანახო, რომ ჩემთვის მისი ეს ნაკლი ცნობილია. როგორც კი რამე ახალი ქმნილება გამოჩნდება, მაშინათვე სახელს ვარქმევ, სანამ იმის დრო მიეცემა, რომ უხერხული დუმილით დაბნეულობა გამოხატოს. ასე უამრავ სიძნელეს გადავარჩინე. მსგავსი ნაკლი მე არ გამაჩნია. როგორც კი ცხოველს თვალს შევავლებ, მაშინვე ვიცი, რა არის. ერთი წამითაც კი არ მჭირდება დაფიქრება. საჭირო სახელი უცებ მოდის, თითქოს შთაგონებით. დარწმუნებული ვარ, წუთის წინ ამ სახელის შესახებ წარმოდგენაც არ მქონდა. ცხოველის მოყვანილობით და ქცევით მაშინვე ვხვდები, რა ცხოველია.

როცა დიდი ფრინველი გამოჩნდა, იფიქრა, გარეული კატაო – თვალებში შევატყვე. მე კი გადავარჩინე. თანაც, შევეცადე ეს ისე გამეკეთებინა, რომ თავმოყვარეობა არ შელახოდა. სასიამოვნო გაკვირვება გამოვხატე, თავი ისე დავიჭირე, თითქოს ინფორმაციის გადაცემას ვაპირებდი და ვთქვი: „ვაცხადებ, რომ ეს ნამდვილად დიდი ფრინველი არის!“ ისე ავუხსენი, თითქოს არც ვუხსნიდი, საიდან ვიცოდი, რომ ეს დიდი ფრინველი იყო. შეიძლება წყენოდა კიდეც, რომ ჩემთვის ცნობილი იყო ამ არსების შესახებ ის, რაც მან თვითონ არ იცოდა, თუმცა სრულიად აშკარად ჩანდა, რომ ჩემით აღფრთოვანებული იყო. მშვენიერი გრძნობა იყო და ამაზე რამდენჯერმე სიამოვნებით გავიფიქრე, სანამ დავიძინებდი. რა ცოტა გვყოფნის ბედნიერებისთვის მაშინ, როცა ვიცით, რომ მას ვიმსახურებთ!

ხუთშაბათი

ჩემი პირველი წუხილი. გუშინ მთელი დღე თავს მარიდებდა და ისე ჩანდა, თითქოს არ უნდოდა დავლაპარაკებოდი. ვიფიქრე, რაღაც გაუგებრობა მოხდა და ამის დაჯერება არ მინდოდა, რადგან მასთან ყოფნა და მისი ლაპარაკის მოსმენა მიყვარდა და მიკვირდა, როგორ შეიძლებოდა ჩემდამი არაკეთილგანწყობილი ყოფილიყო იმ დროს, როცა მისთვის არაფერი დამიშავებია. ბოლოს და ბოლოს, ასეც აღმოჩნდა. ამიტომ, მოვშორდი და იქ განვმარტოვდი, სადაც იმ დილით, როცა შეგვქმეს, პირველად ვნახე. არ ვიცოდი, რა არსება იყო და მისდამი სრულიად გულგრილი ვიყავი. როცა იქ ვიჯექი, ის ადგილი ჩემში სევდას იწვევდა, ყოველი წვრილმანი მას მახსენებდა და გული მეთუთქებოდა. ამის მიზეზი ნათლად ვერ გამერკვია. ეს გრძნობა ადრე არ გამომეცადა და მასში იყო რაღაც იდუმალება.

როცა დაღამდა, მარტოობას ვეღარ გავუძკლავდი და მის აშენებულ ახალ ფარდულში წავედი. მინდოდა მეკითხა, რა დავაშავე და როგორ შეიძლებოდა მისი კეთილგანწყობის მოპოვება. მან კი წვიმაში გამომაგდო და ეს იყო ჩემი პირველი წუხილი.

კვირა

თავს ისევ მშვენივრად ვგრძნობ და ბედნიერი ვარ, თუმცა მძიმე დღეები გამოვიარე. თუ შემიძლია, იმ დღეებზე არ ვფიქრობ ხოლმე.

შევეცადე, მისთვის იმ ხიდან ვაშლები ჩამომეგდო, მაგრამ მიზანში სროლა ვერ ვისწავლე და არაფერი გამომივიდა. შევატყვე, ესიამოვნა ჩემი განზრახვა. ვაშლი აკრძალულია და ამბობს, თავს ზიანი არ მიაყენოო. თუ მისი სიამოვნების გამო დავზიანდი, რა მნიშვნელობა აქვს?

ორშაბათი

ამ დილით, იმის იმედით, რომ დაინტერესდებოდა, ჩემი სახელი ვუთხარი. გულგრილი დარჩა. უცნაურია. ჩემთვის თავის სახელი რომ ეთქვა,

გამიხარდებოდა. ალბათ, თავისი სახელი რომ გაემხილა, ჩემთვის ის ნებისმიერ სხვა ბგერაზე სასიამოვნო იქნებოდა.

ძალიან ცოტას ლაპარაკობს. ალბათ, იმიტომ, რომ სხარტი გონება არა აქვს, ამას გრძნობს და დაფარვას ცდილობს. დასანანია, თუ ასეა. ნათელი გონება არაფერს ნიშნავს; მთავარი გულია. ნეტავ შემეძლოს გავაგებინო, რომ მოსიყვარულე გულია სიმდიდრე, თანაც ისეთი სიმდიდრე, რომლის გარეშეც გონება სიღატაკეა.

მიუხედავად იმისა, რომ ცოტას ლაპარაკობს, კარგა ვრცელი ლექსიკონი აქვს. ამ დილით საოცრად კარგი სიტყვა იხმარა. თვითონაც მიხვდა, რა კარგი სიტყვა იხმარა და ეს სიტყვა, თითქოს უნებლიეთ, ორჯერ გაიმეორა. ძალიან კარგად არ გამოუვიდა, თუმცა ამან დამარწმუნა, რომ აღქმის გარკვეული უნარი აქვს. ეჭვგარეშეა, თუ ამ მარცვალს მოუვლი, მისგან კარგ ნაყოფს მიიღებ.

საიდან იპოვა ეს სიტყვა? ვფიქრობ, მე ის არასდროს მიხმარია. არა, ჩემმა სახელმა არ დააინტერესა. შევეცადე გულაცრუება დამემალა, თუმცა, ვფიქრობ, არ გამომივიდა. მოვშორდი, ხავსიან ნაპირზე ჩამოვჯექი და ფეხები წყალში ჩავყავი. სულ აქ მოვდივარ ხოლმე, როცა კომპანიონი მჭირდება, ვინმე, ვისაც შეიძლება ვუყურო და ველაპარაკო. გუბის წყალში არეკლილი მშვენიერი თეთრი სხეული საკმარისი არ არის, ცხადია, მაგრამ ესეც რაღაცას ნიშნავს და სრულ სიმარტოვეს სჯობს. როცა ვლაპარაკობ, ისიც ლაპარაკობს. როცა სევდა მომერევა, ისიც სევდიანია, თანაგრძნობით მამშვიდებს და მეუბნება; „ნუ ხარ მოწყენილი, პატარა გოგონავ, მე ვიქნები შენი მეგობარი“. ის მართლაც ჩემი საუკეთესო მეგობარია, ერთადერთი მეგობარი და ჩემი დაა.

ო, რა დღეში ვიყავი, როცა პირველად მიმატოვა! ამას ვერასოდეს, ვერასოდეს დავივიწყებ. გული სხეულში ჩამეყინა! ვთქვი: „ის იყო ყველაფერი, რაც გამაჩნდა. ახლა კი წავიდა. სასოწარკვეთილმა წამოვიძახე: გულო, ასეთ ყოფას ვერ გავუძლებ! – და უნუგეშომ თავი ხელებში ჩავმალე. მერე, ცოტა ხანში, როცა ხელები მოვიშორე, ისევ ჩემს წინ იყო, თეთრი, ბრწყინვალე და მშვენიერი და მეც მის მკლავებში გადავეშვი! ნამდვილი ბედნიერება იყო; ბედნიერება იქამდეც განმეცადა, მაგრამ ის ამას არ გავდა. ნამდვილი ნეტარებაა. მას შემდეგ ევაში ეჭვი აღარ შემიტანია. ზოგჯერ, არ მეკარება. ხშირად, ერთი საათით ან მთელი დღით იკარგება, მაგრამ მოთმინებით ველოდები. ვიტყვი ხოლმე: „ალბათ, საქმე აქვს, სადმე წავიდა, მაგრამ აუცილებლად მოვა“. უმთავარო დამით არ მოდის. მე თვითონ სიბნელის არ მეშინია, მაგრამ ის მორცხვი და პატარა არსებაა, ჩემზე უმცროსი, ჩემს მერე გაჩნდა და როგორც კი მთვარე ამოდის, მაშინვე გამოჩნდება ხოლმე. ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ ვაკითხავ მძიმე წუთებში და ის მამშვიდებს და ისაა ჩემი იმედი.

სამშაბათი

მთელი დილა ჩვენს სამფლობელოს ვაწესრიგებდი. განგებ არ ვეკარებოდი იმ იმედით, რომ თავს მარტო იგრძნობდა და თვითონ მოვიდოდა. არ მოვიდა.

შუადღეს დასვენება გადავწყვიტე. ფუტკრებს და პეპლებს დავდევდი და ყვავილებით ვტკბებოდი, იმ მშვენიერი ღვთიური ქმნილებებით, რომლებიც ციდან შემქმნელის ღიმილს იჭერენ და საკუთარ თავში ინახავენ. ყვავილები მოვკრიფე, გვირგვინები და გირლანდები დავწანი და თავი მოვირთე, სანამ საუზმედ ვაშლებს შევექცეოდი. მერე ჩრდილში ჩამოვჯექი, მისი სურვილი მომეძალა და ლოდინი დავიწყე, მაგრამ ის არ მოვიდა.

რა გაეწყობა. მას ყვავილები არ აინტერესებს. ყვავილებს ნაგავს უწოდებს, ერთმანეთისგან ვერ არჩევს და ამას წვრილმანად მიიჩნევს. მე არ ვაინტერესებ, ყვავილები არ აინტერესებს და საღამოს საოცრად შეფერილი ცაც არ აინტერესებს... ნეტავ, რამე თუ აინტერესებს იმ ხუხულების შენების გარდა, რომლებშიაც სუფთა წვიმისგან იმალება ან იმის გასაგებად, თუ რამდენად მწიფეა, როცა ხელით ნესვებს და ხეხილზე ხილს სინჯავს, ვაზზე კი ყურძენს აგემოვნებს.

ხმელი ჯოხი მიწაზე დავდე, მეორე ჯოხით კი მის გახვრეტას შევეცადე. ერთი ჩანაფიქრის განხორციელება მინდოდა. უცებ, საშინლად შევშინდი. ნახვრეტიდან თხელი, მოლურჯო გამჭვირვალე რაღაც ამოვიდა. ჯოხს ხელი ვუშვი და გავიქეცი! ვიფიქრე, სული იყო და ძალიან შევშინდი! მერე, უკან რომ მოვიხედე, დავინახე, არ მომდევდა; ამიტომ, კლდეს ამოვეფარე, სულის მოთქმა მინდოდა და ვიცდიდი, სანამ აკანკალებული ხელ-ფეხი დამიწყარდებოდა. უკან გავბრუნდი, ფრთხილად მივდიოდი და საფრთხის შემთხვევაში გასაქცევად მზად ვიყავი. როცა იმ ადგილს მივუახლოვდი, ვარდის ბუჩქი გადავწიე და ჯოხს შევხედე (სამწუხაროა, რომ ის იქ არ იყო, – იმ წუთში ძალიან მომხიბვლელად გამოვიყურებოდი!), მაგრამ სული გაქრა. კიდევ უფრო ახლოს მივედი და ჯოხის ამოღრუტნულ ნახვრეტში წითელი მტვერი დავინახე. მის მოსასინჯად თითი ჩავყავი, შევკივლე და ხელი გამოვწიე. საშინელი ტკივილი ვიგრძენი. თითი პირში ჩავიდე, ვკვნესოდი და ჯერ ერთ, მერე მეორე ფეხზე ხტომა დავიწყე. ამან ოდნავი შვება მომიტანა. ჩემში ინტერესმა გაიღვიძა და მიზეზის ძებნა დავიწყე.

მაინტერესებდა, რა იყო ის წითელი მტვერი. უცებ, თითქოს გონება გამინათდა, თუმცა ადრე ეს არ გამეგო და მივხვდი – ცეცხლი იყო! თუ შეიძლება რამეში იყო დარწმუნებული, აბსოლუტურად დარწმუნებული ვიყავი, რომ ცეცხლი

იყო და ყოველგვარი ჭოჭმანის გარეშე ასე დავარქვი. ისეთი რაღაც შევქმენი, რაც ადრე არ არსებობდა. სამყაროში არსებულ უთვალავ რამეს ერთიც შევძინე. ამას მივხვდი და სიამაყის გრძნობა დამეუფლა. მინდოდა გაქცევა და მამაკაცისთვის იმის თქმა, რაც გავაკეთე. მის თვალში ამაღლება მსურდა, მაგრამ ცოტა რომ დავფიქრდი, მივხვდი, არ ღირდა ამის გაკეთება. ეს მასზე არ იმოქმედებდა. მეტყოდა, რა საჭიროაო? მე კი ამ კითხვაზე პასუხს ვერ გავცემდი. თუ მართლაც არაფრისთვის იყო საჭირო და მხოლოდ ლამაზი იყო, მხოლოდ ლამაზი...

მოკლედ, ამოვიხვნეშე და მასთან არ წავედი, რადგან ჩემი აღმოჩენა მართლაც უსარგებლო იყო,– ვერც რამეს ააშენებდა, ვერც ნესვის გემოს შეცვლიდა და ვერც ნაყოფის დამწიფებას დააჩქარებდა; სრულიად უსარგებლო აღმოჩენა იყო, – უბრალო სისულელე და უაზრო პატივმოყვარეობა. ცხადია, ის ამ აღმოჩენას ზიზღით მოეპყრობა და დამამცირებელ რამეს მეტყვის. თუმცა, ჩემს აღმოჩენას მე თვითონ ზიზღით ვერ მოვეპყრობოდი. მაშინ ვთქვი: „ო, ცეცხლო! დახვეწილო და ნაზო ქმნილებავ, მიყვარხარ! მიყვარხარ იმიტომ, რომ ასეთი მშვენიერი ხარ და ეს ჩემთვის საკმარისია!“ ასე ვთქვი და მისი გულში ჩაკვრა მომინდა, თუმცა ეს სურვილი დავიოკე. მაშინვე თავში ახალი აფორიზმი მომივიდა – ჩემი გონებით მივედი მის აღმოჩენამდე, მაგრამ ის იმდენად ჰგავს ჩემ პირველ გამონათქვამს, რომ მეშინია, პლაგიატობაში არ ჩამეთვალოს: „დამწვარ ექსპერიმენტს ცეცხლის ეშინია“.

ისევ მუშაობას შევუდექი და როცა საკმაოდ ბევრი ცეცხლის მტვერი დამიგროვდა, მშრალ ბალახზე გადმოვყარე და მინდოდა სახლში წამეღო, რომ ყოველთვის თან მქონოდა და როცა მომინდებოდა, მასთან მეთამაშა, მაგრამ ქარმა ბალახს დაუბერა, მტვერი მაღლა აიტაცა და იმ მტვერმა ისე საშინლად შემომშიშინა, რომ ხელი ვუშვი და გავიქეცი. უკან რომ მოვიხედე, იმ ადგილს ლურჯი სული ღრუბელივით ეფარებოდა და იმ წამსვე ვიცანი – კვამლი იყო. თუმცა, სიტყვას გაძლევთ, იმ წუთამდე მისი არსებობის შესახებ არაფერი ვიცოდი.

თითქმის ერთდროულად თვალისმომჭრელი წითელ-ყვითელი ენები გამოჩნდა კვამლში და იმ ენებს ალი შევარქვი, – არც შევმცდარვარ, თუმცა ეს დედამიწაზე პირველი ალი იყო. ალი ხეებს შეახტა და მომძლავრებული კვამლის ქულებს შორის მედიდურად ბრწყინდებოდა; ხან კი ქრებოდა კვამლს მიღმა და მე უნებურად ტაში შემოვკარი, გადავიხარხარე და აღფრთოვანებულმა ცეკვა დავიწყე. ყოველივე იმდენად ახალი და საოცარი, უჩვეულო და მშვენიერი იყო!

სირბილით მოქანდა, შეჩერდა და ხუთი-ათი წუთი ფართოდ გახელილი თვალებით ცეცხლს აკვირდებოდა. მერე იკითხა: – ევა, რა არის? ნეტავ, რად უნდოდა ამ კითხვის ასე გადაჭრით დასმა? ცხადია, იძულებული ვიყავი მეპასუხა და ვუპასუხე – ცეცხლია-მეთქი. თუ მას ჩემთვის კითხვა არ სიამოვნებდა, რა ჩემი ბრალია? მისი გაბრაზება სულაც არ მინდოდა.

ცოტა ხნის შემდეგ იკითხა;

– საიდან გაჩნდა?

კიდევ ერთი კითხვა, რომელიც გარკვეულ პასუხს ითხოვდა.

– მე გავაჩინე.

ცეცხლი სულ უფრო შორს ვრცელდებოდა. ის ამომწვარი მდელოს კიდესთან მივიდა, მიწას დახედა და მკითხა:

– ეს რა არის?

– ნახშირი.

ერთი ნატეხი აიღო, რომ უკეთ შეეხედა, თუმცა, როგორც ჩანს, გადაიფიქრა და ისევ ადგილზე დადო. მერე წავიდა. არაფერი აინტერესებს.

მე კი მაინტერესებს. მიწა ფერფლით იყო დაფარული – რუხი, რბილი, ნაზი და ლამაზი ფერფლით. კიდევ, ნაცრით დაფარული მუგუზლები ეყარა. მაშინვე ვიცანი. ჩემი ვაშლები ვიპოვე და ნაცრიდან ამოვქექე. ვაშლების პოვნა ძალიან გამიხარდა, რადგან ჯერ სრულიად ახალგაზრდა ვარ და კარგი მადა მაქვს. თუმცა სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა – ვაშლები მთლად დახეთქილი და უვარგისი იყო. თუმცა, უვარგისი მხოლოდ გარეგნულად ჩანდა – სინამდვილეში ნედლ ვაშლებზე უფრო გემრიელები აღმოჩნდნენ. ცეცხლი მშვენიერია და ჩემი აზრით, ის ოდესმე სარგებლობას მოიტანს.

პარასკევი

გვიან საღამოს, ორშაბათს, ერთი წუთით ისევ ვნახე. სულ ერთი წუთით. იმედი მქონდა, შემაქებდა იმ გულმოდგინებისთვის, რომლითაც ჩვენი სამფლობელო წესრიგში მომყავდა – მუყაითად ვშრომობდი და მხოლოდ კეთილი სურვილები მამოძრავებდა – მაგრამ კმაყოფილება არაფრით გამოუხატავს, ზურგი შემაქცია და წავიდა. უფრო მეტიც, უკმაყოფილო იყო და აი, რა მიზეზით: ერთხელ ვცადე მისი გაფრთხილება, რომ ჩანჩქერი არ გადაეცურა. საქმე იმაშია, რომ ცეცხლმა ჩემში ახალი გრძნობა გააღვიძა – სრულიად ახალი, რომელიც აბსოლუტურად არ ჰგავდა არც სიყვარულს, არც წუხილს და არც რაიმე სხვა გრძნობას, რომელიც გამომიცდია. ეს შიშის გრძნობაა. საშინელი გრძნობა! ნეტავ, რად ვიგრძენი! ეს გრძნობა სიცოცხლეს მიმწარებს და ბედნიერებაში ხელს მიშლის, მბურძგლავს, მაცახცახებს და ჟრუანტელს მგვრის. ვერ დავარწმუნე, რადგან შიშის გრძნობა ჯერ არ აქვს და ჩემი გაგება არ შეუძლია.

ნაწყვეტი ადამის დღიურიდან

ალბათ, არ უნდა მავიწყდებოდეს, რომ ჯერ ძალიან ახალგაზრდაა, თითქმის ბავშვი და ამას ანგარიში უნდა გავუწიო, ცნობისმოყვარეობით აღსავსეა, ყველაფერი აინტერესებს, მასში სიცოცხლე დუღს და მის თვალში სამყარო საოცრებაა, საიდუმლო, სიხარული და ნეტარება, როცა ის ახალ ყვავილს ხედავს, აღფრთოვანებისგან სუნთქვა ეკვრის და სიტყვის თქმა არ შეუძლია. – ელამუნება და ელოლიავება ამ ყვავილს, ეფერება და ელაპარაკება და საოცრად ნაზ სახელებს არქმევს. ფერებზე გიჟდება: ყავისფერი კლდეები, ყვითელი ქვიშა, რუხი ხავსი, მწვანე ფოთლები, ლურჯი ცა; მარგალიტისფერ-მოვარდისფრო განთიადი, იისფერი ჩრდილი ხეობებში, ღრუბლების ოქროსფერი კუნძულები დაისის მეწამულ ოკეანეში, ღრუბლის ქულებს შორის მცურავი მკრთალი მთვარე, უსაზღვრო სივრცეში მიმობნეული ალმასის ვარსკვლავები, – ყოველივე ამას, რამდენადაც შემიძლია განვსაჯო, არავითარი პრაქტიკული ღირებულება არ გააჩნია, თუმცა რადგან ამ ყველაფერში ფერები და დიდებულებაა, მისთვის ეს საკმარისია და ის ამაზე გიჟდება. წყნარად ყოფნა რომ შეეძლოს და ზოგჯერ მაინც ერთი ან ორი წუთით დამშვიდება, სასიხარულო სანახავი იქნებოდა! ამ შემთხვევაში, ჩემი აზრით, მის ყურებას არაფერი აჯობებდა. დარწმუნებულიც კი ვარ, რომ მისი ყურება სიამოვნებას მომგვრიდა, რადგან უკვე ვამჩნევ, რომ ის საოცრად ლამაზი ქმნილებაა: მოქნილი, აშოლტილი, მოხდენილი, მოყვანილი, მარჯვე, მკვირცხლი, გრაციოზული... ერთხელ, როცა მარმარილოსავით თეთრი და მზით განათებული დიდ ქვაზე იდგა, თავაწეული თვალებზე ხელს იფარებდა და ცაში ფრინველის ფრენას აკვირდებოდა, მივხვდი, რა ლამაზი იყო.

ორშაბათი, შუადღე

არ ვიცი, ამ პლანეტაზე ისეთი რამე თუ არსებობს, რაც მას არ აინტერესებს. ჩემთვის ზოგი ცხოველი ყოველგვარ ინტერესს მოკლებულია, მისთვის კი ასე არ არის. არაფერს ანსხვავებს და ყველაფერი ერთნაირად უყვარს, ყოველ ცხოველს საგანძურად თვლის და ყოველ ახალ სახეობას სიამოვნებით ეგებება.

როცა ჩვენ ბანაკში გიგანტური ბრონტოზავრი შემობოდიალდა, თქვა, ძალიან მნიშვნელოვანი შენაძენიაო, მაშინ, როცა მე ეს უბედურებად აღვიქვი. ეს ჩვენი შეხედულებების სრული დისჰარმონიის კარგი მაგალითია. ბრონტოზავრის მოშინაურება უნდოდა, მე კი ამ ცხოველისთვის ჩვენი ნაკვეთის ჩუქება და სხვაგან გადასახლება მომინდა. სჯერა, რომ მისი გაწრთვნა და შინაური ფინიის მსგავ ცხოველად გადაქცევა შეიძლება, მე კი ვუთხარი, რომ ოცდაერთი ფუტის სიმაღლის და ოთხმოცდაოთხი ფუტის სიგრძის ფინია არც ისე მოსახერხებელია ოჯახურ გარემოში, რადგან ეს უშველებელი ცხოველი, საუკეთესო განზრახვით, შემთხვევით ჩვენ საცხოვრისს შეიძლება დააჯდეს და მიწასთან გაასწოროს, – ადვილი მისახვედრია, რამდენად გონებაგაფანტულია ეს ცხოველი, თუ მისი თვალების გამომეტყველებას დააკვირდები.

ამ ურჩხულის დატოვება უნდოდა და მასთან განშორებაზე უარი თქვა. გადაწყვიტა, რომ რძის ფერმის გაძღოლას შევძლებდით და მთხოვა, ბრონტოზავრის მოწველაში მომეხმარეო. უარი ვუთხარი, რადგან ეს საქმე ძალზე საშიშად ჩავთვალე. ჯერ ერთი, ცხოველი შეუსაბამო სქესისა იყო, მეორეც, მისთვის მისადგომი კიბე არ გვქონდა. მაშინ, მასზე ამხედრებულმა სიარული და შემოგარენით ტკბობა გადაწყვიტა. მხეცის კუდის ოცდაათ-ორმოცფუტიანი ნაწილი, წაქცეულ ხესავით, მიწაზე იდო და მის ზურგზე კუდიდან აცოცება გადაწყვიტა, თუმცა ეს არ გამოუვიდა. მარტო იმ ადგილამდე აცოცება მოახერხა, სადაც აღმართი ძლიერ დამრეცი იყო და ჩამოვარდა – კუდი ზედმეტად სრიალა აღმოჩნდა – დროზე რომ არ მომესწრო მისი დაჭერა, ალბათ საშინლად დაშავდებოდა.

როგორ ფიქრობთ, ამის მერე მოისვენა? არაფერიც. არაფრით მოისვენებს მანამ, სანამ ყველაფერს არ გამოცდის: ცდით გამოუცდელი თეორია მისთვის უცხოა და ის არ აკმაყოფილებს. უნდა გამოვტყდე, მშვენიერი თვისებაა, ძალიან მომწონს, ვგრძნობ, ეს თვისება მეც გადამედო და მას სრულიად გავიზიარებდი, მასთან უფრო ხშირი ურთიერთობა რომ მქონდეს. სხვათაშორის, ამ უშველებელი ცხოველის შესახებ ერთი იდეაც ჰქონდა: სწამდა, რომ მის მოშინაურებას და ჩვენთან დამეგორებას მოახერხებდა, მაშინ კი შუა მდინარეში ჩავაყენებდით და ზედ ხიდივით ვივლიდით. გაირკვა, რომ ისედაც საკმაოდ მოშინაურებული ყოფილა, – ყოველ შემთხვევაში, მას მოშინაურებული ჰყავდა – და მან საკუთარი იდეის განხორციელება გადაწყვიტა, თუმცა, არაფერი გამოვიდა: საკმარისი იყო, მდინარეში ურჩხული საჭირო მდგომარეობაში ჩაეყენებინა, ნაპირზე გადასულიყო და თავის ახალი ხიდი გამოეცადა, რომ ცხოველი მდინარიდან ამოდიოდა და შინაურ მთასავით უკან მისდევდა. ზუსტად ისე, როგორც სხვა ცხოველები, რომლებიც დასდევენ.

პარასკევს – სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს და დღეს

ეს დღეები არ მინახავს. ძნელია ამდენ ხანს მარტო ყოფნა, მაგრამ დაუპატიჟებლად მისვლას მაინც მარტოობა სჯობს.

თუმცა, მარტო ყოფნა არ შემიძლია; ჩემი აზრით, საზოგადოება – ჩემი სტიქიაა და ამიტომაც ცხოველებს ვუმეგობრდები. შესანიშნავი არსებებია, მხიარული ხასიათი აქვთ და კეთილი ურთიერთობა; არასოდეს არიან პირქუში, არ გაგრძნობინებენ, რომ უდროო დროს მიხვედი, გიღიმიან და თუ კუდი აქვთ, გიქიცინებენ, მუდამ მზად არიან შენთან ერთად ილაღონ და პატარა ექსკურსიაზე გაგყვნენ, – ერთი სიტყვით, რასაც შესთავაზებ, ყველაფერზე თანახმა არიან. ჩემი აზრით, ცხოველი ჭეშმარიტი ჯენტლმენია. ამ დღეებს მშვენივრად ვატარებდით ერთად და თავი მარტო არ მიგრძვნია. მარტო? ოჰ, არა!

გარშემო ხომ უამრავი ცხოველია და ზოგჯერ მათ ოთხი ან ხუთი აკრის სივრცე უკავიათ – ვერც მოთვლი, თუ ირგვლივ მიმოიხედავ; როცა კლდეზე დგახარ და ამ ბალნით დაფარულ ზღვას უყურებ, ასეთ ჭრელს, მხიარულს და მრავალფეროვანს, ხოლო მათი ლაქები და ზოლები მზის სხივებზე ირეკლებიან და ლივლივებენ, – შეიძლება მოგეჩვენოს, რომ ეს მართლაც ზღვაა, მაგრამ ვიცი, ეს ასე არაა. დროდადრო უთვალავი ფრინველი გადაიფრენს და ცაში მათი ფრთების დგაფუნი ისმის. როცა მზის სხივები ამ ფრთოსან ქაოსს გაანათებს, ეს ყველაფერი ათასფრად ელვარებს, სამყაროს მთელი ფერები ინთება, ერთმანეთში ირევა და ამ სილამაზეს თვალს ვერ მოწყვეტ.

ექსკურსიებზე დავდიოდით და ამქვეყნად საკმაოდ ბევრი ადგილი ვნახე; ისიც კი მგონია, რომ მთელი ქვეყანა შემოვიარეთ. ამგვარად, მე – დედამიწაზე პირველი მოგზაური ვარ და ჯერჯერობით ერთადერთი. როცა გზაში ვართ, ეს მეტად დიდებული სანახაობაა – ბადალი არ ჰყავს. მოხერხებულად გადაადგილების მიზნით ვეფხვზე ან ავაზაზე ამხედრებული ვმოგზაურობ, რადგან მათ რბილი და მომრგვალებული ზურგი აქვთ, რომელზე ჯდომაც სასიამოვნოა; კიდევ, იმიტომ, რომ ისინი ასეთი ლამაზი ცხოველებია; შორეული მოგზაურობისთვის ან იმ დროს, როცა არემარით დატკბობა მინდა, სპილოს ვირჩევ. ხორთუმით ზურგზე მისვამს, მიწაზე დაშვება კი დაუხმარებლადაც შემიძლია. როცა დასვენება გვინდა, სპილო მიწაზე ჯდება და მე უკანა მხრიდან ვეშვები.

ყველა ფრინველი და ცხოველი ერთმანეთთან მეგობრობს და მათ შორის გაუგებრობა არასოდეს წარმოიშობა. ყველას ლაპარაკი შეუძლია და მელაპარაკებიან, მაგრამ როგორც ჩანს, ეს უცხო ენაა, რადგან არაფერი მესმის. თუმცა, როცა მე ვეუბნები რამეს, ჩემი ესმით; განსაკუთრებით კარგად ჩემი ძაღლს და სპილოს ესმით და ამ დროს მე ყოველთვის სირცხვილის გრძნობა მეუფლება: ეს ხომ იმის მაჩვენებელია, რომ ისინი ჩემზე გონიერები არიან და მათი უპირატესობა უნდა ვაღიარო. საწყენია, რადგან მე მინდა, ვიყო მთავარი ექსპერიმენტი და იმედი მაქვს, გავხდები კიდეც.

უკვე უამრავი სხვადასხვა რამ გავიგე და ახლა უფრო განათლებული ვარ, რაც ჩემზე წინათ არ ითქმოდა. თავიდან სრულიად უმეცარი ვიყავი. პირველად, როგორც არ უნდა მეცადა, ვერ ვამჩნევდი, როდის ერთვოდა ჩანჩქერი ისევ მთას, – ამისთვის გამჭრიახობა არ მყოფნიდა და გული მწყდებოდა, ახლა კი დავმშვიდდი. ვაკვირდებოდი, ვადარებდი და ვიცი, რომ წყალი აღმართში დღის სინათლეზე არასდროს მიედინება – მხოლოდ ღამით, სიბნელეში. მივხვდი, რატომ აკეთებს ამას სიბნელეში, იმიტომ, რომ ტბა არ შრება, მაგრამ წყალი თავის ადგილზე ღამით რომ არ ბრუნდებოდეს, ტბა აუცილებლად დაშრებოდა. საუკეთესო გზა ყველაფრის ექსპერიმენტული ხერხით გადამოწმებაა. ამ დროს ნამდვილად შეძლებ ცოდნის შეძენას, ხოლო თუ ყურადღებას მიხვედრასა და გონებრივი დასკვნების გაკეთებაზე არ გაამახვილებ, განათლებული ნამდვილად ვერ გახდები.

ზოგი რამის გაგება იქამდეა შეუძლებელი, სანამ არ მიხვდები, რომ ეს შეუძლებელია და სანამ ამის გაგებას შეეცდები და სხვადასხვა ვარაუდს არ გამოთქვამ. ამის ნაცვლად, მოთმინება უნდა მოიკრიბო და ცდები ჩაატარო მანამ, სანამ არ აღმოაჩენ, რომ აღმოჩენა შეუძლებელია. მთელი ხიბლი ამაშია – ამ შემთხვევაში გახდება სამყარო საოცრად საინტერესო. აღმოსაჩენი რომ არაფერი იყოს, ცხოვრება მოსაწყენი იქნებოდა. ბოლოს და ბოლოს, რაიმე აღმოჩენის გაკეთების მცდელობა და არაფრის აღმოჩენა ისევე საინტერესოა, როგორც თავად აღმოჩენა, იქნებ, უფრო საინტერესოც. ჩანჩქერის საიდუმლო ნამდვილი საგანძური იყო, სანამ ამ საიდუმლოს ამოვხსნიდი, მერე კი ინტერესი სრულიად გამიქრა და სწორედ მაშინ დანაკარგის შეგრძნებას ვეზიარე.

ექსპერიმენტების დახმარებით დავადგინე, რომ ხე ცურავს, ასევე ცურავენ ხმელი ფოთლები, ბუმბული და მრავალი სხვა საგანი; ამის საფუძველზე, თუ განაზოგადებ, იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ კლდეც უნდა ცურავდეს, თუმცა ამის უბრალოდ აღიარება გიწევს, რადგან ექსპერიმენტის საფუძველზე ამ დასკვნის გაკეთება შეუძლებელია... ჯერჯერობით მაინც. რა თქმა უნდა, ამ ექსპერიმენტის ჩატარების ხერხსაც მოვნახავ, თუმცა ამ შემთხვევაში მთელი ინტერესი გაქრება. როცა ამაზე ვფიქრობ, ხასიათი მიფუჭდება: თუ თანდათან ყველაფერს აღმოვა-

ჩენ, მაშინ საფიქრალი და საღელვებელიც არ დამრჩება, ეს კი არ მომწონს! წუხელ ვერაფრით დავიძინე – სულ ამაზე ვფიქრობდი.

ადრე არ ვიცოდი, რისთვის გავჩნდი ამ ქვეყანაზე, ახლა კი,მგონი,მივხვდი – ამ საოცრებებით აღსავსე სამყაროს საიდუმლოს ამოსახსნელად, ბედნიერებისთვის და მადლიერების გამოსახატავად შემოქმედისადმი, რომელმაც ეს სამყარო შექმნა. ვფიქრობ, ჯერ კიდევ ბევრი საიდუმლოა, რომელთა ამოხსნაც მომიწევს, – იმედი მაქვს, რომ ასეა და თუ ფრთხილად ვიმოქმედებ და ზედმეტად არ ავჩქარდები, საიდუმლოები დიდი ხნის საკმარისი იქნება, – ეტყობა, ასეა. თუ ბუმბულს ააგდებ, ჰაერში ფრინავს და უჩინარდება. თუ თიხის გუნდას ააგდებ,ის ყოველთვის მიწაზე ეცემა. ბევრჯერ ვცადე,მაგრამ ყოველთვის იგივე შედეგი მივიღე. ნეტავ, რატომ? ცხადია, მესმის, რომ სინამდვილეში თიხა არ ვარდება,მაგრამ ასე რატომ უნდა მეჩვენებოდეს? როგორც ჩანს,ოპტიკური ცდომილებაა. ანუ, იმის თქმა მინდა, რომ ამ ორიდან ერთ-ერთი – ოპტიკური მოვლენაა, მაგრამ ზუსტად რომელი მათგანი, ამის თქმა არ შემიძლია. იქნებ,ბუმბულის შემთხვევაში ან თიხის გუნდის; მტკიცება ნამდვილად არ შემიძლია, მხოლოდ ამ ორივე მოვლენის დემონსტრირების საშუალება მაქვს და მაშინ ნათელი ხდება, რომ ერთ-ერთი მათგანი ცდომილებაა, კერძოდ რომელი – ეს ყველამ თავად განსაჯოს.

დაკვირვებით გავიგე,რომ ვარსკვლავები მუდმივნი არ არიან. მინახავს, რომ ზოგი მათგანი, ყველაზე ლამაზი, დნობას იწყებს და ციდან ქვემოთ გორდება. თუ ერთ ვარსკვლავს შეუძლია დადნობა, ამის გაკეთება ერთ დამეში ყველა დანარჩენსაც შეუძლია. ვიცი, როდისმე მოხდება ეს უბედურება. გადავწყვიტე, ყოველღამე ვიჯდე და ვარსკვლავებს ვუცქირო მანამ, სანამ ძილთან გამკლავება შემეძლება; შევეცდები კარგად დავიმახსოვრო ვარსკვლავებით მოჭედილი ეს სივრცე იმისთვის, რომ როცა ვარსკვლავები გაქრებიან, წარმოდგენით დავაბრუნო ეს მოკიაფე ცეცხლოვანი მირიადები ცის შავ კაბადონზე და ვაიძულო ისინი, ისევ იკაშკაშონ და გაორმაგდნენ ჩემი ცრემლის ბროლის პრიზმაში.

შეცოდების შემდეგ

როცა უკან ვიხედები, მეჩვენება, რომ ჩვენი ბაღი მესიზმრა. მშვენიერი იყო, შეუდარებლად მშვენიერი და საოცარი, ახლა კი ის ჩვენთვის დაკარგულია და მას ვეღარ ვნახავ.

ბაღი სამუდამოდ დაკარგულია, მაგრამ მე ვპოვე ის და ბედნიერი ვარ. ისე ვუყვარვარ, როგორც შეუძლია, მე კი ჩემი არსების მთელი შეგრძნებით მიყვარს, ისე, როგორც ჩემ ასაკს და სქესს შეეფერება. როცა ჩემ თავს ვეკითხები, რატომ მიყვარს, ნათელი ხდება, რომ ეს არ მესმის, დიახ; სიმართლე ითქვას, არც ვცდილობ, გავიგო. ჩემი აზრით, ასეთ სიყვარულს არაფერი აქვს საერთო არც განსჯასთან, არც სტატისტიკასთან და არც სხვა მცოცავების ან ცხოველების სიყვარულთან. დიახ, როგორც ჩანს, ამაშია საქმე. ზოგი ფრინველი გალობის გამო მიყვარს, ადამი კი სულაც არ მიყვარს იმიტომ, რომ კარგად მღერის, – სულაც არა. რაც უფრო მეტს მღერის, მით უფრო ნაკლებად მომწონს მისი სიმღერა, მაგრამ მაინც ვთხოვ იმღეროს, იმიტომ, რომ მინდა შევეჩვიო ყოველივეს სიყვარულს, რაც მას მოსწონს და უყვარს. დარწმუნებული ვარ, ასეც მოხდება, – თავიდან ხომ მის სიმღერას ვერ ვიტანდი, ახლა კი ვიტან. მისი სიმღერისგან რძე იჭრება, მაგრამ ამასაც არა აქვს მნიშვნელობა, – აჭრილ რძესაც შეიძლება შეეჩვიო.

საზრიანობისთვის არ მიყვარს, – სულაც არა. როგორიც არ უნდა იყოს, მისი ბრალი არ არის, თავის თავი მას არ შეუქმნია. ისეთია, როგორიც უფალმა შექმნა და ეს ჩემთვის სრულიად საკმარისია. მის შექმნაში განსაკუთრებული სიბრძნეა ჩადებული, სავსებით დარწმუნებული ვარ. თანდათანობით, მისი გონებრივი შესაძლებლობები განვითარდება, თუმცა, ჩემი აზრით, ეს უცებ არ მოხდება. რა საჭიროა სიჩქარე? ის ხომ ისედაც კარგია.

დელიკატურობის, მზრუნველობის და გულისხმიერებისთვის არ მიყვარს, – არა, ამ მხრივაც ბევრი ნაკლი აქვს, მაგრამ, ნაკლის მიუხედავად, კარგია, თანაც, თანდათან გამოსწორებაც დაიწყო.

შრომისმოყვარეობისთვისაც არ მიყვარს, – არა. ჩემი აზრით, ეს თვისება აქვს, თუმცა ვერ ვხვდები, მე რატომ მიმალავს. ესაა ერთადერთი, რაც მანაღვლებს. სხვა დანარჩენში ჩემთან სრულიად გულახდილია. დარწმუნებული ვარ, შრომისმოყვარეობის გარდა, არაფერს მიმალავს. მაწუხებს, რომ ჩემგან საიდუმლო აქვს და ზოგჯერ ამის გამო ღამით დიდხანს ვერ ვიძინებ – სულ ამაზე ვფიქრობ. ვცდილობ, ეს ფიქრი თავიდან ამოვიგდო, რადგან, ამ ფიქრის გარდა, ჩემს ბედნიერებას არაფერი აფერმკრთალებს.

იმიტომ არ მიყვარს, რომ ძალიან განათლებულია, – არა. თვითნასწავლია და მართლაც უამრავი რამ იცის, მაგრამ ყველაფერში ასე როდია.

არც იმიტომ მიყვარს, რომ რაინდულად კეთილშობილია, – არა. გამცა, თუმცა ამაშიც არ ვადანაშაულებ – ჩემი აზრით, ეს მისი სქესის დამახასიათებელი ნიშანია, მაგრამ სქესიც ხომ მას არ შეუქმნია. ცხადია, მე არასოდეს გავცემდი, სანაცვლოდ დავიღუპებოდი, მაგრამ ეს ჩემს სქესს ახასიათებს და ამას ჩემ დამსახურებად ვერ ჩავთვლი – ჩემი სქესი მე არ შემიქმნია.

მაშ, რატომ მიყვარს? ალბათ, მარტო იმიტომ, რომ მამაკაცია.

სულის სიღრმეში კეთილია და ამისთვის მიყვარს, – ასეც რომ არ იყოს, მაინც მეყვარებოდა. თუ გამლანძღავდა და ცემას დამიწყებდა, მაინც მეყვარებოდა. ვიცი. მგონი, იმიტომ, რომ ასეთია ჩემი სქესი.

ძლიერი და ლამაზია. ამისთვის მიყვარს, აღფრთოვანებული ვარ მისით და ვამაყობ, – მაგრამ ასეც რომ არ იყოს, მაინც მეყვარებოდა. შესახედად უშნოც რომ იყოს, მაინც მეყვარებოდა; ხეიბარიც რომ იყოს, მეყვარებოდა, მისთვის ვიმუშავებდი, მისი მონა ვიქნებოდი, ვილოცებდი მისთვის და სიკვდილამდე მის საწოლთან ვიფხიზლებდი.

დიახ, ვფიქრობ, მხოლოდ იმიტომ მიყვარს, რომ ჩემია და კიდევ იმიტომ, რომ მამაკაცია. ჩემი აზრით, სხვა მიზეზი არ არსებობს. ამიტომაც, ალბათ, თავიდანვე სწორად დავასკვენი, რომ ასეთ სიყვარულს არაფერი აქვს საერთო არც განსჯასთან და არც სტატისტიკასთან. უცნობია, საიდან მოდის ეს გრძნობა და, ალბათ, ასეა საჭირო.

ასე ვფიქრობ, მაგრამ ქალი ვარ, ნორჩი, თანაც დედამიწაზე პირველი ქალი, რომელიც ამ საკითხში გარკვევას ცდილობს, – სრულიად მოსალოდნელია, რომ გამოუცდელობით და უმეცრებით, არასწორი დასკვნა გამომაქვს.

ორმოცი წლის შემდეგ

ერთადერთი ჩემი სურვილი და უმხურვალესი ვედრება ის არის, რომ ამ სამყაროდან ერთად წავიდეთ; ეს მუდარა დედამიწაზე ყოველთვის გაისმება, მუდამ იცოცხლებს ყოველი მოსიყვარულე ცოლის გულში და მას ევას ღაღადისს დაარქმევენ.

თუ რომელიმე პირველს მოუწევს წასვლა, მინდა ის მე ვიყო და ამას ვნატრობ, – რადგან ის ძლიერია, მე კი – სუსტი და არც ისეთი აუცილებელი ვარ მისთვის, როგორიც ის არის ჩემთვის. მის გარეშე ცხოვრება ჩემთვის ცხოვრება არ არის და როგორ უნდა ვიცოცხლო? ეს ვედრებაც მუდმივი იქნება და ცას იქამდე აღევლინება, სანამ დედამიწაზე ადამიანის მოდგმა იარსებებს. დედამიწაზე პირველი ცოლი ვარ და უკანასკნელ ცოლშიც გავმეორდები.

ევას საფლავთან

იქ, სადაც ის იყო, იყო ედემი.

ქოლგისა

ირაკლი ვაშაყმაძე



ზამთრისპირის სევდა

მოწყენილი მაგნოლია,
ძირს გირჩები მოთქვამს ნაძვის,
ჩემო დედი, ჩვენს აივანს,
ზამთრის პირის სევდა აწვიმს.
ხელისგულზე ბაბოთია,
ბაგინეთი-კვერცხეთია,
ზევით თოვლის მინდვრებია,
მარცხნივ ბებოს მესხეთია,
აქვე, ჩვენი ამაღლება,
ნისლში ინაშაურია,
უშენობით ეს სიცოცხლე,
გახვრეტილი შაურია,
აგერ, ჩვენი ჭურისთავი,
ვენახია, ბოსტანია,
ნაძვებია, ჭადრებია,
პალმებია, ალვებია,
ყოველივე, რასაც ვხედავ,
შენი თვალშენავლებია,
შენი ხელშენავლებია.
მოწყენილი ოლეანდრე,
ძირს გირჩები ტირის ნაძვის,
ჩემო დედი, ჩვენს ეზო-კარს,
ზამთრისპირის სევდა აწვიმს.

ღელე ფერეთა

ცა უცაბედად დაემსგავსა მბორგავ მორევს, შავსა და მღვრიეს,
ლამაზსახელა ცისფერი ღელე, ფერეთა რომ შეარქვა ხალხმა,
ადიდდა და . . . აფორიაქდა.
ბაბოთისა და ბაგინეთის ურთხმელის ხიდი,
საცალფეხო,
წაიღო წყალმა.
დგას მდინარესთან დომნა ქალი თვალცრემლიანი,
დგას მდინარესთან პატარა გოგო,
ქვითინებს, ტირის . . .
„ნუ იტირებ, გაფიცებ დედას!
თორემ ფერეთა უფრო მეტად ადიდდება, აგიუმაუდება“. –
წვერშეღინღლული ქოჩორა ბიჭი ეხვეწება, ემუდარება,
შეცბუნებული ქვითინებს გოგო,
გაოგნებული ქვითინებს, ტირის.
„ნუ იტირებ, ღვთის გულისათვის“. . .
აღარ ქვითინებს პატარა გოგო . . .
გადაიღო, გადაიკარა, უფლის კურცხალი –
დაისის მზე გაბრწყინდა ცაზე,
„მოგიკიდებ, მოგიკუჭუნებ, გაგიყვან ნაპირს.

მომეკიდე, მომეკუჭუნე . . . “
. . . . . .
მოეკიდა ბიჭს გოგონა, მოეკუჭუნა . . .
ცივია წყალი, ჩავარდნილა ყინული წყალში,
ოჩან ცხენივით შუა მდინარეში გაჩერდა ბიჭი,
წაეკიდა ბეჭებზე ცეცხლი,
ალმოდებულს მიაგავს კედარს,
მდინარე შრება . . .
„არას თუ მეტყვი, მთელი სიცოცხლე ვიცახცახებ აქ, ამ ღელეში“,
აკანკალდა სილიბისტროს პატარა ქალი,
შუა მდინარეში დგას ჭაბუკი ნეტარი ტვირთით,
მერე . . . ფერეთა ყინულად იქცა,
მერე . . . ჭაბუკიც მოცახცახე გახდა ყინული . . .
ქვითინებს გოგო, სილიბისტრო ქარჩხაძის ქალი,
საღამოჟამზე პატარა გოგომ ამოიგმინა:
„უთხარ მამაჩემს და . . . წამიყვანე“.
განათდა სივრცე, დაისმაც ცეცხლი დაანთო მთებზე,
მოჰქუხს ფერეთა,
დომნა და ნოე ერთხორცად იქცა, ერთსულად იქცა ბიჭი და გოგო!
ეს ლამაზი, ტკბილი ამბავი ბებიაჩემმა მიამბო ერთხელ . . .
„რად აჩურჩუტდი, შე ტინგიცა, დედაკაცოო,“- ბებიაჩემი დატუქსა ბაბუმ,
თორთმეტი წლის დომნა გოგო, სილიბისტრო ქარჩხაძის ქალი,
ბებიაჩემი იყო, ბატონო!
ხოლო ულვაშებშეღინღლული „ფერეთას ლომი“, ნოე ჭაბუკი,
დარისპანის ძე, თეიმურაზის ძე – ბაბუაჩემი . . .
ზაფხულს ვიყავი იმ ლამაზ ადგილს . . .
ჭაჭანება არსად სულდგმულის,
სიცარიელის უკაცრიელ ტევრს, ახმიანებდა გალობა შაშვის,
თავდავიწყებით გალობდა შაშვი –
„დომნა-ნოეო“ მოისმოდა მწვანე ტევრიდან,
არც ბაგინეთი, არც ბაბოთი და არც ბილიკი,
საცალფეხო ხიდს, ფუტუროდქცეულს, ხავსი ეხვია,
ლამაზსახელა პატარა ღელე, ფერეთა რომ შეარქვა ხალხმა . . .
ნაღვლიანად მოიმღეროდა,
ფერად კენჭებად ქცეულიყო დომნა გოგოს ტკბილმწარე ცრემლი,
და ფერად კენჭებს, სიყვარულის ტკბილმწარე ცრემლებს,
კალმახები კოცნიდნენ ფრთხილად . . .
გალობდა შაშვი თავდავიწყებით . . .

ა რ ს ა კ ი ძ ე

ბევრი რამ დავიჯერე,
ბევრი ახლაც არ მჯერა,
ტაძარი აგიშენე,
მიკვირს – მომჭრეს მარჯვენა,

ფეხის ადგმისთანავე,
შენკენ ვდგამდი ნაბიჯებს,
გადიდებდი, მაგრამ რა, –
ენა ამომაგლიჯეს.

ნაღვარევის ფანდური

საღამოსპირის ნიავმა,
კაკანოს წვერი დანისლა,
ატკბილხმიანდა ფანდური,
შენი თაფლის ხმაც გაისმა,

ცას უმღერ თავდავიწყებით,
ჩიხტიკოპიანს, მთვარიანს,
მთიელი ბიჭი შენითა,
დაბარბაცებს და მთვრალია.

მოთხრობა

თარგმნა
ლილი მჯედლიშვილმა

ეკი პილი
(პოლონეთი)

მონოლოგი სოროდან

სორო მისი ბინადრის გემოვნებითაა მოწყობილი. ის, რომ იგი ნამდვილად სარდაფული ხასიათისაა, ამას ტიპური, თუმცა უკანა პლანის ელემენტებიც მოწმობს – შიშველი, ჩამონაყონი წყლით აჭრელებული, ადგილ-ადგილ ბათქაშაყრილი კედლები, პატარა სარკმელი ჭერქვეშ, თუჯის ნიჟარა, თითბრის ონკანი, ლურსმნებზე დაკიდებული ტანსაცმელი და აბლაბუდასავით დაქსელილი მილები.

აქ გამეფებულ მყუდრო გარემოს ავეჯი და საოჯახო ჭურჭელი ქმნის. მართალია,არც ერთი საგანი,იქნება ეს ფეხებიანი მატრასი,ეტაჟერი,დივანი, მაცივარი თუ სავარძელი,არაფრით განსაკუთრებული არ არის,მაგრამ იმ ადგილის სპეციფიკას თუ გავითვალისწინებთ,სადაც ეს საგნებია განთავსებული, განსაკუთრებული დახვეწილობით მაინც ტელევიზორი გამოირჩევა, თუმცა იმის გამო, რომ იგი უკანა პროსცენიუმში დგას, მხოლოდ ეკრანის მკვდარი ანარეკლის დანახვაა შესაძლებელი.

სოროს ბინადარი ტელევიზორის წინ გამუდმებით ორატორობს – ესაუბრება ტელევიზორს, სვამს ტელევიზორის სადღეგრძელოს, ეჩხუბება ტელევიზორს. მაშინაც კი, როცა შეიძლება მოგეჩვენოს, ვიღაცას ან რაღაც სხვას ესაუბრებაო, მაშინაც ტელევიზორთანაა საუბარში გართული. ტელევიზორს შეიძლება გულში ვნებიანადაც იკრავს, ან ისე ელოლიავება, როგორც ჩვილ ყრმას.

გარდა ამისა, დრო და დრო საათსაც დასცქერის, თითს ხან ზევით იშვერს, ხან ქვევით, გული ან მოჩვენებით უჩუყდება ან არამოჩვენებითად შმაგობს, მრისხანებს, მღერის, აკეთებს რეზონულ დასკვნებს, ერთი სიტყვით, აკეთებს იმას, რაც შეუძლია, ძალიან ბევრის გაკეთება კი, გულწრფელად გეტყვით, არხელეწიფების.

ბომუის, მითუმეტეს დაცემული ბომუის გარეგნობასა და აზრის მისეული გადმოცემის დახვეწილ, ზოგჯერ მაღალფარდოვან მანერას შორის, მართალია, უშველებელი უფსკრულია, მაგრამ ეს უფსკრული, წინააღმდეგ იმისა, როგორც იგი გარეშე თვალს შეიძლება მოეჩვენოს, სრულიად ადვილი გადასალახავია.

* * *

... მამაო ჩვენო, პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს,ამინ... ამ ისტორიულ ეტაპზე ჩემი ხალხი ბარძაყის არტერიაზე ამაო ზრუნვითაა შეპყრობილი. ზრუნავს რა თავისი ბარძაყის არტერიის არასაშურველ ხვედრზე, ჩემი ხალხი ამით ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ დიახაც, არ დაუკარგავს ისტორული ალღო. რაზე მეტყველებს ბოლო მონაცემები? კი ბატონო, მოგახსენებთ! გაუოველმა პენსიონერმა ორ თავდამსხმელ ხულიგანს ბარძაყის არტერიები გადაუჭრა; ვარშავის გარეუბანში მიწის ნაკვეთის მფლობელმა ბარძაყის არტერია დაუცხრილა ბოსტანში შეპარულ ქურდბაცაცას; პოლონელი მშვიდობისმყოფელი ძალების ჯარისკაცს მისმა თანაპოლკელმა შემთხვევით ბარძაყის არტერია ხიშტით გაუხვრიტა, რის შემდეგაც ჯარისკაცი დაიღუპა... ჰენოვეფ კ–მ ტრაპეზის დროს, როცა იგი ბლომად ისხამდა სტომაქში სასმელს, ისე უხერხულად ჩასცხო სამზარეულოს დანა თავის თანამცხოვრებ მარიანა ს–ს, რომ დაზიანებული ბარძაყის არტერიიდან სისხლის დენის შედეგად ქალი ადგილზევე გარდაიცვალა; კონტროლის პალატის თავმჯდომარეს ავტოკატასტროფის დროს ძარის წვეტიანი ნამტვრევი ბარძაყის არტერიაში მოხვდა და იმანაც თქვენი ჭირი წაიღო. ბოთლის ნამტვრევმა ბარძაყის არტერია გადაუჭრა ცნობილ პოეტს – ბერნარდა მ–ს, რის შედეგადაც

პოლონურმა ლიტერატურამ ამჯერადაც აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. თითქმის ასევე დაიღუპა საქალაქო ტრანსპორტის სამმართველოს კონტროლიორი ანჯეი რ... ა, ბატონო, ჩამოვთვალე... მაგრამ ეს ხომ ბოლო მონაცემების მხოლოდ მცირე ნაწილია! ეს ხომ მხოლოდ ის შემთხვევებია, რის შესახებაც ჩემი ხალხი მხოლოდ ოფიციალურადაა ინფორმირებული და ამა თუ იმ მიზეზით, ვინ იცის, ბარძაყის რამდენ გადაჭრილ არტერიაზე წარმოდგენაც არა აქვს, ბარძაყის რამდენი დაგლეჯილი არტერიაა დუმილის შეთქმულებით გარემოცული... „რამდენ ამისთანას მალავს ვითომცდა არარსებული ცენზურა?“ – კითხულობს ჩემი ხალხი და – უამრავზე უამრავსო, – თვითონვე პასუხობს... „ავიღოთ თუნდაც.. – აღნიშნავს იგი მარადიული სიბრძნით აღჭურვილი, – თუნდაც მხოლოდ ერთი – მკვდარი სტატისტიკა!“.. დიახ, სტატისტიკა მკვდარია და მე ამას ვეთანხმები, ვინაიდან, ციფრების მკვდარი, უსიცოცხლო სვეტები არტერიული სისხლის სტატისტიკას ვამპირივით სწოვს.

მაგრამ ხუმრობა იქით იყოს და... აქ, ამ იატაკზე, დიახ, დიახ, აი ამ იატაკზე, ყველა ჩემი იმ გარდაცვლილი თანამემამულის ცხედარი რომ დავდო, რომელიც გასულ დღე-ღამეში ბარძაყის არტერიის დაზიანების გამო გარდაიცვალა, უკაცრაული პასუხია და, ამ სავარძლიდან წამოდგომას და ფეხსალაგამდე მისვლასაც ვერ შევძლებდი...

მაშინ გრახა პეტერბურგი? აა, გრახა პეტერბურგი? გრახა პეტერბურგი როგორღა მოაღწევდა ჩემამდე? სისხლისაგან დაცლილ მიცვალებულთა გვამებზე თავისი რძისფერი ფრთების გაშლას როგორღა შეძლებდა? ჩემზე როგორ იზრუნებდა? საბრალო, როგორ გამომკვებავდა?

სხვა საქმეა, როცა მე თვითონ ამომივა ყელში ყველაფერი, ვთქვათ, მაშინ, როცა ჭიქას ჭიქაზე მწარე სასმელით მივსებს, ან პირდაპირ ალპებიდან მომდინარე რძის საუცხოო შოკოლადის ფილას ნაწილ-ნაწილად მიმტვრევს; ან თავისი ძაღლური ერთგულების გამომსხივებელი ღიმილით მიღიმის. ზოგჯერ ეს ყველაფერი ყელში ისე ამომდის (ოღონდ ცოტა ხნით), რომ სიამოვნებით ვეცემოდი და ბარძაყის არტერიას გადავუღრღნიდი. არა, ისეთს ნურაფერს იფიქრებთ, მე მას შესანიშნავად ვექცევი, ის კი არა, განტვირთვისათვის ზოგჯერ ჩემს თავს ჩვენი ბობოქარი ურთიერთობის ამბებს ათასჯერ და დაწვრილებით ვახსენებ. მიუხედავად ამისა, დრო და დრო აუტანელი სურვილი მეუფლება, ვეცე, გვამებით დაფარულ მეტლახის ფილებზე წავაქციო, კოლგოტკები შემოვაგლიჯო და ღვთაებრივ ბარძაყზე დავაცხრე. დიახ, იღვიძებს ჩემში ეს მდაბალი სურვილი, ანუ გუშინდელი თრილერი, ანუ გრახა პეტერბურგისათვის სისხლის გამოშვების სურვილი. მერე კი, როცა ეს ყველაფერი მოთავდება, სისხლისგან დაცლილ სხვა გვამებს შორის მისი გვამის დამალვის სურვილიც.. ხანდახან მინდა ეს ყველაფერი გულგრილად ჩავიდინო, ცივად და ანგარებით. რა ეშმაკად უნდა ველოდო, საკუთარ თავზე კონტროლს როდის დავკარგავ, აფექტის მდგომარეობაში როდის აღმოვჩნდები და შეშლილობის შავ ვუალში როდის გავეხვევი! რა ეშმაკად უნდა ველოდო? მაინც რატომ უნდა ველოდო? ისედაც მთელი ჩემი ცხოვრება ლოდინში გავატარე! ველოდებოდი, როდის გავიზრდებოდი; ველოდებოდი, როდის დავამთავრებდი ინსტიტუტს; ველოდებოდი ტრამვაის; ველოდებოდი უკანასკნელ ცნობებს; ველოდებოდი ამინდის პროგნოზს... ველოდებოდი კომუნიზმის დამხობას; ველოდებოდი ზანტ ოფიციანტებსა და ღვინის მაღაზიების გახსნას... ველოდებოდი ბინის ორდერს, ველოდებოდი ქრთამს ჩემი პაციენტებისგან; ველოდებოდი, როდის გიყიდდი, ჩემო ფერადო კინესკოპო „ტრინიტრონო“! ველოდებოდი ქალიშვილებს სააგენტო „მოცალეობიდან“... ველოდებოდი, ჩემი ყოფილი ცოლი თავს აბაზანიდან როდის გამოყოფდა; ველოდებოდი, როდის წავიდოდა გერეკი ხელისუფლებიდან; ველოდებოდი, როდის დაკარგავდა გომულკა ძალაუფლებას, როდის დაკარგავდა ძალაუფლებას იარუზელსკი... ველოდებოდი, როდის მოვიდოდა ხელისუფლებაში ან როდის დაკარგავდა ძალაუფლებას ულვაშა სახალხო ბელადი; როდის გაიტანდა გოლს ჩვენი გუნდი, როდის გამივლიდა ნაბახუსევი, როდის ამივარდებოდა თავში პირველი სირჩა... ღმერთო!.. ღმერთო დიდებულო!.. არ მინდოდა უადგილოდ მომეხსენებინა შენი სახელი, მაგრამ ველოდებოდი ყავას, ველოდებოდი სადილს, ველოდებოდი ფორთოხლებს, ველოდებოდი ძეხვს, ხორლო როცა ძეხვი ბარათებით იყო, ველოდებოდი ძეხვის ბარათებს... ველოდებოდი თეატრალურ გადაცემებს ორშაბათობით, ოთხშაბათობით მატჩებს, ხოლო „კოლომბოს“ – ხუთშაბათობით. ველოდებოდი, როდის დადგებოდა ჩემი ჯერი სიგარეტის რიგში; ველოდებოდი „ტიგოდნიკ პოვშეხნის“[1] გამოსვლას; ველოდებოდი რომის პაპის ვიზიტს, ბრეჟნევის სიკვდილს, ადამიანის დაჯდომას მთვარეზე... ველოდებოდი ტელეფონის ზარს, ველოდებოდი წერილს, ველოდებოდი ბილეთს, ველოდებოდი, ვიდრე დადასტურდებოდა ჩემი დიაგნოზი, ვიდრე ჩემთვის გამოწერილ ანტიბიოტიკს ვიშოვიდი, ვიდრე ტემპერატურა დამიწევდა, სურდო და თავის ტკივილი გამივლიდა, გულისრევა და ღებინება შემიწყდებოდა. ველოდებოდი საზღვარგარეთის პასპორტს, ველოდებოდი თვითმფრინავს, ველოდებოდი მატარებელს, ხოლო როდესაც მატარებელი სადგურიდან არ გამოვიდოდა, ველოდებოდი შეპირებულ სარეზერვო ავტობუსს, მაგრამ თუ არც შეპირებული სარეზერვო ავტობუსი გავიდოდა, ველოდებოდი პოლონეთის სამხარეო ტურისტული საზოგადოების ორგანიზატორთა მიერ შემოთავაზებულ ღამის სათევ ადგილს. პოლონეთის სამხარეო ტურისტული საზოგადოების ორგანიზატორების მიერ ვითომ უზრუნველყოფილ ღამის სათევ ადგილსაც თუ ვერ მივიღებდი, ველოდებოდი, ეს ყველაფერი ჯანბადაში როდის ჩაინთქმებოდა. ახლა? ახლა რას მიბრძანებთ? ახლაც გინდათ ველოდო? ველოდო, ვიდრე ერთ მშვენიერ დღეს დამბლა არ დამეცემა, სული არ ამომძვრება? ვიდრე ჭკუაზე არ შევიშლე-

1. ყოველკვირეული კათოლიკურ-ლიბერალური გაზეთი.

ბი? ვიდრე პირუტყვად არ ვიქცევი? ვიჯდე ასე და ველოდო, არა? არხეინად ველოდო, ვიდრე სულ არ გავგიჟდები, არ გადავირევი? ვიჯდე მშვიდად და ველოდო? ნურას უკაცრავად, ვერ მოგართვით, ამის იმედი ნუ გექნებათ!.. არაფერი მინდა, ფეხი შემოადგას, კარს გადმოაბიჯოს, ისე ვებდღვნები, როგორც დამშეული ნადირი!

მაგრამ გრახა პეტერბურგი მხოლოდ მაშინ მოდის, როცა „ძილი ნებისა“ იწყება. ჩვენი კავშირის გაკეთილშობილება, ასე თუ ისე, შევძელით და ეს მნიშვნელოვანი სულიერი მონაპოვარია... შვიდს შვიდი წუთი აკლია... გრახა პეტერბურგი ახლა მაგიდაზე პლასტიკის ჭრელ ჩანთას ხსნის და ნაირნაირი გემრიელი სასუსნავით ავსებს. ახლა ხელებს იბანს... ახლა მაკიაჟს იახლებს... ორიოდე წუთიც და, მედიდური ნაბიჯით ჩემი სევდისა და სიხარულის სარდაფისკენ გამოემართება. კიდევ ორიდე წუთიც და, ჩამობრძანდება აქ მეშვიდე სართულიდან.

იმ მეშვიდე სართულზე კი არის ბინა, სადაც კარგა ხნის წინ ჩემს ცოლსა და ჩემს უხეირო ვაჟიშვილთან ერთად ვცხოვრობდი. ოთხმოციანი წლების დამდეგს, როცა იქიდან ჩემი სევდისა და სიხარულის იატაკქვეშეთში ჩამოვბარგდი, იქ ჩემი მომხიბვლელი ცოლი და ჩემი უგერგილო ვაჟიშვილი დარჩნენ. ოთხმოციან წლებში, როცა ჩემმა კეთილშობილმა მეუღლემ დამტოვა და მასთან ერთად ჩემი უხეირო ვაჟიშვილიც წავიდა, ჩვენი ბინა დაცარიელდა. ოთახებში ახლა არყოფნის სიო დანავარდობს. ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში კი, როცა გრახა პეტერბურგი ფსკერიდან ამოვათრიე, როცა მე თვითონაც ერთხანს სოროდან ამოვძვერი (რა წინდაუხედავი, ო, რა წინდაუხედავი საქციელი იყო!), მეშვიდე სართულიდან მთელი ექვსი-შვიდი თვე ჩემს თვალწინ გადაშლილი ბურთისებური სამყარო ზედ ხელისგულზე მედო. მაგრამ თავდაცვით ინსტინქტს აყოლილი მალე ისევ ჩემს სოროში დავბრუნდი. გრახა პეტერბურგი კი ჩემს ყოფილ ბინაში დარჩა. ცხოვრობს თავისთვის არხეინად მთის იმ კენწეროზე. ჯიბის ფულს მე ვაძლევ რეგულარულად და ისიც ყოველდღე მოდის ჩემთან, მოდის იმ დროს, როცა „ძილი ნებისას“ გადმოსცემენ, ვინაიდან, იცის ეს გადაცემა კეთილად მოქმედებს ჩემს მორყეულ ნერვულ სისტემაზე. მეც განსაკუთრებულ შემწყნარებლობას ვიჩენ. ადრე ასე არასოდეს ვიქცეოდი, ის კი არა, გულახდილად თუ ვიტყვი, ადრე პირიქით იყო. ადრე „ძილი ნებისა“ ჩემში ველურ ინსტიქტებს აღძრავა. მიკი მაუსის დანახვაზე გული რისხით მევსებოდა, იხვის ჭუჭულ დონალდს თვალის დასანახად ვერ ვიტანდი. ჯერ თვალიც არ დამეხამხამებინა, რომ ეკრანზე ახლა დათუნია დრუნჩა გამობაჯბაჯდებოდა. ბეღურა ჩიკჩირიკს ლანძღვა-გინებით ვიკლებდი. საცოდავ ვინი პუხს ისეთი სალანძღავი სიტყვებით ვიხსენიებდი, მართალი გითხრათ, მრცხვენია კიდეც. მაგრამ ეს წარსულში იყო. ადამიანი იზრდება, ვითარდება და შეხედულებებს იცვლის. „ძილი ნებისა“ რომ იწყება, მეც მულტფილმივით საყვარელი და სიმპათიური ვხდები. თვალყურს ვადევნებ კურდღლისა და მგლის პერიპეტიებს და თბილად ვიღიმები. დიახ, დიახ!.. ზიზღით კი არ ვიმანჭები, თბილად ვიღიმები. გრახა პეტერბურგს გემრიელი სასუსნავი მოაქვს. მაჭმევს, მასმევს და, „ძილი ნებისას“ ან „ახალი ამბების“ შემდეგ სერიალს თუ აჩვენებენ, სადაც ასაკოვან ქალსა და გამოუცდელ ყმაწვილს შორის სასიყვარულო კავშირი იბმება, სერიის დასრულებამდე რჩება...

აი, მისი ნაბიჯების ხმა მესმის, მთის მწვერვალიდან ჩამოდის, მოდის, მიახლოვდება და მანძილი გრახა პეტერბურგის ბარძაყის არტერისა და ჩემს შორის უკვე აღარც ისე უხიფათოა.

სცდები, ჩემო შეუმცდარო საკონტროლო ცხრილო, ეს შეშლილობა არ არის... სრულიად საღ ჭკუაზე გალავართ, ვიცი, რასაც ვამბობ. ყოველდღე და ყოველღამე ათეულობით ჩემი თანამემამულე ბარძაყის არტერიის დაზიანების გამო სისხლისაგან იცლება და პოლონეთის მწვანე რუკას ღია ფერის არტერიული სისხლისაგან შავი ფერი ედება.

ერთხელ კიდევ გიმეორებ: აქ არავითარი შეშლილობა, არავითარი იდეე ფიხე-ი არ არის. გარკვეული როლი შეიძლება აქ ჩემმა პროფესიულმა გამოცდილებამ უფრო ითამაშა. მაგრამ, სხვა მხრივ თუ შევხედავთ, უფლებას ვაძლევ ჩემს თავს, ვთქვა, რომ მიუხედავად იმისა, ვარ რა შეთქმულების თეორიის, როგორც ისტორიის ძირითადი მამოძრავებელი ფაქტორის წინააღმდეგი, მე მაინც ასი პროცენტით დარწმუნებული გახლავართ, რომ ჩვენი ბარძაყების არტერიების წინააღმდეგ შეთქმულება არსებობს. სხვათა შორის, ჩემს ხალხს მიაჩნია, რომ ერთიც სწორია და მეორეც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ სწორია ერთი, მაშასადამე სწორია მეორეც. ანუ ჩემი ხალხის აზრით, ვინაიდან ისტორიაში შეთქმულების თეორიაც ცნობილია და პრაქტიკაც, ესე იგი, არც ჩემი ხალხის ბარძაყის არტერიის წინააღმდეგ შეთქმულებაა გამორიცხული... მოცემულ ეტაპზე ისტორია მესამე რეჩ პოსპოლიტის ყველაზე მოწყვლადი და სისხლიანი სისტემის წინააღმდეგ ილაშქრებს. მაშასადამე, ჩემი ხალხისათვის არა მხოლოდ ისტორიის შეთქმულებითი თეორიაა ცნობილი, არამედ მედიცინის შეთქმულებითი თეორიაც. რაც შეეხება გეოგრაფიულ შეთქმულებას, ამაში ჩემი ხალხი იმ დროიდან არის დარწმუნებული, როცა თვალები მოიფშვნიტა, გამოფხიზლდა და მიხვდა, რა მიწა, რა მამული ერგო წილად. პირველი სლავები ჯერ ხეირიანად განცალკევებულებიც არ იყვნენ, რომ უკვე გულწრფელად იფიცებოდნენ, ჩვენი მიწა და მამული სულ სხვა ადგილას იქნებოდა, საიდუმლო შეთქმულება რომ არ ყოფილიყო.

რა შეთქმულებაა? ვისი შეთქმულებაა?.. როგორ თუ ვისი? როგორ თუ რა? ისიც ცნობილია „რა“ და ისიც ცნობილია „ვისი“! თავისიანებს სლავები აქ, ამ მიწაზე ხვდებიან და, რამდენიც უნდა ატრიალო, არის ამაში ერთგვარი რკინისებური ლოგიკა. თუ მრავალი ათასი წლის წინ რომელიღაც წინასლავურ წრეებში ერთხმად იქნა მიღებული მტკიცებულება, თითქოს კარპატების მთებს მომდგარმა

ყინულმა უკან ადგილობრივ ტომებში ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შედეგად დაიხია, თუ ეს ასეა, თუ ეს აღმავლობა გარკვეული წრეების მიერ საკუთარი ინტერესებისათვის იქნა გამოყენებული, აშკარაა, რომ კარპატების მთებს მომდგარმა ყინულმა უკან, მართლაც, ისტორიულ-გეოგრაფიული შეთქმულების შედეგად დაიხია. ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ ახლანდელი მტკიცება, ბარძაყის არტერია ყოველთვის აქილევსის ქუსლს წარმოადგენდა პოლონელებისთვისო, ვითომ რატომ არ უნდა ჟღერდეს დამაჯერებლად?!

* * *

ჰოდა, როცა ჩემდა უნებურად გამუდმებით ვეფერები ჩემს მარჯვენა ბარძაყს, ეს არც რეფლექსია, არც მავნე ჩვევა – ეს თავდაცვითი რეაქციაა. მე ვიცავ ჩემი ბარძაყის არტერიას. ვიცავ გარე არტერიას და ვიცავ შიდა არტერიას. ვიცავ იმ მახვილისაგან, რომლით ზიანის მიყენებასაც კაცი შეიძლება ყოველ წუთს ელოდე. არ დავფარავ: ვმუშაობდი ჯანდაცვის სისტემაში. ერთ-ერთი კლასიკოსის პერსონაჟის მიერ დასმულ კითხვაზე – ვინა ვარ, რას წარმოვადგენო? მე შემეძლო ამ კლასიკოსისავე პერიფრაზირება მომეხდინა და მეპასუხა: "Я один коледжский ассесор"[1]... უბნის ერთი უბრალო ექიმი გახლავართ-მეთქი... პოლიკლინიკებში, დისპანსერებში, მიმდებ განყოფილებებსა და თუ მედპუნქტებში მთელი ოცი წელიწადი ანტისეპტიკების სუნს ვსუნთქავდი. მართალია, სამუშაო ადგილებს ხშირად ვიცვლიდი, მაგრამ სუნი ყველგან ერთნაირი იყო: – სუნი სახვევი მასალისა და მასტერილებელი ხსნარებისა, სუნი გახსნილი მუცლის ღრუების, რენდგენის სველი სურათების, სუნი დოლბანდებიდან გამოჟონილი სისხლისა, მომაკვდავი ადამიანების ოფლის სუნი და მუდმივი სუნი გვამური მედიცინისა. მართალია გული ყოველთვის ლიტერტურისაკენ მიმიწევდა, მაგრამ მედიცინა ავირჩიე. არჩევანი, ცხადია, წარუმატებელი იყო. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ უკეთესი იქნებოდა, უპირატესობა ლიტერატურისათვის მიმენიჭებინა. დარწმუნებული ვარ, დიდი ბედენა არც ლიტერატურაში ვიქნებოდი.

სწორად გამიგე, არ მინდა თავი უბედურ ტანჯულად წარმოგიდგინო. მოწაფესავით თავს ცხოვრების ამაოებაზე წუწუნით და ბავშვური პესიმიზმით როდი ვიწონებ, უიმედობით როდი ვთვრები. შენს წინაშე აუხდენელი იმედებით ჩაშავებულ ჩემს შიგნეულს როდი ამოვატრიალებ, როდი გაიძულებ, აღტაცებული იყო მისი რაობით. ო, უმშვენიერესო იმ ქალებს შორის, ამინდის პროგნოზს რომ გვამცნობენ, შეხედე, როგორი მშვენიერია ჩემი სული თავისი ტრაგიზმით! არა, მე ხომ ლიტერატურაშიც ვერ ვიტან პირქუშ მონოლოგებს თავისი ფიზიოლოგიური წვრილმანებით. რა თქმა უნდა, ცხოვრებამ ქანცი გამაცალა, მაგრამ ბედის ყოველ დარტყმას ჩემში მამაკაცი იტანდა. მამაკაცო, მე ვიტყოდი, ვაუკაცი უნდა იყო!

* * *

მართალია, მედიცინა ავირჩიე, მაგრამ მედიცინასთან საერთო არასოდეს არაფერი მქონია. ანდა რა საერთო უნდა მქონოდა მედიცინასთან, თუკი თავად ჩემს თავთანაც არაფერი მაქვს საერთო. ესეც ერთი კლასიკოსის დამახინჯებული ციტატაა. ეს კლასიკოსი მართალია რუსი არ არის, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს. მედიცინისაგან მხოლოდ საკუთარი ავადმყოფობის შეცნობის უნარი შემრჩა, ლიტერატურისაგან – კლასიკის სიყვარული. განსაკუთრებით რუსული კლასიკისა. ასევე რუსი კლასიკოსების ნაწარმოებებიდან ციტატების პერიფრაზირების სიყვარულიც.

ადრე ექიმი ვიყავი, ახლა გარკვეული აზრით პაციენტი გავხდი, უფრო ზუსტად, გამოჯანმრთელებადი პაციენტი.

ეს კომფორტულად მოწყობილი მიწური ჩემი საავადმყოფო, ჩემი სანატორიუმი, ჩემი ამბულატორიაა. ეს არის ჩემი მშობიარობის შემდგომი პალატა, ჩემი პოლიკლინიკა, ჩემი გამოსაფხიზლებელი, ჩემი დეტოქსიკაცია, ჩემი რეანიმაცია, ჩემი ნარკოლოგიური დისპანსერი. ხანდახან ასე მგონია, დერეფნიდან მედდების ნაბიჯების ხმა მესმის, ავადმყოფების ფლოსტების ფრატუნი, სადეზინფექციო ქირურგიული ინსტრუმენტების წკრიალი და მეჩვენება, რომ ღმერთისაგან და ორდინატორებისაგან მიტოვებულ პალატაში ვიმყოფები, ვიღაცამ ოდესღაც წინამხარში სასიცოცხლო, ანდა იქნებ მომაკვდინებელი ნემსი გამიკეთა და ვწერვარ ამ მარადიული წვეთოვანის ქვეშ, რომლის მოხსნა აზრადაც აღარავის მოსდის.

საკუთარი პერსონის მიმართ მრავალდღიანი ბოროტი ქირდვისა და საზიზღარი დაცინვის შემდეგ აქ, ამ სოროში ვპოვე თავშესაფარი. აქ მოვდიოდი გონებაზე, აქ ვუბრუნდებოდი ცხოვრებას. ჩემმა ფიზიკურად უნაკლო ცოლმა, ჩემი უვარგისი ვაჟიშვილის დახმარებით, აქ გამოაძევა ჩემი გრძნობადაკარგული სხეული, თუმცა, მართალი გითხრათ, ის – ჩემი სხეული – აქ მხოლოდ სამი რიტუალური დღით ჩაამწყვდია, ანუ ვიდრე მკვდრეთით აღვდგებოდი. პირველ დღეს სიბნელეში ვიწექი, შინაგან თრთოლვასა და გულის კანკალს ვიკავებდი. მეორე დღეს სინათლე ავანთე და მთელი ის დღე პოპულარული ლიტერატურის კითხვაში გავატარე. მესამე დღეს შუბერტს ვუსმენდი. საფორტეპიანო ტრიო სი მაჟორამდე რომ მივედი, ეს იმას ნიშნავდა, რომ უკვე მომჯობინებული ვიყავი.

თავიდან წელიწადში აქ მხოლოდ ერთი-ორჯერ თუ მოვხვდებოდი, კვარტალში, ვთქვათ, ერთხელ ყოველ მომდევნო ორ თვეში. მერე ყოველთვე, მერე თვეში რამდენჯერმე, მერე კვირაში ორჯერ, კვირაში სამჯერ და ასე მანამდე, ვიდრე აქ საბოლოოდ და საფუძვლიანად არ დავმკვიდრდი. თავიდან აქ, როგორც გითხარით, ჩემს უგრძნობ სხეულს ჩემი კეთილშობილი ცოლი და ჩემი უვარგისი შვილი მიათრევდნენ. როცა ჩემი კეთილშობილი ცოლი დამცილდა, ზოგჯერ ჩემი შორეული ნათესავები მეხმარებოდნენ, მერე კეთილი მეზობლები, მერე მე თვითონ ჩამოვდიოდი და მე თვითონ ავ-

1. თ. დოსტოევსკი – "ჩანაწერები იატაკქვეშიდან".

დიოდი. ჩემს თავს აქიდან მე თვითონ ვაძევებდი, ჩემს მიფურთხებულ სხეულს აქ ჩემი დატანჯული სული მოათრევდა, ჩემი ამბოხებული სული აქ ჩემს მიფურთხებულ სხეულს მოჰყავდა, თავისში მალავდა, ლაგამს სდებდა და აკავებდა, ვინაიდან ის – ჩემი სხეული – ნიადაგ გასაფრენად იწევდა. მართალია ეს არალოგიკურად ჟღერს, მაგრამ მერე და მერე ასვლა გაცილებით იშვიათი იყო, ჩამოსვლა გაცილებით ხშირი.

არალოგიკურად კი ჟღერს, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ვისთვის ან რისთვის ვუბედობ ტყუილუბრალოდ? ვის დარწმუნებას ვცდილობ? საკონტროლო ცხრილისას? როდიდან იქცა ლოგიკა, ეშმაკსაც წაუდია, ნამდვილობის იმ ძრავად, რომლითაც „ბედნიერი შემთხვევა“ იმართება? თქვენ უკვე ამოწურეთ თქვენი დროის ლიმიტი: პი-პიი!

რა თქმა უნდა, არალოგიკურად ჟღერს, მაგრამ, ასე იყო, ზუსტად ასე და არა სხვაგვარად. იატაკქვეშიდან სულ უფრო იშვიათად ამოვდიოდი, ვბრუნდებოდი კი სულ უფრო ხშირად. ვბრუნდებოდი პერმანენტულად, მანიაკალური სიჯიუტით, მანამდე, ვიდრე ის არ აღსრულდა, რაც შუბლზე მეწერა, რაც ჩემი ბედისწერა, ანუ იატაკქვეშ ცხოვრება იყო. ისე, ჩემს მოკრძალებულ მოთხოვნებს თუ გავითვალისწინებთ, მე აქ საკმაოდ კომფორტულად მოვეწყვე... თავიდან მხოლოდ ტახტი იდგა... როგორც ბიბლიაშია: დასაბამიდან იყო ტახტი და ტახტს ზემოთ აღმართული იყო შიშველი კედლები. და აი, რით არ არის ჩემი სორო ახლა მყუდრო იზოლატორი, სადაც შეგიძლია ცხოვრებად წოდებული ლოთობის წინააღმდეგ წლობით იმკურნალო? თითოეული ნივთი ჩემი ერთ-ერთი წარმოუდგენელი დაცემის მოსაგონარია. ყოველთვის, როცა ამ წარმოუდგენელი დაცემის შემდეგ ფეხზე წამოვდგებოდი, რაიმე მყარ მატერიაზე დაყრდნობის მწვავე სურვილი მეუფლებოდა და ჩემს სოროშიც სწორედ მაშინ ჩნდებოდა ესა თუ ის ახალი ნივთი. ცხადია, საუბარი არ არის ზარალის ბანალურ კომპენსაციაზე, დანაკარგის დაუყოვნებელ ანაზღაურებაზე. ზარალს, უბრალოდ, ვითმენდი. ოდესღაც ჩემი კუთვნილი აუარებელი ჩანთა, საფულე, ქოლგა თუ ავტოკალამი, ჩემი გზა-ბილიკების ბნელ მიხვეულ-მოხვეულებში სამუდამოდ გაქრა. მაგრამ საქმე ის როდია, დაცემის შემდეგ, ვთქვათ, ერთი ჩემოდნით გაღარიბებული თუ წამოვდგებოდი. დიახ, ერთი ჩემოდნით გაღარიბებული! მაგრამ ერთი ჩემოდნის ქონა-არქონა აბა რას წარმოადგენდა იმ ყოვლისმომცველ სიცარიელესთან შედარებით! მეძინა სიცარიელეში, ვიღვიძებდი სიცარიელეში, ირგვლივ სიცარიელე სუფევდა და მე თვითონაც ცარიელი ვიყავი. ვის ახსოვდა ჩემოდანი! სულერთია, თავს უამისოდაც ისე ვგრძნობდი, თითქოს ამქვეყნად არაფერი გამაჩნდა.

თუ გეტყვი, ისეთი განცდა მქონდა, თითქოს დედიშობილა, უმწეო და უქომაგო ვიყავი – თუ ამას გეტყვი, ეს მხოლოდ ცარიელი სიტყვები იქნება. გარწმუნებ... გარწმუნებ ჩემო ენაწყლიანო დოქტორო ქალბატონო, ახალგაზრდას, რომელსაც მშფოთვარედ გატარებული საღამოს შემდეგ არ ძალუძს თავიდან მოიშოროს განცდა იმისა, თითქოს ხალხმრავალი, აურიამულებული გზაჯვარედინი უგვანოდ გაფლაშულ, ჭუჭყიან პეენერულ საცვალში საზარდულგამოჩურთულმა გადაკვეთა, წარმოდგენა არა აქვს, როგორ მდიდრულად და დახვეწილად იყო ჩაცმული. გარწმუნებ, ჩემო ღვთაებრივო ცისკარო – ჩემი სიშიშვლე ამაზე ასჯერ სამარცხვინო იყო, ხოლო ჩემი სირცხვილი ყველა სირცხვილზე კვინტესენციური. ბრბო, რომელიც გარს მეხვია, ყველანაირ ბრბოთა ერთ სახეს წარმოადგენდა. არ მეცვა სამოსი, არ მფარავდა კანი, არ გამაჩნდა ხორცი. ჩემს სხეულს არ აკავებდა ხერხემალი, ჩემს ფილტვებს არ იცავდა ნეკნები, მაგრამ არ იყო არც ფილტვები, არ იყო ჰაერი, არ ვიყავი არც მე... ნელა, ნელა ვიბადებოდი მთრთოლვარე გამჭვირვალებიდან. მაშინ თითოეული... განსაკუთრებით თითოეული ახალი ნივთი, თავისი ჩვეული ფორმით გარემოდან ამოვარდნილი და ამის გამო თავისი ყოველდღიური ანტურაჟით შეუმჩნეველი, უდაბნოში მორაკრაკე ანკარა წყაროდ მეჩვენებოდა. ვეხებოდი საგანს, ვეხებოდი სუბსტანციას, ვეხებოდი წიგნის თაროებს და ისიც იმითვე მპასუხობდა. ასე აღორძინდებოდა პირველი გრძნობა, გრძნობა შეხებისა, მატერიალიზდებოდა კანი, კანით ისევ იმოსებოდა ჩემი სხეული...

* * *

სიტყვამ მოიტანა და, თაროები აქ 1989 წლის ზაფხულში გაჩნდა, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი სალუდე „ევროპაში“ ჩემი დაცემის მოწმე და მნახველია. ეს კი აი ასე მოხდა: როცა პოლონეთში კომუნიზმი ეცემოდა, მე სალუდე „ევროპაში“ განვიცდიდი დაცემას. კარგი კალამბურია-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ სიტყვა ბეღურა არ არის. უფრო ზუსტი რომ ვიყო, დაცემა, რის შესახებაც ეს-ესაა მოგახსენეთ, სალუდე „ევროპაში“ დაიწყო და გუეგოუეცკის ქუჩაზე რესტორან „ახალში“ დამთავრდა. ბუფეტი 1990 წელს, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შევიძინე, რითაც გროცკის ქუჩაზე, რესტორან „თემიდაში“ დაწყებული ჩემი დაცემის ის სახელოვანი გზა აღვნიშნე, რომელმაც „გაველკაზე“, „სამ თევზსა“ და „ერმიტაჟზე“ გაიარა და იქვე – „ერმიტაჟშივე“ მტრის უკანასკნელი რედუტების აღებით დამთავრდა. რაც შეეხება დივანს, დივანი ჩემი განდგომილი მეგობრის დაბადების დღეს, ანუ ქრისტეს დაბადებიდან 1991 წელს შევიძინე და იგი ჩემთვის, ფსკერზე დაცემულისათვის აღმართული ძეგლი გახლავთ.

სხვათა შორის, სწორედ ჩემი ის განდგომილი მეგობარი მამარაგებს ანტიპაპური ფურცლებით... ის მაყენებს შეუწყნარებლობის ყოველგვარი გამოვლინების საქმის კურსში. ამას წინათ, მაგალითად, გადაჭრით გამომიცხადა, ობიექტურობით განთქმულმა რადიოსადგურმა ბი-ბი-სიმ (ვის გადაცემებს დიდიხანია უსმენს), რომაულ-კათოლიკური იმპერიალიზმის გავლენით, თავისი განთქმული ობიექტურობა დაკარგა, ვინაიდან, ძალზე ობიექტური სიტყვის – „პაპის“ მაგივრად, ახლა სუბიექტურ გამოთქმას – „წმინდა მამას“ ხმარ-

ობსო...

ამის მიმართ როგორი უნდა იყოს ჩემი დამოკიდებულება? რას მიბრძანებთ, მაინც რა ვიფიქრო, ჩემო წარმართო მსხვერპლთშემწირველო, ჩემო ბაჯაღლო ოქროვ, მაინც როგორი უნდა იყოს ჩემი დამოკიდებულება, ჩემო ელექტრონებიდან ქმნილო ვერცხლის ტარიგო?.. ბოლოს და ბოლოს იქნებ მითხრა, იქნებ მიკარნახო, რა ვიფიქრო, ცეცხლისაგან უწვავო ჩემო მაყვლიანო, მარადიული ცეცხლით რომ გიზგიზებ და არ იწვები...

* * *

მომდევნო წელს, ანუ დივნის შეძენის წლისთავზე, „ფლორიანოს“, „ქათმის ფეხებსა“ და „ველენსკს“ შორის, ბერმუდის სამკუთხედში, ჩემი თავგზის ამბნევი, წაღმა-უკუღმა დამტრიალებელი და სულის ამომხდელი მორევის პატივსაცემად მაცივარი შევიძინე. დიახ, სასწაულად გადავურჩი რა ეშმაკეულ სამკუთხედში მოუსვენარ მგზავრებს ჩასაფრებულ, ენით აუწერელ საფრთხეს, მაცივარი შევიძინე.

იმავე წელს ახლა ანტიკვარიატის რიგი დადგა – ვიყიდე სავარძელი. ეს არა მარტო სავარძელი, არამედ ის ობელისკიცაა, ჩემს იმ დაცემებს რომ უკვდავყოფს, რომელიც მაშინ განვიცადე, როცა „ჩიხ კონჩიკის“ გადმა, ბლონდებზე, რუდავას ნაპირებსა თუ კოსტიუშკოს მწვერვალზე დავაბიჯებდი. მართალია, მწვერვალის კენწერომდე ვერასოდეს ავაღწიე, მაგრამ, ის, რომ იქიდან უფსკრულში ნამდვილად გადავიჩეხე, უდავოა. როგორ შეიძლება იმ მწვერვალიდან გადაიჩეხო, რომელზეც არასოდეს ასულხარ? ეს მხოლოდ იმან იცის, ვინც ამ პარადოქსის სიმწარე საკუთარ თავზე გამოსცადა, ანუ იმან, ვინც მართალია მწვერვალზე არასოდეს ასულა, მაგრამ იქიდან, ვინ იცის, რამდენჯერ ჩამოვარდნილა.

კიდევ უფრო უცნაურ ვითარებაში ჩამოვვარდი 1993 წელს. არ მახსოვს, რით დაიწყო და რით დამთავრდა ჩემი ვარდნა. არც ალფა მახსოვს, არც ომეგა, არც დასაწყისი პროგრამისა, არც დასასრული. არ მახსოვს, რა იყო, „ჩაი თუ ყავა?“ ან იქნებ, „უსაზღვრო ღამეული“ მწუხარება იყო ბოთლის გარეშე? არ ვიცი, რომელ გეოგრაფიულ პუნქტში ჩავიჩეხე. იქნებ ისევ ბერმუდის სამკუთხედის მორევმა შთანმთქა? იქნებ მკვდარივით გაბრუებულს, ქალაქის საგიუეთის მახლობლად მიცვალებულის ღრმა ძილით მეძინა ბრძოლის ველზე? იქნებ ჩემი სული ჩემს სხეულს სახლიდან ორიოდ ნაბიჯზე განერიდა? იქნებ მახლობლად მდებარე სამიკიტნო „ნოვოსელკაში“ განცალკევდა? არ ვიცი... არ ვიცი და დღესაც არ შემიძლია შევიტყო სიმართლე, ჩავწვდე ჭეშმარიტებას. და აი, ამ საიდუმლოებით მოცული სიუჟეტის აღსანიშნავად, არ დავინანე რა „ზანაჩკები“, ფიჭური ტელეფონი შევიძინე.

მას მერე, ასე ვთქვათ, გადაჭრით და საბოლოოდ დავმკვიდრდი ამ ადგილას. ღმერთმა დამიფაროს, ჩემი ამ იატაკქვეშეთიდან გარეთ ცხვირსაც არასოდეს გავყოფ, მით უმეტეს მაშინ, როცა კიდევ ერთი მორიგი გრანდიოზული დაცემის ჟამი ახლოვდება. გრანდიოზული-მეთქი, ხაზს ვუსვამ, ვინაიდან, პატარ-პატარა დაცემები, ჩვენი არსებობის ძაფი და ქსოვილი ანუ საფუძველთა საფუძველია.

ერთ ადგილზე ჯდომა, მოგეხსენებათ, ადგილის ერთობის გარანტიას იძლევა. ადგილის ერთობა კი, ოო, ეს ძალზე დიდი რამ გახლავთ! ადგილის ერთობის დაცვა ეს იმას ნიშნავს, რომ იცი სად ხარ, ხოლო თუ იცი სად ხარ, ერთხანს გაძლების შანსი მაინც გეძლევა.

* * *

სად არის?.. სად არის აქამდე გრახა პეტერბურგი? რატომ იგვიანებს? ღმერთო, სად არის აქამდე? მოწყალეო უფალო, ვინც ერთი წუთის შემდეგ ჩემთან ერთად უკანასკნელ ცნობებს მოისმენ, არ მინდა ზედმეტად შეგაწუხო, ამაოდ მოვიხსენიო შენი სახელი, მაგრამ ვიდრე უკანასკნელ ცნობებს მოისმენ, ინებე და მეც მომისმინე. მომისმინე და იმგვარად ჰქმენ, გრახა პეტერბურგი მოვიდეს, ნაირნაირი გემრიელი სასუსნავი მომიტანოს. ჰქმენ ისე, რომ მანამდე მოვიდეს, ვიდრე ამინდის პროგნოზი დაიწყება...

– წარმოგიდგენთ უკანასკნელ ცნობებს. რა ხდება, რა ახალი მნიშვნელოვანი ამბებია ამ საათისათვის? ახალს რას შევიტყობთ უკანასკნელ ცნობებში? მოგახსენებთ. კენიის პარლამენტის დეპუტატმა წამოაყენა წინადადება, გამოეყენებინათ გიენა, როგორც გვამების ლიკვიდაციის რადიკალური საშუალება.. ვინაიდან მოტიხტიხე პინგვინების შეწყვილებისას ყველა ერთმანეთს ჰგავს იმაში, თუ ვის მისცემს უპირატესობას დედალი პინგვინი, გადამწყვეტ როლს თამაშობს მამალი პინგვინის სიმღერა, რომელიც ვირის ყროყინს მოგვაგონებს... ორივე პალატის პარლამენტარების შეხვედრა დაიწყო აპერატივ „ბელვედერით“... როგორც ზოგიერთი დასავლური სააგენტო იტყობინება, თავის ახლანდელ მეგობარ მუსიკოს იანზე ლინდა ევანსი თორმეტი წლითაა უფროსი.

– ახლა წარმოგიდგენთ საღამოს პროგრამის სტუმარს. გამარჯობა.

– გამარჯობა.

– თქვენი პროფესია?

– სნაიპერი. სპეციალობა – შემთხვევითი გამვლელები.

– მოითმინეთ, მოითმინეთ, აქ რაღაც ისე არ არის! ღმერთო, რას ამბობს! რას ეუბნება ჩემს ხალხს? ან პირადად მე რას მეუბნება?

– ამბობს, რომ მისმა ცხოვრებამ აზრი დაკარგა, ვინაიდან კვლის მეტი არაფერი შეუძლია.

– ამბობს მხოლოდ ის ვისწავლე, ადამიანი როგორ მოვკლა, მხოლოდ მოკვლა შემიძლიაო.

– თუ ასეა, როგორ ვუშველოთ ამ კაცს? როგორ ვუშველოთ ამ ხელთუყარს? გადამზადების კურსებზე ხომ არ გავაგზანოთ? ან მენეჯერების, მაკლერების, მღებავების კურსებზე?

– არა, ასე ამბობს, მხოლოდ კვლა ვისწავლე, მოკვლის მეტი არაფერი ვიციო.

– მაშინ იქნებ რომელიმე ანტიტერორისტულ

ჯგუფში მოგვეწყო სამუშაოდ?

– ვერ გაუძლებს. ანტიტერორისტული ბრიგადის ბიჭები წვრთნას მთელი დღეების, თვეების მანძილზე გადიან, ვარჯიშობენ, მიზანში ისვრიან, ცარიელ ტყვიებს აჭახუნებენ და მთელი დღეების, კვირების, თვეების, წლების მანძილზე მხოლოდ იმაზე ოცნებობენ, ის დრო როდის დადგება, როცა ვინმეს ნამდვილად მოკლავენ. ეს კი ვერ გაუძლებს, ვიღაცას დროზე ადრე მოკლავს. მხოლოდ მოკვლა ასწავლეს, ასე ამბობს, მოკვლის მეტი არარფერი ვიციო. ასეა, მეტი არაფერი იცის.

– მაშინ ჯალათის თანამდებობაზე ხომ არ გაგვემწესებინა?

– არა, არ გამოვა მისი ჯალათის თანამდებობაზე გამწესება – ჩვენ, ევროპელები ხომ გადაჭრით გამოვდივართ სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ! ის კი სულ იმას იმეორებს, მოკვლის მეტი არაფერი შემიძლიაო. კიდევ იმასაც ამბობს,რომ ომი არ უნდა, უნდა მშვიდობა. მშვიდობა და მხოლოდ მშვიდობა, რომ იგი მშვიდობის მომხრეა მთელ მსოფლიოში.

– მაშინ, გამოდის, რომ უნდა მოვკლათ?

– დიახ, უნდა მოვკლათ.

– ჰო, მაგრამ ვინ მოკლავს?

– კარგი იქნება, ვინმე სხვა სნაიპერი თუ მოკლავს. ის, ვინც მასავით სევდითაა შეპყრობილი იმის გამო, რომ მხოლოდ კვლა ისწავლა, მხოლოდ კვლა და მეტი არაფერი. იმ მეორე სნაიპერს მესამე სნაიპერი მოკლავს,მესამე სნაიპერს – მეოთხე,მეოთხეს მეხუთე, მეხუთეს მეექვსე და ასე გამარჯვებამდე. კარგი იქნებოდა ყველა ნერვებდაწყვეტილი სნაიპერი ერთ ადგილას შეგვეყარა, ვთქვათ, ოლიმპიურ სოფელში და გრანდიოზული შეჯიბრი მოგვეწყო. ეს საკითხის ერთგვარი გადაწყვეტა და არც ისე ცუდი გამოსავალი იქნებოდა.

– მაგრამ!.. მაგრამ!.. მაგრამ!.. მაგრამ!..

* * *

მაგრამ საღამოს უკანასკნელ ცნობებში სხვა ახალი ამბები გადმოსცეს. არა, მხედველობაში ის გადაცემა როდი მაქვს, რომელიც ბარძაყის არტერიას შეეხება. რა თქმა უნდა, ესეც იყო, მაგრამ მე სულ სხვა რამის შესახებ მინდა მოგახსენოთ. მხედველობაში ის ახალი ამბავი მაქვს, რომელიც არა იმდენად ჩემთვის, არა იმდენად ჩემი ხალხისათვის, არა იმდენად შენთვის, უფალო, რამდენადაც გრახა პეტერბურგისათვისაა საინტერესო. უფრო მეტიც, ვფიქრობ, ზუსტად მისთვის არის ზედგამოჭრილი.

როგორც ზოგიერთი დასავლური სააგენტო იუწყება, ლინდა ევანსი თავის ახლანდელ მეგობარ მუსიკოს იანზე თორმეტი წლითაა უფროსი...

გრახა პირდაპირ გიჟდება ამგვარ გადაცემებზე. განსაკუთრებით იმ სერიალებისადმი იჩენს დიდ ინტერესს, იმ ფილმებზე, იმ ვიდეოკასეტებსა და ცხოვრებიდან ამოკრეფილ იმ ამბებზე, სადაც „ის“ „მასზე“ გაცილებით უფროსია.

გრახა ბევრს კითხულობს ამ თემაზე. ერთხელ სპეციალური ალბომიც კი მაჩვენა, სადაც ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილი ტექსტები იყო ჩაკრული. იქ შეიძლება ლინდა ევანსისა და მასზე თორმეტი წლით უმცროსი მუსიკოსი იანსის ფოტოც იყო. ვერ გეტყვით, არ მახსოვს. აი, სხვა ფოტოები კი მახსოვს. მაგალითად, ელიზაბეტ ტეილორისა და მისი ბოლო, ოცი წლით უმცროსი ქმრის ფოტო... ფოტო ლაიზა მინელისა და მასზე თექვსმეტი წლით უმცროსი ბილი სტრიტჩემის... გრახა პეტერბურგმა საკმარისია ყური მოჰკრას იმ შეყვარებული წყვილის ამბავს, სადაც „ის“ „უფროსია“, „ეს“ კი უმცროსი, რომ უცნაური მღელვარება იპყრობს და ალბომში ჩასაკრავად მაშინვე ბარათის შევსებას იწყებს. ჰო, მართლა, აქ სადღაც აგდია ბარათი, ანუ დასაბამიდან დღემდე იმ მოწიფულ ქალთა სია, რომლებიც გაცილებით უმცროს მამაკაცებთან იყოფდნენ სარეცელს.

ა, ბატონო, აგერ არ არის! აქ არ არის გრახა პეტერბურგის ოკრობოკრო ხელით შევსებული ის სია! ანა იაგენოლენი – შტეფან ბატორი (განსხვავება ათი წელი); მარია ლეშჩინსკაია – კლუდოვიკო მეთხუთმეტე (შვიდი წელი); სტანისლავ ავგუსტ პონიატოვსკი – გენრიეტა სოფია პუშტი. დიახ, დიახ შედეგი შესანიშნავია... შემდეგ: ჟორჟ სანდი – ფრედერიკ შოპენი (შვიდი წელი! არ ვიცოდი); ელეონორა დუზე – გაბრიელ დანუნციო (თხუთმეტი წელი); აისედორა დუნკანი – სერგეი ესენინი (ჩვიდმეტი წელი); გალა – სალვადორ დალი. იოკო ონო – ჯონ ლენონი (ცხრა-ცხრა წელი); მარტა მესაროში – იან ნოვიცკი (რვა წელი). აქ გაზეთიდან ამოჭრილი იან ნოვიცკის კიდევ ერთი ფოტოცაა.

კაცმა რომ თქვას, მაინცდამაინც რატომ აინტერესებს გრახას ეს ამბავი? თუმცა სად არის? სად არის აქამდე? ღმერთო, ღმერთო, კინესკოპის სიღრმიდან მაინც გამომეხმაურე, ან რაღაც ისეთი მოიმოქმედე, გრახა პეტერბურგის მოსვლა დააჩქარო, გზა თუ გაიმრუდა, ცხოვრების სწორ გაზაზე დააყენო.

* * *

რათა ყველაფერი გასაგები იყოს, რათა ეჭვის ნატამალიც არ დარჩეს... არა, არ მჯერა... არა მჯერა, რომ გაგარინი ნამდვილად იყო კოსმოსში... არც ისეთი ცხარე ნათქვამია? კი ბატონო, იყოს, მაგრამ წაშლით მაინც არ წავშლი. დიახ, დიახ, არა მჯერა, რომ გაგარინი კოსმოსში იყო! აი, სხვა კოსმონავტებისა კი მჯერა, იმათი, ვინც იქ იყო და ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს მათ ვიღაც უყურებდა. თუმცა ჩაგმანულ კონტეინერებში ჩაკეტილები ისე დაფრინავდნენ, სივრცის შესახებ არაფერი იცოდნენ – არავითარი ინფორმაცია, არავითარი დახასიათება... მარტო ის განცდა ჰქონდათ, რომ სივრცე მათ ხედავდა. მე კარგად მახსოვს ეს გადაცემა (სხვათა შორის, ეს არც თუ ისე დიდი ხნის წინ იყო). მაგრამ, საქმე ისაა, რომ მეც ხანდახან მეჩვენება, თითქოს ჩემი კაიუტა, ჩემი სიხარულისა და მწუხარების იატაკქვეშეთი ჰაერში დაფრინავს – მიწაში კი არ არის ჩაზრდილი, არამედ დაფრინავს, დაფრინავს კოსმიურ სივრცეში, რომელიც მიყურებს.

აშკარად... აშკარად ვგრძნობ, სხეულით შე-ვიგრძნობ შენს საყვედურიან მზერას... ნუ მსაყვე-დურობ! ნუ მიყურებ ასე საყვედურით! ნუ მიყურებ მაგ შენი ახალშეიარაღებული თვალებით, შენი თხ-ევადკრისტალური ლინზებით, ნუ მიყურებ ასე ყვე-დრებით. მე კი არა, გრახა იმსახურებს საყვედურს... ჰო, მაგრამ, სად არის აქამდე? წუთიც და, ამინდის პროგნოზი დაიწყება. იქნებ რაღაც მოუხდა? იქნებ რაღაც უბედურება შეემთხვა? იქნებ ელექტრონულ-მა განმუხტვამ ბარძაყის არტერია დაუზიანა? იქ-ნებ ტკიპამ უკბინა? იქნებ მომაკვდინებელმა ტკიპამ ბარძაყის არტერია დაუნესტრა?.. რაც არის არის, რახან აქამდე არ მოვიდა, დაე, სულაც ნუ მოვა. ანდა, ჯანდაბას, თუ ასეა, ამინდის პროგნოზის შემ-დეგ მაინც მოვიდეს.

რაც შეეხება ამინდის პროგნოზის წამყვანებს, როგორც წესი, ორნი არიან. ასადამოვდება თუ არა, დადგებიან ამინდის რუკის წინ და ცეკვავენ, ცეკ-ვავენ ჩვენთვის... ერთი სამშაბათობით ცეკვავს, მეორე ოთხშაბათობით, ერთი ხუთშაბათობით ცეკ-ვავს, მეორე პარასკევობით. ერთი შაბათობით ცეკ-ვავს, მეორე კვირაობით. ერთი შავგვრემანია, მეორე ქერა... ერთის გვარში რაღაც ბნელი და დემონ-ურია... მეორის გვარი ფრანგულ ყაიდაზე ჟღერს. ეს მეორე, აი, ეს ფრანგული გვარისა, ფრიად მშვენიერი ვინმეა.. რაც შეეხება გვარს, თუ ამას პოლონურ მანერაზე წარმოვთქვამ, ფონემური თვალსაზრისით, მე ვიტყოდი, გამანადგურებელ ეფექტს ახდენს: გრა-ჟინა დე-ე-ე, გრაჟინა ა დე-ე-ე, გრაჟინა „პადენიე“. ო, მშვენიერზე უმშვენიერესო ტელეწამყვანთა შორის! მზეო ჩემო მანათობელო! სასურველ პროგნოზს და ზურგის ქარს გისურვებ!.. გრაჟინა ამინდს არ წი-ნასწარმეტყველებს, იგი ხოტბას ასხამს ატმოსფერ-ული ფრონტების ჭიდილს, ქებათა-ქებას აღუვლენს თაკარა მასებს. ის სოლისტია, ის მოცეკვავეა და განუსაზღვრელია მისი მოქნილი სხეულის რხევა-თა თაიგული, მისი მგზნებარე, ალხიანი მოძრაობა. დიახ, ყოველთვის, როცა ამინდის რუკის წინ მოცეკ-ვავე გრაჟინა „პადენიეს“ ვუყურებ, ვგრძნობ ჩემს შვილთამქნელ ორგანოში ანტიციკლონი ბობოქრო-ბას როგორ იწყებს...

გრახა პეტერბურგი სააგენტო „მოცალეო-ბის“ მეშვეობით გავიცანი. ქალებთან ჩემს ურთ-იერთობას ყოველთვის ერთგვარი ფაციფუცისა და მღელვარების დაღი ახლავს. მას შემდეგ, რაც ჩემმა კეთილშობილმა ცოლმა მიმატოვა, ამგვარ საქმეე-ბში ჩემმა აფაციფუცებამ კიდევ უფრო იმატა. ფი-ჭური ტელეფონის შეძენის შემდეგ კი ამან ლამის პანიკურ ზღვარს მიაღწია. ყოველ შემთხვევაში, პოლონეთის მიწაზე „გაცნობის“ სამსახურების სოკოებივით მომრავლება, ჩემთვის იმის თვალ-საჩინო დასტურად იქცა, რასაც ჩემი ქვეყნის მოს-კოვის უღლისაგან გათავისუფლება ჰქვია. რაც შე-ეხება დამოუკიდებლობის სხვა დამადასტურებელ საბუთს, ბორდელების გარდა არაფერი მახსენდება.

სხვათა შორის, შეიძლება მართალიც არა ვარ, ვინაიდან ჩემი დაკვირვება სუბიექტურია – მე ხომ ჩვენს ამ არამარტივ პირობებშიც ჩამოყალიბებად დემოკრატიას ჩემი სოროს სიღრმიდან, სარდაფის პერსპექტივიდან ვუყურებ! თუმცა, კაცმა რომ თქ-ვას, ჩემი მზერაც ხომ იქიდან არის მიმართული, საიდანაც შენი, გზის გამკვალავი პროპაგანდისტო ქალო – საკუთარი სტომაქის სიღრმიდან, თავის ქა-ლის ფსკერიდან, საკუთარი სხეულის დილეგიდან.

იმაზე უკვე აღარაფერს ვამბობ, რომ ამ სა-მყაროს არა მხოლოდ ისე ვუმზერ, როგორც შენ, არამედ ისე, როგორც მთელი ჩვენი ხალხი. ჩვე-ნი ხალხი ხომ სამუშაოს მორჩება თუ არა, კარის ზღურბლზე ფეხს გადაადგამს თუ არა, ჯერ ქუდიც არა აქვს მოხდილი, პალტო არ გაუხდია, ჩანთა არ დაუდვია, რომ მაშინვე ტელევიზორს ეცემა, ღილაკს თითს დააჭერს და მდორე, უსიცოცხლო სინათლე ირგვლივ ნისლივით დაიღვრება. ნორჩი ტელესა-ოცრების – არაახალგაზრდა ტელესაოცრება ასუ-ლის (ან პირიქით) ხმა ოდერიდან ბუგრამდე, კარ-პატიდან ბალტიკამდე მთელ სივრცეს მოედება და ჩემი ხალხი ეკრანის წინ ისე გაშეშდება, თითქოს ტელემაყურებლის ოდითგან არსებული მონუმენტი იყოს.

ის, რომ დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, ესეც კი (დიახ, ესეც კი!), მეც და ჩემმა ხალხმაც ტელევი-ზიით შევიტყვეთ. ესე იგი, დამოუკიდებლობის შეს-ახებ ინფორმაცია ტელევიზიამ მოგვაწოდა. ხოლო პოლონეთის მიწაზე სოკოებივით ამოზრდილმა სააგენტო „მოცალეობებმა“ აშკარად დაგვიდას-ტურა, რომ ტელევიზია არ ცრუობდა.

მართალი გითხრათ, ის რომ ტოტალიტარუ-ლი სახელმწიფოს მოქალაქე ვიყავი, ესეც ცოტა უფრო ადრე ტელევიზიით შევიტყვე. ერთ მშვენიერ დღეს ვრთავ ტელევიზორს და ვხედავ, ტოტალიტა-რიზმი პარპაშებს: სამარშო მუსიკა, საპირველმაისო დემონსტრაციები და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების ძმურ არმიათა მანევრები. ოჰო-ჰო-ჰოო, ცუდია, ო, რა ცუდია-მეთქი, – ვფიქრობ გუნებაში და ვგრძნობ, რომ კატეგორიული წინააღ-მდეგი ვარ ვარშავის ხელშეკრულებისა. და აი, გავაკეთე ის, რასაც სხვა სიტუაციაში არამც და არამც არ გავაკეთებდი. გავაკეთე ის, რასაც არც ერთი თქვენგანი, პატივცემულო დიქტორო ქალებო და დიქტორო ვაჟებო, არასოდეს გააკეთებდა. დიახ, გავაკეთე ის, რაც ჩემს ხალხს არასოდეს გაუკეთე-ბია დ არც არასოდეს გააკეთებს. სახელდობრ, ტელევიზორი გამოვრთე. დიახ, დიახ, ტელევიზორი გამოვრთე და სააბაზანოსაკენ გავწიე, სადაც ჩემი ყოფილი ცოლი ცხელ წყალში ნებივრობდა. აბა-ზანის კიდეზე ჩამოვჯექი. ქაფიდან ჩემი ცოლის ამოზიდულ ღვთაებრივ მკერდს შევხედე და ჩემ-მა პოლიტიკურმა ორიენტაციამ ცვლილება კიდევ ერთხელ განიცადა. ჩემი ცოლის ბიუსტს შევხედე თუ არა, ვიგრძენი, რომ ვარშავის ხელშეკრულების მომხრე ვარ. ეს ბიუსტი, რომელსაც ახლა მე ვუყურებ, მონაწილე ქვეყნების ბიუსტებს შორის ყველაზე უმშვენიერესი ბიუსტია! ვითომ რატომ უნდა ვიყო ვარშავის ხელშეკრულების წინააღმ-დეგი? თუკი ვარშავის ხელშეკრულების ყველაზე გასაოცარი ბუფერები ჩემი მგრძნობელობითი ორ-განოების მისაწვდომობის ფარგლებშია, ვარშავის ხელშეკრულების ლიკვიდირებისაკენ სწრაფვა ხომ

თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება? გამოდის, რომ ამ თვალწარმტაცი ბუფერების განადგურება მინდა! გამოდის, რომ ჩემს საკუთარ, ძალზე პრივილეგირებულ პოზიციას ძირს ვუთხრი, უარს ვამბობ ჭეშმარიტად ძვირფას ნივთზე, სერიოზულ კოზირს თვალდახუჭული ჩავდივარ!

ჩემი ამ მოკლე, მაგრამ ღრმა ანალიზის შემდეგ სასტუმროში დავბრუნდი, დივანზე დავჯექი და ტელევიზორი ჩავრთე. რამდენიმე წუთის შემდეგ ერთ-ერთმა მარად ახალგაზრდა ტელეწამყანმა შეგვატყობინა, რომ ვარშავის ხელშეკრულებამ არსებობა შეწყვიტა. ჩემი იმ პრივილეგირებული მდგომარეობის დაკარგვა, რომლის მისაწვდომობის ფარგლებში ვარშავის ხელშეკრულების უმშვენიერესი ბიუსტი შევიძინე, შედარებით უმტკივნეულოდ გადავიტანე. ჩემმა ცოლმა მანამდე მიმატოვა, ვიდრე ვარშავის ხელშეკრულებას წერტილი დაესმებოდა.

მისი წასვლის შემდეგ, ვიმეორებ, ჩემს სექსუალურ ცხოვრებას სიჩქარის მანია შეეყარა. მართალი გითხრათ, მრცხვენია გამოვტყდე, რომ ვერც მე ავცდი ამ სავალალო ეტაპს, ანუ ციებ-ცხელებიან გაშმაგებას, ანუ წრეგადასულ აქტუალურ მცდელობას, დაუმტკიცოს საკუთარ თავსაც და ქვეყანასაც, რომ არა თუ არ იმსახურებს ამგვარ ხვედრს, არამედ პირიქითაც კი.

* * *

რაც შეეხება გრახა პეტერბურგს, მე იგი ასე გავიცანი: ერთხელაც სააგენტო „მოცალეობაში“ დავრეკე და, როგორც წესი, რუსი ქალიშვილი შევუკვეთე. ვისაც ამგვარი დაწესებულების მომსახურებით უსარგებლია, იმან კარგად იცის, როგორ ხდება ეს. აიღებ ყურმილს, ნერწყვს ყლაპავ და ნომერს კრეფ.

– გისმენთ სააგენტო, – გპასუხობს მეორე ბოლოდან ქალის მკაცრი ხმა.

– ალო! – ჩასძახი ყურმილს გაუბედავად.

– დიახ, გისმენთ, სააგენტოა, – მკაცრი ხმა კიდევ უფრო მკაცრდება.

– ალო, სააგენტოა? – ათასი ელემენტარული მიზეზის გამო ხმა წარამარა გიწყდება და სასოწარკვეთილი ისევ საუბრის გაბმას ცდილობ.

– დიახ, გისმენთ სააგენტო „მოცალეობა“, რით შემიძლია გემსახუროთ? – შენი მოსაუბრის ხმა მოულოდნელად თბილი და გულითადი ხდება.

– იცით... შეგიძლიათ რამე შემომთავაზოთ?

– დიახ, ჩვენი სააგენტოს განკარგულებაში მრავლად არიან ქალიშვილები, რომლებიც ყველანაირ გემოვნებას აკმაყოფილებენ.

ამგვარი პასუხის შემდეგ შენ, როგორც წესი, ჩუმდები და ჩუმდები შეურაცხყოფილი: „ვითომ რატომ ჰგონია, ნაქირავები სიყვარულით ვიყო დაინტერესებული? ხომ შეიძლება, – შენი აღშფოთება კიდევ უფრო მძაფრდება, – რომ ვკითხე, რისი შემოთავაზება შეგიძლიათ-მეთქი, რაიმე ამაღლებულს ვგულისხმობდი, მაგალითად, საგამომცემლო სიახლეების ნუსხას ან კულტურულ ტელეგადაცემათა პროგრამას?“ მაგრამ, ერთი წუთის შემდეგ შენი აღშფოთებისაგან კვალიც აღარ რჩება. შენ ფარ-ხმალს ყრი და იმ აზრს ურიგდები, რომ ბინძურ განზრახვას მიგიხვდნენ.

– ხომ არ შეიძლება უფრო კონკრეტულად მითხრათ? – ეკითხები გუნებაწამხდარი.

– კი ბატონო, სიამოვნებით, – საბოლოო გარიგების მოლოდინში შენი მოსაუბრის ხმა ახლა უკვე საქმიან ჟღერადობას იძენს, – ამჟამად შეგვიძლია შემოგთავაზოთ... მოკლედ, აი, ასე: ქერა, ოცდასამი წლის, ბიუსტი ნომერი სამი... შავგვრემანი, ოცდახუთი წლის, ბიუსტი ნომერი ოთხი... ოცდაშვიდი წლის, ბიუსტი ნომერი ექვსი... თვრამეტი წლის, ბიუსტი ნომერი სამი, ოცდახუთი წლის, გამხდარი, მაგრამ ენერგიული...

რაც შემეხება მე, ყოველი ამგვარი ლიტანიის შემდეგ ასეთ რიტუალურ შეკითხვას ვსვამ:

– რუსულად მოლაპარაკე ქალიშვილები თუ გყავთ?

ამგვარი შეკითხვის შემდეგ ყურმილში ყოველთვის ჭეშმარიტად ინტერნაციონალური ეიფორია იფეთქებს ხოლმე:

– დიახ, როგორ არა... აჰ, როგორ მიხარია, ცრურწმენებისაგან გათავისუფლებული რომ ბრძანდებით... მარტო რუსულად მოლაპარაკე კი არა, რუსეთის მკვიდრი მაცხოვრებელიც გვყავს, თან ძალიან, ძალიან ელეგანტური.

* * *

მაშინ, იმ ღირსსახსოვარ შაბათ საღამოს კი ყველაფერი ზუსტად ასე იყო: მოვლენები ერთმანეთს სტანდარტულ, საკმაოდ მდორე რიტმში ენაცვლებოდა. ყურმილი ავიღე და ნომერი ავკრიფე. ყურმილში ქალის მკაცრი ხმა გაისმა. ხმა თავიდან სულ უფრო მკაცრი ხდებოდა, მერე თანდათან შერბილდა, ხოლო იმ წუთიდან, როცა ჩემთვის აშკარა გახდა, რომ ჩემი მოსაუბრე მიხვდა, რისთვის ვრეკავდი, რაღაც ირაციონალური მიზეზის გამო უცებ აღვშფოთდი, თუმცა ასევე შემიძლია აღვნიშნო, რომ ჩემი აღშფოთება განსაკუთრებულად რაციონალურ ხასიათს ატარებდა. ბოლოს და ბოლოს, ადამიანს, რომელიც ამხილეს, თავისი მდაბალი ინსტინქტების ამებაშიაო, უფლება აქვს (უფლება კი არა, ეს მისი წმიდათაწმიდა მოვალეობაა!) აღშფოდეს, გადათქვას და იუაროს... ტყუილი, დაე, თუნდ საკუთარი თავის მოტყუება, ამ შემთხვევაში ხორციელი მატერიის მხოლოდ გაკეთილშობილებას კი არა, მის ზეშთაგონებასაც უწყობს ხელს. გარდა ამისა, ამას მოითხოვს კარგი ქცევის წესებიც. კანონი savoir vivre[1] გვაუწყებს: საროსკიპოში წასვლისას პარლამენტის მიმომხილველის არაფრის გამომხატველი ნიღაბი უნდა აიფაროო. კარგად აღზრდილი ადამიანები ამ წესს იცავენ. თუმცა ზოგიერთი ჯენტლმენი აღნიშნული სიტუაციის გაკეთილშობილებას სიტყვების რახარუხით ცდილობს... შიშველი მაშვრალი უკვე ლოგინში წევს,

1. ადამიანებთან ურთიერთობის საშუალება (ფრ.)

ის კი თავზე წამოსდგომია და გრძელ, მაღალფარდოვან და არაიშვიათად სამართლიანი აღშფოთებით სავსე ტირადებს წარმოთქვამს. კი ბატონო, ძალიან კარგი! ჩემი აღშფოთება კი, რაც არ უნდა აბსურდული და ამასთან რიტუალური გეჩვენოთ, სრულიად დროული და მართებული იყო. სხვათა შორის, იმ აღშფოთებისაგან მალე კვალიც აღარ დარჩა. მაშინვე ფარ-ხმალი დავყარე და ვიკითხე, რა შეიძლებოდა შემოეთავაზებინათ. მოთმინებით მოვისმინე ბიუსჰალტერების გრძელი ნუსხა, გავიგე რა დაჯდებოდა ეს და ფასზე დავთანხმდი...

დიახ, დიიახ... ფული მაქვს... საიდან მაქვს? მაშინ იმას? იმას საიდან აქვს? სად იშოვა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ჩემი ხალხისათვის მიმინდვია, ჩემმა ხალხმა უნდა იცოდეს იმ კითხვების პასუხი, რომლებსაც თვითონ გამუდმებით სვამს: საიდან მაქვს ფული? საიდან აქვს იმ კაცს ფული? საიდან აქვს იმ ქალს ფული? იმათ საიდან აქვთ ფული? – კითხულობს ჩემი ხალხი, – საიდან ჰყავს ამდენი ქალი? სად იშოვა ამდენი ფული იმ უნიფხვომ? საიდან გამდიდრდა? ხელფასიდან დაგროვა? შტატში იყო ჩამჯდარი წლების მანძილზე? ჯართი გაყიდა სპეკულანტურ ფასებში? იქურდა? ითაღლითა?.. მიდი, გამოიცანი! მიდი, იმარჩიელე და გამოიცანი!

მოდი ისევ ჩვენს ფარას დავუბრუნდეთ! ვკითხე, რისი შემოთავაზება შეგიძლიათ-მეთქი? დავაზუსტე თანხა, მოვისმინე ბიუსჰალტერების ზომების გრძელი ნუსხა, როგორც ყოველთვის, დავინტერესდი რუსულად მოლაპარაკე ქალიშვილებით და აი, სწორედ აქ გადავაწყდი პირველ სერიოზულ მოულოდნელობას...

მართალია ყოველივე ამას ტრადიციულ-ინტერნაციონალური ეიფორიის გარეშე არ ჩაუვლია, მაგრამ რაღაცა მაინც გამოვიდა. წუთიერი პაუზა, აშკარა დაბნეულობა და დაბნეულივე პასუხი: არა, მგონი არა გვყავს... თუმცა... როგორ არა, გვყავს... რა თქმა უნდა, გვყავს – რუსი, ქერა, გამხდარი, მაგრამ ძალიან ელეგანტური.

– კი ბატონო, გამოდგება, ველოდები.

არ გასულა ნახევარი საათი, რომ ფრიად სანდობიანი პერსონა გამომეცხადა.

– საიდან ხართ? – ვკითხე რუსულად.

– პეტერბურგიდან, – მიპასუხა მან ჩემ მშობლიურ ენაზე, – პოლინურად კარგად ვლაპარაკობ, პაპაჩემი პოლონელი იყო.

აჰა, პაპამისი პოლონელი იყო!

ინფორმაციამ პოლონელი პაპის შესახებ, გამოგიტყდებით, ხასიათი წამიხდინა. პირი შეკრეს თუ რა? ასე ყველას პოლონელი პაპა რგორ ჰყავს? პოლონეთის მიწაზე ვიზირებული ყველა ჩემი ქუჩის რუსი ქალი ჯიუტად ამტკიცებდა, პაპაჩემი პოლონელი იყოო. ყველა უკლებლივ თავის ოფიცრის ხმლიანსა თუ გრაფის ტიტულიან პოლონელ პაპას, ანდა იმ პოლონელი პაპის ულვაშს იფიცებდა და მეც ჩემდაუნებურად თავში ასეთი აზრი მომდიოდა, ალბათ ლაპარაკი ყოველთვის იმ ერთი და იგივე, ყველასათვის საერთო პოლონელ პაპას, იმ პოლონელ არქიპაპას შეეხება, რომელმაც ნახევარი საუკუნის წინ მთელი იმპერია თავიდან ბოლომდე გადახნა-მეთქი.

პოლონელი პაპაო! ღმერთმანი, ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ, პირიქით – ბოლოს და ბოლოს, მე თვითონაც პაპა პოლონელი მყავს. მაგრამ პეტერბურგი ამ ისტორიაში ახალი ელემენტი გახლავთ, ძალზე ორიგინალური და მღელვარების მომგვრელი.

ყველა ტოტალური ერთსულოვნებით ამტკიცებს, ერთნაირი თავგამოდებით იმეორებს, რომ პაპა პოლონელი ჰყავს, რომ ვილნოში ან ლვოვში დაიბადა. ჩამოდიან ტამბოვიდან, კალუგიდან, სტავროპოლიდან და ჯიუტად ამტკიცებენ, ჩვენი მშობლიური ფუძე და კერა ვილნო ან ლვოვიაო. ჩამოდიან რიგიდან, მინსკიდან, კიევიდან და იფიცებიან, მთელი სიცოცხლე ვილნოში ან ლვოვში გავატარეთ, პაპაჩვენი პოლონელი იყოო.

მოგეხსენებათ, ეს ჩემი ხალხის არქიტიპური გულისთქმის შეფიცხების გულუბრყვილო ხერხია. კარგად იცით, პოლონელი კაცის საუკუნო ოცნებაა, ლიტველი ქალი ისეთ სამოსში იხილოს, როგორი სამოსითაც მამაკაცთან მისი გამოჩენა წესი არ არის. „უხეში ტილოს სარაფანი მკერდს ძლივს უფარავს, ქორფა, შიშველი მხრები თვალს ახარებს. მაგრამ, ლიტველი ქალიშვილი ასე მხოლოდ დილით არის ჩაცმული, მამაკაცს ასე არსოდეს შეხვდება, წესი არ არის“. დიახ, დიახ... ეს პოლონელი მამაკაცის ოდინდელი ოცნებაა. დაე, გარუსებული ლიტველი ქალი იყოს ან თუნდაც უკრაინელი ქალი. თუ გინდა, ნურც ნაციონალური სიამაყის გრძნობა ექნება მაინცდამაინც განვითარებული... აქ კი, ა, ბატონო, სიურპრიზი და თანაც როგორი სიურპრიზი! არა ლვოვი, არა ვილნო, არამედ პეტერბურგი!

– საიდან ხართ? – ყოველი შემთხვევისთვის ვეკითხები კიდევ ერთხელ რუსულად.

– პეტერბურგიდან, – ამბობს ისევ და ისევ და მარწმუნებს, რომ პოლონურად თავისუფლად ლაპარაკობს, თანაც მთხოვს, პოლონურად ველაპარაკო, ვინაიდან მისი სურვილია, კიდევ უფრო სრულყოს მისი ისედაც თითქმის სრულყოფილი პოლონური მეტყველება.

– კარგი, კარგი! ო'კეი, ო'კეი! – ვპასუხობ ინგლისურად ახლა უკვე ბოლოჯერ და საშინლად აღელვებული თითქმის სირბილით მივდივარ წიგნის თაროებთან, ვიღებ ფეოდორ მიხაილოვიჩის რუსულ გამოცემას, ხელში ვაჩეჩებ და ალერსიანად ვეუბნები (მაინც ისევ რუსულად):

– აბა წაიკითხე, ჰო, წაიკითხე.

– ო, არა, გამორიცხულია...

ნუ ეძებთ ამ წიგნში გარყვნილებას, აქ მსგავსიც არაფერია. არ არის არავითარი საძრახისი სექსუალურ-ლიტერატურული ექსცესები, არავითარი შიშველი ქალების ცეკვა ვლადიმერ მაიაკოვსკის უკვდავი სტრიქონების აკომპანიმენტზე. უბრალოდ, მომწონს ქალიშვილები ხმამაღლა რომ კითხულობენ. ჩვეულებრივ ისინი მხოლოდ ორი საათით მოდიან, საიდანაც 45 წუთს, ანუ ზუსტად ერთ აკადემიურ საათს, რუსი კლასიკოსების კითხ-

ვას ანდომებენ.

არ მახსოვს, ველაპარაკე თუ არა ჩემს სიყვარულზე რუსული კლასიკური ლიტერატურის შესახებ. დიახ, დიახ, რუსოფილი ვარ და ყოველთვის რუსოფილი ვიყავი. მაშინაც კი, როცა ჩემი ხალხი მოსკოვის უღელქვეშ გმინავდა. თუმცა ჩემი რუსოფილობა მაშინ შეიძლება ძალზე უადგილო და ფუქსავატური მოგჩვენებოდათ. ჩემი საყვარელი მწერალი მაშინ ფეოდორ დოსტოევსკი იყო. ჩემს წარმოსახვით პარტნიორ ქალებს რუსული სახელები – სვეტა, ნადია, ნასტენკა ერქვათ. უცნობი ქალაქის პატარა, ყრუ შესახვევებსა და ქუჩაბანდებს, სადაც ზოგჯერ სიზმარში დავეხეტებოდი ხოლმე, მოსკოვისა და ხაბაროვსკის გარეუბნებს ვამსგავსებდი. მას შემდეგ კი, რაც ჩემი ხალხი მოსკოვის უღლისაგან გათავისუფლდა, ჩემმა რუსოფილობამ ევოლუცია განიცადა, რაც ძირითადად შემდეგში გამოიხატა: ჩემი წარმოსახვითი სვეტები, ნადიები და ნასტენკები დრო და დრო მატერიალიზდებოდნენ, სატელეფონო გამოძახების მიხედვით გამომეცხადებოდნენ ჩემს სოროში, ჩამოსხდებოდნენ დივანზე და მიკითხავდნენ ჩემს ფეოდორ მიხაილოვიჩს დედანში. ფეოდორ მიხაილოვიჩს, ვენედიქტ ეროფეევს, ანდრეი პლატონოვსა და სხვა გამოჩენილ რუს მწერლებს.

მშვენიერი იყო ის საათები. უძვლო რუსული ენა ხომ ასე წარმტაცად ჟღერს ქალის ბაგეთაგან. რუს კლასიკოსებზე მსჯელობა მანდილოსნებთან, პრაქტიკულად, არ გამოდიოდა, ვინაიდან, როგორც წესი, საწყლებმა ახლა საკუთარი გენიოსების გვარებიც კი არ იცოდნენ. ერთადერთი, სვეტა-ნადია-ნასტენკა იყო, რომელმაც, წასაკითხად ანტონ ჩეხოვის „პალატა №6“ რომ მივეცი, ენის ბორძიკ-ბორძიკით ჯერ ძლივს ალუღლუღდა, მერე კი უცებ რატომღაც თვალებგაბრწყინებულმა სხაპასხუპით წარმოთქვა:

– დიახ, ჩეხოვი უდიდესი მწერალია!

ეს იყო და ეს. დანარჩენთაგან რაიმე ამის მსგავსსაც ვერაფერს გაიგონებდი. ამას უკვე შევეგუე – ჩვენთან, ეტყობა, არც თუ ისე განათლებული ეროტიკული მუშათა კლასი მობრძანდება. ესე იგი, გამოდის, რომ გეოგრაფიამ ამჯერადაც ჩვენ, პოლონელებს კვანტი გამოგვდო. თქვენ თვითონ განსაჯეთ... მოსკოვის უღელი აღარ გვადგას, თავისუფლები ვართ, ყველაფერი გვაქვს... მაგრამ, არა ჩემო კარგო, ყველაფერი არა: თუ შენ, უიღბლო პოლონელი, რუსულენოვან „გასტარბაიტერშასთან“ კლასიკის შესახებ საუბრის სურვილი გაგიჩნდება, ბერლინში წაბრძანდი, პარიზში ან თუნდაც თელავივში. დასავლეთში დარჩენის შემთხვევაშიც კი ჩვენ სულ აღმოსავლეთი უნდა ვიყოთ. პირადად მე, ვიმეორებ, ამას შეგუებული ვარ. ნაკითხი და განათლებული პეტერბურგელი ქალები ლუკმაპურის საშოვნელად ნაღდ დასავლეთში მიემგზავრებიან, ჩვენ, არანამდვილ დასავლეთს კი ნაკლებად ჰუმანური ცნობიერების ცრუ ლვოველი და ცრუ ვილნოელი ქალები გვეტანებიან... რაც არის, არის, მე ამას უკვე შევეგუე. აი კითხვა კი, დალახვროს ეშმაკმა, ყველას შეეძლო, ზაპოროჯიეს სტეპებიდან ჩამოსულებსაც კი! მართალია ცუდად, მაგრამ, კითხვით, ასე თუ ისე, ყველა კითხულობდა. აი ეს ქალბატონი, აი ეს მეტისმეტად მიმზიდველი პერსონა კი – არა! ეს ბაიბურშიც არ არის! არც „ბე“, „არც „გე“! რუსულ ალფაბეტზე წარმოდგენა არა აქვს! ხელში ფეოდორ მიხაილოვიჩს ვაჩეჩებ, ის კი გაჩუმებულია, ხმას არ იღებს! აბა ფეოდორ მიხაილოვიჩი როგორ უნდა წაიკითხოს, როცა რუსული ასოების არა თუ ერთმანეთთან დაკავშირება, ამოცნობაც არ შეუძლია! და იცით რატომ? რატომ და იმიტომ, რომ როგორც მაშინვე გაირკვა, ეს რუსეთელი ქალბატონი, რომელმაც რუსული კითხვაც არ იცის, პოლონელი ბრძანდება! იმიტომ, რომ ეს სვეტა, ნადია, ნასტენკა – გრახაა!. იმიტომ, რომ როგორმე ფული რომ იშოვოს, რისკავს და თავს პეტერბურგელად აცხადებს.

რისი იმედი ჰქონდა? მშვენიერი შეკითხვაა! დიახ, მშვენიერი შეკითხვაა ამ იკლიკანტური გამოცანების შემთხზველო ტელევიქტორინების ხელმწიფევ: „რამდენი ოპერა დაწერა იოჰან სებასტიან ბახმა.. რომელ თვეში მოხდა დეკაბრისტების აჯანყება... ვინ იყო ჩეხოსლოვაკიის უკანასკნელი პრეზიდენტი... რისი იმედი ჰქონდა...“ ძალიან კარგი, ძალიან თავსამტვრევი კითხვებია, ბატონო ლის! ჯილდოდ, ბატონო ლის, გეპატიჟებით, ერთად დავლიოთ... თქვენი გამარჯვებისა იყოს.. იმას, აი იმ ქალს რისი იმედი ჰქონდა? რისი და, სიტყვების გარეშე სიყვარულის... დიახ, აი ასე! მისი ვარაუდით, მე მაინცდამაინც რუსული ხორცი მაინტერესებს, რუსული კანი, რუსული თმა, რუსული ფეხები, რუსული სურნელი... დამეთანხმებით, ბრწყინვალე, დიახ, თავისი არსით ბრწყინვალე და მეტად გრძნობიერი ვარაუდია. მაგრამ, აი, შეცდა, შეეშალა!.. ჯანდაბას, რაც არის, არის-მეთქი. დავსხედით ვილაპარაკეთ, ვილაპარაკეთ პოლონურად: „გრახა პეტერბურგო /მე მას ასე ხუმრობით ვეძახი, პატივს მივაგებ... / გრახა პეტერბურგო, როგორაა საქმე? გრახა პეტერბურგო, თქვენს ცხოვრებაში რა არის ყველაზე მთავარი? ღმერთი გწამთ, ცუგრუმელავ?“.. მოკლედ, რაზე არ ვილაყბეთ, ჩაი დავლიეთ და ერთი საათის შემდეგ: – მშვიდობით, უცხო ნიღბიანო! მშვიდობით, გრახა, სამუდამოდ გემშვიდობები... მაგრამ, რა სამუდამოდ, რის სამუდამოდ!..

და აი, ერთი თვის შემდეგ მე ისევ აქ ვბრუნდები, ვბრუნდები არაფრით ყურადსაღები დაცემის შემდეგ. ერთი ჭიქა არყის დასალევად გზად სამიკიტნო „ნოვოსელკაში“ შევდივარ, ვჯდები, უკანასკნელ გროშებს ვითვლი, შეკვეთას ვაძლევ და ვხედავ, გვერდითა მაგიდასთან გრახა პეტერბურგი კოკა-კოლას წრუპავს. იმ ერთ ჭიქა არაყს სწრაფად ვსვამ, შეიძლება ჩვეულებრივზე სწრაფადაც კი, ვინაიდან უცებ მანდილოსანთან საუბრის გაუთვალისწინებელი სურვილი მეუფლება, თავს ვუკრავ, ვუღიმი, მიღიმის, მის სადღეგრძელოს შორიდან ვსვამ, შორიდან ერთხელ კიდევ ვსვამ მის სადღეგრძელოს და ახლა უკვე ერთ-ერთი ჩვენგანის მხრივ მანძილის რადიკალურ შემცირებაზე ქარაგმულად მივანიშნებ, შემდეგ კი შესაბამისად მანძილსაც ვამცირებ.

საოცარია ქალი, რომელთანაც ჩემი ცხოვრების მთავარ რომანს ვაბამ, თითქმის პირველივე საათის შემდეგ გამოუვალ სასოწარკვეთილებაში ვარდება, სულ ტირის – დიახ, გრახა პეტერბურგი ტირის... საარსებო სახსარი არც ერთს არასოდეს არა აქვს – არა აქვს არც გრახა პეტერბურგს... არც ერთმა არასოდეს იცის, რა ქნას, რა გზას დაადგეს... არ იცის არც გრახა პეტერბურგმა... მაგრამ, გრახა პეტერბურგს ისეთი გლუვი კანი აქვს, დიახ, ისეთი გლუვი და კრიალა, რომ მიუხედავად იმისა, „ნოვოსელკაში“ სიბნელე სუფევდა, გრახას სხეული იმ სიბნელეშიც კი კეთილშობილ მქრქალ შუქს ასხივებდა.

სააგენტოში გრახამ სამუშაო იმიტომ დაკარგა, რომ ერთ მართლაც განსაკუთრებულად არამზადა ინსპექტორს ნება დართო, გაეცურებინა – რომ იტყვიან, გრახა ბავშვივით მოიქცა:

ის ისე უცნაურად მიყურებდა, მე კი – კლიენტი კლიენტია, რა მენაღვლება, იმდენი მიყუროს, ვიდრე მობეზრდება-მეთქი. მერე მოუხშირა და მოუხშირა სიარულს, ისე რომ, ბოლოს მივეჩვიე კიდევაც. ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა გაუთავებლად, სულ იმას ამბობდა, მიყვარხარო, ყვებოდა გრახა და გულამოსკვნილი ქვითინებდა.

– როგორ დაუჯერე, გრახა, ბავშვი ხომ არა ხარ!..

– ჰო, არ ვუჯერებდი, ერთი სიტყვაც არ მჯეროდა.. თუმცა ცოტა მაინც მჯეროდა. მერე ასე მითხრა, მხოლოდ მიყვარხარ კი არა, არამედ... მოკლედ, გარკვეული პრინციპები გამაჩნიაო... ხომ გესმის?

– არა, გულახდილად გეტყვი, არ მესმის...

– ცდილობდა დავეყოლიებინე, იმ პრინციპების გამო დავთანხმებულიყავი და უარი მეთქვა, ხომ გესმის, რაზედაც... ხომ გესმის?

მოკლედ, იმდენი უჩიჩინა, რომ ეს საბრალო ქალი ბოლოს მაინც დაითანხმა. დიახ, გრახა პეტერბურგმა უარი თქვა, გასაგებია რაზედაც. ცრუკლიენტმა კი საქაღალდედან სამართალდარღვევის შესახებ ოქმის ბლანკი ამოიღო და არაადამიანური სკრუპულოზურობით პუნქტების შევსება დაიწყო.

– რა ვქნა, ახლა რა უნდა ვქნა? – ქვითინებდა გრახა პეტერბურგი, თვალებიდან ცრემლი ღაპაღუპით სცვიოდა. სულ უფრო ბინდდებოდა და მაგიდის პლასტმასის ზედაპირზე დადებულ მის ხელზე ხელის შეხების დაუოკებელი სურვილი მეც უფრო მწვავედ მეუფლებოდა.

და, აი, შევეხე მის ხელს. დიახ, დიახ, მე მას პირველად შევეხე, ვინაიდან რამდენიმე კვირის წინ, როცა თავი პეტერბურგის ბინადრად გამაცნო, მართალია, ცოფიანივით ვიყავი, მაგრამ ხელზეც არ შევხებივარ. ეჰ, რას მივედ-მოვედები... მის ხელს შევეხე თუ არა, ორივენი ურთიერთდაქვემდებარების იმ ბადეში მოვექეცით, რომელსაც შედეგად შეიძლება მრავალი რამ მოჰყვეს. ჩვენი ხელები ერთმანეთს შეეხო და, როგორც ამას ჩესლავ მილოში ამბობს, ერთმანეთს შეეტკბო:

და სწორედ მაშინ აღესრულა კურთხევა ჩემი –

თითქოს შექმნილნი ერთმანეთისთვის,

არა სხეულით, არა კანით შევეტკბეთ ერთურთს,

არამედ ძილიც... მის გვერდით ძილიც მექცა მბრძანებლად.

მერე რა მოხდა? მერე მოსაყოლი თითქმის აღარაფერია. იმაზე ლაპარაკი, რაც მერე მოხდა, მრცხვენია კიდევაც. შევხედე გრახა პეტერბურგს და მივხვდი, რომ ასეთი საოცარი ქალის გვერდით კანცეროგენულ ლინოლიუმზეც კი შეიძლებოდა მხეცად ქცეულიყავი. და ვიქეცი კიდევაც. ვშმაგობდით, ჭკუას ვკარგავდით და ჩვენი სულიერების ბოლო წვეთებსაც ქარს ვატანდით. ჩვენ სულიერებას კი, მართალია, რცხვენოდა ჩვენს მაგივრად, მაგრამ, აქ იგი სრულიად უძლური გახლდათ.

– ამაოდ ვცდილობდით ჩვენი საქციელი გაგვეკეთილშობილებინა, ყოველი ჩვენი მცდელობა წარუმატებელი იყო. რა ტიტანური ძალისხმევა არ გავწიეთ, რათა ადამიანური ცხოვრება დაგვეწყო. სულ იმის ოცნებაში ვიყავით, ამ ვითარებიდან თავი ერთხელ მაინც დაგვეღწია, სადმე გაგვესეირნა, კინოსა ან თეატრში წავსულიყავით, ანდა სულერთია, სადაც უნდა ყოფილიყო, თუნდაც ვერნისაჟზე... მაგრამ, არა, ძალა არ შეგვწევდა.

– მაშინ კითხვა? წიგნის სამყარო? დიადი საკაცობრიო იდეები? საზოგადოებებს შორის ურთიერთობათა დისკურსიული ფორმები? – დიახ, ჩვენ ვიძირებოდით კითხვის სამყაროში. საზოგადოებებს შორის ურთიერთობათა დისკურსიულ ფორმებზე ვმსჯელობდით, თუმცა ამაო იყო ყველაფერი.

მხოლოდ ახლა მივხვდი, რაში იყო საქმე. მხოლოდ ახლა ჩავწვდი ამ ძველთაძველი ჭეშმარიტების აზრს – მტაცებელი ცხოველები ტყუილა არ სეირნობენ, ისინი თავს ესხმიან ერთმანეთს, ისინი ერთმანეთს სანსლავენ... ერთად სეირნობა, ნელი, აუჩქარებელი ცოხნა განსაკუთრებული მადის გარეშე, ჩვენს ბუნებას არ შეესაბამება. ჩვენი ეშვების, ჩვენი ბრჭყალების, ჩვენი დაელექტროებული კანის გამო ჩვენ ყველანი საარაკო გაუმაძღრობისთვის ვართ განწირულნი. ანატომიურად ჩვენი კიდურები სეირნობისთვის არ არის მომართული. ჩვენი ზედა კიდურები მხოლოდ გადაჭდობისთვისაა, რაც შეეხება ჩვენს ქვედა კიდურებს, ანატომიურად იგი მხოლოდ გაქცევისთვის არის მოწყობილი – საკუთარი თავიდან გაქცევისთვის.

დასაწყისში ერთმანეთს საოცარი სინაზით შევყურებდით, მერე ცოტა უფრო მინელებული სინაზით, მერე ჩვენს მზერაში ჩაფიქრება, სასოწარკვეთილება გაჩნდა. მერე კი თანდათან სიძულვილმა შეგვიპყრო, რომელიც დღითიდღე სულ უფრო მატულობდა... როგორც საყვარლების ყველა შემთხვევით წყვილს სჩვევია, რამდენიმე თვის მანძილზე ჩვენც კაცობრიობისათვის ცნობილი ყველა ემოციური ვითარება განვიცადეთ.

რასაც ახლა ვიტყვი, ვიცი ვულგარულად მოგეჩვენებათ, მაგრამ, ყოველთვის ასე მეგონა, პოლონეთის მიწაზე საგასტროლოდ იმ კატეგორიის ქალები ჩამოდიოდნენ, ვინც სასიყვარულო ექსტაზს ასახიერებდნენ, განასახიერებდნენ და განასახიერე-

ბენ, ახლა კი, ანუ მას მერე, რაც გრახა პეტერბურგი გავიცანი, დავრწმუნდი, რომ პოლონეთის მიწაზე საგასტროლოდ ის ქალები ჩამოდიან, რომლებიც სასიყვარულო ექსტაზს არ განასახიერებენ. თუმცა ეს როდი მაძლევს იმის უარყოფის საფუძველს, რომ სასიყვარულო საქმეებში ეკლესია მართალი არ არის. როგორც ჩემს განდეგილ მეგობარს უყვარს თქმა: „ძალიანაც არასასიამოვნოა, როცა რომაულ-კათოლიკური ეკლესია მართალი აღმოჩნდება, მაგრამ, რას იზამ, თუკი ეს მართლაც ასეაო!“

მარცხიან სექსს ადამიანი სიმახინჯემდე მიჰყავს, წარმატებული სექსი დამოკიდებულს გხდის, რაც კიდევ უფრო უარესია, ვიდრე ის, რომ, ვთქვათ, მწარე ნაყენზე ხარ დამოკიდებული.

აი ასე.

მე და გრახა ერთმანეთს უსაფრთხო მანძილით, ანუ შვიდი სართულით დავცილდით... გავათავისუფლე რა მგზნებარე საყვარლის მოვალეობისგან, არანაკლებ საპასუხისმგებლო – პლატონური მომმარაგებლის თანამდებობაზე განვაწესე... დაიწყება თუ არა „ძილი ნებისა“, ყოველდღე ჩემთვის გემრიელი სასუსნავი მოაქვს, ხოლო როცა გემრიელი სასუსნავი არ მოაქვს, მე ჩემი საიდუმლო მარაგით ვსარგებლობ.

– დღეგრძელობა მორიგე დიქტორს! დღეგრძელობა საკონტროლო ცხრილს! მით უმეტეს, ცხრილი მალე გაქრება და ნაცრისფერ ეკრანზე ერთ-ორ საათში პულსირებადი ზოლი გამოჩნდება.

ეჰ, გრახა, გრახა... გაუვალმა უდაბურებამ დაისადგურა სახლსა ჩემსა...[1] არა, ნუ იფიქრებთ, თითქოს ყველა „გლუკი“ მე მაბეზრებდეს თავს. არასოდეს მომჩვენებია, აქ, ამ პატარა მაგიდაზე ეს, ტელევიზორი კი არა, ჩემთან კაბელით შეერთებული ჩემი სისხლი და ხორცია, რომელიც ეკონომიკური მიმოხილვებით ერთობა-მეთქი. არასოდეს მომჩვენებია, თითქოს აქ ჩემი თირკმელები ალაგია, მოცისფრო სინათლეს აფენს და კულტურის შესახებ „პეგასის“ პროგრამით ახალ ამბებს გადმოსცემს... თუმცა... რაც მართალია, მართალია, სულ ასე მგონია, მუდამ ტვიდის კოსტიუმში გამოწყობილო, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, კულტურის პრობლემატიკის მცოდნე თმაჭაღარა კაცო, საცაა თავს გმოყოფ და უაპელაციოდ განმიცხადებ, ჩემის აზრით, ლიტერატურაში ალკოჰოლიზმის თემა საბოლოოდ არის ამოწურულიო.

– გთხოვთ, მაპატიოთ, ყური მოკარი რა შემთხვევით შენს მსჯელობას, მხოლოდ ერთი რამ შემიძლია გითხრა – ალკოპოლიზმი ლიტერატურაში, დიახ, მთლიანად არის ამოწურული.

– როგორი ბანალური გაუბრალოებაა, წმინდა წყლის დემაგოგია. მაგალითად, ავიღოთ მთავარი პრობლემა – ნაბახუსევობა ანუ განდგომილობა. ჯერ ხომ ეს ფენომენი არავის შეუსწავლია, გაკვრითაც კი არავის უწარმოებია მისი ტიპოლოგია. არსებობა, როგორც ცნობილია მოწამებრივი ტანჯვაა. ნაბახუსევობა, აღრმავებს რა არსებობით გამოწვეულ ტანჯვას, ბოლოს მაინც გაივლის ხოლმე, ანუ ანელებს არსებობით გამოწვეულ ტანჯვას, ვინაიდან მას პროგრესი (ნელი, მაგრამ მაინც პროგრესი), ანუ გუნება-განწყობილების თანდათანობითი გაუმჯობესება უდევს საფუძვლად. მაშასადამე, ის, ვისაც არ სურს ცხოვრებაში ერთ ადგილზე იყოს გაჩერებული, ვინც გამუდმებით ესწრაფვის თავისი გუნება-განწყობის გაუმჯობესებას, პერმანენტულად განდეგილის მდგომარეობაში უნდა იმყოფებოდეს. მიგიქცევიათ როდისმე ყურადღება ამგვარი პარადოქსისათვის? არა, არ მიგიქცევიათ. მაგრამ, სამარცხვინო აქ არაფერია, ვინაიდან, არც დასავლეთსა და არც აღმოსავლეთში ეს არავის შეუნიშნავს. ნაბახუსევობის სახესხვაობები, ტიპები და კატეგორიები? თქვენ იტყვით, მეტად თუ ნაკლებად განდეგილი განდეგილიაო. ნუ ააშკარავებ შენს სულიერ სიღატაკეს, პატივცემულო, შეგრცხვეს კლასიკოსებისა! მოვიყვან პირველსავე ხელთმოხვედრილ მაგალითს. თუ შეიძლება, ყურადღებით მომისმინე: განდეგილი – მშიერი, განდეგილი –ზეზეურად ჩამომხმარი, განდეგილი – მხდალი, განდეგილი – კაციჭამია, კილიმანჯაროს თოვლის განდეგილი, განდეგილი მლოცველი, განდეგილი – შრომის გმირი, განდეგილი მჩეხავი, 928 მეტრიანი განდეგილი, განდეგილი ჩხუბისთავი; განდეგილი, რომელიც მცირედით კმაყოფილდება, განდეგილი ძილისგუდა. საგანდეგილო – პატარა მყუდრო სორო. თაგვების, მგლების სორო... ჩემი საგანდეგილო..... ეჰ, მამაო ღრმად სოროში ჩავიკარგები...

მე თქვენ – მამაო ატამანო,
მსურს თვალცრემლიანმა
შემოგჩივლოთ –
თუ ვერ ვიპოვე ტალანტები,
ხმალს ფრთხილად
გადავამტვრევ,
შუბს ლურჯ ზღვაში გადავისვრი,
პირგანიერ ცულს კუთხეში მივაგდებ,
ზაპოროჟიეს განაპირას –
ღრმად სოროში ჩავიკარგები.

* * *

თუ ვერ ვიპოვე ტალანტები... ღრმად სოროში ჩავიკარგები... სოროში... ამაზე ახსნა-განმარტებების მთელი სისტემა შეიძლება ააგო. ამას შეიძლება ისეთი ახსნა-განმარტება მისცე, როგორიც არც ჩვენ ჩამოგვიყალიბებია, არც დასავლეთს და, შენ წარმოიდგინე, არც რუს კლასიკოსებს. ვინაიდან მხოლოდ ამის თქმა საკმარისი არ არის – მლოცველი განდეგილი, ანუ რელიგიურ ექსტაზში ჩავარდნილი, ლაჩარი განდეგილი. ესე იგი, მშიშარა და რწმენის უქონელი, 928 მეტრიანი. ესე იგი, უახლოეს დუქანს 928 მეტრით დაშორებული, განდეგილი რეკორდსმენი, ბატონი ტენისისტი. ესე იგი, სპორტული რეკორდის დამყარების საოცარი სურვილი... დიახ, დიახ, ეს საკმარისი არ არის, უფრო ღრმად უნდა ჩავიხედოთ. ავიღოთ ზემოთ ჩამოთვლილთაგან პირველი – განდეგილი მშიერი... როგორია ამის კონსტიტუციური საფუძვლები? ჰიპერტრო-

1. ციტატა იან კახოვსკის ლექსიდან „ტრენები“: „ძვირფასო ორშულია, შენ რომ დაიმარტოვე უდაბურებამ დაისადგურა სახლსა ჩემსა“.

ფირებული მადა და წყურვილი? მაპატიეთ, მაგრამ, თქვენ მართლაც იმ ყველაზე მშვენიერის გაუბრალოებისადმი იჩენთ განსაკუთრებულ მიდრეკილებას, რაც ადამიანს ბოთლთან აკავშირებს. აი მაგალითად: განდეგილი მშიერი, ნაბახუსევობის ერთ-ერთი ყველაზე სიმპათიური და, გარკვეული აზრით, ყველაზე კეთილშობილური სახესხვაობა. გინდათ იცოდეთ, რა შუაშია აქ კეთილშობილება? გიპასუხებთ: შიმშილი თქვენ სამყაროს გრძნობად მრავალსახეობას გადაგიშლით. ლაპარაკი აქ, ცხადია, გემოს მგრძნობელობას შეეხება.

წინა საღამოს, თქვენ, მშიერო განდეგილო, ჩუმმა, თვინიერმა, გაბრუებულმა და რაიმის აღქმის სრულიად უნარმოკლებულმა დაიძინეთ. იმ შეგრძნებათა შორის, რომლებზეც დღეს უარი გითხრეს, გემოს გრძნობაც მოხვდა. თქვენ წარმოდგენაც არა გაქვთ, გუშინ ბოლოს რა დალიეთ – სუფთა ვისკი თუ „ჭნავის ნაყენი“. ან იქნებ ალბანური კონიაკი, რომელიც, კაცმა არ იცის, ვინ მოიტანა? იქნებ „ზუბროვკა“? ის ხომ სულ მაგიდაზე იდგა და სურვილი არავის გასჩენია, ამ უკანასკნელ ხავსს ჩასჭიდებოდა. ახლა კი – აი, საოცრებავ! „ზუბროვკის“ ბოთლი ცარიელია. ან იქნებ ეს ტრადიციულად სადამოს დამაგვირგვინებელი ოთხი ქილა ლუდი იყო? ან სირჩა ლიქიორი, როგორც ამას წესი და რიგი მოითხოვს? ესე იგი, წევხარ ლოგინში ამგვარ მტანჯველ ფიქრებში გართული და რახან ჭეშმარიტებაში გარკვევის ძალა არ შეგწევს, ცდილობ ენაზე გემოს რაიმე ნიშანწყალი, ბოლო წვეთის რაიმე კვალი მაინც იპოვო. მაგრამ, როგორც პოეტმა ბრძანა, სულო ჩემო, ნუ ცდილობ ამაოდ! არ იცით, არა, არ იცით, რა გემოსი იყო ის სითხე, რომელიც თქვენ ბოლოს პირში ჩაიყუდეთ. და აი, სწორედ ამ გემოვნებითი წყვდიადის ფონზე განსაკუთრებული სიცხადით წარმოჩინდება ღირსება მშივრისა, რამეთუ მშიერი, გასაგებია, რომ შიმშილია, შიმშილის კვინტესენციაა. ეს არის გემო, ისეთივე მკაფიო და ბასრი, როგორც შეშლილის მიერ ალესილი სამართებლის პირი. მშიერი – ეს არის დაუყოვნებლივ მაცივრის პოლარულ წიაღში წაყოფილი თავი, მაცივარშივე მდოგვწასმული ძეხვის ნაჭერი და მაცივარშივე შთანთქმული. ეს არის იგივე ძეხვიანი ერბოკვერცხი, ყავა, ფუნთუშა, თაფლიანი და ყველიანი ბუტერბროდი. მაგრამ ეს დიდხანს ვერ დაგანაყრებს, სამსახურში მიმავალმა გზად ერთი ნაჭერი პიცა, ჰამბურგერი და ერთი ულუფა სოსისიც უნდა დააყოლო... კაცმა რომ თქვას, გაგრძელებას რა აზრი აქვს, როცა ისედაც აშკარაა – განდეგილი მშიერი – ეს არის გიგანტური თქვლეფა, ეს არის გემოსა და საჭმლის სუნის მიმართ ისტერიული მგრძნობიერება, ხოლო სორო, ისე როგორც განდეგილი, მარტოობის სუნისა და გემოს ისტერიული მგრძნობელობა.

გრახა, მოდი... მოდი, გრახა! დამამშვიდე რამდენადაც შეგიძლია, გამომეცხადე ძილსა ან ღვიძილში, ლანდად ან გამჭვირვალე აჩრდილად![1]

მაგრამ, რა არის თავისთავად ალკოჰოლიზმი? ვინ არის ალკოჰოლიკი? როდის შეიძლება საკუთარ თავს ალკოჰოლიკი უწოდო? ყველაზე ნათელი ტვინები არაერთი საუკუნის მანძილზე ამაოდ ცდილობდნენ, გარკვეულიყვნენ, სად იყო საზღვარი ამ მატერიაში ხილულსა და უხილავს შორის? იმათ არ იცოდნენ... აი, მე კი ვიცი... ვიცი, როდის შეიძლება თავს ალკოჰოლიკი უწოდო. შენ ალკოჰოლიკი ხარ, ნასადილევს კბილებიდან ხორცის ნამცეცს თუ იცილებ და ენას კარგა გვარიანად მიატლაკუნ-მოატლაკუნებ; თანდათან ხვდები, რომ ეს თვალთუხილავი ნამცეცი საგლინავ, საფრეზავ, სახარატო ჩარხზე დამუშავებული კორპის ნამცეცია და შენს პირის ღრუში სწორედ ის სჩადის უწესობას. რომ ეს კორპის პაწაწა ნამცეცი პატარა ბოცას, მინიატურულ ნახევარლიტრიანს, პატარა ბოთლ სუვენირს გაგონებს! ოო, ენის წვერით შენ გარკვევით გრძნობ კორპის ნამცეცს, ბოთლის პირს და პატარა ეტიკეტის პრიალა ზედაპირსაც კი. ეს კი უკვე იმის ნიშანია, რომ შენ.. არსებობ... გრახა კი არ არის და არც არასოდეს იქნება! გრახა, სადა ხარ? გესმის, გრახა? მუსიკა ჩემს სულსა და სხეულში აღწევს, ჩემი თიაქარი უსმენს შუბერტს... ივიწყებენ რა საწუთროს, შუბერტს უსმენენ ჩემი კანის ქვეშ დამალული ესპერაციის აბები. ჩემი ცეცხლმოკიდებული შიგნეული მისი სიმფონიის ტალღებში იძირება, ჩემი დიაბეტი, ჩემი რევმატიული ტკივილები, ჩემი ოდნავ მთრთოლავი არტერია ფორტეპიანოს ტრიო სი მაჟორ ოთხმოცდამეცხრამეტით ნეტარებს.

გრახა, სადა ხარ? ნუ ღელავ, გრახა, ბოლოს და ბოლოს ჩვენ აუცილებლად მიგვიღებენ „ნატოში“, ხოლო როცა „ნატოში“ მიგვიღებენ, შენი ფეხები, გრახა, მთელ ატლანტურ პაქტში ყველაზე ლამაზი, ყველაზე მომხიბვლელი იქნება... გრახა... ეს ატლანტური პაქტის უმშვენიერესი ფეხებია.

1. ციტატა იან კახოვსკის ლექსიდან „ტრენები“.

მეზობლები



ორი მოთხრობა

სომეხი მწერლები თარგმნა

დავით კახაბერმა

ნორაირ ადაკიანი

სამგლოვიარო დღესასწაული

ბატონი თოვმასი იმდენად ჭკვიანი და ნიჭიერი არქიტექტორი ბრძანდებოდა, რომ უფლება ჰქონდა წინასწარ შეედგინა საკუთარი დაკრძალვის სცენარი ყველა წვრილმანის გათვალისწინებით, ოღონდ ფულადი ხარჯები დაუტოვა თავის ახალგაზრდა ლამაზ, მასზე კარგა მაღალ მეუღლეს, რომელზეც, მიუხედავად ნათესავების წინააღმდეგობისა, ამ სამი წლის წინათ, თავისი სიცოცხლის მოახლოებულ დასალიერში, მაინც იქორწინა. „თოვმას, შეხედე, შენზე რამდენად მაღალია“, – ქორწილის შემდეგაც კი ეუბნებოდნენ ახლობლები, რაზეც ის პასუხობდა: „მთელი სიცოცხლე ჩემზე მაღალ, გრძელფეხებიან, ნაზკისრიან, თავმდაბალ, მორიდებულ ცოლზე ვოცნებობდი. გოჰარი ზუსტად ჩემი ოცნების ქალია“. მერე, სხვათა შორის, ბრაზდებოდა კიდეც: „გოჰარი, ჩემი ცოლია თუ თქვენი? ოდესმე თქვენი ოჯახის საქმეებში ჩავრეულვარ?“

თოვმასის სამგლოვიარო პროცესიაზე ცოტა ხალხმა მოიყარა თავი, რაც სცენარის მიხედვით შექმნილ სურათს სრულიად ეწინააღმდეგებოდა. არ მოვიდა თამადა, თვით ბატონი ჟირო, რომელიც მთელი ქორწილის მსვლელობის დროს გულში ჩამწვდომ სიტყვებს არ იშურებდა თავისი და თოვმასის ახლობლობა რომ დაედასტურებინა; „ჩემს შეუდარებელ ძმას“, ეძახდა. ახლა ის თავის სახლში მეზობლებთან ერთად იჯდა, ცივ ლუდს მიირთმევდა, ზედ კიბორჩხალასა და მლაშე, გამომშრალ ტარეხს აყოლებდა. სხვებიც იყვნენ, რომლებსაც მოვალეობა მოუხმობდათ თოვმასის წინასწარ შედგენილ საბოლოო ზეიმს დასწრებოდნენ, ხვალ კი, შუადღისას, დაკრძალავდნენ. მაგრამ ადამიანის ქცევა, ხშირად, ბნელია და ბურუსით მოცული, რამდენიც გინდა იმტვრიე თავი, ვერ გაიგებ, ლუდი, ტარეხი, კიბორჩხალა საერთო შედეგია თუ მიზეზი ამოუხსნელი.

იმ საღამოს მეტისმეტად ცხელოდა, თითქოს ჰაერი გაჩერებულიყო, ფოთოლიც არ ირხეოდა. ასეთი აუტანელი სიცხე ერევანში სამოცი წლის წინათ ყოფილა, თოვმასის დაბადების დღეს, მაგრამ ეს არავის ახსოვდა, გარდა თოვმასისა, რომლის გაციებული სხეულიც კი ოფლით დაცვარულიყო. პანაშვიდზე მოსულ მამაკაცთა უმრავლესობას ფართო ტოტებიანი თუთის ხის ქვეშ მოეყარა თავი და სიგარეტს აბოლებდა, ისედაც გაცხელებულ ჰაერს უფრო აცხელებდნენ. ქალები კი, შავი ქათმებივით, აქა-იქ ერთად შეგროვილიყვნენ, გოჰარზე ჭორებს აკაკანებდნენ, ისე, კვერცხის დადებისას რომ კრიახობს დედალი. გარდაცვლილის ირგვლივ კი, მხოლოდ ყველაზე ახლობლები იდგნენ და კიდევ რამდენიმე უღალატო, ერთგული მეგობარი.

სცენარის მიხედვით, ზუსტად დანიშნულ წუთებში კვარტეტიც მოვიდა და მთელი საათი უკრავდა კლასიკურ მუსიკას. ამას ჯივანი დაემატა თავისი დასტით, შიგნით თუ ეზოში მყოფი ყველა აატირა. მერე, მაგნიტოფონი უკრავდა არცთუ ხმამაღლა, სხვათა შორის, დილიდან იყო ჩართული შუადღემდე, რომლის პროგრამაშიც სცენარის საწინააღმდეგოდ, საქორწილო საცეკვაოც აღმოჩნდა, რამაც თოვმასი ძალიან ააღელვა, თავისი ქორწილი გაახსენდა და გოჰარის ნაზი ცეკვა. ღმერთო ჩემო, როგორ ცეკვავდა, რა ნაზი წელი, რა ფეხები, რა მკლავები. თოვმასმა თვალი გაახილა და გოჰარს შეხედა, რომელსაც სკამზე მჯდომს ჩასძინებოდა.

უნდოდა გაეღვიძებინა და ეთქვა, ნახე რა ლამაზი საცეკვაო ჰანგებია, საყვარელო, მაგრამ შეეცოდა, დაღლილია, გაუშვი ეძინოსო.

თოვმასმაც დაიძინა. ღამის რომელიღაც მონაკვეთში სიკვდილის ძილიდან სულმა რომ გამოიღვიძა, ცალი თვალი გაახილა და გოჰარი დაინახა. გაზეთ „აზგ“-ს („ერი“) მის სახესთან აქეთ-იქით აქნევდა და მომაბეზრებელ ბუზს აგდებდა. დანარჩენებს, პატარა ძმას, ცოლისდას, მამას და დედის მხრიდან ბებიას, მეზობელ კაროს, პოეტ ტირატურიანს, რომლის ნაწერებიც მხოლოდ თოვმასს მოსწონდა, სიდედრს და მის უფროს ქალს, პანაშვიდზე და დაკრძალვაზე მოსულ არქიტექტორს, სამ ერთგულ ამხანაგს, კიდევ რამდენიმე სხვა კაცს, რომლებსაც ძილიდან ახლად გამოღვიძების მიზეზით თოვმასი ვერ იხსენებდა ვინ იყვნენ, ყველას ღრმად ეძინა. მე აქ, კუბოში ვწევარ, ამათ კი უშფოთველად სძინავთ, – აღშფოთდა თოვმასი. ორივე თვალი გაახილა და საბოლოოდ გამოიღვიძა. გოჰარმა თვალები ისევ დაუხუჭა. თოვმასი თვალდახუჭული უსმენდა მუსიკას. თვალი რომ გაახილა, გოჰარი უკვე იქ აღარ იყო.

– გოჰარ... – ხმადაბლა გასძახა, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო.

თოვმასი ძლივს ადგა, ძლივს დასძრა კუბოში ერთი და იგივე მდგომარეობაში წოლისგან გაშეშებული, ატკიებული წელი, ცოლს დაუწყო ძებნა, „სადა ხარ, გოჰარ, მოდი თვალები დამიხუჭე“. სახლში რომ ვერ ნახა, ეზოში გავიდა. თუთის ხის ქვეშ გოჰარი და ჯივანის ერთი დოსტი, ხმადაბლა საუბრობდნენ. თოვმასი მათ შეუმჩნეველად მიუახლოვდა, ცოტა მოშორებით, სქელტანიანი ხის უკან გაჩერდა. და... თოვმასის ყურებმა საკმაოდ ნათლად გაიგონა:

– გოჰარ, წინანდელივით მიყვარხარ, უფრო მეტადაც, ვარდივით შეგინახავ, ჩემი ცოლი გახდი; შენ მაღალი ხარ, არც მე ვარ ნაკლები, თოვმასი უკვე მკვდარია.

თოვმასმა ძლივს შეიკავა თავი რომ არ ეთქვა – მკვდარი შენა ხარ, შე დოსტო შენაო. მისმა თვალებმა დაინახა როგორ მოეხვია დოსტი გოჰარს და როგორ ცდილობდა ტუჩებში ეკოცნა. გოჰარი ნაპირზე გადმოსროლილი თევზივით ფართხალებდა, თავი ძლივს გაითავისუფლა მისი მკლავებიდან და ერთი ისეთი სილა აჭამა, მეზურნეს თავი ძლივს შერჩა მხრებზე. თოვმასი კი გაწნული სილის ხმამ ცოტას დარჩა არ დააყრუა. ყველაფერი გასაგებია, მაგრამ სცენარის ამ ნაწილის წინასწარ დაგეგმვა შეუძლებელი იყო. მაგრამ, განა, ქვეყანაზე ისეთი სცენარი არსებობს, რომელიც უცვლელად ასულა სცენაზე ან ეკრანზე?

ცოლის საქციელით კმაყოფილი, რაც საკუთარ თავსაც არ გაუმჟღავნა, თოვმასი, წავიდა, ისევ კუბოში ჩაწვა და თვალები ბედნიერმა დახუჭა. არ დაეძინა, არც ჩვეულებრივი ძილით და არც მკვდრის ძილით, გული მთელი მისი განვლილი სიცოცხლით უცემდა. მიუხედავად იმისა, რომ პატიოსნად იცხოვრა, ბევრს შრომობდა და პატივმოყვარეც იყო, თოვმასს მაინც არ უნდოდა ეს გზა ხელახლა გაევლო, მარტო ის ისურვა, თავისი და გოჰარის ქორწილი ისევ განმეორებულიყო, განმეორებულიყო მათი პირველი დამეც, როცა ქალის სხეულისა და სულის მომხიბვლელობა შეიგრძნო, ისევ სევანში წასულიყვნენ თაფლობის თვის გასატარებლად, რომელიც მაშინ თაფლზე უტკბილესი გამოვიდა, ისევ ისე მიალერსებოდა, როგორც მაშინ, როცა კარგად იყო. არავინ დაიჯერებს, მით უმეტეს კონსერვატორი მკითხველი, რომ ეს ყველაფერი ასეც მოხდა. თოვმასი მოეხვია ცოლს, თვალტუჩი დაუკოცნა და უთხრა, უსასრულოდ მეყვარებიო. გოჰარი მეუღლის მკლავებს არ გაქცევია, ისე, როგორც დოსტს გაექცა, უფრო მაგრად ჩაეხუტა. მიცვალებულს ცოლის ტირილით ნათქვამი შემოესმა: – თოვმას, უშანოდ როგორ უნდა ვიცოცხლოო?

თოვმასმა ისევ ხმადაბლა ჩართული მაგნიტოფონის მუსიკის მოსმენა გააგრძელა, კუბოს გარშემო მსხდომთ ძილი რომ მოჰგვარა, მას კი სიფხიზლე გაუმახვილა, ყველაფერი ესმოდა, ყველაფერს ხედავდა და შეფასებებსაც აძლევდა. კედელზე გასულ წელს გადაღებული სურათი იყო ჩამოკიდებული, ათჯერ გადიდებული, შუშის ქვეშ, შავ ჩარჩოში ჩასმული. სცენარის მიხედვით უამრავი სურათიდან ეს იყო ამორჩეული, სამგლოვიარო ცერემონიის დროს ეს უნდა გამოეკიდათ. პანაშვიდის, გასვენების, შვიდის, ორმოცის და ერთი წლის გასვლის შემდეგ, გოჰარს შავი ჩარჩო ოქროსფერით უნდა შეეცვალა და სასტუმრო ოთახის კარის მოპირდაპირე კედელზე, „პეტროფ“-ის ფირმის პიანინოს თავზე ჩამოეკიდა. პიანინო გოჰარის მზითვი იყო და ზოგჯერ შოპენის ნოქტიურნს უკრავდა, რითაც დიდად ასიამოვნებდა და აოცებდა თოვმასს. „დაუკარი, საყვარელო“, – შეევედრა გარდაცვლილი მეუღლეს და ნეტარებით მოისმინა დაუკრავად დაკრული მუსიკა. დანარჩენი სურათებიდან მხოლოდ ეს ფოტო გამოხატავდა, რომ ისევ არსებობდა, – სახეზე ნაზი, კეთილი ღიმილი გადაჰკროდა, გეგონებოდათ, თბილად, ახლობლურად გეკითხებოდათ – გამარჯობა, როგორა ხართ?

ღამე ჯივანის დოსტი ისევ მოვიდა, თოვმასს დასუნა, უნდოდა გაეგო ცოცხალი იყო თუ მკვდარი. რომ დაინახა მისი ღია თვალები მას მიშტერებოდა, შეძრწუნდა და გარეთ გავარდა.

დრო უნდა გამოვნახო, – გაიფიქრა თოვმასმა, – დერენიკ დემირჭიანის ძეგლის კვარცხლბეკის ნახაზი დავამთავრო, დიდი მწერალია, გაუშვი იყოს თავის შესაფერის სიმაღლეზე. რამდენიმე სხვა ნახაზიც დარჩა დაუმთავრებელი უდროოდ გარდაცვალების მიზეზით. სამოცი წელი, აბა, რა ასაკია მოსიყვარულე მამაკაცისთვის; ყველაზე მეტად კვარცხლბეკი აფიქრებდა, ეშინოდა, ისე არ მომკვდარიყო, ხალხისთვის ვალი ვერ დაებრუნებინა. თოვმასმა ბევრ ხელშეკრულებაზე თქვა უარი, მათ შორის, ერთ გიუმრელ დიდ პიროვნებასთან თანაავტორობით ვიღაცის საფლავის ნახაზის შექმნის ხელშეკრულებაც დაარღვია, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ დიდი თანხა ჰქონდა აღებული. ახლა ეს თანხა, რომელიც ტანსაცმლის კარადის ერთ-

ერთ საიდუმლო სამალავში ინახებოდა, უნდა დაებრუნებინა. ცოლს შეეხვეწა, დასაფლავების შემდეგ, ფული პატრონს დაუბრუნე, ეგდა მაკლია ქურდსა და ავაზაკს საფლავი გავუკეთო, ცუდი ფული არ გვჭირდება, გაუშვი, გიუმრელმა თვითონ გაუკეთოს, თუ უნდაო. ამ დროს კი, გიუმრელი არქიტექტორი, ძილ-ბურანში იმ ვიღაც მდიდრის ფულებს ითვლიდა, მადლობას იხდიდა, თოვმასი სწორედ დროზე რომ მოკვდა. თოვმასმა ყველაფერი ეს იგრძნო, დაინახა კიდეც, როგორ ანგარიშობდა და გაიფიქრა:

– აფსუს, მკვდარი მე კი არა, შენა ხარ. შენი პანაშვიდია, ეს კვარტეტი, ჯივანი და მაგნიტოფონიც შენ გგლოვობს. – ის დოსტიც გაახსენდა, ფეხბურთის ბურთივით რომ ჰქონდა დაბერილი ლოყები, მასაც მარხავდნენ.

თოვმასმა მკვდრის სუნი იგრძნო. ფრთხილად ჩაისუნთქა მის ირგვლივ მსხდომი ხალხის სუნი, რომლებიც ხმების სხვადასხვა რეგისტრებით, ზოგი დრამატული ტენორითა და ბასით, ზოგიც, სოპრანოთი და კოლორიტული სოპრანოთი ხვრინავდა. სუნი პოეტ ტირატურიანისგან მოდიოდა. თოვმასს გული ეტკინა, ხომ არ მოკვდაო? გაიფიქრა. ცოცხალი იყო. სინამდვილეში, სუნი გვერდიგვერდ მსხდარი სამი ამხანაგიდან ერთ-ერთისგან – შუაში მჯდარი აბოსგან მოდიოდა, და მარჯვნივ და მარცხნივ ავრცელებდა. აბოს თოვმასის ვალი ჰქონდა და ახლა უხაროდა, ვალის გადახდა აღარ მომიწევსო. თოვმასს მასზე წარმოდგენა წაუხდა, ეს რა გასახარებელია, ალბათ ამიტომ მოკვდაო. ასე ეგონა, რამდენიმე საათის წინ კვარტეტი „სამგლოვიარო მესას“ რომ უკრავდა, აბოსთვის უკრავდა. მისი სუნი დანარჩენ ამხანაგებსაც გადაედოთ და ისინიც გარდაიცვალნენ. ახლა მაგნიტოფონი ერთდროულად სამს გლოვობდა. ჰამბარცუმს შეეძლო დიდხანს ეცოცხლა, თუ ხალხი ეყვარებოდა; ლიპარიტ ლიპარიტიანს კი მხოლოდ საკუთარი თავი უყვარდა. რასაკვირველია, სულ ადვილია მკვდრის სუნით დაავადდე და ჯოჯოხეთის ჯოჯოხეთში გადაეშვა.

ამ სამგლოვიარო ფიქრებისგან გასათავისუფლებლად თოვმასმა „აბა გამოიცანის“ თამაში დაიწყო. იქ მყოფთა დაუნახავად, ხვრინვის ხმით უნდა გამოეცნო, ვინ ვინ იყო. მეტისმეტად საინტერესო, ზოგ შემთხვევაში კი სასაცილო შედეგი მიიღო. სიდედრი შალიაპინის ხმით ხვრინავდა და საშინელ ზეგავლენას ახდენდა გარშემო მყოფებზე. ეს ვისი ხმაა? თითქოს ქალის ხმა უნდა იყოს... მალე გაირკვა, ტირატურიანის ხმა იყო, თავისი ლექსების მსგავსად კოლორატურული სოპრანოთი ხვრინავდა. სასწაული მოხდა, გარდაცვლილი ლიპარიტ ლიპარიტიანი გაცოცხლდა და სოპრანოს ხმით წამოიწყო სიმღერა – რადამესის არია ოპერიდან „აიდა“. თოვმასმა დაცინვით ტაში დაუკრა და უთხრა: „შე ნამდვილო ყაჩაღო, შენა“. თოვმასმა გაჭირვებით გამოიცნო ბასის ხმით მხვრინავი ვინ იყო, ყველას ჩამოუარა, ცოლისდა აღმოჩნდა, რომელიც, თითქოს პირით და ცხვირით კი არა – ძუძუებით ხვრინავდა. თამაში ერთ საათზე მეტხანს გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში, ვიღაც ქალი ხვრინვა-ხვრინვით მიუახლოვდა თოვმასს; შავ, გრძელ კაბასა და პირბადეში გამოწყობილი ვერ იცნო, ვინ იყო. მან სიცხისგან გამომხმარ ხელში წებოთი დაწებებული დიდი კონვერტი ჩაუდო. თოვმასმა კონვერტი გახსნა, იქიდან ერთი პატარა ქაღალდი ამოიღო და წაიკითხა: „თოვმას, შე უღმერთოვ, ამ მხეცებში რატომ მტოვებ? ჩვენი სიყვარულის ფასი ეგ არი? მუდამ შენი მოსიყვარულე ლიზა“. თოვმასმა ქაღალდი და კონვერტი გოჰარს გაუწოდა.

– ლიზა ვინ არის, თოვმას?

– არ ვიცი.

– მღალატობ, თოვმას?

– მოვკვდე თუ შენ გიღალატო.

– თუ სადმე გიჟია, ყველას ჩვენს ქალაქში მოუყრია თავი.

– წადი, ცოტა დაიძინე. – უთხრა ცოლს, – წინ მძიმე დღე გელის.

მეზობელმა კარომ უცებ ხვრინვა შეწყვიტა. მოკვდა, – გაიფიქრა თოვმასმა, – ღმერთმა გაანათლოს. კარო ცუდი მეზობელი არ იყო, როცა აუცილებელობა მოითხოვდა, საყოფაცხოვრებო საქმეებს უფასოდ უგვარებდა, ხელიდან ყველაფერი გამოსდიოდა – წყალსადენის შეკეთება, ელექტროენერგიასთან დაკავშირებული საქმეები თუ კარფანჯრებზე გაფუჭებული საკეტების შეცვლა; თოვმასს, თავისი საქმის დიდ მცოდნესა და ერთგულს, ამ საქმეების კეთება არ შეეძლო. ოღონდ, რამდენჯერმე ერთი შემთხვევა კი მოხდა – კარო მაგრად დათვრა და გოჰარს ეძგერა. ტანსაცმელი შემოახია, ქალს რომ წინააღმდეგობა არ გაეწია აუცილებლად ნამუსს ახდიდა. თუმცა, როგორც კი სიმთვრალემ გაუარა, გონს მოვიდა, შერცხვენილმა ათასჯერ მოიხადა ბოდიში. სულერთია, მეზობელო, რაც შენ ჩაიდინე, უპატიებელია. სადა გაქვს, მაგდენი კულტურა? რა სინდისით უნდა მოხვიდე სასაფლაოზე? ამ დროს მაგნიტოფონი ზუსტად „ღმერთო მომიტევე“-ს უკრავდა. თოვმასი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ კარო მომკვდარიყო.

ვინც არ ხვრინავდა, მკვდარი იყო. მხვრინავები კი ჯერ ცოცხლები ბრძანდებოდნენ.

სიდედრმა კი, რომელიც თოვმასზე გაბრაზებული იყო, მოულოდნელი სიკვდილით რომ გააუბედურა მისი ქალი და თვითონაც გაუბედურდა, გამთენიისას ცოტა ხნით შეწყვიტა ხვრინვა, საპირფარეშოში წავიდა, მალე დაბრუნდა, დაჯდა სკამზე და ისევ ჯანმრთელი ხვრინვა გაბა. ამ ქალს სიკვდილი არ მიეკარება, – გაიფიქრა თოვმასმა. ის ჩვენი ქორწინების წინააღმდეგი იყო, სიმაღლესა და ასაკში განსხვავების გამო. ერთ დღეს, პირდაპირ თქვა, შენ მე უფრო შემეფერები, ვიდრე ჩემს ქალსო. კუბოში მწოლი თოვმასი ახლა მიხვდა მდიდრული საჯდომის პატრონ მის სიდედრს რა სურვილიც ამოძრავებდა, გოჰარს არაფერი უთხრა, გული რომ არ სტკენოდა; სიდედრის ჩემ მიმართ ცუდი დამოკიდებულება ამით აიხსნებოდა და არა სიმაღლითო, დაასკვნა ბოლოს. ახლაც არ იტყვის უარს, გოჰარს გავეყარო და მასთან ვიქორწინო. ფუჰ... – თავისი ზიზღი გამოხატა თოვმასმა, –

მოვკვდე, მირჩევნია, ეს რა ხალხია. აი ცოლისდა კი, ფუმფულა ქალი, სხვა ფიქრებითა და გრძნობებით ხვრინავდა. მსუქანი, შეუხედავი, ძროხასავით დაბერილძუძუებიანი, სახლში ჩაბერებული ქალი გახლდათ. გოჰარის და არ გეგონებოდათ, თითქოს სხვისი შვილი იყო. იქნებ ნაშვილებია? გაგებული მქონდა, სიდედრი დიდხანს არ ორსულდებოდა. არა, ამ სიდედრისგან ზუსტად ასეთი ფუმფულა ქალი უნდა გაჩენილიყო. გამოდის, რომ გოჰარია ნაშვილები, საერთოდ არ ჰგავს არც ერთს. თოვმასისა და გოჰარის ერთად ცხოვრების განმავლობაში, ამ ფუმფულა დას შურის მატლი უღრღნიდა სულს. ახლა, ხვრინვით გამოხატავდა თავის სიხარულს, რომ თოვმასი კუბოში იწვა, შავი ჰალსტუხი ეკეთა, გახამებული პერანგი ეცვა, შავი კოსტიუმის გარეთა ზედა პატარა ჯიბეში სამკუთხედად მოკეცილი თეთრი ცხვირსახოცი ედო, გოჰარი კი ქვრივად დარჩა. ეტყობა, შურიანობის ზომის დადგენა საშიშია. თოვმასსაც შეეშინდა და მზერა აარიდა მას. დედისა და ქალიშვილის ხვრინვა მოულოდნელად შეწყდა. ვაა!.. – გაოცდა და დაიბნა თოვმასი, – ეს რა არის, ესენიც დაიხოცნენ?.. როცა ჯივან ჯივანიანის საკმაოდ კარგად შესრულებული სიმღერები „მოუსვენარო დედავ“ და „ჩემო ტკბილო და ძვირფასო დაო“ მაგნიტოფონიდან გაისმა, თოვმასს უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ესენიც გარდაცვლილიყვნენ.

ძალიან ნელა თენდებოდა. ზოგიერთები ხმამაღლა და ხმადაბლა ისევ ფშვინავ-ხვრინავდნენ. თოვმასმა გული გაიმაგრა. ყველა არ გარდაცვლილიყო, ხალხის სუნთქვა ისმოდა. ცხოვრება მის შემდეგაც გრძელდებოდა.

ეზო და სახლი თანდათან გაივსო. ქალები ყვავილებით მოდიოდნენ. გარეთ უკვე ხუთი გვირგვინიც გამოჩნდა, აქედან ერთი – არქიტექტორთა კავშირისგან. თოვმასს ძალიან გაუკვირდა, რომ სიდედრსა და ფუმფულასაც გვირგვინი მოეტანათ. გახარებიათ, – გაიფიქრა მან და დაღონდა, რომ ისინიც მრავალი წლის განმავლობაში გარდაცვლილებს შეურთდნენ.

ამ ხალხში გაფაციცებული დაეძებდა ნათლია ჟიროს, მაგრამ ვერ იპოვა. აფსუს, მომკვდარა. ხიკარი სადღაა? ახლა ჩემ გვერდით უნდა იყოს, მე ხომ სევანში დახრჩობას გადავარჩინე. ის ხალხი არ მოსულიყო, ვისთანაც გამომშვიდობება და ბოლო „გამარჯობის“ თქმა უნდოდა, ახლა ენატრებოდა ისინი. ვიღაცამ ხვრინვა შეწყვიტა. თავის უმცროს ძმას შეხედა, არა, ის მკვდარი არ იყო. პოეტი ტირატურიანი მომკვდარიყო, რომელიც თოვმასზე ხშირად იყო ნაწყენი, რადგან მას გენიოსად არ მიაჩნდა, მხოლოდ ნიჭიერი ხარო ამას ნიშნავდა, როცა ეუბნებოდა „მაღალნიჭიერი“-ო. ცოტაცდა, თოვმასის მოხრჩობას წინ არაფერი ედგა. უმცროსი ძმა მშვიდად, ცახცახისა და კანკალის გარეშე ხვრინავდა, ამ ქვეყნიდან წასვლის სურვილს მაინცდამაინს არ ამჟღავნებდა. როგორც ყოველთვის, ახლაც ძმისგან მოითხოვდა, რომ სახლ-კარი მისთვის დაეტოვებინა და არა გოჰარისთვის. ის ქურდი იყო და ყველაფერი ჰქონდა – შესანიშნავი საკუთარი სახლი, „მერსედესი“, აგარაკი. გადამწყვეტი წუთი იდგა – ვის ამოირჩევდა თოვმასი, გოჰარს თუ ძმას? ყველაფერს გოჰარს ვუტოვებო, თქვა თოვმასმა. უმცროს ძმას სიბრაზისგან პირიდან ქაფი წამოუვიდა, ეგრევე შეწყვიტა ხვრინვა. თითქოს ჯაჭვური რეაქცია დაიწყოო, მაშინვე ხმა გაწყვიტეს მამამ და დედის მხრიდან ბებიამ.

თოვმასს შეეშინდა, გოჰარმაც ხვრინვა არ დაიწყოსო, რადგან ვინც ხვრინავდა ერთმანეთის მიყოლებით იხოცებოდა, ცრემლი კი რამდენიც უნდა ღვაროსო. შეეშინდა, უცებ არ დავკარგოო და ცოლი ჩაიხუტა, ისე იგრძნო მისი სხეულის სურნელი, თითქოს იშვიათი ყვავილების თაიგული ყოფილიყო.

მზის სხივი კედელზე დაკიდებულ სურათს მოხვდა. გარდაცვლილმა სურათიდან უთხრა, გამარჯობა, თოვმას, ერთმანეთს როგორ ვგავართ.

ეზოსა და სახლში აღარავინ ხვრინავდა. ხალხი შიგნით შედიოდა, კუბოს გარშემო ლანდებივით უხმოდ უვლიდა და გადიოდა. მათ შორის თოვმასმა ჟირო დაინახა, რომელიც ჟირო არ იყო.

კუბოს თავსა და ბოლოში სპილენძის მაღალ სასანთლეებში წყვილი მსხვილი სანთელი იღვენთებოდა. სიცხისგან ყვავილები უკვე დამჭკნარიყო. ოთახში მატულობდა და მატულობდა მკვდრის სუნი. კუბოს ბოლოში, სასანთლეში ერთი სანთელი ჩაქრა. თოვმასმა ცუდის ნიშნად მიიღო: განა სიკვდილის შემდეგ, სხვა სიკვდილი კიდევ არსებობს? მხოლოდ მაშინ დაუმშვიდდა გული, რაც გოჰარმა მეუღლის ასანთით სანთელი ისევ აანთო. გუშინ საღამოს, მთელი ღამე, დღეც, თოვმასი წუთითაც არ დაშორებია მეუღლეს, რაც უნდა გაეკეთებინა, ვინც უნდა მოეგონებინა, სადაც უნდა წასულიყო, მაინც გოჰართან ერთად იყო. გვიან ღამით, როცა ერთხანს მარტონი დარჩნენ, ზოგი უკვე მკვდარი იყო, ზოგი კი ხვრინავდა, ცოლი იხმო, თავი დაახრევინა, მგრძნობიარედ და ხანგრძლივად დაუკოცნა ბაგე. გამიშვი, – დაიბნა გოჰარი, – სირცხვილია, დაგვინახავენ.

სცენარის თანახმად, პირველს რომ თხუთმეტი აკლდა, გუშინდელი კვარტეტი მოვიდა, რომლის მევიოლინეც თოვმასის ბავშვობის მეგობარი იყო და მიცვალებული ზუსტად ერთი საათი იგლოვა მოცარტის, შუმანის, ლისტის, ბრუქნერის, ბერლიოზისა და ვერდის ჰიმნებით. თოვმასმა ეს ყველაფერი საუცხოო კონცერტის მსგავსად მოისმინა, ცოტა დააკლდა, ტაში არ დაჰკრა და „ბრავო“ არ დაიძახა.

სცენარის მიხედვით, ბოლოს მღვდელი მოვიდა, ქელეხისმჭამელი სხვა მღვდლებივით გასიებული მუცელი არ ჰქონდა, შუახნის, მაღალი, ლამაზი გარეგნობის კაცი იყო. ყველა ფეხზე წამოდგა. თოვმასიც შეინძრა ასადგომად, მაგრამ მღვდელმა, კულტურულად, ადგომის უფლება არ მისცა – გთხოვთ, არ ადგეთ, იწექითო. მამამ ძველი და ახალი აღთქმა წაუკითხა, იგალობა, ისევ წაუკითხა, თან უფრო მეტად გოჰარს მიშტერებოდა, ვიდრე საღვთო წიგნს. ასეთი გამოხედვა თოვმასს არ მოეწონა: ჩემს ცოლს აცდუნებსო. საუცხოო ხმა

ჰქონდა. ოთახში მყოფი ქალები ვეღარ ითმენდნენ და მზად იყვნენ მისთვის დროზე ადრე დაეკოცნათ მარჯვენა ხელი და მთხვეოდნენ ჯვარს, ბოლოს ყველამ აკოცა, გარდა გოჰარისა, რომელიც ამ ცერემონიალის დროს ხალხის უკან მიმალულიყო. ეტყობა, მღვდლის გრძნობააშლილ გამოხედვას მოერიდა. მის მაგივრად თოვმასმა ყაისნაღით ნაპირებამოქსოვილი თეთრი ცხვირსახოცით გამოწვდილ ჯვარს აკოცა, რომელსაც ნივრის სუნი ასდიოდა.

ყვავილები და ყვავილების კალათები ოთახიდან გაიტანეს; მკვდრები და ცოცხლები გარეთ გავიდნენ; დამკრძალავი ბიუროს ლურჯტანსაცმლიანმა თანამშრომლებმა კუბო ასწიეს და, მღვდლის გალობის თანხლებით, ეზოში გამოასვენეს. სახლის წინ კუბო ექვსჯერ შემოატრიალეს, მერე შესახვევით ქუჩაში გავიდნენ. სცენარის თანახმად პროცესია უნდა შეჩერებულიყო წყაროსთანაც, რომელიც თოვმასმა თავისი ხარჯით გააკეთებინა გენოციდის მსხვერპლთა მოსაგონებლად. მაგრამ მღვდლის გალობამ ისე მოაჯადოვა ყველა, რომ დაავიწყდათ და, საშინელი სიცხისგან შეწუხებულებმა, უხმოდ გააგრძელეს გზა. თოვმასს ეგონა, ჯვარგაწვდილი მღვდელი მას კი არ მიასვენებდა დასამარხად, არამედ ყველას, ვინც იმ ღამეს ხვრინავდა და ბოროტებას, სიყალბეს, შურს, გულგრილობას თესდა და ავრცელებდა. იმათ, ვინც მომაკვდინებლად წამლავდა ქვეყნიერებას.

კუბო საფლავის კიდეზე დაასვენეს. ჟირომ პირი დააღო, სამგლოვიარო გამოსათხოვარი სიტყვა რომ ეთქვა: პატივცემულო მგლოვიარენნოო, დაიწყო, მაგრამ თოვმასმა შეაწყვეტინა: თვალიდან დამეკარგე, შე ცბიეროო, უთხრა.

მღვდელმა ისევ წაიკითხა ლოცვები, იგალობა, ბოლოს ცალ-ცალკე იქ დამსწრე მკვდრებს ჩამოურიგა: მიწა იყავ და მიწად იქეცი. მეც მითხარიო, – სთხოვა თოვმასმაც. შენ სულ სხვა ხარო, – უპასუხა მღვდელმა.

კუბოს საფლავში ჩაშვების დროც დადგა. მღვდელმა, რომელსაც ამ ერთ-ორ საათში გოჰარი ყურებამდე შეყვარებოდა, ქალს უთხრა, გამოეთხოვეო მეუღლეს, და ხელკავი გაუკეთა, დაეხმარა ქმრის ცხედარს მიახლოვებოდა. გოჰარი დაიხარა და როცა მეუღლეს სახეს უკოცნიდა, მისგან ერთი შეუდარებელი წინადადება შემოესმა: „ვიდრე შენ ცოცხალი ხარ, მე მკვდარი არა ვარ“.

აი, ასეთი გახლდათ არქიტექტორ თოვმასის ბრწყინვალე, მაგრამ ხალხისთვის უცნობი ისტორია.

ნ ო ე

რუბენ ჰოვსეფიანი

მაშ, გენაცვალე, ყველაფერს თავიდან მოგიყვებით. დავიწყებ სოკოს სურათიდან, რომელიც ჩემმა შვილიშვილმა სკოლიდან მოიტანა. თვითონ თქვა, სოკოს სურათიაო და თან ირონიულად დამცინა, ე. ი. მე, რომელმაც ბავშვობა და ახალგაზრდობა ტყეში გავატარე, თურმე არ ვიცი, რომელია სოკო.

„ჰაი-გიდი, – ვეუბნები იმ დიდყურას, – შენ სად იყავი, ძაღლის ლეკვო, რომ მთელ ოჯახს სოკოთი ვარჩენდი.“ – მარტო სოკოთი, რა თქმა უნდა, ოჯახს ვერ არჩენ, სიტყვამ მოიტანა და იმიტომ ვთქვი, თორემ ტყეში მარტო სოკო ხომ არ ხარობს. საქმე რომ არა გქონდეს და შეხვიდე ჩვენს ტყეში, რადას არ იპოვი: შინდი გინდა თუ ასკილი, თხილი თუ პანტა, მარწყვი... ეკლესიის გვერდით, ხევის პირას ჭერმის ხეებიცაა... ნაირ-ნაირი წვრილმანი ნაყოფი ისეთი ტკბილია, თითები ერთმანეთს ეწებება. ჭერმის ხეები ეკლესიის ხნისანი არიან, ხუთას-ექვსასი წლისა მაინც იქნებიან. განდეგილებს, ეტყობა, ჭერამი ძალიან უყვარდათ... ერთ წელიწადს ეკლესიის გუმბათს მეხი უნდა დასცემოდა თურმე. მას კი, როგორც ცხენი მოიცილებს ხოლმე უღირსს მხედარს, ისე გაუსვრია, აუშორებია მეხი და ალი ყველაზე ახლოს მდგარ ჭერმის ხეს მოსდებია. ახლაც რომ მოხვდეთ იმ ადგილებში, ნაკვერჩხლადქცეულ ხეს ნახავთ.

როცა ანდრანიკმა ამიხსნა, თუ რომელი სოკოა დახატული, მაშინვე გამახსენდა ის დამწვარი ხე. გული უკვნესის ადამიანს, ექიმო, როცა იმ დანახშირებულ, შავ ტოტებგაშვერილ ჭერმის ხეს შე-

ჰყურებს. დამშრალ ჭაობში, არხის პირზე, ნანახი გექნებათ ალბათ, ზურგზე ამობრუნებული, ფეხებგაფშეკილი მკვდარი ბაყაყი... აი, ზუსტად ასეთ მკვდარ ბაყაყს ჰგავს დამწვარი ჭერმის ხე და როცა ანდრანიკმა ამიხსნა, როგორი სოკო ეხატა მის რვეულში, მაშინვე ის ჭერმის ხე გამახსენდა. თურმე, ექიმო, ბომბის აფეთქების სურათი ყოფილა... მეხი რაა მასთან შედარებით, მიწისძვრა რაა, ისეთი ბომბი დაუმზადებიათ იმ უღმერთოებს, რომ ერთის აფეთქებასაც კი შეუძლია ცაში ატყორცნოს ჩვენი ყველაზე დიდი ქალაქი. ანდრანიკის სიტყვებს არ ვიმეორებ, ექიმო, ეს ყველაფერი სურათს ჰქონდა ქვეშ მიწერილი. იცით, ექიმო, როგორღაც სიამაყით, მეტისმეტი სიამაყით იყო მიწერილი: ერთი ნახეთ, ადამიანს რაების გამოგონება შეუძლიაო. ვითომ მიწერილები ცოტა იყო და ანდრანიკიც ნერწყვს ისე ყლაპავდა, თითქოს იმათ ქადა ეჭამოთ, მისთვის არ ეწილადებინოთ. „აი, რა ძლიერი ბომბია!“ – ამბობს და ცდილობს ხელიდან წამართვას სურათი, მე კი, სოკოს გამომგონებლებზე გაცეცხლებულს, მინდა გრძელ ყურებში ვწვდე და ავუწიო, რადგან ესეც მათი თანამოაზრეა. ჰო, სისხლიმსმელი, ტვინის ამომჭმელი ბიჭია. ამ სურათის ისტორიამდე რამდენჯერ ვუთხარი მამამისს, ანდრანიკს ლაგამი მოუქაჩე, თორემ ერთ მშვენიერ დღეს სახლ-კარს ააფეთქებს-მეთქი. იყო შემთხვევა, როცა ხის ძირში ვიჯექი და ვთვლემდი. ერთიც ვნახოთ, ის ღლაპი კვამლში გახვეული გამოძვრა. კურდღელივით ცხვირს აცემინებდა და ყვიროდა: „ნახე, პაპაჩემო, რა აფეთქება იყო?!“ – „ბიჭო ანდრანიკ, რომ მოვიდე, მაგ დიდრონ ყურებს აგახევ, – გავბრაზდი მე, – ცოდონი არ არიან ხეები? მიწა ცოდო არაა?.. აგერ, წადი იმ მწირ მიწებზე და იქ ააფეთქე...“

ნეტავი ვის დაემსგავსა ეს გადარეული? პაპაჩემის ძმისშვილი თუ დისშვილი სარქისა ყაჩაღი ყოფილა თავის დროს. ნამდვილად იმ სარქისა ყაჩაღის სისხლი ჩქეფს ამ ღლაპში.

„იცი რა უყვეს სარქისა ყაჩაღს? – ვუთხარი ანდრანიკს. – გააშიშვლეს, ჯვარზე მილურსმეს და ჯვარი შუა ჭაობში ჩაარჭეს. კოღოებმა და წურბელებმა შეჭამეს სარქისა ყაჩაღი“.

ის კი დამცინოდა, დასცინოდა სარქისა ყაჩაღს და ყველა იმათ, ვინც ჯვარს აცვა იგი და კოღოებისა და წურბელების შესაჭმელად დააგდო. „საგანგებო წამალი არსებობს, პაპაჩემო, – მითხრა, – წაისვამ კანზე და მორჩა. რომც ეხვეწო, ახლოს არ გაგეკარებიან კოღოები“. მეცნიერებს გაურკვევიათ, თუ რომელი სუნი ეჯავრება კოღოს და წამალი დაუმზადებიათ.

ჰო, ერთი სიტყვით, დავხიე, ქარს მივეცი ის სურათი. მერე გადავწყვიტე, თავში ქვა უხლიათ, სულ რაღაც სამი თუ ხუთი წლის სიცოცხლე დამრჩენია და, რა ჩემი საქმეა, ვინ რას გამოიგონებს, რას ააფეთქებს? ასე კი ვფიქრობ, მაგრამ ვგრძნობ, რომ ორეული მიჩნდება. როცა გულში გავივლებ, ვფიქრობ, რა ჩემი საქმეა, სულ რაღაც ხუთი წლის სიცოცხლე დამრჩენია-მეთქი, ჩემი მხოლოდ ერთი ნახევარი ფიქრობს ასე. მეორე ნახევარი კი, ისევ ჩემი ხმით დაობს, ჩხუბობს: აი, შე მამაძაღლო, იცოცხლე, არა? თვალი გაგიძღა ცხოვრებით, არა? მა შენი შვილი, შვილიშვილი, ფეხმძიმე რძალი?.. იმათ რა უნდა ქნან?

ახლა ჩემს რძალზე მოგიყვებით, რომ გაიგოთ, რა შეიძლება შეემთხვეს ადამიანს. თუ ჩემი არა გჯერათ, ჰკითხეთ ჩემს ვაუს, მეზობლებს, თვითონ რძალს, მარგოს. ტყუილის თქმა არ მიყვარს, ექიმო, მაგის თავი არა მაქვს. ადვილი არაა ტყუილის თქმა. თუ სულ პატარა ტყუილს ამბობ – ცეცხლში ვარდები. ყოველდღე სხვა ახალი ტყუილი უნდა თქვა, რომ წინა ნათქვამი გაამყარო. თოვლში დაგორებული გუნდასავით დიდდება და დიდდება შენი ტყუილი.

ეს ამბავი შარშან მოხდა. ჩემი რძალი მაშინაც ფეხმძიმედ იყო. ჩემმა სააკმა ჭერამი დაკრიფა და ზღვისპირა ქალაქში წაიღო გასაყიდად, იქ ხილი ძვირად იყიდება. ხალხი შორეული ციმბირიდან, ურალიდან, კამჩატკიდან ჩამოდის სოჭში, სოხუმში, რომ ცხელ მზეს მიაფიცხონ თავიანთი გაციებული სხეულები. როგორც კი გათბებიან, ზარმაცდებიან. იმის თქმაც კი ეზარებათ, ჭერამი ძვირიაო, რასაც უფასებ, გაძლევენ. თუმცა ეს რა ჭამაა. გრამობით ყიდულობენ ოჯახაშენებულები და სიძვირესაც არ გრძნობენ. ერთი სიტყვით, ჩემმა სააკმა ჭერამი მოკრიფა და სოხუმში წაიღო. მარგომ კი ხეებს შორის ჰამაკი გააბა და დილიდან სადამომდე ან ეძინა იმ ჰამაკში, ანდა მუავე ქლიავს მიირთმევდა. მესამე თუ მეოთხე დღეს, შუადღისას მარგო ნამძინარევი წამოხტა, ერთი წიოკობა და წყევლა-კრულვა ატეხა. მეგონა, ფეხმძიმე ქალია, ალბათ რაღაც მოეჩვენა-მეთქი. წყევლიდან გავარკვიე, რომ სიზმარში სააკი უნახავს საყვარელთან. ვამშვიდებ, ის კი, თითქოს ისევ სიზმარში იყოს, არც მე მხედავს, არც ანდრანიკს და არც გარს შემოხვეულ მეზობლებს. ერთი სიტყვით, ვერაფრით დავაკავეთ, ჩაჯდა მატარებელში და სააკთან წავიდა. მერედა არ იკითხავთ, რა მოხდა? მისი ნანახი სიზმარი გამართლდა, ექიმო. ჩემს სააკს გაეყიდა ჭერამი, ჯიბეში ფული რომ გაუჩნდა, თვალების აქეთ-იქეთ ცეცება დაუწყია და ერთი ლამაზი ქალის ხაფანგში მოხვედრილა. როცა დაბრუნდა სიგამხდრისაგან ფეხები ეხლართებოდა და ჯიბეშიც თაგვები უთამაშებდნენ. ჯანდაბას ფული, მისი საქციელიც. ამას ყველაფერს შეურიგდა მარგო. დასანანი მხოლოდ ის ნაყოფი იყო – ხუთი თვის ჩანასახი დაიღუპა.

იცით, რატომ მოგიყევით ეს შემთხვევა? რომ გაიგოთ, რა შეემთხვევათ ხოლმე ადამიანებს. მაგალითად, ჩვენს ოთახში ჩემ გარდა კიდევ სამნი არიან. ერთი მათგანი ახალგაზრდა კაცია, ოცდაათი-ოცდათორმეტი წლისა. იცით, რა შეემთხვა? სკოლაში გაკვეთილზე ყოფილა, ერთიც უწივლია, „დე-და“ და შინ გაქცეულა. იქ არავინ დახვედრია. გაქცეულა წისქვილში, სადაც მისი ქვრივი დედა მუშაობდა. დაბნეულ, დამწუხრებულ მეწისქვილეს ვერც კი შეუნიშნავს ბიჭი. ბიჭი ახლოს მისულა და თავისი თვალით უნახავს, თუ როგორ იღებდნენ მანქანის ბორბლის კბილანებიდან დედამისის სხეულს...

გუშინ სტუდენტები მოვიდნენ ჩვენს ოთახში. ლამაზი, თეთრი პირისახის გოგონები იყვნენ. პირველად ეშინოდათ ჩვენი, მერე შეგვეჩვივნენ. თავიანთი ლექტორებისგან ნასწავლ კითხვებს გვაძლევდნენ: „თავის ტკივილები გაქვთ?“, „როგორ დაგეწყოთ ავადმყოფობა?“.

„მე ავად არ გახლავარ,– მიუგო ჩემმა მეზობელმა, პეტროსმა. – მე გადავხტი“ „როგორ თუ გადახტით?“ – გაიცინეს ლამაზმა გოგონებმა. – „მაღლობიდან დავინახე, იმ უღმერთომ ერთი მტევანი ყურძნის გულისთვის ქვა როგორ ჩაარტყა და ძირს დაანარცხა საწყალი გოგო“. – „რომელმა უღმერთომ?“ – ჰკითხეს ქალიშვილებმა. „მე კი აქ ჩამკეტეს, – თქვა პეტროსმა, – რომ მისი სახელი არა ვთქვა. სასამართლოში წამიყვანეთ, სასამართლოში ვიტყვი“.

ჰო, შენი ჭირიმე, ჩემი ამბავი გავაგრძელო ახლა. იმ დღეს, როცა სოკოს სურათი ვნახე, ძალიან ცხელოდა. საღამო იყო და ჰაერი ჩახუთულიყო. ცაზე ცუდ ღრუბლებს მოეყარათ თავი. მიწის სიცხეს მათთვის გზა გადაეჭრა და ჰაერში გამოკიდებული დარჩენილიყვნენ. რძალო, ლოგინი გარეთ გამიშალე-მეთქი, ვუთხარი მარგოს. „წვიმას აპირებს, – მითხრა მან, – სუნს ვერ გრძნობ?“ – „არა უშავს, თუ გაწვიმდება შიგნით შემოვალ“.

გავიხადე, ჩავწექი ლოგინში და გუნებაში ვაგინებდი სააკს: შეგნების ნატამალი არ გააჩნია ამ ადამიანს... ფეხმძიმე ქალი იღებს მძიმე ლეიბს და გარეთ გამოაქვს, თვითონ კი ტახტზე წამოწოლილი თვალსაც არ ახამხამებს. ვედარ მოვითმინე. ავდექი და ფანჯარაზე მივაკაკუნე, თანაც სახელი დავუძახე, თვითონ რომ გამოსულიყო. ვიცოდი, თუ სახელს არ დავიძახებდი, მარგო გამოვიდოდა. „რა იყო? – მპასუხობს შიგნიდან. – გაწვიმდა?“ „არა,– ვეუბნები, – გარეთ გამოდი, რაღაც უნდა გითხრა“. საცვლების ამარა გამოვიდა, გაიქცა და ვაზებს ამოეფარა. „მე რომ არ დამეძახა, რა უნდა გექნა? – ვეუბნები, – უნდა ჩაგეფსა?“ ის კი: „მამაჩემო, დღე ნუ იძინებ, რომ ღამე არ გაწვალდე“. „სააკ,– ვეუბნები,– მიყურე და შენი თავი შეიწყალე. ჩემი ავლადიდება შენა ხარ... ღმერთმა გაუმაგროს მარგოს წელი, მაგრამ ღმერთს თავისი ადგილი აქვს, შენ კი შენი“. „ისეთი რა ვქენი, მამაჩემო?“ – ამთქნარებს ის, მე კი – ნამდვილად ვიცი, რომ მართლა არ იცის, რა დააშავა. შეგნება არა აქვს. მე ხომ უკვე ვთქვი? ასეთი ხალხი არსებობს, ექიმო. ბარი რომ მისცე ხელში და უთხრა: დაბარეო, დაბარავს, მაგრამ ბარი რომ მისცე და არაფერი უთხრა, გაშტერდება, გაჩერდება. „ჯანდაბა ჰქენი, არაფერიც არ გიქნია და სწორედ ეგაა სამწუხარო,– ვუთხარი მას,– არ იცი, რომ ფეხმძიმე ქალმა მძიმე არ უნდა ასწიოს, არ უნდა ირბინოს?..“ „როგორ არ ვიცი,– მეთანხმება. სიბნელეში ვხედავ მის სიფათზე ირონიულ ღიმილს. – შარშან რომ გადაირია და ზღვის პირას დარბოდა, იმიტომ არ მოეშალა?..“ „სააკ,– მოკლედ ვუჭრი, – ამ შუადამისას ჩხუბი და დავიდარაბა რომ არ ატყდეს, მოკლედ გეუბნები: დილით ჩემს ლეიბს შენ შეიტან სახლში, საღამოთიც შენ გამოიტან“. „კარგი,– მეუბნება,– სხვა რისი თქმა გინდა, მამაჩემო?“.

სააკის წასვლის შემდეგ ერთი-ორი წვიმის წვეთი ჩამოვარდა. ჭრიჭინებმა მაშინვე შეწყვიტეს სიმღერა და როგორც კი შეწყვიტეს, მაშინდა მივხვდი, რომ თურმე ჭრიჭინებდნენ. საბანში გავეხვიე, მხოლოდ თავი დავიტოვე გარეთ, სუნთქვა რომ არ შემგუბებოდა. ბაღში წვიმის ნელი წკაპაწკუპი უკვე დიდ ხმაურად იქცა და შუბლიც თითქოს ოფლიანივით დამეცვარა, მინდოდა გამეგო, რამდენ ხანს შემეძლო ასე გაძლება.

ბავშვობიდან შემომრჩა ეს უაზრო სიჯიუტე. ახლა მახსენდება, ერთხელ, დედაჩემს ცეცხლზე ქვაბით წყალი დაედგა, რომ ებანავა. შემდეგ ფიქრებით არ ვიცი სად წასულიყო, – ქვაბის შინ შეუტანლად გაშიშვლებულიყო და აბაზანაში ჩამჯდარიყო. ჯამი ხელში აეღო, რომ წყალი დაესხა, წყალი არსად იყო. „სარქის, – იყვირა სახლიდან, – ქვაბი შინ შემოიტა, შვილო, შიშველი ვარ“. მივედი, ქვაბს ყურებში ხელი ჩავავლე და ვიგრძენი, თითები მეწვება. მაინც არ დავდგი ძირს. გავიფიქრე, ერთი ვნახოთ, რამდენ ხანს გავუძლებ-მეთქი. სახლში შევიტანე.

ექიმო, წვიმა ძალიან მიყვარს. წვიმის სიყვარული ბავშვობიდან შემომრჩა. ასე მგონია, ადამიანს რაც კარგი თვისება აქვს, ბავშვობიდან დაჰყვება ხოლმე. წვიმა ქვებზეც რომ მოვიდეს ბალახი ამოვა. ქვაც ხომ მიწაა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ქვა შიგნით წყალს არ იგროვებს, მიწა კი იგროვებს და ნამს ინახავს. თუ წვიმა ხშირი იქნება, ვის რაღად უნდა წყლის დაგროვება? ჩვენი ქვეყანა წვიმის ნაკლებობას განიცდის. ქვეყანასაც თავისი ნაკლოვანებები აქვს: ზოგან მომაბეზრებლად წვიმს. მაგალითად, ზღვის სანაპირებზე, ზღვაზე: წყალს ისევ წყალი ემატება.

ერთი სიტყვით, ვწევარ წვიმის ქვეშ და ვგრძნობ, ნელ-ნელა როგორ მძიმდება საბანი. ბოლოს მოთმინება გამომელია. სველი საბანი და ბალიში იღლიაში ამოვიდე, ძლივს ვიპოვე ჩუსტები, და ის იყო სახლისკენ უნდა გავქცეულიყავი, უცებ ცეცხლით, ალითა და დიდი ხმაურით გაიელვა ჩემ პირდაპირ. მხედველობა დავკარგე, ვედარაფერს ვხედავდი. მხედველობადაკარგული, გაოცებული ვიდექი წვიმაში და ველოდებოდი, როდის ამეხილებოდა თვალი.

როცა მხედველობა დამიბრუნდა, დავინახე, რომ ჩემ პირდაპირ ის იდგა, დღემდეც არ გამიარა გაოცებამ – როგორ ვიცანი, როდის მენახა, ანდა საერთოდ, ვის ენახა. ვიცანი და მუხლი მოვიყარე. მან მარჯვენა ხელი მხარზე დამადო, ფეხზე წამომაყენა, თუმცა მინდოდა მის წინაშე მუხლმოყრილი ვყოფილიყავი.

„სარქის, – მეუბნება, – შენ და შენი ოჯახი ამოგირჩიე, რადგან ჩემ წინაშე მართალი და ჭეშმარიტი ხარ. თუმცა აღთქმული მქონდა, რომ წყალდიდობა აღარ განმეორდებოდა დედამიწაზე, ჩემი სიტყვის პატრონიც ვარ, წყალდიდობა არ იქნება. თუმცა ერთი ასაფეთქებელი რამ არსებობს, რომლის წინაშეც უძლური ვარ. დიდი აფეთქება იქნება, სარქის,– მეუბნება,– და ქვეყნის პირიდან აღიგავე-

ბა ადამიანი, რომელიც შეექმენი... ცხოველი, მცურავი, ფრინველი...“

მელაპარაკება და ვხვდები, რა აფეთქებაც გველის. თვალწინ სოკო მაქვს გაჩხერილი, ანდრანიკის მიერ ნაჩვენები სოკოს სურათი. „ხეები ნაცრად უნდა იქცნენ, მიწა უნდა გადაიწვას“... – მიხსნის და მახსენდება ელვისგან გადამწვარი ჭერმის ხე.

„ღრმა ორმო ამოთხარე, სარქის, – მეუბნება იგი, – კედლები ცემენტით გაამაგრე, სასმელ-საჭმელის შვიდი წლის მარაგი დააგროვე. ჩაიყვანე ყველანაირი ცხოველი, ყველა სულიერიდან წყვილ-წყვილი, დედალ-მამალი. ჩაიყვანე შენი ოჯახიც, შვილი, რძალი და შვილიშვილი. აფსუს, რომ მეუღლე აღარ გყავს“.

როგორც ახლა მე გესაუბრებით, ექიმო, ზუსტად ასე მელაპარაკებოდა.

„მოემზადე, – მითხრა მან, – შეგატყობინებ, როდის უნდა მოხდეს აფეთქება“.

თქვა, ხელი ამაცალა მხრიდან, და... გაუჩინარდა. დაბნეული, ენაჩავარდნილი ვდგავარ ეზოში, საბანი და ბალიში იღლიაში მაქვს ამოჩრილი, ვერც კი ვგრძნობ კოკისპირულ წვიმას. უცებ, თითქოს შორიდან, მესმის ჩემი შეშინებული რძლის ყვირილი. „ვაი, მამა, რა მოგსვლია?“ წვიმის ხმაზე გაღვიძებია, გამოსულა, დაუნახავს, რომ მამამთილი საცვლებით წვიმის ქვეშ ბანაობს. მის ყვირილზე ადგა სააკიც, შემდეგ კი, ის თოკიდან აწყვეტილი ანდრანიკიც. მათ ვამშვიდებ და ვუყვები, რაც შემემთხვა.

ანდრანიკს მამამისი გვერდზე გაჰყავს, ყურში რაღაცას უჩურჩულებს, ეტყობა, დღით მომხდარს უყვება. არაფერი მესმის, მაგრამ ვხვდები, რომ სოკოს შესახებ ლაპარაკობს. შემდეგ ჩემი სააკი და ანდრანიკი ხარხარებენ: „მამაჩემო, – მეუბნება სააკი, – სიზმარი გინახავს, გაგივლის, არა უშავს“. მარგომ ალმაცერად გადახედა ქმარს: „ჰო, ვფიქრობ, სიზმარზე ხითხითებ, მაგრამ სიზმარში ნანახით კი გამოგიჭირეს, ძაღლის სალაფავნაჭამი“.

ერთი სიტყვით, ისინი თავისას ამბობდნენ, მე – ჩემსას. ყველაფერი საავადმყოფოთი დამთავრდა. შემეძლო მეთქვა, ძმაო, სიზმარი იყო, გაივლის, წავა-მეთქი, მაგრამ როგორღა შემესრულებინა მისი დავალებები, ჩვენებისგან ფარულად როგორ უნდა გამეთხარა ორმო, კედლები ცემენტით ამომეშენებინა, შვიდი წლის სამყოფი სანოვაგე შემეგროვებინა, წყვილ-წყვილი ცხოველი მომეძებნა... ვთქვათ, ესეც არაფერი. მე ხომ ჩემ თავზე არ ვფიქრობდი! რაღა დამრჩა – სამი ან ხუთი წლის სიცოცხლე. ისინი უნდა გადამერჩინა. საჭირო იყო მათი დათანხმება, დარწმუნება, რომ ჩემი ნანახი მარტო სიზმარი არ იყო, რომ მე არ შევშლილვარ...

რაღაც სხვანაირად მიყურებთ, ექიმო, თითქოს თქვენც არა გჯერათ, ჰა? მაშ მე როგორღა მჯერა, რომ ერთ ადამიანს გულს აცლით და მეორეს უდებთ ავადმყოფი გულის მაგივრად? მაშ მე როგორღა მჯერა, რომ თქვენ შეგიძლიათ გაარკვიოთ რისი სუნი ეზიზღება კოღოს? ახლა დავდგე – მთელ ქვეყანაზე ვიყვირო, რომ არ მჯერა თქვენი? მერე ამით რა გამოვა? მთვარეზე გაფრინდნენ, არა? რატომ არავის გაუკვირდა? რატომ არავინ თქვა, არა მჯერაო? მთვარეზე ნამყოფი ადამიანი რომ მოვიდეს და თქვას – იქ, მთვარეზე ყოფნის დროს ცხვირი დავაცემინეო, არ დაუჯერებენ. რისი დანახვა და ხელის შეხებაც შეიძლება, სჯერათ, რადგან ყველასია და არც ერთს არ ეშინია, რომ მოტყუვდება. ჰო, ექიმო, ჰო, მართალს ვამბობ. ახლა ადამიანები იმდენად ჭკვიანები არიან, რომ ეშინიათ, არ მოტყუვდნენ. ამ შიშში ბევრი ჭეშმარიტი რამ იკარგება. ჩვენი ოთახის პეტროსს ფრთები შეუსხამს და გადამხტარა. არავის სჯერა. არავის უნახავს მისი გადახტომა, მაგრამ ეს იმ კაცის ბრალი ხომ არ არის? თვითონ ხომ ნახა? თვითონ ხომ იგრძნო?

ერთი რამ მიკვირს... ეს როგორაა, რომ ამდენ რამეს იგონებთ, აკეთებთ, მაგრამ ნამდვილსა და შექმნილს ერთმანეთისგან ვერ არჩევთ.

ჰო, მართლა, ყველაზე მთავარი დამავიწყდა, გუშინდამ აქ, საავადმყოფოში, კიდევ მომევლინა ის. რამდენიმე დღეში დაბერებულიყო საწყალი, ძლივს ვიცანი. მინდოდა გამეღვიძებინა პეტროსი, აი, ის ადამიანი, რომელსაც ფრთები გამოესხა და გადახტა, მაგრამ მან არ დამანება. მერე მეც მივხვდი, რომ საჭირო არ იყო მისი გაღვიძება, რადგან თუნდაც გამოღვიძებოდა, ენახა ის და შემდეგ სხვებისთვის მოეთხრო, სულერთია, არ დაუჯერებდნენ.

ის, ღმერთი, გვერდით მომიჯდა, ალბათ ფეხზე დიდხანს დგომა არ შეეძლო, ამოიოხრა და თქვა:

„სარქის, ეს უკვე მერამდენე შემთხვევაა, ყველა ჩემი რჩეული საავადმყოფოში მიჰყავთ. აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე“.

ასეთი საწყალი ღმერთი, ექიმო, არავის უნახავს, როცა ადამიანი დასაწყლდება, არა უშავს, მაგრამ დასაწყლებული ღმერთი საშინელია.

„ერთი უკანასკნელი ცდაც უნდა ჩავატარო, სარქის, ერთი რჩეული მყავს, ისიც თუ აქ მოიყვანეს, ფეხს აღარასოდეს დავდგამ დედამიწაზე. ხახს გადავუსვამ ქვეყანასაც და საკუთარ თავსაც; დაე დაიღუპოს, დაე ფერფლად იქცეს ქვეყანა, დაე გაწყდნენ ცხოველები, ადამიანები. ადამიანს, თავისივე გამოგონებული მოჰკლავს“.

ექიმო, გადაწყვეტილი მქონდა, საავადმყოფოში არავისთვის არაფერი მეთქვა. თუ ჩვენებმა არ დამიჯერეს, სხვებს რაღა მოვთხოვო-მეთქი. არც თქვენ მოგიყვებოდით, ექიმო, წუხელ ისევ რომ არ გამომცხადებოდა და არ ეთქვა ის, რაც მოგიყევით. ახლა მთელი ჩემი ყურადღება იმ ბოლო რჩეულზეა შეჩერებული, მისთვის ვლოცულობ, მაგრამ ლოცვა არ უშველის. ღმერთი უძლურია. საჭიროა მოფიქრება, ექიმო. და თუ გჯერათ ჩემი, მოიფიქრეთ, რა ვიღონოთ, რომ ღმერთის რჩეულთაგან ეგ უკანასკნელი, გადარჩეს. ეს ბოლო შესაძლებლობაა, ექიმო! ღმერთი თავს ჩამოიხრჩობს... რა ვიღონოთ, ექიმო?..

ლონდა ბეერნი

ინგლისურიდან თარგმნეს
მარინა ბარათაშვილმა
და
ჯემალ ჯელიძემ

საიდუმლო

რაც ზემოთაა, ის ქვემოთაც არის.
რაც შიგნითაა, ის გარეთაც არის.

„ზურმუხტის ფირფიტა“, დაახ.3000 წ.ჩვ.ერამდე.

გეძღვნებათ თქვენ!

დაე, „საიდუმლომ“ სიყვარული და ბედნიერება მოგიტანოთ ცხოვრებაში.

გისურვებთ ბედნიერებას თქვენ და მთელ მსოფლიოს!

წინასიტყვაობა

ერთი წლის წინ ცხოვრება დამენგრა. ქანცის გაწყვეტამდე ვმუშაობდი, როცა მოულოდნელად მამა მომიკვდა, კოლეგებთან და ახლობლებთან ურთიერთობა გამიფუჭდა. იმ დროს წარმოდგენაც არ შემეძლო იმისა, რომ ჩემი ასეთი სასოწარკვეთა უდიდესი ნიჭისაკენ მიმავალი გზის დასაწყისი იქნებოდა.

შევიცანი ცხოვრების დიდი საიდუმლო. პირველად მის შესახებ ასი წლის წინ გამოცემული წიგნის საშუალებით შევიტყვე. იგი ჩემმა ქალიშვილმა ჰაილიმ მომცა. ამ საიდუმლოს კვალის ძიება კაცობრიობის ისტორიაში დავიწყე და აღმოვაჩინე, რომ დიდი ადამიანების უმრავლესობამ იცოდა მის შესახებ: პლატონმა, შექსპირმა, ნიუტონმა, ჰიუგომ, ბეთჰოვენმა, ლინკოლნმა, ემერსონმა, ედისონმა, აინშტაინმა და სხვამ.

ერთი რამ ვერ გავიგე: „რატომ არ იცის ყველამ?“ დიდი სურვილი გამიჩნდა „საიდუმლო“ მთელი მსოფლიოსათვის გამეზიარებინა და ჩვენს თანამედროვეობაში ძებნა დავიწყე იმ ადამიანებისა, ვინც მის შესწავლას თავი მიუძღვნა.

მალე ისინიც გამოჩნდნენ. ძიების დაწყებისთანავე თითქოს მაგნიტად ვიქეცი. ერთიმეორის მიყოლებით ვიზიდავდი დიდ ოსტატებს. როცა ერთ მოძღვარს აღმოვაჩენდი, მას მეორე მოსდევდა. საოცარი ჯაჭვური რეაქცია ხდებოდა. თუ ჩემს ყურადღებას სხვა რამ მიიპყრობდა და ცრუ გზას დავადგებოდი, მას მაინც ახალი მასწავლებლისაკენ მივყავდი. თუ «შემთხვევით» ინტერნეტში სხვა საძიებელში აღმოვჩნდებოდი, მცირე, მაგრამ ჩემთვის საჭირო ინფორმაციას მაინც წავაწყდებოდი. საიდუმლოს ძებნაში აღმოვაჩინე ადამიანები, რომლებიც დღესაც იყენებენ ამას პრაქტიკაში.

ოცნებამ, მთელი მსოფლიოსათვის გამეზიარებინა ეს „საიდუმლო“, ფეხი გაიდგა ჩემს გონებაში და მთელი ორი თვის განმავლობაში ტელევიზიის გადამღები ჯგუფის წევრები შეპყრობილნი იყვნენ „საიდუმლოს“ გამოყენების ხელოვნებით. აუცილებელი პირობა იყო, ყველა მათგანს სცოდნოდა „საიდუმლო“, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაფერი ჩაიშლებოდა.

არ გვქონდა მოლაპარაკება გადაღების შესახებ არც ერთ მრჩეველთან, მაგრამ წარმატების მიღწევის აბსოლუტური რწმენით ავსტრალიიდან ამერიკაში ჩავფრინდი, სადაც ოსტატების უმრავლესობა ცხოვრობს. შვიდი კვირის შემდეგ ჩვენ ასოც საათზე მეტი ფირი და ორმოცდაათი უდიდესი მოძღვარი გადავიღეთ. ფილმის შექმნის დროს „საიდუმლოს“ ყოველ ფეხის ნაბიჯზე და ყოველ ამოსუნთქვაზე ვიყენებდით. ჩვენ ყველას

ნაწარმოები ქართულად იბეჭდება პირველად.

და ყველაფერს ვიზიდავდით და რვა თვის შემდეგ „საიდუმლო“ ეკრანებზე გამოვიდა.

ფილმმა მსოფლიო ტრიუმფით მოიარა. ჩვენკენ მდინარესავით მოედინებოდა სასწაულებრივი ამბები: ხალხი გვწერდა, როგორ განიკურნენ ქრონიკული ავადმყოფობისაგან, დეპრესიისაგან, ზოგიერთმა სიარული შეძლო ავარიის შემდეგ, ზოგმა კი სასიკვდილო სარეცელს დააღწია თავი. შევიტყვეთ უამრავი რამ იმის შესახებ, რომ ათასობით ადამიანმა დიდი ოდენობით ფული მიიღო „საიდუმლოს“ დახმარებთ. ხალხმა ფრთები შეასხა საკუთარ ოცნებებს: იდეალურ სახლზე, ცხოვრების თანამგზავრზე, მანქანაზე, კარგ სამსახურზე ან სამსახურში დაწინაურებაზე. ბევრი გვიყვებოდა, თუ როგორ გარდაიქმნა მათი ბიზნესი „საიდუმლოს“ მიღების შემდეგ. მოვისმინეთ ბევრი განსაცვიფრებელი ისტორია, თუ როგორ დაალაგა ხალხმა რთული ურთიერთობები ერთმანეთში და შვილებთანაც.

ამ განსაცვიფრებელი ისტორიის ნაწილი ბავშვების მოყოლილია: ისინი იყენებდნენ „საიდუმლოს“, რათა მიეზიდათ: კარგი ნიშნები, მეგობრები. „საიდუმლომ“ ექიმებსაც სურვილი გაუღვიძა, პაციენტებისათვის საკუთარი ცოდნა გაეზიარებინათ, უნივერსიტეტებსა და სკოლებს–სტუდენტებისა და მოსწავლეებისათვის, ეკლესიებსა და სასულიერო ცენტრებს–მრევლისათვის. მთელ ქვეყანაზე ხალხი სადამოობით იკრიბებოდა და ახლობლებსა და მეგობრებს „საიდუმლოს“ შესახებ ესაუბრებოდა. „საიდუმლოს“ იყენებდნენ ათასი რამის მისაღებად: ათასი წვრილმანიდან მილიონ დოლარამდე, და ეს ყველაფერი ფილმის გამოსვლიდან რამდენიმე თვეში მოხდა.

„საიდუმლოს“ შექმნით მინდა, რომ მან ბედნიერება და სიხარული მოუტანოს მილიარდობით ხალხს დედამიწაზე. „საიდუმლოს“ შემქმნელი ჯგუფი ყოველდღიურად ხდება იმის მოწმე თუ როგორ რეალიზდება ჩვენი სურვილები: ათასობით წერილში ყველა ასაკისა და ეროვნების ხალხი მადლობას გვიხდის იმ დიდი სიხარულისთვის, რომელიც „საიდუმლოსგან“ განიცადეს. მისი დაუფლებით შესძლებთ, გააკეთოთ ყველაფერი, რასაც კი მოისურვებთ. მნიშვნელობა არა აქვს არც თქვენს წარმომავლობას, არც საცხოვრებელ ადგილს. „საიდუმლო“ მოგცემთ ყველაფერს, რასაც კი ისურვებთ.

წიგნში, რომელიც ხელთა გაქვთ, წარმოდგენილია ოცდაოთხი საოცარი მრჩეველი. მათ სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ადგილზე იწერდნენ შეერთებულ შტატებში, თუმცა ერთი ადამიანივით ლაპარაკობენ. წიგნში თავმოყრილია სიბრძნე და განსაცვიფრებელი მაგალითები, რასაც მისი გამოყენებით მიაღწიეს. მე გიზიარებთ იდეებს, რჩევებსა და მეთოდებს, რაც კი შემისწავლია, რათა თქვენ აიხდინოთ ოცნებები.

ალბათ, შეამჩნევდით, ზოგ ადგილას მთავრული ასოებით ვწერ სიტყვას „თქვენ.“ ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ მკითხველმა იგრძნოს, ეს წიგნი არის მხოლოდ თქვენთვის, თითოეული მათგანისათვის. როდესაც ვამბობ „თქვენ“, პირადად თქვენ მოგმართავთ. მინდა გაგრძნობინოთ, რომ ყველაფერი თქვენ გეხებათ, რაც ამ წიგნშია და „საიდუმლოც“ თქვენთვისაა შექმნილი. წიგნის გვერდების წაკითხვით მიხვდებით, როგორ მიიღოთ და გააკეთოთ ყველაფერი, რაც გსურთ, როგორ გახდეთ ის, რაც გინდათ, რომ იყოთ. მიხვდებით, ვინა ხართ და რას წარმოადგენთ. შეიცნობთ თქვენს დიდებულებას, რომელიც გელოდებათ.

მადლიერება

მინდა გამოვხატო ჩემი უდიდესი მადლიერება მათ მიმართ, ვინც ცხოვრება, თავისი არსებობით, ასე გამინათა, ვინც რწმენით მავსებდა და მაღელვებდა. ვინც ჩემი სულის სიმეგი ასე ააჟღერა.

მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც მოგზაურობის დროს მხარს მიჭერდა, მეხმარებოდა და მონაწილეობას იღებდა ამ წიგნის შექმნაში.

მივაგებ პატივს თანაავტორებს იმ სულგრძელობისთვის და გულუხვობისათვის, რითაც თავისი სიბრძნე გაგვინაწილეს სიყვარულითა და ღვთიური გაგებით. ესენი არიან: ჯონ ასარაფი, მაიკლ ბერნარდ ბექვიტი, ლი ბრაუერი, ჯეკ კენფილდი, დოქტორი ჯონ დემარტინი, მარი დაიმონდი, მაიკლ დული, ბობ დოილი, ჰეილ დვოსკინი, მორის გუდმენი, დოქტორი ჯონ გრეი, დოქტორი ჯონ ჰაგელინი, ბილ ჰერისი, დოქტორი ბენ ჯონსონი, ლორალ ლანგემაიერი, ლიზა ნიკოლსი, ბობ პროქტორი, ჯეიმს რეი, დევიდ შირმერი, დოქტორი ჯო ვიტალე, დოქტორი დენის უეიტლი, ნილ დონალდ უოლში და დოქტორი ფრედ ალან ვულფი.

მადლობა ყველას, ვინც „საიდუმლოს“ შექმნაზე მუშაობდა: პოლ პარინგტონი, გლენდა ბელი, სკაი ბერნი და ნიკ ჯორჯი. ასევე: დრიუ ჰერიოტი, დანიელ კერი, დემიან კორბოი და სხვები, ვინც ჩვენთან ერთად განვლო გზა ფილმის შექმნისაკენ.

მადლობა „გოზერ მედიას“ თანამშრომლებს ჯეიმს არმსტრონგს, შეიმუს ჰოარსა და ენდი ლუისს, რომლებმაც ფილმისათვის შესანიშნავი გრაფიკა შექმნეს.

მადლობელი ვარ ბობ რეინონის, „საიდუმლოს“ მთავარი შემსრულებელი დირექტორისა. იგი ჩვენ ღმერთმა გამოგვიგზავნა.

მადლობა მაიკლ გარდინერსა და საკონსულტაციო ჯგუფს, რომლებიც გვეხმარებოდნენ ავსტრალიასა და ამერიკაში.

მადლობა „საიდუმლოს“ ინტერნეტ-საიტის

ჯგუფს. დენა ჰოლინგსს, ჯონ ჰერენს და „ფაუერფულ ინთენშენსის“ ადმინისტრაციული ფორუმის პროექტის ჯგუფს, ფორუმზე წარმოდგენილ სხვა შესანიშნავ ხალხს.

მადლობა წარსულის იმ ბრძენ მასწავლებლებსა და ლიდერებს, რომელთა ნაწარმოებებმა ჩემში მონანიების ცეცხლი დაანთეს. მათმა დიდებამ გზა გამინათა, პატივს ვცემ თითოეულ მათგანს.

განსაკუთრებით მადლიერი ვარ რობერტ კოლიერის და „რობერტ კოლიერ ფაბლიკეიშენის“, უოლეს უოტლზის, ჯოზეფ კემპბელის და „ფონდ ჯოზეფ კემპბელის“, პრენტის მალფორდის, ჟენევიევ ბეჰრენდის და ჩარლზ ფილმორის.

მადლობა რიჩარდ კონის და სინტია ბლეკს „ატრია ბუკსიდან“, ავრეთვე ჯუდიტ კარს „საიმონ ენდ შუსტერიდან.“ მადლობელი ვარ ჰენრი კოვის და ჯულია სტაიგერვარდის, წიგნის რედაქციისათვის. შესანიშნავი ისტორიებისათვის მადლობა ქეთი გუდმენს, სიუზან სლოუტს და კოლინ ჰალმს. „ბელიზ ნათურალ ენერჯის“ რედაქტორს სიუზან მორისს, ჯინი მაკეის და ჯო შუგერმანს.

„საიდუმლოს“ სულისჩამდგმელებს: დოქტორ რობერტ ენტონს, ჯერი და ესტერ ჰიქსებს, დევიდ კემერონ გიკანდს, სტივენ რ.კოვის, ეჭარტ ტოლეს და დები ფორდს. სულგრძელი დახმარებისათვის: ქრის და ჯენეტ ატვუდს, მარსი მარტინს, ფილმის შემქმნელთა კავშირის წევრებს, სასულიერო კინოს ჯგუფს და სასულიერო ცენტრ „აგაპეს“ თანამშრომლებს და მრჩეველთა ყველა ასისტენტს, ვინც მონაწილეობა მიიღო ფილმის შექმნაში.

მადლობას ვუხდი ჩემს ძვირფას მეგობრებს მხარდაჭერისა და სიყვარულისათვის: მარსი კოლტუნქრილს, მარგარეტ რეინონს, ათინა გოლიანისს და ჯონა უოკერს, ელეინ ბეიტს, ანდრეა კირის, მაიკლ და ქენდრუ ების. აგრეთვე ჩემს მეუღლეს პიტერ ბერნს და ჩემს საოცარ დებს. ჯენი ჩაილდს, ვისი დახმარებაც ამ წიგნის შექმნაში შეუფასებელია, პოლინ ვერნონს, კაი აიზონს – აწ გარდაცვლილს და გლენდა ბელს. ის ყოველთვის ჩემთანაა, მისმა სიყვარულმა და მხარდაჭერამ ზღვარი არ იცის. მე მადლობას ვუხდი ჩემს გაბედულ და მშვენიერ დედას ირენ აიზონს და პატივს მივაგებ მამაჩემის, რონალდ აიზონის ხსოვნას. მისი შუქი და სიყვარული კვლავ ავსებს ჩვენს ცხოვრებას.

და ბოლოს დიდი მადლობა ჩემს ქალიშვილებს ჰაილი და სქაი ბერნებს. ჰაილის დახმარებით შევიცანი ჭეშმარიტი გზა და დავიწყე ახალი ცხოვრება. სქაი კი ჩემს კვალს გამოჰყვა და შესანიშნავად გადაჭრიდა ჩემი აზრები სიტყვებში და მეხმარებოდა წიგნის გამოცემაში. ქალიშვილები ხომ შეუფასებელი საგანძურია ჩემს ცხოვრებაში.

ს ა ი დ უ მ ლ ო გ ა ხ ს ნ ი ლ ი ა

ბობ პროქტორი

ფილოსოფოსი, მწერალი და
თვითგანვითარების მწვრთნელი.

საიდუმლო გაძლევთ თქვენ ყველაფერს, რაც გსურთ: ბედნიერებას, ჯანმრთელობას და კეთილდღეობას.

ჯო ვიტალე

მეტაფიზიკოსი, მარკეტინგის
სპეციალისტი და მწერალი.

თქვენ შეგიძლიათ გქონდეთ ყველაფერი, რასაც ისურვებთ, გააკეთოთ ყველაფერი, რასაც ისურვებთ, და იყოთ ის, რასაც ისურვებთ.

ჯონ ასარაფი

ბიზნესექსპერტი და მეწარმე.

ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ ყველაფერი, რაც გვსურს, მნიშვნელობა არა აქვს, რამდენად დიდია იგი. როგორ სახლში გსურთ ცხოვრება? გსურთ გახდეთ მილიონერი? რა საქმით გინდათ დაკავდეთ? გინდათ მიაღწიოთ წარმატებას? რა გსურთ სინამდვილეში?

დენის უეიტლი

ადამიანის ტვინის განვითარების
პოტენციალის ფსიქოლოგი დ მწვრთნელი.

წარსულში საიდუმლოს მფლობელ ბელადებს არ სურდათ სხვისთვის ძალაუფლების განაწილება, ისინი მალავდნენ საიდუმლოს. ხალხი დადიოდა სამსახურში, შრომობდა ოფლისღვრამდე და ბრუნდებოდა სახლში. ასე გრძელდებოდა მთელი ცხოვრება. ისინი ამ მდგომარეობას თავს ვერ აღწევდნენ, იმიტომ რომ რჩეულები მალავდნენ საიდუმლოს.

კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე ბევრნი იღწვოდნენ საიდუმლოს დასაუფლებლად და ბევრნი პოულობდნენ საშუალებას, გაევრცელებინათ ეს ცოდნა ხალხში.

მაიკლ ბერნარდ ბექვიტი

წინასწარმეტყველი და საერთაშორისო
სასულიერო ცენტრ „აგაპეს“ დამაარსებელი.

მე ვნახე, როგორ შეემთხვა ხალხს სხვადასხვა სასწაული: ფინანსური, ფიზიკური და სულიერი და სრული ჰარმონიზაცია ურთიერთობებში.

ჯეკ კენფილდი

მწერალი, მოძღვარი, სასიცოცხლო
მიზნების მიღწევის მწვრთნელი
და მოტივირებული ლექტორი.

ეს იმიტომ მოხდა, რომ ვიცოდი, როგორ გამო-

მეყენებინა საიდუმლო.

რა საიდუმლოა ეს?

ბობ პროქტორი

თქვენ ალბათ ზიხართ და თავს იმტვრევთ: „რას წარმოადგენს ეს საიდუმლო?“ მე თქვენ ახლა მოგითხრობთ, თვითონ როგორ მივედი მის ახსნამდე.

ჩვენს ურთიერთქმედებას განაგებს ერთი დიდი განუსაზღვრელი ძალა და ჩვენ ვემორჩილებით ერთსა და იმავე კანონებს. სამყაროს ბუნებრივი კანონები იმდენად ზუსტია, რომ დიდი ძალისხმევის გარეშე ვაშენებთ კოსმოსურ ხომალდებს, ვაგზავნით ხალხს მთვარეზე და გამოვთვლით მათ დაშვებას წამის მეასედებში. სადაც არ უნდა ვიყოთ: ინდოეთში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, სტოკჰოლმში, ლონდონში, ტორონტოში, მონრეალში ან ნიუ-იორკში, ჩვენ ყველას საქმე გვაქვს ერთ ძალასთან, ერთ უდიდეს კანონთან. ეს მიზიდულობის კანონია!

სიცოცხლის საიდუმლო – ეს მიზიდულობის კანონია!

ყველას, ვინც თქვენს ცხოვრებაში შემოდის, თქვენ თვითონ იზიდავთ. იმას იზიდავთ, რაც მუდმივად თავში გიტრიალებთ. თქვენი ცხოვრება ის არის, როგორც ფიქრობთ. ყველაფერს, რაზედაც ფიქრობთ, თავად იზიდავთ.

„ყოველი თქვენი აზრი რეალურია – ეს ძალაა“.

პრენტის მალფორდი/1834-1891/

ყველა უდიდესი მოძღვარი, რომელიც კი ჩვენს დედამიწაზე ცხოვრობდა, გვეუბნება, რომ მიზიდულობის ძალა – ეს სამყაროს უძლიერესი კანონია.

პოეტები უილიამ შექსპირი, რობერტ ბრაუნინგი და უილიამ ბლეიკი ამ ამბავს თავიანთ ლექსებში ასახავდნენ, მუსიკოსები – მუსიკით გადმოსცემდნენ. მხატვრებმა, მათ შორის, ლეონარდო და ვინჩიმ, ეს სურათებში გამოსახეს. დიდი მოაზროვნეები: სოკრატე, პლატონი, ემერსონი, პითაგორე, სერ ფრანსის ბეკონი, ისააკ ნიუტონი, იოჰან ვოლფგანგ გოეთე და ვიქტორ ჰიუგო ყველაფერს ამას თავიანთ ნაწარმოებებში ასახავდნენ. მათი სახელები უკვდავია. ლეგენდებმა მათ შესახებ გადაფარეს ინდუიზმი, ბუდიზმი და იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი, ასევე უძველესი ცივილიზაციები მაგალითად, ბაბილონის, ეგვიპტის, რომელთაც ის ცოდნა შემოინახეს ლეგენდებში და გადმოცემებში. მიზიდულობის კანონის სხვადასხვა ფორმებზე გვესაუბრებიან ძველი ნაწარმოებები. 3000 წელს ჩვენს ერამდე ის ამოტვიფრული იყო ქვაზე. ადამიანები, რომელთაც ცოდნა სწყუროდათ, იღებდნენ კიდეც. „საიდუმლო“ ყოველთვის ზემოთ იდო და მზად იყო მსურველთათვის გადაშლილიყო.

მიზიდულობის კანონი არსებობს დროის დასაწყისიდან. ის ყოველთვის იყო და ყოველთვის იქნება. ის განსაზღვრავს სამყაროში წესრიგს, ყოველ წამსა და განცდას თქვენს ცხოვრებაში. მნიშვნელობა არა აქვს, ვინა ხართ და სადა ხართ, ყოვლის შემძლე მიზიდულობის კანონი ქმნის და აყალიბებს თქვენი ცხოვრების გამოცდილებას და აკეთებს ამას თქვენი ფიქრების საშუალებით. თქვენ უშუალოდ მოგყავთ მოქმედებაში მიზიდულობის კანონი და ამას თქვენი გონება აკეთებს.

1912 წელს ჩარლზ ჰენელმა აღწერა იგი, როგორც „ყველაზე დიდი და შეუქცევადი, რომელზედაც დაყრდნობილია მთელი შემოქმედებითი სისტემა.“

ბობ პროქტორი

ბაბილონელების სიმდიდრისა და აყვავების შესახებ კარგადაა ცნობილი მეცნიერებისათვის და დამტკიცებულიცაა მრავალი დოკუმენტით. ბაბილონში შეიქმნა ერთ-ერთი შვიდი საოცრებათაგანი: სემირამიდას დაკიდული ბაღები. ბაბილონი სამყაროს გაგებით და მისი კანონების გამოყენებით ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ცივილიზაცია გახდა.

როგორ ფიქრობთ, რატომ არის, რომ მოსახლეობის მხოლოდ ერთი პროცენტი გამოიმუშავებს მთელი ფულის დაახლოებით 96 პროცენტს? შემთხვევით? არა, ყველაფერი კანონზომიერია. ამ ხალხმა იცის რაღაც – მათ იციან საიდუმლო. ახლა კი ამ საიდუმლოს თქვენც გაიგებთ.

ხალხი, რომელიც სიმდიდრეს თავისკენ იზიდავს, იყენებდა საიდუმლოს – შეგნებულად თუ შეუგნებლად. ისინი მუდმივად სიმდიდრეზე ფიქრობენ და უფლებას არ აძლევენ საწინააღმდეგო აზრს, ფეხი მოიკიდოს მათ გონებაში. სწორედ ამას მოაქვს კეთილდღეობა მათ ცხოვრებაში. ასეთია მიზიდულობის კანონი. აი, შესანიშნავი მაგალითი, რომელიც ამჟღავნებს საიდუმლოს და მის მიზიდულობის კანონს. შეიძლება თქვენ იცნობთ ისეთ ხალხს, რომლებმასც დიდძალი ქონება შეიძინეს და ისევ დაკარგეს, თუმცა მოკლე ხანში ისევ აღადგინეს მნიშვნელოვანი კაპიტალი. ამ შემთხვევაში აი, რა ხდებოდა: ხალხი შეგნებულად თუ შეუგნებლად კონცენტრირებული იყო სიმდიდრეზე და მართლაც, ფული მათთან მიდიოდა. ამის შემდეგ მათ გაუჩნდათ ამ ფულის დაკარგვის შიში და ეს აზრი დაუძლეველი გახდა. მათ თვითონ გადახარეს სასწორის პინა სიმდიდრიდან სიღარიბისკენ და გაღარიბდნენ კიდეც. როგორც კი ფული დაიკარგა, დაიკარგა შიშიც. სასწორი კვლავ გამდიდრებაზე ფიქრისაკენ გადაიხარა და ისიც დაბრუნდა.

კანონი პასუხობს თქვენს აზრებს, როგორიც არ უნდა იყოს.

მსგავსი იზიდავს მსგავსს

ჯონ ასარაფი

ჩემთვის უმარტივესი ხერხია, შევიგრძნო მიზიდულობის კანონი ანუ წარმოვიდგინო თავი მაგნიტად. მაგნიტი ხომ ყველაფერს იზიდავს.

თქვენ ხართ უძლიერესი მაგნიტი მთელ ქვეყ-

ანაზე! თქვენში დამალული მიზიდულობის ძალა ყველაზე ძლიერია და იგი გამოსხივდება თქვენი აზრების საშუალებით.

ბობ დოილი
მწერალი და მიზიდულობის კანონის სპეციალისტი

მიზიდულობის კანონი გამოიხატება ასე: მსგავსი მსგავსს იზიდავს. მაგრამ სინამდვილეში მხედველობაში გვაქვს აზრთა დონეები.

მიზიდულობის კანონი გვამცნობს: „მსგავსი იზიდავს მსგავსს". ეს კი იმას ნიშნავს,რომ როდესაც რაღაცაზე ფიქრობთ, თქვენსკენ იზიდავთ მსგავს აზრებს. აი, კიდევ რამდენიმე მაგალითი მიზიდულობის კანონისა. გქონიათ ასეთი შემთხვევა? რაც მეტად ფიქრობთ ცუდ რამეზე, მით უფრო ცუდ ხასიათზე დგებით. საქმე იმაშია, რომ თუ დროის რაღაც მონაკვეთში ერთსა და იმავე რამეზე ფიქრობ,მიზიდულობის კანონს უმალვე მოაქვს თქვენთვის უამრავი მსგავსი აზრი. რამდენიმე წუთის განმავლობაში იმდენი ცუდი აზრი მოგეძალებათ, რომ განწყობილება უფრო გიფუჭდებათ. რაც უფრო მეტს ფიქრობთ მასზე, მით მეტად ცუდად ხდებით.

შეიძლება ასეთი რამეც გამოგიცდიათ: მოისმინეთ რაღაც მელოდია და აგეკვიატათ, იგი დიდხანს ტრიალებს თქვენს ტვინში. მისი მოსმენის დროს, ალბათ, არც შეგიმჩნევიათ, ისე მიმართეთ მისკენ მთელი ყურადღება. შედეგად კი თქვენ დაიწყეთ მსგავსი აზრების ძლიერად მიზიდვა. ამრიგად, ამოქმედდა მიზიდულობის კანონი, რომელიც სულ უფრო და უფრო გახსენებთ მოსმენილ მელოდიას.

ჯონ ასარაფი
ჩვენი ამოცანაა,შევაჩეროთ აზრები სასურველ ფიქრებზე. უნდა ვიცოდეთ, რა გვსურს მხოლოდ ასე შეიძლება ავამოქმედოთ ერთ-ერთი უდიდესი კანონი – მიზიდულობის კანონი. გახდებით ის, რაზედაც გამუდმებით ფიქრობთ და მიიზიდავთ იმას,რაზედაც უფრო ხშირად ოცნებობთ.

თქვენი ცხოვრება წარსულში ნააზრევის ანარეკლია. სიცოცხლე არა მარტო დიდი და მშვენიერია, არამედ ისიც, რასაც ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას არ ვანიჭებთ. რადგანაც თქვენ იზიდავთ იმას, რაზეც ხშირად ფიქრობთ, ძალიან ადვილია იმის დადგენა, ცხოვრების ამა თუ იმ მონაკვეთზე რა აზრები გიტრიალებდათ თავში. თქვენ ხომ მისგან ხორცშესხმული შედეგი მიიღეთ. მაგრამ ახლა საიდუმლოს სწავლობთ და შესძლებთ ამ ცოდნით ყველაფრის შეცვლას.

ბობ პროქტორი
რასაც წარმოიდგენთ, მალე მას ხელში დაიჭერთ.

თუ ფიქრობთ იმაზე,რაც თქვენთვის მთავარია, აუცილებლად მიიღებთ მას.

მაიკ დული
მწერალი და საერთაშორისო დონის ლექტორი

ამ პრინციპის გამოხატვა შეიძლება უბრალო ორი სიტყვით: აზრი მატერიალიზდება! ყოვლისშემძლე მიზიდულობის კანონის დახმარებით აზრები მატერიალიზდება. გაიმეორეთ ეს ფრაზა მრავალჯერ და შეუშვით ის თქვენს ცნობიერებაში. თქვენი აზრები მატერიალიზდება!

ჯონ ასარაფი
ბევრმა არ იცის, რომ აზრს საკუთარი ფიზიკური სიხშირე აქვს. ჩვენ შეგვიძლია აზრის გაზომვა. თუ გამუდმებით იფიქრებთ ერთსა და იმავეზე, გონებით წარმოიდგენთ, როგორ შევიძენთ ახალ მანქანას, იშოვით საჭირო ფულს, შექმნით კომპანიას, იპოვით მონათესავე სულს, წარმოიდგენთ, როგორ გამოიყურება ის, მუდმივად გამოასხივებთ განსაზღვრულ აზრობრივ სიხშირეს.

ჯო ვიტალე
ფიქრები გამოსცემენ მაგნიტურ სიგნალს, რომელიც, შესაბამისად, იზიდავს თქვენკენ ყველაფერს.

„დომინირებული აზრი ან აზრთა წყობა მაგნიტია. კანონი გვეუბნება, მსგავსი იზიდავს მსგავს, შესაბამისად, მენტალური მოწყობილობა აუცილებლად მიიზიდავს იმ მოვლენებს,რომლებიც მის ბუნებას შეესაბამება".

ჩარლზ ჰანელი (1866-1949).

აზრები მაგნიტს ჰგავს. მათ განსაზღვრული სიხშირე აქვთ. ნააზრევი სამყაროში მიფრინავს და მაგნიტივით იზიდავს ყველაფერს მსგავსს, რაც მის სიხშირეს შეესაბამება. გზავნილი უბრუნდება თავის პირვანდელ წყაროს, ეს წყარო კი თქვენ ხართ.

აზრის მუშაობა შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: ცნობილია, განსაზღვრულ სიხშირეზე ტელეანძა სიგნალებს რომ გადასცემს და ეს სიგნალები ჩვენი ტელევიზორის ეკრანებზე სურათებად გადაიქცევა. ბევრ ჩვენგანს არ ესმის, ეს როგორ ხდება,მაგრამ ის კი ვიცით,რომ ყველა არხს თავისი სიხშირე აქვს და როცა ჩვენ მასზე გადავრთავთ, ვხედავთ გამოსახულებას ეკრანზე. ამ გადართვით, ვირჩევთ სიხშირეებს და ვიღებთ გამოსახულებას,რომელსაც ამ არხზე გადმოსცემენ. თუ სხვა სახის ნახვა გვსურს, ვცვლით არხს და გადავერთვებით სხვა სიხშირეზე.

თქვენ ხართ გადამცემი სადგური ადამიანის ორგანიზმში და რაც მთავარია, ყველაზე ძლიერი, რაც დედამიწის ზურგზე აშენებულა. თქვენგან გამოსხივებული ტალღები ქმნის თქვენს ცხოვრებას, ქმნის სამყაროს. თქვენი სიგნალი

სცდება დედამიწაზე სოფლებსა და ქალაქებს და გამოძახილს ჰპოვებს სამყაროს ყველა კუთხეში და ამ სიგნალის ტრანსლირებას ახდენთ თქვენი აზრებით.

სურათები, რომლებსაც გონებით გადმოსცემთ, ჩნდება არა ტელევიზორის ეკრანებზე, არამედ ეს თქვენი ცხოვრების სურათებია! თქვენი გონება ქმნის განსაზღვრულ სიხშირეს, იზიდავს ამ სიხშირეზე მსგავს აზრებს და შემდეგ თქვენ გიბრუნდებათ თქვენი ცხოვრების სურათის სახით. თუ გინდათ ცხოვრებაში რაიმეს შეცვლა, უბრალოდ, გადართეთ სხვა არხზე: გადაეწყვეთ სხვა სიხშირეზე, შეცვალეთ ცხოვრება.

„აზრის ვიბრაციის ძალა უნაზესია, ამიტომაცაა, ყველაფერ არსებულზე უფრო ძლიერი“.

ჩარლზ ჰანელი

ბობ პროქტორი

წარმოიდგინეთ, რომ ცხოვრობთ ფუფუნებაში და მას თქვენსკენ მიიზიდავთ. ეს ყოველთვის და ყველასთვის მუშაობს.

როდესაც ფიქრობთ, რომ ცხოვრობთ კეთილდღეობაში და ფუფუნებაში, მაშინ შეგნებულად და ძლიერად განსაზღვრავთ საკუთარ ცხოვრებას მიზიდულობის კანონის დახმარებით. ყველაფერი მარტივია, მაგრამ ისმის კითხვა:

„რატომ არ ცხოვრობს ყველა ისე, როგორზედაც ოცნებობს?“

მიიზიდეთ კარგი ცუდის ნაცვლად!

ჯონ ასარაფი

აი, რაშია პრობლემა: უმეტესობა იმაზე ფიქრობს, რაც არ უნდათ. მერე კი უკვირთ, ასე რატომ გვემართებაო?

ხალხს არა აქვს ის, რაც უნდა, ერთადერთი მიზეზის გამო: ისინი უფრო მეტად არასასურველზე ფიქრობენ, ვიდრე სასურველზე. ყური მიუგდეთ: რაზე ფიქრობთ? რას ლაპარაკობთ? მიზიდულობის კანონი ხომ აბსოლიტურია და ყოველთვის მოქმედებს.

საზოგადოებაში საუკუნეების მანძილზე მძვინვარებს ქოლერაზე საშიში ეპიდემიური დაავადება. ეს ეპიდემია არის „არ მინდა“. თქვენ ფიქრობთ, საუბრობთ და ყურადღება გადაგაქვთ იმაზე, რაც არ გინდათ. დღეს კი შევცვლით ისტორიას. მივიღებთ და გავავრცელებთ ცოდნას, რომელიც გაგვათავისუფლებს ამ ეპიდემიისაგან! ახლა ეს ცოდნა თქვენთან მოდის და თქვენ გახდებით ახლებურად აზროვნების პიონერები, თუ იფიქრებთ და ილაპარაკებთ მასზე, რაც თქვენ გსურთ.

ბობ დოილი

მიზიდულობის კანონისთვის მნიშვნელობა არ აქვს, რა არის თქვენთვის კარგი და რა არის ცუდი. გინდათ რაიმე, თუ არ გინდათ. კანონი მხოლოდ თქვენს აზრებს პასუხობს. ამგვარად, როცა შეშინებული უყურებთ თქვენს დაგროვილ ვალებს, სამყაროში სიგნალს აგზავნით: „ამ ვალების გამო საშინლად ვგრძნობ თავს“, ამით შიშს ამყარებთ. თქვენ მას გრძნობთ თქვენი ყოფიერების ყველა დონეზე და მიიღებთ იმავეს უფრო ძლიერად.

მიზიდულობის კანონი – ბუნების კანონია. იგი არ არჩევს კეთილსა და ბოროტს. ის, უბრალოდ, იღებს თქვენს ნაფიქრალს და უკან გიბრუნებთ ცხოვრებისეული განცდების სახით. მიზიდულობის კანონი გაძლევთ ზუსტად იმას, რაზეც ფიქრობთ.

ლიზა ნიკოლსი

მწერალი და პიროვნების შესაძლებლობების გაფართოების კონსულტანტი

მიზიდულობის კანონი სინამდვილეში თქვენს კონტროლს ემორჩილება. როცა თქვენ იმაზე ფიქრობთ, რაც გინდათ და მთელ ყურადღებას მისკენ მიმართავთ, ის აუცილებლად მოგეცემათ მიზიდულობის კანონის მეშვეობით. თუ თქვენ კონცენტრირდებით იმაზე, რაც არ გსურთ: „არ მინდა დავაგვიანო, ნეტავ არ დამაგვიანდეს“. მიზიდულობის კანონი ვერ ხვდება, რომ ეს თქვენ არ გინდათ. ის გიბრუნებთ იმას, რაზედაც ფიქრობთ. მიზიდულობის კანონი არ არის გათვლილი „მინდა“ და „არ მინდაზე“. რაზედაც თქვენ ყურადღებას გაამახვილებთ, რაც არ უნდა იყოს ის, თქვენ მას რეალობად აქცევთ.

თუ ყურადღებას ამახვილებთ იმაზე, რაც გინდათ და მასზე ფოკუსირებთ, მაშინ თქვენსკენ იწვევთ სასურველს, სამყაროს ამ უდიდესი ძალის საშუალებით. მიზიდულობის კანონი ყურადღებას არ აქცევს „არა“-ს და სხვა უარყოფით სიტყვას. აი, ასეთ სიგნალს იღებს ის, როდესაც წარმოთქვამთ სიტყვას უარყოფითი ნაწილაკით:.

არ მინდა პიჯაკზე რამე დამეღვაროს.

„მინდა რამე დამეღვაროს ჩემს პიჯაკზე და რაც შეიძლება, ბევრი.“

არ მინდა ცუდი ვარცხნილობა.

„მინდა ცუდი ვარცხნილობა“.

არ მინდა დამაგვიანდეს.

„მინდა დამაგვიანდეს“.

არ მინდა, ეს კაცი უხეშად მომექცეს.

„მინდა ეს კაცი და სხვა ხალხიც უხეშად მომექცნენ“.

არ მინდა, ჩვენი შეკვეთილი მაგიდა ვინმემ დაიკაოს.

„მინდა ჩვენი შეკვეთილი მაგიდა ყოველთვის დაკავებული დაგვხვდეს“.

არ მინდა, გამიფუჭდეს ეს ფეხსაცმელები.

„მინდა გამიფუჭდეს ეს ფეხსაცმელები“.

ველარ ვერევი ამ სამუშაოს.

„მინდა მქონდეს იმაზე მეტი სამუშაო, რის გაკეთებასაც შევძლებ“.

არ მინდა კამათი.

„მინდა ვიკამათო და, რაც შეიძლება, ბევრი“.

ასე ნუ მელაპარაკები.

„მინდა, რომ ასე მელაპარაკო“.

მიზიდულობის კანონი იმას გაძლევთ, რასაც ითხოვთ!

ბობ პროქტორი

მიზიდულობის კანონი ყოველთვის მოქმედებს. გჯერათ ეს თქვენ თუ არა, გესმით ეს თუ არა: მიზიდულობის კანონი – შემოქმედებითი კანონია. კვანტური ფიზიკის სპეციალისტები ამბობენ, რომ სამყარო აზრისაგან წარმოიქმნა. საკუთარ ცხოვრებას თქვენივე აზრებისა და მიზიდულობის კანონის დახმარებით ქმნით. ზუსტად ასე იქცევა თითოეული ჩვენგანი. ეს კანონი მხოლოდ მის შესახებ თქვენი ცოდნის შემთხვევაში კი არ მოქმედებს, არამედ თავისთავად, თქვენი და თითოეული ადამიანის მთელი ცხოვრების განმავლობაში. როცა შეიცნობთ ამ დიდებულ კანონს, მიხვდებით, რამდენად დიდია თქვენი სიძლიერე. თქვენ ხომ საკუთარი ცხოვრების შემომქმედნი ხართ.

ლიზა ნიკოლსი

ის სულ მოქმედებს, როცა ფიქრობთ. თქვენ ფიქრობთ და მიზიდულობის კანონი ყოველ წუთს მოქმედებს. ის მოქმედებს მაშინაც, როცა თქვენ წარსულზე, ახლანდელზე და მომავალზე ფიქრობთ. ეს პროცესი უწყვეტია. ვერავინ შესძლებს, თითი დააჭიროს „შეჩერდი“ და „პაუზა“-ს ღილაკს. კანონი მუდმივად მოქმედებს, როგორც თქვენი ფიქრები.

ჩვენ გამუდმებით ვფიქრობთ, ვგრძნობთ ამას თუ არა. ველაპარაკებით ვინმეს თუ ვუსმენთ, ჩვენ ვფიქრობთ. ვკითხულობთ თუ ვუყურებთ ტელევიზორს, ჩვენ ვფიქრობთ. წარსულს ვიხსენებთ, ვფიქრობთ. მომავლის გეგმებს ვაწყობთ, ვფიქრობთ. მანქანის ტარების დროს, დილით პირის დაბანის დროს, სულ ვფიქრობთ. ზოგიერთი ჩვენგანი მაშინ წყვეტს ფიქრს, როცა იძინებს. მიუხედავად ამისა, მიზიდულობის კანონი აგრძელებს მოქმედებას ძილისწინა ფიქრზე. ამიტომ ძილის წინ შეეცადეთ, იფიქროთ რაიმე კარგზე.

მაიკლ ბერნარდ ბექვიტი

შექმნის პროცესი მუდმივია. ყოველთვის, როცა ადამიანი ფიქრობს მისთვის ჩვეულ თემაზე ან თავში ახალი აზრები მოსდის, ის ჩართულია შემოქმედებით პროცესში. აქედან რაღაც შედეგს მიაღწევ. ამჟამად რაზეც ფიქრობთ, თქვენი მომავალი ცხოვრების საწინდარა. თქვენ ქმნით თქვენს ცხოვრებას თქვენივე ფიქრებით და რადგანაც ყოველთვის ფიქრობთ, მუდმივად იღებთ მონაწილეობას შემოქმედებით პროცესში. რაზედაც უფრო ხშირად ფიქრობთ და ყურადღებას ამახვილებთ, ის იქცევა რეალობად თქვენს ცხოვრებაში.

ბუნების ყველა კანონის მსგავსად, ეს კანონიც სრულყოფილი და აბსოლუტურია. რასაც დასთეს, იმასვე მოიმკი! თქვენი აზრი – თესლია, მოსავალი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი თესლი ჩააგდეთ ნიადაგში. თუ რამეზე წუწუნებთ, მიზიდულობის კანონი მოიზიდავს თქვენკენ უფრო მეტ საწუწუნო სიტუაციას. როცა სხვის ჩივილებს ყურადღებით უსმენთ, განიცდით და ეთანხმებით მას, ამ დროს იგივე სიტუაციას თქვენკენ მიიზიდავთ.

კანონი ირეკლავს და გიბრუნებთ სწორედ იმას, რაზედაც ყურადღება გაამახვილეთ. ახლა, როცა მიიღეთ ცოდნა, ძალა შეგწევთ შეცვალოთ თქვენი ცხოვრების ყველანაირი მოვლენა, გარემოება, თუ შეიცვლით აზროვნების სტილს.

ბილი ჰერისი

მრჩეველი და კვლევითი ინსტიტუტის, „ცენტრპოინტის“ დამაარსებელი

მყავდა მოსწავლე, სახელად რობერტი. იგი ჩემი ონლაინ-კურსის მსმენელი იყო. ბევრს ვსაუბროდით ელფოსტით. რობერტი ჰომოსექსუალისტი იყო. წერილებში ის თავისი საშინელი ცხოვრების დეტალებს წერდა. სამსახურში დასცინოდნენ, რის გამოც მუდმივ სტრესს განიცდიდა. ქუჩაში რომ გადიოდა, ჰომოფობები შეურაცხყოფას აყენებდნენ. მას უნდოდა ესტრადის იუმორისტი ყოფილიყო, მაგრამ, ესტრადაზე გამოსვლისთანავე მაყურებელი აწყვეტინებდა შეკითხვებით, იყო გეი თუ არა. რობერტს ცხოვრება ერთ დიდ უბედურებად და მწუხარებად ექცა. ის ფიქრობდა, რომ ყველა მისით ხალისობდა, რადგან ჰომოსექსუალისტი იყო.

ავუხსენი, რომ ის ფოკუსირებდა ისეთ რამეზე, რაც არ უნდოდა. ვაჩვენე მას თავისი წერილი და ვუთხარი: „გადაიკითხე და ნახე: შენ მიყვები ყველაფერ იმას, რაც არ გინდა. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ყველაფერი ძალიან ახლოს მიგაქვს გულთან. როდესაც ასე ძლიერად კონცენტრირდები რაიმეზე, ის უფრო მალე აგიხდება.“

როდესაც რობერტმა გაიზიარა ეს იდეა აზრის კონცენტრირების შესახებ და დაიწყო მისი გამოყენება, ექვსი თუ რვა კვირის შემდეგ რაც მოხდა, ნამდვილი სასწაული იყო. იმ თანამშრომელთაგან, ვინც მას აწუხებდა ზოგი სხვა განყოფილებაში გადაიყვანეს, ზოგიც გაათავისუფლეს, დანარჩენებმა კი თავი დაანებეს მის დაცინვას. ქუჩაში აღარავინ აწუხებდა, იმ ხალხს ველარც კი ხვდებოდა. სცენაზე ოვაციებით ხვდებოდნენ და აღარავინ უწამლავდა სიცოცხლეს.

რობერტის ცხოვრება მთლიანად შეცვალა სასურველზე აზრის კონცენტრაციამ. ნაცვლად არასასურველზე ფიქრისა, მან ყურადღება გაამახვილა იმაზე, რაც სინამდვილეში უნდოდა.

მისი ცხოვრება შეიცვალა იმიტომ, რომ შეცვალა აზროვნების სტილი. იგი სხვა სიხშირეზე გადაერთო. სამყარო აუცილებლად დააბრუნებს ამ სიხშირის შესატყვის სურათებს, მაშინაც კი, როცა სიტუაცია გამოუვალი ჩანს. რობერტის ახლებური აზროვნება ახალ სიხშირეზე გადაეწყო და მისი ცხოვრების სურათიც შეიცვალა.

თქვენი ცხოვრება თქვენს ხელშია. არა აქვს მნიშვნელობა, ახლა სადა ხართ, არც იმას, რაც აქამდე თქვენს ცხოვრებაში მომხდარა. მთავარია, ახლა შეარჩიოთ თქვენი აზრები და შეცვალოთ ცხოვრება. გამოუვალი სიტუაცია არ არსებობს. ყველანაირი მდგომარეობის შეცვლა შეგიძლიათ!

მაიკლ ბერნარდ ბექვიტი

თქვენ მიიზიდავთ იმ აზრებს, რომლებსაც დიდხანს თავში ინახავდით, შეგნებულად თუ შეუგნებლად. აი, რაშია საქმე.

აცნობიერებდით თქვენს აზრებს წარსულში თუ არა, ახლა იწყებთ მის გაცნობიერებას და გაგებას. სწორედ ახლა, საიდუმლოს გაგების შემდეგ, გამოიღვიძეთ რა ღრმა ძილიდან, შეუდექით მის შეცნობასა და გაგებას.

ჯონ დემარტინი

ყურადღებით თუ დააკვირდებით ყველაფერს, რაც საიდუმლოს ეხება, ჩვენი გონების სიძლიერეს, სურვილებისა და განზრახვის სიძლიერეს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ვნახავთ, რომ ეს ყველაფერი ჩვენ ირგვლივ არის. თვალი გაახილეთ მხოლოდ და შეხედეთ.

ლიზა ნიკოლსი

მიზიდულობის კანონის გამოვლინება ყველგან ხდება. თქენ იზიდავთ ყველაფერს: ხალხს, სამსახურს, ჯანმრთელობას, სიმდიდრეს, ვალებს, სიხარულს, მანქანას, საზოგადოებას, რომელშიც ცხოვრობთ. ყველაფერ ამას მაგნიტივით იზიდავთ. რასაც ფიქრობთ, იმასაც იზიდავთ. თქვენი ცხოვრება შინაგანი გამოვლინებაა იმ აზრობრივი პროცესისა, რომელიც თავში გაქვთ.

ეს არის გამაერთიანებელი და არა გამთიშველი სამყარო. მიზიდულობის კანონი არაფერს გამორიცხავს. თქვენი ცხოვრება არის სარკე თქვენივე ფიქრებისა. ყველა ცოცხალი არსება ამ პლანეტაზე მოქმედებს მიზიდულობის კანონის მიხედვით. განსხვავება ადამიანსა და სხვა ცოცხალ არსებებს შორის ისაა, რომ მათ გონებას გარჩევა შეუძლია. მათ აქვთ საკუთარი ფიქრების თავისუფლად არჩევის უფლება.

ხალხს აქვს შესაძლებლობა, იფიქროს შეგნებულად და შექმნას თავისი ცხოვრება საკუთარი გონის საშუალებით.

ფრედ ალან ვულფი

კვანტური ფიზიკის სპეციალისტი, მწერალი და ამერიკის ნაციონალური წიგნის პრემიის ლაურეატი.

არ გესაუბრებით იმ გადმოსახედიდან, რომელსაც თქვენი სასურველი ფიქრები ან გიჟური ფანტაზიები ჰქვია. საქმე ეხება უფრო ღრმა ფუნდამენტალურ გაგებას. კვანტური ფიზიკა მართლაც უფრო ახლოს დგას ამ აღმოჩენასთან. იგი გვეუბნება, რომ ჩვენ ვერ გავუგებთ სამყაროს, თუ არ ჩავრთავთ მასში საკუთარ გონებას. გონება მართლაც ძერწავს ყველაფერს ისე, როგორც მას წარმოუდგენია.

თუ ფიქრობთ, რომ ხართ ყველაზე ძლიერი გადამცემი ანძა სამყაროში, ნახავთ, რომ ეს წარმოსახვა სრულიად შეესაბამება დოქტორ ვულფის სიტყვებს. თქვენი გონება ქმნის და გადასცემს აზრებს, რომლებიც უკან გიბრუნდებათ ცხოვრებისეული გამოცდილების სახით. თქვენ არა მარტო თქვენს ცხოვრებას ქმნით თქვენი ფიქრებით, არამედ მნიშვნელოვნად აძლიერებთ სამყაროს. აქამდე თუ ფიქრობდით, რომ არაფერს წარმოადგენდით სამყაროსათვის, ახლა კარგად დაფიქრდით. თქვენი გონება ფორმას აძლევს ქვეყანას თქვენ ირგვლივ.

კვანტური ფიზიკოსების გასაოცარმა მიღწევებმა და აღმოჩენებმა ბოლო ოთხმოცი წლის განმავლობაში მიგვიყვანეს იქამდე, რომ უკეთ გაგვეგო ადამიანის გონების განუზომელი ძალა. ეს ნამუშევრები განამტკიცებს მსოფლიო ტვინების სიტყვებს, კარნეგის, ემერსონის, შექსპირის, ბეკონის, კრიშნამურის და ბუდას ჩათვლით.

ბობ პროქტორი

კანონი თუ ვერ გაიგეთ, ეს არ ნიშნავს მის უარყოფას. შეიძლება ელექტრობის არაფერი გესმოდეთ, მაგრამ ეს ხელს არ გიშლით მისი სიკეთის გამოყენებაში. მე არ ვიცი, როგორ მუშაობს ის, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ელექტრობის დახმარებით შესაძლოა, ადამიანს სადილი მოვუმზადოთ, მაგრამ ამავე დროს მისივე დახმარებით ადამიანი სიცოცხლეს გამოვასალმოთ.

მაიკლ ბერნარდ ბექვიტი

ხშირად, ამ „დიდი საიდუმლოს“ გაგების შემდეგ, ხალხს ეშინია საკუთარი უარყოფითი ფიქრების, მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ დადებითი აზრები ასჯერ უფრო ძლიერია, ვიდრე უარყოფითი. ეს მეცნიერულადაა დამტკიცებული. ასე რომ, ეს ნუღარ შეგაშფოთებთ.

მართლაც, ძალიან ბევრი უარყოფითი აზრი და მუდმივად ცუდი განწყობაა საჭირო იმისათვის, რომ შეიტანოთ რაღაც ნეგატიური თქვენს ცხოვრებაში. თუმცა, თუ დაჟინებით იფიქრებთ უსიამოვნებებზე, რაღაც დროის განმავლობა-

ში, მაშინ პრობლემები მართლაც იჩენს თავს. თუ ინერვიულებთ, რომ უარყოფითად ფიქრობთ, უფრო მეტ შეშფოთებასა და უარყოფითს მიიღებთ სანაცვლოდ. ახლავე გადაწყვიტეთ, რომ დღეიდან თქვენ მხოლოდ კარგზე იფიქრებთ. ამავდროულად, სამყაროს გამოუცხადეთ, რომ ყველა თქვენი დადებითი აზრები ყოვლისშემძლეა და უარყოფითი კი – სუსტი.

ლიზა ნიკოლსი

მადლობა ღმერთს, რომ არსებობს რაღაც შუალედი, სანამ თქვენი აზრები რეალიზდება, სხვაგვარად დიდ გასაჭირში ჩავარდებოდით. დროის ეს შუალედი თქვენზე მუშაობს. ის საშუალებას გაძლევთ, გადახედოთ თქვენს გადაწყვეტილებებს, იფიქროთ მასზე, რაც გინდათ, გააკეთოთ ახალი არჩევანი.

მთელი ძალა, რომელიც თქვენი ცხოვრების შესაქმნელადაა საჭირო, ხელმისაწვდომია ახლავე, იმიტომ რომ თქვენ ახლა ფიქრობთ. თუ ადრე გქონდათ აზრები, რომლებმაც უსიამოვნობამდე მიგიყვანეს, თქვენ შეგიძლიათ ახლავე შეცვალოთ, წაშალოთ ადრინდელი ფიქრები მეხსიერებაში და, მათ ნაცვლად, პოზიტიური აზრები შეიტანოთ. დრო ხომ თქვენზე მუშაობს. იფიქრეთ სხვაგვარად და შეცვალეთ სიხშირე ახლავე!

ჯო ვიტალე

ფრთხილად მოეკიდეთ და ყურადღებით შეარჩიეთ საკუთარი ფიქრები. ამავე დროს მიიღეთ სიამოვნება ამ პროცესისაგან, რადგან თქვენ ხართ თქვენი ცხოვრების შემომქმედი, თქვენი ცხოვრების მიქელანჯელო და დავითი, – მას თქვენ ძერწავთ.

ერთ-ერთი გზა საკუთარი აზრების მართვისა არის გონების სიმშვიდე. ამ წიგნში მოხსენიებული ყველა მასწავლებელი ყოველდღიურ პრაქტიკაში მედიტაციას იყენებს. სანამ არ აღმოვაჩინე „საიდუმლო“, არ მესმოდა, რამდენად დიდი შესაძლებლობის მქონეა მედიტაცია. იგი ამშვიდებს გონებას, გეხმარება აზრის კონტროლირებაში და აღადგენს ფიზიკურ ძალას. ყველაზე მაგარი კი ის არის, რომ არ დაგჭირდებათ საათობით მისი კეთება. დღეში სამიდან ათ წუთამდეც რომ გააკეთოთ უდიდეს ძალას იგრძნობთ. აკონტროლოთ საკუთარი ფიქრები.

საკუთარი აზრების შესაცნობად კარგია აგრეთვე, ჩაიფიქროთ: „მე ვმართავ ჩემს გონებას“, გაიმეორეთ ეს ხშირად და მასზე მოახდინეთ მედიტაცია. მიზიდულობის კანონის თანახმად, მართლაც გახდებით საკუთარი ფიქრების ბატონ-პატრონი.

ცოდნას, რომელსაც ახლა იღებთ, შეუძლია დაგეხმაროთ თქვენივე საუკეთესო ვერსიის შექმნაში. ამის შესაძლებლობა უკვე არსებობს სიხშირეზე: „თქვენი შესანიშნავი ვერსია.“ გადაწყვიტეთ, ვინ გინდათ იყოთ, რა გააკეთოთ და რა გინდათ, გქონდეთ. იფიქრეთ ამაზე, გამოასხივეთ საჭირო სიხშირე და თქვენი ოცნება ხორცს შეისხამს.

რ ე ზ ი უ მ ე

ცხოვრების დიდი საიდუმლო მიზიდულობის კანონია. მიზიდულობის კანონი ამბობს: „მსგავსი მსგავსს იზიდავს“ ამგვარად, როგორც ფიქრობთ, ისეთივე ფიქრებს იზიდავთ.

აზრები მაგნიტივით მოქმედებენ. მათ აქვთ განსაზღვრული სიხშირე. ფიქრები სამყაროში იგზავნება და იზიდავს თავისივე მსგავსს, რომლებიც ამავე სიხშირეზე იმყოფება. ყველა გზავნილი თავის წყაროს უბრუნდება – ანუ ᲗᲐᲥᲕᲔᲜ.

თქვენ ადამიანის სხეულში გადამცემი სადგური ხართ და გადასცემთ განსაზღვრულ სიხშირეებს. თუ გსურთ შეცვალოთ ცხოვრება, შეცვალეთ სიხშირე, თქვენი ფიქრების შეცვლით.

ახლანდელი ფიქრები, თქვენი მომავლის საწინდარია. რაზედაც მეტს ფიქრობთ, მას მიიღებთ ცხოვრებაში.

ფიქრები რეალიზდება.

საიდუმლო ადვილად ხელმისაწვდომია

მაიკლ ბერნარდ ბექვიტი

ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, სადაც მოქმედებს კანონები, როგორიცაა გრავიტაციის კანონი. თუ შენობიდან ჩამოვარდებით, მნიშვნელობა არა აქვს, კარგი ხართ თუ ცუდი, აუცილებლად მიწაზე დაეცემით.

მიზიდულობის კანონი ბუნების კანონია. ის უემოციო და მიუკერძოებელია, გრავიტაციის კანონის მსგავსად. ისეთივე ზუსტი და შეუცდომელი.

ჯო ვიტალე

ყველაფერი, რაც გარს გაკრავთ, ისიც, რაზედაც ჩივით, თქვენ თვითონ მიიზიდეთ. ვიცი, რომ არ გსიამოვნებთ ამის გაგება და უმალვე უარყოფთ: „არ მიმიზიდავს ავარია, არ მიმიზიდავს ეს კლიენტი, რომელთანაც ასე რთულია მუშაობა, მე არ მიმიზიდავს ვალები“, მაგრამ პირდაპირ მოგახლით: დიახ, თქვენ მიიზიდეთ. თუმცა ეს ურთულესი მისაღები კონცეფციაა, მაგრამ თუ მიიღებთ, მოხდება თქვენი ცხოვრების ტრანსფორმაცია.

ხშირად, ვინც პირველად ისმენს საიდუმლოს ამ ნაწილს, იხმობს ისტორიის იმ მოვლენებს, რომლებმაც უამრავი სიცოცხლე შეიწირა და შეუძლებლად მიაჩნიათ, რომ მათ ყველაფერი ამის მიზიდვა შესძლეს. მიზიდულობის კანონის თანახმად, ისინი ხომ ერთსა და იმავე სიხშირეზე უნდა ყოფილიყვნენ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს ხალხი ზუსტად იმ უბედურ შემთხვევებზე ფიქრობდა, მაგრამ მათი ფიქრებისა და მოვლე-

ნების სიხშირე ერთმანეთს დაემთხვა. თუ ხალხს სჯერა, რომ შეიძლება აღმოჩნდნენ ცუდ დროს, ცუდ ადგილზე და არ შეუძლიათ, გავლენა მოახდინონ გარემო პირობებზე, ის აკვიატებული აზრები შიშზე, მარტოობასა და უსასოებაზე მართლაც მიიყვანთ მათ „ცუდ ადგილასა“ და „ცუდ დროს“.

გაქვთ არჩევის საშუალება ახლავე. გინდათ გჯეროდეთ ბედისწერის, რომლის დროსაც ცუდი ყოველ წუთსაა მოსალოდნელი? გინდათ გჯეროდეთ იმის, რომ შეიძლება აღმოჩნდეთ „ცუდ დროსა“ და „ცუდ ადგილზე?“ რომ არ შეგიძლიათ გავლენის მოხდენა გარემოებაზე?

თუ გირჩევნიათ, გჯეროდეთ და იცოდეთ, რომ თქვენი ცხოვრება თქვენს ხელშია და მიიღებთ ყველაფერს მხოლოდ კარგს სხვაგვარი აზროვნების შედეგად?

თქვენ გაქვთ არჩევანი და, რომელ გზასაც აირჩევთ, სწორედ ის გახდება თქვენი ცხოვრების გამოცდილება.

ვერაფერს მიიღებთ ცხოვრებაში ისე, თუ თქვენ არ მოუხმობთ.

ბობ დოილი

უმრავლესობა მოქმედებს გაუაზრებლად, არ იციან, რას იზიდავენ. ფიქრობენ, რომ ვერ შესძლებენ ამ პროცესის გაკონტროლებას.

მათი გრძნობები და ფიქრები ჩართულია ავტოპილოტზე და ყველაფერი თავისთავად ხდება.

არავის სურს შეგნებულად ცუდის მიზიდვა, მაგრამ თუ საიდუმლო არ იცით, ადვილად დაინახავთ, თუ როგორ შემოდის არასასურველი მოვლენები თქვენს და სხვის ცხოვრებაშიც. ეს უბრალოდ, იმიტომ ხდება, რომ მათ არ ესმით, რა დიდ შემოქმედებით ძალას ფლობს აზროვნება.

ჯო ვიტალე

როდესაც პირველად გაიგებთ ამის შესახებ, ალბათ იფიქრებთ:

„ესე იგი, სულ უნდა ვაკონტროლო ჩემი აზრები? ეს ხომ დიდ შრომას მოითხოვს!“ თავიდან ასე მოგეჩვენებათ, მაგრამ შემდეგ იწყება ყველაზე საინტერესო. საინტერესო კი ის არის, რომ საიდუმლოსთან მისასვლელი ბევრი მოკლე გზა არსებობს. თქვენც ის აირჩიეთ, რომელიც თქვენთვის მისაღებია. გააგრძელეთ კითხვა და მიხვდებით, რაზეც ვსაუბრობთ.

მარსი შიმოფი

მწერალი, საერთაშორისო დონის ლექტორი და ტრანსფორმაციის ლიდერი

შეუძლებელია ვაკონტროლოთ ყველა ჩვენი ფიქრი. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ დღეში ჩვენს თავში დაახლოებით სამოციათასი აზრი იბადება. წარმოიდგინეთ, რა დამქანცველი იქნება, თუ ეცდებით სამოციათასივეს გაკონტროლებას? არის ადვილი გზა, ეს ჩვენი გრძნობებია. ჩვენი გრძნობები გვატყობინებენ, რაზე ვიფიქროთ.

არ შეიძლება გრძნობების გადაფასება. ისინი ინსტრუმენტებია, რომლის დახმარებით საკუთარ ცხოვრებას ქმნით. თქვენი ფიქრები არის საწყისი ყველაფრისა, ხოლო რასაც ხედავთ და განიცდით, თქვენი გრძნობებია. მიზეზი კი ყოველივე ამისა თქვენი ფიქრებია.

ბობ დოილი

ემოციები შესანიშნავი ნიჭია. ისინი გვიჩვენებენ, რაზე ვფიქრობთ.

თქვენი გრძნობები სწრაფად გამცნობენ თქვენს ფიქრებს. გაიხსენეთ მოულოდნელი უსიამოვნო შეგრძნება, როცა რაიმე არასასიამოვნო ამბავს გაიგებთ. უმალვე მუცლისა და გულმკერდის არეში იგრძნობთ უსიამოვნო სპაზმს. ამგვარად, თქვენი გრძნობები სწრაფად რეაგირებს მასზე, რაზეც ფიქრობთ.

საჭიროა, შეიცნოთ თქენი ემოციები და გრძნობები, რადგან ეს არის უსწრაფესი გზა, გაიგოთ რაზეც ფიქრობთ.

ლიზა ნიკოლსი

თქვენ ორი ტიპის შეგრძნება გაქვთ: კარგი და ცუდი და მშვენივრად იცით, მათ შორის რა განსხვავებაა, რადგან ერთისაგან თავს კარგად გრძნობთ, მეორე კი ცუდად გხდით. ისეთი გრძნობები, როგორიცაა დეპრესია, ბრაზი, წყენა, გაღიზიანება, დანაშაული ძალას არ შეგმატებთ და კარგ განწყობას ვერ შეგიქმნით.

ვერავინ გეტყვით: როგორა ხართ, კარგად თუ ცუდად, რადგან მხოლოდ თქვენ იცით ამის შესახებ დროის ყოველ მონაკვეთში. თუ თქვენ დარწმუნებული არა ხართ საკუთარ შეგრძნებებში, დღის განმავლობაში რამდენჯერმე შეჩერდით და თავს ჰკითხეთ: „როგორ ვგრძნობ თავს?“ და თანდათან შეძლებთ უკეთესად გაერკვეთ თქვენს გრძნობებში.

მთავარია იცოდეთ, რომ შეუძლებელია, თავს ცუდად გრძნობდე და, ამავდროულად, კარგზე ფიქრობდე. ეს კანონის დარღვევა იქნებოდა, რადგან თქვენი ფიქრები წარმოშობს თქვენს გრძნობებს. თავს თუ ცუდად გრძნობთ, ესე იგი, თქვენს გონებაში არსებობს ფიქრები, რომლებიც გაიძულებენ, ცუდად იყოთ.

ფიქრები განსაზღვრავენ თქვენს სიხშირეს, გრძნობები კი მყისვე გამცნობენ, რომელ სიხშირეზე იმყოფებით. როცა თავს ცუდად გრძნობთ, იმ სიხშირეზე იმყოფებით, რომელიც ცუდს იზიდავს. მიზიდულობის კანონი უეჭველად გამოგეხმაურებათ და უკან გიბრუნებთ ისეთ შეგრძნებებს, რომლებიც კიდევ უფრო ცუდად გხდით. ცუდად თუ ხართ და არც ცდილობთ, თქვენი ფიქრები დადებითად შეცვალოთ, ფაქტიურად ამბობთ: „მომეცით ის, რაც კიდევ უფრო ცუდად მაგრძნობინებს თავს და, რაც შეიძლება, სწრაფად.“

ამის საპირისპირო მხარეს კი პოზიტიური ემოციები და კარგი განწყობებია. როცა ისინი გეწვევიან, უმალვე კარგად იგრძნობთ თავს. აღტაცება, სიხარული, მადლიერება, სიყვარული – წარმოიდგინეთ, ამგვარი გრძნობები რომ გქონდეთ ყოველდღე. როცა პოზიტიურ გრძნობებს განიცდით, უფრო მეტ ამგვარ ემოციებს და ყველაფერს ისეთს მიიზიდავთ, რაც თავს კარგად გაგრძნობინებთ.

ბობ დოილი

ეს ძალზე მარტივია: „რას ვიზიდავ სწორედ ახლა?“ თავს როგორ გრძნობთ? კარგად“. ძალიან კარგი, ასე გააგრძელეთ.

შეუძლებელია თავს კარგად გრძნობდეთ და ნეგატიურად ფიქრობდეთ. კარგი განწყობილება მხოლოდ კარგ ფიქრებს მოაქვს. თქვენ შეგიძლიათ, ცხოვრებაში შეუზღუდავად მიიღოთ, რასაც ისურვებთ, მაგრამ იმ პირობით, რომ თავად თქვენ უნდა გრძნობდეთ თავს კარგად და როცა დაფიქრდებით, ეს ხომ ის არის, რაც კი ოდესმე გინატრიათ. მართლაც სრულყოფილი კანონია.

მარსი შიმოფი

თავს თუ კარგად გრძნობთ, ამით ისეთ მომავალს იქმნით, რომელიც თქვენს სურვილებს ემთხვევა. თავს თუ ცუდად გრძნობთ, მაშინ თქვენი მომავალი თქვენი სურვილების საწინააღმდეგო იქნება. მიზიდულობის კანონი მთელი დღის განმავლობაში მუდმივად მოქმედებს. რასაც ვგრძნობთ და როგორც ვფიქრობთ, ქმნის ჩვენს მომავალს. თავს თუ მოუსვენრად ვგრძნობთ, ან რაიმეს შიში გვაქვს, იგივეს მიიღებთ მთელი დღის განმავლობაში.

როცა თავს კარგად გრძნობთ, ესე იგი პოზიტიურად ფიქრობთ. მაშასადამე, სწორ გზას ადგახართ და თქვენ ასხივებთ ძლიერ სიხშირეს, რომელიც უკან გიბრუნებთ უფრო მეტ პოზიტიურს და თავს კარგად გაგრძნობინებთ. დაიჭირეთ ეს მომენტი, ასაზრდოეთ ის და შეისისხლხორცეთ. იცოდეთ, რომ რაც უფრო კარგად გრძნობთ თავს, მით მეტ კარგს მიიზიდავთ. მოდი ერთი ნაბიჯით წინ წავიწიოთ. რა იქნება, თუ თქვენი გრძნობები მართლაც სამყაროდან მიღებული პასუხია, რომელიც მიგახვედრებთ, რაზე ფიქრობთ?

ჯეკ კენფილდი

ჩვენი გრძნობები უკუკავშირის მექანიზმია იმის შესახებ, სწორ გზას ვადგავართ თუ არა, საჭირო კურსი გვაქვს აღებული თუ არა. გახსოვდეთ, თქვენი ფიქრები ყველაფრის მთავარი მიზეზია. ამიტომ როცა რაიმეზე დაჟინებით ფიქრობთ, სამყაროში უმალვე სიგნალი იგზავნება. თქვენი ფიქრები მაგნიტურად იზიდავენ შესაბამის სიხშირეს, რომელიც რამდენიმე წამში გრძნობათა საშუალებით გიგზავნით შეტყობინებას ამ სიხშირის შესახებ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თქვენი გრძნობები არის სამყაროს პასუხი თუ, რომელ სიხშირეზე იმყოფებით. თქვენი გრძნობები უკუკავშირის მექანიზმია და სიხშირის მასაზრდოებელი. სასიამოვნო შეგრძნებები შეტყობინებაა სამყაროდან. რომელიც გეუბნებათ: „თქვენ კარგ რამეზე ფიქრობთ“. შესაბამისად, როცა ცუდად გრძნობთ თავს, სამყარო გატყობინებთ: „თქვენ ცუდ რამეზე ფიქრობთ.“ ამგვარად, ცუდი განწყობა ეს არის გაფრთხილება სამყაროს მიერ: „ყურადღება! შეცვალეთ თქვენი ფიქრები. ნეგატიური სიხშირე ფიქსირდება. ათვლა დაიწყო. ყურადღება!“ შემდეგში, როცა თავს ცუდად იგრძნობთ, ან არასასურველი ემოცია შეგიპყრობთ, მოუსმინეთ სამყაროს. ამ დროს კარგს წინ ედობებით, იმიტომ რომ ნეგატიურ სიხშირეზე ხართ. შეცვალეთ თქვენი ფიქრები და იფიქრეთ კარგ რამეზე და, როცა დადებითი გრძნობები დაგეუფლებათ, მიხვდებით, რომ სხვა სიხშირეზე გადახვედით. ამას სამყაროც გიდასტურებთ თქვენი კარგი გუნება-განწყობით.

ბობ დოილი

თქვენ იღებთ ზუსტად იმას, რასაც განიცდით და არა იმას, რასაც ფიქრობთ. ამიტომაც ხასიათი გიფუჭდებათ, თუ დილიდანვე მარცხენა ფეხზე ადექით და მთელი დღე ასე ჩაივლის. ვერ წარმოგიდგენიათ, რომ თქვენი ემოციების უბრალოდ შეცვლამ, შეიძლება მთელი დღე და მთელი თქვენი ცხოვრება შეცვალოს. თუ კარგად დაიწყებთ დღეს, თავს ბედნიერად იგრძნობთ და არაფერს მისცემთ უფლებას, შეცვალოს თქვენი გუნება-განწყობილება, მიზიდულობის კანონის თანახმად, უფრო მეტ სიტუაციასა და ხალისს მიიზიდავთ და მხარს დაუჭერთ ამ ბედნიერ შეგრძნებას. ჩვენ ყველას გვქონია ისეთი დღეები, როცა წარუმატებლობას წარუმატებლობა მოსდევს. ჯაჭვური რეაქცია ერთი გაუაზრებელი თუ გააზრებული ფიქრის გამო დაიწყო. ერთმა ცუდმა ფიქრმა მეორე მიიზიდა, სიხშირე დაფიქსირდა, ამის შედეგად, კანონზომიერების თანახმად, ყველაფერი უკუღმა დატრიალდა. ამგვარად, თუ გუნება წაგიხდათ ერთი წარუმატებლობის გამო, უფრო მეტ წარუმატებლობას მიიზიდავთ და ჯაჭვური რეაქცია გაგრძელდება მანამ, სანამ თქვენი ფიქრების მიზანმიმართული შეცვლით არ გამოხვალთ ამ სიხშირიდან. შეგიძლიათ ფიქრები სასურველისაკენ მიმართოთ, მიიღოთ დასტური გრძნობების საშუალებით, რომ სიხშირე შეცვალეთ. მაშინ მიზიდულობის კანონი დაამკვიდრებს ამ სიხშირეს და უკან დაგიბრუნებთ, როგორც თქვენი ცხოვრების ახალ სურათებს. ამრიგად, შეგწევთ უნარი თქვენი გრძნობების ბატონ-პატრონი გახდეთ და სწრაფად გადაერთოთ იმაზე, რისი სურვილიც გაქვთ. შეგიძლიათ მიზანმიმართულად გამოიყენოთ თქვენი გრძნობები. გადახვიდეთ უფრო ძლიერ სიხშირეზედაც კი, თქვენი სურვილების დამატების საშუალებით.

მაიკლ ბერნარდ ბექუიტი

ახლავე შეგიძლიათ დაიწყოთ და თავი ჯანმრთელად იგრძნოთ. შეგიძლიათ თავი იგრძნოთ მდიდარ და წარმატებულ ადამიანად. ადამიანად, რომელიც სიყვარულითაა გარემოცული, თუნდაც ასე არ იყოს. შედეგი კი ისაა, რომ სამყარო ხმას შეუწყობს თქვენს შინაგან გრძნობებს. ისეთი გახდება, როგორიც წარმოგიდგენიათ, იგი თქვენი შინაგანი შეგრძნებების შესაბამისად გარდაიქმნება. როგორ გრძნობთ თავს? როგორ ხასიათზე ხართ? ერთი-ორი წამი დაფიქრდით. თუ თქვენი გრძნობები ისეთი წარმტაცი არ არის, როგორიც გწადიათ, მაშინ თქვენს ემოციებს დააკვირდით და მიზნობრივად შეცვალეთ ისინი. თუ ფოკუსირებას მოახდენთ თქვენს გრძნობებზე მათი გაუმჯობესების მიზნით, საოცარ შედეგს მიიღებთ. აი, უბრალო ხერხი: დახუჭეთ თვალი, ყურადღება რომ არ გაგეფანტოთ, დააკვირდით თქვენს გრძნობებს და ერთი წუთის განმავლობაში გაიღიმეთ.

ლიზა ნიკოლსი

თქვენი ფიქრები და განცდები ქმნიან თქვენს ცხოვრებას. ეს ყოველთვის ასე იქნება, ეს გარანტირებულია. გრავიტაციის კანონის თანახმად, "მიზიდულობის კანონი" არასოდეს ცდება. ოდესმე გინახავთ მფრინავი ღორები, რომლებზედაც ზემოქმედება გრავიტაციას დაავიწყდა? მსგავსად არავითარი გამონაკლისი არ არსებობს მიზიდულობის კანონის შემთხვევაშიც. რაც მოგივათ, ყველაფერი თქვენ მიიზიდეთ, გამუდმებული ფიქრის შედეგად. მიზიდულობის კანონი ზუსტია.

მაიკლ ბერნარდ ბექუიტი

ამ იდეის გადახარშვა ძნელია, მაგრამ თუ მივიღებთ მას, შედეგები გაგვაოცებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ რაც კი ცხოვრების მანძილზე გიფიქრიათ, შეგიძლიათ შევცვალოთ აზროვნების შეცვლით. თქვენ ძალა შეგწევთ, შეცვალოთ ყველაფერი, იმიტომ რომ ხართ პიროვნება, რომელიც ირჩევს საკუთარ ფიქრებს და ხართ პიროვნება, რომელიც გრძნობს საკუთარ გრძნობებს.

"ისეთი სამყარო გაქვთ, როგორითაც თქვენ ცხოვრობთ." – უინსტონ ჩერჩილი.

დოქ. ჯო ვიტალე

მართლაც მნიშვნელოვანია, თავს კარგად გრძნობდეთ, იმიტომ რომ სწორედ ეს კარგი გრძნობა იგზავნება სამყაროში, რათა თქვენთვის იგივე მოიზიდოს. ამგვარად, რაც უფრო კარგად გრძნობთ თავს, მით უფრო მეტად მიიზიდავთ ისეთს, რაც უფრო კარგად გაგრძნობინებთ თავს და შეგინარჩუნებთ სულიერ აღმაფრენას.

ბობ პროქტორი

თუ ცუდად გრძნობთ თავს, იცით, რომ ამის გამოსწორება ერთ წამში შეგიძლიათ? მოუსმინეთ კარგ მუსიკას ან სიმღერა წამოიწყეთ. ეს თქვენს ემოციებს შეცვლის. ან, იფიქრეთ რაიმე კარგზე. იფიქრეთ შვილზე ან იმაზე, ვინც ძალიან გიყვართ. შეინარჩუნეთ ასეთი ფიქრები დიდხანს, ხოლო არასასურველი კი მოიცილეთ. პირობას გაძლევთ, მალე კარგად გახდებით. შეადგინეთ სია საიდუმლო გადამრთველებისა, რათა ყოველთვის ხელთ გქონდეთ. საიდუმლო გადამრთველებში ვგულისხმობ იმას, რითაც სწრაფად შეიცვლება თქვენი გრძნობები. ეს შეიძლება იყოს თქვენი ლამაზი მოგონებები, მომავალი მოვლენები, სასაცილო მომენტები, ბუნების სურათები, თქვენთვის ძვირფასი ადამიანი ან საყვარელი მუსიკა. შემდეგში როცა გაბრაზება, წყენა ან უქეიფობა შემოგიტევთ, გადახედეთ სიას, ამოირჩიეთ ერთ-ერთი მათგანი და ყურადღება გაამახვილეთ მასზე. თითოეული მათგანი განწყობილებას აგიწევთ სხვადასხვა დროს. ასე რომ, თუ ერთმა არ გაამართლა, მოსინჯეთ მეორე. მხოლოდ ერთი ან ორი წუთი დასჭირდება თქვენი ფოკუსის შეცვლას და საკუთარი თავის გადართვას სხვა სიხშირეზე.

(გაგრძელება იქნება)

პოეზია

ციკლიდან – "ძველი ექვსაიები"

გრიგოლ რუსაია

* * *

მეთხუთმეტეს, მშვილდისრიანს, ვხედავ, ჯიმა,საუკუნეს!
მეჩვიდმეტე, შუბოსანი, დააგელვებს მაღალ ჰუნეს...
მეთვრამეტე ავს რამეს გრძნობს, თუმც ხმალს იქნევს, სულ წუწუნებს,
მეცხრამეტე მეფეს ჰკარგავს, და მომავალს შესტრფის უვნებს,

„ჩემო კარგო ქვეყანათი", მეოცე ცას შეჰღუღუნებს...
ნეტავი ოცდამეერთე იდედლებს თუ იგუგუნებს?

* * *

ვიცი, რა არი საწუთრო? ვფიცავ: -- ამოუხსნელია!
ხან მამულისთვის თავს სწირავ, ხან ქურდობის არ გრცხვენია...
წითლდები სირცხვილისგან...ხან თვალნი წუმპის მღვრელია,
მზად ხარ მსოფლიო გასწირო, ხან კრავს მოსწმინდო ცრემლია...

მაინც მიყოლა სჯობია, ლოცვანი და სიმხნენია!...
ზოგჯერ სიკვდილი ადვილობს...ზოგჯერ სიცოცხლეც ძნელია.

* * *

ჯიმა, მითხარ, შეიძლება რომ ყორანი გათეთრდეს?
ჰკითხე ზოოლოგიის და ბოტანიკის კათედრებს!..
შეძლებს კია, ღორი, ვთქვათ და, კრიმანჭული ისწავლოს,
ისე, რომ არ გვაწვალოს და ისე, რომ არ იწვალოს?!

აგერ, სოფლის მამასახლისს, მთლად ძირიდან გავარდნილს,
მობეზრდება, ეჰ, ოდესმე სიცრუეში ნავარდი?!

* * *

ფართხალებენ იმედები, სარეცხები როგორც ქარში --
გადავრჩებით შიმშილობას ამ დეკემბერ-თებერვალში?
-- თვალთმაქცობა არ მასწავლე, მამი, როცა ვიყავ ბავშვი!..
-- სამუშაოს ვიშოვიდით!.. ავავსებდით ჭინკებს ტაშით...

მსაყვედურობენ ძეები, დამნაშავე ვდგავარ მათში...
კი არ ვდგავარ, მოვკუნტულვარ, მეგობრული, როგორც შარჟი.

* * *

საწყალი ჩვენი ცოლები, ჩვენი ცხოვრების მძღოლები!
ჩვენი კომლის და შვილების მცველები, ვითარც ქორები...
მამულის, პატიოსნების ფარები, ხმლები, თორები,
ხან სიმწრით აკივლებულნი, ხშირად კი ცრემლით სოვლები...

ჩვენ ვინები ვართ, მამრები, ზარმაცები და მცონრები,
ხან თანამგრძნობი ქმრები, თუ უფრორე სისხლისმწოვლები?

* * *

კაჭკაჭს არ დაესიზმრება, იგეთი გრძელი ბოლო გაქვს!
ენაც არა გაქვს ნაკლები, ტყუილებს მილოკ-მოლოკავ...
გრაფი არა ხარ, არცრა ხარ, ასახიერებ პორნო გრაფს,
ჭინკასაც კი გააცურებ, დისკოთეკაში რომ როკავს...

მაინც საიდან გამოტყვრი? ნეტავ მაგისი ზორო მქნა!
ის არა სჯობდა, ქინძად ან ამოსულიყავ ბოლოკად?!

* * *

„ჩემი ტყუილი მირჩევნია სიმართლეს შენსას!
რადგან ჩემია! მირჩევნია რუსთველის ლექსსაც...
ჩემი ბრმა შვილი მირჩევნია, თვალებით მკვესავ
თქვენს შვილებს, რადგან ოქროდ მიღირს იმისი კვნესაც...

ჩემი მამული სჯობს მსოფლიოს...რადგან მე ვესავ
მის გაბრწყინვებას, ამაღლებას, სიდიადესაც!

* * *

გაზაფხულის სულ პირველი მაცნე მიწყივ შაშვია!
მის გარეშე ხევ-მდინარე, გორ-ტყე-ველი არ ფშვინავს...
ევკალიპტის კენწეროზე, თუნდაც უფსკრულ-ხრამშია, --
მისი ყელი ცას უმზერს და სული ცეცხლის ალშია...

ვინ ჩასწვდება იმის სწრაფვას, თავგანწირვას, ხვაშიადს?!
„დაისშიაც" შაშვი ჰგალობს სულ!" – თქვა ფალიაშვილმა.

* * *

ვათვალიერებთ მარტში ერთმანეთს, ვინ გადავურჩით ზამთარს კაცები?
იძულებულნი, ნაპატიმრალნი, ცივ ოთახებში ნაბარბაცევნი,
ჩურჩხელებივით გამხდარ-წვრილები და ძაღლებივით ნაგვემ-ნაცემნი...
მწუხარებაა გრძელი ზამთარი და გამოითქმის იგი არც ენით.

--ო, ცოცხალი ხარ, ძუკუ, შენ კიდევ?..გაგშავებია, ქიტეს, ღაწვები!..
ეჰ, ისე ვჩანვართ მოხუცნი, ჯიმა, ვით ჩაძირული გემის ანძები!..

* * *

ჰე, მამულო, შენ შენს სახელს თვით უფალთან მირითმებდი!
და იმედებს, ვით მანანას ცისას, ისე მივირთმევდი...
რომ, აჰ, ფეხზე დადგებოდი -- ოცნებას ვაჯირითებდი,
თვალს ორბებრ ვატრიალებდი, ფეხს არასდროს მივითრევდი,

თავზე სხივი მაცვივოდა ელვისებრი, ქვირითებრი...
შენთვის მქონდა და მექნება: სული – წმიდა, პირი – თეთრი!

ახალი სიმღერა ძველი ჰანგით

ბონდო არველაძე

გამოვიდა ერევნელი მეცნიერის (აწ განსვენებული) პარუირ მურადიანის ოთხასგვერდიანი წიგნი – "სომხური ეკლესიები ძველ თბილისში". გამოსცა ეჩმიაძინის გამომცემლობამ, სრულიად სომეხთა კათოლიკოსის გარეგინ II-ის ლოცვა-კურთხევით.

ერთი ამთავითვე უნდა აღინიშნოს – პ. მურადიანის ეს წიგნი არის ერთგვარი გაგრძელება 1995 წელს სომხურ ენაზე ერევანში გამოცემული სამველ კარაპეტიანის რუკა-ცნობარისა – „სომხური ეკლესიები საქართველოში". ს. კარაპეტიანს საქართველოში 653 სომხური ეკლესია „აღმოუჩენია". ამ ცნობარის გარეკანზე არის საქართველოს სქემატური რუკა, რომელზეც აღნიშნულია კარაპეტიანის მიერ „აღმოჩენილი" სომხური ეკლესიები. მკითხველი რომ დახედავს, დაასკვნის, ეს საქართველო კი არა, სომხეთი ყოფილაო. სინამდვილეში ამ 653 (კარაპეტიანი წერს, რომ საქართველოში უფრო მეტია სომხური ეკლესიები და მომავალში ძიების გაგრძელებას აპირებს) ეკლესიიდან 80-90 პროცენტი მაინც, თუ მეტი არა, ქართული ეკლესიაა დაფიქსირებული სომხურად ყოველგვარი დასაბუთების გარეშე (ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ბონდო არველაძე – „სომხური" თუ ქართული ეკლესიები საქართველოში?!. 1996 წ. ქართულ, ინგლისურ, რუსულ ენებზე).

როგორც აღვნიშნეთ, პ. მურადიანის „სომხური ეკლესიები ძველ თბილისში" არის ს. კარაპეტიანის ხსენებული ნაშრომის გაგრძელება. ოღონდ, ამჯერად თბილისის მასშტაბით. იმის გაკეთება, რაც ს. კარაპეტიანმა აღნიშნული რუკა-ცნობარით ვერ შესძლო, თავს იდვა მურადიანმა ამ მონოგრაფიით. თუმცა ვერც მან წარმოადგინა ობიექტური სურათი სომხური ეკლესიებისა თბილისში.

უკვე რამდენიმე ათეული წელია, პ. მურადიანი მუშაობს სომხურ-ქართული ურთიერთობის ისტორიის კვლევის სფეროში. ამ ხნის განმავლობაში მან სახელი „გაითქვა", როგორც ტენდენციურმა და სუბიექტურმა მკვლევარმა. ამის ერთ-ერთი ნიმუშია მისი ნაშრომი – "Армянская надпись храма Джвари" ("Вестник общественных наук Академии наук Арменской сср, 1968, №2). მასში ყოვლად უსაფუძვლოდ მცხეთის ჯვარი სომხურ არქიტექტურულ ძეგლად გამოაცხადა. მას, მართალია, სათანადო და საფუძვლიანი მეცნიერული პასუხი გასცეს – პროფ. ილია აბულაძემ, აკადემიკოსმა მარიკა ლორთქიფანიძემ და სხვებმა, მაგრამ ის მაინც თავისას

აგრძელებს. ამის მაგალითია ეს წიგნი – „სომხური ეკლესიები ძველ თბილისში". იგი მოიცავს კვლევით ნაწილსა და დამატებას. წინ ერთვის - „საქართველოს დედაქალაქი თბილისი და მისი სომხური დიასპორის ჩამოყალიბება". ეს არის მიმოხილვითი ხასიათის ნარკვევი და, ასე თუ ისე, რეალურად არის წარმოდგენილი თბილისში სომხური დიასპორის ისტორია. ყოველ შემთხვევაში, თბილისი სომხებმა დააარსესო, არ წერს ზოგიერთი სომეხი მკვლევარივით, თუმცა ამას ვერ ვიტყვით წიგნის კვლევით ნაწილზე.

ცნობილია – სახელი და გვარი არ ითარგმნება. მურადიანი კი „სომხურად" წერს VIII საუკუნის ქართული სასულიერო თხზულების „აბო თბილელის" ავტორის იოანე საბანისძის ქართულ სახელს და გვარს - "ჰოვჰან საბანა-ორდუ" (გვ. 29). აშკარაა, ამ მანიპულაციით ეჭვქვეშ აყენებს ამ მწერლის ქართველობას... იქნებ ვინმემ თქვას, წვრილმანიაო, მაგრამ სწორედ წვრილმანებში სხედან ეშმაკები...

პ. მურადიანი, განიხილავს რა თბილისის სომხურ ეკლესიებს, ამ ეკლესიების დაარსების შესახებ არაფერს ამბობს, დუმს, რადგან ზოგიერთი მათგანი თავიდან ქართული საკულტო ნაგებობა იყო. დიახ, ქართველთა მიერაა დაარსებული და მიზეზთა და მიზეზთა გამო მოხვდნენ სომეხთა ხელში. ამიტომ მალავს ამ ეკლესიათა ადრე ქართულობას. მათგან შეიძლება დავასახელოთ – ბეთლემი, სურბ-ნშანი, ორმოც წამებულთა, მოღნინის სურბ-გევორქი, და სხვ. აქვე აღვნიშნავ, რომ ძველი თბილისის სომხური ეკლესიების შესახებ პ. მურადიანს აქვს მონოგრაფია. "Армянская епиграфика грузии (Тбилиси), 1988 წ. ერევანი. ასე რომ, შეიძლება ითქვას, ეს წიგნი – „სომხური ეკლესიები თბილისში" მისი სომხური ვარიანტია და მეტი არაფერი.

ახლა, რაც შეეხება განყოფილებას – დამატება. მასში თავმოყრილია საარქივო მასალა, ანდერძ-მოსახსენებლები და მოგზაურთა ცნობები თბილისის შესახებ. ამ მასალის უმეტესი ნაწილი თარგმნილია, გამოკვლევებით და კომენტარებით გამოქვეყნებულია ქართულ და რუსულ ენებზე. ეს საპატიო საქმე გააკეთეს – გ. ნათაძემ, გ. გელაშვილმა, მ. მგალობლიშვილმა, ნ. პოლიევქტოვმა, ლ. მელიქსეთ-ბეგმა და სხვა. ასე რომ, ეს ყველაფერი ქართველი მეცნიერებისა და საზოგადოებისთვის ცნობილია.

აღსანიშნავია, ერთი დამახასიათებელი ტენდენცია, რომელიც პ. მურადიანის შრომებში რელიეფურად გამოიკვეთება. იგი ცდილობს, მოძებნოს რაღაც სომხური ნაკადი საქართველოს ისტორიაში, ეროვნულ კულტურასა და მწერლობაში და შემდეგ გააზვიადოს, გააბუქოს მისი „როლი" და მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ თუნდაც 1966 წელს ერევანში გამოცემული წიგნი "Армяно-Грузинские литературные взаимоотношения в XVIII веке" «Ереван». ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ მკითხველი იტყვის, სომხები რომ არ ყოფილიყვნენ, ქართველებს არც ისტორია და არც მწერლობა არ ექნებოდათ XVIII საუკუნეშიო.

ერთი წუთით დავანებოთ თავი წიგნში „სომხური ეკლესიები ძველ თბილისში" წამოჭრილ სადავო საკითხებს, რომელთა გადაჭრას მურადიანი სრულიად უსაფუძვლოდ სათავისოდ ცდილობს, მაგრამ მონოგრაფია დაწერილია რაღაც გამომწვევი პათოსით და პომპეზურ შთაბეჭდილებას სტოვებს.

ინტერვიუ

მწერალი და დრო

ლალი ბრეგვაძე-კახიანი

კორესპონდენტს პასუხობს ორ კითხვაზე

1. როგორ ქმნით ნაწარმოებს?

ნაწარმოების შექმნის ერთი განსაკუთრებული მოდელი არ არსებობს. მხოლოდ უფალმა იცოდა წინასწარ, როგორ შეექმნა სამყარო. მწერლისთვის ძნელია, თავიდანვე განსაზღვროს, თუ რა გამოუვა. ყველაფერი ბედისწერაზეა დამოკიდებული, ან იმ იმპულსზე, რაც ახლის შექმნისკენ გიხმობს. ზოგჯერ ერთი წინადადება გიბიძგებს, ეგებ სულაც ერთი სიტყვა. ეს არაა სიტყვა ჩვეულებრივი გაგებით. ეს სასტარტო ენერგიაა, რაც იმ მომენტში მაგიურ ძალას იძენს. ჰოდა, მას ემორჩილები და მიჰყვები. ისაა სათავო ძაფი, აბლაბუდა რომ უნდა გამოხსნას.

"გამოხსნა" მწერალს ნელ-ნელა გიხელს თვალს, დაგანახვებს გმირს, შენს მთავარ პერსონაჟს, რომელსაც ჯერ არ იცნობ, მაგრამ თანდათან შედიხარ მასთან კონტაქტში. მოგზაურობ მის სულში და იწყებ მისი ცხოვრებით ცხოვრებას, გიყვარდება იგი, შენი ახლობელი ხდება. არა აქვს მნიშვნელობა, დადებითი ტიპია თუ უარყოფითი. ამ უკანასკნელს კიდევ მეტი ზრუნვა სჭირდება, კიდევ მეტი გულის ცეცხლი, რადგან მხოლოდ მანკის ჩვენება დიდი ვერაფერი საქმეა, მით უმეტეს, თუ შთაგონებას მეტწილად დადებითი იმპულსი გაძლევს, როგორც ეს ჩემს პირად მაგალითზეა. მანკს ცხოვრებაში, რამდენიც გინდათ, იმდენს ნახავთ. მწერლის ამოცანა გამოსავლის მიგნებაა.

ლიტერატურის მიზანი ბოროტების ტირაჟირება როდია, არამედ სინათლის მოძიება თუნდაც უკუნ წყვდიადში, იმედის იმ სხივის პოვნა, ასე რომ სჭირდება მკითხველს. სხვაგვარად ლიტერატურა დანიშნულებას დაკარგავდა. იგი მძიმე ხუნდად გადაექცეოდა მკითხველს, რომელიც მას დაუყოვნებლივ მოიცილებდა. რაც ნიშნავს, რომ ნაწარმოები მკვდრადშობილი დაიბადა, ე. ი. ბოლომდე წაუკითხავი დარჩება.

იშვიათად მომხდარა, რომ დამეწყოს მოთხრობის წერა და რიხინ-რიხინით გავსულიყავი ბოლომდე. გრაფომანს, შესაძლოა, ხელეწიფებოდეს მსგავსი რამ, მაგრამ შექმნის ასეთი ხერხი ჩემს ძალებს აღემატება. ყოველთვის განწყობით ვქმნი (ამიტომ მისი წაკითხვაც განწყობითაა საჭირო), უფრო ეპიზოდურად, ასე ვთქვათ, ნაჭერ-ნაჭერ. წინასწარ ზოგჯერ დასასრული ვიცი. ვწერ დასასრულს და ვბრუნდები უკან, რომ სამშენებლო მასალა მოვიძიო. ხელისცეცებით უნდა გავიარო გზა, რომელიც ამ დასასრულამდე მიმიყვანს. გზაზე მხვდება ჩაბნელებული ზონები – ჩაყურსული და ჩამალული. ყველაფერი – ჯერ გაუცხადებელიც და თვალშისაცემიც – ზედაპირზე უნდა ამოვიტანო, დავილაგო თვალწინ, მოკლედ, სიტყვების ქარს უნდა ამოვაყრევინო და ფურცელ-ფურცელ დავივანო.

ერთხელ, ჩემი მოთხრობების მთარგმნელმა ვიქტორია ზინინამ საოცარი რამ მიამბო. თურმე ერთ-ერთი მოთხრობა ზუსტად იმ თანმიმდევრობით უთარგმნია, რა გზაც მე გავიარე მისი შექმნისას. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტი.

სიტყვები... განწყობები... ჟინი... ესენია ის აუცილებელი საშუალებანი, რაც მწერალს ეხმარება უთავბოლო ქაოსის მხატვრულ რეალობად ჩამოქანდაკებაში. და კიდევ რაღაც შეუცნობი ძალა, წერის მომენტში აშკარად რომ ზემოქმედებს პირადად ჩემზე. მე ამას უფლის ძალას ვუწოდებდი. აბა სხვაგვარად რით აიხსნება არცთუ იშვიათი შემთხვევა, როდესაც ლამის თავისით მოდის ისეთი საბედნიერო მიგნება, რაზეც არ მიფიქრია. უფრო მეტიც, გაოცებული დავრჩენილვარ – საიდან? როგორ?

არანაირი ფუფუნება არ შეედრება განცდას, თუ გრძნობ, რარიგ ჯილდოვდები. როდესაც გატაცებით ეძლევი შთაგონებას, შენთან ერთად სიტყვადქმნადობაში მონაწილეობს უხილავი ძალაც. სწორედ ის მიგიძღვის ლაბირინთებში, გაგნებინებს გამოსავალს. რამდენჯერ მიფიქრია, რა ვიქნებოდი-მეთქი ამ ძალის გარეშე. არაფერი. ნამდვილად არაფერი.

სათქმელი თავად ირგებს ფორმასა და აზროვნების სტილს. ეს ბუნებრივად ხდება. იმისდა მიხედვით იგება არქიტექტონიკა, თუ რა სირთულის ნაწარმოებს ქმნი.

ნაწარმოებში მთავარია ფსიქოლოგიზმი. ყველაფერზე მეტად გმირის ფსიქოლოგიური ჭრილი მაინტერესებს. პერსონაჟები თვითდინებაზე არ უნდა მიუშვა. ამიტომ ვცდილობ, ვაკონტროლო მათი ქმედების ყოველი მომენტი, ლაგამით მეჭიროს, როგორც ყოჩაღ ჟოკეის - დოღის ცხენი, რადგან სულ მცირე გაუფრთხილებლობაზეც კი დამოკიდებულია წარმატება-მარცხი.

2. რა დამოკიდებულება გაქვთ დროსთან?

მწერალი თავისი დროის შვილია, მისი განუყოფელი ნაწილი. იგი მოვალეა, თავი არ წაალეკინოს ამა თუ იმ დროში გამეფებულ კონიუნქტურას. როგორც მოქალაქემ, დაიცვას ოქროს შუალედი. უნდა ერიდოს იაფფასიან კლანურობას, ისევე, როგორც – ეპატაჟს. მწერალი უნდა იყოს ესთეტი, იყოს თანამდგომი და თანაგამცდელი გმირთა პრობლემების, და საერთოდ, მწერალს კიდევ ბევრი რამ მოეთხოვება, რადგან არასდროს დაავიწყდეს, იგი იმ ქვეყნის სულიერი სარკეა, რომელსაც მისი სამშობლო ჰქვია.

თანამედროვეობის მახინჯი მხარეები ჭეშმარიტი მწერლისთვის განსაკუთრებულად მტკივნეულია. ვერაფრით ასცდები საზოგადოებრივ პრობლემებს, ვერ ჩაიკეტები ნაჭუჭში, მეტადრე, თუ გრძნობ, რომ ირგვლივ ერთგვარი შავი სარკის ველია, მითიური ლოტოფაგების მსგავსი, მჭამელი ყოველგვარი მშვენიერებისა და ბედნიერების მუხტის. პესიმიზმი სიხარულს კლავს. უსამართლობა ამრავლებს უსასოობას. შენ კი სიტყვის ჟონგლიორობა უნდა იკისრო, ხილულად, ყველას წინაშე აფრიალო საკუთარი აზრები, შეხედულებები, სურვილები. ეს რისკიცაა და სიამოვნებაც, გააჩნია, როგორ მიუდგები საკუთარ ეგოს.

მკითხველს სჭირდება ცოტა ტკივილი და ბევრი სინათლე. მიდგომები სამართლიანობას ითხოვს. ზუსტი ბარომეტრია მკითხველი, ერთ ყალბ ნოტს არ გაპატიებს. თუმც მკითხველიცაა და მკითხველიც. ზოგს მხოლოდ სკაბრეზი იტაცებს, საკუთარი დედის გინებით იხიბლება, ამიტომ ეტანება ქუჩური ჟარგონით გაძეძგილ ფსევდოლიტერატურულ ნაწარმოებებს, რომლის მსგავსიც უხვად იქმნება ჩვენს დროში და გამომცემელთა დიდი მხარდაჭერაც აქვს.

დღეს ელვის სისწრაფით იცვლება კრიტერიუმები. ყველაფრის გადაფასება, უფრო სწორად, გაუფასურება გლობალურ მასშტაბებს იძენს. მკვიდრდება ცინიზმი წარსულისადმი. გაიოლდა სიწმინდეების შებილწვა უდიერი გამოთქმებით, სულაც ინდიფერენტულობით. წარსულის ნიშნით იარლიყდადებულ ღირებულებათა გადაფასება მკითხველის სასტიკ მეტამორფოზას იწვევს. წიგნი ზოგჯერ ცხოვრების ზედმეტი ატრიბუტი ხდება. სამწუხაროდ, მკვეთრმა სოციალურმა უწონასწორობამ წიგნს მკითხველი დაუკარგა. ვისაც წიგნი ეძვირფასება, მის შეძენაზე არ მიუწვდება ხელი. ამასთან, გულისმომკვლელია ხილვა, ქუჩები როგორ სასაფლაოდ იქცა ოჯახებიდან გამოზიდული კლასიკით, იმ აურაცხელი საუნჯით, რაც დიად შემოქმედებით სულებს შეუქმნიათ და რასაც ახლა მდიდარ ხელისუფალთა მიერ მართულ ქვეყანაში ღარიბი მოსახლეობა პურის ფულად აქცევს. სახეზე გვაქვს გულგრილი ეპოქის ნამდვილი ტრაგედია.

ჩრდილში მდგომი მწერალიც დროის მსახვრალი ხელის მსხვერპლია. ტელესტუდიების ხშირმა სტუმრებმა შეიძინეს პოპულარული მწერლის გადაჭარბებული სტატუსი. თუმც მათ ტელემწერლები შეარქვეს, ისინი მაინც ქმნიან ფსევდო, მაგრამ მაინც ლიტერატურულ ამინდს. ითვისებენ გრანტებს, კონკურსებსაც იგებენ, ყველა საკონკურსო ჟიურშიც მათ იწვევენ.

კერძო კაპიტალის ხელში აღმოჩენილი ლიტერატურული ჟურნალებისა და გამომცემლობების მფლობელების მიერ უმეტესად არა პროფესიონალიზმის, არამედ კლანური პრინციპით დაკომპლექტებული კადრებიც ტელეპოპულარულთა ნაწარმოებებს ირჩევენ საბეჭდად. ჩრდილში მდგომი, თუნდაც კარგი მწერალი, არ აინტერესებთ. ერთი შოკისმომგვრელი ტენდენციის შესახებაც არ შემიძლია არ ვთქვა ორიოდ სიტყვა. თურმე ცოცხალ მწერალთა შორის ზოგი თანამედროვე ყოფილა, ზოგი საგანძურად მიჩნეული, ზოგი არარსებული, რადგან კლანში არ ზის. მან თუნდაც შედევრები შექმნას, კაპიკია მისი ფასი. არ დაბეჭდავენ, არ წაიკითხავენ და ასე მოკლავენ. ვაი ასეთ გამომცემლებს.

ბუნებაში 3000-ზე მეტი კაქტუსის სახეობა არსებობს, მაგრამ სიმრავლე არც ერთის მნიშვნელობას არ აკნინებს. პირიქით, ყოველი მათგანი გამოირჩევა განუმეორებელი ფორმით და თავისებური სილამაზის მატარებელია.

ცნობილია, რაც ხშირად შეხედავ კაქტუსს, მით მალე იზრდება იგი, უკეთ ხარობს. ხომ უბრალო ყურადღებაა, მცენარეზე კი ასე ცხოველმყოფლად მოქმედებს. ადამიანს მით მეტად სჭირდება ყურადღება. ჩვენთან მწერლისადმი მიმართებაში რა სურათი გვაქვს? პირუთვნელი ლიტერატურული კრიტიკის არქონის გამო მწერალი იგნორირებულია თვით საზოგადოების მხრიდანაც, იმ საზოგადოებისგან, ვისი ქომაგიც გახლავთ იგი, ვისთვისაც ქმნის. თავზარდამცემი მდგომარეობაა.

ტოტალური პოლიტიზება ხომ სულს უხუთავს ქვეყანას, ამახინჯებს ცნობიერებას. ერთხელ ახალგაზრდებთან მომიწია საუბარმა. ძალიან უნდოდათ თანამედროვე ლიტერატურაში განსწავლულად წარმოეჩინათ თავი. დაჯერებით ლაპარაკობდნენ ბევრ სისულელეს. საყვარელი მწერალიც ახსენეს – თქვეს მთავრობასთან დაახლოებულის გვარი ჩემი წინა თაობიდან, ვისმა მწერლობამაც მუდმივი ექსპერიმენტის ჩარჩოებს ვერ გააღწია. ბოლომდე ლაბორატორიად დარჩა, ანუ მადლიანი ქართული სიტყვის განგებ წვალება-დამახინჯების ვნებათა ტყვეობაში. ვიკითხე, მისი რა გაქვთ-მეთქი წაკითხული? ერთი ნაწარმოებიც ვერ დამისახელეს. დასკვნა მარტივია: ვისაც ამა თუ იმ გზით სიცოცხლეშივე შეუძლია საკუთარ თავზე მითის შექმნა, მისი ბამბაც ყურისწამღებად ჩხრიალებს.

დღეს გმირობის ტოლფასია სამწერლო ასპარეზზე ყოფნა, სადაც გიწევს დაუნდობელ ბრძოლაში მონაწილეობა. არაპოლიტიზებული მწერალი განწირულია. არ ელოდება დაფასებას არც ხელისუფლების, არც საზოგადოების მხრიდან; არც ჰონორარს, არც სოციალურ დაცვას, არაფერს ელოდება, გარდა უსასოო სიბერისა, რაც, ვფიქრობ, ქვეყნის ხელისუფალთათვის დიდი სირცხვილია.

დღეს შეგიძლია წერო მხოლოდ მომავლისთვის, იმ საღი დროების ადამიანებისთვის, ვინც ისტორიის კვნესას ყურს არ არიდებს, არ დაიბრმავებს თვალს თვისტომის ღვაწლის დასანახად და, რაც მთავარია, ექნება მშობლიური მწერლობით სიამაყის განცდა.

წერილი

თამარ ხეცურიანი

შერვუდ ანდერსონის „აუნთებელი ლამპრების" მხატვრული ანარეკლი

საკვანძო სიტყვები: ეპიზანია: "მნიშვნელოვანი წუთები", გაუცხოება, ფსიქოლოგიური ნოველა, ნოველათა ციკლი.

ამერიკელი მწერლის შერვუდ ანდერსონის შემოქმედება აღმოჩნდა XIX საუკუნისა და XX საუკუნის ლიტერატურის გზაგასაყარზე. <u>მისი სახელი მჭიდროდაა დაკავშირებული ამერიკული ფსიქოლოგიური ხასიათის ნოველის შექმნასთან.</u> ანდერსონის როლი და დამსახურება განპირობებულია მისი სინთეზური სტილით, რადგან ამერიკული კლასიკური ლიტერატურის ტრადიციების განვითარებასთან ერთად, მან შეითვისა ის პრობლემატიკა, რომელიც ისტორიულმა ცვლილებებმა შემოიტანეს ცხოვრებაში, სოციალური განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლისას. <u>მწერალი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სინამდვილის ფსიქოლოგიურ-ემოციურ მხარეებს.</u> მისი ნაწარმოებების თემატიკაში აისახა ის თვისებრივად განსხვავებული მოვლენები, რომლებიც თან მოიტანა ახალმა საუკუნემ და რომლებიც ტიპიური არ იყო ამერიკული ლიტერატურის წინანდელი ეტაპებისათვის.

ანდერსონს სახელი გაუთქვა ნოველათა კრებულმა „უაინსბურგი, ოჰაიო" (Winesburg, Ohio, 1919), რომელიც არღვევდა ამერიკული ნოველისტიკის უკვე ჩამოყალიბებულ ტრადიციას და ყურადღება მიიპყრო უჩვეულო ფორმითა და შინაარსით. ანდერსონის სტილი და მანერა კიდევ უფრო გაცხადდა და განმტკიცდა მომდევნო, ოდნავ უფრო გვიან გამოცემულ კრებულში „კვერცხის ზეიმი" (The Triumph of the Egg), რომლის ერთ-ერთი შთამბეჭდავი ნოველა „აუნთებელი ლამპრები" ("Nlighted Lamps") წარმოადგენს ჩვენი ანალიზის მიზანსა და საფუძველს. ასევე გავაანალიზებთ, რამდენიმე საგულისხმო მომენტს, რომელთა გამოვლენის საშუალებასაც იძლევა ერთგვარი პარალელი შერვუდ ანდერსონის შემოქმედებასა და ჯეიმზ ჯოისის მხატვრულ პროზას შორის.

შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ნოველის ესთეტიკა, რომელიც მწერლის ადრინდელ პროზასთან შედარებით უფრო დახვეწილია, გარკვეულწილად, იმ გავლენის შედეგია, რაც შერვუდ ანდერსონმა განიცადა მოდერნიზმის იდეებთან ზიარებისას პარიზში მოგზაურობის შემდეგ და ისეთ მეტრებთან შეხვედრის შედეგად, როგორებიც იყვნენ გერტრუდ სტაინი და ჯეიმზ ჯოისი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რამდენიმე სხვა პროზაულ ნაწარმოებთან ერთად, ეს ნოველა შეიძლება ჩავთვალოთ ანდერსონის მხატვრული ოსტატობის, მისი სამწერლო ევოლუციის ეტაპობრივ მაგალითად, და ეს მაგალითი ისეთი რანგისაა, რომ ითხოვს პარალელს ამერიკული ნოველის კლასიკურ ნიმუშებთან, და რაც მთავარია, ასეთ შედარებას საფუძველიც აქვს და გამართლებაც.

„აუნთებელი ლამპრების" თემა ძალზე მოდური და ეფექტური აღმოჩნდა XX ს-ის დასაწყისისთვის. ამ ნოველაში აშკარად ჩანს საკუთრივ ანდერსონისეული ხედვა და მისეული ინტერპრეტაცია – იმ ერთგვარი კლიშეს თუ ნორმატივისა, რადაც იქცა ახლობლების გადაულახავი განცალკევების, მარტოსულობის, ანუ ზოგადად –ადამიანთა ურთიერთგაუცხოების თემა.

1921 წელს გამოქვეყნდა ანდერსონის ნოველათა კრებული „კვერცხის ზეიმი". კრებულს ქვესათაური აქვს: „წიგნი ამერიკული ცხოვრების შთაბეჭდილებათა შესახებ გადმოცემული მოთხრობებსა და ლექსებში". სიუჟეტი ამ კრებულის ორი ნოველისა -„აუნთებელი ლამპრები" და „ხაფანგის კარი" აღებულია გამოუქვეყნებული რომანის ხელნაწერიდან - „მერი კოკრენი".

ნოველაში „აუნთებელი ლამპრები" გადმოცემულია მამა-შვილის ურთიერთობის დრამა. მოქმედება ვითარდება ამ ორი პერსონაჟის ხედვა–განცდის მონაცვლეობითი თხრობით. არის კიდევ ორი–სამი ეპიზოდური პერსონაჟი, რომელთა ფუნქცია ოსტატურადაა წარმოდგენილი, რამეთუ ისინი ჰარმონიულად ერწყმიან და ანვითარებენ ორი გმირის ფსიქოლოგიური პორტრეტის პლანებს, და ამავე დროს თავადაც ინარჩუნებენ სავსებით დამოუკიდებელ სახეს ცოცხალი პერსონაჟისას, რომელსაც აქვს საკუთარი ცხოვრებისეული გზაც და ბედიც, და მისი გადაკვეთის ხაზები მთავარ გმირებთან აბსოლუტურად რეალურია, რადგან ეს სახეები თანაბრად ინარჩუნებენ დამაჯერებლობასაც და ლოგიკასაც.

ამ ნოველის პირველივე წინადადება აბსოლუტურად კონტრასტული ჩანს იმპრესიონისტულ მანერასთან, რაც ჩვეულებრივ დამახასიათებელია ანდერსონის მხატვრული ტექნიკისთვის: „კვირა საღამოს, შვიდ საათზე, თვრამეტი წლის გოგონა, მერი კოკრენი, გამოვიდა სახლიდან, სადაც ის ცხოვრობდა მამასთან, ექიმ ლესტერ კოკრენთან ერთად[1].” [ანდერსონი 1981:138] ნაწარმოებში მოცემულია კონკრეტული დრო: 1908 წლის ივნისი. როგორც ვხედავთ, მწერალი ცდილობს, რომ თხრობას შესძინოს მაქსიმალურად რეალისტური, მეტიც – დოკუმენტური დამაჯერებლობა. აქ მოყვანილმა წელმა გაგვახსენა ერთი თარიღი, რომელიც ლიტერატურის თეორიის თვალსაზრისით, კიდევ უფრო საყურადღებოა, კერძოდ, 1904 წლის 16 ივნისი, დღე, რომელიც ჯოისმა აირჩია თავის “ულისეში” გადმოცემული მხატვრული სამყაროს და ზოგადად, თანამემამულეთა ცხოვრების ლიტერატურული “სტოპ-კადრისათვის”. პარალელის გატარება გვიკარნახა არა მხოლოდ თარიღის კალენდარულმა სიახლოვემ, არამედ იმანაც, რომ ჯოისის შემოქმედებითი მემკვიდრეობის დახასიათება, როგორც ამას იძლევა ანგლო-ამერიკული ლიტერატურის ლექსიკონი, ძალიან ახლოა ანდერსონის ნოველათა კრებულის აღიარებულ დახასიათებასთან: „ჯოისის მთელ შემოქმედებას შეიძლება ეწოდოს „დუბლინელები”. მისი ნაწარმოებები, ერთად აღებული, ერთ მთლიანობას ქმნიან.”[2] [პოლარდი 1976:375] ამ კომენტარში არ არის ისეთი არაფერი, რომელიც მთლიანად არ მოერგება ანდერსონის “უაინსბურგის” შეფასებას, როგორც აგრეთვე დაფანტული, შეუკავშირებელი ელემენტებით შექმნილ, სინამდვილის ერთიან ეპიკურ პანორამას, სადაც გმირების ცხოვრებისეული სურათის დეტალები საერთო კომპოზიციაში ერთიანდებიან და წიგნის მთლიანობას განაპირობებენ.

მაგრამ პარალელი კიდევ უფრო დამაჯერებელი ხდება ჯოისის მანერის შემდეგი დახასიათებით, რადგან იქვე, მომდევნო შეფასებაში არ არის არც ერთი ელემენტი და ნიუანსი ნიშანთვისებისა, რომელიც თანაბრად არ მიესადაგებოდეს ანდერსონის ხელწერას: „რაც შეეხება სტილს, ყველა მოთხრობა ემყარება ეპიფანიის ჯოისისეულ იდეას, უმნიშვნელო საგანს შეუძლია გამოამჟღავნოს თავისი შინაგანი ბუნების დიდმშვენიერება, ბრწყინვალება.”[3] [იქვე 1976:375]. ვინც ოდნავ მაინც მოასწრო, შეექმნა თუნდაც მინიმალური წარმოდგენა ანდერსონის ნოველებზე, აუცილებლად მიაქცევს ყურადღებას მოყვანილი ფრაზის მეორე ნახევარს, ეპიფანიის ცნების ახსნით და აქვე დავამატებდით ჯოისისეულ განმარტებას, რომ ხელოვანი თავისი შემოქმედებით მკითხველს უზიარებს გამობრწყინების ასეთ წუთებს. ნათქვამი თანაბარი “უფლებით” შეგვიძლია გამოვიყენოთ ანდერსონის მანერის დასახასიათებელ კომენტარად, მით უფრო, რომ ანდერსონი თავის ნაწარმოებებში მსგავს მომენტებზე აკეთებდა აქცენტს და, თუ ჯოისი საუბრობდა ეპიფანიაზე, ანდერსონი იგივეს უბრალოდ „მნიშვნელოვან წუთებს” უწოდებდა. ჯოისი, დუბლინელებში’ ევროპის ერთ–ერთი დედაქალაქის მაცხოვრებელთა უღიმღამო ყოფას ასახავდა, ხოლო ანდერსონი კი ამერიკის შუადასავლეთის ერთ–ერთი პროვინციული ქალაქის სასოწარკვეთამდე მისულ ბინადართა ერთფეროვანი ცხოვრების სურათებს აღწერდა. ორივე წიგნი წარმოადგენს ნოველათა ციკლის პირველ ნიმუშს გამოცემულს ინგლისურ ენაზე. [ქერი 1980:240]

წარმოდგენილი პარალელის მიზანია არა ”სამწერლო შეჯიბრისმაგვარი” სურათის წარმოჩენა, ანდა ლიტერატურული ”მანერის პირველობის” დადგენა, არამედ გაცილებით უფრო მნიშვნელოვან საკითხში გარკვევა, რომელიც ეპასუხება რეალიზმის ასახვისა და გადმოცემის მხატვრულ ფორმებს და ტექნიკას. ამ პარალელის საფუძველზე, შეგვიძლია დაბეჯითებით აღვნიშნოთ, რომ ორივე მწერალი ცდილობდა საკითხის მკვეთრი და მკაფიო ფორმულირება გამოეყენებინა სინამდვილის დამაჯერებელი სურათის აგებაში. ასეთი ხერხი მკვეთრ კონტრასტს წარმოადგენდა განსხვავებული ლიტერატურული მიმდინარეობების საერთო სურათთან, რომელშიც ჭარბობდა მიდრეკილება იმპრესიონისტული მანერისაკენ.

იმ პერიოდის მწერალთა გარემოსთვის დამახასიათებელი იყო ექსპერიმენტისაკენ გადამეტებული და გადაჭარბებული სწრაფვა, რამაც ერთგვარი უკურეაქცია გამოიწვია ორივე ავტორის შემთხვევაში, და განაპირობა ამგვარი “გარეგნული კონსერვატიზმი” მხატვრული მეთოდის არჩევაში – გამომდინარე იქიდან, რომ იმპრესიონისტული ესთეტიკა თითქოს იძლეოდა გაცილებით მეტ თავისუფლებას, ჰუმანური გრძნობით გაჟღენთილი სიუჟეტების შესაქმნელად. უნდა ისიც აღვნიშნოთ, რომ თუ ეს შენიშვნა გამართლებულია ანდერსონის მიმართ, ჯოისთან მისი ხსენება უნდა მოულოდნელი ჩანდეს – თუნდაც იმიტომ, რომ იგი მოდერნიზმის და ექსპერიმენტის მეტრად არის მიჩნეული – მაგრამ ამ არგუმენტსაც აქვს თავისი გამართლება, იმ თვალსაზრისით, რომ ჯოისის უნიკალური და უნივერსალური მხატვრული დიაპაზონი თავისუფლად “აიტანდა” თუნდაც კონტრასტული, ანდა შეუთავსებადი და ურთიერთგამომრიცხავი ტექნიკური ხერხების გამოყენებას.

ასე რომ, ჩვენი სამსჯელო ფრონტის ლოგიკის გასამართლებლად ის გვრჩება, რომ ავხსნათ და დავასაბუთოთ ხსენებული “კონტრასტული მანერა” ანდერსონთან მიმართებაში.

ანდერსონმა შეგნებულად აირჩია დოკუმენტური სტილი, როგორც საუკეთესო ეფექტური საშუალება ნოველაში დაგეგმილი თემის დრამატიზაციისათვის, ხოლო ის, რომ დრამა იმპრესიონისტული ყაიდის იქნება და ემოციურ აღქმაზე არის გათვლილი, ეს ხომ თავიდანვე ჩანს ნოველის სათაურში: „აუნთებელი ლამპრები”, ანუ “შუქი, რომელსაც ნათება არ ეწერა” – სათაურში, რომელიც ემოციურ, განცდით ინტერპრეტაციაზე არის გათვლილი.

მომდევნო წინადადება უკვე სულ სხვა მოტივის მანიშნებელია, და ამით მარაოსებრ იზრდება თემატიკის დიაპაზონი: „მერიმ უთხრა მამამისს, რომ ეკლესიაში წასვლას აპირებდა, მაგრამ მსგავსი რამის გაკეთება აზრადაც არ ჰქონია.[4]” [ანდერსონი 1981:138] ამ წინადადებაში არის რამდენიმე განსხვავებული “ქვეთემა”, რომელიც ახასიათებს არა

მხოლოდ მთავარ გმირს, მერის, არამედ წარმოდგენას იძლევა რეალობაზე და სუბიექტის დამოკიდებულებაზე სინამდვილესთან.

ტყუილის თემა, შეიძლება ითქვას რომ, მრავალპლანიანია:

1. მერი ატყუებს მამას, რომ ეკლესიაში მიდის;

2. ტყუილის ობიექტად მერი ბედავს და ეკლესიას იყენებს, რომელიც მკრეხელობადაც კი შეიძლება ჩაითვალოს – მით უმეტეს, რომ საქმე გვაქვს პურიტანული ტრადიციის მქონე კულტურასთან;

3) ამას ემატება მამის, შეცდომაში შეყვანა, ვისი მოტყუება უკვე საოჯახო ურთიერთობის დამრღვევ ნაბიჯად აღიქმება;

4) და ბოლოს, მერის არშემდგარი დანაპირების პირდაპირი ახსნა, რომ იგი მსგავსი რამის გაკეთებას არც კი აპირებდა, შეიძლება ჩაითვალოს განზრახ გათვლილ და გააზრებულ ტყუილად.

შემდეგი წყვილი და წყება წინადადებების უკვე იმდენად ტიპიურია, რომ მოგვაგონებს ანდერსონის სხვა მოთხრობებს: იგივე დაბნეული პერსონაჟი, იგივე ყოყმანი და ამასთან ერთად, უნდა აღვნიშნოთ კიდევ ის თემა, რაც აქტუალურია ანდერსონის პერსონაჟებისათვის: ფოკუსირება პირად დრამაზე იმდენად სუბიექტურია, რომ გამორიცხავს რაიმე დამხმარე, ინდივიდის მიღმა არსებული ძალის იმედს და ნდობას, რომელში ეკლესიაც იგულისხმება და ამის მაჩვენებელია ის ადგილი, სადაც ჩანს მერის განხიბლვა ეკლესიით: „დახუთულ ეკლესიაში ყოფნას და კაცის (როგორც აქ არის მოხსენიებული მღვდელმსახური–თ.ხ.), ქადაგების მოსმენას, მერიმ ამჯობინა თავისთვის, განცალკევებულად ყოფნა და მომავალზე სერიოზულად დაფიქრება.[1]'' [ანდერსონი 1981:138]

ეს ადგილი თავისთავად უკვე მეტყველია იმ თვალსაზრისით, რომ პერსონაჟი ფსიქოლოგიური ჩიხიდან თავის დაღწევას, გამოსავალს ეძებს.

ამრიგად, ნოველის პირველივე აბზაცი სრულდება მითითებით პერსონაჟის პირად დრამაზე, მის მარტოსულობაზე. ასე რომ, ნოველის ეს ინტროდუქციული აბზაცი იძლევა იმ იდეოლოგიურ ტონალობას, რომლის "მუსიკალური გასაღებით" უნდა მივადგეთ ნოველის თემას და შევიდეთ ნაწარმოების სიუჟეტში. მთავარი თემა კი ისევ და ისევ ანდერსონისეულია: ეს იმას ნიშნავს, რომ უახლოეს ადამიანებს შორის ვერა და ვერ ხერხდება ურთიერთგაგება – გინდ მამა–შვილს შორის და გინდ ცოლ–ქმარს შორის. ავტორისეული მანერის მიმანიშნებელი კიდევ ერთი დეტალი ის არის, რომ პერსონაჟი ეთვისება ასეთ ვითარებას და ამიტომ მისი არსებობა სანდო და სარწმუნო სითბოს და კონტაქტის ძებნაშია და ძებნის ეს პროცესი ფაქტიურად სიმბოლურ ჟღერადობას იძენს, რადგან კონკრეტული მიკროდეტალები განასახიერებენ იმ დრამატულ ფონს, რადაც არის ქცეული მათი არსებობა, და საბოლოო ჯამში ჩვენს წინაშე იშლება პერსონაჟის ეგზისტენციალური დრამა.

მერის განწყობა ახსნილია მამის მძიმე სნეულების ამბით და მოახლოებული სიკვდილით, რასაც ექიმი ამცნობს თავის ქალიშვილს. ანდერსონს თხრობაში შემოაქვს „პარალელური აღწერის'' მანერა, ანუ მერი იხსენებს წინა დღის სურათს, როდესაც მამამ გაანდო თავისი ამბავი, და მერის მოგონებაში აღდგენილ სურათს მოსდევს ქალაქის რეალური ცხოვრების სცენები, რომლებიც იმდენად სახიერია, რომ მეტყველებს ანდერსონის მაღალმხატვრულობასა და ხედვა-აღწერის გამორჩეულ უნარზე; და ასევე იმაზე, რომ იგი კონკრეტული აზრის მატარებელია და არ შეიძლება გავაიგივოთ რაღაც დეკორატიული ელემენტის ფუნქციასთან. "მერის და მამის" და "მერის და გარემოს" თემების პარალელური გახსნა გამოყენებულია სინამდვილის დრამატიზაციისთვის. ამავე დროს, "პარალელური აღწერის" ამგვარი ხერხით ანდერსონი ცდილობს მერის მარტოსულობის ფსიქოლოგიური მიზეზების დასაბუთებას, და იმას, რომ მერის და მამამისის ბედი და მომავალი მხოლოდ ამ ორი პიროვნების საფიქრალია - ამის შეგნებას ავტორი აგრეთვე წარმოაჩენს როგორც ეკლესიაში მერის არწასვლის მოტივირებას.

„მერის და გარემოს'' თემა ნოველის სიუჟეტის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ხაზია. აქ იხსნება მერის მშობლების ურთიერთობის ისტორია, მათი უიღბლო ქორწინების ამბავი, მითქმა-მოთქმა მერის დედაზე, რომელმაც მიატოვა შვილი და წავიდა ოჯახიდან. ყოველივე ამან განსაზღვრა საზოგადოების არაერთგვაროვანი დამოკიდებულება მერის მიმართ, ზოგ შემთხვევაში ეს იყო თანაგრძნობით აღსავსე, ხოლო, ზოგში, კი, საკმაოდ მკაცრი და უსამართლოც, რაც, თავის მახრივ, განპირობებული იყო მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მერი, როგორც ამას თავად[2] ავტორი აღნიშნავს – „თავისი დედის შვილი იყო.'' [ანდერსონი 1981:144] საზოგადოების მხრიდან ამგვარმა დამოკიდებულებამ გამოიწვია ის, რომ მერისაც, ძალზედ ფრთხილი, დისტანციური ურთიერთობა ჩამოუყალიბდა არსებულ გარემოსთან: იგი გაურბოდა ყველას და ყველაფერს და დღეებს მარტოობაში, ცხოვრებაზე ფიქრში ატარებდა. აქ შეიძლება ამოვიცნოთ ანდერსონისათვის დამახასიათებელი თემა: ბედისწერის დამანგრეველი, დესტრუქციული გავლენა განწირულ გმირზე. „მერის და გარემოს'' თემის გაგრძელებაა ეპიზოდი, როდესაც მერის ფიქრებს ემთხვევა სცენა, როდესაც კაბრიოლეტიდან გადმოსული ახალგაზრდა ჩამოსვლაში ეხმარება თავის სატრფოს. ეს უკავშირდება მერის ხშირად ნანატრ სასიყვარულო ოცნებას, თუმცა, ახალგაზრდა მამაკაცის, დიუკ ეტერის მიმართ, რომელსაც მერისთან დამეგობრება სურდა, იგი განსაკუთრებულ სიფრთხილესა და ერთგვარ უხეშობასაც კი იჩენს ხალხში დამკვიდრებული იმ აზრის გამო, რომ მერი, როგორც დედამისის შვილი, ერთ დღესაც, იქნებოდა და ცუდ გზას დაადგებოდა.

მამის თემა პრაქტიკულად ორი წინადადებით შემოდის: ერთი, როდესაც მამა ამცნობს მერის თავისი ავადმყოფობის ამბავს და მეორე, ეუბნება ამას ცივი, მშვიდი ხმით. საქმე ისაა, რომ ავტორს შეეძლო ამ წინადადებების გაერთიანება, მაგრამ ნაცვლად ამისა ანდერსონი მათ ჰყოფს და მათ შორის აქცევს ქალაქის ცხოვრების ორ დიდ აბზაცს, თითქმის მთელ გვერდს, რასაც მოსდევს სუბიექტური მინორული მოტივის შეცვლა ობიექტურ-ეპიკური "პანორამული სურათით".

მამის, როგორც საწყისის, რომელშიც წარმვალობაც ამოიცნობა – ასეთი ინტერპრეტაცია ჩანს არა მხოლოდ იმ სიტყვებიდან,სადაც საუბარია მოახლოებულ სიკვდილზე, არამედ კიდევ შემდეგი ფრაზიდან: „გოგონასთვის, ყველაფერი, რაც კი დაკავშირებული იყო მამამისთან, გაიგივებული იყო სიცივესა და სიმშვიდესთან.” [ანდერსონი 1981:139] აღნიშნული ფრაზის ბოლო სიტყვები სიკვდილთან არის გაიგივებული და ამიტომ უნდა გავიგოთ როგორც “მოახლოებული სიკვდილის” თემის გამეორება. რაც შეეხება “მეტაფიზიკური” მოტივიდან რეალისტურზე გადასვლას, ამას ანდერსონი ახერხებს ფულის, როგორც ნატურალისტური ატრიბუტიკის შემოტანით, რომელიც გაიგივებულია ბედთან, მისი უქონლობა – უბედობასთან, მწარე მომავალთან, როდესაც მამა მიმართავს მერის და ეუბნება, რომ მას ცოტაოდენი ფული აქვს გადანახული და მან (იგულისხმება მერი–თ.ხ.) მომავალზე უნდა იფიქროს.

მამის პორტრეტის აღწერა არ იქნება სრული, თუ არ გამოვყოფთ რამდენიმე საგულისხმო შტრიხს: მიუხედავად გარეგნული სიცივისა, ექიმი კოკრენი ძალზედ მგრძნობიარე ადამიანი, ყურადღებიანი ექიმი და მოსიყვარულე მამა იყო. ბევრჯერ სურდა მას მოფერებოდა თავის შვილს, მაგრამ ვერ ახერხებდა, თითქოს შინაგანად რაღაც ბოჭავდა მას და ამ დაძაბულობისაგან გათავისულება, ამ სიმძიმის მოხსნა არ შეეძლო და ამას ძლიერ განიცდიდა.

მნიშვნელოვანი ადგილი ნოველაში არის ერთ-ერთი საფინალო სცენა, როდესაც მერი კოკრენს ხვდება მამამისის ყოფილი ავადმყოფი, მუშა, რომელიც თბილად, მადლიერების გრძნობით საუბრობს ექიმ კოკრენზე და გაიხსენებს, თუ რაოდენ დიდი დახმარება გაუწია ექიმმა მის ოჯახს. სწორედ აქ განიცდის მერი, გამობრწყინების წუთებს, – ეპიფანიას, როგორც ჯოისი იტყოდა. მისთვის ეს არის მამამისის აღმოჩენა, მერის პიროვნებაში ხდება სრული ტრანსფორმაცია და მას, პირველად თავის ცხოვრებაში, უჩნდება სურვილი, რომ, გამოვიდეს კარჩაკეტილი არსებობიდან და მოესიყვარულოს მამას. აქ უნდა გამოვყოთ სიტყვა ‘გამოსვლა,’ რომელიც საერთოდ გამოხატავს ანდერსონის პერსონაჟთა სულიერი კონფლიქტის კულმინაციურ მომენტს, ვინაიდან ყველა ასეთი პერსონაჟი გადის ყოფითი არსებობის რუტინული ფორმიდან, და ცოტა ხნით მაინც, თვისებრივად განსხვავებული რეჟიმის წესით იქცევა. სიტყვა “გასვლა” მამასთან მიმართებაშიც უნდა გამოვიყენოთ, ოღონდ სხვა კონტექსტში, იგი მიდის ამ ცხოვრებიდან ისე, რომ მერი ვერ ახერხებს თავისი გრძნობების „რეალიზაციას.” სიტყვები დარჩა უთქმელი, მაგრამ მამა-შვილური ურთიერთობა ნაგვიანევად, თუმცა, ვფიქრობთ, მაინც შედგა. ლამპრეტმა, მართალია ,აუნთებელმა,” თავისი ანარეკლი მაინც დატოვეს მერის გულში: „ექიმ კოკრენს თითებს შორის დარჩა მოკიდებული სიგარეტი, რომელიც ანათებდა სიბნელეში.” [ანდერსონი 1981:155]

აქ მოყვანილი მამა-შვილის ურთიერთობის დრამას, ვფიქრობთ, აქვს კიდევ ეროვნული ტრადიციის მიზეზი და ისტორიული საფუძველი, კერძოდ, პურიტანული კულტურისა და ყოფითი შეგნების ორგანულობა და ფსიქოლოგიური ”მდგრადობა” ამერიკელთა ბუნებასა და ხასიათში: აშკარაა ამ ტექსტში ნათანიელ ჰოთორნის ტრადიციის და თემატიკის აღდგენა, ოღონდ დასადგენია, რა არის ამ ელემენტის აღორძინების და გაცოცხლების მიზეზი: ტრადიციის მართებულობის და ფსიქოლოგიური სისწორის რწმენა, თუ ერთგვარი “ფორმალური რევერანსი” ეროვნული ლიტერატურის ეპოქების გასაერთიანებლად? რასაკვირველია, ეს შენიშვნა ნაკლებად სავარაუდოა და მოგვყავს მხოლოდ როგორც თეორიულად დასაშვები სავარაუდო მომენტი.

რაც შეეხება ნოველის სტილისტიკას, ამ მხრივ მწერალმა გაიაზრა თავისი ადრეული ნოველისტიკის რამდენიმე მინუსი, რომელთაგან ერთ–ერთი ყველაზე უფრო ხშირი იყო სტილისტური ეკლექტიკა, სადაც მოთხრობის სიუჟეტური ხაზი პერიოდულად ისე იყო შერეული ავტორისეულ თხრობასთან, რომ სტილისტური შეუსაბამობა საერთოდ არ იყო გათვალისწინებული. ამ კუთხით ეს მოთხრობა სტილისტურად ბოლომდე ერთნაირია: ყოველი გადამწყვეტი აზრობრივი მახვილი ძალიან ორგანულადაა ასხმული სიუჟეტის ეპიზოდებზე, ანდა ჩაწნულია ნარატივის კონკრეტულ ეტაპებში. ამიტომ ის ამბავი, რასაც გვიყვება მწერალი, აღიქმება როგორც მოთხრობის ობიექტური სინამდვილე, რაც ყველას თვალწინ იშლება. მაგრამ ანდერსონის თხრობის სპეციფიკა სწორედ იმაშია, რომ ის მშვენივრად ახერხებს გაამდიდროს სათქმელი დამატებითი პლანით, და ეს დამატებითი პლანი უკვე პერსონაჟთა სუბიექტური განცდაა, მათი ფსიქოლოგიური სამყარო. ეს სამყარო იშლება ნარატივის სიუჟეტურ ფონზე და მთხრობელის თვალი მიჰყვება პერსონაჟის მოძრაობას თუ რეპლიკას და მკითხველი ისე შედის მოთხრობის ობიექტური რეალობის პლანიდან პერსონაჟის შინაგან სუბიექტურ და ვირტუალურ რეალობაში, რომ საერთოდ არ იგრძნობა „გარდასვლის უხერხულობა”; ბუნებრივია, რომ ასეთი „გლუვი გარდასვლის” შედეგად მკითხველს უჩნდება რეალობის განსხვავებული, მრავალპლანიანი აღქმა, ანუ ისეთი, რაც მიზნად ჰქონდა ავტორს.

ჩვენი ანალიზის დასასრულს გვინდა გამოვყოთ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი დამახასიათებელი ანდერსონის შემოქმედებისთვის: ეს იყო მისი უწყვეტი სწრაფვა, რომ მოვლენაც და აზრიც წარმოეჩინა მაქსიმალური სიმართლით. სიცხადე და გარკვეულობა – იყო მისი ხშირად გამეორებული ლოზუნგი თავის ლიტერატურულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, და ბუნებრივია, რომ ამ მიზნის მისაღწევად მწერალი ცდილობდა, რომ ყოველთვის დამაჯერებლად ევლო თავისი მხატვრული პროზის მაგისტრალურ ხაზზე.

ლიტერატურა

1. ანდერსონი 1981: Sherwood Anderson, Selected short stories. Moscow, Progress Publishers,1981. gv.138-155

2. პოლარდი 1976: Arthur Pollard (ed.), New World Companion for English and American Literature, New York, Popular Library [1976]. p.375

3. ქერი 1980: martha Curry, ‘Sherwood Anderson and James Joyce’, American Literature,Vol.52, 1980, gv.240. www.jstor.org/stable/2924814 (ბოლო ნახვა 29.08.2011)

წერილში გამოყენებული ციტატების თარგმანი ავტორს ეკუთვნის.

ხელოვნება



ხედვის წნყლი და ანარეკლის ტექნოლოგია

კოტე გოგოლაშვილი

არის ნაწილი შრომისა, რომელიც მიეძღვნა დრამის ევოლუციას მსოფლიო კულტურაში. თეატრალური ჟანრის პრაქტიკულად მუდმივმა კავშირმა ცივილიზაციათა ისტორიასთან თავისთავად წამოჭრა საკითხი დრამის ისეთ სპეციფიკურ ნიშნებისა, რომლებიც ხელს უწყობენ მის ადმოცენებას სრულიად განსხვავებული სულიერი და მატერიალური კულტურის გარემოში. ამან განაპირობა ინტერესი იმის მიმართ, თუ რა უწყობს ხელს ამ ჟანრის ადმოცენებას, და რას მეტყველებს კონკრეტული კულტურული ნიადაგის სხვაობა – ჟანრის ესთეტიკური პრინციპების მსგავსების ან თანხვედრის ფონზე.

წერილი პირველი

ჯერ მიზნებით დავიწყებ, რას ვაპირებთ და რისთვის:

1. განვიხილოთ დრამა, როგორც უძველესი ხელოვნების პოპულარული ფენომენი ანტიკურ კულტურაში და აღმოსავლეთის წამყვან ცივილიზაციებში – ინდოეთსა, ჩინეთსა და იაპონიაში, და ამასთან ერთად, დავადგინოთ მისი პოპულარობის განმსაზღვრელი ძირითადი მიზეზები.

2. აღმოსავლეთის და დასავლეთის თეატრალურ ტრადიციაში დავადგინოთ დრამატული ჟანრის ესთეტიკის განმსაზღვრელი ნიშნები, რათა მათ საფუძველზე გავარკვიოთ ზოგადად ამ ჟანრისათვის საჭირო, უნივერსალური ესთეტიკური ღირებულებების მქონე მხატვრული ელემენტები – როგორც ბერძნულ, ასევე აღმოსავლურ თეატრალურ ტრადიციაში.

3. შევისწავლოთ დრამატული ჟანრის არსით და ფუნქციით განპირობებული ის სპეციფიკური უნარი, რომელიც, ჩვენი ვარაუდით, განსაზღვრავს ნაწარმოებში მხატვრული მასალის ორგანიზაციას და სისტემურ-სტრუქტურულ წყობას.

4. ასეთი თვისების დადგენის შემთხვევაში, ლოგიკურია, რომ ჩამოყალიბდეს გარკვეული ჟანრებისა და მხატვრული სკოლების არა მარტო ევოლუციის მორიგი ეტაპის სახე და კონტური, არამედ ამ ეტაპის დასრულების სავარაუდო სურათიც. შესაბამისად, ასეთივე ლოგიკით შეგვიძლია განვსაზღვროთ თანამედროვე მხატვრული ფორმების განვითარების ტენდენცია და ზღვარი.

ხელოვნების სხვა დარგებთან შედარებით, დრამა როგორც ცალკე, დამოუკიდებელი ჟანრი, უფრო გვიან შეიქმნა. მისი ასეთი ხანმოკლე ისტორია ლოგიკურია, რადგან სინთეტური ხელოვნების ჩამოყალიბება ყოველთვის საჭიროებს მისი შემადგენელი დარგების განსაზღვრულ დონეს და გავლილი ევოლუციის რაღაც ეტაპებს. შესაბამისად, დრამის წარმოშობა მხოლოდ მაშინ გახდა შესაძლებელი, როდესაც სათანადო სიმაღლეს მიაღწია პოეზიამ და მხატვრულმა სიტყვამ, მუსიკამ და ქორეოგრაფიამ, ანუ ყველა იმ შემადგენელმა ელემენტმა კომპლექსში, რომლის გარეშე ვერ შესრულდებოდა სანახაობა – თავიდან, ჯერ რელიგიური მისტერიისა, ფორმით, რაც იყო პირველი ეტაპი კოლექტიური სანახაობითი თანაგანცდისა. შემდეგ კი, ვინაიდან თანაგანცდა საფუძველია რიტუალური რელიგიური მისტერიისა, ამ მუხტით გაჯერებული მისტერია გადაიქცა დრამის და თეატრალური ჟანრის წყაროდ ყველა უძველეს კულტურაში. ვინაიდან თეატრი თავისი არსით არის ორგანულ კავშირში მსმენელ-მაყურებლის მასასთან, ამიტომ ჟანრმა საფუძვლად იმთავითვე "დაინათლა" კოლექტიური თანაგანცდის აუცილებლობა, და ამ თანაგანცდის ყველაზე ეფექტური მხატვრული სიმბოლო გახდა კათარსისი, რომლის ფუნქცია სცდება მხატვრული ხერხის თუ ტექნიკის ზღვარს და ფუნქციას – რადგან გადაიქცა იმ რანგის ელემენტად, რომელმაც განაპირობა დრამატურგიის სიცოცხლე და შემდგომი აღზევება, ანუ განაპირობა მისი დროში განვითარება უაღრესად ადამიანური და კეთილშობილური სულიერი და ზნეობრივი ნორმების უნივერსალობით.

ამაზე დიდი კომპლიმენტის მოფიქრება, მგონი,

ძნელია, და აღმოსავლურ თეატრთან პარალელებში, ვეცდებით დავიცვათ შესადარებელი მასალა-არგუმენტის იდეური და ესთეტიკური დონე, რაც ძალიან ძნელია, მაგრამ ამაში გვეხმარება დრამის ჟანრობრივი სპეციფიკა – ის, რომ თეატრალური ხელოვნება სინთეტური ჟანრია. ამიტომ, შედარება-დაპირისპირების დიალოგში ვბედავთ – და მაგალითისთვის, სიტყვაზე დაფუძნებულ მომგებიან დეტალს ვაწონასწორებთ თუნდაც არავერბალური, რაიმე სახიერი, მატერიალური არგუმენტით, რაც აგრეთვე მეტყველებს კონკრეტული თეატრალური ხელოვნების მხატვრული რანგის იდეურ სიღრმეზე და დახვეწილობაზე; შეიძლება ასეთი მსჯელობა გუნდურ თამაშს მივამსგავსოთ, რატომაც არა? მაგრამ მთავარი ხომ ბურთის გატანაა, და არა მოთამაშის ფუნქცია.

ასე რომ, სამსჯელო სცენაზე, ამ მოკლე წერილის ფარგლებში, ვახსენებთ მხოლოდ მას, რასაც უშუალოდ ვიყენებთ ჩვენი სამსჯელო ხაზის წარმოსაჩენად. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩინურ დრამას ნაკლებად შევეხებით, რადგან ჩვენთვის ცნობილი მისი პიესების სპეციფიკა გვკარნახობს შედარებას უფრო არისტოფანეს თემატიკასთან, მისი პიესების ტონალობასთან, რაც არ მიგვაჩნია ჩვენი ძირითადი სათქმელის მთავარ ნაწილად. თუკი რამ მსგავსება მოიძებნება, ეს უფრო კაზუსივით წარმოგვიდგება, რამაც თავი იჩინა კომედიურ ჟანრში. თუმც, ამ მომენტის ახსნა ადვილია: განვითარებული ქვეყნის და საზოგადოების სოციალური თემატიკის ფართო სპექტრი მუდამ ტიპიურია, და ამიტომ თანაბრად აქტუალური უნდა ყოფილიყო როგორც არისტოფანესთვის, ასევე ჩინური კულტურის ტრადიციისათვის, რომელიც ყოველთვის ითვალისწინებდა საზოგადოებრივ პრობლემებს თავისი სოციალური ეთიკის ფილოსოფიაში.

ამრიგად, ორიგინალური ესთეტიკური ფორმის თვალსაზრისით, ძველი აღმოსავლური დრამის სამი ტრადიციიდან, ბერძნულთან უფრო ახლოს აღმოჩნდა XIV ს. იაპონური დრამა, ანუ ისტორიულად მისგან უფრო მეტად დაშორებული, ვიდრე ეს ითქმის ინდურ დრამატურგიაზე, რომლის საწყისები უკვე ჩვ. წთ. II საუკუნეში არსებობდა.

ამრიგად, გვრჩება ინდოეთი და იაპონია. თუ ინდოეთი ეპოქალურად და ისტორიულად მაკედონელმა "გაათავისებინა" ელინებს, და მსგავსების თუ განსხვავების ძებნა ლოგიკურია, გაცილებით უფრო საინტერესოა საერთოს აღმოჩენა – თუკი ასეთი რამ გამოჩნდება – იაპონიის თეატრალურ ხელოვნებაში, ვინაიდან საერთო მომენტის ნახვა სრული, აბსოლუტურად განსხვავებული ტერიტორიის, კულტურის და ეპოქის პირობებში, მეტყველებს ჩვენთვის უმნიშვნელოვანეს თვისებაზე – რომ კონკრეტულ ჟანრს შეიძლება აღმოაჩნდეს სწორედ მისთვის, თვით ჟანრისთვის ჩვეული, მისი ორგანული უნარი – დაარქვით ამას, რაც გნებავთ: გინდ სისტემური სტრუქტურის აგების წესი, და გინდ "თვითდახვეწა".

კარგად გვესმის, რომ ამ პოლემიკურ "გაჭენებაში" გადავაჭარბეთ, და ჟანრი თვითონ არ იღებდა ფუნჯს და ტუშით არ ამწკრივებდა იეროგლიფებს – და ამიტომ გვინდა, რომ ძეამი მოტოკიო, იაპონური ნო-დრამის კლასიკოსი, და მისი ნაღვაწი – წარმოვაჩინოთ როგორც მისი ისტორიული გარემოთი და ვითარებით შეაგონებული; ამ შემთხვევაში ის გვექნება გასარკვევი, რა ჰქონდა საერთო მაშინდელ ველური სამურაების მხარეს – ქვეყანადაც რომ არ ითქმოდა იმხანად – და მჭერმეტყველების, პოლიტიკური ინტრიგების, დემაგოგიის, და ამავე დროს, ულამაზესი პროპორციის მარმარილოს ტაძრების სამყაროს... ანდა, რა საჭიროა წყება ასეთი არგუმენტების ბერძნების სადიდებლად, როდესაც ხალხის წიაღიდან ამოვიდა ელინური მითები, ჰომეროსმა კი "ილიადა" ჩააბარა ისტორიას!

მაგრამ სანამ ამ უგრძესი ეპოქალური კამარის ლოგიკას დავასაბუთებთ, ჯერ გვმართებს საუბარი ინდურ დრამაზე – კულტურათა ურთიერთ გავლენის ასპექტით თუ არა – ერთი-მეორის არსებობის, და განსხვავებული ეგზისტენციალური სისტემის გათვითცნობიერების თვალსაზრისით. ჩვენთვის ცნობილია, რომ სპარსეთთან გაუთავებელი ომების და დაპირისპირების მიუხედავად, საბერძნეთში ჩააღწია ცნობამ აღმოსავლეთით მდებარე ორი გიგანტური კულტურის არსებობაზე, ხოლო ჩინეთთან შედარებით, ინდოეთი უფრო ახლოს მდებარეობდა და ირანი იყო გამტარებელი ამ ინფორმაციის – რაც ძირითადად მაინც არტეფაქტებით გამოიხატებოდა, ხოლო ეგზოტიკა ჩანდა არა მხოლოდ მასალაში – ქსოვილებსა, სანელებლებსა და სპილოს ძვლის ნაკეთობებსა და მარგალიტებში ინდოეთის ოკეანედან, არამედ სულიერ კულტურაშიც და ფილოსოფიაშიც – იმ ფარგლებში, როგორიც ეს შესაძლებელი იყო "დაუსწრებელი კონტაქტის" საწყის სტადიაზე, სანამ არ მოხდებოდა ამ ორი ქვეყნის უშუალო შეხვედრა.

წარმოდგენას ფილოსოფიაზე, კასტურობაზე და ღმერთების პანთეონზე, მოჰყვა უფრო ფართო წრისათვის გათვლილი ხელოვნების ფორმები, რომელთა შორის ჩვენ გვაინტერესებს ზიარება დრამას, თეატრალურ ხელოვნებას – და ამასთან ერთად, გავლენის წყაროც და მიმართულებაც.

ამრიგად, ვიცით ის, რომ ბერძნული თეატრის ოქროს ხანის მსგავსი ეპოქა, ინდოეთში გუფტების იმპერიის პერიოდში იყო, IV-V სს., უფრო ზუსტად, III ს-ის ბოლოს და V ს-ის დასაწყისს დაემთხვა, მაგრამ მისი საწყისი რომ უფრო ადრინდელია, იქიდან ჩანს, რომ "ნატიაშასტრა" – ერთგვარი ანალოგი არისტოტელეს თხზულებისა დრამაზე – ოღონდ უფრო სპეციფიკური, სწორედ სამსახიობო და თეატრალური ხელოვნების სადადგმო ელემენტებს რომ ეძღვნება – II საუკუნეშია შექმნილი. ცხადია, ამ ტიპის შრომის გაჩენა წარმოუდგენელია, თუკი მას წინ არ უძღვის უკვე შექმნილი პროდუქციის საკმაოდ დიდი შრე და ტრადიცია. მაგრამ ისტორიას არ შემოუნახავს ეს მასალა, ვიცით მხოლოდ რომ აშვაგჰოშა იყო II ს. პოეტი და დრამატურგი, რომლის პიესების მცირე ფრაგმენტები შუა აზიაში აღმოაჩინეს. ეს ნიშნავს, რომ მაშინ ისიც და თეატრიც პოპულარული იყო, მაგრამ ნაპოვნი ფრაგმენტები იმდენად პატარაა, რომ მათ საფუძველზე შესაძლებელია მსჯელობა მის დრამაზე. ორი ავტორის – ბჰასსას და კალიდასას პიესები იძლევიან სათანადო წარმოდგენას ინდური თეატრის ესთეტიკაზე, მხატვრულ მნიშვნელობაზე და ტრადიციაზე. ამ ავტორების გაცილებით უფრო გვიან გამოჩენამ მსოფლიო სცენაზე, თითქოს თავისთავად დააყენა საკითხი, რომ თეატრალურ ხელოვნებას ინდოეთი დასავლეთიდან, უფრო ადრინდელი ბერძნული დრამის წყალობით ეზიარა, მაგრამ ინდური კულტურის სპეციალისტები თვლიდნენ, რომ მასალის გაქრობა არ ნიშნავს, რომ ის არასოდეს არსებობდა და არ აღიარებდნენ ელინური დრამის უფრო

ადრინდელ მაგალითს.

მაგრამ მათი კონტრარგუმენტები წარმოდგენამ ინდური თეატრის ტრადიციის პირველადობაზე გააბათილა ერთმა დეტალმა: ინდურ თეატრში სასცენო სივრცე ისეა განაწილებული, რომ მსახიობთა სათამაშო ფართი ფონისთვის დატოვებული სივრცისაგან გამოყოფილია ფარდით, რომელსაც იავანიკა ეწოდება. სწორედ ეს ტერმინია აღმოჩნდა წონადი არგუმენტი ამ საკითხში, ვინაიდან ამ სახელით ინდოელები ბერძნებს მოიხსენიებენ, და შესაბამისად, ის ბერძნული თეატრიდან უნდა იყოს გადმოღებული და შესაბამისად, გავლენის წყარო უნდა დასავლეთით ვიგულოთ. ამაში დაახლოებით ისეთივე ლოგიკა ჩანს, როგორც ელინთა კულტურას ნაზიარები ქართველების ლოგიკაში, როდესაც ელინებს, მათგან მომდინარე სიბრძნის გამო, ბერძნები უწოდეს. ანდა კიდევ, ჯვაროსნული ომების შემდეგ ფრანკების მახვილის "გაცნობა" ხმლის სახელსაც დაეტყო და ქართულში გაჩნდა ტერმინი "ფრანგული", რაც ხმლის სინონიმად იქცა.

მაგრამ, ამის მიუხედავად, ჩვენ თავს ვიკავებთ დასკვნისგან ზოგადად ამ ჟანრის იმპორტირებაზე, ვინაიდან თეატრალური სანახობის სპეციფიკა იმდენად არაერთგვაროვანია, რომ გასათვალისწინებელია სხვა მომენტებიც, რათა დასკვნა უფრო ახლოს აღმოჩნდეს მოვლენის ობიექტურ სურათთან.

პირველი, რაც თვალში გხვდება ბერძნული დრამის საწყისთან, ეს არის ტრადიციად ქცეული სურათი, დიონისიებზე რომ თამაშდებოდა, მომავალი ტრაგედიის წინამორბედი სანახაობა, როდესაც თხის ტყავმოსხმული კენტი მსახიობი წინ მიუძღვოდა მას აღევნებულ გუნდს, რომელშიც ქოროს შემადგენლობას აედევნებოდნენ ხოლმე მისტერიის თანამონაწილენი. ამ ცნობილ სურათში იშვიათად გამოჰყოფდნენ ერთ დეტალს, რომ დიონისე შედარებით გვიანდელი ღმერთია ბერძნულ პანთეონში, ის იყო აღმოსავლეთიდან "იმპორტირებული" და VIII საუკუნემდე არც კი მოიხსენიებოდა ელინთა "ენდოგენურ საღმრთო სამოში" თუ ოჯახში, ჰომეროსსაც კი არ უხსენებია ის თავის ეპოსში.

ვინაიდან ინდოეთში თეატრალური მისტერიები დაკავშირებული იყო ღმერთ ინდრასთან, ხოლო ჟანრის განვითარებასთან ერთად, მისმა ახალმა ნიუანსირებამ პროტექტორად და ფარად კრიშნა აიყვანა, არაა გასაკვირი, რომ იგივე ტიპის მისტერია ელადაში დიონისიებს დაუკავშირდა და ამრიგად ის პუნქტი, როდესაც იხსენიებენ თეატრის მისტერიულ წყაროს, ამ ორ მაგალითში გამართლებულია.

მაგრამ არსებობს კიდევ სხვა ნიუანსებიც: ტრაგედიის საწყის ეტაპზე, თხის ტყავმოსხმული – თხა კი, როგორც გვახსოვს, ბერძნულად არის "ტრაგოს" – სათქმელს სიმღერით ამბობს და ასე იქმნება "თხის სიმღერა", ანუ ტრაგედიის პირველი მაგალითი.

ინდოეთში, როდესაც თეატრალური ხელოვნება შივას ჩაბარდა, სცენიური სანახაობა მისი ეგიდით აყვავდა. ინდური საღმრთო პანთეონის მითოლოგიური ჩამოყალიბების ეტაპზე, როდესაც სიკეთე-სამართლის საწყისებს ბრძოლა უწევდათ ბოროტ ძალებთან, შივამ დაამარცხა დემონი-სპილო, მოკლა, გაატყავა და გამრჯვება, ცხადია, ცეკვით აღნიშნა. ამიტომ სცენიურ სანახაობას ინდოეთში "ნატიამ" შეარქვეს და "შივას ცეკვად" იხსენიებენ. ამრიგად ჩნდება საერთო ელემენტების ძეწკვის პირველი წყვილები:

1. ჟანრის მფარველები ღმერთები არიან, და ორივეს სახელში სინთეტური ხელოვნების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ნახსენები – თხის სიმღერა და შივას ცეკვა; ჟანრის საწყის ეტაპზე ნიშანდობლივია ის მომენტი, რომ ჯერ კიდევ ჭარბობს ხელოვნების ამ ფორმის საწყისი, რელიგიურ-მისტერიალური იმპულსი – იმდენად, რომ თვით ამბავი, მოსაყოლი და გათამაშებული, სატირალი და დამაფიქრებელი, სიტყვით გამოთქმული და მოვარაყებული - ანუ, ჩვენი გაგებით, სისხლი და ხორცი ამბისა, მეორე პლანზე გადადის.

2. არსებითია პარალელი თეატრალური სანახაობის სარიტუალო ატრიბუტიკაში: დიონისიებში ფიგურირებს სამსხვერპლო თხის ტყავი, ხოლო ინდურ მისტერიაში სპილოს ტყავია გამოყენებული, როგორც ღმერთ შივას სადიდებელი სიმბოლო; ცხოველის ტყავს, როგორც დეტალს, და საერთოდ, ანიმალისტურ მოტივს ცოტა ხანში კიდევ ვახსენებთ.

3. თეატრალური ხელოვნების უმნიშვნელოვანეს პრინციპულ იდეად არის გატარებული დემონურობის დამარცხება, რასაც აღასრულებს შემოქმედებითი ფანტაზიის მფარველი და განმასახიერებელი ძალა-საწყისი. ორივე მაგალითში დემონურობა ნგრევის, დესტრუქციის მომასწავებელი ძალაა. ძველ კულტურათა ისტორიაში, თხა – თავისი რქებით, გაორებული ჩლიქებით, წვერ-კუდით, და მაცდურ-სკაბრეზული აურის გამო სატანისტური საწყისის წარმომადგენლად, და მანიშნებლად თუ გამტარებლად აღიქმებოდა.

მაგრამ ინდურ მითოლოგიაში ასეთნაირად აღიქმება აგრეთვე – ლუციფერის მსგავსად, ავბედითად აჯანყებული დემონი-სპილო, რომლის მოქმედება მხოლოდ ნგრევას და ანარქიას მოასწავებდა, ხოლო მიზანი და საბოლოო შედეგი ქაოსი იყო. რასაკვირველია, აქვე ისიც გაგვახსენდება, რომ თხა აგრეთვე არღვევდა დადგენილ, აღიარებულ წესრიგს და ეთიკურ ნორმებს.

ამიტომ, ორივე შემთხვევაში, ჟანრის ამოცანა იყო შემოქმედებითი საწყისის, ჰარმონიის ბრძოლა დისჰარმონიასთან, ქაოსთან. ის, თუ უფრო ხშირად რით თავდებოდა ეს ბრძოლა, ანუ როგორი იყო ხედვა ეგზისტენციის ბერძნებთან და ინდოელებთან, ეს უკვე ცალკე თემაა; ჯერჯერობით კი დავუბრუნდებით ცხოველის ელემენტს ამ ჟანრში, რაც სხვადასხვა კულტურებში აისახება.

4. დრამის და მითოლოგიური კვლევების სურათმა მიგვანიშნა გარკვეულ კანონზომიერებაზე, რომელიც სხვადასხვა კულტურათა ხელოვნებაში შეიმჩნევა და თავიდანვე მიიქცია ჩვენი ყურადღება, როგორც ანიმალისტურმა ელემენტმა ჟანრის დასახელებაში. ზემოთ ნახსენები მაგალითის გარდა, ეს ეხება გაცილებით უფრო გვიანდელ ფაქტს იაპონიაში, სადაც ნო-დრამა აღმოცენდა VIII ს-ში, ჩინეთიდან შემოტანილი სანსიუეს ჟანრიდან, ოღონდ იაპონურად ეს სახელი სანგაკუს ფორმით გავრცელდა. ამ სახელის კეთილშობილური ესთეტიკური მნიშვნელობა – „ „ჩარჩოში მოქცეული სამი სურათი" მალე შეეწირა სულ სხვა ფორმას, ხალხურ დასახელებას – სარუგაკუს, რაც "მაიმუნთა ხელოვნებას" ნიშნავს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ცეკვა-თამაში დრამის შემადგენელი ელემენტია, მაშინ ქართული ეტიმოლოგიის გათამაშებით, შეგვიძლია ცოტა უტრირებულად განვაცხადოთ, რომ თანამედროვეები ამ ჟანრს კარგა ხანს "მაიმუნობად" მოიხსენიებდნენ.

რატომ მისცა კულტურის ისტორიამ უპირატესობა მაინც და მაინც ასეთ "ზოოლოგიურ" ფორმას და რატომ გავრცელდა სწორედ ასეთი ფორმა?

ერთი შეხედვით, ამგვარი დამთხვევა სემანტიკური კატეგორიის მიხედვით, შეესაბამება ფარსის ტრადიციას, რაც აგრეთვე შემადგენელი ნაწილია დრამის და სტილისტური მანერის. ეს შეიძლება სტრუქტურულ ელემენტთა შემთხვევით დამთხვევად შევრაცხოთ, მაგრამ მაიმუნის სახის გამოყენებას ლოგიკა უნდა შევუფარდოთ: ცხოველთა სამყაროდან საგანგებოდ არის შერჩეული "ასლის გადამღების" ცოცხალი სიმბოლო, რაც ყველაზე ახლოს იყო განმეორებისა და მიმსგავსების იდეის გამოხატვასთან.

მეორე მხრივ, ამ მაგალითის სემანტიკური ახსნის ასეთი ხედვა მისაღებია, თუ ვლაპარაკობთ იაპონურ სახელზე, ხოლო სხვა ხელოვნებასთან აზრობრივი პარალელი ასევე შეგვიძლია ვახსენოთ, რაკი არისტოტელე წერდა ხელოვნების არეკლვითობის თვისებაზე – ბუნების, მოვლენათა და რეალობის მიმართ; რაც შეეხება ჟანრის ინდურ და ბერძნულ სახელებს, აქ ასეთი პარალელი წყდება. სამაგიეროდ, ამგვარი პრინციპით შერჩეული ხერხი ემსახურება მოვლენათა არეკლვითობის უფრო ღრმა იდეას, სადაც კაცი თავის თავზე იღებს მეტად სერიოზულ უფლებას, რაკი ბედავს, რომ გააცოცხლოს ღმერთების ნებაზე, მათი კაპრიზით მომხდარი ამბავი, გააცოცხლოს უკვე ჩავლილი მოვლენა. და ამას ბედავს ადამიანი, რომელიც სათამაშოა მათი განწყობის და ცვალებადი გუნების. ასეთი მომენტი იმდენად გაბედული იყო, რომ მთლად მკრეხელობად თუ არა, მის ზღვრამდე მისულ ნაბიჯად მაინც უნდა ყოფილიყო აღქმული, ვინაიდან შემოქმედებითი იმპულსი, მუზის გენია ბედავდა და კრიტიკის ან ინტერპრეტირების თემად აქცევდა უზენაესი ძალის გადაწყვეტილებას; პრინციპში, თავისი არსით, ასეთი ნაბიჯი პრომეთეს საქციელის მონათესავეა, რადგან დაბლა, მიწაზე ჩამოაქვს – ზეცას გათამაშებული გადაწყვეტილება, ხან რისხვა, ხან სასჯელი, დროდადრო – სიხარულიც.

როგორც ეს ხშირად ხდება, მოვლენის ახსნის პროცესში იმდენი კითხვა იბადება, რომ ზოგჯერ პასუხის მცდელობა გიხდება სანანებელი.

ლოგიკურია, დავსვათ კითხვა: რატომ მიიჩნია დრამის თეორიამ, რომ კლასიკური დრამის შესაქმნელად მაინც და მაინც სამი კოორდინატის ერთობაა საჭირო?

რატომ ქადაგებს ნო-დრამის თეორია მაინც და მაინც სამ განმსაზღვრელ ელემენტს ესთეტიკური სისრულისათვის? ზემოთ ნახსენებმა ძეამი მოტოკიომ თავის ეპოქალურ ტრაქტატში „ფუსი კადენ", რაც ნიშნავს „თქმულებას სტილის ყვავილზე", სრულად ჩამოაყალიბა ნო-დრამის ესთეტიკური პრინციპები, და მათთან ერთად სამი ელემენტი, რომელიც განაპირობებს ამ დრამის სისრულეს: მონომანე – საგანთა არსის მიმსგავსებას ნიშნავს, იუგენი – დაფარულ სილამაზეს, ხოლო ჰანა – ყვავილს.

ამის საპასუხოდ, ვცადოთ ამ ელემენტთა "პირობითი კონვერტირება" ევროპული ლოგიკისათვის მისაღებ ანალიტიკურ ენაზე და გავერკვეთ უმნიშვნელოვანეს საკითხში: თუ არსებობს რაიმე გამამართლებელი იდეა მათი აღმოცენების ასახსნელად.

თუკი ასეთი რამ არსებობს, მაშინ ის უნდა აერთიანებდეს ორი სხვადასხვა ესთეტიკის წყაროებს და პრინციპებს, და თუ ეს ასეა, მაშ ამ ჟანრის ესთეტიკის სფეროში უნდა ვაღიაროთ გარკვეული კანონზომიერება ასეთი ტრიადების ასახსნელად.

შესაბამისად, თუ დავასკვნით რომ გვაქვს ამისი საფუძველი, მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მსგავსი მხატვრული ლოგიკის არსებობა ორი განსხვავებული ბუნების ხელოვნებაში იმას გვაფიქრებინებს, რომ ზოგადად არსებობს მხატვრულ-შემოქმედებითი პროცესის ერთგვარი კანონზომიერება, რომელსაც უნივერსალურს ვერ ვუწოდებთ, მაგრამ კულტურის სპეციფიკით განპირობებულ ჟანრის ტენდენციას კი - ნამდვილად.

თეატრალური ხელოვნების ყველა ჟანრის ისტორია ერთსა და იმავე სურათს გვაჩვენებს: მათი კლასიკური ფორმის ჩამოყალიბების ხანაში თეატრალური ხელოვნების ყველა დასახელებული კერა თავისი აღმოცენებისა და ინტენსიური აღზევების პერიოდად მხოლოდ ერთ საუკუნეს ითვლის. ასეთი ხანგრძლიობის პერიოდი წარმოგვიდგება, როგორც ამ ჟანრის კლასიკური ხანის დინამიკისა და ფორმირების შესატყვისი „კლასიკური" ნორმა:

ბერძნული მაგალითი:

ესქილეს, სოფოკლეს, ევრიპიდეს მოღვაწეობის წლები: 524-406 ძვ.წთ.

ინდური დრამის ოქროს ხანა:

ინდური კლასიკური დრამა გუფტების ეპოქაში – IV-V სს. ახ.წთ.

ჩინური დრამის გაფურჩქვნის ხანა:

იუანის პერიოდის დრამა – 1260-1368 წწ.,

იაპონური ნო-დრამის კლასიკური ესთეტიკა:

ნო-დრამის პერიოდი ფაქტიურად ამავე სურათის მაჩვენებელია. მისი ოფიციალური აღიარების თარიღად 1374 წელი ითვლება, თუმცა ამას წინ უძღვოდა მისი პოპულარობის რამდენიმე დეკადა. შესაბამისად, ნოს დიდი დრამატურგის, ძეამი მოტოკიოს (1363-1443) გარდაცვალებამ აღნიშნა ამ ჟანრის პოპულარობის საუკუნოვანი პერიოდი, რასაც იაპონური ნო-დრამის კლასიკური ხანა ეწოდა.

ალბათ, ამ წერილის მასალის წყვეტილი მოზაიკური სურათი თავისთავად მიანიშნებს იმაზე, რომ არ ვაპირებ, სხვადასხვა საკითხზე წამოჭრილ კითხვებზე პასუხი მკითხველს ასე, პირდაპირ მივახალო, რომ „ჰო, ასეა," ანდა „არა, ასე არ არის." ეტყობა, ჩემთვის უფრო მომგებიანი პოზიცია ის იქნება, რომ ისე გავშალო პრობლემასთან დაკავშირებული დეტალების სფერო, რომ მკითხველს უკვე აღარ გაუჩნდეს იმის არც სურვილი და არც საფუძველი, ისე მიუდგეს ამ ტექსტს ბავშვებმა რომ იციან სქელი წიგნის დანახვაზე, ბოლოში ჩაიხედავენ, „ბოლოს მოკვდა თუ არაო".

ასე რომ, კიდევ არის საჭირო – ბევრი რამაა საჭირო, მთავარია, რამდენად გამართლებულია შემდეგი ინფორმატიული ულუფების წყობა და რიგი, რომელთა შორის განსახილველი იქნება ასკეზა ორ კულტურაში, აღმოსავლური ესთეტიკის ელემენტთა ათვისების ბუნებრივი გზა და ტემპი დასავლეთში, ღია კომპოზიცია, და ესთეტიკური აღქმის დამატებითი განზომილება. რასაკვირველია, ეს ჯგუფები კიდევ იბარტყებენ და სხვა საკითხებს გამოიყოლებენ; ფაქტობრივად – თუ ისევ თეატრალური ჟანრის ლექსიკას და ხედვას დავესესხებით, – ვარჩევთ, რომ სათქმელის სცენას პარტერის პირველი რიგიდან კი არ ვუყუროთ, რომ არ გამოგვრჩეს ცრემლი ან ოფლი მსახიობის სახეზე, არამედ ამბის და პროცესის უკეთ აღსაქმელად, ამფითეატრის ბოლო რიგი ვარჩიეთ, თვალი რომ შორს გასწვდეს, იაპონიამდე.

ახროვნების გაკვეთილები

(პიესა ორ მოქმედებად და ოცდაცამეტ სურათად)



გოგი-გიორგი მამაცაშვილი

იბეჭდება საშურნალო ვარიანტი

◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇

მოქმედი პირები:

მოხუცი – ფილოსოფოსი, მეტსახელად პროფესორი;
მისი მაცდუნებელი ლამაზი ქალი;
გოგო
ბიჭი შეყვარებულები
შვილი
მისი მამა
დედა და...
უფროსი ძმა;
ძმარი;
მისი ცოლი;
ძმრის მეგობარი;
პრემიერ-მინისტრი;
ბელადი;
პოლკოვნიკი
მისი ცოლი, – ძალბატონი;
ალკოჰოლიკ – მამაკაცთა სამეული;
შავოსანი ქალი;
დამშეული ბიჭი;
ჯარისკაცები;
რევოლუციონერები და სხვები.

პირველი მოქმედება

სურათი 001

(პლანეტა – დედამიწა... ევროპის მცირე ქვეყანა... გეოპოლიტიკური მდგომარეობა – რევოლუციური ... გაისმის შეძახილები – SOS... SOS !.. ცვივა პროკლამაციები... შემოდის პრემიერ-მინისტრი, მას უახლოესი გარემოცვა ახლავს თან... (პაუზა...) შეძახილები ახალი ძალით მოვარდება: SOS... SOS-ო!..)

პრემიერი – გესმით... ხალხი მე მიხმობს!..
მრჩეველი – ხალხი საშველად სხვებს უხმობს, ბატონო პრემიერო!..
პრემიერი – როგორ, ქვეყანაში პრემიერი მე ვიყო და ისინი საშველად სხვებს ეძახიან?..
მრჩეველი – ჰო, ეს ჩვენი ქვეყნის მწარე რეალობაა.
(პრემიერ-მინისტრი პოლიციის მინისტრს დაადგამს თვალს...)
პრემიერი – ხელკეტები სცადეთ?..
მინისტრი – ვცადეთ, ბატონო პრემიერო!..
პრემიერი – ცუდად სცადეთ!.. წყლის ჭავლის მიშვება?!..
მინისტრი – რა თქმა უნდა, ეგეც ვცადეთ!...
პრემიერი – ცუდად სცადეთ!.. თქვენ ის მითხარით, მოტყუება თუ სცადეთ?!..
მრჩეველი – აღარ ტყუვდებიან, ბატონო პრემიერო!
პრემიერი – რატომ ... მატყუარობის ოსტატობა დაგიქვეითდათ?!
მრჩეველი – ეს მათ გაეზარდათ უნდობლობა ჩვენს მიმართ...
(ახალი ძალით გაისმის შეძახილები: SOS... SOS !..-ო. პრემიერ მინისტრი ისევ ყურებზე აიფარებს ხელებს...)
პრემიერი – ეს ხმა მაინც ჩაახშეთ!!!
მრჩეველი – ჩვენ ისღა დაგვრჩენია ცეცხლი გავხსნათ!..
პრემიერი - ... ხალხი გავწირო?!!!
მრჩეველი – ან ხალხი ან სკამები?!
პრემიერი – მაშინ ხალხი!!!
გაისმის სროლის ხმები... გარემოცვა პრემიერ-მინისტრს გააქცევს...

სურათი 002

(ტრიბუნა... სხვადასხვა მხრიდან ახლოვდებიან: ორატორი ხელისუფლების მხრიდან და რევოლუციის ლიდერი... ისინი ტრიბუნაზე გვერდიგვერდ იკავებენ ადგილებს... რევოლუციის ლიდერის მხარეს, მოშორებით კოშკურაზე შაშხანიანი სნაიპერი იწყებს ასვლას...)

ორატორი – დროა, გონს მოეგოთ, ხალხნო, ჩვენ რევოლუციის სახელით გვაბოლებენ!..
ლიდერი – ჩვენ მშვიდობის სახელით გვიმონებენ... ან თავისუფლება ან სიკვდილი, ჩვენ, ხალხს სხვა გზა აღარ დაგვრჩა!..
ორატორი – არის ალტერნატივა!...
ლიდერი – ეს ხელისუფლების მორიგი ტყუილია!..
ორატორი – ტყუილსა და მართალს... ისტორია განსჯის!..
ლიდერი – ეს დღეს, ეხლა... ხალხმა უნდა განსაჯოს!..
ორატორი – ხალხო, მოდით გავუფრთხილდეთ ერთმანეთს!..
სნაიპერი ლიდერს მიზანში ამოიდებს... გაისვრის... ჩამოვარდება სამარისებური სიჩუმე... ლიდერი ქვაფენილზე დაეცემა...
(შემოვარდება ბელადი ორ თანამებრძოლთან ერთად... ისინი გასროლებით კოშკურისაკენ გარბიან... საიდანაც განგმირული სნაიპერი ქვაფენილზე გაიშხლართება. ბელადი უხეშად მოიშორებს თანამებრძოლებს.)

ერთი – აქ გაჩერება აღარ შეიძლება!..
ბელადი – ეს ჩემი ადგილია!..
მეორე – სადაცაა აქ პოლიცია გაჩნდება...
ბელადი – ეს ჩემი დროა!..
ერთი – გთხოვთ სასწრაფოდ გავშორდეთ აქაურობას!..
ბელადი – ეს ჩემი ბრძოლის ველიდან გაქცევას დაემსგავსება!..
(ისევ და ისევ გაისმის შეძახილები: SOS... SOS-ოო!..)
ბელადი - ... გესმით, ხალხი თავისთან მიხმობს!..
მეორე – თუ დარჩები, მოგკლავენ!..
ბელადი – თუ გავიქცევი ეს ჩემი, როგორც პოლიტიკოსის თვითმკვლელობა იქნება!.. ჩემი გაცლა დაღუპავს რევოლუციას!..

მეორე – დარჩენა, გიმეორებ, დაგდუპავს შენ...
ბელადი – მე რევოლუცია მეტად მიღირს, ვიდრე სიცოცხლე!..
(იტყვის და ბელადი ტრიბუნაზე ადის, იგი მხარს ორატორს გაკრავს და განზე მისწევს. ხალხი მას ოვაციას უმართავს...)
ბელადი – დღეს ჩვენი ხალხი, ჩვენი ქვეყანა პირველად არის დაპყრობილი თავისივე ხელისუფლების მიერ... ჰოდა, თუ კაცები ვართ, ჩვენ ეს არ უნდა მოვითმინოთ... არც მოვითმენთ!..
ორატორი – თქვენს აზრებს თავისუფლად გამოთქვამთ და თქვენ ამას გინდათ დაპყრობა დაარქვათ...
ბელადი – ხალხო, ხუთიოდე წუთის წინ უმოწყალოდ მოკლეს რევოლუციის თვალსაჩინო ლიდერი ხმის ამოღებისათვის!... აი, ეს არის ამათებურად თავისუფლება!.. ხელისუფლებამ ჩვენ სისხლიანი ტერორი მოგვიწყო, ჩვენც ამის ადექვატურები ვიქნებით. თვალი თვალის წილ... კბილი კბილის წილ!.. აი, რევოლუციის პასუხი ხელისუფლებას!.. თანმიმდევრულად ჩვენ სრულიად სახალხო დაუმორჩილებლობას ვაცხადებთ!..
(ხალხი ოვაციას მოუწყობს ბელადს... გამოჩნდება სნაიპერი, იგი წინა სნაიპერის შაშხანას აიღებს და კოშკურაზე იწყებს ასვლას...)
ორატორი – ამით ჩვენ მთელ სამყაროს ავიმხედრებთ!...
ბელადი – ჰოდა, ჩვენ მთელ სამყაროსაც დაუმორჩილებლობას გამოვუცხადებთ!...
ორატორი – ეს ჩვენი თვითიზოლაცია იქნება?!..
ბელადი – არც ერთმა ქვეყანამ არ უნდა იფიქროს ის, რომ ... ჩვენ უფრო გვჭირდება ისინი, ვიდრე იმათ ჩვენ?!..
(სნაიპერი შაშხანის შემართვას იწყებს... ორატორი აკანკალდება...)
ორატორი – იცოდეთ ყველას გაგასამართლებენ!...
ბელადი – ჩვენ გამარჯვებას ვაპირებთ... გამარჯვებულებს კი არ ასამართლებენ!..
ორატორი – სამოქალაო ომს გამარჯვებულები არ ჰყავს!... ეს შეუძლებელია!..
ბელადი – მაშინ ჩვენ შეუძლებელსაც შევძლებთ!...
(სნაიპერი დამიზნებას იწყებს... ორატორი ტრიბუნიდან გადმოხტება და გაიქცევა, იგი ხალხს შეეჯახება... გაისმის გასროლის ხმა... ორატორი წაბარბაცდება...)

სურათი 003

(სივრცე... ოდნავ დაქანებული თვალუწვდენელი ველი... ველზე გადის სამყაროს გამყოფი „სიმბოლური ზოლი“, რომელიც დასალიერისაკენ მიიკლაკნება... ეს ზოლი ხელისუფლების და რევოლუციონერებს შორის გამყოფ საზღვარსაც წარმოადგენს!.. მოისმის ხმები: ერთი მხრიდან სიცილ-ხარხარი და მეორე მხრიდან ოხვრა-კვნესა... ერთი მხრიდან კივილ-ტირილი და მეორე მხრიდან მუსიკა და სიმღერა!.. ბნელდება... შიგადაშიგ გაელვებს... გრგვინვა და ჭექა-ქუხილი ერთმანეთში მონაცვლეობენ... ისმის კოკისპირული წვიმის ხმა!.. შორს... ზედ საზღვრის ზოლზე მოხუცი მოაბიჯებს... მას გარს ახალგაზრდები არტყია. ყველას თავზე განიერი და გრძელი გადასაფარებელი ახურავთ... მოხუცს მარცხენა ხელში ჭრაქი და უსტარი უჭირავს... მარჯვენა ხელში ბატისფრთიანი საწერ-კალამი, რომლის ბოლოსაც იგი ხან სახეზე ისვამს ხან ტუჩებით კვნეტს... მას ერთი მხრიდან „ბიჭი“ მოჰყვება, მეორე მხრიდან „გოგო“, ისინი სხვებზე თვალშიმოსახვევდრები არიან!)
მოხუცი – რა მოხდა?.. რა ხდება?.. რა თქმა უნდა, კარგი არაფერი... ამას წარსულის ცოდნა მალაპარაკებს... ეს ის გამოცდილებაა, რომელიც გვაშინებს!... ადამიანები, სხვებმა დაგვაჩვიეს ავისმქნელობას... ისტორიებიც იმიტომ იწერება, რომ უფრო სიცუდეები ვისწავლოთ, ვიდრე სიკარგეები!.. ვინც გვასწავლის ის გვმართავს!... ვინც გვასწავლის ის გვიმონებს!...
(მოხუცი უსტარში ჩანიშნებს აკეთებს...)
მოხუცი – ჩემი მოძღვრება საოცნებოა... ეს სწავლებაა სწავლებათა წინააღმდეგ...
(ახალგაზრდა მამაკაცი მოხუცს გადაუსწრებს და მისკენ მიტრიალდება...)
იბი – მოხუცო, თქვენი მოძღვრება რევოლუციასთან როგორ დამოკიდებულებაშია?!
მოხუცი – მე მენტალური რევოლუციების ფუძემდებელი ვარ!..
ახალგაზრდა – მენტალური გარდაქმნები გონში, სისხლიანი რევოლუციების თანმდევი იყო.
მოხუცი - ...ჩემთან იგი წინმსწრებია... სისხლიანი რევოლუციების თავიდან ამაცილებელიც ის არის!.. ეს რევოლუციაა შენს შიგნით... სულიერებაში, ტვინში, გონში და თვით გრძნობებშიც კი...
(შორიდან ისმის სროლის ხმა!..)
ახალგაზრდა – მგონი ისვრიან მოხუცო!..
მოხუცი – ჩემი მოძღვრება აკეთილშობილებს ნებას და აძლიერებს ნებისყოფას... აფორიაქებს სულიერებას და თუ ოდნავი მიხვედრილობა გაქვს, შენც მიხვდები, რომ შენ თვითონ მთელი სამყარო ხარ. სრულად სამყაროში... ხომ მაგარია, არა?.. სამყარო სამყაროში!.. ჰოდა ისინი, რომლებიც ჩემს მოძღვრებასთან ზიარებას აპირებენ, მათ სწავლების წინ კარგად უნდა დაიმახსოვრონ თავიანთი თავი, რომ ზიარების შემდეგ... იმ უდიდეს განსხვავებას მიხვდენ, რაც მივიღეთ ძველ და ახალ პიროვნებებს შორის... უკეთესობის სასარგებლოდ!..
(ძლიერდება სროლის ხმები...)
ახალგაზრდა – კი ნამდვილად ისვრიან, მოხუცო... ეს სახიფათოა!
მოხუცი – ეს უკვე მოუთმენელია... მე თქვენ ჩემს მოძღვრებას გიკითხავთ, თქვენ კი გასროლების ხმებს ითვლით... ეს არ უნდა დაგმართოდათ... თქვენ სხვა ყველაფრის მიმართ უნდა დაყრუებულიყავით და უნდა დაბრმავებულიყავით... ასე და ამრიგად მე ვაგრძელებ ჩემი მოძღვრების ქადაგებას: მინდა, შემიძლია და შეიძლება, აი, ის ფსიქო-მენტალური წანამძღვრები, რომელიც ამოძრავებს ადამიანს... არადა მოძრაობის გაწყვეტა არც უამათობის შემთხვევაში შეიძლება... მაშინაც კი, როცა არ გინდა, არ შეგიძლია და არც შეიძლება...
ხმა – თუ არ მჭირდება, არც შემიძლია და არც შეიძლება, რატომ უნდა განვახორციელო მოქმედება?!
მოხუცი – შენ არ ხარ ადამიანურობის ეტალონი!..
ახალგაზრდა – თუ არ შეიძლება და მოქმედებას განვახორციელებთ, ეს დანაშაულია!...
მოხუცი -შენნაირებისთვის ატომის გახლეჩა დანაშაული იყო, მაგრამ მაინც გახლიჩეს იგი... მათ ეს შეეძლოთ და მათ ეს შეძლეს... კაცმა არ იცის, რა სიკეთეები შეიძლება მოიტანოს ატომის გახლეჩამ ათასწლეულების შემდეგ... შენ არ გინდა, სხვას უნდა და სჭირდება... აი რას ამბობს ბრძენი პოეტი რუსთაველი: რასაცა გასცემ შენია, რაც არა – დაკარგულია!!!
ხმა – მოხუცო, თქვენ ამას სიბრძნეს ეძახით?!.
მოხუცი – ეს კაცობრიობის ყველაზე სიღრმისეული ფსიქოაბსტრაქტული აზროვნებაა... სიკეთე ბუმერანგივითაა, იგი ყოველთვის უკან გვიბრუნდება...
ხმა – რომ არ დაგვიბრუნდეს?!
მოხუცი – მაშინ წინ დაგხვდება!..
ხმა – რომ არ დაგვხვდეს?!.
მოხუცი – შეუძლებელია... სიკეთემ სიკეთე უნდა მოიტანოს... ვთქვათ, მატერიალურმა სიკეთემ, მატერიალური სიკეთე არ მოიტანა... მაშინ იგი უთუოდ მოგიტანს კეთილი კაცის სახელს... გენიალური რუსთაველიც ხომ ამას ამბობს: სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა!.. ზნეობრივ საზოგადოებაში! გაცემული სიკეთე უთუოდ მოიტანს მადლიერებას, .. მოიტანს პატივისცემას... მოიტანს მის უზენაესობას – სიყვარულს!!! ჰოდა, რა სჯობს შენსკენ მომზირალ თვალებში მადლიერების, პატივისცემის და სიყვარულის ამოკითხვას... რა სჯობს პატივისცემით გამთბარ სამადლობელის მოსმენას!..
ხმა – მაგრამ ხომ შეიძლება უმადურობაც...
მოხუცი – კი ბატონო, დავუშვათ, რომ ისე წახდა ქვეყანა, ვერც თბილ მზერას და ვერც თბილ სიტყვას ვერ ვეღირსეთ... ამითაც არ მთავრდება ჩვენს მიერ გაღებული სიკეთის შესაძლო სულიერ-ზნეობრივი უკუგება... ბოლოსდაბოლოს რა სჯობს შენი ძალისხმევით დალხინებული ადამიანის და მათი ბავშვების დანახვას, ან წარმოდგენას!.. შენც მეცხრე ცაში დაფრივან, რომ არ დაინანე... რომ მოიკელი და სხვისთ-

ვის გაიღე. იმასაც ფიქრობ... რა „გეშველებოდა“, რომ ასე არ მოქცეულიყავი. შენც სიბერეში მხოლოდ იმაზე დამწუხრდები, ოდესმე ვინმესთვის თუ არ მოიკელი და არ გაიღე... თუ ხელი არ გაუმართე... თუ არ მიეშველე და არ გადაარჩინე!.. პირველი გოგო შემოკრავს ტაშს... შემდეგ ბიჭი...

მოხუცი – მოდით გენიალურ სოკრატეს მოვუსმინოთ: მე ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი!

ხმა – თქვენ მაგ სიტყვების წარმომთქმელს გენიოსს ეძახით?!.

მოხუცი – ესეც უდუდესი მოაზროვნის ფსიქო-აბსტრაქტული ნააზრევია.

ბიჭი – ხომ შეუძლებელია, არაფერი არ ვიცოდეთ!...

მოხუცი – სოკრატეს ყველაფერ იმაში, რაც იცის, ეჭვი შეაქვს და აბა ის რა ცოდნაა, რომლისაც ბოლომდე არ გვჯერა!..

ახალგაზრდა – რუსთაველი... სოკრატე?!. ეს ყველაფერი გავიგეთ, მოხუცო, მაგრამ სად არის აქ თქვენი ორიგინალური აზრი?!.

მოხუცი – თუ ჩაუღრმავდებით მიხვდებით, რომ ჩემს მიერ გაკეთებული განმარტებები მათ სიბრძნეზე არანაკლები სიბრძნეა!.. გაიგეთ, ცოდნა გარდამავალია... ძველდება და უფასურდება მეცნიერული მიღწევები... ჩვენც, ყველას ჭეშმარიტება გვჭირდება... აქაც უდიდესი სიფრთხილე გვმართებს, რადგან ჭეშმარიტება ყოველთვის უნდა იყოს მიზანი, მაგრამ არამცდაარამც არ უნდა იყოს შედეგი!.. ჭეშმარიტება ყოველთვის იდეალია!.. ჩვენი სამყაროს მძლეველები სასურველს რეალობად ასაღებენ... რეალობას კი ჭეშმარიტებად... ჩვენც სახეზე გვაქვს მოტყუებული კაცობრიობა!..

ახალგაზრდა – ამ მხრივ თქვენს მოძღვრებაში როგორაა საქმე?

მოხუცი – ჩემი მოძღვრება ეს არის სიტემა უწყვეტი დაეჭვებისა ჭეშმარიტებაში... ეს არის კანონზომიერებათა უარყოფა... უარყოფის უარყოფაც ეს არის!..

ახალგაზრდა – თქვენ მგონი ჩვენს დაბნევას ცდილობთ, მოხუცო!..

მოხუცი – ეჭვმა შექმნა ადამიანი!..

ახალგაზრდა – პროფესორო!..

(მოხუცი გაკვირვებას აზეიადებს... გამომწვევად ამოძრავდება...)

ბიბი – ერთი ეს მითხარით შენ მე ეგ სახელი გულწრფელად მიწოდე თუ დაცინვით?!

ახალგაზრდა – თვითონ როგორ ფიქრობთ?!

მოხუცი – ბნელა, თანაც სმენა დაქვეითებული მაქვს. ასე, რომ ვერც შენი გამომეტყველებით და ვერც ტონალობით ამის დადგენას ვერ ვახერხებ...

ახალგაზრდა – მე ვებრძვი პრობლემას, პროფესორო!..

მოხუცი – ისევ პროფესორს მიწოდებ!..

ახალგაზრდა – ჰო, ვცდილობ გავიძლიერო ინტერესი თქვენი ქადაგებისადმი!..

მოხუცი - ... სოკრატე, პლატონი, არისტოტელე არ იყვნენ პროფესორები, მაგრამ მათ დიდი ყურადღებით უსმენდნენ:

ახალგაზრდა – სოკრატეს, პლატონს, არისტოტელეს მქუხარე სახელები ჰქონდათ!..

მოხუცი – მათ ჰქონდათ, მე კი ეს ბედნიერება წინ მაქვს!..

ახალგაზრდა – მე თან ვებრძვი პრობლემას, თან სულ უფრო და უფრო ერწმუნდები, რომ ვერ დავძლევ, არადა ათასჯერ მაინც ვცადე!..

მოხუცი – სცადე მთელი სიცოცხლე!!!

ახალგაზრდა – პროფესორო!..

მოხუცი - ... თურმე დაგიდგა დრო ბრძოლა წამოიწყო შენს შიგნით!..

ახალგაზრდა – ვგრძნობ, რომ არ შემიძლია!.. ვხედები, რომ ვერც ვერასოდეს შევძლებ!..

მოხუცი – წინასწარ არავინ არ იცის რას შესძლებს და რას ვერა... ადამიანმა არ იცოდა როგორ გაჩენილიყო, მაგრამ გაჩნდა. არ იცოდა როგორ გადარჩენილიყო, მაგრამ გადარჩა... ხოლო ღმერთი თუ გწამს, კაცმა არ იცის, როდის რას შეგაძლებინებს იგი!..

(გაისმის ერთხმად გასროლების ბათქი... ახალგაზრდა მოხუცს შეასკდება და ხელიდან ჭრაქს გააგდებინებს... იქაურობას მთვარის შუქი გაანათებს...)

მოხუცი – ფრთხილად შენ, ბიჭო!..

ახალგაზრდა – თქვენ სიკვდილი დაგემუქრათ, პროფესორო...

მოხუცი – მე ჩემს მოძღვრებას გიკითხავ, შენ კი რადაც სიკვდილზე ფიქრობ?!.

ახალგაზრდა - ... მეც სწორედ თქვენზე და თქვენს მოძღვრებაზე ვიფიქრე... განა რუსთაველმა არ თქვა: რასაცა გასცემ შენიაო, პროფესორო, ჰოდა, მეც ჩემი სიცოცხლით თქვენ და თქვენს მოძღვრებას შემოგეწირეთ...

მოხუცი – მე არ მჭირდება მსხვერპლი!..

ახალგაზრდა – ეს მე მჭირდებოდა, პროფესორო, ჰო, მე ვერ შევძელი ჩემს თავზე გამარჯვება, არადა ძალიან მინდოდა უკეთესობისკენ გარდამექმნა სამყარო... ჰოდა, პროფესორო, ეგებ ეს თქვენ შეძლოთ – თქვენი მოძღვრებით!... თუ შესძელით, მე მისი მონაწილე ვიქნები!.. პაუზა. ეგებ რუსთაველმა თავის გენიალურ სიბრძნეში ჩემი ეს შემთხვევაც იგულისხმა?!.

მოხუცი – უპირველეს ყოვლისა, შენს ამ შემთხვევას იგულისხმებდა!..

ახალგაზრდა – მაშინ გთხოვ, ქარს ნუ გაატან ჩემს სიცოცხლეს, გთხოვ უკეთესობისკენ გარდაქმენით სამყარო!..

მოხუცი - შევეცდები!..

ახალგაზრდა – თქვენს სიტყვას, დამაჯერებლობა აკლია, პროფესორო!

მოხუცი – ვფიცავ... ასეც იქნება!!!

სურათი 004

(გაისმის ეტლის ხმა... მალე ეტლიც გამოჩნდება, რომელზეც ხელისუფლების ორატორი დგას... ეტლი მოახლოვდება და სასაზღვრო ზოლზე შედგება... რევოლუციონერებს ბელადი გამოარღვევს...)

ორატორი – ამას რას ხედავს ჩემი თვალები!..

ბელადი –შენ მგონი ჩვენს სახეებზე სიყვარულს ეძებდი?!.

ორატორი – სიძულვილით აპირებთ იდეალების დამკვიდრებას?!.

ბელადი - რითაც შევძლებთ, ყველაფრით!..

ბელადი – მოვითხოვთ, რომ სასწრაფოდ გადადგეს ხელისუფლება...

ორატორი – ჩვენი მხრიდან ეს ხალხის ღალატი იქნება..

ბელადი – ჩვენ ხალხი ამას ერთგულებაში ჩამოგართმევთ!..

ორატორი – გინდათ ისიც დაკარგოთ, რაც გაქვთ?!.

ბელადი – თურმე ისიც არ იცი, რომ ხალხს დასაკარგი აღარაფერი გვაქვს!..

ორატორი – ეს თქვენ არ იცით, რომ უარესი ყოველთვის შესაძლებელია!..

ბელადი – არ დაიღალეთ მაინც ხალხის უარესობით, დაშინებით!..

ორატორი – გამოგიტყდებით, რომ არ მინდა ზედმეტად შეგაგულიანოთ!..

ბელადი – ვერც დაგვაშინებთ, რადგან ხალხმა კარგად ვიცით, რომ უკეთესობაც შესაძლებელია!..

ორატორი – ჰო, მაგრამ, უკეთესობა ყოველთვის ძნელი მისაღწევია!..

ბელადი – ძნელი შეუძლებელს არ ნიშნავს!..

ორატორი – ნიშნავს!..

ბელადი - მაშინ ჩვენ რევოლუციის სახელით შეუძლებელს შევძლებთ!..

(რევოლუციონერები ოვაციას მოუწყობენ ბელადს... დაპირისპირებულებს მოხუცი გამოარღვევს)

მოხუცი – შეუძლებელი მიღწეულია და იგი სახეზეა, ბატონებო!

ხმა – რა ჰქვია, მაგ შეუძლებელს, მოხუცო?..

მოხუცი – ეს არის უმცირესობის მიერ უმრავლესობის დამონება!..

ხმა – სხვაგვარად?!.

მოხუცი – ... ეს არის სუსტის გაბატონება ძლიერზე!..

ორატორი – უმცირესობის გაბატონება უმრავლესობაზე ეს ისტორიული კანონზომიერება გახლავთ...

ბელადი –ეს კაცობრიობის სირცხვილია!..

ორატორი – სუსტის ძლიერზე გამარჯვება დიდად სახელოვანი გამარჯვებაც გახლავთ!..

ბელადი –ეს შეთქმულებაა უმრავლესობის წინააღმდეგ!..

19. “ამერ-იმერი.”

ორატორი – ეს ნიჭის გამარჯვებაა ძალაზე!..
ბელადი – ეს კაცობრიობის შეურაცხყოფაა!
ორატორი – ეს კაცობრიობის სადიდებელია!..
ბელადი – ეს სრულიად საკაცობრიო უსამართლობაა!..
(მოხუცი ხელს მაღლა შემართავს...)
მოხუცი – შეგრცხვეს ორატორო!.. შენ აქ უმცირესობის გამარჯვებას უმრავლესობაზე სახელოვანი გამარჯვება უწოდე!.. შენ აქ ნიჭის ძალაზე გამარჯვება, კაცობრიობის სადიდებლად მოიხსენიე!..
ორატორი –ასეც არის!..
მოხუცი – ჰო, მაგრამ შენ აქ პირველმოქმელის მოხსენება დაგავიწყდა!.. ეს მე გახლავართ!
ორატორი – გამახსენდით მოხუცო და მეც ბოდიშს გიხდით... მადლობასაც მოგახსენებთ..
მოხუცი – შენ კი რევლუციონერო, უმცირესობის გაბატონებას უმრავლესობაზე შეთქმულება უწოდე...
ბელადი – ახლაც იგივე აზრზე ვარ!..
მოხუცი – იმავე მოვლენას საკაცობრიო სირცხვილიც უწოდეს!..
ბელადი – შემიძლია იგივე ერთხელაც გავიმეორო!..
მოხუცი – ... შენც ამ სიტყვების პირველმოქმელის მოხსენიება დაგავიწყდა!..
ბელადი – დავიჯერო, ამ სიტყვების პირველმოქმელიც შენ ხარ, მოხუცო?!.
მოხუცი – რასაკვირველია, მე გახლავართ... მოკლედ, და ბუნდოვნად, უმცირესობის გამარჯვება უმრავლესობაზე თან სასახელო გამარჯვებაა, თან საკაცობრიო სირცხვილიცაა. თან ნიჭის სადიდებელია, თან სასტიკი უსამართლობაც!..
ხმა – მაინც რომელი უფრო მნიშვნელოვანია?..
მოხუცი – ეს ის საკითხია, რომელზეც ჯერ საბოლოოდ არ შევჯერებულვარ!..

სურათი 005

(სასახლის ეზო... ქალბატონი (ცოლი) ჰამაკში თან ოდნავ ირწევა, თან წიგნს კითხულობს... თან გრძელი მუნშტუკით სიგარეტს ეწევა... გამოჩნდება მამაკაცი (ქმარი). იგი მეულლეს თანაგრძნობით უყურებს... ქალი მამაკაცს იგრძნობს... ისიც მზერას უსაზღვრობაში გადაკარგავს...)
ცოლი – მე გელოდი...
ქმარი – მე მოვიჩქარ ოდი.. მითხარი, ბევრი გალოდინე?..
ცოლი – მთელი ჩემი სიცოცხლე!..
ქმარი – მე მოვედი...
ცოლი – მოხვედი, მაგრამ აქ არ ხარ!..
(იტყვის და ქმარი საოცნელად გადაიწევს... ქალი სახეს მოარიდებს...)
ქმარი - ასეც კი!..
ცოლი – ჰო, ადარ გვინდა სიყალბეები!..
ქმარი – რა ექნა... წავიდე?!.
ცოლი – წადი, თუ ჩემთან დაბრუნებას ვერ ახერხებ!..
ქმარი – წავალ... თუ კი შენ ასეთს ვერ მღებულობ!..
(ქალი ფეხზე წამოდგება და წიგნს ჰამაკზე მიაგდებს...)
ცოლი – გთხოვ, ერთხელ მაინც დამაყენე ყველაზე და ყველაფერზე მაღლა!..
ქმარი – დღეს ჩემი ხალხის და ჩემი ქვეყნის ბედი წყდება!..
ცოლი –შენ მე ყოველი სიტყვით მამწუხრებ!..
ქმარი – არადა მთელი ჩემი არსებით შემსუბუქებას ვცდილობ!..
ცოლი – თურმე ვაჟბატონი ჩემთვის შემსუბუქებას ცდილობს.. მაგრამ, რა ქნას, საბრალომ, თუ მას მხოლოდ დამძიმება შეუძლია!.. მე და შვილები ევროპაში მივემგზავრებით...
ქმარი – გთხოვ მოეშვი ბავშვებით ჩემს ოკუპაციას!..
ცოლი – დაფიქრდი ეგებ ეს შენ არ გაქვს უფლება ჩვენ, ცოლ-შვილს დაგვიპირისპირდე!..
ქმარი – რა დროს უფლებაა, როცა ჩემს ვალდებულებებს ვერ ავუდივარ... მითხარი, გძულვარ?!..
ცოლი – ეს შენ მითხარი რატომ არ ცდილობ აიცდინო იგი?..
ქმარი – ეს თვითსიძულვილამდე მიმიყვანდა... გამიგე ძვირფასო, მე გავუძლებდი სიძულვილს ყველასაგან, მაგრამ ვერ გავუძლებ სიძულვილს ჩემგანვე!..
ცოლი – მგონი აქეთ ცდილობ შემაცვლევინო აზრი...
ქმარი – ჰო, შენი იმედი უფრო მაქვს, ვიდრე საკუთრივ ჩემი!..
ქალი მუშტუკში სიგარეტს გამოცვლის, მოუკიდებს და გააბოლებს...
ცოლი – ყოველ მეორე სიტყვაზე ცრუობ!..
ქმარი - ... უკვე სიტყვასაც ვეღარ ვძრავ... ხმაც მითრთის!..
ცოლი – ხმა რომ არ აგითრთოლდეს, სათქმელის უნდა გჯეროდეს!..
ქმარი – მჯერა ისე როგორც არასდროს!..
ცოლი –არა მგონია... შენ ხმა ისევ გითრთის!...
ქმარი – მე ვრჩები!..
ცოლი – გადარჩენისათვის ერთადერთი კარგი გზა...
(ქმარი ხმის აწევით ცოლს სიტყვას გააწყვეტინებს...)
ქმარი – გზა მაშინ არის კარგი, თუ იმით უკან დაბრუნება შეიძლება!.. სამწუხაროა, რომ ჩვენ ერთიდაიგივე განცდები არ გვაქვს ჩემი ხალხის და ჩემი ქვეყნის მიმართ!.. ჰო, ჩემში ისინი ბევრად უფრო მეტს ფასობენ!..
ცოლი – ცოლშვილზე მეტად?!.
მამაკაცი მიმოსვლას იწყებს... ცოლს თვალს მოარიდებს...
ცოლი – შენ ამაზე კიდეც ფიქრობ... გთხოვ, იცრუე, მომატყუე, შენ ხომ ამას ყოველთვის უხერხულობის გარეშე აკეთებდი, მაშ რა გემართება ახლა?!.
ქმარი – ჩემი ქვეყანა მეტად მიღირს!!!
ცოლი – ეს რა ქენი... ამას, მოგეტყუებინე, სჯობდა, გეფიცები, მე ტყუილს დაგიჯერებდი...
ქმარი – ვერ შევძელი... ეტყობა ისევ გცემ პატივს...
ცოლი – რა?!!
ქმარი – ჰო, უდავოდ, ისევ ძალიან მიყვარხარ!!!

სურათი 006

(მინდორი.. ხეებს შორის, ერთმანეთთან ახლოს, ორი ჰამაკია გაბმული... ერთ ჰამაკში პირველი ლედი წამოწოლილა... მეორე ჰამაკში ფინანსთა მინისტრია მეულლესთან ერთად... შორიახლო ფოტოგრაფი ფეხებზე დადგმული ფოტოაპარატით „დიდი ამბავშია“... მოძრაობს... აჩხაკუნებს. პრემიერ-მინისტრი ბადურით პეპლებს დასდევს... მრჩეველი მის სიახლოვეს მოძრაობს.. ბუჩქი... პრემიერი ასე ეთქვათ, პეპელას „ზურგიდან“ მიეპარება... პეპელა მაინც გაფრინდება...)
პრემიერი – ძაან ფრთხილები გახდნენ ეს ოხრები!
მრჩეველი – ეგებ გაიგეს, რომ ქვეყანაში სამოქალაქო ომია გაჩაღებული!..
პრემიერი – შენ შეატყობინებდი!..
მრჩეველი – ვერ შევატყობინებდი, რადგან მე ჩემდა სამწუხაროდ, არ ვიცი „პეპლების ენა“..
პრემიერი – აბა რა სჭირთ, რა ემართებათ, რამ გადარიათ!.. (პაუზა.) შენ გეკითხები?!.
მრჩეველი – მე არც პეპლოლოგი ვარ!..
პრემიერი – რაც ხარ... იმაში ხომ ბრწყინვალედ აგვარებ ყველაფერს?!.
მრჩეველი – ეჰ, უმადურობავ, პრემიერი უნდა გერქვას შენ!..
(პრემიერ-მინისტრი პეპელას გაედევნება... პეპელაც ჰამაკებისკენ გაფრინდება...)
პრემიერი – ამას ვერ ვუყურებთ.. პეპელ ნუ გამირბი, არ გინდა... თორემ სადაც დაგიჭერ იქ... იქ...
(ქალები თვალმორიდებით გაიცინებენ.. მამაკაცები გულიანად გადაიხარხარებენ...)
პრემიერი – ეს რა უცნაურობები ხდება ამ ქვეყანაში... ხალხი მიტევს... პეპლები გამირბიან... არადა მერჩია პირიქით ხდებოდეს... მითხარი, რატომ არ ხდება პირიქით?!.
მრჩეველი –ამ საკითხზე უკვე მუშაობს, პოლიციის, უშიშროების და თავდაცვის მინისტრები!..
პრემიერი – შედეგს როდის დადებენ?!.
მრჩეველი – დროა ჩვენი გუნდიდან ერთი ან ორი თანამდებობის პირი შევწიროთ ამ ეროვნულ აქმეს...
პრემიერი – თქვი, პირველი ვინ შევწიროთ!..
მრჩეველი – ჯერ შენ უნდა მითხრა, ვინ შემოგთავაზა, ფოტოგრაფის აქ მოყვანა და პეპლებზე ნადირობის ჩასურათება?..
პრემიერი – თუ სწორად მახსოვს, ფინანსთა მინისტრის მეუღლემ...
მრჩეველი – შენი ეს ფოტოსურათები შეიძლება ამბოხებ-

ულებთან მოხვდეს... შეიძლება გაზეთშიც დაბეჭდოს!... ჰოდა, აგერ შენ, ფინანსთა მინისტრის სახით, მშვენიერი ზვარაკი!..
(პრემიერ მინისტრი ფინანსთა მინისტრს დაადგამს თვალს.)
ПРЕМИЕРИ – თუ შეიძლება, ერთი წუთით მობრძანდი ჩემთან...
(ფინანსთა მინისტრი ფეხზე წამოდგება, ცოლი მას ხელში ხელს ჩაავლებს... იწყლება ხელები...)
МИНИСТРИ – გისმენთ!..
ПРЕМИЕРИ – აირჩიე, მოგხსნა თუ ჩაგაყუდო?!.
МИНИСТРИ – მეტყვი რისთვის?!.
ПРЕМИЕРИ – იცი შენ რისთვისაც!..
МИНИСТРИ – ჰო, მაგრამ მე იმდენი რამისათვის შეიძლება ჩამაყუდოთ, რომ მათი გამოცნობა თუ წამოვიწყე, შემომადამდება!..
ПРЕМИЕРИ – რომ თვითონ გადავრჩე!..
МИНИСТРИ – ეს ვერ გადაგარჩენს!..
მრჩეველი – გადაარჩენს თუ შენს ადგილზე, რევოლუციის ერთ-ერთ ლიდერს დანიშნავს!..
МИНИСТРИ – მე რომ ჩვენი გადარჩენის უკეთესი წინადადება შემოგთავაზოთ?!
ПРЕМИЕРИ – მაშინ მე შენ ჩემს მოადგილედ დაგნიშნავ!..
МИНИСТРИ - ... მოდი, ჩვენც ავდგეთ და ყველაფერი ევროპელ ლიდერებს გადავაბრალოთ!..
ПРЕМИЕРИ – ამის გაკეთება ორი რამის გამო არ შეიძლება...
МИНИСТРИ – პირველი?!.
ПРЕМИЕРИ – ისინი რევოლუციის მხარეს დაიჭერენ!..
МИНИСТРИ – მეორე?!.
ПРЕМИЕРИ – სამოქალაო ომში დამარცხების შემთხვევაში გასაქცევი აღარსად გვექნება!..
(იტყვის პრემიერ-მინისტრი და ბადურას ხელიდან გააგდებს... მინდვრიდან იქვე მიგდებულ ორ თაიგულს აიღებს და ჰამაკისკენ გააგრძელებს გზას... გზად, თაიგულზე პეპელა დაფრინდება...)
ПРЕМИЕРИ – ეს პეპელა ან გიჟია, ანდა უშიშარი!..
მრჩეველი – არც ერთია და არც მეორე!.. პეპელა უბრალოდ შეცდა. პეპლის საჭერის გადაგდებით, მან ჩათვალა, რომ გაკეთილშობილდი!..
ПРЕМИЕРИ – ეჰ, ასე რომ ხალხის შეცდომაში შეყვანა შემეძლოს!..
მრჩეველი – დღეს ხალხი შეცდომაში რევოლუციას შეჰყავს!..
ПРЕМИЕРИ – არა.. ამ პეპელას ჩემთან მოახლოება მაინც არ უნდა გაებედა!..
(იტყვის და პრემიერი თითებს პეპლის დასაჭერად წაიღებს... მრჩეველი მას ხელს დაუჭერს...)
მრჩეველი – გთხოვ, ეს არ ქნა!..
ПРЕМИЕРИ – რატომ, ეს არ არის წითელ წიგნში შეტანილი პეპელა!..
მრჩეველი – ეს ბევრად უნიკალური არსებაა. მეტიც, ჩვენს ქვეყანაში ის, ერთადერთია, რომელმაც შენ, ქვეყნის პრემიერს ნდობა გამოგიცხადა!!!
(პრემიერ მინისტრი წყენით შეხედავს მრჩეველს, ეს უკანასკნელიც თვალის მორიდებაზე გადადის...)

სურათი 007

(მოსჩანს სასაზღვრო ზოლი...გამოჩნდებიან: მოხუცი ზედ „სასაზღვრო ზოლზე“ მოაბიჯებს, მას სახელოებს ერთი მხრიდან ჯარისკაცები ეჭაჭებიან... მეორე მხრიდან რევოლუციონერები...)
МОХУЦИ – ფრთხილად მხეცებო, შუაზე არ გამხლიჩოთ!.. (პაუზა) ვერა უგნურებო, ვერ გადამიბირებთ!..
ЖАРИСКАЦЕБИ – ჩვენ ვიცნობთ ნაკლები ბოროტების თქვენს თეორიას!..
МОХУЦИ – მე ეგ თეორია ახლით გამოვცვალე და მას მეტი სიკეთის თეორია დავარქვი!..
РЕВОЛУЦИОНЕРЕБИ – ჩვენ კეთილი მიზნებისათვის ვიბრძვით, პროფესორო!..
МОХУЦИ – ნურც ისეთ ვითომდა სიკეთეს ჩაიდენთ, რითაც ერთს უკეთდება და მეორეს უშავდება!.. უკეთესობის სახელით სისხლის ღვრა ეს ბოროტებაა, როგორც ფორმით, ისე შინაარსით!.. რევოლუცია ცდილობს მდიდრების ჩამოღარიბებით მიაღწიოს სასურველ წონასწორობას!.. მე კი დარიბდატაკთა გამდიდრებით შეგაძლებინებდით მაქსიმალურად შესაძლო სრულიად სახალხო კეთილდღეობას!..
ЖАРИСКАЦЕБИ – დღეს ხელისუფლება მეტი უფლებების მინიჭებას ცდილობს!..
МОХУЦИ – ყველა ხელისუფლება უფლებებს ანიჭებს და შესაძლებლობებს არა... მე ჩემი მოძღვრებით უფლებებსაც მოგანიჭებთ და შესაძლებლობებსაც!..
РЕВОЛУЦИОНЕРЕБИ – ჩვენი რევოლუცია მაინც უფრო უკეთესობაა, ვიდრე უარესობა!..
МОХУЦИ – შენ ხმაში დაეჭვება გაგეპარა!..
РЕВОЛУЦИОНЕРЕБИ – თქვენი ვერსია, პროფესორო, მეტი სიკეთე ნაკლები ბოროტების ნაცვლად, ბევრად უფრო საჭოჭმანოა!.. ეს დროშიც გაიწელება!..
МОХУЦИ – თუ მიზანი საყოველთაოა და იგი კაცობრიობის მარადიულ ინტერესებშიც მოიაზრება, მაშინ ამ იდეალის ერთი კაცის სიცოცხლეში მიღწევას ნუ დააკნინებთ თვითმიზნამდე!..
ЖАРИСКАЦЕБИ – ბრძენ კაცს უთქვამს: - დემოკრატია მართალია საშინელებაა, მაგრამ კაცობრიობას მაინც ჯერ მასზე უკეთესი არაფერი მოუგონიაო!..
МОХУЦИ – უკეთესი მოგონილია და ეს ჩემი მოძღვრება საოცნებოე გახლავთ!..
РЕВОЛУЦИОНЕРЕБИ – ჩვენ რეალობა გვჭირდება და არა ილუზიები...
МОХУЦИ – აი, სწორედ ასეთი მიდგომის გამო ცურავს სამყარო სისხლში, ჰოდა მოედინება ცრემლის და სისხლის მდინარეები, გუბდება ცრემლისა და სისხლის ზღვები და ოკეანეები და თქვენი ადამიანური თავისუფლებაც ამ ზღვებში და ოკეანეებში იხრჩვება!..
(მოხუცს ერთი მხრიდან გოგო უახლოვდება, მეორე მხრიდან ბიჭი...)
БИЖИ – ნეტა როგორია ეს ნამდვილი თავისუფლება?!!
МОХУЦИ – გაიმეტე ნაკლული სრულყოფილებისათვის და რა იცი, ეგებ შეესწრო!..
БИЖИ – ეგებო?!.
МОХУЦИ – ჰო, ან ყველაფერი, ან არაფერი!..
БИЖИ – ან ყველაფერი ან არაფერი... ეგ ხომ ძალზე სახიფათო თამაშია, პროფესორო!..
МОХУЦИ - ... ჯერ სულ ბავშვი ხარ... ჰოდა, საიდან შენ ამდენი წინდახედულება?!.
(იტყვის მოხუცი და ხელებს სახელოებიდან გამოაძრობს... და ზედა სამოსელს მეომრებს შეატოვებს...)
ГОГО – ან ყველაფერი, ან არაფერი.... ეს მართლაც რომ დამაინტრიგებელი პირობაა!...
(მოხუცი ჯერ გოგოს შეხედავს, მერე ბიჭს...)
МОХУЦИ – შენ თურმე გოგოც გახლავს?!...
ГОГО – მე მასთან არა ვარ, პროფესორო...
МОХУЦИ – მერე და რატომ... იყავი მასთან, ვინ დაგიშალა... მე გული არ დამწყდება....
ГОГО - ვწუხვარ...
МОХУЦИ - ... სხვა რომ არაფერი, შენ ჩემთვის ჯერ სულ ნორჩი ხარ!...
ГОГО – როგორც წესი, ასაკოვნებს მოსწონთ არასრულწლოვანი გოგონები!...
МОХУЦИ – მეც ძალიან მომწონხარ, პატარავ!...
ГОГО - მაშინ რა უდგას წინ სიყვარულს... ნუთუ ისევ და ისევ თქვენი მოძღვრება?!
МОХУЦИ - წინ კაცობრიობის ზნეობრივ-დიდაქტიკური ნორმები უდგას...
ГОГО - თქვენ მათ ანგარიშს უწევთ, პროფესორო!...
МОХУЦИ – მხოლოდ ზოგჯერ და ისიც ზოგიერთ საკითხში!..
ГОГО – ნუთუ თქვენ ხალხის სიძულვილი გაშინებთ?!.
МОХУЦИ - ... მინდა, რომ ვუყვარდე!..
ГОГО – ესე იგი თქვენ თანხმობაში ხართ კაცობრიობასთან?!
МОХУЦИ - მხოლოდ ვიწრო წრის იმ საკითხებში, როცა სრულიად საკაცობრიო სამართლის საკითხები და ზნეობრივი ნორმები ემთხვევა ჩემს აზრებს, შეხედულებებს.!.
ГОГО – სიყვარული ეს იმდენად მშვენიერი გრძნობაა, პრო-

ფესორო, რომ მე ვისურვებდი იგი ყოველთვის, ყველასთვის და ყველასთან შეიძლებოდეს. იცით, პროფესორო, თქვენივე სიტყვებით რომ ვთქვათ, თქვენ მე შინაარსით მომხიბლეთ, ამ ბიჭმა კი თავისი ფორმებით... მეც მზად ვარ თქვენი შინაარსი ამ ბიჭის ფორმაზე წინ დავაყენო!..

მოხუცი – მე თავშეკავებას გირჩევ, რა იცი, პატარავ, შეიძლება სულ მალე ისეთი ვინმე გამოჩნდეს, რომელიც შინაარსითაც მოგეწონება და ფორმითაც!.. თანაც მე თანდათან კიდევ უფრო გავუარესდები.. ბიჭს კი დიდი შანსი აქვს შინაარსით სულ უფრო და უფრო გაუკეთესდეს!..

(იტყვის და... მოხუცი თავისი ზედა სამოსელის სახელოებში ხელებს გაუყრის.)

რემბ-ბი - ჩვენს მხარდაჭერაზე რაღას იტყვით?!

მოხუცი – თუ თქვენ აქეთ გადმოხვალთ, ჩემს მოსწავლეთა ბანაკში, მე თქვენს შემოერთებაზე გპირდებით, რომ სერიოზულად ვიფიქრებ!.. იჩქარეთ... ან ახლა, ან არასოდეს!..

ჯარ-ბი - გირჩევთ ჩვენს გვერდით დადგეთ?

რემბ-ბი – გაიგეთ, უგუნურებო, მე არა თუ თქვენს გვერდით დადგომას, არამედ თქვენს ზემოთ დგომასაც არ ვიკადრებ!..

რემბ-ბი - ჩვენს ბელადობაზე რას იტყოდით?!

მოხუცი – ბელადობა რიგით მეომრობაზე საშინელი ბოროტება იქნება!.. ხელი მეთქი, თქვე ოხრებო!!!

(მოხუცი გოგოს და ბიჭს გადახედავს.)

მოხუცი – მოდით, ნუ გაიზრდებით ამათნაირები!..

ბიჭი - ეს იოლი არ იქნება!..

მოხუცი - ... თქვენც დროა ისწავლოთ ძნელი საქმეების კეთება!..

ბიჭი – ასე შეიძლება ხალხის და სამშობლოს გარეშე დავრჩეთ!..

მოხუცი – ამათნაირობას დამიჯერეთ, უყველაფროდ დარჩენა ჯობს!..

(გოგო, რომელიც სიტყვის თქმამდე დადგება უკეთეს გუნებაზე, წინსწრებით გაიცინებს...)

გოგო – მაინც ასე თანაბრად როგორ გეწევიან?! პროფესორო?!

მოხუცი - ეს მე ვაწონასწორებ მათ ძალებს!..

გოგო - თქვენ ესოდენ დაუძლურებულმა მოხუცმა, როგორ შეძელით ეს??

მოხუცი - შეძლებ თუ იცი სად არის შენი ადგილი!..

გოგო – პროფესორო?!

მოხუცი – მოეშვი ქილიკს... ხელი მეშლება, გაიგე მე ეხლა შენს სულში შეღწევას ვცდილობ!..

გოგო - მე მეშინია, რომ შენ ჩემს სამგზის უარყოფას მოახდენ!..

მოხუცი – თუ სამგზის შენს უარყოფას მოვახდენ, ჩემი იმედი გქონდეს, იქვე მე შენს სამგზის უარყოფის უარყოფასაც შევეცდები, თუ რა თქმა უნდა, მანამდე ამ ახვრებმა შუაზე არ გამხლიჩეს!..

(იტყვის და... მოხუცი ერთხელაც გამოაძრობს ხელებს ზედა სამოსელის სახელოებიდან. იგი ჯიბიდან ბრტყელ ბოთლს ამოიღებს და მზეზე გახედავს...)

იგი - მაინც რა უცებ მთავრდება ეს წყეული?!. ბიჭი, შენ ხომ არა გაქვს რაიმე სპირტის მაგვარი?..

ბიჭი - არა, პროფესორო... გეფიცები!

მოხუცი – ასე სჯობია... მოდი, ნურასოდეს მიეძალები სასმელს! არადა არაყი ჩემი ენერგოშემავსებელია!..

ბიჭი - კარისკაცებს სთხოვეთ!..

მოხუცი - ბრიყვო და მიამიტო... მაგათი სათხოვარი ჩემი წილი ჰაერიც არ მინდა!..

(გოგო მოხუცს გამომწვევად შეხედავს!..)

გოგო - მაინც რატომ არა ხართ რომელიმე მათგანის მხარეზე?!.

მოხუცი - *(ყვირილით)* რაა?!!!

გოგო - ვერ გაიგეთ?!.

მოხუცი – მე გამეორებას კი არ გთხოვ... მე შენს კითხვას ვიკვირვებ!.. რაოდენ მცირე პიროვნებადაც არ უნდა გესახებოდეთ, გაიგეთ, რომ მე იმდენი ღირსება მაინც შემომრჩება, რომ სხვასთან არ ვიყო!!!

(გოგოს თვალები გაუბწყინდება, ისიც ისკუპებს და მოხუცს კისერზე ჩამოეკიდება...)

გოგო – მე მზად ვარ ჩემი უბიწოები შემოგწირო!..

მოხუცი – მე კი ასეთი მსხვერპლის მიღებისათვის მზად არა ვარ!..

(მოხუცი გოგოს მკვეთრად შეაქცევს გვერდს და ჯარისკაცებს მიუბრუნდება...)

ჯარ-ები – უნდა გამოგიტყდეთ პროფესორო, მე გავეცანი თქვენს ნაშრომს და შიგ რევოლუციონერებთან მსგავსება აღმოვაჩინე!..

მოხუცი - არადა განსხვავება უნდა აღმოგეჩინა!.. მსგავსებიც და ერთი და იგივეებიც ჯარისკაცები და რევოლუციონერები ხართ!..

ჯარ-ები – ჩვენ ერთმანეთს ვებრძვით, პროფესორო, ეს შეუძლებელია... ასე, რომ გიბრძანებთ ეხლავე ჩვენი მსგავსების ერთი ნიშანი მაინც დაგვისახელო!..

მოხუცი – კი ბატონო, ეხლავე, ინებეთ.. ხოცვა-ულეტვის ჟინი და მოთხოვნილება, ერთმანეთის შეუბრალებლობა, მოტივი, მიზანი და რა თქმა უნდა, შედეგიც, აქეთაც და იქითაც დახოცილი უამრავი გვამი. საკმარისია?.

გოგო – ყოჩაღ პროფესორო!..

(იტყვის გოგო და ერთხელაც ჩამოეკიდება კისერზე მოხუცს... მოხუცი მისგან ამჯერადაც განთავისუფლდება...)

გოგო – პროფესორო, პატივი ეცით ჩემს გრძნობებს!..

მოხუცი - შენ უკვე გრძნობებით ძალადობას ახდენ ჩემზე?.. ნუ... ნუ იპრანჭებით... (პაუზა...)

გოგო – ეს არ იქნებოდა ჩემი ხელყოფა!..

მოხუცი - ეს ბევრად უარესი იქნებოდა...ეს ჩემი პრინციპების ხელყოფა იქნებოდა!...

(მოხუცი გოგოს კვლავაც მკვეთრი მოძრაობით შეაქცევს გვერდს და ბიჭს მიუბრუნდება...)

მოხუცი - ჰო მართლა ბიჭი, შენ ხომ არა გაქვს რაიმე სპირტისმაგვარი?..

ბიჭი – იძულებული ვარ, მეორედ გითხრათ უარი...

მოხუცი - შენს ასაკში კაცს ერთხელ უარის თქმაც მოერიდებოდა!..

სურათი – 008

(ფიცრული ... მაღალ საზურგიან სავარძელში მოხუცი ზის და წინ და უკან ირწევა... ხელში ვიწრო და მაღალი ჭიქა უჭირავს, გვერდით მცირე ზომის კასრი უდგას.. წინ კი დაბალი მაგიდა. მოახლოვდება, მამაკაცი (ქმარი).)

ქმარი – შეიძლება?!

მოხუცი - რომ გითხრა არა-მეთქი... წახვალ?

(მოხუცი სტუმარს ჭიქას მიაწვდის!..)

ქმარი – მე ინტელექტუალური დახმარება მჭირდება...

მოხუცი – მდა... ერთობ საინტერესო განცხადებაა... გისმენ!..

ქმარი - თქვენზე მითხრეს ნათელი გონების ადამიანიაო!.. თუმცა იქვე სხვებმა ისიც მითხრეს, რომ კარგა გვარიანად უსტვენთ!..

მოხუცი – როცა ჩემს სასახლეში შემოხვედი და თვალებში ჩამხედე, რა აზრი შეგექმნა?!

ქმარი - ... ამას რას ვიფიქრებდი, რომ თქვენ დაუვარცხნელს, დაუბანელს, ამ დალეწილ ქოხში განახავდით!.. მეც მაგრად გამიტყდა, პროფესორო!..

მოხუცი - გავიგე, რომ შენთვის ადამიანის ნიჭიერება მის სიმდიდრესთან, დაბანილ-დავარცხნილობასთან და ჩაცმა-დახურვასთან იგივდება!..

ქმარი - მე რჩევა მჭირდება, პროფესორო...

მოხუცი - მე გენიოსი ვარ და არა გულთმისანი, ... თქვი, რა გინდა ჩემგან?!. თუმცა მოიცა, ჯერ წინადადებას დავუსვამ წერტილს...

(ქმარი თქმამდე გაიცინებს...)

ბი - დაუმთავრებელ წინადადებას ნუ დაუსვამთ წერტილს!..

მოხუცი - ეგ არაფერი, რადგან ჩემი წინადადება ბევრად აზრიანი იქნება, ვიდრე ყველა ქვეყნის კონსტიტუციაა!.. სუ... არ გაბედო და კონსტიტუციები ცალკ-ცალკე არ იგულისხმო!..

ქმარი - პროფესორო, ნუ მაფიქრებინებთ, რომ...

მოხუცი - რადგან ჩემამდე მოაღწიე, აქ, ჩემთან უკვე მე ვფიქრობ ყველას მაგივრად!..

(მოხუცი თავის ჭიქიდან არაყის ნაწილს სხვა ჭიქაში ჩაასხამს... ქმარი ჭიქას აიღებს...)

მოხუცი - ამ სასმისით ყველა გენიალურ აზრს გაუმარჯის...
ძმარი – კი, ბატონო, ყველა გენიალურ აზრს გაუმარჯის... გენიოსებს გაუმარჯოს!
(მოხუცი წამით სიტყვაზე შეყოვნდება და ეშმაკურად დაიწყებს გამოხედვას!..)
მოხუცი – რა ვქნა, მევალება, ჰოდა! მე შენ ჩემი დღეგრძელობისათვის მადლობას გიხდი!..
ძმარი – მომიტევეთ, მაგრამ მე თქვენ არ მიდღეგრძელებიხართ!..
მოხუცი – მადღეგრძელე, როცა გენიოსების სადღეგრძელო წარმოთქვი!..
ძმარი – გამოგიტყდებით, მე თქვენ გენიოსებში არ მიგულისხმებიხართ!..
მოხუცი – დასანანია, თუმცა არა უშავს, მაგიერ მე ვიგულისხმე გენიოსებში ჩემი თავი!..
(იტყვის მოხუცი და არაყს შესვამს...თავს გააქნევს... დრრ-ს წამოიძახებს...)
ძმარი - მე ცხოვრება დამენგრა პროფესორო და ახლის აშენებას ვცდილობ...
მოხუცი - რომ ააშენო, უნდა იცოდე, რომ იცოდე, უნდა ისწავლო!.. მოდი, განათლება ჩემი მოძღვრებით დავიწყოთ!.. ჩემი მოძღვრების მთავარი მცნება - არ კაც კვლა - გახლავთ!..
ძმარი - ეგ რელიგიური სწავლების მთავარი მცნებაა!
მოხუცი – ჩემთან კაცთ კვლა ბოროტება და დანაშაულია, რელიგიაში კი იგი შეიძლება კეთილშობილურად იქცეს... ასე მაგალითად, თუ შენ, რომელმაც მოკალი ადამიანი, თან შესძლებ და დაამტკიცებ, რომ შენი მოკლული ადამიანი სამოთხეში მოხვდა!.. სამოთხე ხომ რელიგიური თვალსაზრისით იდეალური სამყაროა!..
ძმარი – სამოთხის უარყოფით თქვენ ძალზე კვეცთ ისედაც ხანმოკლე ჩვენს სიცოცხლეს!..
მოხუცი - მაგიერ ვაძლიერებ მის არსს, სურვილს, მეტი მივიღოთ ერთქვეყნიერებიდან!..
ძმარი – სწორად გამიგეთ, პროფესორო, მე დღეს არ ვარ ჩემს შემოქმედებაში თავისუფალი!..
მოხუცი - თავისუფლება ის არის თუ, სად, როდის, ვისთან, რამდენთან და რისთვის მიგესვლება!
ძმარი - ბობოქარი განცხადებაა!..
მოხუცი – თქვენ სახელმწიფო და საზოგადოება უფლებას განიჭებთ, მე თქვენ შესაძლებლობებს მოგანიჭებდით...უფლებები მეტწილად ბლეფია... შესაძლებლობები – რეალური შანსი. შენ უნდა გაერკვე შენს შიგნით, - რა გინდა შენთვის... უნდა გაერკვე, რის გაკეთება შეგიძლია სხვისათვის...
ძმარი - თქვენი მეტყველება გრიგალია, აზროვნება ქარიშხალი!.. მითხარით, ვის ინტერესებშია იგი, ხელისუფლების თუ რევოლუციონერების?..
მოხუცი – არც ერთის და არც მეორესი... იგი საყოველთაოდ ყველას ინტერესშია...
ძმარი – როგორც იქნა... რაც თავი მახსოვს, სულ ასეთ მოძღვრებასთან ზიარება მსურდა!.. თუმცა ახლა, როცა ამის შესაძლებლობა მომეცა, მე იძულებული ვარ, უარი ვთქვა!.. პროფესორო, მე ან რევოლუციის მხრეზე უნდა დავდგე, ან ხელისუფლების მხარეზე!..
მოხუცი – ნამდვილად დამაბნიე... ის, რითაც მე შემიძლია პატივი გცე, შენ მასზე წიხლს მიკრავ...
ძმარი – მე ვირი არა ვარ და ეს ჩემდა საუბედუროდ, რადგან ჩემს დღეში არც ის ჩაიგდებდა თავს!.. მე ვერაფრით გადავარწმუნე ჩემი ცოლი!..
მოხუცი – თუ შენი ცოლი გდასარწმუნებელია, ის გამოგეშვა ჩემთან... შვილები გყავს?!.
ძმარი – სწორედ ამაშია საქმე... რა საკვირველია მყავს...
მოხუცი – არანაკლებ შეცდომას უშვებ, თუ ცოლ-შვილზე ამბობ უარს!..
ძმარი – ისინი ქვეყნიდან აპირებენ გამგზავრებას...
მოხუცი - ... არანაკლებ შეცდები, თუ სამშობლოზე იტყვი უარს!.. დალიე, მე ჩემს ცხოვრებაში გადაწყვეტილების მისაღებად პირველად მჭირდება მოშველება!..
მოხუცი - ცოლ-შვილი ავირჩიო თუ სამშობლო?!.
მოხუცი - გაიგე, მე ერთი, ყველა დროის უდიდესი გენიოსი ვარ და არა შემლოცველი!!!
ძმარი - ის მაინც მირჩიეთ, ვის მხარეს დავგდე, ხელისუფლების თუ რევოლუციის?!
მოხუცი – დადექი იმ მხარეს, სადაც საქმე უმრავლესობის ინტერესებში კეთდება, თუ რა თქმა უნდა, უარს ამბობ ჩემს მოძღვრებაზე საყოველთაო ინტერესებში!..
ძმარი – პროფესორო, უნდა მოგიბოდიშოთ, რომ... წარმოთქმულ სადღეგრძელოში გენიოსების მიმართ თქვენ არ გიგულიხსმეთ!..
მოხუცი – ეგ არაფერი... მე პატივს ვცემ თავისუფალ აზრს...
ძმარი - თუ შეიძლება, ახლა გიგულისხმებთ!..
(ქმარი ჭიქას აიღებს და მოხუცს ჭიქაზე მიუჭახუნებს!..)

სურათი 009

(სასაზღვრო ზოლისაკენ ერთი მხრიდან გოგო გამოურბის მაღალი სოციალური ფენის ადამიანებს... მეორე მხრიდან ბიჭი გამოურბის პროლეტარიატს... გოგო და ბიჭი სასაზღვრო ზოლთან მიუახლოვდებიან ერთმანეთს.)
ბიჭი - ... შენ მაინც გამოდი!..
გოგო – ჰო, გამოვედი!..
ბიჭი - ... დედმამისაგან მალულად?!
გოგო - ... დედ-მამის ნების წინააღმდეგ!..
ბიჭი - ... მინდა გითხრა...
გოგო – მადლობას ნუ მეტყვი, მე მინდოდა და გამოვედი!..
ბიჭი - ნეტა რა ჰქვია ამ ჩემს სურვილს?!
გოგო – მინდა იგივე ერქვას, რაც ჩემსას!..
(გოგო შეკრთება და იქვე ორივე შეჩერდება...)
გოგო – იქნებ მე და შენ შეცდომას ჩავდიოართ!..
ბიჭი – თუ ეს ჩვენი შეცდომაა, მაშინ მშვენიერი ყოფილა შეცდომის დაშვება!..
ბიჭი - მომწონხარ!.
გოგო - მე უფრო მომწინხარ!..
ბიჭი – თუმცა იმასაც ვხვდები, რომ ეს უფრო მეტია და მშვენიერი, ვიდრე ერთი უბრალო მოწონება!..
გოგო – ნეტა, უფრო მეტი და მშვენიერი რა შეიძლება იყოს!..
ბიჭი – მიყვარხარ!!!
გოგო – მე მაფრთხობს შენი სიყვარული!..
ბიჭი – მე მაძლიერებს!..
(გოგო ერთხელაც შეკრთება... იგი მისკენ გამოწეულ ბიჭს... სახეს აარიდებს... ჭოჭმანობს!..)
გოგო - მართლაც... შენ უდავოდ იქნები ჩემზე ბედნიერი!..
ბიჭი – რა თქმა უნდა, ვიქნები, თუმცა შენი მიკვირს ძვირფასო, რატომ მითმობ ბედნიერებაში პირველობას?!
გოგო – წარმომიდგენია, როგორ უხარიათ შენს მშობლებს!.. მათ ხომ რძალი ეყოლებათ მაღალი სოციალური წრიდან!..
ბიჭი – ოი, ცდები... ცდები და მერე როგორ... (პაუზა) სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ჩემი ოჯახის მთელი იმედები რევოლიციის გამარჯვებაშია!.. რევოლიციის გამარჯვების შემთხვევაში კი ჩემებს შეიძლება სიხარული ჩაამწარონ... მათ ხომ რძალი ეყოლებათ მდიდართა წრიდან!..
(გამოჩნდებიან... მოხუცი სასაზღვრო ზოლზე მოაბიჯებს... მას ამჯერადაც იქეთ-აქეთან ჯარისკაცები და რევოლუციონერები სახელოზე ეკაჩებიან... იგი სახელოებიდან ხელებს გამოაძრობს და გოგო – ბიჭს მიუახლოვდება...)
მოხუცი – თქვენ სასაზღვრო ზოლზე დგეხართ?!. ე.ი. ეს ნიშნავს, რომ თქვენ თქვენებს გამოექეცით... ეს ნიშნავს, რომ მათთან აღარ გინდათ?!
გოგო - აღარ გვინდა, პროფესორო!..
მოხუცი – ოღონდ იცოდეთ, ჩემს მოძღვრებასთან -საოცნებესთან ზიარება იმ მიზეზით, რომ სხვაგან არსად წასასვლელი არ გაქვთ, არამც და არამც არ გაბედოთ!..
ბიჭი – არც მთლად მასეა ჩვენი საქმე, პროფესორო!..
მოხუცი – აბა დავიჯერი ეს თქვენი სულის ყივილია... დავიჯერო ჩემს მოძღვრებასთან ზიარების მოთხოვნილება გაგიჩნდათ?!
გოგო – არც ეგ დაიჯეროთ, პროფესორო!..
ბიჭი – ჰო, ჩვენ ჯერ არა ვართ მზად, ვეზიაროთ თქვენს

მოძღვრებას... თქვენც ნუ გვაჩქარებთ!..
მოხუცი - ... ნუ გვაჩქარებთო?!. როგორ გეკადრებათ... ერთი კარგად მომისმინეთ, ჩემს მოძღვრებას, რომ გაზიაროთ ძაან უნდა გინდოდეთ ეს... უნდა მთხოვოთ... უნდა მეხვეწოთ და ამის მერე მე დიდხანს ვიფიქრებ, გაზიაროთ თუ არა... მითხარით, თქვენ რატომ ხართ ერთად... და-ძმანი ხართ?!
ბობო - ჩვენ შეყვარებულები ვართ, პროფესორო!..
მოხუცი - რა დროს თქვენი ეგეთებია... მაინც სად შეიყვარეთ ერთმანეთი?..
ბიჭი - ეს თქვენს ლექციაზე მოხდა, პროფესორო!..
მოხუცი – წარწყმედილებო.... ვნებასაყოლილებო... უწმინდურებო!.. მოკლედ, სხვაგან სადაც გინდათ, მაგრამ ეს ჩვენს ლექციაზე არ უნდა დაგმართოდათ!..
ბობო – პირადად მე ყურადღება არ გამფანტვია... ყველაფერი მახსოვს, იმ დღეს თქვენ თანასწორობის თემას შეეხეთ, პროფესორო!..
მოხუცი - უთუოდ შევეხებოდი!..
ბობო - ჰოდა, განა, ეს უფრო არ გააერთფეროვნებს ჩვენს, ისედაც უფერულ ცხოვრებას?!
მოხუცი – არც გააერთფეროვნებს და არც გააუფერულებს... გონება მოიკრიფეთ, დაფიქრდით, ჩვენ თუ ერთი სიმაღლის ზედაპირზე ვდგევართ, განა ერთი სიმაღლისანიც ვართ... მე საწყის თანასწორობაზე ვისაუბრებდი... ერთმანეთისთვის სამართლიანი დაწინაურების შესაძლებლობების მინიჭებით, ეს კი, სულაც არ ნიშნავს ჩვენს შორის განსხვავებულობის მოსპობას... ეს თვით ჩემს საოცნებოეს ძალებსაც აღემატება!.. ჩემი მოძღვრება – ეს არის სწავლება მარადიული დაეჭვებისა ჭეშმარიტებაში...
ბიჭი – სულ ეჭვებში უნდა ვიცხოვროთ?!
მოხუცი – გრცხვენოდეთ რწმენის!..
ბობო - თუ ჭეშმარიტება არ გვექნება... გვექნება სირცხვილის განცდა!..
მოხუცი - შემზარავია ტყუილში ცხოვრება!..

სურათი 010

(სივრცე... სიბნელეა... წვიმს... სასაზღვრო ზოლზე მოხუცი მოაბიჯებს... მას გარს ახალგაზრდები არტყია, მათ ყველას თავზე განიერი და გრძელი გადასაფარებელი ახურავთ... მოხუცს მარცხენა ხელში ჭრაქი და უსტარი უჭირავს.. მარჯვენა ხელში ბატისფრთიანი საწერკალამი... მოხუცი საოცარ განცდებშია, ხან თავს ააგდებს მაღლა, ხან ბატის ფრთას სახეზე ისვამს... ჩერდება და ისევ ამოძრავდება. ახალგაზრდებიდან ერთი ველარ გაუძლებს ამდენ უსიტყვობას...)
ხმა – პროფესორო...
მოხუცი – ჩუ, ნუ მაწყვეტინებთ საუბარს ჩემს თავთან...
ბობო - იმ დღეს... ამავე სასაზღვრო ზოლზე... ვერ გავარკვიე, თქვენ ვისი მხარე დაიჭირეთ?!
მოხუცი - ორივე მხარე მართალია!..
ბობო - შეუძლებელია ორივე მართალი იყოს!..
მოხუცი – შეიძლება რამდენიმე მხარე ერთდროულად იყოს მართალი!.. ერთნი შეიძლება მართლები იყვნენ დღევანდელობიდან გამომდინარე, მეორენი კი ისტორიული გამოცდილებათა შეჯერებით, მესამე კი მომავალის განჭვრეტით!.. ერთნი მართალნი არიან, თუ არ სურთ დაკარგონ ის, რაც აქვთ, მეორნი მართალნი არიან, თუ აღარ უნდათ იმ უარესობაში ყოფნა, რომელიც აქვთ, მესამენი მართალნი არიან, თუ უკეთესობა სწადიათ, რა არის აქ გაუგებარი?!!!
ბობო – თქვენი საბოლოო ვერდიქტი, პროფესორო!..
მოხუცი - ერთნი მართალები არიან, რომ საზოგადოების ინტერესებს წარმოადგენენ, მეორენი მართალნი არიან, რომ სახელმწიფოს ინტერესებს იცავენ, მესამენი ეროვნულს, მეოთხენი საკაცობრიოს და ა.შ.
ბიჭი – ბოლოს და ბოლოს – უჭერთ თუ არა მხარს რევოლციას?
მოხუცი - ვუჭერ რადგან ომი უკვე დაწყებულია, თუმცა წინააღმდეგი ვიყავი, სანამ დაიწყებოდა...
ხმა – ბოლოს და ბოლოს რა არის ეს, უარესობა თუ უკეთესობა?!
მოხუცი – მე ადამიანი ვარ, ასე, რომ ამ კითხვაზე პასუხს ვერ გავცემ!..
ხმა – თქვენ თუ არა, ამ კითხვაზე პასუხს სხვა ვინ გასცემს?!
მოხუცი - მომავალი!!!
ბობო - თქვენ მე ისევ და ისევ მაკვირვებთ, პროფესორო?!
მოხუცი - თქვენც, დროა ჩემგან გასაკვირველის მოსმენას მიეჩვიოთ და არც არაფერი აღარ გაგიკვირდეთ!..
ხმა – მაინც საზოგადოების მოწყობის რომელი მოდელია საუკეთესო?
მოხუცი – მე ჩამოვთვლი და თქვენ შეარჩიეთ: პირველი, – როცა შენთვის იღწვი და ამით მხოლოდ შენ გიკეთდება... მეორე, - როცა შენთვის იღწვი და ამით სხვებსაც უკეთდება. მესამე, - როცა სხვებისთვის იღწვი და ამით მხოლოდ სხვებს უკეთდება. მეოთხე, - როცა სხვებისთვის იღწვი და ამით შენც გიკეთდება... მეხუთე, - ერთი ყველასათვის... მეექვსე,- ყველა ერთისათვის...,მეშვიდე,- ყველა ყველასათვის!..
ხმა - პროფესორო!..
მოხუცი – მაშინ შენ მერვე მოგეწონება!!!

სურათი 011

(სასაზღვრო ზოლი. ერთი მხრიდან ხელისუფლების ჯარისკაცი „მამა" მოემართება, მეორე მხრიდან რევოლუციის მეომარი - „ვაჟიშვილი"... ისინი სასაზღვრო ზოლთან მიუახლოვდებიან ერთმანეთს... ორივეს შაშხანები აქვს მხარზე მოგდებული...)
მამა – უმადურო შვილო!..
შვილი – თავგზააბნეულო მამავ!..
(მამა-შვილი ერთმანეთს ჩაეკვრება!..)
მამა – როგორა ხარ, შვილო!..
შვილი - თვითონ!..
მამა – მე შენი გონს მოსვლის იმედად ვცოცხლობ...
შვილი – მე თქვენზე გამარჯვების იმედით!..
მამა ყურს აუწევს ვაჟიშვილს... შვილი მამას შაშხანის ლულას მიაბჯენს...
შვილი - მოწინააღმდეგე არმიის ჯარისკაცს მეტი პატივისცემით მოპყრობა უნდა...
მამა – პატივისცემას კი დამსახურება... ჰო, მიდი ეგებ მესროლო!..
შვილი – ბედი შენი, რომ დღეს ცეცხლის შეწყვეტის ბრძანებაა გაცემული!..
მამა – თურმე მტრის არმიის სარდლობა ჩემი შვილისაგან მიცავს!..
შვილი – გაიგე მამა, ჩვენ საყოველთაო ინტერესებისათვის ვიბრძვით!..
მამა – ძმათამკვლელ ომს შენ უკეთესობისათვის ბრძოლას ეძახი?! მამა-შვილს შორის ომს, უკეთესობისათვის ბრძოლას ეძახი!..
(ვაჟიშვილს მღელვარება მოაწყდება... იგი ნერვიულად ამოძრავდება... ყვირის...)
შვილი – გთხოვ, არ გინდა, მამა, მოეშვი ჩემი ოცნების მოკვლას!.. ჰო, მამა, გაიგე, მე ჩემი ამ ოცნებით დაღუპვა მიჯობს, იმ ჩვენს შეურაცხმყოფელ რეალობაში ჩარჩენას!..
მამა – არადა, ბრძენ კაცებს უთქვამთ: შეჩვეული ჭირი გერჩიოსო, - შეუჩვეველს!..
შვილი – ეს ჭირზეა ნათქვამი და არა სიკეთეზე!..
მამა მხრებში ხელებს ჩაავლებს ვაჟიშვილს და შეანჯღრევს..
მამა – ცუდია, რომ არ გამოგიცდია მამობა!..
შვილი - დამიჯერე, ჩემი, შვილის მდგომარეობა ამ ომში, მამის მდგომარეობაზე უკეთესი არაა!..
მამა – როგორია ველოდე ჩემივე შვილისაგან სიკვდილს!..
შვილი –როგორია ელოდე მამის ტყვიისაგან სიკვდილს!..
მამა – როგორია დაშვება იმისა, რომ შენი ვაჟიშვილი შეიძლება შენი ტყვიით მოკვდეს!..
შვილი - თუ არ მინდა, შენი მოკვლა, არ მინდა, მამა...
მამა – მე შენთვის თვალის გასწორება მიჭირს, შვილო!..
შვილი – მე შენს ადგილზე, შვილისათვის, თვალის გასწორება უფრო ისეთ ცხოვრებაში გამიძნელდებოდა, რომელიც მშვიდობიანობაში გვქონდა!..
მამა – მამის მკვლელო!..
შვილი – შენ შეგიძლია ეს უბედურება შენც აიცდინო და

მეც ამაცდინო!.. მე რევოლუციონერი ვარ...
მამა – მე კი შენი მამა ვარ, ბიჭო!..
შვილი – მაშინ ისიც უნდა გაიხსენო, რომ ასეთად შენ გამზარდე!..
მამა - შვილო!..
შვილი – მე ახლა სწორედ ამის დავიწყებას ვცდილობ!..
მამა – შენ ჩვენი მამა-შვილობის დავიწყებას ცდილობ?!
შვილი – შენც იგივეს გირჩევ, მამა!..
მამა – შენ მამას ებრძვი!..
შვილი – მე ჩემს თავსაც ვებრძვი!..
მამა – საკუთარ თავთან ტყვიით ომი არ შეიძლება... იგი შეგონებით უნდა გადაარწმუნო!..
შვილი – მე ასეც მოვიქეცი, ჯერ გადავარწმუნე და მერე ავიღე იარაღი ხელში!..
მამა – შენ მაინც ძალიან აჩქარდი, შვილო!..
შვილი – მე კი სულ ერთი ეჭვი მტანჯავდა, ვაითუ დავაგვიანე-მეთქი!..
მამა – საბრალო დედაშენი!..
შვილი - გთხოვ დაბრუნდი სახლში, მამა!
მამა – ერთად დავბრუნდეთ!..
შვილი – რატომ საპასუხო პირობა, თუ შენ დაბრუნება შეგიძლია...
მამა – ვცდილობ შენ დაგათმობინო...
შვილი – ვერ დამათმობინებ!..
მამა – რატომ... შენც და მეც ხომ სხვებისათვის ვიბრძვით?!.
შვილი – ჰო, მაგრამ შენს ბრძოლაში სხვებისათვის მე და შენ არ ვიგულისხმებით, ჩემს ბრძოლაში კი სხვებისათვის შენც იგულისხმები, მეც და მთელი ჩვენი ოჯახიც!..
მამა – ესე იგი მესვრი?!
შვილი – გესვრი და თანაც დამიზნებით, რადგან არ მინდა ჩემი ზერელეობით, თუნდაც მამაზე, დამეხარჯოს ზედმეტი ვაზნა!.. გთხოვ, დაუბრუნდი დედას!..
მამა – გეფიცები, არ მინდა შენი მოკვლა!..
შვილი - მოგიწევს!..
მამა – არც შენი ხელით მინდა მოვკვდე!..
შვილი - მომიწევს!..

სურათი 012

(ქოხს გოგო და ბიჭი მიუახლოვდებიან.. ბიჭო გოგოს ხელის მოქაჩვით თავისკენ ეზიდება... გოგო დამორცხვებულია... მოსჩანს: მოხუცს სავარძლის საზურგეზე ხელები უკან აქვს გადაწყობილი.. თავი უკან აქვს გადავარდნილი...)
გოგო – სიცოცხლის ნიშან-წყალიც არ ეტყობა...
ბიჭი – აუ, რამდენი ცოდნა წაიღო იმ ქვეყნად!.
(ბიჭი სილას გააწნავს მოხუცს, ისიც იატაკზე გადავარდება...)
მოხუცი - რას შვრებით, მკლავთ?!
ბიჭი - მკვდარი გაგაცოცხლეთ, პროფესორო!.. გოგო და ბიჭი მოხუცს მივარდებიან... წამოაყენებენ...
მოხუცი - არა და ყველაფერი პირიქით იყო, როცა მკვდარი გეგონეთ, მე ცოცხალი ვიყავი, ხოლო როცა გეგონათ გამაცოცხლეთ, მგონი მომკალით!..
გოგო - რა გჭირთ, რატომ ბარბაცებთ... მთვრალი ხართ?!..
მოხუცი - არა, ბიჭო, ფეხს ვიდგამ!.. ხოლო ახალფეხადგმულებს ბარბაცი არ გაგვემტყუნება!..
გოგო – ერთი ის მითხარით, პროფესორო... ოდესმე გიყვარდათ?!.
მოხუცი - მე დღესაც შეყვარებული ვარ... ჩემს მოძღვრებაზე, საოცნებოეზე!.. მე ჩემმა მოძღვრებამ მიმახვედრა, რომ სწორედ ისა ვარ, ვინც მინდა ვიყო!.. მიმახვედრა, რომ... თუ სად უნდა დავდგე!.. მიმახვედრა, რა ვაკეთო და როგორ ვაკეთო?! ეს ის საქმეა, რომელიც მარტო მე შემიძლია და სხვას არავის!..
ბიჭი - რაც არის არის, პროფესორო, ადექით და გვაზიარეთ თქვენს მოძღვრებას!..
მოხუცი - ჯერ ის მითხარით, რატომ გინდათ ჩემთან?!
გოგო – თუნდაც იმიტომ, რომ სხვასთან არ გვინდა...
მოხუცი – ეგ კარგი მიზეზია, მაგრამ საკმარისი არ არის!..
ბიჭი - თანაც ვიცით, რატომ არ გვინდა სხვებთან!..
მოხუცი - ეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მიზეზია.. თუმცა საკმარისი არც ეს არის!.. მე შენ ერთ რჩევას მოგცემდი, გოგონი... ასე მაგალითად, თუ შენ ეზიარები რევოლუციის მოძღვრებას, ამით შენ შენი ოცნების ვაჟის გულსაც მოიგებდი!..
ბიჭი – ამას მე არ დავუშვებ, რადგან არ მინდა ჩემმა ოცნების გოგომ თავისი მსოფლმხედველობა მსხვერპლად შეომომწიროს...
მოხუცი - მაშინ შენ ეზიარე ხელისუფლების დოქტრინას და ამით მოიგე ქალიშვილის გული!..
გოგო - ამას მე არ დავუშვებ, პროფესორო, რადგან არ მინდა ჩემი ოცნების ვაჟმა თავისი მსოფლმხედველობა მე შემომწიროს!..
(მოხუცი ხარხარებს, გოგოს და ბიჭს მხრებზე ხელებს მოხვევს და შეეცდება კარებისაკენ წაასხას!..)
ბიჭი – გთხოვ, ნუ იზამთ ამას, პროფესორო!.. გარეთ ბნელა, წვიმს, ქარია, ნუ გაგვყრით...
მოხუცი - გაგყრით, რადგან თქვენ ერთმანეთისათვის საკუთარი მსოფლმხედველობის შეწირვაზე უარს ამბობთ, ამასთან გინდათ ხელაღებით ჩემი მოძღვრება შესწიროთ!..
გოგო - პროფესორო!..
მოხუცი – არ შეგაწირინებთ!!!
(ბიჭი გოგოს გადახედავს...)
ბიჭი – მგონი ვხვდები, რატომაც არ გვაზიარებს პროფესორი თავის საოცნებოეს!
გოგო – ჰო, ალბათ ამისათვის ერთი აკადემიური განათლება მაინცაა საჭირო!..
მოხუცი - არ გაბედოთ აკადემიური განათლებით დამახინჯებული გონებით ჩემთან მოსვლა... ე.წ განათლებულებს ჩემს მოძღვრებასთან საზიარებლად მე სრულიად გაუნათლებელი ადამიანები მიჯობს... რადგან განათლებულებს ჯერ თავიანთ ცოდნაზე, რწმენაზე და მრწამსზე უნდა ვათქმევინოთ უარი, რაც ყველაზე ძნელი საქმეა... ზოგჯერ შეუძლებელიც...
გოგო – პროფესორო, თქვენთვის რაიმე შეიძლება იყოს შეუძლებელი?!
მოხუცი – მაინც ჩემი მოძღვრების სწავლების დაწყებას ნოლიდან არაფერი სჯობს...
ბიჭი - მაშინ ა, თქვენ ჩემი ოცნების გოგო!..
გოგო - მაშინ ა, თქვენ ჩემი ოცნების ვაჟი!.. მოხუცი ისევ ხელს მოხვევს მათ და კარისაკენ მიაწევება...
გოგო - ჰო, მაგრამ ასე მარტო, ყველასაგან მიტოვებული... მოკლედ, მე თქვენ მებრალებით, პროფესორო...
მოხუცი - შეიბრალეთ ის, ვინც ჩემთან არ არის!!!
ბიჭი - გამოგიტყდებით, პროფესორო, მე და ჩემი ოცნების ქალიშვილი ამ ღამით თქვენს ქოხში ვაპირებთ შეუღლებას!..
მოხუცი - იცით, თქვენ რას გეტყვით!.. კარგად მომისმინეთ, დაღვინებულ ასაკში სექსუალური ორგანო ადამიანის სხეულის ნაწილს წარმოადგენს, თქვენ ასაკში კი, თქვენ თქვენი ყველაფრით იქეთ წარმოადგენთ სექსუალური ორგანოს ნაწილს... ასე, რომ თქვენ ახლა ჟინი გმართავთ და არა გონება...
(ქოხში სამი მამაკაცი შემოდის... ისინი კარებზე გადმოიღლიან...)
პირველი - აქა მშვიდობა!
(მოხუცი უკმაყოფილებას გააზვიადებს... შუბლასაც შეიკრავს. შემოსულთაგან პირველი მეგობრებს გადახედავს... შემდეგ თვალს მოხუცს დაადგამს...)
იგი – თუ არ ვცდები, აქ პროფესორი შენ იქნები?!
მოხუცი – რა ამბავში ხართ აქ, თქვე, ახვრებო?!
(მესამე კარებს ძველ ადგილზე აყუდებს!..)
იგი - ჩვენ ბოდიშით, პროფესორო!..
მოხუცი - იტყვით, რისთვის მოხვედით ჩემთან?
(სამეული არყის კასრს დაადგამს თვალს...)
პირველი - აბა, შენზე უკეთ ვინ იცის, თუ რისთვის მოდიან შენთან!..
მოხუცი – თქვენ გნებავთ, ჩემს მოძღვრებას საოცნებოეს გაზიაროთ?..
(პირველი მეგობრებს გადახედავს.)
პირველი - ხომ გითხარით, თავისით მიხვდება მეთქი!.. მე

და ჩემს მეგობრებს გვაინტერესებს, ვინ არის ავტორი ამ მოსაზრებების, რომელიც უნდა გავიზიაროთ!..
მოხუცი – ეს მოსაზრება არ არის... ეს ჩემი აზრების კრებულია!..
მესამე – ესე იგი თქვენ ხართ ის ბრძენთა ბრძენი...
(მოხუცი ქოხში შთაგონებულ მიმოსვლას იწყებს...)
მოხუცი – მე ამას არ გავყვირი, მაგრამ არც ვასაიდუმლოებ!..
პირველი - ხედავთ კაცებო, რამხელა თავმდაბლობაა ამ ბუმბერაზ მოაზროვნეში, არც გაჰყვირის, მაგრამ არც ასაიდუმლოებს!..
მეორე – იმასაც ამბობენ, რომ მისი კითხვა ისე გიტაცებთ, თურმე ირგვლივ ვერაფერს ამჩნევთ!..
პირველი არყიან კასრს მიუახლოვდება და შთაგონებით დაყნოსავს...
იგი – ვგრძნობ, რომ ძალზე გამაოგნებელი უნდა გამოდგეს ეს თქვენი შეჩვენებული მცნებები!..
მესამე – სული წაგვივიდა, პროფესორო, თქვენც ნუ აჟოვნებთ... გისმენთ...
მოხუცი - როგორ ბედავთ და მაჩქარებთ!.. ყველაფერს თავის დრო აქვს...ამ საქმეს კი აჩქარება არ უხდება!.. სანამ ვიტყვი, მე უნდა ვიცოდე, ვისთან რა ვთქვა!.. ამასთან, თუ ძალიან მნიშვნელოვანია, რას ვიტყვი... ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანია, როგორ ვიტყვი... თქვენ ხედავთ, - მე ვგრძნობ... თქვენ გესმით,- მე ვხედავ!.. თქვენ კითხულობთ... ისმენთ... მე წუთებით, დღეებით, საუკუნეებით ადრე გამოცნობა შემიძლია... მე თქვენგან მხოლოდ ყურადღება მჭირდება და არა ჩემი ქადაგების დაჯერება... ეს თქვენი გადასაწყვეტია, დაიჯეროთ თუ არა!.. მე თქვენ ყველასა და ყველაფერში დაეჭვებისაკენ მოგიწოდებთ და არა დაჯერებისაკენ...
(მოხუცს სულ უფრო და უფრო დაეტყო, რომ აქეთ, ამ სამყაროში ყველაფერი დაჰკარგა და იქეთ ფიქრისეულ სამყაროში იპოვა... მზერა გაუმიზნავი გაუხდა... გამომეტყველება აწეწილი!.. გოგოც და ბიჭიც მოხუცის ქადაგებით შთაგონებას მიეცემიან... მამაკაცთა სამეული კი ამით ისარგებლებენ და კასრიდან ჭიქებში არაყს ჩამოასხამენ... სმას გააჩაღებენ... ხოლო შიგა და შიგ, როცა მოხუცი სივრცეში გადაკარგული მზერას მათკენ წარმართავს, ისინი ან კასრს ჩამოეფარებიან, ან ჭიქებს მალავენ და უხერხულად იღიმეებიან!.. მსგავსი სურათი არაერთგზის გამეორდება!..)
მოხუცი – ადამიანმა უნდა ისწავლოს ფიქრი... უნდა ისწავლოს ოცნება... მხოლოდ ამ გზით შეიძლება რეალობის ოცნებასთან დაახლოება!.. ნუ შეგეშინდებათ, ოცნების ასრულებით ჩვენ მას ვერ მოვკლავთ!.. რადგან სწორედ რეალობად ახდენილი ოცნება გახლავთ ეტაპი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ოცნებისა და მოამავლისა... წარსული იმით იყო კარგი ან ცუდი, რომ ასეთი დღევანდელობა მოგვიტანა...დღევანდელობაც იმ მომავლით იქნება კარგი ან ცუდი, როგორსაც მოიტანს!.. კაცობრიობამ წარსულიდან არ უნდა ისწავლოს, რა აკეთოს და როგორ აკეთოს... კაცობრიობამაც წარსულიდან მხოლოდ ის უნდა ისწავლოს – რა არ აკეთოს და როგორ არ აკეთოს!..
(მოხუცი სახეს სამეულისაკენ მიატრიალებს და ისინიც სასწარაფოდ მალავენ ჭიქებს...)
მოხუცი – ახალშობილები რომ ერთმანეთში აერიოთ, წამსვე დედებიც თავიანთ გრძნობებში შეიბორკებიან... არც ერთი მათგანი არამც და არამც არ შეიყვარებს ყველა ბავშვს თანაბრად... არა და რა სჯობია დედობრივ სიყვარულს განურჩევლად ყველა ბავშვის მიმართ... ჰოდა მიუშვი, ნუ მოთოკავ გრძნობებს... გიყვარდეს ყველა და ყველაფერი... მოთოკვა და თავშეკავება მხოლოდ სიძულვილისა და ზიზღის გრძნობებშია კარგი!.. ადამიანებს ხომ ისე არც არაფერი ალამაზებთ, როგორც სხვების სიყვარული!.. არა და ქალს დედობრივი გრძნობა იმ წამიდან დაებადება, როცა ერთ პატარას სხვებისაგან გამოარჩევს... თუნდაც ამ გამორჩევაში შეცდომის ალბათობა ამეტებდეს სასურველს!.. ჰოდა ჩვენც მივიღეთ ის, რაც მივიღეთ... ადამიანებს კიდეც უყვართ და კიდეც ძულთ!.. ვინც უყვართ, იმას სიკეთეს უკეთებენ, ვინც ძულთ – იმათ კი ბოროტებას... სამართლიანობასაც ჩადიან და უსამართლობასაც... არადა სამართლიანობა ის ერთადერთი სიკეთეა, რომელიც შეიძლება ყოველთვის თან გქონდეს და აკეთო!!! აბა, რა თავში იხლის მოზარდი გულუხვად მონიჭებულ უფლებებს, თუ იქვე შესაძლებლობების ნაკლებობას განიცდის... ჰოდა შენც გინდა და არ შეგიძლია, შენ გინდა შეგიძლია და არ შეიძლება... გინდა, შეიძლება და არ შეგიძლია... შეგიძლია, შეიძლება და არ გინდა, არც გჭირდება...
კანონმდებლობით თავსატეხი მოგვენიჭება...
ბევრი უფლება და არც ერთი შესაძლებლობა...
ჩვენ საპოვნელა ღამით ძილში დაგვესიზმრება...
და აგვიხდება აქეთ ცხადში უარესობად...
ჰოდა ამაზე უკვე დროა, მოდი იფიქრე...
სად მართალი ხარ და სად მტყუანი?!.
ის რაც არ გინდა, იქ ჰოს მიიღებ...
და რაც გჭირდება, ზედ გაქვს უარი!..
მოხუცი – მაგრამ ხომ არის წონასწორობის საუკეთესო დრო... როცა ჩვილისათვის მთავარი რძე და ჰაერია... მაინც რატომ არ მოეწყო ისე, რომ ადამიანებისათვის ერთადერთი და აუცილებელი ჰაერი იყოს! ასეთი დრო ჩვენი სიცოცხლის იმ დროის მონაკვეთია, როცა არაფერი გვახსოვს... რატომ მოეწყო ისე, რომ წონასწორობის ეს დრო ჩვენს განუვითარებლობას უკავშირდება... ეგებ ჩვენში თანასწორობის მოთხოვნილებაც, იქ ზემოთ, ზეცაში ადამიანის დაბალ ინტელექტუალებთან იგივდება?! ზოგ-ზოგებს ძალიან უნდათ, რომ ეს ასე იყოს.. ცუდია, რომ ეს დრო არც არავის არ გვახსოვს... მაინც როდიდან იწყება ადამიანი, როცა ის გაჩნდა, თუ როცა მას მეხსიერება გაუჩნდა?! შენ სიცოცხლეს ფაქტიურად შენს მშობლიურ გარემოში უსამართლობის შემეცნების და გათავისების დღეებიდან იწყებ... და მაინც ადრე თუ გვიან შენში იბადება თავისუფლების მოთხოვნილება... შენი მშობლებიც ის პირველი ადამიანებია, რომლებსაც დამოუკიდებლობას უცხადებ...
შენი სიცოცხლე ეს მეობის არის ძიება...
თავისუფლება უარია მორჩილებაზე...
სხვების დაჩაგვრა არც არავის ეპატიება...
მართალ საქმეში უნდა იყო გადარბენაზე...
შენი ყველაფრით შეასკდები გარდუვალობას...
ამ სამყაროში წყალს და ჰაერს თუ დაიჩემებ...
მერე დრო მოვა და გიმსხვერპლებს გაუტანლობა...
... არც არაფერი, ვერც ვერავინ დაგაიმედებს!..
(მოხუცი იქვე კედელზე ჩამოკიდებულ, ორ ნიღაბს ჩამოსხნის და ერთს სახეზე აიფარებს... ხმასაც შეიცვლის... მოხუცი ერთ ნიღაბს მოიძრობს და სახეზე მეორეს მიიფარებს, ხმასაც შეიცვლის... ნიღბების გამოცვლას შემდეგშიც გააგრძელებს...)
– მე ღონიერი ვარ... – მე გონიერი...
– მე მდიდარი ვარ, ოღონდ უშნო... – მე ღარიბი ვარ და მოხდენილი!..
– მე მდგომარეობა მაქვს... – მე ნიჭიერება...
–მე გავლენა... – მე ცოდნა...
–მომეცი შენი სიმდიდრე!.. – ეს შენ მომეცი შენი ნიჭიერება და მშვენიერება!..
– ადგილიც, რომელიც შენ გიჭირავს მე მეკუთვნის!..
– ვიცი... ჰოდა ადექი და წამართვი!..
– შენ კანონი გიცავს...
– ესე იგი სამართალი ჩემს მხარეზეა,– ხარხარებს მდიდარი, ოღონდ უშნო და უნიჭო, – ესე იგი შენ ის უნდა იკმარო, რომ გეკუთვნის...
– ეს უსამართლობაა... – ეს სამართლიანობაა, ნამდვილი უსამართლობა ის იქნებოდა, რომ გარეგნული სილამაზე, ნიჭი და სიმდიდრე ყველაფერი შენ ერთს გეკუთვნოდეს!..
– შენ გშურს რომ ნიჭიერი ვარ... – შენ გშურს, რომ მდიდარი ვარ!.. მაინც რომელი უფრო საშურველია ნიჭიერება და სილამაზე, თუ სიმდიდრე და მდგომარეობა?!. რომელი უფრო დიდი უსამართლობაა, როდესაც ადამიანი უსაზღვროდ მდიდრდება და უდიდეს გავლენას იკრებს, თუ როდესაც ნიჭიერად და უზადო სილამაზით იბადება?!. ან ეგებ ეს ღვთაებრივ სამართლიანობას ნიშნავს და იგი კაცობრიობის გაწონასწორების ერთადერთ საშუალებასაც წარმოადგენს... აბა, რას იტყვით ამაზე?!.

პირველი – ეს ღვთის საიდუმლოა...
მეორე - ...მას ამ ქოხში ეძახიან საპოვნელას!..
მესამე – საოცნებოეს, ვირო!..
მოხუცი - როგორ გაბედეთ?!.
პირველი – დამიჯერეთ, პროფესორო... არაყი ძალიან მოუხდა თქვენს მოძღვრებას!..
(პირველი მამაკაცი მოხუცს არყით სავსე ჭიქას მიაწვდის და თავისას მიუჭახუნებს!..)
პირველი - ნუ გვიწყენ, პროფესორო!..
მესამე – ჰო, ჩვენ დღეს ცხოვრებასთან დამარცხებული ხალხი ვართ!..
მოხუცი - თქვენ ჩემი ქადაგების დროს არაყისკენ გაგიწიათ გულმა?!
პირველი – განა საპატიო არ არის, თუ ცხოვრებასთან დავმარცხდით?!
მესამე – ყველაფრიდან გეტყობათ, რომ თვითონაც ცხოვრებასთან დამარცხებული კაცი ხართ.
მოხუცი - მე სხვა შემთხვევა ვარ!.. მე ვქმნი, მე თავს ვწირავ... მე კვალს ვტოვებ...
(პირველი მეგობრებს გადახედავს.)
ორი - ჩვენ რას ვშვრებით?!
მესამე – ჩვენ კვალს ვშლით!..
მოხუცი - ჰოდა, ბოდმა არაყში კი არა, რევანშში უნდა ამოანთხიოთ!..
პირველი - ჩვენც ვცდილობთ, პროფესორო, მაგრამ ფხიზლებს არაფერი გამოგვდის, ხოლო სიმთვრალეში ჩვენი სამიზნე ორდება, სამდება და ჩვენ ყოველთვის ლანდს ვუტეგვთ!..*(მოხუცი ჭიქას წინ გამოიშვერს და მას ჭიქაზე ჭიქებს მიურტყამენ!..)*
მოხუცი - მოდით, ამ სასმისით, ჩვენს ოხ ნეტას გაუმარჯოს!..
(გაისმის კაკუნი... და ყველას თვალი კარებისაკენ გაექცევა!.. შემოდის ლამაზი ქალი... მოხუცს აღტაცებისაგან თვალები გაუფართოვდება!..)
მოხუცი - ქალბატონო, თქვენ ძალიან გავხართ ჩემს ოხ ნეტას!..
ქალი – გამოგიტყდებით, მე ასეთ ფიცრულებში, როგორც წესი, სტუმრად არ დავდივარ!..
(პირველი მამაკაცი მისკენ გაიწევს...)
ორი - ... დადიხართ, როცა ქოხში მე გეგულებით!..
ქალი – ...შენ ნამდვილად არ მაინტერესებ...
მესამე - თუ ცოლმა მიმატოვა ეს იმიტომ, რომ მე უგულვებელყავი იგი, როგორც ქალი!..
პირველი - ... ოღონდ მან მას შემდეგ მიგატოვა, როცა მეც უგულვებელყავი იგი როგორც ქალი!..
მეორე – როცა მეც უგულვებელყავი იგი!..
მესამე – აი თურმე რატომ ჭიანურდებოდა მისი სახლიდან წასვლა?!
(მამაკაცები გულიანად გაიცინებენ...)
მესამე – ჰოდა, ქალბატონო, დღეს თქვენ ჩემში ხელახლა გააღვიძეთ მამაკაცი!..
პირველი - ჩემში მხეცი!..
მეორე – ჩემში შეყვარებული ფისო!..
(ქალი თვალს მოხუცს დაადგამს...)
ქალი - თუ შეიძლება მაცალეთ კაცთან საუბარი!..
მამაკაცთა სამეული ქალს და მოხუცს განცვიფრებულები მხრების აჩეჩვით ჩამოუვლის და თავის დაკვრით ქოხიდან გადის!..მოხუცი და ქალი ერთმანეთს მიუახლოვდებიან და „შეასკდებიან"... შეეწებებიან და დუნედ მოძრაობას იწყებენ... შიგა და შიგ ცეკვასაც გაურევენ...
ქალი - ვგრძნობ, რომ გინდა გაიგო, რატომ მოვედი აქ, შენთან?..
მოხუცი – დავიჯერო, მოგეწონა ჩემი მოძღვრება?
ქალი – შენი მოძღვრება შენი ნიჭიერების არამიზნობრივი გაფლანგვაა!..
მოხუცი – გეშინია არ გაგაუარესოს?!
ქალი – მეშინია არ გამაუკეთესოს!..
მოხუცი – ჩემი მოძღვრება ის ერთადერთია, რაც შეიძლება მე მოგცე!..
ქალი – თურმე არც იცი და ვერც ხვდები, რა შეგიძლია!.. მე შენ თავიდან ბოლომდე გამოგცვლი...
მოხუცი –გინდა შუაზე გამხლიჩო და საკუთარ თავთან დამაპირისპირო?!
ქალი – მინდა გაგამთლიანო და საკუთარ თავზე გაგამარჯვებინო!..
მოხუცი – ეს ერთხელ უკვე იყო, როცა ჩემი მოძღვრება საოცნებოე დავისახე მიზნად!..
ქალი – ეხლა მეორედ იქნება, როცა უარს იტყვი მასზე!..
(პაუზა) მე კარგ ცხოვრებას – ფუფუნებას ვეძახი!..
მოხუცი - მე შემოქმედებით გატაცებებს!..
ქალი - ... მე სიყვარულს!..
მოხუცი - ..სიყვარულს... მეც ვეძახი!..
ქალი – თურმე არ იცი ქალის სიყვარულის ფასი?!
მოხუცი – ვიცი... მაგრამ მე ერთს მეორეს ვერ ვანაცვალებ!..
ქალი - განაცვალებინებ!.
(მოხუცი ჭოჭმანს იწყებს... იგი ქალს თავით ფეხებამდე ათვალიერებს...)
მოხუცი - მოდი დავუშვათ,ჩვენს შეხედულებებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობა!.. ეს რა ხდება მიწისძვრაა,თუ ჩემი პრინციპები იწყებენ ტორტმანს?! ყველა შემთხვევაში,მომწონხარ!..
ქალი – მოწონება ცოტაა!..
მოხუცი - მიყვარხარ!..
ქალი – თურმე დროა მანაცვალო შენი მოძღვრება!..
(მოხუცი ქალისაკენ საოცნელად გაიწევს...)
ქალი - ჯერ მიპასუხე... მანაცვალებ?!
მოხუცი – შენ მართლაც ყველა სასახლეში მიგიღებდნენ!..
ქალი - მე ჩემი მინდა მქონდეს...
მოხუცი - გექნება!..
(იტყვის და მოხუცი ისევ საოცნელად გაიწევს... შეიცვლება სინათლის ფერი...)
ქალი – შენზე მითხრეს, ჭეშმარიტებას არც არაფერს ეძახისო!..
მოხუცი – ის თუ გითხრეს, ამ სასახლეში ერთადერთი საწოლი რომ დგას!..
ქალი – ისიც მითხრეს, აზრებს პანტა-პუნტით იცვლისო!..
მოხუცი – ის თუ გითხრეს, ამ საწოლზე, გვერდიგვერდ რომ ვერ მოვთავსდებით!..
ქალი – ოღონდ შენი ნიჭიერება შენი უხეირო პრინციპებისაგან გაანთავისუფლე და მე შენ ზემოდანაც მოგითმენ, პროფესორო!..
მოხუცი – ო, ჩემო სხეულო, დროა შევწყვიტოთ, ჩვენს ხორციელ მოთხოვნილებებზე უარის თქმა... არადა, რაც მეტი დრო გადის, გადაჩვევის ნაცვლად, სულ უფრო ძლიერდება ეს წყეული მოთხოვნილება!!!
(მოხუცი მუხლებზე იწყებს ფორთხვას და ხელებს იქეთ-აქეთ ბრმასავით გააქანებს...)
მოხუცი - კმარა, შეწყვიტეთ სანთელის ჩაქრობა!..
ქალი - სანთელი ანთია, მოხუცო!..
მოხუცი – მერედა რატომ, თუკი ირგვლივ ვერავის ვხედავ!..
ქალი – ვერც მე მხედავ, პროფესორო!..
მოხუცი – შენ გგრძნობ... შენ განგიცდი... შენ მაღელვებ... რომ ხარ... რომ არსებობ...
(შეიცვლება სინათლის ფერი... საწოლი სამოცი გრადუსითაა დახრილი, მასზე ქალი და მოხუცი წევს!..)
ქალი – რატომ არაფერს აღარ მეუბნები?!
მოხუცი - მე ვფიქრობ!..
(ქალი შეკრთება... იგი მოხუცისკენ მობრუნდება და თვალებში ჩახედავს... შეჰკივლებს...)
ქალი – რაა?!.
მოხუცი – რაც!!!
ქალი – სიტყვა სიტყვაა.. გთხოვ, შენ მოძღვრებაზე ფიქრიც აღარ გაბედო!..
მოხუცი – უნდა შევძლოთ და ჩვენი ცხოვრება ორივესათვის მოსაწონი გავხადოთ!..
ქალი – ცხოვრება სექსი არ არის, ორივემ რომ ვისიამოვნოთ!..
მოხუცი - ... კაცობრიობა გადასარჩენია!..
ქალი – გადასარჩენი შენა ხარ!..
მოხუცი – ჩემზე და კაცობრიობაზე თანმიმდევრულად ფიქრი მეც დამღუპავს და კაცობრიობასაც...

ქალი – მაშინ მხოლოდ შენს გადარჩენაზე იფიქრე!..
მოხუცი – მითხარი, რა შემიძლია გავაკეთო შენთვის?!. რით დავიწყო?!.
ქალი – ისევ და ისევ სასახლით!.. ჰო, ეს შენი ნიჭისთვის ერთი ხელის მოსმაა!..
მოხუცი – მე ამისთვის ბევრ რამეზე მომიწევს უარის თქმა!..
ქალი – ჰოდა თქვი!..
მოხუცი – მე ჩემი პრინციპების ღალატიც მომიწევს!..
ქალი – ჰოდა უღალატე!..
მოხუცი – ო, შე უმოწყალოვ და დაუნდობელო ქალო!..
ქალი – სასახლე!!!
მოხუცი – ო, ჩემო წყეულო სხეულო და ვნებავ!!!
(წამიერად ჩაქრება სინათლე... იქვე ნათდება სასახლე... ბროლი გაბრწყინებას იწყებს... მდიდრულად მორთულ-მოკაზმულ ლამაზ ქალს, რომელიც სავარძელში ზის, თავს ასვამ მდიდრულად ჩაცმული მოხუცი დასდგომია... იგი ტირის და თვალებიდან ცრემლები დაპაღუპით გადმოდის!..)
მოხუცი – დღეს ჩვენ ყველაფერი გვაქვს...
ქალი – ყველაფერი გვაქვს ერთი რამის გარდა...
მოხუცი – ჩემი სულის ატკივების ფასად...
ქალი – გარდა!..
მოხუცი – ჩემს მეობაზე უარისთქმის ფასად...
ქალი – გარდა!..
მოხუცი – თუ შეიძლება ყოველგვარი გარდას გარეშე, ქალბატონო!..
ქალი – მინდა მე ერთადერთი ვიყო შენთვის!.. მინდა უარი გათქმევინო ყველაზე და ყველაფერზე... მინდა უარი გათქმევინო შენს საოცნებოეზე!..
მოხუცი – ჩვენ სიამის ტყუპებივით ვართ!.. მოკვდება ის, მოვკვდები მე... ჩემი მოძღვრების გადარჩენა, ეს კაცობრიობის გადარჩენაა!..
ქალი – მიმიფურთხებია შენი მოძღვრებისათვის!..
მოხუცი – რაო, რა სთქვი?!.
ქალი – მიმიფურთხებია კაცობრიობისათვის!!!
მოხუცი – როგორ ბედავ!..
ქალი – აი, ასე, უბრალოდ!.. მე ვიყო კარგად და სხვა ყველაფერი წყალსაც წაუღია!!!
(მოხუცი დარბაზში მიმოსვლას იწყებს...)
მოხუცი – კარგი იქნებოდა, თვითონ შენი ნებით შეწირვოდი ჩემს საოცნებოეს!..
ქალი – აქეთ შემოვიწირავ!!!
მოხუცი – არა... არ დაგანებებ!.. გაგიგე, შენთვის სისხლის უკანასკნელი წვეთი გაღებულია!..
ქალი – ჩემთვის?!.
მოხუცი – გაიგე, სისხლისგან დავიცალე, მეტი აღარ მაქვს... არც მინდა... არც შემიძლია, არც შეიძლება!..
ქალი – დანარჩენი ვის... საოცნებოეს?!.
მოხუცი – ჰო, რა თქმა უნდა... რასაკვირველია!..
ქალი – მაშინ აირჩიე, ან მე ან საოცნებოე?..
(გაისმის გრგვინვა... ჩამოიქცევა ზეცა... სასაზღვრო ზოლზე ძველაბურად ჩაცმული სახეარეული მოხუცი მორბის, თვალები გადმოცვენაზე აქვს... შედგება, ნერწყვს გადაყლაპავს და მთელი ხმით შესძახებს...)
– საოცნებოე!!!

მეორე მოქმედება

სურათი 013

(ქალაქის ცენტრი... უწესრიგოდ ირევა ხალხი... ბრბო... ცილინდრიან მამაკაცს ქურდი ხელის სწრაფი მოძრაობით ჯიბიდან ძეწკვიან საათს ამოაცლის და თითზე დაიტრიალებს... ორნი მდიდრულად ჩაცმულ მამაკაცს შეაყენებენ, იარაღს მუცელზე მიადებენ... მღიმარე სახეებით გაძარცვავენ... მათხოვრების ბრბო იქეთ-აქეთ მიმოდის... ყოველ ფეხნაბიჯზე სრული განუკითხაობაა... მიმოდის ეტლი... მიმოდის რიქშა... ბიჭი ქალს ხელიდან ჩანთას წარსტაცებს და გაიქცევა... სხვა ბიჭი ძვირფასად ჩაცმულ მამაკაცს საკვოიაჟს ხელიდან გამოგლეჯს და ბრბოში შეერევა... დაბნეული ქალი ხელების მოძრაობით და თვალების ცეცებით ადგილზე დაიწყებს ტრიალს...მამაკაცი ბრბოსთან მიიჭრება...)

კაცი – დაიჭირეთ, ის ქურდია!..
ხმა – ქურდის ქურდი ცხონებულია!..
კაცი – მე წესიერი მოქალაქე ვარ, ... ბატონებო!.. კანონიერი ბიზნესი მაქვს!..
ხმა – თურმე მთავარი მძარცველი შენ ყოფილხარ...
ხმა – აბა, გაგვასწარი აქედან!..
(მამაკაცი უკან-უკან იხევს და გაქცევით უშველის თავს!.. ხმა–ჩვენი საქმე სამართლიანია!..)
- ჩვენ სიცოცხლისთვის ვიბრძვით!..
- ჩვენი ასეთი ყოფისათვის სისხლით ვაზღვევინებთ!..
(გამოჩნდება მამაკაცი (ქმარი), მას ბრბო მიესვლა...)
ხმა – გთხოვთ, გევედრებით რაიმეთი დამეხმარეთ, გთხოვთ, გამოიჩინეთ სიბრალული, გევედრებით, მოიღეთ მოწყალება!..
ხმა – ჯერ კიდევ ძალიან უჭირს ჩემს ოჯახს!..
ხმა – არ იფიქროთ ქარივყლაპიობ... ნახეთ ჩემი ხელები!..
ხმა – უსაქმურს ვერავინ დამარქმევს, ვშრომობ, წელებზე ფეხს ვიდგამ და მაინც არაფერი გამომდის!..
ხმა – გთხოვთ, გევედრებით, ბავშვები მყავს მშიერი!..
ხმა – გთხოვთ, გევედრებით, ჩემი პატიოსნების პასუხად, დამეხმარეთ, რომ და ჩემს ასეთ ყოფაში ავაზაკურად არ გვესხმით თავს!..
ხმა – რევოლუციის გამარჯვებამდე გთხოვთ დახმარებას!..
ხმა – რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ჩვენზე იყოს!!!
(მამაკაცი (ქმარი) გამოწვდილ ხელებზე მონეტების ჩამორიგებას იწყებს... ყველა ჯიბეს ამოისუფთავებს და ამოიტრიალებს!.. მამაკაცი ლაბადას მოიძრობს და მათხოვარს მოახურავს.. პიჯაკს გაიხდის და მას სხვა მათხოვარს ჩაცმევს...)
– რითიმე დამეხმარეთ!..
– ნახეთ ჩემი ხელები!..
(მამაკაცი (ქმარი)წელს ზემოთ შიშველი ბრბოს შუაში გამოიელის... მას აქეთ იქედან ხელის კვრით აიკლებენ... ისიც ბარბაცით გამოცდება ბრბოს... ტუჩიდან სისხლს იწმენდს... მას ხნიერი ქალი, შავოსანი, შეამჩნევს... რომელსაც სიბრალული მოეძალება... ისიც ბრბოს მივარდება...)
ქალი – რას ერჩით? რა დაგიშავათ? რას სჩადიხართ?!!
ხმა – ეს ერთი იმათთაგანია ვინც ამ დღეში ჩაგვყარა...
ხმა – ეს ერთი იმათთაგანია ვისაც ვძულვართ და ვეზიზღებით!..
ქმარი – არა... ოღონდ სიძულვილს ნუ დამწამებთ და სხვა რაც გინდათ!..
ხმა –შენ რევოლუციის მოწინააღმდეგე ხარ?!.
ქმარი – ... მომხრე ვარ, თანაც თქვენს ინტერესებში!..
ხმა - ეს დაუჯერებელია...
ქმარი – მე რევოლუციის მომხრე ვარ ჩემს წინააღმდეგ... მე გთხოვთ... გევედრებით, დამიჯერეთ!..
(წამიერად პაუზა, სიჩუმე ჩამოვარდება...)
შავოსანი – მე შენი მჯერა!!!
(იტყვის და ქალი სიცივისაგან აკანკალებულ კაცს თავშალს მოახურავს...)
შავოსანი – თურმე როგორი კეთილი გული გქონია შვილო!..
ქმარი – კეთილი გული თქვენ გაქვთ, ქალბატონო!..
შავოსანი – შენ შენი სიკეთით იშვიათი გამონაკლისი ხარ, შვილო!..
ქმარი – თუ არ მინდა, ის არ მინდა, რომ ჩემი კეთილშობილებით სამშობლოში გამონაკლისი ვიყო!..
შავოსანი – შვილო!
ქმარი – სად არის თქვენი ღვიძლი შვილი?!.
(ქალი ხელს და იმ ბიჭზე შეაჩერებს, რომელიც საათს ძეწკვით თითზე ატრიალებს...)
ქმარი – როგორ, ასეთი კეთილშობილი დედის შვილი ქურდობს?!!
(ქალი ხელს მიმართულებას შეუცვლის და თითით სხვა მათხოვრისკენ მიუთითებს...)
ქმარი – როგორ, ასეთი სათნო დედის შვილი მათხოვრობს?!.
შავოსანი – დედა აქ რა შუაშია?!.
ქმარი – აბა, ვინ არის აქ დამნაშავე?!.
შავოსანი – რა თქმა უნდა, ცხოვრება!..
ქმარი – ქალბატონო?!.
შავოსანი – ჰო, შვილო, ხალხი ისეთი ცხოვრებით ვცხოვრობთ, როგორის უფლებასაც გვაძლევენ!..

სურათი – 014

(მოსჩანს სასაზღვრო ზოლი...
გაისმის გასროლების ხმები... ერთი მხრიდან მამა იხევს უკან, მეორე მხრიდან შვილი... ორივეს იარაღი აქვს შემართული... ისინიც ერთმანეთისაკენ შებრუნდებიან და... გასროლას შვილი დაასწრებს მამას...)

მამა – გასროლა დამასწარი, შვილო?!.
შვილი – მე დაგვიანების უფლება არ მქონდა, მამა!..
მამა – ასე ძალიან გიყვარს სიცოცხლე?!.
შვილი – ასე ძალიან მინდა რევოლუციის გამარჯვება!..
მამა – ნანობ?!.
შვილი – არ ვნანობ!..
მამა – არც მომიბოდიშებ?!.
შვილი – არა... არც მოგიბოდიშებ!..
მამა – აჰ, გამახსენდა, შენ ხომ რევოლუციას მამის სიცოცხლეზე მაღლა აყენებ!..
შვილი – ჩემს სიცოცხლეზეც მაღლა ვაყენებ!..
მამა – თანაც შენ ხომ გამაფრთხილე, რომ მომკლავდი!..
შვილი – ნუ ცდილობ, შემიმსუბუქო!..
მამა – თქვი, გჭირდება შემსუბუქება?!.
შვილი – ძალიან მჭირდება, მამა...
მამა – ჰოდა, მითხარი... შევძელი ცოტა მაინც?!.
შვილი – ეს შეუძლებელია, მამა!..
მამა – როგორც იქნა, მე და შენ მტრები აღარ ვართ!..
შვილი – მაგიერ უარესი დამემართა... მე მამის მკვლელი გავხდი!..
მამა – მეტად აღარ გაფრთხილდე შვილო, ნუღარ აცლი მტერს იარაღის შემართვას... გახსოვდეს, რომ მათ შორის მამაშენი აღარ არის!..
შვილი – რატომ არ აჩქარდი, მამა!..
მამა – შენგან განსხვავებით მე ამ ომში გამარჯვებას შენი გადარჩენა მერჩია!..
შვილი – კმარა, ჩემი შერცხვენა!..
მამა – ჩემს შაშხანას ვაზნის ამოსაღებად ნუ გადახსნი... იგი ცარიელია!..
შვილი – შენ ცარიელი თოფით გამოიწიე, ჩემზე?!.
მამა – იმ დღიდან, რაც შენ ამ ომში ჩაები, მე შაშხანა აღარ გამიტენია!..
შვილი – რაა?!.
მამა – ხოლო როცა მესროლე და მომარტყი, ვიწამე, რომ შენ გჯერა იმის, რისთვისაც იბრძვი!..
შვილი – ჰო, ჩვენი ბრძოლა სამართლიანია!..
მამა – თურმე შენ მართლაც უფრო დამაჯერებლად მოგატყუეს!..
შვილი – ტყუილად ცდილობ მამა... ჩემში იმედს ვერ მოკლავ!..
მამა – ჰო, უდავოდ, ტყუილად ვცდილობ, რადგან ამ ტყუილში შენ თვითონ უნდა დარწმუნდე!..
შვილი – გთხოვ, არ გინდა... ჩემი დამცირება!..
მამა – შენი დამცირება შეუძლებელია... შენ რევოლუციას მამა შესწირე!..
(ძალაწართმეული მამა მუხლებზე დაეშვება.)
შვილი – მამა!..
მამა – გთხოვ, დედაშენს ნუ ეტყვი, რომ მომკალი!..
შვილი – ჩვენი ეს შეხვედრა, როგორ დავუმალო?!.
მამა – თუ არ გინდა, რომ ისიც მოკლა, როგორმე უნდა დაუმალო, შვილო!

სურათი – 015

(სამი რევოლუციონერი შაშხანებს აწესრიგებს... ერთი შლის, მეორე წმენდს, მესამე აწყობს... გამოჩნდება მამის მკვლელი რევოლუციონერი...)

ერთი – თფუ შენი!..
მეორე – ... შენ რა ფურთხება აგიტყდა, ბიჭო?!.
ერთი – ის, მამის მკვლელი ნაბიჭვარი მოდის აქეთ!..
მეორე – ის ჩემთვის გმირია... მან მამა შესწირა რევოლუციას!..
(ერთი მესამეს გადახედავს...)
ერთი – შენც ასე ფიქრობ?!.
მესამე – რა თქმა უნდა... სხვაგვარად ვინც ფიქრობს, იმას რევოლუციაში რა უნდა!..
ერთი – ესე იგი, შენც შესწირავდი რევოლუციას მამას?!.
მესამე – არც დავფიქრდებოდი... მაგრამ, ამას ბედი უნდა, ძმაო!..
(მეორე პირველს შეგონებით შეხედავს...)
მეორე – რა გიკვირს, ჩვენ ხომ ამ ომში საკუთარ სიცოცხლეს ვწირავთ!..
ერთი – მაინც სულ სხვაა, როცა შენს თავს წირავ და, როცა სხვას წირავ... სულ სხვაა, როცა სხვა წირავს თავს და როცა ის შენ გწირავს...
მეორე – პირადად მე არც არავის გაპატიებთ იმას, რევოლუციას რომ არ შემწიროთ!..
(მეორე და მესამე თანამებრძოლს თვალში თვალს გაუყრიან...)
მეორე – შენ რა, არ შეწირავდი რევოლუციას მამას?!.
ერთი – რა სისულელეს მეკითხები?!.
მეორე – უკვე ვიცი ვისი იმედი არ უნდა მქონდეს ამ ომში!..
ერთი – თქვენ რა... ფანატიკოსი გგონივართ?!.
მესამე – თუ ფანატიკოსი არა ხარ... ძმათამკვლელ ომში რა გინდა?!.
(მოახლოვდება შვილი...)
მესამე – მე შენ თანაგრძნობას გიცხადებ, ძმაო!..
მეორე – მე შენით ვამაყობ!.. ძმაო!..
შვილი – ხალხი არა ხართ?!. არ გინდათ, ნუ მახსენებთ!..
(შვილი თანამებრძოლებს გაეცლება... იგი თან უკან-უკან იხევს... თან განივად გადაადგილდება... მოსჩანს შავთავსაფრიანი ქალი... ეს ქალი დედაა მისი... შვილი მისკენ გაემართება... დედა და შვილის ირგვლივ „ყველა და ყველანი“ შემოიკრიბება... ისინიც დაძაბული ინტერესით თვალს მიადევნებენ მათ მოქმედებას... მიაყურადებენ მათ შესიტყვებას...)
შვილი – დედა!..
(ქალი შიშით გამოაპარებს თვალს ვაჟიშვილისაკენ...)
დედა – მე კი ვიფიქრე, ეგებ ვინ არის-მეთქი?!.
შვილი – სჯობდა ვინც გინდა ვყოფილიყავი, ოღონდ შენი შვილი არა!..
დედა – ეს რა ლაპარაკია, შვილო?!. შენ ის მითხარი, სულ დამიბრუნდი, ჰო?!.
შვილი – მიმიღებ?!.
დედა – რა თქმა უნდა, მიგიღებ... შენზე უკეთესი ვინ მყავს!..
შვილი – მე უარესის უარესი ვარ, დედა...
(დედა-შვილის გარს შემოკრებილ ხალხს შეშფოთება მოიცავს...)
ერთი – ნეტა ეტყვის, თუ არ ეტყვის?!.
მეორე – თუ ჭკუა აქვს, დედას სიმართლე არ უნდა უთხრას?.. დანაღვლიანებულ-შეშინებული დედა თვალს მოარიდებს ვაჟიშვილს.
დედა – მე სიმართლის არასოდეს მშინებია!..
შვილი – უკვე ჩემს სიკვდილსაც ინატრებ!.. მე მწარე სათქმელი მაქვს შენთვის, დედა!
დედა – თუ ჩემთან მოხვედი, შენ ამით უკვე ყველაფერი თქვი... ჰო, მართლა, ამდენი ხნის უნახავ დედას, რატომ არ მეხვევი... მკერდში რატომ არ მიკრავ?!.
შვილი – მე ეგ უფლება და სხვა... ყველაფერი რევოლუციას შევწირე, დედა!..
დედა – ვიცი, ვხვდები, რომ რევოლუცია მსხვერპლს მოითხოვს!
შვილი – მე შენ ერთი საშინელი ამბავი უნდა მოგიყვე!..
დედა – მამაშენის დაღუპვის ამბავი უკვე ვიცი!..
(დედა-შვილის გარს შემოკრებილ ხალხში შეშფოთება მატულობს...)
ერთი – დედისათვის ასეთი საშინელი ამბავის შეტყობინება არ შეიძლება!..
მეორე – მე ამას ვერც ვეტყოდი!..
ხმა – ამას დედას ვერც ვერავინ ეტყოდა!..
(დედა ვაჟიშვილს გაშორდება... სახესაც მოარიდებს...)
შვილი – ომში დაღუპვა უბედურება არ არის!.. მამაჩემის დაღუპვა... მაინც დიდი უბედურება იყო!..
დედა – მე არ მჯერა ავი ენების!..
შვილი – ამჯერად უარეს ამბავს ვერც ავი ენები მოიტანდნენ!..

დედა – კმარა ჩემგან სამწუხარო ამბების მოსმენა!..
შვილი – იქ, სიკვდილის პირზე, მამამ მთხოვა დამემალა შენთვის სიმართლე!..
დედა – ჰოდა შეუსრულე მომაკვდავ მამას თხოვნა!!! სანამ მე ისევ ცოცხალი ვარ!.. ჰო შვილო, მე დიდი დღე აღარ მიწერია!..
შვილი – თურმე უნდა ავჩქარდე!..
(დედა-შვილის გარს შემოკრებილ ადამიანებს სინანული გაეზრდებათ...)
მესამე – ბოლოს და ბოლოს მიხვდეს, დედას, რომ არ უნდა მისი მოსმენა!..
მეოთხე – შვილს კი, მეტი უთქმელობა არ შეუძლია!..
ერთი – მე დედაზე ვიფიქრებდი!..
(შვილი დედისაკენ მიიწევს და მას ხელს დაუჭერს...)
შვილი – ... ალბათ როგორ გაგტანჯეს ეჭვებმა?!.
დედა – ... დე მტანჯოს!..
შვილი – შენ გევალება ამის ცოდნა, დედა!..
დედა – რისთვის?!.
შვილი – რომ შენს შვილს ისე მომექცე, როგორც ამას ვიმსახურებ!.. მამაჩემი ჩემი ტყვიით მოკვდა დედა!..
დედა ხელს გამოგლიჯავს ვაჟიშვილს და თვალები ცრემლებით ავევსება!..
(დედა-შვილის გარს შემოკრებილ ადამიანებს გმინვა ამოხდებათ!..)
ერთი – ჯერ მამა მოკლა, ახლა კი დედის მოკვლასაც ცდილობს!..
მეორე – მე მგონი შემიძლია გავუგო მაგ ბიჭს!.. ჰო, არ ვიცი, დედისთვის როგორ უნდა დამემალა ის, რაც მოხდა... ან კიდევ... თავიც ისე როგორ უნდა დამეჭირა, თითქოს არც არაფერი მოხდა... დედის მხრიდან როგორ უნდა მიმედო ის სითბო და სიყვარული, თითქოს არც არაფერი ჩამიდენია?!.
(დედა გაგიჟებული სახით მივარდება შვილს, მის სახეს ხელებში მოიქცევს და თანაგრძნობით ჩახედავს თვალებში...)
დედა – ამას რას ამბობ, შვილო?!. მაინც როგორ გაიმეტე გამზრდელი მამა?!.
შვილი – იქ, ველზე... ჩვენი გზები გადაიკვეთა, დედა!..
(ქალს ნერვიულად ხელები აუკანკალდება...)
დედა – გავიგე... მესმის, თქვენ უეცრად შეეჩეხეთ ერთმანეთს და შენ ვერ იცანი მამაშენი... ან როგორ იცნობდი, ეს ხომ ღამით მოხდა... სიბნელეში?!.
შვილი – ... ეს მზისით, დღისით მოხდა, დედა!..
დედა – ... საბრალოვ, რა თქმა უნდა, ვერ იცანი... თქვენ ხომ ერთმანეთს სახეებში არ უმიზნებთ... თქვენ ხომ ერთმანეთს მკერდში უმიზნებთ... შენც ამიტომაც შემოგაკვდა საკუთარი მამა!..
შვილი – მე ვიცანი, მამა!..
დედა – მიწადასაყრელო, ენავ... რა საჭირო იყო ყოველივე ამის თქმა!..
შვილი – შენ მოკლულის მეუღლემ და მკვლელის დედამ სიმართლე უნდა იცოდე... გევალება!..
დედა – აჰ, ჰო... როგორც იქნა მივხვდი... ეს მამაშენმა ვერ გიცნო შენ... ისიც გიტევდა, შენ კი თავს იცავდი, ვერც დაახლება მოასწარი, რომ შვილი ხარ მისი!.. შენც იძულებული შეიქენი... ბოლოს და ბოლოს, ბრძოლა ხომ ბრძოლაა!..
შვილი – მამამ მე მიცნო, დედა!.. ჰო, მიცნო და სიცოცხლე დამითმო...
დედა – მან შენ სიცოცხლე დაგითმო?!.
შვილი – მე და რევოლუციას, დედა!..
დედა – მე მამაშენის მესმის!..
შვილი – ჩემი თუ გესმის?!.
დედა – რევოლუციისაც მესმის...
შვილი – აი, რისი თქმა მინდოდა მე შენთვის, დედა!..
(გამოჩნდება უფროსი ძმა... ორლულიანი თოფით ხელში. დაძაბული სახით ახლოვდება... დედა ვაჟიშვილს მივარდება, შეეცდება ხელის კვრით ადგილს მოწყვიტოს... იგივეს სიტყვითაც შეეცდება...)
დედა – გთხოვ, სასწრაფოდ წადი.... გაეცალე აქაურობას!..
შვილი – ძმას ჩემთან შეხვედრა უნდა, დედა!..
დედა – მას მე შევაჩერებ!..
შვილი – ამ ყველაფრის ცოდნა ჩემს ძმასაც ეკუთვნის!..
დედა – ჰოდა, მე მაცალე... მე მოვუყვები!..
შვილი – არა დედა, ის სიტყვას არ შეისმენს, რადგან ჩემს უფროს ძმას, ჩემი სისხლი სწყურია...
(მოახლოვდება ძმა... იგი ორლულიან თოფს შემართავს!..)
დედა – რას შვები, გაგიჟდი?!.
ძმა – იმის მერე, რაც ჩემმა ძმამ ჩაიდინა, შენ გიკვირს თუ გავგიჟდი?!.
დედა – ... კმარა, ის უბედურება, რაც უკვე დაგვემართა!..
შვილი – გვაცალე დედა... ჩემს ძმა უნდა, რომ მე იმ საშინელი საწუხარისაგან გამანთავისუფლოს!..
(შვილი თითს მიიდებს გულზე...)
შვილი – მე აქ მტკივა ძმაო, მესროლე, ეგებ ცოტა მაინც დამიამდეს!..
ძმა – დედა, მომეცალე!..
შვილი – დედა დაგვტოვე!..
(დედა უფროს ვაჟიშვილს მივარდება...)
დედა – შენ ყველაფერი ისე არ იცი, როგორც არის!..
ძმა – ვიცი...
დედა – შენი ძმა არ არის მამის მკვლელი!..
შვილი – მკვლელი ვარ!..
დედა – მან ვერ იცნო მამაშენი!..
შვილი – ვიცანი!..
დედა – ვერც მამაშენმა იცნო იგი და მოსაკლავად გაიწია!..
შვილი – მიცნო და მოკვლა არ უცდია!..
დედა – თურმე შენი ძმა წაბორძიკდა და თოფი გაუვარდა!..
შვილი – დავუმიზნე და მოვარტყი!..
(დედა უმცროს შვილს მოუბრუნდება და მისი თვალებიდან ცრემლები იფეთქებს...)
დედა – რატომ შვილო, იმაზე მეტად რატომ იმძიმებ ხვედრს, ვიდრე ეს სინამდვილეში არის!..
შვილი – ... უფრო დამძიმება შეუძლებელია!..
(შვილი დედას განზე გასწევს... ძმა ერთხელაც შემართავს იარაღს. შვილი კი თითს ისევ გულზე მიიდებს...)
იბი – აქ მტკივა... აქ მესროლე!..
(გარს შემოკრებილი ადამიანების მხრიდან გაისმის შემზარავი ხმა)
– არა!!!
(დედა აჩქარდება და შვილს კისერზე ჩამოეკიდება... ძმა გაისვრის... სასიკვდილოდ დაჭრილი ქალი ვაჟიშვილის კისრიდან თანდათანობით მიწაზე ჩამოცურდება!..)
დედა – ეს რა ჰქენი, შვილო?!.
ძმა – ეს რა ჰქენი დედა?!.
შვილი – ეს რა ჩაიდინე, ძმაო?!.
(შვილი ძმას მიუბრუნდება...)
შვილი – ნუ აყოვნებ... მესროლე!..
ძმა – კი, მინდა შენი მოკვლა!.. მაგრამ, ვაი რომ სიკვდილი მეც მინდა და თოფში კი ერთი ტყვიაღა დამრჩა!..
(ძმა იარაღს ნიკაპის ქვეშ მიიდებს... შვილი მთელი ხმით ყვირის.)
იბი – ... მე მესროლე!!!
(გაისმის გასროლის ხმა და ძმას თავი უკან გადაუვარდება... შვილს მუხლები მოეკვეთება... მას იქვე მრავალად შეჯგუფული ადამიანები მიუახლოვდება... ზოგი მის გვერდით ჩაცუცქდება...)
შვილი – ... სიკვდილი მინდა!!!

სურათი – 016

(სასაზღვრო ზოლი.... ჭექა-ქუხილია... ელავს... იწყება წვიმა... საყელოაწეული და მხრებაწურული მოხუცი უსაზღვროებაში გადაკარგული მზერით მიმოდის ხალხში... მას ეტლი აედევნება უკან, რომელშიც პრემიერ-მინისტრი ზის...)
მოხუცი – რატომ ხდება ის, რაც არ უნდა ხდებოდეს?!. რატომ ხდება ისე, როგორც არ უნდა ხდებოდეს... ან რატომ არ ხდება ის, რაც უნდა ხდებოდეს?!. ...წიგნი შეიძლება მაღალი დონის იყოს, მაგრამ იგი ჩვენთვის მაგალითი ვერ იქნება... ამიტომ, ამა ქვეყნის მძლევარები ხალხის განათლებას პრემიერების, პრეზიდენტების, დეპუტატების, სენატორების და სხვა პოლიტიკოსების ცხოვრების წესით ახდენენ... აი, ისინი, ვინც მაგალითად გამოდგება!..

ხმა – ისინი და მათი ცხოვრება თქვენთვისაც მაგალითს წარმოადგენენ?
მოხუცი – მე სხვა შემთხვევა ვარ!.. ჰოდა, სამყარო აივსო უცოდველი გაუბედურებულებით!.. აივსო ცოდვილი გაბედნიერებულებით!..
(მოხუცი ხალხს გაშორდება... მას ეტლიდან გადმოსული პრემიერ მინისტრი აედევნება...)
პრემიერი – აღიარეთ, ამ ომში ხომ ხელისუფლება თავს იცავს!..
მოხუცი – ... რა უფლებით იცავს?!. მოიცა, ერთი ის მითხარი, შენ ვინა ხარ?!.
პრემიერი – ეს შეიძლება სახიფათო ცოდნა გამოდგეს თქვენს ხელში, ჩემს წინააღმდეგ...
მოხუცი – თურმე ქვეყნის ეგრეთ წოდებული პრემიერი ხარ!..
პრემიერი – მოდით გავიცნოთ ერთმანეთი...
(იტყვის და იგი ჩამოსართმევად ხელს გაუწვდის მოხუცს... მოხუცი ხელზე დააფურთხებს... პრემიერი ხელს გაიმშრალებს და სახოცს გადააგდებს... გაიღიმებს...)
მოხუცი – თურმე შემიძლია ერთ წამში გადავწყვიტო ქვეყნის ბედი!..
პრემიერი – თქვენ ამას არ იზამთ, პროფესორო!..
მოხუცი – თურმე ერთ წამშიც შემიძლია დავამთავრო სამოქალაქო ომი... სისხლისღვრა!..
პრემიერი – მე თქვენ მოგენდეთ, პროფესორო!..
მოხუცი – რა დროს შენზე... ერთ ადამიანზე ფიქრია, როცა ყოველდღიურად ასეულობით ადამიანი იხოცება!.. თურმე რა პატარა კაცუნა ვყოფილვარ... მე ყველა დროის უდიდესი მოაზროვნე, რომელიც მთელი სამყაროს გარდაქმნას ვცდილობ და ვახერხებ... უეცრად რას ვხედავ, თურმე თვითონ მეც ვიღაც ჭია-ღუების დამკვიდრებული ფსევდო ზნეობის ნორ მების გავლენას განვიცდი... თურმე მეც სხვების გარდაქმნილი ვარ!!!
პრემიერი – ყველანი გარდაქმნილები ვართ, პროფესორო!
მოხუცი – მე ყველა არა ვარ... ბრიყვო!!!
პრემიერი – რაც გინდა მთხოვეთ, პროფესორო!..
მოხუცი – არც ისეთი არარაობა ვარ, რომ მე ჩემი ქვეყნისაგან და ხალხისაგან დამოუკიდე ბელი ინტერესი მქონდეს!!!
პრემიერი – ... რომ გითხრა გადავდგები-მეთქი, დამიჯერებთ?!.
მოხუცი – რასაკვირველია დაგიჯერებთ... რადგან მე, მოტყუებული... ცოტაოდენ გამართლებას მაინც მოვუძებნი ჩემს თავს!..
პრემიერი – გადადგომამდე, თავდაცვის მინისტრად რომ დაგნიშნოთ, პროფესორო?!
მოხუცი – უბადრუკო კაცუნავ, ამას მივიღებ როგორც ჩემს შეურაცხყოფას!..
(იტყვის და მოხუცი პრეზიდენტს სილას გააწნავს... პრეზიდენტი სახეს მოისრესს...)
პრემიერი – ეს თავდაცვის მინისტრის თანამდებობის შემოთავაზებისათვის?!.
მოხუცი – ეს იმისთვის, რომ შენს ჩამოსაგდებად ხალხს სამოქალაქო ომი დასჭირდა!..

სურათი – 017

(გამოჩნდა მამაკაცი (ქმარი). მას პალტოს სახელო მაღლა აქვს აწეული, სახე კი კაშნეთი აქვს დაფარული... მის ახლოს ეტლი მოსჩანს... ეტლიდან მამაკაცი გადმოჰყოფს თავს...)
იბი – ნაცნობი აგებულება... ნაცნობი მიხვრა-მოხვრა...
(მამაკაცი ეტლიდან გადმოდის...)
მეგობარი – გთხოვ... კარგად შემომხედე!
ქმარი – მოდი, მე და შენ ანგარიში დროს და ვითარებას გავუწიოთ!..
მეგობარი – მითხარი, რა გაშინებს?..
ქმარი – ერთი უდავოა, დღეს, როცა ერთი მეორეს მიეძალება, დიდი გონიერებაც არ სჭირდება იმის გამოცნობას, რომ იმ ერთს შველა სჭირდება... ეს ვარაუდიც უცებვე იქცევა სარწმუნოდ, თუ მიმძალებელი უცნაურად შენიღბულ მეორეში თავის ყოფილ მეგობარს ამოიცნობს... ამასთან დღეს ქვეყანაში ისეთი ვითარებაც ჩამოწვა, ვისაც კარგად აქვს საქმე, სხვებს თვალს არიდებს და ვისაც ცუდად, ის სხვებს თვალში უვარდება!..
მეგობარი – არის კიდევ ერთი რამ, რასაც შენ არ ითვალისწინებ... მე შენთან მოვედი არა იმისათვის, რომ მივიღო, არამედ იმისათვის რომ იქეთ მოგცე!..
(ქმარი ყალბი სიცილით გადაიხარხარებს...)
მეგობარი – მე საზღვარგარეთ მინდა გადავსახლდე...
ქმარი – თუ სხვაგან გინდა, ღირსიც აღარა ხარ, იყო სამშობლოში!!!

სურათი – 018

*(სასაზღვრო ზოლი... ჩვეულებისამებრ სასაზღვრო ზოლზე... მოხუცი ზის და იდაყვებით მუხლებზე დაყრდნობილა, სახე ხელებში ჩაურგავს... მას მზერა უსაზღვროებაში აქვს გადაკარ გული... ერთი მხრიდან გოგო ახლოვდება... მეორე მხრიდან ბიჭი... გოგოს ორი ჯარისკაცი აედევნება... მოუმატებს გოგო ნაბიჯს... აუჩქარებენ ჯარისკაცებიც... გოგო სირბილით მოწყდება ადგილს, ჯარისკაცები შაშხანებს მიაგდებენ და გოგოს გამოეკიდებიან... დაეწევიან... კაბის სახელოს შემოახევენ... გოგო დაუსხლტება... ბიჭი მისაშველებლად გაიქცევა, გზად შაშხანას აიღებს... გადატენის და გაისვრის... ერთ-ერთი ჯარისკაცი ფეხში დაიჭრება და ჩაიკეცება... ბიჭი ერთხელაც გადატენის შაშხანას...
მოხუცი გასროლის ხმაზე, შემთხვევის ადგილისაკენ გაიხედავს... მეორე ჯარისკაცი გოგოს ზურგს ამოეფარება და მას ხელებით დაიჭერს!..)*
ბიჭი – გოგოს ხელი გაუშვი... ბიჭო!
(ჯარისკაცი გოგოს ხელს გაუშვებს და უკან იწყებს დახევას... გოგო ბიჭთან მიირბენს და მის ზურგს უკან მოექცევა... ერთი ჯარისკაცი მეორე დაჭრილ ჯარისკაცს მხარით შეუდგება და ისინი თვალს მიეფარებიან... ბიჭი გოგოს ქურთუკს მოახურავს და ამით მას მოშიშვლებულ მკერდს დაუფარავს!.. ისინი მოხუცს მიუახლოვდებიან...)
ბიჭი – შენ მე მამტყუნებ?!.
მოხუცი – რა თქმა უნდა, გამტყუნებ... შენ მე გასროლით ფიქრი გამაწყვეტინე...
ბიჭი – იმ ბიჭებს, რომ საფრთხე შევუქმენი?!. ის ერთი რომ დავჭერი, ამაზე რას იტყვი?!.
მოხუცი – ამისათვის კაცობრიობას ვამტყუნებ...
ბიჭი – ... მას მე ვესროლე და არა კაცობრიობამ!..
მოხუცი – ჰო, მაგრამ ქალის გაბახება საშინელ უბედურებად კაცობრიობამ დაადგინა და არა შენ!..
ბიჭი – როგორ... თქვენთვის ეს შეურაცხმყოფელი არ იქნებოდა?!.
მოხუცი – იქნებოდა... რადგან მეც კაცობრიობის ამ ქაჯური დადგენილების მსხვერპლი ვარ!..
ბიჭი – მე ამ ყველაფრით შეძრული ვარ, პროფესორო?..
მოხუცი – იმით, რომ შენს გოგოს უშველე?!.
ბიჭი – იმით, რომ არც შაშხანის გადატენვა ვიცოდი, არც ჩახმახის ფეხზე შეყენება... თანაც ფეხში მინდოდა მომერტყა, და ფეხში მოვარტყი... მე ხომ პირველად ვისროლე იარაღიდან, პროფესორო?!.
მოხუცი – ეტყობა შენ ღმერთი დაგეხმარა!..
ბიჭი – ჰო, მართლა, პროფესორო, თქვენ გწამთ ღმერთი?!.
მოხუცი – რა თქმა უნდა, მწამს...
ბიჭი – მაინც რა დამსახურებებისათვის გწამთ?..
მოხუცი – დღისით ან ღამით აიხედე მაღლა ზეცაში, თვალი მოავლე ყველას და ყველაფერს – ფლორას, ფაუნას, ადამიანებს, ჩაწვდი სიცოცხლის დაბადებისა და გადარჩენის კანონზომიერებებს... ჩემთვის ეს ყველაფერი ღვთაებრივი შემოქმედებაა!..
ბიჭი – ჰო, მაგრამ ღმერთი მაინც სხვა რამეებთან ასოცირდება!..
მოხუცი – ჩემთვის ეს ყველაფერი უფროა ღვთაებრივი, ვიდრე ის სასწაულები, რომლებსაც ჩვეულებრისამებრ ღმერთს მიაწერენ!..

სურათი – 019

(ბრძოლის ველი... გაისმის ორმხრივი სროლების ხმები... გამოჩნდება ჯარისკაცი, „შვილი“... მას მზერა უსაზღვროებაში აქვს გადაკარგული... მოდის და თითქოს არც არაფერი...

ზოგი ხელის დაქნევით, ზოგიც შეძახილით მას დაწოლისაკენ მოუწოდებს... ერთ-ერთი რევოლუციონერი მას ზურგიდან მივარდება და მიწაზე დაანარცხებს...)

შვილი – მე სიკვდილს ვეძებ...

– მაშინ გონივრულად მაინც გასწირე თავი!..

(გრძელდება ორმხრივი გასროლები... ველის შუაგულში ქალი გამოჩნდება... იგი ბავშვით ხელში მორბის... წამიცდა... ქალს მოხვედრილი ტყვია დააბარბაცებს... იგი მუხლებზე დავარდება... ბალღს მიწაზე დაუშვებს და წაიქცევა... „შვილი“ ადგილს მოწყდება, ქალთან მთელი სისწრაფით მიირბენს და დააგვიანებს. იქ მას ქალი მკვდარი დახვდება... ისიც მტირალ პაწიას აიყვანს ხელში...)

სურათი – 20

(რევოლუციის სამხედრო შტაბი... მეთაური გაკვირვებით შეხედავს „შვილს“... რომელსაც ხელში ძუძუს ბავშვი უჭირავს... ჩვილი კი ტირის!.. იქვე სამხედრო ფორმაში ჩაცმული „ქმარი“ დგას...)

მეთაური – რა ხდება მეომარო?!.

შვილი – ეს ჩვილია მეთაურო, ცოცხალია, გნებავთ,.. მის გულისცემას მოგასმენინებთ!..

მეთაური – რომელ გულისცემაზე მელაპარაკები, როცა ბალღმა ტირილით აიკლო აქაურობა!..

შვილი – მოკლული დედის მკერდზე ვნახე მიგდებული...

მეთაური – ჰო, მაგრამ შენ ჩემი დივიზია ბავშვთა ბაგა ხომ არ გგონია?

შვილი – რა მექნა, მიმეტოვებინა?!. მითხარით, მეთაურო, სასიკვდილოდ გამემეტებინა?!.

მეთაური – სოფელში მიგეყვანა, მეომარო!..

შვილი – სოფელი გადამწვარი დამხვდა!.. როგორ მოვქცეულიყავი?!.

მეთაური – ჩემს დივიზიაში მას ასაკით სამსახური არ ეკუთვნის... ან ეგებ სულაც გოგოა!..

შვილი – გოგოა თუ ბიჭი, ბავშვს აქვს სიცოცხლის უფლება...

მეთაური – ჰო, მაგრამ რა ვუყოთ ამ პაწიას?!.

შვილი – ... მეთაური თქვენ ხართ, რაღაც მოიფიქრეთ...

მეთაური – ბავშვის გასაჩერებლად სასწრაფოდ რძეა საჭირო... მოიწველები?!.

შვილი – წავალ და ვიშოვი, მეთაურო...

(„ქმარი“ შვილს ბალღს ჩამოართმევს...)

○

(მინდორი... ერთი მხრიდან შეშლილი სახით ძვირფასად ჩაცმული ქალბატონი მოდის... მას ხელში მკვდარი შვილი უჭირავს... მეორე მხრიდან გადარეულსახიანი, წვერმოშვებული მამაკაცი ახლოვდება...)

ბიჭი – მშია... ძალიან მშია!..

(ბიჭი ქალს თვალს მოჰკრავს და გაბრწყინებული თვალებით მას მოუახლოვდება...)

ბიჭი – მე მშია, ქალბატონო!..

ქალბატონი – ვწუხვარ, მაგრამ ვერაფრით დაგეხმარებით... გნებავთ, საათს გაჩუქებთ?!.

ბიჭი – მე მშია... საჭმელი მინდა და აბა, საათს რა თავში ვიხლი!..

ქალბატონი – ერთხელაც მომიტევეთ, მაგრამ გეფიცებით... სხვა არაფერი მაქვს...

ბიჭი – გაქვთ, ქალბატონო, თქვენ ჩვილი ბავშვის დედა ხართ, შეუძლებელია ძუძუები რძით არ გქონდეთ სავსე...

ქალბატონი – რძე ჩემს პატარას სჭირდება!..

ბიჭი – მე მშიერი ვარ... ძალიან მშიერი. ცოტა მაინც მომაწოვინეთ-მეთქი რძე!..

(ბიჭი ბალღს დახედავს, ხელით სახეზეც შეეხება და თვალები გაუბრწყინდება...)

ბიჭი – თანაც თურმე თქვენი შვილი მკვდარია, ქალბატონო!!!

ქალბატონი – რას სისულელეს როშავთ?!.

ბიჭი – სიმართლეს გეუბნებით, ჩვილი მკვდარია ქალბატონო, ასე რომ, თუ ძუძუს მომაწოვებთ, მას არც არაფერი დააკლდება!

ქალბატონი – თურმე რა საზიზღარი ვინმე ყოფილხართ!.. ჰო, ჩემი რძით რომ გამოძღეთ, შვილის სიკვდილში ჩემს დარწმუნებას ცდი ლობთ!.. ჩემი შვილი ცოცხალია... ძინავს!..

ბიჭი – მკვდარია-მეთქი!..

(ქალს ცრემლები წასდება... ტირის... იგი გაოგნებულ მდგომარეობაში აღმოჩნდება, რითაც ისარგებლებს ბიჭი და ქალს დეკოლტედან ძუძუებს ამოუყრის... ხარბად იწყებს რძის წოვას!!! გამოჩნდება მეომარი „შვილი“, იგი როგორც კი მოკრავს ბავშვიან ქალს და ბიჭს თვალს... მათკენ გაქანდება, თან ბიჭს შორიდანვე გასძახებს...)

იბი – მოშორდი!.. მოშორდი-მეთქი!..

(“შვილი” ბიჭს საყელოზე მოაჩაჩავს და ზურგზე დასცემს...)

ბიჭი – მშია... მე ძალიან მშია!..

ქალბატონი – საზიზღარო!..

(ვაჟი ხვდება, რომ ბიჭთან აქვს საქმე... და მის მიმართ სიბრალულით განიმსჭვალება... ისიც მას პურის ნაჭერს მიაწოდის... ბიჭიც ბურდღუნით მიდის... ვაჟი ქალს თანაგრძნობით შეხედავს... ბავშვს დახედავს...)

შვილი – ლამაზი ბავშვია... ნამდვილი თქვენი ასლია!..

(იტყვის და ვაჟს შეშფოთება დაეტყობა... იგი ხელს დიდი სიფრთხილით წაიღებს ბავშვის სახისაკენ, შეეხება თუ არა, წუხილის ტალღა გადაურბენს სახეზე...)

ქალბატონი – რა გემართებათ?!.

შვილი – სამწუხაროდ, თქვენი შვილი მკვდარია, ქალბატონო!..

ქალბატონი – ბავშვს სძინავს!..

შვილი – ვწუხვარ!..

ქალბატონი – თურმე თქვენც ჩემი რძე გინდათ!..

(ვაჟი შეწუხდება... იმის მერე, რაც ითქვა – სიმართლის გამხელა გაუჭირდება...)

შვილი – აბა, როგორ გითხრათ, ქალბატონო!..

ქალბატონი – ... გინდათ თუ არა?!.

შვილი – ვიცი ქალბატონო, რაც ამ წამს უნდა გითხრათ, ამის თქმის დრო არ არის, მაგრამ თქვენს იქით გზა არა მაქვს! კი, ახლა სიცოცხლეზე ძალიან მჭირდება თქვენი რძე!..

(ქალი ჯერ ერთ ძუძუს ამოიღებს, შემდეგ მეორეს... ვაჟი თავს ჩაქინდრავს...)

შვილი – მე თქვენი რძე სხვა ახალშობილის გადასარჩენად მჭირდება, ქალბატონო!!!

ქალბატონი – დმერთო, რამ გააბოროტა ეს ხალხი... მე თანახმა ვარ, მოგცეთ რძე, თუ აღიარებთ, რომ ჩემი შვილი ცოცხალია!..

(ვაჟი გახევებულ ქალთან მიდის და მას ძუძუებს დაუმალავს...)

შვილი – საუბედუროდ თქვენს პატარას ჩემი სიტყვით აღარაფერი ეშველება, ქალბატონო!..

ქალბატონი – გაიგეთ, ამის მოსმენას სიკვდილი მირჩევნია!..

შვილი – თქვენი სიკვდილი არ შეიძლება!.. თქვენი სიცოცხლე სხვა ახალშობილს სჭირდება, ქალბატონო. თქვენ შეგიძლიათ თქვენი რძით ის გადაარჩინოთ!..

ქალბატონი – მე შემიძლია პაწაწუკა ახალშობილი გადავარჩინო?!.

შვილი – ჰო, ეს მხოლოდ თქვენ ერთს შეგიძლიათ!..

ქალბატონი – მაშინ რატომ მივზოზინობთ... ავჩქარდეთ...

სურათი – 022

(იცვლება სინათლის ფერი... ვაჟს ისევ ხელკავით მოჰყავს ქალი, თან შთაგონებული სახით მეტყველებს. ამ მონაკვეთში ჩვილი ბავშვი მოქმედებაში აღარ არის!..)

შვილი – ისეთი ლამაზია, ავ თვალს არ ენახვება, ნახეთ როგორ შეგაყვაროთ თავი!.. ტყის პირას მოკლული დედის გვერდით იყო მიგდებული... მთელი ხმით ტიროდა, მეც ხელში ავიყვანე თუ არა, წამით გაჩუმდა და ჩემს მკერდზე ძუძუს დაუწყო ძებნა, ვერ მიაგნო და ისევ ატირდა... მეც იმ წამს არაფერი ისე არ მინდოდა, როგორც ის, რომ უმწეო ჩვილისთვის დედობა გამეწია... მინდოდა და არ შემეძლო... თქვენ კი შეგიძლიათ გაუწიოთ მას დედობა... ამისათვის მხოლოდ კეთილი ნება გჭირდებათ... იქ ჩვენთან ჯარისკაცებს დავუმალე, თქვენ კი გამოგიტყდებით, ბავშვთან ერთად მეც

ვტიროდი, ქალბატონო!.. ის ხმით, მე ცრემლებით!..
ქალბატონი – უნდა ავჩქარდეთ!..
შვილი – ჰო, მთავარია ახლა ბავშვს ცოცხალს მივუსწროთ!..

სურათი – 023

(ვაჟი და ქალი სამხედრო ქვედანაყოფს მიუახლოვდებიან... მეთაური როგორც კი თვალს მოჰკრავს გაუბედურებულ სახიან ქალბატონს, აჩქარდება და მას მეორე მხრიდან ხელს წამოაშველებს... თან ვაჟს უკმაყოფილო მზერას ესვრის... გაკვირვებასაც გაა ზვიადებს...)

მეთაური – კიდევ ერთი ახალი ამბავი... ამ ქალბატონის აქ მოყვანა კიდევ რაღაა, ჯარისკაცო?!.
შვილი – სოფელში მეწველ პირუტყვს ვერსად მივაკვლიე... მოკლედ ამ ქალბატონს რამდენიმე საათის წინ ჩვილი ბავშვი დაეღუპა!..
მეთაური – ეგებ მას მწუხარებამ რძე გაუშრო?!.
(ვაჟი ატირებულ ბავშვს ქალთან მიიყვანს... ქალბატონი ჯერ დაიბნევა... ნაბიჯს გადადგამს უკან... შემდეგ პაწიასაკენ გაიშვერს ხელებს და მკერდზე მიიკრავს...)
ქალბატონი – ჩემი პატარა!..
(ქალი მამაკაცებს სახეს მოარიდებს... მკერდსაც მოარიდებს... პატარაც ტირილს შეწყვეტს!..)
შვილი – ეს ბავშვი თქვენ გადაარჩინეთ, ქალბატონო!..
იბი – თუ გადავარჩინე, ეგებ შეიძლება, მე დედა ვიყო მისი... ის კი ჩემი შვილი?!.
მეთაური – ... ყველაფრიდან სჩანს, რომ ჩვილი ამაზე თანახმაა!..
ქალბატონი – ჰოდა, მაშინ წავალთ მე და ჩემი შვილი სახლში!..
მეთაური – ჯარისკაცო, მიაცილე ქალბატონი სახლამდე!..
შვილი – იცით მეთაურო, ეს ბრძანება მე თვითონ მინდოდა გამომეთხოვა ჩემზე!..

სურათი – 024

(რევოლუციის მომხრეები უწესრიგოდ ირევიან!.. გამოჩნდება ბელადი, ბელადს ჯარისკაცისაკენ (შვილი) მიახედებენ...)
– ეს ის ახალგაზრდაა, რომელმაც მამა შესწირა რევოლუციას!..
ბელადი – თხოვეთ... მოვიდეს ჩემთან..
(ჯარისკაცი (შვილი) ბელადთან მიჰყავთ.. ბელადი მას ხელს ჩამოართმევს და მამაკაცურად მკერდში ჩაიკრავს.. ბელადი მას ტყავის ქურთუკით შემოსავს...)
ბელადი – თუ შეიძლება ... ყოველთვის ჩემს სიახლოვეს იტრიალე!..
(დგანან: გოგო და ბიჭი, ისინი მოხუცს შესცქერიან და გაკვირვებას აზვიადებენ...)
გოგო – რაც აქ ხდება, ამაზე რას იტყვით, პროფესორო?!.
მოხუცი – მიმაჩნია, რომ მოვლენების განვითარების ამ სტადიაზე რევოლუციის ლიდერის ძაგებას, ძაგებისაგან თავის შეკავება სჯობს!..
(მოხუცს ზურგს უკნიდან ბელადი მიუახლოვდება... გოგო და ბიჭი თვალებს დაქაჩავენ...)
ბელადი – თურმე მთლად კარგად არ იცნობ ბელადს!..
მოხუცი – ჰო, ზღაპრების მოსმენის და დაჯერების ასაკი დიდი ხანია გამოვიარე!..
ბელადი – მაინც რა არ გჯერა, პროფესორო. ის რომ, ბელადი საპყრობილეებიდან არაერთგზის გაიქცა... ის რომ, გადასახლებებიდან წამდაუწუმ გამორბოდა... ის რომ, მშობლიური ხალხის კეთილდღეობისთვის, თავს არ ზოგავდა... რომ სიცოცხლესაც სწირავდა და სწირავს?!.
მოხუცი – არა, მე არ ვეწევი შენს დისკრედიტაციას!.. არც რევოლუციის დისკრედიტაციას... თქვენს წინააღმედეგ ამხედრების დრო ჯერ არ მოსულა!..
(ბელადი გადაიხარხარებს...)
ბელადი – თურმე შენი უნდა მეშინოდეს!..
მოხუცი – როგორც წესი, ჭკვიანები შიშით წინ უსწრებენ საფრთხეს, უტვინოები კი ჩამორჩებიან!..
(ბელადი მოხუცს თავისკენ შეაბრუნებს და მკერდში ჩაიკრავს...)
ბელადი – ამ კაცმა ჩემზე მეტი გააკეთა რევოლუციისთვის... მას შეეძლო თავისი მოძღვრება დღევანდელობაში აემოქმედებინა, ის კი ადგა და მისი ამოქმედება შორეულ მომავალში გადაიტანა...
მოხუცი – ცდები და ძალიან მწარედ, ჩვენი რევოლუციები ერთმანეთის თანმიმდევრულად მიმდინარეობს, თქვენი იარაღით და სისხლისღვრით, შიშით და ძალადობით სხვების მიმართ, ჩემი კი საკუთრივ ადამიანების შიგნით... განათლებით, გადარწმუნებით, გარდაქმნებით... შენი რევოლუცია, ადრე თუ გვიან, დამთავრდება... ჩემი რევოლუცია კი მარადიულია, ხალხი შენი რევოლუციის დამთავრებას ნატრობს, ჩემი რევოლუციის გაგრძელებას ინატრებს!..
ბელადი – კარგი იქნებოდა, რომ ჩვენს გვერდით იდგე, პროფესორო!..
მოხუცი – მე ასეთი, ვინცა ვარ და როგორიცა ვარ, ვერც ვერავისთან ვერ ვიქნები!..
ბელადი – ჰოდა, ბედი შენი პროფესორო, თუ შენ და შენნაირებს, ვინც არავისთან არ არის, მეც და ჩემი რევოლუცია მტრებად რომ არ გაცხადებთ!..

სურათი – 025

(სასახლე... ბავშვი საწოლზე წევს... ღია სარკმელიდან გადმოდის ტყავის ქურთუკიანი ვაჟი (შვილი). საწოლთან მიდის და ბავშვს დახედავს... გაუღიმებს... ოთახში შემოდის ქალბატონი...)
იბი – როგორც იქნა!..
შვილი – უფრო ადრე მოსვლა უბრალოდ ვერ შევძელი!..
ქალბატონი – ალბათ ვერ გრძნობდი, რომ აქ ბავშვი გელოდებოდა... აქ მეც... გელოდით!..
შვილი – თურმე არც მეპატიება, რომ აქამდე ვერ შევძელი!..
ქალბატონი – გამოგიტყდებით იმ დღიდან, რაც თქვენ გაგიცანით, ამ სარკმელს ღიად ვტოვებ... თქვენ ხომ ჩემი შვილის მამობილი ხართ!..
შვილი – სულ ეს არის... რისთვისაც მელოდით?!.
ქალბატონი – ... არის სხვა რამეც!.. ოღონდ დღეს ამ თემაზე საუბარი ნაჩქარევია, ჯარისკაცო!.. ამაზე თუ მოხვალთ, სხვა დროს ვისაუბროთ!..
შვილი – მოვალ, რომ ის თემები, რაზეც საუბარი თქვენ დღეს ნაადრევად მიგაჩნიათ, რაც შეიძლება მალე ვაქციოთ დრომოსულად!..

სურათი – 026

(სასახლე... პოლკოვნიკი ზის და მეუღლეს (ქალბატონს) თან დარდიანი, თან გამომწვევი მზერით შესცქერის... მეუღლე მას მიზანმიმართულად თვალს არიდებს!..)
პოლკოვნიკი – ... რა ხდება ასეთი ჩვენს თავს?!.
ქალბატონი – მაინც რით აღარ მოგწონვარ?!.
პოლკოვნიკი – ათასი რამით!.. ...იქამდეც მიხვედი, რომ თვალსაც ვეღარ მისწორებ... ასეთი მაინც რა ბრალი მიგიძღვის ჩემს წინაშე?!.
ქალბატონი – ... ამ ყველაფერზე თვითონ რას ფიქრობ?!.
პოლკოვნიკი – ისევ და ისევ ათას რამეს, თუმცა მე ერთი რამ მაშინებს... მკითხავ, რა მაშინებს?!.
ქალბატონი – მოდი, ნუ დავასწრებთ მოვლენებს!..

სურათი – 027

სასახლე... სადარბაზო შემოსასვლელიდან პოლკოვნიკი შემოდის... მას მსახური მიეგებება...
(ღია სარკმელიდან ქურთუკიანი ჯარისკაცი (შვილი) იმ ოთახში გადაიპარება, სადაც ქალბატონი ბავშვს აძინებს... იგი მას თვალს მოჰკრავს თუ არა, სასიამოვნოდ შეკრთება და ვაჟს მიეჭრება... ხელის გულებს სახეზე მიადებს...)
ქალბატონი – მოდით ნახეთ, რა მშვენიერი ბავშვია, ჩვენი შვილი!..
(პოლკოვნიკი ბავშვის საძინებელ ოთახს მიუახლოვდება და იქ ვაჟს დაინახავს თუ არა, მოწყვეტით კედელს მიეხარცხება... შემდეგ კი, მოვლენების განვითარებას მიადევ ნებს თვალს.)
შვილი – თქვენ ნამდვილი სასწაული მოახდინეთ, ქალბატონო!.. მე თქვენამდე სიკვდილი მინდოდა!..

ქალბატონი – რა დაგემართათ ჩემს მერე...
შვილი – სიცოცხლის სურვილი გამიჩნდა... გულიც სულ თქვენსკენ მომიწევს!..
ქალბატონი – ნეტავ რა უნდა იყოს ის, რასაც თქვენ ჩემს მიმართ განიცდით?!.
შვილი – მიყვარხარ!..
ქალბატონი – მეც მიყვარხარ!..
(ოთახში პოლკოვნიკი შემოდის... მის დანახვაზე ქალი შეშფოთდება და ვაჟს სხეულზე მძლავრად მიეკვრება!..)
პოლკოვნიკი – არა, ასე არ შეიძლება, არც ჩემთან და არც ერთმანეთთან. აბა, სად გაგონილა უწმინდურობის სიყვარულად შერაცხვა!..
ქალბატონი – კარგია, რომ დაბრუნდი!..
პოლკოვნიკი – რით არის კარგი, ნუთუ იმით, შენი წარწყმედა რომ შევაჩერე?!!.
ქალბატონი – იმით, რომ ის, რაც აქ ითქვა და მოხდა, საკუთარი ყურით მოისმინე და საკუთარი თვალით დაინახე... უკეთესი იქნება თუ ამ ყველაფერს ისე გაიგებ, როგორც სინამდვილეში არის!..
პოლკოვნიკი – რით არის კარგი და უკეთესი?!.
ქალბატონი – იმით, რომ ყოველივე ამის თქმას მე შენთვის ვერ შევძლებდი, არადა, მევალებოდა!..
პოლკოვნიკი – მე ერთი სიტყვაც არ მჯერა, რაც აქ ითქვა!..
შვილი – მაგიერ მე მჯერა იმის, რაც ქალბატონმა მითხრა და ამით ბედნიერი ვარ!..
ქალბატონი – მეც მჯერა და ბედნიერი ვარ!..
პოლკოვნიკი – თქვენ ცდილობთ, ერთმანეთი მოატყუოთ!.. საკუთარი თავის მოტყუებასაც ცდილობთ... თუმცა მე ვერ მომატყუებთ!.. თქვი, ისეთი რა მოხდა მე და შენს შორის?!.
ქალბატონი – მოხდა ის, რაც აუცილებლად უნდა მომხდარიყო!.. მე, როგორც იქნა, ნამდვილი სიყვარულით შემიყვარდა!.. როგორც იქნა, მამაკაცს ნამდვილი სიყვარულით შევუყვარდი!..
პოლკოვნიკი – გატყუებს!..
ქალბატონი – ეს შენ მატყუებდი!..
პოლკოვნიკი – ეს აქამდე არასოდეს გითქვამს?!.
ქალბატონი – ჰო, ამას მას შემდეგ მივხვდი, როცა ამ ბიჭს შევუყვარდი, როცა გავიგე თუ რა არის მამაკაცის ნამდვილი სიყვარული!..
პოლკოვნიკი – თურმე შენი სიყვარულის გამზომი მოიშალა!..
ქალბატონი – ის რაც მაქვს, ეს ჩემი ბედნიერებაა და კარგი იქნება თუ ამას არ ჩამაშხამებ!..
პოლკოვნიკი – შენ გამოფხიზლება გჭირდება!..
ქალბატონი – მე ასე არ ვფიქრობ!..
პოლკოვნიკი – ... ჰოდა ამ ბიჭის ორთაბრძოლაში გამოწვევით გამოგაფხიზლებ!.. მე შენ ორთაბრძოლაში გიწვევ!..
(იტყვის და პოლკოვნიკი ვაჟს ხელთათმანს ესვრის, ვაჟი დაიჭერს და ხელთათმანს სახეში თხლიშავს პოლკოვნიკს...)
შვილი – ეს მე გიწვევ ორთაბრძოლაში...
პოლკოვნიკი – შენ რისთვის?!.
შვილი – ... რომ ჩემი ქალბატონი სიყვარულში მოატყუე!..
ქალბატონი – არა!!!
პოლკოვნიკი – ის ჰოს ამბობს, შენ არას, ჰოდა, ეგებ ჯერ ერთმანეთში შეჯერდეთ?!.
ქალბატონი – ეს შენი მხრიდან უსულგულო მკვლელობა იქნება!..
პოლკოვნიკი – მას აქვს გადარჩენის რამდენიმე შანსი... ერთი ის, რომ უარი თქვას ორთაბრძოლაზე...
ქალბატონი – ძვირფასო, ჩვენი სიყვარულის სახელით გთხოვ... გევედრები...
შვილი – მომიტევე...
პოლკოვნიკი – ... არის კიდევ ორი შესაძლებლობა,– მომკლას მე!.. ან უარი თქვას შენზე!..
ქალბატონი – შენი მოკვლა შეუძლებელია, შენ ქვეყანაზე ყველაზე სახელოვანი დუელიანტი ხარ!..
პოლკოვნიკი – მაგიერ მას საოცარი ბედი აქვს... იგი შენ შეგიყვარდა!!!

სურათი – 028

(მინდორი... სადამოს პირია... იარაღშემართული პოლკოვნიკი და ვაჟი (შვილი) ერთმანეთს უახლოვდებიან... ისინი ჯერ კიდევ შორი მანძილიდან აუტეხენ ერთმანეთს ბათქა-ბუთქს... ერთიც და მეორეც ხშირად შეიცვლიან ადგილებს... შეიცვლიან მდგომარეობასაც... ვაჟს სწორედ პოზიციის შეცვლის დროს მოხვდება პირველი ტყვია... ისიც წელში მოხრილი წაბარბაცდება... პოლკოვნიკი გადაიხარხარებს...)
იბი – ეს შენ ჩემი ქალის მოტყუებისათვის... მითხარი გატკინე!..
შვილი – მე უფრო გატკინე!..
პოლკოვნიკი – იტყვი სად მოგარტყი?!.
შვილი – არ ვიცი მე სად მომხვდა, მაგრამ ის კარგად ვიცი, რომ შენ გულში მოგარტყი!..
პოლკოვნიკი – ჰა, შენც გულში!..
ოფიცერი ზედიზედ რამდენჯერმე გაისვრის... ვაჟი მუცელზე გაიშხლართება...
პოლკოვნიკი – თუ ნანობ მაინც... რაც ჩაიდინე?!.
შვილი – შენს გამო ვწუხვარ და თანაგიგრძნობ... ჩემდა თავად კი ბედნიერი ვარ!..
პოლკოვნიკი – მე შენ სიკვდილს თვალებში ჩაგახედე... მითხარი, რა ფერის თვალები აქვს?!
შვილი – აჯობებს თვითონ ჩახედო თვალებში!..
(ამ შესიტყვეების თანმიმდევრულად, ოფიცერი სავაზნეს გამოცელის... მუცელზე გაშოტილი დაჭრილი ვაჟი კი რვეორვერს ორივე ხელით წინ გაიშვერს, ერთიც და მეორეც ცეცხლს გახსნიან, ოფიცერი ტყვიის მოხვედრისაგან რამდენჯერმე უკან გადაქანდება... ბოლოს კი ზურგზე დავარდება...
მოსჩანს: ერთ მხარეს ვაჟი ბარბაცით და ფორთხვით მიიწევს წინ... მეორე მხარეს პოლკოვ-ნიკიც ასევე ბარბაცით და ფორთხვით მიიწევს წინ...
მოსჩანს: ქოხი... მას პირველი ვაჟი მიადწევს...
მოხუცი არყიან ჭიქას მაღლა ასწევს და ჭრაქის სინათლეზე გახედავს... სწორედ ამ დროს მძიმედ დაჭრილი ვაჟი კარებს შეეჯახება და ქოხში მოადენს ზღართანს... მოხუცი ვაჟს რის ვაი-ვაგლახით წამოაყენებს და კარებს ააყუდებს, რომ ამ დროს კარებს პოლკოვნიკი შეეჯახება და ქოხში გაიშხლართება... მოხუცი ცდილობს ორ დაჭრილზე გადანაწილდეს და არაფერი გამოსდის... ვაჟი მოხუცის მარცხენა ხელს ხელებს შორის მოიქცევს...)
შვილი – მე თქვენ მიყვარხართ, ქალბატონო!..
მოხუცი – სად არის აქ ქალბატონი!..
(მოხუცი ვაჟს საწოლთან მიიყვანს და დააწვენს... ამის შემდეგ იგი ოფიცერთან მიდის... წამოაყენებს და...)
პოლკოვნიკი – ჩემი სიცოცხლე საფრთხეშია, მედდაო!..
მოხუცი – რა მჭირს ასეთი... ამასაც რომ ქალი ვგონივარ?!.
(შეიცვლება სინათლის ფერი... ვაჟი და პოლკოვნიკი საწოლზე გვერდიგვერდ წელს ზემოთ შიშვლები წვანან... ქოხში გოგო და ბიჭი შემოდიან... ისინი მზერას მოხუცზე გააქვავებენ...)
გოგო – დღეს ჩემმა გულისწორმა უკვე მეორედ მთხოვა ხელი... მირჩიეთ, რა ვქნა, დავთანხმდე?!.
მოხუცი – ჩემს ქოხში შეუღლების იმედი ნუ გექნებათ...
(მოხუცი მათ დაჭრილებისაკენ მიახედებს, გოგო და ბიჭი იქეთ-აქედან დაჭრილებთან მიდიან...)
გოგო – თითოეულს ორ-ორი ტყვია მკერდში აქვთ მოხვედრილი... ასე რომ, მათი წუთები დათვლილია, პროფესორო!.. ეგებ არ ღირს... მათი დაჩეხვა?!.
მოხუცი – ღირს... თითოეულს ორ-ორი ტყვია მკერდში იმდენად შორიდან აქვთ მოხვედრილი, რომ არა მგონია მათ გულის ფიცარი გაეგლიჯათ... რომ გაეგლიჯათ, ერთიც მკვდარი იქნებოდა და მეორეც...
(მოხუცი ოპერაციას ვაჟის კვეთით იწყებს... დაჭრილი ტკივილისაგან იმანჭება. იგი გოგოს ხელში ხელს ჩაავლებს... ამავდროულად პოლკოვნიკი ჩაავლებს ბიჭს ხელში ხელს... მოხუცი ვაჟის ჭრილობიდან პირველ ტყვიას მაკრატელით ამოიღებს და ჰაერში შეატრიალებს, შემდეგ ემალის ჯამში ჩააგდებს... გაისმის ჭახანის ხმა... ვაჟი და პოლკოვნიკი თანმიმდევრულად ბოდვებს იწყებენ...)
შვილი – მიყვარხარ!..

პოლკოვნიკი – მეზიზღები...
შვილი – ... მინდა რომ ერთად ვიყოთ!..
პოლკოვნიკი – მე შენ არ გაცოცხლებ...
(მოხუცი ამოღებულ მეორე ტყვიას პაერში შეატრიალებს და მასაც ისევ ემალის ჯამში მოისვრის... გაისმის ჭახანის ხმა.)

○

(შეიცვლება სინათლის ფერი... გაიღვიძებს გოგო და ბიჭი... მალე დაჭრილებიც შეინძრევიან...
წყალი!.. გოგო ვაჟს (შვილს) წყალს მიურბენინებს... ბიჭი კი პოლკოვნიკს... მოხუცი ვაჟს (შვილს) დაადგამს თვალს...)
მოხუცი – შენ ვიდაც მშვენიერ ქალბატონზე ხარ თავდავიწყებით შეყვარებული!..
(ვაჟი მრავალნიშვნელოვნად თავს დაიქნევს... მოხუცი მზერას პოლკოვნიკზე გადაიტანს...)
პოლკოვნიკი – აქ როგორ მოვხვდი?!.
მოხუცი – საიქიოსკენ თავქუდმოგლეჯით მიმავალს ბედად გზა აგერია და სრულიად შემთხვევით ჩემთან ქოხში აღმოჩნდი!..
პოლკოვნიკი – თვითონ ვინ ხარ?!.
მოხუცი – თქვენი გადამრჩენელი ღვთაება!..
(ვაჟი და პოლკოვნიკი უეცრად შემკრთალნი სახეებით წინ გადმოიწევიან და უცებვე ერთმანეთისაკენ მიბრუნდებიან... მრისხანებას გადმოღვრიან!..)
მოხუცი – თქვენ მგონი ერთმანეთს იცნობთ!..
შვილი – ჰო, ეს ის ოფიცერია, რომლის ცოლიც მე გაგიჟებით მიყვარს...
პოლკოვნიკი – ეს კი ის ვაჟია, რომლის მოკვლასაც ვაპირებ!..
გოგო – თურმე, პროფესორო, ერთ-ერთი მათგანი არ უნდა გამოგებრუნებინა!..
პოლკოვნიკი – ეგ არაფერი... პროფესორის დაშვებულ შეცდომას მე გამოვასწორებ!..
(პოლკოვნიკი წამოდგება და იქვე ჩამოკიდებული სამოსელიდან რევოლვერს ამოიღებს... ვაჟს დაუმიზნებს...)
ობი – მითხარი, ჯარისკაცო, გინდა თუ არა სიცოცხლე?!.
შვილი – მინდა, როგორც არასოდეს... რადგან მე მიყვარს!..
პოლკოვნიკი – მაშინ უარს იტყვი ჩემს ცოლზე!..
შვილი – გთხოვ, გადაეცი, რომ მიყვარს, რომ თავს მირჩევნია!..
(პოლკოვნიკი რამდენჯერაც გამოერავს ჩახმახს თითს, რევოლვერიც იმდენჯერ გაიჩხა-რუნებს... მოხუცი ახარხარდება...)
პოლკოვნიკი – ეს შენ მომიწყე, პროფესორო...
მოხუცი – აბა, შენ რა გეგონა, ჩემს სიმწრით გადარჩენილს ხელახლა მოგაკვლევინებდი?!.
(პოლკოვნიკი სისუსტისაგან დარეტიანდება... მოხუცი მას წამოწოლაში მიეშველება... ქოხში კარებს ერთხელაც გადმოაყირავებენ... შემოდის ლეიტენანტი. იგი პოლკოვნიკთან მიდის...)
ლეიტენანტი – სწორედ თქვენ გეძებდით!...
(პოლკოვნიკს სწრაფად შემოსვენ... ლეიტენანტი ქოხიდან გარეთ გადის... პოლკოვნიკი შეჩერდება...)
პოლკოვნიკი – დღეს შენ უკვე მეორედ გადამირჩი მოკვლას...
შვილი – ფიქრობ, დღეიდან გადარჩენის არავითარი შანსი არა მაქვს?!.
პოლკოვნიკი – გაქვს თუ უარს იტყვი ჩემს ცოლზე!..
შვილი – თურმე არავითარი შანსი არ მქონია..

სურათი – 029

(ხალხი უწესრიგოდ ირევა!.. სასაზღვრო ზოლზე მოხუცი მოაბიჯებს, მას აქეთ-იქედან გოგო და ბიჭი მოჰყვება...)
ბიჭი – პროფესორო, მაინც რატომ ხდება ის, რაც ხდება?!.
მოხუცი – მე დღეს კითხვებს სხვაგვარად ვსვამ!.. რატომ ხდება ის, რაც არ უნდა ხდებოდეს?!. ან რატომ არ ხდება ის, რაც უნდა ხდებოდეს?!.
გოგო – პროფესორო, თქვენ განსხვავებას უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ თუ მსგავსებას!..
მოხუცი – დადებით მოვლენებთან მსგავსებას, უარყოფით მოვლენებთან კი განსხვავებას!..
(გაისმის ხმები...)
– მე ყოველ დილით ახალ დღეს ვულოცავ ჩემს თავს!..
– მე ყოველდღე ჩემს საყვარელ სიცოცხლეს ვწირავ უკეთესობას!..
– ვინც სიცოცხლეს სწირავს, იმისთვის უკეთესობა შეიძლება არც არასოდეს დადგეს!..
– თუ სიცოცხლეს არ გავწირავთ, უკეთესობა ნამდვილად არც არასოდეს დადგება!..
– ჩვენ ვიცით, რომ უარესი შესაძლებელია!..
– ჩვენ ისიც ვიცით, რომ უკეთესიც შესაძლებელია!..
– ვისაც არ გვაქვს... ვეძიებთ!..
– ან ყველაფერი ან არაფერი!..
(ხალხი მოხუცს მიეჭრება... მოხუცი თვალების ცეცებას იწყებს...)
– პროფესორო, დროა მოგვცე იმედი!..
მოხუცი – ახლა მე თვითონ იმედის გაჩენას ვცდილობ!.. ქვეყანაში ისეთი ვითარება დგას, როცა ბრბო უაზროდ ფანტავს სიცოცხლეს!.. რომელსაც ხელისუფლება ყიდულობს... რევოლუციას კი უფასოდ მიაქვს!..
– რევოლუციას ნისიად მიაქვს!..
– ... ჩვენ რევოლუციას ვწირავთ სიცოცხლეს!..
– მაგრამ რევოლუცია თუ დამარცხდა, სიტყვა ჩვენში... შენ შეიძლება აღარ მოხვდე... ჰოდა, ფაფუ!
– დაე, რევოლუციისთვის ჩემი სიცოცხლე ალალი იყოს!..
წამოიმართება გაქვავებული სხეული... წამოიმართება გაქვავებული სხეულები... ზეცაში ბუღი აიჭრება... გაის მის მეტალისებური ხმები...
– შეჩერება აღარ შეიძლება!..
– გახსოვდეთ, რომ მე სიცოცხლე უკეთესობას შევწირე!..
– გახსოვდეს, რომ შენთვის მოვკვდი!..
– ჰოდა, ნუ აქცევთ ჩვენს თავგანწირვას უაზრობად!..

სურათი – 030

(პრემიერის სასახლე... რევოლუციის ბელადი თავისი ხალხით, გასროლებით შენობაში შეიჭრება... მას გვერდით ტყვის ქურთუკით შემოსილი (შვილი) მოჰყვება... რევოლუციონერები წინ მიიწევენ... ხელისუფლების ჯარისკაცები უკან-უკან იხევენ. მოსწრანს სასახლის შუაგულში სვეტზე ჩამოკიდებული ძველებური ტელეფონი... რევოლუციური ძალები იმ სვეტიდან, რომელზეც ტელეფონი ჰკიდია, ხელისუფლების ჯარისკაცებს უკან არ დაახვევინებენ!.. ტელეფონთან აქეთ-იქიდან ორი რევოლუციონერი დადგება... შეწყდება გასროლები!.. გაისმის:)
– გთავაზობთ დაზავების კვირეულს!..
– თანახმა ვართ!..
(ერთმანეთს ბელადი და მრემიერ-მინისტრი მიუახლოვდებიან და მოშორებით შეჩერდებიან...)
ბელადი – აი, მეც მოვედი!..
პრემიერი – დავიჯერო, ღირდა კი ასეთ მსხვერპლად შენი ამ სასახლეში შემობრძანება?!.
ბელადი – არ ვიცი ჩვენი აქ შემოსვლა ღირდა თუ არა, მაგრამ ის კი კარგად ვიცი, რომ თქვენი აქედან გაყრა ნამდვილად ღირდა ამად!..
პრემიერი – მე მზად ვარ ქვეყანაში ორხელისუფლებიანობა ვაღიაროო!..
ბელადი – ამაზე იმ შემთხვევაში, დაგთანხმდები თუ იგი პირადად შენი და შენი ხელისუფლების მშვიდობიან გადადგომას მოემსახურება...
პრემიერი – მე რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები მქონდა მხედველობაში!..
ბელადი – თურმე ღირსეულად დამარცხებაც არ შეგიძლია!.. მოკლედ, მოგშივდება და გადადგები!.. იცოდე, სასახლე ჩემი ხალხით არის გარშემორტყმული...
პრემიერი – ჩვენ მზადა ვართ, ჩვენს ხალხს და სამშობლოს შევეწიროთ!..
ბელადი – ეს, ჩემი ხალხი და ჩემი სამშობლოა!..
(იცვლება სინათლის ფერი... სვეტთან, რომელზეც ტელეფონია ჩამოკიდებული, ისევ ორი რევოლუციონერი დგას!.. გაის-

20. "ამერ-იმერი."

მის ტელეფონის ზარი... ვაჟი (შვილი) ტელეფონთან მიდის და ყურმილს მოხსნის... გამოჩნდება ბელადი...)
შვილი – ვიღაც უცხოურ ენაზე ლაპარაკობს...
(ბელადი სახეზე წამოენთება... იგი ვაჟთან მივარდება და ხელიდან ყურმილს წაგლეჯს... ბელადს ერთი მხრიდან გარს რევოლუციონერები შემოერტყმებიან... მეორე მხარეს კი ხელისუფლება განლაგდება... მათ შორის თავად პრემიერ მინისტრიც არის!.. მოსჩანს უცხოელი ყურმილით ხელში, იგი ჰამაკში წამოწოლილა და ნებივრობს...)
ბელადი – იცი რა გითხრა, ევროპელო... დღეს შენ დამოუკიდებელი ქვეყნის მთავრობის სასახლეში რეკავ და თუ ჩემთან საუბარი გნებავს, კეთილი ინებე და ჩემს მშობლიურ ენაზე მელაპარაკე?!!
(უცხოელი აქცენტით ილაპარაკებს...)
– რა ხდება ასეთი მაქ... თქვენთან?!.
(ბელადი ყურმილს გაიშვერს, რევოლუციონერები კი ყურმილთან იარაღს მიიტანენ და გასროლებს მოახდენენ...)
ბელადი – ჩვენთან რევოლუციაა, ევროპელო!..
– ჰო, მითხრეს, რომ თქვენთან, ორხელისუფლებიანობა მყარდება!.. – ვინ ბრძანდებით?!.
ბელადი – მე იმანო ვარ... მეიმე!.. ან თქვენებურად ინკოგნიტო!..
– ესე იგი, თქვენა ხართ ის პირი, ვინც თქვენი ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანა...
ბელადი – თურმე შენ ქვეყნის და ხალხის თავისუფლებას კატასტროფას ეძახი!.. თუ გინდა, ეხლა ერთ შეტევას განვახორციელებ და რამდენიმე წუთში შევწყვეტ ქვეყანაში ფსევდო ორხელისფლებიანობას!..
– გთხოვთ, ამას ნუ იზამთ?..
ბელადი – ... ამას იმ შემთხვევაში არ ვიზამ, თუ პრემიერი დანარჩენ მსოფლიოსთან სავაჭროდ გამოგვადგება!..
– პრემიერი ყოველთვის ჩვენი ერთგული ლეკვი იყო... ვვფიქრობ, რომ გამოდგებათ!..
(თავისი გარემოცვა პრემიერ მინისტრს უკმაყოფილოდ გადახედავს...)
– გირჩევთ რომ შეწყვიტოთ ქვეყნის არევ-გაჩანაგება... მოკლედ, ისე არ ქნათ, რომ ჩვენ მისი დალაგება გაგვიძნელდეს!..
ბელადი – არც იფიქროთ... სანამ მე ქვეყნის სათავეში ვიქნები, ქვეყანას თქვენ არ დაგალაგებინებთ!..
– ბოლოს და ბოლოს აპირებთ თუ არა, ევროპის სახელმწიფოებთან კეთილმეზობლური ურთიერთდამოკიდებულების გაგრძელებას?..
ბელადი – მხოლოდ და მხოლოდ თანასწორუფლებიანობის საწყისებზე!..
– მაშინ ლეგიტიმურ ხელისუფლებას ხელი არ ახლოთ!..
(მრემიერ მინისტრი ამაყად გადახედავს თავის გარემოცვას!..)
ბელადი – ამას ხალხი არ მაპატიებს!..
– თქვენს ადგილზე მე ხალხზე მაღლა, მსოფლიო თანამეგობრობას დავაყენებდი!..
ბელადი – მე ჩემს ხალხს ყველაზე და ყველაფერზე მაღლა ვაყენებ!..
(რევოლუციონერები ტაშს შემოსცხებენ... ბელადი ყურმილს ხმის მიმართულებით გაიშვერს...)
– როგორ... ჩვენს საუბარს სხვებიც ისმენენ?!.
ბელადი – ჰო, მე ჩემი ხალხისაგან დამალული არაფერი მაქვს, არც არასოდეს მექანება!..
– გირჩევთ, პრემიერ მინისტრთან ერთად ახლავე შექმნათ შერეული მთავრობა!..
ბელადი – არა, მე ჩემს ხალხს ვერ მოვატყუებ!..
– სჯობს მოატყუოთ, ვიდრე დაღუპოთ!..
(ბელადი ყურმილს რევოლუციონერებისაკენ გაიშვერს, ისინი კი მთელი ძალით სტვენას ასტეხენ...)
ბელადი – კარგით, მე შევეცდები ერთიც თავიდან ავიცილოთ და მეორეც!.. თუ შეიძლება დარეკე ერთ საათში...
– შეშფოთებით... რას აპირებთ?!.
ბელადი – მე შევეცდები ამ დროში ერთპიროვნულად ჩემს ხელში ავიღო ძალაუფლება!..
(რევოლუციონერები მქუხარე ტაშის დაკვრას ატეხენ...)
– არ გინდათ, ასე ხელადებით ნუ ამბობთ უარს ჩვენზე!.. ჰო მართლა, მე, რომ თქვენ პრემიერის გადმოცემა გთხოვოთ?!.
ბელადი – რა თქმა უნდა, უარს გეტყვით, რადგან, თქვენ უკვე აქედანვე ცდილობთ ქვეყანაში ლეგიტიმური ხელისუფლების აღდგენის საბაბით ათასი უბედურება დაგვაწიოთ!..
(წამიერი პაუზა... რა იქნება თქვენ და პრემიერმა მინისტრმა ხალხში რომ გაისეირნოთ?!.)
ბელადი – ხალხი მისი წინააღმდეგია!.. ის ვერ გაბედავს!..
– მე ვეტყვი და გაბედავს!..
(ყველანი... დამფრთხალი პრემიერ მინისტრისაკენ გაიხედავს!..)

სურათი – 31

(სასაზღვრო ზოლი... აქეთ-იქით მრავლად არიან შეიარაღებულებიც და სამოქალაქოებიც... კოშკურაზე კიბით, სნაიპერი ადის... ის თან ჭოგრიტიან შაშხანას მიათრევს... ბელადი ჩიბუხს გააწყობს და ასანთს გაკრავს... იქვე მას ასანთი ხელიდან გაუვარდება... ის პრემიერ მინისტრს შეხედავს...)
ბელადი – არ მომაწოდებ?..
ბელადი – რა თქმა უნდა, არა!..
ბელადი – მაშინ შენ თავს დააბრალე!..
(იტყვის და ბელადი ასანთს აიღებს, როცა დაიხრება, ამ დროს სნაიპერი გაისვრის... შემდეგი სურათი ასეთია: ბელადი წამოიმართება, ხოლო განგმირული პრემიერი კი მიწაზე დაეშვება... დაშვებისას იგი ბელადს ხელზე მოეჭიდება!..)
პრემიერი – ... შენ თურმე ვინ ყოფილხარ?!.
ბელადი – მე აწმყო ვარ შობილი წარსულისაგან!..
პრემიერი – არა, ტყუილად მაბრალებ, მე შენთვის ხეზე ასვლა არ მისწავლებია!..
ბელადი – მეყო ნიჭი და თვითონ ვისწავლე!..
პრეზიდენტი – მე ნიჭი არ მქონდა მხედველობაში... მე უბრალოდ, ის ვერ ვიფიქრე, თუ ასეთ საზიზღრობას იკადრებდი!..
ბელადი – შურისძიების მოთხოვნილება იყოს და თურმე რას არ ჩაიდენს კაცი!..

სურათი – 032

(სასახლე... ქალბატონი ხელში ბავშვს აძინებს... ოთახში მიმოდის და იავნანას უმღერის... შემოდის პოლკოვნიკი... ქალი მის მხარეს მოტრიალდება და შეცბება!.. შეჰკივლებს..)
ქალბატონი – ესე იგი, შენ ის მოჰკალი?!.
პოლკოვნიკი – ... ეგ ბედნიერება წინა მაქვს!.. (პაუზა) მე ის უბრალოდ დავჭერი!..
ქალბატონი – თუ შენ ის სასიკვდილოდ გაიმეტე, აქ აღარ უნდა დაბრუნებულიყავი!..
პოლკოვნიკი – მე მზადა ვარ ამ დაბრუნებას ჩემს ცოლთან დაბრუნება დავარქვა სახელად!..
ქალბატონი – შენ ცოლი აღარა გყავს!.. და თუ მას ესროლე, აღარც მეგობარი ქალი აღარა გყავს!..
პოლკოვნიკი – ... მე ჩემს შვილთან დავბრუნდი!..
ქალბატონი – ...ოღონდ, სამწუხაროდ, აღარც შვილი დაგხვდა სახლში... ეს ჩემი შვილობილია!..
პოლკოვნიკი – ჩვენი სადღაა?!.
ქალბატონი – ჩვენი დაგვეღუპა!..
(პოლკოვნიკი სკამზე დავარდება და სახეს ხელებში ჩარგავს... ქვითინებს...)
პოლკოვნიკი – არც შვილს არ გაუფრთხილდი და არც ჩვენს სიყვარულს!..
ქალბატონი – აბა იმას, როგორ გავფრთხილებოდი, რაც თურმე შენს მიმართ არასოდეს მქონია!..
პოლკოვნიკი – გამოდის... შენ სიყვარულში შეცდომები მოგდის?!.
ქალბატონი – არა!.. არამც და არამც...
პოლკოვნიკი – ეგებ ეს ბიჭიც შენი მორიგი შეცდომაა?!.
(ამ დროს ოთახში ვაჟი (შვილი) შემოდის. ის ქალს წინ დაუდგება და მას მკერდში ჩაიკრავს...)
ქალბატონი – გთხოვ, გამეცალე!..
პოლკოვნიკი – რასაკვირველია, გაგეცლები, ოღონდ შენი ცხოვრებიდან ამ ბიჭსაც თან გავი ყოლებ!..
(ქალი შეშფოთებით ჩახედავს ვაჟს თვალებში...)
ქალბატონი – აქ მკვლელია... გთხოვთ თავს უშველეთ...

შვილი – არ შემიძლია... აქ შენა ხარ!..
ქალბატონი – გთხოვ, გემუდარები... გადაირჩინე სიცოცხლე!..
შვილი – ჩემი სიცოცხლე შენა ხარ!..
(ქალი და ვაჟი დატრიალდებიან... ვაჟი პოლკოვნიკს შეხედავს...)
შვილი – გთხოვ პირველი მე მესროლე!!!
ქალბატონი – გთხოვ, პირველი მე მომკალი!!!
(პოლკოვნიკი ახარხარდება...)
ობი – თურმე იმასაც ვერ ხვდებით, რომ არც ერთს და არც მეორეს ჩემთვის არაფრის თხოვნის უფლება არა გაქვთ!.. თფუ, ჩემი... მაინც რა ბედი მაქვს ასეთი – საზიზღარი... ახლა თქვენთვის თუ არ მინდა სურვილების შესრულება, არ მინდა, არადა ერთ-ერთი თქვენგანის სურვილის ასრულება აუცილებლად მომიწევს!..
ქალბატონი – ვაჟი შენს წინაშე დამნაშავე არ არის!..
შვილი – ვარ... მე ხომ შენ გათხოვილი ქალბატონი შეგიყვარე!..
ქალბატონი – შენ პირველად მაგრძნობინე თუ რა ძალა აქვს ნამდვილ სიყვარულს!..
შვილი – მე ბედნიერი ვარ იმით, რომ არსებობ!..
პოლკოვნიკი – ეს ბიჭი გატყუებს!..
ქალბატონი – ეს შენ მატყუებდი!..
(იტყვის თუ არა ქალი ამ სიტყვებს, ვაჟი მას აკოცებს... პოლკოვნიკი ვაჟს რევოლვერს საფეთქელზე მიადებს... ქალი თავს დაიხსნის... ვაჟს შეხედავს და წამსვე თვითონაც ტუჩებში კოცნის მას!..)
პოლკოვნიკი – რას ჩადიხართ, უწმინდურებო!..
შვილი – ეს ის არის, რისთვისაც დაბადება ღირდა...
ქალბატონი – ეს ის არის, რისთვისაც სიკვდილიც შეიძლება!..
(პოლკოვნიკი ერთხელაც შემართავს იარაღს...)
ვაჟი – პირველი მე მესროლე!!!
ქალბატონი – პირველი მე მომკალი!!!
პოლკოვნიკი – ეს მე გთხოვ... გევედრები... დამიბრუნდი!..
(იტყვის და პოლკოვნიკი ქალს წინ მუხლებზე დაეშვება...)
ქალბატონი – ამ ვაჟის გადასარჩენად მე შეიძლება ვიცრუო!..
პოლკოვნიკი – ოღონდაც უარი თქვი მასზე და თანახმა ვარ... მოიტყუე!..
(ვაჟი შიშით შეხედავს ქალს...)
შვილი – ჩემი ყველაზე სასტიკი მკვლელობა სწორედ ეს იქნება!..
(ქალი უარის ნიშნად თავს გაიქნევს... პოლკოვნიკი ფეხზე წამოდგება და იარაღს შემართავს. სამივენი ერთ წრედ შეჯგუფდებიან და დუნედ დატრიალდებიან...)
შვილი – პირველი მე მესროლე!..
ქალბატონი – პირველი მე მომკალი!!!
(გაისმის გასროლის ხმა... ქალი და ვაჟი გაოგნებული სახეებით ერთმანეთს თვალებში შეშფოთები ჩახედავენ... უკანუკან დაიხევენ!..)
შვილი – რატომ ის პირველად და არა მე?!.
ქალბატონი – რატომ მას ესროლე პირველად და არა მე?!.
შვილი – ნუ აყოვნებ... გთხოვთ, მეც მესროლე!!!
ქალბატონი – ნუ აყოვნებ... დროა, მეც მომკლა!!!
პოლკოვნიკი – არა, შენს მოკვლას არ ვიჩქარებ!.. არ ვიჩქარებ, რადგან მინდა, რომ რაც შეიძლება მეტ ხანს გაწამდეთ მომაკვდავი ერთმანეთის ყურებით!!!
(პოლკოვნიკი ჯერ ტკივილნარევი სიცილით გადაიხარხარებს, შემდეგ წაბარბაცდება და ჩაიკეცება... მას ცოლი მივარდება...)
ქალბატონი – ეს რა საშინელება ჩაიდინე?!.
პოლკოვნიკი – აბა შენ რა გეგონა!..
ქალბატონი – რატომ?!. რატომ ქენი ეს?!.
პოლკოვნიკი – უშენოდ არ შემეძლო!.. გაიგე მიყვარდი და მიყვარხარ!.. ჰო, ალბათ მომაკვდავს დამეჯერება!!!

სურათი – 033

(უბერავს ძლიერი ქარი, ისმის მისი ხმა, რომელიც სტვენაში გადადის... ხდება „სასაზღვრო ზოლის“ გაუქმება... რევოლუციონერები მის ახვეტას ახდენენ... რაც ფაქტიურად დედამიწაზე მოხუცის უადგილოდ დატოვებას ნიშნავს... ახლოვდება ლამაზი ქალი... ქალი, რომელზეც თავის დროზე მოხუცმა უარი თქვა...)
ქალი – მე შევიცვალე, პროფესორო...
მოხუცი – კიდევ უფრო გაუარესდი?!.
ქალი – უკეთესი გავხდი... თუ შეიძლება უპირობოდ დავბუნდები შენთან!..
მოხუცი – რა მემართება... მე ვყოყმანობ... ნუთუ, მე ის კაცი ვარ, რომელმაც შეიძლება მეორედ დავუშვა იგივე შეცდომა?!.
ქალი – ჰო, მე ვღირვარ ამად!..
(მოხუცს ფიქრი წაიღებს... მას გოგო და ბიჭი მიუახლოვდება...)
გოგო – ასეთ ვითარებაში რას აპირებთ, პროფესორო?!.
მოხუცი – ... ვაპირებ ენის გადაყლაპვას!..
გოგო – პირადად მე თქვენ უსიტყვოდ და უმოქმედოდ ვერ წარმომიდგენიხართ!..
მოხუცი – მეც მთელი ჩემი ყველაფრით ფიქრებში გადავინაცვლებ!.. რომ დამარცხებით გაბოროტებულ კაცს არ დავემსგავსო!..
(გამოჩნდება ბელადი... მას ვაჟი(შვილი) უდგას გვერდით, რომელსაც ხელკავით ბავშვიანი ქალბატონი მოჰყვება... იქვე მამაკაცი(ქმარი) და ნაცნობსახიანი სხვა რევოლუციონერები... ფრიალებს დროშები... ისმის მუსიკა!..)
ბელადი – ახალს რას გვირჩევ მე და რევოლუციას, პროფესორო?!.
მოხუცი – რევოლუციის სახელით ბევრი კეთილი საქმის გაკეთებას!... შეხედე შენს თავს სხვების თვალით, შეხედე სხვებს მათივე თვალით... შეხედე ყველას და ყველაფერს წარსულის, აწმყოს და მომავლის გადასახედიდან... შეხედე ყველას და ყველაფერს, როგორც მტრის, ისე მოყვრის თვალით!.. დღეიდან მე მთელი ჩემი არსებით შენს გულშემატკივრობას ვიწყებ... მინდა რომ შესძლო... მინდა რომ გამოგივიდეს!.. სამწუხაროდაც და საბედნიეროდაც რევოლუციას შეუძლია უკეთესობისაკენაც და უარესობისაკენაც გარდაქმნას სამყარო... აბა რა ქნას ერთმა საცოდავმა ადამიანმა, რომელსაც მხრებზე მოსამართლის მანტია ისე მოასხეს, რომ წესიერად ვერ აცნობიერებს სამართლიანობის კეთილ-მყოფელობას... ამასთან, მართალი კაცი ხომ სამართლიან გადაწყვეტილებას ისე ღებულობს, თითქოს არც არაფერი!.. მოსამართლეს კი მადლიერება და დაფასება სჭირდება... რასაც იგი მხოლოდ უსამართლო გადაწყვეტილებით, არამართალი კაცისაგან მიიღებს!..
უნდა ვგრძნობდეთ... უნდა ვხვდებოდეთ და განვიცდიდეთ, რომ ის, ვინც უსამართლო გადაწყვეტილებას გვთხოვს... არამზადად და არაკაცად გვთვლის!!!
რევოლუციას ძალუმს სამართლიანობა – მოთხოვნილებად აქციოს... ზნეობრიობის საზღვრები გადასწიოს... ძალუმს ცოდვების რაოდენობა შეამციროს...
(ბელადი ხელის თათუნით ტაშის დაკვრის იმიტაციას ახდენს...)
ბელადი – მე სახალხო დიქტატურას ვაცხადებ...
მოხუცი – ამით შენ გონიერ უმცირესობას მოსპობ!..
ბელადი – მაგიერ, რაოდენობრიობის თვისობრიობაში გადაზრდის პრინციპით, მე გონიერ უმრავლესობას შეექმნი!..
მოხუცი – არა მგონია, გამორჩეულ ადამიანებს მოეწონოთ უმრავლესობაში ყოფნა!..
ბელადი – შენ მგონი რევოლუციასაც უპირისპირდები?!.
მოხუცი – ... კაცმა არც ისეთ რამეზე და არც ისეთ ვინმესთან უნდა იდავოს, რომელსაც დაძლევს თუ არ დაძლევს, მაინც ყველა შემთხვევაში დამარცხებული იქნება!..
(ბელადი ხელის თათუნით ერთხელაც შექმნის ტაშის დაკვრის იმიტაციას...)
ობი – შემოგვიერთდები?..
მოხუცი – არა, რევოლუციონერო!..
ბელადი – თურმე არც იცი და ვერც ხვდები, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი წინააღმდეგია!..
მოხუცი – ვხვდები და მიუხედავად ამისა!..
ბელადი – ხალხის რისხვას უფრთხილდი, პროფესორო!..
მოხუცი – თუ არ მინდა... ხალხის სახელით სიკვდილი, არ

მინდა!.. კაცმა რომ თქვას, არც ხალხი იმსახურებს უდანაშაულო ადამიანის სისხლით ხელების გათხვრას!..
ბელადი – ჰო, მაგრამ შენ სიკვდილს იმსახურებ, პროფესორო!..
მოხუცი – თუ შეიძლება გადამეცი რევოლუციურ ტრიბუნალს!..
ბელადი – ბედი არ გქონია, პროფესორო, თითქოს ჯვინაზე სწორედ ამ დილით გავაუქმე სიკვდილით დასჯა, როგორც სასჯელი!..
მოხუცი – მაშინ შენი რევოლვერი მაინც დამითმე!..
(ბელადი რევორვერს ამოიღებს და იქედან ვაზნებს ამოყრის...)
ბელადი – იმედია,რომ არ დაიცდენ და ერთი ტყვია გეყოფა?!.
(მოხუცი ბელადს რევორვერს გამოართმევს და საფეთქელზე მიიდებს!..)
ქალი – გთხოვთ... გევედრებით, ეგ არ ქნათ, პროფესორო!!!
გოგო – .... უფერულდება სამყარო!..
ბიჭი – ... ღარიბდება კაცობრიობა!..
ქალი – ... აზრს კარგავს სიცოცხლე!..
(მოხუცი ჩახმახს თითს გამოჭერავს და გაიჩხაკუნებს ერთხელ, ორჯერ, სამჯერ!.. ბელადი გულიანად გაიცინებს... მოხუცი მას სინანულით შეხედავს...)
ბელადი – ერთხელაც გეკითხები... უპირისპირდები რევოლუციას?!.
მოხუცი – (მთელი ხმით) განა მე ის ავსული ვარ... ხალხს რომ ეს სიხარული ჩავამწარო?!.
ბელადი – თურმე სწორად მოვქცეულვარ... რევორვერში ტყვია რომ არ ჩავტოვე!..
(ბელადი გოგოს და ბიჭს ხელს გაუწვდის... გოგო და ბიჭი მოხუცს შეხედავს...)
მოხუცი – გაჰყევით ხალხს!..
ბიჭი – სად ხედავთ აქ ხალხს, პროფესორო!..
(მოხუცი ბიჭისთვის სილის გასაწნელად ხელს მაღლა შემართავს... ბიჭი მოასწრებს და მას ხელს დაუჭერს... შეშფოთებით წამოიყვირებს...)
ბიჭი – რას შვრები, პროფესორო, გოგოა ჩემთან!..
(მოხუცი ხელს გაინთავისუფლებს და დიმილით ბიჭს სახეზე მოუთათუნებს!..
მატულობს ქარის ქროლვის ხმა... ფრიალებს დროშები... ისმის მუსიკის და სიმღერის ხმები!..
შემოგორდება ხეიბრის ეტლი...
მოხუცი ორივე ხელით გოგოს და ბიჭს ზურგზე მიაწვება და მათ ადგილიდან დაძრავს.)
გოგო – ჩვენ თვალები შენსკენ გამოგვირბის, პროფესორო!..
მოხუცი – მე აღარა ვარ... მორჩა... გათავდა... მე რევოლუციამ დამამთავრა!..
ბიჭი – ჰოდა, ჩვენ რა ვქნათ?!.
მოხუცი – ... მიჰყევით ხალხს...
(იტყვის პროფესორი და ხეიბრის ეტლზე დავარდება... მას ზურგს უკან ლამაზი ქალი დაუდგება...)
ქალი – საით, პროფესორო?..
მოხუცი – თუ შეიძლება ბელადის მსვლელობის საპირისპირო მიმართულებით...
ქალი – იქეთ გზა არ არის!..
მოხუცი – მაშინ... ოცნებაში!..
(გოგო და ბიჭი ერთხელაც მოიხედავენ მოხუციისაკენ...)
მოხუცი – ჰო... ჰო, ნუ ყოყმანობთ, მიჰყევით ხალხს... სანამ მათ ეს სიხარული გაჰყვებათ!..

(ფარდა)

ვალერიან ჩოხონელი

ცოლვა რამ ჩემს შესახებ, მაგრამ კინალამ ვრცლად!

თითქმის ოთხი ათეული წელი ვიმუშავე ჟურნალების – "ცისკრის", 'მნათობისა" და "საუნჯის" რედაქციებში. ამ უკანასკნელში ახლაც ვითვლები თანამშრომლად!

პროვინციიდან ჩამოსულმა ბიჭმა (ზემო რაჭიდან გახლავართ) "ქალაქური" სამსახური "ნობათისა" და " ცისკრის" რედაქციით დავიწყე (მანამდე რაჭაში რაიონულ გაზეთ "განთიადის" რედაქციაში ვმუშაობდი). დავიწყეო, ისე ვამბობ, გეგონება, მე მელოდებოდნენ, როდის გაიზრდება და როდის ჩამოვა დედაქალაქშიო! მარტივად რომ ვთქვა, ცეკას სტამბაში ვუნახივარ რამდენჯერმე "ცისკრის" მთავარ რედაქტორს, ბატონ ჯანსუღ ჩარკვიანს (იმ ხანობას ჟურნალ "პარტიული სიტყვის" ტექნიკური რედაქტორი ვიყავი), მოვწონებივარ "ცოცხალი" ბიჭი, იქვე გაუკითხ-გამოუკითხავს ჩემი წარმომავლობა და... ასე აღმოვჩნდი "ცისკარში".

მერე წლებმა ფეხი აიდგა... ჯანსუღი ბატონმა გურამ ფანჯიკიძემ შეცვალა... გურამი – ბატონმა მორის ფოცხიშვილმა... აი, მორის ფოცხიშვილი რომ შეიცვალა და ცეკას "საშტატო განრიგით", ახალი რედაქტორი დაინიშნა, "ცისკრის" რედაქცია მაშინ "დაიქსაქსა!" რვა თანამშრომელმა დავტოვეთ სანუკვარი "ცისკარი" "გაურკვეველი" მიზეზების გამო (ანუ მაინც თავისი ქნა ცეკამ!)... მე "მნათობის" რედაქტორმა, ბატონმა არჩილ სულაკაურმა "მომიტაცა" (ბატონ არჩილს დიდი ხანი ეჭირა ჩემზე თვალი, მაგრამ მაშინ ძალიან ვერ "მაწვებოდა" "მნათობში" გადასვლაზე, რადგან იცოდა, რაოდენ ვიყავი შეყვარებული იმ "აკვანზე", რომელსაც "ცისკარი" ერქვა).

"მნათობში" რამდენიმე წელი ვიღვაწე... პატარა რაღაც მოხდა, ერთი სიტყვით, "შეფზე" გავნაწყენდი! არც დავფიქრებულვარ, ისე დავტოვე რედაქცია. რამდენი მეხვეწნენ თანამშრომლები, მაგრამ ჩემმა სიჯიუტემ აჯობა მათ ხვეწნას.

გაკვირვებას იყვნენ ჩემი მეგობრები! სულ ორი ლიტერატურული ჟურნალია საქართველოში, კერძოდ, თბილისში და მწერალს, თუ ღმერთმა გადმოგხედა და ერთხელ მაინც მოხვდი ერთ-ერთის რედაქციის შტატში, ამაზე მეტი ოცნების ახდენა რაღა უნდა იყოსო! მთელი საძმო "დამესხა" თავს – რო გარბიხარ, სად გარბიხარო! მარა, მაინც გავიქეცი!.. მაშინდელი "გეპეის" ლიტერატურული გაერთიანების ბაზაზე ჟურნალი "პარალელი" დავაარსე და მისი მთავარი რედაქტორიც მე ვიყავი (აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ "გეპეის" შესანიშნავი სამწერლობო წარსული ჰქონდა და სამომავლო რესურსიც საკმაოდ გააჩნია დღესაც. "გეპეიელები" იყვნენ: ედიშერ ყიფიანი, გურამ ფანჯიკიძე, კარლო ტაბატაძე, ნუგზარ შატაიძე, ბადრი გუგუშვილი...).

... "პარალელიდანაც" წამოვედი. იქიდან წამოსვლა, სხვა მიზეზებთან ერთად, იმანაც გამოიწვია, რომ რუსთაველის საზოგადოებამ გაზეთ "მამულის" გამოცემა გადაწყვიტა. ბატონმა აკაკი ბაქრაძემ გაზეთის რედაქციაში მიმიწვია. არც დავფიქრებულვარ, ვიცოდი, რა მისიასაც კისრულობდა გაზეთი "მამული". სწორედ აქ შევხვდით ისევ ძველი "ცისკრელები" ერთმანეთს! – ტარიელ ჭანტურია გაზეთის მთავარ რედაქტორად დაინიშნა, მე კი – პასუხისმგებელ მდივნად. სხვათა შორის, იმავდროულად დავით აღმაშენებლის საზოგადოების გაზეთ "შარავანდშიც" ვმუშაობდი პასუხისმგებელ მდივნად (ბატონი გურამ ფანჯიკიძე იყო საზოგადოების თამჯდომარე და გაზეთის რედაქტორი).

გაზეთმა "მამულმა" დიდი როლი ითამაშა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში!

გავიმარჯვეთ!

მოვიდა ბატონ ზვიად გამსახურდიას მთავრობა!

ქრონოლოგიას, ანუ სად, როდის, როგორ და რანაირად იყო, რომ არ მივაყურადოთ, ერთი ხანობა ბატონ გურამ ბათიაშვილის ჟურნალ "თეატრალური მოამბის" რედაქციაშიც ვიყავი პასუხისმგებელი მდივანი. გამოგიტყდებით, აქაც ბევრი რამ ვნახე და ვისწავლე, ერთი სიტყვით, გვარიანად შევიხედ-მივიხედ- მოვიხედე თეატრალურ ცხოვრებაში – რეჟისორებისა და მსახიობების "ორომტრიალსაც" გადავავლე თვალი...

გაწამაწია ყოველთვის მომწონდა! საკუთარი თავის გაბრაზება და გამოწვევა ჰო და ჰო! ამიტომაც იყო (გასულ საუკუნის ბოლოსკენ) ახალი დამოუკიდებელი გაზეთი "ტყუილ-მართალი" დავაარსე და კარგა ხანს ვურედაქტორე. ყველას გახსოვთ – გაზეთ "პრავდას", თავში, ლენინის პორტრეტი ამშვენებდა, მე კი "ტყუილ-მართალს" ჩაფიქრებული მაიმუნი დავუსვი. ამ საქმემაც სიცილ-ხარხარში ჩაიარა.

...დრო, დრო მიდიოდა! "ცისკრის" რედაქტორად ბატონი იორამ ქემერტელიძე დაინიშნა. ჩვენ ადრიდან ვმეგობრობდით, გვქონდა საქმიანი ურთიერთობები. მიუხედავად ამისა, იორამს მთელი თვენახევარი დასჭირდა, "ცისკრის" რედაქციაში რომ ფეხი მეორედ მებრუნებინა...

დიდად საწყენი იყო იორამ ქემერტელიძის ნაადრევი გარდაცვალება!

...ახალი რედაქტორი გამოგვიგზავნა მწერალთა კავშირმა, მაგრამ ის ისე "გავუშვით", ხელის მოწერაც კი ვერ მოასწრო ჟურნალზე.

...სანამ კულტურის მინისტრი გახდებოდა, "ცისკარში", ცოტა ხნით, დავით მაღრაძეს ეჭირა რედაქტორის კვერთხი. მასთან სიამოვნებით ვიმუშავე ის "ცოტა ხანი"!

დრომ ისევ წაიწია! ..."ჩაწყობით" ახალი რედაქტორი "მოუვლინეს" "ცისკრის" რედაქციას... (გვარსახელს შეგნებულად არ ვასახელებ!) ჩაწყობაში იმას ვგულისხმობ, რომ თანამშრომლები მოისყიდეს, ზოგი დააშინეს, ზოგს თანამდებობები "გაუზარდეს"! რა თქმა უნდა, მეწყინა, გულმა ისეთი რეჩხი მიყო, "აკვანმა" რწევა მიატოვა! ამივარდა "გამზრდელზე" გული. ეს კარგად გამოიყენა ბატონმა არჩილ სულაკაურმა და – ისევ "მნათობში" გადავბარგდი!

...მწერალთა კავშირის ალმანახ "სათავის" ნომრებს რომ ვურედაქტორე (მთავარი რედაქტორი მწერალთა კავშირის მდივანი ბატონი ლაშა თაბუკაშვილი იყო), ჩემი ბიოგრაფიიდან გამოსატოვებელი ნამდვილად არ არის.

...ბოლო წლებია, ჟურნალ "საუნჯის" რედაქციაში ვარ-მეთქი, – (ამავდროულად გამომცემლობა "მერანშიც" ვმოღვაწეობ). მაგრამ რა, არაფერი... ფაქტი ისაა, ნამეტნავად შეგვაწუხა უსახსრობამ (სახელმწიფოს მიერ ხსენებიდანაც კი გავქრით! და ამ დროს, ქვეყანაში ისეთი "აღმშენებლობაა" ყველა სფეროში, დავით აღმაშენებელი რა სუფრაზე მოსატანია!). რის გამოც, თითქმის ორი წელია, "საუნჯე" აღარ დამისტამბავს.

...და აი, ახლა, ამ ჭარმაგობის ასაკში, ერთხელ კიდევ "მოვიქნიე" კუდი და ახალი ჟურნალი დავაარსე – "ამერ-იმერი". ვფიქრობ, ცოტა ხნით მაინც შევავასო დახურული ჟურნალ-გაზეთების საკეთებელი საქმე! დღევანდელობაზე ხელჩაქნეულ მწერლებს მომავლის იმედის ნაპერწკალი გავუღვივო!

ძვირფასო მკითხველო! ამდენი იმიტომ მოვყევი ჩემს თავზე (ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი რამ დავაკელი ჩემს ბიოგრაფიას!), რომ, რასაც ქვემოთ შემოგთავაზებთ და შემდგომში წიგნადაც გამოვა (მოგვიანებით!), მოგონილი არავის ეგონოს!

...ბევრი რომ არ გავაგრძელო (ტრაბახში ნუ ჩამითვლით!), მწერალთა (სხვებისაც!) ცხოვრების ცოცხალი მემატიანე გახლავართ! ამას იმიტომ ვამბობ, რომ ვისაც ზემოთ ჩამოთვლილ რედაქციებში ერთხელ მაინც დაუდგამს ფეხი, მე ვერანაირ ამცდებოდა, – სულ პასუხისმგებელი მდივანი ვიყავი, ჩემ გარეშე სტამბაში მასალა ვერც "ჩაეშვებოდა" და ვერც "ამოეშვებოდა!"

...უამრავ-უთვალავი ვიცი, საკუთარი თვალით მინახავს, ბევრიც გამიგონია, ჩემი დიდი საძმოს დიდი თუ პატარა (ამათში მეც ვიგულისხმები!) ხიფათები, ფათერაკები, ჩაგებული "ხაფანგები", თვალმიფარებები, ჩაწყობ-ამოწყობები, პატარ-პატარა ღალატები – სიყვარულ-საყვარლობანები, ყალბი მივლინებები (ბევრჯერ გამიცია!), ოჯახიდან თავის გასატანად და მეუღლეების თვალის ასახვევად, მარცხები, ურცხები, დაუთვლელი წვრილმანები (მსხვილმანებიც!), ოხუნჯობებ-კინკლაობები, პიჯაკების შემოხევები, ყბებში მირტყმა-მორტყმებიც და სხვანი და სხვანი...

...მე კი ვიწერდი და ვინიშნავდი ამ ყველაფერს! სოლიდური ტანმოყვანილობის წიგნი გამომივიდა!

გადავწყვიტე, ნელი-ნელ, ნომერ-ნომერ შევუდგე ამ ჩანაწერების "რეალიზებას" და აი, ისიც!

მკითხველს აქვე მოვახსენებ, რომ ჩანაწერების გამოქვეყნებაში დაცული არ იქნება დრო და ქრონოლოგია!

P.S. მკითხველს მინდა ვუთხრა: მიუხედავად ჩემი ასეთი ბიოგრაფიისა, (მიდი-მოდის ვგულისხმობ!) ინტენსიურად ვიბეჭდებოდი სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, კინაღამ ორ ათეულამდე წიგნის გამოცემაც მოვახერხე.

ჩემი გამოცემული წიგნებიდან აღვნიშნავდი ერთტომეულს – "თებროლე მიდის წყალზედა", რომანებს – "ეშმაკის კალო" და "გამოქვეყნდეს ცოლის გარდაცვალების შემდეგ" (ეს რომანი სამ წიგნად მაქვს ჩაფიქრებული: ერთი გასულ წელს იქეთ გამოვიდა, მეორე ახლა ისტამბება, მესამე – "ხარაჩოებშია").

აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ბევრი წიგნის გამომცემელი და რედაქტორი ვყოფილვარ, მაგრამ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო: ნამდვილად მეამაყება, რომ მუხრან მაჭავარიანის საიუბილეო წიგნი – ერთტომეული, პროზაიკოსმა შევადგინე და მის გამოცემას ვუხელმძღვანელე.

კ ა ტ ი!..

(ამბავი ჯანსუღ ჩარკვიანისა)

პარასკევი დღეა. ის-ისაა, სამუშაო კვირა მთავრდება, სადღაც ხუთის ნახევარია. "ცისკარში" მე და მაყვალა (მაყვალა მდივან-საქმეთა მმართველი იყო) ვართ, დანარჩენები, კარგა ხანია, გაიკრიფნენ...

საათს ერთხელ კიდევ დავხედე, მერე ჩანთაში ჟურნალის მომდევნო ნომრის გეგმა-მაკეტი და წაკითხული მასალები ჩავალაგე, ფეხზე წამოვდექი, უნდა გავიდე ოთახიდან, რომ სტუმრები გამომეცხადნენ (მათ გვარ სახელებს შეგნებულად არ ვასახელებ). ერთმანეთს მივესალმ-მოველასმეთ, მოვიკითხეთ აქეთურ-იქეთური, მერე, მათდამი უცბად გაჩენილი ეჭვი რომ გამეფანტა, უმალ კითხვა "ვისროლე":

– თქვენი ასე ერთად ყოფნა რას მივაწერო? რამეში ხომ არაა საქმე, ჰა?.. ისე, შენ კი კარგა ხანია გიცნობ, ჩვენო ბიჭო და ძმაო, მარა ეს გოგონა, თუ არ ვცდები, სულ ორჯერ არ იქნება ჩვენთან ნამყოფი.

– მესამედ მარტო ხომ არ გამოვუშვებდი! უღელი დავიდგით, ერთად რომ ვწიოთ ცხოვრების ჭაპანი! თვეზე მეტია, ცოლ-ქმარი ვართ! – მიპასუხა ბიჭმა.

(ბიჭს – ამ სიტყვას იმიტომ ვიყენებ, რომ ჩვენ მაშინ ისეთ ასაკში ვიყავით, ბიჭობა ერქვა!).

– ბიჭო, ასე ჩუმად რატომ, პური არ უნდა გაგვეტეხა? – ორთავეს ხელმეორედ ჩამოვართვი ხელი და ბედნიერება მივულოცე, მერე იქვე მივაყოლე, – აი, ერთი უმშვენიერესი რძალიც შემოემატა ჩვენს საძმოსა და ბიჭობას, კარგია, გაიხარეთ!.. ახლა, ჩამოსხედით და ცოტა ვიჭორაოთ, თუ ამისთვის არ ხართ მოსული, პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ, მე, ხომ იცით, საქმიანი კაცის სახელით მიცნობენ! – ვთქვი ეს და გავიღიმე.

– ვაჟიკო, მძიმე დღეში ვარ!.. დედა გარდამეცვალა, რაიონში, სოფელში, რა! წასასვლელი ფული არ მაქვს, თვარა, დასამარხ ფულზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია!.. აგერ-იგერ ჩვენს ბიჭებს ჩამოვუარე, ჯიბე ყველას გამოფხეკილი აქვს! რა ვქნა, არ ვიცი!.. გაჭირვებამ პატარძალთან დამაწვინაო, ამ გამოთქმისა არ იყოს, ისევ "ცისკარში" მოვედი!.. რაღაც რედაქტორის "ფონდი" რომ გაქვთ, ეგებ იქედან გზის ფული მაინც გამიხერხო!.. აქ მოსვლა ჩემთვის ძალიან ძნელი იყო, ბატონ ჯანსუღთან პირურწყად ვარ, კონფლიქტი რომ მომივიდა ადრე, ხომ გახსოვს!.. მაშინ მაგრად დამიფშვიტინა თავმა, კონტროლი დავკარგე და რედაქციასაც ვაგინე და რედაქტორსაც!.. ერთი სიტყვით, თქვენთან შერცხვენილი ვარ!.. გასალახი კი ვიყავი მაშინ, მარა, ხელი არავინ შეისვარა, ალბათ, იმიტომ, რომ, იფიქრეს, ჩიტი ბრდღვნად არ ღირსო...

სტუმრებს გულისტკივილით მივუსამძიმრე დედისა და დედამთილის გარდაცვალება, მერე უხმოდ გავედი ოთახიდან და მაყვალას ვეახლე, ფული მოვიკითხე. მაყვალამ სეიფი გამოაღო და ორ-სამ დღეში წაღებული ფულის, ანუ მევალეთა სია წამიკითხა. მერე გაკვირვებული სახით მიაყოლა, რა ხდება ასეთი, ყველა ამ შაბათ-კვირას რომ გარბის სოფლებშიო... მერე ფული დაითვალა და ოცდაორი მანეთი დამიდო წინ. ეს რა მკვდარს დამარხავს, შეინახე, არ ღირს წაღებად-მეთქი. უკან ფეხათრევით დავბრუნდი და რედაქტორის "ბიუჯეტის" შესახებ მოვახსენე სტუმრებს.

– ეგეც ჩემი ბედი! – თქვა ბიჭმა და ხელები მოიფშვნიტა.

– რა არის, იცით? ოტია ერთი კვირაა, სამსახურში არ მინახავს (ოტია პაჭკორია რედაქტორის მოადგილე გახლდათ), ჯანსუღს დიდი შეხვედრა-საღამო აქვს ხვალე და ამიტომ სამი დღეა, ისიც არ გამოჩენილა, ემზადება!.. რა გიყო, ისეთი რამე რომ გავაკეთო აი, რაღაც ისეთნაირი და იმათ არ ვკითხო, მითუმეტეს ჯანსუღს, ძალიან უხერხულია!.. ამ უხერხულობამ შეიძლება სამსახურიც კი დამაკარგვინოს! – ვთქვი და ტუჩები მოვჭუჭკე.

– არა, შენ შემოგევლე, შენ თუ დაზარალდი, არ მინდა, ძმაო, არაფერი! ის ოცი მანეთი მომეცით და წავალ, ისე, ცოტას შენი ჯიბიდანაც თუ წაამატებ, დიდი მადლობელი დაგრჩები!..

საფულეში ჩავიხედე, თორმეტი მანეთი ამოვითვალე... რა ვქნა? მოდი, იმას გავაკეთებ, წელან რომ გავიფიქრე! ვაჟიკო, მიდი, მიდი, ქენი ეგ საქმე, შევუჩინჩხალე საკუთარ თავს, მერე საათს დავხედე და ხმა ამოვიღე:

– ბიჭო, პასპორტები გაქვთ?

– კი, კაცო, როგორ არ გვაქვს! – მითხრეს და ორთავემ მის მოძებნაზე გაისვა ხელი.

– მაყვალ, ძვირფასო, ახლავე გვერდზე გადადე ვიღაცის შედევრების ბეჭდვა და ორი მივლინება, თორმეტ-თორმეტ დღიანი, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში, მხატვრული ნარკვევების შესაქმნელად, დღეში ათი მანეთი! ხელის მოწერის უფლება მეც ხომ მაქვს! კრიმინალურს ხომ არ ჩავდივარ, კაცო! ჰოდა, ჰე!..

...ოთახში შევბრუნდი და ცოლ-ქმარს მოვახსენე, რომ მივლინებას ჩაიტანდნენ ბათუმში, კანცელარიისა თუ პროფკავშირების ბეჭედს დაუსვამდნენ ზედ და უკან ჩააბარებდნენ გამომცემლობის ბუღალტერიას, ისიც დავაყოლე, ეს ორი მივლინება 240 მანეთია, ამ "განხრით" მეტი ვერ შევძელი-მეთქი.

რედაქციის სტუმარმა, სიმწრის იყო თუ სიხარულის, ოფლი ორჯერ მოიწმინდა შუბლიდან...

მაყვალა გამალებული ბეჭდავს ბრძანებებს. მანქანის ჩხაკა-ჩხუკი ჩემს კაბინეტამდე თვალყურად აღწევს. უცბად ახალი აზრი "მომადგა" და ისე გამეხარდა, კინაღამ ცას ვეწიე! უჯრა გამოვაღე, ვიღაც-ვიღაცის რომანებზე დაწერილი რეცენზიების მეორე პირები ამოვიღე, გავქანდი მაყვალასთან და "ვუბრძანე":

— მაყვალ, ამ რეცენზიების თავი და ბოლოები გადამიბეჭდე, ქვეშ ამ მწერლის გვარ-სახელი მიაკიწკიწე, თარიღებს მე დავსვამ, ჰოდა, სანამ შენ მაგ საქმეს იზამ, მე ხელშეკრულებებს შევავსებ... მორჩა და გათავდა, ფულიც გამოუვა ბიჭს!

ვჩქარობ, მარა რას ვჩქარობ! ექვსამდე თუ არ მივედით გამომცემლობამდე, ყველაფერი წყალში ჩამეყრება! მივლინებები დავაგვირისტე, ხელშეკრულების ფურცლები შევავსე... დრო გარბის, არ გველოდება...

— მაყვალ, ვატყობ, დამაგვიანდება, ამიტომ ამათ მაგ ფურცლების გარეშე ავიყვან ბუღალტერიაში, ხომ იცი, იქ რა ავტორიტეტით სარებლობს "ცისკრის" წარმომადგენლობა!.. — მერე სტუმრებს მივუბრუნდი და "მოვახსენე", — ჩემო ძვირფასებო, თქვენს მივლინების თანხას ექვსასი მანეთი დაემატება, სულ ეს არის, მეტი ვერ "გავქაჩე"! — ვუთხარი "ცისკრის" "მაგინებელ" ბიჭსა და მის ცოლს.

...დადნა ბიჭი, მარა, რა დადნა!

...ყველაფერი მოვასწარით!

...დამემშვიდობნენ და მეტრო რუსთაველისკენ წავიდნენ ლაპარაკ-ლაპარაკით. რაზე საუბრობდნენ, ძნელი სათქმელია; ჩემი გუმანით, ალბათ, იმაზე, რომ კეთილი გული მუდამ კეთილიაო, მაგრამ მე რას ველაპარაკებოდი ჩემს თავს, ალალად გეტყვით: ეს, ძმაო, ჯანსუღ ჩარკვიანი და მისი "ცისკარიაო", თქვენ სხვა ვინმე და რამე არ გეგონოთო!.."

...მარა!

აი, ეს მარა იყო, რაც იყო! სანამ ჯანსუღს ვნახავ, ეს "მარა", ვიცი, წარა-მარა არ მომასვენებს!.. ოტიას თუ შევხვდი მანამდე, რაღაც შეღავათი შეიძლება წამომეშველოს...

...შაბათს მილეთის ხალხი მოვიდა შეხვედრაზე. ბატონი ჯანსუღი ჩვეული შემართებით კითხულობდა ძველსა თუ ახალ ლექსებს!.. ათას მოსმენად ღირდა: "ცერზე შევდგები როგორც ავაზა, თვალს გადავავლებ დღეებს გაფრენილს, მერე მოვკვდები ისე ლამაზად, ვით დაიბადა ეს ყველაფერი"...

...როგორც იქნა, ხვიმირაში ჩაყრილი შაბათკვირის "საფქვავი" ჩამოილია. დილით, ორშაბათის სისხამზე, სტამბაში გავიქეცი, ჟურნალის საქმეები ვაკეთე, მერე კი, თორმეტს მიახლოებულზე, "ცისკარს" მივადექი... ტრადიციულად, ბოლო ოთახში, ჭადრაკს უკვე თამაშობდნენ, ზოგი რედაქტორს ელოდებოდა... ზოგი მეც "მდარაჯობდა", რომელთაგანს, ზოგს ჟურნალის ასავალი აინტერესებდა, ზოგს — დასავალი, თუმცა მე არც ერთი მაინტერესებდა და არც მეორე... არც დროს აჩქარება მინდოდა, არც "გაჭიმვა"... ერთი სიტყვით, ვფიქრობ!..

ამ გამჩინებაში ვარ და მაყვალას ხმამ ყური "გამიჭრა" — ვაჟიკო, ჯანსუღმა დარეკა, სტამბიდან გამოვდივარო, არსად გავიდეს, დამელოდოსო, თუ არ არის, მომიძებნეთო...

" — აუუჰ, ალბათ, გაიგო პარასკევის ამბავი და "დამერხა!" — გავიფიქრე ჩემთვის და უმალ "გამკოჭა" დაძაბულობამ.

ბევრი დრო არ გასულა, ბატონი ჯანსუღი მოვიდა. მაყვალამ ისევ "გამომჭყივლა", რედაქტორი მოვიდაო...

...კაბინეტში შევილალე.

— ბიჭები არიან? — მკითხა ჯანსუღმა სალამის შემდეგ.

— კი! — ვუპასუხე თავის დაქნევით.

— ალბათ, ჭადრაკს თამაშობენ!

— კი!

— კაცო, სტამბაში გამოვიარე, "კომუნისტის" ხვალინდელ ნომერში ლექსები მიდის და კორექტურა წავიკითხე... ყური მოვკარი, ქაღალდზე ლაპარაკობდნენ, გაიხარჯაო თუ გაიფლანგაო, ასეთნაირს საუბრობდნენ, მათ დიალოგში არ ჩავრეულვარ, კი მინდოდა, მარა მეუხერხულა, ამიტომაცაა, ვერ მოვისვენე და მოგძებნე, შენ ჩემზე მეტი იცი სტამბის ამბები, ჩვენს ჟურნალს ხომ არაფერი ემუქრება, საჩვენო ქაღალდი არის? თუ ამაზეც სარბენი გვექნება?

— ჯერჯერობით, თავი ქუდში გვაქვს!

— აგაშენა ღმერთმა!.. ისე, სხვა ხომ არაფერი ხდება კიდევ ისეთი, ჩვენ რომ არ ვიცით...

კი არ მომეჩვენა, უმალ დავიჯერე, რომ ჯანსუღმა უკვე იცოდა ჩემი "საქმენი საგმირონის" შესახებ და საუბარიც მიტომ მიჰყავდა იქეთ...

— კი, ხდება! უფრო სწორად, მოხდა!.. და... — რედაქტორს მოვუყევი პარასკევის ამბავი.

ჯანსუღმა ამომხედა, რამდენიმე წამი უხმოდ მიყურა, მერე კი ნაწყენი ტონით მითხრა:

— მთლად კარგი საქმე ვერ გიქნია!

— კი, ვიცი!

— შენ რომ გულისხმობ, იმაზე არ გეუბნები!.. იცი, რამდენი ხარჯი აქვს მიცვალებულის სამუდამო საცხოვრისში დაბრძანებას? ძალიან დიდი!.. ეგ ფული რას ეყოფოდა, ბიჭო!.. ისე, შე კაცო, თუ მაგდენი მოახერხე, უფრო ვერ მიდექ-მოდექი და ვერ წაუმატე?.. ახლა, მაგას, ეჭვიც არ მეპარება, მოთხრობები ექნება მოტანილი, აიღე ერთი, ცოტა მოზრდილი და ამავე ნომერში ჩადე, მაგ საქმის ოსტატი შენ ხარ! მოთხრობას კორექტურაში აუცილებლად წავიკითხავ, ოტიასაც წააკითხე! მერე ჰონორარიც მაქსიმუმი გამოუწერე, ბიჭს ვალები ჩამოჰყვება და იმას გასტუმრება უნდა!.. ჰო, რომ ჩამოვა, უთხარი, შემოვიდეს, კაცო, მივუსამძიმრებ, დედა დაეღუპა, რას ამბობ შენ!..

— ბატონო ჯანსუღ, "ცისკრის" სახელით სამძიმრის დეპეშაც გავაგზავნე...

— ლომი ხარ, ლომი!

— ლომი და ლომთა ლომი თქვენ ხართ, ბატონო ჯანსუღ! — ვთქვი და შუბლიდან იმდენი ოფლი მოვიწმინდე, კვანჩხი ამევსო.

—ისე, ის ვაუბატონი კი იყო მაშინ საცემი! მთელ რედაქციას სათითაოდ ჩამოგვირიგა დედის გინება! მკვდარი და ცოცხალი არ დაგვიტოვა! — დაბალ ხმაზე, მარა, ჩემსა და კედლების გასაგონად ჩაილაპარაკა ჯანსუღმა და პარასკევის "ლიტერატურული" გადაფურცლა.

...ჩემს კაბინეტამდე სანამ "მივაღწიე", შვებით მოგვრილი, ორი კვანჩხი ოფლი კიდევ მოვიწმინდე...

დომინოს „რითმები" „ცისკარში"...

(ამბავი გურამ ფანჯიკიძისა)

ჟურნალ „ცისკრის" რედაქტორი, ბატონი გურამ ფანჯიკიძე, ცეკაში, იდეოლოგიურ განყოფილებაში, გაფართოებულ სხდომაზე თუ თათბირ-დასამოძღვრ-დასაშინებელ შეკრებაზე დაიბარეს და მკაცრი ტონით უთხრეს (სხვათა გასაგონადაც! ძაღლსა სცემდნენ, პატარძალო გაიგონეო!): ბატონო გურამ, რა ხდება თქვენს რედაქციაში, რა უსაქმურობა დაგეცათ, დილიდან საღამომდე ჭადრაკის თამაში რომ გაქვთ გაჩაღებულიო! სად ნახეთ, სად გაიგონეთ, სად წაიკითხეთ, საიდან მოიტანეთ, საბჭოთა დაწესებულებაში, დღისით, მზისით, გაგანია სამუშაო საათებში, ჭადრაკს თავაუღებლივ თამაშობდნენო!.. რა დროს ქიში-მიშიაო! ქუდზე კაცია საჭირო, კომუნიზმია ასაშენებელიო!.. ეტყობა, თანამშრომლები ბევრი გყავთ, შტატები გაქვთ გაბერილი, სამუშაო კი ცოტა გაქვთ, დრო სად და როგორ დახარჯოთ, არ იცით, ამიტომ შტატებს გაგინახევრებთ და მერე ვნახოთ, რამდენ პაიკს გაადედოფლებთო! (ეტყობა, ცეკაშიც „კარგად" იყო ამ მხრივ საქმე, თორემ ამდენი არც მას უნდა ცოდნოდა ჭადრაკის შესახებ!)

ბატონებო, მე თითქმის ყოველ დღე რედაქციაში ვარ და ეგეთი რამე, თავგადაკლული თამაში, არ შემინიშნავსო!.. შეიძლება ავტორ-სტუმრები, რედაქტორთან შეხვედრის მოლოდინში, თამაშობენ ხანდახანო! ითამაშონ, კაცო, ერთმანეთის „მოკვლას" პაიკების მოკვლა არ სჯობიაო! – თავი იმართლა გურამმა.

ჩვენ ყველაფერი ვიცით, ვინ როდის მოდის, ვინ როდის მიდის და სად მიდის, ვინ თამაშობს, ვინ სვამს, ვინ ერთმანეთს ჭამს, ვინ ქალებში და ვისთან დაძვრება სამუშაო საათების საათებში, ვინ კიდევ ცეკას და ტეკას აგინებს, ვის გამოაქვს და ვის შეაქვს ენა, ერთი სიტყვითო...

გურამმა, მეტი შორს არ გაექცეს ცეკას კაცს ენაო, ზედ ენის „კიდეზე" მიაჭრა სათქმელი:

– იცით, რა, ბატონებო, რადგან თქვენ ყველაფერი იცით და მე კიდევ თქვენი განზრახვა ვიცი რედაქციის შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, სკანდალი რომ არ ატყდეს, გამოსავალი ამ წუთობას მოვიფიქრე, გეტყვით და თუ თქვენც ჭკუაში დაგიჯდებათ, „რეფორმებს" გავატარებ!..

ბრძანეო, უთხრეს გურამს და მანაც გააგრძელა სათქმელი:

– ცნობილია და თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ დომინოს თამაში ინგლისში გამოიგონეს გონებასუსტი ბავშვებისა და მოზარდების გასართობ, თავშესაქცევ საშუალებად!.. მოთამაშეები ერთიანს ერთიანზე მიუმარჯვებენ, ორიანს – ორიანზე მიადებენ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ასე აშენებენ ოცნების „კოშკებს!.." ამ თამაშმა, მოგეხსენებათ, დასავლეთ ევროპაში და სხვა კონტინენტებზეც, პიკს მიაღწია, ჩემპიონატებიც კი ტარდება!.. ჩვენთან ახლა იკიდებს ფეხს, თუმცა, იმასაც ვიტყვი, საქართველოში მეხანძრეებს (განსაკუთრებით რაიონებში!) ამით უდგას სული, დომინო რომ არ ქონდეთ, ძილი და სიზმარი დაწვავდათ!.. თქვენც თუ დამიჭერთ მხარს, ხვალიდან მთლიანად შევცვლი რედაქციის „სამზარეულოს" – ჭადრაკის დაფებს დომინოს ქვებით და საანგარიშოებით ჩავანაცვლებ!

ცეკას კაცმა ეგრევე „იყიდა" გურამის იდეა და პატარა სიტყვაც მოაყოლა თურმე:

გონებაჩლუნგი მწერლები და პოეტებიც ხომ გყავთ, კარგია, გაუშალეთ ეგ ქვები და ეგება მათაც კი ისწავლონ სიტყვის სიტყვაზე მიდებ-მოდებაო!..

ერთი სიტყვით, გურამი და ცეკა დომინოზე „გარიგდნენ!.."

მკითხველს აქვე მინდა შევახსენო, რომ მაშინ „ცისკარში" მუშაობდნენ ოტია პაჭკორია, გივი ძნელაძე, ტარიელ ჭანტურია, გივი გეგეჭკორი, თამაზ წივწივაძე, რეზო ჭეიშვილი, ლევან მალაზონია, ავთანდილ ჩხიკვიშვილი, კიდევ ერთი-ორი და ამ სტრიქონების ავტორიც.

მკითხველს იმასაც შევახსენებ, რომ იმ დროს ორი ლიტერატურული ჟურნალი არსებობდა თბილისში – „ცისკარი" და „მნათობი"... „ცისკარი" ახალგაზრდული და ოპოზიციური იყო იმთავითვე დაარსებიდან (1857 წ.) და შემდგომ აღდგენიდან (1957 წელს, ზუსტად 100 წლის შემდეგ აღდგა ჟურნალი! მაშინ 10 წლის ბიჭუნა ვიყავი!)!.. ამიტომაც იყო, რომ სამოციანელები და საერთოდ, ახალგაზრდობა „ცისკარში" იყრიდა თავს!.. შუა დღის მერე იმდენი ლიტერატორი მიდი-მოდიოდა რედაქციის დერეფანში, შორიდან მაცქერალ კაცს, სამიმოქცეო ვაგზალიც კი ეგონებოდა!..

... დავუბრუნდეთ „ცისკრის" საჭადრაკო ბატალიებს! ეს „საქმე" იმდენად ახლოს იყო რედაქციის საქმიანობასთან, გვერდის ავლა არ შეიძლება!.. თანამშრომლები ხომ თამაშობდნენ და ხოცავდნენ ერთმანეთს (ტარიელ ჭანტურია და თამაზ წივწივაძე, ჭადრაკის დაფასთან მიმჯდარნი, დღესაც დაუძინებელი „მტრები" არიან!), ამ „ორომტრიალში" ხშირად ებმებოდნენ რედაქციის სასიამოვნო სტუმრები: მურმან ლებანიძე, მორის ფოცხიშვილი (ბატონი მორისი ერთი ხანობა „ცისკრის" რედაქტორიც იყო), გოგი ნიშნიანიძე, ზეზვა მედულაშვილი (ბატონ ზეზვას „ცისკარში" მოფერებით ყუთლუ-ბუღა შეარქვეს ლევან მალაზონიას ნათლიობით იმის გამო, რომ მან ყველა მუსლიმანური ენა იცოდა სალაპარაკო თუ საჩხუბარ დონეზე!), იორამ ქემერტელიძე (ბატონი იორამიც იყო ერთი ხანობა „ცისკრის" რედაქტორი, სხვათა შორის, იორამი, „ჩინით" სპორტის ოსტატიც კი გახლდათ ჭადრაკში!), მურმან ჯგუ-

ბურია, ოთარ ჭელიძე, ჯარჯი ფხოველი, თედო ბექიშვილი, ჯემალ ჭელიძე, ამირან კალაძე, გოდერძი ჭეიშვილი და კიდევ ბევრი და ბევრი, ვინ ჩამოთვლის მათ... (იმათგან, სამწუხაროდ, ბევრი გარდაცვლილია, აცხონოთ უფალმა!)

...ერთიც უნდა ვთქვა: „ცისკრის“ შიგა „ჩემპიონატის“ საყურებლად ჭადრაკის სასახლედანაც კი მოდიოდნენ ხოლმე სტუმრები! აღსანიშნავი იყო ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილის „თანამშრობლობა“ რედაქციასთან!

ძვირფასო მკითხველო, გულწრფელად მინდა გითხრათ, რომ ამ „საჭადრაკო“ თავშექცევას უბეჟეოდ არ ჩაუვლია!.. თამაშის დროს იმდენი და ისეთი რამეები ითქმოდა და იჭორბიუროებოდა, ყურში ვერ დაიტევდა კაცი!.. ურთიერთკამათში ბევრი ნაწარმოების იდეაც კი დაბადებულა! მაგალითისთვის ერთიც იკმარებს – ბატონ რეზო ჭეიშვილის შედეგრი – „ცისფერი მთები ანუ ტიანშანი“ სწორედ ამ „მოვლენების“ მერე დაიწერა!..

...ახლა ისევ ბატონ გურამს და მის ახალ წამოწყებას – დომინოს „საქმეს“ დავუბრუნდეთ!

...გურამი „საგანგებო“ თათბირს ატარებსო, გახმაურდა თუ არა ეს ამბავი, სარედაქციო კოლეგიის ყველა წევრი ქუდზე კაცის პრინციპით გამოცხადდა. გაფართოებული სხდომა იყო და ამიტომ გამოჩენილი მწერლებიც ესწრებოდნენ თავყრილობას ცეკას თვალის ასახვევად!

ბატონი გურამი სამის შვიდ წუთზე მოვიდა (დრო ზუსტად მახსოვს!), დაგვიანებისთვის ბოდიში მოიხადა და...

– რა ხდება, ლომო, რა გულებს გვიხეთქავთ! მართლა გვხურავენ?!.. აქეთ რომ მოვდიოდი, გზად, ცეკასთან „დაახლოებული“ “დიდოსტატი” მწერალი შემხვდა და სიხარულით მითხრა, ნახავთ, მალე თუ დედა არ გეტიროთო! თქვენი საქმე ცეკას ცაში უკვე გადაწყვეტილიაო! რამდენს ითამაშებთ და იჭადრაკებთ, რამდენს არ დაბეჭდავთ მასალებს იმათზე, და საერთოდ, საცეკაოდ, მერე ვნახოთ, ვინ წავა საცეკვავოდ! დედა გეტირებათო! – საუბარი ტარიელ ჭანტურიამ დაიწყო.

– დედა არა, მარა, მამა შეიძლება გვეტიროს! – თქვა გურამმა და გააგრძელა, – ენა შორს რომ არ გამექცეს, მოკლედ გეტყვით, ცეკაში მითხრეს, ყველა მწერალზე, ვინც თქვენს რედაქციაში მუშაობს, თუ დადის, თუ არ დადის, ყველაფერი ყველაზე კიწკიწ ვიციითო!.. მარა ეგ არ არის მთავარი! იმათ სხვა რამ აწუხებთ, რომელზეც ხმამაღლა მითხრეს: სად გინახავთ, რომელ საბჭოთა დაწესებულებაში, დღისით, მზისით, გაგანია სამუშაო საათებში, ჭადრაკის თამაშიო!.. მაგისთვის გცალიათ, მაგისთვის ხარჯავთ დროსო?.. ათასი ანონიმური საჩივარი შემოდის თქვენს საქმიანობაზე, თქვენს მოურიდებელ, უხეშ და ბევრჯერ უყურადღებო, უპატივცემულო, აგდებულ მიდგომ-მოდგომაზე უცხო ავტორებთანო!... რა გეშახმატებათო!.. ავტორებს ჭადრაკის ენაზე, კი არა, მოღვაწეობაზე ელაპარაკეთო! წინ გაიხედეთ – კომუნიზმია ასაშენებელიო!..

...გურამი შეჩერდა და მზერა „დარბაზს“ მოატარა!

...რედაქციამ ნახევრად შვებით ამოისუნთქა!

– შესვენებაზე რომ ვითამაშოთ, პატარა სული რომ მოვითქვათ, ამით რაიმე დაშავდება? – იკითხა გივი ძნელაძემ.

– მოიცა, გივი, რა, მოიცა! სად გვაქვს ჩვენს რედაქციაში შესვენება, ან რომელ შესვენებაზე ლაპარაკი!.. ზოგი თორმეტზე მოდის, ზოგი – ორზე, ზოგი ნახევარჯერ არ დადის!.. ისე, ისიც არის, ზოგი რომ მოდის, მერე აღარ მიდის! ხელფასის დღეს, გაგიხარია, ყველა მოდის! – გურამმა კიდევ გადახედა „დარბაზს“.

– ჭადრაკი თუ ამოვიღეთ „მენიუდან“, დავხოცილვართ უსაქმურობით და ეგ არის! – თქვა ჩვეული ირონიით თამაზ წივწივაძემ და გაიღიმა.

– გამოსავალი ცეკასთან ერთად გადავწყვიტე! განახებთ ახლავე! – გურამი ადგა, ცელოფანის პარკი მაგიდასთან მიიტანა და იქედან ოთხი ჩოთქ-საანგარიშო და ასევე ოთხი დომინოს ქვების ყუთი ამოიღო.

– რა, რედაქციას ვხურავთ და ბუღალტერიას ვხსნით? – კითხვა „შემოაგდო“ ლევან მალაზონიამ მაშინ, როცა საანგარიშოები ხელითაც „მოათვალიერა“.

– ბუღალტერია აქ არაფერ შუაშია!.. უბრალოდ, დომინოს თამაშს საანგარიშოები ჭირდება, სულ ეს არის,– თქვა გურამმა და გააგრძელა,– დღეიდან დომინოზე უნდა გადავიდეს რედაქცია!.. როგორც ხედავთ, მაგიდაზე ოთხი ყუთი დევს, აქედან, ორში, ძვირფასი ქვებია, ისრაელშია დამზადებული, სპილოს ძვლის არისო, ასე მითხრეს, ორში ისე რა ქვებია, რა!.. ძვირფასი ქვებით რედაქციის თანამშრომლებმა შეიქციეთ თავი, უფრო მდარეთი – გონებაჩლუნგ პოეტებს მიანდეთ „ასპარეზი“... ეგება ბებერი მწერლებიც „აიყოლიოთ“ დროის გაყვანის მიზნით!.. ერთი სიტყვით, პოეზიაში გაკვეთილები გივი ძნელაძეს დაევალოს (ბატონი გივი პოეზიის გაყოფილების გამგე იყო), პროზა კიდევ პროზის პატრონს და ასე შემდეგ...

– ეს, როგორ, კაცო, ცეკა სულ გამოტვინდა?.. ჭადრაკის თამაში უხმაუროდაც შეიძლება, საერთოდ, არავინ არაფერი რომ არ გაიგონოს, დომინოს კიდევ ტკაცა-ტკუცი უხდება!.. „რიბას“ რომ დაიძახებ, ქვა თუ მაგიდას არ დაასტკვლიცე, რა ფასი აქვს ისეთ თამაშს! – გაკვირვებით თქვა გივი ძნელაძემ, – ჰოოდა, რა გამოვა, იმის ხმას ცეკაში კი არა, გურიაშიც კი გაიგონებენ!

– ბატონო გივი,– გურამმა დომინოს ერთი „პაკეტი“ გახსნა, ქვები მაგიდაზე დააწყო და გააგრძელა,– ცნობისთვის გეტყვი, დომინოს თამაში ინგლისში გამოიგონეს გონებასუსტ მოზარდებისა და, შენ წარმოიდგინე, ასაკს მიღწეული ადამიანებისთვისაც, იმასაც შეგახსენებ, რომ ამ „სექტორში“ მწერლებიც მოიაზრებოდნენ, მხატვრებიც და ბეყეყი ჟურნალისტებიც! ორ მხატვარს ვიცნობ, ფერებს ვერ არჩევს ერთმანეთისგან და მხატვარს

ეძახიან! ჰოდა, აქედან გამომდინარე, ბატონო გივი, ჭადრაკის დაფის გვერდით დაიდებ დომინოს ქვებს და როცა ახალგაზრდა ავტორი, ვინ იცის, მერამდენედ შემოგეჭრება და „გატრაკებას“ დაგიწყებს დაბეჭდვაზე, აა, მაშინ დაისვი გვერდით, დომინოს ქვები წაღმა გადმოაბრუნე და უთხარი: მოდი, ბაბუ, გასწავლი, როგორ უნდა წერა-თქვა!.. საწყენად კი არ დაგრჩეს, მარა უნდა იცოდე, „ცისკარი“ შემოქმედებითი აკადემიაა-თქვა!.. მერე, ნიმუშისთვის, ერთ წერტილს მიუსვი ერთი წერტილ-ნიშნულიანი ქვა და მშვიდად უთხარი, ეს, ჩემო კეთილო, სუსტი რითმაა-თქვა!.. მერე ორიანს ორიანი მიუსვი და იმაზეც უთხარი, ეს ცოტა ჯობია პირველს-თქვა!.. მერე სამიანს მიუსვი სამიანი და მიაყოლე, აი, ხედავ, ცოტა წაგიმუშავებია თუ არა საკუთარ თავზე, ხელი გაგიუმჯობესებია-თქვა!.. ასე დინჯად უნდა გააგრძელო გაკვეთილი!.. მერე ხუთიანს ხუთიანი მიუჯინე და უთხარი, შეხედე, რავა უხდება ერთმანეთს ორი ფანჯი-თქვა!.. ასეთი რითმა ყველგან გაიტანს თავს-თქვა! ჰოოდა, როცა ექვსიანს ექვსიანზე მიუჯენ, რომ ჩაამწკრივებ გურიაში მიმავალი მატარებელივით, მაშინ უთხრა, ეს უკვე ნაღდი მაჯამაა, რუსთაველის შაირია, ცხონებული ჩახრუხაძეც ასე წერდა-თქვა!.. თეიმურაზ მეფეც-თქვა! აა, ჩემო გივი, ამ „სისტემით“ ჩაატარე წვრთვნები და ვერც ტეკა მოგვედავება, ვერც ცეკა და ვერც დამწყები ავტორები!.. – ჰო, მოიცა, მაცალეთ, – გურამმა ისევ გადახედა მდიმარე დარბაზს, – ვთქვა ბოლომდე, თათბირი არ დავამთავრო?

– კი ბატონო, გააგრძელე, წელში “გაწყვეტილი” თათბირი თუ კრება ვისმე უნახავს საბჭოეთის სივრცეში? – ჩაილაპარაკა თავისთვის რეზო ჭეიშვილმა.

– ვაგრძელებ! მაშ ასე! რაც შეეხება პროზის განყოფილებას, აქ გადარჩენილები ვართ, რითმები არაა საჭირო, დაუყრი ავტორს ქვებს გულადმა და მორიდებით ეუბნები, თუ ამას ისე დაალაგებ, ქვები ერთმანეთს ისე „ჩაეხუტებიან”, რომ ცხოვრებაში ხელი არავის შეუშალონ, შეიძლება შეუშალონ კიდეც, მარა, არა უშავს, ყურადღება არ მიაქციო, შენი საქმე აკეთე, ბევრი იმუშავე, ღამეები ათენე, გამოგივა, პროზაიკოსის ალღო გაქვს-თქვა!.. ყველაზე მეტად ამ „თამაშში“ კრიტიკის განყოფილებას გაუმართლა! მოკრიტიკოსო „ელემენტს“ ეგრევე „გაუშლი“ ქვებს და ეუბნები: აი, ძმაო, ამ არეულ ქვებს ხედავ?.. ძალიან კარგი, თუ ხედავ!.. ჰოდა, თუ შენს წერილში ასეა არეულ-დარეული ყველაფერი, მაშინ დავბეჭდავთ-თქვა, თუ არა და, კარგად ბრძანდებოდეთ-თქვა!..

...სიცილი ატყდა, მარა, რა სიცილი!

– ღადაობისთვის მცალია ახლა მე? – წამოდგა ფეხზე ტარიელი, – ტაქსი მჭირდება, კომიტეტში ვარ მისასვლელი, ოთახში ერთი მანქანიანი პინგვინი მელოდება, წავეთამაშები ნიძლავზე ორ პარტია ჭადრაკს, „გადავაყუდებ“ ეგრევე და მანქანაც გაიჩითება!.. ცეკა არა, იხვის ტოლმა სუფსაში!.. კარგად ბრძანდებოდეთ!.. – ტარიელი ხელაწევით გავიდა გურამის კაბინეტიდან.

...ცეკაში უმალ აუტანია „საქმე“ მოენეს, მაგრამ ყური არ უთხოვებიათ მისთვის, ის კი არა, იმდენი უცინიათ, პირველამდეც კი მიუღწევია იმ სიცილის ამბავს!..

... ის დღე იყო და ის, „ცისკარი“, ჭადრაკის თაობაზე, აღარავის შეუწუხებია!..

„ცისკარში“ ცხენის „ქურდია“...

(ამბავი გივი ძნელაძისა)

დიდი მზადება გვქონდა იმ დღეს „ცისკარში“ – ჭადრაკის ახალი დედოფალი, მაია ჩიბურდანიძე უნდა მობრძანებულიყო და ერთდროული სეანსი ჩაეტარებინა დიდოსტატ მწერალ „მოჭადრაკეებთან“.

„ცისკრის“ რდაქციის ყველაზე დიდ ოთახში მაგიდები ირგვლივ „შემოვაჯარეთ“ და სკამებიც კედლისპირ ჩამოვამწკრივეთ. პოეტი და ფოტორეპორტიორი ილეგ გველესიანიც კი მოვიწვიეთ სამახსოვრო კადრების გადასაღებად (დიდი ალბომი გვინდოდა გაგვეკეთებინა), ორ ტელეოპერატორის ორწუთიან გამოჩენაზე რომ არაფერი ვთქვა...

ერთი სიტყვით, ყველაფერი გავაკეთეთ, საჭადრაკო „კორიდა“ შემდგარიყო იმ დღეს...

რედაქციის თანამშრომლების გარდა (მაშინ „ცისკარში“ მუშაობდნენ ტარიელ ჭანტურია, გივი ძნელაძე, ოტია პაჭკორია, თამაზ წივწივაძე, ლევან მალაზონია, რეზო ჭეიშვილი, ავთანდილ ჩხიკვიშვილი და ამ სტრიქონების ავტორი. ქალებიც მუშაობდნენ რედაქციაში, მაგრამ საჭადრაკო ბატალიებში არ მონაწილეობდნენ), სტუმართა „ასამბლეაში“ მოწვეულნი გვყავდნენ ბატონები: მურმან ლებანიძე, იორამ ქემერტელიძე (სხვათაშორის, ბატონი იორამი სპორტის ოსტატი გახლდათ ჭადრაკში!), მორის ფოცხიშვილი, გოგი ნიშნიანიძე, მურმან ჯგუბურია, ზეზვა მედულაშვილი (ბატონ ზეზვას, ყველა თურქულენოვანი ტომების ენის სპეციალისტს, ბატონი ლევან მალაზონია ყუთლუბულას ეძახდა!)... აქვე მინდა, ბოდიში მოვუხადო მათ, ვინც ამ წუთობას ვერ გავიხსენე...

რედაქციაში შვიდი ჭადრაკის დაფა გვქონდა, დანარჩენები თვითონ მოიძღვანიეს მოწვეულმა „დიდოსტატებმა“.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ მე და ავთოს

საჭადრაკო დაფა არ შეგვხვდა, მოძალებულ სტუმრებს ვეცით პატივი, არადა, ორთავე ისეთს ვთამაშობდით, ჩვენი შემხედვარი, ჭადრაკის სამყაროში, დედა შვილს არ აიყვანდა ხელში!

...ასე იყო, თუ ისე, აქეთური იყო, თუ იქეთური, ჭადრაკის დედოფალიც გამოჩნდა განუყრელი „დაცვით“ – მაიას, როგორც ყოველთვის, დედა ახლდა თან!

ბევრი რომ არ გავაგრძელო, მიუსხდნენ თუ არა „ლომები“ მაგიდებს, შუა „დერეფანში“ „შეიჭრა“ ძუ ლომთა-ლომი, მიესალმა „მოიერიშე“ ფლანგელებს...

და...

დრო ჩაირთო!..

იმ დღეს „ცისკარში“ იმდენი სტუმარ-მაყურებელი შეიკრიბა, ტევა არ იყო...

აქეთ-იქეთ მაყვალა, ეთერი, მზიული, ლენა და ელზა საქმიანი ფუსფუსით ავსებდნენ „ბრძოლის ველს“ – სუფრა ეწყობოდა “ზეიმის” დასაგვირგვინებლად!

...თამაშია, მარა რა თამაში!

...ჭადრაკის დედოფალი მომღიმარი სახით „წრეზე“ დადის. პირქუშად ქცეულ მწერლებს დანა კბილს არ უხსნის! (ზოგს გახსნილი დარჩა და დარჩა!)

...ისეთი სიჩუმეა მთელ „ცისკარში“, ბუზის გაფრენასაც გაიგონებს კაცი!

...კარგა ხანს გასტანა თამაშმა! სიტყვის ჯადოქრები მთელი შემართებით „ებრძოდნენ“ ჭადრაკის ჯადოქარს!.. მაგრამ სადაც წვრილი იყო თოკი, იქ გაწყდა – ერთი წაგებული გამოჩნდა!.. მალე მას მეორეც მიჰყვა!.. იქეთ მესამემაც დაყარა „ფარ-ხმალი“

...მაია, რა თქმა უნდა, ისევ აგრძელებს ჩამოვლას!.. „სისხლის“ ბოლო წვეთამდე იბრძვიან სტუმარ-მასპინძელნი!

...და, აი, მაია, აღმოსავლეთის ფლაგმანთან, ბატონ გივი ძნელაძესთან ცოტა ხანს შეჩერდა, სვლა „ცხენით“ გააკეთა და გვერდითა მაგიდისკენ გადაინაცვლა.

ბატონ გივის, რატომღაც, იმ წუთასვე არ მოეწონა ცხენის ისეთი „შემოჯირითება“, მაიას რომ გაექცა აღვირი, ბევრიც არ უფიქრია (ანდა, სად იყო ფიქრის დრო!), წამოავლო ხელი ცხენის ფიგურას და ჯიბეში ჩაიდო.

...მაიამ „ჩამოვლა“ ისევ ბატონ გივისთან შეაჩერა! დაფას დახედა, მერე გაიღიმა და გივის ჩურჩულით უთხრა:

– ბატონო გივი, სად არის ჩემი ცხენი?

– მაგ ცხენს ნამეტანი დაცხა და საჯინიბოში გადავაბი! ისე, რომ იცოდე, გურულებს ცხენის მოვლა ძალიან გვიყვარს!.. – ისე უპასუხა გივიმ მაიას, მაღლაც არ აუხედავს.

...მაიამ სხვა ფიგურას მოუნაცვლა ადგილი და ჩამოვლა გააგრძელა!..

...ტარიელ ჭანტურიამ ერთი კი იბრუნა თვალი და ყური მაიასა და გივის ჩურჩულისკენ, მაგრამ ისეთი ვერაფერი გაიგო, თუმცა შემდეგ გამოქვეყნებულ წერილში, მაიას ცხენსა და საჯინიბოზე ბევრს ლაპარაკობდა.

...მდგომარეობა უფრო დაიძაბა – რამდენიმემ კიდევ შეწყვიტა „მარათონი“! (ოც დაფაზე იყო „დუელი“ გამართული!).

...მაია ისევ ბატონ გივისთან შეჩერდა და მთელი „დარბაზის“ გასაგონად, კარგა ხმამაღლა უთხრა:

– ბატონო გივი, ყაიმზე თანახმა ხართ?

ბატონმა გივიმ ახედა მაიას და:

– არა, ყაიმი რა სუფრაზე მოსატანია! ვაგრძელებ თამაშს!..

...გენახათ, რა დღეში ჩავარდა თამაზი, მურმანი, ოტია, განსაკუთრებით ტარიელი... რა თქმა უნდა, სხვებიც!.. ერთი კი იყო, იორამს არ შეცვლია სახის იერი!

...ყაიმის შეთავაზებიდან მესამე ჩამოვლაზე, მაიამ ისევ შესთავაზა ყაიმი გივის!..

– ამ ეტაპზე, ამ ჯერობასა და სიტუაციაზე,თანახმა ვარ,იყოს ყაიმი! მთელი სიდინჯითა და სერიოზულობით თქვა ბოლო სიტყვა ბატონმა გივიმ, ფეხზე წამოდგა და მოწინააღმდეგეს ხელი ჩამოართვა.

...რაღა ბევრი გავაგრძელო, „თამაშმა“ სუფრასთან გადაინაცვლა... მარა...

...მარა, დღემდე „საიდუმლოებით“ არის მოცული, ბატონმა გივიმ მართლა გადააბა ცხენი თავლაში, თუ ეხუმრა მაიას?!.

●

...ისე, კაცმა რომ თქვას, კი ღირდა ერთი ცხენის „მოპარვა“ „ცისკრელების“ „გადასარჩენად“ – ვიღაცას ერთი ყაიმი ხომ მაინც უნდა გაეკეთებინა ამხელა მწერლობაში?!..

ახალი წიგნი



ავთანდილ ვარშთაგავა

მითების გაღვიძების დიდოსტატი და მომთვინიერებელი

კაცობრიობის სულიერი და მატერიალური ცხოვრების ნაკვალევი რამდენიმე განზომილებაშია საძიებელი, რომელთა გამოვლინებისა თუ შესწავლისათვის სულ სხვადასხვა მიდგომა და, რაც მთავარია, ზეპური ნიჭია საჭირო. ოდესღაც, უხსოვარ დროში, შექმნილი სულიერი შემოქმედების ნიმუშები – მითების, ლეგენდებისა თუ ხალხური პოეზიის მარგალიტების სახით, რადაც უხილავი ძარღვებით, გადმოდიოდა თაობიდან თაობაში, როგორც ჯაჭვის უწყვეტი რგოლი და მებიუმის ლენტა, მაგრამ, ცხადია, რომ ისინი გზა და გზა, ნაწილობრივ მაინც, იცვლიდნენ თავიანთ ადრინდელ შინაარსსა და, დროის შესაბამისად, ახალ-ახალი ფერებით იმოსებოდნენ...

ამ მხრივ ისინი არსებითად განსხვავდებიან მიწისქვეშეთში განამარხებული იმ ნივთიერი მასალებისაგან, დედამიწა საგულდაგულოდ რომ ინახავდა და იფარავდა საუკუნეთა მანძილზე და ასე, მზამზარეულად, თავდაპირველი სახით, აწვდიდა და აწვდის ეთნოლოგებსა და არქეოლოგებს. აქ მხოლოდ ერთი ბარის დაკვრაა საჭირო და მკვლევარ-არქეოლოგს ხელთა აქვს ეს მზამზარეული მასალა, რომლის ხორცშესხმაც უკვე არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს...

მაგრამ სულიერ ფასეულობათა შესწავლის დროს, საქმე საკმაოდ რთულად არის, რამეთუ რამდენადმე სახეშეცვლილი ნიმუშები "მისტიური ძონძებისაგან" განთავისუფლებასა და თავდაპირველი სახით აღდგენას მოითხოვს...

სულიერ ფასეულობებზე საუბრის დროს, პირველ რიგში, მხედველობაში მაქვს ხევსურული მითები, ლეგენდები თუ ხალხური პოეზიის ნიმუშები, ერთი შეხედვით მდინარეს რომ მოგვაგონებს თავისი სათავით, კალაპოტითა და უამრავი შენაკადით. მდინარის სათავის პოვნა ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით "ფოლკლორულ მდინარეთა" შესახებ, რომელთა სათავეებთან მისაღწევად არიადნას ძაფი, მკერდიდან ამოგლეჯილი მანათობელი გული და, რაც მთავარია, საზეპურო ნიჭია საჭირო, და ეს იმიტომ, რომ მთელი ამ ხალხური სულიერი შემოქმედების სათავე, წინაპართა აჩრდილები, საუკუნეთა მირიადებში მიმობნეული მარგალიტები, უკვე კარგა ხანია, რაც დიდ "ნაკრძალად" არის ქცეული.

თავის დროზე ამ დიდ "ნაკრძალში" ახერხებდა გასეირნებას პოეტი ხოზე მარია დეჰერედია თავისი "ტროფეებით", რის შესახებაც მიუთითებდა კიდეც მისი ქართულ ენაზე მთარგმნელი პოეტი მიქელ პატარიძე.

მეორე – ნიკოლაი რერიხი იყო, ვინაც რუსული მითებისა და ლეგენდების გადახარშვის შემდეგ, ინდურ-ტიბეტური მითების მიკვლევასა და მათ მოთვინიერებას მიჰყო ხელი, თუმცა მათ წიაღში ამაოდ შეეცადა შამბალას პოვნას, მის ნაცვლად კი გეხერის მახვილსა და მოლაპარაკე კლდეებად ქცეულ მითიურ სახეებს მიაკვლია და თავის ტილოებზე მარადიული სიცოცხლით შემოსა ისინი, თავად კი იმავე სამყაროში მიმოიბნა ფერფლად...

პირველი დიდი ვაჟა-ფშაველა იყო, ვინაც გახსნა ხევსურულ ანდრეზთა საიდუმლო, იმ "ნაკრძალის" ოქროს კარიბჭე და, მითიური გმირები გამოადვიძა და მარადიული სიცოცხლის სული შთაბერა მათ...

მსგავსი რამ მოიმოქმედა პოეტმა-მისტიკოსმა, მკვლევარმა კობა არაბულმა. მან თავისი განუმეორებელი პოეზიის წყალობით, პუშკინის მძინარე მზეთუნახავივით, ლეთარგიული ძილისაგან იხსნა უძველეს ხევსურთა ნახევრად მითიური, რეალური თუ ირეალური გმირები, კაც-ღვთაებანი თუ დევ-კერპები და მათ თავიანთი, სრულიად ახალი პარნასი საკუთარ ლექსებში მიუჩინა და ეს იმ დროს, როცა ამ მითიურ გმირთა აწ უკვე ჩაჟანგებული და მირაჟული სახეები, უძველესი ბერძნული პანთეონის ბარელიეფებივით, ბუნდოვანნი და სახედაკარგულნი იყვნენ...

ამ მითიურ გმირთა და სალოცავთა ნაკრძალში შეღწევას კობა არაბულმა მთელი თავისი სიცოცხლის ოქროს ხანა და შემოქმედება შესწირა.

ხსენებულ გმირთა სულ-ჩადგმასა და ხორცით მოპერანგებას პოეტის მთელი 20 ფორმიანი ლექსთა წიგნი თუ სხვა ცალკეული გამოკვლევები მიეძღვნა. მათი რიცხვი, ალბათ, გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ამას იან პარანდოვსკი "ხედავდა" თავისი მეგობარი მწერლის მაგიდაზე და აოცებდა ის, თუ როგორ ეტეოდნენ ამ მაგიდაზე მწერლის ეს აურაცხელი გმირები.

კობა არაბულმა, თავისი ლექსების სახით, უკვე გარდასულ დროში ჩამდგარ მითოსურ გმირებს ნამდვილი პანთეონი შეუქმნა, რომლის კვარცხლბეკი წინაპართა საფლავებზე, მათ მიერ შექმნილ ციხე-კოშკებზე, მათ საგმირო საქმეებსა და ლეგენდებზეა აგებული....

შატილის ციხე-კოშკებზე დღემდე შემორჩენილი მამაკაცთა ხელების უზარმაზარი გრაფიკული გამოსახულებანი იმაზე მეტყველებენ, რომ ხევსურულ სამყაროში, რეალურ გმირებთან ერთად, ირეალური პერსონაჟებიც ცხოვრობდნენ...

* * *

როგორც ჩანს, კობა არაბულს ზენაარი ბავშვობიდანვე ამზადებდა იმისათვის, რომ შესძლებოდა ანდრეზულ სიბრძნეთა ახალი, ოქროს კარიბჭის გახსნა და მითების "ნაკრძალიდან" მივიწყებულ გმირთა გამოხმობა. ვფიქრობ, რომ იგი არა, ეს მისტიური სამყარო ლეთარგიული ძილისა და დავიწყებისათვის იქნებოდა განწირული. მე ამას ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვამბობ...

კობას ბედნიერება იყო ის, რომ იგი ხევსურეთის მიწაზე იშვა, იქ ადიზარდა და ეზიარა თავის მშობლიურ ხალხთა უძველეს ადათ-წესებს, მითებსა თუ ფოლკლორულ შედევრებს, იქვე დაამთავრა ბარისახოს საშუალო სკოლაც.

მე და ჩემ ძმას – ტარიელს ბედნიერება გვქონდა მონაწილეობა მიგვეღო კობას გამოსაშვებ ორდღიან საღამოში; ჩვენ მოწმე ვიყავით, როგორ აალაგა მან თავისი საწოლი და, ლეიბისა თუ ბალიშის ქვემოდან გამოალაგა მამა-პაპური ფარხმალი და დამბაჩა, მერე გუდა-ნაბადი აიკრა და ახალი, დიდი ცხოვრებისათვის მოემზადა.

იგი მაშინვე წერდა ლექსებს და ეს მამა-პაპური იარაღიც, ცხადია, მას არც საბრძოლველად სჭირდებოდა და არც საკეჭნაოდ: ამ იარაღებს მიღმა ჯერ კიდევ ყმაწვილი კობა შორეულ წინაპრებსა და მამა-პაპათა აჩრდილებს ჭვრეტდა.

სკოლის დასრულების დროს პოეტი უკვე ნაზიარები იყო ხევსურთა უძველეს ტრადიციებს, რამაც საშუალება მისცა მას, გაბედულად ემოგზაურა წინაპართა ხსსოვნისა და მითების ლაბირინთებში...

ერთი ასეთი, მაგრამ რამდენადმე სხვა შინაარსის მოგზაურობა, კობამ ჩემთან, ჩემს ძმა-ტარიელთან, პოეტ ირაკლი ვაშაყმაძესთან, ზაურ ფიფიასთან, გვანჯი მანიასთან, არმაზ ჭანტურიასთან, ნუკრი ალხაზიშვილთან და სხვა ზღვაოსნებთან ერთად, 1970 წლის შემოდგომაზე, "ოქროს საწმისის" სამეცნიერო ექსპედიციაში მონაწილეობის დროს, განახორციელა და ზემო იმერეთი: ბჟინევი, ინაშაური, რუხი მოიარა... ვიდრე რკინიგზის ვაგონებით ფოთიდან ხის ხომალდს შორაპანში ჩამოიტანდნენ და მას მდინარე ყვირილაში ჩავუშვებდით, კობა ხევსურის სიფიცხემ თბილისში დააბრუნა, სამაგიეროდ ჩვენ დაგვიტოვა მისი შეკვეთით ხევსურეთში, ბექო ჭინჭარაულისგან დამზადებული ოქროს საწმისის ის ემბლემები, რომელთაც, შუა საუკუნეებიდან დაწყებული, მე-18 საუკუნის დასასრულამდე, უმაღლეს სამეფო ორდენებად ხმარობდნენ ესპანეთსა თუ ბურგუნდიაში. კობამ ასევე დაგვიტოვა მამა-პაპური რკინის ფარი, რომელიც დღეს იმერეთის სოფელ ბჟინევში, ჩვენს ოჯახშია შემონახული და დაცული სხვა რელიქვიებთან ერთად...

მეზღვაურები ზღვის სიღმეთა გასაზომად ე.წ. "ექოლოტებს" ხმარობენ. მათგან განსხვავებით, კობას, წარსულის სიღრმეთა გასაზომად და მოსახილველად, ბუნებისაგან ბოძებული "ექოლოტი" – ზეპური ნიჭი, ხედვის, ძიების, აღმოჩენათა და ანალიზის არაჩვეულებრივი უნარი აქვს.

დღეს რომ კობას პოეზიის და ესეების მითიური პერსონაჟები გავაცოცხლოთ, მათ ახალ სამკვიდრებელს ხევსურეთის მიწა უკვე აღარ ეყოფა, მათ სულ სხვა სამოსახლოები და ჭირდებათ. სასიხარულოა, რომ მისი ლექსები და ესსეები, იტალიურ, ინგლისურ და გერმანულენოვან მკითხველსაც მიწვდა.

კინორეჟისორ მელ გიბსონის კინოფილმში ქრისტეს როლის შემსრულებელი მსახიობი კავიზელი, ჯვარცმის სცენის გადაღების დროს, როგორც ამას სიამაყით ამბობდა, ხედავდა და ისმენდა თურმე ყველაფერს, რაიც კი 100 კილომეტრს იქით ხდებოდა და ხმაურობდა...

მითების გამდვიძებელი მედიუმისთვის 100 კილომეტრი ზღვაში წვეთია. კობამ ეს მანძილი, ეს რთული გზა უცნაურად სწარფად განვლო და ასევე მოულოდნელად დაბრუნდა უკან – ოქროს კარიბჭეებამდე "მითოსური მტვრით" დაფარული...

კობა არაბულის განსაკუთრებული ნიჭი და ხედვა გამჟღავნდა მის ესსეებში "ფხოვის საკრალური დრო – ათენგენიდან ყვავთაღვსებამდე" და მის მიერვე შედგენილ და მისივე რედაქტორობით გამოცემულ ჟურნალებში, რომელთაც "მითი და ტრადიცია" ჰქვია და რომელთა შექმნაშიაც მეც ვიღებდი ერთგვარ მონაწილეობას. თავისი შინაარსით გამორჩეულმა ამ უნიკალურმა ჟურნალებმა მკითხველთა და მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურეს და საერთაშორისო პრემიით დაჯილდოვდნენ...

* * *

მე და ჩემი ტყუპი ძმა – ტარიელი, როგორც მხატვრები, მუდამ დავალებული ვიყავით ხევსურეთისა და, ზოგადად, ფხოვის მითოსური გმირებიდან, რამაც გვიკარნახა შეგვექმნ: "ძლევის ზარები", "ნოეს კიდობნის გველის განკურნება შუბანის ხატში", "გველის მჭამელი", "ხევსური მტრის მოკვეთილი მარჯვენით ხელში", "გუდანის ხატის მოფრენა გერგეთიდან – მტრედის-აღითა", "ხევსური ქალები ფალოსის ნიშთან", "ლომა ხარის ლეგენდა" და უამრავი სხვა, სწორედ ეს თემები აღვივებენ კობა არაბულის პოეტურ ემოციებს. დღეს, ჩემი და ჩემი ძმის 53 ფერწერული ტილო, იტალიაში, ერთ-ერთ იქაურ კერძო გალერეაშია დაცული, აქვე იტალიაში, ძველი ეტრუელების ქვეყანაში. კობას უჩვეულო პოეტურმა სახეებმაც გაიჯერეს და იქაური პოეზიის თაყვანისმცემელთა ინტერესი გამოიწვიეს.

კობა არაბულის ამ ლექსთა კრებულის გამოჩენით, მკითხველს სასიამოვნო მოულოდნელობა ელოდება.

სარჩევი

ეპისტოლე

ილია II (სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი) – მოკრძალებული თხოვნა ---------- 3.

ქართული პოეზია

ვაჟა-ფშაველა (რუბრიკით – "გოდება"). – ლექსები.---------- 5.
მუხრან მაჭავარიანი. – ლექსები. ---------- 7.
ბაღათერ არაბული. – ლექსები.---------- 37.
მაია მიქაია. – ლექსები.---------- 49.
ელგუჯა ლებანიძე. – ლექსები.---------- 61.
ლელა მეტრეველი. – ლექსები.---------- 79.
მიტროპოლიტი თადეოზი (მირიან იორამაშვილი). – ლექსები.---------- 95.
თამარ გაბროშვილი. – ლექსები.---------- 123.
თემურ შავლაძე. – ლექსები.---------- 137.
ვასილ ბოსტაშვილი. – ლექსები.---------- 157.
არქიმანდრიტი შიო (შავნაბადას წმიდა გიორგის მამათა მონასტრის წინამძღვარი) – ლექსები.---------- 175.
ნონა გიორგაძე. – ლექსები.---------- 201.
ნოდარ ადეიშვილი (რუბრიკით – "პოეტის გახსენება). – ლექსები.---------- 219.
ირაკლი ვაშაყმაძე. – ლექსები.---------- 237.
გრიგოლ რუხაია. – ლექსები.---------- 273.

ქართული პროზა

რევაზ მიშველაძე. – სამი ნოველა.---------- 39.
ლალი ბრეგვაძე-კახიანი. – ორი მოთხრობა.---------- 53.
ჯემალ დავლიანიძე. – ზღვის თამადა. – მოთხრობა.---------- 65.
გულო კობიაშვილი. – სიკო, მთავარი ფრონტის ჯერჯერობით რიგითი. – მოთხრობა.---------- 87.
ზურაბ თორია. – მონანიების საზღაური. – მოთხრობა.---------- 97.
ვაჟა ჩორდელი. – მიარე, ჩემო მიარე... – მოთხრობა.---------- 125.
გიორგი შერვაშიძე. – ჩემი იერუსალიმი. – მოთხრობა.---------- 143.
ზურა იმიერი. – ორი მოთხრობა.---------- 159.
გუგული ტოგონიძე. – კოლხი გოგონა. – მოთხრობა.---------- 171.
ლამარა ესართია. – სამი მოთხრობა მოზარდებისათვის.---------- 195.
გოგი-გიორგი მამაცაშვილი. – აზროვნების გაკვეთილები – პიესა.---------- 287.

საზღვარგარეთული პოეზია

ნომადი ბართაია. – სპარსი პოეტები.---------- 165.
რენე კალანდია. – ბალტიისპირელი პოეტები.---------- 191.

საზღვარგარეთული პროზა და სხვა...

არტურო პერეს-რევერტე. – ღირსების საქმე. – მოთხრობა ესპანურიდან თარგმნა ელზა ახვლედიანმა ---------- 177.
მარკ ტვენი. – ადამ და ევას დღიურები. – ინგლისურიდან თარგმნა გია სართანიამ. -- 223.
ეჟი პილხი. – მონოლოგი სოროდან. – პოლონელი მწერლის მოთხრობა თარგმნა ლილი მჭედლიშვილმა.---------- 239.

ნორაირ ადალიანი; რუბენ ჰოვსეფიანი. – სომეხი მწერლების მოთხრობები თარგმნა დავით კახაბერმა ---------- 253.

ადამიანი, ფსიქოლოგია, სიყოყხლე...

რონდა ბერნი. – საიდუმლო. – ინგლისურიდან თარგმნეს მარინა ბარათაშვილმა და ჯემალ ჭელიძემ.---------- 261.

წერილები

რუბრიკა – "წარსული მომავლისათვის, ანუ მარადიული გრძნობა!"
ლუკიანე სამოსატელი (125-190 წ.წ.) – ქებათა ქება სამშობლოს. – ტექსტი თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო გურამ გოგიაშვილმა---------- 9.
დუვამიშელთა ტომის ბელადის სიტყვა. – ჩვენ ნაწილი ვართ დედა-მიწისა. თარგმნა ზურაბ აბაშიძემ. ---------- 13.
რუბრიკა – "ჩვენი ისტორია დღემდე!.. რა იქნება ხვალ?!."
ავთანდილ სიხარულიძე – ვედრება საქართველოს გადარჩენისათვის. ---------- 17.
რუბრიკა – "სვით მიდიხარ, სოფელო!"
ციალა არდაშელია – წუთისოფლის მორევი. (ფრაგმენტები.)---------- 205.
ბონდო არველაძე – ძველი სიმღერა ახალი ჰანგით. ---------- 275.
თამარ ხეცურიანი – შერვუდ ანდერსონის "აუნთებელი ლამპრების" მხატვრული ანარეკლი. ---------- 279.
კოტე გოგოლაშვილი. – ხედვის წნული და ანარეკლის ტექნოლოგია. ---------- 283.

ინტერვიუ

ლალი ბრეგვაძე-კახიანი – მწერალი და დრო. ---------- 277.

ხელოვნება

კოტე გოგოლაშვილი. – ხედვის წნული და ანარეკლის ტექნოლოგია.---------- 283.

მნერლის უბის წიგნაკი...

ვაჟა ჩორდელი. – "ცოტა რამ ჩემ შესახებ...; კაცი!; დომინოს "რითმები" "ცისკარში".; "ცისკარში" ცხენის "ქურდია"---------- 309.

ახალი წიგნები

ავთანდილ ვართაბავა. – მითების გაღვიძების დიდოსტატი და მომთვინიერებელი.------ 217.

ლამაზი სიკვდილი



ჭანსოლ ჩასტკოიანი

როცა დაიწყებს წყარო საუბარს,
მზეს რომ მისწვდება ირმის ბღავილი,
შემოასკდება როცა ალუბალს
მუხლზე კაბა და გულზე ყვავილი.

როცა კვირტები აფეთქდებიან,
მთებს გადიფრენენ ფრთების ტკაცუნით,
როცა ირმები დაფეთდებიან,
მზეს შეხედავენ რქებში ჩანურვილს.

როცა მერცხალი ზეცას შეუტევს,
როცა მინაზე მზე და დარი დგას,
ირემი აპრილს კარებს შეუმტვრევს
და ატმის რტოებს რქებად დაიდგამს.

როცა მზე მინდვრებს კალთებს დაუცლის
საგვირილოდ და საენძელოდა,
ირემი ირემს ბალახს გაუწვდის
და რქას მიუტყამს საფლეგრძელოდა.

როცა ძენწები ატირდებიან
და აკოცებენ ვაზებს ხარდნები,—
შევხედავ ზეცას ნატვრის თვლებიანს,
ავტირდები და ავხარხარდები.

მოიგონებენ წარსულს მკვიდრები,
აბუბუნდება ქვეყნად ყველა მთა,
გავდიადდები,
გავსულდიდდები
და ავენთები მამულს კელაპტრად.

დავდგები ცერზე როგორც ავაზა,
ერთს გადავხედავ დღეებს გაფრენილს,
მერე მოვკვდები ისე ლამაზად,
ვით დაიბადა ეს ყველაფერი.